

ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის
მდგრადი განვითარება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება

Bioeconomy and Sustainable Development of Agriculture

II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
II International Scientific-Practical Conference

შ რ ო მ ე ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი

Proceedings

თბილისი 2013

სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2013 წლის 11-12 ოქტომბერს II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ წარმოდგენილ 131 მოხსენებას.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი; მხარდამჭერებია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შვეიცარიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ იტალიიდან, ჰოლანდიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სტუმრები და მკვლევარი სტუდენტები; ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს ფინანსთა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები და ფერმერები.

სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გასაცნობად მოეწყო გასვლითი ტური „აგრო-ვახისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნულ ცენტრსა“ და კომპანია „შატო მუსრანში“.

საორგანიზაციო კომიტეტი

- ეთერ ხარაიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- აკაკი ხელაძე** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი
- რევაზ გველესიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ნოდარ ხადური** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- დავით ნარმანია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- მანანა ლობჯანიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
- ეკატერინე ზვიადაძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკის დოქტორი
- მარინა ჩაველიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- მარინა ნაცვალაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ნახირა კაკულია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- შოთა შაბურაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი შიხაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ბადრი გენბაია** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- მარი უკლება** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალისტი
- ნანა მისურაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უფროსი სპეციალისტი
- ტარიელ ლომია** – თსუ შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
- თენგიზ თაქთაქიშვილი** – თსუ დოქტორანტი

Organizing Committee

- Eteri Kharaiashvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Akaki Kheladze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dean of the Faculty of Economics and Business, PHD
- Revaz Gvelesiani** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Nodar Khaduri** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor, Finance Minister of Georgia
- Davit Narmania** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor, Minister of Regional Development and Infrastructure of Georgia
- Manana Lobjanidze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of Research and Development department
- Ekaterine Zviadadze** - Ministry of Agriculture of Georgia, PHD in Economics
- Marina Chavleishvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor
- Marina Natsvaladze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor
- Nazira Kakulia** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor
- Shota Shaburishvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor
- Giorgi Shikhashvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor
- Badri Gechbaia** – Shota Rustaveli State University, Associate Professor
- Mari Ukleba** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Specialist
- Nana Maisuradze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior Specialist
- Tariel Lomia** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Internal Audit Service, Main specialist at Monitoring department
- Tengiz Taktakishvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctorate student

სარედაქციო კოლეგია

- რამაზ აბესაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი
- ვოლფგანგ ვენგი** – ბერლინის (გერმანიის) ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
- დომინიკ ბარჯოლე** – ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტი, პროფესორი
- ელგუჯა მექვაბიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- რევაზ გოგოხია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორი, დოქტორი, პროფესორი
- მირიან ტუხაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- იური ანანიაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- თემურ შენგელია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- იაშა მესხია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ვატიმა მამარდაშვილი** – ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტი, დოქტორანტი
- ნუგზარ თოდუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ელენა ხარაბაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- სიმონ გელაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- ქეთევან მარშავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- გიორგი დაღანიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
- გულნაზ ერქომაიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

Editorial Collegium

- Ramaz Abesadze** – Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University - Director, Doctor of Economic Sciences
- Wolfgang Weng** – Technical University of Berlin, Professor
- Dominique Barjolle** - Swiss Federal Institute of Technology, Zurich, Professor
- Elguja Mekvabishvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Revaz Gogokhia** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Editor-in-chief of journal of Economics and business, Doctor of Economics sciences, professor
- Mirian Tukhashvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Iuri Ananiashvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Temur Shengelia** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Iasha Meskhia** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Fatima Mamardashvili** - Swiss Federal Institute of Technology, Zurich, Doctorate Student
- Nugzar Todua** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Elene Kharabadze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Simon Gelashvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Ketevan Marshava** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Giorgi Gaganidze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
- Gulnaz Erkomaishvili** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor


სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეკონომიკაში გარდა იმ ტრადიციული შინაარსისა, რაც, ჩვეულებრივ, მოსახლეობის გამოკვებას ემსახურება. საქართველოს მდიდარი პოტენციალი გააჩნია აგრობიზნესის განვითარებისთვის. ფაქტია, რომ დღეისათვის საქართველოში ქვეყნის აგრარული პოტენციალის მესამედიც კი არ არის ათვისებული სრულად, ამიტომ დღეს მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში უმნიშვნელოა. ეს გამოწვეულია დღევანდელი გლობალური სავაჭრო ურთიერთობების შესაძლებლობით, რომ ადგილობრივი წარმოება ჩანაცვლებული იქნეს იაფი იმპორტირებული პროდუქციით. ფაქტია, რომ ქვეყანას, სადაც მოსახლეობის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებასთან არის დაკავშირებული, სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი სწორმა მიდგომამ შეიძლება დადებითი შედეგი მოუტანოს. აგრარული სექტორის განვითარებისადმი განსხვავებული - ღია სავაჭრო ურთიერთობებით დატვირთული მიდგომა ძირეულად შეცვლის ტრადიციულ დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობისადმი, გაზრდის მის როლს და „ღირსეულ“ ადგილს დაუპყვიდრებს საქართველოს დარგობრივ სტრუქტურაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის აგრარული პოლიტიკის მთავარ მიზანს დღეს სოფლის ეკონომიკური გაძლიერება, გლეხის (ფერმერის) შემოსავლების ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება წარმოადგენს. მისი რეალიზაცია ძირითადად აგრარული სექტორის მოდერნიზების, აგროსასურსათო სექტორთან დაკავშირებული მომსახურების განვითარების, აგრარული სექტორის რენტაბელობისა და შესაბამისად კონკურენტუნარიანობის ზრდის, და სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდის ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს. სწორედ ამიტომ აუცილებელი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის სწორი მიმართულებების განსაზღვრა, აგრეთვე ინვესტიციების კუთხით უცხოელი ინვესტორებისათვის ქართული სოფლის მეურნეობის სექტორის საინტერესო და მიმზიდველ სექტორად გადაქცევის ხელშეწყობა. ეს გამოიწვევს სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციას და მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილის გაზრდას, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 8 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენს. (იხ. დიაგრამა 1)¹ აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში შექმნილი დოვლათი საერთოდ არ არის სოფლად მცხოვრები ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული.

მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის დინამიკა

დიაგრამა 1



¹ www.geostat.ge

დიაგრამა 1-დან ჩანს, რომ 2012 წელს 2007 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 21,5%-თა შემცირებული ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ის 5%-ით ნაკლებია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი დღეს ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. ბოლო წლებში შემცირდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოება – იკლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით. 2007 წელთან შედარებით შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (30%-ით), ღორის (57%-ით), ცხვრისა და თხის (26%-ით) და ფრინველის სულადობა.¹ თითქმის 13%-ით ნაკლები ხორცი და 25%-ით ნაკლები რძე იქნა წარმოებული. ნათესი ფართობი განახევრდა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით თითქმის 5-ჯერ ნაკლები ხორბალი იქნა მოყვანილი. ეს კი ნიშნავს, რომ გაუარესდა ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბალი, რომლის იმპორტი ბოლო წლებში 3,7-ჯერ გაიზარდა. ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 24%-დან 8%-მდე შემცირდა. იკლო სასურსათო მინიმუმის ძირითადი დასახელების საქონლის მოხმარების მაჩვენებლებმაც. საქართველოს მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით 2011 წელს მოიხმარდა უფრო ნაკლებ პურს, ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, კვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, თაფლს, შოკოლადს და კვების სხვა პროდუქტებს, ვიდრე 2003 წელს. მნიშვნელოვნად შემცირდა მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ისედაც დაბალი დონე.²

სოფლის მეურნეობის სექტორზე სტატისტიკურად ქვეყანაში დასაქმებული ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ირიცხება. სტატისტიკა ადასტურებს, რომ სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაო ძალის 50%. მათ შორის მისი 95% მცირე მეწარმეები არიან. თუმცა მათი უდიდესი ნაწილი თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, ამიტომ სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა.. დღეს საქართველოში ფერმერულ ორგანიზაციათა რაოდენობა ძალზე მცირეა, ფაქტია, რომ ქვეყანა დიდადაა დამოკიდებული უცხოეთიდან იმპორტზე. ისიც ფაქტია, რომ დიდ საწარმოო დანახარჯებთან შედარებით დაბალი საბაზრო ფასები განაპირობებს იმას, რომ სამამულო წარმოების პროდუქცია სათანადო კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ პროდუქციას. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ 2004-2011 წლებში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი თითქმის 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი – მხოლოდ 2,5-ჯერ, ადვილი მისახვედრია. რომ ადგილობრივ ბაზარზეც კი ქართული აგრარული პროდუქციის ადგილს უცხოური იაფფასიანი, ხშირ შემთხვევაში, უხარისხო პროდუქცია იკავებს. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია; არსებულმა მდგომარეობამ კიდევ უფრო გააღრმავა უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა და განაპირობა სოფლად მისი დონის ზრდა. ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზება.

როგორც აღნიშნეთ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს. (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები									
	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 321.5	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8
მათ შორის:									
ქალაქად (ათასი კაცი)	2 257.5	2 310.4	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 387.0
სოფლად (ათასი კაცი)	2 064.0	2 090.9	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 096.8


ბოლო მონაცემებით სოფლად მაცხოვრებელი 15 წლის და უფროსი ასაკი მოსახლეობის აქტიურობის მაჩვენებელი 72,3%, რაც 14,7%-ით მეტია ქალაქის მოსახლეობის ანალოგიურ

¹ www.geostat.ge

² http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm


მანვენებელზე. 2003 წელთან შედარებით 7,4%-თაა შემცირებული სოფლის მოსახლეობის დასაქმების მანვენებელი. არასახარბიელო დემოგრაფიული სიტუაციის პირობებში აქ განსაკუთრებით თვალში საცემია უმუშევრობის მაღალი და ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმების, შესაბამისად შრომის ანაზღაურების, დაბალი დონე, დიდია სამუშაო ძალის, ძირითადად ახალგაზრდობის, მათ შორის მაღალკალიფიციურის, გადინება საზღვარგარეთ. (იხ. დიაგრამა 2 და დიაგრამა 3)

დიაგრამა 2



როგორც ვხედავთ, შესაბამისად დაბალია სოფლის მოსახლეობის დასაქმების მანვენებელი. 2001 წლიდან შეინიშნება დასაქმების მანვენებლის მკვეთრი შემცირების ტენდენცია, თუმცა ბოლო წლებში სტაბილურობით ხასიათდება და დაახლოებით 65,5%-ის დონეზეა.


დიაგრამა 3



სტატისტიკის მიხედვით, „დასაქმებულთა“ უმეტესი ნაწილი „თვითდასაქმებულია“, ფაქტობრივად მათი უმრავლესობა კი - უმუშევარი. შედეგად, ამ სექტორში „დასაქმებულთა“ დიდი ნაწილი საარსებო მინიმუმის ზღვარზე და მის ქვემოთ იმყოფება. ადგილზე დასაქმებისა და საარსებოდ საჭირო შემოსავლის მიღების შეუძლებლობა მასობრივ მიგრაციას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, სოფლის დაცარიელების მიზეზი ხდება. ეს პროცესები შედარებით უფრო მეტად აზარალებს ქალებს. ამას კიდევ უფრო უწყობს ხელს შრომის ანაზღაურების მეტად არათანაბარი დონე გენდერულ ჭრილში. მთლიანად ქვეყანაში მამაკაცების ხელფასის დონე 1,8 ჯერ აჭარბებს ქალების ანალოგიურ მანვენებელს. მასთან ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორში რეალურად დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება მცირეა სხვა სექტორებში არსებულ საშუალო თვიურ ანაზღაურებასთან შედარებით.

დღეს საქართველოს მთავრობის აგრარული პოლიტიკის მიზანია სოფლის ეკონომიკური გაძლიერება, გლეხის (ფერმერის) შემოსავლების ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება. აგრარული სექტორის მოდერნიზება და ინტენსიური განვითარება, რამაც უნდა უზრუნველყოს სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა და რეგიონალური ეკონომიკის წინსვლა.

ხელფასის დინამიკა გენდერულ ჭრილში



დღეს აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოიყოფა: სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად და ეფექტიანად ათვისება; აგროსასურსათო სექტორთან დაკავშირებული მომსახურების სხვადასხვა სახეობის განვითარება; აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა; სექტორის რენტაბელურობის ზრდა და კონკურენტუნარიანი წარმოების განვითარება; გრძელვადიან პერიოდში მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა; აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება. სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის რეალურ პრიორიტეტად იქცევა, რისი უპირველესი გარანტიაც მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული და რეგიონალური პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების რამდენჯერმე გაზრდა იქნება.¹

ყოველივე ეს განაპირობებს რეგიონებში ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას და სტიმულირებას. კონკურენტუნარიანი პირველადი აგრარული პროდუქციის წარმოების გაზრდის საფუძველი გახდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული წარმოებისა და მომსახურების გაფართოება და განვითარება. ხელი შეეწყობა ისეთი ინფრასტრუქტურული კომპონენტების განვითარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება აგრარული პროდუქციის წარმოების შემდეგ ეტაპებზე, და რომლებიც წარმოადგენს დასაქმებისა და მთლიანად რეგიონალური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გველესიანი, აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა, იანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, თბ., 2012.
2. პ. კოლუაშვილი, საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“ შრომების კრებული, თბ., 2012.
3. ნ. პაიჭაძე, ეკონომიკის აგრარული სექტორის მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, თბ., 2012.
4. www.geostat.ge
5. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm

¹ http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm

THE TRENDS OF THE DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN GEORGIA

Summary

In the article there is proved the necessity of the development of agriculture and characterized the tendencies revealed in it, there are also distinguished the main priorities and presented the statistical analysis of the main parameters of developing this field, there is specified the existing problems in developing the agriculture and shown the priority trends of its development

რამაზ აბესაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი*

სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეზულირების პრობლემები საქართველოში

სშირად სოფლის პრობლემები სოფლის მეურნეობის პრობლემებთან ასოცირდება, არადა იგი გაცილებით მრავლის მომცველია. ეკონომიკის თვალსაზრისით სოფელი მოიცავს ბუნებრივ და ანტროპოგენურ ლანდშაფტებს და აქ სასოფლო წარმოების გარდა შეიძლება ფუნქციონირებდეს: სატყეო მეურნეობა; მონადირეობა; მეთევზეობა; სასოფლო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება; მომპოვებელი და გადამამუშავებელი (არა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის) მრეწველობა (როგორც წესი, შედარებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებით); სოფლის ინფრასტრუქტურა; კულტურული (კინოთეატრები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები), რეკრიაციული (ტურიზმი და ექსკურსია, დასასვენებელი სახლები, პლაჟები, პარკები და სხვ), სავაჭრო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და მომსახურების სხვა დარგები. ასევე შეიძლება ხორციელდებოდეს ბუნებისდაცვითი და საკომუნიკაციო საქმიანობა და სხვ. მაშასადამე, სოფლად საქმე გვაქვს სოფლის ეკონომიკასთან და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან.

მსოფლიოში დღეისათვის არსებობს სოფლის მეურნეობის ორი ტიპი. პირველი, განვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორი, მაღალინტენსიური საქონლური სოფლის მეურნეობა, რომელიც იყენებს არა მხოლოდ მექანიზაციისა და ქიმიზაციის, არამედ ავტომატიზაციის მთელ არსენალს – სელექციის, გენეტიკის, ბიოტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს, რაც განაპირობებს შრომის მაღალმწარმოებლურობას, რომელიც უტოლდება მრეწველობაში არსებულ შრომის ნაყოფიერებას. აქ ფერმერთა მცირე რაოდენობა არჩენს მთელ ქვეყანას. ფერმათა ფუნქციონირების პრინციპები თითქმის შეესაბამება ფერმათა ფუნქციონირების პრინციპებს. მეორე, განვითარებადი ქვეყნების დაბალგანვითარებული აგრარული სექტორი, სადაც ჭარბობს ტრადიციული (ნატურალური) მომხმარებლური სოფლის მეურნეობა, დიდრიცხოვანი ფერმებით, სადაც ადგილი აქვს დაბალმექანიზირებულ, ისევე პრიმიტიული იარაღების გამოყენებაზე დამყარებულ წარმოებას, რომელიც განაპირობებს შრომის დაბალნაყოფიერებას. განვითარებულ ქვეყნებში სოფლად არსებობს მაღალხარისხის ინფრასტრუქტურა, რაც განაპირობებს ზღვრის წაშლას ქალაქსა და სოფელს შორის. განვითარებადი ქვეყნებში კი მდგომარეობა სრულიად პირიქითაა. მოსახლეობის დიდი რაოდენობა ცხოვრობს ანტისანიტარიის, წყლის, ბუნებრივი აირის, გზისა და ა.შ. უქონლობის პირობებში. ჯერჯერობით დაბალია სოფლის განვითარების დონე ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშიც, მათ შორის, საქართველოშიც.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მოსაზრება იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო სახელმწიფოს დახმარება სოფლისადმი, ორად იყოფა. ნაწილს მიაჩნია, რომ სოფელი არ საჭიროებს სპეციალურ მიდგომას, რომ აქ არ იწარმოება სპეციფიკური პროდუქცია და, რომ ამ სფეროშიც წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი საბაზრო, ლიბერალური მეთოდებით.¹ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასოფლო პროდუქცია განსაკუთრებულია, რადგან ქვეყანამ შეიძლება გაუძღლოს ნებისმიერ სიძნელეს, მაგრამ არა შიმშილს და რომ დღევანდელ პირობებში სოფელი საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას, ვინაიდან იგი აღმოჩნდა კომპლექსური სიძნელეების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა თავად არ შეუძლია და საჭიროა მისი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან.

¹ ლ. ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თბ., 2004 გვ., 330.

აგრარული წარმოებისა და ცხოვრების დაბალი დონის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის სოფლისადმი დახმარების აუცილებლობას განაპირობებს:

1. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხანგრძლივი წინა პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა (საპირისპიროდ მრეწველობისა და სხვა დარგებისა). კოლექტივიზაციამ ვერ შექმნა პირობები აგრარული სექტორის განვითარებისათვის. კოლექტივი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული იყო კოლექტიურ საკუთრებად, ფაქტიურად, მაინც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და იმართებოდა იგივე მეთოდებით, როგორც ჩვეულებრივი საბჭოთა საწარმო. ამიტომ, შრომის ნაყოფიერება პირად საკუთრებაში მყოფ საკარმიდამო მონაკვეთებზე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე კოლმეურნეობებში, არა მექანიზაციისა და აგროტექნიკის უფრო მაღალი დონის (პირიქით მექანიზაციისა და აგროტექნიკის უფრო მაღალი დონე იყო კოლმეურნეობებში), არამედ უფრო ძლიერი სტიმულების არსებობის გამო. რასაკვირველია, გლეხებს პირად საკარმიდამო ნაკვეთებზე მექანიზაციის დონის ამაღლება, დაბალი შემოსავლების გამო, არ შეეძლოთ (კოლმეურნეობაში კი მათი შემოსავალი უმნიშვნელო იყო). ამდენად, მექანიზაციის დონე ძლიერ დაბალი რჩებოდა, ხოლო ეკონომიკური სტიმული კოლმეურნეობებში ნულის ტოლი იყო და აქ თითქმის იძულებითი შრომა გამოიყენებოდა. შედარებით კარგი მდგომარეობა იყო საბჭოთა მეურნეობებში (მექანიზაციისა და ანაზღაურების უფრო მაღალი დონე), თუმცა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალი სტიმულების ამოქმედება, საერთო საკუთრების არსებობის გამო, აქაც ვერ ხერხდებოდა. საბჭოთა წყობილების პირობებში ასევე ძლიერ განუვითარებელი იყო სოფლის ინფრასტრუქტურა (თუმცა სახელმწიფო ამ მიმართულებით არაერთ დონისძიებას ახორციელებდა). ქალაქსა და სოფელს შორის უფსკრული თანდათან დრამავდებოდა და სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება მკაცრი საპასპორტო რეჟიმის არსებობით ხერხდებოდა. თუმცა, მოსახლეობის დენადობას ადგილი მაინც ჰქონდა. მაშასადამე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს სოფლად მძიმე შემკვიდრეობა ერგოთ.
2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთი ხელის მოსმით განადგურების შედეგად, მოისპო ის პოტენციალიც, რომელიც არსებობდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მათი თანდათან გარდაქმნა ფერმებად შესაძლებელი იყო.
3. მიწების პრივატიზაციამ დადებით შედეგებთან ერთად გამოიწვია მათი დაქუცმაცება. მცირე მიწაზე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაშიც კი, სასაქონლო სასოფლო პროდუქციის წარმოება შეუძლებელია და ოჯახის შემოსავალი ვერ იქნება ტოლი ქალაქში ანალოგიური ოჯახის შემოსავლებისა. საბოლოოდ, დღეისათვის მივიღეთ ნახევრად ნატურალური (საქართველოში ფერმათა 90% ნატურალურია), დაბალმექანიზებული (ძირითადი იარაღი კვლავ თოხი, ბარი, ცელი და ნაჯახია) და ამიტომ დაბალნაყოფიერებისა და განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე სოფელი. ამდენად, მართალია, მიწების პრივატიზაციის შედეგად სტიმულები გაიზარდა, მაგრამ უაღრესად მძიმე საწყისი პირობების გამო სოფლად მცხოვრებს არ შეუძლია ყველა სიძნელეების გადალახვა და განვითარებული სასოფლო წარმოების ჩამოყალიბება. ამიტომ, სასოფლო ოჯახის წევრთა ნაწილი იძულებულია წავიდეს საზღვარგარეთ ან ქალაქში და ძირითადად არა მუდმივი სამუშაოთი არჩინოს ოჯახი.
4. საზღვარგარეთიდან შემოიტანება იაფი (ხშირ შემთხვევაში უხარისხო) სასოფლო პროდუქცია, რაც ანადგურებს ადგილობრივ ბაზრებს.
5. სოფლის მეურნეობის სფერო, კაპიტალის მოზიდვისადმი, მისი გარემო პირობებზე ძლიერი დამოკიდებულების გამო (წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა და ა. შ.), სარისკოა. ამიტომ, რომ ბანკები ძირითადად მშენებლობასა და ვაჭრობის სფეროს აფინანსებენ. ასევე, სოფლად სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობის გამო, ნაკლებადაა დაინტერესებული კერძო ბიზნესი.
6. დამატებით დანახარჯებს საჭიროებს ნიადაგის შენარჩუნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით გამოყენებისათვის, რაც კიდევ უფრო ართულებს ფერმერის (გლეხის) მდგომარეობას.
7. მსოფლიოში სავარგულების შემცირებისა და მარცვლეულის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება არა მარტო აძვირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, არამედ გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას. ასეთ პირობებში ეროვნული სასოფლო წარმოების განვითარება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია.

პოლიტიკოსთა და მეცნიერთა (მათ შორის, ქართველ მეცნიერთა)¹ უმრავლესობა მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის განვითარებისადმი დახმარების აუცილებლობას.

მართალია, სოფლისადმი მხარდაჭერა აუცილებელია, მაგრამ ამ სფეროს სახელმწიფო რეგულირების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მეთოდოლოგიური ხასიათის მოთხოვნები:

1. სოფლის პრობლემების გადაჭრა უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, მისი მხოლოდ ცალკეული ნაკლოვანების აღმოფხვრის ღონისძიებები შედეგს ვერ გამოიღებს. ასევე შეუძლებელი იქნება სოფლის პრობლემების მოგვარება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისაგან მოწყვეტით. დახმარება სოფლისადმი შედეგს მოიტანს მაშინ, როდესაც გატარებული იქნება სწორი პოლიტიკა მთელ ეკონომიკაში. რომ სოფლის მეურნეობის განვითარება დიდადაა დამოკიდებული საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის (განსაკუთრებით მრეწველობის) განვითარებაზე.
2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის ჩამოყალიბდეს სოფლის მეურნეობა მაღალეფექტური საქონლური ფერმებით, განვითარდეს სხვა სასოფლო დარგები და სოფლად ცხოვრების პირობები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ქალაქისას. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არათუ უნდა ასუსტებდნენ ფერმერის სტიმულებს, არამედ, პირიქით, აძლიერებდნენ მას. მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს იმაზე, რომ ფერმერი ზრდიდეს წარმოებას, ნერგავდეს ახალ ტექნოლოგიებს, რათა რაც შეიძლება მაღე გარდაიქმნეს თანამედროვე სასაქონლო ფერმად.
3. სახელმწიფოს მხარდაჭერა უნდა მოხდეს ისეთი პროექტების განხორციელებით, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება გათვლილი. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს: ისეთი ინსტიტუციური ცვლილებები, რომელიც წახალისებს მიწის ნაკვეთების ზრდას (კოოპერატივების შექმნის, მიწების გაყიდვის ან იჯარის სტიმულირების გზით); სოფლად ინფრასტრუქტურის (სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სავარგულებთან მისასვლელი გზები, საირიგაციო-სადრენაჟო და მდინარეთა ნაპირ-სამაგრი სისტემა, წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროენერჯით სტაბილური მომარაგება) გაუმჯობესება; დახმარება სასუქებით, პესტიციდებითა და ქიმიკატებით მომარაგებაში; სათესლე და სანერგე მეურნეობების, ჯიშთა გამოცდისა და განახლების სისტემების აღდგენა და განახლება; ჯანდაცვის, განათლების, კულტურის ღონის ამაღლება; ახალი ტექნოლოგიების (მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ბიოლოგია) დანერგვა, იაფფასიანი კრედიტების, საზღვარგარეთიდან დახმარებების მიღებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალო სუბსიდირების გზით; პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერა, ტექნიკური, ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკისა და ანტიდემინგური ღონისძიებების გატარების მეშვეობით, ექსპორტის წახალისებით, სადაზღვევო სისტემის შექმნით; სოფელ ადგილებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოთა (სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი, საკონსერვო და ტურისტული საწარმოები, სასაწყობო მეურნეობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, ფერმები, ყველის მინი-ქარხნები, ღვინის ქარხნები, სახერხები, მაღაზიები, ავტოსერვისი, მშენებლობა, საშენ მასალათა, ფკვილისა და პურ-ფუნთუშეულის, ძეხვის წარმოება და ა.შ.) შექმნის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო რეზერვების შექმნა; ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების შექმნა; ექსტენციის სისტემების შექმნა; დახმარება სოფლის უზრუნველყოფი ტექნიკის (ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო დანიშნულების მანქანების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ა. შ.) მწარმოებელ დარგთა ფორმირებასა და განვითარებაში; ფასის მნიშვნელოვნად შემცირება შხამ-ქიმიკატებზე,

¹ მაგალითად: კოლუაშვილი პ., ბენია შ. აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში. "ეკონომიკა", 2002, № 5; სასურსათო უსაფრთხოების პოტენციალის მართვა. "აგრარული ეკონომიკის მოამბე", 2010, ტ. IV; Ревишвили З. Вопросы определения модели аграрной политики и стратегии Грузии, Хадური Н. Роль сельского хозяйства Грузии в достижении макроэкономической стабильности, Когуашвили П. Еще раз о сельскохозяйственной политике Грузии (материалы семинара) Тб., 2011; ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმები და მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოს ალპურ მეცხოველეობაში. "ეკონომისტი", 2011, №4; კოლუაშვილი პ., კუნჭულია თ. გლეხს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია სჭირდება და არა პიარპოლიტიკა. "რეზონანსი", 23.05.2012 და სხვ. (http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=10587).

პესტიციდებსა და საწვავზე; შეღავათიანი სესხის პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ვეტერინარული და აგრონომიული სამსახურების შექმნა; სურსათის ხარისხის კონტროლის შემოღება; მეთევზეობის, მონადირეობისა და სატყეო მეურნეობის განვითარება და სხვა.¹

RAMAZ ABESADZE

*Director of Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor*

STATE REGULATION PROBLEMS OF RURAL ECONOMY IN GEORGIA

S u m m a r y

The development of economy, i.e. the transition of economy to qualitatively new state significantly depends on the development of agriculture. The existence of backward villages means that the whole economy is not adequately developed, that the quality of capital (physical as well as human), the level of technologies and technological knowledge are low, the forms of property and institutions are not satisfactory, resources (natural, labor, intellectual etc) are not used rationally, economic structure is nonprogressive, state regulation of economy is inefficient and so on. Thus the level of economic development is low.

The work has substantiated the specific character of production and the necessary aid to rural regions from government. Are proposed some state measures helping rural regions of a country with low developed economy.

მანანა ალფაიძე

*ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი,
ასოციირებული პროფესორი*

სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ეროვნულ ეკონომიკაში

ეროვნულ ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების პრობლემების კვლევა და ანალიზი წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს. მოყვანილი არგუმენტები აღიარებენ, გლობალიზაციის მძლავრი პროცესების პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, რაც განხილულია აგრარული ბაზრის მაგალითზე. აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბოლო ათწლეულის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ დღეს არსებული ობიექტური სინამდვილე, რათა დაერწმუნდეთ იმაში, შეძლებს თუ არა საქართველოს სოფლის მეურნეობა დამოუკიდებლად ადაპტირებას საბაზრო გარემოსადმი და ხელშესახები შედეგების მიღწევას, თუ მას აუცილებლად დასჭირდება ფინანსური, საკანონმდებლო და ორგანიზაციული იმპულსები, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაიღოს. მსოფლიოში სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციების ფონზე უაღრესად საინტერესოა საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული მდგომარეობის დახასიათება, რათა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნების, ფინანსური რესურსების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისას ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, გავაკეთოთ სწორი დასკვნები საქართველოში მისი განვითარების შესაძლებლობებზე.

განვიხილოთ წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის შედეგად, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი მიწის რეფორმა იყო, სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკუთრების ფორმის მიხედვით განაწილებაში.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ ძირითადად კერძო სექტორში გადაინაცვლა. სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილია მცირე რიცხვი საცდელი და სასწავლო მეურნეობებისა, აგრეთვე სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც დღეს თავის ფუნქციას ვერ ასრულებენ. მათი მიწები ამჟამად იჯარით არის გაცემული, საიდანაც სახელმწიფო მხოლოდ საიჯარო ქირას იღებს.

¹ უფრო სრული სახით აღნიშნულ თემატიკაზე სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულია წიგნში: „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, ტ. 5, თბ. „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2012.

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი და პირველ რიგში სახნავი, დაბალი ხარისხისაა და მათზე სერიოზული აგროტექნიკური ღონისძიებებია გასატარებელი ნაყოფიერების ასამაღლებლად.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ წლებში წარმოების მასტიმულირებელ ფაქტორად იქცა ბაზარზე არსებული მოთხოვნა, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების გაზრდა, თუმცა ეს პროცესები სტიქიურად განვითარდა, მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად. ამან განაპირობა საანალიზო წლებში მზესუმზირის წარმოების გაზრდა 2-ჯერ, მარცვლეულის – თითქმის 10,3 %-ით, კარტოფილის 20,3 %-ით. მარცვლისა და კარტოფილის წარმოების გადიდება ძირითადად ნათესი ფართობების გადიდების და ბოლო წლებში ქვემო ქართლში საადრეო კარტოფილის წარმოების რეაბილიტაციის შედეგია. ამავე დროს წარმოების უკიდურესი ექსტენსიფიკაციის გამო, ამ კულტურების პროდუქციის წარმოებას არავითარი მდგრადობა არ გააჩნია, გარდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა. მზესუმზირა ითესება ერთიადიმავე ნაკვეთებზე, რაც ექსტენსიური მიწათმოქმედების პირობებში ნიადაგების გამოფიტვას იწვევს. მდგრადობა კი შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ხარისხიანი თესლით, სასუქებით, მაღალმწარმოებლური ტექნიკით, მელიორაციული ღონისძიებების გატარებით და რაც მთავარია, წარმოებული პროდუქციის მომგებიან ფასებში გაყიდვით.

სტრუქტურული ცვლილებები მეცხოველეობაში ასევე ბაზრის ზემოქმედებით არის გამოწვეული. თუმცა აქაც დარგი მხოლოდ და მხოლოდ ექსტენსიური მეთოდების გამოყენებით ვითარდება, რაც ხშირად მიტოვებული ბად-გენახების, ციტრუსების პლანტაციებისა და სახნავების საძოვრებად გამოყენების ხარჯზე ხდება. სწორედ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვით შეიძლება აიხსნას პირუტყვის სულადობის ზრდა.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ მეფრინველეობაში მიმდინარე დადებითი ტენდენციების შესახებ, სადაც სხვა დარგებისგან განსხვავებით, რაოდენობრივი ზრდა ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით ხდება. მეფრინველეობას, მეცხოველეობის სხვა დარგების მსგავსად, ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი აქვს შესავსები და მის შემდგომ განვითარებას შეიძლება ხელი შეუშალოს მხოლოდ უცხოეთიდან სუბსიდირებული და უხარისხო ქათმის ხორცის და კვერცხის დიდი რაოდენობით შემოტანამ, რაშიც კანონიერი შემაფერხებელი ბარიერი სახელმწიფო სტრუქტურებმა, პროდუქციის უვნებლობის განმსაზღვრელმა უწყებებმა უნდა შექმნან.

ბოლო წლებში მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოებაში განვითარებული ტენდენციების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მევენახეობისა და მეხილეობის აღდგენაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს ბუნებრივი პირობები, ქვეყანაში იმ მიკროზონების არსებობა, სადაც შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება, თუმცა ამ მიმართულებით სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

ჩვენი აზრით, მრავალწლიანი კულტურის (მეჩაიეობა-მეციტრუსეობა) მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მიდგომა აუცილებელია, რადგან მათი გავრცელების არეალი მკაცრად ლოკალიზებულია, ხოლო საწარმოო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ამიტომ ასეთ რეგიონებში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება მეწარმეებისათვის დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის გადამუშავების მაღალი მაჩვენებლები იმაზე მიუთითებენ, რომ წარმოებული პროდუქციის ორგანიზებულად გამოყენებლობამ სტიმული მისცა მის ოჯახურ მეურნეობებში გადამუშავებას.

შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის გადამუშავების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები პირველ რიგში ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილების და შემდეგ, ჭარბი პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციის მიზნებს ემსახურება

საქართველოს შინამეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მისი პირველადი გადამუშავების მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შინამეურნეობებში პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები გაცილებით მაღალი იქნებოდა, რომ ორგანიზებული იყოს პროდუქციის შესყიდვა, თანაც მომგებიან ფასებში. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მაღალი რომ იყოს, პროდუქციის შინაწარმოება და მისი

გადამუშავება მაინც გაიზრდებოდა, რადგან საქართველოს მომხმარებელს ტრადიციული ნდობა გააჩნია და იყენებს შინამეურნეობაში წარმოებულ პროდუქტს.

შინამეურნეობებში პროდუქციის გადამამუშავების ზრდის ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენცია გვიჩვენებს, რომ აუცილებელია მცირე წარმადობის მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კოოპერირებული გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობა, რაც ქვეყნის აგროსასურსათო პოლიტიკით უნდა იქნას გათვალისწინებული

განვითარებული ქვეყნების მთავრობების მიერ მრავალმხრივი ფორმები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლების, სოფლის ტერიტორიების განვითარების, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მიზნით. ყველა მათგანს საფუძვლად უდევს მოთხოვნა – მიწოდების თეორია.

სახელმწიფო მხარდაჭერის როლისა და პოლიტიკის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოკლედ შეგვხვებით საბაზრო ურთიერთობების პირობებში აგროსასურსათო სექტორში სახელმწიფოს ჩარევის სხვადასხვა მეთოდებს:

საწარმოო კვოტები. საწარმოო კვოტების გამოყენების შემთხვევაში თითოეულ ფერმერს ეძლევა მოცემული სახის პროდუქციის წარმოების ლიმიტი. ამ შემთხვევაში განსაზღვრულია სავაჭრო აგენტი, რომელსაც ფერმერმა კვოტირებული პროდუქცია უნდა მიყიდოს

გარკვეულ კომპრომისს კვოტირების მიზანსა და ფერმერული წარმოების ეფექტიანობას შორის წარმოადგენს პირობა, როცა სახელმწიფო აწესებს საბაზისო კვოტას, რომლის ფარგლებში გაყიდულ პროდუქციაზე ფერმერები იღებენ მაღალ ანაზღაურებას, ხოლო მის ზემოთ გაყიდვაზე – მცირეს. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო მკაცრად ითხოვს, რომ პროდუქციის მიყიდვა ხდებოდეს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ აგენტებზე.

კვოტირების პროგრამის რეალიზაცია საკმაოდ ძვირია, რადგან რაც უფრო ფართოა პროგრამა, მით უფრო მეტია დანახარჯები, მათ შორის პროგრამის ადმინისტრირებაზეც.

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების შეზღუდვა. სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყვანა ბრუნვიდან ამცირებს წარმოების მოცულობას. ფერმერები მიწების კონსერვაციისათვის იღებენ საკომპენსაციო თანხას. შედეგად მატულობს მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე და იზრდება ფასები. ეს თავის მხრივ ასტიმულირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვები. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფასების გარკვეული დონე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს მის მიერ შერჩეულ ორგანიზაციას, რომელიც ბაზარზე ყიდულობს მოცემული სახის პროდუქციის ნაწილს, ანუ ახორციელებს შესყიდვის ინტერვენციას. ზოგჯერ ასეთ შესყიდვებს ახდენს არა სახელმწიფო ორგანიზაცია, არამედ მეწარმეთა გაერთიანებები. ამ შემთხვევაში მას უნდა გააჩნდეს პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება.

მაგალითად ხორბლის ინტერვენციული მარაგების გაყიდვა მეცხოველეობის საკვებად, მისი ადამიანისათვის გამოსაყენებლად გაუვარგისების შემდეგ, კვერცხის გაყიდვა მისი ფხვნილად გადამამუშავების გზით და სხვა.

საკმაოდ გავრცელებულ ფორმად ითვლება ინტერვენციული მარაგების სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე ან ჩუქება ან მიყიდვა. აშშ-ში მოქმედებს პროგრამა “სურსათი მშვიდობისათვის”, რომლითაც საქართველოს რამდენჯერმე გამოეყო ხორბალი, მათ შორის 2003 წელს 50 ათასი ტონის ოდენობით. ამასთან, ინტერვენციული მარაგები შეიძლება შენახული იქნეს მანამ, სანამ მოცემულ პროდუქციაზე ადგილობრივ ან მსოფლიო ბაზარზე ფასები არ აიწევს. პროდუქციის ასეთ გაყიდვას სარეალიზაციო ინტერვენციასაც უწოდებენ. ხანგრძლივად ასეთი პოლიტიკის გატარება შეუძლებელია.

მეწარმეთა ფასების პირდაპირი სუბსიდირება. ფასების პირდაპირი სუბსიდირების დროს სახელმწიფო მოცემულ პროდუქციაზე აწესებს მინიმალურ გარანტირებულ ფასს, რომლის ანაზღაურების გარანტიას აძლევს ფერმერებს. მისი გადახდა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ფერმერი ვერ ახერხებს მინიმალურ ფასში პროდუქციის გაყიდვას. როგორც წესი ფასის პირდაპირი სუბსიდირება მიბმულია ფერმერთა შემოსავლების მხარდაჭერის სხვა პროგრამების განხორციელებასთან, ვთქვათ, მიწების ბრუნვიდან ამოდების პროგრამასთან და ა.შ.

საგარეო ვაჭრობის რეგულირების ღონისძიებები. ამ შემთხვევაში გამოყენებულია ძირითადად საიმპორტო ტარიფები, რომელიც წარმოადგენს გადასახადს ქვეყნის შიგნით გაყიდულ ერთეულ პროდუქციაზე. მოცემული სახის პროდუქციაზე ფასების ზრდისას, ქვეყანაში იყენებენ

ცვალებად საიმპორტო ტარიფებს, ანუ ახდენენ ერთეულ პროდუქციაზე დაწესებული გადასახადის ცვლილებას. ამავე მიზნით გამოიყენება საქსპორტო სუბსიდიები, როცა სახელმწიფო მეწარმეს უხდის გარკვეულ თანხას ქვეყნის გარეთ გატანილი ერთეულ პროდუქციაზე.

სოფლის მეურნეობაში დანახარჯების შემცირების ღონისძიებები. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ახდენს აგრარული სფეროსათვის საჭირო რესურსების წარმოების სუბსიდირებას, რაც თავის მხრივ იწვევს სოფლის მეურნეობაში დანახარჯების შემცირებას, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. უფრო კონკრეტულად, რესურსების გაიაფების გზით სოფლის მეურნეობაში ხარჯების შემცირების პოლიტიკა იწვევს: მეწარმეთა მოგების ამაღლებას, მოთხოვნილების ზრდას გაიაფებულ პროდუქციაზე, პროდუქციის მიწოდების და სხვა რესურსებზე მოთხოვნილების ზრდას.

სტრუქტურული პოლიტიკა. სტრუქტურული პოლიტიკის მიზანია ფერმერების რიცხვის შემცირება და ფერმერული მეურნეობების საშუალო ზომების გაზრდა. იგი მიიღწევა პროგრამებით, რომლებიც ხელს უწყობენ საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლების ღონისძიებები. ამ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანია სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებები: გზების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა და სხვა, აგრეთვე, სოფლად ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა.

სამომხმარებლო სუბსიდიები. იგი ძირითადად გამოიყენება დაბალშემოსავლიანი ოჯახების ან საზოგადოების გარკვეული ფენებისათვის დახმარების გასაწევად, ძირითადად ბუფერული მარაგებიდან, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვების შედეგად იქმნება.

მიუხედავად იმისა, რომ ემო-ს მიერ დეკლარირებულია სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო დახმარებების შემცირების პოლიტიკა და ამასვე აღიარებენ ევროპის განვითარებული ქვეყნები და აშშ, დღეის მდგომარეობით დახმარებების წილი ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიან ღირებულებაში საკმაოდ მაღალია. კერძოდ: ევროკავშირის ქვეყნებში – 48%, თურქეთში – 37%, შვეიცარიაში – 52%, შვეიცარიაში – 77%, ნორვეგიაში – 76%, ფინეთში – 67%, ავსტრიაში – 56%, კანადაში – 32%, აშშ-ში – 23%, ავსტრალიაში – 9%, ახალ ზელანდიაში – 3%.

სახელმწიფო დახმარებების მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც სოფლის მეურნეობისადმი იხენენ განვითარებული ქვეყნები და ისიც, რომ ასეთი პოლიტიკა სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებებითაა განპირობებული.

ჩვენთვის სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო დახმარებების ანალიზი იმითაცაა საინტერესო, რომ საქართველო არის ემო-ს წევრი ქვეყანა და გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებები კრძალავს დახმარების ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორცაა პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირება, აგრეთვე სხვა სახის დახმარებების გაწევა. მიღწეული შეთანხმებით დახმარებები, რომლებიც შეიძლება ბიუჯეტიდან გაეწიოს სოფლის მეურნეობას მისი პროდუქციის ღირებულების 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გაწევის საკითხი იმითაცაა ყურადსაღები, რომ საქართველოს ბიუჯეტს იმ შეზღუდვების პირობებშიც კი, რაც ემო-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშია აღნიშნული სოფლის მეურნეობისადმი დახმარების შესაძლებლობა არ გააჩნია. აქ ხაზი გვინდა გაგუსვათ ერთ გარემოებას, როცა ქართველი აგრარიკოსები აყენებენ სექტორალური საგადასახადო შეღავათების დაწესების საკითხს, ყოველთვის საეთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), მსოფლიო ბანკი (მბ), ევროკომისია და სხვები გვეწინააღმდეგებიან და გვირჩევენ, რომ შეღავათები კი არ დაგაწესოთ, არამედ ამა თუ იმ დარგს გაუწიოთ დახმარება ბიუჯეტიდან. ერთის მხრივ საკითხისადმი ასეთი მიდგომა მისაღებია, ბიუჯეტს რომ ამის საშუალება ჰქონდეს. მეორეს მხრივ, საქართველო ეწევა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას, რომლის დროსაც ქართულ პროდუქციას არც საკუთარ და არც უცხო ბაზარზე მაღალი დონით სუბსიდირებულ პროდუქციასთან კონკურენციის არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნია.

ამდენად, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მიზანმიმართული აგროსასურსათო პოლიტიკის გატარებაა საჭირო, რადგან რეალური სახელმწიფო პოლიტიკა შესაბამისი კანონების, ან შეღავათების გარეშე, არ არსებობს.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა უნდა გაკეთდეს იმ რთულ სიტუაციაში, რომელშიც საქართველოს აგროსასურსათო სექტორი იმყოფება, თანაც იმ საერთაშორისო ვალდებულებების (ემო-ში გაწევრიანებისას) გათვალისწინებით, რომელზეც მას ხელი აქვს მოწერილი.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს აგრარული პოლიტიკის ფორმირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ადგილობრივ ბაზარზეც კი, სამამულო წარმოების პროდუქტით სავაჭრო ნიშის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ უცხოურ ანალოგებთან შედარებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით, რომელიც ფასთან ერთად, პროდუქციის უვნებლობაში უნდა გამოიხატოს. რაც შეეხება საქსპორტო პროდუქციის წარმოებას, რომლის დიდი შესაძლებლობა და ტრადიცია გაგვანია, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მაღალი სამომხმარებლო უნარის მქონე ქვეყნების ბაზრები გაჯერებულია ანალოგიური პროდუქციით. ამას ეუსვამთ ხაზს იმიტომ, რომ ბევრი დღესაც თვლის, თითქოს ქართულ აგრარულ პროდუქციას მრავალი განვითარებული ქვეყნის ბაზარზე ელოდებიან.

საქართველოს აგროსასურსათო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის ჩვენის აზრით, აუცილებელია:

სახელმწიფოს პოლიტიკური ნება ხელი შეუწყოს ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორის განვითარებას. სექტორისადმი დამოკიდებულების გამოხატვისას გათვალისწინოს იმ მექანიზმების გამოყენების აუცილებლობა, რომლითაც თავის დროზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაძლეული იქნა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და კრიზისი.

მთავარი, რაც მოცემულ ეტაპზე სახელმწიფომ უნდა გააკეთოს და რის ჩანაცვლებასაც კერძო სტრუქტურები ვერ შეძლებენ – არის აგროსასურსათო სექტორისათვის სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ამ საქმის ინიციატორი უნდა იყოს სახელმწიფო, რის შემდგომც საკრედიტო რესურსების ფორმირებაში მონაწილეობას მიიღებენ იურიდიული და ფიზიკური პირები. თავდაპირველად ეს იქნება მოკლევადიანი საკრედიტო სისტემა, რომელიც სესხებს გასცემს მომავალი მოსავლის ქვეშ, ჯგუფური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. საკრედიტო ინსტიტუტის კაპიტალის გაზრდა შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, ხოლო მოგვიანებით, საშუალო და გარემოებადანი კრედიტების გაცემისას, მსესხებლების მიერ საკრედიტო ინსტიტუტის პაის გარკვეული ნაწილის შესყიდვით. სახელმწიფოს მიერ საწვდებო კაპიტალის შესაკრებად თანხა გაღებული უნდა იქნას გარკვეული წლების შემდეგ მისი დაბრუნების პირობით.

შემდეგი ღონისძიება უნდა იყოს გლეხების (ფერმერების) მიერ წარმოებული პროდუქციის შესყიდვა და მისი ბაზრისათვის მიწოდება. აღნიშნული სისტემის ფორმირებაშიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა თანხის გამოყოფით პროდუქციის შესასყიდ და შემსყიდველი სააგენტოების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხა უნდა იყოს დაბრუნებადი. როგორც გაანგარიშება გვინებებს პროდუქციის შესყიდვის რეგულირებაში სახელმწიფოსაგან აღებული სესხი შეიძლება დაბრუნებული იქნას 6 თვეში.

შესყიდვის სისტემის შექმნა უნდა დაიწყოს რამდენიმე სახის პროდუქციის, ვთქვათ ხორცის, რძის (ყველის) შესყიდვით. შემდგომში გამოცდილების დაგროვებისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნის კვალობაზე, მოხდება მისი თანდათანობით გაფართოება.

დღევანდელ სიტუაციაში მნიშვნელოვანია მრავალი პროდუქციის შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა რაიონულ და ქვეყნის დონეზე. ასეთი პროგრამის შემუშავება და მისი ამუშავება ძვირადღირებული არ იქნება, მით უფრო, თუ მას დავიწყებთ რამდენიმე რაიონის მაგალითზე. პროგრამის თანახმად გვეცოდინება მოცემული რაიონის მოცემულ სოფელში ვის რამდენი პროდუქცია აქვს გასაყიდი, როგორია მისი ხარისხი, გასაყიდი ფასი, ტრანსპორტირების პირობები და ა.შ.

სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის სამსახურების ორგანიზაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. ამ სამსახურებმა პრაქტიკულად უნდა შეასრულონ ადგილობრივი ბაზრის დაცვის ფუნქცია, რამდენადაც სხვა ბარიერების დაწესების რეალური ბერკეტები ქვეყანას არ გააჩნია.

შემდეგი საკითხი, რომელიც სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს არის სტანდარტების ანუ რეგლამენტების შემუშავება, რომელიც ჰარმონიზებული უნდა იყოს ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ რეგლამენტებთან. ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული მევენახეობაში გეოგრაფიული ადგილ წარმოშობის დამადასტურებელი რეგლამენტების შემუშავება. ანალოგიური საქმიანობა უნდა შესრულდეს სხვა დარგებშიც, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს.

ერთ-ერთი გზა, რომლითაც ჩვენ შევძლებთ თამამად შევიდეთ ევროგაერთიანებისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე ეს არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ამისათვის გადასაწყვეტია:

საქართველოში ბიომეურნეობის შესახებ კანონის მიღება;

სხვადასხვა სახის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სტანდარტების შემუშავება, რომელიც ჰარმონიზებული იქნება ევროგაერთიანების ქვეყნებში მოქმედ ანალოგებთან.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ზონების და ქვეზონების გამოყოფა პროდუქციის სახეების მიხედვით;

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების რეგულირებისა და კონტროლის სპეციალიზებული სისტემის შექმნა;

საქართველოში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის რეკლამირება საქართველოსა და განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში.

მიკროზონებში წარმოებული განსაკუთრებული გემოვნებითი თვისებების მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქტების კატალოგის შედგენა და საექსპორტოდ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (დვინო, ხილი, კენკრა, კონსერვი, მინერალური და მტკნარი წყლები, სამკურნალო მცენარეები, მცენარეთა ენდემური სახეები და პირუტყვის აბორიგენული ჯიშები და სხვა);

ე.წ. ორგანიზებული ტურიზმისაგან განსხვავებით, რომელიც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, აგრო და ოჯახური ტურიზმის განვითარება, ამ დანიშნულებით სპეციალურად შემუშავებული პროგრამის საფუძველზე;

სახელმწიფო დახმარებების მიმართულების რადიკალურად შეცვლა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით (მეჩაიობაში და ა.შ.), რაც იმავდროულად სტრუქტურულ ცვლილებებსაც გამოიწვევს;

აგროსასურსათო სფეროში საინვენსტიციო გარემოს გაუმჯობესება, მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებული ინვენსტიციების ყოველგვარი გადასახადისაგან გათავისუფლების გზით. ასევე გადასახადისაგან უნდა გათავისუფლდეს მოგების რეინვესტირებული ნაწილი. სოფლის მეურნეობის საწარმოებს მოეხსნათ დღგ-ს ზედა ზღვარი, გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები დაიბეგრონ წლიური ბრუნვის 2-3 %-ის ოდენობით;

აგროსასურსათო პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ხელშემწყობი პირობების შექმნა გლეხთა (ფემერთა) კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებისათვის, სპეციალური კანონის შემუშავებისა და კანონით გადასახადებისაგან მათი გათავისუფლების გზით;

საფუძველი უნდა ჩაეყაროს გლეხთა (ფერმერთა) სწავლება – კონსულტირების დანერგვის სისტემას (ექსტენცია) და იგი, სხვა ქვეყნების მსგავსად, სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გაკეთდეს.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს აგროსასურსათო პოლიტიკის პირველი მონაკვეთი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებით უნდა შემოიფარგლოს. იგი უნდა დამტკიცდეს როგორც კანონი და მისი მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს 4-5 წლით. პოლიტიკის განხორციელებაში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ. ამისათვის საჭირო იქნება, მთელ პერიოდზე გაანგარიშებით, 10-15 მლნ ლარი. ეს არ არის დიდი თანხა იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე პროგრამა (სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, ფერმერთა დაკრედიტების, აგრო და ოჯახური ტურიზმი და სხვა) მეორე და მესამე წლიდან თვითდაფინანსების პრინციპით იმუშავებს.

პარალელურად უნდა განხორციელდეს აგროსასურსათო პოლიტიკის მკაცრი მონიტორინგი, დაშვებული შეცდომების, ან თავიდანვე მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების დროულად გამოსწორებისა და შემდგომი პერიოდის აგრარული პოლიტიკის საფუძვლების მომზადებისათვის.

MANANA ALPAIDZE

Ilia Chavchavadze Georgian National University, Associate Professor

STATE POLICY TO SUPPORT THE NATIONAL ECONOMY

S u m m a r y

Economic reforms implemented in agriculture, including land reform objective or subjective reasons can not be expected to yield the desired results. Thus, the reform process is still going on intensively. Expectation that the market will regulate the production, sales, market infrastructure formation process - did not materialize. Agriculture -

Agricultural production, mainly due to manual labor and low pricing is damage, which lasts abandonment of land from the village to the migration of the economically active population, the demographics of deterioration processes. Ministry of Agriculture and the agricultural sector in developed countries, studying of the mechanisms of influence Indicates the need ful for state regulation of the sector due to the economic independence. The issue relates to the development of agriculture state intervention is necessary to recognize, the real opportunities for the development of specific directions and forms for a specific term rural development policy and the law form.

Based on the above special emphasis on the study of such issues as:

Factors affecting the development of agriculture, their role in overcoming the crisis and the formation of;

State intervention in the agricultural sector causes;

Contemporary forms of state regulation of agriculture in developed countries and their implementation mechanisms;

The agriculture developments in the light of the main aspects of agricultural policy;

Agriculture funding to improve the state of agriculture in order to increase the efficiency of impact.

It should be noted that the transition of many labor devoted to agricultural issues, which are discussed in the theoretical and practical importance of the agricultural economy However, the impact of problems in the agricultural market is poorly researched, making the transition to a market economy, together with other factors is prompted by liberal course. The past years and the experience has shown that a different approach is necessary for agricultural development, it is of the most importance for the development of the agricultural economy.

აკაკი არსენაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*


მაგდა მჭითური

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტი*

**სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის
ბანსაზღვრის ერთი მეთოდის შესახებ**

1. არსებული მდგომარეობის დახასიათება

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა 2012 წელს [1], იმის შესახებ, თუ რა როლი მიუძღოდა სოფლის მეურნეობას სიღარიბის დაძლევაში და აღმოჩნდა, რომ თუ ქვეყანას სურს შეამციროს სიღარიბე მან პირველ რიგში ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამისათვის კი, საჭიროა ინვესტიციები ჩაიდოს სოფლის მეურნეობის კვლევასა და განვითარებაში. ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგად მათ მიიღეს შემდეგი დიაგრამა, რომელიც აჩვენებს ეკონომიკის რომელი სექტორის განვითარებამ უფრო შეუწყო ხელი სიღარიბის პრობლემის დაძლევას მსოფლიო მასშტაბით.



წყარო: OECD calculations based on data from Povcalnet, 2009 and WDI, 2009.

საქართველოც ღარიბი ქვეყანაა. ბოლო 25 წლის საქართველოს ეკონომიკა შემდეგი ბოლო 25 წლის საქართველოს ეკონომიკა შემდეგი სიტყვებით შეგვიძლია დავახასიათოთ: “ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკა”. ამის მიზეზია ის, რომ ქვეყანა იმაზე გაცილებით მეტს მოიხმარს ვიდრე აწარმოებს. თავის მხრივ, მოხმარებული საქონლის დიდი ნაწილი იმპორტირებულია. წლების

მაძილზე იმპორტირებულ პროდუქციაში კი 30-40% უჭირავს [2] სასოფლო სამეურნეო პროდუქციას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ყოველთვის ითვლებოდა ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად, მაგრამ მისი მხარდამჭერი აქტიური ღონისძიებები 1990 წლიდან 2010 წლამდე არ განხორციელებულა. ამ პერიოდში მთავრობამ აღმოაჩინა, რომ ეს სექტორი თავად ვერ არეგულირებს საკუთარ თავს და საჭიროა მისი ხელშეწყობა. სწორედ ამისათვის, მთავრობამ შემოიტანა ჰიბრიდული სიმინდი. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ინვესტიცია არ იყო მომგებიანი და სოფლის მეურნეობა პირიქით აზარალდა. ასევე დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის განვითარებას იმან, რომ სოფლის მეურნეობის განუვითარებელი ინფრასტრუქტურის პირობებში მთავრობა ხელს უწყობდა ტურიზმის განვითარებას. ეს ცოტა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მას შემდეგი ახსნა აქვს: როდესაც ქვეყნის ეკონომიკა მოხმარებაზეა ორიენტირებული და მისი მოხმარების უდიდესი ნაწილი იმპორტირებულია, ტურისტის შემოსვლის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე დამატებითი მოთხოვნა სტიმულს კი არ აძლევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებას, არამედ ზრდის იმპორტზე მოთხოვნას. იმპორტზე მოთხოვნის ზრდა ნიშნავს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას, რასაც წესით ჩვენი ვალუტის გაუფასურება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ექსპორტზე მოთხოვნის ზრდა უნდა გამოეწვიოს. მაგრამ აქ იყო ერთი ნიუანსი: მოთხოვნის ზრდა იყო გამოწვეული ტურისტების შემოდინების შედეგად, რომლებსაც თან შემოჰქონდათ უცხოური ვალუტა, რომელსაც ცელიდნენ ლარზე, ანუ უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსებული იყო და ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა კი არ იზრდებოდა, პირიქით მცირდებოდა. 2013 წლის გაზაფხულზე დაიწესა სასოფლო-სამეურნეო ვაუნერების დარიგება იმ იმედით, რომ მას ხელი უნდა შეეწყო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. მაგრამ, როგორც ვიცით ინვესტირების პროცესში წარმოშობილი არაეფექტური შედეგების და ხარჯების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია განსახორციელებელი აქტივობების ეკონომიკური ეფექტიანობის წინასწარი შეფასება, რაც თავის დროზე ვერ ჩატარდებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არსებობდა და ახლაც არ არსებობს სტატისტიკური მონაცემების სრულყოფილი ბაზა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენი თვალსაზრისით ამ ნაკლოვანების გამოსწორება შეიძლებოდა ვაუნერების დარიგების პროცესში. აქედან ჩანს, რომ ეს ინიციატივა იყო ნაჩქარევი და ყოველგვარი მეცნიერულ-ექსპერტული გათვლების გარეშე განხორციელებული. უპირველეს ყოვლისა ამან ხელი შეუწყო ვაუნერების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბებას, სადაც 100 ლარიანი ვაუნერი 60-70 ლარად გაიყიდა, ხოლო ზოგიერთი გლეხი საერთოდ ვაუნერის გარეშე დარჩა. ამასთან ვაუნერი არ მოიცავს მთის სოფლებს და არ სცდება მემცენარეობის სფეროს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ვაუნერი არ იყო გათვლილი და განაწილებული ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობისა და გლეხების მიერ სასოფლო-სამეურნეო საშუალებების საჭიროების შესაბამისად. სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანია ერთი ფაქტის გახსენება: როდესაც საუბარი დაიწყო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით და საქართველოში დაიწყო კვლევების ჩატარება თუ რომელ სფეროში ჰქონდა მას შეფარდებითი უპირატესობა ევროპის ქვეყნებთან შედარებით, რათა დაედგინათ იქნებოდა თუ არა ეკონომიკურად მიზანშეწინილი ამ ხელშეკრულების გაფორმება. მთელ რიგ სფეროებს შორის შეფარდებითი უპირატესობა აღმოგვაჩნდა სოფლის მეურნეობაშიც. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ისიც, რომ იგი ერთ-ერთია იმ დარგებს შორის, რომელზეც კრიზისები არ ახდენენ დიდ გავლენას, რადგან იგი აწარმოებს არსებით პროდუქციას ადამიანის არსებობისათვის და მასზე მოთხოვნა მუდმივად არის. სწორედ ამიტომ, საჭიროა მას ხელი შეეწყო არა გაუაზრებელი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გზით, არამედ პროფესიონალების მიერ დასახული გეგმების მიხედვით.

2. ინვესტიციების განხორციელების ეფექტიანობის ინდიკატორები

ჩვენ, როგორც ეკონომისტები, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შემოგთავაზებთ გზას, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. უფრო კონკრეტულად კი განვიხილავთ, როგორ შევავასოთ ინვესტიციების განხორციელების ეფექტიანობა ზოგადად, სოფლის მეურნეობასა და მის ცალკეულ დარგებში და როგორ ავირჩიოთ პრიორიტეტული დარგები.

სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიციის ეფექტიანობის შესაფასებლად, პირველ რიგში, ყველაზე მოსახერხებელია განვსაზღვროთ როგორ ზემოქმედებენ გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე ისეთი არსებითი ფაქტორები როგორიცაა გამოყენებული კაპიტალის მოცულობა,

ინვესტიცია და სამუშაო ძალა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის დამოკიდებულება მასში ჩადებულ კაპიტალსა და შრომაზე აღვწეროთ კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციის საშუალებით [3], რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Y_i = A_i K_i^{\alpha} L_i^{\beta} u_i \quad (1)$$

სადაც, Y_i არის i -ური დარგის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა, K_i - i - ურ დარგში გამოყენებული კაპიტალის მოცულობა, L_i - i - ურ დარგში გამოყენებული სამუშაო ძალა, A დადებითი პარამეტრია, α - გამოშვების ელასტიკურობაა კაპიტალის მიმართ, β - გამოშვების ელასტიკურობაა სამუშაო ძალის მიმართ ($0 < \alpha < 1$, $0 < \beta < 1$), u_i არის შემთხვევითი წევრი, რომელიც i -ურ დარგში გაუთვალისწინებელი ფაქტორებითაა გამოწვეული, ხოლო i არის სოფლის მეურნეობის რომელიმე ცალკეული სექტორის სახეობა ($i = 1, 2, \dots, n$) (მევენახეობა, მესიმიწილეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და ა.შ.). შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობის შემთხვევაში, ეკონომეტრიკული მეთოდების დახმარებით, შესაძლებელია მოცემული თეორიული მოდელის შეფასება ანუ შემდეგი განტოლების აგება:

$$\hat{Y}_i = \hat{A}_i K_i^{\alpha} L_i^{\beta} \quad (2)$$

ეს კი საშუალებას მოგვცემდა მოგვეხდინა პროგნოზირება და გამოგვეთვალა სექტორში ჩასადები ინვესტიციების მოსალოდნელი ეფექტიანობა ქვემოთ განხილული მეთოდოლოგიის საშუალებით. განგვესაზღვრა რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ განხორციელებული ინვესტიცია და ღირს თუ არა ამ სექტორში ინვესტირების გაგრძელება.

ზოგადად, ინვესტირების მიზანი არის წარმოების ზრდა, წარმოების ზრდის შედეგად მასშტაბიდან ეკონომიის მიღება და ამის ხარჯზე მოგების მაქსიმიზაცია. იმისათვის, რომ განგვაზღვროთ ინვესტიციების რაციონალური ლოკაცია (რა ტერიტორიაზე ან სოფლის მეურნეობის რომელ სექტორში უფრო მომგებიანი იქნება ინვესტიციის განხორციელება), უნდა დავითვალოდ ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად ტექნიკური დამუშავებისა მიწა ყოველწლიურად მოითხოვს განაყოფიერებას. აქედან გამომდინარე ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის საჭიროა გამოვითვალოთ წარმოებული პროდუქციის ნაზრდი, რომელიც არის სხვაობა შემოსავლისა მოცემული მიწის ნაკვეთიდან მის განაყოფიერებამდე და განაყოფიერების შემდეგ. როდესაც გვაქვს სხვადასხვა ალტერნატივები ვირჩევთ იმას, რომლის ეკონომიკური ეფექტიანობაც ყველაზე დიდია. ეფექტიანობის გამოთვლა ორი შემთხვევისათვის და მათ გამოსათვლელ ფორმულებს შემდეგი სახე აქვთ:

ა) როდესაც წმინდა მოგება ყოველწლიურად ერთიდაიგივეა ანუ მუდმივი სიდიდეა

$$\Delta E_i = Y_i^* \cdot T_i \cdot S_i - Y_i \cdot (T_i + \Delta T_i) \cdot S_i \quad (3)$$

ან ბ) როდესაც წმინდა მოგება ყოველწლიურად იზრდება

$$\Delta E_i = Y_i^* \cdot T_i \cdot S_i - Y_i \cdot \frac{(1+r_i)^{T_i+\Delta T_i} - 1}{r_i} \cdot S_i \quad (4)$$

სადაც: ΔE_i - სოფლის მეურნეობის i -ური სექტორის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელია; Y_i^* და Y_i i -ური სექტორიდან მიღებული წმინდა შემოსავალია მიწის განაყოფიერების შემდეგ და განაყოფიერებამდე; T_i არის მიწის ეფექტური გამოყენების ხანგრძლივობა i -ურ სექტორში; ΔT_i - დრო, რომელიც დაიხარჯა რაიმე პლანტაციის გაშენებაზე i -ურ სექტორში; r_i - i -ურ სექტორში წმინდა შემოსავლის წლიური ზრდის სიჩქარე, რომელიც გამოწვეულია პროდუქციის რაოდენობის გაზრდით; S_i - i -ური სექტორის მიერ ათვისებული მიწის ნაკვეთის ფართობი. **ზოგადი ეკონომიკური ეფექტიანობის ინდიკატორი** [4,5] შემდეგნაირად გაიანგარიშება:

$$\Delta E_i = \frac{I_i}{\Delta Y_i}, \quad (5)$$

სადაც ΔE_i არის ინვესტიციით გამოწვეული i -ური სექტორის რეალური ეკონომიკური ეფექტიანობა; I_i - i -ურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა; ΔY_i - i -ურ სექტორში შექმნილი დამატებითი პროდუქციის მოცულობაა ღირებულებით ერთეულებში. i -ურ სექტორში ინვესტირების შედეგად მიღებული დამატებითი პროდუქციის მოცულობა გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta Y_i = Y_i^* - Y_i = \hat{A}_i (K_i + I_i)^{a_i} (L_i^*)^{b_i} - \hat{A}_i K_i^{a_i} L_i^{b_i} \quad (6)$$

როდესაც განვიხილავთ ამა თუ იმ დარგში ინვესტირების საკითხს, საჭიროა არ მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის, არამედ წლიური ზარალის გათვლაც. იმისათვის, რომ დავითვალოთ წლიური ზარალი, ამისთვის საჭიროა დავითვალოთ ყოველწლიური საშუალო ზარალი გამოშვებული პროდუქციის ერთ ერთეულზე (ამ დროს დაკვირვების წტილებად აიღება დროის პერიოდიდან ის წერტილებიც, როდესაც ზარალი შეიძლება არ ყოფილიყო):

$$P_{aver.i} = \sum_{i=1}^n \frac{P_{it}}{Y_{it}} \quad (7)$$

სადაც: $P_{aver.i}$ - საშუალო წლიური ზარალი ერთ ერთეულ პროდუქციაზე დარგების მიხედვით; P_{it} ($t=1,2,\dots,l$) - i -ური დარგის მიერ განცდილი ზარალი t წელს; Y_{it} - i -ურ დარგში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა t წელს. (7) ფორმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავითვალოთ i -ური დარგის მისალოდნელი ზარალი, რომელსაც მოგვცემს ჩაღებული ინვესტიცია:

$$P_i = \Delta Y_i \cdot P_{aver.i}$$

ბუნებრივია, სხვადასხვა ალტერნატივებიდან აირჩევა ის, რომლის ზარალიც ნაკლებია. ასევე, მხედველობაშია მისაღები ცვეთა, რომელსაც გამოყენებული ტერიტორია განიცდის ყოველწლიურად:

$$\rho_i = \frac{M_i}{S_i^* - S_i} \quad (8)$$

სადაც: ρ_i ცვეთის კოეფიციენტია; $M_i = \frac{K_{0i} - K_{li}}{T_i}$ წლიური გაუფასურება დათვილი წრფივი

მეთოდით; S_i, S_i^* მოსავლის მისაღებად გამოყენებული მიწის ნაკვეთის ფართობი ინვესტირებამდე და მის შემდეგ; K_{0i}, K_{li} საწყისი და საბოლოო კაპიტალი, ხოლო T_i კაპიტალის გამოყენების ხანგრძლივობაა.

გადაწყვეტილების მიღებისას ასევე გასათვალისწინებელია შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს რამდენად ზრდის ჩაღებული ინვესტიციები შრომის ნაყოფიერებას

$$\Delta \frac{Y_i}{L_i^*} = \frac{Y_i^*}{L_i^*} - \frac{Y_i}{L_i} \quad (9)$$

სადაც: $\Delta \frac{Y_i}{L_i^*}$ შრომის ნაყოფიერების ზრდა; $\frac{Y_i^*}{L_i^*}$ - შრომის ნაყოფიერება ინვესტირების შემდეგ; $\frac{Y_i}{L_i}$ -

შრომის ნაყოფიერება ინვესტირებამდე; Y_i^*, Y_i - წარმოებული პროდუქციის მოცულობა ინვესტირების შემდეგ და ინვესტირებამდე; L_i^*, L_i - დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა ინვესტირების შემდეგ და ინვესტირებამდე.

ასევე, გასათვალისწინებელია ტექნიკური აღჭურვილობის კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს ჩაღებული ინვესტიცია რამდენად უწყობს ხელს ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაციას და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\eta_i = \frac{I_{tex}}{L_i - L_i^*} \quad (10)$$

სადაც η_i არის i -ური დარგის ტექნიკური ადჰუვილობის კოეფიციენტი; I_{tex} - მექანიზაციაში ჩადებული ინვესტიციის მოცულობაა.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორიაფულადი ინვესტირებიდან მიღებული დანახოგების გაანგარიშება.ეს გულისხმობს იმის დადგენას თუ განხორციელებული ინვესტიცია რამდენად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

$$e_i = \frac{E_i}{I_i} \quad (11)$$

სადაც $E_i = \sum_{i=1}^n q_i^* (c_i - c_i^*)$, e_i - ფულადი ინვესტირებიდან მიღებული ეკონომიაა; E_i

თვითღირებულების შემცირების გზით მიღებული დანახოგები; I_i ინვესტირებული კაპიტალი; q_i^* ინვესტირების შემდეგ წარმოებული პროდუქცია გამოსატული ნატურალურ ერთეულებში; c_i, c_i^* პროდუქციის თვითღირებულება ინვესტირებამდე და მის შემდეგ.

იმას, თუ რამდენად ეფექტიანია ჩვენს მიერ ჩადებული ინვესტიცია განსახვრავს ისიც, თუ რამდენად სწრაფად შევძლებთ ჩადებული თანხის უკან ამოღებას. ამისათვის ანგარიშობენ შემდეგ ინდიკატორს - ინვესტიციების ამოგების დროს:

$$D_i = \frac{I_i}{\Delta P_n} \quad (12)$$

სადაც: D_i ინვესტირების ამოგების დროა; ΔP_n წლიური მოგების ნახრდია; ინვესტირების შესაძლო ვარიანტებიდან აირჩევა ის, რომლის ამოგების დროც ყველაზე ნაკლებია.

ასევე ანგარიშობენ ინვესტიციის ამოგების სიჩქარეს, რომელიც იანგარიშება, როგორც ინვესტიციის ეფექტური ფუნქციონირების პერიოდის შეფარდება ამოგების დროსთან:

$$R_i = \frac{T_i}{D_i} \quad (13)$$

ბუნებრივია, რაც უფრო დიდია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტიანია ინვესტიცია.

ეს არის იმ ძირითადი მაჩვენებლების ჩამონათვალი, რომლებიც გაანგარიშებული უნდა იქნას სანამ გადავწყვეტთ რაიმე დარგში ინვესტიციის განხორციელებას.

3. დასკვნა

საკმაოდ კარგი იქნებოდა დაგვეთვალა ეს მაჩვენებლები საქართველოსთვის და შეგვემუშაებინა გარკვეული სახის ეკონომიკური რეკომენდაციები, თუ სოფლის მეურნეობის კონკრეტულად რომელი სექტორი უნდა განვითარდეს და ჩაიდოს ინვესტიციები, მაგრამ გვაქვს ერთი დიდი პრობლემა : აქ მოყვანილ ფორმულებში შემავალი მაჩვენებლების უმეტესობაზე არ მოგვეპოვება სტატისტიკური ინფორმაცია. არსებობს კრებისითი ინფორმაცია მაგალითად, იმის შესახებ რამდენია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ვერ მოიპოვებთ ინფორმაციას თუ რამდენი კაცია დასაქმებული თუნდაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორში - მევენახეობაში. სამაგიეროდ გვაქვს უამრავი რეიტინგული მონაცემი, რომლებზე აპელირებითაც მუდმივად ცდილობენ ინვესტიციების წახალისებას: ბიზნესის წარმართვის სიადგილით მე-9 ადგილი, ეკონომიკური თავისუფლების კუთხით 21-ე ადგილი, კორუფციის დონე 3%. ეს მაჩვენებლები კარგია, მაგრამ რეალური ინვესტირების განხორციელებისათვის საჭიროა რეალური, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გათვლილი ინდიკატორების არსებობა, რომელთა დახმარებითაც მოხდება სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სექტორში ინვესტირებისათვის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად საჭირო ინდიკატორების გამოთვლა.

იმისათვის, რომ ეს მონაცემები არსებობდეს პირველ რიგში საქართველოს სტატისტიკის ბიურო უნდა ატარებდეს შესაბამისი მონაცემების შეგროვებასა და გამოქვეყნებას. ობიექტური ინფორმაციის შეგროვებისათვის კი აუცილებელია ამ ორგანოს მაქსიმალური, რეალური და არა ფორმალური დამოუკიდებლობა. რაც უფრო მეტად დაიმალება არსებული ვითარება და არ

ადიწერება ციფრებით მით მეტად გაუარესდება მდგომარეობა. აქ მივიღვართ კიდევ ერთ საკითხთან – პოლიტიკური ნების არსებობასთან. ვთქვათ ეკონომისტებმა მართლაც ჩავატარეთ კვლევები და გათვლები, შემდგომ დგება ასეთი საკითხი: გვექნება კი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გაიყიდება კი ეს პროდუქცია? ან გვექნება თუ არა მასშტაბის ეფექტი და აქედან გამომდინარე შეფარდებითი უპირატესობაც. პასუხი ნათელი და მარტივია - არა. იმიტომ, რომ ჩვენ მცირე ქვეყანა ვართ, ხოლო ჩვენ მეზობელ ქვეყნებში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი უბრალოდ არ სჭირდებათ: თურქეთიდან აქეთ ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი. რაც შეეხება რუსეთს, მართალია ნელ-ნელა იხსნება ბაზარი, მაგრამ ექსპერტების შეფასებით ამ ბაზარზე მოთხოვნა იქნება მხოლოდ ბორჯომსა და ღვინოსზე. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სოფლის მეურნეობაში ევროკავშირის ექსპერტებმა მოგვანიჭეს შეფარდებითი უპირატესობა, მაგრამ ეს უპირატესობა გვექნება მაშინ, თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ წარმოებულ პროდუქციას თავისუფლად შეეძლება გადაადგილება. ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად დაიღოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომლის დადების წინაპირობაც არის : ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობა, ევროკავშირის სტანდარტის შრომის კოდექსი და სურსათის უვნებლობის სამსახურის არსებობა.

თუ ამ ყველაფერს შევაჯამებთ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო, არ შეგვიძლია გავცეთ კვალიფიციური რეკომენდაცია სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ ქვესექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cervantes-Godoy, D. and J. Dewbre (2010), “Economic Importance of Agriculture for Poverty Reduction”, *OECD Food, Agriculture and Fisheries Working Papers*, No. 23, OECD Publishing.
2. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2011. საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2012.
3. ი. ანანიაშვილი, “ეკონომეტრიკა”. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012.
4. Specific Economic Efficiency Indicators of Investment in Agriculture – Claudiu Cicea, Jonel Subic. *Journal Central European Agriculture*. Volume 11 (2010) No. 3 (255-264)
5. Binswanger, H., and Von Braun, J. (1993) - “Technological Change and Commercialization in Agriculture”, in M. Lipton, and J. van der Gaag (editors), *Including the Poor*, Washington DC, The World Bank.

AKAKI ARSENASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

MAGDA MTSITURI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Student

ONE METHOD OF DETERMINING THE EFFICIENCY OF INVESTMENT IN AGRICULTURE

S u m m a r y

From ancient times Georgia was known as country of agriculture and it always used to be well-developed in the country, but after Georgia became independent in 1991, agriculture stopped its development and started degradation. The government guessed that the field needed help and they started some reforms to encourage agriculture to develop. Lately it turned out that none of the reforms and encouragement actions were effective. So what kind of reforms should be implemented, in which field of agriculture should we carry out this reforms, start business and invest to have economically effective and competitive agriculture? For answering this question economic analysis and conclusions is inevitable.

ნანა ახალაია

ვორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

აბრუთიროზი - სოფლის მოსახლეობის დასახმამის პირსამპტიული მიმართულება

თანამედროვე ეტაპზე ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო შემოსავლების ძლიერი და სტაბილური წყარო გახდა. იგი საკმაოდ მაღალრენტაბელური, მეწარმეებისთვის მიმზიდველი ბიზნესის სფეროა და წარმოადგენს ქვეყნის პრესტიჟის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფს ეროვნული კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და რელიგიური ფასეულობების საერთაშორისო დონეზე პროპაგანდას. იგი მომხმარებლებისათვის სულიერი მოთხოვნილების

დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ელემენტია, ხოლო ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებისათვის წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების წყაროს.

ტურიზმის როლი და განვითარების მასშტაბები განუწყვეტლივ იზრდება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. დარგის განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია სოციალურ, კულტურულ, საგამანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებთან, ასევე სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთობებთან.

ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების აგროტურიზმის განმარტებისას ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყოფენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნების ტურიზმი და ა.შ. გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ განმარტებით: "სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან. ხოლო ფერმერული, ანუ აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით, ან ცხოვრობენ მათ პლანტაციებში და ეცნობიან იქაურ ცხოვრებას."

აგროტურიზმი მომხმარებლებს სთავაზობს საკმაოდ მრავალფეროვან მომსახურებას და მათ მოსაზიდად სხვადასხვა ფაქტორებს იყენებს. პირველი ფაქტორი ნაციონალური სამზარეულოა, რომელიც ჯანსაღი პროდუქტით დამზადებულ კერძებს სთავაზობს ტურისტებს, მეორე, სპორტული აქტივობებია, ძირითადად ექსტრემალური სპორტის სახეობები, მესამე ფაქტორი ტურისტების რელიგიური რიტუალებით, ადგილობრივი ადათ-წესებით, ისტორიითა და არქიტექტურით დაინტერესებაა.

თანამედროვე მსოფლიოში აგროტურიზმის სისტემა აღსანიშნავია იმით, რომ დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით.

აგროტურიზმის პერსპექტივებზე საუბრისას შეიძლება ავლინდეს, რომ ჩვენი ბუნება, ისტორიული ძეგლები, მდიდარი ტრადიციები და ადათ-წესები დიდ შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ მათ გამოსაყენებლად საჭიროა გარკვეული, სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამოუმუშავება და შესაბამისი ცოდნის მიღება, რაც ადგილობრივ ფერმერებს გაუადვილებს ამ სახის ბიზნესის დაწყებას და შემდგომ განვითარებას. სწორედ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ალტერნატიული დასაქმების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება სოფლის ტურიზმი(აგროტურიზმი).

მრავალი ქვეყნის ტურისტული დარგის განვითარების პრაქტიკაში ეკოტურიზმი და აგროტურიზმი ურთიერთდამოკიდებული მიმართულებებია და ავსებს ერთმანეთს. უფრო მეტიც, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში ტურიზმის რიგი მონათესავე და ერთნაირად მოტივირებულ სახეობებს შორის, რომლებიც ზოგავენ და უფროთხილდებიან გარემოს და ადგილობრივ მოსახლეობას არის, სოფლის, ფერმერული, სპორტული, კულინარული, სათავგადასავლო, ექსტრემალურ და ტურიზმის სხვა სახეობები, რომლებიც ხშირად ერთიანდებიან ერთ რგოლად, ეკო-აგროტურიზმად.

ევროპულ პრაქტიკაში აგროტურიზმი გახდა მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აგრარული მოსახლეობის გადასვლას წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროზე. ამ პროგრამის მიზანია აგრარული რეგიონებისა და მისი მოსახლეობის განვითარების წახალისება ადგილობრივ ეკონომიკაში ახალი სექტორის ორგანიზების გზით, უმუშევრობის აღმოფხვრა, მიგრაციის შეჩერება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ვარდნის შეჩერება და სხვა ნეგატიურ ზემოქმედება, რომლებიც სოფლის დეგრადაციას იწვევს.

აგროტურიზმის სტიმულირება თავისთავად გამოიწვევს აგრარულ რეგიონში ზედმეტი შრომითი რესურსების გადატანას ალტერნატიული მომსახურების სექტორში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ასეთი პოლიტიკა სტრატეგიულად დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს; სახელმწიფო აგროტურიზმის მხარდაჭერით, სოფლის მოსახლეობას დაეხმარება დაზოგოს და შემდგომში გაზარდოს საცხოვრებელში ჩადებული კაპიტალი, შეინარჩუნოს საცხოვრებელი ადგილი და ჩვეული ცხოვრების წესი, ამასთან არ დაკარგონ აგროწარმოების უნარი და საბოლოო ჯამში, ჰქონდეთ მომავლის იმედი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროტურიზმის განვითარებას, როგორც ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ-კულტურული პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის

მეთოდს. ამიტომ აგროტურიზმს უნდა შეეხედოთ არა როგორც ტურინდუსტრიის დარგს, არამედ როგორც სოფლის და პარტარა პროვინციული ქალაქების მუნიციპალური ეკონომიკის შემოსავლიან სექტორს, რომლის ასპექტებია:

ეკონომიკური:

- სოფლის მოსახლეობისათვის შემოსავლის წყარო აგრარული სექტორისათი კრიზისულ სიტუაციაში.
- უპირატესად ამოუწურავი რესურსების გამოყენება, პირველ რიგში ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა;

მიკროეკონომიკური:

- წვლილი საკუთარი საცხოვრებლის მდგომარეობის გაუმჯობესებაში და მისი საბაზრო ღირებულების აწევაში;

კულტურული:

- ურთიერთქმედებები სოფლის, ქალაქების და მეგაპოლისების მაცხოვრებლებს შორის.

ეთნოკულტურული:

- ეროვნული კულტურული ღონისძიებების პროპაგანდა;

პიროვნული:

- პიროვნების განვითარება-ჩამოყალიბება მიმღების(მასპინძლის) რანგში: ახალი ცოდნის, უნარების მიღების აუცილებლობა, კვალიფიკაციის ამაღლება სტუმრების მიღების ორგანიზებაში და ა.შ.
- პიროვნების თვითშეგნების ამაღლება. დამოუკიდებლობის შეგრძნება, საკუთარი ძალების იმედი, საკუთარი მეურნეობის რესურსი;

სოციალური:

- ადგილობრივი საზოგადოების დონეზე, სრულყოფილი ტურპორდუქტის შექმნისათვის კოოპერირება, საბოლოო ჯამში აუმჯობესებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს იმავე საზოგადოებაში;
- ადგილობრივი ტურპოტენციალი შეიძლება გარდაიქმნას ტურისტულ რესურსად იმად, რაც შეიძლება ნებისმიერ მომენტში გამოყენებულ იქნას მარშრუტის, ექსკურსიის, ტურისტების გართობის ორგანიზებაში, მუნიციპალურ დონეზე;

პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურპოტენციალის გადასვლას აქტიურ ტურისტურ რესურსში

მიეკუთვნება:

- სასოფლო ტერიტორიების ტურისტული რესურსები (ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული და სხვა);
- ადგილის ეკოლოგიური სისუფთავე (ამასთან, მსხვილი ინდუსტრიული ცენტრებიდან დაშორება ითვლება არა მინუსად, არამედ პლიუსად);
- მისაღვრად ადგილი (მოსახერხებელი) ადგილი. (მნიშვნელოვანი ფაქტორია კარგად მისასვლელი გზები);
- თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები არსებობა;
- მასპინძლის და სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- კლიენტის მოთხოვნების შესაბამისი კომფორტის უზრუნველყოფა;
- ტურისტურის საფუძველზე იქმნება და აღიჭურვება ტურისტების განთავსების (დაბინავების) და კვების საშუალებები; შემუშავდება კომპლექსური პაკეტი ტურმომსახურებისა, ანუ ტურპორდუქტი, რომელიც რეალიზდება ადგილობრივად.

ტურპორდუქტის შესაქმნელად და წარმატებული რეალიზაციისათვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მთავრობა- ბიზნესი- ადგილობრივი საზოგადოება, ამ პროცესის კოორდინაციაში მნიშვნელოვანია, რეგიონალური ხელისუფლების როლი, რეგიონის ტურისტულად მიმზიდველი იმიჯის ფორმირებაში, რეგიონის ტურპორდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანაში და სხვა რეგიონალური დონის ამოცანების განხორციელებაში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებაში რჩება აგრარულ წარმოებაში დასასაქმებელთა სიჭარბე. პრობლემა უფრო ღრმავდება ამ სექტორის პროდუქტიულობის ზრდით, აგრარული საბაზრო წარმოება იძლევა მხოლოდ მესამედს სამუშაო ადგილებისა სოფლად. ჭარბი შრომისუნარიანი მოსახლეობა გადაინაცვლებს კერძო, საკარმიდამო მეურნეობებში, რომელიც აწარმოებს კონკურენტუნარიან, თუმცა ნაკლებპროდუქტიულ სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციას. ასეთმა დუალიზმმა სასოფლო შრომის ბაზარზე არ შეიძლება არ გამოიწვიოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებით მიღებული შემოსავლების ვარდნა.

სოფლად ტურიზმის განვითარების მთავრი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა. აგროტურიზმის განვითარებამ სტიმული უნდა მისცეს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ადგილობრივი რესურსების მცირე ეკონომიკური ბრუნვების ფორმირების გზით. ეს შეიძლება მიღწეული იყოს დარგთაშორის თანამშრომლობის ინიცირებით, როდესაც ადგილობრივი პროდუქცია და მომსახურება გამოიყენება ტურისტული პროდუქციის წარმოებაში. დღევანდელ დღეს არსებობს ბევრი კითხვა აგროტურიზმის სფეროში საქმიანობის ორგანიზებაში. ერთ-ერთი კითხვაა, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთი საქმიანობის აღრიცხვის სწორად ორგანიზება. სტატისტიკურად, 50%-ზე მეტი ევროპელი არჩევანს აკეთებს სოფლად დასვენებაზე. მაგ. ავსტრიაში აგროტურისტებმა შეადგინეს 16%, ევროკავშირის ქვეყნების სოფლის ტურისტების საერთო რაოდენობისა, იტალიაში - 13%, საფრანგეთში - 15% და ესპანეთში - 8%. ბოლო დროს ტურიზმის ეს სახეობა ძალიან პოპულარული გახდა უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთში, ბალტიის ქვეყნებში.

აგროტურიზმის გააქტიურების ხელშემშლელ პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს:

- აგრობიზნესის გამსხვილება;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შემოსავლების დაბალი დონე;
- სოფლების სახეცვლილება;

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აგროტურიზმი არის არა მადლშემოსავლიანი ბიზნესი, არამედ პირველ რიგში სოციალური დაძაბულობის და გაჭირვების დონის დაწვევის საშუალება. სოფლად აგროტურიზმის ორგანიზების პრაქტიკაში მიღებული ფორმები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

- სოფლის გამაჯანსაღებელი ტურიზმი;
- სოფლის საბავშვო ტურიზმი;
- სოფლის ეთნოგრაფიული ტურიზმი;
- სოფლის საგანმანათლებლო ტურიზმი;
- სასოფლო-სამეურნეო ტურიზმი (აგროტურიზმი);
- სოფლად სპორტული ტურიზმი;
- სოფლად სათავგადასავლო ტურიზმი;
- სოფლად შემეცნებითი ტურიზმი;
- სოფლად ეგზოტიკური ტურიზმი;
- სოფლად კომბინირებული ტურიზმი;
- აგროტურიზმის სექტორის განვითარებისთვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:
- აგროტურიზმის მეურნეობების ორგანიზებისთვის კოორდინირებული ცენტრების შექმნა;
- რეგიონალურ და შიდარეგიონალურ მონაცემთა ბაზის შექმნა კლიენტებისათვის და ტურსააგენტებისთვის. პრობლემის გადასაწყვეტად არსებობს სხვადასხვა გზა, საერთაშორისო გამოცდილებით ეს შეიძლება იყოს: ან აგროტურისტული მეურნეობების საზოგადოებრივი ასოციაციები (რეგიონალური კოოპერაცია); ან, ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერით შექმნილი აგროტურისტული ცენტრები, ადგილობრივი მომსახურების განყოფილებით, მონაცემთა ბაზის შექმნა და წარმოება, საინფორმაციო უზრუნველყოფა, სერტიფიცირება, მიკროკრედიტირება და ა.შ. პერსპექტივაში ისინი კომერციულია-ხდება ინფორმაციის მიყიდვა კლიენტებისათვის და ტურ სააგენტოებისათვის.

ჩვენს პირობებში, პირველ ეტაპზე შესაძლებელია ადგილობრივი საკოორდინაციო ცენტრების შექმნა, თავის ადგილობრივი მომსახურების ფილიალებით. ეს საჭიროა აგროტურისტული ბიზნესის ფეხზე დადგომის პირველი ეტაპისათვის. ამ შემთხვევაში აგროტურიზმი მიიღებს „მწვანე შუქს“ და განვითარდება, როგორც თანამედროვე ტურინდუსტრიის სექტორი.

გასათვალისწინებელია „საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ტერიტორიული ქსელის“ ფორმირება, აგროტურიზმის პროპაგანდა, სოფლის მოსახლეობის განათლება-სწავლება არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზების არამედ ალტერნატიული დასქმებისთვის სოფლად.

საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი შიდა და გარე ტურიზმისათვის არის მდიდარი და თვითმყოფადი ეროვნული კულტურა. მხარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული

პოტენციული მოიცავს დიდ რაოდენობას ცენტრებისა ხალხური შემოქმედების, ხალხური რეწვის, მათ შორის ტრადიციული შემოქმედების, ქარვის, მეთუნეუქობის და ა.შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის ტურიზმის განვითარებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი. გაუმჯობესდეს საგადასმდელო ბაზანსი აგროტურიზმის მომსახურების საექსპორტო პროდუქტად გადაქცევის ხარჯზე. აგროტურიზმი, როგორც მომსახურება საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაციისა და მისი ეფექტურობის ამაღლებისა.

და ბოლოს, აგროტურიზმი სოფელს აძლევს მნიშვნელოვან პოტენციურ სარგებელს:

- შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი წყარო დასაქმებისა აქ მცხოვრებლებისათვის, განსაკუთრებით ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებულ რეგიონებში. ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუძლიათ იმუშაონ მიმტანებად, გამყიდველებად და ა. შ.
- სოფლის მოსახლეობას უხსნის გზას ბიზნესისაკენ;
- ზრდის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლებს;
- ინარჩუნებს ადგილობრივ კულტურას და წეს-ჩვეულებებს, ესმარება ადგილობრივ ისტორიულ ღირშესანიშნაობების რესტავრაციას;
- კარგ გაგვენას ახდენს გარემოს დაცვის ღონისძიებებზე, რადგან ერთ-ერთ ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ინდუსტრიაა;

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს პოზიციით უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები აგროტურიზმის განვითარებისა. მნიშვნელოვანია ყოველმხრივ შეისწავლონ საბაზრო სიტუაცია და გამოვლინდეს ბიზნესთან დაკავშირებული შესაძლებლობები და რისკები.

აგროტურიზმი შემოსავლიანი საქმეა, რადგან ყოველწლიურად იზრდება რიცხვი ტურისტებისა, რომლებიც არჩევენ პატრიარქალურ სიმშვიდეს, ბუნებას, ეკოლოგიურ სისუფთავეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ თბ. 2011
2. მეტრეველი მ. „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები“ ფორმა 2008
3. ჩარლზ რ. გელდენერი, ჯ.რ. ბრენტ რითი „ტურიზმი“ 2013
4. Ветрова М.Н., Гришанова С.В., Корнеева Н.В. “АГРОТУРИЗМ – СЕКТОР СОВРЕМЕННОЙ ТУРИНДУСТРИИ” 2010
5. Камянчук А. В., Басков В. Н ., “ДИВЕРСИФИКАЦИЯ СЕЛЬСКОЙ ЭКОНОМИКИ. АГРОТУРИЗМ” 2009

NANA AKHALAIA

Gori Teaching University, Full Professor

AGROTOURISM – A PROMISING TREND OF EMPLOYMENT OF THE RURAL POPULATION

S u m m a r y

In modern conditions a special attention should have been drawn to the trends in tourism field, foreseeing of which is very necessary in agritourism. The number of tourism market and their segments keep growing and correspondingly, more tourists are distributed in the abovementioned markets.

Unlike the other directions of tourism, agritourism has its own specification, expressed in minimization of expenses. Agritourism can be developed not only as a part of regional economy, but independently as well, on a level of separate thrift and territorial units. The effectiveness of agritourism is conditioned by income. The point is that the country's economy and tourism are closely interacted, country's high economic potential and stability are preconditions for the development of agritourism business and vice versa, development of tourism reinforces and strengthens country's economic potential.

ნონა ახვლედიანი

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*


ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები (სტატისტიკური ანალიზი)

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიოეკონომიკისა და ზოგადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებასთან. ბიომეურნეობა

სოფლის მეურნეობისა და საკვების წარმოების ისეთი სისტემაა, სადაც არ გამოიყენება ქიმიური სასუქები, პერბიციდები, პესტიციდები ან სხვა ნივთიერებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. ბიომეურნეობაში კატეგორიულად აკრძალულია გენეტიკური ინჟინერიის ტექნოლოგიით მიღებული ორგანიზმების გამოყენება. ასეთ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია ბიო- (ეკოლოგიურ, ორგანულ) პროდუქტადაა აღიარებული, და ამ სტატუსის შესანარჩუნებლად მისი შემდგომი გადამუშავების, შეფუთვისა და რეალიზაციის პროცესიც ასევე შესატყვისი სტანდარტებით იმართება. ტერმინი "ბიო" კანონით განსაზღვრული განმარტებაა და გულისხმობს, რომ მეურნეობის მართვისა და საკვების წარმოების მეთოდები მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, ბიოეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური დანაკლისები. ბიოეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. ბიო ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს ბიო პროდუქტი და მომსახურება. მიიხნევენ, რომ ტრადიციულად მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან, შრომასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ბრეტონ გუდსის სისტემის მთავარმა ინსტიტუტებმა, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დიდი დაინტერესება გამოხატეს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შეფასების მიმართ, რაც მის აქტიურ დაფინანსებას გულისხმობს. ხელს ეკონომიკურ გაჯანსაღებასა და ზრდას და ამავდროულად გამოიწვევს სამუშაო ადგილების შექმნას. აქ არა მარტო ფინანსური, არამედ ინფრასტრუქტურული და პოლიტიკური მხარდაჭერა იგულისხმება. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ორგანული სოფლის მეურნეობა უგანდაში. უგანდაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანული ფერმერული მეურნეობით ჩანაცვლების მიზნით, რაც ძალზედ მომგებიანია როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსათვის. კოდექს ალიმენტარიუსის თანახმად, ორგანული სოფლის მეურნეობა ერთიანი წარმოების ისეთი მართვის სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს და ზრდის ეკოსისტემის სიჯანსაღეს, რაც მოიცავს ბიომრავალფეროვნებას, ბიო ციკლებსა და ბიოლოგიურ აქტიურობას. ის უარყოფს სინთეტიკური მასალების გამოყენებას, როგორცაა შხამ-ქიმიკატები, პესტიციდები და სასუქები. უნდა ითქვას, რომ უგანდა ყველაზე მცირე რაოდენობის სასუქს მოიხმარს მსოფლიოში. ტყეების მართვა ნეპალში. აღსანიშნავია, რომ ნეპალის ტერიტორიის (ხმელეთის) დაახლოებით 40%-ს ტყეები მოიცავს. ქვეყანაში შექმნილია სატყეო მეურნეობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მართავს და თვალყურს ადევნებს სატყეო რესურსებს. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მისწრაფვის ბიოეკონომიკის დანერგვისაკენ. ბიოეკონომიკა არის 21 საუკუნის ბიზნეს შესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდევ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე პროცესები გარკვეული დინამიკით ხასიათდება. განსახილველ პერიოდში (2007-2012 წლები) სოფლის მეურნეობის სექტორის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში კლების ტენდენციით გამოირჩეოდა.

დიაგრამა 1

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)




<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 1-დან ჩანს, რომ 2007 წლისთვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში 1818.3 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 53.2 მლნ. ლარით მეტია, თუმცა მშპს ზრდის ტემპს სოფლის მეურნეობის გამოშვების ზრდის ტემპი ჩამორჩა და შესაბამისად მისი ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან გამოშვებაში მხოლოდ 10.7%-ით განისაზღვრა. 2008 წელს ისევ გაგრძელდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და მისმა მოცულობამ 19074.9 მლნ. ლარს მიაღწია, თუმცა სოფლის მეურნეობის წილი მასში მხოლოდ 1793.1 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 25.2 მლნ. ლარით ნაკლები იყო, შესაბამისად 9.4 %-მდე შემცირდა სოფლის მეურნეობის გამოშვების ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან გამოშვებაში. 2009 წელს 2008 წლის ცნობილი მოვლენების გამო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1088.9 მლნ. ლარით მცირდება და 17986 მლნ. ლარს შეადგენს, შესაბამისად 1690.6 მლნ. ლარამდე შემცირდა მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 102.5 მლნ. ლარით ნაკლები იყო და მისი ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან მოცულობაში წინა წლის მსგავსად 9.4%-ით განისაზღვრა. 2010 წელს ქვეყნი მთლიანი შიდა პროდუქტი 20743.4 მლნ. ლარამდე იზრდება, თუმცა მასში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა წინა წელთან შედარებით ისევ კლების ტენდენციით ხასიათდება და მხოლოდ 8.4%-ს ანუ 17742.4 მლნ. არს შეადგენს. 2011 წლის საბოლოო მონაცემებით კი ქვეყანაში წინა წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის 3485.7 მლნ. - იანი ზრდა დაფიქსირდა და მშპ-ს მოცულობამ 24229.1 მლნ. ლარი შეადგინა. 2011 წელს იზრდება ასევე სოფლის მეურნეობის სექტორის გამოშვებაც 2253.3 მლნ. ლარამდე, თუმცა მისი ზრდის ტემპი ისევ ჩამორჩება მშპ-ს ზრდის ტემპს და მისი ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან გამოშვებაში მხოლოდ 9.3%-ით განისაზღვრა.

დიაგრამა 2

სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სტატისტიკა




<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სტატისტიკის დიაგრამიდან ჩანს, 2006-2011 წლებში დომინანტი ყოველთვის მეცხოველეობა წარმოება იყო, 2011 წლისათვის შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა მეცხოველეობის დონემ, კერძოდ გაიზარდა ერთწლიანი კულტურების (ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის) წარმოება.


დიაგრამა 3

ერთწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა)



2006-2011 წლებში ბოსტნეულის წარმოება 179.7 ათასი ტონიდან გაიზარდა 185,8 ათას ტონამდე. თუმცა 2008 წელს მნიშვნელოვანი ვარდნა ქონდა 165.0 ათას ტონამდე


ბოსტნეულის წარმოება საქართველოში
(ათასი ტონა)



<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 4

მრავალწლიანი კულტურების წარმოება
ციტრუსის, ყურძნის და ხილის წარმოება
(ათასი ტონა)




<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასევე შეიძლება ითქვას 2006-2011 წლებში ციტრუსების წარმოებას უმნიშვნელო ზრდა ქონდა (0.3-ჯერ), რადგან მისი წარმოება ზიგზაგისებურად ვითარდებოდა, 2010-2011 წლებში 2009 წელთან შედარებით 1.8-ჯერ შემცირდა ციტრუსის წარმოება და მითუმეტეს საზღვარგარეთ გატანა.


დიაგრამა 5

პირუტყვის სულადობა (ათასი სული)




<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირუტყვის სულადობის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განვითარება 2006-2011 წლებში გამოსახულია შემდეგი დიაგრამებით, ფაქტობრივად ხორცის წარმოება განახევრებულია, კვერცხის გაზრდილია 1.9-ჯერ, ხოლო რძის წარმოების დონე ფაქტობრივად უცვლელია.



<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეცხოველეობის პროდუქტების საშუალო პარამეტრები
ფურისა და ფურკამჭის საშუალო წველალობა
(ლიტრი წელიწადში)



<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირუტყვის ნამატი და დაცემა (ათასი სული)						
	2006	2007	2008	2009	2010	2011
ნამატი						
ზბო და ზაკი	506.4	466.8	487.5	497.3	431.3	431.9
გოჭი	773.2	385.0	116.4	211.0	211.1	223.7
თიკანი და ბატკანი	523.5	541.8	521.1	505.8	483.1	440.5
დაცემა						
მსხვილფეხა რქოსანი	47.0	69.7	75.6	76.1	101.9	73.0
ღორი	62.2	260.1	33.9	32.1	90.1	39.1
ცხვარი და თხა	37.4	30.2	53.1	26.8	48.6	37.3

<http://geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების კუთხით ქართული სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა უცხოელი ინვესტორებისათვის, რაც უკანასკნელ წლებში ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკიდანაც ნათლად ჩანს 2007 წელს ქვეყანაში შემოსული 2015 მლნ. აშშ. დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 15.8 მლნ. აშშ. დოლარი დაიხარჯა, რაც ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით მიზეზული თანხაა, იგივე ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო წელსაც, კერძოდ 2008 წელს ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხო ურინვესტიციების (1564 მლნ. აშშ.დოლარი) მხოლოდ 0.5% ანუ 7.8 მლნ. აშშ. დოლარი მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე. 2009 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყანაში შემოსულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (658.4 მლნ. აშშ.დოლარი) საერთო მოცულობაში 3.3%-ით ანუ 22.3 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებული თუმცა არაფრის მომცემი მონაცემია. 2010 წელს ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი წინა წლის

ანალოგიურ მანქანებლთან შედარებით მკვეთრად დაეცა 1.01% ანუ 8.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წელს კი ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან (1117 მლნ. აშშ დოლარი) სოფლისმეურნეობის სექტორზე მხოლოდ 1.3% ანუ 14.9 მლნ. აშშ დოლარი მოდიოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან შედარებით მიზეზურად მცირეა. სოფლის მეურნეობის სოფლის მეურნეობის სექტორზე სტატისტიკურად ქვეყანაში დასაქმებული ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ირიცხება, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, შესაბამისად იგივე სტატისტიკის მიხედვით ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორში რეალურად დასაქმებულია და ხელფას იღებს ქვეყანაში მთლიანად დასაქმებულთა მცირე ნაწილი, მცირეა ასევე მათი საშუალო თვიური ანაზღაურება სხვა სექტორებში არსებულ საშუალო თვიურ ანაზღაურებასთან შედარებით 2007 წელს წინა წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და მათი საშუალო თვიური ანაზღაურებაც შესაბამისად გაზრდილია 7.2% და 24.8%-ით. 2008 წელს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება 6.9%-ით, ხოლო საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 61.8%-ით იზრდება 299.3 ლარს აღწევს, რაც განსახილველად აღებულ პერიოდში ყველაზე მაღალი ანაზღაურებაა, თუმცა იმავე პერიოდში სხვა სექტორში (კერძოდ საფინანსო-საქმიანობა) ყველაზე მაღალი ანაზღაურების 1343.5 ლარის ფაქტობრივად მეხუთედს შეადგენს. მომდევნო 2009-2010 წლებში კი სექტორში დასაქმებულთა რიცხვი შესაბამისად 39.2% და 19.3%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო თვიური ნომინალური ანაზღაურება 2009 წელს წინა წელთან შედარებით 13.3%-ით შემცირდა, 2010 წელს კი 2009 წელთან შედარებით 5.7%-ით გაიზარდა. ფაქტობრივად იგივე ტენდენცია იქნა შენარჩუნებული 2011 წლისთვისაც. სოფლის ეკონომიკური გაძლიერება, გლეხის (ფერმერის) შემოსავლების ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება წარმოადგენს. დასახული მიზნის მიღწევას დღევანდელი მთავრობა ძირითადად აგრარული სექტორის მოდერნიზების, აგროსასურსათო სექტორთან დაკავშირებული მომსახურების სხვადასხვა სახეობის დანერგვა-განვითარების, აღნიშნული სექტორის რენტაბელობისა და შესაბამისად კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდის ხარჯზე გეგმავს. როგორც ცნობილია შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების 1 მილიარდიანი ფონდი, ხორციელდება ასევე მოსავალის სტიქიური უბედურებებისგან დაზღვევა, რაც მართლაც, რომ დიდი პრობლემაა დღეისათვის ქართული სოფლისათვის, ქართველი ფერმერისათვის, რამაც თავის მხრივ მოსახლეობის სექტორში დაბრუნებას უნდა შეუწყოს ხელი, მოხდეს მათი გადახდის უნარიანობის ამაღლება და შესაბამისად მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს სოფლად ცხოვრების პირობები. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის, რომელიც 2013 წელს დაიწყო, საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით, პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი (2013 წლის მარტი – 2016 წლის მარტი). ფერმერები, ფერმერთა ასოციაციები, სოფლად მცხოვრები ოჯახები და სხვა დაინტერესებული მხარეები კერძო სექტორიდან პროექტის საბოლოო ბენეფიციარებს წარმოადგენენ. ENPARD-ის მიზანი მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გადრმავება, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა. საქართველოში სურსათის წარმოების მოცულობის ზრდა და სოფლად სიღარიბის დონის შემცირება წარმატების მთავარი ინდიკატორები იქნება, რაც შეეხება რეფორმებს და სოფლის მეურნეობის სტრატეგიას, და რომელსაც საქართველოს მთავრობა მომდევნო ათი წლის განმავლობაში განახორციელებს. ამას დაემატება საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური დახმარება ეროვნული სამსახურებისა და სამინისტროებისთვის. ამავედროულად, პროგრამის მიზანია, გააძლიეროს მცირე ფერმერები, რომლებიც შესაძლოა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ხერხემალი გახდნენ. ENPARD წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ინიციატივას, რომლის განხორციელება ევროკავშირმა 2012 წელს დაიწყო. ეს ინიციატივა არის ნაწილი ევროკავშირის იმ ვალდებულებებისა, რომელიც ეხება ინკლუზიურ ზრდასა და სტაბილურობას სამეზობლოში, და რომელიც აღიარებს სურსათის უვნებლობის, მდგრადი წარმოების და სოფლის მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის პოტენციალის მნიშვნელობას. რეალურად დღეს საქართველო მოიხმარს მეტ იმპორტირებულ კვების პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. ამ ფონზე ჩნდება კითხვები, თუ რა ადგილს იკავებს ეს სფერო საქართველოს დარგობრივ სტრუქტურაში, ღირს თუ არა მასზე პოლიტიკის აქცენტირება, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარება, ხელს შეუწყობს თუ არა დამატებითი ინვესტირება ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურად იმოქმედებს თუ არა

სიღარიბის შემცირებაზე, არსებობს თუ არა შესაბამისი რესურსები და სხვა. სოფლის მეურნეობისადმი ყოველივე პოზიტიურ თუ ნეგატიურ დამოკიდებულებას აქვს თავისი თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გარემოს სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად ძირეულად იცვლებოდა. ადგილობრივი ძალისხმევა მოხმარდეს უფრო ინტენსიურ არასასოფლო-სამეურნეო დარგებს. გარდა ამისა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა შეიძლება ცუდად იყოს ინტეგრირებული სხვა დარგებთან და მისი ღირებულების ზრდა კი მოკლე ჯაჭვს შეადგენდეს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სოფლის მეურნეობას, როგორც ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალას და სიღარიბის დაძლევის ეფექტურ გზას. მას სჭირდება საკმაოდ დიდი ინვესტიციები და სახელმწიფო ფინანსები, ირიგაციული სისტემების გაყვანილობა და სხვ., იგი ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და დამოკიდებულია როგორც მსხვილი ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე, ისე მცირე მეწარმეობის ეფექტიანობაზე.

რამდენადაც “ანტიმოდერნიზაციულად” უნდა აღვივდეთ, ქართულ ეკონომიკაში არსებული სურათი ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ცხოვრების დონის რეალური ზრდისთვის ამ ეტაპზე აგრარულ სექტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება. მეტიც, არსებობს იმ პროგნოზის გაკეთების საშუალებაც, რომ სწორედ აგრარულ სექტორს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის როლი ქართული ეკონომიკის 20-წლიანი ეკონომიკური დრეიფის დასაძლევად. აგრარულ სექტორზე მიმართული პოლიტიკა წარმოდგენილი უნდა იქნეს ფართო გაგებით და გააზრებული კომპლექსურად, მასში უნდა აისახოს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული წარმოება და სერვისები: რაც ქვეყნის ეკონომიკური ამადლების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

NONA AKHVLEDIANI

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

BIOECONOMICS AND SOCIO-ECONOMIC ASPECTS OF SUSTAINABLE AGRICULTURAL DEVELOPMENT (STATISTICAL ANALYSIS)

S u m m a r y

The article "bioekonomika and agricultural sustainable development of socio - economic aspects (statistical analysis), and bioekonomikis biomeurneobisa the role of agriculture in sustainable development, the socio - economic aspects of the (Statistical analysis), and bioekonomikis biomeurneobisa discusses the role of agriculture in sustainable development, the socio - economic aspects of the statistical analysis. From the comparative share of agriculture in GDP volatility, as well as the general statistics of agriculture, production of crops by livestock producers and others. Trends characterized the development of agriculture in the years 1990-2011, made the statistical analysis. It is considered to implement projects in agriculture, social and economic aspects. Should be noted that investments in Georgian agriculture sector is less interesting for foreign investors, which in recent years The agriculture sector has received foreign direct investment dinamikidana also clearly visible. It should be noted that the Georgian agricultural sector in terms of investments turned out to be less interesting for foreign investors, in recent years, the country received foreign direct investment in the agricultural sector in the boat dinamikidana Clearly visible. Hence it can be said that there is still much to be ghnisdziebebia revival of agriculture, which has great importance in the socio- economic conditions improving.

ТАТЬЯНА БАЛАНОВСКАЯ

Национальный университет биоресурсов и природопользования Украины

Кандидат экономических наук, ассоциированный профессор

ОЛЬГА ГОГУЛЯ

Национальный университет биоресурсов и природопользования Украины

Кандидат экономических наук, ассоциированный профессор

ОБЕСПЕЧЕНИЕ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ В КОНТЕКСТЕ БИОЭКОНОМИКИ

Глобализационные процессы, финансовые вызовы и угрозы мировой экономической системы требуют переосмысления принципов функционирования и развития современного агропромышленного производства. Обеспечение конкурентоспособности сельскохозяйственных предприятий и производство экологически

безопасного продовольствия должно происходить на принципах рационального природопользования и экологического равновесия.

Особое значение приобретает увеличение производства продукции на основе эффективного использования земной (невозобновляемой) энергии и рационального расхода возобновляемой энергии, а также обеспечения воссоздания энергии в агропромышленном производстве. Украина способна обеспечить весомый взнос в разрешение мировой проблемы продовольственной безопасности человечества, сформировав фундамент новой украинской экономики на принципах высоких технологий, в том числе биотехнологий и альтернативной энергетики.

Аграрный сектор является важной стратегической отраслью национальной экономики Украины, которая обеспечивает продовольственную безопасность и продовольственную независимость страны. В агропромышленном комплексе как сложной социально-экономической системе, которая включает разные структурообразующие элементы или подсистемы, центральное звено занимает сельское хозяйство с его мощным биоэнергетическим потенциалом, эффективная реализация которого будет способствовать рациональному использованию природных ресурсов, энергетическому сбережению и экологическому равновесию. Особенное место в составе последнего занимает отрасль животноводства.

Сегодня фактическое потребление основных продуктов животноводства в Украине в расчете на душу населения существенно отстает от научно обоснованных норм. В частности, производство мяса в 2012 году составляло 46,9 кг, молока 242,5 кг на 1 человека при физиологических нормах соответственно 80 кг и 380 кг [1]. При этом наблюдается тенденция относительно последующего сокращения объемов производства продукции животноводства. Поэтому, с целью приостановления негативных процессов и наращивания мощностей аграрного сектора экономики, одним из приоритетных заданий есть переход отраслей животноводства и растениеводства на инновационный путь развития. При этом одним из ключевых ориентиров должна стать Концепция «зеленой экономики», которая инициируется Программой ООН с окружающей среды и предлагает взглянуть на вызовы финансового, продовольственного, экономического и климатического кризисов с точки зрения макроэкономики, а также направить усилие и инвестиции на ключевые экономические сектора (промышленность, сбалансированное сельское хозяйство, лесная промышленность, восстанавливаемая энергетика, водоснабжение, транспорт, управление отходами и экологически дружелюбное строительство), заботясь в то же время и о стимулировании экономического развития, создании рабочих мест и преодолении бедности, о сокращении выбросов парниковых газов, более бережливом использовании природных ресурсов и уменьшении объемов отходов.

Основными направлениями современной инновационной деятельности в мировой агросфере признано агробiotехнологии (генная модификация, маркерная селекция, селекция сельскохозяйственных культур для производства биотоплива II поколения, создание биопестицидов, биоудобрений, ферментов), а также развитие экологически ориентированных систем земледелия и агрохозяйствования. Наиболее распространенными в настоящее время направлениями использования биотехнологий в агропродовольственной сфере является: получение семян ГМ-растений, стойких к химическим средствам защиты от болезней, паразитов, а также с усилением определенных качеств; производство пищевых добавок, метаболитов, вакцин для животных, биопестицидов, биодиагностикумов качественных характеристик продуктов, а также выведение новых пород животных; производство добавок к мясной продукции, дрожжей, ферментов для пивной, винной и молочной промышленности; биовозобновление почв.

Для инновационного развития сельскохозяйственных предприятий, в частности в отрасли животноводства, необходимы новые конструктивно-технологические решения, направленные на максимальное удешевление стоимости животноводческих помещений и способов содержания животных, эффективные способы повышения конверсии корма в продукцию, а также усовершенствование методов селекции и биотехнологии. Каждое направление животноводства базируется на таких основных составляющих: генетическом потенциале животных, особенностях кормления, кормовой базе, технологии содержания и финансовом обеспечении результатов ведения хозяйства. Интенсификация этих составляющих является главным заданием современной науки.

В украинской науке происходит непрерывный процесс совершенствования производительности сельскохозяйственных животных путем широкого применения искусственного осеменения, биотехнологических методов воссоздания лучшего племенного материала, конструирования новых генотипов. Последние достижения в отрасли клеточной и генетической инженерии подтверждают большие потенциальные возможности биотехнологии для получения в достаточном количестве экологически безопасных продуктов, выращивания и размножения высокопродуктивных животных, получения ценных биологически активных

веществ медицинского назначения от генетически модифицированных животных и тому подобное. Однако интенсификация селекционного процесса ускоряет темпы замены или поглощения неконкурентоспособного племенного материала, каким прежде всего, оказываются местные породы. Происходит вытеснение племенного материала локальных пород, уменьшается их численность, в результате чего стремительно сужается естественное разнообразие животных. Таким образом, рождается проблема поддержания необходимого уровня биологического разнообразия в экологических системах.

Инновационные процессы в сельском хозяйстве имеют свою специфику, predetermined многообразием региональных, отраслевых, функциональных, технологических и организационных особенностей, а также зависимостью отрасли от природно-климатических условий, использованием в производственном процессе биологических активов – растений, животных, земли; несовершенством уровня организации менеджмента инновационных процессов; значительно более высокими, по сравнению с другими отраслями, производственно-финансовыми рисками. Анализируя инновационные процессы в животноводстве, можно выделить три типа инноваций: селекционно-генетические, производственно-технологические и организационно управленческие [2]. В связи с этим при повышении уровня конкурентоспособности животноводства и обеспечении имиджа его товаропроизводителей большое значение имеет системный подход. Любое достижение научно-технического прогресса, направленное на развитие отрасли, будет эффективно использоваться только в том случае, если оно будет включено в определенную технологию. Инновации могут иметь разноплановый характер и применяться на всех стадиях производственного процесса.

Функционирование сельскохозяйственных предприятий, которые специализируются на производстве продукции предопределяет накопление значительного количества органических отходов, что влечет серьезные экологические проблемы. Это противоречит современному содержанию понятия «имидж предприятия», которое несколько трансформировалось в контексте гарантирования безопасности окружающей среды и сохранения здоровья нации. Особенного внимания в данном аспекте требуют большие свиноводческие комплексы (мощностью свыше 100 тыс. голов в год), которые характеризуются высоким уровнем концентрации производства. Сегодня большое количество свиноводческих хозяйств не имеют эффективных очистительных сооружений, используют устаревшие технологии и оборудования. Технология содержания животных на соответствующих комплексах – преимущественно бесподстилочная. Очистительные сооружения не в состоянии переработать и рационально использовать большой объем навоза, особенно жидкой консистенции. Существующие отстойники, которые являются серьезными загрязнителями окружающей среды, не решают экологические проблемы, а усложняют их. Это приводит к тому, что в условиях современного промышленного производства свинины происходит крайне негативное влияние на природу. Например, на предприятиях с полным циклом производства мощностью 108 тыс. голов свиней в год происходит накопление продуктов жизнедеятельности животных в объеме около 250-300 т ежедневно и 1 млн м³ навозных стоков ежегодно.

Согласно требованиям мировой экономики, одним из направлений решения экологических проблем и снижения расходов производства предприятий, которые занимаются выращиванием свиней, можно считать внедрение и использование биогазовых установок. Данные установки предназначены для безотходной, экологически чистой переработки разных органических отходов сельскохозяйственного производства на биогаз, который образуется в процессе распада органических соединений при отсутствии кислорода и в дальнейшем может конвертироваться в электрическую и тепловую энергию, экологически чистые жидкие или твердые органические удобрения. Результаты исследований ученых позволяют утверждать, что производство биогаза будет способствовать одновременному решению ряда важных экологических проблем. При производстве биогаза обеспечивается решение вопроса утилизации органических отходов, которые в данном случае выступают в качестве сырья. В результате работы биогазовой установки можно получать высококачественные биоудобрения, которые являются экологически чистыми, лишены нитратов и нитритов, семян сорняков, патогенной микрофлоры, яиц гельминтов, специфических запахов. Это позволяет уменьшить использование химических удобрений, снизить нагрузку на грунтовые воды и повысить урожайность сельскохозяйственных культур. Более того, зерно и другие растения, выращенные на «чистых полях», имеют стоимость в 1,5-2,5 раза выше при их экспорте в Европу. В этом контексте органические удобрения приобретают особенную актуальность.

Еще одним позитивным моментом есть то, что процесс производства биогаза происходит без доступа воздуха, запахи при этом не распространяются и таким образом разрешается проблема обезвреживания неприятных запахов.

Полученный биогаз можно сжигать в котлах как природный газ, использовать для получения тепловой и электрической энергии, после удаления углекислого газа – для заправки автотранспорта [3]. Это позволяет

предприятию сократить расходы на подогрев воды, отопление и освещение технологических помещений, горючее и тому подобное в расчете на единицу прироста живой массы или одну голову свиней, которая приводит к снижению себестоимости продукции свиноводства. Таким образом, производство биогаза может быть одной из составляющих комплекса мероприятий по решению экологических проблем, связанных с наличием больших объемов органических отходов на свинокомплексах, а также резервом сокращения производственных расходов и, соответственно, повышения конкурентоспособности свинины.

Биогазовые технологии начинали свое развитие с переработки сравнительно небольших объемов сырья. Однако европейский опыт показал, что такого рода технологии экономически целесообразно внедрять только при больших объемах. Поэтому для мелких предприятий биогазовая установка является скорее инфраструктурным проектом, основная задача которого – экологически безопасная утилизация отходов.

Одним из сдерживающих фактов реализации биогазовых проектов в Украине является недостаток недорогого долгосрочного финансирования, сложность подключения к электро- и газовым сетям, неуверенность заказчиков в сроках окупаемости, нестабильная экономическая ситуация в стране и отсутствие рынка биоудобрений. Сегодня концепция украинских биогазовых проектов – это самостоятельное использование полученных ресурсов по следующей схеме: производство собственного биогаза дает возможность уменьшить себестоимость основного производства; изготовление органических удобрений способствует уменьшению объема закупок минеральных удобрений и соответственно увеличению количества продукции растениеводства; производство экологически «чистой» продукции дает возможность завоевать высокие конкурентные позиции и получить дополнительный экономический эффект.

Учитывая, что на современных свиноводческих предприятиях накапливается как жидкий, так и твердый навоз, наилучшее решение проблемы переработки отходов – сочетание технологий анаэробного сбраживания и ускоренного биотермического компостирования.

Выбор технологии зависит от влажности навоза, который накапливается. Если практикуется бесподстилочное содержание и, соответственно, создается жидкий навоз, оптимальный выход – применение биогазовых установок (исходные продукты – биогаз и биоудобрение). Если используется глубокая подстилка, целесообразно использовать технологию ускоренного биотермического компостирования, что позволяет получать органические удобрения высокого качества. Если же на свинокомплексе есть отходы разной влажности, то лучше всего соединить обе технологии.

Такое компостирование, в отличие от анаэробного сбраживания, сопровождается значительным высвобождением тепловой энергии, которую используют непосредственно в технологическом процессе для обеззараживания патогенной микрофлоры, испарения избыточной воды (влажность компоста должна быть в пределах 55–60 %), прекращения прорастания семян сорняков, и тому подобное. Техническое обеспечение технологии компостирования достаточно простое и не нуждается в существенных капиталовложениях. Основное техническое средство – смеситель-аэратор компостных смесей, который выполняет полный комплекс технологических операций: смешивание компонентов, формирования и перелопачивания буртов, механическую аэрацию (насыщение кислородом), увлажнение компостных смесей. Диапазон оптимальных температур: от 55⁰ С до 60⁰ С.

С внесением 1 т сброженного жидкого навоза свиней в почву поступает около 90 кг сухих веществ (69 кг органики, 10,5 кг NPK). То есть, биогенная составляющая 1 т сброженной массы не превышает 9%, все остальное – вода. Внесение 1 т компоста обогащает почву сухим веществом в пределах 396 кг (344 кг органики, 41,7 кг NPK). Это значит, что биогенная составляющая компоста составляет по меньшей мере 40 % и эквивалентна содержанию действующих веществ комплексных минеральных удобрений (рис. 1). Для хранения жидких органических удобрений необходимо сооружение дополнительных резервуаров, тогда как компосты могут находиться на открытых площадках или в полевых буртах к моменту их использования. Жидкие органические удобрения вносят поверхностным или внутрипочвенным способом, последний в частности, нуждается в дополнительной обработке – разделении сброженной массы на фракции. При этом компост, изготовленный путем ускоренного биотермического компостирования, не загрязняет поверхность почв и грунтовых вод, а также уменьшает транспортные затраты на внесение на поля.

В последнее время за рубежом широко используют биогазовые установки с твердофазной ферментацией отходов (уровень влажности передельываемого субстрата в пределах 60–75%) – сухие биоферментаторы. Преимущества такой технологии заключаются у возможности сочетания анаэробного сбраживания и компостирования отходов животноводства. Среди ее очевидных экологических преимуществ – безотходность, минимизация выбросов вредных газов и полный цикл переработки навоза. Относительно энергетической составляющей, биогаз используют исключительно для получения тепловой энергии и реализации

технологических задач [4]. Следовательно, методы анаэробного сбраживания и ускоренного биотермического компостирования направлены на превращение потенциально опасных для биосферы отходов в безопасные и полезные продукты.




Рис.1. Удельное содержание биогенных веществ в одной тонне минеральных и органических удобрений [Всеукраинский журнал «Прибыльное свиноводство». - №5 (11), октябрь в 2012 г.]

С целью стимулирования производства и использования биогаза, в Украине предприятия, которые производят биотопливо, на 10 лет будут полностью освобождены от уплаты налога на прибыль, НДС и акцизных сборов. Но, уже с 1 января 2012 года из тех предприятий, которые не будут утилизировать отходы на биотопливо стягиваться штрафы, а введение в эксплуатацию объектов на которых не предусмотрена утилизация отходов - запрещено.

Выводы и перспективы последующих исследований. Вопрос влияния результатов ведения хозяйства на экосистему необходимо учитывать еще на стадии проектирования животноводческих комплексов, и непосредственно, в процессе управления производством. Соблюдение принципов рационального природопользования в менеджменте предприятий аграрной сферы обеспечит повышение уровня конкурентоспособности сельскохозяйственной продукции и будет способствовать решению определенных экологических проблем.

В частности одним из эффективных путей решения проблемы утилизации отходов производства для сельскохозяйственных предприятий специализирующихся на выращивании свиней, может стать использование биогазовых установок. Это позволит также полностью или частично обеспечить производственные и технологические процессы тепловой и электрической энергией за счет использования биоотходов.

Следовательно, производство и использование биогаза в сельскохозяйственных предприятиях будет способствовать, в первую очередь, улучшению экологической ситуации вокруг этих предприятий, повышению имиджа товаропроизводителя, а также является резервом сокращения производственных расходов и, соответственно, повышения конкурентоспособности продукции за счет позитивного влияния отмеченных факторов.

Литература:

1. Сельское хозяйство Украины в 2012 г. – К.: Госкомстат Украины. - в 2013 г.
2. Пуцентейло П. Инновационное обеспечение развития животноводства Украины// Тезис Интернет-конференции 6-7 декабря 2012 року/ Электронный ресурс доступен из: [http://confiapv.at.ua/publ/konf_6_7_12_2012_r/48]
3. Корсун С.Г. Влияние производства и использование биотоплива на окружающую среду / С.Г. Корсун, С.М. Питель // Научный вестник НУБиП Украины. – 2009. – № 142/1. – С. 99-103
4. Всеукраинский журнал «Прибыльное свиноводство». - №5 (11), октябрь 2012 г.

TATYANA BALANOVSKA

National University of Life and Environmental Sciences of Ukraine, PhD in Economics, Associate Professor

OLGA GOGULYA

National University of Life and Environmental Sciences of Ukraine, PhD in Economics, Associate Professor

PROVIDING OF STEADY DEVELOPMENT OF AGRICULTURAL ENTERPRISES IS IN THE CONTEXT OF BIOECONOMICS

Summary

Necessity of observance of harmonious exploitation principles in the management process of agricultural enterprises as a pre-condition competitiveness support of stock-raising in Ukraine is proved in this article.

Exploitation, bioeconomics, biotechnologies, management, competitiveness, ecological situation

ხათუნა ბარბაქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი

სადაზღვევო მომსახურების რეგიონალური მარკეტინგი

საქართველოში სადაზღვევო მომსახურებების რეგიონალური ბაზარი მეტ-ნაკლებად წარმატებით არსებობს და ვითარდება. სადაზღვევო კომპანიების უმეტესობა განაგებულა თბილისში მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის კომპანიებს აქვთ ფილიალების დიდი და საკმარისად განვითარებული ქსელი, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიცვან რეგიონალური სადაზღვევო ბაზარი.

მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ბაზარს გააჩნია შემდგომი განვითარების მდგრადი ტენდენცია, აუცილებელია ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა, როგორცაა, მაგალითად, დამზღვევების დაცვა არაკეთილსინდისიერი მზღვეველებისაგან, მოსახლეობაში დაზღვევის მომსახურებების პოპულარიზაცია, პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, დამზღვევთა მიერ მზღვეველების შესახებ უტყუარი ინფორმაციის არქონა და ა.შ.

მოცემული პრობლემების ნაწილის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ შესაბამისი დადგენილებების, ბრძანებების, კანონების შესწორებების მიღების გზით, საკითხების დარჩენილი ნაწილის გადაჭრა თავისუფლად შეუძლიათ თვითონ მზღვეველებს. და ამისათვის აუცილებელია, რომ სადაზღვევო კომპანიებმა ფართოდ დანერგონ მარკეტინგული სამსახურების პრაქტიკა.

2012 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ გაფორმებული პოლისების რაოდენობა 3.5 მილიონს შეადგენს და წინა წლის მონაცემთან შედარებით 34%-ით არის გაზრდილი, აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია ახალი სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებით. მისი წილი მთლიანად გაფორმებულ პოლისებში 26.8%-ია.

უნდა აღინიშნოს, რომ გაცემული პოლისების მთლიან რაოდენობაში მაღალი პროცენტული წილი, სამედიცინო დაზღვევის შემდეგ (69.1%), სიცოცხლის დაზღვევაზე მოდის (14.4%). აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის დაზღვევაში დიდ ნაწილს სამედიცინო დაზღვევასთან კომბინირებული პოლისები მოიცავს.

2012 სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ 537.8 მილიონი ლარი შეადგინა. მოზიდული პრემიის მიხედვით, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაცია (5 წამყვანი მზღვეველი) 65.3%-ს შეადგენს, რაც 2011 და 2010 წლების მაჩვენებლებთან შედარებით, შესაბამისად 6.4 და 13.0 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

სადაზღვევო პოლისის მფლობელები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. პირველი – დაზღვეულები რაიმე შემთხვევითი ფაქტორების ზეგავლენის გამო. მეორე – დაზღვეულები ტრადიციის გამო, რომლებიც დარწმუნებულნი არიან სადაზღვევო კომპანიების საიმედოობაში. და ბოლოს – ისინი, ვინც შეგნებულად შეარჩია სადაზღვევო კომპანია: ან რეკლამის გავლენით, ან ნაცნობების რეკომენდაციით.

სადაზღვევო მარკეტინგი – ეს არის მზღვეველის და დამზღვევის ურთიერთმოქმედების სისტემა, რომელიც მიმართულია ინტერესებისა და მოთხოვნების ურთიერთგათვალისწინებაზე.

ხშირად სადაზღვევო მარკეტინგის ქვეშ იგულისხმება მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია მზღვეველის მოგების მაქსიმიზაციისაკენ მომხმარებელთა მოთხოვნების უფრო სრულყოფილად გათვალისწინების ხარჯზე.

სადაზღვევო მარკეტინგი, ისევე როგორც საერთოდ მარკეტინგი, მოიცავს:

- ბაზრებისა და საკუთარი სადაზღვევო პორტფელის გამოკვლევას;
- სადაზღვევო პროდუქტების (მომსახურებების) მიმართ მოთხოვნების შემუშავებას;
- სადაზღვევო პროდუქტების ბაზარზე მიწოდებას.

ბაზრების გამოკვლევა – ეს არის პოტენციური კლიენტურის შესწავლა ისეთი სამომხმარებლო ჯგუფების გამოყოფის მიზნით, რომელთა სადაზღვევო კომპანიაში მოზიდვა, როგორც დამზღვევეებისა, მზღვეველს მოუტანს ყველაზე მეტ მოგებას. სადაზღვევო ბაზრის გამოკვლევა გულისხმობს მის სეგმენტაციას, მიზნობრივი სეგმენტების (უფრო მეტი უპირატესობის მქონე) გამოყოფას და ხორციელდება პოტენციური კლიენტურის თვისებების გათვალისწინებით, კერძოდ:

- დამზღვევის სადაზღვევო მოთხოვნები;
- გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განაწილება;
- მომხმარებლების გადახდისუნარიანობა;
- რეკლამის და სხვა საშუალებების დახმარებით კლიენტურაზე ზემოქმედების შესაძლებლობა, რომლის მიზანია, დაარწმუნოს კლიენტები მისი სადაზღვევო პროდუქტის შექენაში;
- კომპანიაში კლიენტურის მოზიდვის ღირებულება;
- კლიენტების სადაზღვევო მოთხოვნებისა და უპირატესობების ევოლუციის შესაძლო მიმართულებები;
- სადაზღვევო ბაზრების კონკურენტულობა და კონკურენტების შესაძლო მოქმედებები;
- სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკის დონის შეფასება დამზღვევთა სხვადასხვა ტიპებისათვის;
- სადაზღვევო მოვლენის საშუალო ღირებულების შეფასება პოტენციური დამზღვევების სხვადასხვა ჯგუფებისათვის.

ბაზრის სეგმენტაციის დროს უპირატეს ფაქტორად გვევლინება დემოგრაფიული მაჩვენებელი. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ საზღვარგარეთ შეიძლება ნებისმიერ თანხად ყველაფრის დაზღვევა. ქმარი აზღვევს ცოლს, ცოლი – საყვარელ კატას, კინოს ვარსკვლავები – სილამაზეს, ფეხებს, მკერდს. თუ უცხოეთში სამედიცინო დაზღვევის პოლისი იძლევა სრული და ხარისხიანი მომსახურების გარანტიას, ჩვენთან ეს არის გრძელი რიგები, ექიმი – სპეციალისტების ნაკლებობა.

ამის გამო აუცილებელია საქართველოს რეგიონების სადაზღვევო ბაზრების გამოკვლევა, მოსახლეობისა და საწარმოების ხელმძღვანელების სადაზღვევო კულტურის განვითარება და შემდგომი ამაღლება. ჩვენთან ხომ სადაზღვევო კომპანია მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც უბედურება მოხდება. ჩვენს ქვეყანაში კი საკმარისად არის რეგიონები, რომლებიც პოტენციურად საშიშია როგორც ადამიანების საცხოვრებლად, ისე საწარმოების ორგანიზაციისათვის. აუცილებელია სადაზღვევო პროდუქტების და აგრეთვე მათი ბაზარზე გატანის მეთოდების მიმართ განსაზღვრული მოთხოვნების შემუშავება, მოცემული რეგიონის და იქ მცხოვრები მოსახლეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სადაზღვევო პროდუქტების მიმართ მოთხოვნების შემუშავება – არის მათი იმ თვისებების განსაზღვრის პროცესი, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ დამზღვევების მოთხოვნებს და შეესაბამებიან სამომხმარებლო უპირატესობებს.

აღნიშნულს მიეკუთვნება:

- დასაზღვევად მიღებული ინტერესები (დაზღვევის ობიექტები);
- დაზღვეული რისკები (სადაზღვევო დაფარვა);
- სადაზღვევო პროდუქტის ფასი;
- ზარალის ანაზღაურების გარდა, მზღვეველის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურებები (იურიდიული მომსახურება, დაზიანებული ქონების რემონტი და ა.შ.);
- კლიენტის მომსახურების ხარისხი და სისრულე სადაზღვევო ხელშეკრულების მსვლელობის სტადიაზე.

ბაზარზე სადაზღვევო პროდუქტების გატანა (პროდუქტის კომერციალიზაცია) წარმოადგენს:

- პოტენციური მომხმარებლების ინფორმირება არსებული სადაზღვევო პროდუქტის და მისი დადებითი მხარეების შესახებ, პოტენციური დამზღვევის დარწმუნება სადაზღვევო დაფარვის შექმნის აუცილებლობაში (სადაზღვევო პროდუქტის მიზნობრივი რეკლამა);
- სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვების სტიმულირება მთლიანობაში სადაზღვევო კომპანიის მიმზიდველობის ამადლების ხარჯზე (მზღვეველის იმიჯის რეკლამა);
- სადაზღვევო პროდუქტის გასაღების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გაყიდვების ყველაზე მაღალ ეფექტურობას;
- გასაღების სტიმულირება დამზღვევებისათვის ფასდაკლებების სისტემის, სადაზღვევო მომსახურებათა გამყიდველებისათვის პრემიების სისტემის, ასევე გაყიდვების ადგილზე კონკურსების, ლატარეის, რეკლამის საშუალებით.
- სადაზღვევო მარკეტინგის საბოლოო მიზანი, მისი უფრო ვიწრო გაგებით, შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით: “მოიძებნონ ისეთი დამზღვევები, რომლებიც კომპანიას მოუტანენ უფრო მეტ შემოსავალს, მათი მოზიდვისა და მათი სადაზღვევო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით. ეს არის ხელოვნება – ასიათონო კლიენტს და ამავე დროს კმაყოფილი იყვნენ სადაზღვევო კომპანიის შესაკუთრები”. ამიტომ სადაზღვევო მარკეტინგი ვერ იქნება ეფექტური, თუ ის არ ემყარება პოტენციური და არსებული სადაზღვევო ბაზრების (კლიენტურის) ანალიზს, ანუ სადაზღვევო მარკეტინგი ძირითადად წარმოადგენს კლიენტურის შემოსავლიანობის და ბაზრების წინასწარ ანალიზს, მათი მოპოვების და შენარჩუნების მეთოდოლოგიას.

სადაზღვევო მარკეტინგსა და მის სპეციფიკაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს სადაზღვევო საქმის სპეციფიკა, მომსახურებების ყიდვა-გაყიდვისა და წარმოების თავისებურებები სადაზღვევო დაცვის მხრივ.

სადაზღვევო მარკეტინგი, მთლიანობაში წარმოადგენს კომპლექსურ ეკონომიკურ მოვლენას, რომლის მოქმედების სფეროში ხვდებიან ცალკეული პირები, საოჯახო მეურნეობები; ეკონომიკის ყველა დარგის საწარმოები; სახელმწიფო.

ამის გამო, სადაზღვევო მარკეტინგი უნდა მოიცავდეს ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც გამომუშავებულია მარკეტინგის სხვა სახეების წარმოშობისა და განვითარების დროს, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ, როგორც, მაგალითად, განსხვავდებიან ხერხები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენება კერძო მომხმარებლებთან და საწარმოო სფეროს საწარმოებთან მუშაობის დროს.

სადაზღვევო საქმეში წარმოების პროცესი არ საჭიროებს სპეციალურ მოწყობილობებს, ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს, მზღვეველის ძირითადი საწარმოო რესურსებია სადაზღვევო რეზერვები და ფონდები; სპეციალისტები, რომლებიც მართავენ ამ რეზერვებსა და ფონდებს; და ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ადამიანების მუშაობას. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო მარკეტინგი თავისი ძალების კონცენტრირებას ახდენს სწორედ ამ სპეციფიკური რესურსების გამოყენების ეფექტურობის გასაზრდელად, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებლების მოთხოვნა და მიაღწიოს საწარმოს ძირითად კომერციულ მიზანს.

სადაზღვევო მარკეტინგის, ისევე როგორც მარკეტინგის ნებისმიერი სახის, მიზანია ცალკეული ფირმის მიერ მის მიზნობრივ ბაზარზე ურთიერთკავშირის დამყარება კლიენტებთან და კლიენტების მოთხოვნის ყველაზე უფრო სრულად დაკმაყოფილების გზით ფირმის ძირითადი კომერციული მიზნის მიღწევის უზრუნველყოფა. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, სადაზღვევო მარკეტინგი წარმოადგენს სპეციფიკურ ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც არსებითად განსხვავდება ეკონომიკური ცხოვრების სხვა სფეროების მარკეტინგისაგან, რაც გამოწვეულია დაზღვევის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური როლით და მისი განსაკუთრებული ადგილით ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში და საზოგადოებრივი წარმოების პროცესში. მაგრამ სადაზღვევო მარკეტინგის სპეციფიკა ასევე განპირობებულია თვითონ სადაზღვევო პროდუქტის და დაზღვევის პროცესის თავისებურებებით, მათი განსხვავებებით სხვა საქონლისა და ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეებისაგან.

მზღვეველს შეუძლია თავის სასაქონლო პროდუქტად განიხილოს პოლისები, როგორც სადაზღვევო დაფარვის დაპირების მატარებელი, ისევე, როგორც ავიაკომპანიას შეუძლია თავის სასაქონლო პროდუქტად განიხილოს ადგილები თვითმფრინავში. მაგრამ მომხმარებელმა შეიძლება არ მიიღოს ასეთი მიდგომა, ჩათვალოს ის ძალიან ანგარებიანად, ვინაიდან თვითონ მომხმარებელი

განიხილება როგორც მხოლოდ “მიზანი” გაყიდვისათვის. ამ შემთხვევაში ურთიერთქმედება, სავარაუდოდ, არ შედგება და კლიენტი დაიკარგება. ამის გაგება ძნელი არ არის, ვინაიდან მომხმარებელს თავიდანვე სურს არა მხოლოდ სადაზღვევო მომსახურების ყიდვა, არამედ მისი დახმარებით საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა. ამასთან დაკავშირებით, სადაზღვევო მარკეტინგის ჩარჩოებში, ჩვენი აზრით, შეთავაზებული უნდა იყოს არა სტანდარტული (ყველა კლიენტისათვის ერთნაირი) მომსახურებები სადაზღვევო პოლისების სახით, არამედ მომსახურებების განსაზღვრული ნაკრები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გადაიჭრას კონკრეტული პრობლემები, რომლებიც მოცემულ ადამიანს გააჩნია დროის მოცემულ მომენტში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ მოთხოვნა დაზღვევაზე პასიურია და ბევრ შემთხვევაში პოტენციურ კლიენტს ვერც კი წარმოუდგენია, რომ მას თავისი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია დაზღვევის დახმარებით. ასე რომ, სადაზღვევო მარკეტინგმა სადაზღვევო სასაქონლო პროდუქტი უნდა განიხილოს, როგორც რთული კონცეფცია, რომლის ცენტრშიც არის მომხმარებლის მოთხოვნა, რომელიც წარმოდგენილია ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნებილების ჯგუფით.

კომპლექსური რეალიზაციის თვალსაზრისით სადაზღვევო მომსახურებას გააჩნია სამდონიანი სტრუქტურა:

- თვითონ მომსახურება (ცენტრალური პროდუქტი) – საკუთრივ სადაზღვევო გარანტიები და მათი მატერიალიზაცია;
- მომსახურების უზრუნველყოფა (მოსალოდნელი პროდუქტი), რომელიც მოცავს დაზღვევის საერთო და განსაკუთრებულ პირობებს, ხარისხის განსაზღვრულ მახასიათებლებს, საფირმო ნიშანსა და ა.შ., მომხმარებლების მოლოდინების გათვალისწინებით;
- მომსახურების უზრუნველყოფა (გაფართოებული პროდუქტი) – მისი მიცემა კლიენტისათვის, რომელიც შევსებულია მიწოდების სისტემით, სადაზღვევო შემთხვევებზე პრეტენზიების განხილვის წესით და სხვა დამატებითი მომსახურებებით.

სადაზღვევო მარკეტინგის ჩარჩოებში მთელი ეს სამდონიანი სტრუქტურა უნდა გარდაიქმნეს მომხმარებლის პრობლემების გადაწყვეტის პროცესად. სადაზღვევო მომსახურებისადმი ასეთი მიდგომა კიდევ იმითაც არის განპირობებული, რომ მისი სამდონიანი სტრუქტურა მოიცავს რისკების სტანდარტულ ჩამონათვალს. მზღვეველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი კონკურენტული უპირატესობები, რისთვისაც მთელი ყურადღება უნდა გადაიტანონ თითოეული კლიენტის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე.

სადაზღვევო მომსახურების არსის და სადაზღვევო მარკეტინგზე მისი გავლენის უფრო სრულად გასაგებად აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ დაზღვევა აწარმოებს და რეალიზაციას უკეთებს არა უბრალოდ მომსახურებას, არამედ სპეციფიკურ ფინანსურ მომსახურებას, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანების უსაფრთხოების, უპირველეს ყოვლისა კი ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს. სადაზღვევო დაცვა – ეს არის მომსახურების სპეციფიკური სახე, რომლის ინდივიდუალური მატერიალიზაცია (სადაზღვევო გადახდა) დამზღვევისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება მოხდეს და შეიძლება არც მოხდეს და ეს გათვალისწინებულია სარისკო დაზღვევის პირობებით. ამავე დროს, მხარეების მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების დადების და დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის მომენტიდან ეს მომსახურება მისთვის უკვე არსებობს, როგორც ზარალის ანაზღაურების გარანტია სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს, რაც უზრუნველყოფს კლიენტის სიმშვიდესა და თავდაჯერებულობას ბიზნესთან და/ან სიცოცხლესთან დაკავშირებით. ანუ ინდივიდუალური არამატერიალიზებული სადაზღვევო მომსახურების გაყიდვა – პირობებია, დაცვის გარანტიები კი ყოველთვის წინ უსწრებს სადაზღვევო გადახდის სახის მქონე ინდივიდუალურად მატერიალიზებული სადაზღვევო მომსახურების წარმოების პროცესს.

ზემოთ ნათქვამიდან შესაძლებელია გამოიყოს ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც შეადგენენ მარკეტინგის კომპლექსს დაზღვევაში: **სადაზღვევო პროდუქტი**. სადაზღვევო მარკეტინგში არ შეიძლება შემოვიფარგლოთ სადაზღვევო პროდუქტის ტრადიციული გაგებით, რაც გულისხმობს პოლისს, როგორც სადაზღვევო დაფარვის იურიდიულ მატარებელს. სადაზღვევო სასაქონლო პროდუქტი უნდა განიხილებოდეს, როგორც კონკრეტულ დროს კონკრეტული მომხმარებლის განსაზღვრული პრობლემების გადაწყვეტის პროცესი. ამასთანავე, ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ზემოთ განხილულ ინტერაქციის ყველა საკვანძო ეტაპს. მან მომხმარებლისათვის უნდა უზრუნველყოს პროდუქტის მაქსიმალური ხელშესახებობა და გაგების ხარისხი, მიუხედავად იმისა,

რომ სადაზღვევო მომსახურების წარმოება სადაზღვევო გადახდის სახით ხდება მხოლოდ მისი გაყიდვის შემდეგ.

მზღვეველის პერსონალი და შიდასაფირმო კულტურა. კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მზღვეველისა და შუამავლის შიდასაფირმო კულტურა წარმოადგენს გარემოს, სადაც ხდება პოლისების შექმნა. შიდა კომუნიკაციების სისტემამ, თანამშრომლების ორიენტირებმა და მოტივაციამ სადაზღვევო სასაქონლო პროდუქტს მომხმარებლების თვალში შეიძლება დამატებითი ფასეულობა შესძინოს (ან პირიქით, შეამციროს).

სადაზღვევო სასაქონლო პროდუქტის მიწოდების სისტემა აქტიურად ზემოქმედებს მის წარმოებაზე და შეუძლია მას დამატებითი ფასეულობა შესძინოს კონკრეტული კლიენტისათვის. მიწოდების სისტემა პოლისის ყიდვას შემთხვევითი ერთჯერადი გადაწყვეტილებიდან გარდაქმნის ხანგრძლივი ურთიერთობების განვითარებად.

სადაზღვევო კომპანიის იმიჯი. დამზღვევის თვალში მზღვეველის დადებითი იმიჯის, მაღალი საიმედოობის გარეშე შეუძლებელია სადაზღვევო მომსახურების გაყიდვის ორგანიზება, ვინაიდან საწყის სტადიაზე ის ყოველთვის წარმოგვიდგება, როგორც დაპირება, რომლისთვისაც კიდევ საჭიროა ფულის გადახდაც.

აქტიური დამზღვევი. დაზღვევა, ისევე როგორც მომსახურების გაყიდვისა და წარმოების ნებისმიერი სახე, ხორციელდება დამზღვევთან პირისპირ და ის წარმოებაში ასრულებს საკმაოდ აქტიურ როლს. ამის შედეგად, მზღვეველი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ კლიენტი დაინტერესებული იყოს მასთან მუშაობით, მას (კლიენტს) დაეხმარება აქტიური პარტნიორის პოზიციის დაკავებაში და შეძლებს თავისი მომხმარებელი ჩართოს მარკეტინგის საკუთარ კომპლექსში.

ზემოთ განხილულიდან ჩანს, რომ რეგიონალური სადაზღვევო მარკეტინგის კომპლექსი წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელშიც მჭიდროდ ურთიერთქმედებენ სპეციფიკური სადაზღვევო სასაქონლო პროდუქტი, ამ პროდუქტის მიწოდების სისტემა, შიდასაფირმო კულტურა, მზღვეველის იმიჯი და აქტიური მომხმარებელი.

ცნობილია მარკეტინგის ორი ძირითადი ფუნქცია:

- სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნის ჩამოყალიბება;
- სადაზღვევო ინტერესების დაკმაყოფილება.

სადაზღვევო ბაზარზე მოთხოვნის ფორმირებისას კლიენტურის მოსაზიდად მიმართავენ მთელ რიგ ღონისძიებებს. ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია იყენებს ყველა დასაშვებ მეთოდს და საშუალებას (მიზანმიმართული რეკლამა, სადაზღვევო მომსახურების ტარიფების დიფერენციაცია, გამოფენის ორგანიზება, ტექნიკური და იურიდიული მომსახურება და ა.შ.).

მარკეტინგის სტრატეგია და ტექტიკა მდგომარეობს არა მარტო სადაზღვევო ბაზრის მოპოვებაში, არამედ ჩამოყალიბებულ მოთხოვნაზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაში, რათა საჭიროებისამებრ გარდაქმნას კონკურენციული ბრძოლის სტრატეგიული პროგრამები და ტაქტიკა.

სადაზღვევო ინტერესების დაკმაყოფილება ხდება მაღალიკულტურის სადაზღვევო მომსახურების დახმარებით, სადაზღვევო კომპანიების კარგად ორგანიზებული მუშაობით, მზღვეველის იმიჯის მხარდაჭერით და ა.შ.

სადაზღვევო ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი მიმდინარეობს ცალკეული რეგიონალური ბაზრის ჭრილში, მისი განცალკავებული სეგმენტების შესწავლით განსაზღვრულ გეოგრაფიულ რაიონებში. მიღებული შეფასება გამოიყენება მოკლევადიანი (1 წელი) და გრძელვადიანი (5 წლამდე) პროგნოზების შემუშავებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. გიგოლაშვილი, სადაზღვევო საქმე, თბ., 2010
2. ჯ. შათირიშვილი, ნ. კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე თბ., 2012
3. Балабанов И.Т., Балабанов А.И., Страхавоние. М., 2004;
4. Скамай Л.Г., Страхавое дело. М., 2004;
5. www.strahovka.info;
6. www.nbg.ge

REGIONAL MARKETING OF INSURANCE SERVICES

Summary

Georgian's regional market for insurance services is existed and developed more - or less successfully. Insurance companies are located in Tbilisi, but it should be noted that the companies have sufficiently large and developed network of branches, which allows them to cover the regional insurance market. Insurance marketing represents a specific economic event, which is significantly different from other economic sectors in marketing.

Marketing strategy and tactics is not only to obtain the insurance market, but also created the demand for constant control over the implementation of the strategic programs and tactics needed to transform the competitive struggle.

ნონო ბარბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
MRICS, აუდიტორ-შემფასებელი

სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების მასობრივი

შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომა

ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად მიდის მიწის, მათ შორის სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების ბაზრის ფორმირება. მიწის ნაკვეთების შეფასებული საბაზრო ღირებულება საფუძველად ედება სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების ნორმატიულ (მასობრივი შეფასების ღირებულების) ღირებულებას, რის საფუძველზეც იანგარიშება მიწაზე გადასახადის ოდენობა.

ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების შეფასების თეორიული და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას. შეფასების მეთოდოლოგიის გარდა ასევე მწვავედ დგას ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე ბაზრის მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისი ანალიზის შესრულება.

არსებული მეთოდოლოგიური მიდგომები არ იძლევა ცალსახა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს აღნიშნული მიზნისათვის სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების შეფასება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და პრაქტიკა ძლიერ განსხვავდება. საქართველოში სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით საკმაოდ დინამიურად და სწრაფად ჩატარდა პრივატიზაციის პროცესი, რაც მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ეკონომიკისათვის დადებით ბიძგს წარმოადგენდა.

თუ გადავხედავთ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების გამოცდილებას, მრავალფეროვან სურათს დაინახავთ, რადგან მიწის პრივატიზაციის პროცესი ყველა ქვეყანაში თავისი თავისებურებებით წარიმართა. მაგალითად, რუსეთში მიწა ჯერ კიდევ სახელმწიფოს მფლობელობაშია და ყიდვა გაყიდვის პროცესში მხოლოდ ირიბად მონაწილეობს,¹ უკრაინასა და ყაზახეთში ფაქტიურად შეუძლებელია თავისუფალ ბაზარზე პირდაპირი გაყიდვების შესახებ ინფორმაციის მიღება და ამიტომაც სასოფლო სამეურნეო მიწის შეფასების მეთოდოლოგია განსხვავებულია.²

რაც შეეხება საქართველოს, აქ პრივატიზაციის პროცესი მფლობელობის ორ ფორმას გულისხმობდა: ერთი – მიწის ნაკვეთების განაწილება 1.25 ჰა ერთ საოჯახო ფერმერულ მეურნეობაზე და მეორე – სახელმწიფო მფლობელობაში დარჩენილი სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების ქირით გაცემა, რამაც საქართველოში ფაქტიურად ორი სასოფლო სამეურნეო სექტორი შექმნა: 1. მცირე ფერმერების; 2. ბაზარზე ორიენტირებული მსხვილი ფერმერული სექტორისა.³

პრივატიზაციის პროცესის დროს დიდი სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გამოსყიდვის ღირებულება, თუ შენობების პრივატიზაცია 1998 წლამდე მოხდა, უდრიდა ორმაგ წლიურ ქირას (წლიურ მიწის გადასახადს) და თუ მიწის შექენა მოხდა 1998 წლის შემდეგ, თბილისში გამოსასყიდი თანხა უდრის ნორმატიული წლიური გადასახადი გამრავლებული 100-ზე.

¹ О.Е. Медведева «О методиках Кадастровой и рыночной Оценки Земель Сельскохозяйственного Назначения» Журнал «Вопросы Оценки» №1 2011, РОО

² В.М. Елисеев «Фискальный Кадастр и Методы определения Налогооблагаемой стоимости Недвижимости в Республике Казахстан», Сборник Публикации по Оценке Стоимости, 2010, СРП КАО

³ В.М. Елисеев «Фискальный Кадастр и Методы определения Налогооблагаемой стоимости Недвижимости в Республике Казахстан», Сборник Публикации по Оценке Стоимости, 2010, СРП КАО

არსებული კანონმდებლობის პირობებში უძრავი ქონების ობიექტების პრივატიზაცია ხდება მხოლოდ მიწის თანხლებით. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო სამეურნეო მიწების პრივატიზება უკვე შეჩერებულია. მხოლოდ არასასოფლო სამეურნეო სახელმწიფო მიწა შეიძლება იქნეს პრივატიზებული. სახელმწიფო აგრარული მიწები პრივატიზებულია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ხოლო სახელმწიფო არასასოფლო სამეურნეო მიწები პრივატიზებულია მუნიციპალური ორგანიზაციების მიერ.

შესაბამისი ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურები და ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ქვეანყოფილებები გასცემენ ინფორმაციას სახელმწიფო ქონების მდებარეობის თაობაზე. ნებისმიერი ინფორმაცია სახელმწიფო ქონებაზე, რომელიც გადის აუქციონზე, იყიდება პირდაპირ ან ქირავდება, ქვეყნდება ოფიციალურად, ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ადგილობრივ პრესაში, ან ვრცელდება სხვა მას-მედიის საშუალების მეშვეობით. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ერთი თვით ადრე მაინც, სანამ პრივატიზაციის ვადა დამთავრდება.

ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურები და ადგილობრივი საგემო ოფისები ორგანიზებას უკეთებდნენ სახელმწიფო ქონების გასაყიდად გამოტანის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ტენდერის ან აუქციონის მეშვეობით. ისინი იღებენ და არეგისტრირებენ მონაწილეებს დაინტერესებული პირებიდან. განაცხადის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში ოფიცერი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს ენახათ მიწის ნაკვეთი.

ყველაზე აქტიურად სასოფლო სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესი 2005-2007 წლებში მიმდინარეობდა, შემდეგ იგი შენედა და უკვე ტრანზაქციები გააქტიურდა. 2012 წლის ბოლოს პრივატიზაციის პროცესი №45345 ბრძანებით დროებით შეჩერდა.

სასოფლო სამეურნეო მიწების შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები გარკვეულწილად საკამათოა. უცხოელი ავტორებიდან, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მიწის ბაზრის ფუნქციონირების და ფორმირების კვლევებში, აღსანიშნავია ა. მარშალის, ნ. ორდუის, ფრიდმანის კლასიკური ნამუშევრები. უ. ალონსოს, მ. მაარეკის, რ. მეიერის ნაშრომებში მეთოდოლოგიურ დონეზე განიხილება მიწის ღირებულების განსაზღვრის თანამედროვე პრობლემები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია რუსი და უკრაინელი ეკონომისტებისა და შემფასებლების ნაშრომები.

საქართველოში დღეს-დღეისობით არ არსებობს სასოფლო სამეურნეო მიწების დაბეგრის ისეთი სისტემა, რომელიც მიწის მიმდინარე საბაზრო ფასს ეყრდნობა. ასეთი მეთოდოლოგია უკვე არსებობს არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებისათვის რომელიც 2010 წელს შემუშავდა.

როდესაც ვსაუბრობთ მიწის ნაკვეთების და საერთოდ უძრავი ქონების ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაო, რომელმაც რადიკალურად შეცვალა შემფასებლის სამუშაო. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ეროვნული სააგენტოს საიტზე¹ მიიღოს მისთვის საინტერესო ქონების ფლობის უფლების თაობაზე ინფორმაცია, ასევე დატვირთული არის თუ არა ქონება იპოთეკით ან რაიმე სხვა ვალდებულებით. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ასეთი გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა ინფორმაციისა ქონებრივი უფლებების შესახებ არცერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში არ არის. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტრანსაქციების ბაზა, რომელშიც აღირიცხება ქვეყანაში დაფიქსირებული უძრავი ქონების ფლობის უფლების ყველა გადაცემა, გარიგების ფასის, ქონების ტიპის, საკადასტრო კოდის, მისამართის მითითებით. ეს ინფორმაცია ფასიანია.

ამ სტატიაში ვეცადეთ გადმოგვეცა სასოფლო სამეურნეო მიწის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც მორგებულია საქართველოს პირობებზე, კერძოდ საქართველოს სასოფლო სამეურნეო მიწის ბაზრის არსებულ მდგომარეობასა და იმ საინფორმაციო უზრუნველყოფაზე რაზეც ხელი მიგვიწვდება შემფასებლებს.

ამ მეთოდოლოგიით შესაძლებელია მიწის მასობრივი შეფასების საფუძველზე დადგინდეს ზონების ნორმატიული ფასი, რომელიც იდეალურ შემთხვევაში მაქსიმალურად ახლო იქნება მიმდინარე საბაზრო ფასთან.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო მიწის

¹ www.napr.giv.ge


არსებული შეფასების სტანდარტები¹ და მეთოდური რეკომენდაციები. გამოყენებული იქნა სამეცნიერო კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიზი, შედარება, განზოგადება, ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები.

დამუშავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზის ოფიციალური მონაცემები, კერძოდ სასოფლო სამეურნეო მიწების ტრანზაქციები 2010-11 წლებში გორის რაიონში.

არსებული 2584 ქონების ტრანზაქციიდან, რაც გორის რაიონში ამ პერიოდში განხორციელდა, ამოირჩა სასოფლო სამეურნეო მიწების 1409 ტრანზაქცია. ანალიზიდან გამოირიცხა გარიგებები, რომელზეც დაფიქსირებული იყო ნულოვანი ფასი და ის ტრანზაქციები სადაც ნაკვეთის ფართი არ აღემატებოდა 600 კვ.მ. დარჩენილი 1297 ტრანზაქციიდან ასევე გამოირიცხა ის გარიგებები სადაც მიწის ნაკვეთზე დაფიქსირებული იყო შენობა ნაგებობა, რომელიც ფართი აღემატებოდა 50 კვ.მ. მაქსიმალურად საბაზრო სიტუაციის მოდელირებისათვის ასევე გამოირიცხა ის გარიგებები, სადაც ფიქსირდებოდა ურთიერთდამოკიდებული პირები. ამრიგად ანალიზში მონაწილეობა მიიღო სულ 1082 გარიგებამ 23 სექტორში. (სულ გორში 26 სექტორია). უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული გაყიდვის ფასები გადაყვანილია ეროვნულ ვალუტაში.

იმ ზონებში, სადაც საბაზრო გარიგებად მიჩნეული ტრანზაქციების რაოდენობა შეადგენდა არანაკლებ 14 ერთეულისა, განხორციელებულ იქნა ფასების ანალიზი შემდეგი სტატისტიკური მიდგომით: თითოეულ ზონაში განხორციელებული ტრანზაქციების მიხედვით განისაზღვრა გასაყიდი ფასების ვარიაციული მწკრივის პირველი და მესამე კვარტილი და აღნიშნულ კვარტილებს შორის მოხვედრილი ვარიაციული მწკრივის მონაცემების საშუალო მაჩვენებელი მიჩნეულ იქნა ზონის საბაზრო ფასად.

ნახაზზე 1 მოცემულია გამოყენებული სტატისტიკური მიდგომის გრაფიკული გამოსახულება.



ნახაზი 1. სტატისტიკური მიდგომის გრაფიკი

მაგალითისათვის განვიხილოთ ატენის ქვეზონა, ამ ქვეზონაში განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ცხრილ 1 ში.

№	სექტორი	საკადასტრო კოდი	ფასი, კვმ/ლარი
1	ატენი	66.60.15.029	0,01
2	ატენი	66.60.14.010	0,43
3	ატენი	66.60.15.032	0,01
4	ატენი	66.60.15.022	0,01
5	ატენი	66.60.15.021	0,01
6	ატენი	66.60.12.017	0,53
7	ატენი	66.60.15.018	0,01
8	ატენი	66.60.15.031	0,01

№	სექტორი	საკადასტრო კოდი	ფასი, კვმ/ლარი
21	ატენი	66.60.09.010	0,1
22	ატენი	66.60.15.023	0,01
23	ატენი	66.60.15.024	0,01
24	ატენი	66.60.15.025	0,01
25	ატენი	66.60.14.021	3,74
26	ატენი	66.60.08.008	2
27	ატენი	66.60.14.036	2,08
28	ატენი	66.60.06.011	0,33

¹ International Valuation Standards 2011, IVSC

9	ატენი	66.60.01.005	0,9
10	ატენი	66.60.01.005	0,9
11	ატენი	66.60.15.030	0,01
12	ატენი	66.60.15.014	0
13	ატენი	66.60.15.016	1
14	ატენი	66.60.14.012	8,21
15	ატენი	66.60.15.028	0,01
16	ატენი	66.60.15.027	0,01
17	ატენი	66.60.15.026	0,01
18	ატენი	66.60.15.017	0,01
19	ატენი	66.60.15.019	0,01
20	ატენი	66.60.09.011	0,1

29	ატენი	66.60.09.007	0
30	ატენი	66.60.14.010	0,43
31	ატენი	66.60.11.014	0,18
32	ატენი	66.60.07.022	0,33
33	ატენი	66.60.07.023	0,42
34	ატენი	66.60.06.018	2,81
35	ატენი	66.60.09.009	0,31
36	ატენი	66.60.12.029	5,45
37	ატენი	66.60.09.011	0,1
38	ატენი	66.60.07.021	0,71
39	ატენი	66.60.09.010	0,1

ცხრილი 1. ატენის ქვეზონაში 2010-11 წლებში განხორციელებული სასოფლო სამეურნეო მიწის ტრანზაქციები.

მოცემული მონაცემები დამუშავდა ზემოთ აღწერილი სტატისტიკური მიდგომით და დადგინდა, რომ (პირველი კვარტილი = 0,0133; მესამე კვარტილი = 0,6197; მედიანა = 0,101723) 1 კვ.მ. მიწის ღირებულება ატენის ქვეზონაში არის 0,18 ლარი.

ანალოგიური გამოთვლებით დადგინდა გორის დანარჩენი ქვეზონების 1 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ღირებულებები, რომელიც მოცემულია ცხრილ 2-ში.

ქვეზონა	1 კვ.მ. საბაზრო ღირებულება, ლარი	დამრგვალებით, ლარი
ატენი	0,181282819	0,18
ახალუბანი	0,137573368	0,14
ბერბუკი	0,463550122	0,46
ბოშური	0,00937902	0,01
დიცი	0,157472068	0,16
ვარიანი	0,200099379	0,2
ზედღულეთი	0,208661144	0,21
კარალეთი	0,141979973	0,14
მერეტი	0,193957797	0,19
მეჯვრისხევი	0,141979973	0,14
მღებრიანი	0,008808886	0,01
საყავრე	0,006020396	0,01
სკრა	0,099845648	0,1
ტინისხიდი	0,416002357	0,42
ტირძისი	0,132684606	0,13
ტყვიავი	0,246650747	0,25
ქვახვრელი	0,069755368	0,07
შავშევი	0,095715443	0,1
შინდისი	0,083079759	0,08
ძვევერა	0,264537054	0,26
ხიდისთავი	0,483849999	0,48

ცხრილი 2. 1 კვ.მ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ღირებულება გორის რაიონის ქვეზონებში.

იმ ქვეზონებში, სადაც მოცემულ პერიოდში არ დაფიქსირებულა ტრანზაქცია ან ტრანზაქციების რიცხვი მცირეა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მომიჯნავე ზონის

ღირებულების კორექტირების მეთოდი. კორექტირების სახე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი ყოველი ქვეზონისათვის. ეს შეიძლება იყოს შემოსავლების მეთოდით დათვლილი ღირებულება, თუ ამ ზონაში არის მიწის ნაკვეთების გაქირავებაზე ინფორმაცია. კორექტირების მეორე მიდგომა შესაძლებელია განხორციელდეს ნიადაგის ბონიტრების სისტემის საფუძველზე.¹ ნიადაგის ბონიტრება – მიწების ეკონომიკური შეფასების, კადასტრირების ან მელიორაციის მიზნით უმთავრესი აგრონომიული ასპექტების მიხედვით ნიადაგების შედარებითი დახასიათებას წარმოადგენს,² ანუ ბონიტეტი ახასიათებს თითოეული ტიპის ნიადაგს თუ რამდენად შესაძლებელია მასზე სასოფლო სამეურნეო პროდუქტის მოყვანა, რამდენად სტაბილურია ნიადაგი დროში რაც საბოლოო ჯამში კორელაციაშია მის პროდუქტიულობასთან. ნიადაგს ენიჭება ქულა 0-დან 100 მდე, რაც მათი სამეურნეო ღირებულების ხარისხობრივ შეფასებას წარმოადგენს.

ბონიტეტის მიხედვით ღირებულების კორექტირების მიდგომა შემდგომი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს. საქართველო გამომდინარე მისი საოცრად რთული ლანდშაფტიდან, ნიადაგების ასეთივე რთული სისტემის მქონეა, რაც ნათლად ჩანს საქართველოს ნიადაგების ხარისხობრივი შეფასების რუქაზე.³

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ (1107.2007. N5295)
2. International Valuation Standards 2011, IVSC
3. О.Е. Медведева «О методиках Кадастровой и рыночной Оценки Земель Сельскохозяйственного Назначения» Журнал «Вопросы Оценки» №1 2011, РОО
4. О.Драпиковский, И. Иванова “Денежная оценка земель сельскохозяйственного назначения”
5. В.М. Елисеев «Фискальный Кадастр и Методы определения Налогооблагаемой стоимости Недвижимости в Республике Казахстан», Сборник Публикации по Оценке Стоимости, 2010, СРП КАО
6. www.napr.giv.ge
7. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d>
8. http://www.agromarket.ge/soil_maps/maps.shtml

NINO BERAIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral Candidate

AGRICULTURAL LAND PLOT MASS VALUATION METHOD

S u m m a r y

In recent years one can see the rapid formation of the agricultural land plot market. The amount of taxes for every land plot is based on the normative (mass appraisal) value of the agricultural land. The best practices in the world show that the normative value is based on the market value of the property. The privatization process in every post soviet country had its own peculiarities so for now there is no one agreed methodology of agricultural land plot valuation for taxation. In the current article is given one of the approaches to mass appraisal of agricultural land plots aiming to define the value of 1 sq.m. agricultural land plot in the given subzones. The further studies are needed to work out the best practice for Georgia considering the nature of the local market and intricate landscape.

¹ О.Драпиковский, И. Иванова “Денежная оценка земель сельскохозяйственного назначения”

² <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d>

³ http://www.agromarket.ge/soil_maps/maps.shtml

ბიომედიცინის როლი გლობალური ბიზნესის ბანკოთარეგულირებაში

აგრარული ცივილიზაციის მთელი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით XX საუკუნეში, ადამიანის საქმიანობა ბიოსფეროს მიმართ უმეტესწილად დესტრუქციული იყო. მოსახლეობის ზრდის შენელება და დეპოპულაცია წარმოადგენენ მნიშვნელოვან პირობებს ბიოსფეროს განადგურების სისწრაფის შესამცირებლად. აფართოვებს რა სივრცობრივ ექსპანსიას, კაცობრიობა დღესაც ვითარდება ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ამასთან, იგი დღემდე არ ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების მოხმარების ჩართვას ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში, რაც წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემების მიმართ ეკონომიკის არამგრძობიარობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიზეზს.

კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის დიდი ხნის წინ იწინასწარმეტყველეს და ამ პროგნოზების უმეტესობაში იგი წყდებოდა ბუნების სასარგებლოდ. ასეთი წინასწარმეტყველებების საფუძველს წარმოადგენდა რედუქციონიზმი – ობიექტის მაქსიმალურად მარტივ სისტემად დაყვანა, რომლის აღწერაც შეიძლება მათემატიკის ენაზე. რედუქციონიზმმა შექმნა საფუძველი მეცნიერების უხარმაზარი ანალიტიკური შესაძლებლობებისათვის, მაგრამ ამავე დროს წარმოშვა პრობლემები რთული ობიექტების შესწავლის პროცესში, განსაკუთრებით ადამიანისა და ცოცხალი ბუნების ურთიერთკავშირის შემეცნების დროს. ცალკეული მეცნიერი ნოსფეროს შორეულ მომავალს არ მიაკუთვნებს, ისინი თვლიან, რომ ის უკვე ჩამოყალიბდა. ბუნებაზე საზოგადოების ზემოქმედების პროცესი, ახალი ტერიტორიების ათვისება, ბუნებათსარგებლობის გაფართოება და გაღრმავება ამ მსჯელობის მომხრეების მიერ განიხილება, როგორც ნოსფეროგენეზი, მაგრამ სინამდვილეში ის წარმოადგენს მხოლოდ ბიოსფეროს გამოდევნას ტექნოსფეროს მიერ. უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის გონებისა და შრომის პროდუქტს, რაზეც თვალსაჩინოდ მეტყველებს გლობალური მასშტაბით ბიომრავალსახეობის დაჩქარებული შემცირება [1]. ასეთი გამოდევნის შედეგად ცხადი ხდება კონფლიქტი ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის. ცნობილია რომ ეკონომიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობები პროდუქციის წარმოების, გაცვლისა და განაწილების სფეროებში. მთელი ეკონომიკის რესურსუბრუნველყოფის წყაროს კი წარმოადგენს ეკოლოგია, ცოცხალი ორგანიზმები და ბუნებრივი გარემო. არსებითად, ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ მთლიანობას შორის დაპირისპირება წარმოადგენს გლობალური ეკოლოგიური კრიზისის მთავარ წყაროს. ეს პრობლემა დაისვა ჯერ კიდევ ტ.მალთუსის და ა.უოლესის ნაშრომებში. მისდამი ინტერესი განსაკუთრებით მწვავე გახდა დიდი დეპრესიის წლებში. რომის კლუბის ერთ-ერთი პირველი მოსხენება – „ზრდის ფარგლები“ [2] და სტოკჰოლმში გარემოს დაცვისადმი მიძღვნილ პირველ კონფერენციაზე, მ.სტრონგის მოხსენება [3] მიეძღვნა ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორის კონფლიქტის პრობლემას. ბოლო წლებში ტერმინები „მდგრადი განვითარება“ და „ეკოგანვითარება“ ეკოლოგიურ-ეკონომიკური მიმართულების ბევრ ნაშრომში გამოიყენება, როგორც სინონიმები. მდგრადის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების ისეთი განვითარება, რომლის დროსაც გარემოზე ზემოქმედება რჩება ბიოსფეროს სამეურნეო ტევადობის ფარგლებში და არ ირღვევა ადამიანის სიცოცხლისა და კვლავწარმოქმნის ბუნებრივი საფუძველი. დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებები და პლანეტის ამოწურვადი შესაძლებლობები საფუძველად ედება თანამედროვე ეკონომიკური თეორიის კრიზისს. პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის ოპტიმალური მასშტაბის მოძებნასთან. ამ მასშტაბის უარყოფითი ეფექტი, როცა დანახარჯების ყოველი დამატებითი ერთეული იწვევს მოგების მაგივრად ზარალს, დღემდე არ აისახება ოპტიმალობის ეკონომიკურ კრიტერიუმში. აგროეკონომიკურ მიდგომებს საფუძველი ჩაეყარათ იმ ეპოქაში, როცა ადამიანის საქმიანობის ზემოქმედება გარემოზე არ აღემატებოდა ბუნებრივი სისტემების თვითაღდგენითი პოტენციალის საზღვრებს. ამჟამად სხვა სიტუაციაა: ბევრი პარამეტრით ანტროპოგენურმა დატვირთვამ გადააჭარბა ბუნებრივი კომპლექსის და მთლიანად ეკოსფეროს მდგრადობის საზღვარს. კაცობრიობა გავიდა თავისი ისტორიის ძალიან საპასუხისმგებლო ზღვარზე, რომელიც მოითხოვს ეკონომიკური პარადიგმის – მისი სტრუქტურის და ფუნქციონირების სახის შეცვლას. საჭიროა მატერიალური კულტურის ახალ საფეხურზე გადასვლა, რომელიც უნდა გახდეს პლანეტის უკვე ამოწურვად პოტენციალთან შეთავსებადი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო საზოგადოება სერიოზულად შეშფოთდა დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობით და ცივილიზაციის შემდგომი განვითარებით. გარემოს პრობლემებზე და ეკონომიკურ განვითარებაზე გაეროს რეკომენდაციებში ფორუმებზე (რიო - 1992, იოჰანესბურგი - 2002, რიო - 2012) დეკლარირებულ იქნა მდგრადი (უფრო ზუსტად – დაბალანსებული) განვითარების სტრატეგია – Sustainable Development [1, გვ. 342]. მისი შემუშავებისას გათვალისწინებულია დედამიწის ბიოსფეროსადმი მიძღვნილი ოკომენის შრომები [2]. ჯ.ფორესტერის „მსოფლიო დინამიკამ“ (1970) და რომის კლუბის პირველმა გამოკვლევებმა არსებითი წვლილი შეიტანეს გარემოს მდგომარეობისა და ცივილიზაციის განვითარების პერსპექტივას შორის კავშირების გაცნობიერებაში. მორის სტრონგმა პირველად ჩამოაყალიბა ცნება – „ეკოგანვითარება“, როგორც ეკოლოგიურად ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, როცა ადამიანთა კეთილდღეობის ზრდას თან არ ახლავს გარემოს გაუარესება და ბუნებრივი სისტემების დეგრადაცია.

საერთაშორისო ფორუმების ჩატარების შედეგად პირველად გლობალურ დონეზე გაცნობიერებულ იქნა ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მთლიანობა და მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. საერთაშორისო დონეზე თვალსაჩინო გახდა, რომ „ცალკე აღებულ ქვეყანაში“ მდგრადი განვითარების მიღწევა ვერ მოხერხდება და რომ „ეკოგანვითარება“ წარმოადგენს საერთო ამოცანას. მაგრამ მისი გადაწყვეტის უზრუნველყოფა მეტისმეტად რთულია, იგი მოითხოვს რესურსების გამოყენებისა და განაწილების სტრატეგიის შეცვლას, რაც გამოიწვევს ღრმა გარდაქმნებს ეკონომიკასა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში. „ეკოგანვითარების“ რეალიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა – „გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა“ (UNEP, 2009 წ.) [5]. მისი კვლევების ფარგლებში მიღებული პროგნოზები მიუთითებს მატერიალურად ორიენტირებული საზოგადოების განვითარების ღრმა კრიზისისა და ფასეულობათა არსებული სისტემის გადახედვის აუცილებლობაზე.

ამჟამად, როცა კაცობრიობა პლანეტაზე მონოპოლისტი გახდა და ხმელეთის პირველადი პროდუქციის 40%-მდე მოიხმარება ადამიანის მიერ, როცა სწრაფად მცირდება ბიომრავალსახეობა, ბიოსფერო არ შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც ის იყო ისტორიამდელ ეპოქაში. დღეს უკვე ცხადია, რომ ბიოსფეროს ასეთი მდგომარეობა, შეუთავსებადია განვითარების ეკონომიკასთან. თანამედროვე ტექნოსფეროს „გონების სფეროდ“, ხოლო თანამედროვე ტექნოგენეზის „ნოსფეროგენეზად“ აღიარება არსებითად მცდარი დებულებაა, იმის გამო, რომ თანამედროვე ეკონომიკას, არ სურს თავის ფუნდამენტურ დებულებებში ბუნების ღირებულების ჩართვა, ხოლო ადამიანებს არ შეუძლიათ ან არ უნდათ გაიგონ, რომ „უკეთესად ცხოვრებისკენ“ მისწრაფება გადარჩენის ალტერნატივაა. ცივილიზაციის ექსპანსია, ბიოსფეროს ტექნოსფეროთი ჩანაცვლება, მზარდი სისწრაფით გვაშორებს ნოსფეროს იდეალს.

ცნება „sustainable development“, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მდგრადი განვითარება“ ან „დასაშვები განვითარება“, ახლოსაა ცნებასთან „ეკოგანვითარება“ და ის შევიდა საერთაშორისო ტერმინოლოგიაში. ეკოლოგიურ ეკონომიკაში ეს ტერმინი ნიშნავს შემნარჩუნებელ განვითარებას, ანუ ეკოლოგიურად დასაშვებ დონეზე ეკონომიკის განვითარებას.

1992 წ. რიო-დე-ჟანეიროში გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე (გკპ-92) მომზადდა „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“ და „კონვენცია ბიოლოგიური მრავალსახეობის შესახებ“. გკპ-92-ის ყველა დოკუმენტი გამსჭვალულია მდგრადი განვითარების კონცეფციით, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელი, როცა დღევანდელი ადამიანების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მიიღწევა მომავალი თაობებისათვის ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს დეგრადაციის საშიშროების გარეშე. ყურადღება გადატანილია წარმოების და მოხმარების იმ მოდელების პრაქტიკიდან ამოღების სახელმწიფოებრივ ვალდებულებაზე, რომელიც ხელს არ უწყობენ მდგრად განვითარებას. საზგანსით აღინიშნა, რომ გარემოს მდგრადობის გლობალური რესურსები კრიტიკულ დონეს უახლოვდება. მსოფლიო თანასაზოგადოებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შემოიღოს ბუნებრივი გარემოს ყველა სახეობის რესურსზე შეფასების სისტემა მომავალი თაობებისათვის მიყენებადი ზარალის სრული გათვალისწინებით და გარემოს დაბინძურების კვრტები. ცივილიზაციის განვითარების ახალი მოდელის ფუნდამენტურ მოთხოვნილებას წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოების იმ ეკონომიკურ სტრუქტურაზე უარის თქმა, რომელიც გარემოს ხარჯზე შეუზღუდავ ზრდას განიხილავს, როგორც პროგრესს. 1997წ. გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე “რიო-92+5” მიღებულ იქნა “XXI საუკუნის დღის წესრიგის”

შემდგომი განხორციელებისათვის სამოქმედო პროგრამა.

2002 წ. გკკ-92-დან ათი წლის შემდეგ, იოჰანესბურგში გაიმართა კიდევ ერთი გლობალური ფორუმი. მასზე გამოვლენილ იქნა მკვეთრი კონტრასტი ეკონომიკური განვითარების რეალურ ტენდენციებსა და მდგრადი განვითარების შესახებ დეკლარაციებს შორის [15,16].

ყველაფერი, რაც კეთდებოდა XXI საუკუნის დასაწყისამდე, პრინციპულად არ ცვლის ბუნებასთან ჩვენს ურთიერთობას. მხედველობაში არ მიიღებოდა, რომ პროდუქციის მასის თითოეულ ერთეულზე მოდის წარმოების ნარჩენების მასის რამდენიმე ერთეული. მაგრამ ნარჩენებსაც, აგრეთვე თავისი ღირებულება გააჩნიათ, ამასთან უარყოფითი, რადგანაც ისინი აბინძურებენ მიწას, ჰაერს, წყალს, საკვებს და ამით ამცირებენ ადამიანების სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფას, მათ კომფორტულობას. ეკოლოგიური მოთხოვნილებებისა და ეკონომიკური ინტერესების შეჯახებამ ბუნებრივი რესურსების მოხმარების სფეროში, მიიღო გადაულახავი წინააღმდეგობის ხასიათი. გარემოს დაცვაში ლოკალური წარმატებების მიუხედავად, გლობალური დაბინძურება მატულობს. დედამიწაზე ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია რთული სისტემური ურთიერთობებით. მაგალითად, მცენარეებში ფოტოსინთეზმა განაპირობა ატმოსფეროს თანამედროვე შემადგენლობა, რომელზეც დამოკიდებულია გარემოს ჟანგვით-აღდგენითი წონასწორობა, პლანეტაზე რადიაციული და სითბური რეჟიმისა და ჰომეოსტაზის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. მცენარეული საფარი გავლენას ახდენს წყლის ბალანსზე, ტენის განაწილებასა და მიწის კლიმატურ თავისებურებებზე. მიკრო- და მაკრობიოტი მონაწილეობენ ჰაერის, მდინარეებისა და ტბების თვითგაწმენდაში, მათზე გარკვეულწილად დამოკიდებულია ბუნებრივი წყლების მარილების შემადგენლობა და ბევრი ქიმიური ნივთიერების განაწილება ხმელეთსა და ოკეანეს შორის. ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები – საკვები, ჟანგბადი, გარკვეულწილად ტანსაცმელი და საცხოვრებელი, ისევე როგორც ათასეული წლების წინ, კმაყოფილდება ბუნებრივი რესურსების ხარჯზე. სოფლის მეურნეობა, ტყის გადამუშავება, მეთევზეობა, მსუბუქი, კვების და მიკრობიოლოგიური მრეწველობა იქმნება ეკოსფეროს ბიოლოგიური რესურსებიდან. მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების წყალობით ყალიბდება ნიადაგი და ნარჩუნდება მისი ნაყოფიერება.

საჭიროა ეკონომიკური თეორიის ღრმა ცვლილება: ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე შეფასებებიდან, პრინციპულად სხვა მიდგომებზე გადასვლა, რომლებიც დაფუძნებული უნდა იყვნენ „ბიოეკონომიკის“ ან ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის პოსტულატებზე, როცა ტრადიციულთან ერთად ჩაირთვება ისეთი მთავარი ბიოლოგიური კრიტერიუმები, როგორებიც არიან სისტემის ბიომრავალსახეობის სტაბილურობის, მდგრადობის და ა.შ. შეფასება და ღირებულების თეორიაში ჩართვა. ღირებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უნდა წარმოადგენდეს შედეგებისა და დანახარჯების სინთეზს, რომელიც გამოხატავს ყველა აღწარმოებადი და არააღწარმოებადი რესურსის, მათ შორის ბუნებრივის და ეკოლოგიური პირობების ერთიანობას. მხოლოდ მაშინ, როცა ღირებულების თეორიის ოპტიმიზაციის კრიტერიუმებად გახდება ბიოეკონომიკაში ბუნებრივი და საწარმოო პოტენციალების თანაზომიერება, დაბალანსებულობა, გაჩნდება ადამიანის არსებობის ხარისხიანი გარემოს შენარჩუნების პრინციპული შესაძლებლობა. ამრიგად, ბიოეკონომიკის ძირითად ობიექტად უნდა იქცეს ფართო გაგებით ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა და მატერიალური ბალანსი მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ქვესისტემებს შორის. ბიოეკონომიკის წყალობით მაკროეკონომიკა შეიძლება შეტანილ იქნას, დედამიწის ბუნების ეკონომიკაში. ეკოლოგიური პრობლემების ზრდის გაცნობიერების შედეგად დასავლურ მეცნიერებაში წარმოიშვა ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ [5]. იგი, UNEP-ის განმარტებით, პირველ რიგში უნდა იყოს მიმართული ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებისკენ და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ, ამასთან ხასიათდებოდეს გარემოს რისკების შემცირებითა და ბუნებრივი რესურსების გამოლევის თავიდან აცილებით.

„მწვანე ეკონომიკის“ ძირითადი იდეა – ესაა ბუნებისადმი სამომხმარებლო დამოკიდებულებაზე უარის თქმა, გარემოს დაბინძურებისაგან, ბუნებრივი რესურსების გამოლევისაგან მიღებული ზარალის ღირებულებაში ჩართვა. განვითარებულ ქვეყნებში, რომლებშიც გაჩნდა ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“, იგეგმება უწყვეტი და მუდმივი გაუმჯობესების პროცესების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებითი ეკოლოგიური და სოციალური მოგების მიღებას. ზუსტად ასეთი გაუმჯობესების მოთხოვნა ჩადებულია, ISO 14001 სტანდარტში, რომლის საფუძველზეც ხდება მთელ მსოფლიოში საწარმოების უფრო და უფრო

დიდი რაოდენობის გარდაქმნა. ამ პროგრამების შედეგად ეკონომიკის ეკოლოგიზაცია უნდა განხორციელდეს არა როგორც მეორადი ეფექტი, არამედ როგორც ძირითადი მიზანი. მსოფლიო 2020 წლისათვის გეგმავს 20%-ით შემციროს საკვალ-სათბური აირის ატმოსფეროში გამონაბოლქვი, 20%-ით აამაღლოს ენერგოეფექტიანობა და ენერჯის განახლებადი წყაროების წილი მიიყვანოს 20%-მდე [5]. აშშ-ში იგეგმება გამონაბოლქვის 20%-ით შემცირება 2050 წლისათვის, შემდეგ კი 80%-ით 2080 წლისათვის.

2012 წ. 21 ივნისს რიო-დე-ჟანეიროში გაიხსნა გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 135 სახელმწიფოს მთავრობის მეთაური. გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციის მნიშვნელოვან მიღწევად ექსპერტები მიიხნევენ იმას, რომ შემაჯამებელ დოკუმენტში განმტკიცებულია „მწვანე ეკონომიკის“, როგორც მდგრადი განვითარების ინსტრუმენტის კონცეფცია. „მწვანე ეკონომიკის“ (ანუ ბიოეკონომიკის) კონცეფცია დღეს აღიქმება, როგორც გლობალური კრიზისიდან რეალური გამოსავალი.

1950-იანი წლების „მწვანე რევოლუციის“ დროიდან სურსათის გლობალური წარმოების დინამიკა ხასიათდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქციის ზრდით, არამედ აგრეთვე გარემოსათვის სულ უფრო ზრდადი ნეგატიური შედეგებით, რომლებიც გამოიხატება, ნიადაგის ნაყოფიერების და ფართობების თანმიმდევრული შემცირებით. ამ პროცესს თან ახლავს ადუღებელი ენერჯის ხარჯვის ზრდა მემცენარეობის პროდუქციის ერთეულზე. ასე, მაგალითად, 1960 წლიდან 2000 წლამდე, თუ მარცვლეულის გლობალური პროდუქტიულობა გაიზარდა დაახლოებით 2,3 ჯერ, ამასთან ერთად, მარცვლეულის მოსავლიანობის ასამაღლებლად მტკნარი წყლის დანახარჯი გაიზარდა 2 ჯერ, აზოტიანი სასუქების – 10 ჯერ, ფოსფორიანი სასუქების – 7,5 ჯერ, პესტიციდების – 6 ჯერ. მარცვლეულის მოსავლის ერთეულის მიღებაში აზოტიანი სასუქების შეტანის ეფექტიანობა 1960 წლიდან 2000 წლამდე 4 ჯერ შემცირდა [6].

ბოლო წლებში რიგმა ქვეყნებმა არსებითად გაზარდეს “მწვანე” პროექტების დაფინანსება. ასე, მაგალითად, ევროპის ქვეყნებმა დააბანდეს \$22,8 მლრდ “მწვანე” საქმიანობაში – მშპ-ს 0,2%; აშშ-მ - \$94,4 მლრდ, ყველა ეკონომიკური დაბანდების 12%, მშპ-ს 0,7%. მაგრამ ლიდერობენ სამხრეთ კორეა და ჩინეთი: კორეამ დააბანდა \$38,1 მლრდ – ყველა ეკონომიკური დაბანდების 95%, ქვეყნის მშპ-ს 3%; ჩინეთმა - \$215 მლრდ, ყველა ეკონომიკური დაბანდების 33%, ქვეყნის მშპ-ს 3% [6].

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის მთავარ საკითხად რჩება ის, თუ ვინ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობების გაუარესებაზე. შემდგომი განვითარების გზის არჩევაზე, ანტროპოცენტრიზმიდან ბიოცენტრიზმისაკენ ან ნოოცენტრიზმისაკენ გადასვლის უაღრესად პასუხისმგებელი ამოცანის გადაწყვეტაზე. მსოფლიოს ბიუროკრატიული სისტემა, სამწუხაროდ, არ გამოირჩევა პოზიტიური მიდგომებით, ხოლო ბუნებასა და საზოგადოებას შორის პრინციპულად ახალი ურთიერთობების კონსტრუირება მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და სისტემურ აზროვნებას. გლობალური არაეფექტიანი ეკოლოგიური პოლიტიკის წარსულმა დაადასტურა, რომ საერთაშორისო დონეზე ეკონომიკის თანამედროვე მმართველები, ვერ აცნობიერებენ პრობლემის მთელ სირთულეს. სიტუაციის გაუცნობიერებისა და ტრადიციული სიხარბის გამო, უახლოეს წლებში კაპიტალი გააგრძელებს გადინებას რესურსტევად დარგებში და გამოაცლის ბუნებას მას, რაც მან დააგროვა მილიონობით წლის მანძილზე. ბიოეკონომიკაში ეკოლოგია რომანტიკულ-კონცეპტუალური სფეროდან XXI საუკუნეში გადაიქცა დინამიკურად განვითარებად ეკონომიკურ დარგად, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განვითარებაზე. თუ XX საუკუნეში თითქმის ყველა ეკოლოგიური ღონისძიება ატარებდა ხარჯვით ხასიათს (ნაკრძალები, ხელოვნური ნარგავები (პარკები, სკვერები), დამცავი ღონისძიებები, ზოოპარკები და ა.შ.), ანუ ფინანსდებოდა ნარჩენი პრინციპით, ბიოეკონომიკის კონცეფციის მიღების შემდეგ ეკოლოგიზაცია გადაიქცა საქმიანობის ისეთ სფეროდ, რომლის დანიშნულებაცაა სარგებლის მოტანა.

დღესდღეობით უკვე ამოწურულია სოფლის მეურნეობის შემდგომი ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობები გლობალური მასშტაბით ნოყიერი ნიადაგების შემცირებასთან დაკავშირებით, და აგრეთვე მათი მზარდი დაბინძურებისა და დეგრადაციის გამო. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის წამყვან მნიშვნელობას იძენს “მდგრადი ინტენსიფიკაციის” მეთოდები, რომლებსაც პირველ რიგში მიეკუთვნებიან „პრეციზული“ აგროტექნოლოგიები.

პრეციზული სოფლის მეურნეობა აერთიანებს რიგ ტექნოლოგიებს, რომლებიც ახდენენ სასოფლო-სამეურნეო სისტემების ფარგლებში ცვალებადობისა და განუსაზღვრელობის გათვალისწინებით მიმწოდებლების, ინფორმაციული სისტემების, რობოტოტექნიკისა და ინფორმაციული მართვის კომბინირებას. პრეციზული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს კვების პროდუქტების წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობისა და ხარისხის მართვის კონტროლს. პრეციზული ტექნოლოგიები წარმატებით გამოიყენებიან მევენახეობაში და მებაღეობაში, აგრეთვე მეცხოველეობაში. ისინი გამოიყენებიან ჩაის წარმოებაში - ტანზანიასა და შრი-ლანკაში, შაქრის ჭარხლის წარმოებაში - ბრაზილიაში, ბრინჯის წარმოებაში - ჩინეთში, ინდოეთში და იაპონიაში, პურეული მარცვლოვნების და შაქრის ჭარხლის წარმოებაში - არგენტინაში, ავსტრალიაში, ევროპაში და შეერთებულ შტატებში. ეს პრაქტიკა გასაზიარებელია საქართველოსთვისაც.

მწვანე პროდუქტების წარმოება და ზოგადად ბიომეურნეობები უკანასკნელ წლებში ბევრ ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა, მაგალითად, თურქეთის ბიომეურნეობაში 1990 წელს 1000 ჰექტარი მიწა მუშავდებოდა, 2012 წლისთვის მან 103 000 ჰექტარს მიაღწია. ასევე გაიზარდა ფერმერების რაოდენობა 300-დან 16 000-მდე. საინტერესოა ესტონეთის მონაცემებიც: 2000-დან 2008 წლამდე ორგანული მიწების რაოდენობა 4000 ჰექტარიდან 87000 ჰექტარამდე გაიზარდა, ხოლო ფერმერების რაოდენობა 90-დან 1300-მდე [5].

ბიომეურნეობა (იგივე „მწვანე მეურნეობა“, „ეკომეურნეობა“) ნიშნავს სპეციალურად შემუშავებული და შეთანხმებული სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ მეურნეობას. ამ მეურნეობაში მოყვანილ პროდუქტს ჰქვია ბიოპროდუქტი ან ეკოპროდუქტი. რაც შეეხება ზემოთნახსენებ სტანდარტებს, ისინი სრულიად გამორიცხავენ მეურნეობაში ქიმიური საშუალებებითა და გენმოდირიცირებული ორგანიზმების გამოყენებით პროდუქტების წარმოებას, ანუ ბიომეურნეობაში მოყვანილი პროდუქტი ითვლება ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთად.

ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით ეს ეხება აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა გაცილებით მაღალია, ბიოპროდუქცია კი მაღალი თვითღირებულებით და შესაბამისად, მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა. საქართველოს განსაკუთრებული შესაძლებლობები გააჩნია ბიომეურნეობების განვითარებისა და მსოფლიოში კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავების თვალსაზრისით. ჩვენს ქვეყანას არ აქვს საშუალება კონკურენცია გაუწიოს, მაგალითად, კანადას, რუსეთს ან ამერიკას ხორბლის და სიმინდის წარმოებაში, ჩინეთს - ბრინჯის წარმოებაში, პოლონეთს - ვაშლის წარმოებაში და ა.შ. რადგან ამ ქვეყნებს დიდი მასშტაბები აძლევს საშუალებას, პროდუქციის თვითღირებულება მინიმუმამდე დაიყვანონ. თუმცა საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

საუბედუროდ ბიომეურნეობები საქართველოში დაბალ დონეზეა განვითარებული. ყველაზე აქტიური ორგანიზაცია ამ მიმართულებით არის „ელკანა“, რომელშიც 450-მდე ფერმერია გაერთიანებული. თუმცა, საეჭვოა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად მისდევენ ეს ფერმერები ბიომეურნეობას.

ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის თურქეთმა და ესტონეთმა, სწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად განავითარეს ბიოპროდუქციის წარმოება. ასე მაგალითად, თურქეთში 1992 წელს შეიქმნა „ორგანული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ასოციაცია“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობითა და მისი დახმარებით ცდილობდა გაეზარდა ფერმერების ინფორმირებულობა ბიოპროდუქციის წარმოების კუთხით; ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს ბიომეურნეობების განვითარების კუთხით, იგი ახორციელებს ორგანული მეურნეობების განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების გენერალურ მენეჯმენტს. ეს სამინისტრო ახორციელებს იმ ორგანიზაციების ლიცენზირებას, რომელთაც აქვთ უფლება გასცენ სერთიფიკატები ამა თუ იმ მეურნეობისა და პროდუქციის ბიოხასიათზე; სამინისტროს ინიცირებით მოხდა სრული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება ორგანული მეურნეობების ფუნქციონირების, სერთიფიცირების, ეტიკეტირების და ა.შ შესახებ, ასევე შეიქმნა ლოგო, რომელიც დაიტანება თურქეთში წარმოებულ ყველა სერთიფიცირებულ ბიოპროდუქტზე; სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა „ორგანული სოფლის მეურნეობის მართვის ეროვნული კომიტეტი“, „ორგანული სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და კვლევების ეროვნული კომიტეტი“, „ორგანული სოფლის

მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის ეროვნული კომიტეტი”, რომლებიც ახორციელებენ ამ დარგთან დაკავშირებულ თითქმის ყველა პროცესის ზედამხედველობას; სახელმწიფო გაცემს დაბალპროცენტულ სესხებს იმ ფერმერებზე, რომელთაც სურთ თავიანთი მეურნეობების ორგანულზე გადაყვანა; სამინისტრო სისტემატიურად ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს; ორგანული სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია, როგორც საგანი სასოფლო-სამეურნეო პროფილის სასწავლო დაწესებულებებში, არსებობს ასევე ორგანულ მეურნეობაზე სპეციალიზირებული სასწავლო დაწესებულება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებით ქვეყნის 25-მდე კვლევითი ინსტიტუტი ორიენტირებულია ბიომიმართულებების კვლევაზე.

ამ ძალისხმევის შედეგად თურქეთმა შეძლო 15 წლის მანძილზე ორგანული მიწების 1000 ჰა-დან 103 000 ჰა-მდე, ბიოფერმერების 300-დან 16 000-მდე, ბიოპროდუქციის წარმოების 300 000 ტონამდე გაზრდა, რომლის 90% ევროკავშირში ექსპორტირდება.

ბიომეურნეობის განვითარებისთვის საკმაოდ დიდი ძალისხმევა აქვს დახარჯული ესტონეთის მთავრობასაც. ჯერ კიდევ 2000 წელს ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეიქმნა სპეციალური ბიურო, რომლის პირდაპირი პასუხისმგებლობის სფეროა ორგანული აგრომეურნეობის განვითარებაზე ზედამხედველობა. სახელმწიფო სთავაზობს უფასო სასწავლო კურსებს ბიომეურნეობს ან ამ დარგში გარკვევის მსურველებს, რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს ორგანული სოფლის მეურნეობის კვლევის მიმართულებით და ა.შ.

საქართველოში ბიომეურნეობების სისტემური განვითარების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან ბევრი არ გაკეთებულა, შეიქმნა მხოლოდ კანონი “ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ”, დარეგულირდა ბიოპროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესები. რაც შეეხება დარგის განვითარების ხელშეწყობას, სახელმწიფოს როლი მინიმალურია და ამჟამად, თითქმის ნულის ტოლია, თუმცა, დაწყება გვიანი არასდროს არ არის და სახელმწიფო ახლა მაინც უნდა ჩამოყალიბდეს, რამდენად პრიორიტეტულია ქვეყნისთვის ბიომეურნეობების განვითარება და იმოქმედოს შესაბამისად.

ზოგადად ბიომეურნეობები მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ შემდეგი საკითხები იქნება სისტემურ დონეზე მოგვარებული: ფერმერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია ამ დარგში; მსურველმა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ კონვენციური (ტრადიციული) მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დრო და ფინანსური რესურსები ესაჭიროება; ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის მიერ ყველა წესის დაცვით მოყვანილ ბიოპროდუქციას არ შეეკმნება პრობლემები და ზოგადად არ დადგება ეჭვქვეშ მისი ორგანულობა; ჩვეულებრივი ფერმერი ვერ დაუკავშირდება უცხოეთში სავარაუდო მყიდველს, ვერ დადებს კონტრაქტს და ვერ მოაგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ რთულ პროცედურებს. ამაში მას სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული დახმარება ესაჭიროება.

სახელმწიფოს მხრიდან „მწვანე მეურნეობის“ განვითარების ხელშეწყობის შედეგად შესაძლებელი გახდება, ეკოლოგიურად სუფთა და ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის, სოფლის მეურნეობის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marton j. Biodiversity of our life. Science 2011. Vol.12.p.321.
2. Моисеев И., Человек во вселенной и на земле. Вопросы философии, 1990, (6), стр. 21.
3. Barret M., Measuring food insecurity. Science 2010. Vol.15. p.541, UNEP,2009. Global deal new deal. NY.
4. Anderson A., Tarning Economics Insaidd Out // International Jornal of green Economics. 2012, vol. 5. P.53.
5. <http://www.strf.ru/material>.
6. <http://dic.academic.ru/dic.nsf/ecolog>.
7. <http://ru.wiktionary.org/wiki>.
8. <http://www.ecolife.ru>.

KHATUNA BERISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

THE ROLE OF BIO-ECONOMY IN DEVELOPMENT OF GLOBAL BUSINESS

S u m m a r y

Within entire history of agrarian civilization, especially, in XX century, man's activity towards the biosphere was mostly destructive. Slowing-suspension in the growth of population and depopulation were important terms to reduce the speed of biosphere destruction. The mankind, widening the spatial expansion, is being developed even now at the

expense of extensive factors. Along with this, up to the present day, it did not take into consideration involvement of natural resources consumption into the system of economic relations, which is one of the most important reasons of non-sensitiveness of economy towards ecological problems.

The present work discusses modern directions of “green economy” and the need to involve natural environment into the system of socio-economic relations. Economy of anthroposphere should be subject to the laws of biosphere economy, which means priority of bio-geocentrism opposite anthroposphere. Main idea of “green economy” is to say no to consumer attitude towards the nature, to involve the damage caused by the environment pollution, exhaustion of natural resources, into the cost. In developed countries, in which the term “green economy” appeared, implementation of the processes of uninterrupted and permanent improvement is planned, which will provide to get additional ecological and social profit. In Georgia, the state did not do much from the aspect of systemic development of bio-farms; only the law “on biological agri-production” was formed, the processes connected with bio-produce production were regulated. As for promotion to the branch development, the state role is minimal and at present, equals nearly zero. However, it is never late to start and the state should at least now determine to what extent development of bio-farms is priority for the country and should act in compliance with this.

**იამფი ბუშენაძე, მანია ბობალაძე, ნანა ჟორჟოლიანი,
სპარტაკ შროტაძე, ირინე ლომთაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

მიკროელემენტების შემცველი ფიტორეზულატორის კვლევა

დღეისათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს იაფი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ამ პრობლემის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კულტურების სრულფასოვანი, ბალანსირებული კვებას. ამასთან ცნობილია მეცნიერთა მიერ “სიცოცხლის ელემენტებად” წოდებული მიკროელემენტების (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu, B, Mo) უდიდესი და მრავალმხრივი ბიოლოგიური როლი მცენარეთა კვებაში, რომელთა დეფიციტი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაბალ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელს. ამიტომ ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მიკროელემენტების შემცველი სასუქების (ფიტორეგულატორების) შექმნა და გამოყენება; ისინი ბიოკატალიზური მოქმედების შედეგად მცენარეებში ახდენენ ფიზიოლოგიური პროცესების რეგულირებას, ზრდიან მცენარეთა მდგრადობას სხვადასხვა მავნებლების, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების მიმართ; რაც საბოლოო ჯამში აისახება მოსავლიანობის გადიდებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში და ა.შ. [1-3]. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი მიკროელემენტების გავლენა მცენარეთა დაავადებების მიმართ მდგრადობაზე.

ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა კვლევის და ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ბიოლითონების დეფიციტის შევსებისას ხელატურ ფორმას გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობები არახელატურთან შედარებით [4-7]. ეს უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში: ბიოლითონები ხელატურ ფორმაში მდგრადია რა pH-ის ფართო ინტერვალში (pH=3-11) შესაძლებელია მათი პესტიციდებთან და სხვადასხვა შხამქიმიკატებთან ერთად შეტანა (რაც არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს). ჰერბიციდებთან ერთად შეტანისას არ მოქმედებს სარეველების განადგურების ეფექტურობაზე, ამცირებს სტრესულ ზემოქმედებას. ზრდიან მცენარეების მიერ ნიადაგიდან N,P,K-ას ათვისების ხარისხს. ხელატური ფორმა უზრუნველყოფს ბიოლითონების ნელა გამოთავისუფლებას და ორგანიზმის მიერ მათ თანდათანობით და თანაბარ შეთვისებას (პროლონგირების ეფექტი), რაც გამორიცხავს მათ დარტყმით და სტრესულ მოქმედებას ცოცხალ ორგანიზმზე. საბოლოოდ კი ყოველივე ეს განაპირობებს ტოქსიურობის მინიმუმამდე დაყვანას. ხელს უწყობს სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზს, რაც ზრდის მათ კვებით ღირებულებას. (მაგ. E ვიტამინის სინთეზი და ათვისება პირდაპირ კავშირშია მიკროელემენტ სელენთან). შეთვისების მაღალი ხარისხის გამო ხელატების გამოყენება შესაძლებელია ჰომეოპათიური დოზებით, როგორც პროფილაქტიკური საშუალება.

ამიტომ იაფი, წყალში კარგად ხსნადი, უსაფრთხო და მდგრადი ფიტორეგულატორის შექმნის მიზნით ჩვენ მიერ სინთეზირებულია და კვლევის რიგი ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით (ხსნადობა, ღლობა, ინფრაწითელი სპექტროსკოპია, დიფრაქტომეტრია) შესწავლილია მიკროელემენტების (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu) და ნიტრილოტრიმმარმჟავას შემცველი ხელატური ნაერთები [8,9].

სინთეზირებული ნაერთების თერმული მდგრადობის და თერმოლიზის პროცესის თანამიმდევრობის შესწავლის მიზნით ჩატარდა თერმოგრაფიული გამოკვლევა პაულიკ, პაულიკ, ერდვის ტიპის დერივატოგრაფზე, ჰაერის თანაობისას. ნაერთები: Mg·NTA·2H₂O, Mn·NTA·3H₂O, Fe·NTA·2H₂O, Mg₂·(NTA)₃·5H₂O, Mn₂·(NTA)₃·2H₂O, Fe₂·(NTA)₃·3H₂O შესწავლილი იქნა შემდეგ პირობებში: TG=200მგ, T=500°C, DTA=DTG=1/5, ნიმუშის გახურების სიჩქარე 10 გრადუსიწთ-ში.

ყველა თერმოგრამა ხასიათდება რამდენიმე ენდო – და ეგზოთერმული ეფექტებით და DTG მრუდზე შესაბამისი ეფექტებით.

Mg·NTA·2H₂O – თერმოგრაფიკრამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველ ენდოთერმულ ეფექტს (140°C) შეესაბამება 2 მოლი წყლის მოწყვეტა (მასის დანაკარგი პრაქტიკული 14,17%, თეორიული 14,43%). ტემპერატურის შემდგომ ზრდას 150-280°C ტემპერატურულ ზღვრებში მცირე ენდოთერმულ ეფექტებს არ შეესაბამება მასის დანაკარგი, რაც ჩვენი აზრით დაკავშირებულია ნაერთის იზომერიზაციასთან; ხოლო 280-350°C ტემპერატურულ ინტერვალში ძლიერ ეგზოთერმულ ეფექტს შეესაბამება ნიტრილოტრიმმარმჟავას იონის დაჟანგვა და თერმოლიზის საბოლოო პროდუქტია MgO.

ნაერთების Mn·NTA·3H₂O და Fe·NTA·2H₂O თერმული დაშლა მიმდინარეობს ანალოგიური ხასიათით (ცხრ. 1). ენდოთერმულ ეფექტს 100-150°C ტემპერატურულ ინტერვალში შეესაბამება საფეხურებად წყლის მოლეკულების მოწყვეტა, ხოლო შემდეგ ძლიერ ეგზოთერმულ ეფექტებზე 340-370°C ტემპერატურულ ზღვრებში მიმდინარეობს ნიტრილოტრიმმარმჟავას იონის დაჟანგვა და დაშლის საბოლოო პროდუქტებია ლითონთა ოქსიდები Mn₃O₄ და Fe₂O₃ შესაბამისად.

Mg₂·(NTA)₃·5H₂O – დერივატოგრაფიის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნაერთის თერმული დაშლის ხასიათზე. კერძოდ I ენდოთერმულ ეფექტს 120°C –ზე შეესაბამება 2 მოლი წყლის მოწყვეტა (მასის დანაკარგი: პრაქტიკული 5,26%, თეორიული 5,09%); შემდეგ II ძლიერ ენდოთერმულ ეფექტს 160°C –ზე შეესაბამება 3 მოლი წყლის თანდათანობით დაჟანგვა (მასის დანაკარგი: პრაქტიკული 7,12%, თეორიული 7,63%); შემდეგ ენდოთერმულ ეფექტს 340°C –ზე შეესაბამება 2 მოლი ნიტრილოტრიმმარმჟავას იონის მოწყვეტა (მასისა დანაკარგი: პრაქტიკული 60,87%, თეორიული 61,41%). ტემპერატურის შემდგომ ზრდას 340–420°C ტემპერატურულ ინტერვალში ძლიერ ეგზოთერმულ ეფექტს შეესაბამება მესამე ნიტრილოტრიმმარმჟავას იონის დაჟანგვა და საბოლოო პროდუქტია MgO.

ცხრილი 1

ნიტრილოტრიმმარმჟავას შემცველი კოორდინაციული ნაერთების დერივატოგრაფიის ანალიზის შედეგები

№	ნაერთები	T, °C	მასის დანაკარგი, %		მოწყვეტილი მოლეკულა	დაშლის მყარი პროდუქტი
			პრაქტიკული	თეორიული		
1	Mg·NTA·2H ₂ O	140	14.17	14.43	2H ₂ O	Mg·NTA MgO
		350	83.98	84.36	NTA	
2	Mn·NTA·3H ₂ O	100	5.89	6.04	H ₂ O	Mn·NTA·2H ₂ O Mn·NTA MnO
		150	17.75	18.11	2H ₂ O	
		340	76.21	76.55	NTA	
3	Fe·NTA·2H ₂ O	145	13.05	12.80	2H ₂ O	Fe·NTA Fe ₂ O ₃
		370	72.14	71.93	NTA	
4	Mg ₂ ·(NTA) ₃ ·5H ₂ O	120	5.26	5.09	2H ₂ O	Mg ₂ ·(NTA) ₃ ·3H ₂ O Mg ₂ ·(NTA) ₃ Mg ₂ ·NTA 2MgO
		160	7.12	7.63	3H ₂ O	
		340	60.87	61.41	2NTA	
		420	89.06	88.87	NTA	

5	Mn ₂ ·(NTA) ₃ ·2H ₂ O	165	5.15	5.03	2H ₂ O	Mn ₂ ·(NTA) ₃
		360	57.88	58.27	2NTA	Mn ₂ ·NTA
		410	81.47	81.91	NTA	Mn ₃ O ₄
6	Fe ₂ ·(NTA) ₃ ·3H ₂ O	110	2.63	2.45	H ₂ O	Fe ₂ ·(NTA) ₃ ·H ₂ O
		140	7.92	7.35	2H ₂ O	Fe ₂ ·(NTA) ₃
		300	32.74	33.25	NTA	Fe ₂ ·(NTA) ₂
		430	78.94	78.52	2NTA	Fe ₂ O ₃

ანალოგიური ხასიათით მიმდინარეობს ნაერთების Mn₂·(NTA)₃·2H₂O და Fe₂·(NTA)₃·3H₂O თერმული დაშლა (ცხრ. 1). ენდოთერმულ ტემპერატურულ ინტერვალში შეესაბამება წყლის თანდათანობითი მოწყვეტა. შემდგომ ენდოთერმულ ინტერვალში აღვივებული აქვს ნიტრილოტრიმარმუაჟის იონების ჟანგვას, ხოლო 410–430°C ტემპერატურულ ინტერვალში ძლიერ ეგზოთერმულ შეესაბამება ლიგანდის იონების სრული მოწყვეტა და ორივე შემთხვევაში დაშლის საბოლოო პროდუქტებია ლითონის ოქსიდები I – Mn₃O₄, II – Fe₂O₃.

სინთეზირებული ნაერთების ბიოლოგიური აქტივობის შესწავლის მიზნით, მათ საფუძველზე მომზადდა ფიტორეგულატორის 5%-იანი მუშა ხსნარი, რომელიც გამოცდილი იქნა სოიას კულტურაზე.

ადამიანისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ცილით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტაში სოიას წარმოებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მაღალხარისხოვანი საკვები ცილის საიმედო წყაროა. სოიასგან დამზადებული საკვების ჩართვა ცხოველთა და ფრინველთა რაციონში არა მარტო აბალანსებს მას ცილის შეუცვლელი ამინომჟავების, მინერალური ნივთიერებებისა და ცხიმის მიხედვით, არამედ მასთან ერთად ამდიდრებს ვიტამინებით, ფერმენტებით, ადვილსა და საკვების მონელებას. საქარველოში სოიას მოვლა-მოყვანას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, დღესაც მნიშვნელოვანი ზრუნვა მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ჩვენი კვლევების მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ფიტორეგულატორის და მისი გამოყენების სხვადასხვა ხერხის გავლენა სოიას მარცვლის მოსავლიანობასა და მიღებული პროდუქციის ხარისხზე. ამ მიზნით სტაციონალური მინდვრის ცდები ტარდებოდა გარდაბნის რაიონში სამი წლის განმავლობაში შემდეგი სქემით: I საკონტროლო (ფიტორეგულატორის გარეშე), II – ფიტორეგულატორის ნიადაგში შეტანა, III – ფიტორეგულატორით სოიას თესვის თესვისწინა დამუშავება და IV – ფიტორეგულატორის ფესვგარეშე გამოკვლევა. ძირითადი ხვნის წინ, ყველა ვარიანტში, ფონად შეიტანებოდა ფოსფორ-კალიუმის სასუქები ნომრით P90K90, ხოლო თესვის წინ, აზოტის სასტარტო ნორმა – N30.

მოსავალი აღირიცხებოდა სოიას მარცვლის სრულ სიმწიფეში, რომლის ციფრობრივი მასალები მოცემულია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2

ფიტორეგულატორის გამოყენების ხერხების გავლენა სოიას მარცვლის მოსავლიანობაზე და პროდუქტიულობაზე (სამი წლის საშუალო)

ვარიანტები	მარცვლის მოსავალი	მოსავლის ნამატი		მიღებულია ჰა-ზე		1 კგ. საკვებ ერთეულში მონელებ. პროტეინი გრ.
		ც/ჰა	%	საკვები ერთეული	მონელებადი პროტეინი კგ.	
საკონტროლო	17,3	–	–	1972	505	256
ფიტორეგულატორის ნიადაგში შეტანა	20,5	3,2	18,5	2337	656	280
ფიტორეგულატორით თესვის დამუშავება	19,4	2,1	12,1	2192	621	283
ფიტორეგულატორით ფესვგარეშე გამოყენება	21,2	3,9	22,5	2417	699	289

როგორც ცხრილიდან ჩანს სოიას ნათესებში ფიტორეგულატორის გამოყენების სამივე ხერხი ეფექტურია. განსაკუთრებით გამოირჩევა ფესვგარეშე შეტანა, რომლის დროსაც, სამი წლის საშუალო მონაცემებით, იზრდება სოიას მარცვლის მოსავლიანობა 21,2 ც/ჰა-მდე, რაც საკონტროლო ვარიანტს აღემატება 3,9ც/ჰა-თი ანუ 18,39%-ით, ხოლო ფიტორეგულატორით თესლის დამუშავების ვარიანტს 2,1ც/ჰა-თი ანუ 12,14%-ით.

სამი წლის საშუალო მონაცემებით, ფიტორეგულატორის გამოყენების სხვადასხვა ხერხმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოიას მარცვლის ქიმიურ შემადგენლობასა და მის პროდუქტიულობაზე. ფიტორეგულატორის გამოყენებით 5%-ზე მეტად იზრდება მარცვალში ნედლი პროტეინის შემცველობა და მაქსიმუმს - 38,16%-ს აღწევს თესლის დამუშავების დროს.

ფიტორეგულატორის ნიადაგში შეტანით 1 ჰა-დან მიღებული იქნა 3 ტონაზე მეტი საკვები ერთეული და 8 ცენტნერზე მეტი მონელებადი პროტეინი, საკონტროლოსთან შედარებით მიღებული მოსავალი 1 ტ. საკვები ერთეულით მეტია, ხოლო მონელებადი პროტეინი – 3 ც.-ით. აღნიშნულ ვარიანტზე 1 კგ. საკვებ ერთეულში მონელებადი პროტეინის შემცველობა 289გრ. შეადგენს.

სამი წლის განმავლობაში სოიას კულტურაზე საველე პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ სინთეზირებული და მათ საფუძველზე შექმნილი ნიტრილოტრიმარმუკავას და მიკროელემენტების (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu) შემცველი ფიტორეგულატორი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზეც. ამდენად მსგავსი ტიპის ნაერთების საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას საწარმოო მნიშვნელობის ეკოლოგიურად უსაფრთხო, იაფი, უნარჩენო ახალი თაობის ფიტორეგულატორები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Анспок П.И., Микроудобрения. Москва, Агропромиздат, 1990.
2. Чумаченко И.Н., Химизация сельского хозяйства, 1990. №1,ст.18-20.
3. Карапетян Г.О., Карапетян К.Г., Минеральные удобрения XXI века в свете проблем экологии. Научно-технические ведомост. СПбГТУ. 2000.№1, ст. 19.
4. Microelements Chelates, <http://www.sadogorodluna.ru/osnovi-zemledelija/mineralnie-udobrenija>. 2010. <http#top>.
5. The Review of a Market of Chelate Microfertilizers. <http://www.reacom.info/files/reacom-marketmicro> - 2007. Rus.pdf.
6. Д. Миргород. Коктейлі мікроелементів для некореневого підживлення і обробки насіння // Хімія, Агрономія, Сервіс. -2005. № 4.ст.5.
7. Роль микроэлементов в обеспечении баланса минерального питания с/х культур http://www.bhz.kosnet.ru/Rus/Stat/St_2010_03_Chenonodov.html.
8. ს. უროტაძე, ნ. უორჟოლიანი, ი. ბეშკენაძე, მ. გოგალაძე, მიკროელემენტების და ნიტრილოტრიმარმუკავას შემცველი ხელატების კვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მოამბე, №29 2011წ. გვ., 160-163.
9. Уротадзе С.Л. Жоржوليани Н.Б., Бешкенадзе И.А., Гоголадзе М.А., Сакварелидзе Т.К., Гогола Л.Д. Хелаты некоторых микроэлементов с нитрилотриуксусной кислотой Известия национальной академии наук грузии серия химическая №2, том.36, 2010, ст.,211-213.

**IAMZE BESHKENADZE, MAIA GOGALADZE, NANA ZHORZHOLIANI,
SPARTAK UROTADZE, IRINE LOMTADZE**

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

STUDY OF MICROELEMENTS-CONTAINING PHYTO-REGULATOR

S u m m a r y

Creation and application of microelements-containing chelate form fertilizers (phyto-regulators) is attributed significant role for the resolution of a problem of production of cheap, ecologically safe, high-quality farm produce.

For the resolution of this problem we synthesized chelate compounds containing nitriolo-tri-acetic acid and microelements (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu, B, Mo) to create waste-free, stable, well soluble in water phyto-regulator. Thermogravimetric study was performed to study their thermal stability and thermolysis process. It was proved that thermal degradation of compounds proceeds step-wise. For the study of biological activity of synthesized compounds 5% solution of phyto-regulator was prepared on their base, which was tested on soya .

Experiments aimed to study in field conditions the impact of phyto-regulator and various methods of its application on soy seed productivity and quality of the obtained product.

Analysis of average data of three years showed that various methods of application of phyto-regulator made significant influence on soy seed, its chemical composition and productivity. Application of the phyto-regulator raw protein content of seed increases by 3% and it reaches its maximum 38.16% - at the treatment of seed. At the introduction of phyto-regulator in soil from 1 ha more than 3 ton nutritive unit and more than 8 centner digestible protein was obtained. Therefore, synthesis of this kind compounds and preparation of phyto-regulators on their base, is interesting both with the scientific and practical point of view and it enables us to create industrial designation ecologically harmless, cheap, waste-free phyto-regulators of new generation.

ღაგით ბიბინაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

როინ შობლიანიძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მასწავლებელი

მწვანე ეკონომიკა - ეს არის 21-ე საუკუნის ბიზნესსაქმიანობა

გლობალური მოუსავლიანობის პირობებში, როდესაც სიმცირის გამო სურსათი სულ უფრო ძვირდება, სასურსათო უსაფრთხოება ყოველი ქვეყნისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ დროს საქართველოში ადგილობრივი მოსავალი წლიდან წლამდე მცირდება-გადარბებული გლეხი მიწის დამუშავებასაც ვერ ახერხებს, ამიტომ ადგილობრივი სასურსათო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმპორტის ხარჯზე ხდება.

მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე შექმნილი დეფიციტის გამო, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა და აგრარული სექტორის მაქსიმალურად განვითარების აუცილებლობაზე აღაპარაკდა. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც დიდი აგრარული პოტენციალი გააჩნია. სტრატეგიის მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ამით მიღწეული იქნება აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა.

როგორც ჩანს ხელისუფლება სოფლის მეურნეობის სფეროში პოლიტიკის გადახედვას იწყებს. უახლესი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა სახელმწიფოსაგან სუბსიდირებას მიიღებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელისუფლებაში აქამდეც ხშირად ლაპარაკობდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ეს სფერო საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლელია, მაგრამ ხელისუფლება აქამდე ნაკლებად ახორციელებდა უშუალოდ სოფლის მეურნეობის სტიმულირების პროგრამას. ახლა, როდესაც სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა, ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება სურს. ეფექტობ ეს ანტიინფლაციური ზომა არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ინფლაციის სოციალური შედეგების განეიტრალების ერთ-ერთი საშუალებაა. ჩვენი აზრით, თავისთავად ის, რომ სოფლის მეურნეობაში ფული შევა და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს შეხვდება, ხელს შეუწყობს სოფლად სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

საქართველო მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა (მწვანე) ეკონომიკების შორის 47-ე პოზიციაზეა და მოქცეულია ისეთი ქვეყნების შუაში, როგორც ურუგვაი და ავსტრალია, - ამ მონაცემებს RBC იელის და კოლუმბიის უნივერსიტეტის კვლევებზე დაყრდნობით აქვეყნებს.

რეიტინგში სულ 132 ქვეყანა მოხვდა. ლიდერები არიან შვეიცარია, ლატვია და ნორვეგია, ათეულში არიან - ლუქსემბურგი, კოსტა რიკა, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, ბრიტანეთი და შვედეთი. აუტსაიდერებს შორის არიან უზბეკეთი, თურქმენეთი და ერაყი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ლატვიას (მე-2), ლიტვას (მე-17), უარესი მდგომარეობა კი - ესტონეთს (54-ე), ბელარუსს (65-ე), სომხეთს (93-ე), ყირგიზეთს (101-ე), უკრაინას (102-ე), რუსეთს (106-ე), მოლდოვას (108-ე), აზერბაიჯანს (111-ე), ტაჯიკეთს (121-ე), ყაზახეთს (129-ე), უზბეკეთს (130-ე), თურქმენეთს (131-ე); აღსანიშნავია, რომ საქართველოს უკან არიან ისეთი ქვეყნები, როგორც არის აშშ, ისრაელი და თურქეთი.

რეიტინგის ავტორების აზრით, 2000-2010 წლებში ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაუარესება აღინიშნა ესტონეთში, საუდის არაბეთში, ბოსნიაში, რუსეთში და ერაყში.

ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის ინდექსი (Environmental Performance Index) შედგენილია 22 პარამეტრის გამოკვლევის შედეგად, მათ შორის - წყლის და ჰაერის ხარისხი, გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სატყეო ფონდი, სხვადასხვა მანე ნივთიერებების ბუნებაში ემისია და ა.შ.

აღნიშნული რეიტინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეკოლოგია დღეისთვის მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემორისკები და ეკოლოგიური დანაკლისები. მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება. ჯერ კიდევ 2010 წელს ბრეტონვუდის სისტემის მთავარმა ინსტიტუტებმა, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დიდი დაინტერესება გამოხატეს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შეფასების მიმართ, რაც მის აქტიურ დაფინანსებას გულისხმობს.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს, მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

"მწვანე ეკონომიკის" ფარგლებში საქართველოს მთავრობამ, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, 15 პროექტი შეიმუშავა, რომელსაც კერძო სექტორს წარედგინება.

აღნიშნულ საკითხზე გაეროს განვითარების პროგრამა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ერთობლივად მუშაობს. თბილისში გამართულ მწვანე ბიზნესშესაძლებლობების კონფერენციაზე, რომელიც სწორედ "მწვანე ეკონომიკის" საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ საქართველოს მწვანე ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ამ მიმართულებით მთავრობა კერძო სექტორთან ერთად ინტენსიურად იმუშავებს.

პროექტი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამის "საჯარო სექტორში რეფორმების მხარდაჭერი კონსულტაციების პროექტის" ფარგლებში ხორციელდება. საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების გუნდი მდგრადი და ეკონომიკურად გამართლებული მწვანე ბიზნესების (მწვანე პროდუქტების წარმოება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერჯიაზე დაფუძნებული წარმოება) განსასახიფრად შეიკრიბა.

"მწვანე ეკონომიკის" განვითარებისთვის მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც კერძო სექტორმა უნდა თქვას. დღეს საქართველოში არსებობს უზარმაზარი პოტენციალი მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. საუბარი არ არის მხოლოდ პიდრორესურსებზე, საუბარია, ასევე, მწვანე ტრანსპორტის საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და სხვა. ამჟამად ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს საუბარი და ეს ქართული წარმოების ნატურალური პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში გატანის, ასევე, ტურიზმის სექტორის ე.წ. მწვანე მიმართულებით გაზრდის და კერძო სექტორისთვის რეალური პროექტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ასე რომ, შევხედოთ "მწვანე ეკონომიკას," როგორც შემოსავლიან ბიზნესს."

უკვე დამუშავებულია 15 კონკრეტული პროექტი, რომელიც კერძო სექტორს წარედგინება. ეს არის საერთაშორისო ექსპერტების მიერ დამუშავებული მოგებიანი პროექტები და მნიშვნელოვანია, რომ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, უკვე მზა პროექტი წაიღონ ბანკში და მოიპოვონ დაფინანსება.

გაეროს-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, რაც ითვალისწინებს განახლებად ენერჯიაზე გადასვლას, მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას, მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერჯის გეგმის შემუშავებისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კალიფორნიის შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა.

მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300 პროცენტით გაზარდა. ჩინეთში სუფთა ენერჯის დასაფინანსებლად 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო. შესაბამისად, ჩინეთმა წინ გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერგოტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩადებული ინვესტიციების მოცულობით, დიდი ბრიტანეთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა, შემდეგ - ესპანეთი და ბრაზილიაა.

როგორც მიმდინარე ტენდენციები უჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ, ვინაიდან მწვანე ეკონომიკა - ეს არის 21 საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდევ, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტიურად ალურია როგორც არასდროს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნესშესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

მწვანე ზრდის ინიციატივა წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას (მაგ. ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საშუალებით). მისი განხორციელება მოხდება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებს კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკას, არაპროტექციონისტული საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასა და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

ჩვენი აზრით ამ სტრატეგიის განხორციელება გაზრდის სოფლად დასაქმებას, ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე, აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას, საექსპორტო პროდუქციის მოცულობის მატებასა და მის დივერსიფიცირებას.

ეს ის პირობებია, რომელთა შესრულებაზეც სახელმწიფომ უნდა იფიქროს. მხოლოდ ამის შემდეგ განვითარდება სოფლის მეურნეობა. რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთი პოლიტიკის გატარებით მივალწევთ იმას, რომ სოფლად მოსახლეობის შემოსავალი გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://economy.ge>
2. <http://geostat.ge>
3. <http://mof.ge>
4. <http://nbg.gov.ge>
5. <http://found.ge>
6. <http://cge.ge>

DAVIT BIDZINASHVILI

Gori Teaching University, Full Professor

Понятие «устойчивое развитие» получило широкое распространение после публикации доклада «Наше общее будущее», подготовленного в 1987 году Международной Комиссией ООН по окружающей среде и развитию. Указанное понятие было введено для определения взаимоотношений между обществом и природой. Согласно этого доклада устойчивое развитие понимается как: «...такое развитие, которое удовлетворяет потребность нынешнего времени, но и не ставит под угрозу возможность будущих поколений удовлетворить свои собственные нужды»².

Это фактически стало продолжением концепции ноосферы, сформулированной украинским ученым, академиком В.И. Вернадским еще в начале XX века. Она стала необходимой платформой для наработки теории триединого эколого-социально-экономического развития. Ее суть – обязательная согласованность экономического, экологического и человеческого развития таким образом, чтобы с поколения в поколение не уменьшалось качество и безопасность жизни людей, не ухудшалось состояние окружающей среды, а обеспечивался социальный прогресс в своей стабильности и гармоничности.³ Следует заметить, что Концепция

¹ Органическое земледелие – единственное спасение украинских черноземов от засухи? Режим доступа: http://zemreforma.info/index.php?option=com_content&view=article&id=486%3A2011-06-21-13-10-04&catid=40%3A2009-06-23-08-56-45&Itemid=61&lang=uk

² Наше общее будущее. Доклад Международной комиссии по окружающей среде и развитию. Режим доступа: www.unep.org/RU_FactSheet_1_Environment_for_Development-Web.pdf

³ Поплавская Ж. Как дорости Украини к сталого развитию/ Ж.Поплавская, В.Поплавський// Вестник НАН Украины.- 2007.- №9.- С. 8-15.

устойчивого развития включает два ключевых взаимосвязанных понятия:

1) понятие потребностей, в том числе приоритетных (необходимых для существования беднейших слоев населения):

2) понятие ограничений (обусловленных состоянием технологии и организацией общества), накладываемых на способность окружающей среды удовлетворять нынешние и будущие потребности человечества.

Основной задачей устойчивого развития были провозглашены удовлетворения человеческих потребностей и стремлений, являющиеся наиболее важными для жизни и предоставления всем возможности удовлетворять свои стремления к лучшей жизни в равной степени.

Концепция устойчивого развития основывается на пяти основных принципах.

1. Человечество действительно способно придать развитию устойчивый и долговременный характер, с тем чтобы оно отвечало потребностям людей, ныне живущих, не лишая при этом будущие поколения возможности удовлетворять свои потребности.

2. Имеющиеся ограничения в области эксплуатации природных ресурсов относительно. Они связаны с современным уровнем техники и социальной организации, а также со способностью биосферы справляться с последствиями человеческой деятельности.

3. Необходимо удовлетворить элементарные потребности всех людей и всем предоставить возможность реализовывать свои надежды на благополучную жизнь. Без этого устойчивое и долговременное развитие просто невозможно. Одна из главных причин возникновения экологических и иных катастроф - нищета ставшая в мире обычным явлением.

4. Необходимо согласовывать образ жизни тех, кто располагает большими средствами (денежные и материальные), с экологическими возможностями планеты, в частности относительно потребления энергии.

5. Размеры и темпы роста населения должны быть согласованы с переменным продуктивным потенциалом глобальной экосистемы Земли.

Особо подчеркивается динамический характер устойчивого развития. Отмечается, что оно является не неизменным изобилием гармонии, а скорее процессом изменений в котором масштабы эксплуатации ресурсов, направление капиталовложений, ориентация технического развития и институциональные изменения согласуются с нынешними и будущими потребностями.

Следует также заметить, что мировой продовольственный кризис стал новым вызовом для сельскохозяйственного производства. По информации Всемирного банка мировой продовольственный кризис привел к обнищанию 100 млн. человек в странах с низкими доходами. По данным отчета ООН более 40 стран мира страдает от нехватки продовольствия в связи с резким повышением цен на продукты питания. Следует заметить, что такая ситуация развивается в условиях вполне достаточного мирового производства продовольствия, что позволяет удовлетворить потребности растущего населения планеты. По данным Организации ООН по продовольствию и сельскому хозяйству (FAO) на сегодня в мире голодает около 800 млн. человек. Эксперты организации считают, что главной причиной является неравномерность распределения продуктов среди стран и континентов как следствие борьбы за установление контроля над исчерпываемыми природными ресурсами.

Главная функция устойчивого развития в данном контексте - это обеспечение продуктами питания растущего населения при условии сохранения и восстановления природной среды. Невозможно достичь состояния продовольственной обеспеченности, не обеспечив населения продуктами питания в объемах, достаточных для полноценного удовлетворения потребностей людей в продовольствии. Особую роль играет производство экологически чистых и безопасных для здоровья продуктов. Безопасность пищевых продуктов и продовольственного сырья относятся к основным факторам, определяющим здоровье населения (а это уже социальная составляющая концепции устойчивого развития). Известно, что около 70% вредных веществ поступает в организм человека вместе с продуктами питания¹.

При такой ситуации использование аграрными предприятиями системы органического земледелия предоставляет преимущества по обеспечению устойчивого развития.

Прекрасно тему преимуществ использования органического земледелия для адаптации сельского хозяйства к изменению климатических условий раскрыл в своем исследовании «Возможности органического

¹ Бережная Ю.С. Сущность устойчивого развития сельского хозяйства/ Полтавский университет потребительской кооперации Украины

земледелия как стратегии адаптации развивающихся стран к изменению климата»¹ Адриан Мюллер из социэкономического института университета города Цюрих. Мы же, используя определенные его наработки и других иностранных ученых, попробуем проанализировать, какие же преимущества будет иметь использование органического земледелия аграрными предприятиями Украины и стран СНГ для обеспечения их устойчивого развития в условиях глобальных изменений климата.

Органическое сельское хозяйство - целостная система управления производством, которая улучшает состояние агроэкосистемы, включая биологическую вариативность, биологические циклы и биологическую активность почвы. Это возможно при использовании культурных, биологических и механических методов в противоположность использованию синтетических материалов, чтобы выполнить определенную функцию в рамках системы. Органическое земледелие - это не только определенная система сельскохозяйственного производства, это также системный и комплексный подход к жизнеспособных средств существования и существования вообще, где каждое действие выполнена в соответствии факторам влияния на устойчивое развитие сельского хозяйства².

Преимуществом органического сельского хозяйства является то, что оно с давних времен используется как система земледелия и была приспособлена ко многим климатическим зонам и местным условиям³.

За счет того, что при органическом земледелии используются только органические материалы (удобрения, средства защиты и др..) это увеличивает содержание органических веществ в почве. Как следствие, в почве за счет воздействия природных факторов гораздо больше влаги чем при использовании традиционной системы земледелия. Таким образом, при использовании системы органического земледелия можно в некоторой степени нивелировать природные факторы, что особенно важно в условиях глобального изменения климата. Кроме того, органическое земледелие уменьшает уязвимость сельскохозяйственных предприятий, поскольку из-за отказа при такой системе хозяйствования от дорогих синтетических удобрений и средств защиты предприятия значительно снижают свои затраты на получение продукции, что делает значительно меньше риски в случае частичного или полного неурожая из-за экстремальных погодных условий, которые возникнут вследствие глобального изменения климата. Также это хорошая альтернатива для бедных фермеров.

Между прочим, еще одним положительным моментом использования системы органического земледелия является то, что при производстве сертифицированной продукции цены на нее почти в два раза больше чем цены на обычную продукцию сельского хозяйства, что позволяет хозяйствам получать большие доходы и покрывать расходы понесенные на производство даже при незначительных урожаях.

Для подтверждения сказанного выше мы провели расчеты расходов и прибыли, которую может получить среднестатистическое сельскохозяйственное предприятие при использовании традиционной технологии при средней урожайности озимой пшеницы 45 ц / га с предприятием использующим органическое земледелие при условии, что средняя урожайность будет в 1,5 раза меньше, то есть на уровне 30 ц / га. Стоит заметить также, что при расчетах цена реализации органической продукции бралась на 15% выше. Данные расчетов приведены в таблице 1.

1. Сравнение финансовых результатов деятельности аграрных предприятий на одну тонну выращенной продукции при использовании различных технологий

Название показателя	Значение			
	Традиционная технология		Органическое земледелие	
	Сумма, \$/га	Сумма, \$/т	Сумма, \$/га	Сумма, \$/т
Всего расходы в т.ч.	756	168	455	151
Семена	43	10	43	14
Удобрения	296	66	81	27

¹ «Benefits of Organic Agriculture as a Climate Change Adaptation and Mitigation Strategy for Developing Countries» Adrian Muller, April 2009.

² Eyhorn, F. "Organic Farming for Sustainable Livelihoods in Developing Countries: The Case of Cotton in India." PhD diss. Department of Philosophy and Science, University of Bonn. http://www.zb.unibe.ch/download/eldiss/06eyhorn_f.pdf. 2009.

³ El-Hage Scialabba, N., and C. Hattam, Online document. "Organic Agriculture, Environment, and Food Security." Environment and Natural Resources Service, Sustainable Development Department, Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). <http://www.fao.org/docrep/005/y4137e/y4137e00.htm>. February 12, 2009.

<i>Средства защиты растений</i>	50	11	0	0
<i>Горюче-смазочные материалы</i>	57	13	54	18
<i>Амортизация</i>	157	35	150	50
<i>Ремонт</i>	95	21	87	29
<i>Прочие</i>	3	1	7	2
<i>Общепроизводственные</i>	55	12	34	11
Доход от реализации	768	171	585	195
Прибыль	12	3	131	44

Источник: собственные расчеты.

Как видно из таблицы, при использовании органического земледелия предприятия получают значительно большую прибыль в первую очередь за счет снижения затрат, а следовательно, они являются менее уязвимыми к изменению природных условий, поскольку будут получать прибыль даже при значительном недополучении урожая. А тот факт, что большинство сельскохозяйственных предприятий Украины из-за значительной дороговизны синтетических удобрений и средств защиты растений и так частично отказываются от них, дает еще одно преимущество органическому земледелию по сравнению с традиционной системой.

Сегодня органическое сельское хозяйство практикуется, по приблизительным оценкам, в ста странах мира и является одним из самых перспективных сегментов аграрного рынка. Темпы роста продаж органических продуктов питания увеличиваются на 20-25% в год.

Итак, органическое земледелие является очень перспективным направлением для аграрных предприятий Украины и не только, имеет определенные преимущества по сравнению с интенсивными технологиями по обеспечению устойчивого развития в условиях глобальных климатических изменений, что позволит не только уберечь и улучшить плодородие почв, но и значительно повысить качество сельскохозяйственной продукции.

VLADYSLAV BUTKO

Vadym Getman's Kyiv National Economic University, PhD student

BENEFITS OF ORGANIC FARMING FOR THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURAL ENTERPRISES IN UKRAINE IN TERMS OF GLOBAL CLIMATIC CHANGES

S u m m a r y

The article discusses the advantages of organic farming for sustainable development of agricultural enterprises in Ukraine in the context of global climate change.

Evident feature of climate change over the last decade is a global warming that is reflected in increase of the average annual air temperature by 2-3 degrees Celsius.

Global warming impacts agriculture reducing the production of agricultural products that is caused by decreased crop yields and livestock production. With the continuing trend of global warming, the situation in the agricultural sector will be only worse.

In such a situation, implementation of organic farming systems provides agrarian enterprises with benefits for sustainable development.

Organic farming reduces the vulnerability to failure of the agricultural enterprises due to refusal of application of expensive synthetic fertilizers and crop protection products within this farming system. In such a way agricultural enterprises significantly reduce their costs of production, making significantly less risk of a partial or complete crop failure caused by extreme weather conditions which will arise as a result of global climate change. It is also a good alternative for poor farmers.

According to calculations by using organic farming businesses get greater profits mostly due to reduced costs. Therefore, they are less vulnerable to changing environmental conditions, as they will make a profit even with a significant decrease of yields.

Keywords: global climatic changes, agricultural enterprises, sustainable development, organic farming.

**ცოფნის სამკუთხედის მოფლის ჴორმირების
წინაპირობები მფწინეობის ბანვითარებაში საქართველოში**

საქართველო თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულია კულტურული მუვენახეობა-მეღვინეობის აკვნად. „და იწყო ნოე კაცმან საქმედ ქუეყანისა და დაასხა ვენახი და ღვინო მისგან და დაითრო“ (დაბადება 8,20,21), გვამცნობს ბიბლია და შეგვახსენებს, რომ წარღვნის შემდგომი ცივილიზაციის საწყისი ვახია, მაგრამ ნოე თავისი სახლეულით, წარღვნამდელი პროტობერიული ანუ მედიტერანული ცივილიზაციიდან მოდის და ამდენად, ვახიც და ღვინოც წარღვნამდელი ცივილიზაციის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. ქართული ღვინის ისტორია სწორედ წარღვნამდელი ეპოქიდან, ნეოლითის ხანიდან იწყება, ქართული ღვინო 8000 წლისაა. ამას სამხრეთ საქართველოში შულავერის კულტურის არქეოლოგიური მდიდარი და მრავალფეროვანი მასალები მიგვანიშნებს (მე. წ. VI-IV ათასწლეულები).¹

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებამ, უცნობ სივრცეში გასვლამ ქართველი მეღვინეები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. საჭირო გახდა ახალ გარემოებებსა და მოთხოვნებთან ადაპტაცია-შეგუება, მაღალი გემოვნების მქონე მომხმარებლების მოთხოვნის შესწავლა-დაკმაყოფილება, მკაცრი კონკურენციის პირობებში საკუთარი ადგილოს დამკვიდრება, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის საკმაოდ რთული გადასატრეელი ამოცანა იყო. ამ მიზნის მისაღწევად ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დიდი ძალისხმევა გაწიეს ადგილობრივმა თუ უცხოელმა ინვესტორებმა, რაც დასტურდება ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, კერძოდ, 2013 წლის აპრილში განხორციელდა 1,689,749 ლიტრი 0,75 ლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული ღვინის ექსპორტი 30 ქვეყანაში, რაც 32%-ით მეტია გასული წლის მაჩვენებელზე. საქსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი, ლატვია და პოლონეთი. ლიდერობს უკრაინა – 43%.² საქართველოდან ღვინის ექსპორტის სტატისტიკა 2005-2012 წწ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. საქართველოდან ყურძნის ღვინოების ექსპორტი 2005-2012 წწ (ათასი აშშ დოლ)³

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ყურძნის ღვინოები	81 328.9	41 050.6	29 197	36 863	31 997.0	39 269.0	54 103.4	64 871.4

ცხრილიდან 1 ჩანს, რომ 2007 წელს ექსპორტის მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ შემცირდა, რაც რუსული ემბარგოს შედეგი იყო. 2007-2011 წლებში ქართული ღვინის ყველაზე დიდი ექსპორტიორი იყო უკრაინა, რომელზეც ამ პერიოდში ტრადიციულად მოდიოდა ექსპორტის თითქმის ნახევარი, ამასთან, ბოლო 5 წლის მანძილზე უკრაინაში ღვინის გაყიდვები თითქმის გაორმაგდა, როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით მაჩვენებლებში. 2013 წელს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას ქართველი ექსპორტები 8-10 მლნ ბოთლის გაყიდვას უწინასწარმეტყველებენ.⁴

2007-2012 წწ ყურძნის ნატურალური ღვინოების უმსხვილესი ექსპორტიორი კომპანიები იყო: სს „თბილღვინო“, სს „თელავის ღვინის მარანი“, შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“, შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“, სს „თელიანი ველი“, შპს „ბადაგონი“, შპს „ვაინმენი“, შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“, სააქციო საზოგადოება „ვაზიანი“ და ა.შ. 2007-2012 წწ საქართველოს ექსპორტის მთლიან მოცულობაში ღვინის ექსპორტზე მოდიოდა 2,5-2,7%. აღნიშნული მაჩვენებელი, ვფიქრობთ, დაბალია, ვინაიდან საქართველოში წარმოებული ყურძნის მოცულობა გაცილებით დიდ შესაძლებლობებს აძლევს მეღვინეებს.

¹ თ. ღლონტი, „ქართული ქვევრის ტრადიციული ღვინის დიდი საერთაშორისო აღიარება“, www.vine-wine.ge

² www.nwa.ge

³ www.geostat.ge

⁴ ს. კვინტრაძე, ქართული ღვინო რუსეთში ბრუნდება, „IP საქართველო“, საქპატენტი, 2013, გვ. 40. www.sakpatenti.org.ge

ცხრილში 2 მოცემულია 2005-2011 წწ საქართველოში ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით. ცხრილიდან 2 ჩანს, რომ საქართველოში ყურძნის წარმოების თითქმის ნახევარი და ზოგჯერ მეტიც, კახეთზე მოდის, შესამჩნევია, რომ 2011 წელს 2005 წელთან შედარებით შემცირებულია ყურძნის წარმოება, რაც დარგში არაეფექტიანი პოლიტიკითაა გამოწვეული.

ცხრილი 2. საქართველოში ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით 2005-2011 წწ (ათასი ტონა)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო, სულ	250.3	162.5	227.3	175.8	150.1	120.7	159.6
მათ შორის:							
იმერეთი	57.9	36.3	54.5	43.7	30.3	25.0	26.3
შიდა ქართლი	18.2	10.9	16.0	8.1	16.4	8.6	10.2
კახეთი	128.4	80.2	118.6	100.0	82.7	64.7	98.1
სხვა რეგიონები	45.8	35.1	38.2	24.0	20.7	22.4	25.0

შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი მეღვინეობაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირებისთვის ხელშეწყობა მიგვაჩნია.

საზოგადოდ, ცნობილია, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენციული უპირატესობები გლობალურ ეკონომიკაში ხშირად აღმოცენდება კლასტერის ნიადაგზე“.¹ თავად კლასტერის საწყისი და შემდგომ მამოძრავებელი ძალა „ცოდნის სამკუთხედი“², რომელიც განათლებას, მეცნიერებასა და ბიზნესს შორის სინერგიულ კავშირს გულისხმობს. ცოდნის სამკუთხედის მინიმოდელი კი, დღეისათვის მსოფლიოში განსაკუთრებული წარმატებით მოქმედი სამეწარმეო უნივერსიტეტებია.

წარსულში უნივერსიტეტები ძირითად ყურადღებას უთმობდნენ სწავლების პროცესს, შემდგომ, XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე სამეცნიერო კვლევა გადაიქცა უნივერსიტეტების ლეგიტიმურ ფუნქციად. სამეცნიერო კვლევას ხელს უწყობდნენ პრაქტიკული და სოციალური სარგებლის მოლოდინის გამო, ასევე ეროვნული პრესტიჟის ასამაღლებლად.

ბოლო წლებში უნივერსიტეტების მისიის ევოლუციამ გახსნა სამეცნიერო მეწარმეობის ახალი შესაძლებლობები. ცოდნის არაფორმალური გადაცემა (კონსულტაციების, ტექნიკური შესწავლის, პუბლიკაციების და სხვა საშუალებებით), შეიცვალა ტექნოლოგიების მეწარმეობის ოფიციალური მექანიზმებით, საკუთრების უფლებების დაცვის სისტემით (მაგ, პატენტები, ლიცენზიები, სასარგებლო მოდელები და ა.შ.). ცხრილში 3 მოცემულია უნივერსიტეტების მისიის ცვლილება აკადემიური რეგულაციების შესაბამისად.

წარმოების მოთხოვნა ეფექტიან ტექნოლოგიებზე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს უნივერსიტეტებში არსებულ კვლევით ჯგუფებთან, ტექნოლოგიის გადამცემ ოფისებთან, ინკუბატორებთან პირდაპირი დაშვების გზით.

ცხრილი 3. პირველი და მეორე აკადემიური რეგულაცია²

სასწავლო ფუნქციის უნივერსიტეტი	⇒	კვლევითი უნივერსიტეტი	⇒	სამეწარმეო უნივერსიტეტი
პირველი მისია		მეორე მისია		მესამე მისია
აღიარებულ სწავლებათა შესახებ ცოდნის შენარჩუნება და გავცელება		სწავლებასთან ერთად კვლევა უნივერსიტეტის ლეგიტიმური ფუნქციაა		სამეცნიერო ცოდნის ტრანსფორმაციის გზით სამეწარმეო კომპეტენციის გამომუშავება ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის ამაღლების ხელშეწყობად

ზემოაღწერილი სამეწარმეო უნივერსიტეტები არიან „ცოდნის სამკუთხედის“ სამ მხარეს შორის (განათლება-მეცნიერება-ბიზნესი) საუკეთესო და მჭიდრო კავშირების უზრუნველმყოფი, რაც აუცილებელია ქართული მეღვინეობის ახალ მსოფლიო სტანდარტებთან დასაახლოებლად.

¹ Maikl Porter, Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, с. 175.

² E. Martini, M. Rossi, The Transformation of University-industry Relations. The Case of Campania, University of Sannio, Italy, PDF, pp.450-451. <http://www.academia.edu>.

დღეისათვის ლიდერი ექსპორტიორი ფირმები იყენებენ იმ ქვეყნების გამოცდილებას, საიდანც მათში კაპიტალია დაბანდებული (მაგ, იტალია - „ბადაგონი“), მაშინ როცა ყურძნის ადგილობრივი ჯიშების თავისებურებები და შესაძლებლობები ყველაზე უკეთ ქართველებმა უწყიათ. აღნიშნულის გამო, მეღვინეობის განვითარების მიმართულებით შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამეწარმეო უნივერსიტეტების ჩამოყალიბების გზით განათლებისა და მეცნიერების ბიზნესთან სისტემური კავშირის უზუნველყოფაა მნიშვნელოვანი.

მეღვინეობის ისეთ პრესტიჟულ რეგიონში, როგორც საფრანგეთია, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით ხუთამდე მსხვილი უნივერსიტეტი და რამდენიმე დარგობრივი კოლეჯი ფუნქციონირებს. ასეთივე მდგომარეობაა იტალიაში, გერმანიაში, აშშ-სა და მეღვინეობის ისეთ ახალ რეგიონებშიც კი, როგორც სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია.

მეღვინეობის, როგორც კულტურისა და ნაციონალური სტატუსის განმსაზღვრელი დარგით, ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს არც საქართველო ჩამოუვარდება, თუმცა, თუ ამ სფეროში მოქმედ პროფესიულ ცენტრებს გადავხედავთ, აბსოლუტურად საწინააღმდეგო სურათს დავინახავთ.

საქართველოში მოქმედ 26 უნივერსიტეტს (სამ საფეხურიანი სწავლებით) შორის 3 მათგანში: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისწავლება მეღვინეობა, მაგრამ სწავლების ხარისხის შესახებ აღმატებით ხარისხში, სამწუხაროდ ვერ ვისაუბრებთ. „საქართველოში დღემდე, არათუ მეღვინეობა-მევენახეობის სასწავლებელი, არამედ სხვადასხვა უნივერსიტეტების ფაკულტეტებზე ენოლოგიის დამოუკიდებელი მიმართულებაც კი არ არსებობდა. სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების ფაკულტეტი ენოლოგიის შესწავლის მსურველ სტუდენტებს ამ მიმართულების არჩევის საშუალებას მხოლოდ მეოთხე კურსიდან აძლევს. ერთჯერადი და ისიც რამდენიმეკვირიანი გასვლები სხვადასხვა საწარმოებში მათთვის მხოლოდ თეორიული ექსკურსიებით შემოიფარგლება“. ღვინის დაწურვის ტექნოლოგიას სტუდენტები მხოლოდ მეოთხე კურსზე ესწრებიან¹.

საქართველოში ფუნქციონირებს რამდენიმე პროფესიული სასწავლებელი, რომლებიც შესაძლებელია განხილული იქნეს, როგორც სამეწარმეო უნივერსიტეტების შემადგენელი ნაწილები, მაგრამ თანამედროვე სტანდარტებით მეღვინეობის განვითარების გზაზე არსებული ნაპრალი, მათი საშუალებით ვერ ამოივსება.

მეცნიერებასთან სინერგიული კავშირის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმის შედეგად საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან გაერთიანდა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა შორისაა მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი, სადაც ამჟამად მრავალი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება. თუმცა ეს მექანიკური შეერთება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს სათანადო დაფინანსების, უახლესი ტექნოლოგიები ცოდნის, ინფრასტრუქტურისა და ბიზნესთან მუდმივი საქმიანი კავშირის გარეშე.

საქართველოს უნივერსიტეტებში ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისის ჩამოყალიბებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საქპატენტს, სადაც 2012 წლის სექტემბერში დაარსდა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი.²

დღეისათვის საქართველოში ღვინოს აწარმოებს 400-მდე საშუალო და მცირე ფირმა, რომელთაგან 60-ზე მეტმა მზაობა გამოთქვა რუსეთის ბაზარზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი პროცედურების გასავლელად. ეს ადასტურებს იმას, რომ მაღალი სტანდარტის ღვინის წარმოების მსურველი კომპანიები ქვეყანაში მრავლადაა. ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ საქართველოში არის მაღალკვალიფიციურ ენოლოგებზე მოთხოვნა, რომელიც შემდგომ უფრო გაიზრდება. ეს კი განათლების სისტემაში ძირეული ცვლილების გარეშე, რაც განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესს შორის ეფექტიანი კავშირის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია.

სამეწარმეო უნივერსიტეტების შესაქმნელად ზემოაღწერილი მოძრაობა ევროპული ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი. იმის მიუხედავად, რომ ევროპაში განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა და ძლიერი კვლევითი ინსტიტუტები არსებობენ, ისინი ხშირად იზოლირებულნი არიან ბიზნესის სამყაროსგან და ვერ აგროვებენ ინოვაციისთვის აუცილებელ

¹ ს. აფხაზიშვილი, პროფესიული განათლება მეღვინეობა-მევენახეობის დარგში, (გამოქვეყნებულია: 28.01.2013) <http://www.vinoge.com>

² „IP საქართველო“, საქპატენტი, 2013, გვ.15-16, www.sqpatenti.org.ge

„კრიტიკულ მასას“. ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი (The European Institute of Innovation and Technology - EIT)¹ წარმოადგენს ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებას ახალი მიდგომის საფუძველზე. იგი წარმოადგენს პირველ ევროპულ ინიციატივას სრულად მოახდინოს „ცოდნის სამკუთხედის“ სამივე მხარის ინტეგრირება. კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი საშუალებას მისცემს ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებს, ბიზნესსა და ინოვაციების სხვა აქტორებს გაიზარდონ, გამოიმუშაონ კონკურენტულ გარემოში არსებული გამოწვევების გადაწყვეტის უნარ-ჩვევები და მოახდინონ თავისი ინოვაციური პოტენციალის კაპიტალიზაცია. ბიზნესზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე მისი საგანმანათლებლო კომპონენტის საშუალებით, ინოვაციისა და ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტი ხელს შეუწყობს მეწარმეთა ახალი თაობის აღზრდას, რომლებსაც ექნებათ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები საიმისოდ, რომ იდეები გარდაქმნან ბიზნესის ახალ შესაძლებლობებად. ისინი ეფექტიანად მოახდენენ იდეების, ტექნოლოგიების, კულტურისა და ბიზნესის მოდელების გადაცემას, აღმოაჩენენ ბიზნესის ახალ სახეობებს არსებული დარგებისა და ახალი წამოწყებებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მეღვინეობის მსოფლიო სტანდარტებით განვითარების სისტემური გადაჭრის გზა, გადის ცოდნის სამკუთხედის ფორმირებაზე, რომლის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობა, როგორც უკვე აღინიშნა, სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირებაა.

INEZA GAGNIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

PREREQUISITES FOR THE FORMATION OF THE KNOWLEDGE TRIANGLE MODEL IN THE DEVELOPMENT OF THE WINE INDUSTRY IN GEORGIA

S u m m a r y

The paper discusses the tendencies of wine industry development for the recent years. There is analyzed the statistical information on grape production volume, exports of grape wine, leader exporter in wine production. The stages of academic revolutions in Universities development that took place in the last century are also characterized. The European Institute of Innovation and Technology – EIT is considered as the best example of the entrepreneurial university. It is noted that special attention should be paid to the formation of the entrepreneurial university for the development of wine industry in Georgia according to the world standards which in our case is the formation of the knowledge triangle in the wine industry - the main determining factor of the effective functioning.

შორა ბაბრიჯიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრონომ ეკონომისტი
ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევითი ცენტრი, უფროსი მეცნიერ მუშაკი*

შვედრი და შვედრის ღვინო საქართველოში უკონკრეტო პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე

მოხდა ისე, რომ ქვეყანას, რომლის სახელმწიფოებრიობის ისტორია რამდენიმე ათას წელს ითვლის, ბედის უკუღმართობით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა გვიან გამოვედით ასპარეზზე. გამოვედით განადგურებული ეკონომიკით და სოფლის მეურნეობით, განადგურებული ინფრასტრუქტურით, ყოველგვარი სახსრების გარეშე, მრავალი უკუღმართი მრჩევლისა და ორგულის გარემოცვაში, რომელთა მიზანი ის კი არ იყო რაიმე გზიანი ერჩიათ, არამედ, როგორმე სწორი გზიდან ავეცდინეთ. ამის მცდელობა იყო თუმდაც მაშინ, როცა ევროპელი „მეგობრები“ გვირჩევდნენ, თითქოს ჩვენთვის პირველი რიგის საზრუნავი ხორბალი იყო და არა ვენახი და ღვინო, ამოტიმ ვაზი უნდა გაგვეჩეხა და ხორბალი მოგვეყვანა. კეთილ მრჩეველთა და გულშემატკივართა მსახვრალი ხელი ატყვია ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას, ათ მილიარდამდე საგარეო ვალი, გაყიდული ქვეყანა და განადგურებული წარმოების სექტორი. ერთი სიტყვით, ქვეყანა ზუსტად ზის განვითარების იმ გეგმაში, რა გეგმითაც მასონური მსოფლიო ცდილობს განვითარებადი ქვეყნების დაკაბალებას და თავის გავლენის ქვეშ მოქცევას.

¹ <http://eit.europa.eu/about-eit>.

ვთქვით რა განვითარების სოციალისტურ გეგმიურ მოდელზე უარი, როგორც დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიო, ჩვენც გადავდით ეკონომიკის განვითარების საბაზრო სისტემაზე. საბაზრო სისტემა კი იმიტომაც საბაზრო, რომ ყველაფერს ბაზარი წყვეტს. ბაზარში კი ველური კონკურენციაა, კარგი იყიდება, ცუდი რჩება და პატრონი კოტრდება. მოხდა ისე, რომ საქართველომ და მისდაგვარმა ქვეყნებმა შიშველი ხელებით და ცარიელი ჯიბით, უნდა ვაწარმოოთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ამას ემატება ხელისუფალთა არაპროფესიონალიზმი ქვეყნისა და ეკონომიკის მართვაში, ხშირად კი დანაშაულებრივი ჩარევები კერძო საკუთრებაში და საერთოდ წარმოების სფეროში. საკუთარი მწარმოებლისათვის თუმცა დროებით, პროტექციონალური პოლიტიკის გატარებაზე დაუსაბუთებელი უარი და იკის არ ცოდნა, რომ თუ გინდა მწარმოებელი კონკურენციით გამოაწვრთო პირველ რიგში აუცილებელია ეს მწარმოებელი გყავდეს. გამოდის, რომ სასტარტო მდგომარეობა გვაქვს უარესს, რომ ვერც მოიფიქრებ.

დღეს წარმოება აღარავის უჭირს, ბრძოლა გასაღების ბაზრებისთვისაა გაჩაღებული, ამიტომ აუცილებელია მსოფლიო ბაზარს შევთავაზოთ ის, რაც მას აკლია ან დეფიციტია ამ ბაზარზე. ასეთი პროდუქცია საქართველოსთვის ყოველთვის გაზთან იყო დაკავშირებული, ამიტომ შეველა კვლავ ვაზის პროდუქტებში უნდა ვექებოთ.

კულტურული ვაზი და ღვინო, ჩვენმა წინაპრმა მისცა კაცობრიობას. შემთხვევითი არაა, რომ ღვინის დამზადების ყველა ტექნოლოგია ქართულია.

ხარისხიან სასმელზე და კერძოდ ღვინოზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო მსოფლიოში. მაგრამ თანხას, რომელსაც დღეს იხდიან ბოთლ ღვინოში, ყოველგვარ ზომიერების საზღვრებს სცდება, მისი ფასი ასიდან რამდენიმე ათას დოლარამდეა. ჩვენ კი ქვეყანა სადაც ყველა კუთხე კუნჭულში ადგილწარმოშობის ყურძენი ხარობს, რომლისგანაც უმაღლესი ხარისხის ადგილწარმოშობის ღვინო მზადდება, ცხოვრება არ უნდა გვიჭირდეს. სამწუხაროდ ქონება ერთია, მისი გონივრული გამოყენება კი მეორე. სწორედ ამ მეორეში მოვიკოჭლებით ქართველები, რომლის გამოსწორება არც ისე ძნელია, თუ სწორ გზაზე დავდგებით და ერთ გუნდად ვიმუშავებთ მევენახიდან დაწყებული და ხელისუფლებით დამთავრებული.

ცხოვრება არასდროს ერთ ადგილზე არ დგას, იცვლება ყველა და ყველაფერი, ის რაც ასე კარგი და მუდმივი ჩანდა გუშინ, აღმოჩნდება, რომ ყავლი გაუვიდა. ბაზარი კი სულ მუდმივ განახლებას მოითხოვს. ასეა ღვინის შემთხვევაშიც, საუკუნეებია ევროპა და მთელი მსოფლიო მუხის კასრში დავარგებულ-შეკაზმულ ღვინოს მიირთმევს. ევროპული ტიპის ღვინოებმა ამოწურეს თავისი რესურსი, მასში ყველაფერი ნახული, აღმოჩენილი და შესწავლილია. ბაზარი კი მოითხოვს ახალს, ეს სიახლე კი მსოფლიო მეღვინეობისათვის ქვევრის ღვინო აღმოჩნდა. ჩვენგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი რეკლამის გარეშე, დღეისათვის ევროპასა და ამერიკაში ასობით ქვევრია გატანილი. ჩვენ კი არ ჩავიტანეთ და მივიდეთ, არამედ, თვითონ მოვიდნენ და იყიდეს. ეს კი კარზე ბედის მოდგომას ინშნავს, სამწუხაროდ, ჩვენ ამ გამოწვევას მზად ყოფნაში ვერ ვხვდებით. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი მეღვინეობაც დიდი ხანია მუხის კასრში დავარგებულ-შეკაზმულ ღვინოს აწარმოებს, ძველი კი დავივიწყეთ, ხოლო მის გახსენებას და ახლის მიმატებას ჯერჯერობით არ ვჩქარობთ. ვყიდით ქვევრებს და არ ვიდევით ქვევრში ღვინის დაყენების ინსტრუქციას. ეს იმიტომ, რომ საუბედუროდ ეს ინსტრუქცია ერთად თავმოყრილი არც ჩვენ გვაქვს. ის რაც სპეციალისტებს თავიანთ წიგნებში ორი სიტყვით რაღაც ინფორმაცია მიუწერიან ქვევრის ღვინოზე, ტექნოლოგიად არ გამოდგება.

ევროპაში განათლება მიღებულმა ჩვენმა თანამემამულეებმა ბევრ სხვასთან ერთად, ღვინის მუხის კასრში დავარგების წესიც ჩამოგვიტანეს, რომელმაც კასრებმაც ქვევრი განდევნა სამრეწველო მეღვინეობიდან, ამდაგვარად ქვევრი, მხოლოდ საოჯახო მეღვინეობის ძირითად ჭურჭლად დარჩა. მერე კი გლეხის და გლეხური მეღვინეობის თავზე ათასი უბედურება დატრიალდა, და როცა დღეს მოვიდა დრო ქვევრის და ქვევრის ღვინის აღზევებისა ჩვენ ამ გამოწვევას მოუმზადებლები ვხვდებით. საბედნიეროდ ყველაფრის აღდგენა შეილება და რამდენიმე ენთუზიასტი მუშაობს კიდევ ამ პრობლემებზე. შექმნილია „ღვინის ფონდი“-ისა და „ქვევრის ფონდის“ საზოგადოებები, მეც პირადად თხუთმეტი წელია ამ პრობლემებზე ვმუშაობ. მიუხედავად ყველაფერი ამისა მიღებული ზომები ზღვაში წვეთია იმასთან, რაც გასაკეთებელია.

ყველაფერი ახლის დაწყება პრობლემურია და ამ პრობლემურს კერძო ბიზნესი იშვიათად ჰკიდებს ხელს, ამიტომ ქვევრისა და ქვევრის ღვინის წარმოების აღორძინების და ექსპორტზე

გატანის საქმეში ხელისუფლებამ ღომის წილი უნდა დაიდოს, მერე კი ესტაფეტას კერძო ბიზნესი ჩაიბარებს, ეს ბიზნესის ანბანია.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს საქმე უსახსრო ენთუზიასტებს არ უნდა შევატოვოთ ხელში. უნდა შეიქმნას ამ ენთუზიასტების გაერთიანება, რომელსაც დაემატება მედინე სპეციალისტთა, მეთუნეთა, კერამიკოსთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა და ქიმიკოსთ ჯგუფები. გაერთიანება უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოსგან და განესაზღვროს ამოცანა: ძირფესვიანათ შეისწავლონ ქვევრი და ქვევრის ღვინის წარსული, აწმყო და მომავალი. მოახდინონ თიხების შესწავლა, რომლისგანაც მზადდება ქვევრი, მოახდინონ მაღალმეცნიერულ დონეზე ამ თიხებისაგან დამზადებული ქვევრების გავლენა ღვინის გემურ თვისებებზე. მოახდინონ ქვევრების კლასიფიკაცია და ქვევრის წარმოების გადიდების და მსოფლიო ღვინის წარმოებაში მისი ფართოდ დანერგვის გზების შესწავლა. დანარჩენი ამოცანები მუშაობის პროცესში გამოჩნდება.

ქვევრი უნიკალური ჭურჭელია ღვინისათვის, ამიტომ მას აქვს პერსპექტივა მედვინეობიდან მერქნისა და მეტალის ჭურჭელი განდევნოს და მაღალხარისხიანი ღვინის წარმოების ძირითდი ჭურჭელი გახდეს.

გამომწვარი თიხა აბსოლუტურად ინერტულია ღვინის მიმართ და არავითარ საკუთარ ქიმიურ ნივთიერებებს არ გადასცემს მას. ეს პირველი და უმთავრესი მოთხოვნაა, რაც სადვინე ჭურჭელს წაეყენება. ცნობილია, რომ მიწა და წყალი ურთიერთ შემგუებადი ნივთიერებებია. ამავე ფენომენთან გვაქვს საქმე ღვინისა და ქვევრის შემთხვევაში. რაც შეეხება მუხის კასრს ის ინერტული ჭურჭელი არ არის, მუხის მერქანი ღვინოს გადასცემს ტანინს, ლიგნინს, ფენოლურ და სხვა მთრმლავე ნივთიერებებს, რომლებიც მონაწილეობენ ღვინის გემოს და ბუკეტის ჩამოყალიბებაში, ანუ ღვინო ივითარებს ნატურალური ღვინისაგან განსხვავებულ გემურ თვისებებს. ეს კი ნატურალური ღვინო აღარაა, ის სპეციალურ ღვინოთა კატეგორიას განეკუთნება, რომელთა წარმოებაში სხვადასხვა მაარომატიზირებული ნივთიერებები დაიშვება.

მეტალის ჭურჭელი კი, რომელიც უქანგავი ფოლადისაგან მზადდება ინერტულ მასალად ითვლება, მაგრამ ის ბოლომდე შესწავლილი არ არის, ღვინოში ათობით მუკაა, რომლებიც მეტალს შლიან. და საერთოდ თუ გამომწვარი თიხა და ღვინო ურთიერთ შემგუებელი ნივთიერებებია, ამას ვერ ვიტყვით მეტალზე და ღვინოზე.

ხარისხიანი ღვინის წარმოებაში უდიდესი როლი ენიჭება ღვინის დადუღების პროცესში ტემპერატურული რეჟიმის დაცვას. ოცდახუთ გრადუსზე მეტ ტემპერატურაზე თეთრი ღვინო იწყებს მანიტურ დუღილს, ხოლო თუ წითელი ღვინის დუღილის ტემპერატურა გადააჭარბებს ოცდაათ გრადუსს, შეძლება შეაქრებმა დაიწყონ მოლეკულური დაშლა. ქვევრი, მაღლარ ტბილს ავტომატურად უქმნის დადუღებისათვის საჭირო ტემპერატურას. აქტიური დუღილის დროს წარმოქმნილი ჭარბი სითბო გადაეცემა ქვევრის ცივ კედლებს და მის გარშემო შემოაყრილ მიწას და ათბობს მას, ხოლო პასიური დუღილის დროს, როცა მაღლარი ტბიკლი თავისთვის საჭირო სითბოს ვეღარ წარმოქმნის, ის ამ სითბოს ქვევრის თბილი კედლებიდან და მის გარშემო გამთბარი მიწიდან ღებულბს. ყველა ამ რეჟიმის შექმნა მეტალისა და მუხის კასრების მარანში თნამედროვე ელექტრო დანადგარებითაა შესაძლებელი, მაგრამ ყველაფერ ამას, ამ ტექნიკით გაწყობილი მარანი უნდა, რომლის გაწყობას და შემდგომ ექსპლოატაციას მილიონობით თნხა ესაჭიროება. ქვევრი კი ამ თანხის ეკონომიას გვაძლევს, რაც მნიშვნელოვან პლიუსად ითვლება პირველობისათვის დავაში.

ბევრი სპეციალისტის აზრით ქვევრი ძნელად მოსაგვლედი ჭურჭელია. მაგრამ ეს ასე არ არის. ერთი სამტონიანი ქვევრი ექვს ხუთას ლიტრიან მუხის კასრს სცვლის, რომელთა მომსახურება 3-4 ჯერ აღემატება ერთი ქვევრის მოვლას.

ქვევრი სტაციონალური ჭურჭელია, რომელიც საუკუნეები ემსახურება მედვინეობას. მუხის და მეტალის ჭურჭლის მომსახურების დრო კი რამდენიმე ათეული წლით განისაზღვრება.

ქვევრი ის ჭურჭელია, რომელშიც ღვინოს ადუღებენ, ავარგებენ და მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე, ყოველგვარი დანახარჯების გარეშე წლობით აძველებენ. ეს კი კოლოსარული თანხის ეკონომიაა, რადგან სხვა შემთხვევაში ყველა ამ ოპერაციას ცალ- ცალკე ჭურჭელი ესაჭიროება.

ქვევრის წარმოებას და მის გავრცელებას უდიდესი ბუნების დაცვითი მნიშვნელობა აქვს. ერთი სამტონიანი ქვევრის წარმოებას სამას კილოგრამამდე თიხა ესაჭიროება. ამდენივე ტევადობის ღვინოს კი ექვსი ცალი ხუთას ლიტრიანი მუხის კასრი უნდა, რომლის წარმოებას ორი ასწლოვანი მუხის ხე უნდა შეეწიროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში ასიათასობით მუხის კასრი მზადდება ღვინისათვის, ნათელი გახდება, რომ ამ საქმეს ყოველწლიურად ათასობით

ჰექტარი მუხის ტყეები ეწირება. როგორც ხედავთ, ჩვენ შეგვიძლია მსოფლიოს შევთავაზოთ ზუსტად ის ჭურჭელი, რომელიც აუცილებელია ნატურალური ღვინის საწარმოებლად, რომლის მეღვინეობაში დანერგვით ღვინის მწარმოებელი მიიღებს მილიონობით ეკონომიას, როგორც მარნის აშენებისას, ასევე, მარნის შემდგომი ფუნქციონირების დროს, ხოლო მსოფლიო ღვინის ბაზარი მუხის ტანიდებით შეკაზმული ღვინის ნაცვლად სუფრის ნატურალურ ღვინოს. ამასთანავე, ბუნება შეინარჩუნებს ათასობით ჰექტარ მუხის ტყეებს. ასეთივე ეკონომიასთან გვაქვს საქმე ძვირად ღირებული მეტალის ბუტების წარმოების შემთხვევაშიც.

ჩემი გათვლებით ერთი სამ ტონიანი ქვევრის თვით ღირებულება 600-700 ლარია. დღეის მდგომარეობით ასეთი ქვევრი 3000 ლარად იყიდება. ეი სახეზე გვაქვს ბიზნესი რომელიც 400%-ზე მეტ მოგებას იძლევა, ასეთი ბიზნესი დღეის მდგომარეობით იშვიათია. ასე, რომ კარგად აწყობილმა ქვევრის წარმოების ბიზნესმა ათობით და ასობით მილიონი დოლარი შეუძლია მოიტანოს ქვეყანაში.

ვინც ქვევრის წარმოებაში ერკვევა იცის, რომ ქვევრის წარმოება დროში გაწეილი პროცესია და ერთი მექვევრე წელიწადში 10-15 ცალ დიდი ზომის ქვევრს ამზადებს. ხელობაც ძნელად შესასწავლი და ბინძურია. ისიც სიმართლეა, რომ დღეისათვის ქვეყანაში 10-15 მექვევრე ოჯახი შემოგვრჩა, რომლებსაც წელიწადში 200-მდე ქვევრის წარმოება შეუძლიათ. ქვეყანას და მსოფლიო მეღვინეობას კი ათი ათასობით ქვევრი დაჭირდება. ხსნა ქვევრის წარმოების მექანიზაციებშია, რომელზედაც მე უკვე ათ წელზე მეტია ვმუშაობ, უკვე შექმნილი მაქვს ქვევრის წარმოების მექანიკური ტექნოლოგია. პარალელურად გამოსწორებულია ყველა ის ნაკლი, რომელიც ქვევრს ჰქონდა. შექმნილი მაქვს ახალი ფორმის ქვევრი, რომელიც საშუალებას იძლევა ღვინო წლობით შევინახოთ მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე, ეს კი ყველა დროს ყველა მეღვინის ოცნება იყო. ასე რომ მექვევრეობა მზადაა ნებისმიერი რაოდენობის ქვევრი მიაწოდოს ბაზარს. თუ საქმის დაწყებისათვის ხელისუფლებისგან სათანადო ხელშეწყობა იქნება.

როგორც ზემოთ ვწერდი დღეისათვის ევროპასა და ამერიკაში ასობით ქვევრია გატანილი. არის ინფორმაცია, რომ ამ ქვეყნებში ღვინოს ქვევრში აღუდებენ შემდეგ კინ მუხის კასრებში ავარგებენ, შემდგომი პროცესი კი გრძელდება ჩვეულებრივი ევროპული ტიპის ღვინის დამზადების წესით. ეს კი ქვევრის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაა და ის რაც ძვირფასია ქვევრში და რა ეკონომიურ ეფექტსაც იძლევა, უგულებელყოფილია. ღვინოც რა თქმა უნდა ევროპული ტიპის გამოდის. ჩვენს მიერ შემუშავებული ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგია და ყველა იმ კომპონენტების გაცნობა, რითაც ფასობს ქვევრი და ქვევრის ღვინო ბევრ მიმდევარს გაუჩინებს ღვინის წარმოების ამ მიმართულებას მსოფლიოში. ბევრი ქვევრის გატანა და ბევრი ქვეყნის მეღვინის ჩართვა ქვევრის ღვინის წარმოებაში, საფუძველს შექმნის იმისას, რომ ქვევრის ღვინის წარმოება ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდეს და მიეცეს ქვევრის ღვინოს შესაძლებლობა ამტკიცოს თავისი უპირატესობა მუხის ტანიდებით შეკაზმულ ღვინოსთან შედარებით. დარწმუნებული ვარ, როცა ევროპელი მეღვინეები ქვევრის ღვინი წარმოებას დაიწყებენ, ისინი იზრუნებენ მის ფასზეც და ეს ფასები მალე გაუტოლდება ევროპული ტიპის თანამედროვე ღვინოთა ფასებს. თუ ჩვენი ღვინოები, რომლებიც ევროპული წესითაა დამზადებული, როგორც წამბაძველთა ღვინოები დღეს დაბალ ფასს ჯერდება, ქვევრის ღვინის შემთხვევაში საქმე პირიქით იქნება, ჩვენი ღვინო უკვე ქვევრის ავტორების ღვინო იქნება, ამიტომ, თუ მეტს არა, იმდენივეს აუცილებლად გადაგვიხდიან, რამდენიც ევროპელთ ღვინო ეღირება.

რუსეთში ღვინის შეტანის აკრძალვამდე, რუსეთის ბაზარზე 40 მლ-ნი ბოთლი ქართული ღვინო შედიოდა, ამდენივე კი ევრაზიელი ფალსიფიკატორების ხელით ხვდებოდა რუსეთის ბაზარზე. დღეის მდგომარეობით 40 მლ-იან ზღვარს უახლოვდება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გატანილი ღვინის რაოდენობა. რუსეთის ბაზრის გახსნა და ქვევრის ღვინის წარმოების გაშლამ ახალი სტიმული უნდა მისცეს გაყიდვების ზრდას და უახლოეს წლებში ამ რიცხვმა 150მლ-ს უნდა მიაღწიოს. თუ ფასიც ევროპული სტანდარტის ექნება ეს უკვე შეიძლება კრიზისის დაძლევის პირველ წარმატებულ ეტაპად ჩაითვალოს.

ეკონომიკაში ლიბერტარიანული პოლიტიკის ერთ ერთი ფუძემდებლის მილტონ ფრიდმანის მონეტარისტურ - ლიბერტარიანული კრედიო ასეთია: „თუ ეკონომიკაში ყველაფერი წესრიგშია - იმოქმედე ისე, როგორც მოქმედებდი, მაგრამ თუ ძალებს იკრებენ უარყოფითი ტენდენციები, მოძებნე სად დაუშვი შეცდომა და შეიმუშავე მისი გამოსწორების მეთოდები ... აქედან ნათელია, რომ მ.ფრიდმანი მომხრეა და აუცილებლადაც თვლის ეკონომიკაში ხელისუფლების დროულ და საქმიან ჩარევას. თუ ბიზნესს რაიმე საფრთხე ექმნება მის გამოსწორებაზე ბიზნესი არ იზრუნებს.

ის მყისიერად გადაერთვება სხვა ბიზნესზე ან შეიცვლის სამოქმედო ასპარეზს. საქმის გამართვას კი ხელისუფლებას გადააბარებს, ხელისუფლება კი ვალდებულია დაივიწყოს თავისი ლიბერტარიანელობა და გამოასწოროს მდგომარეობა.

ქვევრის და ქვევრის ღვინის წარმოების აღორძინება და მსოფლიო ასპარეზზე მისი გატანა ბიზნესისათვის სარისკო კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება, ამიტომ ამით კერძო ბიზნესი საქართველოში არ დაინტერესდება, ამისათვის ჩვენს ბიზნესმენებს, არც სახსრები აქვთ და არც ის შორს მჭვრეტელობა, რომლითაც შეიძლება მომავლის ბიზნესი დაინახო, ამიტომ ხელისუფლება ვალდებულია, რომ შორს მჭვრეტელი იყოს და ქვევრის ღვინის წარმოებაში ის პოტენციური დაინახოს, რომელიც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საწინდარი გახდება. ამ მიზნის მისაღწევად თანხის დანახვა კი დიდი უმეცრებაა.

ZHORA GABRICHIDZE

Institute of Bioorganic Technologies, Senior Researchers

KVEVRI AND WINE OF KVEVRI - GEORGIAN PRODUCT WITH NO COMPETITOR IN INTERNATIONAL MARKET

S u m m a r y

Proceeding from the previously mentioned, it's possible to draw a conclusion, that Georgia as the country came late to the international scene. Nowadays the market is saturated with all types of production. The international corporations divided the market among themselves, therefore the country which is going to enter and approve on the market has to offer absolute new product or a production, which in deficiency. Georgia has such production, in small range, It' kvevri and wine from kvevri, which has unique bouquet and properties. In view that cost of these two products is low and the price in international market is high, Georgia can receive good profit from realization of these products. Isn't not enough only support of the enterprises from the state. At first stage, the state has to make all works. As Georgian business is afraid to invest in risk projects.

შორა გაბრიჭიძე

ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტე, აგრონომ-ეკონომისტი

ნილო მიროტაძე

სუხიშვილის უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

გლობალური ტენდენციები და კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფა

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კაცობრიობას სოციალური პროგრესის არნახული შესაძლებლობანი გადაუშალა, მაგრამ ამავე დროს მრავალი პრობლემაც შექმნა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საქმეში.

შსამქიმიკატებისა და სასუქების ინტენსიურმა გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა მიწის ნაყოფიერება, გააუარესა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა თვისებები. პესტიციდებით სასურსათო პროდუქტების გაჭუჭყიანებას ყოველწლიურად მრავალი ასეული ათასი ადამიანის სისიცოცხლე ეწირება. კიბოს დაავადებით სიკვდილიანობის ზრდა, ჩვილ ბავშვთა პათოლოგიები პირდაპირ უკავშირდება პესტიციდების გამოყენებას. ალერგია საუკუნის დაავადებაა და იგი გენეტიკური ინჟინერის ფართოდ გამოყენების შედეგია.

ამერიკელი აგრონომი ნორმან ბორლოუგი, რომლის დამსახურება მსოფლიოში სურსათის დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში 1972 წელს ნობელის პრემიის მინიჭებით დასრულდა, მსოფლიოში “მწვანე რევოლუციის” მამად იწოდება. 1944 წელს მექსიკაში გადასულმა ნ. ბორლოუგმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩატანილი ჯიშებიდან ოთხი საუკეთესო შეარჩია (მათ შორის ქართული “დოლის პური”) და ადგილობრივი ჯიშების შეჯვარება-შერჩევით გამოიყვანა ჰიბრიდები, რომლებიც დაავადებებსაც კარგად იტანდნენ, ადგილობრივ ჰავასაც კარგად ეგუებოდნენ და მოსავლითაც ბევრად სჯობდნენ ადგილობრივ ჯიშებს. მოხდა ისე, რომ მოშშილე მექსიკამ 1956 წლისათვის, მთლიანად დაიკმაყოფილა საკუთარი მოთხოვნა ხორბალზე და დაიწყო მისი გატანა ექსპორტზე. ამის შემდეგ ნ. ბორლოუგი სათავეში ჩაუდგა ხორბლის ჯიშების გაუმჯობესების საერთაშორისო პროგრამას. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ხორბლის მრავალი მაღალმოსავლიანი ჯიში და ჰიბრიდი. სწორედ ამ პროგრამის და ნ. ბორლოუგს დამსახურებაა, რომ 1960-90 წლებში მსოფლიოში

ხორბლის წარმოება გაორმაგდა და ასობით მილიონი ადამიანი გადაურჩა შიმშილით სიკვდილს. 6. ბორლოუგი 2009 წლის 13 სექტემბერს გარდაიცვალა. დღეს კი მსოფლიოს “მეორე მწვანე რევოლუცია” და ასეთივე გმირები ესაჭიროება. დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ 7 მილიარდს გადააჭარბა და ყოველწლიურად 80 მილიონით იზრდება. მათ გამოსაკვებად საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად კარგი იქნებოდა მსოფლიოში მიწის ფონდი რამდენიმე მილიონი ჰექტარით იზრდებოდეს, სამწუხაროდ ხდება პირიქით, ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, გავზარდოთ მიწის პროდუქტიულობა და იქ სადაც ერთი თავთავი მოდიოდა, მოვიყვანოთ ორი. აკი წერდა კიდევ ჯონათან სვიფტი: “ის, ვინც შეძლებს მოიყვანოს ორი თავთავი იქ, სადაც ადრე ხარობდა ერთი თავთავი, მთელი კაცობრიობის მადლობას დაიმსახურებს”.

მსოფლიოს მზარდი მოსახლეობის კვების პროდუქტებით დაკმაყოფილებისათვის ბევრმა მეცნიერმა და პოლიტიკოსმა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას მოუხმო, რომელმაც დღეისათვის ამოწურა თავის შესაძლებლობები, მსოფლიოს მოსახლეობა ისევ შიმშილობს, ხოლო სოფლის მეურნეობის სავარგულთა ინტენსიურმა ქიმიზაციამ, თავად გაუჩინა მსოფლიო მედიცინას თავსატეხი ათასგვარი უცნობი დაავადებების სახით, მაგრამ სოფლის მეურნეობაზე “ზრუნვა” ამით არ დამთავრებულა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ასამაღლებლად წარმოუდგენელია კვლევა-ძიებამ “გენურ ინჟინერიამდე” მივიყვანა.

გენურმა ინჟინერიამ, როგორც მეცნიერებამ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო განვითარება და დღეს მსოფლიო სასურსათო კალათაში მისი წილი უკვე შესამჩნევია და ყოველწლიურად იზრდება, მართალია, საეჭვო ხარისხის პროდუქციით, მაგრამ ხალხის დასაპურებლად მომართული ხელისუფალნი დიდი ხანია გასცდნენ გონიერების ფარგლებს და სურსათის რაოდენობას გამოკიდებულებმა დაივიწყეს სურსათის უვნებლობა. ამის ნათელი მაგალითია უკანასკნელ წლებში საქართველოში გაუქმებული სურსათის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოების გაუქმება.

გენური ინჟინერია, გენმოდიფიცირება, გენ-ტექნიკა და გენ-მანიპულირება ერთმანეთის იდენტური ტერმინებია და გულისხმობს გენების გადატანას ერთი სახეობიდან მეორეში, მაგალითად, მცენარიდან ცხოველში, თევზიდან მწერში ან პირიქით.

გენური ინჟინერია “სინჯარის” მეცნიერებაა, რომელიც წარმოებაში ნაადრევად დაინერგა. სინჯარაში შესწავლილ გენზე იმის თქმა შეიძლება, თუ ის როგორ მოიქცევა სინჯარაში, მაგრამ შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრო მისი ქმედება სრულიად უცხო ორგანიზმში. მაგალითად, თევზს, რომელსაც ნიანგის ზრდის გენი გადაუნერგეს, სწრაფად გაიზარდა, მაგრამ ფერი შეიცვალა, გამწვანდა და ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნა. ეს ის გვერდითი მოვლენაა, რომლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, რადგან სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ასევე არასაკმარისია მეცნიერთა ცოდნა იმის შესახებ, თუ სად მოხდება გადანერგილი გენი და ამ კონკრეტულ უბანზე მოხვედრისას რა პროცესები განვითარდება. ამის ცოდნის გარეშე კი შეუძლებელია ვივარაუდოთ, გაიზრდება თუ არა მიღებულ პროდუქტში ტოქსინებისა და ალერგენების რაოდენობა, ასევე არაფერი შეიძლება ითქვას მიღებული საკვები პროდუქტების კვებით ღირებულებაზე. ყველა ეს შეკითხვა პასუხს მოითხოვს.

გადარჩევის ტრადიციული მეთოდით ჯიშები ყოველთვის მიიღება სახეობის შიგნით და სახეობის ფარგლებში არსებული გენთა ფონდიდან. ამიტომ პომიდორი შეიძლება შეჯვარდეს მხოლოდ პომიდორზე. მას ვერასოდეს შეაჯვარებ ოხრახუშთან. გენური ინჟინერია კი არღვევს ამ ბარიერს და ასეთი შეჯვარება მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა კი ამ შეჯვარების შემდეგ იწყება, რომლის შესასწავლად და გამოსასწორებლად წლებია საჭირო. შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა კი იმის გარანტიას არ იძლევა, რომ კატასტროფით არ შემოუბრუნდეს კაცობრიობას. გენურ ინჟინერიას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ ის სახეობათა ფარგლებში იმოქმედებს და მიიღებს ახალ, მაღალპროდუქტიულ ჯიშებს.

მაგრამ კაცობრიობას თითქოს გენური ინჟინერიის პრობლემები არ ჰყოფნიდა, რომ ასპარეზზე გამოჩნდა სურსათის ნანოტექნოლოგიებით წარმოებული ისეთი ახალი მიმართულება, რომელთან შედარებითაც “გენური ინჟინერია” თურმე უფლის წყალობად მოგვეჩვენება. ეს თანამედროვე სპეციალისტები გვირდებიან, რომ ნანოტექნოლოგიით წარმოებული სურსათი დროთა განმავლობაში ბაზრიდან გამოდევნის არამარტო სოფლის მეურნეობის ტრადიციულ, არამედ “გენური ინჟინერიით” წარმოებულ პროდუქტებს. დარწმუნებულნი ვართ, ეს პატიოსანი

კონკურენციის საშუალებით არ მოხდება, უბრალოდ არჩევანის საშუალება არ გვექნება. ამ ტექნოლოგიის საშინელებაზე ერთი ასეთი ფაქტიც მეტყველებს: თუ გენური ინჟინერიისათვის ფერშეცვლილი პროდუქტის მიღება დნმ-ში არასწორად ჩასმული გენის გვერდითი მოვლენაა და გამოსწორებას ექვემდებარება. ნანოტექნოლოგიისათვის ფერშეცვლილი პროდუქტია, მაგალითად, ღურჯი ხორცი ან პროდუქტი, რომელიც ღამე ანათებს, ნორმად ჩაითვლება.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე ვფიქრობთ, “გენური ინჟინერიის” და “ნანოტექნოლოგიის” მოხმობა კაცობრიობის კვების პროდუქტებით მომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად მეცნიერებამ და პოლიტიკოსებმა იჩქარეს. რადგან მოსავლისა და მოსავლიანობის გაზრდის ბუნებრივ საშუალებებს თავი ჯერ არ ამოუწურავთ. მოსავლიანობის გაზრდის ასეთი ბუნებრივი საშუალებებია: ფოტოსინთეზის, აზოტფიქსაციის და მცენარეთა შინაგანი სარეზერვო მექანიზმების გააქტიურება.

ფოტოსინთეზი მცენარეებისა და წყალმცენარეების მაფოტოსინთეზებელი ბაქტერიების მიერ სინათლის კვანტის ენერჯიის გარდაქმნაა ქიმიურ ბმათა ენერჯიად. ამ ენერჯიას შთანთქავენ ქლოროფილი და სხვა პიგმენტები. ფოტოსინთეზის პროცესში მცენარე ჰაერიდან ითვისებს ნახშირორჟანგს და ფოთოლში არსებული წყლის დაშლის შედეგად გამოყოფს თავისუფალ ჟანგბადს. ამ დროს წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები, რომლითაც იკვებება მთელი ცხოველთა სამყარო.

ფოტოსინთეზის მეშვეობით დედამიწაზე ყოველწლიურად 100 მილიარდი ტონა ორგანული ნაერთები წარმოიქმნება. ამ დროს მცენარეები 200 მილიარდ ტონა ნახშირორჟანგს შთანთქავენ და 145 მილიარდ ტონა ჟანგბადს გამოყოფენ ატმოსფეროში. რადგან მზე სინათლისა და სითბოს ულვეი წყაროა, ფოტოსინთეზის პროცესების ღრმად შესწავლას და კაცობრიობის სამსახურში ჩაყენებას დიდი ეკონომიკური ეფექტის მოცემა შეუძლია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მკვეთრი გაზრდა შეუძლია ჰაერიდან აზოტფიქსაციის პროცესის ღრმად შესწავლას და მისი პოტენციალის პრაქტიკაში დანერგვას. აზოტფიქსაცია ატმოსფეროს მოლეკულური აზოტის შებოჭვისა და აზოტოვან ნაერთებად გარდაქმნის პროცესია, რომელიც მიმდინარეობს აზოტფიქსაციის მიკროორგანიზმების, მათ შორის, კოურის ბაქტერიების მეშვეობით. ერთი კექტარი მიწის ზემოთ ატმოსფეროში 70 ათასი ტონა თავისუფალი აზოტია, რომლის ნაწილსაც ზოგიერთი მცენარე (მაგალითად, პარკოსნები), აზოტფიქსაციის მეშვეობით ითვისებს და გადასცემს ნიადაგს. კოურის ბაქტერიების მოქმედების შედეგად, პარკოსნებს სეზონის განმავლობაში ნიადაგში 100-250კგ/ჰა-ზე აზოტი შეაქვთ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აზოტფიქსაციის მექანიზმის ღრმად შესწავლას. ეს მექანიზმი დღეისათვის ბოლომდე შესწავლილი არ არის.

აზოტფიქსაცია, რომელიც ამჟამად პარკოსანი კულტურების პრივილეგიად ითვლება, ამ პროცესების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისა და დანერგვის შემდეგ, შეიძლება სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებიც ვაიძულოთ პარკოსნების მაგვარად აზოტფიქსაციაზე იმუშაონ და ასობით მილიონი ტონა დამატებითი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია მივიღოთ.

ფოტოსინთეზი და აზოტფიქსაცია მოსავლის გადიდების ბუნებრივი გზებია, რომელთა ღრმა და საფუძვლიან შესწავლას შეუძლია კაცობრიობის გამოკვება. კაცობრიობის წინაშე ასეთივე როლი შეუძლიათ შეასრულონ პროფ. რ. გახოკიძის მიერ შექმნილმა ბიოენერგოაქტივატორებმა, რომელთა საშუალებით, შინაგანი სარეზერვო მექანიზმების გააქტიურებით, ხდება მცენარეთა პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლინება.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ს. ბარბერი ჯერ კიდევ ათეული წლების წინ წერდა: “მიმდინარეობს ისეთი ზრდის რეგულატორების ძიება, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება მცენარის ფესვების ზრდის სტიმულირება ან მათი აგებულების ისე შეცვლა, რომ გაძლიერდეს საკვები ელემენტების შეთვისება, მაგრამ ამ გამოკვლევებმა ჯერ ვერ მოგვცეს შესაძენევი შედეგები”.

მართალია ს. ბარბერის ამ განცხადებიდან ათეულობით წელი გავიდა და მსოფლიო მეცნიერებამ მილიარდები შეაღია ასეთი რეგულატორების ძიებას, შესაძენევი შედეგი მათ არ მოჰყოლია. ჩვენ კი, პროფ. რამაზ გახოკიძის ძალისხმევით, ასეთი პრეპარატები უკვე მრავალი წელია რაც გვაქვს და ისინი ერთნაირი წარმატებით გამოიყენებიან მცენარეებზე, ცხოველებზე, ფრინველებზე, მწერებზე, თევზებზე. დღეისათვის შესწავლილია მათი შესაძლებლობების 10-15%, შედეგით კი აღემატება ყველა პრეპარატს ერთად აღებულს, თუკი რამ შექმნილა დღემდე. თუნდაც იმიტომ, რომ ყველა პრეპარატს, რომელიც მოსავლიანობის გასაზრდებლად გამოყენება

მსოფლიოში, ხარისხის პრობლემა გააჩნია. ამ შემთხვევაში კი მოსავალი არამარტო ეკოლოგიურად სუფთაა, სამკურნალოცაა. ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოტოქსიკოლოგიური ექსპერიმენტები. მაგალითად, სიმინდში იოდის შემცველობა იზრდება 960%-ით, სელენისა – 200%-ით. ამ უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტების შემცველობის გაზრდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს სამედიცინო და პროფილაქტიკურ თვისებებს ანიჭებს. მნიშვნელოვნად იზრდება ასევე ვიტამინებისა და შეუცვლელი ამინომჟავების შემცველობა.

მოგვყავს პროფ. რ. გახოკიძის მიერ დამუშავებული ახალი აგრობიოორგანული ტექნოლოგიის გამოყენების რამდენიმე მაგალითი. კუმისში დამლაშებულ ნიადაგზე ახალი ტექნოლოგიის მრავალწლიანმა გამოყენებამ გვიჩვენა, რომ უძველესი ენდემური ხორბლის ჯიშის “დოლის პურის” საჰექტრო მოსავლიანობამ 14 ტონას გადააჭარბა. ჩატარებული ცდების შედეგად გამოვლინდა, რომ თუ დაუმუშავებელ ხორბლის მარცვალს წებოგვარა 17% ჰქონდა, ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით ეს მაჩვენებელი 43%-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება 1ტ დამუშავებული ხორბალი 3ტ უხარისხო ხორბალში შევურიოთ და კვებისთვის ვარგისი, დამაკმაყოფილებელი ხარისხის პურცხობის ფქვილი მივიღოთ.

შაქარი ის პროდუქტია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ნორმალურ განვითარებას. იგი აუცილებელია ადამიანის გონებრივი განვითარებისათვის. წლის განმავლობაში ერთი ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მინიმუმი შაქარზე 25კგ-ია, ხოლო ნორმა 35-40კგ. გამოდის, რომ მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილების მინიმუმი შაქარზე 185 მილიონი ტონაა, ხოლო ნორმა 290 მილიონი ტონა. უკანასკნელ ათწლეულში ყოველწლიურად მსოფლიოში 130-135 მილიონი ტონა შაქარი მიიღება და ერთი ადამიანი საშუალოდ 25კგ-ის ნაცვლად 16კგ შაქარს მოიხმარს.

როცა ადამიანმა ჭარხლის კულტურაში შაქარი აღმოაჩინა, მაშინ მისი ძირხვენები 6% შაქარს შეიცავდა. მას შემდეგ მიმდინარეობს მეცნიერ-სპეციალისტთა გამოკვლევები ჭარხალში შაქრის შემცველობის ასამაღლებლად. ბუნებრივი შერჩევის გზით შაქრის რაოდენობამ ჭარხალში 17-19%-ამდე მიაღწია და შემდგომი მომატების შესაძლებლობა მეცნიერებამ ამოწურულად ჩათვალა.

ბოლო 5 წელია სოფ. კუმისში მოგვყავს შაქრის ჭარხალი. ყოველ წელს პროფ. რ. გახოკიძის პრეპარატით (ბიორაგი) დამუშავებული თესლისგან ვიღებთ 21-22% შაქრის შემცველ ძირხვენებს, ხოლო დაუმუშავებელი, საკონტროლო ნაკვეთიდან 11-13% შაქრის შემცველ ძირხვენებს. სარწყავ ფონზე ჭარხლის მოსავლიანობა გასამმაგდა. თუ მსოფლიოში 1 ჰა. პლანტაციიდან საშუალოდ 55-65 ტონა ჭარხალს იღებენ, ჩვენი საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 243 ტონას შეადგენს. ასე, რომ თუ მსოფლიოს 1 ჰექტარი პლანტაციიდან საშუალოდ 7 ტონამდე შაქრის მიღება შეუძლია, ჩვენ ბიორაგით 20 ტონაზე მეტს მიღება შეგვიძლია. დღეისათვის შაქრის ჭარხლისგან მსოფლიოში 50 მლნ ტონა შაქარი იწარმოება (80-90 მლნ ტონა – შაქრის ღერწმიდან), თუ ყველა პლანტაცია ბიორაგით დაითესება, ჭარხალი 150 მლნ ტონა შაქარს მოგვცემს, ე.ი. ღერწმის შაქართან ერთად წლიური მოხმარების ნორმას (240 მლნ ტონა).

რ. გახოკიძის პრეპარატით საცდელი ნაკვეთები ასევე დაითესა ბელორუსში, უკრაინაში, რუსეთში, ირანსა და საბერძნეთში. ყველა ქვეყანაში ჩატარებული საველე ექსპერიმენტები ჩვენს შედეგებს დაემთხვა.

ჩვენი დაკვირვებით, პრეპარატი განსაკუთრებით კარგად მუშაობს ნაყოფში შაქრის დაგროვებაზე. გასულ წელს ანალოგიური კვლევა ჩავატარეთ შაქრის სორგოზე, მიუხედავად იმისა, რომ საცდელი ნიმუში 50მ²-ზე დაითესა პირველი დასკვნების გაკეთება მაინც შეიძლება. მოსავლის მატებამ 42% შეადგინა, ხოლო შაქრის შემცველობამ ღეროში 38%-ით მოიმატა.

სორგო მომავლის კულტურაა, მისით ნავთობის დეფიციტის შევსებას აპირებენ, რის გამოც იგი სტრატეგიულ კულტურას წარმოადგენს. დღეს სორგოსგან მსოფლიოში ათობით მილიონ ტონა ბიობენზინს აწარმოებენ. უკრაინის, სორგოს კვლევითი ინსტიტუტის დასკვნით ერთი ჰექტარი სორგოს პლანტაციიდან, 35-40 ტონა მწვანე მასის მიღების შემთხვევაში, 8-12 ტონა ბიობენზინის წარმოება შეიძლება. ჩვენი გათვლებით, ამ პრეპარატით ჩვენ შეგვიძლია ჰექტარი პლანტაციიდან 15-20 ტონა მივიღოთ, ეს კი ერთი-ორად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ შაქრის სორგო მაღალი გვალვაგამძლეობით გამოირჩევა და თითქმის ყველანაირ ნიადაგზე მოდის, მისი პლანტაციების გაშენებით გვაღვიან

შირაქსაც დავასაქმებთ და სუპტროპიკულ გურია – სამეგრელოსაც, ასიათასობით სამუშაო ადგილსაც შევქმნით და ბიობენზინითაც უზრუნველყოფთ უნათობო ქვეყანას.

მსოფლიოში შაქრის ჭარხლისა და შაქრის სორგოს ნათესების რაოდენობისა და სხვა მონაცემების საფუძველზე გათვალეთ, რომ მსოფლიოს ყოველწლიურად 5 მილიარდამდე აშშ დოლარის ჭარხლისა და სორგოს თესლი სჭირდება. აქ კი ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უზარმაზარი ფულადი მოგების დიდი რეზერვები იმალება. ცნობილია, რომ რ.გახოკიძის პრეპარატით მხოლოდ თესლის დამუშავებაა საკმარისი. ამიტომ, თუ რამდენიმე ათას ჰექტარზე ამ კულტურათა თესლს მოვიყვანთ, შემდეგ ამ თესლს პრეპარატით დავამუშავებთ და გაყიდით, როგორც მაღალპროდუქტიულ და მაღალშაქრიან თესლს, მსოფლიო ბაზარზე ყველანაირ კონკურენციასაც მოვიგებთ და რამდენიმე მილიარდსაც გამოვიმუშავებთ.

დღეს დროული და მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ბიოწარმოებაზე გადართვა, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქართული სოფლის მეურნეობის განვითარებას და ეროვნული უსაფრთხოებას, მისი საექსპორტო პოტენციალიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ქართული ეკონომიკის აღმავლობას.

ამბობენ, კონკურენცია წარმოების გენერატორიაო, ხოლო წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ამ წარმოების მიზანი. ჩატარებული კვლევები გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერული მიღწევა, რომელსაც საფუძველად უდევს პროფ. რ. გახოკიძის მიერ დამუშავებული ახალი აგრობიოორგანული ტექნოლოგია, სრულიად შესაძლებელს ხდის საფუძველი ჩაუყაროს “მწვანე რევოლუციის” ახალ ერას ჩვენს პლანეტაზე.

მხოლოდ მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ურთიერთობას, ხელისუფლების ხელშეწყობის პირობებში, შეუძლია კაცობრიობის ამ უმთავრესი პრობლემის გადაჭრა. სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა რეალური გზა არ არსებობს.

ZHORA GABRICHIDZE

Institute of Bioorganic Technologies, Senior Researchers

NINO MIROTADZE

Sukhishvili University, Assistant Professor

GLOBAL TENDENCIES AND WORLD FOOD SUPPLIES

S u m m a r y

By now millions were supposed to be perishing from hunger every year. Despite the production successes, the first green revolution faced or created a number of problems. The high yield varieties were very input, especially in the use of pesticides and fertilizers, and they worked best on good soils with a high degree of water control (both irrigation and drainage). It has led to reduce genetic diversity, increased vulnerability to pests, soil erosion, reduced soil fertility, micronutrient deficiencies, soil contamination, reduced availability of nutritious food crops for the local population.

In our view, the new agrobiorganic technology, developed by prof. R. Gakhokidze, suggests that the world might be on the verge of a new Green Revolution. We believe that this innovation, investments in agricultural research and infrastructure in agricultural research, and partnerships throughout the value chain agriculture can meet the needs of a growing world sustainably and responsibly.

თამაზ გამსახურდია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ ფუსტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მაღალბანვითარებული სოფლის მეურნეობა-მოსახლეობის საარსებო

მოთხოვნები უზრუნველყოფის ბაზანტი

სოფლის მეურნეობა ადამიანთა საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მეტად საჭირო და აუცილებელი სფეროა, რომლის განვითარებაზე არის დამოკიდებული კაცობრიობის არსებობა, ამიტომ მას ყველგან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, როგორც სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს დარგს.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მიწათმოქმედება (მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეჩაიობა, მეციტრუსეობა, მეკარტოფილეობა და სხვა) და მეცხოველეობა

(მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და ა.შ.). ამ დარგების სწორად შეთანაწყოება უზრუნველყოფს მიწის მატერიალურ, შრომითი რესურსების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას. სოფლის მეურნეობაში მთავარი წარმოების საშუალება მიწაა. ქვეყანაში მიწის სპეციფიკური თვისებები და ადგილობრივი კლიმატური პირობები განსაზღვრავს რეგიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას.

სოფლის მეურნეობა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის უძველესი დარგია. იგი ჩაისახა ქვის ხანაში (ნეოლით). საუკუნეების განმავლობაში სოფლის მეურნეობა ექსტენსიურად ვითარდებოდა. თანდათან იცვლებოდა და იხვეწებოდა მიწათმოქმედების სისტემები, იქმნებოდა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები. საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისთვის დამახასიათებელი იყო სოფლის მეურნეობის გაძლიერების თავისებური ფორმა და კულტურა.

საქართველოს ტერიტორიის ფართობი 7628400 ჰა-ს შეადგენს. აქედან 3026300 ჰა (39,67%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. მათ შორის სახნავია 802100 ჰა (1,88%), საძოვარი 1796600 ჰა (23,55%), არასასოფლო-სამეურნეო სავარგულია 3857200 ჰა (50,57%), მათ შორის ტყე 2838300 ჰა (37,23%), მდინარეები და ნაკადულები 91300 ჰა (1,19%).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში ჩვენს ხელთ არსებულ ამ მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულ რესურსაც ვერ ვიყენებთ გააზრებულად და ეფექტურად. ამასთან სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში 2011 წლის მონაცემებით 7.7% შეადგინა. პერმანენტულად უარესდება ვითარება დასაქმებაში. იზრდება უმუშევრობა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც კი და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია ფარულმა უმუშევრობამ. ოფიციალური სტატისტიკით სოფლის მცხოვრებნი თვითდასაქმებულებს მიეკუთვნებიან, ამიტომ სოფლად სტატისტიკური მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებლები თითქოს დაბალია. საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოში დაქირავებულთა რაოდენობა 600000 არ აღემატება. ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა მილიონზე მეტია. ამათგან უმეტესობა სოფლის მცხოვრებია. მნიშვნელოვანია, რომ 20 წელზე მეტია არც სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა ტექნოლოგიურად და არც სხვა სექტორებში იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, ამასთან უკვე მრავალი წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამოყალიბდა საქართველოდან საზღვარგარეთულ ქვეყნებში (ეს უფრო იგრძნობა სოფლებში, სადაც დარჩა ბავშვები და მოხუცები) სამუშაო ძალის გადინების სახიფათო ტენდენცია. ნიშანდობლივია რომ ყოველივე ამან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ერთად თავისი უარყოფითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარებაზე.

ქვეყანაში ბოლო პერიოდში ბევრი პრობლემა დაგროვდა რამაც ცუდად იმოქმედა ხალხის კეთილდღეობაზე. ამ პრობლემის გადაჭრას პირველ რიგში სჭირდება ფინანსური რესურსები და გარკვეული დრო, რომ ხალხმა იგრძნოს ახალი ხელისუფლებისაგან მომდინარე პროგრესი. კარგია, რომ ხელისუფლებამ სოფლის აღორძინება პრიორიტეტულ ამოცანად დასახა. ამის მაგალითია „სოფლის მეურნეობის განვითარების“ ერთ მილიარდიანი ფონდის შექმნა. ადამიანები მთავრობისგან ბევრი სასიკეთო საქმეების კეთების მოლოდინშია, მაგრამ თითოეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს თავისთავში, რომ „ძალა ერთობაშია“ და დაუღალავი შრომით თავისი აქტიური წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის მეტად საჭირო საქმეში, ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების გაჯანსაღება-განვითარებას. დიდი განმანათლებელი ვოლტერი აღნიშნავდა, რომ „ერი, რომლის ხსნა ერთ კაცს შეუძლია, მათრახის ღირსია“. ჩვენს ქვეყანაში ასეთი აზრი მუსირებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბატონ ივანიშვილის თავკაცობით ხელისუფლებაში მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მზამზარეული იქნება ხალხისათვის. ხელისუფლების ძირითადი მოვალეობაა კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა, ჯანსაღი გარემოს შექმნა, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანს თავისუფლად შეეძლება ყოველგვარი ზეწოლისა და ბრძანების გარეშე განახორციელოს მატერიალურ და არამატერიალურ სექტორში საქმიანობა. აგრეთვე ხელმისაწვდომი იქნება კრედიტები სამეწარმეო სექტორებისა და აგრობიზნესის ინტენსიური განვითარებისათვის, კეთილ-განწყობილებითა და პატივისცემით იქნება გამსჭვალული ადამიანი და ადამიანის შრომა. აღსანიშნავია ის დიდი მხარდაჭერა და დახმარება, რაც ხელისუფლებამ რეგიონების მოსახლეობას აღმოუჩინა მიმდინარე წლის ხვნა-თესვის პერიოდში, როცა სოფლის თითოეულმა კომლმა დახმარების ბარათი მიიღო, რომელიც სოფლის მეურნეობის მოსავლიანობისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის გადადებასთან ასოცირდება. ხელისუფლებამ ამით გლესს მისცა

სოფლისკენ შემობრუნების შანსი, თანდათან ყველა პირობას ქმნის მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშეწყობისათვის, რათა გლეხი წელში გაიმართოს, მეტი სტიმული მიეცეს მის შრომას. ძლიერი გლეხი- ქვეყნის ძლიერებაა.

სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხშირ შემთხვევაში არ იწარმოება პროდუქცია იმ რაოდენობით, რომ სოფელში დარჩენილმა მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმაც კი დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნილება. მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქვეყანაში შემოგვაქვს კარაქის, მცენარეული ზეთის, შაქრის თითქმის 100%, ხორბლის 70%, ხორცის 45% და ა.შ. სასურსათო კრიზისი დღითიდღე მწვავედება. ყველაზე უბედურება ის არის, რომ მოხდა გლეხის გაუცხოვება მიწასთან.

ჩვენი აზრით საკამათოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქვეყნის ძლიერება და მისი პოტენციალი დამოკიდებულია მდიდარი ბუნებრივი რესურსების გონივრულ-რაციონალურ გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველო მეტწილად მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის 53,6% მთაზე მოდის, 33,4% კი მთისწინებზე, ხოლო ბარს ტერიტორიის მხოლოდ 13% უჭირავს. ამიტომ ქვეყანაში მიწის დასამუშავებელი ხვედრითი წილი ძალიან დაბალია. ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0,64 ჰა და სახნავის 0,14 ჰა მიწა. ფაქტია, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩვენს კაპიტულაციას. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ძალიან მცირე მიწიანი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის მეტად არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატურ პირობების მქონე ქვეყანა ისრაელი, რომლის მოსახლეობა რუდუნებით შრომობენ და მაღალეფექტურად იყენებს ისედაც მწირ რესურსებს, ქვეყანა ეწევა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტს. ქვეყანა ძლიერია, რადგან მათ გააჩნიათ მაღალპატრიოტული სულისკვეთება. მრავალ ჭირვარაში გამოვლილმა ერმა უდაბნო წაღკოტად აქცია. ქართველები გადამწყვეტ ეტაპზე ინერტულობას კი არ უნდა იჩენდეს, არამედ მეტი ძალისხმევა, მონღობა, ერთიანობა და სიყვარული გეჭირდება ქვეყნის დასალაგებლად, სხვა დარგებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ მაღალი პოტენციალის მქონე სოფლის მეურნეობის აღორძინება-განახლებაზე, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვითა და შემნახველ-გადამამუშავებელი საწარმო-ობიექტების შექმნის ხარჯზე.

საქართველოში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ის უზრუნველყოფს მოსახლეობას კვების ძირითადი პროდუქტებით, ორგანული სასუქით, გამწვევი ძალით, ჰორმონალური პრეპარატებით, მსუბუქ მრეწველობას – ნედლეულით. არქეოლოგიური გათხრები და ქართული მატერიალურ-კულტურული ძეგლები ადასტურებენ უძველეს დროში მეცხენეობის, მეცხვარეობისა და მეძროხეობის მაღალ დონეს. საუკუნეების მანძილზე ხალხური ხელექციის გზით გამოყვანილი იქნა ადგილობრივი უნიკალური ჯიშები.

მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობამ 2007 წ. შეადგინა 1048.5 ათასი, 2011 წ. კი 1087.6 ათასი. ამავე დროს რძის რაოდენობა შესაბამისად 624.8 დან 582.1 მილიონ ლიტრამდე შემცირდა (რძის წარმოების მაქსიმუმი 1913 წლიდან დღემდე აღინიშნა 1988 წ. – 730.5). ალბათ ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ერთწლიანი ბალახების საშუალო მოსავლიანობამ შესაბამისად 20.5 დან 18.1 ათას ტონამდე შემცირდა.

საქართველოში დაკლული ხორცის წარმოების სტატისტიკიდანსჩანს, რომ 2011წ. მონაცემი (49.3 ათასი ტონა) ვერ უტოლდება 1913 წ. (49.4) დონეს. საერთოდ ხორცის წარმოების პიკმა 1989 წ. (178.8) მიაღწია, მომდევნო წლებში ჩავარდნის მიუხედავად 1993 წლიდან (100.4) ადგილი აქვს მატებას, 2003 წ. ის აღწევს 108.9 ათას ტონას. აქედან იწყება მკვეთრი ვარდნა. უფრო ცუდი მდგომარეობაა მატყლის წარმოების დარგში. თუ 1913წ. წარმოებული იქნა 3.4 ათასი ტონა (მაქსიმუმი 1988 წ. – 6.8), 2011 წ. შეადგინა 1.7 ათასი ტონა, ანუ 1913 წ. შედარებით 100%-იანი კლებაა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კვერცხის წარმოებაში, მაგრამ აქაც შეიმჩნევა საგრძნობი კლება, 1988 წ. (მაქსიმუმი) 890.2 მლნ. ცალიდან 2011 წ. - 483.1 მლნ. ცალამდე.

მეცხოველეობაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს თხის მოვლა-მოშენებას. აღსანიშნავია თხის რძის განსაკუთრებული სარგებლიანობა ჩვილ ბავშვთა კვებაში, მაგრამ, სამწუხაროდ არ ხდება მისი წარმოება, გადამამუშავება და დაფასობა ქარხნული წესით. საქართველოში საგრძნობლად შემცირდა თხის სულადობა 2007 წ. 86 ათასი სულიდან 2011 წ. 53.6 ათასამდე.

მეფუტკრეობა საქართველოში ოდითგანვე ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული და შემოსავლიანი დარგია. ის ადამიანის კვებისა და ჯანმრთელობისათვის მეტად საჭირო

პროდუქტებით გვამარაგებს. ციფრები მეტყველებს, რომ 2007 წ. ოჯახების რაოდენობა 183.8 ათასს სკას შეადგენდა, ხოლო 2011 წ. მიაღწია 328.8 ათასს, ანუ 54.4%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში თავლის წარმოება 2.3 ათასი ტონიდან 2.7 ათას ტონამდე გაიზარდა.

მეფრინველეობა მეცხოველეობის მნიშვნელოვანი დარგია. მეფრინველეობის პროდუქცია მაღალი სამომხმარებლო ხვედრითი წილით ხასიათდება და უზრუნველყოფს სწრაფ აღწარმოებასა და მაღალ ეკონომიურ ეფექტიანობას.

საქართველოში ყველა სახის ფრინველის რაოდენობა 2007 წ. შეადგენდა 6 149.7 ათას ფრთას, ხოლო 2011 წლისათვის გაიზარდა 360.2 ათას ფრთამდე. დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭიროდ ვთვლით ბაზარზე იმპორტირებული ფრინველის კვერცხისა და ხორცის ხვედრითი წილის შესამცირებლად აუცილებელია საბაჟოზე გამკაცრდეს შემოსული პროდუქციის წარმოშობის ქვეყნისა და გამოშვების თარიღის კონტროლი, ადგილობრივ მეწარმეებს მიეცეთ შეღავათები დაბეგვრაში. აგრეთვე აუცილებელია სამამულო საინკუბაციო კვერცხის მეწარმეობის სტიმულირებაც, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მეფრინველეობის პროდუქციის სარეალიზაციო ფასებს.

მემცენარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო ითვლება მსოფლიოში მცენარეთა გაკულტურების ერთ-ერთ უძველეს ცენტრად. მინდვრის კულტურების შესწავლის მნიშვნელოვან წყაროდ მიჩნეულია ივანე ჯავახიშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვათა შრომები. საქართველოში მემცენარეობის მეცნიერული საფუძვლები ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დამლევეს, როდესაც დაარსდა ყარაიის, საქარის, აჯამეთისა და ოზურგეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურები, შემდგომში ამას დაერთო თსუ-ში მემცენარეობის (კერძო მიწათმოქმედების) კათედრის გახსნა (1920 წ.) ი. ლომოურის ხელმძღვანელობით. იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველო ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან სასოფლო-სამეურნეო მიმართულების მქონე რესპუბლიკად ქვეყანაში შეიქმნა მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, სათესლე და სანერგე საცდელი მეურნეობები, ორი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო-სასწავლო ინსტიტუტი და სხვა. აღნიშნულმა გარემოებებმა და ქართველი კაცის ტრადიციულმა მიწათმოქმედების კულტურამ გადაამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ დაკარგა გასაღების ბაზარი, ვერ მოხდა სიტუაციის სწორი აღქმა და ანალიზი, ვერა და ვერ გადავეწყვეთ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე, ანუ საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც იმედოვნებს რომ ვიღაცის კეთილი ნებითა და მოწყალების ხარჯზე ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას. ამ და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო თითქმის კატასტროფამდე მიყვანილი ქვეყანა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მარცვლეული კულტურები 270 ათას ჰექტარზე იყო გაშენებული, ხოლო მოსავალი კი 600 ათას ტონას აღემატებოდა. 2010 წელს ნათესი ფართობი შემცირდა 198.2 ათას ჰექტარამდე, ხოლო მოსავალი 195.3 ათას ტონამდე. სამწუხაროდ ამავე პერიოდში შემცირდა არამარტო ფართობი, არამედ მოსავლიანობაც. თუ თავდაპირველად ჰექტარზე 20 ტონაზე მეტი მარცვლეული მოდიოდა, დღეს იგი 11-12 ტონას შეადგენს. ასევე, თუ 1990 წელს მიიღეს 326 ათასი კარტოფილი, 2010 წელს მიღებულ იქნა 114.1 ათასი ტონა ანუ 212 ათასი ტონით ნაკლები. საქართველოში თურქეთიდან იმპორტირებული იყო 7.2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 24.7 ათასი ტონა კარტოფილი. აღნიშნულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ იანვარში თურქეთიდან იმპორტირებულ პროდიქციათა შორის მე-5 ადგილი დაიკავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ანალოგიურ პერიოდში ამ პროდუქციის იმპორტი თურქეთიდან არ განხორციელებულა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თურქებს ათიათასობით ტონა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია გააქვთ საქართველოდან მაშინ, როცა ყოველგვარი შემოწმების გარეშე, საეჭვო ხარისხის მქონე კარტოფილი შემოგვაქვს. ვის ინტერესში შედის ყოველივე ეს? ჩვენ რა გეჭირს იმის ფასი, რომ კარტოფილი იმპორტის სახით შემოვიტანოთ? ჩვენ გაგვანჩია იმის პოტენციალი, რომ სამხრეთ საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო და ზემო სვანეთში, რაჭასა და სხვა რეგიონებში მოვიყვანოთ საუკეთესო ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ჩვენი მოსახლეობის დაკმაყოფილებასაც შეეძლებოდა და დიდი რაოდენობით ექსპორტიც შეგვიძლია ვაწარმოოთ. რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას, იგი 641 ათას ტონიდან 185.8 ათას ტონამდე შემცირდა ე.ი. თითქმის 3-ჯერ და მეტად. ასევე შედარებით ცუდი მდგომარეობაა ყურძნის წარმოება-მოყვანის

საქმეში. 620 ათასი ტონიდან 159.6 ათას ტონამდე შემცირდა ე.ი. თითქმის 4-ჯერ. დასაბამია, რომ ყურძნის მარნად წოდებულ კახეთის რეგიონში (ცნობილია, რომ საქართველოში გაშენებული იყო საბჭოთა კავშირის ვენახების 11%) მისი წარმოება ნელნელა მცირდება. ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზია- შესყიდვის დაბალი ფასები და ცუდი მენეჯმენტი.

დასავლეთ საქართველო, კერძოდ კოლხეთის დაბლობი გამოირჩეოდა და დღესაც გამოირჩევა უნიკალური ციტრუსების ნაყოფის წარმოებით. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს წლიდან წლამდე მცირდება ციტრუსების წარმოება, რომელიც ადამიანისათვის მეტად საჭირო პროდუქტს წარმოადგენს. იხილეთ ცხრილი 1:

ცხრილი 1.

ციტრუსების წარმოება რეგიონებისა და წლების მიხედვით (ათასი ტონა)

	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო მათ შორის	98,7	52,2	93,6	52,1	54,9
აჭარა არ.	80,5	32,6	78,3	24,7	44,8
სამეგრელო, ზემო სვანეთი	5,3	5,9	2,8	3,1	2,0
იმერეთი	-	-	-	0,1	0,2
გურია	13,1	16,7	12,5	24,2	7,9

ციტრუსის წარმოებაში აჭარა გამორჩეულია. ხოლო მომდევნო ადგილებს იკავებს გურია და სამეგრელო. სხვადასხვა მიზეზების გამო ბოლო წლებში ციტრუსებისადმი ყურადღება მოდუნდა. აუცილებელია გამოინახოს ეფექტური გზები, და რაც მთავარია პროდუქციის რეალიზაციის დანქარებასა და დარჩენილი პროდუქტის ვარგისიანობის შენარჩუნება-შენახვაში, რათა მეურნეები დაინტერესდნენ მოსავლიანობის ზრდით და ეს საქმიანობა გახდეს ამ რეგიონებში შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

ჩაის წარმოების მხრივ საქართველოს გადამწვევტი ადგილი ეკავა ყოფილ საბჭოთა კავშირში. ის უზრუნველყოფდა სსრკ-ს შიდა ბაზრის 95%-ზე მეტს (საშუალოდ იკრიბებოდა 500 000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი). დღეისათვის ჩაი და ჩაის მრეწველობა თითქმის განადგურებულია და ის ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ბაზრის მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. საქართველოში ამ კულტურებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთები საუკეთესო არის ამ დარგისათვის და ნაკლებ ეფექტურია სხვა კულტურებისათვის. ამიტომ ან უნდა ვეძიოთ და დავამკვიდროთ სხვა მაღალეფექტური კულტურები ან ავადორძინოთ ამ რეგიონებისათვის ჩვეული ძირძველი კულტურები. ამისათვის აუცილებელია ხელისუფლების კეთილი ნება, შექმნას საინვესტიციო პირობები ამ დარგში და შეძლებისდაგვარად გაატაროს პროტექციონისტული პოლიტიკა იმპორტ-ექსპორტზე. ბოლო წლებში ჩაის წარმოება ასე გამოიყურება: თუ 2007 წელს წარმოებული იქნა 7.5 ათასი ტონა ჩაი, 2011 წელს 2.9 ათას ტონამდე შემცირდა. ეს უკვე დარგის კრიზისულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

ასეთივე მდგომარეობაა მეხილეობის დანარჩენ სახეობებში. მაგალითად კურკოვანი კულტურები, მცენარეები ვარდისებოთა ოჯახის ქლიავისებრთა ქვეოჯახისა, რომელთაც განეკუთვნება ატამი, ქლიავი, გარგარი, ბალი, ალუბალი, ტყემალი, ალუჩა, ნუშიდასხვა. საჭმელად იყენებენ ნაყოფსაფარს (გარდანუშისა) როგორც ნედლად, ისე გადამუშავებულს (მურაბა, ჯემი, კომპოტი და სხვა). კურკოვანი კულტურები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიცოცხლის ხანგრძლივობით, ზრდით, მსხმოიარობის დაწყებით, ეკოლოგიურ პირობებზე დამოკიდებულებით, მოსავლიანობით და სხვა. საქართველოში კურკოვანი კულტურებს 30 ათასი ჰა ფართობი უკავია, რაცხეხილის ბაღების მთელი ფართობის 18%-ს შეადგენს. ჩვენში კურკოვანი კულტურებიდან ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს ატამს (55%), შემდეგ ქლიავს (20%), ბალს (6%), ალუბალს (5%), გარგარს (4%) დასხვა. ცხრილი 2-ში მოცემულია საქართველოში მრავალწლიანი კულტურების წარმოების სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი 2

საქართველოში მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა)

	2007	2008	2009	2010	2011
ხილი სულ	227.5	157.6	181.2	124.1	187.3
მათ შორის:					
ვაშლი	101.3	41.5	80.7	21.1	64.3
მსხალი	19.6	16.4	11.1	13.7	17.6
კომში	1.5	1.2	2.2	0.5	0.9

ქლიავი	16.3	12.6	6.3	6.7	7.2
ბალი, ალუბალი	5.5	4.0	4.0	3.0	2.7
გარგარი	0.3	0.7	0.2	0.8	0.3
ატამი	8.2	13.7	17.6	6.9	19.1
ტყემალი	18.6	18.0	6.9	11.9	9.7
კაკალი	11.8	6.2	8.2	6.1	5.7
თხილი	21.2	18.7	21.8	28.8	31.1
სუბტროპიკული ხილი	22.1	23.7	21.4	22.4	25.
კენკროვანი ხილი	1.1	0.9	0.4	0.8	1.8
დანარჩენი ხილი	0.0	0.0	0.4	1.4	1.6
ყურძენი	227.3	175.8	150.1	120.7	159.6

როგორც ცხრილიდან სჩანს უმრავლესი მრავალწლიანი კულტურების წარმოება 2007 წლიდან 2011 წლისათვის სულ შემცირდა 17.67%-ით. მათ შორის: ვაშლის - 36,5%-ით, კომში - 40%-ით, ქლიავი - 55,8%-ით, ბალი, ალუბალი - 50,9%-ით, ტყემალი - 47,9%-ით, კაკალი - 51,7%-ით და ყურძენი - 29,8%-ით. ამასთან შეიმჩნევა ზოგი კულტურების მოსავლიანობის ზრდა, როგორცაა: ატამი - 133%-ით, თხილი - 46,7%-ით. მოსავლიანობის კლება ძირითადად განპირობებულია ბაზრის უქონლობისა და მალფუჭადი პროდუქციის შესაბამისი საცავების არ არსებობის გამო, გამონაკლისია მხოლოდ კაკალი, რრომლის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს კლიმატური პირობები, მეწვეურობა და ნარგავების გადაბერება. თუ ქვეყანაში სწრაფად განვითარდება კვების პროდუქტების შესანახი ინფრასტრუქტურა, რასაც აგრე რიგად პირდებოდა ამომრჩეველებს ყველა საარჩევნო სუბიექტი, აღნიშნული პროდუქციის ზრდაც არ დააყოვნებს.

სასიმოვნოა, რომ თხილის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ რეზერვები აქ შედარებით დიდია, რადგან მოთხოვნა მსოფლიოში მზარდია. ამიტომ მრავალწლიან კულტურათა შორის თხილის წარმოება გამორჩეულ ადგილს იკავებს და მთელი რიგი რეგიონების მოსახლეობა საკმაოდ მაღალ შემოსავალს იღებს. ქართული მაღალკონკურენტუნარიანი თხილის წარმოება უფრო ეფექტური და მომგებიანი დარგი გახდება, თუ მას ჩამოვაშორებთ არსებულ თხილის მაფიას და ხელს შევეწყოფთ თხილის გასაღების ბაზრების დივერსიფიცირებას.

ბოსტნეული კულტურები ნათესი ფართობი 2007 წ. შეადგენდა 32.0 ათას ჰექტარს, ხოლო 2011 წ. შემცირდა 21.7 ათას ჰექტარამდე. შესაბამისად ბოსტნეული კულტურების წარმოება 190.3 ათასი ტონიდან შემცირდა 185.8 ათას ტონამდე.

ბალჩეული კულტურები ნათესი ფართობი 2007 წ. შეადგენდა 5.3 ათას ჰექტარს, ხოლო 2011 წ. შემცირდა 3.3 ათას ჰექტარამდე. შესაბამისად ბალჩეული კულტურების წარმოება 73.5 ათასი ტონიდან შემცირდა 42.8 ათას ტონამდე.

ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების ნათესი ფართობისა და წარმოების შემცირება იმის შედეგია, რომ იმავე პერიოდში შემცირდა (51.1 ათასი ტონიდან 45.1 ათას ტონამდე) ყველა სახის მინერალური სასუქების გამოყენება, რაც თავის მხრივ მათზე საცალო ფასების ზრდამ გამოიწვია.

როგორც ანალიზიდან სჩანს სოფლის მეურნეობაში 2011 წ. 2003 წელთან შედარებით ფონდშიარაღება, შრომის მწარმოებულობა და ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შემცირდა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ნიადაგის მეცნიერული კვლევა-ძიების ჩატარება და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი რეგიონალური რუკების შედგენა;
- გლეხური და ფერმერული მეურნეობისათვის ხელმისაწვდომი (გრძელვადიანი და დაბალპროცენტინი) სესხების დამკვიდრება;
- მოსავლის დაზღვევის სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურების შექმნა;
- დამწვები ფერმერული მეურნეობისათვის დაუბეგრავი პერიოდის განსაზღვრა;
- ძირეული რეფორმების ჩატარების დაჩქარება სასოფლო-სამეურნეო პროფილის კადრების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოწინავე აგრობიზნესის მქონე ქვეყნებში სტაჟირების სფეროში;
- რეგიონების სპეციფიკის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო მიმღებ-შემკრები პუნქტებისა და შემნახველ-გადამამუშავებელი მინი საწარმოების ქსელების შექმნა;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ხარისხის შემოწმების და ნიადაგის ქიმიური ანალიზის ლაბორატორიების შექმნა რეგიონებში და მეურნეებისათვის მათი მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო პროფილის პროფესიული სასწავლებლების ქსელის შექმნა სოფლად;
- სამეცნიერო-საცდელ, სათესლე-სანერგე და სასელექციო სადგურების ქსელის შექმნა;
- XXI საუკუნის მოთხოვნებისადმი (ოდნავ მაინც) მიახლოებული ინფრასტრუქტურის შექმნა სოფლის ტიპის დასახლებებში;
- სავარგულების გაფართოების მიზნით, მთის ფერდობების ეროზიის საწინააღმდეგოდ ადვანსინოთ დატერასების ძირძველი ქართული ტრადიცია;
- უცილებელია გადაიხედოს და გასწორდეს ბენდუქიძისეული მიდგომები კანონმდებლობაში ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისადმი, რომელთა ურყოფით შედეგებს ქვეყანა უკვე იშვებს და დაყოვნება კატასტროფულიც შეიძლება აღმოჩნდეს.

ანალიზმა ცხადყო, რომ ხელშემწყობი პირობების შედეგად ქვეყანაში უპირობოდ გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო სექტორში მწარმოებლურობა, რენტაბელობა და კონკურენტუნარიანობა, ხოლო ფუნქციონირების ხარისხობრივი მაჩვენებლები თანდათან გახდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და წარმოებული პროდუქცია კი კონკურენტუნარიანი.

გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები, რაც სასიკეთოდ აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. ქართული პროდუქცია დაუბრუნდება შიდა ბაზარს, შედეგად გაიზრდება სამამულო წარმოების წილი შიდა მოხმარებაში და შესაბამისად გაიზრდება ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. იმპორტის შემცირების საფუძველი გახდება აგროსასურსათო პროდუქციის კონკრეტული სახეობის საბაზრო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. ჩამოყალიბდება სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2011 წ. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2011%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf
2. არჩვაძე ი., მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. <http://social-democrats-georgia.com/2010/09/blog-post/832 htm/>
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, ტ. 6., თბილისი.

TAMAZ GMSAKHURDIA

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

TEIMURAZ PESTVENIDZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

HIGHLY DEVELOPED AGRICULTURE – THE GUARANTEE OF ENSURING OF VITAL NEEDS OF THE POPULATION

S u m m a r y

The paper deals with the agriculture as a vital industry, the development of which depends on the existence of mankind. Therefore, the importance of this field can be seen everywhere. It is sad but true that there is not effective and meaningful use scarce resources of agricultural land. The analysis of statistical data shows that the share of income from the sale of agricultural products to the family budget in 2011 was only 7%.

The paper also highlights the important types of livestock farming such as animal husbandry, poultry farming, beekeeping, and their place and role in the provision of basic food products. Also the paper deals with the need to develop the country's goat keeping the role of which in the diet and treatment is very important, especially for children. Much attention is given to development in the plant, as is traditional for Georgia, which, like the whole of the Caucasus, is recognized as a global center of plant domestication. The work also highlights crops, potatoes, grapes, the main types of vegetables, melons and citrus crops, fruits, as well as tea. Particularly noted the importance of increasing the volume of stone fruit (peach, plum, sour plums, cherries, cherry, etc.) and on the world market highly demanded hazelnuts (filberts). The reasons for preventing and recommendations are analyzed which, according to the authors, will help to eliminate the backlog in the industry.

We also deal with about the importance of maintaining and increasing the scarce resources of fertile land by reviving the traditional ancient Georgian terracing hillsides, which is very important for maintaining the climatic conditions and the mountains themselves, and the need to review and amend laws relating to land, water and forest resources .

Some considerations for the welfare of the population and income of the state budget.

**არსებული პრობლემები და ეკონომიკური პოლიტიკის
პრიორიტეტები აგრარული სექტორში**

აგრარული სექტორი საქართველოს ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტული დარგია. აგრარული პოლიტიკის ძირითად მიზანს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. სწორმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის პირობების გაუმჯობესებას, შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დაძლევას და სხვა. კვლევის ძირითადი მიზანია აგრარულ სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი და წარმოვადგინოთ აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს დარგში მდგომარეობის გაჯანსაღებას.

საქართველოში ქვეყნის მოსახლეობის 47% სოფლად ცხოვრობს. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უშუალოდ ჩაბმულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ მათ მიერ შექმნილი დოვლათი მოცემული მანქანების არაპროცენტულია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 8.4 პროცენტს შეადგენს¹, რაც შიდა ბაზრის მოთხოვნასთან მიმართებით მიზერულია. ჩანს რომ, სოფლად ჭარბად არის თავმოყრილი სამუშაო ძალა, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს არ ან ვერ იყენებს.

საქართველოს აგრარულ სექტორში ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები მისი მთიანი, ვერტიკალური და რთული რელიეფი. სოფლის მეურნეობაზე საქართველოს მთიანი რელიეფის ზეგავლენას მრავალი გამოხატულება აქვს. რელიეფის ხასიათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ იგი ამცირებს სასოფლო სამეურნეო მიწების ფონდს, ასუსტებს ტექნოლოგიურ პროცესებში მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობებს, რაც შესაბამისად ზრდის პროდუქტის წარმოების შრომატევადობას. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში გავრცელებული (ვენახი, ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ხეხილი, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური) კულტურები, ხასიათდება მაღალი შრომატევადობით, ისინი მკვეთრად ლოკალიზებულია და მოითხოვს განსაკუთრებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს, მიწის ასეთი განსაზღვრულობა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის კიდევ სხვა ნიშანდობლივი უარყოფითი თვისებები, როგორცაა მცირემიწიანობა, წვრილკონტურიანობა და სხვა მხარეები დღის წესრიგში აყენებს საწარმოო საშუალებების უფრო რაციონალურად გამოყენების გზების ძიების აუცილებლობას.

ეკონომიკის ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვა სფეროებში უნდა გადაინაცვლოს, რათა მიწების გამსხვილება მოხდეს და აგრარული ბიზნესის შედეგიანობაც გაიზარდოს. მაგალითისათვის, იაპონია -რომლის ეკონომიკურმა აღმავლობამ მკვეთრად შეამცირა როგორც სოფლის მეურნეობის წილი, ასევე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. 50-იან წლებში სოფლის მეურნეობაზე იაპონიის მთლიანი ეკონომიკის 90 პროცენტი მოდიოდა, დღეს კი ეს მაჩვენებელი 1 პროცენტზე არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში, რომელიც მატერიალური წარმოების ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენს, და დასაქმებულია მსოფლიო მოსახლეობის 40-45%. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 5-6 %-ს არ აღემატება.

საქართველოს აგრარულ სექტორს შეუძლია აწარმოოს ბევრი ისეთი სახეობის პროდუქცია, რომელთა ექსპორტით მიღებული შემოსავლებით შესაძლებელი იქნება არა მარტო დეფიციტური მარცვლეულის არამედ, სხვა სასურსათო პროდუქტების იმპორტირებაც.

ქვეყანაში, სოფლის მეურნეობაში სწორად შემუშავებული აგრარული ეკონომიკური პოლიტიკის თანახმად შესაძლებელია მწარმოებლურობის გაზრდა. ქართველ მეცნიერთა გაანგარიშებით, პერსპექტივაში, ქვეყნის გარედან სურსათის შემოტანის გარეშე შესაძლებელი იქნება ერთ სულ მოსახლეზე მინიმალური და მაქსიმალური ვარიანტის შესაბამისად ვაწარმოოთ: შაქრის ფხვნილი - 6,4 და 7,3 კგ (ფიზიოლოგიური ნორმა 37 კგ), ხორცი და ხორცის პროდუქტები - 35 და 38,1 კგ (75 კგ), რძე და რძის პროდუქტები - 129,3 და 190,6 კგ (338 კგ), თევზი - 1,8 და 3,3 კგ (11 კგ), მცენარეული ზეთი - 3,8 და 4,9 კგ (7,3 კგ), კარტოფილი - 98 და 100,4 კგ (58 კგ),

¹ www.geostat.ge

ბოსტნეული - 140 და 143 კგ (131 კგ), ხილი და კენკრა - 92 და 96,5 კგ (138,5 კგ).¹

მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებული რესურსების შესაბამისად მიღებული სურსათის უმეტესი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილებას. დღეს სურსათზე მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბალანსდება საგარეო ვაჭრობაში აქტიური ჩართვით და იზრდება ექსპორტი. 2012 წლის მონაცემებით, ქვეყნის მთლიანმა იმპორტმა 7842,1 მლნ დოლარი შეადგინა, მათ შორის სურსათის წილი მთლიან იმპორტში დაახლოებით 13,4%-ია. დინამიკაში, აღნიშნული მაჩვენებელი გასულ წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება.²

ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებლების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: 2012 წლის მონაცემებით ქვეყნის მთლიანმა ექსპორტმა 2377,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის სურსათის ექსპორტი 211,2 მილიონ აშშ დოლარია, ე.ი. სურსათის წილი მთლიან ექსპორტში დაახლოებით 9,02%-ია. ანალიზიდან ნათელია, რომ იმპორტის მოცულობა ბევრად აღემატება ექსპორტს. ბოლო 5 წლის მონაცემების ანალიზით (2007-2012წწ.) ზრდის საშუალო მაჩვენებელია 65-70%.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების მიღწეული მასშტაბებით სასურსათო ბაზარი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული პურითა და პურ-პროდუქტებით, ღვინით, ლუდით, ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით. სამამულო ნაწარმი არის სასურსათო ბაზრებზე რეალიზებული ხილის დაახლოებით 45-48%, ყურძნის 40-45%, ბოსტნეულის 75-80%, საქონლის ხორცის 25-27%, რძისა და რძის პროდუქტების 38-42%.³

მნიშვნელოვანია გავეცნოთ თუ როგორია წარმატებული აგრარული სექტორი კონიუნქტურა და რომელი ქვეყნებია ყველაზე წარმატებული და რამდენად პროდუქტიული და ეფექტიანია მათი წარმოება. მსოფლიოში ყველაზე პროდუქტიული ქვეყნები აგრარულ სექტორში აშშ, კანა და და ავსტრალიაა. ამ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ერთ დასაქმებულზე გადათვლით, აგრარულ სექტორში 100 ათას დოლარს აჭარბებს. შემდგომ მოდიან დასავლეთევროპული ქვეყნები და იაპონია, რომელთათვისაც იგივე მონაცემი 30 ათასიდან 50 ათას დოლარამდე მერყეობს. საქართველოს მაჩვენებელი მეტისმეტად სუსტია - დაახლოებით 1,6 ათასი დოლარი, ხოლო ჩვენი მეზობლების, თურქეთისა და რუსეთის - 10 ათას დოლარზე მეტი.⁴ პირველი რიგის ქვეყნების ლიდერობა, როგორც ჩანს, აგრარული მიწის გაცილებით უფრო დიდი ფართობით აიხსნება, რომელიც თითოეულ ფერმერს ეკუთვნის. ევროპა და საქართველოც უფრო მცირე მიწიანია. ამითვე შეიძლება აიხსნას რუსეთის შედარებითი წარმატება. ხოლო თურქეთი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს აგრარულ სექტორს, ამავე და სხვა მიზეზით ჯერჯერობით მეტ წარმატებას ვერ აღწევს.

აგრარული სექტორის სუბსიდირებით ევროკავშირი ლიდერობს. ქართული სოფლის მწარმოებლურობა 20-ჯერ დაბალია, ვიდრე ევროპის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაზარზე პროდუქციის ფასები მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით დგინდება. ამის შედეგად ყველაზე მეტ ზიანს ის იღებს, ვისაც პროდუქცია ძვირი დაუჯდა და იძულებულია, გაცილებით იაფად გაყიდოს ფერმერული მეურნეობების განვითარების ტენდენციებზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ფერმერული მეურნეობების ფორმირებისა და განვითარების პროცესი მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში. ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის (EUROSTAT) მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში ერთი ფერმერული მეურნეობის სარგებლობაში არსებული სავარგულების საშუალო სიდიდე 17,4 ჰექტარია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი კი 5%. თუ შევადარებთ საქართველოს აგრარული სექტორისა და ფერმერული მეურნეობების სტრუქტურულ მაჩვენებლებს, ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის ქვეყნების მონაცემებს, მაშინ შემდეგ სურათს მივიღებთ: ამერიკის შეერთებული შტატების ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126 მაცხოვრებელს. გერმანიაში საშუალოდ 144 მაცხოვრებელს, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ 51-ს, ხოლო საქართველოში კი ეს მაჩვენებელი, თუ დამატებული ღირებულების რეალურ მოცულობას მივიღებთ მხედველობაში,

¹ ლ. გუგენავა, თ. ლაჭყვიანი, ლ. შოშიაშვილი, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის, ბიზნესი და კანონმდებლობა 2010, №18

² მ. ჩავლეიშვილი, საქართველოს სასურსათო უსახრთხოებისა და სურსათით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №3, თსუ, თბილისი, 2013. გვ. 83

³ www.geostat.ge. სურსათის ექსპორტი და იმპორტი, შინამეურნეობების ხარჯები; შემოსავლები და ხარჯები; სასურსათო უსაფრთხოება.

⁴ საქართველოს აგრარული პოტენციალი - <http://24saati.ge/index.php/category/business/2012-03-14/26529.html>

მაშინ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ პირობებში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი არ შეუძლია, და რომ არა საქმიანობის სხვა არააგარარული სახეობები სოფლად შიმშილი დაისადგურებდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო სამეურნეო სავარგულის საშუალო სიდიდე 190,2 ჰა-ს შეადგენს, გერმანიაში შესაბამისად - 30,3 ჰა-ს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ-17,4 ჰა-ს, ხოლო საქართველოში კი - მხოლოდ 1,5 ჰა-ს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა ამერიკის შეერთებული შტატებში 2,9 მლნ. კაცს შეადგენს, რაც დასაქმებულთა 1,6 %-ია, გერმანიაში - 2,9%-ს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ - 5,0%-ს, ხოლო საქართველოში კი - 63%-ს.

ფერმერული მეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ზომების მიხედვით დაჯგუფების მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში 1-დან 5 ჰა-მდე სავარგულით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების ძალზედ მცირე რაოდენობა, გერმანიაში ფერმერული მეურნეობების - 31,2%, ევროგაერთიანების ქვეყნებში - 56,4 %, საქართველოში კი - 98,4%. 5-დან 50 ჰა-მდე სავარგულით ამერიკის შეერთებული შტატებში სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 60,4 %, გერმანიაში - 55,7%, ევროგაერთიანების ქვეყნებში - 35,1 %, საქართველოში კი - 1,5%. და ბოლოს 50 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით ა.შ.შ.-ში სარგებლობს ფერმერული მეურნეობათა 39,6 %, გერმანიაში - 12,6 %, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ - 7,9%, ხოლო საქართველოში კი მხოლოდ - 0,14%. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობები ჯერ კიდევ არ არის განვითარებული.

საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარების ორიენტირად ევროგაერთიანების განვითარებული ქვეყნების ფერმერული მეურნეობების სტრუქტურულ მანევრებლები უნდა იქნეს გათვალისწინებული (ვინაიდან ეს ქვეყნები საქართველოს მეტ-ნაკლებად მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და აგარარული ურთიერთობებით ხასიათდებიან). საქართველოში ფერმერული მეურნეობების შემდგომი განვითარების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ აქცენტი გამახვილდეს ფერმერული მეურნეობების კოოპერირებაზე და გაერთიანება-გამსხვილებაზე, მიწის ცივილური ბაზრის ჩამოყალიბებაზე და ყიდვა-გაყიდვის გზით მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწების გამასივებაზე, ინტენსიფიკაციაზე და ფერმერული მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვაზე.

ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ საქართველოში უნდა განხორციელდეს ფერმერულ მეურნეობების სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ, ფერმერული მეურნეობების რიცხოვნობა, მათი შემდგომ განვითარებასთან და გამსხვილებასთან ერთად, საშუალოდ 6-ჯერ მაინც უნდა შემცირდეს. ზოგიერთი მეცნიერის გაანგარიშებით ოპტიმალურ რიცხოვნობად საქართველოში საორიენტაციოდ მიჩნეული იქნეს 115 ათასი ერთეული - ნაცვლად 691577-ისა (ფერმერულ -გლეხურ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ფლობენ მიწებს - პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით). წარმოდგენილი ციფრი პირობითია და მისი ჩამოყალიბება საბოლოო ინდიკატურ მანევრებლად მხოლოდ საქართველოს ბუნებრივი პირობების სიდრმისეული ანალიზის შემდეგაა შესაძლებელი. თუ ორიენტირად ისევ ევროგაერთიანების ქვეყნების საშუალო მანევრებლებს ავიღებთ, სადაც 1-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 56,4%, ამ მანევრებლის შესაბამისად, საქართველოში 1-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 64860 მეურნეობა, ნაცვლად 691577 ე.ი. მათი რიცხვი უნდა შემცირდეს 11-ჯერ, ხოლო 5-დან 50 ჰა-მდე სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 40365 მეურნეობა, მეურნეობების 35,1 % ნაცვლად 10112 -ისა, ე.ი. ასეთი მეურნეობების რიცხვი უნდა გაიზარდოს საშუალოდ 4-ჯერ, ხოლო 50 ჰა-ზე მეტი სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 9085 ფერმერული მეურნეობა, მეურნეობის 7,9%, ნაცვლად დღევანდელი - 0,14%-ისა. ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მეურნეობების გამსხვილების პროცესი მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს ისეთ რაიონებში, სადაც ამისათვის შესაბამისი ბუნებრივი პირობებია, შუა ბარებში და მდინარისპირა ველებზე, სადაც თავმოყრილია ქვეყნის სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების 80%-ზე მეტი.

ზემოთმოყვანილი მონაცემებისა და წამყვანი ქვეყნების აგარარული პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

➤ უმთავრესია აქტიურად დაიწყოს კოოპერატიული ტიპის ამხანაგობების შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იქნება აგარარულ სექტორში მომუშავე ადამიანები. ეს ხელს შეუწყობს მათ სწორად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა საწყისი ეტაპიდან საქონლის მიღებამდე;

- აუცილებელია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- მნიშვნელოვანია ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება; საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სახელმწიფომ სუბსიდირება უნდა განახორციელოს აღნიშნული კოოპერატივების, კერძოდ კი მათ უნდა უზრუნველყონ დარგში საჭირო ტექნიკა-დანადგარების შეღავათიან ფასებში გადაცემა ამხანაგობებზე. მნიშვნელოვანია ასევე აგრო სესხების დაბალპროცენტიანი განაკვეთი აგრო დაზღვევის სისტემის დანერგვასთან ერთად ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს სექტორში დასამეყუთა პროდუქტიულობასა და საქონლის რაოდენობის ზრდას;
- ხელი უნდა შეეწყოს აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს არგარული სექტორის განვითარებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა გამოყენება, რომელიც დარგში ეფექტიანობის ამაღლების საფუძველი უნდა დახდეს;
- მნიშვნელოვანია სამცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების არსებობა, რაც ხელს შეუწყობს დარგში ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვასა და განვითარებას.

GIORGI GAPRINDASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Doctoral Candidate, Assistant Professor

THE PROBLEMS OF ECONOMIC POLICY PRIORITIES IN THE AGRICULTURAL SECTOR

s u m m a r y

The paper discusses the problems of agriculture, future development strategies. Results of financial support from the state. The country's export and import of food, farming and other development activities.

Through an analysis of the current situation and assesses the agricultural sector as the main directions of economic policy.

რამაზ ბახოკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

შიმშილის პრობლემა და ახალი მწვანე რევოლუცია

„სოფლის მეურნეობა ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მთელი მსოფლიოს სიმდიდრეს რომ ფლობდეთ და საჭმელი არ გაგახნდეთ, თქვენ მაინც სხვაზე იქნებით დამოკიდებული“.
ჯან უაკ რუსო

შიმშილი და არასრულფასოვანი კვება ყველაზე მწვავე პრობლემაა, რომელიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას. 7 მილიარდი ადამიანისათვის სურსათის მისაღებად ენერჯის მსოფლიო მოხმარება შეადგენს 26350 კვადრილიონ ჯოულ ენერჯიას წელიწადში, რაც საერთო ენერგოდანახარჯის 5%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს, ამდენივე ნახევრად შიმშილობს.

სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. მისი მიზანია მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფა და მრეწველობის სხვა დარგებისთვის ნედლეულის მიღება. თვით განვითარებული ქვეყნებიც კი, განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიუხედავად, ძალიან დიდ ფულად სახსრებს ყოფენ თავიანთი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ქვეყანაში არსებული სავარგულები ბუნებისგან უფასოდ ბოძებულ უდიდეს სამრეწველო ძალას წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის კრიზისი და მისი წარმოების დაცემა მაშინვე აყენებს უშიშვს დარტყმას მთელ ეკონომიკას, რადგან ეს იწვევს უფასო ბუნებრივი რესურსების დიდი რაოდენობით დაკარგვას, და ამ დანაკარგის ანაზღაურება სურსათის იმპორტით უნდა მოხდეს.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობამ 7 მილიარდს გადააჭარბა. ეს 1 მილიარდით მეტია 2000 წელთან შედარებით, 3 მილიარდით მეტი 1975 წელთან შედარებით და თითქმის 6 მილიარდით მეტი 1900 წელთან შედარებით. 2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობა 10 მილიარდს მიაღწევს,

მაშასადამე, სურსათზე მოთხოვნილება დრამატულად დაიწვეს ზრდას. ვარაუდობენ, რომ დედამიწის მოსახლეობა მიაღწევს ამ მუდმივ დონეს და სტაბილიზდება.

შეძლებს კი ადამიანი თავის გამოკვებას, როცა იგი ამ სტაბილურ მდგომარეობას მიაღწევს?

ამომწურავი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე არც თუ ისე იოლია. სურსათის წარმოების გაფართოვება ცოცხალი – ეს იმდენად უნდა გაკეთდეს, რომ არ დაზიანდეს ბუნებრივი გარემო.

სოფლის მეურნეობა უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ბუნებაზე, ვიდრე წარმოების ნებისმიერი სხვა დარგი. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფლის მეურნეობა მოითხოვს მიწის დიდ ფართობებს. ამის შედეგად იცვლება მთელ კონტინენტთა ლანდშაფტები. სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტები საკმაოდ არამდგრადი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია მთელი რიგი ეკოლოგიური და რეგიონალური ეკოლოგიური კატასტროფები. ასე, მაგალითად, მელიორაციამ გამოიწვია ნიადაგების დამლაშება შუა მდინარეთში; დრამად დახვნილი – ძლიერი ქარიშხლები ყაზახეთსა და ამერიკაში, საქონლის საძოვრებმა და მიწათმოქმედებამ – გაუდაბნოება აფრიკაში (სახელის ზონაში).

მიწათმოქმედება ყველაზე ძლიერად ზემოქმედებს ბუნებრივ გარემოზე. ეს ფაქტორებია:

- ბუნებრივი მცენარეულობის შეცვლა სასოფლო-სამეურნეო საგარეულებით, მიწის მოხვნა;
- ნიადაგის დამუშავება (გაფხვიერება);
- მინერალური სასუქების და შხამქიმიკატების გამოყენება;
- მიწების მელიორაცია.

ყოველივე ეს იწვევს:

- ნიადაგის ეკოსისტემის დაშლას;
- ჰუმუსის დანაკარგს;
- ნიადაგების სტრუქტურის რღვევას და გამკვრივებას;
- ნიადაგების ეროზიას.

სოფლის მეურნეობას შემდეგი ძირითადი თავისებურებანი გააჩნია:

1. კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესი დამოკიდებულია ცოცხალ ორგანიზმთა ზრდისა და განვითარების ბუნებრივ პროცესზე, რაც ვითარდება ბიოლოგიური კანონების საფუძველზე.
2. მცენარეთა და ცხოველთა ბუნებრივი ზრდისა და განვითარების ციკლურმა პროცესმა განაპირობა სასოფლო-სამეურნეო შრომის სეზონურობა.
3. ტექნოლოგიური პროცესი სოფლის მეურნეობაში, მრეწველობისგან განსხვავებით, მჭიდროდ არის ბუნებასთან დაკავშირებული, სადაც მიწა წარმოების მთავარ საშუალებას წარმოადგენს.

FAO-ს მონაცემების თანახმად, მიწის ზედაპირის 78%-ს მიწათმოქმედების განვითარებისათვის სერიოზული ბუნებრივი შეზღუდვები გააჩნია, 13% ფართობი გამოირჩევა დაბალი პროდუქტიულობით, 6% – საშუალო და მხოლოდ 3% – მაღალი პროდუქტიულობით.

მემცენარეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. მას, ისევე როგორც სოფლის მეურნეობას, განვითარების ორი გზა გააჩნია: ექსტენსიური და ინტენსიური. ექსტენსიური გზა მდგომარეობს პროდუქციის გაზრდაში სათესი ფართობების გაფართოების და დასაქმებული ადამიანების და ერთეულების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე. ინტენსიურ გზაში იგულისხმება მწარმოებლურობის ამაღლება ახალი ტექნოლოგიების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, რობოტ-ტექნიკის და ელექტრონიკის გამოყენების ხარჯზე.

მემცენარეობის და, ზოგადად, სოფლის მეურნეობის წარმოშობა დაკავშირებულია ე.წ. “ნეოლითურ რევოლუციასთან” კაცობრიობის არსებობის გარიჟრაჟზე, რამაც განაპირობა ცივილიზაციის შემდგომი განვითარება.

სოფლის მეურნეობის განვითარება თავიდან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. შემდგომში ტექნიკის და მეცნიერების განვითარებამ განაპირობა მისი სწრაფი აღმავლობა. შევჩერდები ზოგიერთ მათგანზე. თითოეული წინგადაგმულ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, რკინის გუთნის შექმნით შესაძლებელი გახდა ყამირი მიწების დამუშავება. ცხენის უდლის გამოგონებამ უდელში შებმული ხარები ცხენმა შეცვალა, რომელიც უფრო სწრაფად და დიდხანს მუშაობდა. შემდეგ ადამიანმა უხვი მოსავლის მისაღებად ისწავლა ნიადაგის განოყიერება აზოტით მდიდარი მცენარეებით (პარკოსნები, მუხუდო, სამყურა, იონჯა). შემდეგ დაიწვეს ცხენზე მისაბმელი სათესელას გამოყენება, რითაც შესაძლებელი გახდა მწკრივებად დათესვა. ამ ახალმა გამოგონებამ შეცვალა ხელით თესვის მეთოდი. შემდეგ გამოიგონეს მოსამკელი მოწყობილობა (რომელშიც ასევე ცხენს აბამდნენ), რომლითაც ხუთჯერ სწრაფად ხდებოდა მოსავლიანობის მომკა, ვიდრე ცელით. სამრეწველო რევოლუციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსავლიანობის ზრდას. მე-19 საუკუნის

30-იან წლებში ვაჭრებმა სამხრეთ ამერიკის სანაპიროებიდან და ანდებიდან ევროპაში სასუქის შემოტანა დაიწყეს.

გასული საუკუნის შუა წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება შესაძლებელი გახდა იმ დროისთვის ისეთი ინოვაციებით, როგორცაა დიზელის ძრავიანი ტრაქტორი, ელექტრული ტუმბოები მინდვრების მოსარწყავად, მიკროსასუქები და ბუნებრივი გაზისა და ნავთობისგან მიღებული პესტიციდები. ამ მწვანე რევოლუციის წყალობით კალიფორნიის ცენტრალური ხეობა მსოფლიო ხილის გოდრად გადაიქცა. ამასთან, მკვეთრად შემცირდა აგრარულ სექტორში დაკავებულ ადამიანთა რაოდენობა. საწვავზე დაბალმა ფასებმა განაპირობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა შუა ზამთარში ციტრუსებისა და ბოსტნეულის მისაწოდებლად დედამიწის შორეულ წერტილებში.

1943 წელს საფუძველი ჩაეყარა მწვანე რევოლუციას მექსიკის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პროგრამის და როკფელერის ფონდის საშუალებით. ამ პროექტით უდიდეს შედეგებს მიაღწია ნორმან ბორლოუგმა, როელმაც გამოიყვანა ხორბლის მაღალეფექტური ჯიშები, მათ შორის ჩაწოლისადმი მედეგი მოკლე ღეროთი, რამაც 1951-1956 წლებში მექსიკა მთლიანად დააკმაყოფილა მარცვლით და ექსპორტიც კი დაიწყო. 15 წლის განმავლობაში მოსავლიანობა 2-ჯერ გაიზარდა. ბორლოუგის ტექნოლოგია გამოყენებულ იქნა სელექციაში კოლუმბიაში, ინდოეთში, პაკისტანში. 1970 წელს ბორლოუგს მიანიჭეს ნობელის პრემია.

მწვანე რევოლუცია ეფუძნებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, პესტიციდების გამოგონებას, ისეთი მცენარეების გამოყვანას, რომელთაც შეეძლო დიდი რაოდენობის მინერალური სასუქების ათვისება და გადაამუშავება მოსავლად.

მინერალური სასუქების და პესტიციდების ფართოდ გამოყენების გამო წარმოიშვა ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები. მინერალური სასუქებიდან აქტიურ ნივთიერებათა შეთვისების კოეფიციენტი ძალიან დაბალია. აზოტისთვის იგი შეადგენს არაუმეტეს 30-50%-ს, ფოსფორისთვის – 20%-ს, კალიუმისთვის – 25-60%-ს. დანარჩენი კი, სამწუხაროდ, აბინძურებს გარემოს. მინერალური მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციამ დაარღვია ნიადაგების წყლის რეჟიმი, რამაც გამოიწვია მასიური დამლაშება და გაუდაბნობა. ამ დროს ფართოდ დაიწყო ქლორ- და ფოსფორორგანული ნივთიერებების (კარბოფოსი, დიქლოფოსი, დდტ და სხვ.), რომლებიც ძნელად იშლება. ამის მაგალითია დდტ, რომელიც ნაპოვნი იქნა ანტარქტიდის ცხოველებში, ათასობით კილომეტრით დაცილებული ამ ქიმიკატების გამოყენების ადგილიდან. მწვანე რევოლუციამ მხოლოდ დროებით მოხსნა შიმშილის პრობლემა ტროპიკულ ქვეყნებში. ასევე უნდა აღინიშნოს, მარცვლეულის ახალი ჯიშები ძალიან მგრძობიარეა სასუქებისადმი, გარდა ამისა მათ ბევრი წყალი ჭირდებათ და დაავადებების უფრო ამთვისებელია.

მწვანე რევოლუციას არასასურველი ეკოლოგიური შედეგები მოჰყვა. მათ, პირველ რიგში, მიეკუთვნება სავარგულის დეგრადაცია. მაგალითად, სარწყავი მიწების თითქმის ნახევარ განვითარებად ქვეყნებში დაიწყო დამლაშება მცირეეფექტური სადრენაჟო სისტემების გამო. მიწების ეროზიამ და ნაყოფიერების დაკარგვამ უკვე გამოიწვია სარწყავი მიწების დაშლა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში – 36%-ით, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში – 30%-ით, აფრიკაში – 17%-ით და ცენტრალურ ამერიკაში – 30%-ით. სახნავად დაიწყო ტყის მასივების გამოყენება. აგროქიმიკატების ინტენსიური გამოყენება წარმოადგენს დიდ საშიშროებას გარემოსთვის (განსაკუთრებით მდინარეთა გასწვრივ, რომელთაც სარწყავად იყენებენ) და ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

რაც არ უნდა გავაკრიტიკოთ მწვანე რევოლუცია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თავის დროს მან კაცობრიობა იხსნა შიმშილისგან. სწორედ ნორმან ბორლოუგმა უჩვენა მსოფლიოს, რომ მხოლოდ მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ურთიერთობას შეუძლია კაცობრიობის პრობლემების გადაჭრა. მაგრამ მწვანე რევოლუციამ ახალი პრობლემები შეუქმნა კაცობრიობას ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საქმეში. შხამქიმიკატებისა და სასუქების ხელაღებით გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა მიწის ნაყოფიერება და გააუარესა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა თვისებები.

მართალია, მწვანე რევოლუციით შესაძლებელი გახდა მოსავლიანობის ამაღლება, თუმცა შემდგომ ათწლეულებში ყველაზე ღარიბ ქვეყნებში დამშუვლთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კვების პროდუქტების წარმოება ჯერ კიდევ აშკარად არასაკმარისია შიმშილისა და სიღარიბის დასამარცხებლად, მაშინ როცა ჩინეთმა კოლოსალური ნახტომი გააკეთა. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში პროფესორი ამარტია სენი ჩინეთის გრანდიოზულ მიღწევებს შიმშილთან და სიღარიბესთან ბრძოლაში (მაგალითად, ინდოეთთან

შედარებით) მიაწერს იმას, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა ყოფს დიდძალ სახსრებს განათლებასა და ჯანდაცვაზე, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. უფრო ჯანმრთელი და უკეთესად განვითარებული სოფლის მოსახლეობის გამო ჩინური ეკონომიკა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ორჯერ უფრო სწრაფად განვითარდა ინდოეთთან შედარებით.

დღეს მსოფლიო ალაპარაკდა ახალი მწვანე რევოლუციის აუცილებლობაზე. ბორლოვს წამდა, რომ ქიმიური სასუქები და გენეტიკურად მოდიფიცირებული თესვები ბოლოს მოუდებდა შიმშილს მსოფლიოში. ბილ გეითსის ფონდმა დიდძალი პრემიები გამოყო ამ მიმართულებით, რომლის თანახმად მოსავლის და სურსათის ზრდა უნდა დაეფუძნოს გენურ ინჟინერიის გამოყენებას.

გენმოდირებული ორგანიზმების 94%-ს აწარმოებს ამერიკული ფირმა მონსანტო, დანარჩენს ფირმები: სინგენტა, ბაიერ კროპ საენს და სხვ. გარდა ამისა, ტრანსგენური მცენარები გამოყავთ ჰერბიციდ რაუნდაპისადმი მედეგი. რაუნდაპი კი იმავე მონსანტოს პროდუქტია! გენმოდირებული ორგანიზმები – ეს უდიდესი ბიზნესია ამერიკული კორპორაციების ხელში!

გენმოდირებული ორგანიზმის ტექნოლოგიით შესაძლებელია კულტურებისთვის სხვა თვისებების მინიჭებაც, მაგალითად, მცენარე, რომელიც შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს – ვაქცინებს, ზრდის ჰორმონებს, ანტისეპელებს და სხვ. შექმნილია კონტრაცეპტული ცილების შემცველი სიმინდის და ბრინჯის კულტურები, რომლებიც აქვეითებს იმუნიტეტს (ციტოკინინებით) და იწვევს აბორტს! ამჟამად საკმაო რაოდენობის მონაცემები დაგროვდა, რომლებიც მიუთითებს გენური ტექნოლოგიით მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესაძლო მავნეობაზე [1].

მოვლენათა განვითარების ორი ვარიანტი არსებობს: პირველი – გენმოდირებული ორგანიზმების გავრცელება ჩვენ უცხოელ კომპანიებზე დამოკიდებულს გაგვხდის და საფრთხეს შეუქმნის ეკოსისტემას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მეორე ვარიანტი – გენმოდირებული ორგანიზმებზე უარის თქმა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა უზრუნველგაყოფს სურსათით, დამოუკიდებლობით, ხოლო პროდუქციის საზღვარგარეთ იმპორტი მოგვიტანს უზარმაზარ მოგებას (მილიარდობით დოლარს!). თუ რომელ გზას ავირჩევთ, თუ საით გადაწონის სასწორის პინი ჩვენზეა დამოკიდებული.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპებს. ქვემოთ მოცემულია ხორბლის წარმოების პროგნოზული გამოთვლების მონაცემები (ცხრ. 1) [2].

ცხრილი 1. ხორბლის მსოფლიო წარმოების მოხმარების პროგნოზი

	ერთეული	2008	2010	2020	2030	2050
სათესი ფართობები	ათასი ჰა	225998	222995	225313	227690	231791
მოსავლიანობა	ტ/ჰა	3,01	2,97	3,26	3,55	4,12
წარმოება	ათასი ტ	680133	663032	734596	806076	947611
იმპორტი	ათასი ტ	118949	117085	138556	158578	199387
მოხმარება - სურსათზე	ათასი ტ	649389	662603	731361	802191	943729
- ცხოველთა საკვებად	ათასი ტ	459935	471899	517517	563929	656678
- სხვა მიზნებისთვის	ათასი ტ	126002	124939	132588	142679	163017
	ათასი ტ	59951	59983	64832	69817	79656
ექსპორტი	ათასი ტ	119355	117085	138556	158578	199387

პროგნოზის თანახმად, ხორბლის წარმოება 2020 წლისთვის მიაღწევს 735 მლნ ტონას (ნამატი 10% 2010 წელთან შედარებით), ხოლო 2050 წელს – 950 მლნ ტონას (ნამატი 30% 2010 წელთან შედარებით).

აუცილებელია ახალი მეცნიერული მიღწევების საფუძველზე ეკოლოგიურად სუფთა აგროტექნოლოგიების დამუშავება. მაღალინტენსიური აგროტექნოლოგიების მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სამეურნეო მოსავლიანობის მიახლოება პოტენციურად შესაძლო მოსავლიანობასთან მინიმალური ეკოლოგიური რისკების პირობებში. რეალური მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია შესაძლო მოსავლიანობასთან შედარებით (ცხრ. 2) [3].

მოსავლიანობის ამაღლების ინოვაციური მეთოდებიდან აღსანიშნავია წვეთოვანი მორწყვა, რომელიც ამცირებს წყლის ხარჯს და, შესაბამისად, ენერჯის მოხმარებას მის გადასაქანად. მემცენარეობაში ერთ-ერთი ინოვაციური მიდგომაა No-till ტექნოლოგიის გამოყენება. მისი უპირატესობა ის არის, რომ არ ხდება მიწის მოხვნა და თესვის შეტანა გრუნტში პნევმატური

სათესელათი ხდება. ეს აგრეგატი ამცირებს შრომის დანახარჯებს, ნიადაგის ეროზიას და ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევას.

ცხრილი 2. სამი ძირითადი კულტურის პოტენციურად შესაძლო მოსავლიანობა

	მოსავლიანობა, ტ/ჰა		
	სორბალი	ბრინჯი	სიმინდი
პოტენციურად შესაძლებელი მოსავლიანობა	14	14	22
საშუალო მოსავლიანობა (FAO-ს მონაცემები)			
განვითარებულ ქვეყნებში	2,3	5,9	5,8
განვითარებად ქვეყნებში	1,4	2,1	1,3

დღეს აგროსფეროს ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით გამოიყენება სულ უფრო მეტი ქიმიური ნივთიერება, რის გამოც ქიმიური წნეხების გავლენა ადამიანზე იზრდება. აშშ-ში, კანადაში, ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულია გააწვევტილება სოფლის მეურნეობაში გამოყენებული 1000 მავნე ქიმიური ნივთიერებიდან 600-ის აკრძალვის შესახებ. ამასთან ერთად, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი 2013 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 20% დაეთმო ორგანულ მიწათმოქმედებას.

ორგანული მიწათმოქმედების არსი მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანაში მინერალური სასუქების, მავნებლებთან ბრძოლის სხვადასხვა სა-შუალებათა გამოყენების გარეშე [4]. ორგანული მიწათმოქმედების ძირითადი პრინციპები საკმაოდ მარტივია. პირველ რიგში, მიწა კი არ უნდა იხვნებოდეს, არამედ უნდა ფხვიერდებოდეს არა უღრმეს 5 სმ-ისა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გადაბარვა და ღრმა ხვნა თრგუნავს მიკროორგანიზმების და ჭიების აქტიურობას, შლის ნიადაგის სტრუქტურას, რითაც აქვეითებს მის ნაყოფიერებას. ამ დროს ხდება ჟანგბადით ნიადაგის გაჯერება და ნიადაგის ბაქტერიები იწყებენ ჰუმუსის გარდაქმნას მცენარეებისთვის ხელმისაწვდომ მინერალურ სასუქებად, რაც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალ მოსავლიანობას მოხნულ მიწებზე, მაგრამ მხოლოდ პირველი 2-3 წლის განმავლობაში! შემდეგ ჰუმუსის რაოდენობა მნიშვნელოვნად ეცემა, მოსავლიანობა კლებულობს, მცენარეთა იმუნიტეტი სუსტდება, ვრცელდება დაავადებები და მავნებლები. მაშინ კი აუცილებელია სასუქების და შესამქიმიკატების გამოყენება.

ორგანული მიწათმოქმედების მეორე პრინციპია – მულჩირება. მულჩა არის ყოველივე ის, რითაც დაფარულია ნიადაგი: ჩალა, თივა, ფოთლები, ნახერხი, მოცველილი სარეველები. მულჩა იცავს მიწას. მიკროორგანიზმებს და ჭიებს უქმნის ხელსაყრელ პირობებს.

ორგანულ მიწათმოქმედებას მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავს, რომლებიც ეყრდნობიან შემდეგ მოსაზრებებს:

- ორგანული პროდუქტები 50-60%-ით ძვირია ტრადიციულთან შედარებით. ეს იმით არის განპირობებული, რომ ორგანულ მეურნეობაში მოსავლიანობა შედარებით დაბალია და იგი მოითხოვს ხელით შრომის ფართოდ გამოყენებას, ბუნებრივ სასუქს, ნატურალურ საკვებს ცხოველებისათვის და გამორიცხავს აგროქიმიკატების გამოყენებას. ყველა ეს ფაქტორი კი განაპირობებს ფასის ფორმირებას.
- ორგანული მეურნეობა იყენებს სასუქების, პერბიციდების, პესტიციდების შეზღუდულ რაოდენობას, რომელთაგან უმრავლესობა არაეფექტურია. მაგალითად, ორგანული ფერმები იყენებენ შაბიამანს, რომელიც ბევრად უფრო ტოქსიკურია, ვიდრე ტრადიციულ მეურნეობებში გამოყენებული პრეპარატები.

ორგანული სოფლის მეურნეობის შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება და მოსავლის მიერ გამოტანილი კვების ელემენტების დაბრუნება მიიღწევა ორგანული სასუქების, მაგალითად, ნაკელის საშუალებით. როგორც მინესოტის უნივერსიტეტის გამოკვლევებმა აჩვენა, საღმონელოზით დასენიანების აღბათობა ორგანულ მეურნეობაში მოყვანილი ბოსტნეულით 3-5-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ბოსტნეულით, რადგან ორგანულ მეურნეობებში გამოყენებული ნაკელი წარმოადგენს ხელსაყრელ გარემოს დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების გასამრავლებლად.

მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ორგანულ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მსოფლიო ბაზრები ყოველწლიურად 20%-ით იზრდება. მაგალითად, აშშ-ში ორგანულ მეურნეობათა ბაზრის მოცულობამ იმ პერიოდში შეადგინა 1 მლრდ დოლარი, 2003 წელს – 13 მლრდ. ამჟამად აშშ-ს მოსახლეობის ერთი მესამედი სულ უფრო და

უფრო ხშირად ყიდულობს ბიოსაქონელს და ბიოპროდუქციაზე ხარჯავს დაახლოებით 22 მლრდ დოლარს წელიწადში.

ორგანული მიწათმოქმედება განსაკუთრებით განვითარებულია ევროპაში, 120 ათასზე მეტი ფერმერული მეურნეობაა დაკავებული ორგანული მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით. მაგალითად, ჰოლანდიაში, შვედეთში და გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო მიწების 20% ბიომეურნეობებს უჭირავს. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ბავშვთა ბიოპროდუქტების ბაზარი, რომელსაც ორგანული პროდუქტების საერთო მოცულობის 50%-მდე უკავია.

ჩვენ მიერ მოწოდებულია სასურსათო პრობლემის გადაჭრის ახალი გზა აგრობიოორგანული ტექნოლოგიის გამოყენებით. დამუშავებულია აგრობიოორგანული ტექნოლოგია, რომელიც მცენარეთა ენდოგენური რეგულატორული სისტემების მართვის და გარემოს არახელსაყრელ პირობებთან მცენარეთა ადაპტაციის საშუალებას იძლევა, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის მოსავალი [3,5-10].

ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია:

1. მარცვლოვანი, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა (რიგ შემთხვევებში 2-3-ჯერ და მეტად).
2. ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება სასუქების და პესტიციდების მკვეთრი შემცირებით (ნაყოფში მნიშვნელოვნად მცირდება ნიტრატების, პესტიციდების, მძიმე მეტალების, რადიონუკლიდების შემცველობა) და ბავშვთა კვებისათვის აუცილებელი მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღება.
3. მრავალწლიან კულტურათა კალმების სწრაფად დაფესვიანება და ნაყოფმსმობიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; მეწლეობის თავიდან აცილება.
4. მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლება. მაგალითად, სიმინდში შეუცვლელი ამინმჟავას – ლიზინის შემცველობა იზრდება 98%-ით, იოდის – 960%-ით, სელენის – 200%-ით. კარტოფილში C ვიტამინის შემცველობა იზრდება 50%-ით. მხესუმშირაში ზეთიანობა იზრდება 52%-ით. ხორბალში (ქართული ჯიში “დოლის პური”) წებოვანობა შემცველობა, რომელიც პურცხობის ხარისხის მაჩვენებელია, 17%-დან 43,2%-მდე იზრდება.
5. დაავადებების მიმართ მცენარეთა მდგრადობის ამაღლება (შესაძლებელი გახდა ლიმნის პლანტაციების დაცვა საშიში ინფექციური დაავადება “მალსეკოსგან”, თუთის ხის ინფექციური დაავადების “ფოთლის სიხუჭუჭის” თავიდან აცილება და სხვ.).
6. ყინვა და გვალვამდობის ამაღლება (მაგალითად, ბიორაგმა “ახალქართული” ჯიშის ლიმნის ყინვაგამძლეობა $-4,5^{\circ}\text{C}$ -დან -15°C -მდე გაზარდა).
7. შაქრის დამგროვებელ კულტურებში (შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, შაქრის სორგო, ყურძენი, საზამთრო, ატამი და ა.შ.) შაქრიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს როგორც კვების პროდუქტებზე, ისე ბიოსაწვავის წარმოებაზე. მაგალითად, შაქრის ჭარხლის ბოლქვების მსოფლიო საშუალო მოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე შეადგენს 50ტ-ს, ხოლო შაქრიანობა – 14%-ს, რაც იძლევა დაახლოებით 7ტ კრისტალურ შაქარს. ბიორაგის გამოყენებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 32ტ (საშუალო მოსავლიანობა 143 ტ/ჰა, შაქრიანობა 22,5%). ბიორაგის გავლენით “იზაბელას” ჯიშის ყურძნის შაქრიანობამ გადააჭარბა 24%-ს. აღსანიშნავია, რომ შაქრიანობასთან ერთად იზრდება მჟავიანობაც.
8. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად მწვანე ფოთლის ფართობის და ფოტოსინთეზური აქტიურობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რითაც ძლიერდება ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის – სათბური გაზის შთანთქმა, რაც გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზაა.
9. ახალი ტექნოლოგიის საშუალებით მოყვანილი კულტურებით კვება, ზრდის ფრინველებისა და ცხოველების წონას, პროდუქტიულობასა და დაავადებების მიმართ გამძლეობას. უმჯობესდება ხორცის გემო და კვებითი თვისებები, იზრდება ფრინველთა კვერცხმდებლობა, საქონლის წველადობა.

ინოვაციური ტექნოლოგია საშუალებას აძლევს საქართველოს დაიწყოს ახალი მწვანე “ბიოორგანული რევოლუცია”.

ბიოსაწვავის წარმოებაში იყენებენ სიმინდის, შაქრის ლერწმის, შაქრის ჭარხლის ნახშირწყლებს და პალმის, რაფისის, სოიის ზეთებს, რაც კონკურენციას უქმნის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცენარეთა ფართობებს. 2000 წლიდან დღემდე ბიოსაწვავის მსოფლიო წარმოება ოთხჯერ გაიზარდა – 18-იდან 70 მლრდ ტონას გადააჭარბა. ბიოსაწვავის წარმოება კონფლიქტში შედის სურსათის წარმოებასთან. ჩინეთში აკრძალულია სიმინდის გამოყენება

ბიოსაწვავის მისაღებად, რადგან მკვეთრად გაიზარდა მეცხოველეობისთვის საკვების ფასი. 2010 წელს აშშ-ში დაახლოებით 12 მლნ სახნავი მიწა, რაც შეადგენს მარცვლოვანი კულტურებით დაკავებულ ფართობთა მეოთხედს, გამოყენებული იქნა დაახლოებით 58 მლნ ლიტრი ეთანოლის საწარმოებლად. ეს ფართობები მნიშვნელოვნად გაიზარდება, თუ მთავრობა მიიღებს კანონს 2020 წლისთვის ბიოსაწვავის 20%-ით გაზრდის თაობაზე.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, სასურსათო ბაზრისადმი ზიანის მიუყენებლად და არსებული სათესი ფართობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ორი გზით: 1) სოფლის მეურნეობის ნარჩენების ენერგოეფექტური მეთოდებით გადამუშავება; 2) ბიოსაწვავის მისაღებად საჭირო კულტურათა მოსავლიანობისა და შაქრიანობის (ან ზეთიანობის – პალმის და რაფსის შემთხვევაში) მკვეთრად გადიდება.

აღნიშნული პროექტის განხორციელება პრაქტიკაში შესაძლებელი გახდება მხოლოდ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით სრულფასოვანი და დროული ფინანსირების პირობებში.

პლანეტაზე შიმშილის დამარცხება შესაძლებელია აზროვნების შეცვლით. სწორედ ამაშია – მწვანე რევოლუციის არსი!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.prasemena.ru/blog/gmo-rastenie>.
2. <http://agroobzor.ru/article/a-371.html>
3. რ. გახოკიძე. უხვი მოსავლის გარანტი. თბილისი, გამომც. “ჯი-სი-აი”, 2008.
4. foodcontrol.ru.
5. რ. გახოკიძე. ბიოენერგოაქტივატორი. თბილისი, გამომც. “ჯი-სი-აი”, 2002.
6. R. Gakhokidze. Effect of Bioenergyactivator on Productivity of Plants. In: Chemistry of Advance Compounds and Materials, New York, Nova Science Publishers, Inc., 2008.
7. R. Gakhokidze, A. Pirtskhelani. Antimutagenic and Anticytotoxic Activity of Bioenergyactivators. In: Advanced Biologically Active Polyfunctional Compounds and Composites. New York, Nova Science Publishers, Inc., 2010.
8. R. Gakhokidze. Application of New biologically Pure Bioorganic Methods in the Agriculture. 1st International Conference of Bio-Processing and Application of Microbial Biotechnology in Agriculture. Book of Abstracts. Cairo, Egypt, Centre of Excellence for Advanced Science, 2010.
9. R. Gakhokidze. Perspectives of Application of a New Bioorganic Method in Sustainable Agriculture. Prioriteis of the Sustainable Development of Agriculture. I International Scientific-Practical Conference. Proceedings. Tbilisi, Tbilisi University Press, 2012.
10. რ. გახოკიძე. გლობალური დათბობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების გზები. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. შრომების კრებული. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.

RAMAZ GAKHOKIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

WORLD HUNGER PROBLEM AND NEW GREEN REVOLUTION

S u m m a r y

The first Green Revolution – as developed in Mexico and then in South Africa in the 1960s – succeeded in improving yields in the breadbasked regions where it was implemented. Thus the Green Revolution in agriculture helped food production to keep pace with population growth. But beyond the yield gains, there were many costs – economic, agricultural and Social. The use of large amounts of water, fertilizers and chemical pesticides impoverish soils, leaving them less fertile and highly polluted. Local biodiversity was drastically reduced, bringing farmers under the dependence of pesticide manufactures and outside seed suppliers. By now millions were supposed to be perished from hunger every year.

Relying on multi-yearly research experience we have contributed most to improvement in the productivity of the plant and hence the crop. the new Ecofriendly Agrobiorganic Technology have been used for cultivation of cereals, melons and vegetables. The crop capacity has been increased significantly (2-3 times) yielding ecologically pure products of high quality. New technology significantly strengthens the effectiveness of the agricultural chemicals, photosynthetic apparatus, assimilation of water and nutrients from the environment; sharply reduces negative influence of agricultural chemicals upon the environment. The product practically do not maintain any pesticides and fertilizers. All these will maximally increase potential capabilities of the agricultural chemicals and the area of their application.

სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები

საქართველო აგრარულ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და უკვე 3000 წელზე მეტია აწარმოებს ღვინით დაწყებული, მარცვლეული კულტურებისა და ხილის ადგილობრივი ჯიშებით დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ნაყოფიერი ნიადაგის, სუფთა წყლისა და ხელსაყრელი კლიმატის პირობებში საქართველო ტრადიციულად აწარმოებდა ტემპერატურული ზონებისათვის დამახასიათებელი კულტურების ფართო და მრავალფეროვან ასორტიმენტს. საბჭოთა პერიოდში იგი იყო მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, რომლის წილი უმაღლესი ხარისხის საკვებით რესპუბლიკათაშორის ვაჭრობაში 10%-ს შეადგენდა. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ საქართველოში, როგორც ყველა გარდამავალ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო მოცულობა(GAO) შემცირდა. მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სწრაფად იზრდება. მსოფლიო მოსახლეობის ზრდა და ურბანიზაციის შედეგად სახნავ-სათესი მიწების კარგავა ერთ სულ მოსახლეზე მიწის ფართის მკვეთრ შემცირებას იწვევს. მეტიც – კვებითი ჩვევების შეცვლა, ბიოსაწვავის წარმოების ზრდა და საბირჟო სპეკულაციები სასოფლო - სამეურნეო მიწისა და წყლის ფასების მკვეთრ ზრდას იწვევენ. ამ ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია

ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდში, როცა ბაზრების ხასიათი რადიკალურად იცვლება მათ შორის სასურსათო ბაზრისაც, სურსათის მიმწოდებლის როლში გამოდის არა თვით სოფლის მეურნეობა, მით უმეტეს ერთი რომელიმე სასოფლო სამეურნეო საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი, არამედ მთლიანად ქვეყნის აგროსაწარმოო კომპლექსი ან ტრანსნაციონალური სასურსათო კორპორაციები. ისინი უმეტეს წილად განსახლდნენ მდგომარეობას შიდა და საერთაშორისო სურსათის ბაზრებზე.

ცხრილი 1

მსხვილი ფირმების გავლენა სასურსათო პროდუქტების საცალო ვაჭრობაზე ევროპის ქვეყნებში

ქვეყანა	საკუთარი ბრენდის გაყიდვები	სამი წამყვანი ფირმა საცალო გაყიდვებში	ამ ფირმების წილი საერთო საქონელბრუნვაში %
ავსტრია	6,9	BMJ, EACPAJ, Adag	56
ბელგია	25,8	GIB, Delhez, Kolirut	62
დანია	19,1	FOB, Dancklyen, Dagrofa	63
ფინეთი	6,7	Kecko, Cok, Cyoshen, Cpar	80
საფრანგეთი	16,8	Intermersh, Leklerk, Ashan	44
გერმანია	11,3	Edeka, Reve, Oldi	53
საბერძნეთი	2,6	Marionopolic, Veropoulc, Cklavenitnc	25
ირლანდია	12,0	Tecko, diunnec, Cupervalu	54
იტალია	8,4	Koop, Intermedia, Evromadac	38
ნიდერლანდები	17,8	Axold, Cuperryini, Venedekc	80
პორტუგალია	11,9	Conae, Djemp, Ashan	55
ესპანეთი	16,2	Promede, Erocki, Prika	35
შვედეთი	9,7	NKA, KF, Dgrup	95
დიდი ბრიტანეთი	29,7	Tecko, Celeberi, Aeda	52

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში სასურსათო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სამ უდიდეს კომპანიას. მაგალითად, ფინეთსა და ნიდერლანდებში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღწევს, ხოლო შვედეთში 95%-ს, სხვა ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი მერყეობს 50-დან 70%-მდე. ამრიგად, სურსათის ბაზარმა მიიღო დარგთაშორისი საერთო სახელმწიფოებრივი და მსოფლიო ხასიათი, შესაბამისად, გახდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ხარისხის განსაზღვრის ფაქტორი. სურსათის ბაზარს გააჩნია საკმაოდ სპეციფიკური ხასიათი და მისი განსხვავება სხვა საქონლის ბაზრებისაგან

აიხსნება იმით, რომ მას საქმე აქვს ადამიანის უპირველესი მოთხოვნების სურსათით დაკმაყოფილების მნიშვნელოვან ფუნქციასთან.

სურსათის ბაზარი პირველადია სხვა დანარჩენ ბაზრებს შორის. მისი მოშლა ან რყევა ყველა ქვეყანაში არამარტო იწვევს მძიმე სოციალურ შედეგებს, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თვით ადამიანის არსებობის ფაქტს, ამიტომაც რომ სასურსათო ბაზრის ფუნქციონირება საზოგადოებისთვის წარმოადგენს სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა მისი ფუნქციონირების ხასიათი შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმით.

ისტორიულად, ხელშემწყობ პირობებშიც კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს არ შეუძლიათ გაზარდონ წარმოება ისეთივე ჩქარი ტემპებით, როგორც ეს ხდება მრეწველობაში, მითუმეტეს ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში. საერთაშორისო სტანდარტებით დღევანდელ პირობებში გრძელვადიან პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ყოველწლიური 2%-ანი მატება ითვლება საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად. საერთაშორისო გათვლებით XXI-ე საუკუნის პირველ – ორ ათეულ წლებში მსოფლიო სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური ზრდა არ გადააჭარბებს 1,7%-ს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებაზე, როგორც ბიოლოგიურ სისტემაზე გავლენას ახდენს მუდმივი და გაუთვალისწინებელი გარემოს მრავალფეროვანი ფაქტორები. პირველ რიგში ბუნებრივ - კლიმატური კატაკლიზმები. ყოველივე ეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელს თავისი შედეგებით და ქცევით მნიშვნელოვნად ანიჭებს ალბათურ ხასიათს. ასეთ სისტემებს გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობები იმისათვის, რომ საკმაოდ სწრაფად შეცვალონ წარმოების მოცულობა და მოახდინონ ბაზარზე პერიოდულად მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირება - ბაზარზე ფასების მერყეობის შემთხვევაში სურსათის მიწოდების გაზრდით ან შემცირებით. ასევე, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია მალფუნქციონირებადი ხასიათი და ის რთულად ტრანსპორტირებადი. ასევე, მისი შენახვის ხანგრძლივობა, სახეებს შორის მერყეობს 3 - კვირიდან 8 თვემდე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება ბაზარზე არაადეკვატურად რეაგირებს მოთხოვნის ცვლილებასა და ფასების რყევაზე მიწოდების დაბალი ელასტიურობით.

საკმაოდ რთული და სპეციფიკურია აგრეთვე სურსათის ბაზარზე მომხმარებლის ეკონომიკური ქცევა. სურსათის, როგორც საქონლის მოხმარება, განპირობებულია არამარტო სამეურნეო ან ეკონომიკური მოთხოვნებით, როგორც სხვა საქონლის შემთხვევაში, არამედ ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნებით. სურსათზე მოთხოვნა წარმოადგენს ეკონომიკური და ფიზიოლოგიური ფაქტორების სინთეზს, მოხმარების მინიმალური დონის ქვემოთ კლება იწვევს ადამიანისათვის გამოუსწორებელ ფიზიოლოგიურ შედეგებს, ამავედროულად ფიზიოლოგიური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიღწევასაც, მის შემდგომ მოხმარებასაც ადამიანისათვის მოაქვს ზიანი. ამ პროცესს ეკონომიკაში ზღვრული სარგებლიანობის თეორიას უწოდებენ. ამრიგად, მომხმარებელი იზღუდება გარკვეული ფიზიოლოგიური ჩარჩოებით, რომლის გარეთ გასვლას ის ვერ ახერხებს. როგორც აღვნიშნეთ, სურსათი წარმოადგენს პირველად სასიცოცხლო მოთხოვნას და საზოგადოებაც ადეკვატურად, თავის შემოსავლებს პირველ რიგში ახმარს კვების პროდუქტების შექმნას სხვა დანარჩენი სახით პროდუქტების უგულებელყოფის ხარჯზე. მაგრამ, რაციონალური მოხმარების ჩარჩოდან გასვლის შემთხვევაში სურსათზე მოთხოვნა სწრაფად ეცემა, ამიტომ მომხმარებლის ქცევა, ისევე როგორც მწარმოებლის, განსხვავდება მნიშვნელოვანი კონსერვატიზმით, თუმცა არა ყოველთვის. ბაზრის ამ ორივე ძირითად კომპონენტს – მოთხოვნა და მიწოდებას შეუძლია ფასების სისტემის მეშვეობით რეაგირება მოახდინონ მერყე მხარის მდგომარეობის ცვლილებაზე. ამის შედეგად, სურსათის ბაზარი არ არის სრულად თვითრეგულირებადი და ითხოვს გარეშე ძალების ჩარევას. მწარმოებლის ან მომხმარებლის მხრიდან ფასების ცალმხრივი რეგულირება იწვევს ფასების არარაციონალური დონის ჩამოყალიბებას, დანაკარგებს მწარმოებლებისათვის ან მომხმარებლებისათვის. ამიტომ, საჭიროა მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც ერთდროულად იმოქმედებს ორივე მხარეზე.

თანამედროვე ბაზარზე მოქმედი ძალების ანალიზის დროს, რეკომენდებულია მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ახდენენ მასზე გავლენას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე სასურსათო ბაზარი წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივ ერთიან ბაზარს. გლობალური და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების განვითარების შედეგად ადგილობრივი და იზოლირებული ბაზრები ნელ-ნელა კარგავს საკუთარ ფუნქციას. როცა ჩვენ ვსაუბრობთ

დასავლეთის ქვეყნების სასურსათო ბაზრებზე, არ შეიძლება ავურიოთ ერთმანეთს სასურსათო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეული, განსაკუთრებით მაღფუჭებადი და ნაკლებად ტრანსპორტაბელური. სასოფლო-სამეურნეო ნედლეული უმეტეს შემთხვევაში ხვდება სურსათის მიწოდების მთლიან ჯაჭვში მისი დამუშავების, გადამამუშავების, დაფასოების, დასაწყობების პროცესის გავლის შემდეგ. რაც ხელს უწყობს სასურსათო ნედლეულის გადამამუშავებელი სამეურნეო სუბიექტების (კომპანიების) რეგიონულ მონოპოლისტად ჩამოყალიბებას, ან მათი რამდენიმე ერთეულის არსებობის დროს ყალიბდება ოლიგოპოლისტური სტრუქტურები. ასე, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზარზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სურსათის ბაზრებისაგან, რომლებზეც მოქმედებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში მიმდინარე ობიექტური პროცესები და მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრების შექმნა-განვითარება.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უდიდესი ნაწილი ფართოდ იყენებს ეროვნული სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ბერკეტებს (სამართლებრივი ინსტრუმენტებთან ერთად ეკონომიკურ და ფინანსურ, პირდაპირ და ირიბ მეთოდებს), საგარეო ვაჭრობის პროტექციონიზმს და სხვა.

მაგალითად, ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი და განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყანა როგორცაა აშშ, გარდა ფინანსური ღონისძიებებისა, იყენებს საგარეო ვაჭრობის რეგულირების მკაცრ მექანიზმებს სასურსათო მეურნეობის ნაკლებად კონკურენტუნარიან სექტორებში (მაგ. შაქრის წარმოება). აშშ-ში სოფლის მეურნეობის სუბსიდირება ორი პრინციპით ხდება. ერთის მხრივ, ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ ჩეკები და პირდაპირი ფულადი გზავნილები სახელმწიფო ხაზინისგან. მეორეს მხრივ, სახელმწიფო იყენებს ბერკეტებს უცხოური კონკურენტების მიმართ და ართულებს ანალოგიური საიმპორტო პროდუქციის შემოდინებას ქვეყანაში. ასეთი პოლიტიკის ქვეყნის მომხმარებელი უპირატესად იძენს სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციას (იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი წარმოება უზრუნველყოფს იმპორტის ჩანაცვლებას და საკუთარი ბაზრის გაჯერებას).

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციების გამოთვლებით, პროცენტულად სუბსიდირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ახალ ზელანდიასა (ქვეყნის შემოსავლების 2%-ს) და ავსტრალიაში (4%) ფიქსირდება. აშშ-ში კი ეს მაჩვენებელი 16%-ს, კანადაში 22%-ს, ევროკავშირის ქვეყნებში 32%-ს, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ შვეიცარიას გააჩნია და ის 68%-ს შეადგენს.

ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან აზერბაიჯანი გამოირჩევა სოფლის მეურნეობის სუბსიდირების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით, სადაც 2009-2010 წლების მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში გაიზარდა 3,5%-ით.

სომხეთში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 20%-ს შეადგენს და ამ სფეროში შრომისუნარიანი მოსახლეობის 50%-მდეა დაკავებული. 2010 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის სუბსიდირებამ ამ ქვეყანაში 723 ათასი დოლარი შეადგინა.

თურქეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა არის ერთ-ერთი ძირითადი სექტორი. ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 12-14%-ს შეადგენს. სოფლის მეურნეობის სექტორი გამოირჩევა მაღალი სახელმწიფო მხარდაჭერით, ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნებში. სახელმწიფოს ყოველწლიური სუბსიდიები აგრარული სექტორისათვის 4 მილიარდ დოლარს აღემატება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მაჩვენებელი 2004-2012 წლებში მერყეობს 112,7-დან 253,1 მლნ. ლარამდე. როგორც მონაცემებიდან ჩანს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სუბსიდირება ხასიათდება ცვალებადი ტენდენციებით, მაგრამ ამ ციფრებს თუ განვიხილავთ შედარებითი თვალსაზრისით, არის უმნიშვნელო. დღევანდელ ქართულ სოფლის მეურნეობაში სამართლებრივად აღიარებული მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმების თანაფარდობის პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ათჯერ და მეტჯერ გაზრდაც ვერ გადაწყვეტს პრობლემას, რადგან ჯერ არ არის შექმნილი ისეთი მეურნეობრივი სუბიექტები, რომლებსაც შესწევთ უნარი მიიღონ და შესაბამისი უკუგებით გამოიყენონ ფინანსური წყაროები. ჩვენი მოსაზრებით, ეს აიხსნება არამარტო დარგისადმი ცენტრალური ხელისუფლების უყურადღებობით, არამედ ობიექტური ფაქტორებითაც, რაც შემდეგში მდგომარეობს: პირველი - 90-იან წლებში ქართული სოფლის მეურნეობა ძირეულად მოიშალა, ფაქტიურად მისი ფუნქციონირება მიეცა თვითდინებას, რამაც მოიცვა ქვეყნის საბაზრო პირობების განვითარების უდიდესი ნაწილი. 2000 წლიდან შეინიშნება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ჩარევის ტენდენციები, რომელსაც არ შეიძლება მოჰყოლოდა სწრაფი რადიკალური ცვლილებები დარგის

ფუნქციონირებაში. ეორე - ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული მეურნეობრიობის პროგრესული ფორმები (აღნიშნულმა ფორმებმა განვითარებულ ქვეყნებში გაიარეს სერიოზული პრაქტიკული გამოცდა). ესამე - 2005 წლამდე ქვეყნის ბიუჯეტი იყო იმდენად მწირი, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის დარგების ფინანსური მხარდაჭერა, ვინაიდან ქვეყნის პრიორიტეტი იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

მიუხედავად იმისა, რომ ვმო-ს წევრობა ქვეყნებს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს სოფლის მეურნეობის პირდაპირ სუბსიდირებაზე, აგრარული წარმოების დარგის მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამების საშუალებით. ამგვარი პროგრამებით ფინანსდება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება: შიდა სასოფლო გზები, სარწყავი სისტემები, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ჯიშების რეაბილიტაცია, სასაწყობო მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკები და სხვა. ამ ორგანიზაციის მიმართ აღებული ვალდებულებების დარღვევად არ ჩაითვლება ის დახმარება, რომელიც მიმართულია მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში, დახმარების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სოფლის მეურნეობის რეალიზებული პროდუქციის მთლიანი ღირებულების 5%-ს.

ამრიგად, სურსათის ბაზრის სპეციფიკა და უკიდურესი სირთულე არ ტოვებს სხვა გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, გარდა სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობისა, საბაზრო წონასწორობის მხარდაჭერისა, მათ შორის როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის ფასების დონის სტაბილურობის უზრუნველყოფისა.

სხვადასხვა დროს მთავრობები საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტიულ მიმართულებად სხვადასხვა პროდუქციის წარმოების გაზრდას ასახელებდნენ. ჯერჯერობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდაში არც ერთ მათგანს გარდატეხა არ შეუტანია. კითხვაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის რომელ პროდუქციას აქვს ზრდის რეალური პერსპექტივა, საკმაოდ რთულია, თუმცა გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს საერთაშორისო ექსპერტის რემერ ლეინის მარკეტინგული კვლევა. რემერ ლეინი თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის მოწვევით იმყოფებოდა. მან საქართველოს აგრარული ბიზნესის მარკეტინგული ანალიზის პრეზენტაცია მოაწყო. მისი კვლევები ძირითადად საქართველოს სოფლის მეურნეობის ორ პროდუქტს შეეხო: თხილი და მანდარინი. რემერ ლეინის მოსაზრებით ამ სფეროებს მარკეტინგის გაუმჯობესების შემთხვევაში, მოგების ზრდის სერიოზული პოტენციალი გააჩნია. საქართველოს მეორე ადგილი უკავია თხილის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. მასზე ბაზრის 6 პროცენტი მოდის, ხოლო პირველ ადგილზე მყოფ თურქეთს ბაზრის 74 პროცენტი უკავია. თუმცა საქართველოს თხილის პროდუქცია გაცილებით იაფია, ვიდრე თურქეთის ან თხილის მწარმოებელი სხვა ქვეყნებისა. რემერ ლეინი ირწმუნება, რომ ამ სტატისტიკის გაუმჯობესება სავსებით შესაძლებელია. მეორე დარგი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს აგრარული ბიზნესის განვითარებისთვის, არის მანდარინის წარმოება. საქართველოს საექსპორტო ბაზარი ბოლო წლებში თითქმის მთლიანად დამოკიდებულია უკრაინაზე. იმავე აგრობიზნესის ექსპერტის რემერ ლეინის განცხადებით, ქართული მანდარინის ხარისხის გაზრდასთან ერთად შეიძლება მისი შეფუთვის გაუმჯობესება და PR კამპანიების წარმოება სხვა ქვეყნებში, ქართული პროდუქციის უპირატესობების წარმოჩენის მიზნით. მსოფლიოს ვერ ვაგებინებთ რა გვაქვს გასაყიდი, განსაკუთრებით იმას ვერ ვატყობინებთ მსოფლიოს, რამდენად კარგია ქართული პროდუქცია. ეს მოითხოვს დამოკიდებულების შეცვლას. უპირველეს ყოვლისა ხარისხის მნიშვნელოვან ზრდას და ამავდროულად პროდუქციის ფასის ზრდასაც. უნდა შევეცადოთ შევეცვალოთ ხალხის აღქმა - ეს ახალია და განსხვავებული. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასთან ერთად, პროდუქციის მიმზიდველად შეფუთვისა და მომხმარებლებისთვის მათი სარგებლიანობის წარმოჩენაზეც უნდა ვიზრუნოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ახალი მთავრობის მიერ საქართველოს პოლიტიკურ პროგრამაში მეტი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობას. მოცემული დარგი მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, შექმნილია სპეციალური ფონდი, განხორციელდა უფასო ხენა-თესვის პროგრამა და გაიცა დაბალპროცენტიანი აგროკრედიტები. ამ ძალისხმევას ბევრი ექსპერტი ეჭვის თვალით უყურებს, რადგან როგორც არ უნდა იყოს შედეგი, მას საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიზნესის მარკეტინგული პრობლემები დაჩრდილავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოდუაშვილი, საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პერსპექტივები, თბ.: „კოლორი“, 2004.

2. პ. კოლუაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ.: „იმედი“, 2006.
3. პ. კოლუაშვილი, აგრარული საწარმოს ეკონომიკა. თბ.: „საარი“, 2010.
4. ო. ქეშელაშვილი, საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა, თბ.: „არეალი“, 2010.
5. ო. ქეშელაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა, თბ.: „არეალი“, 2008.
6. www.agriturizmo.pg.it
7. www.accueil-paysan.com
8. www.geostat.ge
9. <http://www.greengeorgia.ge/?q=ka/node/66#sthash.21hm3RsL.dpuf>

MADONA GELASHVILI
Sokhumi State University, Associated Professor
SHORENA KHUBUNAIA
Sokhumi State University, Doctoral Candidate

MAJOR TENDENCIES OF FOOD MARKET FORMATION AND DEVELOPMENT

S u m m a r y

From the general overview of market the characteristic of food market is highlighted specific signs of food market functioning is revealed, that is connected to entire natural-climate, season-producing character of agricultural work (industry), also to not-self-sufficiency of agricultural enterprises, to great amount of perishable products an etc. Food products are defined as the special means of goods, representing the grounds for securing human life, the very first element necessary for life. Simultaneously, corresponding to increasing population well-being and saturation market with food, the pace of increase in nutrition product demand slows down and as a result consumer, accordingly to increase of material well-being, turns on other means of goods and services, privately on domestic, durable goods and etc.

In the modern period of country development, considering the radical changes in market nature (among them food market), it is noted that in the role of food supplier does not appear agriculture itself, especially any agricultural enterprise, but the whole agro-industrial complex or transnational food corporations. The roles of such corporations are analyzed on the example of European countries, if how much they determine the conditions on national and international food markets. The following chart makes it clear that in many European countries the greatest part of total turnover is produced by three of the largest companies. This fact supports statistically the theories of P. Argote, A. Curnow, D. Robinson about the structural concept of market. For example, as it's shown in the chart, this indicator reaches to 80% in Finland and Netherlands, but in Sweden it amounts 95%, also, the denoted indicator is high in such countries as Denmark, Belgium, Austria, Ireland, Portugal, Great Britain and others. So, the food market gained interdisciplinary and, common state and global character, accordingly it became the indicator of level of population security in food supply.

The shared economic interests are considered as the common driving force of the participants in the unified chain of agricultural industry and its moving forward to consumers. Following the position of dialectic material paradigm, economical interests in the work are defined as the driving force of spreading social economic information.

As the result of analyzing these economic interests, they are considered as the most important methodological principles of material production field according to the entire chain of producing agrarian production and moving it forward to consumers.

მანია გელაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი

საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში

სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოველად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე, რადგან ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ საწარმოს, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე. საქართველოს მისი რესურსებიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მუდამ გააჩნდა პოტენციალი იმისა, რომ გამხდარიყო საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის მიმზიდველი ადგილი. საინვესტიციო გარემო, ესაა ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს

შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში.

საინტერესოა საქართველოში ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ასახავს იმას, თუ რომელი დარგია უფრო მიმზიდველი და საინტერესო ინვესტიციების განსახორციელებლად. მრავალი დასავლური კომპანია ჯერ კიდევ არასაკმარისად არის ინფორმირებული საქართველოში დარგობრივი განვითარების ტენდენციებისა და შესაძლო პარტნიორობის შესაძლებლობების შესახებ. ასეთი გაურკვეველობა ამუხრუჭებს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში. ბიზნესთან მიმართებით საერთო ეკონომიკური მდგომარეობა და რეგულირებადი რეჟიმი არა მარტო უცხოური ფირმების, არამედ სამამულო ინვესტორების საქმიანობაზე ახდენს არსებით ზეგავლენას. აქედან გამომდინარე ხელისუფლებამ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების ზრდას ქვეყანაში კერძოდ, მნიშვნელოვანი ზეგავლენამოახდენოს საინვესტიციო გარემოზე დაიცვას უფლებები საკუთრებაზე, განახორციელოს სამართლებრივი რეგულირება და ბიზნესის დაბეგვრა, შექმნას ფინანსური ბაზრისა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობები, საბაზრო ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას, ბოლო წლების განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებაც მოხდა. ამისათვის გატარდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა, სადაც დიდი ყურადღება დაეთმო ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მოხდა გადასახადების ოპტიმიზაცია, გამარტივდა ბიზნესის რეგისტრაცია, ამოქმედდა გაკორტების კანონი, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისათვის 26 ქვეყანასთან გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულებები, შეიქმნა „ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“ და სხვა მრავალი ცვლილება რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას შეუწყო ხელი. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა აზიური ინვესტიციები, რომლებსაც დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით არ აშინებთ პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში ინვესტიციების ჩადება. უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ძირითადად იაფი მუშახელი, გამართული ინფრასტრუქტურა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იზიდავთ. თუმცა ამ ყველაფრისა უცხოურ ინვესტიციებს გააჩნია უარყოფითი მხარეც, კონკრეტულად კი შესაძლებელია გაიზარდოს ინვესტორი ქვეყნის გავლენა იმ ქვეყანაზე, სადაც მან ინვესტიცია განახორციელა, ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, იმის გათვალისწინებით რომ ოკუპანტი ქვეყნის კომპანიები საკმაოდ მსხვილ ინვესტიციებს ანხორციელებენ საქართველოში.


პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას.

2004 წლიდან 2011 წლის მესამე კვარტალის ჩათვლით საქართველოში განხორციელდა 7,8 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია. დარგების მიხედვით ყველაზე დიდი ინვესტიცია ჩადებულია მრეწველობაში, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის დარგებში. რაც შეეხება ინვესტორ ქვეყნებს ამ მხრივ ლიდერობს ევროკავშირის ქვეყნები (43%), კონკრეტულად კი გაერთიანებული სამეფო საიდანაც საქართველოში შემოვიდა 870 მილიონი დოლარის ინვესტიცია, მას მოსდევს ნიდერლანდები 694 მილიონი დოლარით. ყოფილი დსთ სივრციდან საქართველოში შემოვიდა პირდაპირი ინვესტიციების 13%, მათ შორის ლიდერია აზერბაიჯანი 407 მილიონი დოლარი და მას მოსდევს რუსეთის ფედერაცია 309 მილიონი დოლარით. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს აქ ერთმნიშვნელოვნად ლიდერობს თურქეთი, რომელმაც ბოლო წლებში საქართველოში 701 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო. საერთაშორისო ორგანიზაციების წილი კი დაახლოებით 2%-ია.

მსოფლიო ბანკის კვლევები გვიჩვენებს, რომ მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ საინვესტიციო გარემოზე. განეკუთვნებიან: პოლიტიკური განუხსავლერელობა (28%), მაკროეკონომიკური არასტაბილურობა (23%), გადასახადები (19%), სამართლებრივი რეგულირება (10%), კორუფცია (10%). (იხ. დიაგრამა 1)

ბოლო რვა წლის განმავლობაში, ინვესტიციების თვალსაზრისით, ყველაზე აქტიური 2006-2007 წლები იყო. კერძოდ, 2006 წელს შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ერთ მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო 2007 წელს ორ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. კვების ტენდენცია 2008 წლის მესამე კვარტლიდან აღინიშნა. საქართველოში ბოლო ოთხ წელში, ჯამურად, დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარით ნაკლები ინვესტიცია განხორციელდა, ვიდრე მხოლოდ ერთ, 2007 წელს.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ნეგატიური




წყარო: www.geostat.ge, 11.03.2013

ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები ეკონომიკის განვითარების ინდიკატორია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2012 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ბოლო სამი წლის მაჩვენებლებთან შედარებით შემცირდა. 2012 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 269,4 მილიონი დოლარი შეადგინა, მეორე კვარტალში- 219,4 მილიონი, ხოლო მესამე კვარტალში, ქვეყანაში, სულ 195,4 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა.

შემოსული ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით ასე ნაწილდება: პოლანდია (25%), საერთაშორისო ორგანიზაციები (22%), თურქეთი (17%). შემდეგ უკვე მოდის დიდი ბრიტანეთი (8%), იაპონია (7%), ამერიკა (6%), რუსეთი (6%), ჩინეთი (5%), დანარჩენი ქვეყნები (4%). (იხ. დიაგრამა 2). ეკონომიკის სექტორებს თუ გადავხედავთ, სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მესამე კვარტლის მონაცემებით ასე ნაწილდება: საფინანსო სექტორი -24%-ით ლიდერობს, მას მოყვება ენერჯეტიკა (21%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (17%), დამამუშავებელი მრეწველობა (14%), მშენებლობა (5%), სოფლის მეურნეობა (4%) და დანარჩენი სექტორები (16%). “საქსტატის” სამი კვარტლის მონაცემებით, ქვეყანაში, 2012 წელს, სულ 684 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა თუკი მონაცემებს წინა წლების ამავე კვარტლის მონაცემებს შევადარებთ, 2010 წლის მესამე კვარტალში შემოსული კაპიტალის მოცულობამ 226 მილიონი აშშ დოლარი . 2011 წლის მესამე კვარტალში კი სულ 317 მილიონი დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. მთავარია შეიქმნას სივრცე და ინვესტორებისათვის მოგებიანი და კომერციულად გამართული პირობები. კერძოდ, ინვესტორები უფრო იაფი დანახარჯებით რეგიონალურ ბაზრებზე გასვლით უნდა დავაინტერესოთ. თუ ჩვენ აქ მოსულ ინვესტორს არ მივეცით იმის პირობა, რომ ის რეგიონალურ ბაზარზე იმუშავეს, მაშინ საქართველოში ინვესტიციების მოზიდვა რთული იქნება, რადგან შიდა ბაზარი მწირია. შესაბამისად, ეს ტენდენცია გაგრძელდება, ვიდრე არ შეიქმნება ინვესტორებისთვის სტაბილური ბიზნეს-გარემო, რადგან ”ინვესტორს, რომელიც შემოდის აქ, აინტერესებს ერთადერთი რამ - მოგების მიღება და თავისი ბიზნესის გაფართოება. როდესაც საქართველოში არის საკმაოდ მაღალი რისკების დონე, არც ერთი ინვესტორი არ ისურვებს ინვესტიციების ჩადებას. თუმცა გარკვეულ რისკზე მაინც ხდება წასვლა. ეს ინვესტიციები, რაც შემოდის, ძალიან კარგია, მაგრამ, ზოგადად, საინვესტიციო ფონი დადებითი და კარგი ნამდვილად არ არის.”

რაც შეეხება ქვეყნიდან გასულ კაპიტალს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემების მიხედვით, 2012 წლის მესამე კვარტალში, საქართველოდან უცხოეთის 19 ქვეყანაში 60 მლნ. აშშ დოლარის კაპიტალი გავიდა. ყველაზე მეტი კაპიტალის გადინება ჩეხეთში მოხდა - 38,323 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. მას მოყვება საუდის არაბეთი - 6 მლნ. აშშ დოლარით, შვედეთი - 5,050 მლნ. აშშ დოლარით, შვეიცარია - 3,357 მლნ. დოლარით, აზერბაიჯანი - 2,229 მლნ. დოლარით, უკრაინა - 1,803 მლნ. დოლარით და ნორვეგია - 1,020 მლნ. დოლარით. 2012 წლის პირველ კვარტალში, საქართველოდან 117 მლნ. აშშ დოლარი, 2012 წლის მეორე კვარტალში კი 23 მლნ. აშშ დოლარი გავიდა. საქართველოში ექსპერტები ინვესტიციების მოცულობის შემცირებას წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირებენ. მათი შეფასებით, პოლიტიკურად არასტაბილური გარემოს გამო ინვესტორები თავს იკავებენ ქვეყანაში ინვესტიციები განახორციელონ, რადგან რისკთან არის დაკავშირებული.

შემოსული ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შიდა რესურსი პრაქტიკულად არ გვაქვს. მოსახლეობას დანაზოგების დაბალი მაჩვენებელი აქვს, ხოლო დიდი ნაწილი ვალდებულებებშია და ბანკებზეა დამოკიდებული. თუ რამ განაპირობა ინვესტიციების კლება ვფიქრობ წარმატებული ქვეყნის იმიჯი დაინგრა, დღეისათვის ინვესტიციებზე მოქმედებს მთავრობის მიდგომა. წინასწარ ჩვენოდ გაცემული ყველა დაპირების გადახედვა მოხდა. გადასახადები არ მცირდება, ახალი ვალდებულებებია აღებული, ბიუჯეტი ბუნდოვანია. აღმოჩნდა, რომ ბევრი ხარვეზი იყო წარსულში, ბიუჯეტის შესრულების პერსპექტივა არ არის. ბიუჯეტი იზრდება და ვალების აღება გრძელდება და პროგნოზით, 2013 წელს შესაძლოა ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდეს, რადგან „მთავრობამ აიღო აქცენტი სამართლიანობის აღდგენაზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი პრიორიტეტი ეკონომიკა კი არ არის.

საქართველოს ეკონომიკის მომავალი განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიციების დონის ზრდა. იმისათვის, რომ გაიზარდოს შიდა კერძო ინვესტიციები, რათა შეიქმნას ახალი საწარმოები, ქვეყანაში აუცილებელია გაუმჯობესდეს ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი ბაზა და ბიზნეს-გარემო, დაჩქარდეს ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი და განმტკიცდეს ფინანსური სექტორი. დღესდღეობით ეკონომიკის ზრდის დაჩქარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ხელისუფლების, ბიზნესისა და საზოგადოების ერთობლივი მუშაობა სამეწარმეო აქტივების გაძლიერებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების სფეროში. ქვეყანაში, სადაც მყარი სამართლებრივი სისტემა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო არსებობს, ბიზნესს შეუძლია გლობალური კონკურენციის პირობებში სერიოზული ამოცანების გადაჭრა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთელ მსოფლიოში არის რეცესია და ეკონომიკური ზრდის ტემპები დაეცა. ბიზნესის დაინტერესება ინვესტიციების შემოტანის კუთხით გართულდა. ვფიქრობ ინვესტიციები არ არის ის პანაცეა, რამაც რადიკალურად უნდა შეცვალოს მდგომარეობა და მეტისმეტი ასოცირება არ უნდა გაკეთდეს ინვესტიციებზე. კერძოდ, გვაქვს სხვა რესურსები, რისი რაციონალურად გამოყენებაც შეიძლება. როცა გარე რესურსი კლებულობს, მაშინ უნდა გავაკეთოთ აქცენტი შიდა რესურსების გამოყენებაზე. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 2012 წელს მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნება 900 მილიონი ლარი, შესაბამისად მოგების გადასახადის პროცენტიდან ქვეყნის ეკონომიკა 6 მილიარდი ლარის მოგებას მიიღებს. მთავარია, ეს სახსრები რაციონალურად იყოს გამოყენებული. მეწარმეს უნდა გაუჩნდეს ინიციატივა, რომ ეს მოგება გამოიყენოს რეინვესტირებისათვის. შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მოახდინოს წარმოების დივერსიფიცირება და გაზარდოს თავისი მონაწილეობა ბაზარზე.

როგორც ძირითადი პროგრამული დოკუმენტი, ისე ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, ემყარება მოსაზრებას, რომ ღია ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უმთავრესი ფაქტორებია. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი დოკუმენტი უფრო ძლიერ აქცენტს აკეთებს ღია ეკონომიკასა და

ლიბერალიზაციაზე, სამოქმედო გეგმა კი საინვესტიციო და ეკონომიკური საქმიანობის ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებაზე. რაც ნიადაგს უქმნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოდინებას. ამ უკანასკნელის წყალობით შექმნილი ღია ეკონომიკა მისაღებია ევროპისთვის, რომელიც მწარმოებლური კაპიტალის იმპორტის 2/3-ს განვითარებული ქვეყნებიდან ასორციელებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მიდგომა - კარის გაღება ვაჭრობისა და კარის გაღება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის, ერთმანეთს ავსებს. საქართველოს დიდი და მზარდი სავაჭრო დეფიციტი იმის მაჩვენებელია, რომ ღია ვაჭრობას ავტომატურად არ მოაქვს სარგებლობა, თუ საინვესტიციო და ბიზნეს კლიმატი მეწარმეებისათვის ისეთ პირობებსა და სტიმულებს არ ქმნის, რომ ახალ შესაძლებლობებზე რეაგირება მოახდინონ.

საქართველო ფინანსური რესურსების ნაკლებობას ეკონომიკის ბევრ სექტორში ჯერ კიდევ განიცდის. ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკებს, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებს საქართველოში საქმიანობის წარმართვისას საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ უწევთ მუშაობა. შესაბამისად, მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთებიც. აქედან გამომდინარე, თანხების გამონახვა ახალი პროექტების ან სულაც ჩვეულებრივი საქმიანი ოპერაციებისთვის აქ უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ქართული კომერციული ბანკების კრედიტები ხშირად მოკლევადიანი, სესხის მოცულობა - შეზღუდული, ხოლო საპროცენტო წლიური განაკვეთი ხშირ შემთხვევაში მაღალია და შეადგენს 14-24%-ს. ასეთ პირობებში, ადგილობრივი კერძო სექტორი მხოლოდ მოკლევადიან პროექტებში რისკავს ფულის დაბანდებას.

დეკემბერში, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავდა, რომ 2013 წელს, ქვეყანაში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა იქნებოდა: "ამის თქმის საფუძველს შემდეგი ფაქტორები მაძლევს: პირველი - ინვესტორებს ქონებას არავინ წაართმავს, მეორე - ინვესტორები იქნებიან დაცულნი, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედებისგან და მესამე - საქართველოს აქვს პერსპექტივა რუსეთის და ევროკავშირის ბაზრების ნაწილი გახდეს, რაც ძალიან დიდი წინაპირობაა იმისა, რომ ინვესტორს საქართველოში ფულის დაბანდება მოუნდეს."

ამრიგად, ეკონომიკური ზრდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბაზრო ინსტიტუტების გაძლიერება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია დამატებითი ფინანსების უზრუნველყოფა, ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს შემოტანის სტიმულირება და საექსპორტო ბაზრებში შეღწევის გადაადგილება. ისინი, ასევე, ზემოქმედებენ ადგილობრივ ეკონომიკაზე შიდა მომწოდებელთან კავშირების მეშვეობით და ხელს უწყობენ მწარმოებლობის გაუმჯობესებას. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ნამდვილად არსებობს კორელაცია. მაგრამ მისი ქმედების მიმართულება არ არის ნათელი: ხშირად შეინიშნება ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთქმედება ბრუნვის სასარგებლო ეფექტით. მთავრობამ ქვეყანა მიმზიდველი უნდა გახადოს („საინვესტიციო კლიმატი“) უცხოური ინვესტორებისთვის და ხელი უნდა შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდებას იმისთვის, რომ საგადასახდლო ბალანსის ნეგატიური ეფექტი შესუსტდეს.

საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისითაც ცალკე განხილვის საგანია მზარდი ინვესტიციების სტერილიზაციის თემა. ამასთან, უცხოური ინვესტიციების მართვისთვის საჭიროა მთავრობამ გაატაროს მკაცრი ფისკალური და ოპტიმალური პოლიტიკა, რომელიც ლარის კურსის სტაბილიზაციისკენ იქნება მიმართული.

შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების მიმართულებით გასაკეთებელი ჯერაც ბევრია. უპირველესად, აუცილებელია საინვესტიციო კანონმდებლობის რეფორმა. მის შექმნას ხელს უშლიდა ქვეყანაში არსებული კონფლიქტური სიტუაციები და დაკარგული ტერიტორიები, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ბიზნესის განვითარებისათვის არაჯანსაღი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ. მართალია, საქართველო მაღალი რეიტინგით არ სარგებლობს, მაგრამ მისი გაზრდა სავსებით შესაძლებელია, თუ მთავრობა გაატარებს გაწონასწორებულ ეკონომიკურ პოლიტიკას და წარმატებით გადაწყვეტს რეგიონულ პოლიტიკურ კონფლიქტებს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია თუ როგორი კომუნიკაცია იქნება ხელისუფლებას ბიზნესთან, რომ არ მოხდეს საგადასახადო ტვირთის დამძიმება, რადგან დღეს პრობიზნესური რიტორიკა არ არის და აქცენტი სოციალურ თემებზე კეთდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მელაძე, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ინვესტიციური აქტივობა საქართველოში. თბ. 2008.

2. მ. გელაშვილი, საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობა. თბ. 2007
3. T.Sengelia. Trade and Foreign Direct Investment in Georgia. Tb. 2008
4. Селищев А.С., Макроэкономика. Санкт-Петербург, ПИТЕР. 2002. ст. 103-108
5. <http://dato.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
6. <http://www.investingorgia.org>
7. <http://www.doingbusiness.org/ExploreEconomies/?economyid=74>
8. www.geostat.ge, 11.03.2013

MAIA GELASHVILI

Samtskhe-javakheti State Teachy University, Doctor of Economics

INVESTMENT CONDINTIONS OF INTERNATIONAL BUSINESS IN GEORGIA

S a m m a r y

In terms of the future development of the economy in Georgia, it is very important to increase the level of investment is able to secure additional funding. In a country where there is a strong legal system and favorable investment environment, in terms of global communications business can solve serious problems. Accordingly, the acceleration of economic growth is essential to ensure the government and the public work together to strengthen the assets of the business and investment climate improvements in the area. In particular, to manage foreign investment, the government has to take strong fiscal and the optimal policy, as for the healthy investment environment is still a lot of work to do. First of all, it is necessary to reform the investment law, the legal base for business development, etc. Although, Georgia does not enjoy high rates, but the increase in investments is possible if the government decides to pursue balanced economic policies and successfully solves regional political conflicts. Also, an important factor will be how to communicate with the business in order to avoid complicating the tax burden, because the government focuses on social issues and the pro-business rhetoric is not done yet.

სიმონ გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

სოფლის მეურნეობაში განუსაზღვრელობისა და რისკების სტატისტიკური შეფასება

ეკონომიკის სექტორებიდან ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძლიერ ცვალებად მოვლენებსა და პროცესებს აგრარული სექტორი მოიცავს, რომლებსაც განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხი აქვთ. შესაბამისად, დიდია სხვადასხვა მოსალოდნელი რისკებიც. ეს უმეტესად განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებით (მნიშვნელოვანია ასევე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია და ტექნიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორები), რომელთა რაოდენობრივი ზემოქმედების სიდიდის განსაზღვრა (შეფასება) შესაძლებელია სტატისტიკური მეცნიერების თანამედროვე მეთოდებისა და სათანადო კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ განუსაზღვრელობის რაოდენობრივი გაზომვა რეალურად თითქმის შეუძლებელია, ეს არ ვრცელდება რისკებზე, რომელთა რაოდენობრივი შეფასება, ზოგჯერ საკმარისად მაღალი სიზუსტით, თანამედროვე ეტაპზე უკვე შესაძლებელია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რისკის მთლიანი აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელია; არსებობს მხოლოდ რისკის შერბილების შესაძლებლობანი [გვ. 131, 1].

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული აუცილებლობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არასაკმარისი მასშტაბით ხორციელდება რისკების სტატისტიკური ანალიზი, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ დღემდე არ არის შემუშავებული ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომები და ინსტრუმენტარები ადეკვატური გლობალური, რეგიონული თუ ლოკალური რისკების გაზომვა-შეფასებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელი რისკების შეფასებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია სტატისტიკურ პროგნოზირებას, როგორც კონკრეტული რისკების მეცნიერული დასაბუთების საფუძველს. ამ შემთხვევაში სტატისტიკური პროგნოზირების ობიექტია არა ზოგადად აგრარული სფეროს მოვლენები და პროცესები, არამედ მათი ცვლილების ძირითადი ტენდენციები [გვ. 94, 2].

მოცემულ პირობებში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია რისკების შეფასება დიფერენცირებულად, ანუ ცალ-ცალკე უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რისკებისა და საფინანსო-

სამეურნეო საქმიანობის რისკების სტატისტიკური შეფასება. შესაბამისად, განსხვავებული იქნება კონკრეტული მეთოდოლოგიური აპარატიც.

რისკების სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

- აგრარულ სექტორში რეტროსპექტული ტენდენციების დადგენა და შეფასება სეზონურობის, ციკლურობისა და შემთხვევითობის გათვალისწინებით, კონკრეტული დროისა და ტერიტორიის მიხედვით;
- კონკრეტული რისკებისა და მათი ჯგუფების განსაზღვრა;
- განუსაზღვრელობისა და სარისკო სიტუაციების გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების დადგენა;
- რისკების გაზომვა-შეფასების ადეკვატური მოდელებისა და მეთოდების განსაზღვრა;
- რისკების სტატისტიკური პროგნოზირება;
- ჩატარებული ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მენეჯმენტისთვის.

ყველა ეს ეტაპი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და რომელიმე მათგანის არშესრულება გამოიწვევს მთლიანი „ჯაჭვის“ გაწყვეტას, რის გამოც, საბოლოო ანგარიშით, ვერ მოხდება დასაბუთებული და მენეჯმენტისთვის აუცილებელი შედეგების მიღება. უფრო კონკრეტულად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

აგრარულ სექტორში კონკრეტული დროისა და ტერიტორიის მიხედვით რეტროსპექტული ტენდენციების დადგენისა და შეფასებისათვის აუცილებელი პირობაა სრული და სარწმუნო სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა. ეს რთული პრობლემაა, განსაკუთრებით სეზონურობისა და ციკლურობის დასახასიათებლად. საკმარისად სრული რაოდენობრივი მონაცემების არსებობისას, რეტროსპექტული ტენდენციების დადგენა ადვილად რეალიზებადია სათანადო სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით (მაგალითად, ექსტრაპოლაცია და სხვ.). მაგრამ არასრული და არასაკმარისი სტატისტიკური მონაცემების შემთხვევაში საჭიროა მათი შევსება, რისთვისაც უნდა მივმართოთ იმპუტაციას და გამოვიყენოთ მისი რომელიმე მეთოდი (მაგალითად, „უახლოესი მეზობლის“, მარტივი საშუალოს, პროგნოზული იმპუტაცია, ექსპერტული იმპუტაცია და სხვ.) [გვ. 34-38, 3].

აგრარულ სექტორში რისკები ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს: 1) რისკები სოფლის მეურნეობის ფორმირების ადგილობრივ დონეზე; 2) რეგიონულ დონეზე და 3) სახელმწიფოს დონეზე. ამასთან, ყველა სამივე დონეზე მათი გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სავარაუდო შედეგები ყოველი ფაქტორის ზემოქმედებაზე ამა თუ იმ ჯგუფის მიმართებაში და გამოვლენის სფეროს მიხედვით, რომელიც იყოფა: საწარმოო, საფინანსო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ბუნებრივ-ეკოლოგიურ სფეროებად [გვ. 89, 6]. ამის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რისკების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლისათვის საჭიროა რისკის მაჩვენებელთა ადეკვატური სისტემის ფორმირება და მათი ანალიზი.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასებისათვის აუცილებელია, რომ:

1. განისაზღვროს რისკის ძირითადი ფაქტორები და ჩატარებულ იქნას მათი კლასიფიკაცია რიგი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ: ეკონომიკური სისტემის განვითარების სტადიები, წარმოების გარემოსთან დამოკიდებულება, გამოვლენის სფერო, სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე მოქმედების ხასიათი, ეკონომიკური სუბიექტებისგან რეგულირების შესაძლებლობა;
2. რისკების მდგრადობისა და რყევადობის სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე გამოიყოს ერთგვაროვანი ზონები მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური რისკებით.

რისკების სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ეტაპია კონკრეტული რისკებისა და მათი ჯგუფების დიფერენცირებული განსაზღვრა, ანუ რისკების იდენტიფიკაცია. ამ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს იმ რისკების ნუსხა, რომელთა მიმართაც შეიძლება მიდრეკილება ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოს [გვ. 464, 5]. აგრარულ სფეროში რისკების მნიშვნელოვნების ზომა განსხვავებულია ცალკეული რეგიონების მიხედვით, შესაბამისად განსხვავებულია განუსაზღვრელობისა და სარისკო სიტუაციების მიზეზების ობიექტური და სუბიექტური ხასიათი, ასევე მათი გავლენის მექანიზმი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სექტორზე. ამიტომ დიფერენცირებული რისკების სტატისტიკური შეფასებისათვის საჭიროა აგრარული

პროდუქციის წარმოების განვითარების რეტროსპექტული ანალიზი, რომელიც უნდა ემყარებოდეს საკმარისი სიდიდის დროით მწკრივებს და მათ დეკომპოზიციას იმ მიზნით, რომ რაოდენობრივად გაიზომოს ტრენდი, ციკლური, სეზონური და შემთხვევითი კომპონენტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სეზონური და შემთხვევითი კომპონენტების შეფასებას, რადგან მათი ზემოქმედების ზომა მნიშვნელოვანია აგრარული პროდუქციის წარმოების მოცულობაზე. სეზონურობის ფაქტორისა და მისი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული სეზონური რყევების სტატისტიკური ანალიზისას სხვა მეთოდებთან ერთად ფართოდ გამოიყენება საინდექსო მეთოდი. ნათელია, რომ სეზონურობა დაკავშირებულია წლების შიგა პერიოდების ცვლილებებთან. ასეთი ცვლილებების რაოდენობრივი სიდიდეების დასადგენად განისაზღვრება სეზონურობის ინდექსი შემდეგი ფორმულით:

$$i_s = \frac{\bar{Y}_f}{\bar{Y}_t}, \text{ სადაც}$$

\bar{Y}_f – რამდენიმე წლის (მიზანშეწონილია 5-ზე მეტი) ერთსახელიანი თვეების ფაქტობრივი დონეების საშუალო მნიშვნელობა;

\bar{Y}_t – იმავე წლების ერთსახელიანი თვეების მოსწორებული დონეების საშუალო მნიშვნელობა.

თუ ინდექსის გაანგარიშებული მნიშვნელობა დიდია, ეს ნიშნავს იმას, რომ სეზონურობის ფაქტორის გავლენა მაღალია, და პირიქით, ინდექსის მცირე სიდიდე მიუთითებს სეზონურობის ფაქტორის სუსტ გავლენაზე.

სეზონურობის ფაქტორის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული მანვენებლების რხევადობის სტატისტიკური ანალიზისას გამოითვლება ასევე საშუალო კვადრატული გადახრა, რომელიც ამ შემთხვევაში გაიანგარიშება სეზონურობის ინდექსების საფუძველზე (პროცენტულ გამოსახულებაში). ეს მანვენებელი ახასიათებს სეზონურობის ხარისხს და მისი შესაბამისი ფორმულა ასეთი სახისაა:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (i_s - 100)^2}{12}}, \text{ სადაც}$$

σ - სეზონურობის ხარისხი; i_s - სეზონურობის ინდექსი.

ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა საქმიანობა დაკავშირებულია მრავალ რისკთან, აუცილებელია რისკების კომპლექსური სტატისტიკური კვლევების გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს რისკის დონე და მასზე სხვადასხვა ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი, აგრეთვე ხელს უწყობს საორგანიზაციო-ეკონომიკური დონისძიებების სისტემის ფორმირებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისათვის. მაღალი რისკების შემთხვევაში ფერმერი არ ცდილობს ახალი ტექნოლოგიის განვითარებას, რის გამოც ზარალდება საზოგადოება. აგრარული ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელია უფრო მაღალი რისკების ეფექტური მართვა [გვ. 365, 4]. ამ მიმართულებით სპეციალური ნაშრომების უმრავლესობა ეძღვნება სოფლის მეურნეობის წარმოების რისკების ეკონომიკურ შეფასებას და ძლიერ მცირეა პუბლიკაციები რაოდენობრივ, სტატისტიკურ შეფასებებზე. ამიტომ არსებობს რისკების სტატისტიკური კვლევების მეთოდური უზრუნველყოფის სრულყოფის აუცილებლობა, რომლის უპირატესობასაც წარმოადგენს რისკის შეფასების ალბათობის განსაზღვრა.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასებისათვის შეიძლება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც რისკების რაოდენობრივი შეფასება ხდება შესაბამისი პროგნოზების გათვალისწინებით, მაშინ შეიძლება გ. ტეილის განსხვავების (შესაბამისის) კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$L = \frac{\sqrt{\sum (\hat{y} - y)^2}}{\sqrt{\sum y^2}}, \text{ სადაც}$$

\hat{y} და y - შესაბამისად რისკ-ფაქტორების პროგნოზული (წინასწარი შეფასება) და ფაქტობრივი მნიშვნელობებია.

თუ L - ის კონკრეტული გაანგარიშებითი მნიშვნელობა დიდია, მაშინ რისკების წინასწარი შეფასების რაოდენობრივი ზომა არაზუსტია, ანუ რისკ-ფაქტორების გავლენა ძლიერია და არასწორად მოხდა მათი წინასწარი განსაზღვრა; ხოლო თუ მისი მნიშვნელობა ახლოსაა 0-თან, მაშინ რისკების წინასწარი შეფასების რაოდენობრივი სიდიდეები ზუსტია და სწორად მოხდა მათი წინასწარი განსაზღვრა. იდეალურ შემთხვევაში კი $L=0$, რაც პრაქტიკულად იშვიათად ხდება. ასეთ შემთხვევაში რისკ-ფაქტორების შეფასების ყველა პროგნოზული და ფაქტიური მაჩვენებელი ერთმანეთს ემთხვევა, ე. ი. ყველა $\hat{y} = y$, რაც მხოლოდ თეორიულად შეიძლება იყოს.

ზოგადი სახით რისკების წინასწარი შეფასების განზოგადებული რაოდენობრივი გადაწყვეტილება შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფუნქციით:

$$R = f(R_1, R_2, \dots, R_n) = f(R_i), \text{ სადაც}$$

R_i - ცალკეული რისკ-ფაქტორების წინასწარი შეფასებები, ანუ პროგნოზული ვარიანტებია ($i=1,2,\dots, n$). მაგრამ რიგ შემთხვევაში ამ წესის გამოყენებით შეიძლება ვერ იქნეს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, თუ მოცემულია დიდი რაოდენობით ალტერნატიული შეფასებები (ვარიანტები). ასეთი სიტუაციის დროს ვერცერთი ვარიანტი ვერ შეძლებს საბოლოო კომპრომისული შეფასების მოპოვებას. ამიტომ ხშირ შემთხვევაში რისკების განზოგადებული სტატისტიკური შეფასებების დასადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს მარტივი არითმეტიკული საშუალოს გაანგარიშების წესი, ე. ი.:

$$\bar{R} = \frac{\sum_{i=1}^n R_i}{n}, \text{ სადაც}$$

R_i - შეფასების i - ური ვარიანტი ($i = 1,2,\dots,n$);

n - შეფასების ვარიანტების რაოდენობა.

ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ რისკების რაოდენობრივი შეფასებები დაახლოებით თანაბარი სიდიდეები უნდა იყოს და არ უნდა ხასიათდებოდეს ძლიერი რხევადობით.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე აპროქსიმაციის საშუალო შეცდომის მაჩვენებელი, რომელიც შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$\bar{A} = \frac{1}{n} \sum \left(\frac{|y_i - \hat{y}|}{y_i} \cdot 100 \right), \text{ სადაც}$$

y_i - არის მაჩვენებლის ფაქტიური (ემპირიული) მნიშვნელობები;

\hat{y} - პროგნოზული (წინასწარი შეფასებითი) მნიშვნელობები;

n - შეფასებათა რიცხვი.

თუ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა არ აღემატება 20%-ს, მაშინ რისკების მოცემული შეფასებები ადეკვატურია, ანუ რეალურია. იმ შემთხვევაში, როდესაც აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა 20%-ზე მეტია, მაშინ ასეთი შეფასებები მიუღებელია და საჭიროა ახალი შეფასებების ფორმირება.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ფაქტორთა გავლენის ზომის განსაზღვრა საშედეგო მაჩვენებელზე. კვლევის ამ ეტაპზე უნდა გაირკვეს ის, თუ ყოველი ფაქტორული ნიშანი რა ზომით იწვევს საშედეგო ნიშნის სიდიდის ცვლილებას. რეგრესიული მოდელების გამოყენებისას საზოგადოდ ეს ზემოქმედება ვლინდება შემდეგი სახით: რაც უფრო დიდია რეგრესიის კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა, მით უფრო ძლიერია ფაქტორული ნიშნის ზემოქმედება საშედეგო ნიშანზე და, პირიქით. კონკრეტულად ფაქტორული ნიშნების გავლენის განსაზღვრისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორელაციური და რეგრესიული ანალიზის ხერხები, საშუალო სიდიდეები და ვარიაციული სტატისტიკა, საინდექსო მეთოდი და სხვ.

რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასებისას რეგრესიული მოდელების შემთხვევაში ფაქტორული ნიშნების გავლენის შეფასება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ელასტიურობის კოეფიციენტის გამოყენებით; ამ კოეფიციენტის საშუალებით ფაქტორთა ცალკეული შეფასებანი მიიღება პროცენტების სახით. თუ ფაქტორული ნიშანი დადებითად მოქმედებს საშედეგო ნიშანზე, მაშინ მისი გავლენის ზომა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით [გვ. 144, 3]:

$$Q_{x_i} = \left(\frac{X_{\max}}{\bar{X}_i} - 1 \right) \cdot E_i, \text{ სადაც}$$

X_{\max} – ფაქტორული ნიშნის მაქსიმალური მნიშვნელობა;

\bar{X}_i – ფაქტორული ნიშნის საშუალო მნიშვნელობა;

E_i – ელასტიურობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$E_i = \left(a_i \frac{\bar{X}_i}{\bar{y}} \right) \cdot 100\%, \text{ სადაც}$$

a_i – რეგრესიის კოეფიციენტი ($i=1,2,\dots,n$); \bar{y} – საშედეგო ნიშნის საშუალო მნიშვნელობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტორული ნიშანი უარყოფით გავლენას ახდენს საშედეგო მაჩვენებელზე, მაშინ მისი ზემოქმედების რაოდენობრივი ზომა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით [გვ. 144, 3]:

$$Q_{x_i} = \left(1 - \frac{X_{\min}}{\bar{X}_i} \right) \cdot E_i, \text{ სადაც}$$

X_{\min} – ფაქტორული ნიშნის მინიმალური მნიშვნელობა.

რისკების შეფასების რეგრესიულ მოდელებში ფაქტორთა გავლენის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგრესიის კოეფიციენტის ნიშანს. თუ რეგრესიის კოეფიციენტს აქვს პლუს ნიშანი, მაშინ მოცემული ფაქტორული ნიშნის სიდიდის გაზრდა გამოიწვევს საშედეგო მაჩვენებლის სიდიდის ზრდასაც, და პირიქით, თუ ამ კოეფიციენტს აქვს ნიშანი მინუსი, მაშინ ფაქტორული ნიშნის სიდიდის მატება ნიშნავს საშედეგო მაჩვენებლის სიდიდის შემცირებას. მაგრამ ეს ზოგადი წესი ყოველთვის არ არის გამართლებული, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში. ყველა შემთხვევაში რეგრესიის კოეფიციენტის ნიშანთა მისაღები ინტერპრეტაცია დამოკიდებულია შესასწავლი ობიექტის არსზე. თუ საშედეგო მაჩვენებლის სიდიდის ცვლილების სასურველი მიმართულება გადიდებაა (მაგალითად, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, ფონდუკუგება, მოგება, შრომის ანაზღაურება და ა. შ.), მაშინ რეგრესიის კოეფიციენტის პლუს ნიშანი დადებით გავლენას ახდენს საშედეგო ნიშანზე და იგი მისაღებია. იმ შემთხვევაში, როდესაც საშედეგო მაჩვენებლის სასურველი ცვლილება მისი შემცირებაა (მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულება, მასალატევადობა, ენერგოტევადობა და ა. შ.), მაშინ ამ მაჩვენებელზე დადებით გავლენას მოახდენს არა ის კოეფიციენტი, რომელსაც აქვს პლუს ნიშანი, არამედ მინუს-ნიშნის კოეფიციენტი [გვ. 145, 3]. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იყოს რისკების კომპლექსური შეფასებისას. ამისათვის აუცილებელია:

- გამოიყოს ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე პირობებში სარისკო სიტუაციებს აგრარულ სფეროში და მოხდეს მისი კომპლექსური სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის დაზუსტება;
- განისაზღვროს სოფლის მეურნეობის განვითარების სტატისტიკური აპროქსიმაციის ტენდენციები და მოხდეს მისი რისკების დონის რაოდენობრივი შეფასება წრფივი და არაწრფივი რეგრესიის შედეგების საფუძველზე.

მაშასადამე, სოფლის მეურნეობაში რისკების გამოსაკვლევად და შესაფასებლად აუცილებელია სტატისტიკური მეთოდების თანამედროვე ინსტრუმენტარის და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, რომელიც იძლევა რისკის დონეებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხის დასაბუთებულ რაოდენობრივ შეფასებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიაძევილი ბ. სტატისტიკური ანალიზისა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები. გამომც. „უნივერსალი“, თბ. 2010.

2. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირების როლი სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. თსუ გამომც., თბ., 2012.
3. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2012.
4. ნარმანია დ. რისკების მართვის თავისებურებები აგრარულ ბიზნესში: მსოფლიო პრაქტიკა და საქართველოს გამოწვევები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. თსუ გამომც., თბ., 2012.
5. ქავთარაძე თ. აგრარულ სექტორში რისკის მართვის საკითხისათვის. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. თსუ გამომც., თბ., 2012.
6. Managing Risk in Agriculture, policy assessment and design. OECD Publishing, 2011.

SIMON GELASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

STATISTICAL ESTIMATION OF INDETERMINACIES AND RISKS IN AGRICULTURE

S u m m a r y

Statistical analyzing and forecasting stages have been analyzed, and it has been shown that all of those stages are found to be in an organic nexus with each other, and thus the failure of the accomplishment of any of them will result in a disconnection of unity of the “chain” as a result of which we won’t be able to have reasoned corollaries that are essential for management.

In agricultural sector, it is essential to define the major factors of a risk for the purposes of complex statistical estimations of the risks and to qualify them according to a number of criteria, in particular: the stages of the development of economic systems, the relationship between production and environment, a sphere of evidence, the impact on the outcomes of trades, and so far.

One of the important points of complex statistical estimation of the risks in an agricultural sphere is to determine the magnitude of the impact of the factors on the result indices. At this stage of the research, we should find out the amplitude of the shift of the point of an outcome caused by each factor vestige.

While conducting a statistical analysis concerning the factor of season and the statistical analysis of seasonal fluctuations caused by the latter an index-method, *inter alia*, is broadly applied. While conducting the statistical analysis concerning the fluctuation of indices caused by the influence of seasonal factors, an average square deviation is also to be computed, which should be calculated on the basis of seasonal indices in this case (as a percentage). This index characterizes the quality of season-comparability.

In addition, for the complex statistical estimation of risks in an agricultural sphere we can apply an error index average of approximation and the estimation of factor-indices impact can be carried out at the same time by applying a quotient of elasticity.

Consequently, it is essential to apply the up-to-date statistical methods and the relevant computer programs in an agricultural sphere in order to survey and estimate the risks, which gives us reasoned quantitative estimations concerning risk grades and the impact level of the factors on them.

ბადრი ბეჩუაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბელა მუშელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები

კაცობრიობის მდგრადი განვითარების იდეების გაბატონება დაიწყო 1960-1970-იან წლებში, როდესაც რიგი ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები დაემუქრა თანამედროვე და მომავალი თაობების სიცოცხლეს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: გარემოს დეგრადაცია (საკვები პროდუქტების დაბინძურება ქიმიკატებით, ტყეების განადგურება, გაუდანოება, დაჭაობება, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, ცოცხალი ორგანიზმების სახეობრივი მრავალფეროვნების შემცირება, დაავადებები, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, გლობალური დათბობა და სხვა ეკოლოგიური პრობლემები); დაბალეფექტიანი

რესურსგამანადგურებელი ტექნოლოგიების გამოყენება; დისპროპორციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის; სიღარიბის მასშტაბების გაფართოება და ღარიბებსა და მდიდრებს შორის დიფერენციაციის ზრდა; სასურსათო კრიზისი და შიმშილის გავრცელება; მინერალურ-სანეღმდეგო და ენერგეტიკული რესურსების ამოწურვა და მზარდი დეფიციტი; ეთნიკური კონფლიქტები და სხვ.

ამასთან ერთად საბაზრო გარდაქმნების პერიოდში მოხდა დარგის საწარმოო პოტენციალის დეგრადაცია, რის შედეგადაც აგრარული წარმოება გახდა გაცილებით უფრო შრომატევადი, დიდწილად დაკარგა თავისი აგრარული ხასიათი. სოფელი განიცდის სისტემურ კრიზისს, რომლის ძირითადი გამოვლინებებია არა მხოლოდ აგროწარმოების ვარდნა, არამედ აგრეთვე დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება, სოფლის მეურნეობის უმუშევრობის მაღალი დონე, სიღარიბის პრობლემები, ცხოვრების ხარისხის დაქვეითება. თანამედროვე აგრარული წარმოებისათვის დამახასიათებელია მეურნეობის ბუნებრივ-დამანგრეველი ტიპის შენარჩუნება. სახნავ-სათიბებისა და საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი არ გამოიყენება და იფარება ტყით.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ცნება. აგრარული თემატიკისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ტერმინი „მდგრადი სოფლის მეურნეობა“ (sustainable agriculture). თუმცა ამ დროისათვის ჯერ ვერ ჩამოყალიბდა ამ ცნების ერთიანი განსაზღვრება.

სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში მდგრადი სოფლის მეურნეობა განიხილება როგორც „ალტერნატიული სოფლის მეურნეობა“, რომელიც ხასიათდება გადასვლით მიწათმოქმედების ტექნოგენური ინდუსტრიული სისტემიდან ეკოლოგიურად მდგრად სისტემაზე განუახლებადი ენერგეტიკული რესურსების მინიმალური გამოყენებით, „ეკოლოგიური მიწათმოქმედება“, „ბიოლოგიური მიწათმოქმედება“, „დინამიკურად ადაპტიური“ და „ეკოლოგიურად დაბალანსებული მიწათმოქმედება“ არაფერმერული წარმოშობის მატერიალურ-ენერგეტიკული რესურსების მინიმალური გამოყენებით. ყველა ამ განსაზღვრებაში მთავარია გადასვლა სოფლის მეურნეობის ინტენსიური ტექნოგენური სისტემიდან ეკოლოგიურად მდგრად სისტემაზე, რომელშიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნებულია აგროლანდშაფტის სასარგებლოობა, გამოიყენება დაბალხარჯიანი ტექნოლოგიები. რიგი მეცნიერები აღნიშნავენ ტერმინ „მდგრადი სოფლის მეურნეობის“ მრავალმხრივობას, რაც არ დაიყვანება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე და ნიშნავს სოფლის მშრომელთა ღირსეულ ცხოვრებას.

განსაზღვრება „მდგრადი განვითარება“ აგრარულ სფეროსთან მიმართებაში ჩამოყალიბებულია 1996 წ. რომში FAO-ს (გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია) სესიაზე შემდეგნაირად: „მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამის მთავარი ამოცანა არის კვების პროდუქტების წარმოების დონის ამაღლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა მხარი დაეუჭიროთ საგანმანათლებლო ინიციატივებს, ეკონომიკური ინოვაციების განვითარებასა და მისაღები ახალი ტექნოლოგიების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს კვების იმ პროდუქტების სტაბილურ ხელმისაწვდომობას, რაც შეესაბამება ადამიანის მოთხოვნილებას საკვებ ელემენტებზე; მათზე წვდომას ღარიბი ჯგუფებისათვის; სასაქონლო წარმოების განვითარებას; უმუშევრობის შემცირებასა და შემოსავლების დონის ზრდას სიღარიბესთან ბრძოლის მიზნით; ბუნებრივი რესურსების მართვასა და გარემოს დაცვას“ [2].


აგრარული სექტორის მდგრადი განვითარება განისაზღვრება სამი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული მდგენელით – ეკონომიკურით, სოციალურითა და ეკოლოგიურით. დარგის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ძირითადი კრიტერიუმებია კვების უსაფრთხო პროდუქტების წარმოების ზრდა მათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რაც იძლევა გაფართოებული კვლავწარმოების საშუალებას. მდგრადი განვითარების სოციალური მდგენელი მოიცავს გლეხების სიცოცხლის დონისა და ხარისხის ამაღლებას, სოფლად დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების სტაბილიზაციას.

სტაბილური, გაწონასწორებული ბუნებათსარგებლობა დაკავშირებულია ამჟამად და გრძელვადიან პერსპექტივაში აგროსისტემების უზრუნველყოფასთან, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებასთან და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასთან. სოფლის მეურნეობის მდგრადი ეკოლოგიური განვითარება საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ დამუშავებული მიწების მდგომარეობის გაუარესება და დანაკარგები, გავზარდოთ ნიადაგის ნაყოფიერება. სოფლის

მეურნეობის მდგრადი განვითარების ცნება განუყოფლად დაკავშირებულია კვების პროდუქტების წარმოების ზრდასთან, ეკონომიკური და ინტელექტუალური რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებასთან, სტაბილურ და დაბალანსებულ ბუნებათსარგებლობასთან. მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგენელების დაბალანსებულობის დროს უზრუნველყოფილია დარგის მდგრადი განვითარება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მდგენელების მჭიდრო ურთიერთკავშირი ნაჩვენებია ნახ., 1-ზე.

წარმოების მდგრადობა სოფლის მეურნეობაში განპირობებულია დარგისა და აგრარულ წარმოებაში საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკით – მეტი დამოკიდებულებით ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, რაც აგრარულ სექტორს ხდის ნაკლებად მდგრადს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით; საწარმოო პროცესში მიწის როგორც იშვიათი და შეზღუდული რესურსის გამოყენებით, აგრეთვე ცოცხალ ორგანიზმთა გამოყენებით, რომლებიც ხასიათდებიან დახარჯული რესურსების ერთეულზე პროდუქციის წარმოების სხვადასხვა პოტენციური შესაძლებლობებით; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაუსრულებლობით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სირთულითა და სუსტი განვითარებით, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერებისა და ანაზღაურების მეტად დაბალ დონეს; იმით, რომ აგრარული სექტორი ვერ ეწეება საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოდელში და შეუძლია განვითარება მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერით. აგრარული საწარმოებისა და მეურნეობების სტაბილური საქმიანობის დასაბუთებისადმი მიდგომის თავისებურებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის როგორც რთული სოციოეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის სპეციფიკის სავალდებულო გათვალისწინება.

სოფლის მეურნეობა, როგორც არამდგრადი სისტემა, თავად ვერ ვითარდება გარე ზემოქმედების გარეშე. საქართველოს რეგიონებისათვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე სახელმწიფოს ზემოქმედების გაძლიერება, გლეხთა ცხოვრების დონის ამაღლება, გარემოს შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის. აგრარული სექტორის დინამიკური განვითარება დამოკიდებულია პირველადი რგოლის (საწარმოს) საქმიანობაზე, რაციონალურ დარგთაშორის და დარგობრივ კავშირებზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე აღწარმოებითი პროცესის სფეროებს შორის. კომერციული ორგანიზაციის დონეზე, როგორც წესი, მიღებულია მდგრადობის ცნების ასახვა მისი ფინანსური მდგომარეობის მეშვეობით.



ნახ. 1. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მდგენელების ურთიერთკავშირი

ჩვენი აზრით, არამართლზომიერია საწარმოს მდგრადობის განსაზღვრა მხოლოდ მისი ფინანსური მდგომარეობის პოზიციიდან. ამასთან გათვალისწინებული არ არის საწარმოო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის სხვა საკვანძო ფაქტორები, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია საწარმოს საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალი და მისი უნარი, გააგრძელოს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება – საწარმოს მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი პროდუქცია. საწარმოს გაკოტრების დროსაც კი მისმა საწარმოო პოტენციალმა შეიძლება არ განიცადოს ნგრევა. ხოლო გაცვეთილი საწარმოო აპარატი, მოძველებული ტექნოლოგიები, სიახლეებისადმი არამგრძობიარე ადამიანური კაპიტალი ყოველთვის იწვევენ საწარმოს მდგრადობის შესუსტებას, ვინაიდან ამ დროს ირღვევა მისი ფუნქციური თვისებები. ამიტომაც მეტად თუ არა, ნაკლებ ადეკვატურად არ გვესახება საწარმოს მდგრადობის კავშირი არა მხოლოდ მის ფინანსურ მდგომარეობასთან, არამედ

საწარმო-ტექნოლოგიურ პარამეტრებთან, მათ დინამიკასთან, ანუ აღწარმოების პროცესის მდგომარეობასთან და მის ადეკვატურ უნართან, რეაგირება მოახდინოს კონიუნქტურის ცვლილებებსა და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მიღწევებზე.

რიგ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ საწარმო წარმოადგენს შედარებით მდგრად, მთლიან და გარემოსაგან გამიჯნულ დამოუკიდებელ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ახდენს პროდუქციის წარმოების (რეალიზების) და რესურსების აღწარმოების პროცესების ინტეგრირებას დროსა და სივრცეში.

დამაკავშირებელი რგოლი ამ პროცესებსა და ფირმის „სახეს“ შორის არის მისი პოტენციალი – იმ რესურსებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს მისი განვითარების მოსალოდნელ მახასიათებლებს გარემოს ცვლილების ამა თუ იმ რეალური სცენარების დროს. გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ობიექტი არის ფირმის რესურსებისა და ძალისხმევის განაწილება პოტენციალის ზრდასა და გამოყენებას შორის, აღწარმოებასა და წარმოებას, აწმყოსა და მომავალს შორის.

პირველადი საწარმოო რგოლი მართებულია განვიხილოთ როგორც რთული სისტემა. სისტემების ფუნქცირება ხდება დინამიკური განვითარების კანონების მიხედვით. ერთ-ერთი მათგანი არის რაოდენობრივი ცვლილებების გადასვლა ახალ თვისობრივ მდგომარეობაში. ამასთან ნებისმიერი სისტემა განიცდის სწრაფვას შედარებით წონასწორობისადმი, როდესაც მასზე მოქმედი ძალები ურთიერთგაწონასწორებულია.

მაშ ასე, აგრარული სექტორის მდგრადი განვითარება განისაზღვრება სამი მჭიდროდ გაწონასწორებული მდგენელით: ეკონომიკურით, სოციალურითა და აგრარულით. მდგრადი განვითარება მიიღწევა, თუ ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთიანობასა და ურთიერთქმედებაში უზრუნველყოფილია საწარმოო პოტენციალის, ადამიანური რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს აღწარმოება. გადამწყვეტ როლს სოფლის მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების მდგრადობაში თამაშობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკა.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მაჩვენებლები. აგრარული სექტორის მდგრადობის რაოდენობრივი დახასიათებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა. მნიშვნელოვანია აგრეთვე შეფასდეს აგრარული წარმოების მდგრადობის ხარისხი. ამ მიზნებისათვის იყენებენ მდგრადობის კოეფიციენტს, რომელიც ზომავს დინამიკური რიგის ფაქტობრივი დონეების რხევების ზომას თეორიული დონეების მიმართ, ცვლილების მდგრადობის კოეფიციენტს, რანგთა კოეფიციენტს [3]. მდგრადობის შეფასების დონის მიხედვით (პროდუქციის ცალკეული სახე, დარგი, მთელი სოფლის მეურნეობა) შეიცვლება ამ ცნების არსის დამახასიათებელი მაჩვენებლები. მდგრადობის მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: რაოდენობრივი გამოხატულებისა და ქვეყნის, რეგიონის, დარგის, საწარმოს დონეზე გამოყენების შესაძლებლობა; დაყრდნობა არსებულ სტატისტიკურ ანგარიშგებაზე; ძირითად ინდიკატორთა შეზღუდული რაოდენობის გამოყენება. ამრიგად, შესრულებულმა კვლევამ მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება.

1. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს მდგრადი განვითარების მრავალი განსაზღვრების არსებობას. ამ ტერმინის განმარტებათა უმეტესობა ეყრდნობა გ. ჰ. ბრუნდტლანდის კომისიის მიერ მოცემულ განსაზღვრებას: „მდგრადი განვითარება არის ისეთი განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს აწმყო დროის მოთხოვნებს, თუმცა საფრთხეს არ უქმნის მომავალი თაობების უნარს, დააკმაყოფილონ თავისი საკუთარი მოთხოვნები“;
2. აგრარული სექტორის მდგრადი განვითარება განისაზღვრება სამი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული მდგენელით – ეკონომიკურით, სოციალურითა და ეკოლოგიურით. მდგრადი განვითარება მიიღწევა, თუ ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთიანობასა და ურთიერთქმედებაში უზრუნველყოფილია საწარმოო პოტენციალის, ადამიანური რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს აღწარმოება;
3. სოფლის მეურნეობის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორებისა და პირობების მთელი მრავალფეროვნებიდან გამოყოფილია მათი ორი ჯგუფი: გარეშე და შიდა. განსაზღვრულ როლს მდგრადობაში თამაშობს გარეშე ფაქტორები. სოფლის მეურნეობა როგორც რთული საწარმოო სისტემა იფუნქციონირებს მდგრადად, თუ წარმოების ყველა ფაქტორი იქნება დაბალანსებული, ჩატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ და აგრარულ პოლიტიკას თან ახლავს სამართლებრივი და ფინანსური უზრუნველყოფა. სისტემა იქნება არამდგრადი, თუ წარმოების ფაქტორები დაუბალანსებელია, ხოლო რესურსული პოტენციალის გამოყენების დონე – არცთუ მაღალი;

4. აგრარული წარმოების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის ხარისხის რაოდენობრივი დახასიათებისათვის შემოთავაზებულია ნატურალურ, ღირებულებით და ფარდობით მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Пшихачев, С.М. Парадигма устойчивого развития аграрной сферы / С.М. Пшихачев // Экономический вестник Ростовского государственного университета. – 2005. – Т. 3. – № 1. – С. 114-127.
2. Promoting Sustainable Agriculture and Rural Development: Agenda 21 Chapter 14. Rome: FAO, 1996.
3. Афанасьев, В.Н. Статистическое обеспечение проблемы устойчивости сельскохозяйственного
4. производства / В.Н. Афанасьев. – М.: Финансы и статистика, 1996. – 320 с.

BADRI GECHBAIA

Shota Rustaveli Batumi State University, Associate Professor

**METHODOLOGICAL BASIS FOR THE SUSTAINABLE DEVELOPMENT
OF THE AGRICULTURAL SECTOR**

S u m m a r y

The article described the „sustainability“, „sustainable development“ in terms of the analysis of different concepts, filled specifies the agricultural sector as a socio - ecological - economic system contents. Multilevel system of factors and conditions for sustainable development of the agricultural sector

ელისო გველესიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მდგრადი განვითარება და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული პრობლემები

ტერმინმა „მდგრადი განვითარება“ ფართო გავრცელება ჰპოვა ბოლო 20-30 წლის მანძილზე, თუმცა დღემდე მისი განსაზღვრება არ არსებობს და სხვადასხვა შემთხვევაში იგი საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ადრეულ ეტაპზე მდგრადი განვითარება ძირითადად ეკოლოგიურ კონტექსტში განიხილებოდა, თუმცა გაეროს ეგიდით 1983 წელს შექმნილ „გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის (ბრუნდტლანდის კომისია)“ მოხსენებაში, „ჩვენი საერთო მომავალი“ კარგად გამოჩნდა, რომ მდგრადი განვითარების ამოცანები შორს ცდება ეკოლოგიური ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

ბრუნდტლანდის კომისიის განსაზღვრების თანახმად - „მდგრადი ეწოდება განვითარების ისეთ სისტემას, როდესაც მიმდინარე მოთხოვნილებების უზრუნველყოფა არ აზარალებს მომავალი თაობების უფლებას, ასევე დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები“.


მიუხედავად იმისა, რომ ბრუნდტლანდის კომისიის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია მდგრადი განვითარების მიზნების საუკეთესო განზოგადებად შეიძლება ჩაითვალოს, ეს არ ნიშნავს, რომ თავად კონცეფცია მსოფლიო ძალიან გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული.

მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია ეყრდნობა სამი კომპონენტის, საზოგადოების, გარემოსა და ეკონომიკის ინტერესების ოპტიმალურ თანწყობას (იხ. დიაგრამა 1 და დიაგრამა 2).


იმის გამო, რომ მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია არ აღიარებს რაიმე ღონისძიებას, წარმატება პირდაპირ არის დაკავშირებული მონიტორინგის, კვლევის, ანალიზისა და კორექტირების უწყვეტ პროცესთან. საგულისხმოა, რომ ევროპული სტრატეგია განიხილავს არა მარტო გრძელვადიან, არამედ მოკლევადიან პერიოდში კვლევის აუცილებლობასაც, ისევე როგორც განვითარების სამიზნე ინდიკატორების სწორად წარმოების მეთოდოლოგიას: „კვლევები მდგრადი განვითარების სფეროში უნდა მოიცავდეს როგორც მოკლევადიან, „მხარდამჭერ“ პროექტებს, ასევე გრძელვადიან კონცეპტუალურ ხედვას და უნდა ფარავდეს გლობალური და რეგიონალური ხასიათის პრობლემოლოგიას. ამ კვლევებმა ხელი უნდა შეუწყოს ინტერ და ტრანსდისციპლინარულ მიდგომებს სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, შეამციროს დაშორება მეცნიერული კვლევის, პოლიტიკის ფორმირებასა და იმპლემენტაციის პროცესებს შორის. ტექნოლოგიების როლი „გონივრულ“ განვითარებაში კვლავაც შესწავლას საჭიროებს. ასევე შემდგომ შესწავლას (კვლევას)

საჭიროებს სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემების ურთიერთქმედების მექანიზმები, ისევე როგორც რისკების ანალიზის, პროგნოზირებისა და პრევენციის სისტემები“.¹

დიაგრამა 1. მდგრადი განვითარების სისტემის კომპონენტები



დიაგრამა 2. მდგრადი განვითარების სისტემის კომპონენტების ურთიერთქმედება



„მდგრადი განვითარების კომპლექსური ბუნების მრავალმხრივი და ღრმა შესწავლის მიზნით, უნდა შეიქმნას ინდიკატორები, რომლებიც ორიენტირებული იქნება დეტალიზაციის ადეკვატურ დონეზე და უზრუნველყოფს ყველა კონკრეტულ გამოწვევასთან დაკავშირებული სიტუაციის რეალურ და სრულფასოვან ასახვას“.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემატიკა პოლიტიკური თუ ეკონომიკური დისკუსიების ერთ-ერთი მთავარი თემაა. საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი უმწვავესი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას. სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ ისევ უმნიშვნელოა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემცირდა 20-25 პროცენტამდე, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს, როგორც საქართველოს ეკონომიკას, ასევე სოფლის მეურნეობას და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 9 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენს. მაშინ როცა ქვეყანაში დასაქმებულთა 50 პროცენტი სოფლის მეურნეობაშია. მათი 17-18 პროცენტი დღეში იღებს 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს.

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა. 2013 წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დაფინანსება 182,280 მლნ ლარს უტოლდება; მაგრამ სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად მხოლოდ საბიუჯეტო სახსრები არ იქნება საკმარისი.

დაგეგმილია შეიქმნას ერთმილიარდიანი ფონდი. სწორედ სოფლის მეურნეობაა ის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, რომლის მიმართულებითაც ახალი პოლიტიკის გატარება მყისიერად დაიწყება. გლეხებს და ფერმერებს მიეცემათ ისეთი შესაძლებლობა, რაც მათ დღეს არ გააჩნიათ. საუბარია დაბალპროცენტოვანი სესხებზე. მათთვის ხელმისაწვდომი გახდება სეზონური, ერთწლიანი თუ ორწლიანი კრედიტები იმისათვის, რომ განავითარონ თავისი ფერმა თუ მიწის ნაკვეთი.

„ფონდში თანხა წავა როგორც საბიუჯეტო სახსრებიდან, ისე დონორების და საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსებიდან. ფონდში ჩაირიცხება კერძო პირების შემონატანი. თანხები მიზანმიმართულად დაიხარჯება ამ სფეროს გაჯანსაღებაზე“ (პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, დავით ონოფრიშვილი.)

¹ Renewed EU Sustainable Development Strategy, EU 10917/06 Annex.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთი ფონდი საკმარისი არ არის. უნდა გაკეთდეს სამეწარმეო მობილიზაციის ფონდი, შეიქმნას საგირაუნო და საგარანტიო ფონდები. მაგრამ ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ მოძლიერდება სახელმწიფო და რაოდენ პრიორიტეტულად გამოაცხადებს ის სოფლის მეურნეობას.

იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას პროდუქციის სიუხვე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ეს, პირველ ყოვლისა, გამოიხატება სპეციალიზირებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნაში, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას.

„სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი იქნება, ალბათ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ფონდში, საწყის ეტაპზე, თანხის ნაწილი წავა ბიუჯეტიდან, ნაწილი დონორი ქვეყნების მიერ, ცოტა კერძო ინვესტორებიდან. შეიქმნება იმ თანხების ფონდი, რომელიც საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის სექტორს დადგეს ფეხზე. ფონდიდან გაიცემა სესხები, ნაწილი ინფრასტრუქტურაში, ნაწილი სხვა მიმართულებებით. მაგრამ ეს ერთადერთი არ იქნება. იქნება სახელმწიფო პროგრამებიც. პლუს ამას, ხელისუფლება ხელს შეუწყობს კერძო ინვესტორების, ვენჩურული კაპიტალის ბაზრის შექმნას. ჩვენ დიდი რესურსები გვაქვს გამოსაყენებელი. ჩვენი მთავარი იდეა სოფლის მეურნეობაში არის ინოვაციური ბიოსოფლის მეურნეობა.“ (დემურ გიორგულიძე, ეკონომიკის ექსპერტი).

უმწვავესი პრობლემაა დარგში დღეისთვის არსებული შრომითი რესურსების კვალიფიკაციის დონეც. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. მაგალითისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვა ქვეყანამ, მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც. ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მორიენტირებული, მორგანიზებული როლითა და ხელშეწყობით წარიმართა.

პრობლემის არსებობას საქართველოს მთავრობაშიც უსვამენ ხაზს და აღნიშნავენ, რომ ხელი შეეწყობა მიწების კონსოლიდირებას, კოოპერირებას ნებაყოფილობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მიწის ეფექტურად გამოყენებას. შეიქმნება საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც გაუწევენ სოფლად მცხოვრებ ფერმერებს სხვადასხვა სახის კონსულტაციებს. გლეხებს ხელი შეეწყობათ თავიანთი პროდუქციის გასაღებაში და მოწესრიგდება სასოფლო ინფრასტრუქტურა.

ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს აგროტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავის და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება. საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა გადაუდებლად მოითხოვს დაქუცმაცებული საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივებას, მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნას და მათ გადამამუშავებელ საწარმოებთან თანამშრომლობას.

გარდა ამისა, უცხოეთში არსებობს მოსავლის დაზღვევის ინსტიტუტი, რაც, ერთი მხრივ, ბანკების მოტივაციას ზრდის სოფლის მეურნეობაში კრედიტების გასაცემად და, მეორე მხრივ, გლეხებსა და ფერმერებს დამატებით გარანტიებს აძლევს, რომ სტიქიური უბედურებების შემთხვევაში ვალებში არ დარჩებიან. მაგრამ ეს ინსტიტუტი საქართველოში არ არის გაფრცვლადებული, რაც ასევე პრობლემატურია. პრობლემაა ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობაც. ისეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, როგორც დღეს სოფლის მეურნეობაშია, დარგის განვითარებაზე ფიქრი რთულია.

საჭიროა შეიქმნას მცირე და საშუალო საოჯახო ბიზნესის განვითარების ფონდი, რომელიც მეორე წყარო იქნება დაფინანსების. ფონდი საბაზრო, მაგრამ შედარებით დაბალ პროცენტში გასცემს სესხებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ორი წყაროს არსებობა აიძულებს კომერციულ ბანკებს, არარეალურად მაღალი საპროცენტო განაკვეთები კონკურენციის საფუძველზე დაწონ. ეს სერიოზული სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის, როდესაც შესაძლებლობა იქნება, ბიზნესი რეალურად მომგებიანი გახდეს.

მთავრობის კიდევ ერთი პრიორიტეტი, რომელმაც სოფლის მეურნეობის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, არის რუსული ბაზარის გახსნა ქართული პროდუქციისათვის. უკვე რამდენიმე წელია ქართული პროდუქტების რუსულ ბაზრებზე გატანა ვერ ხერხდება.

საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი, რისთვისაც აგრომეურნეობა წარმოებული პროდუქციისთვის უნდა მიიღონ ისეთი ფასი, რომელიც უზრუნველყოფს მათი ოჯახების შენახვას ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით. ამისთვის, გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მელიორაციისა და აგროტექნოლოგიების განხორციელების, ბაზარზე ფასების ტენდენციების განსაზღვრის, კრედიტების ხელმისაწვდომობისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხებთან. სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა კი მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას – სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ 2005 წლიდან რეალური წარმოება საქართველოში 20%-ით შემცირდა, ნათესი ფართობი 43%-ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იკლო. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ-ში მისი წილის, წმინდა სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, თუმცა, მისი როლი თანდათანობით იკლებს. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაო ძალის 50%. მათი 95% მცირე მეწარმეები არიან (თითოეულ ოჯახზე +/- 1.2 ჰექტარი და 2 ძროხა), ასე რომ, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ძალზე მწირია. ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზება. ფერმერულ ორგანიზაციათა რაოდენობა ძალზე მცირეა, ასე რომ მათი უმრავლესობა ვერც მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის უპირატესობით სარგებლობს და ვერც იმპორტიორებს უწევს კონკურენციას. ქვეყანა დიდწილად და მოკიდებული უცხოეთიდან იპორტზე (მაგ. 2011 წელს მოხმარებული ხორბლის 85% იმპორტირებული იყო). სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული სხვა პრობლემები შემდეგია: ძირითადი კაპიტალური დაბანდებაების ნაკლებობა, რუსული ემბარგო ქართულ პროდუქციაზე, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი, ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო კრედიტები (ამ სექტორში არსებული კრედიტების მოცულობა კრედიტების საერთო მაჩვენებლის 1%-ია), სასოფლო-სამეურნეო სექტორში კვლევა-განათლება-გავრცელების სისტემის თითქმის არარსებობა, არასათანადოდ მოქმედი მიწის ბაზარი, ირიგაციის სისტემისა და სხვა ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა და ფართოდ გავრცელებული ცხოველთა დაავადებები.

ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. გათვლები ადასტურებს, რომ შესაძლებელია დღევანდელი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერ გაზრდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება გადაიქცეს იმ ძრავად, რომელიც ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას (წარმოების ზრდის ხარჯზე). სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის.

ევროკავშირი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორს 90-იანი წლებიდან უწევს დახმარებას. თავდაპირველად ეს დახმარება სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის საშუალებით ხორციელდებოდა, რაც უშუალოდ საბიუჯეტო დახმარებას გულისხმობდა, ხოლო ბოლო ხანებში დახმარება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების საშუალებით ხდება. ბოლო 5 წლის განმავლობაში ევროკომისიამ (ევროკავშირის წევრი ქვეყნების აღმასრულებელმა ორგანომ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სულ 13 საშუალო სასოფლო-სამეურნეო პროექტი დააფინანსა (€23 მლნ), რომელთა ნაწილი განაპირა ადგილებში მცხოვრები ღარიბი ფერმერების დახმარებასა და მათ მიერ ფერმერული ორგანიზაციების შესაქმნაზე იყო ორიენტირებული, ხოლო დანარჩენი – 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის სასოფლო-სამეურნეო და სასიცოცხლოდ აუცილებელი საშუალებებით დახმარების პროგრამას მოხმარდა.

ევროკავშირი ასევე, მნიშვნელოვან სასიცოცხლოდ აუცილებელი საშუალებებით დახმარებას უწევს 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით, როგორცაა World Vision, რომლის მიზანია სასოფლო რეგიონებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების დახმარება.

დღეისათვის ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს რეგიონულ განვითარებაში (სექტორული პოლიტიკის დახმარების პროგრამა, €19 მლნ), რეგიონებს შორის განსხვავებების აღმოფხვრასა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაში. რეგიონული განვითარების სტრატეგიების დიდ ნაწილს ძლიერი სასოფლო-სამეურნეო კომპონენტი ახლავს.

ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებენ სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც ევროკავშირის მხრიდან €40 მლნ-ის გამოყოფას ითვალისწინებს. პროგრამა 2012 წლის ბოლოს დაიწყო და მისი ზოგადი მიზანი საქართველოში სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირებაა. პროგრამის კონკრეტული მიზანი ეროვნული სექტორული სტრატეგიის განხორციელების დახმარება და მცირე ფერმერული ორგანიზაციების გაძლიერებაა.

სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა იმ 4 ძირითადი მიზნის მიღწევას ითვალისწინებს, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიითაა განსაზღვრული, ესენია:

1. მცირე მეწარმეთა შორის უფრო მტკიცე თანამშრომლობა, ფერმერთა ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისა და მიღების ჩათვლით; სოფლის მეურნეობის მიერ ფერმერთა კოოპერატიული მეურნეობების პოპულარიზაციის კამპანიის ჩატარება და ახლადშექმნილი მცირე ფერმერული ორგანიზაციების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, ტექნიკური დახმარებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მცირე ინფრასტრუქტურისა და ტექსაშუალებების ჩათვლით, იმ მიზნით, რომ მოხდეს პროდუქციის ზრდა, მოხდეს მოცულობიდან სარგებლის მიღება და გაადვილდეს ბაზრებზე გასვლა (მაგ. გაუმჯობესებული სათესლე მასალა, ტექნიკა, საწყობები და ა.შ.).
2. ფერმერებისთვის უფრო ხელმისაწვდომი მომსახურების გაწევა სასოფლო სამეურნეო მომსახურების ქსელის შექმნისა და ფერმერული ორგანიზაციების პოტენციალის გაზრდის გზით.
3. გეოგრაფიული დასახელებების რეგულირება და დახვეწა გეოგრაფიული დასახელებების თვითრეგულირების სამსახურებისა და ლიცენზირების მოთხოვნების დაწესების საშუალებით.
4. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დაწესებულებების უკეთ ფუნქციონირება, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე ტრენინგსა და პოტენციალის გაზრდაზე ორიენტირებული სამსახურის/აკადემიის შექმნა. ახალი სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო კვლევების მეთოდოლოგიის დახვეწა და სასოფლო-სამეურნეო აკადემიური დაწესებულებების პოტენციალის გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

საჭიროა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სასურსათო უსაფრთხოების და ფიტოსანიტარულ და სანიტარულ სფეროში, ფიტოსანიტარულ და სანიტარულ სისტემებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ამ სფეროში პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან ტექნიკურ დახმარებასა და პოტენციალის გაზრდაზე მიმართულ დახმარებას უწევს სხვადასხვა ინიციატივების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოლუაშვილი, „აღნიშული კანონი ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, პირიქით, უდიდეს საფრთხეებს ააცილებს მას“ 01.07.2013 http://sazogadoeba.ge/?post_id=581
2. ზ. თეთრუაშვილი, მ. თეთრუაშვილი-ქარდავა, „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში“ [მონოგრაფია] თბ. 2006 - 373 გვ. I
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები. კონომიკური და სოციალური განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი. http://www.slideshare.net/gdri_ge/ss-13970389

4. მ. ნაცვალაძე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი : [მონოგრაფია] , თბ., 2009 - 164 გვ.
5. ევროპის სამეზობლოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა (ENPARD) თბილისი, 3 ივნისი 2013 http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/20130603_01_ka.pdf

ELISO GVELESIANI

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

SUSTAINABLE DEVELOPMENT AND AGRICULTURAL PROBLEMS

S u m m a r y

The term "sustainable development" have become prevalent in the last 20-30 years, but until now its definition does not exist, and in some cases it can be used in a different sense.

Because the modern concept of sustainable development does not recognize any dogma, success is directly related to the monitoring, research, analysis and continuous process of adjustment. It is important to consider not only the European strategy for the long term, but short term necessity of the study, as well as the development of methods for the production of target indicators correctly.

Agriculture occupies an important place. It has a share in GDP. Agriculture is involved in the formation of net foreign exchange income, employment and poverty reduction. However, his role gradually decreases. Agriculture is an important source of income for the majority of the rural population. 50% of the work force is employed in agriculture. 95% of them are small entrepreneurs so that their production is very limited. The main reason for the high rate of poverty in the country is that they failed to modernize the country's agriculture sector. Farmer organizations is very small, so most of them do not scale-oriented economic advantage nor importers compete. The country is largely dependent on import from abroad (for example, 85% of wheat consumed in 2011 was imported.) The other problems are as follows: major capital investment slows, the Russian embargo on Georgian products; World economic crisis,; the less accessible rural - agricultural credits).

It is a significant improvement in the area of food safety and sanitary and phytosanitary, The European Union is an important technical assistance and it is providing assistance to various initiatives in Agriculture area too.

რეზიუმე გველესიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი

ეკონომიკური თავისუფლების საზღვრების მნიშვნელობა ინტეგრირებაში კონფლიქტების დაძლევაში

ეკონომიკური თავისუფლების შინაარსი ისევე ამოუწურავია, როგორც სხვა ძირითადი ღირებულებებისა. ამიტომაც მიზანშეწონილია ეკონომიკურ პოლიტიკასთან კავშირში თავისუფლების მხოლოდ ორი სპეციალური ასპექტი წარმოვადგინოთ, რაც საშუალებას მოგვცემს ავიშოროთ მის ინტერპრეტაციასა და გაგებასთან დაკავშირებული ტიპური სიძნელეები. საქმე ეხება ეკონომიკური თავისუფლების განხილვას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ასპექტით. ინდივიდუალური ასპექტის შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ნების თავისუფლება და მოქმედების თავისუფლება. საზოგადოებრივი ასპექტი კი მოითხოვს კონფლიქტის, ძალაუფლებისა და სამართლის ფენომენთა ნათელყოფას.

ნების თავისუფლებასთან დაკავშირებით ისმება არსებითი კითხვა: შეუძლია კი ადამიანს იმის მიღწევა, რაც მას სურს? მასზე პასუხი ავლენს იმ შესაძლო შეზღუდვებს, რაც წინ ეღობება ნების თავისუფლების რეალიზების მცდელობას. მოქმედების თავისუფლებას კი თავისი საზღვრები გააჩნია. ისინი სხვადასხვა ვალდებულებებს გვაკისრებენ:

- შესაძლებლობა ყოველთვის მოქცეულია ბუნების მიერ დადგენილ ობიექტურ და გარე საზღვრებში, რომელთა დარღვევა შეუძლებელია; მაგრამ შესაძლებელია მათი გონივრული გამოყენება, რათა გაფართოებული იქნას ადამიანის ისტორიულ შესაძლებლობათა სფერო;
- სუბიექტური საზღვრები ბუნებრივ საზღვრებზე უფრო ვიწროა და მათ ბუნებრივი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობები და ინდივიდის მიერ თავისთვის დაწესებული ზნეობრივი ნორ-

მები ადგენენ. მათი საფუძველი მხოლოდ ინდივიდშია, რომელიც საკუთარ თავისუფლებას განიხილავს, როგორც თავისივე ავტონომიურობის შესაძლებლობას;

- საზოგადოებრივი საზღვრები ინდივიდებს შორის ურთიერთობას ეხება და მათ ძალაუფლება, ზნეობა და კონვენციები - უპირველეს ყოვლისა კი - სამართალი ადგენს. ისინი განსაზღვრავენ ადამიანებს შორის ურთიერთობის თავისუფლებას და საზოგადოებაში მათი მოქმედების შესაძლებლობებს.

სწორედ ამ საზღვრებში წარმოიშობა ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლება, როგორც უამრავი წერტილის ერთობლიობა, სადაც ერთმანეთს კვეთენ შიდა და გარე თავისუფლებანი.

მოქმედების თავისუფლების რეალიზება საზოგადოებაში იმიტომაც არის პრობლემური, რომ ამა თუ იმ ინდივიდის მოქმედება თუ უმოქმედობა ზეგავლენას ახდენს სხვა ინდივიდებზე. ერთი ინდივიდის თავისუფლება სხვათა თავისუფლების შეზღუდვად გვეკვლინება. საზოგადოების არსებობას საფრთხე ემუქრება როცა ინდივიდები მოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებას ესწრაფვიან. ამიტომაც საზოგადოებრივი ასპექტით აუცილებელი ხდება თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვა. ჯონ სტიუარტ მილი (1859, გვ. 75) აღნიშნავდა: „ერთადერთი თავისუფლება იმსახურებს ჭეშმარიტი თავისუფლების სახელს, როცა ჩვენ ისე ვეძიებთ საკუთარ კეთილდღეობას, რომ ამით სხვებს არ ვართმევთ იმის შესაძლებლობას, რათა მათაც ეძიონ თავიანთი კეთილდღეობა“.

ამრიგად, ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლებასთან მიმართებაში აუცილებელია საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მათი ინტერესების განხორციელება ყოველთვის იწვევს სხვა ინდივიდების ინტერესთა შეზღუდვას. ეს მოთხოვნა უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტსა და მისი მართვის/მოგვარების პრობლემას. მაგრამ მისი მშვიდობიანი მოგვარების მოწოდება არ არის საკმარისი კონფლიქტის თავიდან ასაშორებლად. კონფლიქტები მაშინ წარმოიშობა ხოლმე, როცა ერთმანეთს კვეთენ თავისუფლად მოქმედ ინდივიდთა ინტერესების სფეროები. შეიძლება გამოვყოთ კონფლიქტის მართვის ორი ზოგადი შესაძლებლობა (Boulding, 1958/64, გვ. 117):

- უნდა ვეცადოთ შეზღუდული პრევენციის გზით შევამციროთ კონფლიქტის საფრთხე; იგულისხმება ზეგავლენის სფეროების გამიჯვნა იმით, რომ უქმდება ექსკლუზიური უფლება;
- წარმოშობილი კონფლიქტები ვმართოთ კომპრომისის, ზნე-ჩვეულებათა და კონვენციის თუ პოზიტიური სამართლის საშუალებით.

კონფლიქტის პრევენციის საშუალებაა პიროვნების უფლებები და საკუთრების უფლება (ეკონომიკური მოქმედების/საქმიანობის უფლება) მთელი თავიანთი მრავალფეროვნებით. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება მოქმედების სფეროების გამიჯვნა და კანონიერი საშუალებებით (საჩივრის აღძვრა ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ზარალის ანაზღაურებასთან, სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრებასთან დაკავშირებით) მათი დაცვა ხელყოფისაგან. კონფლიქტის მართვა იმაში მდგომარეობს, რომ პოტენციური მომრიგებლები თავიდანვე შეთანხმებული არიან, რომ საჭიროების შემთხვევაში გარეშე პირთა არბიტრაჟი დაინიშნოს.

მოქმედების თავისუფლება იმის საშუალებას იძლევა, რომ ინდივიდმა თავისი გვემის მიხედვით განახორციელოს ის მიზნები - თვითონ რომ განსაზღვრა. ამასთან, ინდივიდი მოქმედების მიხედვით თავისუფლებაზე სხვა ინდივიდის ზეგავლენას რომ განიცდის, იმგვარად იწყებს მოქმედებას, რომ მისი შედეგები ზემოქმედების მომხდენი ინდივიდის მიზნებს მიესადაგებოდეს. ზეგავლენის ასეთი შესაძლებლობები ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინდივიდის ფსიქიკაშია საძიებელი; ოღონდ მისი მოცულობა იმით განისაზღვრება თუ რა ზომით თმობს მოცემული ინდივიდი თავის ავტონომიურობას ჰეტერონომიურობის სასარგებლოდ. ამგვარი ზეგავლენის ქვეშ მყოფი ინდივიდისათვის ეს შესაძლოა საზიანოც კი იყოს, მაგრამ იგი ითვალისწინებს კონფლიქტის მოგვარების ინტერესებს და ნებაყოფლობით თანხმდება მსუბუქ ზეწოლაზე.

ზეგავლენის ჩვეულებრივი შესაძლებლობები, არსებითად, ძალაუფლებას უკავშირდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძალაუფლების მაქს ვებერისეული (1921/2002, გვ. 28) განსაზღვრების გათვალისწინება: „ძალაუფლება სხვა არაფერია თუ არა ნებისმიერი შესაძლებლობა, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად განახორციელო საკუთარი ნება და მნიშვნელობა არ აქვს იმას თუ რას ეფუძნება ასეთი შესაძლებლობა.“ როგორც ითქვა, სოციალური ურთიერთობა უნდა გავიგოთ, როგორც თავისუფლების შეზღუდვა. მაგრამ მეორე მხრივ, ბუნდოვანია ის თუ რა ზომითაა შესაძლებელი საკუთარი ნების განხორციელება; ამის გასარკვევად საჭიროა ვებერისეული განსაზღვრების დაკონკრეტება. ამ ასპექტით ძალაუფლება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კონტინუუმი ანუ მთლიანობა (მაგ., Dahl, 1963, გვ. 62), რომლის ერთ მხარეს უნდა მოვიაზროთ ავტონომიური ინდივიდი

მოქმედების მთელი თავისი შეუზღუდავი თავისუფლებით, მეორე მხარეს კი სრული ჰეტერონომია ანდა ბატონობა, რომელსაც სხვები ახორციელებენ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული ინდივიდი შეიძლება სხვისი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდეს; სწორედ ამგვარი შესაძლებლობა რეალიზდება ძალადობად, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ძალაუფლების უკიდურესი ფორმა. ძალადობა წარმოიშობა მაშინ, როცა ინდივიდი ცდილობს თავისი შესაძლებლობა იმისათვის გამოიყენოს, რომ სხვა ინდივიდს განსაზღვრული ქმედება ჩაადენინოს; თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას მოძალადე აღწევს იმით, რომ ძალადობის პოტენციურ მსხვერპლს არწმუნებს თითქოს ამით თავს დააღწევს სხვა სახიფათო და საზიანო მოქმედების შესაძლებლობებს (Hayek, 1960, გვ.134). ძალადობის მსხვერპლი დარწმუნებულია, რომ ის ქცევა, რომელიც მას თავს მოახვიეს უფრო მცირე ბოროტებაა. ასე რომ, იგი საკუთარი ნებით იწყებს სხვისი მიზნების განხორციელებას სხვის მიერვე წინასწარ შედგენილი და მისთვის თავსმოხვეული გეგმით.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოსდა ძალადობის განსაზღვრება ამავე დროს ძალაუფლების განსაზღვრაც იყოს; მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ გარკვეული კონტინუუმი მართლაც არსებობს. ძალაუფლება და ძალადობა ერთმანეთში გადადის და ერთობ ძნელია იმის დადგენა თუ სად იწყება ერთი და სად - მეორე. ამის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რადგან (ინდივიდებს შორის) საზოგადოებრივ ურთიერთობებში ძალადობის განხორციელება უსამართლოდ ითვლება. ძალაუფლებასთან მიმართებაში წამოიჭრება კითხვა იმის შესახებ არსებობს თუ არა მისი გამოვლენის ისეთი ფორმები, რომლებიც სამართლიანად ჩაითვლება. საზოგადოებრივი ეკონომიკების სფეროში ძალაუფლებას განსხვავებული მიზეზები აქვს. ამიტომაც, სხვადასხვანაირად ფასდება ხოლმე მათ მიერ მოტანილი სარგებელი. სწორედ ამის დასტურია ის მოვლენები, ბაზარზე თავისუფალი გასვლის შეზღუდვებს რომ უკავშირდება: ეს კი ეკონომიკური ძალაუფლებისა და კონკურენციის პოლიტიკის ფარგლებში მისი მოგვარების პრობლემაა.

ჯონ სტიუარტ მილის განსაზღვრებიდან ცხადია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთმანეთთან შეუთავსებელია კერძო ძალადობის აქტები და მოქმედების თავისუფლება. სამართლის ფუნქცია მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო. კანტის სიტყვებით (1790/1993, გვ. 390) „სამართალი არის იმ პირობების ერთიანობა, რომლებიც შესაძლებელს ხდიან იმას, რომ ერთი ინდივიდის თვითნებობა თავისუფლების საყოველთაო კანონის თანახმად თავსებადი იყოს სხვა ინდივიდის თვითნებობასთან.“ ამ განსაზღვრების საფუძველზე ისმება კითხვა: რა თვისებები უნდა ჰქონდეს სამართალს, რომ იგი თავისუფლების წესად გამოდგეს? უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი, რომ თითოეული ინდივიდის თვითნებობა (ნების თავისუფლების განხორციელება იმის გათვალისწინების გარეშე, ვის მიმართაც ის ხორციელდება) საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში თანაბარმნიშვნელოვნად იყოს მიჩნეული. აქედან გამომდინარეობს, რომ ზემოხსენებული წესები ასევე სავალდებულოა ჩვენთვის უცნობი უამრავი პიროვნებისა და შემთხვევისათვის. სწორედ ამითაა განპირობებული ის, რომ სამართალი დამოუკიდებელია პიროვნებებისა და შემთხვევებისაგან. ამგვარ სამართალს მაქს ვებერი (1921/2002, გვ. 396) ფორმალურ სამართალს უწოდებს და მას მატერიალური სამართლისაგან განასხვავებს. პირველი არ არის დამოკიდებული პიროვნულ გარემოებებსა და სპეციფიკურ სიტუაციებზე; მეორე კი იმთავითვე ანგარიშს უწევს განსაკუთრებულ გარემოებებს.

საზოგადოებრივი ასპექტით ისმება კითხვა იმის თაობაზე თუ როგორ უნდა შეიქმნას ასეთი სამართალი, როგორც კოლექტიური სიმდიდრე. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს დამოკიდებულია სახელმწიფოსა და პოლიტიკურ სისტემაზე.

სახელმწიფო აყალიბებს, აღიარებს და ახორციელებს იმ წესებს თანაბრად რომ უზრუნველყოფენ ყველა ინდივიდის მოქმედების თავისუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ

- მოქალაქეები - ციცირონის სიტყვებით რომ ვთქვათ - კანონებს უნდა ემსახურებოდნენ თუკი მათ თავისუფალ არსებებად ყოფნა სურთ;
- სახელმწიფომ კი ისეთი სამართალი უნდა შემოიღოს მისი ბატონობის კანონიერებას რომ აფუძნებს და საჭიროების შემთხვევაში იგი ძალადობრივი საშუალებებით უნდა უზრუნველყოს;
- სახელმწიფოსადმი მოქალაქეთა დამოკიდებულების მხრივ აუცილებელია უსაფრთხოების სამართლებრივი ზომების განხორციელება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბატონობის ორგანიზაციის მხრიდან ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფა თუ გაუქმება.

საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო, როგორც ბატონობის ორგანიზაცია, თავისუფლების სამსახურში ჩაეყენოს და მის მცველად ვაქციოს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით ყველასათვის ხელსაყრელია ისეთი საყოველთაო, სამართლიანი, თანასწორი და სახელმწიფოებრივად უზრუნველ-

ყოფილი წესების არსებობა, რომლებსაც ყველა დაემორჩილება. უსაფრთხოება შეიძლება, განისაზღვროს, როგორც „თავისუფლების გამო შიშის არქონა“ (Giersch, 1961/90, გვ. 83). ამ ასპექტით ისმება კითხვა იმის თაობაზე თუ რა საფრთხე შეიძლება შეექმნას თავისუფლებას.

თავისუფლებას ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნის ჩვენს ყოველდღიურებაში მიმდინარე კონფლიქტები. ამგვარ კონფლიქტთა მიზეზი ისაა, რომ (Streit, 2005, გვ. 256):

- საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში თვითრეალიზება, როგორც წესი, ზღუდავს სხვის თავისუფლებას;
- ინდივიდების შეფასებითი წარმოდგენები, როგორც შინაარსის, ისე იერარქიის მიხედვით არღვევს ცალკეულ ნორმას;
- ისტორიული განვითარების პროცესში შეფასებები დამოუკიდებელ მიზნებად გვევლინებიან და მოქმედების სტიმულს იძლევიან, რაც ყოველთვის შეიცავს კონფლიქტის შესაძლებლობას.

ასეთი შეზღუდული კონფლიქტები ნაკლები დაპირისპირებით ხასიათდება და მათი მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე უკიდურესად დაძაბული კონფლიქტებისა. კონფლიქტის მოგვარების მეთოდებია:

- მოლაპარაკებები მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის;
- ამ პროცესში ერთი ან რამდენიმე შუამავლის /მომრიგებლის ჩართვა.

კონფლიქტების იძულებითი მოგვარების პროცედურა არაკონსტიტუციური ქმედებაა. მათი მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია (Tuchtfeldt, 1971a, გვ. 32):

- მშვიდობიანი დარწმუნება, რაც გულისხმობს ინტერესთა კოლიზიაში ერთი ან მეორე პოზიციისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას;
- კომპრომისი იმ შემთხვევაში, როცა ურთიერთდაპირისპირებული მიზნები ადვილად მისაღწევ დაძნელად მისაღწევ მიზნებად იყოფა;
- კომპენსაციები იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს განუყოფელ მიზნებთან, რასაც შედეგად მოჰყვება განსხვავებული მიზნების სწრაფი ანდა თანდათანობითი განხორციელება.

ზოგჯერ საკმარისია კონფლიქტების დეპერსონალიზება, რომ მათ სიმწვავე დაკარგონ და უსაფრთხოებას საშიშროება აღარ შეუქმნან. ეკონომიკურ სფეროში ასეთი დეპერსონალიზება ხორციელდება სოციალური ტექნიკის ანდა კონკურენციის მეშვეობით. ამაში ვლინდება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია. მართალია, იგი ძალაუფლების კონტროლის მექანიზმია, მაგრამ როგორც კი ის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მექანიზმად იქცევა, საფრთხეს უქმნის სხვის თავისუფლებას. ამასთან, კონკურენცია მიღწევების (შედეგების) კონტროლის პროცესსაც წარმოადგენს, რადგან როცა ვინმეს ძალისხმევა სათანადოდ არ ფასდება ან ნეგატიურად ფასდება და მცირდება მისი მატერიალური შესაძლებლობები, ამაში დამნაშავეა არა კონკურენტი, არამედ „ზაზრის დიქტატი. რასაკვირველია კონფლიქტების დეპერსონალიზება იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ:

- კონკურენცია, როგორც წესრიგის პრინციპი, მისი შედეგებით საზოგადოდ მისაღებია ცალკეული ინდივიდისათვის;
- როგორც კონკურენტები (კარტელისაკენ სწრაფვა) და ასევე სახელმწიფო (მოქმედების შეზღუდვა) ცდილობენ გამოკვეთონ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციები.

არსებობს რისკის კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლების არქონასთან, რისი მიზეზიცაა ავადმყოფობა და სიბერით გამოწვეული შრომისუუნარობა. ამავე კატეგორიაში შედის ის რისკებიც, რომლებიც შემოსავლების განაწილების შესახებ საზოგადოებრივ დაპირისპირებებს, დასაქმებისა და მსყიდველობითუნარიანობის დაკარგვის საფრთხეებს უკავშირდება. უსაფრთხოების ასეთი რისკების დასაძლევად, გარდა პირადი ძალისხმევისა, აუცილებელია სპეციფიკური განაწილებით - პოლიტიკური მოქმედებების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. MILL, J.S. (1859), On Liberty; in ders.: Utilitarianism, Liberty, Representative Government, neuausgabe, hrsg. v. H. B. ACTON, London 1972.
2. BOULDING, K.E. (1958), Principles of Economic Policy, 4th printing, Englewood Cliffs, 1964.
3. WEBER, M. (1921), Wirtschaft und Gesellschaft, 5. rev. Aufl., Studienausg., Nachdruck, Tuebingen, 2002.
4. DAHL, R.A. (1963), Die politische Analyse (Uebersetzung von „Modern Political Analysis,“ Englewood Cliffs), Muenchen 1973.
5. HAYEK, F.A. (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London u.a. Wiederabdruck in: BOSCH, A. und R. VEIT Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Verfassung der Freiheit, Tuebingen 2005.

6. KANT, I. (1781, 1788, 1790), Die drei Kriterien in ihrem Zusammenhang mit dem Gesamtwerk, Jubilaeumsausgabe anlaessl. Des 125-Jaehrigen Bestehens d. philosophischen Bibliothek, Hmaburg, 1993.
7. GIERSCH, H. (1961), Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen), unveraenderter Nachdr., Wiesbaden, 1990.
8. TUCHTFELDT, E. (1971a), Moral Suasion in der Wirtschaftspolitik; in E. HOPPMANN (Hrsg.): Konzertierte Aktion - Kritische Beitrage zu einem Experiment, Frankfurt am Main, S. 19-68.
9. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart.
10. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი 2012.

REVAZ GVELESIANI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor, Chair of Economic Policy

IMPORTANCE OF ECONOMIC FREEDOM BOUNDARIES FOR OVERCOMING CONFLICTS OF INTERESTS

S u m m a r y

Economic freedom is considered in individual and social aspects. In the individual aspect it is necessary to make difference between the freedom of will and the freedom of action. Social aspect requires phenomenon of conflict, power and justice to be clear.

Realization of freedom of will is tackled by certain constraints. Freedom of action has its constraints as well:

- Possibility always exists within the objective and external boundaries that are set by the nature and can not be abolished;
- Subjective borders are narrower than natural ones and are set by natural (physical and psychical) abilities and the moral norms defined by individuals for themselves. Their base is only within the individual;
- Social borders regard with relationships among individuals and are set first of all by justice and also by power, moral and conventions. They define freedom of relationships among individuals and their abilities for acting in the society.

Freedom of the individual action is emerging exactly within these borders. In this respect it is necessary for each member of the society to recognize and foresee that the realization of their interests always restricts the interests of other individuals. This requirement is related with the conflict of interests and the problem of its management/solution.

Two general possibilities of the conflict management can be picked out:

- We should try to reduce conflict risk by limited prevention; this implies making off spheres of influence through the abolition of exclusive right;
- Aroused conflicts should be managed through the compromise, moral traditions, conventions or positive justice.

გიული გიგუაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

მანია აზმაიზარაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბიომეურნეობები და მათი როლი აბროგიზნების განვითარებაში

„სჯობს მოსავალი უფრო ნაკლები და ხარისხიანი იყოს, ვიდრე, ბევრი და ჯანმრთელობისთვის საშიში“

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება. საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოება და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება, სამამულო პროდუქციის სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფა საქართველოს აგრარული სექტორის ძირითადი ორიენტურია.

უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მოთხოვნა ბიოპროდუქტებზე. საქართველოში ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უკვე აცნობიერებენ ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოყვანილი ნაყოფის სიკეთეს. არადა, ჩვენს პატარა ქვეყანას ბიომეურნეობების განვითარების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. ბიომეურნეობა აგრარულ სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციაა. ბიომეურნეობა

აერთიანებს და ჰარმონიულად განავითარებს საზოგადოების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს.

ბიომეურნეობების განვითარება მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტო შემოსავლების ზრდას, რაც სურსათზე ადგილობრივი მოთხოვნილების დასაბალანსებლად იმპორტული პროდუქციის შესყიდვის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, უნდა ვააწარმოოთ მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი პროდუქცია, რომელიც ყოველმხრივ დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე.

საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

საკვები მეტად მნიშვნელოვანი პროდუქტია ქვეყანაში და საკვები საშუალებებით თვითუზრუნველყოფა არის უსაფრთხოების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. საკვები პროდუქტები წარწერით - “ორგანული”, “ბიო” და “ეკოლოგიურად სუფთა” მსოფლიოში ფუფუნებად ითვლება, ისინი სპეციალურ მაღაზიებში, ან დიდ სუპერმარკეტებში, სპეციალურად გამოყოფილ კუთხეში იყიდება და მათი ფასი ჩვეულებრივ საკვებთან შედარებით გაცილებით მაღალია. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ექსპორტს ახორციელებენ, საქართველოცაა, თუმცა საექსპორტო საქონელის რაოდენობა ჯერჯერობით ძალიან მცირეა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქიმიური ნივთიერებების წარმოების მოცულობისა და ამ სფეროში ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ და საშიში ქიმიური ნივთიერებების, მ.შ. პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებულმა შესაძლო რისკმა, მსოფლიო საზოგადოებისა და ოფიციალური წრეების შეშფოთება გამოიწვია. ამ მხრივ, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, სადაც არ არის შექმნილი ამ ნივთიერებების იმპორტსა და გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

მსოფლიოში ბევრი ფერმერია, რომელიც ცდილობს ქიმიკატების გამოყენების შემცირებას მოსავლის მოყვანისას. ისინი არ წარმოადგენენ ფერმებს, სადაც ქიმიკატების გამოყენება მთლიანად ამოღებულია, მაგრამ ცდილობენ მათი გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას. აგრეთვე არსებობენ ფერმერები, რომლებიც თავიანთ მეურნეობაში საერთოდ არ იყენებენ ქიმიკატებს და ფერმერების მესამე, ყველაზე სასურველ ტიპად შეიძლება ვაღიაროთ ის ფერმერები, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ ქიმიკატებს და ამავე დროს სერთიფიცირებული არიან ორგანული მასერტიფიცირებული დაწესებულების მიერ. ორგანული სერთიფიკატი სჭირდებათ იმ ფერმერებს, რომელთაც დიდი საბითუმო ბიზნესი აქვთ. ყიდიან ბოსტნეულს სუპერმარკეტების დიდ ქსელზე ან გააქვთ საექსპორტოდ საზღვარგარეთ, მაგალითად, როგორცაა ქართული ორგანული ღვინო, რომელიც ევროპის ქვეყნებში გადის. ძალიან ბევრი ფერმერი იყენებს დაბალი შემცველობის ქიმიკატებს მცენარეების მოყვანასა და მეცხოველეობაში, რადგან სწორ შემთხვევაში, ის უფრო იაფია ვიდრე ქიმიური სასუქების შექმნა, ჰერბიციდები. ქართველი ფერმერების უმრავლესობა საქონელს ადგილობრივ ბაზარზე ასაღებს. საქართველო ახორციელებს საკვების დიდი ნაწილის იმპორტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, არადა არსებობს ადგილობრივი წარმოების გაზრდის ძალიან კარგი პოტენციალი. ორგანული პროდუქტებით ვაჭრობა არ იწყება ფერმერების მიერ ორგანული საკვების წარმოებით ან საქართველოს მთვრობის მიერ ორგანული საკვების წარმოების მოთხოვნით. ორგანული საკვებით ვაჭრობა იწყება ინფორმირებული საზოგადოებით, რომელსაც სურს ორგანული საკვების შექმნა, რადგან ის უფრო ჯანსაღია მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. ეს ასე ხდება ევროპასა და ამერიკაში. პირველად იწყება კლიენტების მიერ ჯანსაღი საკვების მოთხოვნა, ხოლო ამის შემდეგ ფერმერები იწყებენ ორგანული საკვების წარმოებას. მთავრობა, არაკომერციული ადგილობრივი ორგანიზაციები და ბიზნესები იწყებენ დახმარების გაწევას. ეს გრძელი გზაა. მთავარ დაბრკოლებას საქართველოში დღეს წარმოადგენს ის, რომ ორგანულ საკვებზე მოთხოვნა დაბალია და ცოტაა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ ოდნავ მეტი თანხა ორგანულ საკვებში. თუმცა საქართველოში ეკონომიკა ვითარდება, იზრდება საშუალო და ზედა საშუალო ფენა, რომელიც წარმოადგენს იმ პოტენციურ ჯგუფს, რომელიც შეიძენს ორგანულ პროდუქციას მომავალში.

ბიომეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის არსებობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროსტანდარტებთან. ამჟამად მოქმედებს საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების“ განხორციელების შესახებ, რომელიც

აწესრიგებს საქართველოში ბიოლოგიური მეურნეობის მოწოდებას, მართვას, ბიოპროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, რეალიზაციას, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. დღეს ჩვენს ქვეყანაში იმის შეფასებას, არის თუ არა პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქციის სერტიფიცირების ორგანო “კავკასსერტი” ახორციელებს. “კავკასსერტი” აკრედიტებულია გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს DAP-ის მიერ და მისი ბიოსერტიფიკატს კანონიერი ძალა აქვს მთელს ევროკავშირში. საქართველოს მასშტაბით ჯერჯერობით მას მხოლოდ 35 კლიენტი ჰყავს, მათ შორის სჭარბობენ მეღვინეები თუმცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის დამზადებაში ჩართული მეწარმეები, თვლიან, რომ ეს დარგი საქართველოში განვითარების ეტაპზეა და დიდი პერსპექტივა აქვს. [1]

“კავკასსერტი” პროდუქტის შეფასებას რამდენიმე კომპონენტის მიხედვით ახდენს. კავკასსერტის სერტიფიცირების სისტემა ითვალისწინებს ბიოწარმოების პროცესის ყველა საფეხურის სერტიფიცირებას და რათა გამოირიცხოს სტანდარტების მოთხოვნების დარღვევა. ბიოწარმოების სისტემის ინსპექტირება იწყება პირველადი წარმოებიდან, სადაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მოიცავს საცავეებს, საწყობებს, სადაც ხდება მოსავლის პირველადი დამუშავება და დასაწყობება. ინსპექტირების პროცესი გრძელდება გადამამუშავებულ საწარმოებში, სადაც პროდუქცია მუშავდება და მიიღება საბოლოო პროდუქტი. სერტიფიცირება ასევე მოიცავს საცალო მაღაზიებს, სადაც პროდუქტი საბოლოო მომხმარებელს მიეწოდება. ბიოწარმოების პროცესის ყველა საფეხურზე ჩატარებული შემოწმებები იძლევა გარანტიას იმისა, რომ ბაზარზე Green Caucasus-ის ნიშანდებით გამოტანილი პროდუქტი ნამდვილად ბიოლოგიურია.

ჩვეულებრივი წარმოებიდან ბიოწარმოებაზე გადასვლა დროსთანაა დაკავშირებული: გარდამავალი პერიოდი ერთწლიანი კულტურებისათვის არის 2 წელიწადი, ხოლო მრავალწლიანი კულტურებისათვის 3 წელი. მეცხოველეობის შემთხვევაში, გარდამავალი პერიოდი თითოეული კატეგორიის პროდუქტებისათვის დადგენილია ინდივიდუალურად. ბიოწარმოებაში მეცენარეობის და მეცხოველეობის დარგში დასაშვებია მხოლოდ სტანდარტით ნებადართული საშუალებების და მეთოდების გამოყენება.

მცენარეული ბიოპროდუქტის წარმოებისას მიწის და მცენარის დამუშავება ძირითადად მცენარეული და ცხოველური ნარჩენების გამოყენებით ხდება. ნიადაგის ასეთი გზით დამუშავებისას უმჯობესდება მისი ფიზიკური თვისებები და მინერალური შემადგენლობა. მავნებლებისა და დაავადებების კონტროლი ხდება მათ მასპინძელ მცენარეებსა და ბუნებრივ მტრებთან ურთიერთდაბალანსებით, სასარგებლო მწერების პოპულაციის ზრდით, ასევე, მავნებლებისა და მცენარეების დაზიანებული ნაწილების მოშორებით.

ამ სტანდარტების დაცვიდან გამომდინარე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანა გაცილებით რთულია და ძვირი ჯდება, რაც საბოლოოდ პროდუქტის ფასზეც აისახება. მეწარმეთა დიდი ნაწილის შეფასებით, „ვისაც დიდი მიწა აქვს, მათთვის წარმოუდგენელია იმდენი ბუნებრივი საშუალების შოვნა, რაც ამ მიწას ეყოფა. სოფლებში ყველგან იყოლება ქიმიური საშუალებები, რომლებიც უფრო იაფია და მოსავალიც მეტი მოდის“. ამასთან, ვიზუალურად ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტის სხვა პროდუქტისგან გამორჩევა შეუძლებელია და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის ხარისხს მხოლოდ სასერტიფიკაციო ორგანო ადგენს. აქედან გამომდინარე, ფერმერთა მოტივაცია შედარებით მცირეა. ბიოფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის კი აუცილებელია მაღალი ხარისხი, შესაბამისი კვალიფიკაცია და კარგი მოტივაცია ფერმერების მხრიდან. [2]

სახელმწიფოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მომხმარებლის ინფორმირება-განათლების სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციები. მეტად მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება უკვე არსებული ბიომეურნეობების (მაგ.: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას, ბიო ორგანიკ ჯორჯიას და სხვ.) გამოცდილების და მათი საგანმანათლებლო ინიციატივების შესახებ.

ბიოფერმერები საკმაოდ დიდი რისკის წინაშე დგანან, ამას ემატება ისიც, რომ სუსტია სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემა. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო იტვირთავს მასტიმულირებელ ფუნქციას ბიოპროდუქტის მწარმოებელი ფერმერებისთვის. ეს შექმნის მოტივაციას, რომ ფერმერმა შეინარჩუნოს მიწის ბიოქიმიის თავისი ორგანულობით და აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

საქართველოს ეკონომიკის პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესია აგრობიზნესის განვითარება. დღეს საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 16,2%-ია გამოყენებული სახნავსა და

მრავალწლიანი ნარგავებისათვის. მოსახლეობის ერთ სულზე 0,15 ჰა სახნავი მოდის. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70% ფერმერია, ფერმერობა მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში, მაგრამ საჭიროებს მთავრობის სრულ მხარდაჭერას. სოფლებს სჭირდებათ ეკონომიკური შესაძლებლობები, რომ მოსახლეობამ არ დატოვოს ეს ადგილები და არ გადასახლდნენ ქალაქებში ან სხვა ქვეყნებში. საქართველოსთვის აუცილებელია სოფლების დახმარება, როგორც ეკონომიკური ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით. ერი, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი თავის გამოკვებას, დაუცველი ერი.

არსებობს ძალიან საინტერესო ევროპული სტატისტიკა: კრიზისის ფონზე ევროპაში ერთადერთ მზარდ ბიზნესად ბიოლოგიური პროდუქციის წარმოება დარჩა. პარადოქსია: თითქოსდა, ადამიანს უფრო უნდა უჭირდეს, ამ დროს კი იგი პრაგმატულად ფიქრობს და მიიხრევა, რომ სჯობია იყიდოს ძვირი პროდუქტი, მიირთვას ნაკლები, მაგრამ ხარისხიანი, ვიტამინებით სავსე, ვიდრე იყიდოს ბევრი და უხარისხო. დიდია მოწამლის რისკიც. რასაკვირველია, ხარისხიანი პროდუქტი ნიშნავს ჯანმრთელობას, უხარისხო - ექიმთან ვიზიტს, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში საკმაოდ ძვირი ჯდება. სტრატეგიულად და გლობალურად კი ეს ნიშნავს კაცობრიობის გადარჩენას. თუ მას არ გაუფრთხილდებით და მკვდარი ინსტრუმენტივით მოვეპყრობით, არაფერი არ გამოგვივა... მიწა არის ცოცხალი არსება! არ შეიძლება ცოცხალ არსებას მიუდგე აგრესიულად, გულგრილად... ჩვენი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, სადაც თითოეული მტკაველი გასათვალისწინებელია, სადაც არის უნიკალური ჰავა, მოსახლეობა, სხვა მეთოდით მცენარეების გაზრდა, უბრალოდ, არც შეიძლება... ყველაზე დიდი ძვირფასეულობა ადამიანისა და ქვეყნის ცხოვრებაში არის მიწა, რისი გულისთვისაც ადამიანი სისხლს, ოფლს ღვრის. თუ მიწას გაუფრთხილდები, ის გაჭმევს, გასმევს, ბუნებასთან აბსოლუტურ ჰარმონიაში გამყოფებს...

როცა ქართულ სოფელზე ვლაპარაკობთ, ორიენტაცია უნდა ავიდეთ, ეკოლოგიური, მდგრადი პრინციპების განვითარებაზე, XXI საუკუნის სოფელზე. საქართველომ უნდა გადახედოს სხვა მსგავსი ქვეყნების კანონებსა და კანონმდებლობას, რომლებმაც დაიწვეს საკვების უსაფრთხოებაზე მუშაობა, გამოიყენოს მათი გამოცდილება. უნივერსიტეტებმა უნდა მოამზადონ შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიონალები, საჭიროა გაფართოვდეს თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან მდგრადი აგრარული წარმოებისა და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში ბიომეურნეობების განვითარებისთვის აუცილებელია:

1. **ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება:** ფერმერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას ბიომეურნეობის, ბიოპროდუქტის შესახებ, შეეძლოს განსაზღვრა რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს, როგორ უნდა მოხდეს მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა და ა.შ.
2. **გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს მხარდაჭერა:** მსურველმა ფერმერებმა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ კონვენციური (ტრადიციული) მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დრო და ფინანსური რესურსები ესაჭიროება, ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარკვეული შეღავათები სახელმწიფოს მხრიდან.
3. **სერთიფიცირების შესაძლებლობა:** ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის მიერ ყველა წესის დაცვით მოყვანილ ბიოპროდუქციას არ შეექმნება რეალიზაციის პრობლემები, იქნება სერთიფიცირებული და ზოგადად არ დადგება ეჭვქვეშ მისი ორგანულობა.
4. **რეალიზაციაში ხელშეწყობა:** ფერმერისათვის დამოუკიდებლად რთულია სხვაქვეყნის ბაზარზე ადგილის დაკვიდრება, ერთპიროვნულად დაკავშირება უცხოეთში სავარაუდო მყიდველთან, კონტრაქტების გაფორმება და ექსპორტთან დაკავშირებული რთული პროცედურების მოგვარება. ყველაფერ ამაში მას სერიოზული დახმარება ესაჭიროება.
5. **ფერმერულ მეურნეობებში მომუშავეთათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა:** ბიომეურნეობაში ისეთი პირობების შექმნა, რომ დასაქმებულებს საშუალება მიეცეთ დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნები, იმუშაონ ჯანსაღ გარემოში, მიიღონ თავიანთი შრომის ადეკვატური ანაზღაურება და შესაბამისად შექმნან მაღალი ხარისხის პროდუქცია;
6. **ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება:** სოციალურად და ეკოლოგიურად გამართლებული წარმოების, გადაამუშავებისა და დისტრიბუციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
7. **ბიოლოგიური ციკლების გაძლიერება:** ბიოაგროწარმოების პროცესში ბიოლოგიური ციკლების (მიკროორგანიზმების, ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის, მცენარეთა და ცხოველთა ჩათვლით) გაფართოებისა და გაძლიერების ხელშეწყობა;

8. **რესურსების გამოყენება:** წარმოებასა და გადამუშავების სისტემაში განახლებადი რესურსების შეძლებისდაგვარად ფართოდ გამოყენება.

ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. საქართველოს მთავრობამ აგროსექტორის განვითარება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარა. შემუშავდა ქვეყანაში აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, (იხ. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული ერთიანი საქართველოსთვის“) რომლის განხორციელების ფარგლებში: დარეგულირდება მიწათსარგებლობის საკითხები; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით; მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; გაიზრდება აგრარულ სექტორში მწარმოებლურობა, რენტაბელურობა და კონკურენტუნარიანობა; გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები; ჩამოყალიბდება აგრარული განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა; ქართული პროდუქცია დაბრუნდება შიდა ბაზარზე; [3]

იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს საერთაშორისო ბაზარზე; მოხდება რეგიონებში ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება; გაუმჯობესდება რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად, უახლოეს წლებში, აგროსასურსათო სექტორში შეიქმნება რამდენიმე ათეული ათასი საშუალო ადგილი დაქირავებით დასაქმებულთათვის; გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს და შემცირდება ფარული უმუშევრობა სოფლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.caucascert.ge/index.php?lang=ge>
2. <http://www.netgazeti.ge/GE/105/business/18740/>
3. საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=E&sec_id=68
4. <http://www.elkana.org.ge/standard.php>

GIULI GIGUASHVILI

Gori Teaching University, Full Professor

MAIA AZMAIPARASHVILI

Gori Teaching University, Associate Professor

ORGANIC FARMING AND THEIR ROLE IN THE DEVELOPMENT OF AGRIBUSINESS

S u m m a r y

The paper presents the development of organic farming in agribusiness. Georgia, with its unique natural conditions, has a good opportunity to become a major manufacturer of organic and competitive exporter. Based on the analysis of the mechanisms proposed to be essential for the development of organic farming in Georgia.

შოთა გონგლაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დარგობრივი განვითარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტი

შიდა ქართლში შაქრის ჰარხლის წარმოების პერსპექტივა და რეგიონული განვითარების შესაძლებლობა

დღეისათვის გლობალურ საბაზრო სივრცეში მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ეს საკითხები იქნა განხილული გაერთიანებული ერების სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 2012 წლის 24 იანვარის თემატურ ფორუმზე, რომელიც ბრაზილიაში გაიმართა.

საქართველოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის ეს საკითხი კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც ქვეყნის განვითარების და წინსვლისათვის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა, იმპორტირებული სასურსათო

პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების სასურსათო პროდუქტებით ქვეყანას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

ადამიანის საკვებად გამოყენებული მეტად მნიშვნელოვანი პროდუქტი – შაქარი მიიღება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურების – შაქრის ლერწმისა და შაქრის ჭარხლის გადამამუშავებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის №111/6 ბრძანების “საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ” თანახმად 100 გრ. შაქარი 379.0 კკალ-ს წარმოადგენს, ხოლო საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმების და ნორმატივების მიხედვით მოხმარებული შაქრის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 10%-ს.

შაქრის სამრეწველო წარმოების ისტორია საქართველოში. შაქრის წარმოებას მსოფლიო მასშტაბით საფუძველი პირველად ინდოეთში ჩაეყარა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში შაქრის ლერწმისგან პირველად მიიღეს ტკბილი ფხვნილი – შაქარი.

საქართველოში შაქრის ლერწმის მოშენების პირველი ცდები მე-19 საუკუნეში ალაზნის ველზე ჩატარებულა, რაც საიმედო არ აღმოჩენილა. 1925 წლიდან საქართველოში დაიწყო კვლევები შაქრის ჭარხლის წარმოებისა და მისგან შაქრის მისაღებად კვლევები ტარდებოდა ქვემო და შიდა ქართლის რაიონებში მოწვეულ შაქრის ჭარხალზე. საქართველოს მთავრობას მიუღია რა გადაწყვეტილება შაქრის ქარხნის აშენების შესახებ, უზრუნია კიდევ სათანადო ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. 1932 წელს შაქრის ქარხნის შესახებ პროექტი დაუცავს აკაკი გახოკიძეს და სავარაუდოდ ეს პროექტი დაედო საფუძველად ქარელის რაიონის დაბა აგარაში შაქრის ქარხნის მშენებლობას. ეს ერთადერთი საწარმოა საქართველოში, რომელიც აწარმოებს თეთრ შაქარს. იგი განლაგებულია 29 ჰა მიწის ფართობზე. ქარხანა დაარსების დღიდან (1932 წელი) აწარმოებს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი ნორმების შესაბამის თეთრ შაქარს (შაქრის ფხვნილს). 1995 წლამდე შაქარი იწარმოებოდა ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხლის გადამამუშავებით და მისი წლიური მოცულობა 10-12 ათას ტონას შეადგენდა.

1931-1985 წლებში შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი საქართველოში ყოველწლიურად 5000 ჰა-ს აღემატებოდა და მოჰყავდათ შიდა ქართლის რაიონებში (ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის) და სამაჩაბლოს (ცხინვალის) დაბლობ ზოლში. მისი საშუალო მოსავალი ჰა-ზე დასაწყისისათვის საკმაოდ დაბალი იყო და 13 ტონას არ აღემატებოდა. 80-იანი წლებისთვის საჰექტარო მოსავალი 50-60 ტონას აღწევდა, ცალკეულ მეურნეობებში კი ეს მაჩვენებელი 70 ტონაზე მეტს შეადგენდა.

წარმოებაში არსებული მგდომარეობა. ქვეყანაში შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის 60-65 წლიანი გამოცდილებისა და 90-იან წლებში განვითარებული მოვლენებისას საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ, ვინაიდან დღესდღეობით საქართველოში შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობები არ არსებობს, 1995 წლიდან თეთრი შაქარი იწარმოება შაქრის ლერწმის პირველადი გადამამუშავებით მიღებული ნედლეულის (ნახევარფაბრიკატის) გადამამუშავების გზით, რომელსაც ქარხანა შეისყიდის მსოფლიო სასაქონლო/საფონდო ბირჟებზე. იმპორტირებული ნედლეული ძირითადად ბრაზილიიდანაა. ქარხანაში შაქრის წარმოება მიმდინარეობს უწყვეტ ციკლად 24 საათიან რეჟიმში და დასაქმებულია საშუალო რიცხვი 520-550 ფარგლებში მერყეობს. უმეტესად დასაქმებული არიან დაბა აგარის, ქარელის და ხაშურის რაიონების სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქარხნის წლიური წარმადობა 150-160 ათას ტონა თეთრ შაქარს შეადგენს. 2011 წელს საწარმოს შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში 29 მლნ. ლარამდგა. საწარმოში დანერგილია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2008. ყოველწლიურად მიმდინარეობს რამდენიმე მილიონიანი ინვესტიციების განხორციელება საწარმოს ტექნიკურ გადაიარაღებაზე. მიუხედავად ამ მონაცემებისა საწარმოს მიღებული აქვს მძიმე მემკვიდრეობა, რაც გამოიხატება, ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანა-დანადგარების და შიდა ინფრასტრუქტურის არსებობაში. საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია მოიხმარება მხოლოდ საქართველოს შიდა ბაზარზე. საქონლის ექსპორტის შესაძლებლობები პრაქტიკულად ნულის ტოლია, ვინაიდან ყველა მოსაზღვრე ქვეყნებში ფუნქციონირებენ ახლად გახსნილი შაქრის ქარხნები, რომელთა საწარმოო დანაკარგები (შაქარზე) გაცილებით დაბალია, ამასთან მოიხმარენ შედარებით იაფფასიან ენერგო რესურსებს. ყოველივე აქედან გამომდინარე აგარის შაქრის ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქცია საექსპორტოდ არაკონკურენტუნარიანია,

ამასთან ყველგან დაწესებულია შაქრის შეტანის როგორც ადმინისტრაციული ბარიერები, ასევე მაღალი საიმპორტო გადასადები. აღსანიშნავია აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში უკრაინის შაქრის წარმოების უდიდესი სამრეწველო პოტენციალი, რომელიც იმ დროისათვის ქვეყნის მოთხოვნის 95%-ს უზრუნველყოფდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში რეგიონში არსებული ქარხნისათვის, ადგილობრივი წარმოების ნედლეულის (შაქრის ჭარხლის) იმპორტირებული ნედლეულით ჩანაცვლებას, შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობების შემცირებასთან ერთად, თან ერთვოდა მსოფლიო სასაქონლო/საფონდო ბირჟებზე შაქრის ლერწმის პირველადი გადამუშავებით მიღებული ნედლეულის კონკურენტუნარიანი ფასი, ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფერმერების მიერ წარმოებულ შაქრის ჭარხალთან მიმართებაში. 2009 წლიდან მსოფლიოში დაიწყო შაქრის ლერწმიდან მიღებული ნედლეულის ეთანოლში გამოყენება, რამაც ბუნებრივია გამოიწვია მისი ფასის ზრდა.

შაქრის ჭარხლის წარმოების პერსპექტივა. 2011 წელს ჩატარებულმა, ამ სფეროში არსებული მდგომარეობის ეკონომიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ შაქრის ჭარხლის დათესვის შემთხვევაში ადგილობრივი შაქრის ჭარხლის გადამუშავებით მიღებული თეთრი შაქარი კონკურენტუნარიანი იქნება შაქრის ჭარხლისგან მიღებულ იმპორტირებულ შაქართან მიმართებაში, ეს მაშინ, როდესაც იმპორტის საბაჟო განაკვეთი 12%-ს შეადგენდა 2011 წელს გაკეთებული გაანგარიშების მომენტისთვის. 2012 წლის ბოლოდან დღეს-ს ქვეყნიდან (რომლის წევრიც საქართველო 2009 წლიდან აღარ არის) საქართველოში შაქრის იმპორტი აღარ იბეგრება საიმპორტო გადასახადით.

შაქრის წარმოების დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოებს შიდა წარმოების ხელშეწყობის მიზნით დაწესებული აქვთ იმპორტზე რიგი შეზღუდვები და ბარიერები, რაც გამოიხატება იმპორტზე გადასახადების დაწესებით, ასევე იმპორტის კვლირებით. გარდა ამისა ქვეყნის მთავრობები დებულობენ გადაწყვეტილებებს ამ დარგის განვითარების გრძელვადიანი პროგრამების სახით. კერძოდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმეტესი ქვეყნები – ბელარუსი, ყაზახეთი, რუსეთი – ადგენენ უკრაინიდან იმპორტირებულ თეთრ შაქარზე გადასახადს 1 ტონაზე 340 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან თვით უკრაინაც იცავს თავის ბაზარს ამ პროდუქტზე საბაჟო გადასახადის დაწესებით, რომლის ოდენობაც საქონლის ღირებულების 50 %-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის მონაცემების მიხედვით უკრაინას ჰქონდა თეთრი შაქრის ჭარბწარმოება 300 ათასი ტონის ოდენობით და ეძებდა გასაღების ბაზრებს. უკრაინის მინისტრთა კაბინეტის 2004 წლის 14 აპრილის №473 დადგენილებით და მასში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად “საქართველოდან და რუსეთის ფედერაციიდან შაქრის და შაქრის სეროფების თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან დროებით ამოღების შესახებ” განისაზღვრა, რომ ამ საქონლის იმპორტი უკრაინაში იბეგრება ზემოაღნიშნული (50%) განაკვეთით, არანაკლებ 300 ევრო 1 ტონაზე, რითაც ფაქტობრივად, ცალმხრივად ეს პროდუქტი შეიტანეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამონაკლისებში.

ცალკეული სახელმწიფოების მიერ ამ დარგის საწარმოებისათვის დადგენილი ხელშეწყობის ღონისძიებების შესაბამისად წარმოებული შაქარი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ პროდუქტის თვითღირებულებას და ხელს უწყობს გარე ბაზარზე ექსპორტიორი საწარმოების აგრესიულ პოლიტიკას, რაც ერთის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანაში დაბალი ხარისხის და იაფი საქონლის შემოდინებას, ხოლო მეორე მხრივ მნიშვნელოვნად იზღუდება ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობები და საფრთხე ექმნება უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტას.

ადგილობრივი შაქრის ჭარხლის გადამუშავებით მიღებული თეთრი შაქრის კონკურენტუნარიანობა პირველ რიგში ნიშნავს ფერმერის მიერ წარმოებული შაქრის ჭარხლის თვითღირებულებისა და სარეალიზაციო ფასის კონკურენტუნარიანობას, იმ ქვეყნების ფერმერების დანახარჯებსა და ფასთან მიმართებაში, რომლებიც შაქრის ჭარხლის გადამუშავებით მიღებული თეთრი შაქრის ძირითადი ექსპორტიორები არიან საქართველოში. გაანგარიშებებში დაგეგმილი საშუალო საპროცენტო მოსავლიანობა აღებულია 55 ტ/ჰა-ზე. ამ მაჩვენებელს ყოფილი საბჭოთა ქვეყნებში თავისუფლად აღწევენ, მაშინ როდესაც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა 70-80 ტონა ჰა-ზე ყოველწლიურად ფიქსირდება, ხოლო მოსავალში შაქრის შემცველობა 17-19 %-ს და მეტს შეადგენს. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებში შაქრიანობის მაჩვენებელიც დაბალია და 14-17 %-ის ფარგლებში მერყეობს.

გაანგარიშების მიხედვით, შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით 1 ტონა ჭარხლის თვითღირებულება 55 ტ/ჰა მოსავლისას 77.6 ლარს (დღგ.-ის ჩათვლით), ხოლო სარეალიზაციო ფასი (17%-იანი შაქრიანობისას) 107.8 ლარს (დღგ.-ის ჩათვლით) შეადგენს, რაც როგორც ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა ადგილობრივი შაქრის ჭარხლის გადამამუშავებით მიღებულ თეთრ შაქარს კონკურენტუნარიანსხდის, შაქრის ჭარხლისგან მიღებულ იმპორტირებულ შაქართან მიმართებაში, მისი იმპორტისას 12 %-იანი საბაჟო განაკვეთის შემთხვევაში.

ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხლის შექმნა შაქრის ლერწმიდან მიღებული ნედლეულის (ე.წ. სირეცი) იმპორტთან შედარებით გადამამუშავებელ ქარხნას დაუჯდება 1 ტონაზე 161.4 აშშ დოლარით ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ 50 კგ-იანი ტომრის ფასი დაახლოებით 15.8 ლარით ნაკლები იქნება. გაანგარიშების მიხედვით ფასის ეს სხვაობა მაშინ ფიქსირდება, თუ ქარხანა ნედლეულს მაისის თვეში დაფიქსირებული ფასით შეიძენს. ამ დროს შაქრის ლერწმის მოსავალსდებულობენ და ფასიც ყველაზე დაბალია. თუ ქარხანა სექტემბრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხალზე იმუშავებს სხვაობა იმპორტირებულ და ადგილობრივ ნედლეულს შორის გაიზრდება, რადგან ამ პერიოდში მსოფლიოსასაქონლო/საფონდო ბირჟებზე შაქრის ლერწმისაგან მიღებული ნედლეული ფასი მაღალია.

ქარხნისათვის კი ამ თვეების იმპორტის ჩანაცვლების ხარჯზე დანაზოვი, ანუ ყოველწლიურად (სექტემბერი-დეკემბერი იმპორტის) გამოთავისუფლებული კაპიტალი დაახლოებით 6.0 მლნ. აშშ დოლარამდეა, ეს კი ქარხანას საშუალებას აძლევს განახორციელოს ინვესტიცია და შეიძინოს შაქრის ჭარხლის გადამამუშავებისათვის საჭირო დანადგარები, რომლებიც ქვეყანაში 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად აღარ არსებობს.

ამავე გაანგარიშების მიხედვით შაქრის ჭარხლის მარჟინალური მოგება 1 ჰა-ზე 1600 ლარი იქნება (17%-იანი შაქრიანობისას), რაც ადგილობრივ ფერმერს მისცემს ამ კულტურის მარცვლულ კულტურებთან თესლბრუნვაში თესვის საშუალებას, პირველადი წარმოების პროდუქციის რეალიზაციის მყარი გარანტიით. ამ სფეროში მსოფლიოში არსებული გამოცდილებით შაქრის ჭარხლის მწარმოებელი ფერმერები უკვე სამეურნეო წლის დასაწყისში გადამამუშავებელი ქარხნიდან ღებულობენ კვოტებს, ხოლო ქარხანა ნედლეულის შექმნის ღირებულებას იხდის ჭარხლის ძირხვენებში შაქრიანობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, გაანგარიშების მიხედვით შაქრის ჭარხლის მარჟინალური მოგება 1 ჰა-ზე (55 ტ/ჰა) დაახლ. 2000 ლარიდან 210 ლარამდე მერყეობს ჭარხლის მოსავალში შაქრის შემცველობის სხვადასხვა პროცენტის მიხედვით – 18%-13%.

შიდა ქართლის რეგიონული განვითარების შესაძლებლობა. შაქრის ჭარხლისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული წინამორბედია საშემოდგომო ხორბალი. მისი ნაწვერალი შედარებით სუფთაა სარეველებისგან, ხორბლის აღების შემდეგ შესაძლებელია ნიადაგის ნაადრევად – მზრალად მოხენა და გაზაფხულზე მისი კარგად მომზადება. თვით შაქრის ჭარხალი, როგორც სათონი მცენარე, წარმოადგენს საუკეთესო წინამორბედს თესლბრუნვაში თავთავიანი კულტურებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ასევე მომდევნო კულტურების მოსავლიანობის ზრდას. ამასთან ჭარხალი მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგს ტოვებს გაფხვიერებულსა და სარეველებისგან გასუფთავებულს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შიდა ქართლში ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 30 ათას ჰა-ს აღწევს. ნათესი ფართობების სიდიდის მიხედვით პირველ ადგილზე ხორბალია, მას მოჰყვება ქერი, სიმინდი, ბოსტნეული და სხვა დანარჩენი კულტურები. თუ შევადარებთ დასახელებული კულტურების მარჟინალურ მოგებებს 1 ჰა-ზე გაანგარიშებით, ბუნებრივია აქ ბოსტნეული ლიდერობს, ხოლო ხორბალი (1000 ლარი/ჰა), ქერი (800 ლარი/ჰა) და სიმინდი (1800 ლარი/ჰა) ის კულტურებია, რომლებთანაც თესლბრუნვაში შაქრის ჭარხლის (1600 ლარი/ჰა) 17%-იანი შაქრიანობისას) თესვა ფერმერისთვის ეკონომიკურად გამართლებული იქნება.

ქარხნის მიერ შაქრის ლერწმისგან მიღებული ნედლეულის იმპორტის ოდენობა (სექტემბერი-დეკემბერი თვეების იმპორტი) შეადგენს დაახლ. 20 მლნ. აშშ დოლარს. ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხლის შესყიდვა ნიშნავს ყოველწლიური იმპორტის ამავე რაოდენობით შემცირებას და რეგიონში ჭარხლის ნედლეულის პირველად წარმოებაზე დახარჯულ ფულს.

აგარის შაქრის ქარხანას შეუძლია სექტემბრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით იმუშაოს ადგილობრივად წარმოებულ იაფ ნედლეულზე და გადაამუშაოს 250-270 ათასი ტონა წელიწადში. ამ რაოდენობის ჭარხლის მოყვანა შესაძლებელია დაახლოებით 5000 ჰა ფართობზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში (შიდა ქართლი) შაქრის

ჭარხლის ნათესი ფართობი ყოველწლიურად 5000 ჰა-ს აღემატებოდა. მსოფლიოს გამოცდილებით სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში უკეთესი შედეგების მისაღებად შაქრის ჭარხლის კულტურას ფერმერები 4 წლიანი ინტერვალით თესავენ. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ყოველწლიურად 5000 ჰა-ზე შაქრის ჭარხლის სხვა ერთწლიანი კულტურებთან თესლობრუნვაში დასათესად დაახლოებით 4-ჯერ მეტი ფართობია საჭირო, რაც სრულიად შესაძლებელია შიდა ქართლის რეგიონში ხორბლის, ქერის და სიმინდის ჯამური ნათესი ფართობების გათვალისწინებით.

დამატებით შეიძლება ითქვას, რომ შაქრის ჭარხლის ძირების გადამუშავების შედეგად მიიღება ანარჩენი დურდოს სახით (ე.წ. უომი), რომელიც წარმოადგენს პირუტყვის საუკეთესო წვნიან საკვებს, რაც აუცილებლად ჩაანაცვლებს გომის სპირტის ქარხნის გადამუშავებული ნედლეულის ანარჩენს (ე.წ. ნახადი), რომელსაც დღეს მოსახლეობა იყენებს პირუტყვის საკვებად და რომელიც ცხოველთა ჯანმრთელობის კუთხით არა რეკომენდირებულია. დურდოსთან ერთად მიიღება ასევე ბადაგი, რომელიც 50 %-მდე შაქარს შეიცავს და საუკეთესო ნედლეულია სპირტის წარმოებისათვის. გადამუშავების ამ პროდუქტებიდან მიღებული სარგებელი პროექტში ასახული არ არის, თუმცა იგი წარმოადგენს გარკვეულ შემოსავალს ქარხნისთვის. შაქრის ჭარხალი იძლევა ანარჩენს ფოთლის სახით, რომელიც მოსავლის მექანიზირებულად აღებისას ნათეს ფართობში რჩება, რაც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც პირუტყვის საკვებად, ასევე ნიადაგში დარჩენილ ორგანულ მასად.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შეიძლება ვისაუბროდ მის ეკონომიკურ სტაბილურობაზე, იქიდან გამომდინარე, რომ შაქრის ღერწმიდან მიღებულ ნედლეულზე ფასი 35-40%-ით უნდა შემცირდეს, რაც ნაკლებად სავარაუდოა (2009-2011 წლების მონაცემებით), რომ ქარხნისთვის არ იყოს საინტერესო ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხლის შექენა.

პროექტის შემაფერხებელი ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს მიწის ფართობების მაღალი სეგმენტაცია, რაც დასაწყისისათვის გაართულებს ფართობების სრულ ათვისებას (ასევე ზრდის დამუშავების და გადაადგილებისათვის გაწეულ ხარჯებს). აქ მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას კოოპერირების მექანიზმი. შემაფერხებელი ფაქტორია ასევე შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე მეთოდების ცოდნის დეფიციტი, რომლის დაძლევაც შესაძლებელია.

გაანგარიშებიდან გამომდინარე პროექტი ეკონომიკურად გამყარდება, თუ მოხდება ფერმერის მიერ 1 ჰა-ზე გაწეული დანახარჯებიდან მექანიზაციაზე დანახარჯების შემცირება, რაც ჩვენ შემთხვევაში ორჯერ მაღალია (ანგარიშში აღებულია შპს „მექანიზატორის“ მომსახურებების ღირებულებები) სხვა ქვეყნების ანალოგიურ გაანგარიშებასთან შედარებით. ეს კი შესაძლებელია პირველ რიგში მომსახურების ფასების დარეგულირებით, ან საკუთარი ტექნიკის ჩანაცვლებით, რაც ფერმერთა კოოპერირებით მიღწევადია. რეზერვია ასევე ჭარხლის საშუალო მოსავლიანობის ზრდაში, არა მასში შაქრიანობის შემცირების ხარჯზე.

რაც შეეხება შაქრის ჭარხლის მექანიზირებულ ამოღებას, შესაბამისი კომბაინი საქართველოში ბუნებრივია არ არსებობს. მოსავლის ხელით ამოღება, როგორც ეს საბჭოთა მეურნეობებში ხდებოდა, გააძვირებს წარმოების ცვლად დანახარჯებს. ყოველწლიურად ათასი ჰა-ზე შაქრის ჭარხლის მოსავლის ასაღებად ქვეყანაში 4-5 თანამედროვე ჭარხლის ამღები კომბაინია საჭირო. მიუხედავად კომბაინის მაღალი ღირებულებისა (400 ათას ევრომდე 1 ცალი), გარანტირებულად აღნიშნულ ფართობზე მოსავლის აღების შემთხვევაში, ქვეყნის სასოფლო-სამეურნე ტექნიკის პარკში ამ კომბაინების შემოყვანა გრძელვადიანი დაგეგმარებისთვის გამართლებული იქნება, როგორც ეკონომიკურად, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

მსოფლიოს გამოცდილებით შაქრის ჭარხლის ადგილობრივი წარმოებას მწარმოებელი სახელმწიფოები ანიჭებენ არა მარტო ეკონომიკურ მნიშვნელობას, არამედ განხილავენ, როგორც რეგიონში (იმ რეგიონში, სადაც გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს) სოფლად დასაქმების ხელშეწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობად. შაქრის ჭარხლის მოყვანა და მისი გადამამუშავება 2010 წელს განაახლა სომხეთმა, ხოლო უფრო ადრე აზერბაიჯანმა. აზერბაიჯანში არსებული შაქრის ქარხნის წარმადობა (2000-2500 ტ/დღე) 4-5-ჯერ მეტია აგარის შაქრის ქარხნის წარმადობაზე (500-600 ტ/დღე). სახელმწიფოს მხრიდან ამ პროდუქტის იმპორტზე შეზღუდვებისა და ბარიერების შემოღების გარეშე, შეუძლებელია ქვეყანაში შაქრის ჭარხლის წარმოების განახლება. დღეს არსებული შაქრის წარმოება იმპორტირებული ნედლეულის გადამამუშავებით ნაკლებად კონკურენტუნარიანია, იმ იმპორტიორი ქვეყნების შაქართან, რომლებსაც

შაქრის ჭარხალი მოჰყავთ და მის გადამუშავებას, ჩვენთან შედარებით იაფი ენერგო რესურსებით ახდენენ. (მაგ.: მეზობელი აზერბაიჯანი).

სახელმწიფოსა და აგარის ქარხნის მხრიდან დაგეგმილი ღონისძიებებით წინასწარ უნდა განისაზღვროს რა პერიოდში (რამდენ წელში) იქნება მიღწევადი რეგიონში ყოველწლიურად სტაბილურად 5000 ჰა ფართობზე შაქრის ჭარხლის თესვა, ანუ/ან 250-270 ათასი ტონა შაქრის ჭარხლის ქარხნისათვის სტაბილურად მიწოდება.

SHOTA GONGLADZE

*Ministry of Agriculture of Georgia, Deputy Head of the Division Sectoral Development
Department of Agriculture and Food*

**PERSPECTIVES OF SUGAR BEET PRODUCTION AND POSSIBILITY
OF REGIONAL DEVELOPMENT IN SHIDA KARTLI**

S u m m a r y

Georgia has 60-65 years of experience in sugar beet growing; White sugar obtained by the processing of local sugar beet is competitive in compare with imported sugar obtained from sugar beet, when selling price of 1 ton of sugar beet (sugar content is 17 %) is 107,8 GEL (including VAT);

Processing factory in the region, can presses cheap, local raw material from September until December - during one year 250-270 thousand tons (growth of this quantity of sugar beet possible on the area of 5000 hectares);

With purchasing local produced sugar beet processing factory saves 161.4 USD per 1 Tons compared to import of row material obtained from sugar cane. Based on this released capital each year approximately is 6.0 mln. USD;

Local production of white sugar produced from sugar beet by will cost by 16 GEL cheaper with calculation on one 50 kg sack;

At the expenses of purchasing of local produced sugar beet, annual import of raw materials obtained from sugar cane will decrease by 20-25 mln. USD;

As a result of sugar beet processing obtained residues:

- runoff, which can be used for cattle feeding;
- syrup, which contains sugar up to 50 % and is the best raw material for alcohol production.
- Deterrent Factors
- Big segmentation of lands areas which for the beginning makes difficult in sowing all area (also increases costs of processing and movement);
- Knowledge deficit of modern methods of cultivation of sugar beet.

ნიმე ბრიგოლია

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – აბრარული წარმოების აღორძინების საფუძველი

ქვეყნის აგრარული სექტორის აღორძინების საფუძველი უნდა გახდეს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული აგრარული წარმოების ორგანიზაციული ფორმის დანერგვა. შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარება მხოლოდ ოჯახური (ფერმერული) მეურნეობის ბაზაზე, რამდენადაც ოჯახური (ფერმერული) მეურნეობის ინტერესები შეზღუდულია პირადი კეთილდღეობითა და მათთვის მეორე ხარისხოვანია სასურსათო ბაზრის გაჯერებაზე ზრუნვა. ცალსახაა, რომ არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში მეურნეობრიობის ამ ფორმით სოფლის მეურნეობას განვითარების დღევანდელ დონემდე არ მიუღწევია. თუმცა, ამავე დროს უნდა ავლნიშოთ, რომ ოჯახური (ფერმერული) მეურნეობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველა ქვეყნის აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

აშშ –ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის დ. ინგალსის აზრით: “თავისი ცხოვრების მანძილზე ყოველი ამერიკელი პრაქტიკულად ყოველდღიურ შეხებაშია კოოპერატივებთან, მათ წილად მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი რეალიზაციის 26 პროცენტი. ისინი უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მიწოდების 24 პროცენტს. დღესდღეობით აშშ-ში მოქმედებს თითქმის 50 000 კოოპერატივი, მათში დასაქმებულია 100 მილიონზე მეტი ადამიანი”.

განვითარებული ქვეყნების მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ XXI საუკუნეში კოოპერატივებმა წარმატების მისაღწევად, ყურადღება ორ სტრატეგიულ მიმართულებას უნდა მიაქციონ. პირველ რიგში, აუცილებელია დიდი ინვესტიციების მოზიდვა, რომლიც წარმოებაში დაბანდების გარდა, მიმართული უნდა იქნეს კოოპერატივები წევრების, მენეჯერებისა და დირექტორების განათლების ასამაღლებლად, რაც მათ საშუალებას მისცემს დაძლიონ წარმოქმნილი პრობლემები. მეორე აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოსავლიანობაზე.

ის ძალისხმევა, რომელსაც დღეს ქართული სახელმწიფო მიმართავს სოფლის მეურნეობის აღორძინებისკენ ძირითადად სწორად ასახავს აგრარული პოლიტიკის სწორ ვექტორებს. საუბარია აგრარულ წარმოებაში ფართოდ გავრცელებულ არაფინანსურ სამეურნეო მექანიზმზე კოოპერატიულ და ინტეგრაციულ-ორგანიზაციულ ფორმებზე, რომელთა ეფექტიანობის ხარისხი არც ერთ ქვეყანაში არ ბადებს ეჭვს, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს განვითარებულ ქვეყნებში პრობლემა არა სასურსათი ბაზრის გაჯერება, არამედ ხშირ შემთხვევაში ჭარბწარმოების თავიდან აცილება სახელმწიფოს ჩარევის საფუძველზე, რაც მეტყველებს დასახლებული ორგანიზაციული ფორმების მაღალეფექტიანობაზე.

იმისთვის, რომ სახელმწიფოს ხელშემწყობის ძალისხმევამ, პირველ რიგში მისმა ფინანსურმა და ფასისმიერმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგები მოგვცეს, დადებითად უნდა გადაწყდეს მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება.

მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არაა ჩამოყალიბებული მსხვილი საწარმოები, რომლებიც, როგორც წესი, იქმნება კოოპერირების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრირებისა და სხვადასხვა სახის დარგობრივი კავშირების ფორმირების საფუძველზე. მხოლოდ ასეთ გაერთიანებებს შესწევთ უნარი, რომ თვითონვე გადაწყვიტონ სურსათის წარმოებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორცაა: ფერმერული მეურნეობის ნაწილობრივი დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური და წარმოების სხვა საშუალებებით მომარაგება, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და ა.შ. ამასთან, მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობები ოჯახურ (ფერმერულ) მეურნეობებთან შედარებით.

განვითარებულ ქვეყნებში მიუხედავად ფერმერული მეურნეობის სიჭარბისა, პარალელურად ფუნქციონირებენ კოოპერატიული ფერმები, არასაოჯახო ტიპის მსხვილი კომერციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა. თვით საოჯახო ფერმები თავიანთი ფორმებით, მოცულობით, ორგანიზაციული სტრუქტურით და ა. შ. საკმაოდ მრავალფეროვანია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ცვალებადი ეკონომიკური გარემოსადმი ადაპტაციის პროცესში იმყოფებიან მუდმივად განვითარებად მდგომარეობაში. ამიტომ თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ძნელია საუბარი სასოფლო-სამეურნეო უნიფიცირებულ ტიპებზე და ფორმებზე, მითუმეტეს, საქართველოს სინამდვილეში.

ამდენად, აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველად მიგვაჩნია მისი მართვის აპრობირებული და რენტაბელურად მომუშავე ორგანიზაციული ფორმების (ტიპების) ჩამოყალიბება. რაც უზრუნველყოფს წარმოების ორგანიზაციული ფორმების შესაბამისობას ეკონომიკური განვითარების გარემოს განუხრელ ცვლილებებთან. სხვა შემთხვევაში, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის საქმიანობა წარმატებული არ იქნება.

გლეხობა თავისი საქმიანობის კოოპერირების პროცესში და ამავედროულად თავისი ოჯახური მეურნეობის შენარჩუნებით ქმნის საწარმოს, რომელსაც თავისი ზომის მიხედვით სავსებით შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის მთელ პერიოდში გლეხურმა მეურნეობამ უჩვენა თავისი სტრუქტურის გამოყოფის შესაძლებლობა უფრო მსხვილი მაშტაბებით სხვა გლეხურ მეურნეობებთან გაერთიანებისათვის. ამის შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბდა გლეხური კოოპერატივები. ამავედროულად თვით გლეხური მეურნეობა პრაქტიკულად რჩება დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულად, ყველა ამ ფორმისათვის დამახასიათებელი თვისებებით. კოოპერატიული საწარმო კი ინარჩუნებს კავშირს გლეხურ მეურნეობებთან და ინარჩუნებს გლეხური საოჯახო წარმოების ყველა თავისებურებას, მათ შორის მდგრადობას. როგორც უკვე ავლნიშნეთ, კოოპერატივის მიზანი არ არის გამოყენებულ კაპიტალზე მოგების მიღება, არამედ კოოპერატივში შესული გლეხური მეურნეობის სამეურნეო ინტერესების მომსახურებაა.

კოოპერატიული საწარმოს სიდიდე ასევე განისაზღვრება არა საბაზრო კონიუქტურით, არამედ მისი წევრების მოთხოვნილებებით. სხვა სიტყვებით, გლეხური კოოპერაცია წარმოადგენს გლეხური

ფერმერული მეურნეობის განვითარებულ ფორმას, ან საოჯახო მეურნეობის კოლექტიურად ორგანიზებულ ნაწილს.

კოოპერაციული მოძრაობის განვითარების პრაქტიკამ შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობის მთელი რიგი პრინციპები, რომელთა ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად:

1. ეკონომიკურ ინტერესებზე დაფუძნებული ნებაყოფლობა, სუბიექტის მიერ გაერთიანების მიზანშეწონილობის გაზიარება;
2. კოოპერაციის საქმეებზე კონტროლი, მმართველობითი ორგანოების არჩევითობა, გადაწყვეტილების მიღება პრინციპის მიხედვით, „ერთი წევრი-ერთი ხმა“;
3. ფუნქციონირება საკუთარი საფრთხეებითა და რისკებით, მონაწილეობის მატერიალური პასუხისმგებლობა;
4. არამომგებიანი ფუნქციონირება. კოოპერაციის მთავარი მიზანია არა მოგების მიღება, არამედ მასში მონაწილეობიდან გარკვეული სარგებლის მიღება (შემოსავლის ზრდა, ან დანახარჯების შემცირება, სამეურნეო საქმიანობის პირობების გაუმჯობესება). მაგრამ, მოცემული პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ კოოპერაციული ფორმით ორგანიზებულ წარმოებაში ადგილი არა აქვს შემოსავლის დანახარჯებზე გადაჭარბებას. ანუ, იმას, რასაც ფორმაში უწოდებენ მოგებას, ხოლო კოოპერაცივაში — წმინდა შემოსავალს; არამომგებიანობის პრინციპი ნიშნავს, რომ მთლიანად წმინდა შემოსავალი უბრუნდება კოოპერაციის მონაწილეებს პროპორციულად. შემოსავლის ასეთ დაბრუნებას კოოპერაციის წევრებისათვის ეწოდება კოოპერაციული ანაზღაურება;
5. კოოპერაციის წევრების უშუალო მონაწილეობა მის ოპერაციაში, კოოპერაციის შემოსავლის მონაწილეთა პროპორციულად განაწილება და არა მასში ჩადებული კაპიტალის მიხედვით. ეს პრინციპი თავდაპირველად გამოიყურება, როგორც არადემოკრატიული, უსამართლო (მაგალითად, კოოპერაცივაში ჩადებული კაპიტალის მიხედვით), მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ კოოპერაციის მიზანი არის არა მოგების მიღება კაპიტალზე, არამედ ცალკეული საოჯახო ფერმის ფუნქციონირების გაგრძელება, მონაწილეების ოპტიმალური ფუნქციონირება, მაშინ ეს პრინციპი ხდება უფრო გასაგები.¹

საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა კოოპერაციების რიცხვი, რაზეც ნათლად მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტემენტის მონაცემები. კერძოდ, 2011 წლისათვის ქვეყანაში რეგისტრირებულია საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით სულ შეადგენდა 160 855-ს. მათ შორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2359 (1,5%), კომანდიტური საზოგადოება 167 (0,1%), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 46 280 (28,8%), სააქციო საზოგადოება 1 860 (1,2%), კოოპერაცივი 1063 (0,7%), ინდივიდუალური საწარმო 109 126 (67,8%).² ინფორმაციიდან ჩანს, რომ კოოპერაციების წილი ყველა სახის საკუთრების ფორმებს შორის ძალიან მცირეა და შეადგენს 0,7%-ს. ასევე უმნიშვნელოა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების წილი სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებულ მრეწველობაში. ცნობილია, რომ ქვეყანაში გაბატონებულია წვრილი ოჯახური მეურნეობები, სადაც ორგანიზებულად არ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება-რეალიზაცია, მათთვის მიუწვდელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნა და ფართოდ გამოყენება, არ ხორციელდება ადგილზე მიღებული პროდუქციის გადამამუშავება, ადგილი აქვს წარმოებული პროდუქციის დიდ დანაკარგებს და სხვა. სოფლის მეურნეობას სულ უფრო მცირე სტიმული ამოძრავებს აწარმოს პროდუქცია, რადგანაც არსებული საბაჟო სისტემის პირობებში მის მირ წარმოებული პროდუქცია ვერ უწევს კონკურენციას იმპორტირებულს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველოში ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რათა მათი მეშვეობით მოხდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათი ცხოვრების დონის ამაღლება. ამ მიზნით სასურველია შემუშავდეს სამთავრობო მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც დაეხმარებიან სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას კოოპერაციების ჩამოყალიბებასა და მათ ფეხზე დადგომაში. აღსანიშნავია, რომ დღეს მიმდინარეობს აქტიური მუშაობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შესაქმნელად. ”სასოფლო-

¹ P. П. Харебава, Становление рыночных отношений в аграрном секторе. Волгоград, 2002, ст., 179-180.

² WWW. Geostat.ge

სამეურნეო კოოპერატივების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა შედგათანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, საგადასახდო შედგათების დადგენა, საკონსულტაციო და სარეკომენდაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა.

ამრიგად, საქართველოში სათანადო კანონმდებლობის შემუშავებითა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება და განვითარება, რაც საქართველოს როგორც აგარარული ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საწინდარი იქნება.

NINO GRIGOLAIA

Tbilisi Open University, Full Professor

THE AGRICULTURAL COOPERATIVES – THE BASIS FOR THE REVIVAL OF AGRICULTURAL PRODUCTION

S u m m a r y

Revival basis of agricultural sector should be approved organizational forms of agricultural production in developed countries. The agriculture development impossible only with farm. As far as the interests of farming is limited and for them in second place is to care for food market. It is obvious that today none of these developed countries have not reached the level of agriculture development with these forms of farming.

In developed countries in spite of to need farming, in parallels operates cooperative farms, large commercial agricultural industrial etcetera. The family farms with they form, size, organizational structure etcetera are enough various. Noteworthy is this fact that agricultural enterprises towards changeable economic environment are in process of adaptation in constantly developing situation. Therefore, it is difficult to speak of modern agriculture uniform types and forms, especially in the Georgia.

As much as, the fundamentals effective functioning of the agricultural sector, we believe formation approved and cost-effective management of the organizational forms. In other cases, the agricultural activities will not be successful.

ანზორ დვავაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნანი გვარამია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

აბრტუზიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები აჭარაში

ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და დინამიკური დარგია. მსოფლიოს მასშტაბით მოგზაურ ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ამ სფეროდან მიღებული შემოსავალი თითოეული ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ტურიზმი სოფლის მეურნეობასთან ერთად წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე დარგს. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ტურიზმი ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. ყოველწლიურად შეინიშნება ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა (საშუალოდ 3-4%, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით). ჩატარებული კვლევების მიხედვით, ტურისტების 52%-ს შეადგენს საქმიანი ვიზიტით ჩამოსული ადამიანები, ხოლო 39%-ს - დამსვენებლები.

დასვენება/რეკრეაციის მიზნით ჩამოსულ ტურისტებს ყველაზე მეტად კულტურული ტურიზმი, განსაკუთრებით, სათავგადასავლო ტურიზმი იზიდავს. უცხოელ ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ხიბლავს ქართული სტუმართმოყვარეობა, ადგილობრივი ბუნება, ისტორია, არქიტექტურა, სამზარეულო, ფოლკლორი და ხელოვნების სხვა დარგები. ყველაზე მეტ დაინტერესებას იწვევს კულტურული ტურიზმი, ეკოტურიზმი და აგროტურიზმი. სტუმართმოყვარეობა და უსაფრთხოება.

დღეისათვის საქართველო დგას რეგიონალური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მკაფიო განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე, რომლებიც ითამაშებენ ლოკომოტივის როლს რეგიონების ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების გზაზე. ამასთან ერთად შესაძლებელია იმართოს ახალი დარგების განვითარება, ასევე უზრუნველყოფილი იქნას მულტიპლიკატიური დადებითი ეფექტი მთლიანად რეგიონის ეკონომიკურ ჭრილში. საქართველოს სოფლის რეგიონების ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ასეთ პერსპექტიულ მიმართულებად მიგვაჩნია აგროტურიზმის განვითარება.

ტურისტული დარგის აღნიშნული სექტორი ორიენტირებული იქნება საქართველოს ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სოფლის დასახლებების სხვა რესურსების გამოყენებასა და მის სპეციფიკაზე კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შექმნის მიზნით. აღნიშნული მიმართულება ტურიზმის განვითარების საქმეში მიგვაჩნია ერთობ პერსპექტიულად, ვინაიდან საქართველოს გააჩნია მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი, რაც წარმოადგენს აგროტურიზმის მატერიალური ბაზის ფორმირების საფუძველს.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ახალი სახე, წარმოიშვა ევროპაში გასული საუკუნის 70-ან წლებში. იმ დროისათვის მსოფლიოს დიდ ქალაქებში მწვავედ იდგა ეკოლოგიური პრობლემა და მოსახლეობას წარმოეშვა მოთხოვნილება ბუნებასთან ურთიერთობის, სუფთა ჰაერის, ბუნებრივი სიმშვიდისა და კვების ნატურალური პროდუქტების მიმართ. დღეისათვის ტურიზმის აღნიშნული სახე ვითარდება საკმაოდ სწრაფი ტემპებით და ზოგიერთ ქვეყანაში თავის მხარეს გადმოიბირა საზღვარგარეთელი ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, კვიპროსი და ა.შ.

აგროტურისტული მეწარმეობის ფორმა პოპულარულია, რადგან ფერმერებს არ უხდებათ დიდ ინვესტიციებთან დაკავშირებული სერიოზული რისკების გაწევა. მისი განვითარება შესაძლებელია თანმიმდევრულად, უკვე არსებულ რესურსებზე დაყრდნობით და შემოსავლების თანმიმდევრული ზრდით. საქართველოს რეალობაში აუცილებელია მცირე ფინანსური ინვესტიციების დაბანდება, რათა ტრადიციული კარ-მიდამოს სანიტარული პირობები მიუახლოვდეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. ამავე დროს ტურისტების მომსახურებიდან შემოსული თანხები ამ შემთხვევაში წარმოადგენს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის დამატებით წყაროს, რომელიც შემდგომში შესაძლებელია გახდეს შემოსავლის ძირითადი წყაროც. უნდა აღინიშნოს, რომ აგროტურიზმის აქტივიზაციის წინაპირობებს წარმოადგენენ სწორედ ის პრობლემები, რომლებიც ასე მწვავედ წარმოჩინდა სოფლად ბოლო პერიოდში:

- აგრობიზნესის გაფართოება (გამსხვილება);
- უმუშევრობის მაღალი დონე;
- სოფლიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია;
- შემოსავლების დაბალი დონე სასოფლო – სამეურნეო წარმოებებში;
- “სოფლის ფილოსოფიის” დაკარგვა.

აგროტურიზმი, წარმოადგენს რა ტურიზმის შედარებით ახალ სახეს, ასრულებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს შიდა და გარე ტურიზმის სტრუქტურაში. მისი განვითარება აქტუალური და პერსპექტიულია როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვისაც. სპეციალისტების შეფასებით, საქართველოს, ისევე როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი აგროტურიზმის განვითარებისათვის. ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, ტბების, ტყეებისა და მდინარეების სიმრავლე იზიდავს ნადირობის, თევზაობის, ფეხით მოსიარულეთა და ჯირითის მოყვარულებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს საინტერესო და მიმზიდველი ადგილები განლაგებულია ქვეყნის ცენტრალური ქალაქებიდან ავტომანქანით სულ 2-3 საათის სავალ გზებზე. ისტორიული და კულტურული ძეგლების, ასევე მუზეუმებისა და ისტორიულად ღირსშესანიშნავი ადგილების სიმრავლე იძლევა აგროტურიზმისა და აქტიური კულტურულ - შემეცნებითი პროგრამების შესამუშავებლად შესანიშნავ საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ აგროტურიზმი საქართველოში ფაქტიურად ეხლა იკიდებს ფეხს და ტურისტული ბიზნესის ამ სეგმენტში საკმაოდაა პრობლემები. საქართველოს გააჩნია უზარმაზარი რესურსები აგროტურიზმის განვითარებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ის არ არის მოთხოვნილი.

ფაქტიურად დღეისათვის ჩვენ გაგვაჩნია მხოლოდ აგროტურისტული რესურსები, მაგრამ პრაქტიკულად არ გვაქვს რეალური ტურისტული პროდუქტი, როგორც საბაზრო საქონელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შესაბამისი თვისებები. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ

აგროტურიზმი, ერთის მხრივ, წარმოშობს რა ტურისტული ბაზრის ახალ სეგმენტებს, ანვითარებს ტურისტულ სფეროს, და მეორე მხრივ, აგროტურიზმი შეიძლება გახდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

დასავლეთში აგრარული ტურიზმის პოპულარობა განუხრელად იზრდება – პლაჟზე და ხალხმრავალ სასტუმროებში დადლილი კლიენტები სიამოვნებით ირჩევენ შედარებით იაფ ტურს პროვინციაში, სადაც შეიძლება თავი იგრძნონ სოფლის უბრალო მაცხოვრებლად, რომელიც განერიდა ქალაქის მომაბეზრებელ ხმაურს და ცივილიზაციას. აგროტურიზმის მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, კლიენტს სთავაზობენ სოფლად დროებით ცხოვრებას და სოფლის მოსახლეობის ყოფითი პირობების გაცნობას. საზღვარგარეთელი ტურისტების მოზიდვაზე საუბრის დროს ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ასეთ ადამიანებს პირველ რიგში აინტერესებთ არა იმდენად კომფორტი, რამდენადაც ავთენტიკა (ცხოვრების პირობები, ნატურალური საკვები, ადგილობრივი ტრადიციები, ფოლკლორი და ა.შ.). აგრარული ტურიზმის მიმდევრებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი “ვარსკვლავი” აქვს სოფლის სასტუმროს. მაგალითად, დასავლეთში გაცილებით მოთხოვნადია სახლები, რომლებსაც სანკვანძი აქვთ გარეთ და არ გაანჩიათ ელექტროდენი. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ირგვლივ იყოს ღამაზი ბუნება და სუფთა ჰაერი. ასევე სტუმრები ჩამოდიან არა მარტო დასასვენებლად, არამედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით დამზადებული სოფლის სამზარეულოს კერძების დასაგემოვნებლადაც. ჩვენი აზრით, როდესაც ეკოლოგიური სიტუაცია დგას შესაბამის დონეზე, მოთხოვნილება კომფორტში იწვევს მეორე პლანზე.

სოფლის სტუმართმოყვარეობისაგან აგროტურიზმის მონაწილეები პირველ რიგში ელიან: წყნარ და თანაბარზომიერ სოფლის ცხოვრებას; სუფთა ჰაერს; სოფლის სიმყუდროვეს და ნატურალურ პროდუქტებს; შინაურ ატმოსფეროს; მისაღებ ფასებს; ბუნებასთან სიახლოვის შეგრძნებას; ახალი შთაბეჭდილებების მიღებას; ბავშვების გართობისა და უფროსების დასვენების შესაძლებლობას.

ტურიზმის აღნიშნული სახე სულ უფრო პოპულარული ხდება უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. აგროტურიზმის განვითარებამ ამ ქვეყნებს მისცა შემდეგი შედეგები:

- განავითარა სასოფლო რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- გააბათილა ტურისტული სეზონურობა, რადგან აგროტურიზმი მთელი წელი ფუნქციონირებს;
- მოიზიდა ტურისტები სოფლებში;
- შექმნა სოფლებში ახალი სამუშაო ადგილები;
- აამაღლა სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე;
- იცავს ბუნებრივ გარემოს;
- შექმნა ახალი, დივერსიფიცირებული ტურისტული სეგმენტი.

სადღეისოდ მსოფლიოში რეკრეაციული და ეკოლოგიური მიზნებით მოგზაურობა წარმოადგენს ტურისტული ბაზრის განსაკუთრებით მზარდ სეგმენტს. ტურისტებს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებთ ბუნებრივი გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები. მათ იზიდავთ მოშორებული და ეკოლოგიურად საინტერესო რაიონები. ისევე, როგორც ტურიზმის ნებისმიერი სახეობას, აგროტურიზმსაც ესაჭიროება დეტალური დაგეგმვა და ეფექტური მართვა, მაშინაც კი, როცა ლაპარაკია ტურისტების მოკრძალებულ რაოდენობაზე, რადგან წინასწარი დაგეგმვის გარეშე მათაც შეუძლიათ დიდი ზიანის მოტანა. ტურიზმის დაგეგმვას და გონივრულ მართვას შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს გარემოსა და კულტურის შენარჩუნებაში.

მთელს მსოფლიოში გაძლიერდა მოძრაობა გარემოს დაცვის მიზნით, შესაბამისად მოიმატა მაღალი შეგნების ტურისტების რიცხვმაც, რაც ხელს უწყობს აგროტურისტების რიცხვის ზრდას ნაკლებ ცივილიზირებულ რაიონებში. ეს ტურისტები, როგორც წესი დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი ღირსესანიშნაობებით და უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებს, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი გაიგონ ადგილობრივთა კულტურისა და ცხოვრების წესის შესახებ.

ქვეყანაში არსებული არაჩვეულებრივი პეიზაჟების სილამაზით, ვიზიდავთ რა საზღვარგარეთელ ტურისტებს, აუცილებელია ვიზრუნოთ შეთავაზებული სერვისისა და საცხოვრებლის ხარისხზეც. სახელმწიფოს ჯერ – ჯერობით არ აქვს საშუალება უახლოეს პერიოდში დაკავდეს აგროტურიზმის სერთიფიცირების საკითხებით. ასევე უნდა აღნიშნოთ, რომ მოცემულ დარგში ბიზნესის განვითარებისათვის მხარდაჭერა რეგიონული მუნიციპალიტეტების

დონეზე სავსებით არასაკმარისია. დღეისათვის პრობლემა ასევე მდგომარეობს შესაბამისი ნორმატიულ – სამართლებრივი აქტების ბაზის სიმწირეში, რომლებიც რაიმე განსაზღვრულ სტატუსს მიანიჭებდნენ ტურისტების მომსახურების მსურველებს.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს საქართველოში აგროტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ძირითადი პრობლემატური საკითხები:

- არასრულყოფილი კანონმდებლობა;
- ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა;
- უსაფრთხოების არადაზღვეოვანებული დონე ქვეყანაში;
- არადაზღვეოვანებული უსაფრთხოების დონე კურორტებზე;
- მძიმე სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობა კურორტებზე;
- არასაკმარისად განვითარებული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელის განუვითარებლობა;
- საქართველოს ტურიზმის პოტენციალის შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის არარსებობა;
- ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის არარსებობა;
- ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების მიერ თავიანთი მმართველობითი ფუნქციების არადაზღვეოვანებული გამოყენება, რაც გამოიხატება ტურიზმის სფეროში პოლიტიკის განუსაზღვრელობაში, ტურიზმის განვითარების საქმეში რეგულატორის და ორგანიზატორის როლს შეუსრულებლობაში.

აგროტურიზმით დაკავებული მეწარმე ხშირად ძირითად ყურადღებას უთმობს ტურისტის მატერიალურ მოთხოვნებს და მათ დაკმაყოფილებას, ვინაიდან კომფორტული განთავსება და სადი საკვები ტურისტული შეთავაზების „მატერიალური“ ნაწილია და იგი ტურისტულ შემოსავალსაც უფრო ნათლად ასახავს. ამავდროულად მეწარმე ნაკლებად განსაზღვრავს იმ მატერიალურ მოგებას, რაც შეიძლება მიიღოს სტუმრის სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად, თუმცა შეუფასებელია ის ღირსშესანიშნაობები თუ გასართობები, რომლებიც ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის ტურისტულ შეთავაზებას და პირდაპირ მოქმედებს როგორც ტურისტის სოფლად დარჩენის ხანგრძლიობაზე, ასევე მეწარმის შემოსავლებზე. ამდენად ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე თანამშრომლობის შედეგად იქმნება კომბინირებული ტურისტული პროდუქტი, რაშიც იგულისხმება დამატებითი მომსახურება, სანახაობა და გართობა. ამ მიზნისათვის გასათვალისწინებელია ასევე ფოლკლორული თუ ტრადიციული ელემენტების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ტურისტული პროდუქტის შეფასებისას უპირველესი ყურადღება ექცევა შემდეგ ელემენტებს:

- არსებული მომსახურების ხარისხი: საწოლი, კვება, ესთეტიკა, ფუნქციონირება, კომფორტი, ინდივიდუალურ კლიენტებთან და ჯგუფებთან ურთიერთობა;
- დასასვენებელი ადგილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მახასიათებლები: ინფრასტრუქტურა, პეიზაჟი, ჰავა, ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები, მემკვიდრეობა, უნიკალური არქიტექტურა, გარემო პირობების დაცვა, მრეწველობის გავლენა, მდებარეობა და მთავარ გზასთან სიახლოვე;
- დამატებითი მომსახურება - რაც შეავსებს არსებულ შეთავაზებას და კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის მას აქტიური დასვენებისათვის;
- სტუმართან ურთიერთობა და ინდივიდუალური მიდგომა - სტილი, ენა, ატმოსფერო, კომუნიკაცია, მასპინძლის გუნება-განწყობილება;
- საკვები პროდუქტი, შინაური ცხოველები, სამედიცინო უსაფრთხოება, ჰიგიენური ნორმების დაცვა. ასევე წინასწარი შეთანხმებებისა და ვადდებულებების შესრულების გარანტია;
- გაწეული მომსახურება: სარეკლამო და საინფორმაციო ბუკლეტებში მოცემული ინფორმაციის ადეკვატური უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია დროულად და ობიექტურად მიეწოდოს ვიზიტორს მარშრუტის ან დასვენების დაგეგმვისას. სასურველია, რომ მომზადდეს ტურისტული ობიექტების ირგვლივ არსებული ტერიტორიების რუკები, სადაც დატანილი იქნება საექსკურსიო მარშრუტები და არსებული ინფრასტრუქტურა: სასტუმრო სახლები, ინფორმაცია საექსკურსიო ობიექტების, საპიკნიკე ადგილების, ავტობუსის განერების, ავტოგასამართი სადგურების და ღირსშესანიშნაობების შესახებ. ეს ტურისტს აძლევს საშუალებას, მიიღოს სრული ინფორმაცია და წინასწარ დაგეგმოს ტური.

საქართველოს რეგიონებში ტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება ხელისუფლებამ პრიორიტეტად რამოდენიმე წლის წინ დაასახელა. ამის მიუხედავად, ამ სეგმენტის განვითარება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

საოჯახო სასტუმროები სოფლად და პატარა ქალაქებში მოსახლეობის სახსრებით შენდება. ზოგიერთი მეწარმე ბანკიდან სესხის აღებას ახერხებს, ზოგი კი USAID -ის საგრანტო დახმარებით სარგებლობს. ის სასტუმროები, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტით ისარგებლა, აგროტურიზმის სტანდარტების სერტიფიკატს მიიღებს. ზემოთხსენებული სტანდარტების მთავარ მიზანს სოფლად ტურისტული ინდუსტრიის გაფართოება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება წარმოადგენს.

USAID -ის მიერ დაფინანსებული, საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივა (GEII) ტურიზმისა და ეკონომიკის ხელსაწყოების მიზნით 2007 წლიდან მოქმედებს. სწორედ USAID -ის მიერ გაწეული ფინანსური დახმარების შედეგად პირველად საქართველოში ასოციაცია "ელკანას" ექსპერტებმა 11 სასტუმროს სერტიფიცირება ოთხ რეგიონში განახორციელეს. აქედან სერტიფიკატი სამცხე-ჯავახეთში ორმა, აჭარაში ექვსმა, ხოლო კახეთში სამმა სასტუმრომ მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა აჭარაში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. "საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი" აღნიშნულ სექტორს საქართველოსათვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და განვითარებად დარგად მიიჩნევს. ამის ნათელი მაგალითია 2011 წელს USAID -ის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული პროექტი "ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა აჭარაში", რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იყო:

1. აჭარის რეგიონში ეკოტურიზმის და აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის ანალიზი და განვითარების სტრატეგიის რეკომენდაციების შემუშავება
2. ტურისტული საინფორმაციო ვებ-გვერდის შექმნა - სადაც განთავსდება ინფორმაცია აჭარის რაიონებში ეკო და აგრო ტურიზმის პოტენციალის შესახებ.
3. სემინარები/შეხვედრები – ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე
4. ტრენინგები ტურისტული სერვისის სფეროში შემდეგი მიმართულებით:
 - სასტუმროს ადმინისტრაცია/ფორნტ-ოფისი;
 - რესტორნის სერვისის ტექნოლოგია;
 - ტრენინგები ტურ-გიდებისთვის (ქედის, შუახევის, მაჭახელას რაიონებისთვის).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოში, და კერძოდ აჭარაში, აგროტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების დროს ასევე გათვალისწინებული იქნას შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს საბაზო ეკოლოგიური პროცესების, ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივ განვითარებას;
- ნებისმიერი ერისათვის სოციალური და კულტურული მდგრადობა უზრუნველყოფს ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობრივი კულტურა და ღირებულებები ყოველმხრივ დაცულია და კულტურული თვითმყოფადობა კიდევ უფრო მტკიცდება;
- აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ტურიზმის ბუნებაზე, კულტურაზე და სოციალურ სფეროზე გავლენის გზების უკეთ გაგებას;
- აგროტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს კაპიტალდაბანდებას დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით კი სოფლებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება ატარებს სეზონურ და შემთხვევით ხასიათს;
- ეკოლოგიური ტურიზმი ხელს უწყობს არასასოფლო-სამეურნეო მიწების პროდუქტიულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა დიდ ფართობებზე იქნას შენარჩუნებული ბუნებრივი ფლორა და ფაუნა. ეკოსისტემების დაცულობის მოთხოვნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ტურისტთა ზღვრულ რაოდენობის განსაზღვრას;
- ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი წარმოაჩენს ბუნებრივი და კულტურული რესურსების უდიდეს მნიშვნელობას საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მათ დაცვას.

საქართველოში, და კერძოდ აჭარაში, აგროტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორის არსებობა. დღეისათვის,

თანახმად არსებული პრაქტიკისა, ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის და მათ არ გააჩნიათ სურვილი ერთი რომელიმე სექტორის სპეციალისტად იწოდებოდნენ, რაც ხელს უშლის პროფესიონალიზმს და შესაბამისად ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუმზადებელი გადის. ამავე დროს, აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან სოფლის ტურიზმის ძირითადი მოტივაცია არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ასევე სასურველია აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად.

აგროტურიზმისათვის სოფლებში კონკრეტული მასპინძლის შერჩევისათვის ტურისტულ ფირმებს უნდა გააჩნდეთ აუცილებელი პირობების ჩამონათვალი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი შევა განთავსების საშუალებათა ნუსხაში. სასურველია კარმიდამოს გააჩნდეს ეროვნული სახე და მასპინძლის ოჯახში კვების საშუალება. მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო-სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით. როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად უნდა იყოს ილუსტრირებული გლახის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები რაიონის შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ბირჟაკოვი, ტურიზმის თეორია. თბ., 2004.
2. ა. დევაძე, ტურიზმი, თეორია და პრაქტიკა. თბ., 2008.
3. ა. დევაძე, ტურიზმი საქართველოში, არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები. თბ., 2012
4. მ. მეტრეველი, ტურიზმისა ეკონომიკა და პოლიტიკა თბ., 2011.
5. ა. ოქროცვარიძე, ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2011.
6. ე. ბარათაშვილი, სოფლის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ნატოს კვირეული თბილისში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ., 2012.

ANZOR DEVADZE

Shota Rustaveli State University, Associate Professor

NANI GVARISHVILI

Shota Rustaveli State University, Assistant Professor

PROBLEMS AND PERSPECTIVES IN DEVELOPMENT AGRARIAN TOURISM IN AJARA

S u m m a r y

Nowadays, Georgia stands on the way to distinct determination of priority direction for regional development that will play an important role in sustainable development of the economy. Agro-tourism development is considered to be one of the perspectives up growth direction of the Georgian rural areas.

It is noted that many problems exist in the tourism business segment. Georgia has huge resources for developing agro-tourism, but unfortunately it is not a consumable. In fact nowadays we have only resources and not real tourist product as market goods.

It is also noted the main problems hindering the development of agro-tourism in Georgia, also some attention is paid to the principles that should be foreseen in Georgia, particularly in Ajara while planning and developing time.

ბიორბი ღვიძიკი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაკისტრი
სალომე ბუხრაშვილი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი

**ქართული აბროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და წარმოების მდგრადი
განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში**

საზოგადოების განვითარების შესაბამისად, ეკონომიკაში აგრარული სექტორის წილი შეფარდებით მცირდება. თუ მე-20 საუკუნის ბოლოს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში,

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო, დღეს განვითარებულ ქვეყნებში, მისი წილი მშპ-ში საშუალოდ 3-დან 5 პროცენტამდე მერყეობს.¹ საქართველოში ეს მანვენებელი, 2006-2010 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2011 წელს კი 0,4%-ით გაიზარდა და 8,8%-ს გაუტოლდა². თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარების დონის ზრდამ, ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვამ, გამოიწვია შრომის მწარმოებლურობის ზრდა, რაც ზემოთ აღნიშნულის ერთ-ერთ ძირითად მიზეზდაც შეიძლება განვიხილოთ.

მწარმოებლურობის ამაღლებასთან ერთად ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ხელოვნური მეთოდებით, მათ შორის სასუქებისა და პესტიციდების ინტენსიური გამოყენებით მიღებული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები, დაირღვა ნიადაგის ხარისხი, ხელი შეეწყო გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დეგრადაციას.

თანამედროვე სოფლის მეურნეობა კი დგას გლობალური გამოწვევის ფონზე - საკვებით უზრუნველყოს 7 მილიარდზე მეტი ადამიანი.³

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში საწარმოთა 62%-ს უჭირს კონკურენციის გაწევა, მათ შორის ყველაზე რთული კი აგროსასურსათო სექტორშია. ხოლო კონკურენტული უპირატესობის მოპოვების გზად, მეწარმეთა 38 %-ს პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება მიაჩნია.⁴

კვლევის მიზნად დავისახეთ ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა, მისი როლის შეფასება სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ეკონომიკური ანალიზის სინთეზისა და შედარების მეთოდები. პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მოკლევადიან პერიოდში შევაფასეთ „ეხ-პოსტ“ მეთოდით, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მ. პორტერის „აღმასის მოდელით.“

სტატისტიკური მასალების ანალიზის პროცესში ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების დარგობრივ-ტერიტორიული პარამეტრები, ასევე სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები. ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში, ბოლო წლებში დარღვეულია დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესების ოპტიმალური თანაფარდობა და დიდია დისპროპორციები რეგიონების განვითარებაში. 2011 წელს სტრატეგიული პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მხრივ მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ყურძნის (129%), კვერცხის (99%), ცხვრისა და თხის ხორცის (93%), რძისა და რძის პროდუქტების (93%), სიმინდის (92%) და კარტოფილის (85%) მოხმარებაში. ყველაზე სავალალო მდგომარეობა კი ხორბლით თვითუზრუნველყოფაში გვაქვს (იხ. ცხრილი 1). ხოლო, თუ ზოგად სურათს შევადარებთ წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტუაცია სავალალოა - სტრატეგიული მნიშვნელობის თითქმის ყველა პროდუქტის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირებულია. გამონაკლისია რძე და რძის პროდუქტები, სადაც სიტუაცია ამ მხრივ არ შეცვლილა და ხორბალი, სადაც მდგომარეობა გაუმჯობესდა 7 პროცენტით.

	2008	2009	2010	2011
ხორბალი	12	8	6	13
სიმინდი	97	92	96	92
კარტოფილი	86	93	103	85
ბოსტნეული	76	76	77	73
ყურძენი	117	118	133	129

¹ ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2011, გვ. 43.

² http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

³ <http://www.worldometers.info/world-population/>

⁴ მეწარმეობის მხარდაჭერის ცენტრი, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება საქართველოში, კვლევის მასალები, 2008, გვ. 23.

ხორცი	48	47	48	41
სხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	68	76	77	68
ღორის ხორცი	47	37	49	43
ჩხვრისა და თხის ხორცი	101	98	98	93
რინგელის ხორცი	26	24	22	21
რძე და რძის პროდუქტები	94	92	93	93
კვერცხი	95	101	98	99

ცხრილი 1 - სტრატეგიული მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები (პროცენტებში).¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ექს-პოსტ მეთოდი, რისი მეშვეობითაც გამოვთვალეთ ექსპორტის, იმპორტისა და ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ინდექსები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ინდექსების მნიშვნელობები 1992-2008 წლებისთვის, უკვე დათვლილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მიერ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარკვეული ჯგუფისთვის.² ჩვენ ამ პროდუქტებიდან შევარჩიეთ ღვინო, თხილი, ვაშლის წვენი და ხორბალი, ხოლო მისი ისტორიული და სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე საკვლევ პროდუქტებს შორის დავამატეთ ჩაი. (2006 – 2010 წლებში).

კვლევის პროცესში, ყურადღება მივაქციეთ იმ მოსაზრებას, რომ გამოყენებული მონაცემები უნდა ყოფილიყო ერთიანი ვარიანტი წყაროდან, დავეყრდნით FAO-ს მონაცემებს, საიდანაც ჩვენს გამოთვლებში გამოვიყენეთ ღირებულებებითი მანკვებლები. თუმცა, შეუძლებელი გახდა მოგვეპოვებინა 2011 და შემდგომი პერიოდების მონაცემები. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ინდექსები დათვლილია 2009 და 2010 წლებისთვის.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ იმ შეუსაბამოებისა და უზუსტობების შესახებ, რომლებიც პრობლემურ საკითხებად მოგვევლინა კვლევის პროცესში. მაგალითად FAO-ს მონაცემების მიხედვით 2010 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთლიანმა ექსპორტმა (1 078 162 670 ათასი ამერიკული დოლარი) დაახლოებით 12 მილიარდი აშშ დოლარით გადააჭარბა იმპორტის შესაბამის მანკვებელს (1 066 540 577 ათასი ამერიკული დოლარი).³ ასეთივე უზუსტობები გამოვლინდა თითოეული პროდუქტის მთლიანი ექსპორტისა და იმპორტის შედარებისას. ჩვენს გამოკვლევებში გამოვიყენეთ ზუსტად ის რიცხვები რაც იძებნებოდა შესაბამისი მონაცემების მითითებისას, მიუხედავად უზუსტობებისა. ამ მოსაზრებას ვამყარებთ შემდეგი ფაქტით: თუ მსოფლიოს ექსპორტის თანხას ჩავანაცვლებდით მსოფლიოს იმპორტის თანხით, ყველა თუ კვლევისთვის შერჩეული კონკრეტული პროდუქტისთვის, არ ვიღებდით არსებით სხვაობებს, რაც გამოიწვევდა გადაწყვეტილების მიღების და/ან შეფასების პროცესში განსხვავებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კერძოდ ზემოთაღნიშნულის ჩანაცვლება იწვევდა ინდექსების ცვლილებას მეათედებისა და ხშირ შემთხვევაში მეასედების სიზუსტით, რაც მივიჩნით არაარსებითად.

კვლევის პროცესში, ექსპორტისა და იმპორტის მონაცემებს გამოვაკელით საქართველოს შესაბამისი მონაცემები. აღნიშნულმა მოგვცა იმის საფუძველი, რომ ჩვენს მიერ დათვლილი ინდექსები ყოფილიყო 2008 წლამდე დათვლილი ინდექსების შესადარისი. აქვე აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკულად შეეძლო დაგვესაბუთებინა ის თეორიული ცოდნა, რომ ზემოთ აღნიშნული ინდექსების დათვლისას დიდ სხვაობას არ იძლევა ისეთი მცირე ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მონაცემების გამოკლება მსოფლიოს შესაბამისი მონაცემებიდან, როგორც საქართველოა. მისი გამოკლება გვაძლევდა ისეთ მცირე, არაარსებით განსხვავებებს, რომლებიც ვერ იმოქმედებდნენ შეფასების შედეგად გაკეთებულ დასკვნასა და/ან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (აქაც საუბარია მეასედების ცვლილებებზე).

2010 წელს ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსის (RXA) მაღალი მანკვებლები დაფიქსირდა თხილზე - 187.8; ღვინოზე - 5.4 და ვაშლის წვენზე - 6.3. მნიშვნელოვნად დაბალი კი ჩაიზე - 0.7 და ხორბალზე - 0.9.

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2012, გვ 74-85.

² აღნიშნული კვლევა განხორციელებულია პროფესორ ხარაიშვილისა და შვეიცარიის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტ ფატიმა მამარდაშვილის მიერ.

³ <http://faostat.fao.org/home/index.html#DOWNLOAD>

იმპორტის შემოღწევადობის ინდექსის (RMP) მნიშვნელობებიც დიფერენცირებულია და შერჩეულ აგროსასურსათო პროდუქტზე 0.003-დან 13.1-ის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნული ინდექსის მნიშვნელობა, 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა თხილზე (0.003-დან 0.002-მდე) და ჩაიზე (1.3-დან 1.1-მდე), ხოლო გაიზარდა ხორბალზე (3.6-დან 3.9-მდე) და ღვინოზე (0.01-დან 0.02-მდე). იგი უცვლელი დარჩა ვაშლის წვენზე და 2010 წელს შეადგინა 0.2.

ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA) 2010 წლის მონაცემებით შეადგენს: თხილზე 187.8-ს, ღვინოზე 5.4-ს, ვაშლის წვენზე 6.1-ს, ხორბალზე -3 - ს, ჩაიზე კი -0.4 - ს.

	ღვინო			თხილი			ვაშლის წვენი			ხორბალი			ჩაი		
	RTA	RMP	RXA	RTA	RMP	RXA	RTA	RMP	RXA	RTA	RMP	RXA	RTA	RMP	RXA
1992	26.3	0.1	26.4	-	-	2.5	-	-	26.3	-	11.5	-			
1993	-	-	28.2	-	-	-	-	-	-	-	-	3.3			
1994	10.2	0.9	11.1	-	-	1.5	-	0.1	-	-	62.5	-			
1995	-	-	17.6	-	-	14.0	39.9	0.2	40.1	(28.5)	29.4	0.9			
1996	-	-	8.8	-	-	94.7	83.1	0.1	83.2	(25.9)	27.1	1.2			
1997	30.4	0.1	30.5	-	-	154.0	75.0	0.2	75.7	(6.6)	8.9	2.3			
1998	-	-	58.2	-	-	374.0	45.6	0.3	45.9	(8.2)	12.0	3.8			
1999	46.4	0.1	46.5	-	-	636.2	92.6	0	92.6	2.0	3.7	5.7			
2000	49.2	0.4	49.6	-	-	746.0	56.8	0	56.8	(7.8)	10.7	2.9			
2001	48.1	0.2	48.3	301.9	2.0	303.9	30.7	0.1	30.8	2.1	5.9	8.0			
2002	50.7	0.2	50.9	241.9	2.3	244.2	47.3	0.1	47.4	0.2	8.3	8.5			
2003	38.1	0.2	38.3	299.7	2.0	301.7	25.6	0.2	25.8	0.6	9.9	10.5			
2004	34.4	0.1	34.5	247.9	2.1	250.0	16.3	0.3	16.6	3.6	13.1	16.7			
2005	47.2	0.2	47.4	522.1	3.1	525.2	19.4	0.9	20.3	(6.1)	9.6	3.5			
2006	46.0	0.2	46.2	524.2	2.0	526.2	19.0	0.9	29.0	(5.0)	9.0	4.0	0.6	0.9	1.5
2007	40.1	0.2	40.3	530.1	2.0	532.2	19.3	0.8	20.1	(6.1)	9.5	3.4	(0.0)	0.9	0.9
2008	42.2	0.2	42.4	535.0	2.1	537.1	19.3	0.7	20.0	(6.0)	9.2	3.2	0.1	1.1	1.1
2009	4.3	0.0	4.3	209.8	0.0	209.8	1.8	0.2	2.1	(3.2)	3.6	0.4	0.0	1.3	1.3
2010	5.4	0.0	5.4	187.8	0.0	187.8	6.1	0.2	6.3	(3.0)	3.9	0.9	(0.4)	1.1	0.7

ცხრილი 2. სასოფლო სამეურნეო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ინდექსები.¹

ამრიგად, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებიდან საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის შედარებით მაღალი დონით გამოირჩევა თხილი, ღვინო და ვაშლის წვენი, ხორბალი კი არაკონკურენტუნარიანია. ჩაის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებლების ანალიზით, სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქართული ჩაი კონკურენტუნარიანობის ზღვარზეა.

კონკურენტუნარიანობა მრავალმხრივი და კომპლექსური ცნებაა, რომლის დონის

¹ კვლევის პროცესში გამოყენებული მონაცემების წყაროა www.faostat3.fao.org

შესაფასებლად მრავალი მეთოდი გამოიყენება. ამიტომ “ეს პოსტ” მეთოდის შემდეგ, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად გამოვიყენეთ მ. პორტერის ალმასის მოდელიც, რის ფარგლებშიც შევაფასეთ პოტენციური უპირატესობები და ნაკლოვანებები მოდელის ოთხი ძირითადი და ორი დამატებითი ფაქტორით.

ანალიზის შედეგად, ფაქტორების პირობებით გამოვლინდა შემდეგი პოტენციური უპირატესობები: აგროსასურსათო წარმოების ტრადიციები და ტრადიციული ტექნოლოგიები; იაფი სამუშაო ძალა; ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები.

მოთხოვნების პირობების ანალიზით გამოვლინდა ქვემოთ ჩამოთვლილი პოტენციური უპირატესობები: ბიოპროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია; ზრდადი შიდა და საერთაშორისო ბაზარი; რუსული ბაზრის გახსნის შესაძლებლობა.

პოტენციური უპირატესობები ფირმის სტრატეგიის, სტრუქტურის, კონკურენციის მიხედვით არის შემდეგი: წარმოების სტრუქტურა; ბაზრის დიფერენციაცია; ბაზარზე შესვლის დაბალი ბარიერები.

პოტენციური უპირატესობები მონათესავე და მხარდამჭერი სექტორების მიხედვით: სამაცივრე და გადამამუშავებელი მეურნეობების განვითარება; აგროტურიზმის განვითარება.

„ალმასის მოდელის“ მიხედვით გავაანალიზეთ პოტენციური უპირატესობები დამატებითი - სახელმწიფო და შანსის ფაქტორების მიხედვით. ესენია: დაბალი გადასახადები; აგრარული სექტორის პრიორიტეტად აღიარება; გეოგრაფიული მდებარეობა; ტრადიციები.

ფაქტორების პირობების მიხედვით გამოვლინდა შემდეგი პოტენციური ნაკლოვანებები: ინფრასტრუქტურის დაბალი დონე; არაკვალიფიციური კადრები; უსაფრთხოების პრობლემები (მათ შორის განუვითარებელი აგროდაზღვევა); სირთულეები კომუნიკაციაში.

პოტენციური ნაკლოვანებები მოთხოვნის პირობების მიხედვით შემდეგნაირია: მოსახლეობის დაბალი შემოსავლები; წარმოების პროგნოზირების სირთულე; არასაკმარისი სეზონური სიმძლავრეები.

პოტენციური ნაკლოვანებები ფირმის სტრატეგიაში, სტრუქტურასა და კონკურენციაში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: წარმოების მცირე მასშტაბები; სტრატეგიული მიზნების სიმწირე; მოკლევადიან მიზნებზე ორიენტაცია; მცირე დანახარჯები კვლევებისა და განვითარებისათვის.

პოტენციური ნაკლოვანებები მონათესავე და მხარდამჭერი სექტორების მიხედვით: დაბალი პროდუქტიულობა; წარმოების მაღალი დანახარჯები; კომუნალური მომსახურების დაბალი დონე; სათესლე და სანერგე მეურნეობების განვითარების დაბალი დონე.

პოტენციური ნაკლოვანებები სახელმწიფო და შანსის ფაქტორების მიხედვით: არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა; რეგიონის არასტაბილურობა; კონფლიქტური ზონა.

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მასალების ანალიზით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ქვეყნის სასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა სურსათზე მოსახლეობის როგორც ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ, ასევე მის გადახდისუნარიან მოთხოვნასაც. მართალია ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, მაგრამ მისი შევსება იმპორტული საკვები პროდუქტების ხარჯზე ხდება.

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების ინტენსიური წარმოებისათვის ხელსაყრელი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არსებობს. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებისა და კონკურენციის დონის შეფასების საფუძველზე მიმდინარე ეტაპზე საქართველოსათვის სტრატეგიული აგროსასურსათო პროდუქტებია თხილი და ყურძენი. თანამდეროვე ტექნოლოგიური ხაზების ამოქმედებისა და პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში კი გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული. დიდი პოტენციალი გააჩნია ქართულ ჩაის, რომელიც დღესდღეობით, საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის დონის ზღვარზეა. ამ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნა და ფასების ზრდის ტენდენცია ექსპორტის გადიდების პერსპექტივას ქმნის.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ზრდის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად მივიჩნევთ ამ მიმართულებით კვლევების გაძლიერებას, საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების ჰარმონიზაციას, სტაბილური მარეგულირებელი გარემოს შექმნას და ა.შ. ასევე აუცილებელია ქართული პროდუქტის ცნობადობის გაზრდა ისეთი ფაქტორების გამოყენებით, როგორცაა: ხარისხი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, სარეკლამო და პიარ-კამპანიის განხორციელება (გამოფენა-გაყიდვები, პრეზენტაციები, ქართული პროდუქციის დღეები

ტრადიციულად საქართველოში მეხილეობის პროდუქციის წარმოებისა და სხვა ქვეყნებში ექსპორტირების საფუძველი იყო გადამამუშავებელი მრეწველობა. დღესდღეობით საქართველოში თითქმის გაჩერებულია ხილის საკონსერვო მრეწველობა, ფუნქციონირება შეწყვეტილია ხილის ნატურალური წვენების ქარხანაში, რაც საქართველოს მეხილეობაში, როგორც ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო დარგის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია.

ცხრილი 7

ხილის წარმოება რეგიონების მიხედვით 2011 წელს

	მთლიანი მოსავალი (ათ.ტონა)	%-ში
საქართველო მ.შ.	187.3	100
აჭარა ა.რ.	8,5	4.5
იმერეთი	18.5	9.9
სამეგრელო და ზემო სვანეთი	34.4	18.4
შიდა ქართლი	61.0	32.6
კახეთი	23.8	12.7
ქვემო ქართლი	12.3	6.6
სამცხე-ჯავახეთი	9.4	5.0
დანარჩენი რეგიონები	19.4	10.3

2015 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს, როგორც აგრარული ქვეყნის, პრიორიტეტად უნდა იქცეს ისეთი აგრარული პროდუქტის წარმოება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი შედეგათიანი სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს და წახალისებს აგრარულ სექტორში საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდას.

ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა არის უცხოური ინვესტიციების შემოდინების მნიშვნელოვანი წინაპირობა. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების დემონსტრირებას და ხელს შეუწყობენ ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის აგრარულ სფეროში, რაც ასევე თავის მხრივ აამაღლებს მოსახლეობის დასაქმებასა და ცხოვრების დონეს.

TAMAR DUDAURI

Caucasus International University, Academic Doctor of Economics

EXPORT POTENCIAL OF AGRICULTURE AND ITS ROLE IN ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

S u m m a r y

The article is dedicated to the export potential role of agriculture in economic development. It is separated from the main sectors of export potential of the agricultural sector, analyzes the export – import ratio. It sets out the main problems that hinder the development of the agricultural export sectors, and also highlights the possible solutions to these problems.

The article also covers the development of the agricultural export sectors such measures as the provision of investment opportunities in the country to demonstrate and promote investment in the agricultural sector, which in turn will increase employment and living standards of the population.

ნოდარ ელიზბარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
ბიორბი მელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
რუსუდან ელიზბარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი

**კლიმატის გლობალური ცვლილება და საქართველოში ეკოლოგიური
სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ასპექტი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მაღალ პოტენციალს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა ხელსაყრელი და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები.

საქართველოს ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებული აგრორესურსები და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი, თუმცა თანამედროვე გამოწვევების ანუ კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ხელახალ განხილვას და ჯეროვან შეფასებას მოითხოვს. კლიმატის ცვლილების გლობალური და რეგიონული ტენდენციები სახეზეა და პროგნოზებიც არასასუველია - აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების რისკ-ფაქტორები ძირითადად უკავშირდება როგორც ჰაერის ტემპერატურის, ისე ნალექების რაოდენობის ცვლილებას. შედეგად, ეკოსისტემური ცვლილებები მოსალოდნელია მთათაშორისი ბარის არიდული, სემიარიდული და სემიჰუმიდური ლანდშაფტებისთვის, რომლებსაც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მიწათმოქმედებისთვის ვარგისი ტერიტორიების ნახევარზე მეტი უკავია.

კლიმატის გლობალური ცვლილების ტენდენციები და საქართველო

კლიმატის ცვლილებას ძირითადად უკავშირებენ ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს დაბინძურებას, ტყეების ჩეხვას, გაუდაბნობას, გლობალურ დათბობას და მსოფლიო ოკეანის დონის მატებას. კლიმატის ცვლილების შესახებ დისკუსია არ ცხრება. პირიქით, იგი არა მარტო მეცნიერების, არამედ პოლიტიკის ინტერესების საგანიც გახდა. ცნობილია, რომ ამჟამად კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგები არა მარტო გლობალურ ეკოლოგიურ, არამედ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემადაც განიხილება.

მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთი შედეგის მოკლე აღწერაზე, რაც კლიმატის ცვლილების შედეგად უკვე თვალსაჩინო გახდა როგორც მსოფლიოს ცალკეულ რეგიონში, ისე საქართველოში.

1. ჰაერის ცვალებადობა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შესამჩნევი XX საუკუნის დასაწყისიდან გახდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში დათბობას (ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 0.6⁰-ით მოიმატა), ამავდროულად საუკუნის 50-იანი წლებიდან ჯერ არაარსებითი აცივება, ხოლო შემდეგ (60-იანი წლები) კვლავ დათბობა მოჰყვა. გლობალური დათბობის ორგვარი ასხნა არსებობს. პირველი - სათბურის ეფექტს უკავშირდება, ხოლო მეორე - მზის აქტიობის 11 და 80 წლიან ციკლებს. დადგენილია, რომ საქართველოში უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, ჰაერის საშუალოწლიურმა ტემპერატურამ ასევე მოიმატა 0.6⁰C-ით.
2. გლობალური დათბობის ნიშნებმა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საგანგაშო ხასიათი მიიღო. დაფიქსირდა, რომ ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის მთელ რიგ კუნძულებზე (გრენლანდია, შპიტცბერგენი, ახალი მიწა) და სანაპირო ზოლში ჰაერის საშუალოწლიურმა ტემპერატურამ ერთი საუკუნის მანძილზე 2-3⁰-ით მოიმატა. ისლანდიაში ყინულისგან გამონთავისუფლდა ის ტერიტორიები, რომლებიც 600 წლის წინ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა. ყინულის საფარის სწრაფი შემცირება აღინიშნა ალიასკასა და გრენლანდიაზე, აგრეთვე ზომიერი სარტყლის ყველა მთიან სისტემაში. საქართველოში, კერძოდ კი კავკასიონის გლაციალურ-ნივალურ ზონაში თვალსაჩინოა მყინვარების რაოდენობის ზრდა - დიდი მყინვარების დაქუცმაცების და მათი საერთო ფართობის შემცირების ხარჯზე.
3. გარდა ყინულით დაფარული ფართობის შემცირებისა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში აღინიშნება მარადი მზრადლობის, ტაიგისა და ტუნდრის ქვედა საზღვრის ჩრდილოეთით გადაადგილების

პროცესი. ანალოგიური ნიშნები შეინიშნება კავკასიონის მაღალმთიან ზონაში, რაც გამოიხატება სუბალპური ტყეების ზედა საზღვრის დაწვევაში.

4. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს არიდულ რეგიონებში კიდევ უფრო შემცირდა ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში. ამგვარ მოვლენას მდინარეთა ხარჯის შემცირება და შიდა წყალსატევებში წყლის დონის დაკლება მოჰყვა. გაიზარდა გვალვების მასშტაბები, ინტენსივობა და რაოდენობაც, რაც არაერთ რეგიონში სასიცოცხლო გარემოს დეგრადაციის და ეკონომიკური აქტივობის შეფერხების მიზეზი გარდა. უკანასკნელ ათწლეულებში ნალექების რაოდენობის შემცირება ყველაზე თვალსაჩინოა (10%-ით) ჩრდილოეთ აფრიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკულ სარტყელში. ფიქსირდება ანომალიებიც – თუ ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროებზე ნალექების რაოდენობა იზრდება, აღმოსავლეთ სანაპიროებზე საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სტეპურ ლანდშაფტებში ასევე იზრდება ნახევრადუდაბნოს მცენარეულობით დაკავებული ფართობების ხვედრითი წილი.
5. მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონის თერმული რეჟიმი და მისი გეოგრაფიული თავისებურებანი გვიჩვენებს, რომ ამჟამად გლობალური დათბობა ფიქსირდება ყველგან, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. ჰავის მაქსიმალური ცვლილებები აღინიშნა ხმელეთზე, ზომიერ სარტყელში, ჩ.გ.40-70⁰ შორის. აქვე ფიქსირდება ამინდის ექსტრემალური მანევრებლების გახშირებაც. საქართველოში, უკანასკნელ წლებში, ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურები უკვე დაფიქსირდა ისეთ ადგილებში, სადაც იგი არასოდეს აღნიშნულა.
6. ოკეანეებზე კლიმატური მახასიათებლების ცვალებადობა შედარებით ნაკლებია, თანაც ზოგიერთ აკვატორიაში უარყოფითი ანომალიებიც კი შეიმჩნევა. თუმცა დათბობის შედეგები თვალსაჩინოა მთელ მსოფლიო ოკეანეებზე – მისმა დონემ უკანასკნელი 100 წლის მანძილზე 10-25 სმ-ით მოიმატა. ამგვარი ვითარება, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ყინულის დნობის გლობალურ ტენდენციებს. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.
7. ნალექების განაწილების ცვალებადობაზე მდინარის ჩამონადენის, მიწისქვეშა წყლების და ნიადაგური ტენის მახასიათებელთა შეცვლაც მეტყველებს. აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის ყველგან აღინიშნება ნიადაგის სინოტივის, წყალშემცველი ფენების და მიწისქვეშა წყლის რესურსის (მარაგის) მატება.
8. გლობალური დათბობა თოვლის საფარისსიმძლავრესა და ხანგრძლივობაზეც აისახა. ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებზე შემცირდა მისი მანევრებლები. ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც, სადაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიცვალა თოვლის გავრცელების თითქმის ყველა (ხანგრძლივობა, სიმძლავრე, გეოგრაფია) მანევრებელი.
9. გლობალური დათბობის შედეგად ეკვატორულ სარტყელში მიმდინარეობს აორთქლების პროცესის გააქტიურება. მოსალოდნელია ეკვატორული და ტროპიკული სარტყლის წყლების მარილიანობის ზრდა, რასაც ამგვარი წყლების დამძიმება და დაძირვა მოჰყვება. გოლფსტრიმის მძიმე, თბილი და მარილიანი წყლები გარკვეულ ადგილს „დაუთმობს“ არქტიკულ მსუბუქ ცივ და მტკნარ წყალს. ამგვარად, მოსალოდნელია არა მარტო ზომიერი და სუბტროპიკული სარტყლის ან სანაპირო ზოლის ჰავის მახასიათებლების, არამედ ოკეანის ბინადართა საცხოვრებელი გარემოს ცვლილებაც. მინიშნებები თვალსაჩინოა – ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროების და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ რეგიონში ყოველწლიურად აღინიშნება თოვლის საფარის სიმძლავრისა და ყინვების ინტენსივობის მატება.
10. ოზონის ფენის და შესაბამისად, მისი დამცავი თვისებების დეგრადაცია ბუნებრივ გარემოს და კაცობრიობას მრავალ საფრთხეს უქადის. კაცობრიობას იმუნური სისტემის დაქვეითება, კანისა და თვალის დაავადებების გახშირება და გართულება, ინფექციური დაავადებებისადმი ორგანიზმის მდგრადობის დაქვეითება და ფსიქიური განწყობის გაუარესება ემუქრება. ოზონის ფენის დეგრადაცია და ულტრაიისფერი გამოსხივების გაზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს გოგრისებრთა და ბარდისებრთა მცენარეულობის მოსავლიანობას. გაცილებით გამძლეა მზესუმზირა, ბამბა და ზოგიერთი სახეობის მარცვლეული (სიმინდი და ბრინჯი), რომელთა მოსავლიანობაც მხოლოდ 5%-ით შემცირდება. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემცირების ტენდენციები ასევე თვალსაჩინოა მთელ საქართველოში. ოზონის ფენის ცვალებადობა ნიადაგის ნაყოფიერებაზეც აისახება. ბაქტერიები, რომლებიც ახერხებენ ატმოსფეროდან აზოტის უტილიზაციას (გამოყენებას) და რომელსაც შემდგომ მცენარეების ზრდა-განვითარებას ხმარდება, ნიადაგის ზედა ფენაში ცხოვრობენ. ცნობილია, რომ ამგვარი ბაქტერიების მიერ გადაამუშავება

იმდენივე აზოტი (35 მლნ ტ), რამდენიც იწარმოება მსოფლიოში აზოტოვანი სასუქების სახით. ულტრაიისფერი გამოსხივების ზრდის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება როგორც მიკროორგანიზმების ცხოველყოფილობა, ისე ნიადაგის ნაყოფიერება.

კლიმატის ცვლილება და მისი გეოგრაფიული ტენდენციები საქართველოში

კლიმატის ცვლილების ტენდენციები განხილულია ნაშრომში “საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისთვის”, რომელიც მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის ფარგლებში (თბილისი, 2009 წ.). ეროვნული შეტყობინების მიხედვით, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება ნალექების და ჰაერის ტემპერატურის საშუალოწლიური მაჩვენებლების ზრდა (განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში), აგრეთვე აბსოლუტური მინიმუმებისა (გარდა დედოფლისწყაროში) და მაქსიმუმების დათბობა სამივე პრიორიტეტულ რეგიონში (ფოთი - ნალექები 13%, t - 0.2°C, ლენტეხი - ნალექები 8%, t - 0.4°C, დედოფლისწყარო - ნალექები 6%, t - 0.6°C). შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა ნალექების რაოდენობის ცვლილების ანალიზი დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოსთვის. ამ შემთხვევაში აღინიშნება მისი წლიური კლების ტენდენცია დასავლეთ საქართველოში (27 მმ-ით), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 41 მმ-ით მატება.

საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების მიხედვით, გლობალური მოდელებით და სცენარებით, გლობალური კლიმატური ცვლილების ფონზე, 2100 წლისთვის მოსალოდნელია, რომ:

- დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურა გაიზრდება 3.5°C-ით (ანუ 38%-ით) და მიაღწევს 12.6°C. ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა დაიკლებს 70 მმ-ით (9.4%) და შეადგენს 1127 მმ.
- აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურა გაიზრდება 4.1°C-ით (ანუ 26%-ით) და მიაღწევს 15.4°C. ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა დაიკლებს 83 მმ-ით (8.5%) და შეადგენს 487 მმ.

2100 წლისთვის კლიმატის ცვლილების ტენდენციები ყველაზე თვალსაჩინო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ლანდშაფტებისთვის გახდება. აქ ამჟამად საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ანუ 2 მილიონი მცხოვრებია. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა შიდა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლის ვაკე და კახეთის გორაკ-ბორცვიანი ნაწილი. აქვეა წარმოდგენილი საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურით გამოირჩევა და გარემო პირობების ცვალებადობა მასზე ნაკლებად აისახება. დადგენილია, რომ კლიმატის გლობალური დათბობის და მისი მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, ეკოსისტემების შეცვლის და დეგრადაციის პრობლემა ემუქრება საქართველოს ტერიტორიის თითქმის 3.5% ანუ 2330 კმ²-ს.

საქართველოს ლანდშაფტების სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი

მცირე ფართობის მიუხედავად, საქართველოს ბუნებრივი პირობები ძალიან მრავალფეროვანია. მის თავისებურებებზე **მრავალი ფაქტორი** ახდენს გავლენას: გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნების განვითარების ისტორია, თბილი შავი ზღვის სიახლოვე, რელიეფის ფორმები და ადგილის სიმაღლე, ატმოსფეროს ცირკულაცია და ქვეყნილი ზედაპირის ხასიათი.

საქართველოს ჰავის თავისებურებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს **კლიმატური ბარიერები**. ამ მხრივ აღსანიშნავია კავკასიონი, რომელიც აფერხებს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების შემოდევას საქართველოს (და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის) ტერიტორიაზე. ამასთან, მიმართულებას უცვლის ჰაერის მასებს, რომლებიც შემოვლით აღწევენ საქართველოში. ისინი გაივლიან შავ ზღვაზე და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბარის თბილ ზედაპირზე, რის გამოც საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით გამთბარი ჰაერის მასების სახით ვრცელდებიან. ამის გამოა, რომ აქ ჰაერის ტემპერატურა გაცილებით მაღალია, ვიდრე იმავე განედებზე მდებარე მეზობელ სახელმწიფოებში. სწორედ კავკასიონი განაპირობებს იმას, რომ მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია სუბტროპიკულ სარტყელშია მოქცეული, მისგან ჩრდილოეთით კი – ზომიერ სარტყელში. მეორე უმთავრესი კლიმატური ბარიერი ლიხის ქედია, რომელიც ნოტიო სუბტროპიკებს გამოყოფს მშრალი სუბტროპიკებისგან.

საქართველოს ტერიტორიაზე **ჰაერის ტემპერატურა** ადგილის სიმაღლის ზრდის შესაბამისად იცვლება. სიმაღლის ყოველ 100 მეტრზე აქ ტემპერატურა 0.2-0.9°C-ით ეცემა. ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა მინიმალურია შავი ზღვის სანაპიროზე და 16-17°C-ს შეადგენს, ხოლო

მაქსიმალური – სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ელდარის დაბლობზე, 26-27°C). მაღალ მთებში წლიური ამპლიტუდა 2-5°C-ს არ აღემატება.

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე 350-4000 მილიმეტრის ფარგლებში მერყეობს: მინიმალურია ელდარის ვაკეზე (აღმოსავლეთი საქართველო), ხოლო მაქსიმალური – მთა მტირალაზე (დასავლეთი საქართველო). ცალკეულ წლებში მთა მტირალაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 5000 მილიმეტრსაც აღემატებოდა, რაც უდიდესი მაჩვენებელია ევროპაში.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, განსაკუთრებით კი ჰავის მრავალფეროვნება, განაპირობებს **კლიმატური რესურსების** განსხვავებულ განაწილებას როგორც დასავლეთიდან აღმოსავლეთის, ისე ვერტიკალური ზონალობის მიმართულებით. ჰავის მრავალფეროვნება აგროკლიმატურ რესურსებში აისახება, რაც მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების წინაპირობაა.

საქართველოს **ნიადაგური საფარის** მრავალფეროვნება განპირობებულია ბუნებრივი ფაქტორების – გეოლოგიური აგებულების, კლიმატის, რელიეფის და ცოცხალი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებით. აქ წარმოდგენილია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული როგორც ჭაობისა და ნახევარუდაბნოს, ისე მთისა და ბარის ნიადაგების ათეულობით ტიპი.

საქართველოში **სასოფლო-სამეურნეო** დანიშნულების მიწები ტერიტორიის 2/5-ზე მეტს შეადგენს, ტყეებით დაფარულია თითქმის ამდენივე, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწებს (ჭაობები, ბუჩქნარები, სამრეწველო ობიექტები, ქალაქები და სხვ.) ტერიტორიის 14 პროცენტი უკავია. რაოდენობრივად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველაზე მეტია კახეთში, ყველაზე ნაკლები კი – აჭარაში. სასოფლო მიწების 1/4 სახნავია, რითაც მდიდარია კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი; ღარიბია – აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამგვარი მიწების 1/10 მრავალწლიან კულტურებს, 2/3 – საძოვრებს, ხოლო

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დასახლდა ადამიანი, რომლის ნასახლარები დღემდე შემორჩენილი. გეოგრაფიული გარემოს ფაქტორი დიდ როლს ასრულებდა ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიაშიც. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ამ თვალსაზრისით განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თავდაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით დასავლეთი საქართველო უკეთეს პირობებში იყო, რადგან კავკასიონის მთავარი ქედი, ლიხისა და მესხეთის ქედები სამი მხრიდან იცავდა კოლხეთს, დასავლეთიდან კი მას შავი ზღვა ეკვროდა. იბერია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ბუნებრივი ზღუდეებით დაუცველი იყო და უმეტესად სწორედ ამ მხარეებიდან ესეოდა ხოლმე მტერი.

სამაგიეროდ ბუნებრივი პირობები მიწათმოქმედების განვითარებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე დასავლეთში. კოლხეთის მწირი ნიადაგები, ჰავის სინოტივე და ტერიტორიის დიდი ნაწილის ჭაობიანობა მნიშვნელოვნად ზღუდავდა მიწათმოქმედების გავრცელებას. ამიტომ მოსახლეობის სიმჭიდროვე და დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა აქ უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე იბერიაში. კოლხეთის აღმავლობასა და ეკონომიკურ-კულტურული კავშირის დამყარებას ანტიკურ სამყაროსთან დიდად შეუწყო ხელი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციამ ბერძნების მიერ.

ლანდშაფტთა პოტენციალის ჯეროვანი განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების არსებითი წინაპირობაა. აქ იგულისხმება:

- იმ რესურსულ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამჟამად ან პერსპექტივაში ცხოვრების პირობების დაცვისა და გაუმჯობესების, ეკონომიკური აღმავლობისა და მომავალი თაობების განვითარებისთვის;
- იმ თვისებათა ერთობლიობა და თავისებურებანი, რომლის საფუძველზე და რომლის მიხედვითაც შეუძლია ლანდშაფტს შეასრულოს ესა თუ ის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია.

ლანდშაფტთა პოტენციალი შეიძლება შეიცვალოს ან ტრანსფორმირდეს საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, რომელთა შორის, თანამედროვე ეტაპზე, ძირითადია რესურსული და ეკოლოგიური, მეორეხარისხოვანი კი სელიტური და რეკრეაციული მოთხოვნა. ლანდშაფტს შესაძლებელია ჰქონდეს როგორც ერთგვარი, ასევე მრავალგვარი პოტენციალი, რომელიც მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური და გამოყენებითი (დანიშნულებითი) თვისებებიდან გამომდინარეობს. პოტენციალის ცვალებადობას ლანდშაფტის სეზონური და ეთოლოგიური თავისებურებანიც განაპირობებს, რაც მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური მდგომარეობების

დინამიკას უკავშირდება. მაგალითად, მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლანდშაფტები ზამთარში რეკრეაციული, ხოლო ზაფხულში რესურსული პოტენციალის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. უმეტეს შემთხვევაში ლანდშაფტი ერთდროულად სხვადასხვაგვარ პოტენციალს ფლობს. მაგალითად, ქ. თბილისის მიდამოებში წარმოდგენილი საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები რესურსული, ეკოლოგიური და რეკრეაციული პოტენციალის მქონეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ლანდშაფტთა პოტენციალის როგორც თვისებრივი (ხარისხობრივი), ასევე სივრცე-დროითი ცვალებადობის შესწავლა და კლასიფიკაცია.

სასოფლო-სამეურნეო პოტენციალიანის ლანდშაფტის უნარი, აწარმოოს სხვადასხვა სახის მემცენარეობის პროდუქცია. ამგვარი უნარის გამოსავლენად საჭიროა: რელიეფის, აგროკლიმატური რესურსების, წყლის ბრუნვის და ბიოგეოციკლის, ნიადაგის ნაყოფიერებისა და სტრუქტურული თავისებურებების კომპლექსური ანალიზი.

ხშირად ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსულ, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს ლანდშაფტის პროდუქტიულობასთან აიგივებენ, რაშიც მის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში ნივთიერებისა და ენერჯის კვლავწარმოების უნარი იგულისხმება. უფრო მეტიც, ლანდშაფტთა პოტენციალის შენარჩუნება ან ამადლება მისი პროდუქტიულობის შენარჩუნებასა და ზრდასთანაა გაიგივებული. ამგვარი თვალსაზრისი გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ლანდშაფტი და მისი პოტენციალი მხოლოდ საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის იქნება განკუთვნილი. თუმცა, ლანდშაფტის სხვაგვარი თვისებებისა და პოტენციალის გაუთვალისწინებლობა სამეურნეო და სოციალური განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება წარმოჩინდეს.

ლანდშაფტის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესახებ მკაფიოდ მეტყველებს მისი სამეურნეო გამოყენების ტრადიციები და ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ვახუშტი ბაგრატიონის “აღწერა სამეფოსა საქართველოსი” და ივანე ჯავახიშვილის “საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას” ეკუთვნის.

საქართველოში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები თვალსაჩინოა მთელ მსოფლიოში - ქართული ვახის და ხორბალის არაერთი სახეობა, ხილი, ფუტკარი, ცხენი, ძაღლი, ცხვარი და შინაურ ცხოველთა არაერთი ჯიშში მაღალი სამეურნეო პოტენციალით და ენდემიზმითაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, საქართველოში არაარსებითად განიხილება მათი გავრცელების და აღდგენის შესაძლებლობები და სოფლის მეურნეობის რეგიონული (და ზონალური) სპეციალიზაცია. არადა, ზემოთაღნიშნული შრომები მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის საქართველოს სოფლის მეურნეობის იმ ტრადიციების და მიმართულებების შესახებ, რომელთა გათვალისწინებამ არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს დარგის განვითარების საქმეში.

ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ეკონომიკური ისტორია მრავალმხრივია საყურადღებო. მასში მოცემულია უმნიშვნელოვანესი ცნობები საქართველოს მოსახლეობის, დემოგრაფიული ვითარების, სასოფლო და საქალაქო დასახლებათა, მეურნეობის ტიპების ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ. იგი დაწვრილებით განიხილავს ვახუშტის ნაშრომს და მის მიხედვით გამოყოფს ხუთი ტიპის ვერტიკალურ ბუნებრივ ზონას ბუნებრივი პოტენციალის და კულტურულ მცენარეთა გავრცელების მიხედვით. ესენია: თურინჯ-ნარინჯ-ზეთისხილიანი, ბრინჯ-ბამბიანი, ვენახოვან-ხეხილიანი, ხეხილიანი, უვენახ-ხილი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ვერტიკალური ზონალობა კულტურულ მცენარეთა ეკოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, პირველი და უნიკალური ცდაა გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში.

ვახუშტი ბაგრატიონი არაერთ ისეთ კულტურას და მის მოსავლიანობას აღწერს, რომელიც ამჟამად საერთოდ ან თითქმის არ იწარმოება საქართველოში. მათ შორისაა ბრინჯი, ბამბა, ზეთისხილი, სელი, აბრეშუმი, ტყის ხილი, მარცვლეულის არაერთი სახეობა (მათ შორის ქერი, ფეტვი, შგრია, ღომი) და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ პროდუქციაზე მსოფლიოში მუდმივად მზარდი მოთხოვნაა, ხოლო საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი - მათი წარმოებისთვის სრულიად შესაბამისი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარება, რასაც დიდი ყურადღება ეთმობა, ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა სასუქების გამოყენებას და თესლბრუნვას უკავშირდება. საქართველოში მუდმივად იყო და არის ნაკელის და კომპოსტის სიმცირე, თუმცა პრაქტიკულად არ გამოიყენება ლამი - მასალა, რომლის უდიდეს მნიშვნელობაზე არაერთგზის

საუბრობს თუნდაც ვახუშტი ბაგრატიონი. მაგალითად, შიდა ქართლის აღწერისას აღნიშნავს, რომ “რომელნი ველნი ირწყვიან ლიხვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი”.

საქართველოში ლამის დაგროვების არეალები ემთხვევა წყალსაცავების გეოგრაფიას, რაც ძირითადად მთისა და ბარის მიჯნაზეა წარმოდგენილი. მთიანი ტერიტორიები, ვახუშტის მიერ, სამ ნაწილად: ვენახოვან-ხეხილიან, ხეხილიან და უხეხილო ზონას მიეკუთვნება. მთის პირველი და მეორე ზონა მცირემიწიანობით და დაბალი ნაყოფიერებით ხასიათდება, რის გაუმჯობესებაშიც არსებითი როლი შეუძლია ლამის გამოყენებამ ითამაშოს. ცნობილია, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის (ჩინეთი, ეგვიპტე, ინდოეთი და სხვ.) სოფლის მეურნეობა უმეტესწილად უკავშირდება მდინარეთა მიერ წყალდიდობისას მოტანილ ნასაღ მასალას. ლამი, რომელიც მდიდარია ბუნებრივი მინერალებით, 10-12 ჯერ აღემატება ეფექტურობით ნაკელს (როგორც შემადგენლობით, ისე ხანგრძლივობით) და კომპოსტს. იგი ზრდის ნიადაგის ფორიანობას და შესაბამისად - მის წყალგამტარობასა და სითბოცვლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ელიზბარაშვილი და სხვ. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 2000.
2. ნ. ელიზბარაშვილი, ლანდშაფტური დაგეგმარების გეოეკოლოგიური საფუძვლები. გამომც. უნივერსალი, 2005.
3. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი IV-V. – თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
4. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია. თბ., “მეცნიერება”, 1997.
5. დ. ნიკოლაიშვილი, საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი. თბ., თსუ გამ., 2010.

NODAR ELIZBARASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

GIORGI MELADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

RUSUDAN ELIZBARASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Student

GLOBAL CLIMATE CHANGE AND ASPECTS OF DEVELOPMENT OF ECOLOGICAL AGRICULTURE IN GEORGIA

S u m m a r y

Process of climate change is observed as on a global scale, and in Georgia. Including: for a last century so-so annual air temperature increased on 0.6⁰C, increased quantity of glaciers at the expense of an shortening of their area, decreased upper border of distribution of subalpine landscapes, increased a share of semi-desert ecosystems in steppe landscapes of east Georgia, extreme weather events are fixed, level of the Black Sea rose by 10-25 cm, changed geography and height of a snow cover, etc. Therefore, ecosystem changes it is predicted in arid, semi-arid and semi-humid landscapes of East and Southern Georgia.

Development of Ecological agriculture in Georgia demands a large amount of the organic fertilizers which resources in Georgia are limited. However, very large reserves of silt (river deposits) with which mouths almost all reservoir of Georgia are rich, aren't used almost.

ბუნაჯ მრეობიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია საქართველოში

განვითარებადი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა.

საქართველოში 2012 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის 54% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, ამ სფეროს წილი მშპ-ში მხოლოდ 8,4%-ს შეადგენს. შედარებისათვის, აშშ-ში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 1,6%, გერმანიაში – 2,9%, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ – 5,0%. აშშ-ში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126 მაცხოვრებელს, გერმანიაში საშუალოდ 144 მაცხოვრებელს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ 51-ს, ხოლო საქართველოში ერთ

დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი უჭირს. 2012 წლის მონაცემებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე, კერძოდ, ყურძენზე - 127%, სიმინდზე, კვერცხზე - 100 %, რძე და რძის პროდუქტებზე - 92%, კარტოფილზე - 89%, ბოსტნეულზე - 78%.¹

დინამიკაში მაჩვენებლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში 2006-2012 წლებში შემცირებულია მეცხოველეობის უმეტესი პროდუქციის წარმოება, შემცირდა ხორცეულის წარმოება. მკვეთრად შემცირებული ხორბლის წარმოების მაჩვენებელი. ხორბლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მხოლოდ 8%-ია. საერთოდ აღარ იწარმოება მთელი რიგი პროდუქტები. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება.

ქვეყნის მთლიან ფართობში სახნავ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში - 22,7%, თურქეთში -27,7%, უკრაინაში კი 56,1%. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მეურნეობათა 75% ფლობს 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, ამ ზომის მიწაზე კი პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ფერმერულ მეურნეობათა ეს კატეგორია ორიენტირებულია მხოლოდ თვითუზრუნველყოფაზე და ისიც უჭირთ.

2011=2013 წლებში საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად სოფლის მეურნეობა დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, მას უამრავი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემის განვითარება.

2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 40 მლნ, 2011 წელს - 86 მლნ-ს, 2012 წელს -119,9 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2013 წლისათვის ბიუჯეტიდან 182,2 მლნ ლარია გამოყოფილი ანუ წინა წელთან შედარებით 22,4%-ით გაიზარდა. აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ბოლო პერიოდში თითქოს შეინიშნებოდა სოფლის მეურნეობისათვის კრედიტების გაცემა, მაგრამ მალევე შეჩერდა. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2 პროცენტზე ნაკლები მოდის.

თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ. ეს უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები ჯერ არ ჰქონია.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს აგრარულ სექტორს სახელმწიფოს ხელშეწყობით შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. ასეთი პროდუქცია საქართველოში ბოსტნეული, ყურძენი, ხილი, ღვინო.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების და განსაკუთრებით ხორბლეულის მეტი წილი გადაშენების გზაზეა. სპეციალისტების აზრით, საქართველოს აქვს რესურსი ხორბლეულის ის რაოდენობა აწარმოოს, რომელიც უმთავრესად ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ეს ეხება არა მარტო ხორბლეულს, არამედ თითქმის ყველა სახეობის სასოფლო - სამეურნეო პროდუქტს.

¹ www.geostat.ge

სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას.

სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული პოტენციალის გამოყენება, უნდა ჩაიღოს ინვესტიციები. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ აგრარული წარმოების შედეგები ძველებურად განუჭკვრეტელი რჩება. გვალვა, წყალდიდობა, მანებლები, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგრო დაზღვევის განვითარებაა. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელსაც დააფინანსებს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და განახორციელებს „სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო“. პროექტი დაიწყო 2013 წლის მარტიდან. პროექტის მიხედვით გაიცემა: ა) უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისათვის 0%; ბ) შელავათიანი აგრო კრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის – არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით); გ) შელავათიანი აგრო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის არაუმეტეს 3%-ის (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით ევროკავშირმა შეიმუშავა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის, რომელიც 2013 წლის მარტში დაიწყო და 2016 წლის მარტამდე გაგრძელდება. პროექტის მთავარი პარტნიორებია სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა დარგობრივ სამინისტროებთან/სახელმწიფო სექტორთან და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრებთან ერთად. იგი ხელს შეუწყობს მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას. საბოლოოდ, საქართველოში სურსათის წარმოების მოცულობის ზრდა და სოფლად სიღარიბის დონის შემცირება წარმატების მთავარი ინდიკატორები იქნება. პროგრამის მიზანია გააძლიეროს მცირე ფერმერები, რომლებიც შესაძლოა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ხერხემალი გახდნენ. სოფლის მეურნეობის განვითარება არის საფუძველი სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარებისათვის, რომელიც თავის მხრივ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დრმა და ყოველმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების (DCFTA) შესახებ მოლაპარაკების მთავარი ელემენტია. ბიუჯეტის ოდენობაა 40 მლნ ევრო.

ფერმერთა აზრით, თუ ხელისუფლებას რეალურად ფერმერთა დახმარება სურს, პირველ რიგში მიწის გაზრდილი გადასახადი უნდა შემცირდეს. 2010 წლის მთავრობის დადგენილებით, გაიზარდა სახნავ-სათეს მიწებზე გადასახადი, ხოლო საძოვრის გადასახადი 500%-ითაა გაზრდილი. ამან საბოლოოდ წელში გატეხა ფერმერიც, გლეხიც და ყველა ის ადამიანი, ვინც სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული. ამან გამოიწვია ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვა. პირველი და უმთავრესი ხელშეწყობა გლეხისათვის ამ მძიმე გადასახადის მოხსნა იქნებოდა. ვაუჩერები, რომელიც სოფლად დარიგდა სოფლის მეურნეობას ვერ ააღორძინებს. სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია წვრილი გლეხური მეურნეობების გაერთიანება, მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა, მოსავლის დაბინავების და რეალიზაციის უზრუნველყოფა, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განავითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა კარგად. ამ მხრივ საქართველოში სავალდებულო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადამამუშავებლები, ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უვნებლობის და სხვა ნორმების

დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლებისათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უვნებლობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

- ქვეყანაში აგრო დაზღვევის განვითარება;
- ფერმერებისათვის დაბალპროცენტოვანი და გრძელვადიანი კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;
- კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა;
- სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების უზრუნველყოფა, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;
- ახალი ჯიშების გამოყვანის საცდელი სადგურების აღდგენა და ახალი სტანდარტებით ამოქმედება;
- სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;
- საშუაშავლო სტრუქტურების შექმნა, რომელიც ფერმერს რეალიზატორებთან დააკავშირებს;
- უნდა გაფართოვდეს ფერმერებისათვის საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები, განხორციელდეს მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს საფუძველს შექმნის ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებისთვის;
- აგრარული სექტორის სტრატეგიული დარგების განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ დარგებმა უნდა შექმნან ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შედღვევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება.

საქართველო თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებით იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ვაწარმოოთ. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა დღით-დღე იზრდება. ჩვენმა პროდუქტმა პოპულარობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს. აუცილებელია სწორი პოლიტიკის გატარება, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, 2012.
2. გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, 2013.
3. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD –GEORGIA), 2013.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2012.
5. ე. ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
6. მ. ნაცვალაძე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი. თბილისი, 2009.
7. M. Chavleishvili, G. Erkomashvili, R. Seturidze , Strategic Tendencies of Food Safety in
8. Georgia in Globalization Context. World Academy of Science, Engineering and Technology, 27-28 June 2013, Paris , www.Waset.org
9. www.geostat.ge

GULNAZ ERKOMAISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State Universit, y Associate Professor

AGRARIAN SECTOR DEVELOPMENT STRATEGY IN GEORGIA

S u m m a r y

The utmost aim of agrarian policy represents supply of agricultural products to population and provision of healthy nutrition.

Agrarian sector of Georgia may succeed with support of the state and enter the world market with competitive agricultural products. In Georgia such products are vegetables, fruits wine.

In 2011-2013 the government of Georgia referred agriculture as a field of priority importance. Despite large potential of this branch it undergoes numerous problems, one of them may be considered not-sufficient support. It is necessary to provide the ample finances from the side of the state, developed infrastructure, high profile mechanization and insurance system.

მარიამ ვარლიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი*

ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვის ორგანიზაციის აქტუალური საპირობები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. განვითარებული სოფლის მეურნეობა ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას (წარმოების ზრდის ხარჯზე). სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის.

სოფლის მეურნეობის წარმოება რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომლებსაც ძირითადად განსაზღვრავს ბუნებრივი ფაქტორები. ეს თავისებურებები პირველ რიგში მდგომარეობს იმაში რომ წარმოების პროცესი უკავშირდება კლიმატს, ნიადაგს და ცოცხალ ორგანიზმებს. სოფლის მეურნეობაში საწარმოო ციკლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეს არის, ცოცხალ ორგანიზმებზე მიზანმიმართული ზემოქმედება - გამოზარდონ ისინი გარკვეულ კონდენციამდე, რათა შეიძინონ ადამიანებისათვის საჭირო სასარგებლო თვისებები. თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ბუნებრივ ციკლს, წარმოება აქ უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს ვიდრე ზოგიერთ სხვა დარგში. მაგალითად, მეხორცული მსხვილფეხა საქონლის, ასევე მრავალწლიანი ხეხილის ნერგების გაშენებას, გაზრდასა და მათგან ნაყოფის მიღებას რამდენიმე წელი სჭირდება.

სოფლის მეურნეობის საწარმოებში მიწის, საწარმოო ფონდების, მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენების, ხარჯების შემცირების, რენტაბელობის ამაღლებისა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების გასატარებლად საჭიროა, მათი სამეურნეო საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ყოველმხრივ სრული, ობიექტური და ოპერატიული ინფორმაციის არსებობა, რომლის ძირთადაც წყაროს წარმოადგენს საბუღალტრო მონაცემები.

ამ დარგის საწარმოების საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვას არეგულირებს ბასს 41 „სოფლის მეურნეობა“. აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება

- ბიოლოგიური აქტივების;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტში) და
- ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებული გრანტების აღრიცხვისათვის.

სტანდარტის შესაბამისად „სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საწარმოს მიერ ცოცხალი ცხოველებისა და მცენარეების (ბიოლოგიური აქტივების) ბიოლოგიური ტრანსფორმაციის მართვას მათი გაყიდვის, სოფლის მეურნეობის წარმოების, ან მათგან დამატებითი ბიოლოგიური აქტივების წარმოების მიზნით.“ (41/5 ვკ 897)

აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის საწარმოების აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ბიოლოგიური აქტივი. ბიოლოგიური აქტივი არის ცხოველი ან მცენარე, შესაბამისად ბიოლოგიური აქტივების ჯგუფია მსგავსი ცხოველების ან მცენარეების ერთობლიობა. მათი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში რომ ის განიცდიან ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას, რომელიც მოიცავს ზრდას, დაკნინებას, წარმოებასა და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს.

სოფლის მეურნეობის საწარმოებში, სასაოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად არის არასასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაგრძელებაა. მაგალითად, რძის გადამუშავების შედეგად, ყველის, კარაქის და სხვა სახის პროდუქტების წარმოება.

ბასს 41-ე ადგენს სოფლის მეურნეობის საქმიანობის, როგორც ბიოტრანსფორმაციის მართვის პროცესების სააღრიცხვო მეთოდს, ბიოლოგიური აქტივების ასახვის წესს პირველადი მიღების, ზრდის, დევენერაციის, წარმოებისა და რეპროდუქციის პირობებში. მაგრამ ბასს 41 არ მოიცავს

სოფლის მეურნეობის საწარმოებში მიღებული პროდუქტების დამუშავების პროცესს, მაშინაც კი თუ ეს პროცესი ხორციელდება იმავე საწარმოში, რომელშიც იქნა მიღებული. პროდუქტების გადამუშავება განიხილება სამრეწველო წარმოებად, რომელიც რეგულირდება ბასს 2-ით „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“. აქედან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის უნდა განვსზღვროთ და გავმიჯნოთ ბიოლოგიური აქტივები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ნაყოფის მიღების შემდეგ მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, ამის მაგალითები სტანდარტში წარმოდგენილია შემდეგი სახით (ბასს 41 პ. 4).

ბიოლოგიური აქტივები	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ნაყოფის მიღების შემდეგ მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები
ცხვარი	მატყლი	ძაფი, ხალიჩა
ხეები ტყის პლანტაციაში	მორები	ხის მასალა
მცენარე	ბამბა	ძაფი, ტანსაცმელი
	ლერწამი	შაქარი
მსხვილი რქოსანი პირუტყვი	რძე	ყველი
ღორები	გატყავებული და გამოშიგნული ღორი	სოსისი, დამუშავებული ღორი
ბუნქოვანები	ფოთოლი	ჩაი, დამუშავებული თამბაქო
ვაზი	ყურძენი	ღვინო
ხეხილი	მოკრეფილი ხილი	გადამუშავებული ხილი

ბასს 41 „სოფლის მეურნეობა“ გამოიყენება ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმართ მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტისათვის. ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისას გამოიყენება ბასს 2 „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“

ბიოლოგიური აქტივების კლასიფიკაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებამოიცავს სხვადასხვა საქმიანობას მეცხოველეობას, მეხილეობას, მემცენარეობას, მეთევზეობას, მებოსტნეობას და სხვა. ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნეს სააღრიცხვო სქემის შემუშავებისას. აქვე უნდა ავლნიშნო, რომ იმ ბიოლოგიური რესურსების ტრანსფორმაციისა და მოპოვების პროცესი, რომელიც საწარმოს საკუთრების, კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ არ იმყოფებიან არ განიხილება სასოფლო-სამეურნეო წარმოებად. მაგალითად თევზის რეწვა ზღვეში, ტყის ჭრა, ნადირობა და სხვ.

სააღრიცხვო ობიექტებისათვის სქემის შემუშავებისას ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბასს 41-ის მოთხოვნა ბიოლოგიური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ, სადაც ბიოლოგიური აქტივები წარმოდგენილია შემდეგ კატეგორიებად:

- არასანაშენო ანუ მოხმარებისთვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივები;
- სანაშენო ბიოლოგიური აქტივები;
- მოზარდი ანუ ზრდადაუსრულებელი ბიოლოგიური აქტივები;
- ზრდადასრულებელი ბიოლოგიური აქტივები;

არასანაშენო ანუ მოხმარებისთვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივებს მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის პროდუქცია ან გასაყიდად განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივები, მაგალითად, გასაყიდად განკუთვნილი პირუტყვი, ფრინველი, მარცვლეული კულტურები და სხვა. ხოლო სანაშენო ბიოლოგიური აქტივებია ყველა დანარჩენი, რომლებიც არ არის განკუთვნილი მოხმარებისთვის, როგორცაა მსხვილფეხა პირუტყვი, ხეხილი, ვენახი და სხვა.

ბიოლოგიური აქტივი ზრდადასრულებულია, როდესაც იგი როგორც აქტივი შევა ექსპლუატაციაში და საწარმო მისგან იღებს შემოსავალს ნაყოფის სახით.

საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ბიოლოგიური აქტივების ჯგუფების მიხედვით, არასანაშენო (მოხმარებისთვის განკუთვნილი) და სანაშენო, ან მოზარდი და ზრდადასრულებული ბიოლოგიური აქტივების ჭრილში. ეს განსხვავება იძლევა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას.

ბიოლოგიური აქტივების შეფასება. სოფლის მეურნეობის საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში ბიოლოგიური აქტივების ასახვისას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მათ შეფასებას. ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღიარდება და ბუღალტრულად აღრიცხება მაშინ როდესაც:

- საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბასს 41 -ის მიხედვით ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას, აგრეთვე ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლს მეურნეობის პროდუქციის ნაყოფი, მიღების მომენტისას, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებული იქნება გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით.

გაყიდვისათვის საჭირო ხარჯებს მიეკუთვნება ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება ბროკერთა და დილერთა მომსახურებისას, სასაქონლო ბირჟებისა და მარეგულირებელი სააგენტოების მიერ დაწესებულ მოსაკრებლების, აქტივების გადაცემისა და საბაჟო გადასახადების გადახდისას. მას არ მიეკუთვნება აქტივების სატრანსპორტო და სხვა ხარჯები, რადგანაც ისინი რეალური ღირებულების განსაზღვრისას აკლდება საბაზრო ფასს.

მაგალითად, განვსაზღვროთ ერთი ტონა ხორბლის რეალური ღირებულება მოსავლის აღების მომენტში, მაშინ, როდესაც ბაზარზე 1 ტონა ხორბლის სარეალიზაციო ფასი 3 000 ლარია, სატრანსპორტო ხარჯები შეადგენს 400 ლარს. ბროკერის მომსახურების - 200 ლარს, სასაქონლო ბირჟებისა და მარეგულირებელი სააგენტოების მიერ დაწესებულ მოსაკრებლები - 150 ლარს.

- რეალური ღირებულება უდრის $3\ 000 - 400 = 2\ 600$
- გაყიდვისათვის საჭირო ხარჯები შეადგენს $200 + 150 = 350$
- მოსავლის აღების მომენტში, ერთი ტონა ხორბლის რეალური ღირებულება შემცირებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით იქნება $2\ 600 - 350 = 2\ 250$

აქტივის რეალური შეფასების საუკეთესო პირობას ქმნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის აქტიური ბაზარი, სადაც რეგულარულად ხორციელდება გარიგებები ერთგვაროვან საქონელზე და ინფორმაცია ფასებზე დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია. როდესაც აქტიური ბაზრი არ არსებობს, რეალური ღირებულების დადგენა რთულდება. ამ შემთხვევაში სტანდარტი უშვებს შეფასების ალტერნატიულ მეთოდებს: უახლესი საბაზრო გარიგების ფასს, ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასებს, სექტორის სტატისტიკური ბაზას, აქტივიდან მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების დისკონტირებულ ღირებულებას.

ბიოლოგიური აქტივის შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ის უნდა განხორციელდეს რეალური ღირებულების საფუძველზე.

თუმცა ეს ვარაუდი, ბასს 41-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად შეიძლება გაბათილდეს იმ შემთხვევაში თუ ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი შეფასებისას:

- არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები;
- რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები უეჭველად არა საიმედოა.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ბიოლოგიური აქტივი შეფასდეს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შეფასების ამ წესის გამოყენებისას საწარმო იყენებს ბასს 2-ს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“, ბასს 16-ს „ძირითადი საშუალებები“, და ბასს 36-ს „აქტივების გაუფასურება“. მაგრამ როგორც კი გაჩნდება რეალური ღირებულებით საიმედოდ შეფასების შესაძლებლობა, საწარმოში ბიოლოგიური აქტივების შეფასებისას აღნიშნული მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული.

შეფასების ეს მეთოდები ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტში) მიმართ გამოიყენება იმ პერიოდამდე რომლის შემდეგაც გამოიყენება ბასს -2. მაგალითად ხორბალი ნაყოფის მიღების მომენტში შეფასდება ბასს 41-ის მიხედვით, ხოლო თუ წლის ბოლოს ხორბალი დარჩენილია მარაგებში ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ბასს -2-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიოლოგიური აქტივების შეფასება წარმოებს როგორც პირველადი აღიარებისას, ასევე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რადგანაც ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება შეიძლება შეიცვალოს, არა მხოლოდ საბაზრო ფასების ცვლილების, არამედ ტრანსფორმაციის, (ზრდის ან/ და თუ ზრდასრულია შესაძლოა დაკნინების) შედეგად, ამიტომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აქტივი ასევე უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება გაყიდვისათვის საჭირო ხარჯებით.

ანგარიშგებაში ცალკე-ცალკე უნდა აისახოს ინფორმაცია ფიზიკური თვისებების ცვლილებისა და ფასების შეცვლის შესახებ. ეს მიმდინარე პერიოდის საქმიანობისა და პერსპექტივების შეფასების საშუალებას იძლევა.

მოგება-ზარალი. ყველა შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიღებისას უნდა აღირიცხოს რეალური ღირებულებით. ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით აღირიცხვა წარმოქმნის შემოსულობას ან ზარალს, რომელიც ჩართული უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც მიღებული იქნა ეს პროდუქცია (ბასს 41; პ 26).

ბიოლოგიური აქტივების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები აღირიცხება ბიოლოგიური აქტივების წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ანგარიშის დებეტში. შემოსავალში აიღება, არა გაწეული დანახარჯებით არამედ რეალური ღირებულებით.

იმ შემთხვევაში თუ რეალური ღირებულება აღემატება გაწეულ დანახარჯებს, სხვაობა აღიარდება შემოსულობად და იასახება ბუღალტრული გატარებით

დებეტი ბიოლოგიური აქტივი (რეალური ღირებულებით)

კრედიტი ბიოლოგიური აქტივების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები

კრედიტი შემოსულობა ბიოლოგიური აქტივების მიღებიდან

ხოლო თუ რეალური ღირებულება ნაკლებია გაწეულ დანახარჯებზე, სხვაობა აღიარდება როგორც ზარალი და იასახება ბუღალტრული გატარებით

დებეტი ბიოლოგიური აქტივი (რეალური ღირებულებით)

დებეტი ზარალი ბიოლოგიური აქტივების მიღებიდან

კრედიტი ბიოლოგიური აქტივების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე აუცილებელია სტანდარტში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და აღრიცხვის წესების განსჯა, რათა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმულმა საწარმოებმა უზრუნველყონ საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე დაფუძნებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

MARIAM VARDIASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

CURRENT ISSUES IN ACCOUNTING FOR BIOLOGICAL ASSETS OF THE ORGANIZATION

S u m m a r y

This work presents IAS 41 - the "Agriculture" reviews. Definitions used in this standard are considered biological classification of assets, biological assets derived from fetal initial assessment methods and their role in the organization of biological assets accounting.

**МАРИНЕ ЗАУТАШВИЛИ, ЛУБА ЭПРИКАШВИЛИ, ТЕИМУРАЗ КОРДЗАХИЯ,
НИНО ПИРЦХАЛАВА, МАИЯ ДЗАГАНИЯ, ИМЕДА РУБАШВИЛИ, НИНО КАХИДЗЕ***

Тбилисский государственный университет им. Ив.Джавахишвили,

Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили

**Кутаисский государственный университет им. А.Церетели*

ИСПОЛЬЗОВАНИЯ НОВЫХ УДОБРЕНИЙ НА ОСНОВЕ ПРИРОДНЫХ КОМПОЗИТОВ ДЛЯ ВЫРАЩИВАНИЯ ФАСОЛИ

На основе бурого угля и природного цеолита (гейландит – клиноптилолитового туфа), модифицированного катионами аммония и калия разработан субстрат, на котором в лабораторных условиях было исследовано его влияние на биометрические показатели прорастания фасоли.

В XXI веке на первое место выдвигается весьма актуальная проблема– проблема продуктов питания человечества. Вместе с тем площадь, используемых в сельском хозяйстве земель, катастрофически уменьшается под воздействием природной и техногенной деградации (эрозии), в основном, вызванной неразумной человеческой деятельностью.

В связи с этим во всём мире наблюдается тенденция к созданию субстратов для выращивания с/х растений с минимальным использованием почвы, т.е. переход от растениеводства к

растениепроизводству. В настоящее время в практике растениеводства для выращивания различных сельскохозяйственных культур широко используются тепличные грунты (субстраты), состоящие из различных компонентов. Численность компонентов, входящих в состав субстратов, большей частью не превышает четырёх составляющих. Субстраты условно можно разделить на две группы: почвосодержащие и почвеносодержащие. В настоящее время предпочтение отдаётся последним [1].

Со второй половины прошлого века и с начала нынешнего столетия многие исследователи начали вводить в состав субстратов природные цеолиты седиментационного происхождения, месторождения которых широко представлены на всех континентах земного шара [2-7]. Значительные месторождения таких минералов имеются в Грузии, причём с большим разнообразием их видов, а именно: анальцим-клиноптилолит-филлипсит-морденит-ломонтитсодержащие горные породы [8,9].




Рис.1. Расположение цеолитовых залежей на территории Грузии

Грузинские месторождения в своём разнообразии уступают лишь месторождениями США. Следует отметить, что в этих породах, кроме вышеуказанных минералов содержатся микроэлементы, в количестве несколько грамм на тонну, что очень важно при их использовании в растениеводстве.

Такой повышенный интерес к цеолитам обусловлен поистине уникальными свойствами этого минерала, который является перспективным материалом для очистки почв от тяжелых металлов, вредных органических и неорганических продуктов. Добавление цеолитового щебня прекрасно аэрирует почву, способствует развитию корневой системы и росту всего растения; удерживает в зоне корней достаточное количество воды - 40 - 70% от своего веса, захватывает удобрения, позволяя растениям более эффективно использовать питательные вещества из почвы. Цеолит работает как резервуар хранения для наиболее важных питательных веществ, улучшая усвоение удобрений на 20-40% и снижая их вымывание в грунтовые воды.

Биологическая активность цеолитов, способствует созданию в субстратах благоприятных микробных ассоциаций, способствуя фиксации азота воздуха, переводя его в форму, доступную для питания растений. Благодаря этому частично или, в некоторых случаях, полностью отпадает необходимость использования азотных удобрений. Внесение цеолитов в субстраты практически полностью исключает возможность прорастания сорняков и в значительной мере увеличивает устойчивость растений к поражению различными заболеваниями. Во всех растениях, выращенных на таких субстратах, наблюдается значительное уменьшение содержания нитратов в готовой продукции [10].

Цель настоящего исследования, заключается в разработке эффективного субстрата не содержащего почву. Исходными материалами для приготовления субстратов служили природный цеолит седиментационного происхождения (клиноптилолит), почва и бурые угли.

В качестве заменителя почвы были использованы бурые угли Ахалцихского месторождения (Грузия), которые относятся к гумусово-сапропелитовой группе, и принадлежат к классу тощих бурых углей [9]. Они не находят значительного практического применения, но содержат в большом количестве органические вещества в виде гуминовых кислот, которые не растворимы в воде и поэтому не доступны в качестве питательных элементов для растений. Была предпринята попытка использования их в сочетании с природными цеолитами, исходя из предположения, что присутствие этих минералов в субстрате, будет содействовать переводу органических веществ, содержащихся в бурых углях в водорастворимые формы.

Природный цеолит – гейландит – клиноптилолитовый туф месторождения Тедзами, участок Хандаки (Грузия). Содержание основного минерала, в этой горной породе колеблется в пределах 70-80%, в катионном составе превалирует кальций [10].

Перспективность и целесообразность использования этих минералов (цеолитов) для выращивания с/х растений заключается в их хорошо выраженной катионообменной способности – катионы цеолитов легко могут обмениваться на другие катионы без нарушения структуры цеолита (клиноптилолит). Особенно они избирательны к катионам аммония (NH_4^+) и калия (K^+), основных питательных элементов растения, т.е. способны поддерживать оптимальный питательный рацион растений. В зависимости от вида цеолита катионная обменная ёмкость (КОЕ) отличается друг от друга в разы [10].

Модифицирование цеолита катионами аммония и калия, осуществлялось многократной обработкой исходного природного гейландит-клиноптилолитсодержащего туфа, 0,1н растворами NH_4Cl и KCl соответственно. В качестве второго компонента субстрата использовался бурый уголь.

В эксперименте использовался лугово-коричневый тип почвы, со слабощелочной реакцией водного раствора ($\text{pH}=7.3-7.9$). Почва характеризуется низким содержанием гумуса от 1.93 до 2.90%, по гранулометрическому составу относится к тяжёлым суглинкам.

Эксперимент осуществлялся в вегетационных сосудах, в трёх вариантах, каждый в трёх повторностях. Для испытания плодородия субстратов в качестве тестового растения по сравнению предыдущими работами [11,12] использовалась - фасоль. Начало эксперимента, март 2012 года, продолжительность эксперимента – три месяца.

В первом варианте – в качестве эталона использовалась почва (объект сравнения). Во втором варианте субстрат изготовлялся смешением тонкоизмельчённых (до зернения $<1\text{мм}$) следующих компонентов: 25% цеолита, модифицированного катионами аммония, 25% цеолита, модифицированного катионами калия и 50% почвы. Третий вариант – основной, подобен второму варианту, но вместо почвы использован бурый уголь – 50%.

Были определены следующие показатели: энергия прорастания (ЭП), относительная величина энергии прорастания (ОВЭП), всхожесть (В), относительная величина всхожести (ОВВ), а также такие биометрические показатели как: высота ростков (ВР) и относительная величина высоты ростков (ОВВР). Энергию прорастания определяли через семь дней после посева, а всхожесть на четырнадцатый день.

Таблица. Воздействие субстрата на всхожесть семян и высоту ростков фасоли.

Тип субстрата	Э.П.	О.В.Э.П.	В.	О.В.В.	В.Р. (см)	О.В.В.Р.
1) Почва (контроль)	86	-	90	-	49.0	-
2) цеолит-почва	93	0.07	96	0.06	55.6	0.12
3) цеолит-бурый уголь	99	0.06	100	0.04	59.0	0.06

Анализ данных приведенных в таблице свидетельствуют о том, что добавка цеолитов к почве положительно сказывается на показателях прорастания и всхожести семян фасоли. Наибольшее

возрастание энергии прорастания и всхожести имеет место при использовании цеолитов модифицированных катионами аммония и калия и бурого угля.

Высокая биопродуктивность растений, выращенных на субстрате, состоящем из цеолита и бурого угля, по сравнению с биопродуктивностью в первом и втором вариантах, предположительно, может быть объяснена следующим образом. Работами, выполненными в 70-х годах прошлого столетия, было показано, что катионы, входящие в состав цеолитов, обладают способностью входить реакцию ионного обмена не только в водных растворах, но и в твёрдом состоянии, хотя реакция обмена в этом случае более замедлена [13]. В связи с этим, в субстратах возможен следующий механизм ионного обмена, когда катионы NH_4^+ и K^+ из цеолита вступают в реакции обмена с гуминовыми и фульвокислотами, образуя соответствующие соли растворимые в водной среде. В таком состоянии, эти образовавшиеся органические вещества могут способствовать гумификации субстрата, а также их усваиваемости растениями. С другой стороны, высокую биопродуктивность этого субстрата, предположительно, можно связать с образованием благоприятного микробного пейзажа для роста и развития растения, который имеет место в системе цеолит-органика [14] (рисунок 3).



Рис 3. Прорастание фасоли на различных субстратах: 1) Почва (контроль); 3) цеолит-почва; 4) цеолит-бурый уголь

Таким образом, разработанный органо-цеолитовый субстрат на основе гейландит-клиноптилолитового туфа, модифицированного катионами аммония и калия и бурого угля, характеризуется высокой биопродуктивностью выращенных на нём растений и возможностью их длительного использования в растениеводстве.

Использованная литература:

1. Андроникашвили Т.Г., Урушадзе Т.Ф., Эприкашвили Л.Г. Известия Аграрной Науки, 2009, т.7, №4, с.14-45.
2. K. Torri (1978) in Natural Zeolites: Occurrence, Properties, Uses, Eds Sand L.B., Mumpton F.A. (Pergamon Elmsford N.Y.) 441-450.
3. G.P. Stoilov (1986) Natural Zeolites. Proceedings of the 4th Bulgarian-Soviet Symposium on Natural Zeolites, Burgas (1985). Bulgarian Academy of Sciences, Sofia: 336-352.
4. P.J. Leggo (2000) Plant and Soil, 212: 135-146.
5. B.P. Loboda (2000) Agrochimia, #6: 78-91 (in Russian).
6. D.W. Ming, E.R. Allen (2001) Rev. Mineralo. Geochem. 45: 615-654.
7. T.G. Andronikashvili, T.F. Urushadze (2008) Chem. Environ. Res., 17, (3-4): 311-339.
8. Mineral resources of Georgian GSSR, Tbilisi, 1938, p.1001-1050.
9. N.I. Skhirtladze, Sedimentary zeolites of Georgia, Tbilisi University press, 1991, 143p.
10. Tsitsishvili G.V., Andronikashvili T.G., Kirov G.N., Filizova, Natural Zeolites // Ellis Horwood Limited, England, 1992, 295 p.
11. T.G. Andronikashvili, T.N. Kordzakhia, M.G. Zautashvili, M.A. Dzaganian. Annals of Agrarian Science, 2009, v.7, #1, p.16-18.

12. Andronikashvili T., Zautashvili M., Eprikashvili L., Pirtskhalava N., Dzagania M. New substrate of prolonging action on the basis of natural zeolite and brown coal for growing of agricultural crops. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2011, v.5, #2, p.101-106.
13. G.V. Tsitsishvili, K.E. Avaliani, M.G. Adolashvili (1968) The method of preparation of ion-exchanges form of zeolites, Patent USSR, #223784.
14. T.G. Andronikashvili, M.A. Kardava, M.K. Gamisonia (1997) Natural Zeolites - Sofia'95, Pensoft Sofia-Moscow, 111-112.

**MARINE ZAUTASHVILI, LUBA EPRIKASHVILI, TEIMURAZ KORDZAKHIA,
NINO PIRTSKHALAVA, MAIA DZAGANIA, IMEDA RUBASHVILI, NINO KAKHIDZE***

*Ivane Javakishvili Tbilisi State University,
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry
A.Tsereteli Kutaisi State University

THE POSSIBILITY OF USING NON-TRADITIONAL FERTILIZERS ON THE BASIS OF NATURAL COMPOSITES

S u m m a r y

On the basis of natural zeolite (heulandite – clinoptilolite-containing tuff) modified by ammonium and potassium cations and brown coal a substrate on which was investigated its effects on bean growing biometrics.

ეკატერინე ზვიადაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ბეძა კაკაშია
აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი

სასურსათო უსაფრთხოება, მისი მნიშვნელობა და არსებული სიტუაცია საქართველოში

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა გულისხმობს - როდესაც ყოველ ადამიანს, აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის საჭირო სასურსათო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ნებისმიერ დროს ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელი მიუწვდება საკმარისი რაოდენობის უვნებელ და სრულფასოვან სურსათზე. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება არის ქვეყნის უნარი - უზრუნველყოს სურსათზე საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებანი. სასურსათო უზრუნველყოფა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია რესურსებსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე.

სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელზეც სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, თითოეული ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. აქედან გამომდინარე, ისეთი მასშტაბის ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მნიშვნელოვანია არსებული აგროსასურსათო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და მიზანმიმართული განვითარება. მარცვლეული სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ სასურსათო ბაზრის სტაბილურობაზე სხვა პროდუქტების წარმოების დონეც მოქმედებს, კერძოდ: მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, თევზეული, შაქარი, მცენარეული ზეთები, ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი.

საქართველო ტრადიციულად ხორბლის იმპორტიორი ქვეყანაა და ამდენად იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხორბლის მსოფლიო ბაზართან. ბუნებრივია, საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასის რყევები იწვევს პურპროდუქტების ფასების ცვლილებას საქართველოს შიდა ბაზარზეც, რაც მტიკვნიულად ისახება დაბალშემოსავლიან და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებზე. ღარიბი შინამეურნეობები საკმაოდ ძლიერად განიცდიან სურსათზე ფასების ცვლილების შედეგებს. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში, რომლებიც წარმოებული პროდუქციის 70%-ს პირადი მოხმარებისთვის იყენებს, მიუხედავად ამისა, ისინი ძირითად სასურსათო პროდუქციას მაინც იძენენ ბაზარზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის (ISET) კვლევამ აჩვენა, რომ არათანაბარი შემოსავლის მაღალი დონე არის ერთ-ერთი მიზეზი ფართოდ გავრცელებული სიღარიბისა საქართველოში. კვლევა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჯინის-ს კოეფიციენტზე (უთანასწორობის ინდიკატორი) დაყრდნობით, უთანასწორობა უფრო მაღალია საქართველოში, ვიდრე დსთ-ს რომელიმე ქვეყანაში, რუსეთის გარდა.

მსოფლიო სასურსათო კრიზისის პერიოდში ფასები განსაკუთრებით გაიზარდა ისეთ ძირითად სასურსათო პროდუქტებზე, როგორებიცაა: მარცვლეული, მცენარეული ზეთი, კარტოფილი, შაქარი, ლობიო და სხვ. შესაბამისად მოსახლეობისთვის სურსათზე ხელმისაწვდომობა სულ უფრო რთული გახდა, რაც ასევე აისახა მიღებული სურსათის რაციონზე და ხარისხზე. მომატებული ფასები განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს სოციალურად მოწყვლად ოჯახებზე, რომელთა ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს სურსათის შეძენა.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და ზემოთ მყოფთა კვების რაციონი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა კვების რაციონში ძირითადი ადგილი იაფ კალორიებს უჭირავს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა საკვები ენერჯის საშუალო მოხმარების დონე FAO-ს სტანდარტების მიხედვით რისკის ზონაში იმყოფება. ქვეყნის უმეტეს ნაწილში აღინიშნება საკვები ენერჯის მოხმარების ხარისხობრივი დისბალანსი. ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას მაღალმთიან რეგიონებში. მოხმარებულ საკვებში მიკროელემენტების (ვიტამინი, რკინა და იოდი) ნაკლებობაა, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია მოზარდი ორგანიზმისათვის, ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისა და სხვა უმწვეო ჯგუფებისათვის.

2012 წლის საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მთავარი გზავნილები შემდეგნაირია:

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს მარცვლეულის წარმოების მონაცემები საკმაოდ გაუმჯობესდა, კერძოდ 2011 წელთან შედარებით დაახლოებით 7%-ით გაიზარდა, რაც უკანასკნელი ხუთი წლის გამწვანებაში საუკეთესო მაჩვენებელია. რასაც ხელი შეუწყო სხვადასხვა გარემოებებმა, კერძოდ კლიმატურმა პირობებმა, აგროტექნიკის დროულად განხორციელებამ, ასევე მარცვლეულის წარმოების განვითარების მიმართულებით განხორციელებულმა პროგრამებმა.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წელს ხილისა და ბოსტნეულის მოსავალი ქვეყნის მასშტაბით კარგი იყო, გარდა კახეთის რამოდენიმე რაიონისა, სადაც ძლიერმა ქარმა და სეტყვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ხილისა და ყურძნის მოსავალს. დასეტყვილი რაიონები ტრადიციულად გამოირჩეოდა მაღალი პროდუქტიულობით. ხილის არსებული ბაღების უმეტესობა განახლებას საჭიროებს, განახლების შედეგად მოსავლიანობის ადრეულ დონეზე გასვლა სამი-ოთხი წლის მერე იქნება შესაძლებელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ყველა რაიონში შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრები ფერმერებისათვის, რომლებიც საჭირო კონსულტაციებს გაუწევენ ფერმერებს. 2013 წლის გაზაფხულზე, მცირე ფერმერების მხარდასაჭერად დაიწყო სხვადასხვა პროგრამები, ფერმერებს მიეწოდათ „სოფლის მეურნეობის ბარათი“ ხვან-თესვისათვის და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების შესასყიდად, თანხის რაოდენობა განისაზღვრა მიწის მფლობელობის მიხედვით. ასევე აღსანიშნავია, „ხელმისაწვდომი კრედიტის პროგრამა“, რომელიც ხორციელდება კომერციული ბანკების მეშვეობით და გასცემს სუბსიდირებულ კრედიტს ფერმერებისათვის.


არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2011 წელს სიღარიბის მაჩვენებელი მართალია შემცირდა - 9.2% -ით, მაგრამ ვერ გააუმჯობესა 2007 წლის მაჩვენებელი (6.4%);

2012 წელს სურსათზე ფასების მკვეთრი ზრდა არ დაფიქსირებულა, მხოლოდ მე-4 კვარტალში გაიზარდა 0.6%-ით; პურის ფასმა მატება 2012 წლის მაისიდან დაიწყო. პურის ფასი 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საშუალოდ 5%-ით მაღალი იყო 2011 წლის ოქტომბერ-დეკემბერზე. ასევე აღსანიშნავია, რომ 2012 წელს კარტოფილის ფასი 25%-ზე მეტით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

საქონლის ხორცის ფასმა 2012 წლის სექტემბრიდან დაიწყო კლება, რვა თვიანი მაღალი მაჩვენებლების შემდეგ (1 კგ. 12 ლარზე მეტი). 2012 წლის დეკემბერში, ფასი იგივე იყო რაც წინა წელს. 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ხორცის საშუალო ფასი 2%-ით მეტია 2011 წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

2012 წელს მარცვლეულის იმპორტი რაოდენობების მიხედვით წინა წელთან შედარებით გაიზარდა 53%-ით, ხოლო ღირებულების მიხედვით - 46%-ით; 2012 წელს ქვეყანამ 197 ათასი ტონა მარცვლეული ექსპორტი განახორციელა, ძირითადად სომხეთში.

მარცვლეულის იმპორტი (იანვარი - დეკემბერი 2012)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმდინარე სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ისეთი გარემოს ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენციის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურ ზრდას, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამჟამად, შემუშავების პროცესშია სამოქმედო გეგმა, რომელიც თითოეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დეტალურად გაიწერება და დაგეგმილი ღონისძიებები იმედია ხელს შეუწყობს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფას.

EKATERINE ZVIADADZE

Doctor of Economic Science

BEKA DZAZAMIA

Master of agro business management

FOOD SAFETY, ITS IMPORTANCE AND SITUATION IN GEORGIA

S u m m a r y

The World Food Summit of 1996 defined food security as existing “when all people at all times have access to sufficient, safe, nutritious food to maintain a healthy and active life”. Commonly, the concept of food security is defined as including both physical and economic access to food that meets people’s dietary needs as well as their food preferences.

Food Security of the country is the availability of the country to secure food requirements of the population for healthy active life.

Highlights for the Food Security situation in Georgia for 2012:

According to preliminary information, cereal harvest was good throughout the country in 2012. The aggregate cereal output is estimated to be 7% higher than in 2011 and well over the last five year average. The harvest of fruits and vegetables was also good, except in few regions where strong wind and hail caused serious damage to fruits and grape harvest in most productive districts.

The Ministry of Agriculture (MoA) is taking a series of measures and launching different programmes to boost agriculture: creation of advisory centres for farmers; an “Agricultural card” was distributed to land owner farmers for spring agricultural measures. Value of the cards was set according to owned land size. The “Affordable agro credits programme” is implemented through commercial banks providing subsidized credit to farmers.

Food prices in 2012 were stable, slight increase of 0.6% was observed in fourth quarter; Bread price has continuously increased since May 2012. The price in October-December was on average 5% higher than in same period of 2011. The price of the potato decreased by more than 25% in 2012 comparing to 2011. Beef meat price started decreasing from September 2012 after eight months of high record levels (with price above 12 GEL/kg). In December 2012, the price was similar to previous year’s level. The average price of beef meat in October–December 2012 was 2% higher than in the same period of 2011.

Cereal imports in 2012 were 53% higher than the quantities registered in 2011 and 54% higher than the 2007–2011 average level. In 2012 the country exported 197 thousand tonnes of cereals mainly to Armenia.

The main objective of the current agriculture development strategy is to create favourable environment for sustainable increase of competitiveness and production of the sector, reducing rural poverty and increasing food security through sustainable development.

**ურბანიზაციის ბალენა საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიულ
ბანშითარბაზა მ-20 საუბუნის 70-80-იან წლებში**

თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების მკვეთრი შემცირება გადაუდებლად საჭიროებს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტენსიური გზების ძიებას. ამ ამოცანის გადაწყვეტას უკავშირდება მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის მართვის სრულყოფა, ღონისძიებების გატარება მიგრაციულ ნაკადთა ოპტიმიზაციისათვის. ამისათვის კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებში მიგრაციის კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენას ქვეყნის მიგრაციული პრობლემების განზოგადებული გააზრებისათვის.

მოცემულ სტატიაში განხილულია საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის გავლენას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაზე სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში (1979-1991 წწ.).

სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაადგილება, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების ურბანიზაციის პროცესებთან, უშუალოდ ეხება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ეკონომიკურ ინტერესებს. იგი არესებით კვალს ამჩნევს როგორც ქალაქის, ისე სოფლის სოციალურ ცხოვრებას. ჩვენს მიერ გამოკვლეულ საანალიზო პერიოდში საქართველოში სოფლიდან ქალაქად ყოველწლიურად საშუალოდ გადაადგილდებოდა 15 ათასი კაცი, ხოლო პირუკუ 5.7 ათასი. თითქმის ყოველი მათგანი იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, სამუშაო ადგილს, საქმიანობის სახეობას, სოციალურ-დემოგრაფიულ გარემოცვას და დგებოდა ახალ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობის წინაშე.

საანალიზო პერიოდში (1979-1991 წწ.) საქართველოს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია ხასიათდება უარყოფითი საღლოთი. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანა დატოვა 517.1 ათასმა კაცმა, ხოლო შემოვიდა 361.2 ათასი კაცი, საღლომ შეადგინა 155.9 ათასი კაცი. საერთაშორისო მიგრაციაში ქალაქის მოსახლეობის მიგრაცია გაცილებით ინტენსიური იყო, ვიდრე სოფლისა. საქართველოს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის მოცულობის ნახევარზე მეტი მოდიოდა რუსეთის ფედერაციაზე. მიგრაციული კავშირები საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან საქართველოს გაცილებით უმნიშვნელო ჰქონდა.

საქართველოს ტერიტორია, მიუხედავად მისი სიმცირისა, ხასიათდება ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების დიდი მრავალფეროვნებით, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის შიგნით მიგრაციული პროცესების ინტენსივობას. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის ლტოლვა სოფლიდან ქალაქისაკენ. 1979-1991 წლების მონაცემებით, მასზე მოდის შიგარესპუბლიკური ნაკადების საერთო მოცულობის 38.2%. სოფლიდან ქალაქად მიგრაციული მიმართულების ინტენსივობა და ხვედრითი წილი ხასიათდება შემცირების ტენდენციით.

საანალიზო პერიოდში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობა სოფლიდან ქალაქად უმნიშვნელოა სხვა ქვეყნებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მას აქვს უარყოფითი შედეგები. ქალაქის მოსახლეობის ზრდა ძირითადად ხდებოდა ხუთი ქალაქის ხარჯზე (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, სოხუმი), რაც არასასურველ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. 1979-1991 წლებში აღნიშნული ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 300 ათასი კაცით, ხოლო სხვა დანარჩენი ქალაქებისა 170 ათასი კაცით. საქართველოს 4 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი) დღეისათვის თავმოყრილია მთელი ქვეყნის მოსახლეობის 35.0% და ქალაქის მოსახლეობის 66.5%. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სოფლის მოსახლეობის მიგრაციული ნაკადები ოპტიმალურად არაა მიმართული.

მოცემულ პერიოდში ქალაქის მოსახლეობის მიგრაციული მატების ნახევარზე მეტი მოდიოდა ქვეყნის დედაქალაქზე – თბილისზე. 1979-1990 წლებში რესპუბლიკის შიგნით თბილისში ჩამოვიდა 104 ათასი კაცი; ყოველწლიურად თბილისში საშუალოდ ჩამოდიოდა 8.7 ათასი კაცი. ჩამოსულ მიგრანტთა 56.3%-ს ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა, 43.7%-ს – სოფლისა. 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლებიდან თბილისში ჩამოსული მოსახლეობის რაოდენობამ იკლო და საერთოდ მნიშვნელოვნად შემცირდა მიგრაციის როლი თბილისის ზრდაში. ჩვენს მიერ აღებული მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის მექანიკური

მატება ჩამორჩებოდა ბუნებრივ მატებას. 1979-1991 წლებში თბილისის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობის შედეგად გაიზარდა 61.5 ათასი კაცით. მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისში საქართველოს ქალაქებიდან უფრო მეტი რაოდენობის მოსახლეობა ჩამოდიოდა, თბილისის მოსახლეობის მექანიკურ მატებაში მაინც ჭარბობდა სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი. მიგრაციული მატების 52.4% მოდიოდა სწორედ სოფლის მოსახლეობაზე. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ქ. თბილისის მსოფლიოსა და სსრკ მილიონიან ქალაქებთან შედარებით მცირე მექანიკური მატებით ხასიათდებოდა.

მოსახლეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობის ცვლილებებზე ყველაზე მეტად მოქმედებს მიგრირებულთა ასაკობრივი შემადგენლობა. საანალიზო პერიოდში სოფლიდან ქალაქად მიგრირებულთა შორის 81.5%-ს შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა შეადგენდა, უკუ მიმართულებაში მათ შეადგინეს 78.7%. ქალაქის მოსახლეობის მექანიკურ მატებაში უმეტეს ნაწილს შეადგენდა ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობა, განსაკუთრებით 20-29 წლის ასაკში მყოფი. ამ ასაკის ზევით, უფროსი ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი მიგრაციულ პროცესებში თანდათანობით მცირდება მიგრანტთა ასაკის ზრდის პარალელურად. ახალგაზრდების მაღალი ხვედრითი წილი მიგრაციულ ნაკადებში განსაკუთრებით ძლიერ მოქმედებს შრომითი პოტენციალის ცვლილებებზე როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მიგრაციულ ნაკადთა ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოში ხასიათდება რიგი თავისებურებებით. კერძოდ, მეტად მაღალი ხვედრითი წილია ახალგაზრდებისა სოფლიდან ქალაქად მიგრაციაში და მათი გაცილებით დაბალი ხვედრითი წილი საპირისპირო მიმართულების ნაკადებში. ამან მკვეთრად გააუარესა საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა.

1979-1991 წლებში სოფლიდან ქალაქად მიმართულ მიგრაციაში 54.6%-ს შეადგენდნენ ქალები, უკუ მიგრაციაში მათ შეადგინეს 49.9%, ხოლო მიგრაციულ მატებაში 57.4%. ქალების მაღალი მობილურობა განპირობებულია მათი ქალაქში გათხოვებით. გარდა ამისა, შედარებით მაღალია მათი ხვედრითი წილი ინტენსიური გადინების რაიონებში, ვიდრე იქ, სადაც მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის პრობლემა მწვავედ არ იდგა.

ოჯახური მდგომარეობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის მობილურობის დონეს. მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა დიდ უმრავლესობას არა ჰყავთ ბავშვები, ან მათ ოჯახში ერთი ან ორი ბავშვია. ჩვენს მიერ აღებულ საანალიზო პერიოდში 16 წლის და უფროსი ასაკის მიგრანტთა საერთო რაოდენობიდან, რომლებიც ჩამოვიდნენ სოფლიდან ქალაქად, ქორწინებაში იმყოფებოდა 61.6%, მათ შორის 55% მამაკაცები და 66% ქალები.

სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგად ქალაქებში ოჯახთა მზარდი მატების ტენდენცია მიუთითებს სულ უფრო მეტი ოჯახების მისწრაფებას ქალაქური ცხოვრების წესისაკენ. აღნიშნული ფაქტის მიზეზები უნდა ვეძიოთ საქართველოს სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მეტად არათანაბარ დონეში.

ზემოთ მოცემულ დემოგრაფიულ ასპექტებთან ერთად, მოსახლეობის მობილურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამა თუ იმ რეგიონში მათი ეროვნული შემადგენლობა, რადგანაც როგორც კვლევამ გვიჩვენა სხვადასხვა ეროვნებების მოსახლეობის მიდრეკილება საცხოვრებელი ადგილის შეცვლისადმი განსხვავებულია. 1979-1991 წწ. სოფლიდან ქალაქად გადაადგილებულთა შორის ქართველთა ხვედრითმა წილმა შეადგინა 85%. მოცემულ პერიოდში ყოველწლიურად იზრდებოდა ქართველთა ხვედრითი წილი ქალაქის მოსახლეობაში. აღნიშნული მიმართულების მიგრაციულ ნაკადში სხვა ეროვნების მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილი განპირობებულია იმით, რომ მათი უმრავლესობა (აზერბაიჯანელების გარდა) უკვე დამკვიდრებულია ქალაქად და ამავე დროს, ისინი უპირატესად მონაწილეობას ღებულობენ გარეერესპუბლიკურ (საერთაშორისო) მიგრაციაში, ხოლო რესპუბლიკის შიგნით კი ქალაქიდან ქალაქში გადაადგილდებიან.

განათლების დონე ყოველთვის იყო მოსახლეობის და მათ შორის მიგრაციული ნაკადების ერთ-ერთი ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელი. მოცემულ საანალიზო პერიოდში სოფლიდან ქალაქად 16 წლის და უფროსი ასაკის მიგრანტთა შორის უმაღლესი განათლებით იყო 11.7%, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით 5.3%, საშუალო სპეციალური განათლებით 15.4%, ზოგადი საშუალო განათლებით 65.0%, არასრული საშუალო განათლებით 1.9%.

საანალიზო პერიოდში ქალაქიდან სოფლად მიმართულ მიგრაციაში რამდენადმე გაიზარდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მიგრანტთა ხვედრითი წილი. აღნიშნული

ტენდენცია შეიძლება ჩაითვალოს დადებით და სასურველ მოვლენად.

ჩვენი გამოკვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ იმ პერიოდში მიგრაციული პოლიტიკის გადაჭრის მნიშვნელოვანი გზა იყო: სოფლად ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და მათი გამოთანაბრება ქვეყნის ქალაქებთან და ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონებთან; სოფლად მექანიზაციის განუხრელი გაფართოება და სრულყოფა; სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაციის გაძლიერება.

მაგრამ სსრკ დაშლის შემდგომ განვითარებულმა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია, დაარღვია სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის შედარებით კანონზომიერი გადანაწილების პროცესი. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეჩერდა ქვეყნის ურბანიზაცია და ფაქტობრივად ანულირდა 80-იანი წლების დროს სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადანაწილების ბევრი პოზიტიური შედეგი.

TAMAZ ZUBIASHVILI

*Associate professor of the Institute for European Studies,
Tbilisi State University*

INFLUENCE OF URBANIZATION ON DEMOGRAPHIC DEVELOPMENT OF GEORGIA'S RURAL POPULATION IN THE 70-80 S OF THE XX

S u m m a r y

The article addresses migratory situation existed in the period before the disintegration of the Soviet Union. It is a reflection of socio-economic development of Georgia in the period of so called "perestroika." Many obstacles which arose in economy as well as in settlement after the dissolution of the Soviet Union had a negative reflection in profound crisis developments.

The territory of Georgia, despite its smallness, is characterized by great diversity of natural and socio-economic conditions that shape the peculiarities of intra-Republican migratory processes. In this respect, population movement from rural to urban areas is particularly important. According to the 1979-1991 data, rural-urban migration constitutes 38.2% of the total volume of the intra-Republican migratory streams. The intensity and the share of rural-urban migration are characterized by reduction tendency. In 1979-1991 in Georgia annually on average 15.9 thousand people moved from rural to urban areas, and 5.7 thousand – vice versa, from urban to rural areas, the balance comprised 9.2 thousand people.

The age structure of migrated people had the most significant impact on the changes of population's quantitative and qualitative composition. The research found the highest share of the youth in rural-urban migration and their rather a small share in the streams of the opposite direction. This sharply worsened demographic structure of rural population in Georgia, reduced labour potential of rural population. The reduction of labour potential had a negative impact on deepening of the created socio-economic and demographic crisis in the analyzed period and after the dissolution of the Soviet Union.

როინ თათუაშვილი

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი*

საზინანსო-საკრედიტო სექტორის ფაქტორი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი უამრავი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას – სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ 2005 წლიდან რეალური წარმოება საქართველოში 20%-ით შემცირდა, ნათესი ფართობი 43%-ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იკლო. ზოგადად, სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ-ში მისი წილის, სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, თუმცა, მისი როლი ზემოთხსენებული ფაქტორების ზეგავლენის გამო თანდათანობით იკლებს. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაო ძალის 50%-მდე. მათი 95% თვითდასაქმებულები, ანუ მცირე მეწარმეები არიან, ასე რომ, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ძალზე მწირია. ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის

სექტორის მოდერნიზება. ფერმულ ორგანიზაციათა რაოდენობა ძალზე მცირეა, ასე რომ, მათი უმრავლესობა ვერც მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის უპირატესობით სარგებლობს და ვერც იმპორტიორებს უწევს კონკურენციას. ქვეყანა უმეტესად დამოკიდებულია იმპორტზე (მაგ. 2010 წელს მოხმარებული ხორბლის 85% იმპორტირებული იყო). სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული სხვა პრობლემები ასეთია: ძირითადი კაპიტალური დაბანდების ნაკლებობა, რუსული ემბარგო ქართულ პროდუქციაზე, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი, არასათანადოდ მოქმედი მიწის ბაზარი, ირიგაციის სისტემებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა. ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო კრედიტები.

სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებად მიმზიდველი დარჩა საბანკო სექტორისათვის. სოფლის მეურნეობის წილი საბანკო სესხებში 1-დან 2%-მდე შეადგენდა. ადგილობრივი საბანკო სისტემა არ იყო მოწადინებული, გაეცა გრძელვადიანი კრედიტები, ბანკები კვლავ მოწადინებულნი იყვნენ მოკლევადიან საბანკო დაფინანსებაზე.

**ცხრილი. კრედიტების განაწილება დარგების მიხედვით
(მთლიანი სესხების სისტემის პროცენტი)**

წელი	2007	2008	2009	2010	2011
სოფლის მეურნეობა	1,68	2,47	1,97	0,6	1,01

აგრარული სექტორისათვის კრედიტების გაცემას სხვადასხვა ფაქტორები აფერხებს. კერძოდ:

- ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია სასოფლო სამეურნეო მიწის ბაზარი და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწები დაბალლიკვიდურია; მაღალია სასოფლო სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია, რის გამოც მცირე მეწარმეობა სარისკო ხდება, კომერციული საკრედიტო ორგანიზაციები კი, ჩვეულებრივ, მსხვილ ფერმებზე ახდენს ფოკუსირებას;
- განუვითარებელია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, როგორცაა სასაწყობო და სამაცივრე ნაგებობები, გადამამუშავებელი ქარხნები, სარწყავი სისტემები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკები და სხვ. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მიწის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი, სასუქებისა და თესვების სიძვირე და ა.შ. ამავე დროს, ფერმების ტექნიკა და ტექნოლოგიები საჭიროებს მოდერნიზაციას. მიწების მცირე ნაკვეთებად დაყოფა ართულებს მანქანა-მოწყობილობების ეფექტურ გამოყენებას, განსაკუთრებით ხორბლისა და სხვა ერთწლიანი კულტურების წარმოებაში; გაყიდვის სუსტი მეთოდებისა და სასაწყობო ინფრასტრუქტურის არსებობა ზრდის მათ ხარჯებს. საინვესტიციო თანხების სიძვირის გამო ფერმერები ყიდულობენ დაბალი ღირებულებისა და ხარისხის თესლსა და სხვა ნედლეულს, რაც აისახება კიდევ მათი საბოლოო პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ამადლებს წარმოების რისკებს, ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და ვაჭრობის არასაკმარისი ხელშეწყობა აძლიერებს პროდუქციის რეალიზაციის რისკებს. მაღალი რისკები კი, თავისთავად, იწვევს სასესხო პირობების გაუარესებას;
- ფერმერების დაბალ მწარმოებლურობას განაპირობებს მათი ღირებულების მოკლე ჯაჭვი, რაც აფერხებს ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს. მცირე ფერმერები არ არიან ვერტიკალურად ძლიერად ინტეგრირებული, კავშირები ფერმერებსა და კლიენტებს შორის არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული, მათ არ ჰყავთ მუდმივი კლიენტები, შესყიდვებიც შედარებით ძვირია.
- პრობლემებს ემატება ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკა არ იძლევა სტიმულს ფერმების გამსხვილებისათვის. საგადასახადო კოდექსის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებული 5 ჰა-ზე ნაკლები მიწა გათავისუფლებულია მიწის გადასახადისგან, რაც აფერხებს მცირე მიწების გაერთიანებას კოოპერატივში, რადგან მიწა ამ შემთხვევაში დაიბეგრება. ამავდროულად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი მიწოდება თავისფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი/მოგება არ აღემატება 200 000 ლარს. ეს ნორმაც არარენტაბელურს ხდის გაერთიანებას, ვინაიდან 200 000-ზე მეტი ბრუნვის შემთხვევაში გაერთიანება დაიბეგრება. ასევე თავისუფლდება პირველადი წარმოება დამატებული

ღირებულების გადასახადისგან, მაგრამ თუ ორგანიზაცია ფერმერებისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შეიძენს მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მაშინ ის ავტომატურად ხდება დღგ-ს გადამხდელი. ასეთი პრაქტიკა აფერხებს დიდი ორგანიზაციებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მონაწილეობას. მეტიც, დაბალი საბაჟო გადასახადები, ან სულაც ნულოვანი დაბეგვრა იაფ იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, საფრთხეს უქმნის ადგილობრივი პროდუქციის სიცოცხლისუნარიანობას და ზღუდავს ინვესტიციებს ამ სექტორში.

ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სფეროსათვის სესხების გაცემის უკიდურეს შეზღუდვას ბანკების მიერ მიკროსესხების გაცემისაგან თავის შეკავებას, გრძელვადიანი კრედიტების არარსებობას, მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და სხვ..

სუსტი ინვესტიციები და მაღალი საპროცენტო განაკვეთები საბანკო კრედიტებზე მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნოლოგიების გამოყენებისა და წარმოების შესაძლებლობების გაფართოების შანსებს.

საქართველოში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან საბანკო კრედიტებზე 25%-ს შეადგენდა, გრძელვადიანზე კი – 22.8%-ს. ეროვნულ ვალუტაში, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი მაქსიმალური განაკვეთი საბანკო სექტორში 36%-ს აღწევს, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში – 48%-ს, რაც 3,5-5-ჯერ (გადახდის ვადის მიხედვით) აღემატება.

საქართველოში მთლიანად სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ყველაზე მაღალია პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, სასოფლო-სამეურნეო სექტორში კი ეს განაკვეთები ბევრად მეტია, ვიდრე სხვა სექტორებში. სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო ფერმერებს უმეტესწილად საკუთარი ხარჯით უწევთ მუშაობა.

მაღალი საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე და გრძელვადიანი კრედიტების არარსებობა განპირობებულია სოფლად უძრავი ქონების (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწის) დაბალი ლიკვიდურობით. ბანკებს არ სურთ, სესხები გასცენ მოძრავი ან არამატერიალური ქონების უზრუნველყოფით, რადგან ასეთი სესხების გაცემა დაკავშირებულია ქონებაზე უფლებამოსილების დელეგირების მაღალ ხარჯებთან და მისი რეალიზაციის გაჭიანურებულ და ძვირადღირებულ პროცედურებთან. მიწის ბაზრების არარსებობა მსესხებლებს ურთულებს შესაძლებლობას, გამოიყენონ მიწა სასოფლო-სამეურნეო სესხის გარანტად.

ცხრილი. საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	2005	2006	2007	2008	2009	2010
სომხეთი	18,0	16,5	17,5	17,0	18,8	19,2
აზერბაიჯანი	17,0	17,9	19,1	19,8	20,0	20,7
საქართველო	21,6	18,8	20,4	21,2	25,5	24,2
ბელარუსი	11,2	9,9	9,3	10,1	11,6	10,4
ესტონეთი	4,9	5,0	6,5	8,5	9,4	7,8
ჩეხეთი	5,8	5,6	5,8	6,3	6,0	5,9
რუსეთი	10,7	10,4	10,0	12,2	15,3	10,8

რაც შეეხება მიკრო და სპეციალიზებულ საკრედიტო ორგანიზაციებს, მათ უმეტესწილად სუსტი ინსტიტუციური და ორგანიზაციული გარემო აქვთ და ფუნქციობენ ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე, ამიტომ უძღურნი არიან, სერიოზული ზემოქმედება მოახდინონ სოფლის მეურნეობის სფეროში კრედიტების გაცემაზე. თავის მხრივ, კომერციული ბანკების მოხელეების გაუთვითცნობიერებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემებში იწვევს უნდობლობას ამ სექტორის მიმართ. ისინი თავს იკავებენ მხარი დაუჭირონ ფერმერებს და ინვესტიციები განახორციელონ ამ დარგში.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში ძალზე მცირეა. 2007 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში შეადგენდა 0.8%-ს, 2008 წელს – 0.5%-ს, 2009 წელს გაიზარდა 3.4%-მდე. ხოლო 2010 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ

შემცირდა 1.05%-მდე. ასეთი დაბალი მაჩვენებელი მეტყველებს ამ სექტორის მაღალ რისკზე და დაბალ მომგებიანობაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხორციელდებოდა ძირითადად თხილის წარმოების, ღვინის დამზადების, წყლის ჩამოსხმისა და სხვა სფეროებში.

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას, თუ რა ახალი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეკონომიკაში, გარდა იმ ტრადიციული შინაარსისა, რაც, ჩვეულებრივ, მოსახლეობის გამოკვებას ემსახურებოდა.

ტრადიციული დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი, როგორც ეკონომიკური განვითარების და გარდაქმნის მნიშვნელოვანი სფეროს მიმართ, ასევე, ღია სავაჭრო ურთიერთობებით გამოწვეული მიდგომა, რომლის თანახმად მიზანშეწონილია შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგების განვითარება – ყველაფერი ეს წარმოქმნის აგრარული სექტორის განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომებს. ეს დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი კონცეპტუალური საკითხია. დღეღურად, დღეს საქართველო მოიხმარს მეტ იმპორტირებულ კვებით პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. ამ ფონზე ჩნდება კითხვები, თუ რა ადგილს იკავებს ეს სფერო საქართველოს დარგობრივ სტრუქტურაში, ღირს თუ არა მასზე პოლიტიკის აქცენტირება, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარება, ხელს შეუწყობს თუ არა დამატებითი ინვესტირება ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურად იმოქმედებს თუ არა სიღარიბის შემცირებაზე, არსებობს თუ არა შესაბამისი რესურსები და სხვ..

კვლევები ადასტურებს და ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. რომ შესაძლებელია დღევანდელი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების გაზრდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება გადაიქცეს იმ გზად, რომელიც ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას. სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სერიოზული შედეგებიც მოყვება.

საქართველოში, სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, დარგი სტრატეგიულ და პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდა „შეღავათიანი აგროტექნიკის კრედიტი“, რადგან სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე სესხის აღება ამ სექტორში დასაქმებულთათვის საკმაოდ ძნელია. დღეს, მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობა უკვე დეკლარირებულია, როგორც რეალური პრიორიტეტი. შესაბამისად, ეს ახალი ინიციატივა ძალიან დიდი დახმარება იქნება ყველა იმ ფერმერისთვის, ვისაც სურვილი აქვს, საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, აიღოს სესხი. ეს პროგრამა აადვილებს ფერმერთა ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსზე. სესხის გაცემა მოხდება კვალიფიცირებული განაცხადის საფუძველზე. პროექტი 3 კომპონენტად არის დაყოფილი, რათა ყველა ტიპის მომხმარებელს, ეს იქნება გლეხი, ფერმერი თუ მსხვილი მეწარმე, შესაძლებლობა ჰქონდეს აიღოს სესხი. რაც მთავარია, საფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ მოტივირებულნი არიან, რაც საფუძველია იმისა, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

დღეისათვის, აგრო-სამრეწველო სექტორში მწვავედ დგას ფინანსების ნაკლებობის საკითხი, რაც პირდაპირ აისახება წარმოების პოტენციალზე და ეკონომიკურ მაჩვენებელზე. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავების და შენახვარეალიზაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს აღნიშნული რგოლების მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „შეღავათიანი აგროტექნიკის პროექტი“, რომელსაც დააფინანსებს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და განხორციელდეს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“. პროექტი დაიწყო 2013 წლის მარტში. გამოიკვეთა პროექტის სამი კომპონენტი:

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 0%;
2. შეღავათიანი აგრო კრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის-არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით)
3. შეღავათიანი აგრო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის არაუმეტეს 3%-ის ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით)

დღეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტეს ნაწილს აწარმოებენ ფერმერული/გლეხური მეურნეობები. ამგვარი მეურნეობების ტექნიკური აღჭურვა მწირია, ისინი ეფუძნებიან ძირითადად ხელის იარაღებს და, იშვიათად, დაქირავებული ტექნიკის გამოყენებას. მათ არა აქვთ კრედიტის

ადების შესაძლებლობა, სწორედ ამიტომ, მცირე ფერმერებისთვის მსგავსი პრობლემების გადაჭრის კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენს უპროცენტო სასაქონლო კრედიტი.

სააგენტოსს მიერ საფინანსო ინსტიტუტებთან და საწარმოო საშუალებების (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები და ა.შ.) მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე, ორგანიზაციებსა და მაღაზიებს შორის ფორმდება ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც, მაღაზია უწერს ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს), რომელსაც ანაზღაურებს საფინანსო ინსტიტუტი.

საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, მაღაზიიდან გამოიტანოს მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები, გარდა სასუქისა).

სეზონის დასრულების შემდეგ ფერმერი/მეწარმე გადაუხდის სასაქონლო კრედიტს საფინანსო ინსტიტუტს, სესხის დამტკიცების მომენტიდან, ფერმერის მიერ მიღებული საქონლის ჯამური ოდენობის შესაბამისად, დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე. აშუალო და მსხვილი ფერმერების შემთხვევაში, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ მეწარმესთან (ფერმერთან), რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი აგრო საქმიანობაა.

პროექტი ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაწესებული სესხის საპროცენტო განაკვეთის გარკვეული ნაწილის დაფინანსებას სააგენტოს მიერ. მეწარმისათვის, ფერმერისათვის სესხი იქნება არაუმეტეს წლიური -8%-ის.

ერთ ბენეფიციარზე გაცემული შეღავათიანი სესხების ჯამური თანხა განისაზღვრება 5 000 ლარიდან 100 000 ლარამდე.

ამ კომპონენტში სესხი გაიცემა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრივობით:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საშუალებების დაფინანსება (მათ შორის: სანაშენე და პროდუქტიული პირუტყვის, ფრინველის და თევზის შექმნა, სათბურის აშენება, სარწყავი სისტემის მოწყობა);

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მიღებული მოსავლის დამატებითი ღირებულებების შემქმნელი ინფრასტრუქტურის არსებობა, ამ მიზნით, შეიქმნა შესაბამისი ინსტრუმენტი შეღავათიანი კრედიტის სახით, რომელიც გულისხმობს მოსავლის ადების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის (შემნახველი, სასაწყობე, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები, სარწყავი სისტემები) განვითარების ინიციატივების იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას. 2013 წელს ამ კომპონენტში იგეგმება არანაკლებ 60 საწარმოს დაფინანსება.

ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ჩარკვიანი, თ. ჭინჭარაული, ე. შატბერაშვილი, სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და დაზღვევის კვლევის შედეგები. საქართველოში არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები. ელკანა, X, თბილისი, 2010. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია;
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011 წ., გვ. 23-24.
3. მ. თოქმაზიშვილი, სასოფლო-სამეურნეო კრედიტები საქართველოში: რისკები და პერსპექტივები. ბიომეურნე № 1(16) 2011, გვ. 23-36
4. ინტერნეტ ვებ-პორტალი: www.moa.gov.ge

ROIN TATESHVILI

Samtskhe-javakheti State Teachy University, Associate Professor

FOR DEVELOPMENT OF FINANCIAL-LOAN SECTOR'S FACTOR ON THE AGRICULTURE

S u m m a r y

There are a lot of new challenges on the agriculture nowadays. All these are what kinds of role should be play the agriculture in the framework of country's economy ensted of the traditional role which it had in the past.

According to the researches it is clear that Georgia has so rich potential of agriculture. It is strongly possible to increase the farm and agriculture sector in Georgia which provides to make increased Georgian economy and reduce the inflation. The result after increasing the agriculture will be well showed. It will have many positive sides among the agriculture and social. Thus, if above mentioned sector develop it will provide the safe and stability of country.

Agriculture is one of the most important department among the others, it makes the development of Country economy, but when the issue is about how important is to make developed the agricultural business and necessity of it provide, we can carry out that it needs to have only social meanings and satisfied only agricultural requires. The position within these issues are the same because agriculture and production of plural food staffs has no second quality position they are so vital, because it is impossible to make the country's development without the development of above mention department.

Nowadays, financial problems issues are so important in the department of agriculture, which is well reflected on the amount of production and its economical potential. Agricultural, production, recycle, save and realization improvement is one of the most important issue. But is is also important to provide them affordable money resources.

Aim of these sides of agriculture the new government of Georgia considers those issues on the first stage. They believe that agricultural issues have strategical and priority directions. From this project so important is "Law price agro technical project" it makes easier to get the loan from the bank. In the past it was so difficult to get the loan. This new initiative will be so good for farmers. Who has desire to take a loan. This action provides to get loan easily. This issues provides to make lots of production and make a lot of exports as well.

თენგიზ თაბთაძიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეფექტიანობა და მათი როლი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პროცესში

ისტორიულად, კოოპერატივები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ფირმების ბაზარზე შესვლის, კრედიტზე ხელმისაწვდომობის და ინფორმაციაზე წვდომის მიმართულებით. კოოპერატივების არსებობა 160 წელზე მეტს ითვლის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში მნიშვნელოვნად განაპირობეს ფერმერთა შემოსავლების ზრდა. ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იქმნებოდა იმ მიზნით, რომ გაეწონასწორებინა საბაზრო ძალაუფლება მწარმოებლებსა და მათ სავაჭრო პარტნიორებს შორის და შეემცირებინა ფერმერების წინაშე მდგარი რისკები. ამ პერიოდში მათ აქტიურ მხარდაჭერას უწევდა სახელმწიფო [1].

მრავალ ქვეყანაში როგორც მოსახლეობას, ასევე მთავრობას გაცნობიერებული აქვს კოოპერატივების ეფექტიანობა და ამ ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს კოოპერატივის ფარგლებში.

- საფრანგეთში 21 ათას კოოპერატივზე მოდის 1 მლნ სამუშაო ადგილი, რაც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 3.5%-ია;
- აშშ-ში 30 ათასი კოოპერატივი ქმნის 2 მლნ სამუშაო ადგილს;
- კანადაში, ყოველი ათი ადამიანიდან ოთხი არის მინიმუმ ერთი კოოპერატივის წევრი;
- კოოპერატივის წევრია ესპანელების 15%, მაღაზიელების 27% და პარაგვაის მოსახლეობის 18%;
- 4.9 მლნ-იან ნორვეგიაში 2 მლნ ადამიანი კოოპერატივის წევრია;
- ახალ ზელანდიაში, ისევე როგორც ურუგვაიში მშპ-ს 3% მოდის კოოპერატივებზე [9].

რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში ფერმერები აერთიანებენ მათ ხელთ არსებულ რესურსებს, ივარაუდება, რომ ისინი უფრო ეფექტიანები იქნებიან კოოპერატივის შემადგენლობაში, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედების შემთხვევაში.

კოოპერატივების საშუალებით ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ მიადწიონ მასშტაბის ეკონომიას, შეიძინონ თანამედროვე ტექნოლოგია ერთობლივად, შეადწიონ ისეთ ბაზრებზე, სადაც ისინი ვერ შევიდოდნენ დამოუკიდებლად.

კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსი (The International Cooperative Alliance (ICA)) კოოპერატივს განმარტავს შემდეგნაირად: „ადამიანთა ავტონომიური და ნებაყოფლობითი გაერთიანება მათი საერთო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საჭიროებების და სურვილების დასაკმაყოფილებლად, ერთობლივ მფლობელობაში მყოფი და დემოკრატიულად მართული საწარმოს საშუალებით” [6].

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2012 წელი გამოაცხადებული იყო კოოპერატივების წლად.

არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული შვიდი პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება კოოპერატივის ფუნქციონირება:

- ნებაყოფლობითი და ღია წევრობა – კოოპერატივი არის ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ღიაა ყველასთვის, ვისაც შეუძლია ისარგებლოს მისი მომსახურებით და აიღოს ის პასუხისმგებლობა, რაც კოოპერატივის წევრებს ეკისრებათ. კოოპერატივი გამორიცხავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას;
- წევრების დემოკრატიული მმართველობა – ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება (ერთი წევრი, ერთი ხმა);
- წევრების ეკონომიკური მონაწილეობა – კოოპერატივის წევრები, როგორც წესი, შემოსავლის გარკვეულ ნაწილს აბრუნებენ წარმოებაში და მიმართავენ კოოპერატივის მიერ წინასწარ განსაზღვრული მიზნის შესაბამისად;
- ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა – კოოპერატივი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც კონტროლდება მისი წევრების მიერ. ნებისმიერი გარიგება სხვა კოოპერატივებთან ან სახელმწიფო სტრუქტურებთან, ან სახსრების მოზიდვა გარე წყაროებიდან, ხდება მისი ავტონომიურობის შენარჩუნების პირობებში;
- განათლების, ტრენინგების და ინფორმაციის უზრუნველყოფა – კოოპერატივი უზრუნველყოფს ტრენინგებს მისი წევრებისთვის, რათა აამაღლოს მათი კვალიფიკაცია. ასევე, ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კოოპერატივის არსის და მისი ეფექტიანობის შესახებ;
- თანამშრომლობა კოოპერატივებს შორის – კოოპერატივები აძლიერებენ ერთმანეთს ლოკალურ, ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობით;
- საზოგადოებაზე ზრუნვა – კოოპერატივი ხელს უწყობს მდგრად განვითარებას იმ საზოგადოებაში, სადაც ის ფუნქციონირებს [7].

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სათავეს იღებს XIX საუკუნიდან. ისინი იქმნებოდა ფერმერების მიერ, რომელთაც სურდათ საწარმოო რესურსების გაერთიანება და წარმოების საშუალებების ერთობლივი შესყიდვების განხორციელება ერთეულზე ფასის შემცირების მიზნით.

ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში ფერმერები ერთიანდებოდნენ იმ მიზნით, რომ შეძლებოდათ ახალი ტექნოლოგიების შექმნა, რასაც ვერ შეძლებდნენ ინდივიდუალურად, ტექნოლოგიების სიძვირის გამო.

აგრარული კოოპერატივების წინაშე მდგარი ამოცანები იცვლებოდა XIX საუკუნიდან მოყოლებული.

XIX ს–ში კოოპერატივების წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები იყო:

- ხელმისაწვდომობა ახალ ტექნოლოგიებზე, რომელიც განვითარდა ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში;
- საბაზრო ძალაუფლების გაზრდა;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში.

XX ს–ში კოოპერატივების წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები:

- განაწილების და მოხმარების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- ადაპტირება მასობრივ და სტანდარტიზებულ წარმოებასთან სურსათის ინდუსტრიის სწრაფი ზრდის კვალობაზე.

XXI საუკუნეში კოოპერატივების წინაშე დგას შემდეგი გამოწვევები:

- ბუნებრივი რესურსების დაზოგვა წარმოების პროცესში;
- მიწის და წყლის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;
- გარემოს დაბინძურებისა და მიწის დეგრადაციის თავიდან აცილება;
- ტყის მასივის შენარჩუნება [7].

კოოპერატივის ძირითადი უპირატესობები შემდეგია:

წარმოების დიდი მასშტაბების კვალობაზე კოოპერატივებს შეუძლიათ შეამცირონ დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე;

კოოპერატივში გაერთიანებული ფორმებისთვის უმჯობესდება კრედიტზე და დაზღვევაზე

ხელმისაწვდომობა [2]. ცალკე აღებული წერილი მწარმოებელი ხშირად ვერ ახერხებს საჭირო კრედიტის მიღებას და სადაზღვევო კომპანიებისთვისაც ნაკლებად საინტერესოა მსგავსი მეურნეობების დაკრედიტება. თუმცა, კოოპერატივის შემთხვევაში, საუბარია მსხვილ კრედიტებზე და დიდ ფართობზე დათესილი მოსავლის დაზღვევაზე, ამიტომ როგორც საკრედიტო ორგანიზაციებისთვის, ასევე სადაზღვევო კომპანიებისთვის სასურველია კოოპერატივთან ურთიერთობა;

აგრარული კოოპერატივებს შეუძლიათ საბაზრო ნიშის ათვისება. ეს ნიშა შეიძლება ჩამოყალიბდეს პროდუქციის მახასიათებლების, წარმოშობის ადგილის ან მომხმარებელთა უპირატესობების მიხედვით, რის სრულად ათვისებასაც წერილი მეწარმოებელი ვერ შეძლებს;

მსხვილი აგროფირმების, სურსათის მწარმოებლების და საცალო მოვაჭრეების არსებობა ნიშნავს ბაზარზე მსხვილი მოთამაშეების მონაწილეობას, რომლებიც ცდილობენ უკარნახონ გარიგების პირობები და გაცილებით ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან, ვიდრე წერილი მიმწოდებლები [8].

კოოპერატივების განვითარება ხელს უშლის მონოპოლიების ჩამოყალიბებას აგროსასურსათო სექტორში.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სურსათის მსხვილი მწარმოებლები აფართოებენ გასაღების ბაზრებს განვითარებად ქვეყნებში. ამ ქვეყნების წერილ მწარმოებლებს კი უჭირთ მათთვის კონკურენციის დამოუკიდებლად გაწევა. მათთვის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების საუკეთესო გზა რესურსების გაერთიანება და კონკურენტულ ბრძოლაში ერთობლივი მონაწილეობაა.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება არ არის დაკავშირებული მხოლოდ სურსათის და სოფლის მეურნეობის მოსავლის გაზრდილ წარმოებასთან. დიდ მნიშვნელობას იძენს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა და გაზრდილი მოთხოვნა საკვებზე ხშირად იწვევს ნიადაგის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაუზოგავ და მანვე გამოყენებას, რაც ფიტავს ნიადაგს და იწვევს ბუნებრივი რესურსების დეგრადაციას. დღის წესრიგში დგება ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში, რომელიც გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზინის მიყენების გარეშე დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე და საფრთხის ქვეშ არ დააყენებს ბუნებრივი რესურსების არსებობას მომავალში.

გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა სოფლის მეურნეობაში საფუძვლად დაედო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ახალი კონცეფციის – სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრადი განვითარება (sustainable agricultural and rural development (SARD)) – შემუშავებას. ამ კონცეფციას FAO განმარტავს შემდეგნაირად: „ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი, შენარჩუნება და ორიენტაცია ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ ცვლილებაზე უნდა მოხდეს ისე, რომ მიღწეულ იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასეთი მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს მიწის, წყლის, მცენარეების და ცხოველების ჯიშების შენარჩუნებას, არ მოახდენს გარემოს დეგრადაციას, არის ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და სოციალურად მისაღები“ (FAO den Bosch Declara 1991. p. 2) [5].

კოოპერაცია და კოლექტიური წარმოება მნიშვნელოვანი ფაქტორია მდგრადი განვითარების მისაღწევად. კოოპერატივების საშუალებით შესაძლებელია საერთო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა.

მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღწეულია მინიმალური სტანდარტები მაინც ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებში. თუ ამ სამი სფეროდან რომელიმე არ არის საკმარისად განვითარებული, მაშინ მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია [4].

აგრარული კოოპერატივების წარმატებული ფუნქციონირება განაპირობებს რეგიონული ეკონომიკის სტაბილიზაციას და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას. კოოპერატივების სტაბილური ფუნქციონირება ნიშნავს ძლიერ კერძო სექტორს რეგიონალურ ეკონომიკაში, რაც ხელს უწყობს დასაქმების მაღალი დონის არსებობას რეგიონებში და მიგრაციის შეჩერებას სოფლიდან ქალაქში.

კოოპერატივების არსებობა ხელს უწყობს სოციალური უთანასწორობის შემცირებას. ყალიბდება საშუალო ფენა, მეტ-ნაკლებად სტაბილური სამუშაო ადგილითა და შემოსავლით.

ბევრი კოოპერატივი ფუნქციონირებს ბუნებრივი რესურსების ინდუსტრიაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მათი მომავალი პირდაპირაა დაკავშირებული რესურსების მრავალჯერად გამოყენებასთან. ამიტომ, ივარაუდება, რომ კოოპერატივები აქტიურად იქნებიან ჩართული გარემოსდაცვით ღონისძიებებში.

კოოპერატივები, როგორც წესი, აქცენტს აკეთებენ ისეთ სტრატეგიაზე, რაც შედეგიანი იქნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, განსხვავებით იმ კერძო კომპანიებისგან, რომლებიც ცდილობენ მაღალი მოგების მიღებას მოკლევადიან პერიოდში და ინვესტირებული ფინანსების სწრაფად ამოღებას.

მაგალითად, იაპონიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაერთიანებამ ჯერ კიდევ 1991 წელს განსაზღვრა გარემოს დაცვისთვის მაქსიმალური ხელშეწყობის კვალობაზე სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებები, რაც მოიცავდა სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის: მიწის ნაყოფიერების ზრდა და სასუქების გამოყენების შემცირება; პრევენციული პრაქტიკის შემოღება დაავადებების და პარაზიტების გავრცელებისადმი, რომლის მიზანიც იყო აგრო ქიმიური საშუალებების გამოყენების შემცირება; მიწის განაყოფიერების ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც ზიანს არ აყენებს გარემოს [10].

ფერმერებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან კოოპერატივში, სურთ შეინარჩუნონ საწარმოო პოტენციალი თაობიდან თაობამდე. გამოდინარე აქედან, ისინი ცდილობენ გამოიყენონ ტექნოლოგია, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ბუნებრივ რესურსებს გრძელვადიან პერიოდში და შეძლებს უზრუნველყოს მდგრადი განვითარება [7].

სასოფლო-სამეურნეო სექტორში უნდა განვითარდეს ისეთი ტექნოლოგიები, რაც გააუმჯობესებს საწარმოო პროცესებს ღირებულების ჯაჭვის ყველა დონეზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ფერმერთა ერთობლივი ძალისხმევით, კოოპერატივის ფარგლებში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გლეხების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები დანაწევრებულია და უმეტესობა მათგანი საკმაოდ მცირეა, დღის წესრიგში დგება გარკვეული საწარმოო გაერთიანებების ფორმირება, რათა გაიზარდოს წარმოების ეფექტიანობა სოფლის მეურნეობაში და წვრილი ფერმერები გახდნენ კონკურენტუნარიანი.

ცალკეულ რეგიონებში შესაძლოა შეიქმნას კოოპერატივები, რომლებიც დასპეციალიზდებიან ერთი კონკრეტული სახეობის პროდუქციის წარმოებაზე. მაგალითად, კახეთში შეიძლება შეიქმნას ღვინის კოოპერატივები, ქართლში ხილის კოოპერატივები, აჭარაში ციტრუსის კოოპერატივები და ა.შ.

სახელმწიფოს გაანინა საკანონმდებლო და ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც შეუძლია კოოპერატივების მხარდასაჭერად.

ითვალისწინებენ რა კოოპერატივების სარგებლიანობას, მრავალ ქვეყანაში მოქმედებს გარკვეული საგადასახადო შეღავათები კოოპერატივებთან მიმართებით. მაგალითად, ჰოლანდიაში კოოპერატივის წევრებისთვის გადახდილი დივიდენდები თავისუფალია გადასახადისგან.

სოფლად კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფერმერების ინფორმირებულობის დონის ამაღლება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებით, მათთვის კოოპერატივების ეფექტიანობის დასაბუთება, კოოპერატივების მენეჯმენტისთვის საჭირო ტრენინგების და კურსების უზრუნველყოფა.

მრავალ ქვეყანაში არსებობს ტრენინგებისა და განვითარების ცენტრები, სადაც მენეჯერებს (მათ შორის კოოპერატივების მმართველებსაც) სთავაზობენ სხვადასხვა სახის ტრენინგებს.

სოფლის მეურნეობა არის დასაქმებისა და შემოსავლის ძირითადი წყარო რეგიონებში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას და ეხმარება წვრილ მწარმოებლებს პროდუქციის გასაღებაში. კოოპერატივი აუმჯობესებს მისი წევრების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას და ქმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს ისეთი ბიზნეს მოდელების საშუალებით, რომლებიც ხასიათდება გამძლეობით ეკონომიკური და ბუნებრივი შოკების მიმართ [3].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abate G. T., Francesconi G. N. and Getnet K., Impact of Agricultural Cooperatives on Smallholders' Technical Efficiency: Evidence From Ethiopia, European Research Institute on Cooperative and Social Enterprises, 2013
2. Bouckova B., Agricultural co-operatives: perspectives for the 21 century, AGRIC. ECON., 48, 2002 (4).
3. FAO, IFAD, WFP, Agricultural cooperatives: paving the way for food security and rural development, 2013
4. Gertler M., Rural Co-operatives and Sustainable Development, 2001
5. National Open University of Nigeria, Agricultural Cooperatives, course guide, 2009

6. Ortmann GF, King RP, Agricultural Cooperatives I: History, Theory and Problems, Agrekon, Vol 46, No 1, March 2007.
7. PWC, World map of the agricultural cooperative movement and its critical issues, October 2012
8. United States Department of Agriculture, Agricultural Cooperatives in the 21st Century, Rural Business-Cooperative Service, Cooperative Information Report 60, November 2002.
9. <http://ica.coop/en/whats-co-op/co-operative-facts-figures>
10. <http://www.uwcc.wisc.edu/icic/orgs/copac/member/un/reports/ag-21/chap3.html>

TENGIZ TAKTAKISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral Candidate

EFFICIENCY OF AGRICULTURAL COOPERATIVES AND THEIR ROLE IN THE PROCESS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURE

S u m m a r y

Historically agricultural cooperatives contributed to the development and productivity growth in agricultural sector. Modern cooperatives were established more 160 years and particularly were supported in the USA and Western Europe. Agricultural cooperatives enable farmers to increase their revenues through the economies of scale. Farmers' motivation for cooperation is an ability to pool their resources, improve access to the credit and insurance markets, get access to the remote markets and reduce risks related to the production and distribution. Agricultural cooperatives largely contribute to the sustainable development of agriculture. They tend to improve social, economic and environmental conditions and thus hamper migration from rural areas to the urban ones. Farmers within the cooperatives are willing to maintain production potential from generation to generation. Because of this they try to use technology which will not damage natural resources in the long-run and contributes to sustainable development.

ნუზარ თოღუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

საქართველოს სასურსათო ბაზარზე მომხმარებელთა მოტივაციის ცვლილება პოსტკრიზისულ პერიოდში

მომხმარებლების მიერ ამა თუ იმ საქონლის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა მარკეტოლოგების ყურადღების ცენტრშია [1]. მომხმარებელთა ქცევა საკმაოდ რთული პროცესია, რომლის საფუძველია მრავალფეროვანი წამქეზებელი ფაქტორები – მოტივები. ამ მოვლენის მახასიათებლებების თავისებურებებსა და დინამიკაზე სწორი წარმოდგენა ბიზნესის წარმატებას განაპირობებს. ამიტომ მომხმარებელთა მოტივაციის კვლევა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მარკეტინგის ინტერესის საგანია [2], [3]. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სწრაფად განვითარებადი სამყარო იწვევს ადამიანთა მსოფლმხედველობის ცვლილებას, რაც მათ სამომხმარებლო ქცევაში აისახება. ცხადია, რომ საზოგადოებაში მიმდინარე ტრანსფორმაციული მოვლენები მომხმარებელთა მოტივაციაზე გავლენას ახდენენ.

მომხმარებელთა მოტივაციის შესწავლა აქტუალური გახდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში. ცხადია, მსგავსი რეცესიები სამომხმარებლო ქცევის მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევენ. ამიტომ ეკონომიკური კრიზისის გავლენით მომხმარებელთა ქცევის შეცვლის შესახებ კვლევები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება. განვითარებულ ქვეყნებში იგი ასევე სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოების ინტერესის საგანია [4].

ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოშობილ მძიმე და სტრესულ სიტუაციებში მომხმარებელთა ქცევის მოდელი იცვლება. მომხმარებელი ნებისმიერი ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებაზე მოხმარების შეცვლით რეაგირებს, რასაც რისკის აღქმის დონის გარდაქმნა განაპირობებს. ეკონომიკური კრიზისი გავლენას ახდენს მომხმარებლებზე არა მარტო ეკონომიკური, არამედ ფსიქოლოგიური ასპექტითაც. მომხმარებლები სულ უფრო ხშირად ახდენენ საქონლის სხვადასხვა მარკების ექსპერიმენტირებას. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ამის მიზეზია თვითიდენტიფიკაცია. კერძოდ, როცა მომხმარებლები ძვირადღირებული მარკიდან

შედარებით იაფფასიანზე გადადიან, ამას ისინი საქონლის საფასო მახასიათებლებით არ ხსნიან, რაც მათ, მატერიალური მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, საკუთარი თავის წინაშე ჩვეული სტატუსის შენარჩუნებაში ეხმარება [5]. ეტყობა, ასეთი მიდგომა მომხმარებლებს ხელს უწყობს, კრიზისი ადვილად გადაიტანონ და პოსტკრიზისულ პერიოდს იოლად გაუძლონ. მარკეტოლოგები, პოტენციური მომხმარებლების მოტივაციებს გათვალისწინებისათვის მსგავს ღეგენდებს იყენებენ კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში საქონლის შემუშავების ან მოდიფიკაციის დროს.

სამწუხაროდ, ქართველი მომხმარებლების მოტივაციის ცვლილების კვლევა კრიზისის და პოსტკრიზისულ პერიოდში არ ჩატარებულა. ამიტომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა, ეკონომიკურმა კრიზისმა რა დონით მოახდინა ქართველ მომხმარებლებზე გავლენა, რაში გამოიხატა იგი და როგორ შეიცვალა მათი სამომხმარებლო ქცევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2012 წლის ზაფხულში ჩატარეთ მარკეტინგული კვლევა. კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, ოპტიმალურად განისაზღვრა რაოდენობრივი კვლევის ჩატარება გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით, რომელიც პირველადი მონაცემების შეგროვების ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული ხერხია. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა მომხმარებელთა შეხედულებების, დამოკიდებულებების, პრეფერენციებისა და სამომხმარებლო ქცევის იდენტიფიკაციის შესახებ მონაცემთა შეგროვებისათვის [6]. კვლევა განხორციელდა ინტერნეტითა და პირადი ინტერვიუს ტექნიკით, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კრიზისის გავლენით მოსახლეობის უმრავლესობა (40%), სასურსათო პროდუქტებზე ეკონომიის მიზნით, ცდილობს, ჩვეული ბრენდები იმ მაღაზიებში შეიძინოს, სადაც ისინი შედარებით იაფია. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ქართველი მომხმარებლები ბრენდების მიმართ მაინც ერთგულნი რჩებიან, თუმცა, მათი იაფად შექენას ცდილობენ. ამასთან, გამოკითხულთა 19% დაბალფასიან მარკებს მოიხმარს, 16% საქონელს ერთდროულად დიდი მოცულობით იძენს, რადგან თვლის, რომ ასე უფრო იაფია. გამოკითხულთა 15% საქონელს ყიდულობს ნაკლები რაოდენობით, ხოლო 10% – ნაკლები სიხშირით ან რიგ შემთხვევაში ზოგიერთ მათგანის შექენაზე იძულებულია უარის თქვას.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ ვრცელდება სასურსათო პროდუქტების კონკრეტულ სახეობებზე ეკონომიის გავრცელებული ქცევა. როგორც უკვე აღინიშნა, კვების პროდუქტებზე ეკონომიისათვის მომხმარებელთა უმეტესობა მიმართავს მაღაზიებს, სადაც მათი შექენა შედარებით იაფია. ეს ყველაზე მკაფიოდ აისახება ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა ყველი, რძის სხვა ნაწარმი და ბოსტნეული. ამ ფაქტის ახსნა შეიძლება იმით, რომ მომხმარებლები, ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, მოცემულ საქონელზე უარს ვერ ამბობენ, მაგრამ ცდილობენ, მიმართონ ისეთ მაღაზიებს, სადაც მათ შედარებით ხელმისაწვდომ ფასად შეიძენენ. მოსახლეობის 16% ცდილობს საქონელი შეიძინოს ერთდროულად დიდი რაოდენობით და ამგვარად გააკეთოს ეკონომია. გამოკითხულები აფიქსირებენ, რომ ეკონომიის ამ მეთოდს ყველაზე ხშირად მიმართავენ კონსერვების შემთხვევაში (14%), მას მოსდევს ყველი (10%), ჩაი და ყავა (9%), ბურღულეული და მარცვლეული (9%). საგარაუდოა, რომ აღნიშნული პროდუქტები მოსახლეობას მოცემული მეთოდით ეკონომიის საშუალებას აძლევს, ხოლო დანარჩენი პროდუქტები (პური, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, ფუნთუშეული, ბავშვთა კვება, ტკბილეული და სხვ), შედარებით ნაკლებად იძლევა ერთდროულად დიდი მოცულობით შექენის და, შესაბამისად, ეკონომიის შესაძლებლობას.

გლობალური ეკონომიკური კრიზისი ქართველი მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაზე ყველაზე მეტად აისახა. ამიტომ მათ გარკვეული პროდუქტების მოხმარება შეამცირეს ან ისინი კვების რაციონიდან საერთოდ ამოიღეს. ამგვარად, ეკონომიის ისეთი ხერხი, როგორცაა პროდუქტების ნაკლები სიხშირით (მოცულობით) შექენა, თითქმის ყველა კატეგორიაზე ვრცელდება, გარდა ყველისა და პურისა. ცხადია, რომ ეს ის პროდუქტებია, რომლებიც კვების დროს ფაქტიურად შეუცვლელია. სამაგიეროდ, რესპონდენტების უმრავლესობა ნაკლები სიხშირით მოიხმარს ისეთ პროდუქტებს, როგორცაა ნახევარფაბრიკატები, ალკოჰოლური სასმელები და სხვა.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 19% არის მზად შეიძინოს იაფფასიანი მარკები ეკონომიის მიზნით. მათგან უმეტესობა (14%) აფიქსირებს, რომ ეკონომიის ამ მეთოდს გამოიყენებს კონსერვებისთვის. გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი კი შეიძენს იაფიანი ყავისა და ჩაის ბრენდებს. რაც შეეხება კვების სხვა პროდუქტებს, მათზე ეკონომიისთვის მოსახლეობის საშუალოდ 3-4% არის მზად მოქენოს იაფფასიანი მარკები. აღნიშნული ეკონომიის მეთოდი ყველაზე ნაკლებად ვრცელდება ბავშვთა კვებაზე, რაც გასაკვირი არაა. ეს გვაფიქრებინებს იმას,

რომ მოსახლეობას ურჩევნია პროდუქტის სხვა კატეგორიებზე გააკეთოს ეკონომია და ბავშვთა კვებისთვის მიმართოს ხარისხიან, თუნდაც, შედარებით ძვირფას ბრენდებს.

ასევე საინტერესოა იმის დადგენა, მომხმარებლები თუ რომელ პროდუქტებზე ეცდებიან არ გასწიონ ეკონომია. ამგვარ პროდუქტებს შორის ლიდერობს ბავშვთა კვება, კვერცხი, პური და ყველი. ხოლო ისეთი პროდუქტები, როგორცაა ხიზილალა და კონსერვები, შეიძლება სრულიად იქნეს ამოღებული კვების რაციონიდან, როდესაც საქმე ეკონომიას ეხება. ეკონომიის გაწევის ასევე დიდი მანქვებლით ხასიათდება თამბაქო, ალკოჰოლური სასმელები და სანელებლები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ძვირადღირებული სასურსათო მარკების შექმნის მიზეზები. როგორც აღმოჩნდა, ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილი (35%) მზად არის დაივიწყოს სასურსათო პროდუქტებზე ეკონომია, როდესაც საქმე დღესასწაულებს ეხება. გამოკითხულთა თითქმის მესამედი (32%) კი მზად არის ძვირი გადაიხადოს ბავშვთა კვებაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვებს ქართულ ოჯახებში. რესპონდენტების შედარებით ნაკლები რაოდენობა (12%) ფიქრობს საკუთარი თავის განებივრებაზე, ხოლო 21%-ს კი მიაჩნია, რომ ამგვარი ქცევის საფუძველი არ არსებობს.

ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. პოსტკრიზისულ პერიოდში სხვადასხვა ტიპის პროდუქტებზე ეკონომიის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ისეთი მაღაზიების ძიება, სადაც ჩვეული ბრენდები შედარებით იაფია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიიმე ფინანსური პირობების მიუხედავად, ქართველი მომხმარებელი ბრენდზე და ჩვეულ მარკაზე საკმაოდ მიჯაჭვულია.
2. იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მეტად მოახლეობს ფინანსურ მდგომარეობაზე აისახა, ისინი სხვადასხვა პროდუქტზე ეკონომიისთვის მრავალგვარ ხერხს მიმართავენ. მიუხედავად ყველაფრისა, რიგ პროდუქტებზე (მაგალითად, ყველი, რძის სხვა ნაწარმი და სხვა) მოსახლეობა უარს ვერ ამბობს, სამაგიეროდ, მათზე ეკონომიისთვის მიმართავს იაფფასიან მაღაზიებს ან უფრო იშვიათად ეძებს იაფ მარკებს და ერთდროულად დიდი რაოდენობით ყიდულობს.
3. კვლევა ადასტურებს, რომ ყველაზე ნაკლებ ეკონომიას ქართველი მომხმარებელი გასწევს პურზე, ბავშვთა კვებაზე, კვერცხსა და ყველზე. პურსა და ბავშვთა კვებასთან მიმართებაში რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად იყენებენ ეკონომიის სხვადასხვა მეთოდს. ხოლო ისეთი პროდუქტები, როგორცაა ხიზილალა და კონსერვები, ეკონომიის გაწევის მიზნით, კვების რაციონიდან შეიძლება სრულიად იქნეს ამოღებული. ასევე, ეკონომიის გაწევის დიდი მანქვებლით ხასიათდება თამბაქო, ალკოჰოლური სასმელები და სანელებლები.
4. ფინანსური კრიზისის მიუხედავად მოსახლეობის დიდი ნაწილი მზად არის დაივიწყოს სასურსათო პროდუქტებზე ეკონომია, როდესაც საქმე დღესასწაულებს ეხება. ეს მიანიშნებს იმაზე, ქართველი მომხმარებლისთვის სხვადასხვა სახის დღესასწაულებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ისინი მნიშვნელოვნად განაპირობებენ მათ სამომხმარებლო ქცევას კვების პროდუქტებთან მიმართებაში. გამოკითხულთა თითქმის მესამედი მზად არის ძვირი გადაიხადოს ბავშვთა კვებაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად დიდია ბავშვის როლი და მათზე ზრუნვის მოტივი სასურსათო პროდუქტების ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.
5. პოსტკრიზისული მომხმარებელი კვების პროდუქტების მწარმოებლების პრომოაქციების მიმართ მგრძობიარეა. მომხმარებლების უმეტესობა ყიდვისას აქტიურად ეძებს პრომო აქციებს. მიუხედავად ამისა, ქართველი მომხმარებლები, წინა წლებთან შედარებით, შერჩეული მაღაზიებისადმი მეტად ლოიალურები გახდნენ.
6. პოსტკრიზისული მომხმარებლები დიდ ყურადღებას აქცევენ ფასებს და ამჩნევენ მათ ცვლილებებს წინ წლებთან შედარებით, რაც ფასების ზრდისადმი მათ შემოფოთებას იწვევს.
7. კვლევამ აჩვენა, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში მომხმარებლები ნაკლებად არიან მიდრეკილნი ახალი სასურსათო პროდუქტების მიმართ და უფრო ლოიალურობას იჩენენ ისეთი ბრენდებისადმი, რომელთა ყიდვასაც ისინი შეეჩვივნენ.
8. ეკონომიკაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ქართველი მომხმარებლების უმეტესობა სასურსათო ბაზარზე არსებული პირობებისადმი ადაპტირებადია. საკუთარი შემოსავლების

რაციონალური გამოყენებით ისინი თანდათან, მაგრამ დაჯერებით აღიდგენენ მოხმარების ჩვეულ სტანდარტებს.

ამრიგად, საქართველოს სასურსათო ბაზარზე პოსტკრიზისული მომხმარებლის მოტივაცია ცვლილებებს განიცდის, რაც პრინციპულად სხვა მარკეტინგულ მიდგომებს მოითხოვს. კრიზისის შედეგად შეიცვალა ბიზნეს გარემო, გარდაიქმნა მომხმარებელი და, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ახალი ამოცანების დასმა და მათი გადაწყვეტა. ამიტომ მარკეტოლოგებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი ინსტრუმენტები, მოიძიონ დროის შესაფერისი იდეები და შეიმუშაონ ეფექტიანი მართვის მეთოდები. ბუნებრივია, პოსტკრიზისული პერიოდი მარკეტინგული კონცეფციების განვითარებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. კლასიკური მარკეტინგი დღეისათვის ნაკლებად მუშაობს. ამიტომ სწრაფად განვითარებადი მარკეტინგული ტრენდები არსებული მიდგომების განახლებას მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა კლიენტთა ლოიალურობის ფორმირება, რომელიც მარკეტინგის სახელმძღვანელოებიდან აღებული გაცვეთილი ფრაზა როდია. ცხადია, დღეისათვის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა რთული და ძვირადღირებული საქმეა. ამიტომ კლიენტების შენარჩუნება ლიდერი კომპანიებისთვისაც კი პრიორიტეტულია. მარკეტინგის მომავალი ითვალისწინებს ლოიალურობის პროგრამების შემუშავებას. განსაკუთრებით აქტუალური ხდება კოალიციური პროგრამები, რომლებიც ამავდროულად ახალი კლიენტების მოზიდვასაც გულისხმობს. ასეთი პროგრამები კლიენტებს მრავალფეროვან სერვისს სთავაზობენ, მათ შორის საკრედიტო კომპონენტებსაც. სამწუხაროდ, საქართველოში ლოიალურობის პროგრამები ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს.

დღეისათვის მსოფლიოში ჯანსაღი კვება პოპულარული თემაა. იგი აქტუალურია საქართველოშიც. მასში იგულისხმება მოთხოვნა ნატურალურ, ანუ როგორც მას ევროპაში უწოდებენ, ორგანულ პროდუქტებზე. ისინი შეიცავენ მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ ინგრედიენტებს. მათი დამზადებისათვის მკაცრად კონტროლდება წარმოების მთელი ჯაჭვი – მოსავლის მოყვანიდან დაწყებული და მზა პროდუქტის შეფუთვით დამთავრებული. ორგანული პროდუქტები გამორიცხავენ ნებისმიერი სინთეზური ელემენტების, აგრეთვე საკვები დანამატების გამოყენებას, თუმცა, მათ შენახვის მცირე ვადა და საყოველთაოდ ნაკლებად მიმზიდველი შეხედულება აქვთ. რაც მთავარია, ისინი უფრო ძვირია. მაგრამ ფასი როდია მთავარი. საქართველოს აგროსასურსათო სფერო ვერ პასუხობს ორგანული პროდუქტის წარმოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამიტომ ეს დარგი ჩვენში პრაქტიკულად განუვითარებელია.

კიდევ ერთი პრობლემაა საქართველოს სასურსათო ბაზარზე არსებული ფუნქციონალური (ანუ გამდიდრებული) პროდუქტები. ესაა ყოველდღიური მოხმარების საქონელი, რომლის კვებითი ღირებულება სპეციალურად გაძლიერებულია. ბიოლოგიური დანამატებით გამდიდრებული პროდუქტი ადამიანის ორგანიზმისათვის არც თუ ისე სასიკეთოა. სავაჭრო თანამშრომლობის გლობალიზაციის პროცესი საქართველოს აგროსასურსათო საწარმოების წინაშე სვამს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოებული პროდუქციის ხარისხის გარანტიის შესახებ. კვების პროდუქტების უსაფრთხოება უნდა შეეხება მთლიანად სტანდარტებს. ამიტომ დღეისათვის უმთავრესი ამოცანაა სასურსათო პროდუქტების ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა და მისი უზრუნველყოფა. აქედან კი უმნიშვნელოვანესია რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის (HACCP) სისტემა, რომელიც წარმოებისა და გასაღების ყველა ეტაპზე კონტროლის მექანიზმს ითვალისწინებს. ასეთი სისტემის დანერგვა როგორც მწარმოებლისა და სავაჭრო კომპანიის, ასევე მომხმარებლების ინტერესების სფეროა, რომლებსაც სასარგებლო და უსაფრთხო პროდუქტის შექმნა სურთ. თავის მხრივ, სურსათის სფეროში დასაქმებული სამამულო მწარმოებლები და დისტრიბტორები არჩევანის წინაშე დგანან: თვითონ უზრუნველყონ მომხმარებლებისათვის ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქციის მიწოდება ან ბაზარი უცხოურ კომპანიებს დაუთმონ. მომხმარებლებზე ბრძოლა კვების პროდუქტების მწარმოებლებს ასევე აიძულებს შეფუთვის ინოვაციური ტექნოლოგიები დანერგონ. ცივილიზებულ სამყაროში ამ მიმართულებით მთავარია ეკოლოგიური შესაფუთი მასალების დამზადება, რომლებიც გარემოზე მინიმალურ გავლენას ახდენენ. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შესაფუთი მასალების მხოლოდ მესამედია პოლიმერებისაგან დამზადებული. ასეთი მასალები მიწაში ათწლეულები რჩება. მათი უტილიზაცია საკმაოდ რთულია, რაც ეკოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებს. ამ კუთხით საქართველოში მართლაც სავალალო მდგომარეობაა. ქართველი მომხმარებლის მოტივაცია სასურსათო პროდუქტების შექმნისას, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, ასეთ ცვლილებებზეა ორიენტირებული.

ვფიქრობთ, რომ ზემოქმედებითი თავისებურებების გათვალისწინება სასარგებლო იქნება საქართველოს სასურსათო ბაზარზე მომუშავე კომპანიებისათვის. კვლევის შედეგები დაეხმარება მათ მიზნობრივი მომხმარებლის უკეთ შეცნობასა და კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. J. Paul Peter, Jerry C. Olson, Consumer Behavior & Marketing Strategy. 9th Edition, Published by McGraw-Hill/Irwin. 2010.
2. Roger D. Blackwell, Paul W. Miniard, James F. Engel. Consumer Behaviour. 10th Edition, Thomson, 2007.
3. <http://www.market.kolomna.ru>
4. N.Todua, Ch.Jashi. Behavior changing through social marketing - a Georgian case study. World Social Marketing Conference. 2013, Toronto, Canada. <http://wsconference.com/>
5. <http://www.es.ru/yes>
6. Малхотра Н. К., Маркетинговые исследования. Практическое руководство.: Учебник. Пер. с англ. _ М.: Издательский дом "Вильямс", 2003

NUGZAR TODUA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

THE CHANGE OF CONSUMER'S MOTIVATION IN THE GERGIAN FOOD MARKET IN THE POST CRISIS PERIOD

S u m m a r y

In this article is shown, that for the post crisis period on the consumer market of different food-stuffs looking for the usual brand products with cheaper price is usual method of economy. That's why in spite of deterioration of financial conditions, Georgian consumers are chained on the brands and habitual mark. At the same time they choose many ways to make economy on the different food-stuff products. In spite of all the consumers can't refuse using some kinds of products (E.g cheese, other dairy products ect.), instead of it, they address cheaper markets or more seldom are looking for cheaper marks and buys great quantity of product at once. The study confirms the Georgian consumers make least economy on bread, baby food, eggs and cheese. Towards the bread and baby food, consumers don't use the different kinds of savings. As for such kinds of products as caviar and preserved may be taken off from the ration absolutely. Also, with the high level of economy is characterized the tobacco, alcohol drinks and seasonings. In spite of the difficult financial conditions, most of the population is ready to forget about the economy at the holiday times. This fact points out that different kinds of holidays take important roles in the Georgian consumer's mind and they tell on the consumer behavior towards the food-stuff products. We should mention that almost the third of Georgian consumers is ready to pay more for baby food. This fact proves that children and the motive of taking care of them play important role in purchase decision making process.

ЖАНА ТОЛОРДАВА

Тбилисский государственный университет имени Ив. Джавахишвили, профессор

ИМИТАЦИОННОЕ ИГРОВОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ РАЗЛИЧНЫХ ХОЗЯЙСТВЕННЫХ ОБЪЕКТОВ

Использование методов имитационного игрового моделирования для изучения устойчивого развития необходимо для того, чтобы сделать соответствующие выводы. Моделирование может и должно показать, какова роль тех или иных факторов и условий в обеспечении устойчивого развития. При этом в разработанных моделях учитывается, что устойчивое развитие предполагает не только соблюдение допустимой антропогенной нагрузки на окружающую природную среду, но и экономическое развитие, обеспечивающее удовлетворение материальных потребностей людей на уровне, который определяется конкретными социально-культурными условиями общественной жизни.

Одновременно следует помнить, что устойчивое развитие не может быть достигнуто само по себе и требует специальных целенаправленных управленческих действий. Необходимо управлять процессами, направленными на обеспечение условий устойчивого развития. Именно в этом аспекте имитационные игровые модели оказывают неоценимую услугу при определении наиболее рациональных действий для достижения указанных целей.

В деловых играх тематики устойчивого развития, применяемых нами в учебном процессе, используются модели, в которых решаются проблемы выбора правильной стратегии приемлемого варианта хозяйственной

деятельности с учетом охраны окружающей среды. Общеизвестно, что в реальной жизни максимальное соблюдение экологических принципов, отказ от экономического развития ради этого принципа, приводит к стратегии «нулевого роста» экономики страны. Поэтому необходимо соблюдать те экономические принципы, или как их называет известный русский ученый Никита Моисеев «экономические императивы», которые подразумевают обеспечение определенного уровня удовлетворения материальных потребностей путем хозяйственной деятельности (производства товаров, оказания услуг, создания инфраструктуры). также, как удовлетворение других жизненных ценностей: продолжительности жизни, уровня образования и т.п.

Применяемые нами деловые игры представлены в их так называемом, «ручном варианте», а также в виде сочетание компьютерного моделирования с традиционными игровыми приёмами. То есть – это не просто диалоговый режим с компьютером, а принятие решений в ходе непосредственного диалога игроков, которые используют компьютер для решения (расчета) вспомогательных моделей, необходимых для обоснования и выбора наиболее рациональных решений.

Деловая игра «Медитеранеа»

Целью игры является согласование групповых и общественных интересов в условиях, когда участники игры – представители стран Средиземноморского побережья действуют, исходя из экономических интересов и меньше внимание уделяют экологическим проблемам.

В основе этой деловой игры (ДИ) лежит известная модель американских психологов Р. Пауэrsa, Р. Дууса и Р. Нортонa «Common». В нашей версии действие также происходит в условной хозяйственной системе, но участниками являются страны побережья Средиземного моря. Игра конкордатного типа, цель которой достижение тех или иных соглашений, договоров по поводу эксплуатации морского пространства.

В ДИ моделируется процесс противостояние хозяйственных интересов (промышленных, сельскохозяйственных, туристического бизнеса и др.) 8 стран природоохранным интересам. Принятые ими решения способствуют либо максимизации доходов и ухудшению экологического состояния моря, либо минимизации доходов, но сохранению качества морской воды.

Для имитации экологического состояния морской воды и соответственно побережья используется информационная матрица, в которой состояние воды меняется в зависимости от принятых игроками решений. Состояние воды на матрице фиксируется индикатором.

В игре приняты 4 стратегии:

1. Сброс неочищенных сточных вод в море и загрязнение побережья.
2. Очистка сточных вод и побережья
3. Использование штрафных санкций против стран-загрязнителей
4. Капитальный ремонт и обновление очистных сооружений.

Информационная матрица

Состояние воды	Позиция								Номер строки	баллы решений	
	1	2	3	4	5	6	7	8		№1	№2
Чистая вода									+ 6	177	127
									+ 5	161	111
									+ 4	146	92
Технически чистая вода									+ 3	133	79
					!				+ 2	121	63
									+ 1	110	48
									0	100	35
									- 1	80	28
									- 2	64	21

Действие происходит в регионе, который расположен в богатой лесными массивами зоне. Согласно проекту необходимо построить город, в котором будет развита промышленная структура, в частности, заводы «Стройдеталь», производящий крупные строительные панели, железобетонные конструкции и заводы цементный, инструментальный, продукция которых будет использоваться для нужд региона, а также будет вывозиться за его пределы.

В регионе планируется строительство крупного крестьянского (фермерского) хозяйства для обеспечения города продуктами сельского хозяйства и развитием животноводческой инфраструктуры мясо-молочного направления.

Предусмотрено также развитие туристического бизнеса, чему способствует богатая природа и живописный ландшафт региона. С этой целью необходимо развитие гостиничного хозяйства, рекреационных баз.


Исходя из перечисленных условий, становится очевидным, что в модели присутствуют все основные источники антропогенного загрязнения и поэтому в игре большое внимание уделяется вопросам размещения всех указанных объектов с учетом охраны окружающей среды. В игре используется макетный имитатор, помогающий участникам игры в выборе вариантов размещения промышленных, сельскохозяйственных, рекреационных, туристических и др. объектов.

Цель игры – развитие навыков решения практических задач в конкретных социально-экономических условиях с учетом особенностей индустриального развития региона и отклика природной среды на действия человека. Участниками игры являются лица, реально причастные к решению этих проблем.


В модели рассматриваются варианты энерго- и водоснабжения, возникшие в связи со строительством промышленных объектов. Каждый из представленных вариантов отличается своими особенностями и предусмотреть итоги внедрения каждого из них довольно сложная задача. Поэтому студентам необходимы соответствующие знания, для чего они изучают дополнительный материал, в чем и проявляется педагогический потенциал данной игры.

Возможные варианты размещения энерго- и водообъектов представлены на приведенных ниже схемах


Варианты энергоснабжения



ЛЭП 1



ЛЭП 2




Теплоэлектростанции - ТЭС



Строительство ТЭС в районе города Строительство ТЭС в районе Ближнего леса

Варианты водоснабжения


I. Бурение артезианских скважин для нужд теплоэлектростанций



1. В городе

2. На территории Ближнего леса

II. Для нужд завода «Стройдеталь»



3. Бурение артезианских скважин у подножия горы
4. Забор воды из реки

5. Изменение технологии на заводе «Стройдеталь» и переход на оборотную систему водоснабжения

Для сравнения вариантов энерго- и водоснабжения в игре используется «блок расчетов», в котором даны капитальные затраты на строительство теплоэлектростанций, линий электропередач и т.д. Это позволяет оценить стоимость разработанного проекта. Деловая игра завершается презентацией представленных проектов и в результате детального разбора и дискуссии, выбором наиболее совершенного проекта.

Компьютерная деловая игра «Экочай» (автор проф. Толордава)

Деловая игра представляет собой обучающую систему, при помощи которой студенты в диалоге с компьютером «разыгрывают» реальный процесс выращивания экологически чистого чая, для чего они производят перебор примерно 300 комбинаций производства чая в наиболее типичных условиях Грузии.

Цель игры - изучение условий функционирования этой отрасли сельского хозяйства, ее особенностей и принятие вариантов решений рационального землепользования, а с точки зрения агротехнических мероприятий причинение минимального ущерба окружающей среде. Такой подход обусловил структуру компьютерной модели в следующей форме:

Почва – чайное растение – окружающая среда

Имитационная модель состоит из 10 основных подсистем, которые подразумевают 10 видов почв с соответствующими условиями и набором агротехнических мероприятий, направленных на выращивание экологически чистого чая.

Соответственно в игре используются 10 агрокартограмм, в которых последовательно перечислены все те агротехнические мероприятия, которые необходимы для выращивания чайной культуры, исходя из специфики плантации.

В модели представлены 4 крестьянских (фермерских) хозяйства, состоят из наиболее типичных для западной Грузии типов почв. В представленных агрокартограммах приведен числовой массив, характеризующий то или иное хозяйство по следующим параметрам:

- расходы на подрезку чайных кустов;
- расходы на обработку междурядий;
- расходы на внесение удобрений;
- расходы на полив или дренирование плантации;
- расходы на механизацию;
- процент роста урожая в результате проведенных агромероприятий.

При помощи числового массива компьютер рассчитывает все дополнительные модули, необходимые для продолжения деловой игры. Поскольку ДИ конструирована в виде обучающей системы, в ней также представлен компьютерный информационный массив (база данных), где представлена информация по механизации, ирригации, дренированию, видам применяемых удобрений, средств и методов борьбы с вредителями чайного куста.

Поскольку игровая модель относится к сфере сельского хозяйства характеризующейся сезонностью производства, стохастичностью и неопределенностью, в ней учтены все процессы, связанные с возможными явлениями климатического характера, сбоев техники и т.д. Все эти факторы представлены в виде картотеки положительных и отрицательных явлений, которые компьютерная программа «выдает» в процессе игры. Игроки-фермеры в случае отрицательных явлений должны наметить контрмероприятия с целью ликвидации или смягчения результатов этих явлений.

В игре представлен также экспертный блок в виде «Компьютерного арбитра», выдающего ответы на все решения игроков. Это – отклик природной среды на результаты хозяйственной деятельности, связанные с применением фосфатных, нитратных удобрений, пестицидов и гербицидов. В ответах «компьютерного арбитра» предусмотрены все возможные сочетания агротехнических мероприятий с погодными условиями (засуха, продолжительные ливни и т.д.), приводящие к экологическим последствиям. Все это студентам дает возможность изучить все аспекты данной отрасли.

Одновременно, в игровой имитационной модели «Экоте» в информационном массиве представлены все новые разработки зарубежных и грузинских авторов, направленных на использование тех схем внесения удобрений и средств борьбы с вредителями и заболеваниями чайного куста, которые принесут минимальный вред окружающей среде.

На примере ДИ «Экоте» можно анализировать, прогнозировать и, в известной степени, управлять процессами человеческой хозяйственной деятельности с целью устранения ее отрицательного влияния на окружающую среду. Все это обеспечивает устойчивость развития как фермерских хозяйств, так и отрасли в целом.

Еще одна особенность приведенной модели заключается в том, что ее можно использовать для изучения и учета специфики выращивания практически любой экологически чистой сельскохозяйственной культуры, чему способствует гибкость и системный подход симуляционной модели.

JANA TOLORDAVA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor

SIMULATION GAME MODELING OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF VARIOUS INDUSTRY ENTITIES

S u m m a r y

Used in the education process of the State University of Tbilisi ecological simulation games combine in itself the problems of nature protection and economy. They are modeling the most significant factors of economy development of the state and region, or problems of rational use of resources and response of nature to the anthropogenic influence.

The special field represent simulation models that are oriented on ecological problems solving on the international level and at the same time taking into account psychological peculiarities of people from the point of view of their disposition for collective action which depends of psychological or even anthropological personality type according to the opinion of the first rate positions of forming advantageous strategies and consensus achievement are coming forward.

It's to say that of Simulation Nature Protection Business Games used at Tbilisi state University allows to gain knowledge and skill in decision making and have a high cognitive potential. Games under consideration were demonstrated several times on Georgia TV and their videotapes were demonstrated during the international congresses and conferences.

ნატო ბაკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

საქართველოს აბროსექტორი და დაზღვევის სისტემა

სოფლის მეურნეობა საკმაოდ რისიკიანი სფეროა და სადაც რისკი მაღალია, როგორც წესი, დაზღვევა პოპულარული უნდა იყოს. სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოს გლეხსა და ფერმერს. სახელმწიფოს მონაწილეობის ინტერესსა და მიზანშეწონილობას სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სქემებში განსაზღვრავს ეკონომიკური, სოციალური და სასურსათო უსაფრთხოება. აღნიშნულს ხელს უშლის დაბალი სადაზღვევო კულტურა, არასახარბიელო დაზღვევის პირობები ფერმერებისათვის და სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

სოფლის მეურნეობაში დაზღვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან არც თუ იშვიათია სტიქიური უბედურებებით მოსავლის ნაწილობრივი თუ სრული განადგურება. კახეთში

ვენახის დასეტყვა თითქმის ჩვეულ მოვლენად არის ქცეული. ასევე გვაღვა ანადგურებს მარცვლეულს. ბოლო წლებში დიდი ზარალი გამოიწვია გავრცელებულმა დაავადებებმა, რამაც მეცხოველეობა დააზარალა. სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოს გლეხსა და ფერმერს. თეორიულად კი შეიძლება ყველაფერი დაეზღვეს, მაგრამ თუ ვენახის დაზღვევა მოხდება, მაშინ ალბათ სტიქიური უამინდობები იქნება გათვალისწინებული და არა ისეთი დაავადებები, როგორცაა ჭრაქი და თუ ვაზის სხვა უამრავი დაავადება. ეს დაავადებები კი შეიძლება ითქვას არანაკლებ აზარალებს მევენახეს, ვიდრე სეტყვა.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაფინანსება, სურსათის ხარისხის კონტროლი და დაზღვევა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი. ფერმერები აზღვევენ ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებს, ასევე ხდება დაზღვევა მეცხოველეობაში.

გერმანიაში ვენახების დაზღვევა არ ხდება, რადგან სეტყვის პრობლემა გერმანიაში რეალურად არც დგას და ამიტომ მსგავსი რისკის დაზღვევა არც არის მოთხოვნადი. გერმანიაში სტიქიური უბედურობები თითქმის არც არის, რაც ვენახს ისე გააფუჭებს, როგორც საქართველოში.

საფრანგეთში, სავალდებულო დაზღვევის გამო, სადაზღვევო საკმთანობა მომგებიან სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფო ან სადაზღვევო პრემიას კისრულობს, ან დაზღვევის რისკს და ასე ხდება სასოფლო-სამეურნეო საკმთანობის დაზღვევის პოპულარიზაცია. საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა აგროსექტორის დაზღვევა ნაკლებადაა განვითარებული, რადგან სოფლის მეურნეობა ბიზნესს არ წარმოადგენს, ის არ არის მოგებაზე ორიენტირებული ფერმერული საკმთანობა.

აგროსექტორის დაზღვევის ასამუშავებლად აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა.

ფიქრობ, უკონტროლო დაავადებების (მაგალითად ქათმის გრიპი, რომლის ეფექტური ვაქცინა არ არსებობს) დაზღვევაზე არცერთი სადაზღვევო კომპანია არ წამოვა. რაც შეეხება კონტროლირებად დაავადებებს, მაგალითად, მეცხოველეობაში, აქ სადაზღვევო კომპანიებმა და სახელმწიფომ შეიძლება ერთად იმუშაონ თუნდაც ისეთ დაავადებებზე, როგორცაა “თურქული” და ციმბირული წყლული. დანარჩენ დაავადებებზეც შესაძლებელია რაიმე ერთობლივი პროექტის ფარგლებში მუშაობა.

საქართველოში ვენახები მაღალი რისკის ქვეშ არის, ამდენად, სადაზღვევო კომპანიებს არ უღირთ ამ სახის პროდუქტის გაყიდვა. თუ რისკის შესაფერ სადაზღვევო ჯამურ პრემიას მოითხოვენ, ამხელა ფასის გადამხდელი გლეხი ვერ იქნება - ისედაც ძალიან ძვირი უჯდებათ წარმოება. რაც შეეხება ერთწლიან მარცვლეულ კულტურებს, აქ კი პირიქით, იმდენად დაბალია რისკ-ფაქტორები, რომ არ ღირს დაზღვევა. თანაც, ნებისმიერი დაზღვევა ისევ დამატებით ხარჯს ნიშნავს ფერმერისთვის. მოხერხებული ფერმერი ერთწლიან კულტურას ბევრად უდანაკარგოდ აიღებს, ვიდრე მევენახე. თუ ძლიერი სეტყვა მოვიდა, ვენახმა შეიძლება მომდევნო წელსაც აღარ მისცეს მოსავალი ფერმერს, მარცვლეულის დასეტყვის შემთხვევაში კი მომავალ წელს ჩვეულებრივი მოსავალია მოსალოდნელი. ამიტომ, ვენახი და ერთწლიანი კულტურები სულ სხვადასხვა კატეგორიაა დაზღვევის კუთხით. რაც შეეხება უშუალოდ სადაზღვევო კომპანიებს, მათ სადაზღვევო პროდუქტებში აგრარული სექტორის დაზღვევის წილი უმნიშვნელოა.

სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი პირველი კომპანიაა, რომელმაც 2010 წელს აგროდაზღვევის პირველი პოლისი გასცა. კომპანია აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების დაზღვევაზე. ალდაგი ბისიას სადაზღვევო პროდუქტი მრავალ ისეთ რისკს ფარავს, რომელიც შეიძლება ფერმერს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს დაუდგეს.¹

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მეორე ლიდერ კომპანია “ჯიპიაი ჰოლდინგი” ახდენს როგორც ვენახების, ბაღების, ასევე ერთწლიან კულტურების დაზღვევას. შესაძლებელია დაზღვევა როგორც მეცხოველეობაში, ასევე მეფრინველეობაშიც. მთლიან სადაზღვევო პროდუქტებში ამ სახის დაზღვევა ძალიან დაბალია, რაც ინფორმაციის ნაკლებობითა და ჯამური პრემის მაღალი დონით აიხსნება.

სადაზღვევო კომპანია “ჯიპიაი“-ში ვენახებს აზღვევენ ცნობილი ღვინის კომპანიები. ბევრ კომპანიას საკუთარი ვენახები აქვს გაშენებული და მოსავლის დაზღვევასაც სწორედ ისინი

¹ პრესრელიზი – აგრო დაზღვევა

ყიდულობენ. სტიქიურ მოვლენებს მოსავლის გარდა გზები, ხიდები თუ სხვა ნაგებობებიც ეწირება ხოლმე. ასეთი ობიექტების დაზღვევა ჩვეულებრივ ხდება, იგივე პრინციპით, როგორც ქონება. “ჯიპიაი”-ში დაზღვეულია მშენებარე ობიექტები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაშია.

“ჯიპიაი ჰოლდინგმა” აგროდაზღვევის მიმართულებით ახალი პროდუქტი დაანერგა:

- საქონლის დაზღვევის პოლისი: წელიწადში 30 ლარი
- პოლისის შექმნა ნებისმიერ გლეხს ან ფერმერს შეუძლია

“ჯიპიაი ჰოლდინგი” გლეხებსა და ფერმერებს საქონლის დაზღვევის საცალო პროდუქტს სთავაზობს. საქონლის დაზღვევის პოლისი წელიწადში 30 ლარი ღირს და მოიცავს შემდეგ რისკებს: საქონლის გარდაცვალება უბედური შემთხვევის ან გარკვეული ავადმყოფობის შედეგად. საქონლის დაზღვევის პოლისით სარგებლობა შეუძლიათ, როგორც პროგრამაში მონაწილე ფერმერებს, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. “ჯიპიაი ჰოლდინგის” მიერ დაზღვეულია, როგორც მარცვლოვანი კულტურები, ისე ვენახები და ხეხილი, საქონელი და ფრინველი. 2012 წელს კომპანიამ 480,000 ლარი აუნაზღაურა ფერმერებსა და გლეხებს - ზარალი გამოწვეული იყო ძირითადად სეტყვით, ძლიერი ქარითა და დატბორვით.

სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაზღვევისა და გადაზღვევის სისტემა ვერ შეიქმნება, რადგან არასტაბილური მოსავლის პირობებში დაზღვევა დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. ამასთან, სახელმწიფოს რესურსებიც შეზღუდულია.

რამდენიმე სადაზღვევო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მსგავს პროდუქტს. რეალურად კი თითქმის არავინ ყიდულობს და დაზღვევა შეეხება სხვადასხვა რისკებს: სეტყვაზე დაზღვევა, ჭარბნალექიანობა, გვალვა და ა.შ. ყველანაირ პროდუქტს სთავაზობენ, თუმცა ძალიან ცოტა ეზღვევა ვენახზეც და მარცვლეულზეც, რადგანაც აღნიშნული წამგებიანი პროდუქტია სადაზღვევო კომპანიებისთვის და ცდილობენ სხვა დაზღვევებით გადაფარონ აღნიშნული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების ქმედითი მოდელის შემუშავება, ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემის ფორმირება, აგრარული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობი გარემოს ჩამოყალიბება, რომელთა შორის, აღსანიშნავია:

- აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა და ინვესტიციების მოზიდვა;
- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის სქემების შემუშავებით;
- შიდა ბაზრისა და მოხმარებელთა უფლებების დაცვა;
- აგროსასურსათო გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებისა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- აგროპროდუქციის შესყიდვადრეალიზაციის თანამედროვე ფორმების დანერგვა (სერტიფიცირებული საწყობები, პირუტყვის სასაკლაოები, „მწვანე ბაზარი“, რძის შემგროვებელი პუნქტები და სხვა);
- სასოფლო საწარმო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის სარწყავი და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია, სასოფლოდ სამეურნეო ტექნიკით, სასუქებით, პესტიციდებითა და ქიმიკატებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ტრადიციულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის დაბრუნება და ახალი ბაზრების ათვისება;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სურსათის წარმოების უზრუნველყოფა, თანამედროვე სტანდარტების დანერგვის მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე.

აგროდაზღვევის მთავარი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია აგრარული რისკების მართვა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას მოითხოვს, ამასთან ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ აგრარულ სექტორში რისკების მართვის სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ბანკმა, სადაზღვევო კომპანია „აღდაგი ბისიაიმ“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივამ (EPI), ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომელიც

¹ თ. კანდელაკი, მ. ბაჩილავა. სხვადასხვა როტაციის ენერგეტიკული პლანტაციები და მისი გამოყენების ტენდენციები; თბილისი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. 54, 2011.

² თ. კანდელაკი, მ. ბაჩილავა. ენერგეტიკული მეტყვეობა: არსი, მიზნები და ამოცანები. თბილისი: ქ. „სატყეო მოამბე“, №4, 2011, გვ. 13-17.

ნიშანდობლივია, რომ მერქნის საწვავად ამჟამად დამუშავებული სპეციალური კონსტრუქციის ბოილერები, მაგალითად შვედეთში მერქნული ნარჩენების დასაწვავად მუშაობს 200 რაიონული თბოცენტრალი. აშშ, სპეციალისტთა პროგნოზით, ენერგეტიკაში გამოყენებული მერქნული საწვავის ოდენობა უახლოეს 30 წელიწადში გაიზრდება სულ მცირე 2,5-ჯერ.

როგორც ჩანს, მერქნული საწვავი, თავის მრავალმხრივი წარმოშობის წყაროებით, ერთერთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დანიშნულების რესურსია, რომლის შესწავლას გააჩნია მრავალი წახნაგი, მათ შორის საქართველოში, რაც ჩვენი გამოკვლევების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მერქანი და ენერგეტიკა- არის განუყოფელი ცნებები, როგორც წარსულში, ასევე მომავალში, რაც სერიოზული საფუძველია ვარაუდისა, რომ ამ ასწლეულში მერქანი ისევ ითამაშებს ძალზე შესამჩნევ როლს მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკაში.

TEIMURAZ KANDELAKI

Georgian Agrarian University, Full Professor

PRIORITIES AND EFFICIENCY OF EXPANSION OF BASIS OF TIMBER BIOENERGETICS OF RAW MATERIALS IN GEORGIA

S u m m a r y

Demand on timber forestry bioenergetics stock as a renovating source of energy is constantly growing. This is connected with expansion of basis of raw materials production, attraction and involvement of local sources. Renovating timber energy resources produced by forest energy plantations are very significant. They are characterized with high ecological and socioeconomic rates. The article is about world tendencies and priorities appropriately reflected in Georgia.

Along with usage of other existing and well-known biofuels in Georgia with the goal of creating forest energy plantation following is supposed: firstly to give privilege to creation of asp plantations. Getting the timber stock of stem would be possible in 6 years after the cultivation. Secondly, along with the implementation of alternative heating systems consuming biomass, cultivation of short rotation plantations should be started; privileges should be given to acacia, willow and asp.

According to our assumptions expansion of basis of timber bioenergetics or raw materials in Georgia reduction of 20% of volume of heating timber from forest will be possible by the 2020. As for 2030, 50% of reduction is expected. Instead more than 2 million m³ of forest will survive from cutting and destroying. Effective management of cultivation of forest energy plantation will provide: creating of the segment of renovating energy in country's field of fuel-energy; reducing the country's dependence on imported exhaustible energy resources; attraction and involvement of rural population, creating of additional working places; efficient use of former collective, agricultural lands and low-productive forest in producing of biofuel etc.

თამარ კახარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი, მეცნიერ-თანამშრომელი

6060 წიგლასკი, ლიანა ქოიავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

გულყვითელას (*Calendula officinalis* L.) კულტივირება საქართველოში

და ფარმაცოლოგიური მნიშვნელობა

საქართველოს ღია ცისქვეშა გენეტიკური რესურსების ბანკს ეძახიან, უნიკალური ფიზიკო-გეოგრაფიული და კლიმატურ-ნიადგობრივი პირობები ფლორის მრავალ-ფეროვნებას განაპირობებს და მნიშვნელოვან სახეობათა, მათ შორის სამკურნალო, არომატული, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა კულტივირების შესაძლებლობებს ქმნის.

საქართველოს სამკურნალო, არომატულ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა გენეტიკური რესურსის შესწავლა-გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ეს უნიკალური და მრავალფეროვანი სიმდიდრე არასაკმარისად არის კატალოგიზებული და გამოყენებული. უფრო მეტიც, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები იმ მცენარეთათვისაც კი, რომლებიც ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენენ, დამუშავებული არ არის. მათ რიცხვს ეკუთვნის ისეთი პოპულარული მცენარეები, როგორიცაა სამკურნალო გულყვითელა (*Calendula officinalis* L), კატაბალახა (*Valeriana officinalis* L), საღბი (*Salvia officinalis* L) და სხვა, რომლებიც მთელი ეს პერიოდი ძირითადად შემოაქვთ მეზობელი

ქვეყნებიდან, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური პარამეტრები ხელსაყრელია მათი კულტივირებისათვის. ლიტერატურა მათ ირგვლივ მართალია ვრცელია, მაგრამ იგი ძირითადად ფარმაკო-ბოტანიკური ხასიათისაა და არა აგროტექნიკური. ამიტომ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ამ მეტად ღირებული მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელია მათი კულტივირების მაღალნაყოფიერი მოდელის შექმნა.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, სანელებელ და შხამიანი მცენარეთა სამრეწველო პლანტაციების შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყნის უნიკალური ფიტოგენოფონდის შენარჩუნება-დაცვას. მათი სწორად ჩართვა თესლბრუნვებში და მექანიზაციის პროფესიული გამოყენება შეამცირებს ეროზიულ პროცესებს. ეს მცენარეები მეტად ძვირფასი და შეუცვლელი ნედლეულია არამარტო სამამულო ფარმაცევტული მრეწველობისათვის, არამედ საექსპორტო პოტენციალის სერიოზული პერსპექტივაც გააჩნიათ. მათი აგრობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე უნდა განვითარდეს ქვეყნისათვის ისტორიულად ტრადიციული, ამჟამად მივიწყებული პრიორიტეტი – სამკურნალო, არომატულ, თაფლოვანი, სანელებელ და ზოგიერთი მეტად მოთხოვნადი შხამიანი მცენარეების, მაგ. ქრისტეისხლას (*Chelidonium Majus officinalis* L), ლენცოფას (*Hyoscyamus niger* L), ლემას (*Datura stramonium* L) ეკოლოგიურად სუფთა, სტანდარტული ნედლეულისა და პროდუქციის მოყვანა - გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი დიაგნოსტიკის მაღალნაყოფიერ მოდელში: ნიადაგი-გარემო-მცენარე-სასუქი-მოსავალი მოყვანის წესებისა და თესვის ვადების დიფერენცირებით სხვადასხვა ეკოსისტემაში ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის გათვალისწინებით, რადგან სამკურნალო მცენარეთა სასაქონლო ფასს მათი ხარისხობრივი ტესტები განსაზღვრავს. ამასთან მნიშვნელოვანია: ეკონომიკურად მომგებიანი მცენარეების გამორჩევა; სტანდარტული თესლის ბანკის შექმნის სქემა შენახვის ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს აღმოცენების ხარისხი; სასარგებლო ენტოფაუნის, დაავადებათა მთელი სპექტრის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიებების დიფერენცირება; მიღებული ნედლეულის შენახვის პირობები ხარისხობრივი ტესტების შენარჩუნების მიზნით; ბაზრის კონიუნქტურული ანალიზისა და ეკონომიური მარკეტინგის კვლევის სისტემა ეკონომიური ეფექტის გასაუმჯობესებლად [1,2,3].

ფარმაციის განვითარებასთან ერთად აუცილებელია ბუნებაში გავრცელებული მცენარეების სულ უფრო კლებადი რეზერვების ჩანაცვლება კულტივირებული მცენარეებით. იქმნება სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა. პრიორიტეტის განვითარების-სათვის სასურველია ბაზრის კონიუნქტურის ანალიზისა და მარკეტინგული სერვისის ჩართვა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი-კონსერვაცია-დაცვა, ქვეყანაში არსებული ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების მოძიება, კატალოგირება, ფიტოგენეტიკური რესურსის მდგრადი გამოყენება მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების პრინციპების ინტეგრირებითა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების დამუშავებით.

ბაზრის კონიუნქტურული ანალიზისა და მოქნილი მარკეტინგის გათვალისწინებით სამკურნალო გულყვითელას თესლის კვალიფიციური წარმოება შემუშავებული რეკომენდაციებით უზრუნველყოფს გარანტირებულ შემოსავალს, რაც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას. შეიქმნება ძვირადღირებული სტანდარტული თესლის ბანკი, 1 ჰა-ზე მოსალოდნელია 80-100 კგ და მეტი თესლის მიღება, 1 კგ-ის ფასი შესაბამისად 6-7 აშშ დოლარზე მეტია, ყვავილების პროდუქტულობა კი 1800-2000 კგ/ჰა მაღალხარისხოვანი მშრალი მასაა, 1 კგ-ის ფასი 8-10 აშშ დოლარზე მეტია, ანუ საქართველოს პირობებისთვის ეკონომიკურად ეფექტური კულტურაა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წლის წინათ ჩინეთში დაიწერა პირველი წიგნი სამკურნალო მცენარეებზე - „ფარმაკოლოგიის საფუძველები“, რომელშიც მცენარეული წარმოშობის 1500 სამკურნალო საშუალების დახასიათებაა გადმოცემული, მათ შორის საუბარია გულყვითელას სამკურნალო ღირებულებებზეც. ჩვენი წელთ-აღრიცხვის I საუკუნეში დიოსკორიდი იუწყებოდა გულყვითელას სამკურნალო თვისებებზე, ხოლო ტაჯიკი ექიმი აბუ ალი იბნ სინას (ავიცენას) ხუთტომეულში „სამედიცინო მეცნიერების კანონი“, რომელიც კულტურის საგანძურშია შესული, გულყვითელას სამკურნალო ღირებულების გარდა 900-მდე სახეობის სამკურნალო მცენარის გამოყენების ხერხია აღწერილი.

ადამიანთა მიერ გულყვითელას ინტროდუქცია ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე წარმოებდა. X-XI საუკუნის შემდგომ გულყვითელა კულტივირებული იქნა როგორც დეკორატიული მცენარე და მას სამეფო კართან არსებულ ბაღებში ხშირად შეხვდებოდით. ბუნებრივად იგი

გხვდება ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, შუა აზიაში, აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და კავკასიაში. სამკურნალო გულყვითელას სამოცდაათამდე სახეობაა ცნობილი. ა. მაყაშვილი ბოტანიკურ ლექსიკონში გვთავაზობს რამოდენიმე ქართულ კუთხურ სინონიმს: ნარგიზელა, კვირისტავა, ტასო ყვავილი და ხლაქნია [1, 4].

სამკურნალო გულყვითელას ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისა და კონდიციური თესლის მისაღებად ექსპერიმენტები ჩატარდა სხვადასხვა ეკოსისტემის (გარემო, ნიადაგი, კლიმატი) პირობებში: მცხეთის, ზუგდიდის, საჩხერის, ონის, სტეფანწმინდას რაიონებში.

გულყვითელა (*Calendula officinalis* L.) რთულყვავილოვანთა ოჯახის *Asteraceae* (*Compositae*) და გვარის კალენდულა (*Calendula*) - ერთ-ერთი ყველაზე უძველესი 30-55 სმ სიმაღლის ერთწლოვანი ბალახოვანი სამკურნალო-არომატული-სანელებელი მცენარეა, სწორმდგომი, ფუძიდანვე დატოტვილი 1-3 სმ სისქის ღეროთი. მცენარის ვეგეტატიური ორგანოები: ღეროები, ფოთლის ყუნწები, ახალგაზრდა ფოთლები და ყვავილების ყუნწები დაფარულია ხეშეში ბუსუსებით. ღეროს ბუსუსისიანობა აღმონაცენში ნაკლებ შესამჩნევია, მცენარის ზრდის პერიოდში კი თანდათან იკვეთება. ფოთლები მორიგეობითი, მოგრძო, წვერში მომრგვალებული, პატარა მახვილით. ქვედა ფოთლები 14-16 სმ-ის ზომის, მოგრძო უკუკვერცხისებრი, ფუძისაკენ ვიწროვდება და გადადის ფრთიან ყუნწში. ზედა ფოთლები მჯდომარეა, ხშირი. ყვავილები მოყვითალო-ოქროსფერი ან მოყვითალო-ნარინჯისფერია, დიდი ზომის, განლაგებულნი არიან სამ მწკრივად, 10-14 მმ სიგრძით და 2-3 მმ სიგანით. ყვავილედის მთავარი ღერძი შემოკლებულია და თეფშის მაგივრად გაგანიერებული, ყვავილები ამ თეფშისებრ ყვავილედში მჯდომარეა, გარედან ყვავილსაჯდომს ფარავს შემუქებული კენწრული ფოთლები. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყველა რთულყვავილოვნების ყვავილელი, გულყვითელას ყვავილელიც მრავალფურცლოვანი კალათაა. სამედიცინო მიზნით აგროვებენ კალათა ყვავილებს მცენარის სრული ყვავილობის პერიოდში, ერთ მცენარეზე შეიძლება დაიკრიფოს 55-100-მდე ყვავილი. ბუნებაში მცენარე ყვავის მთელი ზაფხული და შემოდგომა, კულტივირებული გულყვითელას ყვავილობის პერიოდი თესვის ვადებზეა დამოკიდებული. მოგროვილი ყვავილები უნდა გაშრეს თხელ ფენად ჩრდილში. ნაყოფი თესლურაა, თესლები სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისაა, განლაგებულია სამ რიგად, მოხრილია, ზურგზე დაკბილული, მოყვითალო ან ყავისფერი. გულყვითელას თესლი ფორმით და ზომით არაერთგვაროვანია, სახელდახელოდ შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. თესლები მოგრძოა, ნამგალისებრი, გარეთა ზედაპირი კაეისებურად მომრგვალებული, ზურგის მხრიდან ამოხნეკილი, მთლიანად დაფარულია ბორცვებით;
2. თესლები რკალისებურია, ფრთოვანი, ფრთები მეტ-ნაკლებად ფართო, ხშირად ნაპირები გადაკეცილია და წარმოიქმნება ორი გრძივი ღარი არეების სახით. პირველი და მეორე ჯგუფის თესლების შეფერილობა წაბლისფერი, ნაცრისფერ-წაბლისფერი ან ყავისფერია. ფრთოვან თესლებს ფრთები უფრო ღია ფერის აქვთ;
3. თესლი მსხვილია, უფრო გრძელი, ფუძესთან დაგრესილია რკალად, წვერისკენ გაჭიმულია ღერძის სახით, საერთო მოხაზულობით კავისებურია, ზედაპირი ამოხნეკი-ლია გარეთა მხრიდან. თესლის ფუძიდან შუამდე რამდენიმე მწკრივად დაფარულია ეკლებით. შეფერილობა ყვითელი, მოყვითალო, მომწვანო, წაბლისფერი, ღია ყავისფერი.

1000 თესლის მასა 7,5- 8,8 გრამის ფარგლებში მერყეობს.

ფესვები ღერძული, დატოტვილი, 65-75 სმ სიგრძით [1,3].

გულყვითელა უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც კაროტინოიდებითა და ფლავონოიდებით მდიდარი სამკურნალო მცენარე. მისი ყვავილები შეიცავს: α -კაროტინს (30მგ%), რუბიქსანთინს, ლიკოპინს, ციტროქსანტინს, ვიოლაქსანტინს, ფლავოქსანტინს. კაროტინოიდებით (3%) მდე მდიდარია გულყვითელას მკვეთრად შეფერილი ჯიშები, შეიცავს მიკროელემენტებსაც. ჩვენს მიერ შესწავლილია ონთოგენეზის პერიოდში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი მცენარის სხვადასხვა ნაწილებში, კაროტინოიდების შემცველობა - ყვავილებში 8,6%, ფოთლებში 0,92% ღეროებში 0,19% (მგ/გ მშრალი მასა). ყვავილების სპირტის გამონაწველილში აღმოვაჩინეთ 13 თავისუფალი ამინომჟავა: ალანინი, არგინინი, ასპარაგინის მჟავა, ასპარაგინი, ვალინი, ჰისტიდინი, გლუტამინის მჟავა, ლეიცინი, ლიზინი, პროლინი, სერინი, თრეონინი, მეთიონინი. ამინომჟავების შემცველობა ფოთლებში 5,4%, ხოლო ყვავილებში 5,8%.

გარდა აღნიშნულისა გულყვითელას ყვავილებში აღმოჩენილია პარაფინის მწკრივის ნახშირწყლები, ფისები, ტრიტერპენული გლიკოზიდები, ლორწოვანი და მწარე ნივთიერებები, ორგანული მჟავები, ასკორბინის მჟავა, ეთერზეთები.

სამკურნალო გულყვითელას გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მედიცინაში, იგი მცენარეული პრეპარატების ანტისეპტიკურ ნაკრებში თითქმის ყველგან გხვდება, მისგან ამზადებენ მაღამოებს, დანტისტები ეწევიან იმ კბილის გელების რეკლამირებას, რომლის შემადგენლობაში შედის გულყვითელა. ფართოდ იყენებენ ფიტო-პარფიუმერიაში სახის დამარებილებელი კრემებისა და ტონების, ფიტოკულინარიაში კი საღათების, საღებავებისა და ჩაის დასამზადებლად. გულყვითელა პოპულარულია ჰომეოპათიასა და ხალხურ მედიცინაში ჭრილობების, დამწვრობის, მოყინვის, ფურუნკულებისა და სხვა სახის ჩირქოვანი დაავადებებისას.

გულყვითელა მრავლდება თესლით, ითესება უშუალოდ ღია გრუნტში ადრე გაზაფხულზე, ჩვენი ექსპერიმენტების საფუძველზე სქართველოში (მცხეთა, ონი, ზუგდიდი, სტეფანწმინდა, საჩხერე) თესვის ოპტიმალური ვადაა მარტის ბოლო-აპრილის დასაწყისი, ხოლო მაღალმთიან ზონაში – ხევი, რაჭასა და ზემო იმერეთში - მაისის პირველი დეკადა, კვების არე 45X25 ან 70X25, თესვის ნორმა 8-10 კგ პირველი კლასის თესლი, რომელიც ითესება 1,5-2,0 სმ-ის სიღრმეზე. მთელი ვეგეტაციის პერიოდში აუცილებელია ნიადაგი იყოს კარგად გაფხვიერებული და სარეველებისაგან დაცული, ანალოგიური მონაცემები გვხვდება ლიტერატურაში. მცენარის ონთოგენეზის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში აუცილებელია აქტიურ ტემპერატურათა ჯამის, სინათლის და ტენის გარკვეული რაოდენობა და თანაფარდობა, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობას, თავისთავად ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისა და კონდიციური თესლის მოსავლიანობასაც [3,4]. მცენარეზე კლიმატურ ფაქტორთა გავლენის დასადგენად ხშირად კმაყოფილებიან მხოლოდ ამ ფაქტორთა საშუალო გამოსახულებით, რაც არ არის საკმარისი. აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გადანაწილებას სეზონის ან წლის განმავლობაში. შესაძლებელია საშუალო მაჩვენებლების მიხედვით სითბო, ტენი და სხვა საკმარისი იყოს, მაგრამ იმგვარად იყოს გადანაწილებული, რომ მათ მცენარისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს ფიზიოლოგიური ფაზების მიმდინარეობისას.

გულყვითელას ახასიათებს ერთგვარი კრიტიკული პერიოდი, როდესაც იგი ამა თუ იმ ფაქტორის მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნილებას ამჟღავნებს, ამ მხრივ მისი დაკმაყოფილების მეტ-ნაკლებობა განსაზღვრავს ფიზიოლოგიური პროცესების სწორად მიმდინარეობას ონთოგენეზის პერიოდში, განსაკუთრებით გენერაციული ორგანოების ჩამოყალიბებისას, რაც თავის მხრივ მაღალი პროდუქტულობის საწინდარია. იმ დროს როდესაც გულყვითელას გენერაციული ორგანოები ჩამოყალიბებულია და გვერდითი ტოტები ყალიბდება, მცენარე მოიხმარს დიდი რაოდენობით ტენს, ეს პერიოდი კი ემთხვევა ივნისის შუა რიცხვებს, ამ დროს ნალექების რაოდენობა თუ შემცირებულია, პროდუქტულობა მცირდება, ამიტომ ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად მიმართავენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას - ნიადაგის გაფხვიერებას. ამ დროს უნდა ვაწარმოთ მცენარის ღეროს გარშემო ნიადაგის შემოყრა, რაც ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას. ქარები არასაურველი მოვლენაა გულყვითელასათვის, როგორც ყვავილობის, ისევე თესლის წარმოების დროს. გულყვითელას ფესვთა სისტემის ნორმალური განვითარებისათვის, რაც საფუძველია მძლავრი საასიმილაციო აპარატის ჩამოყალიბებისა, აუცილებელია ფხვიერი და ღრმად დამუშავებული ნიადაგი. გარდა ამისა, ღრმად მოხვნა უძრუნველყოფს ნიადაგში ტენის მაქსიმალური რაოდენობით დაგროვებას და გულყვითელას როგორც ფესვთა სისტემის, ისე მიწისზედა ნაწილებსაც ეძლევა ოპტიმალური განვითარების საშუალება.

ჩვენი ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით სამკურნალო გულყვითელას ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მისაღებად უპირატესობას ვაძლევთ აზოტოვანი სასუქების დიფერენციალურად შეტანას - 40% ვეგეტაციის დაწყებისას, 60% კი ფიზიოლოგიური ფაზების მიმდინარეობის პერიოდში. კარგ შედეგს იძლევა ორგანული სასუქის შეტანა 20-40 ტ/ჰა. ნიადაგი უნდა იყოს კარგად დრენირებული, pH 4,5-8,3; პირველი ყვავილები წარმოიქმნება დათესვიდან მე -34 - 42 დღეს. ყვავილებს აგროვებენ ყვავილობის მთელი პერიოდის მანძილზე, კალათაში ნედლეულის დიდხანს ჩატოვება დაუშვებელია, იგი ჩახურდება და ხარისხი დაეკარგება.

გულყვითელას იყენებენ, როგორც მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებას ნემატოდების წინააღმდეგ, რაც მიღწევადია მცენარის მიერ გამოყოფილი ფიტონციდების მოქმედებით, ნათესებში გულყვითელას შეთესვა ამცირებს მცენარეების ფუზარიოზით დაავადებას, იგი აფრთხობს კოლორადოს ხოჭოსაც.

ამრიგად, სამკურნალო გულყვითელას (*Calendula officinalis* L.) კულტივირებული პლანტაციების გაშენებისას ფერმერულ მეურნეობებში უნდა გავითვალისწინოთ სისტემის: გარემო-ნიადაგი-

მცენარე-სასუქი-მოსავალი კრიტერიუმები, შევარჩიოთ თესვის ვადა სასურველი ეკოსისტემისათვის, პროცესების სწორად წარმართვისას წარმოება მიიღებს მაღალი პროდუქტულობისა და ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სტანდარტული შემცველობის მქონე ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულს, პროდუქციას და თესლს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. კაჭარავა, სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეები - ISBN 978-9941-12-575-1, გ. „ უნივერსალი“, თბ., 2009, 185 გ.
2. Вавилов Н. И.,(1987)- Центры происхождения культурных растений, Л., "Наука",148 с.
3. Kacharava T., Korakhashvili A. , Kiknavelidze N (2007) - Biochemical Structure of Calendula officinalis, Georgian Medical News, ISSN 1512-0112, No 7-8 (148-149), p.70-73, Tbilisi-New York, www.geo mednews. org
4. Korakhashvili A., Kacharava T., (2008)- Catalog of Medicine Aromatic, Spicy & Poisonous Plants of Georgia – Georgia Academy of Sciences. ISBN 978-9941-0-1001-9, Tbilisi, Georgia, 34 p. www.nplg.gov.ge./ec/

TAMAR KACHARAVA

Georgia Tech University Center for Biotechnology, Senior Researchers

NINO TSIKLARI, LIANA KOIAVA

Georgian Technical University, Doctoral Candidates

CULTIVATING OF CALENDULA OFFICINALIS L AND PHARMACOLOGICAL MEANING

Presently in Georgia they do not produce the medicinal, aromatic, spicy and poisonous plants, Furthermore, these species are not cultivated in industrial scales, though the climatic-soil conditions of the Country allow for production of ecologically clean, high quality produce. Such experience exists in Georgia, however the process carries artisanal character due to the wildy grown plants which directly Results in the irreversible elimination of genplasma. The market is oversaturated with imported and costly synthetic preparations. However, the preparations manufactured based on the plant material are less toxic and cheap, with no complication follow ups after consumption and giving sustainable result.

We studied the biological properties of Calendula officinalis. It is a well known medicinal, aromatic, spicy plant. It is common knowledge that its medicinal properties are conditioned on biologically active complex substances of Carotin (Provitamin A), Stearin, Triterpinoid, Plavonoid, Kumarin, macro and micro compound elements. Because of constant need in raw material of Calendula officinalis, features of its ontogenetic development agro-biological qualities in various eco regions of Georgia were investigated. The data of biologically active compounds, biochemical structure and the maintenance both in flowers and in others parts of plant is presented. Total carotenoids (mg/g dry weight) was 8.6 % for flowers, for leaves is 0.92 % and for stems 0.19 % . Amino acids - the ethanolic extract of the flowers of the plants showed the presence of 12 amino acids in free from: Alanine, Arginine, Aspartic acid, Asparagine, Valine, Histidine, Glutamic acid, Leucine, Lysine, Proline, Serine, Threonine, Methionine. Amino acid content of the leaves is about 5,4%, flowers 5,8%

Calendula officinalis L blooms from May to November, and the seeds ripen from July to November. An easily grown plant, it succeeds in any well-drained soil. Tolerates pH ranges from 4.5 to 8.3., hydrophilous. The flowers are sensitive to variations in temperature and dampness, closing when it is dark and when rain is expected. All parts of the plant are pungently scented. Seed sow in situ from spring to early summer and again in September. The plant often self-sows freely. The first flowers are produced only 34 to 42 days after seed germination. Productivity 1800 -2000 kg/ hectare.

მუშრან კვარაცხელია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს აბრარული საქტორი-პრიორიტეტების პოლიტიკა

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარება შორეული წარსულიდან იწყება, ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში იოვანე საბანისძემ ჩამოაყალიბა ქვეყნის წინსვლის ფორმულა-

„მამულისა ჩუეულებრისაებრ სლვაი“. მასში ჩადებულია ის უხილავი ფესვები, რომლებიც ეროვნულობის დრმა გააზრებას გულისხმობს და მისი გათვალისწინება პროგრესის უცილობელი წინაპირობაა გლობალიზაციის ეპოქაშიც. ამ პროცესის განვითარების დეფორმაციული ხასიათი განპირობებული იყო უამრავი შიდა თუ გარე ფაქტორებით, რომლებმაც თავისი კვალი დაატყო

ეკონომიკის სხვადასხვა წამყვანი დარგის ჩამოყალიბებას ეპოქის შესატყვისი მოთხოვნების შესაბამისად.

ისტორიულ ეპოქებს უამრავი გზების ძიება დასჭირდა იმისათვის, რომ მიეგნო იმ სწორი ეკონომიკური წყობისთვის, რომელიც გადაარჩენდა ქვეყანას ისტორიული ქარტეხილებისაგან. სწორედ ამით იყო განპირობებული ის მარადიული კითხვა, რომელსაც სვამდა ქართველი ერის მამა ილია ჭავჭავაძე, -რამ გადაგვარჩინა, რა ეკონომიკამ გაუძლო ამდენ ომებსა და ნგრევას. ამის პასუხს დიდი ილია იმ დროისთვის არსებულ „ეკონომიკურს წყობაში“ ხედავდა.

ბუნებრივია, ასეთ „მარადიულ ძიებაში“ ქვეყანა ყოველთვის ითვალისწინებდა უამრავ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ქვეყნის განვითარებაზე. სწორედ ამიტომ დამკვიდრდა უცხოური სოციალურ-ეკონომიური დოქტრინების თანმიმდევრულად დამკვიდრების პრაქტიკა. ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე ასეთი უამრავი დოქტრინა გამოიცადა ქვეყნებში. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, „წმინდა კაპიტალიზმის“ თეორიით ნასაზრდოები კაპიტალიზმის განვითარების დოქტრინა. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს არ გაუვლია სრულად განვითარების კაპიტალისტური სტადია, რაც ბუნებრივია, აისახა მისი შემდგომი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. ამის მერე საქართველოში იყო მცდელობა, დაენერგათ ეკონომიკის განვითარების სოციალურ-დემოკრატიული პრინციპები. მისი მთავარი ფორმა იყო „ნეპი“ (1921-1929წწ.), რომლის პოტენციალიც სრულად არ იყო გამოყენებული. ამის შემდეგ ქვეყანაში უკვე ხანგრძლივი ვადით დაინერგა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის ეკონომიკური დოქტრინა (1929-1990წწ.), რომელიც სოციალისტური მეურნეობის პრინციპით მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ მისი პოტენციალიც სრულად არ ამოქმედებულა. ამის შემდგომ ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველომ ექსპერიმენტის გზით დაიწყო დასავლეთში გარკვეულწილად აპრობირებული „შოკური თერაპიის“ დოქტრინის დანერგვა. თუმცა იგი ნაკლებად ესადაგებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ასევე ქვეყანაში იყო სერიოზული მცდელობა ლიბერალურ-მონეტარისტული დოქტრინის მოთხოვნების დანერგვისა, რაც ემყარებოდა ცალმხრივი მიდგომებით ფულის მასის რეგულირებით ეკონომიკის გარდაქმნა-განვითარების პრინციპებს. დაბოლოს, საქართველომ ასევე გამოსცადა ლიბერტარიანიზმი. ეს დოქტრინა ეფუძნება ლიბერალიზმის პრინციპებს და მიზნად ისახავს გარდაქმნების პროცესიდან სახელმწიფოს ჩამოცილებას, როდესაც მისი მარგანიზებული როლი თანამედროვე პირობებში მოითხოვს სახელმწიფოს გაძლიერებას.

აქედან ცხადია, რომ ამდენმა გარედან მოხვეულმა სხვადასხვა თეორიამ ქვეყნის ეკონომიკა სისტემურ კრიზისამდე მიიყვანა, რაც მისი წინააღმდეგობრივი ხასიათით იყო გამოწვეული. ყოველივე ამან საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკა მოწყვიტა მის ბუნებრივ სვლას, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ფესვებს, მსოფლიოში არსებულ პროგრესულ სამეურნეო გამოცდილებას და მის ეროვნულ ორგანიზმში “უცხო თესლის” ჩანერგვამ გლობალიზაციის ეპოქაში ჩამორჩენილ პერიფერიულ ეკონომიკად ჩამოაყალიბა.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ყველაზე სტრატეგიული დიდი შეცდომა იყო სწორედ ახალი გარემოსა და არსებული პოტენციალის სათანადო დონეზე შეუფასებლობა. აქ მთავარი შეცდომა, ჩვენი აზრით, იყო დაშვებული სასტარტო პოზიციების შეფასებისას, რაც გამოიხატებოდა სულ სხვა ახალი გარემოების უგულვებელყოფაში. კერძოდ, აქ საბაზრო ურთიერთობებზე გადავლა სოციალისტური სისტემის ნგრევის პირობებში ხდებოდა, რასაც მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგი არ მოეპოვებოდა. ნიშანდობლივი იყო ის გარემოებაც, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა გარკვეულად უფრო ახლოს იდგა თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის მოდელთან ვიდრე იმ „ველურ კაპიტალიზმთან“, რომლის დანერგვასაც ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ აქ მთავარი იყო არსებული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი, სადაც დარჩებოდა მისი ჯანსაღი ნაწილი და არა მისი ძირფესვიანად ამოძირკვა. ყოველივე ეს საფუძველი გახდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრული ნგრევისა და იმ კოლოსალური ქონების გადანაწილების პროცესის დაჩქარებისა გაურკვეველი პერსონების სასარგებლოდ. ყოველივე ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ მომხდარიყო საბაზრო ურთიერთობებზე გასავლა ევოლუციური გზის იგნორირებითა და უსწრაფესი მეთოდების გამოყენებით. ამ კუთხით არსებული თეორიული წინამძღვრები, თუნდაც ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძის მოძღვრება, რომელიც ფასდაუდებელ მასალას იძლევა ქვეყანაში კაპიტალიზმის ჩამოყალიბების შესახებ, არ იქნა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმძლავრა „უცხო ბაძის“ ქართულმა ფენომენმა და სხვაგან დავიწყეთ „თურაშაულის პატრონებმა“

პანტის ძეგლი. ეს გარკვეულწილად ნიშნავდა წარსულისაკენ დაბრუნებას, თუმცა ეს სხვისი წარსული იყო. ამან სპონტანურად მიგვიყვანა კაპიტალის პირველადი დაგროვების ეპოქამდე თავისი ველური და კრიმინალური ცნობიერების ურთიერთშერწყმის საფუძველზე. მოხდა საზოგადოების ამ კატეგორიის ნაწილის სახელისუფლებო სტრუქტურებთან გაიგივება, რაც აისახა სახელმწიფო ქონებისა და მიწების განსახელმწიფოებრიობაზე.

ეროვნული აგრარული მეურნეობა დღევანდელ პირობებში იმ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების მიერ ყოველგვარ მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებული რეკომენდაციების გაუზრებელ დანერგვას შეეწირა. თუმცა ასეთი სისტემური კრიზისის გახანგრძლივებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ფაქტორებიც. ამათგან, ჩვენი აზრით, არსებითი როლი ეკისრება კერძო სექტორს, რომელიც მთლიან შიდა პროდუქტში მაღალი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი (დაახლოებით 60%).

აქედან ცხადია, რომ ქვეყანამ, რომელიც შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში „ზემოდან დიქტატის“ რეჟიმში ცხოვრობდა, თავისუფლების მოპოვების შემდეგ ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარების სწორი სტრატეგიის განსაზღვრა და მისი განხორციელება ვერ შეძლო. ამიტომ, როგორც არასოდეს, დღეს დღის წესრიგში დგას აგრარული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის დაჩქარების პრობლემა. ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ რიგში საკუთარი რესურსების გამოყენება უნდა მოხდეს რაციონალურად და მიზანმიმართულად. თუმცა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციებიც. ამას საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის განვითარებამ, ჯანსაღი საბაზრო მენტალიტეტის დამკვიდრებამ, კერძო სექტორის დომინირებადი მდგომარეობის გაძლიერებამ, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებამ, ინტეგრაციული პროცესების დინამიკამ და ა.შ.

ამ პერიოდისთვის უკვე გამოიკვეთა ერის მენტალიტეტში ჩამოყალიბებული „სხვისი მოიძელობის“ სტერეოტიპების ნგრევის პროცესი. ახლა, როდესაც „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“ უამრავი დაუდგა ქვეყანას, მთელი ძალისხმევა უნდა მიემართოს ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის აღდგენისაკენ განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ქვეყნის ეკონომიკისა და მისი ფლაგმანის - აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ტენდენციები უკვე სახეზეა.

მეტად განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება აგრარული სექტორის განვითარების პროცესი. აქ წამოჭრილი პრობლემები გადაწყვეტის ხანგრძლივობით გამოირჩევა, რომელიც საჭიროებს სოლიდური ინვესტიციების ჩადებას პერსპექტივაში, რომელსაც სჭირდება თანამედროვე მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება. ამასთან მთავარია ქვეყანაში თაობების მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, რაც საჭიროებს ენერჯის მობილიზებასა და ორგანიზებულობის მაღალ დონეს.

აგრარული სექტორი პრიორიტეტების პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს როგორც გარდამავალ ეტაპზე, ისე პერსპექტივაშიც. აქ მთავარია სწორი და ღრმა ანალიზი გაკეთდეს საერთოდ აგრარული მეურნეობის შესახებ ქვეყანაში, განისაზღვროს მისი განვითარების სტადიის დღევანდელი დონე. ამის შემდეგ უკვე შეიძლება სტრატეგიული მიზნის დადგენა მისი ძირითადი მიმართულებების მიხედვით და, რაც მთავარია, რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემის მოგვარება.

საქართველოს აგრარული სექტორი სისტემური კრიზისის სტადიაშია. ამიტომ პრობლემის მოგვარება დაკავშირებულია ისეთი პროგრამის შექმნასთან, რომელიც მისი პრიორიტეტების პოლიტიკის ამოქმედებას დაუკავშირდება. ეს პრიორიტეტები უამრავია, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მთავარი მიმართულება. ესენია, პირველ რიგში, აგრარულ მეურნეობაში არსებული მდგომარეობის გაჯანსაღება, რაც კრიზისიდან გამოსვლას შეუწყობს ხელს. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების გათანამედროვეობა ანუ მსოფლიო სამეურნეო გამოცდილების შეხამება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ისტორიულად ქვეყნის უამრავი ომებიდან თავის დაღწევა და ერის ფენომენის შენარჩუნება სწორედ მის „ეკონომიკურს წყობაშია“ საძებარი (ილია ჭავჭავაძე). გარდა ამისა, საჭიროა ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების გათვალისწინებით აგრარული მეურნეობის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

ჩვენი აზრით, აგრარული სექტორის აღორძინების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა განისაზღვროს სოფლად საწარმოო და მომსახურების კორპორაციული ფორმების განვითარება.

სწორედ ამ სექტორის განვითარება მოგვცემს მყარ საფუძველს სოფლის აღორძინებისათვის, სადაც აუცილებელია წარსულის ტრადიციების გათანამედროვეებული ფორმების გამოყენება.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, აგრარული სექტორის განვითარებაში გარკვეული პრიორიტეტები უნდა მიენიჭოს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: აგრარული მეურნეობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შექმნა, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის სრულყოფა, საბიუჯეტო-ვისკალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაუმჯობესება, დაზღვევის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება, სოფლისა და თემის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრა და სხვა.

ყოველივე ზემოთ მითითებულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და აღორძინებისთვის უპირველესი მნიშვნელობისაა აგრარული სექტორის სისტემური კრიზისიდან გამოყვანა და სტრატეგიის სწორი ორიენტირის განსაზღვრა. აქ გადამწყვეტი სიტყვა სწორედ სახელმწიფოს ეკუთვნის. მხოლოდ მის ხელშია პასუხისმგებლობის აღება და ეროვნული-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად განახლებული თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბება.

MURMAN KVARATSKHELIA

Sukhumi State University, Associate Professor

AGRICULTURAL SECTOR OF GEORGIA – PRIORITY POLICY

S u m m a r y

Summary. The article analyzes the theoretical predecessors, which included socio - political doctrines of the establishment of the practice. That causes a systemic crisis in the economy. The Positive trends are also discussed. Particular, the country's political and economic development of democracy, the establishment of a healthy market mentality, strengthening the private sector, to speed up the integration process dynamics. Author outlines the priorities of the agricultural sector, in particular, the national peculiarities and traditions of the world experience with the combination, rural forms of industrial and corporate development services, comprehensive insurance system and the status of the state.

ნიპო კვარაცხელია

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სოფლის ტურიზმი: გერმანული თავისებურებები და ქართული სინამდვილე

სოფლის ტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მსოფლიოში XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. თითოეულზემოაღნიშნულ ქვეყანაში სოფლისტურიზმის განვითარებას თან ახლავს თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის.

გარკვეულწილად ამ თავისებურებებს ხსნის ტერმინი, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნებში სოფლის ტურიზმს აღნიშნავენ. ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით "სოფლის ტურიზმი" (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი "Bauernhof-tourismus", რაც სიტყვასიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს. რომანულენოვანი ქვეყნები კი უპირატესობას ტერმინს – აგროტურიზმს ანიჭებენ, რაც ბერძნული წარმომავლობის სიტყვა "აგრო"-დან (agros) და მისგან ნაწარმოები ლათინური "აგრარული" - agrarius – სასოფლო-სამეურნეო, მომდინარეობს. ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყოფენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნების ტურიზმი და ა.შ. [1] გერმანული სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ. [2]

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ ინსკიპის განმარტებით: "სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან. ხოლო

ფერმერული, ანუ აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით, ან ცხოვრობენ მათ პლანტაციებში და ეცნობიან იქაურ ცხოვრებას; ან ცხოვრობენ მეთევზეთა დასახლებებში და ოჯახებში და მათთან ერთად გადიან სათევზაოდ". [3]

სოფლის ტურიზმი და ადგილობრივი საზოგადოება

რადგან სოფლის მეურნეობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს პერიფერიულ სოფლის ტერიტორიებზე, უჭკველია, რომ ამ ტერიტორიებზე უნდა განვითარდეს მეწარმეობის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მცხოვრებთა დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას. ერთერთ ასეთ დამატებით წყაროდ დასაქმებისა და თავისუფალი შემოსავლების მოსაპოვებლად, სოფლის ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების პერსპექტივაა. გარდა ლანდშაფტის მიმზიდველობისა, რომელიც მნიშვნელოვანი ელემენტია ტურისტების მოსახიდად, საჭიროა გლეხების მიერ საკუთარი კარმიდამოს მიმზიდველად მოწყობა, დამატებითი საცხოვრებელი ფართისა და გასართობი ობიექტების არსებობა. ტურისტებისთვის დამატებითი მიმზიდველობაა გლეხური მეურნეობა და ტრადიციები. კარგად მიწოდებული პროდუქტი ხელს უწყობს გლეხებისთვის დაუბეგრავი დამატებითი შემოსავლის გაჩენას. ხოლო ის ფაქტი, რომ ევროკავშირში სოფლის ტურიზმი არ იბეგრება, ხდის მას იაფს და ხელმისაწვდომს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რომელშიც ორგანულად, მაგრამ მცირე დროით (სეზონურობის გამო) ერთვება ტურიზმი, მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანების კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილებზე დამაგრებისა და სოფელში ცხოვრებისთვის მოტივაციის გასაზრდელად. ასეთ ადგილებიდან მიგრაცია მინიმუმამდეა დასული. იმ ტერიტორიებზე, სადაც ტურიზმი სოფლის პირობებში კარგადაა განვითარებული, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის კომბინაცია შესწავლილ იქნა მეცნიერთა მიერ და გამოტანილ იქნა სათანადო დასკვნები: გაუმჯობესებულია დასაქმება, შეწყვეტილია მიგრაცია. იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო ახორციელებს მოსახლეობის მიზანმიმართული განათლების პროგრამას და ეხმარება სოფლის მცხოვრებლებს მომსახურებისა და სერვისის ხელშეწყობის დაუფლებაში, შანსები გაცილებით გაიზარდა. მიღწეულ იქნა ეკონომიკური წარმატებები და სოციალური ეფექტები.

სოფლის მცხოვრებთა დონისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება არის ტურიზმის განვითარების თანმდევი. ასე მაგალითად, სოფლის ტურიზმმა ავსტრიაში შექმნა 23 ათასი სამუშაო ადგილი. გლეხის კარმიდამოში დასვენება გახდა საფუძველი სოფლად მოსახლეობის არათანაბრად განვითარების აღმოფხვრისა. იმ სოფლებში, სადაც ტურისტები ზაფხულობით დასასვენებლად ჩამოდიან, გაცლებით გაუმჯობესდა მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი. [4] იმ რეგიონებში, რომლებიც ტურისტებს ხანგრძლივი ვადით იღებენ აღორძინდა ტრადიციული მეწარმეობის ფორმები, გაჩნდა სუვენირების წარმოება. წარმატებული დასვენება გლეხის კარმიდამოში დამოკიდებულია შემდეგ მახასიათებლებზე:

- სოფლის მცხოვრებთა შეთავაზება უნდა ეფუძნებოდეს რეგიონის განვითარების პროგრამას;
- უნდა არსებობს კოოპერაცია სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის;
- სოფლის მცხოვრებლები ჩართულნი უნდა იყვნენ საერთო რეგიონულ მარკეტინგში;
- გლეხის კარმიდამო ემსგავსება მომსახურებაზე ორიენტირებულ მცირე საწარმოს, რომელსაც განვითარების გეგმა გააჩნია;
- ამ პატარა საწარმოში ფიქრობენ ჩამომსვლელ ტურისტებზე და მათთვის შესაფერისი მომსახურების მიწოდებაზე;
- შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ახალი პროდუქციის დამზადება, ან მომსახურების ახალი სახის შექმნა;
- ზრუნვა დამატებითი მომსახურების შეთავაზებაზე. ამ მიზნით დამსვენებელთა სურვილების დადგენა;
- ტურიზმით დაკავებული გლეხები უფრო მეტად უფროსი დედაბავს ბუნებას, რომ მათ ქონდეთ ხანგრძლივი ვადით გარანტირებული შემოსავლები;
- დამატებითი შემოსავლები უნდა გახდეს სახლში კომფორტის გაზრდის საფუძველი. ფერმერებმა უნდა დანერგონ ე.წ. „გრ ნე იფესტელები“ და შემოიღონ ფიტნესისა და ველნესის ელემენტები.

სოფლის ტურიზმის განვითარება და კვლევა გერმანულენოვან ქვეყნებში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება 2007-2013 წლებში სოფლის ტერიტორიების განვითარების ეროვნული სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეიმუშავა

გერმანიის კვების პროდუქტების, სოფლის მეურნეობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამინისტრომ. ასეთივე გეგმა არსებობს ავსტრიაშიც. მასში ერთერთ მნიშვნელოვან შემადგენელად არის შესული სოფლის ტურიზმის განვითარების საკითხები. მკვლევარები დიდ დროს უთმობენ სოფელში დასასვენებლად ჩამოსულ ტურისტთა გამოკითხვას. მათ ამისთვის შემუშავებული აქვთ მეთოდოლოგია და საინტერესო კითხვარები. ქვემოთ მოცემულია ასეთი კითხვარის ნიმუში: ოჯახური დასვენების მოტივები სოფლის ტურიზმში, სადაც მთავარი კითხვაა: “რომელი მოტივია თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი? ტურისტებმა უნდა გადახაზონ სასურველი კვადრანტი:

ნახ. 1. ოჯახური დასვენების მოტივები სოფლის ტურიზმში

<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> განმუხტვა, სტრესის მოხსნა <input type="checkbox"/> მზე, სითბო, სასიამოვნო კლიმატი და ამინდი <input type="checkbox"/> გაქცევა ყოველდღიურობიდან <input type="checkbox"/> ენერჯით დატვირთვა, ძალების მოკრება <input type="checkbox"/> ერთმანეთისთვის დროის დათმობის შესაძლებლობა <input type="checkbox"/> სიხარული და სიამოვნების გაზიარების შესაძლებლობა <input type="checkbox"/> ბუნების განცდა (საუცხოო ლანდშაფტები, სუფთა ჰაერი) <input type="checkbox"/> თავისუფლად ყოფნა, მოცალება <input type="checkbox"/> დასვენება, ზარმაცობის განცდა <input type="checkbox"/> საკუთარი თავის განებივრება, მეტი უფლების მიცემა <input type="checkbox"/> ჯანმრთელი კლიმატი და ჰავა <input type="checkbox"/> საყვარელ ადამიანთან ერთად ყოფნა <input type="checkbox"/> ახალი შთაბეჭდილებების დაგროვება <input type="checkbox"/> გზაში ყოფნა, შინ დაბრუნების განცდა <input type="checkbox"/> ბევრი სიახლის განცდა, თავგადასავალი 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ბავშვებთან ერთად ყოფნა/თამაში <input type="checkbox"/> სილამაზისთვის რაიმეს გაკეთება /გარეუფვა <input type="checkbox"/> მსუბუქი სპორტული დატვირთვები /ფიტნესი <input type="checkbox"/> ჯანმრთელობისთვის ყურადღების დათმობა <input type="checkbox"/> სხვა ქვეყნების კულტურის განცდა, მათი გაცნობა <input type="checkbox"/> ახალი კონტაქტები <input type="checkbox"/> ხალხის გაცნობა <input type="checkbox"/> შეხვედრები (მოგონებების გაცოცხლება) <input type="checkbox"/> კულტურისა და განათლებისათვის ყურადღების დათმობა <input type="checkbox"/> საკუთარი თავის ხელშეწყობა /მოცალება <input type="checkbox"/> გაქცევა დაბინძურებული გარემოდან <input type="checkbox"/> ფლირტი/ეროტიკა <input type="checkbox"/> ახალი აღმოჩენებისკენ სწრაფვა, პატარა რისკების საკუთარ თავზე აღება <input type="checkbox"/> სპორტით დაკავება
---	---

აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მოცემულია წინაპირობები სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ადამიანმა გადაწყვიტოს შეგზულების სოფელში გატარება, მისი რამდენიმე პირობა სოფელმა უნდა დააკმაყოფილოს. ბუნებრივი ლანდშაფტის სილამაზე, ტყეებში და სიმწვანეში ჩაფლული გლეხის კარმიდამო, ბუნებრივი საკვები და სუფთა ჰაერი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობა გადაწყვეტილების მისაღებად. მეცნიერები თვლიან, რომ არსებობს ექვსი ფაქტორი იმისათვის, რომ სოფლის ტურიზმი წარმატებული იყოს:

- (1) ბუნებრივი ლანდშაფტის მიმზიდველობა არის უპირველესი ფაქტორი ტურიზმის განვითარებისათვის. ტყე, მდინარე, ტბა, მთებზე და გორაკებზე შეფენილი სახლები პირველ რიგში იზიდავენ დამსვენებლებს. თუმცა ჭაობიან ადგილებსაც ყავს თავისი დამსვენებელი.
- (2) დაცული ტერიტორიები განსაკუთრებით იზიდავს ხელთუქმნელი ბუნების მოყვარულთ. მათ სიბლავთ რელიქტების დათვალიერება.
- (3) კულტურის ძეგლები ითვლება მნიშვნელოვან მიმზიდველობად. თუკი სოფლის სიახლოვეს არსებობს ისტორიული ნაგებობები, მუზეუმები, ეკლესია-მონასტრები და ტრადიციული ნამოსახლარები – ეს ყველაფერი მიუთითებს დასახლებული პუნქტის კიდევ ერთ უპირატესობაზე.
- (4) სოფელს უნდა გააჩნდეს ბილიკები ტყეში სასეირნოდ, თევზჭერის ადგილები, ველოსიპედიტთა და ცხენით სასეირნო სპეციალური გზები, ანუ ინფრასტრუქტურა დასვენებისათვის.
- (5) მიკროკლიმატი და სუფთა ჰაერი, დიდი სამრეწველო ცენტრებიდან დაშორება ხდის საიმედოდ რეკრეაციულ ზონას.
- (6) მარკეტინგი. პროფესიული რეკლამის დამზადება, ნაბეჭდი და ელექტრონული რეკლამა ხდის სოფელს არა მხოლოდ ცნობადს, არამედ ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. [5]

2008 წლის აპრილში ტირის უნივერსიტეტთან არსებულმა ტურიზმის ევროპულმა ინსტიტუტმა დაამთავრა მუშაობა სამეცნიერო კვლევაზე: “დასვენება გლეხის კარმიდამოში” – ექსპერტიზა. [6] კვლევამ დაადგინა სოფლის ტურიზმის გავლენა საზოგადოებაზე, მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები და დესკრიპტორები, რომელიც ნათელს ხდის მის ადგილსა და როლს თანამედროვე გერმანულ საზოგადოებაში: იხ. ნახ. № 2.

ნახ. № 2 სოფლის ტურიზმის გავლენის ინტენსივობა

დემოგრაფიული ცვლადები	შემოსავლის ფაქტორები
• მოსახლეობის რაოდენობა	• შემოსავლის დაუბეგრავად მიღების შესაძლებლობა
• ასაკობრივის ტრუქტურა (სიცოცხლის ხანგრძლივობა, საშუალო ასაკი)	• მომხმარებლის დამოკიდებულება მოგზაურობისადმი
• ბიუჯეტი	• შემოსავლები ძირითად სექტორში
დროის ფაქტორები	კონკურენცია
• თავისუფალი დრო პენსიაზე გასვლამდე პერიოდში	• კონკურენცია ქვეყნის შიგნით
• თავისუფალი დრო პენსიაზე გასვლის შემდგომ პერიოდში	• კონკურენცია ქვეყნის გარეთ
საზოგადოებრივი ღირებულებები	პოლიტიკური/ეკონომიკური პირობები
• ეკოლოგიური ცნობიერება	• დასვენების რეგულირება (დასვენება ზაფხულში)
• ჯანმრთელობის ზეგავლენები	• საწარმოებში ფამილიარულის ტუაცია
• ხარისხის გაცნობიერება	• საამშენებლო კანონმდებლობა
	• სოფლის ტერიტორიების ხელშეწყობა
	• საწარმოების შეთავაზების დონე/ხარისხი

კვლევის უდაო ღირსებაა სოფლის ტურიზმის დესკრიპტორების გამოვლენა და კვლევა. დროა ვიფიქროთ იგივე მეთოდოლოგიით ვიკვლიოთ სოფლის ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში. მანამდე კი მოვიყვანოთ უადრესად საინტერესო კვლევის ერთ შედეგს, რომელიც ყრდნობა გერმანიაში სოფლის ტურიზმის დესკრიპტორების კვლევას და ექსპერტთა მიერ 2015 წლისათვის სავარაუდო განვითარების სცენარს:

ნახ. 3 სოფლის ტურიზმის დესკრიპტორების სცენარი 2015 წლისათვის

დესკრიპტორი	განვითარების ინტენსივობა
მოსახლეობის რაოდენობა	→
ასაკობრივის ტრუქტურა (სიცოცხლის ხანგრძლივობა, საშუალო ასაკი)	↗
ბიუჯეტი	→
თავისუფალი დრო პენსიაზე გასვლამდე პერიოდში	→
თავისუფალი დრო პენსიაზე გასვლის შემდგომ პერიოდში	↗
შემოსავლის დაუბეგრავად მიღების შესაძლებლობა	↗
მომხმარებლის დამოკიდებულება მოგზაურობისადმი	→
დასვენების რეგულირება (დასვენება ზაფხულში)	↗
საწარმოებში ფამილიარულის ტუაცია	→
საამშენებლო კანონმდებლობა	→
სოფლის ტერიტორიების ხელშეწყობის სპოლიტიკა	→
საწარმოების შეთავაზების დონე/ხარისხი	→
მოსახლეობის რაოდენობა	↗
ასაკობრივის ტრუქტურა (სიცოცხლის ხანგრძლივობა, საშუალო ასაკი)	↗
ბიუჯეტი	↗
თავისუფალი დრო პენსიაზე გასვლამდე პერიოდში	↗
თავისუფალი დრო პენსიაზე გასვლის შემდგომ პერიოდში	↗
შემოსავლის დაუბეგრავად მიღების შესაძლებლობა	↗

განვითარების ინტენსივობა: ↗ თვალსაჩინო ზრდა; ↘ სუსტი ზრდა; →

არავითარი ცვლილება; ↘ სუსტი კლება; ↗ თვალსაჩინო კლება;

ამრიგად, საქართველოს პოტენციური სოფლის ტურიზმისთვის განსაკუთრებით მაღალია, რადგან ის ფაქტორები, რომლებიც ადამიანისაგან დამოუკიდებლად ბუნებამ შექმნა და წინაპრებმა დაგვიტოვეს უნიკალური და მიმზიდველია. ისევ პრობლემად რჩება ჩვენი ძალისხმევა:

ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და სერვისის დონის ასამაღლებლად. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია სოფლის ტურიზმის ბაზრის კვლევა, რასაც წარმატებით აკეთებენ ჩვენი უცხოელი კოლეგები და რაც ჩვენ მათ მიერ აპრობირებული მეთოდოლოგიით უნდა დღესვე ვაწარმოთ.

სოფლის ტურიზმის ბიზნესის წარმატებით საქმიანობისათვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულია აღნიშნული ბიზნესის სამ ეტაპად დაყოფა და განხორციელება:

1. სოფლის მცხოვრების მიერ გადაწყვეტილების მიღება ტურისტული ბიზნესით დაკავების შესახებ. ამ ეტაპისთვის მნიშვნელოვანია პრეტენდენტმა ზუსტად იცოდეს სოფლის ტურიზმის მნიშვნელობა, ეკონომიკური სარგებელი და გასაწევი დანახარჯები, ტურისტთა სურვილები და ინტერესები, მას უნდა შეექმნას რეალური მოლოდინები, რომ ზუსტად გათვალისწინოს მოსალოდნელი შედეგები.
2. ბიზნეს-გეგმის მომზადება და მზადყოფნაში მოყვანა ტურისტების მისაღებად. სოფლის მცხოვრებმა უნდა დასახოს დროში გაწერილი ღონისძიებები ბიზნესის წარმოებისათვის, რომელიც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ საკითხებს, ასევე მომსახურების გეგმის შედგენას, მზა ტურისტული პროდუქტის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევის მეთოდოლოგიური საკითხები.
3. ტურისტების მომსახურება საკუთარ კარმიდამოში. ეს არის სოფლის ტურიზმის ბიზნესის ბოლო ეტაპი, რომლის განხორციელება მოითხოვს დამსვენებლისადმი დიდ ყურადღებას მასპინძლის მხრიდან, უნარ-ჩვევებზე დაფუძნებულ კვალიფიციურ მომსახურებას და გამოცდილებას სტუმარ-მასპინძლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Susan Horner, John Swarbooke, Internationl Cases in Tourism Management, 2004, s. 348
2. Экотуристский рынок Германии, специальный доклад №10 ВТО, Мадрид, 2001, стр. 10
3. Э. Инскип, Национальное и региональное планирование туризма, Мадрид, ВТО, 1994, стр. 22
4. Fritz GATTERMAYER, Landwirtschaft und Tourismus, S.53-54.
www.wiso.boku.ac.at/fileadmin/_/.../05_Gattermayer_Urlaub.pdf
5. Nationaler Strategieplan der Bundesrepublik Deutschland für die Entwicklung ländlicher Räume 2007–2013, S.33-35. www.bmelv.de/SharedDocs/.../natStrategieplan.html
6. Expertise „Urlaub auf dem Bauernhof/Lande“ Endbericht, EUROPÄISCHES TOURISMUS INSTITUT an der Universität Trier GmbH. Trier, April 2008. S.20-21

NIKO KVARATSKHELIA

St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia, Full Professor

RURAL TOURISM: GERMAN PECULIARITIES AND GERMAN REALITY

S u m m a r y

Rural tourism as a tourism independent direction was formed of the XX century in the second half of the European continent. Rural tourism is a small group of tourists travel to the rest of the village, sometimes distant from the center of the traditional areas of local traditions and rural life study. For bringing of rural tourists, it is attractive for farmers to arrange own houses, the existence of additional living space and entertainment facilities. For tourists additional attract is peasant farming and traditions. Well give product supports the creation of additional income tax for farmers. Improving the quality of life of the rural population and level of development related to tourism. For example rural tourism in Austria to create 23 thousand jobs. Farmer's premises in the rest of the population in rural areas has become the basis for the elimination of unequal development.

Georgia's rural tourism businesses successfully offered by the business activities of our divisions and the implementation of three stages:

1. To take decisions by Rural resident about the tourism business arrest. This stage is important for the candidate to be aware of the importance of tourism, economic benefits and costs to be rendered, desires and interests of tourists, it must create real expectations that accurately foresee the expected results.
2. Business plan preparation and readiness in line to receive tourists. Rural residents must be time-phased planning appropriate measures for doing business, which includes infrastructural issues, as well as service plan, ready-to-sell tourism products and services methodological issues.
3. Services for tourists in their own premises. This is the last stage of rural tourism business, which requires for guest a lot of attention from the host, skills - skills-based qualified service and guest experience - at home.
4. Keywords: tourism, rural tourism, rural tourism descriptors, rural recreation motives, rural tourism management.

ბიოლოგიური აქტივები და რეალური ღირებულების კონცეფცია

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად კორპორაციის ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა იყოს საიმედო, რათა ინფორმაციის მომხმარებლებმა შეძლონ ადეკვატური დასკვნების გაკეთება. უკანასკნელს ბევრად უზრუნველყოფს ინფორმაციის წარდგენას აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ მათი რეალური ღირებულებით შეფასების საფუძველზე.

ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებულ დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტი (ფასს/ბასს) მოითხოვს ან ნებას რთავს საწარმოებს აქტივები, ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში ასახონ რეალური ღირებულებით. მაგრამ, ცალკეულ სტანდარტებში რეალური ღირებულების ცნება არის ბუნდოვანი, რიგ შემთხვევაში კი წინააღმდეგობრივიც, ასევე გარკვეული გაუგებრობა არსებობს რეალურ, მიმდინარე და საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით. ასეთმა მდგომარეობამ პრაქტიკაში წარმოქმნა შეფასების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების საშუალება, რამაც შეამცირა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შესადარისობა და შესაბამისად გაუარესდა მისი ხარისხობრივი მახასიათებლები.

ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ შეიმუშავა ფასს 13 „რეალური ღირებულება“. სტანდარტი იძლევა რეალური ღირებულების განსაზღვრის ერთიან კონცეფციას, რომელიც მკაფიოდ და სისტემატიზირებულად აყალიბებს რეალური ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს. სხვადასხვა სტანდარტებში არსებული რეალური ღირებულების განსაზღვრის მითითებები გაერთიანდა ერთ სტანდარტში და დადგინდა რეალური ღირებულების განსაზღვრის ერთიანი მითხონები მთელ მსოფლიოში, რამაც უზრუნველყო რეალური ღირებულების განსაზღვრის გამარტივება და ერთგვაროვანი მიდგომა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას რეალური ღირებულება გამოიყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა ასახვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულოა ან ნებადართულია ბალანსში ან განმარტებითი შენიშვნებში. კერძოდ, რეალური ღირებულების კონცეფციის გამოყენება ნებადართულია შემდეგი ობიექტების თავდაპირველი აღიარებისა და შემდგომი შეფასებისათვის:

- არაფინანსური აქტივები;
- ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები);
- საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები.

ცხრილში წარმოდგენილია სტანდარტები, რომელიც მოითხოვს ან ნებას რთავს აქტივების, ვალდებულებების და წილობრივი ინსტრუმენტების შეფასებას რეალური ღირებულებით:

სტანდარტი	რეალური ღირებულებით შეფასება		
	მოითხოვება	ნებადართულია	შეფასების ობიექტი
ფასს 3	✓		შემდგომი თარიღისათვის: • კომპენსაციის ღირებულება; • შემდგომი აქტივები და ვალდებულებები
ფასს 5 ¹	✓		გასაყიდი გრძელვადიანი აქტივები
ფასს 9	✓		ფინანსური (წარმოებული და წილობრივი) ინსტრუმენტები
ბასს 16		✓	გადაფასებული ძირითადი საშუალებები

¹ ფასს 5 „გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-თ გრძელვადიანი აქტივები, რომელთა საბალანსო ღირებულების ამოღება ხდება გაყიდვით (ნაგარაუდევია 12 თვეში) და არა გამოყენებით, უნდა შეფასდეს საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გაყიდვის დანახარჯების გამოკლების შემდეგ) შორის უმცირესი თანხით. თბ., 2009. მ.1. გვ. 656.

ბასს 19	✓		საპენსიო პროგრამების გარკვეული აქტივები
ბასს 27,28	✓		ინვესტიციები შვილობილ, მკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში)
ბასს 36	✓		აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას
ბასს 38		✓	გადაფასებული არამატერიალური აქტივები
ბასს 40		✓	საინვესტიციო ქონება
ბასს 41	✓		ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია

ფასს 13-ის თანახმად,¹ რეალური ღირებულება არის **ფასი** შეფასების თარიღისათვის, რომელიც იქნებოდა მიღებული აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას **ჩვეულებრივი ოპერაციის** განხორციელების დროს **ბაზრის მონაწილეთა** შორის. სხვაგვარად, შეფასების თარიღისათვის უნდა განისაზღვროს ფასი, რომლითაც ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ ჩვეულებრივი ოპერაციით მიმდინარე საბაზრო პირობებში განახორციელონ აქტივის გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა (აქტივებისა ან ვალდებულებების მფლობელთა პოზიციიდან).

რეალური ღირებულების განმარტება ხაზს უსვამს, რომ რეალური ღირებულება არის შეფასება, რომელიც **ეფუძნება ბაზარს** და არა შეფასება, რომელიც ეფუძნება საწარმოს სპეციფიკას. ზოგიერთი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ არის დაკვირვებადი. ზოგიერთი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების დასადგენად შეუძლებელია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ არ არის დაკვირვებადი.

როდესაც აქტივისა ან ვალდებულების ფასი არ არის ბაზარზე დაკვირვებადი, რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს შეფასების სხვა მეთოდებით (დანახარჯ-მეთოდი, შემოსავალ-მეთოდი) და მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საწყისი დაკვირვებადი მონაცემები და მინიმუმამდე დაყვანილი არადაკვირვებადი.

შეფასების მეთოდების გამოყენების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომლითაც დარეგულირდება აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების გადაცემის ოპერაციები ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათვის ბაზრის თანამედროვე პირობებში.² რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის ფასს-ით გამოიყენება შეფასების შემდეგ მეთოდები:

- **საბაზრო მეთოდი (market approach)** – იყენებს ფასებს და სხვა შესაბამის ინფორმაციას, რომელიც წარმოიქმნა ბაზარზე იდენტური (ანალოგიური) ან შესადარისი აქტივებთან, ვალდებულებებთან, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებთან განხორციელებული გარიგებებით;
- **დანახარჯ-მეთოდი (cost approach)** – ადგენს თანხებს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა ამჟამად მოხდეს მოქმედი აქტივის ჩანაცვლება;
- **შემოსავალ-მეთოდი (income approach)** – ახდენს მომავალი ფულადი სახსრების გადაანგარიშებას ერთ ფულად ნაკადად (ფულადი სახსრების, შემოსავლებისა და ხარჯების წმინდა დისკონტირებული ღირებულება)

რეალური ღირებულებით შეფასებისათვის აუცილებელია განისაზღვროს:

- შესაფასებელი კონკრეტული აქტივები და ვალდებულებები;
- ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი/მომგებიანი ბაზარი;
- ბაზრის მონაწილენი;
- გასვლის ფასი;
- არაფინანსური აქტივებისათვის – აქტივის გამოყენების წესი.

განვიხილოთ აღნიშნული მოთხოვნები.

შესაფასებელი აქტივები და ვალდებულებები:

- აქტივებისა და ვალდებულებების მახასიათებლები გაითვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის მონაწილენი გამოიყენებდნენ ამ მახასიათებლებს აქტივების ან ვალდებულებების ფასის განსაზღვრისას შეფასების თარიღისათვის. მაგალითად, აქტივების მდგომარეობა და ადგილმდებარეობა; შეზღუდვები აქტივების გაყიდვისა ან გამოყენების მიმართ;

¹ IFRS 13 Fair Value Measurement. p. 24.

² IFRS 13 Fair Value Measurement. p. 62-67.

- შესაფასებელი აქტივები და ვალდებულებები შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახით: ცალკეული აქტივებისა ან ვალდებულებების; აქტივების ჯგუფის; ვალდებულებების ჯგუფის; აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის;
- აქტივებისა და ვალდებულებების საადრიცხვო ერთეული განისაზღვრება შესაბამისი მარეგულირებელი სტანდარტებით.

რეალური ღირებულებით შეფასებისას კეთდება დაშვება, რომ აქტივების გაყიდვა ან ვალდებულებების გადაცემა ხდება **ძირითად ბაზარზე**. ხოლო თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი, მაშინ – ყველაზე ხელსაყრელ/მომგებიან ბაზარზე. **ძირითადი ბაზარი** (principal market) არის აქტივებისა და ვალდებულებების ყველაზე დიდი მოცულობისა და საქმიანობის დონის ბაზარი. ინფორმაცია მათი ფასების შესახებ არსებობს მუდმივობის საფუძველზე. **ყველაზე ხელსაყრელი/მომგებიანი ბაზარი** (most advantageous market) არის ბაზარი, რომელიც იძლევა აქტივის გაყიდვიდან მისაღები თანხების მაქსიმალური ზრდის, ან ვალდებულებების დასაფარავად გადასახდელი თანხის მინიმუმამდე შემცირების საშუალებას.

ბაზრის მონაწილენი არიან ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის გამყიდველები და მყიდველები. ბაზრის მონაწილეთა განსაზღვრისას კეთდება დაშვება, რომ ისინი:

- მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისათვის და არიან ურთიერთდამოუკიდებელი (არ არიან დაკავშირებული მხარეები);
- აქვთ სათანადო წარმოდგენა და კარგად არიან ინფორმირებულნი აქტივების, ვალდებულებებისა და ოპერაციების შესახებ, მაქსიმალურად იყენებენ ხელმისაწვდომ ინფორმაციას;
- შეუძლიათ განახორციელონ გარიგება;
- აქვთ სურვილი განახორციელონ გარიგება, არიან მოტივირებულნი და არ არიან ვალდებულნი ან იძულებულნი განახორციელონ ოპერაცია, ანუ გამოიყენონ ლიკვიდაციის/იძულებით გასაყიდი ფასი (not a liquidation price or forced sale).

რეალური ღირებულება განისაზღვრება ძირითადი ბაზრის მონაცემებით და ფასს-ი უწოდებს მას „გასვლის ფასს“. **გასვლის ფასი (exit price)** არის აქტივების ფლობიდან „გამოსვლაში“ გადახდილი ფასი. სხვაგვარად, ეს არის აქტივების გაყიდვიდან მისაღები, ან ვალდებულების დაფარვისათვის გადასახდელი ფასი. იმავდროულად, რეალური ღირებულება არის აქტივების **მიმდინარე ღირებულება (current price)** შეფასების თარიღისათვის.

არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება ბაზრის მონაწილეთა ფულადი ნაკადების გენერირების უნარი აქტივების საუკეთესო და ეფექტური გამოყენებით ან მისი გაყიდვით ბაზრის მონაწილეებზე, რომლებიც საუკეთესოდ და ეფექტურად გამოიყენებდნენ ამ აქტივებს. **არაფინანსური აქტივების საუკეთესო და უფრო ეფექტური გამოყენება (highest and best use)** ნიშნავს არაფინანსური აქტივების ისეთ გამოყენებას, რომელიც მაქსიმალურად გაზრდიდა აქტივების ღირებულებას ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის (მაგალითად, ბიზნესის), რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქტივები. ასეთი აქტივების რეალური ღირებულების დასადგენად, დაშვებით, რომ ისინი საუკეთესოდ და ეფექტურად გამოიყენება, გაანგარიშებული უნდა იქნეს **მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (expected cash flow)** – შესაძლო (საშუალოშეწონილი) მისაღები ფულადი ნაკადების ალბათობა.

არაფინანსური აქტივების საუკეთესო და ეფექტური გამოყენების დაშვებისას გაითვალისწინება აქტივების ისეთი გამოყენება, რომელიც არის ფიზიკურად შესაძლებელი, იურიდიულად დასაშვები და ფინანსურად გამართლებული.

აქტივების საუკეთესო და ეფექტური გამოყენება განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან, თუნდაც გათვალისწინებული იყოს ამ აქტივების სხვა გამოყენება.

საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრება (თუ არ არის კოტირებადი) ბაზრის იმ მონაწილეთა თვალსაზრისით, რომლებიც ფლობენ იდენტურ ინსტრუმენტებს აქტივების სახით. ვალდებულებების რეალური ღირებულების დადგენისას გაითვალისწინება ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი (non-performance risk), ანუ საწარმოს საკრედიტო რისკი.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ვინაიდან რეალური ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება ბაზარს, შესაბამისად, ის იგივე საბაზრო ღირებულებაა, ხოლო ვინაიდან ღირებულების განსაზღვრა ხდება შეფასების თარიღისათვის, ის იგივე მიმდინარე ღირებულებაა.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასება ერთიანი რეალური ღირებულების კონცეფციის საფუძველზე (როდესაც ეს არის სავალდებულო ან ნებადართული) უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფინანსური ინფორმაციის შესადარისობის ხარისხის ამაღლებას, არამედ ინფორმაციის მომხმარებლებს მისცემს რეალისტური დასკვნებისა და პროგნოზების გაკეთების საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“. 2009.
2. IFRS 13 Fair Value Measurement. 2013.
3. Practical guide to IFRS. October 2011.
4. IFRS News Special Edition. IFRS 13 Fair Value Measurement. Grant Thornton.
5. IFRS 13 — Fair Value Measurement. Deloitte. <http://www.iasplus.com/en/standards/standard53/>
6. IFRS 13 Fair value measurement. Ernst & Young.
7. IFRS Outlook. May-June. 2011. Ernst & Young.
8. Практическое руководство по применению новых стандартов МСФО (2012). PricewaterhouseCoopers (PWC).

NADEZHDA KVATASHIDZE

Iv.Javakishvili Tbilisi State University, Associate Professor

BIOLOGICAL ASSETS AND THE CONCEPT OF THE FAIR VALUE

S u m m a r y

Biological assets are measured at fair value, less costs to realize. Fair value is the price that would be received to sell an asset or paid to transfer a liability in an orderly transaction between market participants at the measurement date. Determination of fair value emphasizes that the real value of this assessment, which is based on an active market and not on the specifics of the enterprise.

An active market is a market in which transactions for the asset or liability occur with sufficient frequency and volume to provide pricing information on an ongoing basis. Determination of fair value is based on active market ifrs defines it as the exit price. Exit price is the price that would be received to sell an asset or paid to transfer a liability

შალვა კვათაშიძე

ავტორული უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბრომარკეტინგი და სასურსათო ბაზრის თავისებულება

თემა ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა აბრომარკეტინგი და სასურსათო ბაზრის თავისებურებანი და მათი როლი მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების განვითარებაში.

თემის ძირითადი მიზანია აღნიშნული საკითხების მნიშვნელობისთვის ხაზის გასმა და მისი შემდგომი შესწავლის აუცილებლობის წარმოჩენა.

აბრომარკეტინგი: აბრომარკეტინგი სრულიად განსხვავდება სამრეწველო, კომერციული, საბანკო, საგამომცემლო და სხვა სახის მარკეტინგისგან. ამას განაპირობებს ამ დარგის თავისებურებები, მიღებული შედეგების დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე, საქონლის როლსა და მნიშვნელობაზე, საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე, საქონლის წარმოების, მიღებისა და გასაღების სეზონურობაზე, მეურნეობების ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნებაზე, საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე. აგრობიზნესის საქმიანობაში ბუნებრივი და ეკონომიკური პროცესები ინტეგრირებული ხდება და მარკეტინგის წარმოებისა და ორგანიზაციისათვის განსაკუთრებულ პირობებს ქმნის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (ფერმერული მეურნეობების) შექმნამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადანაწილებამ, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სამომხმარებლო ბაზრის ახლებურად წარმოჩენამ დარგი აუცილებელი რეფორმების წინაშე დააყენა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ დასრულებულა.

აბრომარკეტინგი რთულ სისტემას წარმოადგენს, რაც მის თავისებურ რეგულირებასა და მართვას მოითხოვს. ნებისმიერი ადამიანი ასე თუ ისე ყოველდღიურად ეხება სასოფლო-სამეურნეო

მარკეტინგს, მაგრამ ცოტას თუ წარმოუდგენია ამ დარგში მიმდინარე მარკეტინგული პროცესების სირთულე.

მარკეტინგი ბაზართან დაკავშირებული საქმიანობაა, ოღონდ აგრარულ სფეროსთან დაკავშირებით მისი არსი ბევრად უფრო ფართოა. მარკეტინგი განიხილება, როგორც საქმიანი აქტიურობა, რომლის მეშვეობითაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მომსახურება ფერმერული მეურნეობებიდან (ჩვენს რეალობაში დიდწილად ოჯახური ტიპის მეურნეობებიდან), მომხმარებლისაკენ მიემართება. აგრო-მარკეტინგი, როგორც წესი, იწყება სასოფლო-სამეურნეო საწარმოში და თავდება პროდუქციის საბოლოო მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთ მომგებიანი ურთიერთობის დამყარებით, ანუ იგი პრაქტიკულად უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგული საქმიანობის მთელმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საჭირო დროს, საჭირო ადგილზე და საჭირო ფორმით პროდუქციის მიწოდება მომხმარებლისათვის.

მარკეტინგი, როგორც ბაზრის მართვის კონცეფცია, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობების წარმოება-გასაღების, ვაჭრობის, ორგანიზაციისა და მართვის სისტემაა. სასურსათო ბაზრის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა ფერმერული მეურნეობების შემოსავლების მიღებისა და მათი ზრდის საფუძველია.

იმის გამო, რომ მწარმოებელს (გამყიდველს) და მომხმარებელს (მყიდველს) პროდუქციის მიმართ სხვადასხვა ინტერესი აქვს, აგრომარკეტინგი გარდაუვალად გულისხმობს მონაწილეთა შორის ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტს. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემაერთებელი რგოლი სურსათის სპეციალიზებულ მწარმოებელსა და მის მომხმარებელს შორის.

აგრომარკეტინგის პრაქტიკული გამოყენების თავისებურებანი სპეციფიკურია და საქმიანობის სფეროზეა დამოკიდებული (მეცხოველეობა, მემცენარეობა, ტრანსპორტირება და ა.შ.), სწორედ მასთან არის დაკავშირებული ფუნქციების, ამოცანების და საბოლოო ჯამში, აგრომარკეტინგული სამსახურების საქმიანობის შინაარსი.

ჩვეულებრივ, გამოყოფენ ფერმიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბოლოო მომხმარებელამდე მიტანის მთელ გზაზე, აგრომარკეტინგის შემდეგ ფუნქციებს: 1. გაცვლის ფუნქცია, ანუ პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა; 2. პროდუქციის გადამუშავება, შენახვა, ტრანსპორტირება; 3. საქონლის ბაზარზე დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა – სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება, დაფინანსება, რისკების დაზღვევა, ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება.

მარკეტინგის კონცეფციაზე ორიენტაცია ბევრად განაპირობებს ფინანსების, მომარაგების, გასაღების სამსახურების, განყოფილებების ორგანიზაციული აგების, საკადრო პოლიტიკის მართვის ხასიათს.

აგრომარკეტინგის სისტემა უფრო არსებით საბაზრო ურთიერთობებს და საინფორმაციო ნაკადებს მოიცავს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს პროდუქციის გასაღების ბაზრებთან აკავშირებს. ფერმერული მეურნეობა ბაზართან და მის მარკეტინგულ გარემოსთან კავშირს ამყარებს, მასზე ინფორმაციას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მომსახურებას მიმართავს, ხოლო მის სანაცვლოდ ფულს, ნედლეულს, სასუქებს, საწვავს და ტექნიკას ღებულობს.

აგრო-მარკეტინგის მნიშვნელობის და მის საბაზრო გაცვლით სისტემაში მონაწილეობის გარდაუვალობის მიუხედავად რიგი სუბიექტური, თუ ობიექტური მიზეზების გამო მათი სათანადოდ შეფასება და გამოყენება საქართველოში არსებული „ფერმერული“/საოჯახო მეურნეობების მიერ არ ხდება. ჯერ კიდევ 2004 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შესწავლილი 38 საშუალო (მეურნეობები რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის 50–90% განკუთვნილია სარეალიზაციოდ და მხოლოდ 10–50% საკუთარი მოხმარებისათვის, წელიწადში რეალიზებული პროდუქციის ფულადი გამოხატულება შეადგენს მინიმუმ 1000 ლარს) და მცირე (მეურნეობები რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 10-50% პროცენტი განკუთვნილია სარეალიზაციოდ და 50–90% საკუთარი მოხმარებისათვის) სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებიდან მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე მეურნეობების დაახლოებით 30% ანხორციელებს წინასწარ „რაიმე“ სახის მარკეტინგულ საქმიანობას (ბაზრის და პოტენციური მომხმარებლის მოძიებას, საწარმოებელი პროდუქციის საპროგნოზო მონაცემების მოძიება და დამუშავებას და ა.შ.), რომლებიც ძირითადად მათთან გეოგრაფიულ სიახლოვეში მდებარე პოტენციური მყიდველების და მათ მსგავს მეურნეობებს შორის მწირი ინფორმაციის გაცვლით შემოიფარგლება.

2004 წელს მიღებული შედეგები თითქმის განმეორდა 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში შესწავლილი 86 წერილი და საშუალო მეურნეობის მონაცემების დამუშავებისას. სამწუხარო რეალობაა, როდესაც გამოკითხული მეურნეობათა დიდი უმრავლესობაში ზოგადად მარკეტინგის და მისი დანიშნულების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. აქ მარკეტინგი ხშირ შემთხვევაში ძვირად ღირებულ სატელევიზიო სარეკლამო ღონისძიებებთან იგიველება, რაც მსგავსი მოცულობის მეურნეობებისათვის რა თქმა უნდა მიუწვდომელი და ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმიანობაა.

საშუალო და მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებისათვის გამოვლინდა ერთი მეტად დამაფიქრებელი გარემოება, აღნიშნულ მეურნეობებში ძირითადად ჯერ ღებულობენ გადაწყვეტილებას თუ რა აწარმოონ და რა რაოდენობით და პროდუქციის შექმნის შემდგომ იწყებენ იმაზე ზრუნვას თუ სად და როგორ გაყიდონ. რის შემდგომაც დიდ წილად მათ მიერ წარმებული პროდუქცია ყიდვა-გაყიდვის სფეროში შედარებით კარგად მომზადებული შუამავალი რგოლის (გადაამყიდველების) ხელში ხვდება მეურნეობებისათვის არასახარბიელო პირობებით.

მსგავსი სიდიდის (და არა მხოლოდ) მეურნეობებში არსებული შედარებით მწირი/შეზღუდული საწარმო რესურსების გათვალისწინებით ნებისმიერი საწარმო რესურსის მიმართვის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იყოს დიდი სიფრთხილით. აგრომარკეტინგის ძირითადი ფუნქციებისთვის სათანადო მნიშვნელობის არ მინიჭება, მხოლოდ და მხოლოდ შეამცირებს მეურნეობების შემოსავლებს და მათი სამომავლო ზრდა-განვითარების პროცესს.

სასურსათო ბაზრის თავისებურებანი: საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლიდან რამდენიმე წელიწადში სამთავრობო ორგანოებმა შექმნეს ბაზრის ფუნქციონირების რიგი მექანიზმები და პირობები, გაუქმდა პროდუქციის წარმოებისა და განაწილების სახელმწიფო რეგლამენტაცია, მართვის სხვა ნიშნები. მოქმედება დაიწყო საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმმა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების დაახლოებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოში გამოიკვეთა სასურსათო ბაზრის კონტურები და დაიწყო მისი ფორმირება.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ბაზარი თავისი ფულით, მყიდველით ხმას ისეთ პროექტს მისცემს, რომელიც უფრო აკმაყოფილებს მოთხოვნას და შედარებით იაფიცაა. აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმერი მუდმივად უნდა მიისწრაფოდეს რაც შეიძლება მაღალი ხარისხის და იაფი პროდუქტის წარმოებისკენ.

სასურსათო კომპლექსის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან სასურსათო ბაზრის დაუცველობა, უყურადღებობა. საქართველოში უსისტემოდ, ყოველგვარი რეგულირების გარეშე დიდი რაოდენობით შემოდის უცხო ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის უხარისხო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი წარმოების ზრდას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებისათვის მთელი რიგი გარემოებები აფერხებს, პირველ რიგში ერთი საწარმო სისტემიდან მეორეზე გადასვლა ყოველგვარი წინასწარი მომზადების/გადაამზადების შესაძლებლობის გარეშე. ეს გარემოება იმას გავს ადამიანს პატარა ნავით ვებერთელა ზღვის გადაცურვა, რომ მოსთხოვო.

90-იან წლებში სოფლად შექმნილი რთული სიტუაციის გამო საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა კვების პროდუქტების წარმოების დონე. ამ პერიოდში 16-ჯერ შემცირდა შაქრის წარმოება, 30-ჯერ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, 8-ჯერ ღვინის, 4,5-ჯერ მინერალური წყლების, 457-ჯერ საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და სხვა კვების პროდუქტების წარმოება, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, მოსახლეობის სურსათით მომარაგების დონეზე. ამიტომ დადგა ქვეყნის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა. ამან გამოიწვია სხვა ქვეყნებიდან უსისტემოდ ხარისხიანი და უხარისხო პროდუქტების შემოტანა, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე. მაშასადამე, მნიშვნელოვნად დაირღვა შიდა ბაზრების საკუთარი წარმოების პროდუქტებით გაჯერების არსებული პროპორციები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ისეთი ბუნებრივი პირობების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სოფლის მეურნეობის კულტურის მქონე ქვეყანას, როგორც საქართველოა, ასე არ უნდა უჭირდეს.

მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის ერთერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობისა და მასზედ მიბმული მრეწველობის

განვითარების უადრესად დაბალი დონე, ამ კუთხით საქართველოს სიმდიდრის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოყენება და სხვა.

სასურსათო პრობლემების გადაწყვეტისადმი მიზნობრივი, კომპლექსური მიდგომის უმთავრესი მიმართულება ის არის, რომ გაერთიანდეს არა მარტო სოფლის მეურნეობის და გადამმუშავებელი მრეწველობის, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის ყველა დარგის ძალები. ეს აქტუალური ამოცანაა, რადგან სასურსათო კომპლექსის დარგების განვითარებაში ჩამოყალიბდა განსაზღვრული დისპროპორციები, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დაგროვდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადამმუშავებისა და ვაჭრობის სფეროში. აქედან გამომდინარე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ჯაჭვის ყველა რგოლზე, რომლითაც სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის პროდუქცია ბაზრამდე აღწევს.

სასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მისი განვითარება ქაოსურად მიმდინარეობს. ხშირია პროდუქციაზე ფასების ზრდა, ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტი და სხვა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როდესაც ბაზარზე მცირდება ერთი სახეობის (მაგალითად მარცვლეული) პროდუქცია, მასზედ დამოკიდებულ (მაგალითად მეცხოველეობის) სხვა სახის პროდუქციაზე თვითღირებულება საგრძნობლად იზრდება.

სასურსათო ბაზარი ერთი მთლიანი და რთული მექანიზმია, მისი მნიშვნელობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და ამ ზრდის პარალელურად არ იზრდება სურსათის წარმოება ნიშნავს იმას, რომ წლიდან წლამდე მეტი და მეტი ადამიანი შიმშილობს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი და საჩქარო საქმეა ჩვენს ქვეყანაში სასურსათო ბაზრისთვის სათანადო ყურადღების მიქცევა და მისი არა ნაწილობრივი არამედ სრული გაანალიზება, ქვეყანაში არსებული ყველა სათანადო რესურსის მოხერხებულად გამოყენებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ყაპრაული, მარკეტინგი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2002.
2. პ. კოლუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2006.
3. პ. კოლუაშვილი, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და პროგნოზები, თბ. 2004.
4. Armstrong G. Kotler P. - Marketing An Introduction 2011.

SHALVA KVEZERELI

Georgian Agrarian University, PhD Degree in Business Administration

AGROMARKETING AND FOOD MARKET CHARACTERISTIC

S u m m a r y

Subject of the thesis are those important issues such as characteristics of agro marketing and food product market and their role in development of agriculture industry of small and minor volume.

Main objective of this thesis is to underline importance of the content issues and presentation of necessity of further study.

It aims to present readers with outcomes of the research carried out by us on assigning importance to agro market from the side of small and minor agriculture industries. Namely, on the basis of data obtained from 38 agriculture industries and treated in the year of 2004, approximately 30% of industries perform “some” advance marketing activities, which are limited to some poor information obtained from potential buyers and similar industries located mainly to their neighborhood in view point of geographical location. We have almost identical results from the data of 86 industries, studied in 2009, 2010, 2011 and 2012. Most of the industries, which participated in the queries, have no general information about marketing and its role.

The second part of the thesis reflects the reality, characteristic for Georgian market of food products and the situation existed on the market.

Assessment of present situation of food products market allows us to make conclusion that its development process is proceeding in a chaos manner. Market of food products is a united, complicated mechanism and its importance plays a great role in development of any country.

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი ფაქტორი

მიწა მთელი თავისი სიმდიდრით ნიადაგით, ასევე წყლით, ჰაერით ფლორითა და ფაუნით ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა. მიწა, როგორც ბუნებრივი სხეული არსებობს ადამიანის ნებისა და ცნობიერების გარეშე. მიწა გახდა შრომის საგანი და ბაზისი ადამიანის მოქმედებისა. სოფლის მეურნეობაში მიწას სულ სხვა დანიშნულება აქვს, ვიდრე სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებში. სასოფლო სამეურნეო წარმოების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერებათან, ბიოლოგიურ და იმ პროცესებთან რომლებიც ნიადაგში ხდება.

მიწა ბუნების პროდუქტია. ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ის, როგორც ბუნების საგანი, ჩართულ იქნა წარმოებაში, რომლის პროცესში მას შეუერთდა ადამიანის ცოცხალი და განვითარებული შრომა. ამ დროიდან მიწა იქცევა წარმოების საშუალებად და მიწის გარეშე უკვე უაზროა შრომის პროცესი. მიწის გამოყენების ხასიათი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვაა. გადამამუშავებელ მრეწველობაში მიწა მოქმედებს, როგორც ბაზისი, ფუნდამენტი, რომელზეც ხდებოდა მოქმედება. მომპოვებელ მრეწველობაში მიწა ბუნებრივი საწყობია, საიდანაც იღებენ საჭირო დოვლათს, სასარგებლო წიაღისეულს და აქაც არ აქვს მნიშვნელობა ნიადაგის ნაყოფიერებას, ხოლო სოფლის მეურნეობაში ნიადაგის ნაყოფიერება ერთ ერთი აუცილებელი პირობაა. აქ წარმოების პროცესი მთლიანად დამოკიდებულია ნიადაგზე.

მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობანი არის ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა მიწის უფლების სუბიექტებს შორის მისი მფლობელის, სარგებლობისა და გაკარგვასთან დაკავშირებით.

მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობანი სრულიად ახლებურად დადგა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საბჭოური პერიოდის ურთიერთობებთან, როცა ქვეყანაში არსებობდა მიწის სახელმწიფო საკუთრება და იგი იყო მისი ერთადერთი განმკარგავი.

მიწაზე სოფლის მეურნეობის პრიორიტეტი განპირობებულია მისი ეკონომიკური როლით. ამასთან, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტი, მიწაზე უპირველეს ყოვლისა, იმით არის განპირობებული, რომ სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწები განსაზღვრულია. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად ვარგისი მიწის შესარჩუნება, მისი ნაყოფიერების ამაღლება და დაცვა, მისი რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

ისტორიას ჩაბარდა, ადრე, საბჭოთა წლებში წართველი კაცის მიწისადმი უსუფლგულო დამოკიდებულება და მისი მოვლა-პატრონობით დაუინტერესებლობა. გაიღვიძა და აღსდგა მიწისადმი საუკუნეობრივი სიყვარული. მიწის საკუთრებაში ქონების საშუალებით გაჩნდა ადამიანის სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მეტი შანსი.

მიწის რესურსების სრულად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პირობების შექმნა და მართვის გაუმჯობესება ერთ ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოსთვის, რომელიც ხასიათდება მცირე მიწიანობით და ეროზიული პროცესების სწრაფი განვითარებით. ამასთან მიწის, როგორც ადამიანის სიცოცხლის აუცილებელი პირობის და წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზღვრულობა, შეუნაცვლებადობა, მოსახლეობის სწრაფად ზრდა და მატერიალური დოვლათის წარმოების მატების საჭიროება, ქვეყანაში განაპირობებს მიწის რესურსების უფრო სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას.

ფუნქციები, რომელთაც მიწა ასრულებს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, განაპირობებს მიწათსარგებლობის ეფექტურობის განსაზღვრის მაჩვენებელთა სიმრავლეს. მიწის რესურსების სრულად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებამ სხვა სასიკეთო მოქმედებებთან ერთად უნდა შექმნას ყველა პირობა, რათა უზრუნველყოს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური, მეცნიერულ-ინტელექტუალური და სულიერ-ზნეობრივი ასპექტების ყოველმხრივი განვითარება-სრულყოფა.

მიწა ადამიანის არსებობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს და სახელმწიფო რამდენად სწორად გადაწყვეტს მასთან დაკავშირებული ურთიერთობათა პრობლემებს, იმდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული მიწის პოტენციური შესაძლებლობანი.

მიწის თავისებურება, რომ იგი სივრცობლივად შეზღუდულია და შეუძლებელია მისი შეცვლა წარმოების რომელიმე სხვა საშუალებით, ამბავებს მიწის რაციონალურად გამოყენების პრობლემას. მიწის რაციონალური გამოყენება, მასზე კონტროლის გაძლიერება, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის ეკონომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ ტერიტორია ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული, ეს კი საბოლოო ჯამში ტერიტორიის და სამუშაოების სწორი ორგანიზაციის საფუძველია.

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა, საკვები პროდუქტების მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა ფაქტორებთან ერთად კომპლექსში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაკვეთის გარეშე საზღვრებს, ფართობს, ფორმას, მის მდებარეობას და სხვა.

მიწა უნიკალური რესურსია, რაც განასხვავებს მას სხვა სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რესურსისაგან. ეს უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მიწა არ ცვლება და არ გამოდის ხმარებიდან, თუ მოხდება მისი სწორად გამოყენება და გატარდება შესაბამისი კონსერვაციის ზომები. მიზანმიმართული ექსპლუატაცია და აგროტექნიკური პირობების დაცვა შესაძლებლობას იძლევა არა მარტო შენარჩუნებული იქნეს მიწისათვის დამახასიათებელი ნაყოფიერება, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდოს კიდევ. აქედან გამომდინარე მიწის სწორად გამოყენებასა და მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის.

მიწის მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მისი რეფორმა, რომელიც ეკონომიკური (მ.შ აგრარული) რეფორმების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. იტალიელი პროფესორი ფაბიო სანტინი განასხვავებს მიწის რეფორმის შემდეგ ტიპებს: საშუალო კლასის მიწის რეფორმა. რეფორმას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მიწა მცირე მფლობელობიდან გადადის ან იყიდება ახლად ჩამოყალიბებულ ვაჭრებს, ან ე.წ. “თეთრსაყელიან” (ნოტარიუსები, ექიმები და ა.შ) მოსახლეობაზე.

გლეხთა მიწის რეფორმა. ამ დროს მიწის რამდენიმე მფლობელს ჩამოერთვა მიწა და დაუბრუნდება იგი უმოწო ოჯახებსა და გლეხს საკუთრების (განკარგვის) უფლების გარეშე.

კომუნისტური მიწის რეფორმა. ამ რეფორმის დროს მიწა ჩამოერთვა მსხვილ მიწათმფლობელებს და მასზე ხდება ორი სხვადასხვა ტიპის საწარმოო ერთეულის (სახელმწიფო მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა) შექმნა.

პოსტკომუნისტური მიწის რეფორმა (დეკოლექტივიზაცია). ამ ტიპის რეფორმა მიმდინარეობს ყოფილ კომუნისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში, როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობის დაშლას და მიწა გადადის მოსახლეობის საკუთრების, განკარგვის, თუ სარგებლობის ფორმით.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ყველა ქვეყანაში იწყება მიწის რეფორმით, რომლის ხასიათს ბევრად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებები.

მიწის რეფორმა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საკითხია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე, მით უფრო რთულია იგი სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში, რომლებშიც ძალდატანებით იქნა შეწყვეტილი სოფლად საბაზრო ურთიერთობათა განვითარების ბუნებრივი პროცესი, მოხდა მიწის ნაციონალიზაცია-სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და კოლმეურნეობებზე, საწარმოო კოოპერატივებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე უფასოდ ხანგრძლივადიან სარგებლობაში გადაცემა.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებში ჩვენს ქვეყანაშიც განხორციელდა მიწის რეფორმა, რომელიც მოიცავს ორ ეტაპს.

პირველი ეტაპი დაიწყო “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ” საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით. იმავე წლის თებერვალ-მარტში დამატებით მიღებული იქნა მინისტრთა კაბინეტის ორი დადგენილება, ხოლო 1993 წლის 16 იანვარს და 24 თებერვალს კიდევ ორი დადგენილება.

მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს რომ, მიუხედავად უამრავი ნაკლოვანი მხარეებისა, მიწის რეფორმის პირველი ეტაპი შედგა, მიწაზე დამკვიდრდა კერძო საკუთრება.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ის, რომ ქვეყნის აგრარულ სექტორში დამკვიდრდა კერძო საკუთრება და იგი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. ეს არის აგრარული რეფორმის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი.

აგრარული რეფორმების ცენტრალური საკითხია მიწის პრივატიზება, რომლის განცირცივლებამ მიწაზე კერძო საკუთრება დაამკვიდრა. მიწა ქონებრივი უფლებით დაკანონდა. იგი გირაოდაც ჩაიდება და მასზე დაწესდა გადასახადი, რომელიც ახლა ადგილობრივი და ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა, თუმცა მიწაზე გადასახადის ამოღების მექანიზმი ჯერ კიდევ სრულყოფილი როდია.

აგრარულმა რეფორმამ სრულად ვერ გადაჭრა ქვეყანაში კერძო საკუთრების უპირატესობის მექანიზმი. კერძო საკუთრება, მართალია, წამყვანი გახდა, მაგრამ სრულად ვერ იყენებს მის ხელში არსებული მიწის, კაპიტალის, შრომისა და სამეწარმეო უნარის პოტენციურ შესაძლებლობებს. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწა ამჟამად თითქმის გამოუყენებელია.

სპონტანურად დაწყებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად სტიქიურად შეიქმნა სხვადასხვა სახელწოდების და საკუთრებითი ფორმების ინტეგრალური საწარმოები, მაგრამ მოხდა ამ საწარმოთა მხოლოდ მექანიკური შეერთება და არა მათი საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციური სინთეზი; ამასთან უგულვებელყოფილი იყო სახელმწიფო მართვის მარეგულირებელი როლი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თვითდინებით და სტიქიურად წარიმართა.

თანამედროვე მსოფლიოში მიწის საკუთრების სამართლებრივი რეგულირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კერძო მესაკუთრეთა უფლებებში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. მათ შორის გავრცელებულია:

ა) მიწის მიღებისა და მიწასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

მთელ რიგ ქვეყნებში კანონმდებლობით დადგენილია შესაძენი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ზღვარი, შექმნილია პირობები, რომლებიც ხელს უშლის მიწების დანაწევრებას.

მრავალ ქვეყანაში მიწის გაყიდვის დროს პრიორიტეტებად გამოდიან სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოები, რომლებიც შეძენილ მიწას მიყიდვიან ფერმერებს, რომელთაც ამისი დიდი საჭიროება აქვთ და ამით ხელს უწყობენ მიწათსარგებლობის დამსხვილებას.

ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების რეგულირება. მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს კანონმდებლობა, რომლითაც მიწის მესაკუთრე ვალდებულია გამოიყენოს იგი სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის.

დ) კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ბაზარი და მისი რეგულირება. უპირველეს ყოვლისა, მიწა უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ არა თვითდინებაზე მიშვებული, რომელიც უამრავ საზრუნავს შეუქმნის ჩვენს შთამომავლობას.

კერძო საკუთრებაში გადაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ პირველ რიგში იგი უნდა დაემორჩილოს წვრილი კომპური (ოჯახური) მეურნეობებისა და წვრილი მიწათსარგებლობის დამსხვილების ინტერესებს.

ჩვენი აზრით, მიწის ყიდვა-გაყიდვის მექანიზმი შემდეგი პრინციპის დაცვით უნდა წარიმართოს: მიწის ყიდვა- გაყიდვა ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ ბანკის მეშვეობით და სხვა ფორმის გარიგება კანონით ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

მიწის ნაკვეთი, პირველ რიგში, უნდა მიეყიდოს მომიჯნავე მესაკუთრეს, თუ მას ამის სურვილი აქვს და ხელი შეუწყოს ფართობის გამასივებასა და მეურნეობის დამსხვილებას.

თუ მომიჯნავეს ამის სურვილი არ ექნება, მაშინ იგი შეიძლება მიეყიდოს ადგილობრივად მიწათმფლობელს, ამით ფართობის გამასივება ვერ მოხდება, მაგრამ დამსხვილდება მეურნეობა.

საქართველოს ნამდვილად არ გააჩნია მისატოვებელი მიწები და არც უნდა იყოს. თუ ვინმე ცდილობს კერძო საკუთრების უფლებებით სპეკულირებას, ამისათვის კანონმა უნდა თქვას თავისი სიტყვა.

კანონმა მიწის მესაკუთრე უნდა აიძულოს დანიშნულებით და ნაყოფიერად გამოიყენოს მიწა და თუ ამას თვითონ ვერ ახერხებს გაასხვისოს ან უკიდურეს შემთხვევაში სახელმწიფოს დაუბრუნოს.

ე) მიწის იჯარის ბაზარი და მისი რეგულირება. აგრარულ სექტორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიწის ანაზღაურებით გამოყენებას ანუ იჯარას.

მსოფლიოს პრაქტიკაში მეიჯარე შეიძლება იყოს მიწის ნებისმიერი მესაკუთრე, ჩვენს ქვეყანაში მიწის იჯარით გაცემას აწარმოებენ ხელისუფლების ორგანოები და რეგულირდება კანონის საფუძველზე – “სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ”.

მიწის იჯარა საქართველოში ახალი ურთიერთობა არ არის. იგი ოდითგანვე იყო გამოყენებული და ცნობილი იყო როგორც სანახევროდ გაცემა, რაც იმას ნიშნავდა რომ მესაკუთრე თავის საკუთრებაში მყოფ მიწას გადასცემდა სხვას იმ პირობით, რომ ქირად გადაიხდიდა მიღებული მოსავლის ნახევარს, ე.ი. სანახევროდ იჯარა ნიშნავდა ნატურით ანაზღაურებას.

საბჭოურ პერიოდში საკარმიდამო მიწის ფართობის სანახევროდ გაცემა ოფიციალურად ნებადართული არ ყოფილა, მაგრამ მოსახლეობა ამ ურთიერთობას იყენებდა და ანაზღაურების ფორმა მუდამ რჩებოდა მიუღებელი მოსავლის ნახევარი. დღეს როცა ქვეყანამ საბაზრო ურთიერთობის კურსი აირჩია, იჯარა გახდა მიწის ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი ფორმა. იჯარის დროს მიწა სახელმწიფო საკუთრებაში რჩება და მოიჯარეს გამოყენების უფლებით გადაეცემა. ამიტომაც, ახლა მიწა კი არ უნდა გავასხვისოთ (რასაც დღეს ადგილი აქვს), არამედ იჯარით გავცეთ.

მთავრობის გადაწყვეტილებით, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწები კერძო საკუთრებაში გადადის. კარგია, მაგრამ არ უნდა მოხდეს მიწის ფასის ავტომატურად გაზრდა.

საიჯარო ურთიერთობამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად მსხვილი მეწარმეობის ფორმირებას, რომელიც სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის დასაქმებას, მაგრამ თუ საკითხს მეწარმეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი კუთხიდან მივუდგებით, სადაც შესაძლებელია მიწების იჯარით გაცემის დროს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კომლურ (ოჯახურ) მეურნეობებს, იმათ ვისაც კერძო საკუთრებაშიც აქვთ მიწები და ამით შეექმნათ მათი დამსხვილების პირობები.

როგორც ცნობილია, მიწის იჯარით გადაცემა ფორმდება ვადიანი ხელშეკრულებით, რომლის ზედა ზღვარი დაწესებულია 49 წელი და შეიძლება გავრძელებული იქნას ახალი ვადით და გადაცემული იქნას მემკვიდრეობით.

სოფლის ბევრ წამყვან ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, უფრო, ფართოდ მოკლევადიან იჯარას იყენებენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის და ერის სპეციფიკურობიდან გამომდინარე უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ხანგრძლივ იჯარას.

ხანგრძლივი იჯარა უფრო მეტად დაინტერესებს მოიჯარეებს იმით, რომ უკეთესად მოუაროს გადაცემულ მიწას, გააშენოს მაღალრენტაბელური კულტურები, აამაღლოს ნაყოფიერება და აწარმოოს მეტი რაოდენობის პროდუქცია, მოკლევადიანი იჯარის დროს ყველაფერი პირიქით იქნება და მოიჯარე დაინტერესებული იქნება ერთდროული მაღალი მოსავლის მიღებით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ მიწის გამოძალვა, რომელსაც მისი გაუარესება მოყვება.

საიჯარო ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მომენტი ანაზღაურება, მისი ფორმები და ოდენობა.

მიწის იჯარის გადასახადი შეიძლება იყოს ფულითა და ნატურით. სახელმწიფო მიწების იჯარის დროს ჩვენს ქვეყანაში გამოყენებულია მხოლოდ ფულით ანაზღაურება, რომლის დროსაც მოიჯარეები იხდიან ფიქსირებულ გადასახდელს მთელი ფართობისათვის.

სამწუხაროდ ქვეყანაში არსებული საიჯარო გადასახადის სისტემის დიდი ნაკლი ის არის, რომ იგი დაკავშირებული არ არის იჯარით გადაცემული მიწის გამოყენებასთან, მით უმეტეს მოსავლიანობასთან. ჩვენი აზრით საიჯარო გადასახადი მეტი უნდა გადაიხადოს მოიჯარემ, რომელიც მას არადანიშნულებით ან არაეფექტურად გამოიყენებს. ასეთი ზემოქმედება იმასთან ერთად, რომ იქნება შემოსავლის წყარო და ზარალის კონპენსაცია უთუოდ შეუწყობს ხელს პასუხისმგებლობის ამაღლებასაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი, რომელსაც ახლა ადგილობრივი ორგანოები ადგენენ და რომელსაც საფუძველად უდევს მხოლოდ შემოსავლის მიღების და ბიუჯეტის შევსების ინტერესები. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი, მითუმეტეს ცალკეული ნაკვეთებისა ცენტრალიზებულად ვერ გადაწყდება, მაგრამ შეიძლება ზედა ზღვარის დაწესება, რომლის გადამეტება უკანონოდ იქნება მიჩნეული.

დაუსაბუთებლად მაღალი ფასები იწვევს ნაკვეთის ყიდვისაგან თავშეკავებას და დაინტერესებული პირების მიმართავენ ათასგვარ მაქინაციებს, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ დიდ სახსრებს კარგავს.

3) მიწის კადასტრი და მისი (მიწის) ფასის რეგულირება. მიწის კადასტრი არის მიწის თითოეული ნაკვეთის აღწერილობა, რომელიც აუცილებლად ასახავს მის ზომას, იურიდიულ სტატუსს, მფლობელის ვინაობას, მდებარეობას, საზღვრებს და სხვა მონაცემებს. კადასტრში აისახება აგრეთვე მიწის ხარისხობრივი პარამეტრებიც, როგორცაა ნაყოფიერება, გამოყენების ტიპი, ნაყოფიერების ამადლების მიაღრთვები და სხვა.

ასეთნაირი კადასტრი წარმოადგენს ინსტრუმენტს მესაკუთრის და სახელმწიფოს ხელში რომლითაც შეიძლება გაირკვეს ვის რა ქონება გააჩნია. კანონმდებლობით დადგენილია, რომ მიწის მესაკუთრეთა უფლების აღიარება ხდება საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის გზით, რომლის განუყოფელი ნაწილია რუკა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე.

სამწუხაროდ მიწების პრივატიზაცია და კერძო საკუთრებაში გადაცემა არ მომხდარა ახალი აზომებებისა და რუკების შედგენის საფუძველზე, რაც შეეხება საბჭოური პერიოდის კადასტრებს, შეიძლება ითქვას სინამდვილეს არ შეეფერება და არავითარ მონაცემებს არ შეიცავს. კადასტრი, რომელიც მიწის ბზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს შედგენილი უნდა იქნას ხელახლა, რომელიც საშუალებას მოგვცემს:

- სწრაფად და დამატებითი ხარჯების გარეშე ჩატარდეს მიწის ბაზართან დაკავშირებული ყველა ოპერაცია;
- თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები მეზობლებს შორის, რომელიც ხშირად წარმოიშობა საზღვრებთან დაკავშირებით;
- საკადასტრო მონაცემები თავიდან აგვაცილებს კორუფციას.

საკადასტრო მონაცემებმა სრული ინფორმაცია უნდა მისცეს მიწის მყიდველმა. მის ადგილზე დათვალიერებისა და შემოწმების გარეშე. მთვარია ისიც, რომ ახალი კადასტრის შედგენის დროს განმეორებული არ იქნას საბჭოური შეცდომები და უპასუხისმგებლო და დაჩქარების მიზნით კვლავ არ დავეყრდნოთ არასწორ მახევენებლებს.

კადასტრის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწის ფასის დადგენის საქმეში, რომელიც მის თვისებებთან არის დაკავშირებული.

ხ) მიწის ბაზარი და კომლური(ოჯახური) მეურნეობების სამართლებრივი სტატუსი მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელი კომლური(ოჯახური) მეურნეობები მეტად არაპერსპექტიული გვესახებიან, ისინი მაინც არიან და წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის ცხოვრებისა და დასაქმების ადგილს.

კომლური(ოჯახური) მეურნეობების მეწარმეებად აღიარება, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია, გზას გაუხსნის მათ მიწის ბაზრისაკენ და მიწის რაციონალურად გამოყენების პირობებს შექმნის.

ფაქტობრივი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ დღეს მიწის გამყიდველებად ძირითადად გვევლინებიან პირები, რომლებსაც სოფლის მეურნეობასთან კავშირი არასოდეს ჰქონიათ და პრივატიზაციის პერიოდში მოახერხეს მისი მიღება, არა პროდუქციის წარმოების არამედ გაყიდვის მიზნით. ასეთი მიწები დღეს მიტოვებულია მყიდველთა მოლოდინში, რომლებიც ჯერ ჯერობით ნაკლებად ჩანან. ამ კატეგორიის მიწათმფლობელების გვერდით იქნებიან კომლური(ოჯახური) მეურნეობები, მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ძალიან უჭირთ და საკუთრებაში გადაცემულ მიწებს პირველი შესაძლებლობისთანავე გაყიდიან. სოფლად გაჩნდებიან ეგრეთწოდებული უმიწო გლეხები, რომლებიც საზრუნავს შეუქმნიან ხელისუფლებას.

ამასთან დაკავშირებით დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევართა დასაქმება. გზა გაეხსნას სოფლად მცირე სამრეწველო საწარმოების შექმნას, რომლებიც შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, გადამუშავების, მიწოდებისა და სხვა პროფილის, აგრეთვე სოფლის მეწარმეთა მომსახურების, რომლებიც ასევე ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებენ.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის კვალობაზე სოფლის მეურნეობის ნაწილი უარს იტყვის ზარალიანი კომლური(ოჯახური) მეურნეობის გაძღოლაზე, გაყიდის მას მთლიანად ან ნაწილობრივ და შეიცვლის სამუშაო ადგილს. ასეთი ადამიანებისათვის უნდა არსებობდეს გადამზადების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფა ახალი პროფესიის მიცემას.

მიწის ბაზარი თავისთავად წარმოადგენს დადებით მოვლენას, უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, რომელიც შეიძლება განეიტრალებული იქნას სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური რეგულირების ორგანიზაციის გზით. უდაოა, რომ ამით იგი ჩადგება იმ სამსახურში, რომელსაც ჰქვია მიწის, როგორც ძირითადი და შეუცვლელი საწარმოო საშუალების რაციონალურად გამოყენება.

ELGUJA KONJARIA

Zugdidi Teaching University, Academic doctor of economy, Associate Professor

LAND, AS THE MAIN FACTOR OF MANUFACTURING

S u m m a r y

Land holds a special place among human's material tasks. So, it is the important condition of its existence. Thus, it's important how effectively should be used the potential of land.

As it's known land has the important role for the location and action basis for producing, but it's the most important in agriculture as the land is considered to be the main labour tool and object.

Land is the basis of development of every sphere in economics. Thus, it's the inevitable condition for the society to survive. Land is the unfinishable national wealth. Its regional usage is of great importance.

The priority of agriculture on land is caused by its economical role.

Land is of great priority for agriculture .

Therefore, the land suitable for agriculture is defined.

Proceeding from this, the maintenance of land suitable for producing of agricultural goods, increasing its productivity and protection is the main principle to rule land resources.

აბატა კოლუაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი

საქართველოს შუაპლია დაიწყოს ახალი მფვანე „ბიოორბანული რევოლუცია“

კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფა უპირველესი პრობლემაა. ამჟამად მსოფლიოში შიმშილობს ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი, ყოველწლიურად იღუპება 10-დან 36 მილიონამდე ადამიანი პირდაპირი თუ არაპირდაპირი შიმშილით ან ცუდი კვებით და 100 მილიონი სიკვდილის პირასაა მისული. შიმშილის პრობლემის გადაჭრა დღეს სოფლის მეურნეობის ინტენსიური ქიმიზაციის გარეშე შეუძლებელია. მართალია, მწვანე რევოლუციამ დიდი წვლილი შეიტანა ამ მიმართულებით მაგრამ, შიმშილის პრობლემა ვერ გადაჭრა აფრიკის ტროპიკულ და ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში და ახალი პრობლემები შეუქმნა კაცობრიობას ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საქმეში.

მწვანე რევოლუციას საფუძველი ჩაეყარა 1943 წელს მექსიკის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პროგრამის და როკველერის ფონდის საშუალებით. ამ პროექტით უდიდეს წარმატებებს მიაღწია მექსიკელმა სელექციონერმა ნორმან ბორლოუგმა, როელმაც გამოიყვანა ხორბლის მაღალეფექტური ჯიშები, მათ შორის ჩაწოლისადმი მედეგი მოკლე ღეროთი, რომელმაც 1951-1956 წლებში მექსიკა მთლიანად დააკმაყოფილა მარცვლით და ექსპორტიც კი დაიწყო. 15 წლის განმავლობაში მოსავლიანობა 2-ჯერ გაიზარდა. ბორლოუგის ტექნოლოგია გამოყენებულ იქნა სელექციაში კოლუმბიაში, ინდოეთში, პაკისტანში. 1970 წელს ნორმან ბორლოუგმა მიიღო ნობელის პრემია.

მაგრამ, ამავე დროს მინერალური სასუქების და პესტიციდების ფართოდ გამოყენების გამო წარმოიშვა ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციამ დაარღვია ნიადაგების წყლის რეჟიმი, რამაც გამოიწვია მასიური დამლაშება და გაუდაბნოება. ამ დროს ფართოდ დაიწყო ქლორ და ფოსფორორგანული ნივთიერებების (კარბოფოსი, დიქლოფოსი, დდტ და სხვ.) გამოყენება. მაგრამ ისინი ძნელად იშლებიან. ამის მაგალითია დდტ, რომელიც ნაპოვნი იქნა ანტარქტიდის ცხოველებში, ათასობით კილომეტრით დაცილებული ამ ქიმიკატების გამოყენების ადგილიდან.

მწვანე რევოლუციამ ხელი შეუწყო თესლის, სასუქების, პესტიციდების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბაზრების გლობალიზაციასა და დაპყრობას აგროქიმიკატების მწარმოებელი კომპანიების მიერ.

ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს შეგნებული მიწათმოქმედების გადაჭარბებული ქიმიზაციის საშიშროება. მაღალპროდუქტიულ სავარგულზე ზრუნვა, პირველ რიგში, ბიოსფეროს გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების ხელაღებით გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა ნიადაგის ნაყოფიერება (გაზარდა ნიადაგის ეროზიის პროცესი და შეამცირა ჰუმუსის წარმოქმნა), გააუარესა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თვისებები. შხამქიმიკატების გამოყენება ცალკეულ კომპანიათა ხანმოკლე მოგებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე ხდება. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია დღეს პროდუქციის მაღალი ხარისხისა და მისი უვნებლობის გარანტიას არ იძლევა.

რაც არ უნდა გავაკრიტიკოთ “მწვანე რევოლუცია”, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თავის დროს მან კაცობრიობა იხსნა შიმშილისგან. სწორედ ნორმან ბორლოუგმა უჩვენა მსოფლიოს, რომ მხოლოდ მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ურთიერთობას შეუძლია კაცობრიობის პრობლემების გადაჭრა. ეს იყო გენიალური მეცნიერი, გენიალური პიროვნება, რომელიც ძლიერ იყო შეყვარებული სოფლის მეურნეობაზე და მას მიუძღვნა მთელი სიცოცხლე. თავის ბოლო ოფიციალურ გამოსვლაში საერთაშორისო კონფერენციაზე “სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიის პერსპექტივები” (2001წ) მან თქვა: “სოფლის მეურნეობა – კაცობრიობის მოღვაწეობის უნიკალური სახეობაა, რომელიც ერთდროულად შეიძლება განხილულ იქნას როგორც ხელოვნება, მეცნიერება და მცენარეთა და ცხოველთა ზრდის მართვის ხელობა ადამიანის საჭიროებისათვის. დედამიწის მზარდი მოსახლეობის დასაპურებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დედამიწის ყველა წერტილში ხელმისაწვდომი გახდება კულტურულ მცენარეთა ყველაზე მაღალ მოსავლიანი ჯიშების გამოყვანა ყველაზე მოწინავე მეთოდებით. ამისთვის ასევე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიების უკანასკნელი მიღწევების დაუფლება... ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მწვანე რევოლუციამ აღნიშნა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ერა პლანეტაზე. ერისა, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ შეძლო სრულყოფილი ტექნოლოგიების შემოთავაზება განვითარებად ქვეყნებში ფერმერული მეურნეობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პირობების შესაბამისად... მწვანე რევოლუციამ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო შიმშილთან ომის მოგება, რომელსაც ეწევა კაცობრიობა. ჭეშმარიტი გამარჯვების მოპოვება ამ ომში მხოლოდ დროის, არც თუ ისე შორი მომავლის საკითხია... დღეს კაცობრიობა უკვე ფლობს ისეთ ტექნოლოგიებს (რომელიც მთლიანად არის გამზადებული გამოსაყენებლად ან იმყოფება დამუშავების დამამთავრებელ სტადიაში), რომელსაც შეეძლება 10 მილიარდი ადამიანის საიმედოდ გამოკვება. საკითხი მხოლოდ იმაშია, იქნება თუ არა ეს ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი სურსათის მწარმოებლებისთვის მთელ მსოფლიოში”.

ბორლოუგს მტკიცედ წამდა, რომ კაცობრიობის დაპურება შეუძლებელია სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების გარეშე. მაგრამ მოგვიანებით გარდაიცვალებამდე ცოტა ხნით ადრე (2011 წელი) იგი ფერმერებს არწმუნებდა, რომ ქიმიური პროდუქტები ბოროტად არ გამოყენებინათ

მწვანე რევოლუციის მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად საკვებით უზრუნველყოფისათვის ბრძოლის მოგება ღარიბ ქვეყნებში ჯერ კიდევ შორს არის. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კვების პროდუქტების წარმოება ჯერ კიდევ აშკარად არასაკმარისია შიმშილისა და სიღარიბის დასამარცხებლად, მაშინ როცა ჩინეთმა კოლოსალური ნახტომი გააკეთა. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში ამარტია სენი ჩინეთის გრანდიოზულ მიღწევებს შიმშილთან და სიღარიბესთან ბრძოლაში (ინდოეთთან შედარებით) მიაწერს იმას, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა ყოფს დიდძალ სახსრებს განათლებასა და ჯანდაცვაზე, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. უფრო ჯანმრთელი და უკეთესად განვითარებული სოფლის მოსახლეობის გამო ჩინური ეკონომიკა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ორჯერ უფრო სწრაფად განვითარდა ინდოეთთან შედარებით.

“მწვანე რევოლუცია” განვითარებად ქვეყნებში მოიცავს სამ მთავარ კომპონენტს:

პირველი – სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი სახეობების გამოყვანა.

მეორე – ირიგაცია.

მესამე – სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, ე.ი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების (მექანიზაციის), მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება, ისეთი მცენარეების გამოყვანა, რომელთაც შეუძლია დიდი რაოდენობის მინერალური სასუქების ათვისება და გადაამუშავება მოსავლად (განვითარებადი ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დონით

ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. მაგალითად, 1 ჰექტარზე შეაქვთ 60-65 კგ მინერალური სასუქი, მაშინ როცა იაპონიაში შეაქვთ 400 კგ, დასავლეთ ევროპაში – 215 კგ, აშშ-ში – 115 კგ).

გასაგებია, დღეს საით ვითარდება აგრარული მეცნიერება, თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიები, რატომ არიან ისინი ასეთები. თუ ჩვენს უნივერსიტეტებში შემოდებული იქნება კურსი ან თუნდაც ციკლი “მწვანე რევოლუციის” შესახებ, მაშინ კურსდამთავრებულები სხვანაირი, უფრო ღრმად მოაზროვნენ იქნებიან.

1980-იანი წლებიდან საზოგადოება აღაპარაკდა ცხოვრების ჯანმრთელ წესზე, შემდეგ ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიულ ურთიერთობაზე, ეკოსისტემების რღვევაზე, სინთეზურ მასალათა მავნებლობაზე და ა.შ.¹ გასული საუკუნის 70-ან წლებში ერთერთი პირველი ვინც ამ პრობლემაზე წერდა და განგაშს ტეხდა პროფესორი რამაზ გახოკიძე იყო.

მრავალწლიანი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილის თსუ ბიორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ რამაზ გახოკიძის მიერ შესწავლილია ცოცხალი უჯრედის მართვის გზები და გამოვლენილია ახალი თაობის უნივერსალური რეგულატორები (ბიომპულსატორი), ე.წ. ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი, ემატონი, რაგოცინი, რაგილი, იმუნორაგი და სხვ.), რომელთაც მსოფლიოში ანალოგები არ გააჩნია. ისინი გარემოს გაბინძურების გარეშე ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების საშუალებას გვაძლევენ, რაც დღეს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა კაცობრიობის შიმშილისაგან გადასარჩენად.

ბიომპულსატორები უხვი მოსავლის, გარემოს ფაქტორებისა და დაავადებებისადმი მცენარეთა მდგრადობის გაზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მიწის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ბიორაგი ბიოენერგოაქტივატორების ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში გაიარა ტოქსიკურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და სამეურნეო გამოცდები. დადგენილ იქნა მისი სრული უვნებლობა. უფრო მეტიც, გამოვლენილი იქნა მისი მაღალი ანტიმუტაგენური აქტივობა და პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებები, რის გამოც რეკომენდებულ იქნა მისი გამოყენება როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მედიცინასა და კვების მრეწველობაში.

ბიორაგით შესაძლებელია:

1. მარცვლოვანი, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა (რიგ შემთხვევებში 2-3-ჯერ და მეტად).²
2. მრავალწლოვან კულტურათა კალმების სწრაფად დაფესვიანება და ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; მეწლეობის თავიდან აცილება.³
3. მინერალური სასუქების გამოყენების ოპტიმიზაცია
4. მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლება.⁴
5. ჰიბრიდული მცენარეების მოსავლიანობის და ხარისხის გაზრდა.
6. გარემოდან საკვებ ნივთიერებათა შეთვისების გაძლიერება.⁵

¹ თანამედროვე აგროტექნოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პროგრესული ტექნოლოგიური ოპერაციების (პრეციზიული ტექნიკის, თანამედროვე პრეპარატების, ინფორმაციული ტექნოლოგიების) გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქციის მართვა. მისი მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება ბიოლოგიურ პოტენციურ მოსავლიანობამდე, მცენარეთა მინერალური კვების ოპტიმიზაცია და გარემოს სტრესული ფაქტორებისა და დაავადებების მიმართ გამძლეობის გაზრდა.

² არსებობს სამი ათეული წლის განმავლობაში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს აგროკლიმატურ პირობებში ბიორაგის საფეხე გამოცდების მრავალი აქტი და ფერმერთა გამოხმაურება. მაგალითად, 2008-2011 წლებში ფერმერ გიორგი გაბრიჭიძის მიერ დაზღაშებულ ნიადაგზე სოფ. კუმისში (გარდაბნის რ-ნი) მიღებულია სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 184 ტ/ჰა ნაცვლად 2,3 ტ/ჰა-სი, ხორბლისა – 12,6 ტ/ჰა ნაცვლად 1,3 ტ/ჰა-სი, შაქრის ჭარხლისა – 147 ტ/ჰა ნაცვლად 40 ტ/ჰა-სი, სუფრის ჭარხლისა – 60 ტ/ჰა ნაცვლად 2,5 ტ/ჰა-სი. თითო ძირ პომიდორზე მიღებულია 12-15კგ ნაყოფი, ნაცვლად 2-4კგ-ისა, ხოლო თითო ძირ კიტრზე – 45-50კგ, ნაცვლად 4-6კგ-ისა. კრწანისის ტყეპარკის მონაცემებით, ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის ნამატმა 1 ჰექტარზე შეადგინა: ქინძის – 9 ტ ნაცვლად 4 ტ-ისა, ოხრახუშის – 40 ტ ნაცვლად 15 ტ-ისა, კამის – 9 ტ ნაცვლად 4 ტ-ისა, ხახვის – 20 ტ ნაცვლად 8 ტ-ისა და ა.შ.

³ ბიორაგით შესაძლებელი გახდა აქტივობა კივის კალმების 94-97%-ით დაფესვიანება. სოფელ პირველ ჭოლაში (ჩხოროწყის რაიონი) ბიოენერგოაქტივატორის გამოყენებით სამი წლით დაჩქარდა კივის ნაყოფმსხმოიარობა და ერთ მცენარეზე საშუალოდ მიღებული იქნა 920 ცალი ნაყოფი.

სამი წლის საშუალო მონაცემებით ღრმადელის ციტრუსების მეურნეობაში (ღანჩხუთის რაიონი) ბიორაგის გამოყენებით სტევიის მოსავლიანობა ჰექტარზე ამაღლდა 7-დან 20 ტონამდე, ხოლო სტევიოზიდის შემცველობა - 6%-ით.

⁴ სიმინდში შეუცვლელი ამინოჰაზას – ლიზინის შემცველობა იზრდება 98%-ით, იოდის – 960%-ით, სელენის – 200%-ით. კარტოფილში C ვიტამინის შემცველობა იზრდება 50%-ით. მზესუმზირაში ზეთიანობა იზრდება 52%-ით. ხორბალში (ქართული ჯიში “დოლის პური”) წებოვარას შემცველობა, რომელიც პურცხობის ხარისხის მაჩვენებელია, 17%-დან 43,2%-მდე იზრდება.

⁵ ბიოენერგოაქტივატორი რამდენიმეჯერ ზრდის ჰაერიდან აზოტის შეთვისებას კოჟრის ბაქტერიების მნიშვნელოვნად გააქტიურების გამო.

7. დაავადებების მიმართ მცენარეთა მდგრადობის ამაღლება.¹
8. ყინვა და გვალვავაგამძლეობის ამაღლება.²
9. სასუქების გამოყენებისა ოპტიმიზაცია.
10. ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება შხამქიმიკატების (პესტიციდები) გამოთიშვით (ნაყოფში მნიშვნელოვნად მცირდება ნიტრატების, მძიმე მეტალების, რადიონუკლიდების შემცველობა).
11. სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღება (ვიტამინების, მიკროელემენტების, ამინომჟავების და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის მკვეთრად გაზრდის გამო).
12. ბავშვთა კვებისათვის აუცილებელი მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღება.
13. შაქრის დამგროვებელ კულტურებში (შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, ყურძენი, საზამთრო, ატამი და ა.შ.) შაქრიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს, როგორც კვების პროდუქტებზე, ისე ბიოსაწვავის წარმოებაზე.³
14. სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მწვანე მასის რამდენიმეჯერ გაზრდა, რაც ვიტამინების, ცილის, ნახშირწყლების, მიკროელემენტების მაღალი შემცველობის გამო საუკეთესო საკვებს წარმოადგენს ცხოველებისათვის.
15. სამკურნალო მცენარეთა მოსავლიანობის ამაღლება, ხარისხობრივი მანევრებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და, შესაბამისად, ფიტოთერაპიული ეფექტიანობის გაზრდა.⁴
16. მიწის ეფექტურად გამოყენება ბიოჰუმუსის შენარჩუნებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე მიწიანი ქვეყნებისათვის.
17. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად მწვანე ფოთლის ფართობის და ფოტოსინთეზური აქტიურობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რითაც ძლიერდება ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის – სათბური გაზის შთანთქმა, რაც გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზაა.⁵

ბიორაგის საშუალებით მოყვანილი კულტურებით კვება, ასევე საკვებში ბიორაგის დამატება ან უშუალოდ ორგანიზმში შეყვანა ზრდის ფრინველებისა და ცხოველების წონას, პროდუქტიულობასა და დაავადებების მიმართ გამძლეობას. უმჯობესდება ხორცის გემო და კვებითი თვისებები, იზრდება ფრინველთა კვერცხმდებლობა, საქონლის წველადობა.⁶ უკანასკნელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბიომიპულსატორების ზემოქმედებით მნიშვნელოვნად მცირდება ხორცში ქოლესტერინის რაოდენობა.

ახალი ბიორგანული აგროტექნოლოგიის გამოყენებით: 1) მნიშვნელოვნად ძლიერდება მინერალური კვების გამოყენების ეფექტიანობა, ფოტოსინთეზური აპარატი, გარემოდან წყლისა და საკვები ნივთიერებების შეთვისება; 2) მკვეთრად მცირდება გარემოზე აგროქიმიკატების ნეგატიური

¹ თელავის რაიონში, გამოცდილ იქნა ბიორაგი 100%-ით დაავადებული თუთის ხის (ჯიში „გრუზია“) თესლ-ნერგებზე, ნამყენ-ნერგებზე და ხნიერ ნარგავობაზე. ბიორაგის შეტანის შემდეგ თესლ-ნერგების დაავადება პრაქტიკულად არ აღინიშნება, ხოლო ნამყენი ნერგებისა და ხნიერი ნარგავობის შემთხვევაში დაავადება მკვეთრად მცირდება.

² რაგოცინმა ლიმნის (ჯიში „ახალქართული“) ყინვაგამძლეობა -4,50C-იდან -150C-მდე გაზარდა.

³ მაგალითად, შაქრის ჭარხლის ბოლქვების მოსავალი ყოველ ჰექტარზე მსოფლიოში (50 ტ. საშუალო მოსავლიანობის და 14% შაქრიანობის შემთხვევაში) შეიცავს დაახლოებით 7 ტ. კრისტალურ შაქარს. ბიორაგის გამოყენებით ეს მანევრებული შეადგენს 32 ტონას (საშუალო მოსავლიანობა 143 ტ/ჰა, შაქრიანობა – 22,5%). ბიორაგის გაყვანით „იზაბელას“ ჯიშის ყურძნის შაქრიანობამ გადააჭარბა 24%-ს. აღსანიშნავია, რომ შაქრიანობასთან ერთად იზრდება მჟავიანობაც.

⁴ მცენარე ბაღბაში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა მკვეთრად აღემატება საკონტროლო ნიმუშებში იგივე ნივთიერებათა შემცველობას. ბიომასა იზრდება 1,5-ჯერ, ნახშირწყლების შემცველობა – 58%-ით, ორგანული მჟავების – 110%-ით, ალკალიდების – 320%-ით.

⁵ ბიორაგის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მცენარეთა ზრდა-განვითარების დაჩქარება (მაგალითად, ტყის კულტურების 4-5 წლით) და მცენარეზე ფოთოლთა ზედაპირის საერთო ფართობის გაზრდა საშუალოდ 525%-ით, მაშინ როცა, ლიტერატურული მონაცემებით, საუკეთესო მაჩვენებელია 15-17%, ასევე აღსანიშნავია, რომ ქლოროფილის შემცველობა იზრდება 82-91%-ით (ლიტერატურული მონაცემებით კი 2-7%-ით), რაც მკვეთრად აძლიერებს ფოტოსინთეზურ აქტიურობას (ნახშირორჟანგის და მზის რადიაციის შთანთქმას). 1 მილიონი ჰექტარ ფართობზე ბიორაგის გამოყენებით შესაძლებელია ატმოსფეროდან 30 მილიონ ტონამდე ნახშირორჟანგის მოცილება მცენარეების მიერ ყოველწლიურად. ლიტერატურული მონაცემებით კი იმავე ფართობზე შესაძლებელია მხოლოდ 1 მილიონი ტონა ნახშირორჟანგის შთანთქმა (<<http://www.kiev.trade.gov.uk/download/life/f.9149/>>).

⁶ მაგალითად, 10 თვის დაუკოდავი ღორის (ჯიში „ლანდრასი“) წონამ მიაღწია 320 კგ-ს (ბიორაგი ეძლეოდა 3 თვის ასაკიდან). კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშირო ინსტიტუტის მონაცემებით, ბიოენერგოაქტივატორის გაყვანით ცოცხალი მასის საშუალო ნამატმა შეადგინა: წიწილაში – 40,5% (2 თვის შემდეგ), მსხვილფეხა რქოსან საქონელში – 23,2% (4 თვის შემდეგ), ღორში – 15,8% (2,5 თვის შემდეგ), კალმასში – 21,8% (2 თვის შემდეგ).

1 ტონა მშრალ ჩვეულებრივ ულუფაში 1 კგ ლიზინის დამატებით ღორების წონა საშუალოდ 23%-ით იზრდება, ხოლო საკვების ხარჯი, ნამატის ერთეულზე გადაანგარიშებით, 18%-ით მცირდება.

გავლენა. ნაყოფში პრაქტიკულად არ რჩება სასუქები და პესტიციდები. ყოველივე ეს კი მაქსიმალურად ზრდის არსებული სასუქების პოტენციურ შესაძლებლობებს და გამოყენების არეალს.

ბიოენერგოაქტივატორებმა პრინციპულად შეცვალა მემცენარეობის და სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი პრინციპები:

ა) მცენარეთა მწვანე მასის ზრდა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ნაყოფის პროდუქტიულობასთან. ბიომპულსატორების საშუალებით კი ერთდროულად იზრდება როგორც ნაყოფის, ისე მწვანე მასის მოსავლიანობა და ხარისხი, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქონლის საკვები ბაზის წარმოებაში.

ბ) დღემდე ცნობილი მეთოდების გამოყენებით მოსავლიანობის გადიდება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია პროდუქტის ეკოლოგიურ სისუფთავესთან. მოსავლის ზრდას თანამედროვე ინტენსიურ მემცენარეობაში, წესისამებრ, თან ახლავს მისი ხარისხის გაუარესება (ჭარბი ქიმიზაციის, გენური ინჟინერიის და ა.შ. გამოყენება). ბიომპულსატორების საშუალებით კი მნიშვნელოვნად უმჯობესდება მოსავლის ხარისხი ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მიკროელემენტების გაზრდის ხარჯზე.

გ) დღეს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მცენარეთა ზრდის სტიმულატორები შერჩევითად მოქმედებენ ამა თუ იმ კულტურაზე და მათი უმრავლესობა არ არის ეკოლოგიურად სუფთა, ხოლო მოსავლის ნამატი უმნიშვნელოა და, ხშირ შემთხვევებში, ადგილი აქვს ხარისხის გაუარესებას.

დ) ბიომპულსატორები იწვევს როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი პრაქტიკულად ყველა მცენარის აქტიურად ზრდასა და განვითარებას.

ე) ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით მცენარე ივითარებს არა მარტო მძლავრ, გრძელ და დატოტვილ ფესვთა სისტემას, არამედ მკვეთრად ძლიერდება ნიადაგიდან წყლისა და საკვები ნივთიერებების შეთვისება. ამის გამო მნიშვნელოვნად მცირდება სასუქების მოხმარების ნორმა. უფრო მეტიც, ბიოენერგოაქტივატორი აძლიერებს ნიადაგის მიკრობიოლოგიურ ინტენსივობას და ნიადაგის ქვედა ფენებიდან ქიმიურ ნივთიერებათა ბიოგენურ მიგრაციას, რის გამოც მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგი არა თუ იფიტება, არამედ ნოყიერდება(!). მაგალითად, წუღრულაშენში მამათა მონასტრის ტერიტორიაზე (ბოლნისის რაიონი) ხრიოკ ადგილზე (აგროქიმიური შედგენილობა: აზოტი – 20,6 მგ/ლ, კალიუმი – 65 მგ/ლ, ფოსფორი – 0 მგ/ლ) დაითესა ბიორაგით დამუშავებული ხორბალი. მოსავლის აღების შემდეგ ჩატარებულმა აგროქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნიადაგი საკმაოდ გამდიდრდა (აზოტი – 24,4 მგ/ლ, კალიუმი – 80 მგ/ლ, ფოსფორი – 0,058 მგ/ლ). როდესაც მწვანე რეველუციის მამას ნორმან ბორლოუგს ჰკითხეს, შესაძლებელია თუ არა ისეთი ჯიშის გამოყვანა, რომელსაც სასუქები არ დასჭირდება, მან უპასუხა, რომ იგი ამას შესძლებს ერთი წლის შემდეგ, როცა დამუშავდება ქალის ან კაცის მიღების გზები, რომელთაც საკვები არ დასჭირდებათ. ამ ხუმრობაში ბევრი სიმართლევცაა: მაღალი მოსავლის მისაღებად მცენარე კარგად უნდა ვკვებოთ. ბიოენერგოაქტივატორი მწირ ნიადაგზეც კი (თუ იგი არ არის მძიმე მექანიკური შედგენილობის) უზრუნველყოფს მცენარის საკვები ნივთიერებებით მომარაგებას.

ვ) როგორც მრავალწლიანმა გამოკვლევებმა აჩვენა, ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით შესაძლებელია: ნატურალური, მაღალი ხარისხის (პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებების მქონე) მოსავლის მიღება; ძნელად დასაფესვიანებელი, მრავალწლიანი ძვირფასი მცენარეების ვეგეტატიურად გამრავლება და ზრდისა და ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; მეაბრეშუმეობის აღდგენა; ძველი ენდემური ვაზის ჯიშების გამრავლება; ინფექციებისადმი მგრძობიარე მაღალხარისხის ლიმონის (როგორიცაა, მაგალითად, “ახალქართული” ლიმონის ჯიში) პლანტაციების აღდგენა; მაღალპროდუქტიული თხილის პლანტაციების მოშენება; ფრინველთა და ცხოველთა ცოცხალი წონისა პროდუქტიულობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

უკანასკნელი გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ბიოენერგოაქტივატორებს და მათი გამოყენებით მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აღმოაჩნდა მაღალი ანტიმუტაგენური, ანტიციტოტოქსიკური და ანტიზოგადტოქსიკური ეფექტი. ისინი, ცნობილ პრეპარატებთან შედარებით, რამდენიმეჯერ ამცირებენ პესტიციდების, სასუქებისა და გარემოში არსებულ კანცეროგენურ ნივთიერებათა მიერ გამოწვეულ მუტაგენურ და ტოქსიკურ დარღვევებს, რითაც მკვეთრად ამცირებენ ავთვისებიან სიმსივნეთა განვითარების რისკს (შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადების ინსტიტუტის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის მონაცემები).

დასასრულ, საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას, სოფლის მეურნეობის გაძლიერების სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელიც ბუნებათსარგებლობის პრინციპებს, ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

ჩვენი საწარმოო მასშტაბების მქონე ქვეყანას ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე, რადგან, მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უვნებლობასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვაფართოოთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვლენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი, ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას. ეს უპირატესობა, საქართველოს მთიანეთს აქვს.

დღეს საგანგაშოა როცა ვსაუბრობთ და ვგეგმავთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდას ირიგაციით და პესტიციდებით და საერთოდ არ ვახსენებთ ბიოწარმოებას. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კონკურენტუნარიანობა შესაძლებელია ა.შ. ვერ გაიზრდება და რასაც დაქირავებული ლობისტების დიდი ჯგუფი საქართველოში ყიდის როგორც უკანასკნელ იმედს და „ჭეშმარიტებას“, ისინი საერთოდ არ განიხილავენ გრძელვადიან პერსპექტივაში იმ რეალობას, რომ ნიადაგის ნაყოფიერება იკლებს და დაავადებები მატულობს და მიწისქვეშა უნიკალური წყლის რეზერვუარების დაბინძურება იზრდება.

მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ეკოლოგიურ ეკონომიკაზე დაფუძნებულ ბიოორგანულ პროდუქტებზე. ამიტომ თვით აშშ-იც კი ამ გზას დაადგა ახლახან (2012 წლის 28 ივნისი), როცა ევროკავშირთან პაქტი გააფორმა ბიოპროდუქტების წარმოება-სერტიფიცირების საკითხზე. კერძოდ: *The EU Agriculture and Rural Development office and the US Department of Agriculture (USDA) have signed an pact to work together to promote strong organic programs, protect organic standards, enhance cooperation, and facilitate trade in organic products* (იხ.: <http://www.poultrymed.com/Poultry/Templates/showpage.asp?DBID=1&LNGID=1&TMID=178&FID=888&PID=0&IID=15403>).

დასკვნის მაგიერ. ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი და სხვები) მრავალპროფილიანი ახალი ბიოპრეპარატებია, რომლებიც იწვევენ ცოცხალი ორგანიზმის სარეზერვო მექანიზმების მაქსიმალურ გააქტიურებას, პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლინებას და ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებას. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სახელმწიფოს პოლიტიკური ნება და მისი განხორციელება (სტუ-თან ან თსუ-თან უნდა შეიქმნას ბიოენერგოაქტივატორების მწარმოებელი მძლავრი სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორია). საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა დაიწყოთ ახალი მწვანე: „ბიოორგანული რევოლუცია!“

PAATA KOGUASHVILI

Member of the Georgian Academy of Agriculture, Full Professor

GEORGIA ENABLES TO BEGIN THE NEW GREEN „BIOORGANIC REVOLUTION”

S u m m a r y

Professor Ramaz Gakhokidze worked out the innovative agrobiorganic technology, and revealed the new generation's universal bioregulators - bioenergyactivators having no analogues in the world.

New technology enables: significant increase of cereals, vegetables and technical crops yield (in some cases – 2-3 times and more); sharp raise of quality indices of the crop; biologically pure harvest with sharp decrease of any fertilizers and pesticides which is necessary for babies nourishment; fast rootage of perennial crops cuttings and acceleration of their productivity with several years; avoid of extension of years; raising the skills of plants resistance against the diseases, freeze and drought; increase of the weight and productivity of poultry and cattle and ensure their skills to resist to any illness.

Bioenergyactivators and the rural products received thanks to them have higher antimutagenic and anticarcinogenic effect. They can reduce mutagenic and toxic violations caused by carcinogenic substances of the environment or by the pesticides and fertilizers; in this manner they significantly reduce the risk of development of any malignant tumour. Innovative technology represents absolutely new type of the technology – agromedicinal technology, i.e. medicinal-prophylactic agriculture. Georgia enables to begin the new green “Bioorganic Revolution”.

აკატა კოლუაშვილი

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი
ანა შირცხალაშვილი*

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

დავითი ჩხენი საარსებო და თავის სარჩენი ბაზა

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გამოგონების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. თანასწორია.

მოქალაქეთა თანასწორობა მდგომარეობს:

- ა) თანასწორობაში კანონის წინაშე
- ბ) უფლებაში, რომ იგი და მისი შთამომავალი, აწ და მარადის, საქართველოს მიწა-წყალს და ბუნებრივ რესურსებს განიხილავდნენ როგორც თავის სარჩენ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.¹

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეები დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისაგან, არამედ სასურსათოსაგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან), კონკრეტულად – მუდმივად და უცვლელად ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. მისი ერთადერთი რეალური გზაა – თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური,

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გაატარა “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512”, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უადრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უზღვეველმყოფელ “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გადატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა თუ არ საქართველოს დემოგრაფიული დეპარტევიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევებისწინაშე.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გადარბევა უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირე- მიწიანობით. ხელისუფლების მხრიდან არის მცდელობა იმისა, რომ ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ (სოფლის მეურნეობა არაა ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს) – თანაც გემოდვრავენ და გვამწვიდებენ, „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოგვედით გონს, რადგან ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთ შეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგად კულტურული ფონისა და აქსიოლოგიური ფონის მხრივ, მითუმეტეს – ენის მხრივ. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავედება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის საგარეულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (*jus utendi et abutendi*, - გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და შეზღუდული (BVerfGE 21, 73). რესურსი. განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის საგარეულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივი ინტერესთან შეუთავსებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 37 [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისათვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე ეს სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი საქონელი“.

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული

ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავის რჩენის მთავარი ბაზა სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

26. 06. 2012 წლამდე საქართველოში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონითა აკრძალული იყო საქართველოში უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შექენა. თუ იგი სასოფლო-სამეურნეო მიწას მემკვიდრეობით საკუთრებაში მიიღებდა, მას მიღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 6 თვის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეზე უნდა გაესხვისებინა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით მსგავსი აკრძალვა (კანონის შესაბამისი მუხლების, პუნქტებისა და სიტყვების გაუქმებით) ძალადაკარგულად ითვლება.

საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ² არ არის დაშვებული კანონმდებლის მიერ იგივე შინაარსის ნორმის მიღება, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონში არა ბლანკეტური აკრძალვა, ისეთი, როგორც ნორმის გაუქმებამდე იყო, არამედ მხოლოდ შეზღუდვა ჩაიდოს. სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარეობს,³ რომ იგი არაკონსტიტუციურად თვლის უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.

საკუთრებას სოციალურ სახელმწიფოში, მესაკუთრის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, აქვს სოციალური ფუნქცია. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მქდავდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.

ამიტომაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გავითვალისწინოთ როგორცაა მაგალითად, ავსტრიაში (უცხოელი 10 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში, სადაც ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას შეიძენს) ან კიდევ თურქეთში (მას მხოლოდ გარკვეული ოდენობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა შეუძლია ჰქონდეს საკუთრებაში), ან კიდევ პოლონეთში (სანებართვო სისტემა ამუშავდეს), საინტერესოა გერმანიის მაგალითი (სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. იგივეა ავსტრიაშიც). დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება

¹ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები: ა) „ამ მუხლის 11, 12 და 13 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში“, ბ) „უცხოელსა და“, რომელიც გრძელდება სიტყვებით „საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვს მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწის ნაკვეთზე...“, გ) „ხოლო უცხოელს – აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე“ და მე-4 მუხლის 11 პუნქტის სიტყვები „უცხოელი და“

² 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი

³ 2012-06-26/მე512

მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75% მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეად ჩაითვალოს. სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული.

შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი, ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წვერი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

მიწას საკუთრების სხვა ობიექტებისაგან მისი განსაკუთრებული სოციალური ბოჭვა გამოყოფს, რადგან მიწას მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო და სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი შედეგის მოტანა შეუძლია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს აქვს იმის საფუძველი, რომ მიწა გასხვისებისგან უფრო „დაცულად“ განიხილოს, ვიდრე სხვა მატერიალური ღირებულებები. სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის ასეთ მაღალ რანგში აყვანა კი კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება.

საჭიროა შევიდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს კანონში რიგი ცვლილებები, რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.

სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უცხოელთა მიმართ, უნდა დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები:

- ა) უცხოელის მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენა დაშვებულია მხოლოდ ორნახევარი (2.5) ჰექტრის ოდენობით (თითოეულ კომლ/პირზე). საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ 5% შეიძლება იყოს უცხოელთა საკუთრებაში.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ, ისე რომ მისი ფუნქციობა შეესაბამებოდეს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს.
- გ) საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენა შეუძლია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელშიც საქართველოს მოქალაქე წილობრივად ფლობს არანაკლებ 51%.
- დ) შერეული კაპიტალით შექმნილ, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, ჯამურად, დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის არაუმეტეს 10%-ის შექენა. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შერეული კაპიტალით შექმნილი იურიდიული პირის ლიკვიდაცია ან დაშლა-გაყოფა, მაშინ უცხოელ პარტნიორს, როგორც ფიზიკურ პირს, აქვს უფლება გაიტანოს სასოფლო-სამეურნეო მიწა ქონების სახით არაუმეტეს 2.5 ჰექტრისა, ხოლო, როგორც იურიდიულ და ასევე ფიზიკურ პირს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა უფლება გაიტანოს სასოფლო-სამეურნეო მიწა ქონების სახით, თუ იგი ხდება პარტნიორი საქართველოში რეგისტრირებული ისეთი იურიდიული პირისა, რომელშიც უცხოელთა წილი მისი შემატების შემდეგ არ შეადგენს 49%-ზე მეტს.
- ე) უცხოელი, რომელსაც სურს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენა, უნდა:
- ცხოვრობდეს საქართველოში კანონიერად ბოლო 7 წლის განმავლობაში;
 - ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლად ცხოვრების და აგრარული შრომის ხუთწლიანი გამოცდილება;
 - ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო კაპიტალს.
- ვ) სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია მხოლოდ სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის მქონე პირებს შორის.
- ზ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას.
- დასასრულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ, ორი გზა არსებობს:
1. მიწის კერძო საკუთრება;
 2. მიწის გრძელვადიანი გასხვისება და იჯარა.
- ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისთვის, უცხოელების მიმართ, ძირითადად ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გამოყენებული. ამისთვის კი საჭიროა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების აღდგენა და მასში ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებების შეტანა.
- ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება შევარბილოთ დაშვებული შეცდომის კატასტროფული შედეგები, მივიღოთ სათანადო კანონი.

PAATA KOGUASHVILI

Member of the Georgian Academy of Agriculture, Full Professor

ANNA PIRTSKHALASHVILI

Georgian Technical University, Professor

WE SHOULD PROTECT OUR SUBSISTANCE BASE

S u m m a r y

Every Georgian citizen, despite sex, race, nationality, affiliation, skin color, place of birth and etc. is entitled to consider the natural resources of Georgia and the rural land on the first place,

ataguaranteedbaseoffeedingforhis/herdescendants, fromnowonandillforever.

The decision of Georgian constitutional court of June 26th, 2012, #3/1/5/512 cancelled the last restrictions on alienating the rural lands to people without citizenship, as a result Georgian agricultural land was put to the open market, where practically no competitive Georgian citizens exist.

According to the authors, can be formed such legislation, which allows foreigners to own land, but only with certain restrictions. It is necessary to make a number of changes in the Georgian law "about the agricultural land" in which will be reflected limitations which are adjusted to the modern terms and cover the alienation of the agricultural land to the foreigners.

ხათუნა კურტანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

კურორტ სურამში ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების ასპექტები

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე ეტაპზე მეტად ინტენსიური ხასიათი შეიძინა ქვეყნის განვითარების ახალი რეგიონული პარადიგმების კვლევა-ძიების მიმართულებით წარმართულმა საქმიანობამ.

რეგიონის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე, სამეცნიერო ლიტერატურის განხილვების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს მინიმუმ ხუთი კონცეფცია:

- რეგიონი, როგორც ჩაკეტილი თვითუზრუნველყოფი მუდრეობა;
- ტექნოლოგიური კონცეფცია, რომლის არსი დარგებსა და საწარმოთა შორის მჭიდრო კვლავწარმოებით კავშირების განვითარებას უკავშირდება;
- რეგიონის მუდრეობის დარგობრივი სტრუქტურის ყველა ელემენტის ურთიერთქმედება, მთლიანობა და დარგების რაციონალური თანხვედრა;
- სოციალური პრიორიტეტების ამსახველი კვლავწარმოებითი მიდგომა;
- ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიულ, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებაზე.

ჩვენს ქვეყანაში შეიმჩნევა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის

სულ უფრო გაძლიერებული და მზარდი დიფერენციაცია, განსაკუთრებით კი ბევრი რეგიონის სულ უფრო პროგრესირებული ჩამორჩენა.

ნეგატიური ტენდენციების დაძლევა და ეკონომიკური სივრცის მყარი პროგრესული ევოლუცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოსა და საქართველოს საზოგადოების კონსტრუქციული ძალების კონსოლიდირებული პოლიტიკის ზემოქმედებით. ტერიტორიული განვითარების სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს რეგიონების ეკონომიკისა და ეროვნული ეკონომიკური სივრცის პრიორიტეტებსა და რესტრუქტურისა და რეგულირების ეტაპებს, ხოლო რეგიონული პოლიტიკა-სტრატეგიის სარეალიზაციო კონკრეტულ ზომებს უნდა აკავშირებდეს, ახამებდეს სოციალურ-ეკონომიკური ასოციაციის ყველა დანარჩენ მიმართულებებთან, სახელმწიფოს და თავად რეგიონის რესურსულ შესაძლებლობებთან. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ტურიზმი, რომელიც ძალზე საინტერესოდ ესადაგება ქართველი ადამიანის მენტალიტეტს, მის ბუნებასა და ხასიათს, ვისთვისაც „სტუმარი ღვთისაა“.

ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინდუსტრიაა მსოფლიოში. მის განვითარებას განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობის განვითარების გამყარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფას. ტურიზმი ახდენს გავლენას ეკონომიკის ისეთ საკვანძო დარგებზე, როგორებიცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, საზოგადოებრივი მოხმარების საქონლის წარმოება და სხვა. იგი ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და კულტურული დონის ამაღლებას.

ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკა მოიცავს ინფრასტრუქტურის მშენებლობას, გზებს, ჯანდაცვის დაწესებულებებს, სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრებს, რაც ასევე ამცირებს უმუშევრობას და ზრდის შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში.

დღეს, საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა ინფრასტრუქტურის განვითარება. სწორედ ესაა ქვეყნის სტრატეგიის მთავარი საყრდენი.

ტურიზმის მდგრადი განვითარება რეგიონებში არის წინაპირობა რეგიონების სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა და ფორმირებისა რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ რეგიონის მოსახლეობისათვის.

კვლევის ობიექტად შევარჩიეთ შიდა ქართლის რეგიონის უმთავრესი კლიმატური კურორტი სურამი. ჰავა ზომიერად თბილი, მშრალი, ღანდშაფტი მრავალფეროვანი.

შიდა-ქართლის რეგიონის ტურისტულ პოტენციალს განსაზღვრავს: გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნება, ანკარა წყაროები, პატარა მდინარეები, ბუნებრივი და ხელოვნური ტბები, ლიხის და რიკოთის უნშენიერესი სანახაობები, ბუნებრივი და კულტურული ძეგლების სიმრავლე.

სურამის რეგიონში შესაძლებელია ტურიზმის შემდეგი მიმართულებების განვითარება: სამკურნალო ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, კულტურული ტურიზმი და ტურიზმის ექსტრემალური სახეობები.

დღესდღეობით სურამი გამორჩეული სამკურნალო კურორტია და ამასთანავე გამოუყენებელი და აუთვისებელია მისი სამკურნალო შესაძლებლობების დიდი ნაწილი. სამკურნალო ტურიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ გაცილებით დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, ვიდრე ტურიზმის სხვა სახეებს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკვლევ რეგიონში განსაკუთრებულად დიდი რესურსია გამოუყენებელ-აუთვისებელი, რისთვისაც საჭიროა განვითარდეს და ფეხზე დადგეს რეგიონალური ტურიზმის ინფრასტრუქტურა.

როგორც საკვლევ რეგიონში, ასევე საქართველოში რეგიონების ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

- არსებობს თუ არა რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები;
- არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი;
- ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ესაჭიროება თუ არა რეგიონს ტურიზმის განვითარება;
- არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის დამატებითი შრომითი რესურსების შემოყვანის გარეშე;
- გამართლებულია თუ არა დანახარჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
- შესაძლებელია თუ არა კონკურენტების გამოჩენა შესაძლო ტურისტული პროექტებიდან მეზობელ რეგიონებში;

საკვლევ ობიექტზე ჩატარებული ანალიზისას გამოიკვეთა ტურიზმის განვითარებისათვის არსებული როგორც ძლიერი ასევე სუსტი მხარეები, რომლებიც ხელს უშლიან აღნიშნული დარგის განვითარებას (იხ. SWOT ანალიზი N1).


ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის განვითარების პერსპექტივები. • ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები. • მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური და კულტურული ძეგლების არსებობა. • მდიდარი კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა. • მრავალფეროვანი ღანდშაფტი და ეკოსისტემის ნაირსახეობა. • შემოსულ ტურისტთა მზარდი რაოდენობის არსებობა. 	<ul style="list-style-type: none"> • გაძარცვული და განადგურებული ინფრასტრუქტურის ობიექტები • დაზიანებული (სარეაბილიტაციო) კულტურული ძეგლები • ინფრასტრუქტურის დაბალი დონე, ინფრასტრუქტურის ობიექტებთან დაკავშირებული პრობლემები. • რეგიონის ტურისტული და სარეკრეაციო შესაძლებლობების შეუსწავლობა. • რეგიონის სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა. • ტურისტული პროდუქციის შემზღვეველი სპექტრი. რეგიონში ტურისტული პროგრამების არ არსებობა (მაგ. კულტურული ტურები) • ტურისტთა განთავსების არასაკმარისი სიმძლავრეები

	<ul style="list-style-type: none"> • რეგიონში ტურისტების მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. • რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის კადრების სიმცირე. • ინფორმაციის სიმცირე
--	---

შესაძლებლობები	არასაკმარისი სიმძლავრეები
<ul style="list-style-type: none"> • არსებული პრობლემების გადაჭრისათვის სახელმწიფო აქტიურობა. გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება. • ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა • არსებული ისტორიული და ძეგლების რესტავრაციის და შემდგომი მოვლა-შენახვის პერსპექტივები. • რეგიონის სარეკრეაციო-ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შესწავლა და მისი განხორციელებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. • რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი დაპროექტება, ტურისტული მარშრუტების შემუშავება. ტურისტული განვითარებისათვის საუკეთესო კადრების მომზადება, რეგიონის ტურისტული ობიექტებისათვის სარეკლამო ბუკლეტების, ინტერნეტ გვერდების და სარეკლამო რგოლების მომზადება. 	<ul style="list-style-type: none"> • რეგიონში ტურისტების მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. • რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის კადრების სიმცირე.

სავსებით ობიექტური იქნება დავსვათ კითხვა - რა მოტივაციურ საფუძველზე, ანდა რა რესურსულ პოტენციალზე დაყრდნობით შეიძლება და უნდა განვითარდეს ტურიზმი შიდა ქართლში და კერძოდ სურამში, რომელი ფასეულობითი კომპონენტები შეასრულებენ ძირითადი ფუნდამენტის როლს და რა პრინციპული სიახლეების დანერგვა იქნება საჭირო თანამედროვე ტურიზმის განვითარებისათვის. სურამი, როგორც უდიდესი სამკურნალო პოტენციალის მქონე უნდა გაიზარდოს თავისი მნიშვნელობით, როგორც კონკრეტული ტურისტული დანიშნულების ადგილი და შესაძლებელია საკვანძო ცენტრად გადაიქცეს ეკონომიკური განვითარებისა და ინდივიდუალური იდენტურობის თვალსაზრისით. ტურიზმთან პირდაპირ კავშირში არის შესაძლებლობა, რომ ახალი საკურორტო-სამკურნალო რეგიონები ასევე გახდებიან თავდაპირველი საფუძველი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების, ბრენდინგის და პრომოუშენისათვის. ისეთ ქალაქებს როგორცაა თბილისი, ბათუმი, მცხეთა, სიღნაღი, ქუთაისი და სხვა ეს სტატუსი თითქმის უკვე მოპოვებული აქვთ. ამჯერად კვლევები ჩავატარეთ და სასურველ შედეგებსაც მივაღწიეთ სურამის როგორც სამკურნალო-ტურისტულ ცენტრად გადაქცევის შესაძლებლობებზე. პირველი დადებითი შედეგი რაც კვლევამ უჩვენა არის ის, რომ საკურორტო რეგიონის განვითარება შეაფერხებს მოსახლეობის მიგრაციას, რაც საკმაოდ სავალალო და დასაფიქრებელია და შექმნის დამატებით შემოსავლებს ადგილობრივებისათვის. იმისათვის, რომ სწორად იქნას განსაზღვრული რეგიონის ტურიზმისა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ხელშეწყობის პერსპექტივა და გეგმები იქცეს რეალობად აუცილებელია და საჭირო დაგეგმვის, განვითარების, ბაზარზე წინსვლის (პრომოუშენის) და ხელშეწყობის ორგანიზაციები. ერთის მხრივ აუცილებელია არსებობდეს საჯარო (სამთავრობო) სექტორი და მეორეს მხრივ (კერძო) სექტორი. იმისათვის, რომ ტურიზმის ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და განვითარება რეგიონში მოხდეს სწორად აუცილებელია ამ ორი სექტორის ერთობლივ, ორგანიზებულ რეჟიმში მუშაობა და თანამშრომლობა (იხ. სქემა N1).

რეგიონში ფინანსური კაპიტალის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე. "ტურიზმისა და მასპინძლობის მეჯმენტი", სახელმძღვანელო, თბ. 2011წ.
2. რ. მექვაბიძე, ზ. ცოტნიაშვილი, ტურიზმის ბიზნესი და ტურიზმის და ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტის თავისებურებანი". თბ. 2009წ.

Khatuna Kurtanidze

Georgian Technical University, Doctoral Candidate


THE ASPECTS OF TOURISM INFRASTRUCTURE DEVELOPMENT IN A RESORT „SURAMI”

Summary

„Surami” as a great healthcare potential region must be increased for its importance, as a competitive touristic destination. It may remake as a future base centre for the point of economical development and individual identification. To make correct definitions the perspective of tourism infrastructure in this region and to realize the plans, it's essential the organizations of planning, developing, market promotion and encouraging. The correct planning and developing of tourism infrastructure is possible by two sectors (government) and (private) working in organizing routine. The planning of social and environment protection will encourage tourism development. It might be realized with a great effect if it would be integrated completely with the political formation process. It will be premise of wishful result and frequent success, as it really has a touristic potential and it may become one basis of our country development strategies.

მწერების როლი ეკოლოგიურ წონასწორობასა და სადაზმერვო საქმიანობაში

მწერები და ადამიანები ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება-დაზიანების ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მწერების როლი დიდია ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდაში, კულტურული მცენარეების ყვავილების დამტვერვასა (ვაშლი, ალუბალი, ნუში, კიტრი, ნესვი) და სამკურნალო პრეპარატების მიღებაში. მწერების როლი მნიშვნელოვანია სასიცოცხლო ჯაჯჯვ-ზე მცენარე-ადამიანი-ნიადაგი. წყლის მწერებით იკვებებიან თევზები (მათ შორის ადამიანის კვებისათვის აუცილებელი რაციონი-კალმახი),¹ ფრინველები (მწყერი, ბატი), ქვეწარმავლები და ხვლი-კები (რომელთა გარკვეული სახეობა ადამიანის საკვებად გამოიყენება), ცხოველები (საკმარისი საკვების არარსებობის შემთხვევაში დათვი და მელა). ავსტრალიაში, აფრიკაში, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში უძველესი პერიოდიდან დღემდე ადამიანები უშუალოდ მწერებს (კალია, ჭინჭველა, ფუტკარი, ხოჭო და სხვა) საკვებად იყენებენ.



მწერების დამაზიანებელი შედეგების ეფექტი კონკრეტულ ტერიტორიაზე კარტოფილის ნათესების მაღალი კონცენტრაციის ხელოვნური შენარჩუნებით (არასაკმარისი მიწის ფართობების გა-მო, რამოდენიმე წლის განმავლობაში კარტოფილის ერთ და იმავე ადგილზე თესვით) მიიღწევა, ხოლო ტარაკების გავრცელების ხელშემწყობი ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებია, რაც ადამიანი-ნიადაგი ორგანიზებული. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მავნე მწერებთან ქიმიური საშუალებებით ბრძოლით მცენარეების, არა-მავნე მწერების მასშტაბური დაზიანება-განადგურება, საკვები პრო-დუქციის დაზიანება მიიღწევა. სასურველია მავნებელ მწერებთან ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებზე დამყარებული ლაბორატორიულად აპრობირებული (სასათბურე პირობებში) მტაცებელი მწერების გამოყენება, აგრეთვე მავნე მწერების დეზორიენტაციისათვის, ნათესებში მცენარეებს შორის ძლიერი სუნის მქონე ბოსტნეულის და კენკროვანების განთავსება (ხახვი-სტაფილოს ბუხის, თამბაქო-კომბოსტოს და ხახვის ბუხის წინააღმდეგ²), რაც აგრო-ეკოლოგიის უზრუნველყოფი ფაქტორი იქნება.

ბიოლოგიური იარაღის და მისი განვრცობის საშუალებების შექმნის თვალსაზრისით ბოლო ასწლეული განსაკუთრებით მდიდა-რია, რაშიც მწერებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. დაავადებების მწერებით³ გადატანის მიზნით 1930 წლისათვის, საბჭოთა კავ-შირში, გერმანიასა და იაპონიაში (II მსოფლიო ომის დროს იაპონიამ ჩინეთის სამხრეთში საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით კე-რამიკულ ჭურჭელში მოთავსებული ქოლერით ინფიცირებული ბუ-ხები გადაყარა, რამაც 400 000 ადამიანის⁵ სიცოცხლე შეიწირა), ხოლო „ცივი ომის“ პერიოდში საბჭოთა კავშირსა⁴ და აშშ-ი (1952 წელს აშშ-მა სა-ჰაერო ტრანსპორტიდან მოწამლული მწერების გადაყრა ჩინეთის ტერიტორიაზე⁶ განახორციელა) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა (ქმედებათა ეფექტის დასადგენად კი სადა-ზვერვო, აგენტურული შედწევით ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების სისტემატიურ რეკიმში შეკრება-ანალიზი) განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა.

უახლეს ისტორიაში მსოფლიოს განვითარებული სახელმ-წიფოები მწერების როლს სადაზვერვო საქმიანობაში კიდევ უფრო აძლიერებენ. 2006 წელს პენტაგონის სამეცნიერო კვლევით სააგენ-ტოში (DARPA), საჯარო განხილვას დაექვემდებარა “მწერების მიკროელექტრო-მექანიკურ სისტემებთან შეჯვარების” თემა, რომ-ლის მიხედვითაც მწერების მართვა პულტით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ბერკლისა და მიჩიგანის უნივერსიტეტების მონაწი-ლეობით განხორციელებული პროექტის შედეგი, 2009 წლის იანვ-რისათვის იტალიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარადგინეს. რადიომართვადი (მფრინავი მწერ კიბორგის მიკრო-ელექტრომექანიკური IEEE MEMS 2009)⁷ სისტემა (a) ხოჭო-კიბორგი (სიგრძე 8 სმ, წონა 4-10 გრამი), (b)ნოუთბუქი, (c)მიმღები, (d)ანტენა, (e)მასტიმულირებელი მარჯვენა და მარცხენა ელექტროდები,

მფრინავი მუსკულები, ფ) კონტრექტროდი. იმავე მიზნებისათვის ისრაელის საავიაციო-ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თელავის⁸ უნივერსიტეტის მეცნიერები⁷ აქტიურად მუშაობენ. ეს სახელმწიფოები დღეს უძლიერესი სადა-ზვერვო და კონტრსადაზვერვო აპარატით და წარმატებული ოპერატიული, აგრეთვე ოპერაციული ციკლით ხასიათდებიან. ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგ:

- მწერების, როგორც ბიოლოგიური იარაღის გავრცობის საშუალებად გამოყენება შესაძლებელია;
- სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის (სამხედრო სავალდებულო ან საომარი მობილიზაციისას არასაკმარისი საკადრო უზრუნ-ველყოფის ორგანიზებისათვის) დასუსტებისათვის ადამიანების მასშტაბური დაზიანების ან ლიკვიდაციის ორგანიზებისათვის;
- მასობრივი პროტესტიდან, მასობრივი არეულობის და კონსტიტუციური წყობილების რღვევის ინსპირირება-დაუცველობის გამო მოსახლეობაში პანიკის და უარყოფითი განწყობების ინსპირირებისათვის;
- სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად ხელისუფლებაზე დამრთავუნველი ზემოქმედებისათვის. სახელმწიფოში სასურსათო უსაფრთხოების ბალანსის რღვევის, დაუცველობის გამო მოსახლეობაში პანიკის და უარყოფითი განწყობის, ამ პროდუქციით ბაზრის შესავსებად უცხო ქვეყნიდან იმპორტზე დამოკიდებულების მაკავშირებელ ჯაჭვზე: ცხოველი-ადამიანი, სასურველი დამაზიანებელი ზემოქმედების ინსპირირებისათვის ცხოველთა და ფრინველთა მასშტაბური დაზიანების ან ლიკვიდაციის ორგანიზება;
- საკვები პროდუქციის უზრუნველყოფი ნათესების განადგურებით-სასურსათო უსაფრთხოების ბალანსის დარღვევის, მაკავშირებელ ჯაჭვზე: მცენარე-ცხოველი-ფრინველი-ადამიანი სასურველი დამაზიანებელი ზემოქმედების ინსპირირებისათვის) მცენარეების მასშტაბური დაზიანების ან განადგურების ორგანიზება;
- ამ კუთხით კონტრსადაზვერვო და სადაზვერვო ბალანსის მისაღწევად, სათანადო სამეცნიერო-კვლევითი, მათ შორის საიდუმლო მუშაობის გააქტიურება-სისტემატიზაცია.
- ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრებით მზვერავი სახელმწიფო ამ მდგომარეობის დამაზიანებელი ორგანიზატორი, სტრატეგიული პარტნიორის ან სატელიტის სტატუსით მომქმედი სახელმწიფო იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Insects as Food.“ www.cals.ncsu.edu;
2. „Биологические методы борьбы с вредителями.“ www.italtiger.com/uk;
3. „Project Bellwether II—Using Insects to Deliver Biological Weapons.“ www.topsecretwriters.com;
4. „Stephen Endicott & Edward Hagerman. United States Biological Warfare during the Korean War: rhetoric and reality.“ www.yorku.ca
5. „Michelle Stem Cook. Amy F. Woolf.Preventing Proliferation of Biological Weapons:U.S. Assistance to the Former Soviet States.“ www.fas.org;
6. „War Tactics: Catapulting Wasps Nests And Flea Bombs.“ www.rentokil.com;
7. „БИОИНЖЕНЕРИЯ НАСЕКОМЫХ - КИБОРГОВ.“ <http://animal-world.com.ua>;
8. „Israel and USA are engaged in the creation of insect-cyborgs.“ www.nautilus-in.com;

DAVID KUKHALASHVILI

Academic History, PhD

MZEVINAR GURULI- KUKHALASHVILI

Agriculture, PhD

TAMAR BREGADZE

Agriculture, PhD

THE ROLE OF INSECTS FOR ECOLOGICAL BALANCE AND INTELLIGENCE ACTIVITY

S u m m a r y

The Organization of The Human Health and Agriculture Development is the important directions for providing the national security. Together with other important segments security without.Their protection, with some other important state segments, without balanced and effective inetelligence and counter-intelligence organizations is

impossible, because in history of intelligence activity there are lots of facts where unjustified actions were made covertly against opponent country citizens and agriculture fields by the intelligence provider states.

ენვერ ლაზვილავა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

საქართველოს აბრაშული მემონობის საწარმოთა ინფორმაციული უზრუნველყოფის საპრობლემის

როგორც მსოფლიო და ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს სასოფლო სამეურნეო სამუშაოების სრულყოფილი გაძღოლა დღეისთვის, პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

ილინოისის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი ენდრიუ ელინი, თავის სტატიაში „სოფლის მეურნეობა და ინფორმაციული ტექნოლოგიები“ გამოხატავს წუხილს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში ჩამორჩება სხვა სფეროებში მათ გამოყენებას, მაშინ როდესაც პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა და ურბანიზაციის პროცესები საოცარი სისწრაფით იზრდება. იგი აღნიშნავს, რომ მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლებისთვის პლანეტის მოსახლეობა გაიზრდება 50%-ით და მიადწევს 9-10 მილიარდს [6]. ყოველივე აღნიშნული, კიდევ უფრო ამტკიცებს სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უპირობო აუცილებლობას.

საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით ანალოგიური მდგომარეობაა - ეკონომიკის დარგებს შორის ყველაზე ნაკლებად ინფორმაციზებულია სოფლის მეურნეობის საწარმოები. ინოვაციური განვითარების შეფერხება უპირატესად განპირობებულია ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის დაბალი დონით, ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი ობიექტური მიზეზები:

- აგრარული მეურნეობის საწარმოების დიდი ნაწილი მცირე და საშუალო ზომისაა, არ გააჩნიათ სათანადო ფინანსური რესურსები ინფორმაციული ტექნოლოგიების დასანერგად;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით დაბალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონე;
- თითქმის არ არსებობს სოფლის მეურნეობის ინფორმატიზაციისთვის საჭირო სამამულო წარმოების პროგრამული უზრუნველყოფა;
- მაღალია საზღვარგარეთული პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება;
- არ არსებობს ინფორმატიზაციის განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- არასაკმარისია სამეურნეო სუბიექტების სტიმულირება, შესაბამისად ნაკლებია დინტერესება ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით.

საქართველოში, რამდენიმე ათწლეულის წინ, მთავარი მიზანი იყო ქვეყნის მოსახლეობის დასაქმება აგრარულ სექტორში, ხოლო დღეისთვის პრიორიტეტი ამ სექტორის ეფექტიანობის მაქსიმალურად ამაღლებაა. ამ უკანასკნელის მიღწევა შეუძლებელია შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვისა და გამოყენების გარეშე. შეიძლება ითქვას, საჭიროა ტექნიკურ-ტექნოლოგიური რევოლუცია სოფლის მეურნეობაში

ინფორმაციული ტექნოლოგიები შეუცვლელი წყაროა სამეცნიერო კვლევითი შედეგების სარეალიზაციოდ, ხოლო მათი გამოყენება აგრარულ სექტორში საწარმოთა საქმიანობაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი რესურსი: დაბალდანახარჯიანი კვების პროდუქტებისა და მრეწველობისთვის ნედლეულის მდგრადი წარმოებისთვის; კვების პროდუქტების ხარისხისა და გარემოს ტექნოგენური დატვირთვის შემცირებისთვის; სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში დანაკარგების შემცირებისთვის.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა მართვისას გადაწყვეტილების მიღება ძირითადად წარმოებს განუსაზღვრელობის პირობებში, რომელიც გამოწვეულია სამი ძირითადი მიზეზით:

- არ არსებობს მონაცემები ბუნების მდგომარეობის შესახებ;
- არასაკმარისია ცოდნა ბიოლოგიური და ფიზიკური სისტემების შესახებ;
- პროცესების მიმდინარეობა შემთხვევითი ხასიათისაა.

თუ მოვახდენთ, თავის დროზე საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. დესტენის გამონათქვამის “ინფორმაციული რესურსი არის ისეთივე რესურსი, როგორცაა ენერჯია და სათესი მიწა, და თუ ჩვენს ადამიანებს არ ვასწავლით ამ რესურსის გამოყენებისადმი სიყვარულს – მაშინ ჩვენ სამუდამოდ ჩამოვრჩებით ჩვენს კონკურენტებს” პერფერაზირებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ აგრარული მეურნეობის საწარმოთა ეფექტიანი მართვის განხორციელება შეუძლებელია მართვის სხვადასხვა დონეზე საჭირო დროული, საიმედო და საკმარისი ინფორმაციის მიღების გარეშე.

აგრარული მეურნეობის საწარმოებს ესაჭიროებათ ინფორმაცია, როგორც მათ განკარგულებაში მყოფი რესურსების, ასევე შესაძენი რესურსებისა და გასაწევი მომსახურების შესახებ, ინფორმაცია გამოშვებულ პროდუქციაზე და შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე მათი მოთხოვნილების შესახებ. აღნიშნული სახის ინფორმაციის დროული მიღება შეუძლებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების (პერსონალური კომპიუტერები, ტელესაკომუნიკაციო სისტემები, აგრარული საწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენების გარეშე. მხოლოდ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯების შემცირება.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანის – მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება – გადასაწყვეტად აუცილებელია სოფლის მეურნეობის საწარმოთა ინტენსიფიკაცია. ავტომატიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ყოველი გამოყენებული ერთეული რესურსიდან მივიღოთ მეტი რაოდენობის პროდუქცია და მაღალხარისხიანი კვების პროდუქტების მრავალსახეობა, რაც მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის საწარმოთა ეფექტიანი განვითარებისთვის.

მართალია, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, ზემდგომ ორგანოებში გადასაცემი ინფორმაციის მოცულობა შემცირდა, ხოლო ინფორმაციული ნაკადები პორიზონტალურ ჭრილში (კლიენტები, მომწოდებლები, კონკურენტები) მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაინც აუცილებელია ინფორმაციის ოპრატიული გაცვლა პროდუქციის მწარმოებლებს, სოფლის მოსახლეობასა და მართვის მაღალი დონის პერსონალს შორის.

აგრარული მეურნეობის საწარმოებში საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში წარმოადგენს შედარებით სიახლეს, ხოლო აშშ, ევროპა, იაპონია უკვე ათწლეულებია იყენებენ და ანვითარებენ საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდებს და ქმნიან შესაბამის პროგრამულ პროდუქტებს. სოფლის მეურნეობის მართვაში გამოიყენება საზღვარგარეთ შემუშავებული და ფართოდ გავრცელებული შემდეგი პროგრამული პროდუქტები: “AGRO-Net-NG”, “AGRO Map PF”, “AGRAR-OFFICE”, “Панорама АГРО”, “Свободное планирование в сельском хозяйстве”, “Агрокомплекс”, “АгроХолдинг”, “1С: Бухгалтерия сельхозпредприятия”, “1С:Селекция в животноводстве.---Свиноводство” და სხვა. საზღვარგარეთის პროგრამულ პროდუქტებს გააჩნია ნაკლოვანებები: მაღალი ღირებულება, ქვეყანაში ცოტაა ისეთი პროგრამისტები, რომლებიც კარგად ერკვევიან აღნიშნულ პროგრამებში და მათ შესაძლო ინტეგრირებაში სხვა პროგრამულ პროდუქტებთან.

დღეისთვის, ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარზე აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულების შემცირების არსებული ტენდენცია, აგრეთვე ექსპლუატაციის ხარჯების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასა და მათი ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოებასთან, დამატებით შეამცირებს ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯებს.

ჩვენი ქვეყნისთვის, ოპტიმალური გამოსავალი არსებული სიტუაციიდან იქნება საზღვარგარეთ შემუშავებული და აპრობირებული პროგრამული პროდუქტების გამოყენება აგრარულ სექტორში, რაც საშუალებას მოგვცემს შედარებით ნაკლები დროითი, შრომითი და ფინანსური დანახარჯებით მივაღწიოთ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით გარკვეულ ეფექტიანობას. შევნიშნავთ, რომ ყოველი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია გაეთვალისწინოთ საწარმოს მინიმალური და მაქსიმალური მოცულობა რომლის ფარგლებში იქნება ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვა მაღალეფექტიანი.

სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების განსაზღვრა უნდა მოხდეს თანამედროვე პერსონალური კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო ქსელების სხვადასხვა ფორმით დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საფუძველზე. შიგა და საერთაშორისო ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების მარკეტინგული კვლევა უნდა დაეფუძნოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში მიზანშეწონილია განვასხვაოთ გადაწყვეტილების მიღების ორი მეთოდი: ინტუიციური და ანალიტიკური. სოფლის მეურნეობაში საქონელმწარმოებლები ამა თუ იმ ზომით გადაწყვეტილების მიღებისას იყენებენ, როგორც ინტუიციურ, ასევე ანალიტიკურ მეთოდებს. გადაწყვეტილების მიღების ინტუიციური მეთოდი ძირითადად გამოიყენება ფასების შესახებ ინფორმაციის ანალიზისას. მხედველობაში დებულობენ ფასების ტენდენციას, თუმცა მათი მნიშვნელობა არასაკმარისად განისაზღვრება. მიღებული გადაწყვეტილების პროგნოზირება გამოიხატება მოგების შემცირებით ან გადიდებით, ამ დროს მოსალოდნელი შედეგების ზუსტი გაანგარიშება შეუძლებელია. მწარმოებელი ეყრდნობა ინტუიციას იყენებს კატეგორიებს “დიდი” და “მცირე”. იგი მთლიანად აფასებს სიტუაციას მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების ანალიზის გარეშე.

გადაწყვეტილების მიღების ანალიტიკური მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება დასმული პრობლემებისა და მისი შემადგენელი ნაწილების

შესახებ. ეს საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შევაფასოთ, როგორც ცალკეული ნაწილები, ასევე მთლიანად და შესაბამისად არსებული სიტუაცია.

ადამიანის ტვინში შენახული ინფორმაციის მოცულობის შეზღუდულობის გამო შესაძლებელი ხდება მხოლოდ რამდენიმე ფაქტორის განხილვა, ამიტომ ხდება ინტუიციური მეთოდის გამოყენება. მწარმოებლები გადაწყვეტილების მიღების ინტუიციური მეთოდის გამოყენებისას ნაკლებად არიან დარწმუნებული გადაწყვეტილების სისწორეში, ვიდრე ანალიტიკური მეთოდის გამოყენებისას. გადაწყვეტილების მიღების რისკების შემცირება წარმოებს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ან მცირე მოცულობის ცდების ჩატარებით, თუ ეს შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება, მწარმოებელი, ნაკლებად სარგებლობს ინტუიციური მეთოდით (მაგალითად, შენობის აგებისას, მანქანების კომპლექსის შექმნისას და სხვა). ადამიანები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, თვლიან, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ანალიტიკური მეთოდის გამოყენება სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და რისკების შემცირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. შესაბამისად, ინტუიციური მეთოდი უფრო სწრაფი და იაფია ანალიტიკურ მეთოდთან შედარებით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობა (მოგების სიდიდე, დანახარჯები გადაწყვეტილების რეალიზაციაზე და სხვა), გამოყენებული მეთოდიდან გამომდინარე, განსხვავებულია.

ცნობილია, რომ რაც უფრო სწრაფად მოხდება მეცნიერული მიღწევების დანერგვა წარმოებაში მით უფრო კონკურენტუნარიანი ხდება მეწარმის მიერ გამოშვებული პროდუქცია.

დღეისთვის, აგრარულ სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ერთერთი აქტუალური მიმართულებაა ზუსტი მიწათმოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს გლობალური პროდუქციის სისტემის (GPS) გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მართვის სტრატეგიას. ტერმინი “ზუსტი მიწათმოქმედება” დაკავშირებულია ახალ გეოინფორმაციულ ტექნოლოგიასთან, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული მიწის ნაკვეთების ფარგლებში აგროკლიმატური პარამეტრების არაერთგვაროვნებას. აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დიფერენცირებულად ზუსტად, წერტილოვნად განვახორციელოთ ყველა ტექნოლოგიური ოპერაცია, მათ შორის, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შეტანა მიწის ცალკეული ნაკვეთების მიხედვით. ზუსტი მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობის დაბალანსებული ინტენსიფიკაციის ძირითადი ინსტრუმენტია. იგი მოიცავს: მიწის ნაკვეთების ელექტრონულ რუკებს და მათთან მუშაობის პროგრამულ უზრუნველყოფას; სოფლის მეურნეობის ტექნიკის ნავიგაციის სისტემებს; ტექნიკის მონიტორინგს (ტექნიკის ადგილმდებარეობისადმი დაკვირება); მოსავლიანობის რუკების სისტემას; სასუქების დიფერენციული შეტანის სისტემას.

გარდა იმისა, რომ გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენებიან ამა თუ იმ დარგში ბიზნესის მიმდინარეობის ტენდენციების ანალიზისა და დაკვირვებისთვის, გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, პროდუქციის გადასახიდად ყველაზე მოკლე გზის შესარჩევად, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და პროდუქციაზე მოთხოვნის ტერიტორიულ ჭრილში გამოკვლევისთვის, მათი გამოყენებით უნდა განხორციელდეს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სრულყოფილი მონაცემთა ბაზის ფორმირება.

აგრარული სექტორის გეოგრაფიული მონაცემთა ბაზის შექმნა უნდა დაეყრდნოს გეოსაინფორმაციო სისტემებში გამოყენებულ მძლავრ პროგრამულ უზრუნველყოფას. მათი პრაქტიკული გამოყენება სოფლის მეურნეობის საწარმოთა მართვაში საშუალებას იძლევა ეფექტიანად ვაკონტროლოთ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ნაკადები, ვარგულობით სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასები და შესაბამისად გავაუმჯობესოთ მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა, ავამაღლოთ აგრარული მეურნეობის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური დონე.

აგრარული სექტორისთვის შემუშავებული უნდა იქნეს ისეთი გეოსაინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს აგრარული მეურნეობის საწარმოებს, გააუმჯობესონ პროდუქციის წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს აგრარულ სექტორში ელექტრონული ვაჭრობის დანერგვა და ინტერნეტის, როგორც ტექნოლოგიის გამოყენება საწარმოებს აძლევთ დამატებით უპირატესობებს, ამცირებს რა საჭირო ინფორმაციასთან წვდომის წინააღობებს და დროული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დებულობს კომერციულ სარგებელს.

აგრარული სექტორის ყველა დარგისთვის ინტერნეტისა და გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენება ერთნაირად მიმზიდველია. ინტერნეტის გამოყენება საქონელმწარმოებლებსა და მომხმარებლებს ხელს შეუწყობს რესურსების შექმნასა და პროდუქციის რეალიზაციაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აგრარულ სექტორში გამოყენების საფუძველზე უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პასპორტის შექმნა. ეს უკანასკნელი მოიცავს: თესვარუნვის, ნიადაგის ანალიზის და შესატანი სასუქების შესახებ მონაცემებს. თითოეული მიწის ნაკვეთისთვის უნდა შეიქმნას ელექტრონული რუკა (ტოპოგრაფიული კონტური). ცხადია, თუ აგრონომს ექნება აღნიშნული ინფორმაცია იგი წარმატებით შეძლებს ზუსტი მიწათმოქმედების წარმოებას.

ინტერნეტის განვითარება და ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულყოფა შესაძლებლობას იძლევა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მართვის სრულყოფის მიზნით ფართოდ გამოიყენონ ბიზნესის ახალი სახეობა – ელექტრონული ბიზნესი.

ინტერნეტი შესაძლებლობას აძლევს ყველა მსურველს გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში თანაბარ პირობებში უწევთ საქმიანობა, როგორც მსხვილ სასოფლო სამეურნეო საწარმოებს, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ფერმერული მეურნეობებია, რომელთა წილი ქვეყნის ფერმერული მეურნეობათა საერთო რაოდენობაში 95%-ია [3].

ინტერნეტი არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს პოტენციურ მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან დასაკავშირებლად. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელს შესაძლებლობა აქვს ნაკლები დანახარჯებით უმოკლეს დროში მოახდინოს საკუთარი პროდუქციისა და შესაძლო მომსახურების რეკლამა, აამაღლოს მარკეტინგული კვლევა ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისებისთვის, დამოუკიდებლად გამოიკვილოს ბაზარი.

ინტერნეტ ტექნოლოგიების საფუძველზე შესაძლებელია აგრობიზნესში გამოყენებული იქნეს ელექტრონული ბიზნესის შემდეგი ფორმები:

- ელექტრონული რეკლამა;
- ელექტრონული ვაჭრობა;
- ინფორმაციული მომსახურება;
- ელექტრონული ჯანდაცვა;
- დისტანციური (ელექტრონული) სწავლება;
- კლიენტებთან და მომწოდებლებთან ურთიერთობის ელექტრონული მართვა.

ზემოთაღნიშნული ელექტრონული ბიზნესის ფორმების რეალიზაციისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასოფლო სამეურნეო საწარმოებმა შექმნან შესაბამისი **web**-გვერდები და **web**-საიტები რაც საშუალებას მისცემს მათ მაღალეფექტიანად წარმართონ საქმიანობა და აამაღლონ კონკურენტუნარიანობა ბაზარზე.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, შეიქმნას **რეგიონალური დისტანციური ინფორმაციულ-საკონსულტაციო გამოთვლითი ცენტრი (rdisgc)**, რომლის ანალოგიური სამსახურები წარმატებით ფუნქციონირებენ საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჰოლანდია, დანია, რუსეთი და ა.შ. იგი გაუწევს ინფორმაციულ მომსახურებას შესაბამის რეგიონის ყველა მომხმარებელს – სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს), სტატისტიკის დეპარტამენტის განყოფილებებს, ტურისტებს, აგრობიზნესით დაინტერესებულ პირებს და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე **rdisgc**-ის მონაცემთა ბაზის ზოგადი სტრუქტურა გადასაწყვეტი ამოცანებისა და მომხმარებლების შესაძლო ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

- აგრარული სექტორის საკანონმდებლო მონაცემთა ბაზა (მეწარმეობის კანონი, მიწის კანონი და სხვა);
- მიწის კადასტრის მონაცემთა ბაზა;
- რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულ და რეგისტრირებულ საწარმოთა მონაცემთა ბაზა;
- სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა;
- გასაქირავებელი და გასაყიდი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მონაცემთა ბაზა;
- სათესლე მასალის, შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების, საჯიშე პირუტყვის, ხეხილის ნერგების, მარცვლეულის და სხვა მონაცემთა ბაზა;
- რეგიონის ტურიზმის მონაცემთა ბაზა;
- ინვესტიციების, კაპიტალური მშენებლობისა და კრედიტების მონაცემთა ბაზა.

მეცხოველობასა და ვეტერინარიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისას უნდა მოხდეს შემდეგი მონაცემთა ბაზების ფორმირება:

- საკვების შედგენილობისა და ნოყიერების;
- სოფლის მეურნეობის ცხოველების კვების ნორმებისა და რაციონების;
- ვეტერინარული პრეპარატების;
- ვეტერინარიაში სამართლებლივი და ნორმატიული დოკუმენტების.

მონაცემთა ბაზამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: ინფორმაციის სისრულე, საკმარისობა, ბაზაში ასახულ მონაცემთა მინიმალურობა, მონაცემთა ამორჩევისთვის მინიმალური დრო და ბაზაში ასახული ინფორმაციული ფაილების სტრუქტურის დამოუკიდებლობა მათი ორგანიზაციისთვის გამოყენებულ პროგრამულ საშუალებებზე, მონაცემთა ბაზა უნდა იყოს ღია, რაც გულისხმობს მისი გაფართოების შესაძლებლობას მისი სრული რეორგანიზაციის გარეშე.

თანამედროვე პერსონალური კომპიუტერების ტექნიკური შესაძლებლობები და ინფორმაციის საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას სასოფლო სამეურნეო საწარმოებში მართვისთვის საჭირო ინფორმაციული ბაზა, რომელიც წარმოების მართვის ინფორმაციისთვის წარმოადგენს მონაცემთა მოწესრიგებულ ერთობლიობას. მონაცემთა ბაზაში ასახული უნდა იქნეს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია წარმოების ყველა სტადიაზე

საწარმოს მართვის ფუნქციების განსახორციელებლად. ინფორმაციულ ფონდში არსებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იქნება აგრარული მეურნეობის საწარმოთა მართვის სრულყოფილად და მაღალეფექტიანად წარმართვა.

რდისგც-ის სტრუქტურა რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იქნება დისტანციური კონსულტაციის გაწევა სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელთათვის და მოსახლეობის ფართო მასებისთვის. ამ მიზნით აღნიშნულ ცენტრში უნდა ფუნქციონირებდეს სადღეღამისო ოპერატიულ-საკონსულტაციო სამსახურები. კერძოდ: ვეტერინალური, აგრონომიული, ამინდის პროგნოზის, საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების მიმდინარეობის ოპერატიული აღრიცხვის და სხვა.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა მართვის იერარქიის ყველა დონეზე ინფორმაციის გაცვლა უნდა მოხდეს ინტერნეტის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტის, **web**-გვერდებისა და **web**-საიტების საშუალებით, საწარმოს შიგნით სტაციონარული სატელეფონო ქსელისა და მობილური კავშირის საშუალებით, ასევე შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების ვიდეოკონფერენციის ორგანიზაცია.

ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, გამოყენება და განვითარება დაკავშირებული იქნება **rdisgc**-ების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებასთან, რომლის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია შეიქმნას სპეციალიზებული მონაცემთა საცავები. მათი გამოყენება საშუალებას მისცემს აგრარული მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელებს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს, სწრაფად და ღრულად მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. ინფორმაციის მისაღებად მონაცემთა საცავთან წვდომისა და დამუშავების მნიშვნელოვანი საშუალებაა ტრანზაქციის ოპერატიული დამუშავების სტანდარტული სისტემა **OLTP (On-Line Transaction Processing)** და მონაცემთა ოპერატიულ-ანალიტიკური დამუშავების სისტემა **OLAP (On-Line Analytical Processing)**.

საბოლოო ანგარიშით, **rdisgc**-ების შექმნა და თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მონაცემთა საცავებთან წვდომის უზრუნველყოფა იქნება წინაპირობა შეიქმნას **აგრარული მეურნეობის საწარმოთა მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა**. იგი მოიცავს გარკვეული ღონისძიებების კომპლექსს – სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების ფორმირების და მათ საფუძველზე სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლების (სოფლის მოსახლეობის) და შესაბამის სფეროში მომუშავეთა სახელმწიფო ელექტრონული მომსახურებით ინფორმაციულ უზრუნველყოფას. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს აგრარული მეურნეობის საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებასა და ზრდის ტემპების დაჩქარებას.

დაბოლოს, აუცილებელია **შემუშავებულ იქნეს სოფლის მეურნეობის ინფორმაციზაციის პროგრამა**, როგორც ქვეყნის ინფორმაციზაციის ერთიანი პროგრამის შემადგენელი ნაწილი. უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის ინფორმაციზაციის ეტაპები, შესასრულებელი სამუშაოები, მოდიებულ იქნეს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსები. ინფორმაციზაციის საკითხი განხილული უნდა იქნეს კომპლექსურად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრობიზნესის, სოციუმის და ეკოლოგიის ინფორმაციზაციის საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაძიაშვილი ჯ. აგრარული მეურნეობის საწარმოთა მართვის ინფორმაციზაცია. თბილისი, 2008. 120გვ.
2. ხარაიშვილი ე. ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ე. ეკონომიკა და ბიზნესი, №2, 2012. გვ. 95-108.
3. Ананьев М. А., Ухтинская Ю. В. Применение информационных технологий в АПК.
4. http://sisupr.mrsu.ru/2012-4/PDF/Ananay_Ukhtinskaya.pdf
5. Информационные технологии — на службу селу.
6. <http://zil.mogved.by/content/informacionnye-tehnologii-na-sluzhbu-selu/stati>
7. **Компьютеризация сельского хозяйства.**
8. <http://www.agroru.com/blog/gazik-blog-2/8959.php>
9. Andrew Alleyne. Agriculture and Information Technology.
10. <http://www.nae.edu/Publications/Bridge/52548/52555.aspx>

ENVER LAGVILAVA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD in Economic Sciences

ENSURING ACCESS TO INFORMATION FOR CONDUCTION AGRICULTURAL ENTERPRISES IN GEORGIA

S u m m a r y

The paper focuses on the application of information and communication technologies in agricultural and rural development in Georgia. The latest developments in IT that facilitate effective IT penetration to rural areas in well-

developed countries, claim the importance of information support. The potential of IT in agriculture is assessed as a tool to increase agricultural productivity.

If IT is widely utilized in precision farming, it will make direct contribution to agricultural productivity, and increase output. At present, the farmers depend on decision inputs from conventional sources which are slow and unreliable. Utilization of geographical information systems will increase the agricultural output, especially where large strips of land are involved

The article also refers to some other issues and concerns. Current situation in world economy is analyzed and some recommendations are given, taken from well-developed countries' experiences. The article also provides arguments to prove the necessity of introducing the category of Regional Distant Information Consulting Computing Center (RDICCC). Such centers will bring much benefit to all coworkers of agricultural sector. The benefits will be significant. The farmers will urgently require timely and reliable sources of information inputs for taking decisions. The changing environment will make the information not only beneficial but competent as well.

Finally, the starting of RDICCC, ensuring access to relevant Data Bases and Data Warehouses, will accelerate the creation of united system providing information for conducting agricultural enterprises.

თამარ ლახარიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი*

სასურსათო უსაფრთხოების როლი მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

დღეს მსოფლიოში სურსათის წარმოების სფეროში კვლავ წინაკრიზისული პროცესები შეინიშნება. ქვეყნები ცდილობენ მსოფლიო ბაზარზე არ შეიქმნას სურსათის ისეთი დეფიციტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2007-2008 წლებში. ამ პერიოდში მრავალ ქვეყანაში დადგა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა (თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს წვდომა ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო და უვნებელ სურსათზე). ამიტომ დღეს დღეს განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე ზრუნვა სასურსათო უსაფრთხოებას პრობლემის მოსაგვარებლად.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია (იხ. ცხრილი 1).

მოსახლეობის ერთ სულზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები¹ %

	2007	2008	2009	2010	2011
ხორბალი	9	12	8	6	13
სიმინდი	100	97	92	96	92
კარტოფილი	81	86	93	103	85
ბოსტნეული	75	76	76	77	73
ყურძენი	108	117	118	133	129
ხორცი, ყველა სახის	58	48	47	48	41
ძროხის ხორცი	73	68	76	77	68
ღორის ხორცი	61	47	37	49	43
ცხვრისა და თხის ხორცი	99	101	98	98	93
ფრინველის ხორცი	89	94	92	93	93
რძე და რძის პროდუქტები	89	94	92	93	93
კვერცხი	100	95	101	98	99

ცხრილის მონაცემების შედარებამ კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებთან გვიჩვენა, რომ მოსახლეობის მოთხოვნილების დონე ძირითად პროდუქტებზე დაკმაყოფილებული არ არის. მოსახლეობის ერთ სულზე თვითუზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება ყურძენზე (129%), ასევე, შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია კვერცხსა (99%) და ფრინველის ხორცზე (93%). რძესა და რძის პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენს (93%), ხორბალზე 92%-ს, ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია ხორცზე (41%), თუმცა განსხვავებაა ძროხის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ფრინველის ხორცის სახეობების მიხედვით. თუ ძროხის ხორცზე ეს მაჩვენებელი არის 68%, ცხვრისა და თხის ხორცზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენს

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011, თბილისი, 2012, გვ. 73-85.

93%-ს, ღორის ხორცზე 43%-ს, ფრინველის ხორცზე 93%-ს. თვითუზრუნველყოფის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ხორბალზე და იგი 13%-ის ტოლია.

ექსპერტთა შეფასებით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების მიღწეული მასშტაბებით სასურსათო ბაზარი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული პურითა და პურ-პროდუქტებით, ღვინით, ლუდით, უაღკოპლო სასმელებით, საკონდიტრო ნაწარმით, ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით. სამამულო წარმოებისაა სასურსათო ბაზრებზე რეალიზებული ხილის საშუალოდ 45-48%, ყურძნის 40-45%, მწვანილეულის 65-70%, მხაღეულის 80-82%, ბოსტნეულისა და ბაღეულის 75-80%, ძროხის ხორცის 25-27%, რძისა და რძის პროდუქტების 38-42%.¹

საქართველოში ადგილობრივი წარმოების პროდუქტების უმრავლესობაზე სურსათის დეფიციტი აღინიშნება და მისი შევსება იმპორტული პროდუქტებით ხდება. აღნიშნული შემდეგი მონაცემებითაც დასტურდება: 2012 წელს იმპორტის მოცულობა საშუალოდ 4-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტის მოცულობას, ხოლო სურსათის წილი მთლიანი იმპორტში 14.2%-ს შეადგენს, ხოლო ექსპორტში 10.1%-ს.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებამ, კერძოდ, შესასწავლია ამ დარგის რესურსული პოტენციალი. საჭიროა დადგინდეს ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შეფარდებითი საგაჭრო უპირატესობები, შესწავლილი იქნეს დღევანდელი გლობალური საგაჭრო ურთიერთობების თავისებურებები და შემუშავდეს იმპორტირებული პროდუქციის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების პროგრამა. ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია იმ ალტერნატიული კულტურების განსაზღვრა, რომლებიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი იქნება და პერსპექტივაში თვითონვე შეძლებს საინვესტიციო რესურსების შექმნას.²

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების დინამიკაში შესწავლამ გვიჩვენა, რომ უმნიშვნელოდ გაიზარდა მხოლოდ ზოგიერთი მათგანის წარმოება, უმეტეს შემთხვევაში კი ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში კვლავ შემცირების ტენდენციები აღინიშნება. მაგალითად, 2000-2010 წლებში თითქმის 6-ჯერ შემცირდა მარცვლეულის ნათესი ფართობები და მოსავალი, ასევე შემცირებულია ხილის, ყურძნისა და სხვა ტრადიციული პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები. განსაკუთრებით მკვეთრადაა შემცირებული ხორბლის წარმოების მაჩვენებელი. თუ წინა წლებში ხორბალი 150-200 ჰექტარზე ითესებოდა, დღეს იგი 50-55 ჰექტარამდეა შემცირებული. ხორბლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მხოლოდ 8%-ია. საერთოდ აღარ იწარმოება მთელი რიგი პროდუქტები.³ ქვეყნის მთლიან ფართობში სახნავ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში – 22,7%, თურქეთში – 27,7%, უკრაინაში კი 56,1%.

წლებში შემცირებულია მეცხოველეობის უმეტესი პროდუქციის წარმოებაც, უმნიშვნელოდ არის გაზრდილი კვერცხის წარმოება. 2003-2011 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე ორჯერ შემცირდა ხორცისა და ხორცის პროდუქტების, იგივე ტენდენცია აღინიშნება რძის პროდუქტების მიმართაც.

საქართველოსთვის, ისე როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება სტრატეგიული მნიშვნელობისაა. „სოფლის მეურნეობის დარგის მდგომარეობა, მისი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოების მდგრადობაზე გაძლიერებული კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნისათვის, რომლებიც აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ, როგორც პრიორიტეტულსა და სტრატეგიულს“.⁴

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შესამუშავებელია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძვლები, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს სურსათის წარმოების რესურსული პოტენციალის გამოვლენასა და კონკურენტული უპირატესობების ეფექტიან გამოყენებას.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ორიენტირების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციის წარმოება. ამით ქვეყანა შეძლებს ევროპულ ბაზარზე შეღწევას. ამასთან, მცირემიწიანობიდან

¹ USAID-ის კვლევის მასალებისა და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების ანალიზის მიხედვით მიღებული მაჩვენებლები

² ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 49.

³ საქართველოს სტატისტიკური წელიწადწლეული 2011, თბილისი, 2012, გვ. 161, 174.

⁴ ნაცვალაძე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, თბილისი, 2009, გვ. 4.

გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული რესურსული პოტენციალის გამოყენება, ასევე, საჭიროა უნდა ჩაიღოს შესაბამისი ინვესტიციები. დღეს ძალიან მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. თუ 2007 წელს ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში მისი წილი 0,8%-ს შეადგენდა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 1,2% იყო, 2010 წელს – 1,1%, 2011 წელს – 1,2%, ეს გამოწვეულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის დარგი რისკიანი და დაბალმოშვებია.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების შედეგები ძველებურად განუჭვრეტელი რჩება. გვალვა, წყალდიდობა, მავნებლები, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები ამ სექტორს ინვესტირებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარება უნდა იყოს. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას, რაც თავის მხრივ, გარკვეულ სტიმულებს შექმნის სურსათის წარმოებისათვის.

საკმაოდ მაღალი სიღარიბისა და უმუშევრობის პირობებში სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად დიდი როლის შესრულება შეუძლია მიწების ოპტიმალურ განაწილებას. სამწუხაროდ, დღეს არსებული მიწების განაწილებით მოსახლეობის უმეტესობა მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახერხებს. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე (საკუთრება და იჯარა) მეურნეობებიდან 75,2%-ს გააჩნია 1 ჰა-ზე ნაკლები მიწა, მეურნეობების 18,3%-ს აქვს 1-2 ჰა, ხოლო 7% ფლობს 3-20 ჰა მიწას. მხოლოდ 0,6% ფლობს 10-50 ჰა-ს; ამავე დროს, 500 მეურნეობა ფლობს 50-100 ჰა-ს; 307 მეურნეობა – 100-200 ჰა-ს, 234 მეურნეობა – 200-500 ჰა-ს და 72 მეურნეობა – 500 ან მეტ ჰა-ს.¹

სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენს ბაზრის ზრდადი უსაფრთხოების სტანდარტები, ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, რაც სერიოზულ ბარიერებს უქმნის მცირე მეწარმეებს. თუმცა, მრავალი მეცნიერის აზრით, სოფლის მეურნეობის განვითარება სწორედ მცირე მეწარმეების წარმატებაზე დამოკიდებულია. ამ სკოლის წარმომადგენლები საკმაოდ სექსპტიკურნი არიან აგრარული სექტორის პოტენციალის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია უმუშევრობა და არაფორმალური ეკონომიკაა გაბატონებული. ამასთან, პასუხი გასაცემია კითხვაზე: ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესში მცირე ფერმერები რამდენად შეძლებენ კონცენტრაციას, ინტეგრაციას და ტრანსფორმაციას იმისათვის, რომ გაუძღონ საერთაშორისო კონკურენციას და დააკმაყოფილონ ბაზარი.

სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის წარმოების მასშტაბს, ამცირებს დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე. სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლების მქონე რიგი ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაში დღეს აშკარად შეიმჩნევა მსხვილი მიწათმფლობელური სისტემების დაშლის ტენდენცია. მსხვილი ფერმების უპირატესობის ტრადიციული თეორიის კრიტიკა მე-20 საუკუნის შუახანებში დაიწყო, ხოლო 90-იანი წლების ბოლოს კი გაჩნდა ლიტერატურა, სადაც არის იმის მტკიცება, რომ მცირე ფერმების შრომის ეფექტიანობა ხშირად აღემატება მსხვილი ფერმების ეფექტიანობას. მცირე ფერმების ეფექტიანობის მომხრე მეცნიერების არგუმენტაციით, მცირე ფერმებს აქვთ ერთ ერთეულ პროდუქციაზე დაბალი მოგება, ვიდრე მსხვილ ფერმებს, მაგრამ ისინი უფრო მგრძობიარენი და მოქნილნი არიან ტრანზაქციულ ხარჯებთან მიმართებაში, ვიდრე მსხვილი ფერმები, მათი ეფექტიანობა არ არის მსხვილი ფერმების ეფექტიანობაზე დაბალი იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი სამუშაო ძალის დაბალ ღირებულებას და გარე ეფექტებს. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი ფერმები აწარმოებენ უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე მცირე ფერმები კოოპერაციის შემთხვევაში, რაც გაცილებით მაღალსარგებლიანია მათთვის.

სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ იმ ქვეყნებისათვის (მათ შორის საქართველოსთვის), სადაც მცირე ფერმები დომინირებს, აქვთ მცირე დივერსიფიკაციისა და საექსპორტო შესაძლებლობები, ხოლო უმუშევრობის მაღალი დონე მაღალია.

საქართველოში სამი ტიპის ფერმერული მეურნეობა ფუნქციონირებს: 1. მცირე მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ (მათი წილი ფერმერული მეურნეობების საერთო რაოდენობაში 20%-ს შეადგენს); 2. საშუალო მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს საკუთარი და ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ (მათი წილი ფერმერული მეურნეობების საერთო რაოდენობაში 75%-ს შეადგენს); 3.

¹ სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები, 2004 წელი.

მსხილმასშტაბიანი, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ გასაყიდად აწარმოებენ(მათი წილი ფერმერული მეურნეობების საერთო რაოდენობაში 5%-ს შედგენს).¹ დასახელებული სტრუქტურის პირობებში ფერმერული მეურნეობები საკმაოდ მცირე წილით არიან წარმოდგენილი ადგილობრივ სასურსათო ბაზრებზე. აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდისა და მათი მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია წარმოების მასშტაბების ზრდა და კოოპერაცია.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების შეფასების დროს გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივი მოთხოვნა აგროსასურსათო პროდუქტებზე უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მიწოდება. არაელასტიკური მოთხოვნის დროს ადგილი აქვს ფასების მკვეთრ ცვლილებას და მაშასადამე, შემოსავლების ცვლილებასაც. ეს ნიშნავს, რომ სასურსათო ბაზრებზე მოთხოვნა მდგრადიც რომ იყოს, ფასები მაინც არასტაბილურია. ბოლო პერიოდში ფასები სურსათზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეს ტენდენცია სავარაუდოდ მომავალშიც იქნება შენარჩუნებული. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება (სუბსიდირება, გარანტირებული ფასების პოლიტიკის გამოყენება და სხვ.).

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობისათვის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია სურსათის წარმოების რესურსული პოტენციალის სრულად ამოქმედებით, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასაც უზრუნველყოფს.

TAMAR LAZARIASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

ROLE OF NUTRITIVE SECURITY IN DEVELOPMENT OF SUSTAINABLE AGRICULTURE

S u m m a r y

Parameters of nutritive security are analyzed in the work and its role in agricultural development is substantiated. On the basis of analysis of data of National Statistic Service, the level of provision of Georgian population by nutrition is estimated; in particular coefficient of self provision by general agricultural products is given.

Manufacturing of agro nutritive products is strategically important for Georgia. There is substantiated in the work that steadiness of agricultural branch is determinant of countries economic security and nutritive independence. It is considered that the control strengthened by steadiness of manufacturing of agro nutritive products is an important condition for the countries that examine agrarian politics as priority as also strategic. Georgia is also examined in the list of such countries.

For provision of nutritive security it is offered activities for sustainable development of agricultur

ნათელა ლაზარიანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი*

მუჰამან ცარციანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს სოფლის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის ბზავი

საქართველოს მოსახლეობის და კერძოდ, სოფლის მოსახლეობის არაეფექტიანი დასაქმება საგრძობლად აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას და ბუნებრივია, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებას. სოფლის მოსახლეობის სეზონური დასაქმება, მცირე და არასტაბილური შემოსავლები, უმართავი შრომითი მიგრაცია და სხვა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა ამცირებს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას. ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება სამომავლოდ მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ადამიანური რესურსის გამოყენების გაუმჯობესებაზე. შრომითი პოტენციალის სრული და რაციონალური გამოყენება კი გულისხმობს არა მხოლოდ უმუშევრობის დონის შემცირებას, არამედ სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოების უზრუნველყოფას, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების უწყვეტ აღდგენასა და შენარჩუნებას, მისი პროფესიულ-კვალიფიციური და საგანმანათლებლო დონის მუდმივ განახლებას.

სწორედ ამიტომ, შრომის ბაზრის რეგულირებისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება უნდა დაეფუძნოს შრომის ბაზრის ფორმირების

¹ ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 93.

თავისებურებების, მისი ინფრასტრუქტურისა და კონიუნქტურის თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსურ შესწავლას და ამის საფუძველზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს.

ქვეყანაში უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა კვლავ აქტუალურ ამოცანად რჩება. მოსახლეობის შემოსავლების, სოციალური პირობების გათვალისწინებით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა საქართველოს სოფლებში. სოფლის მოსახლეობის დასაქმების პრობლემა უკვე არა მარტო სპეციალისტების, არამედ საზოგადოების, მთავრობის და ეკლესიის მსჯელობის საგანი გახდა. უწმინდესმა და უნეტარესმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება სოფლად მიწების ათვისების, მცირე საწარმოების მშენებლობისა და მოსახლეობის დასაქმების აუცილებლობაზე. მაგალითად, 2011 წლის 11 დეკემბრის საკვირაო ქადაგებისას უწმინდესი სოფლებში მცირე საწარმოების შექმნისა და სოფლის მოსახლეობის დასაქმების ინიციატივით გამოვიდა. მისი თქმით, “სოფელი თანდათან იცლება, რადგან იქ მიწისა და საქონლის გარდა არაფერია, სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხოეთშია წასული. სახელმწიფომ უნდა იფიქროს სოფელზე, რადგან ახალგაზრდობა მიდის სოფლიდან და სოფელი რჩება უკაცრიელი. სახელმწიფომ ან რომელიმე ჯგუფმა უნდა გამოყოს კრედიტი და სოფლებში აშენდეს მცირე საწარმოები, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა”.

სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგების ქმედითი მცდელობაა საქართველოს მთავრობის №25 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის განსახორციელებლად 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 50 მილიონი ლარი. ყურადღებასაც კეთდება ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა. კერძოდ, თანხის გამოყენების მიზნობრიობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: განსახორციელებელი პროგრამის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე, პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება უნდა აუმჯობესებდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალურ, ყოფით, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.

მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას და ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკური ზრდის ტემპები და რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში უამრავი გადაუჭრელი პრობლემის გამო, მოსახლეობის ცხოვრების დონის საგრძნობი გაუმჯობესება ვერ განხორციელდა. 2000-2012 წლებში ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ტემპები ცალკეული წლების მიხედვით არასტაბილური იყო. ეკონომიკური ზრდის ტემპმა 1997 წლის დონეს მხოლოდ 2006 და 2007 წელს მიაღწია, როცა მშპ-ის რეალური ზრდა შესაბამისად 9.4% და 12.3% იყო, შემდგომ წლებში მისი დონე კვლავ მცირდება, 2009 წელს დაცემასაც კი ჰქონდა ადგილი, თუმცა 2011 წელს ეკონომიკური ზრდა კვლავ მაღალი, 9.5%-ის დონეზე ფიქსირდება, ხოლო 2012 წელს მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი 6,1%-ს შეადგენდა. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობამ 2008 წელს 2921.1 აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 689.7 დოლარი იყო. 2011 და 2012 წელს ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპების გამო მისმა სიდიდემ შესაბამისად 3230.7 და 3519.6 აშშ დოლარს მიაღწია.

ბუნებრივია, რომ ეკონომიკური ზრდის არასტაბილური ტემპები პირდაპირ აისახა დასაქმების მდგომარეობასა და შრომის მწარმოებლურობაზე. ზემოაღნიშნულ პერიოდში დასაქმების მდგომარეობა არასტაბილურია. 1996 წელს, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, წინა წელთან მიმართებით შემცირებულია როგორც დასაქმების, ასევე შრომის მწარმოებლურობის დონე, შესაბამისად 2.4% და 11.5%-ით. დასაქმების დონის შემცირება შესამჩნევია 2004, 2005, 2006 და 2008 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს მშპ-ის მოცულობა წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი იყო და 19075.0 მლნ. ლარს მიაღწია, დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტად 4.7%-ით, სწორედ ამ წელს შემცირდა. შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი კი ამავე წელს 19.4%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად წარმოების მოცულობის ზრდის ხარჯზე იქნა მიღწეული. 2009 წელს ადგილი ჰქონდა როგორც რეალური მშპ-ის, ასევე შრომის მწარმოებლურობის შემცირებას, დასაქმების დონის მაჩვენებელი კი 1.1%-ით გაიზარდა. რაც შეეხება 2012 წელს, ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ზრდის ფონზე, რამაც რეალირად 6.1% შეადგინა, დასაქმების მაჩვენებელი 1.4%-ით, ხოლო შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 8.1%-ით გაიზარდა.

შრომის მწარმოებლურობასა და დასაქმების ზრდის ტემპებს შორის ურთიერთშესაბამისობის გაანალიზება 1996-2012 წლების პერიოდში, რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ცალკეული წლების მიხედვით (1998, 1999, 2002, 2004, 2005, 2006, 2008 წელი) იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასაქმების შემცირება და ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფილია შრომის

მწარმოებლურობის ამადლების ხარჯზე, რაც ნამდვილად არ ითქმის ეროვნული ეკონომიკის ბევრ მნიშვნელოვან დარგზე. ასე მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის დაცემა და არაეფექტიანი დასაქმება განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოსათვის ტრადიციულ დარგში – სოფლის მეურნეობაში (იხ. ცხრილი 1).

1990 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის–25,2%), დარგში იწარმოებოდა მშპ-ის 29,8%, რაც შეადგენდა 4454,0 მლნ. მანეთს. 2012 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1724,0 ათასი კაციდან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1100,5 ათასი კაცი, ანუ 63,8%, დარგში წარმოებულია მშპ-ის მხოლოდ 8,4%. მაშასადამე, თუ 2012 წელს 1990 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 25,2%-დან 63,8%-მდე, მშპ-ის მოცულობაში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა 29,8%-დან 8,4%-მდე შემცირდა. შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე განპირობებულია.

ცხრილი 1

სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დასაქმების დონისა და მშპ-ის თანაფარდობის დინამიკა 1990-2012 წლებში¹

წლები	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა		პროდუქციის წარმოება	
	ათასი კაცი	%-ში სულ დასაქმებულთა მიმართ	აბსოლუტური	%-ში მშპ-ის მიმართ
1990	695,0	25,2	4454,0 მლნ მანეთი	29,8
2000	910,0	52,1	1197,0 მლნ ლარი	20,1
2002	989,0	53,8	1436,4 მლნ ლარი	20,6
2004	962,0	53,9	1589,7 მლნ ლარი	16,2
2006	1132,2	64,8	1544,3 მლნ ლარი	11,2
2007	1065,8	62,5	1562,7 მლნ ლარი	9,2
2008	1012,7	63,2	1551,1 მლნ ლარი	8,13
2009	1046,1	63,2	1457,2 მლნ ლარი	8,1
2010	1010,9	62,1	1518,3 მლნ ლარი	7,3
2011	1046,8	62,9	2264,0 მლნ ლარი	9,3
2012	1100,5	63,8	2195,7 მლნ. ლარი	8,4

არაეფექტიანი დასაქმებითა და თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის ხელოვნურად გაზრდით. კერძოდ, თვითდასაქმებულთა სტატუსის განსაზღვრის მოქმედი მეთოდოლოგიით, აღნიშნულ კატეგორიას მიაკუთვნებენ პირებს-მესაკუთრეებს, რომელთა საქმიანობა საანგარიშო პერიოდში ხორციელდება მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირებს. ზოგადი განმარტებით კი–„დასაქმებულია (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ესმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა, ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ”².

დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა შორის თანაფარდობა არსებითად განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მიხედვით. 2000-2012 წლებში ქალაქის დასაქმებულ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა საშუალოდ 31,1%-ია, მაშინ როცა, აღნიშნული მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში საშუალოდ 82,6%-ს შეადგენს (2012 წელს 80,43%).³ რასაკვირველია, დასაქმებულებს შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა ზოგადად არ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, ვინაიდან თვითდასაქმებული მესაკუთრეა და მისი საქმიანობის მიზანი მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღებაა. უფრო მეტიც, თვითდასაქმების ზრდა მესაკუთრეთა ხვედრითი წონის გაზრდით, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქნეს მიხნეული. მაგრამ, თუ გავანალიზებთ თვითდასაქმებულთა შემადგენლობას და სტრუქტურას, შესამჩნევია, რომ მათი 41,6% ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011 წელს. თბილისი 2012წ. სოფლის მეურნეობის გარემო და სასურსათო უსაფრთხოება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.
² შრომის ბაზარი საქართველოში. 2009წ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია. თბ., 2009წ, დასაქმება და უმუშევრობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია. თბილისი 2012. www.geostat.ge.
³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

პირები, ხოლო 0.2%-ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებია.¹ აშკარაა, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად არაა დასაქმებული და მათთვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2000-2012 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 15.0%-მდე მერყეობდა (2012 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-16.9%-ს მან 2009 წელს მიაღწია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს შრომის ბაზრის მაჩვენებლების დინამიკა 1998-2012 წლებში²

მაჩვენებლები		2000	2006	2009	2012
15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა (ათასი კაცი)		3141.5	3169.8	3131.1	3034.3
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა-სამუშაო ძალა (ათასი კაცი)		2049.2	2021.8	1991.8	2029.1
მათ შორის მათ შორის	დასაქმებული	1837.2	1747.3	1656.1	1724.0
	დაქირავებული	683.9	603.9	596.0	662.6
	თვითდასაქმებული	1041.2	1141.6	1059.0	1054.0
	გაურკვეველი	112.1	1.8	0	7.4
უმუშევარი		212.0	274.5	335.6	305.1
უმუშევრობის დონე (%)		10.3%	13.6%	16.9%	15.0
ეკონომიკური აქტიურობის დონე (%)		65.2%	62.2%	63.9%	66.9
დასაქმების დონე (%)		58.5%	53.8%	52.9%	56.8

უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია ქალაქის მოსახლეობაში. კერძოდ, 2000-2012 წლებში ქალაქის მოსახლეობის უმუშევრობის დონე 18.4%-დან 28.9%-მდე (26.2% 2012 წელს), ხოლო სოფლის მოსახლეობაში 3.9%-დან 7.9%-მდე (7.0% 2012 წელს) მერყეობდა (იხ. ცხრილი 2). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაქმებულის სტატუსს ანიჭებენ ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე ან ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებს. ჩვენი აზრით, მათი უმრავლესობის საქმიანობა არ არის ორიენტირებული საბაზრო წარმოებაზე, განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის და შესაბამისად ასეთი საქმიანობა არ წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის მომტანს. მათი თვითდასაქმებულთა კატეგორიაში ჩათვლით, ხელოვნურად მცირდება უმუშევართა რიცხოვნობა და უმუშევრობის დონე. თუ უმუშევართა რიცხოვნობაში გავითვალისწინებთ თვითდასაქმებულთა ზემოაღნიშნული კატეგორიის თუნდაც 80%-ს და გამოვთვლით უმუშევრობის დონეს, მაგალითისთვის 2012 წელს, იგი შეადგენდა 32.4% და არა 15.0-ს%.

სოფლის მოსახლეობის არაეფექტიან დასაქმებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დასაქმებულთა შორის ჯერ კიდევ მრავლად არიან ე.წ. „ფარული“ უმუშევრები ასევე, ფართოდაა წარმოდგენილი ე.წ. „სეზონური“ უმუშევრობაც, როდესაც მუშაკი მეტნაკლებად სრულფასოვნად დასაქმებულია წელიწადის მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

სოფლად დასაქმების შეზღუდულმა შესაძლებლობებმა და შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სიმცირემ ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის ყველაზე აქტიური, შრომისუნარიანი ნაწილის შრომით ემიგრაციას. მისი უარყოფითი თუ დადებითი მხარეების შეფასება ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ერთს კი შევნიშნავთ, რომ შრომითი ემიგრაციის რეგულირება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს.

ცხრილი 3

უმუშევრობის დონე და დინამიკა საქართველოში 2000-2012 წლებში (პროცენტებში)³

მაჩვენებლები	2000	2002	2004	2006	2007	2008	2009	2011	2012
უმუშევრობის დონე საშუალოდ ქვეყანაში	10.3	12.6	12.6	13.6	13.3	16.5	16.9	15.1	15.0
ქალაქი	18.4	24.2	24.3	26.1	23.9	28.9	28.8	26.5	26.2

¹ შრომის ბაზარი საქართველოში 2009წ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია. თბ., 2009წ. www.geostat.ge

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

სოფელი	3.9	3.9	4.2	4.8	5.4	7.1	7.8	6.5	7.0
--------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

როგორც ანალიზიდან ჩანს, უმუშევრობა საქართველოს სოფლის მოსახლეობისათვის ერთ-ერთი მთავარი სოციალური პრობლემაა. მისი დაძლევისა და ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია. კერძოდ:

- შრომის ბაზრისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს შრომის ბაზრის ინსტიტუტებისა და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის, ეფექტიანად მომუშავე დასაქმების სამსახურების შექმნა და განვითარება რეგიონების დონეზე.
- აუცილებელია კვალიფიციურ მუშათა კადრებსა და სპეციალისტებზე ცალკეული რეგიონის დონეზე მოთხოვნის განსაზღვრა, რადგან სოფლებში უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ადგილი აქვს გარკვეული პროფესიისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის დეფიციტს, რაც განპირობებულია პროფესიული კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების სათანადო სისტემის განუვითარებლობით.
- დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციისათვის საჭიროა სოციალური პარტნიორობის სისტემის ფარგლებში დამქირავეებსა და მუშაკს შორის სოციალურ-შრომითი ურთიერთობების კოლექტიურ-სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკის დამკვიდრება, არსებული პროფესიებისა და ვაკანსიების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, უმუშევრობის ზრდის შეზღუდვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის დონისძიებების შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;
- სოფლის მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანი პროგრამების შემუშავებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულებისა და უმუშევრების აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება, მით უმეტეს, რომ მოქმედი საერთაშორისო მეთოდოლოგია, ზოგიერთი ასპექტით, არ შეესაბამება ქვეყნის განვითარების სპეციფიკას.
- სოფლის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტია სახელმწიფომ შესაბამისი ინსტიტუტების დახმარებით დაგეგმოს და პერმანენტულად განახორციელოს დასაქმების აქტიური პოლიტიკის მსოფლიოში აპრობირებული დონისძიებები: დახმარება შრომით მოწყობაში, პროფესიული მომზადება და გადამზადება, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია, თვითდასაქმების და სამეწარმეო ინიციატივის წახალისება. სწორედ ასეთი დონისძიებების წარმატებით განხორციელება შეამცირებს დახმარების მიმღებთა რიცხვს და შესაბამისად უმუშევრობის დონეს.

NATELA LATSABIDZE

Academic Doctor, Chair of the Department of Personnel Management, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MURMAN TSARTSIDZE

Associate professor of the Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

EFFECTIVE EMPLOYMENT WAYS OF GEORGIA'S RURAL POPULATION

S u m m a r y

Ineffective employment of Georgia's population and namely rural population substantially cramps socio-economic development of the country, inculcation of market relations and naturally the formation of civilized labour market. Seasonal employment of rural population, low and instable incomes, unmanageable labour migration and other negative socio-economic phenomena reduce the effectiveness of the exploitation of labour potential. The employment problem of rural population has become a subject for debate not only among specialists, but also to society, government and the church. The effective effort of Georgia's government to regulate socio-economic problems of rural population is reflected in the endorsed program supporting rural development. The positive socio-economic effect of its realization should be reflected in the majority of rural population because rural population must be employed maximally in order to carry out the work. In the scientific article there is found that despite positive upheavals, due to the many unsolved problems in economic and social spheres, significant improvement of living standards of rural population has not been achieved; unemployment is still one of the main social problems. To overcome it and to avoid its negative consequences it is necessary to formulate an effective state policy of employment and to implement it practically. Namely, it is necessary to establish labour market institutions and its adequate infrastructure, to create and develop effectively working employment services, to determine the demand on skilled workers and specialists on the level of separate regions, to inculcate the regulatory practice of collective agreements on social and labour relations between employers and workers within the frameworks of the system of social partnership, to create an integrated information base about

existing vocations and vacancies, to monitor permanently the implementation of the measures of unemployment growth limitation and social support, to regulate the registration system of economically active population, employees and unemployees, to take measures of active employment policy which are widely used in the world - support for the labor, professional training and retraining, public works organization, planning and implementation of self-employment and entrepreneurial initiatives.

MARINA LEZHAVA

Agricultural university of Georgia, Doctor of business administration

PERSPECTIVES OF DEVELOPMENT OF AGRITOURISM IN GEORGIA

Georgia has got quite a great and attractive tourist potential. That is why for the development of the tourism and health resorts it is more important existing tourist and health resort infrastructure reconstruction and modernization and new project construction in accordance with the international standards.

In respect of Georgia it is noted that tourism is considered as one of the priority direction of the economical development and dynamically advances in such societies which are in the active phase of development. Georgia is in new phase of tourism development. As in the whole world so in Georgia tourism shows itself as a quickly developing branch, where are integrated a lot of systems, which were unrelated before .

In this way the state politics of Georgia is quite effective and dynamic, though it is still much to do. We have not got a united strategy of tourism development or tax liberal mechanism, do not work certification admitting systems, licensing mechanism, the specific problems are created in the directions of the accounting the income and outcome tourists in the country and the importance tourism in the agriculture measuring. At the state level do not appears at all the economical and sociocultural stability concept or the permissible level of tourism development not to bring us the negative take. The tourism may become the initial point, which would take Georgia at the concrete position of the international market of economics, politics and culture. The tourism development should be regulated by the private, state and social structures. One of the basic faces of the tourism is recreation tourism and its forms which are: nature tourism, ecological tourism, agrotourism, which are the forms of farm and village tourism. As the other forms of the tourism, agrotourism needs to be planned in details and effective administration.

Tourism business activation put on the agenda the necessity of administrative and legal regulation of its development on a level with the standards of international and native countries.

On a world scale, industry of tourism is under the general methodological guidance of the World Tourism Organization. It defines the main tendencies of development of the sector and gives the guiding recommendations.

State Department of Tourism and Health-Resorts of Georgia is the state institution of tourism and health resorts complexes preservation, development and administration. The Law of Georgia "On tourism and health-resort" defines the role and competence of the Department of Tourism and Health-Resorts as follows:

Article 4. Principles of the Regulations of the Tourism and Health-Resort Sector by the State:

1. Resources of tourism and health-resorts are considered to be the national wealth and are protected by the state.
2. The sector of tourism and health-resorts is recognized by the state to be one of the major priorities for the development of national cul-ture and economy. The state creates favorable conditions for activities in the sector of tourism and health-resorts.

This article of the Law defines exactly the sphere of activity of the authorized body that is the State Department of Tourism and Health-Resorts. In Georgia tourism as one of the most priority sectors shall develop on the basis of the cooperation of the state and private sectors. They shall plan and implement the investments in the sphere jointly. For this the state is required to create state-legal guarantees (tax advantages or subsidies) to attract the investors. At the period of transition from the centralized economic to the market economics, the big significance is attached to the privatization. The main goal of the transitional period is stabilization and appropriate conditions creation for economics' for its following development. Just because of that the reforms implemented in Georgia last years, especially from the point of view of the changes of the ownership relations, are extremely significant and required. In spite of this many issues are to be settled. First, the creation of the legal environment assisting to attract foreign and local investors is to be settled.

The experience of the advanced countries in the sphere of tourism shows us that at the different levels they had passed the similar way. The social-economic effect taken strongly exceeded the expected result. For an example Turkey is enough, there in ten years such famous health-resorts of world-significance were built as Antalya and Kemer. Rather good result they have had in Tunis, China, Cyprus, etc. From the number of the republics of Former Soviet Union the significant advantages for the investments are created in Uzbekistan. Particularly, the foreign investors in the sphere of tourism in Uzbekistan are free from the profit tax from the invested sources for the first seven years, from the custom, property and ground tax of the manufacturing equipment carried into the country to hotels and other tourist objects building.

Tax advantages for the investors can be divided into some groups:

1. exemption from direct tax (property, profit, ground, etc.) for some years;
2. exemption from VAT the tourist objects while building;
3. exemption from custom duty the import complete inventory, manufacturing equipment

and other. It is notable that Georgia has rather big and attractive tourism potential. That is why the existing tourism and health-resorts infrastructure restoration, modernization and new objects building according to the international standards requirements is significant for tourism and health-resorts development, as the most part of the existing tourism and health-resorts objects have been built at the soviet period and do not correspond strongly to the modern international standards. True, the work is being made to create modern hotel network, to restore and develop the tourist industry, the tourism and health-resorts infrastructure, but putting the question by this way we stress the big significance of the mentioned problem and set the problem of the work to be activated in this direction. It is desirable to perfect the ownership relations of the tourist object. As it is known, the tourism objects in Georgia are either the state or private property.

In the hotel industry of Georgia the superiority has the private ownership (91%). Although, the mixed (state and private) and social forms of ownership relations, which are successfully used in the industry of tourism and health-resorts of the advanced countries.

Mixed and social forms of ownership relations can be introduced not only in the hotel industry, but also in the other kinds of enterprises of the sector, particularly, in the tour operating firms, tourism agencies, etc.

Tourism business development without modern informational technologies is very difficult. The lack of the united informational network and the incomplete database significantly complicates tourism infrastructure development according to the International Standards. This problem shall first be solved by the efforts of the state structures.

As to Georgia, it is notable that tourism is considered to be one of most priority directions of the economic development and is expanding dynamically in the society, which is in the active phase of its development. Georgia is in new phase of tourism development. As in the whole world, in Georgia tourism shows itself as a quickly developing sector, where are integrated a lot of systems, which have not be related before (ecology, education, agriculture, etc.)

Tourism State Policy in Georgia is implemented by the National Tourism Agency, its priorities are popularization and promotion of the image of Georgia as a tourism country, development of a legal base, branding and marketing strategy.

National concerts, flowers exhibition-sales, children's shows, cheese "khinkali" and "mtsvadi" festivals, etc., for tourism sector revival are planned. Only within the Signaghi project 2500 visitors visited Signaghi from the 10th of April till the 10th of August 2012 inclusive, 65 % of them were Georgian and 35 % were foreigners; 62 % of the joint quantity represented one-day visitors, and the others spent two nights here.

These rates have an influence upon accommodation sector, loading rate contained in the hotels of Signaghi about 70 %, and in the private houses 40 %.

The distinct idea of the state policy gives us the information on the state tourism sector funding (see schedule-1).

Schedule-1

State Tourism Sector Funding

Rate	Years						
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
Department of Tourism Total	258,2	898,2	1147,6	4709,8	6062,1	3276,8	6168
Amount allocated to special programs	65,6	736,5	832,5	1532,8	2518,6	2561,8	4357,8
Mastering the allocated amount	61,6	663,3	813,6	1551,7	2420,8	2500,3	6100,1
Mastering %	93,8	90,1	97,7	98,8	96,1	97,6	98,9

Source: Ministry of Finance of Georgia

In this way, the state policy of Georgia is quite effective and dynamic, though it is still much to do. We have not got a united strategy of tourism development or tax liberal mechanism, do not work certification admitting systems, licensing mechanism, the specific problems are created in the directions of the accounting the income and outcome tourists in the country and the importance of tourism in the agricultural measuring. At the state level the economical and sociocultural stability concept or the permissible level of tourism development does not appear at all not to receive negative results. As a result we are still behind the developed countries according to some qualitative and quantitative rates, so for the development of the state interests the relevant tourism active state policy is required. Tourism may become the initial point, which would take Georgia to the concrete position of the international market of economics, policy and culture. Tourism development should be regulated by the private, state and social structures.

To create an image of a competitive tourism country in the world society Georgia is required to work out a united strategy. At the transition period a significant role is to be played by the state regulation, which shall protect the interests of the local entrepreneurs, local culture and local consumers of the tourism service. The strongest impression on the tourists came to Georgia make the hospitality plus nature and Georgian culture with its following components: history, architecture, folklore, etc. Cultural tourism is the most popular one among the came tourists (see chart 1)

Tourism kinds classification can be made according to the tourism product's features, their consumers, accommodation and transport means, etc. But we suppose it would be more logical to base the classification on the content and purpose

of the taken product. If we follow the principal, it turns out that the main kind of tourism is recreational tourism and its forms are: nature tourism, ecological tourism, agrotourism, which represents a variety of farming and agricultural tourism.

What kinds of tourism provides the rest of the tourists




Chart 1. BCG Research by request of the Department of Tourism of Georgia, 2012

Agrotourism is noteworthy because it works the whole year. In Cyprus and Bulgaria agrotourism has preserved the originality of the villages. A special program is worked out to develop agrotourism on Cyprus, which implements the restoration of the country houses and designing them in national style keeping modern comfort and convenience.

It is a fact that agrotourism shall develop in Georgian villages on a local level. But it shall not be considered separately from the regional, national, sometimes international contacts. In spite of the identity of the main problems, which stay in front of the industry of tourism as on regional so on national level, they should work out both main plans and programs and also marketing and general policy and strategy.

In the process of tourism development a great attention shall be paid to the international contacts. The especially numerous category is considered to be the tourists being on their vacation and businessmen, including the ones who travel abroad to take part in congresses or conferences. The foreign tourists bring the convertible currency thus much necessary for the developing countries, their economy intensification. Today most of the hotels network as well as the big tour operators serve the international customers.

We can also say that the decisions and measures taken in any tourism district have its influence upon the nearest neighbor's strategy, as a result upon the regions and the whole country, and, at last, the whole world. People movement shall be in harmony with the requirements of all countries and their citizens and the problems of the global cooperation, which in principle should mean such economic development, during which preservation and care of the existing limited resources is taking place.

Fortunately, while planning and managing the environment and society features tourism can play a positive role, especially during the nature protecting measures. This explains that the environment with its inimitable landscapes and unique nature relicts, flora and fauna diversity, clear air and water form the majority of resources, which are interesting for the tourists. Tourism can not only assist the nature preservation, but also set ability for its subsidizing (funding). In this direction the big significance has tourism planning and developing in the context of the measures taken to keep the cultural heritage. Agrotourism planning and developing in Georgia shall take place according to the three principals of a stable development:

- ecological stability supports the united development of the basic ecological processes, biodiversity and biological resources;
- social and cultural stability supports such stability, when humans' life, their united culture and values are protected in all aspects and the cultural originality still becomes firmly established;

economical stability supports economical efficiency of the development, when the method of resources usage gives the future generations preservation warranty.

Sustainable tourism assists in better understanding the ways of tourism's influence upon the nature, culture and social sphere.

Sustainable tourism supports the legal assessment of the income and charges. Tourism creates work places in the local tourism sector as well as in the adjoining sectors.

Tourism causes the stability of inner winning branches: hotels and other ways of accommodation, restaurants and public catering objects, transport system, folk art and excursion-informational business.

Tourism assists foreign currency bringing into the country, supports investments into the local economics. It also assists the diversity of the local economics, especially in the villages, where the employment of the population has the seasonal and occasional nature.

Three fourths of the international tourism trips fall on the neighbor countries, so people choose a country to travel according to its geographical nearness. About 60 % of international tourists travel for the purpose of rest, 30 % for the business purpose, the others have different purposes.

Today traveling for recreational and ecological purpose in the world represents an especially growing segment of the tourism market. First, the tourists are interested in the natural environment and traditional forms of culture. The distant and ecologically interesting districts attract them. As well as any other form of tourism, agrotourism requires detailed planning and effective administration, when we talk about the estimable quantity of tourists, as without a preliminary planning they can suffer great damage. Tourism planning and clever administration can play a positive role in environment and culture preservation.

1. The agricultural production at the international tourism market is to be brought by the tourism agencies, as country people have no opportunity of direct marketing, advertise financing abroad or selling their production on-line.
2. The existence of the agrotourism tour operator is obligatory. According to the existing practice most of the Georgian tourism firms aim at universality. They do not want be one-segment specialists, this fact prevents the professionalism and correspondingly the tourism product reaches the international market unequipped. We mean incomplete knowledge of foreign tourists' requirements, through which the delivered product does not contain the expected service.
3. The production of agrotourism should be cheap, as the main motivation of the village tourism is cheap, less comfortable, but ecological pure and pleasant vacation. This circumstance is especially significant in Georgia, as beginner businessmen are fascinated with the high-grade profit.
4. In the villages selected for the agrotourism the informational-agitation works on the role of tourism and the place on the local level should be made. Country people and governmental circle training to accept the tourists.
5. To select the concrete host in the villages the tourism agencies should have the obligatory list of living conditions. The concrete house will enter the list of hosts after it satisfies the mentioned conditions. The conditions are: safety of the place, beautiful nature and landscape; presence of forest, river, lake or therapeutic water; it is desirable the peasant's homestead to carry the national features and the following elements of infrastructure: separate bedroom, shower and toilet; possibility to feed in the host family. Foreign tourists pay big attention to the presence of historical monuments and other places of interest. There should be a restaurant, tavern or a kitchen of the national dishes near the house.
6. Failing the experience it is difficult to draw up a special program, which should provide the following: the vacationers in the villages are usually a foreign family of 2-4 members. Their vacation organization should provide the offers for each member of the family: it can be hunting, fishing, riding or haymaking with the host for the man, knitting, stitching, and cooking for the woman. When a family with children is going to visit the house it is desirable there were children of about the same age in the host family. The most big significant for the members of the host families is to own a foreign language.
7. Informational and advertising materials preparing should be implemented according to the foreign analogues (Cyprus, Bulgaria, etc.). As a rule, agriculture tourism advertising materials are abounded in the photos of the peasant's homestead, full information about the host region, especially its customs and traditions. One of the means to sell an agrotourism product is specialized market, also the markets, where the customers predominate the professionals.

During one of the marketing researches held by the Department of Tourism it occurred that if we conventionally take the concepts: tourism regions of very high activity, high activity, middle activity and low activity, we shall receive the following picture: 40 % of the regions of Georgia apply to the tourism regions of a very high activity, as the absolute majority of the tour operators (100%) make their tours to these regions. They are: Kakheti, Mtskheta-Mtianeti, Imereti, Samtsxe-Javakheti. 10 % of the regions apply to the tourism regions of high activity, 74, 1 % of tour operators make their tours here, these is: Region of Ajara. And 50 % of regions apply to the tourism regions of middle activity.

Finally it may be said that when we see a country with the developed tourism infrastructure, we should remember that they began working to solve this problem 35-40 years ago. It is impossible to get such result in three years. Although in the sphere of tourism the private sector will also become stronger along with the state. If the accent is made on the long-term perspective, it will regulate the service quality, the growing competition, price and in the final much more positively effects upon the development and regenerating of the economics of our country.

მარინა ლეჟავა

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი

აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ანოტაცია

საქართველოში აგროტურიზმის დაგეგმვა და განვითარება უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით: ეკოლოგიური მდგრადობა; სოციალური და კულტურული მდგრადობა; ეკონომიკური მდგრადობა.

ტურიზმის დაგეგმვას და გონივრულ მართვას შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს გარემოსა და კულტურის შენარჩუნებაში.

1. აგროტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირატესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების, ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება.
2. აუცილებელია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორის არსებობა. თანახმად არსებული პრაქტიკისა ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის. მათ არ გააჩნიათ სურვილი ერთი რომელიმე სეგმენტის სპეციალისტად იწოდებოდნენ, რაც ხელს უშლის პროფესიონალიზმს და შესაბამისად ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუმზადებელი გადის.
3. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება.
4. აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე.
5. აგროტურიზმისათვის სოფლებისა და სოფლებში კონკრეტული მასპინძლის შერჩევისათვის ტურისტულ ფირმებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი პირობების ჩამონათვალი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი შევა განთავსების საშუალებათა ნუსხაში. ეს პირობებია: ადგილის უსაფრთხოება, ღამაზი ბუნება და ღანდშაფტი: ტყის, მდინარის, ტბის, ან სამკურნალო წყლის არსებობა;
6. გამოცდილების უქონლობის გამო სირთულეს წარმოადგენს აგროტურისტებისათვის სპეციალური პროგრამის შედგენა, რომელშიც გასათვალისწინებელია შემდეგი: სოფელში დამსვენებლები ძირითადად 2-4 კაციანი უცხოელთა ოჯახებია. მათთვის დასვენების ორგანიზებისათვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისათვის ცალცალკე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციოდ აუცილებელი უცხო ენის ცოდნას.
7. ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია საინფორმაციო - სარეკლამო მასალების დამზადება

მანანა ლოპხანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

ახალგაზრდების უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში

ახალგაზრდების უმუშევრობა უმწვავესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. უკანასკნელი წლებში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემასა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მექანიზმი, ყოველგვარი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად ხდება სპეციალისტების მომზადება. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.


ახალგაზრდების რაოდენობა და წილი მოსახლეობის რიცხოვნობაში, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2013 წელს საქართველოს მოსახლეობა – 4483,8 ათასია, აქედან ქალი – 2345,0 ათასი, ხოლო მამაკაცი – 2138,8 ათასი. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობიდან 15-19 წლის ასაკის ახალგაზრდები 283,6 ათასია, მათ შორის ქალი – 136,9 ათასი, კაცი – 146,7 ათასი, 20-24 წლის ასაკის ახალგაზრდები 364,9 ათასი, აქედან ქალი – 180,5 ათასი, ხოლო კაცი – 183,9 ათასი, 25-29 წლის ასაკის ახალგაზრდები 359,8 ათასი, მათ შორის ქალი – 178,5 ათასი კაცი – 181,3 ათასი.

ახალგაზრდები მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

სტისტიკას თუ გადავხედავთ უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე სწორედ ახალგაზრდებში შეიმჩნევა. ამის მიზეზია ახალგაზრდებს არ გააჩნია შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ არჩევანს პროფესიის შერჩევისას. ამასთან ერთად

აღსანიშნავია მათი არასაკმარისი პროფესიული მომზადება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ უკანასკნელთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე¹.

უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფში 2011 წელს, %



მეორე მხრივ, ახალგაზრდობა როგორც წესი, მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევა ჯანმრთელობითა და გამძლეობით, ასევე შრომისუნარიანობის ხანგრძლივი პერიოდით. ახალგაზრდებს მაღალი დონის ზოგადი განათლების და პროფესიული მომზადების მიღება შეუძლიათ, თუ საშუალო ასაკის, წინსაპენსიო და საპენსიო ასაკის სამუშაო ძალა ცდილობს შეუსაბამოს თავისი პროფესიული მომზადება ბაზრის სათანადო მოთხოვნებს, ახალგაზრდები გამოირჩევიან საერთო განათლების, კულტურისა და ინფორმირებულობის მაღალი დონით და პრაქტიკაშიც წარმატებით გამოყენების შესაძლებლობებიც მეტი აქვთ. მათთვის დამახასიათებელია უფრო მაღალი მობილურობა, ენერგიულობა და ინიციატივა.

სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების რიცხოვნობის შემცირება, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატება, მიუთითებს ახალგაზრდების დამოკიდებულებას – განათლებისადმი.

უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვში გაიზარდა ახალგაზრდების უმცროს ასაკობრივ ჯგუფში, რაც მოწმობს შრომის ბაზრის მაღალ მოთხოვნებს სამუშაო ძალის ხარისხის მიმართ, ასევე მათ სწრაფვას მაღალანაზღაურებადი სამუშაოსადმი.

ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია, მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესია. ვინაიდან საშუალო (20-24 წელი) და უფროსი (25-29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის ახალგაზრდებისა.

ამ თხუთმეტწლიანი ინტერვალის (15-29 წელი) შიგნით საჭიროა გამოიყოს ახალგაზრდების სამი ასაკობრივი ჯგუფი: 15-19 წელი; 20-24 წელი; 25-29 წელი. ცალკეული ჯგუფების გამოყოფას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვის მოთხოვნები და ინტერესები.

ჯგუფის უმცროს ასაკს (15-19 წელი) მიეკუთვნებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები და კურსდამთავრებულები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. მათგან უმრავლესობა მშობლების ოჯახში ცხოვრობს, რაც მათ მატერიალურ მდგომარეობას და ქცევას განსაზღვრავს შრომის ბაზარზე. უმრავლესობა მშობელთა კმაყოფილება და საკუთარი შემოსავალს შემთხვევითი სამუშაოს პოვნით გამოიმუშავებს.

პროფესიული განათლების მზარდი როლიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ზრდისათვის, ამ ასაკის პრიორიტეტად, როგორც ახალგაზრდების ისე სახელმწიფოს მხრიდან, პროფესიული განათლების მიღება და სპეციალიზაცია წარმოადგენს.

საშუალო ასაკი 20-24 წელია – ეს ძირითადად, შრომის ბაზარზე სამუშაოდ პირველად გამოსული ახალგაზრდები არიან მათ შორის 60% ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება, დანარჩენები კი – უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც პროფესიულ მომზადებას ამთავრებენ.

ამ ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობის ძირითადი მიზანია – სამუშაოს არჩევა, მშობლებისაგან მატერიალური დამოკიდებულების მიღწევა.

მათი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა მატერიალური მდგომარეობის მაღალ მოთხოვნებსა და რეალური შესაძლებლობების დაკმაყოფილებას შორის. სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი მაღალი უმუშევრობა და დამნაშავეობა.

„ახალგაზრდა უფროსები“ 25-29 ასაკია, ისინი საკმაოდ დამოუკიდებელი არიან. მათ აქვთ გარკვეული ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია. მათ იციან რა უნდათ და მზად არიან საკუთარი მიზნის მისაღწევად.

ეროვნულ მეურნეობაში გამოწვეული მკვეთრი ცვლილებების დროს, ეკონომიკის საერთო კრიზისის ფონზე, განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა დასაქმების კრიზისი. ბუნებრივია, რომ გართულდა ახალგაზრდა სპეციალისტების შრომითი მოწყობაც.

¹ www.geostat.ge

ხანგრძლივი უმუშევრობა ან პროფესიის მიხედვით დაუსაქმებლობა ახალგაზრდებს არ აძლევს საკუთარი საგანმანათლებლო და პროფესიული ცოდნის გაღრმავების საშუალებას, რაც იწვევს პიროვნების დეგრადაციას, სოციალური პრობლემების (განქორწინებულთა რიცხვის ზრდა, დანაშაულებათა ზრდა) გაზრდას და სხვა.

გასათვალისწინებელია, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენს შრომითი რესურსების შევსების ძირითადად წყაროს და აქედან გამომდინარე, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მთავარ მიმწოდებელს, ამიტომაც ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებასა და მიზნობრივი დასაქმებისათვის, დღეს განხორციელებული ინვესტიციები სამომავლოდ გაცილებით დიდ დადებით ზემოქმედებას მოახდენს ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ახალგაზრდების უმუშევრობა, მათი დასაქმების სირთულეები განპირობებულია იმით, რომ გამკაცრდა მოთხოვნები კვალიფიკაციის დონისადმი. დამჭირებლები თვლიან, რომ ახალგაზრდების ნაწილს არასაკმარისი პროფესიული მომზადება აქვს, არ აქვთ ჩამოყალიბებული შრომითი ჩვევები, არ გააჩნიათ მუშაობის გამოცდილება, დაბალია პასუხისმგებლობის გრძნობა და დიდია პრეტენზიები შრომის ანაზღაურების დონის მიმართ. თავის მხრივ, ხშირად ახალგაზრდები სამუშაოს შერჩევას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის პროფესიულ-კვალიფიციურ მხარეს და უპირატესობას ანიჭებენ მაღალ ხელფასს, თვითდაჯერებულნი არიან თავის შესაძლებლობებში და თვლიან, რომ მიღებული სპეციალობა და ცოდნა არ შეესაბამება შეთავაზებულ სამუშაო პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდობის დასაქმების რეგულირება სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. შრომის ბაზრის მკვლევარები, ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ამ საქმეში გადამწყვეტია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რაშიც მნიშვნელოვანია ყველა დონის პროფესიული სკოლის როლი.

პროფესიული სკოლა ყველაზე ადეკვატურად რეაგირებს იმ პროცესებზე, რაც უკავშირდება შრომის ბაზარზე მოთხოვნის ფორმირებას.

სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდობის დასაქმების საკითხებისადმი მიდგომა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს, რადგან ახალგაზრდობის ხანგრძლივმა უმუშევრობამ და არასრულმა დასაქმებამ შეიძლება სოციალურ აფეთქებამდე კი მიგვიყვანოს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების როლი და მნიშვნელობა, შრომის ბაზარზე, მუდმივად იზრდება.

დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება და ახალგაზრდების დასაქმებისათვის ხელშეწყობა ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. თვით უმაღლესი სასწავლებლები არიან დაინტერესებულნი საკუთარი კურსდამთავრებულების შრომით მოწყობაში. მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ დამჭირებლებთან და მათგან ითხოვენ საჭირო ინფორმაციას თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ. საფრანგეთის განათლების სისტემის მნიშვნელოვანი სეგმენტია, დასაქმების ცენტრების არსებობა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც მთავრობა აფინანსებს ყოველწლიურად 51 მლნ. ევროთი.

ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობი დონისძიებებიდან მნიშვნელოვანია სტუდენტური დასაქმების ახალი ფორმები, როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშია, სტუდენტური სამუშაო დღე უნდა იყოს არასრული და ანაზღაურება უნდა ხდებოდეს საათობრივად, რათა სტუდენტმა შეძლოს სწავლისა და მუშაობის შეთავსება.

მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების უმეტესობა დამუკიდებელია, თუმცა საკუთარი თავის რჩენას ოჯახის გარეშე ვერ ახერხებდა. სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს დღევანდელ ვითარებაში, რასაც ადასტურებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტი „სტუდენტური დასაქმების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც 25 ათასი სამუშაო ადგილზე სამუშაოს მსურველთა რეგისტრაცია ერთ დღეში განხორციელდა, რაც მიუთითებს ახალგაზრდების დამოკიდებულების შეცვლას შრომისადმი.¹

მნიშვნელოვანია სახელმწიფო განათლების პოლიტიკის პრიორიტეტები, რათა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად სამუშაო ადგილის და მომუშავეს კვალიფიკაცია იყოს სრულ შესაბამისობაში, აქედან გამომდინარე სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა ამ მიმართულებით სწორედ ამის ნათელი დასტურია.

ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკაში დასაქმების რეგულირების მიმართულების გაძლიერებამ შესაძლებელია მკვეთრად შეცვალოს სიტუაცია როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდების დასაქმება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას.

„ობიექტური“ ფაქტორები უმეტესად ვლინდება ინსტიტუციონალური ფორმით – სამუშაო ადგილები, პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების სფერო, დასაქმების სამსახური და ა.შ. – როგორც საერთო ეკონომიკური სიტუაციის კავშირი დასაქმებასთან.

¹ www.mes.gov.ge

„სუბიექტური“ ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია ახალგაზრდებთან (მათი მზადყოფნა პროფესიული შრომისათვის, ფასეულობათა ორიენტაციაზე, სხვა ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე და ა.შ.). ახალგაზრდების დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფა პირველ რიგში საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივი, რეგიონული, ქვეყნის) და დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასაქმებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა, საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის;
- სამუშაო ადგილების ეკონომიკურიად დასაბუთებული გაზრდა
- პროფესიული განათლების დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი ქსელის გაფართოება;
- ახალგაზრდების მომზადება იმ ახალი სპეციალობების მიხედვით, რომლებიც შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება;
- ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის კვლირებული სამუშაო ადგილების გამოყოფა, შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით;
- ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომელიც ახალგაზრდების დასაქმების უზრუნველყოფას ეხება.
- შრომის ბაზრის საინფორმაციო მომსახურების სრულყოფა, რაც გულისხმობს ამომწურავი ინფორმაციის არსებობას ვაკანსიების შესახებ ქვეყნის რეგიონულ და ქალაქის დონეზე;
- დასაქმების სახელმწიფო სისტემაში სპეციალური სამსახურის შექმნა ახალგაზრდების სოციალური დაცვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული წამოწყების სტიმულირებას (შეღავათიანი კრედიტები, საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა);
- სოციალური პარტნიორობის ფარგლებში – კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა.

ახალგაზრდების დასაქმებაზე ობიექტურთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორები:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური);
- არასაკმარისი საგანმანათლებლო მომზადება;
- არასაკმარისი საწარმოო გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);
- სუსტი პროფესიული ორიენტაცია ;
- არასაკმარისი შრომითი ჩვევები და გამოცდილება;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა პროფესიული შრომისათვის;
- შრომითი ფასეულობების სუსტი დასაბუთება (პროფესია, კვალიფიკაცია, შრომის მწარმოებლურობა, შემოქმედებითი სამუშაო, პროფესიული კარიერა და ა.შ.);
- მაღალი მოთხოვნა და მოლოდინი მომავალი სამუშაოსადმი;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სამუშაო ადგილის დასაკავებლად კონკურენტული ბრძოლისათვის;
- სამუშაო გარემოსადმი შეგუების სირთულეები (მოჭარბებული ემოციები, არასაკმარისი კომუნიკაბელური ჩვევები);
- ეკონომიკური სტიმულის უქონლობა, რომელიც წარმატებული პროფესიული მოღვაწეობის წინაპირობაა.

ახალგაზრდების დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი მათგანი. ასევე თითოეულის მნიშვნელობა რეალურ მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობებით.

ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა, მხოლოდ თანასწორობის პრინციპზე დამყარებული სოციალური პარტნიორობის ფარგლებში – დამკვირვებლის, ახალკურსდამთავრებულის და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს

MANANA LOBZHANIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

UNEMPLOYMENT AND EMPLOYMENT PROBLEMS OF YOUTH IN GEORGIA

S u m m a r y

Youth unemployment is one of the most acute problems for any state that is no exception for Georgia. While last years the mechanism of relationships between the system of professional education and organizations has been

subjected to collapse. The specialists preparation is carried out in untemplated manner in regard of requirements. Certainly it is impossible for the specialists with higher education in conditions of market economy to achieve complete conformity with permanently changeable demands to professional-qualified composition. However, received education should provide assurance of employment and full life conditions.

It should be taken into account that young people represent the main source of provision of labor recourses and therefore is the main provider of the working force in the labor market. Despite the intricate social economic circumstances in the state the investments made in the current period will make much more positive impact for education and professional training of the young people and their professional employment to further social-economic development of the state.

Promotion to youth employment based on equality principles in a framework of social partnership should be carried out with consideration of interests of employers, graduates and the state.

ტარიელ ლომია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შიდა აუდიტის სამსახური მონიტორინგის განყოფილების უფროსი სპეციალისტი*

ეკონომიკური პოლიტიკის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში

სოფლის მეურნეობის განვითარება დიდ როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განსაზღვრაში, ასევე, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფასა და სიღარიბის დაძლევაში.

ბოლო პერიოდში, აგრარულ სექტორში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეინიშნება წარმოების შემცირების ტენდენცია, რის გამოც მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ქვეყნები ცდილობენ აგრარული სექტორის დაფინანსების გაზრდით გაზარდონ წარმოება, რათა თავიდან აიცილონ საკუთარ ბაზრებზე ამა თუ იმ პროდუქტებზე დეფიციტი და ფასების ზრდა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ლიდერები სურსათზე ფასების ზრდის შემცირებას ცდილობენ. უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები „დიდი ოცეულის“ ლიდერებსა და გაეროს წარმომადგენლებს შორის ამ პრობლემის მოგვარებაზე. „ოცეულის“ ლიდერები ცდილობენ თავიდან აიცილონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტზე შეზღუდვების დაწესება, რათა მსოფლიო ბაზარზე დეფიციტი არ შეიქმნას. მსგავს პრეცედენტს ადგილი 2007-2008 წლებში ჰქონდა, როდესაც მსოფლიოში, პირველად ბოლო 30 წლის განმავლობაში, სასურსათო კრიზისი შეიქმნა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. ამ დარგში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 50%-ზე მეტი, თუმცა, მისი წილი მშპ-ში მცირეა და მხოლოდ 7-8%-ს შეადგენს.¹ ასევე, ბოლო სამი წლის მანძილზე ბიუჯეტში სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 0,9%-ია.²

თანამედროვე მსოფლიოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების პრიორიტეტების განსაზღვრის დროს ქვეყნები ითვალისწინებენ, რომ ძირითადად საკუთარ სასურსათო პროდუქტებზე მოხმარების ნორმის 30%-მდე შემცირება სასურსათო უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას იწვევს. საქართველოში შესაბამისი გათვლებით მოსახლეობის მიერ მოხმარებული ეროვნული სასურსათო პროდუქტების მოცულობა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე 49%-ით ნაკლებია ფიზიოლოგიური ნორმებთან შედარებით. სოფლად ეს მაჩვენებელი უკეთესია და 10-15 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებელს.³ საქართველოსთვის ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრარული სექტორი. 1990 წლისთვის ქართული ეკონომიკის მესამედს სწორედ აგრარული სექტორი შეადგენდა. ამასთან, ეს სექტორი საქართველოსთვის მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორის როლს არ თამაშობს – ის უშუალოდ უკავშირდება საქართველოში არსებულ 3500-ზე მეტ სოფელს. სოფელი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული ერთეული, საქართველოსთვის დამახასიათებელ, გარკვეული კულტურული და სოციალური ფენომენია.

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში საქართველოს სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი გააჩნია. მიმდინარე პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ეს დარგი პრიორიტეტულად დაასახელა. საქართველოში ამ დარგს ბევრი პრობლემა აქვს: მიწების წვრილკონტურიანობა, მოუწესრიგებელი სამართლებრივი გარემო, სახელმწიფოს მხრიდან არასაკამრისი დაფინანსება, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობის

¹ www.geostat.ge

² www.mof.ge

³ ე. ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ.5.

დაბალი დონე, დაზღვევის სისტემის არარსებობა და სხვა. ამ პრობლემების მოგვარებაში გადამწყვეტია ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების შემუშავება და რეალიზაცია, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, გამოიწვევს საგარეო ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მოდერნიზაციას. გასათვალისწინებელია, რომ ეს მოითხოვს მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ოპტიმალური ჩართვის სტრატეგიის შემუშავებას, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნას, აგროსასურსათო სფეროს საქმიანობის ოპტიმიზაციას, ექსპორტის მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებას, საკუთარი პერსპექტიული დარგების დაცვას პროტექციონისტული პოლიტიკითა და იმპორტ შემცველი წარმოების განვითარებას. ქვეყანა უნდა დაეყრდნოს იმ დარგების უპირატეს განვითარებას, რომელთაც ამისათვის კარგი წინაპირობები აქვს.

ბოლო პერიოდში პრიორიტეტული გახდა ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და მოდერნიზაციის პრობლემების შესწავლა. მოდერნიზაციის იდეამ გააჩინა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აგრარული სექტორის განვითარებაზე აქცენტი ქვეყნის ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. შესაბამისად აგრარულმა სექტორმა დაიწყო დაცემა, რაც სოფლად მაცხოვრებელი საქართველოს მოსახლეობის ნახევრისათვის სოციალური პირობების გაუარესებითაც აისახა. მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე შეიძინა სოფლის მეურნეობის განვითარებამ პრიორიტეტულობის ფუნქცია.

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რა ახალი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეკონომიკაში გარდა იმ ტრადიციული შინაარსისა, რაც, ჩვეულებრივ, მოსახლეობის გამოკვებას ემსახურებოდა. საკითხი ეხება იმას, თუ რა პოტენციალი გააჩნია აღნიშნულ სფეროს, აქვს თუ არა შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები სოფლად წარმოებულ პროდუქციას და უნდა მიექცეს თუ არა მას განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დღევანდელი გლობალური სავაჭრო ურთიერთობები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადგილობრივი წარმოება ჩანაცვლებულ იქნეს იაფი იმპორტირებული პროდუქციით. აღნიშნულს კი შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება სჭირდება.

ტრადიციული დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი, როგორც ეკონომიკური გარდაქმნის მნიშვნელოვანი სფეროს მიმართ, ასევე, ღია სავაჭრო ურთიერთობებით გამოწვეული მიდგომა, რომლის თანახმად მიზანშეწონილია შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგების განვითარება – ყველაფერი ეს წარმოქმნის აგრარული სექტორისადმი განსხვავებულ მიდგომებს. ეს დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი კონცეპტუალური საკითხია. რეალურად დღეს საქართველო მოიხმარს მეტ იმპორტირებულ კვების პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. ამ ფონზე ჩნდება კითხვები, ღირს თუ არა მასზე პოლიტიკის აქცენტირება, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარება, ხელს შეუწყობს თუ არა დამატებითი ინვესტირება ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურად იმოქმედებს თუ არა სიღარიბის შემცირებაზე, არსებობს თუ არა შესაბამისი რესურსები და სხვა.

სოფლის მეურნეობა ის დარგია, რომელსაც არსებითი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, მაგრამ როდესაც საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად განვითარებული უნდა იყოს აგრარული ბიზნესი და საჭიროა თუ არა მისი კომერციალიზაციის ხელშეწყობა, მას მხოლოდ სოციალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და აკმაყოფილებდეს მხოლოდ შიდამეურნეობების საარსებო მოთხოვნილებებს. სოფლის მეურნეობას და სურსათის წარმოებას არ შეიძლება მეორეხარისხოვანი როლი დაეკისროს და ასეთი თვალსაზრისი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა აისახოს.

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველო განავითარებს სანედლეულო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, რაც სავალუტო შემოსავლის მიღების მნიშვნელოვანი წყარო გახდება. რადგან სასურსათო პროდუქტებით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის წილის შემცირება ყოველწლიურად მკვეთრად გამოხატულ ხასიათს ატარებს, აუცილებელია სოფლის მეურნეობაში ისეთი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომლის ძირითადი პრიორიტეტი ტრადიციული, შესაბამისი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მქონე დარგების განვითარება და იმპორტიდან ექსპორტზე რეორიენტაცია იქნება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველოში მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებთან შედარებით დაბალია უმეტესი პროდუქტების მოხმარების დონე, განსაკუთრებით დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროდუქტებზე.

სურსათზე დეფიციტი არ აღინიშნება, რადგან მისი შევსება იმპორტული პროდუქტებით ხდება. იმპორტის მოცულობა საშუალოდ 4-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტის მოცულობას.¹

საშინაო ბაზარს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი წარმოების პროდუქტები უნდა მიეწოდოს. ეროვნული პროდუქტებით ბაზრის გაჯერებისათვის აუცილებელია სასურსათო ბაზრის უზრუნველყოფელი დარგების განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და თანაც საინვესტიციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ექსპერტთა გათვლებით რესურსებისა და ინვესტიციების კონცენტრაცია კონკურენტუნარიან პროდუქტებზე უნდა წარიმართოს. საქართველოსათვის ხილი, ყურძენი, ბოსტნეული, კარტოფილი ტრადიციული კულტურებია, ასევე ტრადიციულია მეცხოველეობის უმეტესი დარგები (მსხილფეხა პირუტყვის მომშენებლობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა და სხვა). თუ ამ დარგებისადმი განხორციელდება პროტექციონისტური პოლიტიკა და ამუშავდება გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები, ისინი კონკურენტუნარიანი გახდებიან და თვითონვე შექმნიან საინვესტიციო ფონდებს.²

ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას გასათვალისწინებელია გარე სამეწარმეო ფაქტორები (საკანონმდებლო ბაზა, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და მიმართულებები, კონიუქტურის ცვლილება და სხვა). მეწარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებით მწარმოებელთა თითქმის 30% ფიქრობს, რომ გაყიდვების მოცულობის გაზრდის შესაძლებლობას ხელს შეუწყობს არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.³

აგროსასურსათო ბაზრის განვითარებაში მნიშველოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. ამ მხრივ საქართველოში მიძიმე მდგომარეობაა. მისაღებია კანონი „ფერმერული მეურნეობების შესახებ“, სრულყოფას მოითხოვს საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ და სხვა. სამთავრობო რეგულაციების ცვლილება დიდ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ფერმერთა 33.9% - ის აზრით სამთავრობო რეგულაციების ცვლილების გავლენა სასურსათო ბაზრების განვითარებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაზე უმნიშვნელოა, 44% მიიჩნევს, რომ სამთავრობო რეგულაციების ხშირი ცვლილება უარყოფით გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, ხოლო 7.7%-ის აზრით ეს გავლენა უმნიშვნელოა.⁴

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში, ასევე, ეს ცვლილებები უნდა იყოს დასაბუთებული და მყარი, რადგან მათი ხშირი ცვლილება უარყოფითად აისახება მიწის მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებასა და მიწის თავისუფალი ბაზრის ფორმირებაში.

სოფლის მეურნეობაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკა გამოიწვევს არა მარტო საშინაო ბაზარზე ეროვნული პროდუქტების მიწოდების ზრდას, არამედ საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე შედწევის შესაძლებლობაც გაჩნდება. ამასთან, დღეს მკვეთრად არის გამოხატული ფერმერების მცდელობა მიაწოდონ ბაზარს ინოვაციური, მაღალხარისხიანი და სტანდარტული პროდუქტები. სურსათის სტაბილური მიწოდება უნდა ხდებოდეს საერთაშორისო ბაზარზე ფორმირებული ფასების შესაბამისად, რისთვისაც საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების საკითხი მიზანშეწონილია განხორციელდეს ევროპის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ჰარმონიზაციაში.⁵ აღნიშნულის გაღრმავება მსოფლიო ეკონომიკაში გამოიწვევს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევას. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სურსათის უვნებლობას, ასევე, პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტების, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესების დაცვას, რეგლამენტების გამოყენებას. ის ქვეყნები, რომელთაც ამ სფეროებში კონტროლის მაღალი დონე აქვთ, მათ ბაზარზე არ ახდენენ დაბალი უვნებლობისა და უსაფრთხოების სტანდარტების მქონე ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა. ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებითა და შესაბამისი სამართლებრივი გარემოს შექმნის პირობებში ადგილობრივი მწარმოებლები წარმატებულად შეძლებენ იმპორტული პროდუქტების ჩანაცვლებას. ამ თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ პოლიტიკაში ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაციამ. დღეს განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს თანამედროვე

¹ www.maf.gov.ge

² ე. ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 6.

³ მეწარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრი, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საქართველოში, კვლევის მასალები, თბილისი, 2008, გვ. 67.

⁴ იქვე, გვ. 90.

⁵ საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა, სახელმძღვანელო პრინციპები სამოქმედო გეგმისათვის, თბილისი, 2003.

გლობალიზებად მსოფლიო ეკონომიკაში ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციებისა და სავაჭრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა.¹

მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებაში დიდ როლს შეასრულებს წვრილკონტურიანობისა და მრავალნაკვეთიანობის პრობლემის აღმოფხვრა. დღეს გლეხურ მეურნეობათა 60-62% ერთ პექტარამდე მიწის ფართობს ფლობს. მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის მიზნით აუცილებელია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, რომელიც საფუძველს შექმნის წვრილ მესაკუთრეთა კოოპერირებისათვის.

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება საქართველოს სოფლის მეურნეობაში სასურსათო პროდუქტების იმპორტიდან ექსპორტზე რეორიენტაციის ეკონომიკური პროგრამა უნდა იყოს. ეს სურსათის ადგილობრივი წარმოების შემდგომი გაფართოების საფუძველი გახდება.

სოფლის მეურნეობა არა მარტო ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი, არამედ ადამიანებისათვის საცხოვრებელი გარემოცაა. ამ კონტექსტში შესამუშავებელია მდგრადი განვითარების კონცეფცია. საქართველოსათვის საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად ბიოპროდუქციის სექტორის არჩევა ყველაზე პერსპექტიული და საიმედო გზაა. მართალია ბაზრის წილი მცირე იქნება, მაგრამ ქვეყანას დიდი პოტენციალი გააჩნია ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მხრივ. სავსებით შესაძლებელია მოთხოვნა იყოს როგორც ტრადიციულ ეროვნულ პროდუქტებზე (ღვინო, თაფლი), აგრეთვე ახალ ხილზე, ბოსტნეულზე, მშრალ ხილზე (ჩირებზე) და სხვა.² საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების განსაზღვრაში ორგანული მეურნეობის განვითარება პოლიტიკურ მხარდაჭერას საჭიროებს.

TARIEL LOMIA

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Internal Audit Service
Main specialist at Monitoring department*

THE ROLE OF ECONOMIC POLICY IN AGRICULTURAL DEVELOPMENT OF GEORGIA

Summary

The article analyzes the priorities of agricultural development of Georgia and discusses some of the reasons why this field is important for the growth of economic safety of the country and prosperity of its population. The role of economic policy in agricultural development of Georgia is also estimated. It's highlighted that there are some shortcomings in agricultural economic policy of the country. The article shows the facts which prove that frequent change in government regulations is negatively reflected on the development of rural territories of the country. Accordingly some alternations or modifications are offered for legislation for agricultural development. Focusing more on export of grocery products is considered to be the priority direction of government's economic policy.

In conclusion it is said, that this kind of economic programme should become the basis for the future development of the local agricultural production. The matter of changes in Georgian agricultural legislation in force should be integrated (to be in harmony) with European agricultural policy. The mentioned process itself will provide a guaranty for improving integration of Georgia in the worlds' economy and cause improvement of industrial environment and assist to economic development and overcome the poverty.

მარიანა მაისურაძე

*ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ნიწო ჩავჭავჭავაძე*

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორის ასისტენტი

ბუღალტრული აღრიცხვის თანამართლების სოფლის მეურნეობის საწარმოებში

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით 41 „სოფლის მეურნეობა“ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს საწარმოს მიერ ცოცხალი ცხოველებისა და მცენარეების ბიოლოგიური ტრანსფორმაციის მართვას, მათი გაყიდვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ან დამატებითი ბიოლოგიური აქტივების წარმოების მიზნით.

სასოფლო სამეურნეო საქმიანობის დამოკიდებულება ბიოლოგიური ქტივების ტრანსფორმაციაზე და ბუნებრივ პირობებზე განაპირობებს ამ დარგის საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების სპეციფიკურობას.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად:

¹ ბერუჩაშვილი თ., ეთერია ე., ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციები და პრიორიტეტები, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, 2009, №9.

² ე. ხარაიშვილი, აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში, სამეცნიერო პორტალი „ქართული პოლიტიკა“. www.some.geop.ge, 2013.

- ბიოლოგიური აქტივი არის ცხოველი ან მცენარე.
- ბიოლოგიური ტრანსფორმაცია მოიცავს ზრდას, დეგენერაციას, წარმოებას და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, როგორცაა, პირუტყვის მოშენება, ტყის გაშენება, ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურის მოყვანა. ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების გაშენება, ყვავილების მოშენება, აკვაკულტურა. მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მრავალფეროვნებისა მათ აქვთ გარკვეული საერთო მახასიათებლები, კერძოდ:

ა) ცვლილების უნარი. ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი;

ბ) ცვლილების მართვა. საწარმოს ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას, რაც ნიშნავს იმ პირობების გაუმჯობესებას ან სტაბილიზაციას, რომელიც აუცილებელია პროცესის მოხდენისათვის (მაგალითად, კვების, ტენიანობის, ტემპერატურის, ნაყოფიერების ან სინათლის). ამგვარი მართვა სოფლის მეურნეობის საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისაგან. მაგალითად პროდუქციის მიღება უმართავი წყაროებიდან (როგორცაა: ოკეანეში თევზჭერა და ტყის გაჩეხვა) არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა;

გ) ცვლილების შეფასება. ბიოლოგიური ტრანსფორმაციით გამოწვეული ხარისხობრივი (მაგალითად, გენეტიკური თვისების, სისწირის, სიმწიფის, ცხიმისა, პროტეინის შემცველობის და ქსოვილის სიმყარის) ან რაოდენობრივი (მაგალითად შთამომავლობა, წონა, ზომა, ქსოვილის სიგრძე ან დიამეტრი, ასევე ყვავილთა რაოდენობა) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადი საწარმოს მიერ რუტინული მმართველობითი ფუნქციით.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეაფასოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;

ბ) მოსალოდნელია ამ აქტივებით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმომ უნდა მოახდინოს ბიოლოგიური აქტივების დაჯგუფება გარკვეული ნიშნით და ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მომხმარებლებისათვის ჯგუფების მიხედვით. საწარმომ ასევე უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური აქტივების თითოეული ჯგუფის რაოდენობრივი აღწერილობის წარმოდგენა, გამიჯნულად მოხმარებისათვის განკუთვნილი და სანაშენე ბიოლოგიური აქტივების ან ზრდადასრულებული და ზრდადაუსრულებელი ბიოლოგიური აქტივების შესაბამისად. მაგალითად, საწარმომ შესაძლოა ასახოს მომხმარებლისათვის განკუთვნილი და სანაშენე ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება ჯგუფების მიხედვით. ამგვარი გამიჯვნა იძლევა ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას.

მომხმარებლისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფად უნდა იქნეს მიღებული ან გაიყიდოს როგორც ბიოლოგიური აქტივი. მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივებია, მაგალითად შინაური პირუტყვი, რომლის დანიშნულებაა ხორცის წარმოება, გასაყიდად განკუთვნილი შინაური პირუტყვი, თევზი მეურნეობაში, მარცვლეული კულტურები, როგორცაა სიმინდი და ხორბალი, ასევე ხის მასალის მისაღებად გამოზრდილი ხეები.

სანაშენე ბიოლოგიურ აქტივებს განეკუთვნება ყველა ბიოლოგიური აქტივი, გარდა მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივებისა, მაგალითად: ცოცხალი პირუტყვი, რომლიდანაც მიიღება რძე, ვაზი, ხეხილი, ასევე ხეები, რომლებიდანაც მიიღება შეშა, ხოლო ხეები რჩება. სანაშენე ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენს არა სოფლის მეურნეობის პროდუქციას, არამედ თვითმენაყოფე აქტივებს.

ბიოლოგიური აქტივები შესაძლოა კლასიფიცირდეს ზრდადასრულებულ და ზრდადაუსრულებელ ბიოლოგიურ აქტივებად. ზრდადასრულებული ბიოლოგიური აქტივი ისეთი აქტივია, რომელსაც აქვს მოსავლისათვის დამახასიათებელი ნიშნები ან შეუძლია რეგულარულად მოგვცეს მოსავალი.

საწარმო ვაღდებულება გამოკვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახოს:

ა) საქმიანობის ხასიათი ბიოლოგიური აქტივების თითოეულ ჯგუფთან მიმართებით;

ბ) ფიზიკური რაოდენობის არაფინანსური მაჩვენებლები ან შეფასებები: საწარმოს ბიოლოგიური აქტივების თითოეული ჯგუფი პერიოდის ბოლოს; და პერიოდის განმავლობაში გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

საწარმომ უნდა წარადგინოს მიმდინარე პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების შეჯერება. შეჯერება უნდა მოიცავდეს:

ა) გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი;

ბ) შესყიდვის შედეგად გამოწვეული ზრდა;

გ) გაყიდვების და გასაყიდად გამოზნულად კლასიფიცირების შედეგად გამოწვეული შემცირება;

დ) შემოსავლად განხილვის შედეგად მიღებული შემცირება;

ე) საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული ზრდა;

ვ) წარსაღვენი ვალუტისაგან განსხვავებული ფინანსური ანგარიშგებისა და საზღვარგარეთული ოპერაციების ანგარიშვალდებული საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშების ნეტო საკურსო სხვაობები;

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ბალანსის შედგენის ყოველი შემდგომი თარიღისათვის უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება და დაშვებულია თვითღირებულების საფუძველზე შეფასების მიდგომა.

თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართული უნდა იქნეს იმ პერიოდის წმინდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა. ეს ნიშნავს, რომ ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული დანახარჯები განიხილება პერიოდის ხარჯად, ხოლო აქტივის ღირებულება – შემოსავლად. თუმცა, ეს შესაძლოა ყოველთვის ასე არ ხდებოდეს. კერძოდ, საქმე ეხება ბიოლოგიურ აქტივს, რომლის საწარმოო ციკლი მოკლევადიანია, შეიძლება ბიოლოგიურ აქტივად აღიარებას არ დაექვემდებაროს. მაგალითად, საგაზაფხულო ერთწლიანი კულტურის ნაყოფის მისაღებად დათესილი კულტურა, რომელიც მოსავალს იძლევა ბალანსის შედგენის თარიღამდე, თავის სავეგეტაციო პერიოდს იწყებს და ასრულებს ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში. ამავე პერიოდში მიიღწევა მიზანი და შემოსავლად აღიარდება არა ბიოლოგიური აქტივი, არამედ მისგან მიღებული ნაყოფი. განსხვავებული სიტუაციაა საშემოდგომო ნათესებთან მიმართებაში. საშემოდგომო ხორბლის ნათესი, როგორც მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს და აღიარდეს ბალანსის შედგენის თარიღისათვის (31 დეკემბრისათვის), რადგან შესაბამისობის მისაღწევად გაწეულ ხარჯებს უნდა დაუპირისპირდეს სათანადო შემოსავალი. ბალანსის შედგენის თარიღისათვის დგება თავდაპირველად ბიოლოგიურ აქტივად აღიარების მომენტი მრავალწლიანი ნარგავებისთვისაც, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში იქნა გაშენებული. რაც შეეხება ცხოველური წარმოშობის ბიოლოგიურ აქტივებს, მათი აღიარება ხდება ნამატის გაჩენის მომენტში.

მაგალითი. სასოფლო სამეურნეო საწარმოს მიერ ხეხილის ბაღის გაშენებისათვის 2011 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგ დანახარჯებს:

1. ნიადაგის დასამუშაველად დაიხარჯა 200 ლარის დიზელის საწვავი;
2. ნარგავების დარგვის სამუშაოებზე დაიხარჯა 150 ლარი;
3. ახალი ჯიშის ნერგების შესაძენად დაიხარჯა 300 ლარი;
4. ძირითად საშუალებებს დაერიცხა ცვეთა 150 ლარი;

2011 წლის 31 დეკემბრისათვის ხეხილის ბაღის რეალურმა ღირებულებამ საწარმოს შეფასებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯების გამოკლებით შეადგინა 1000 ლარი.

გავაკეთოდ დაშვება რომ, საწარმო იყენებს მარაგის აღრიცხვის მუდმივ მეთოდს და დანახარჯებს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღრიცხავს.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამეურნეო ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვაში შემდეგნაირად აისახება:

1. საწვავის ჩამოწერა ხარჯებში:
დებეტი – მასალის ხარჯი 200
კრედიტი – ნედლეული და მასალები 200
2. ნერგის ჩამოწერა ხარჯებში:
დებეტი – მასალის ხარჯი 300
კრედიტი – ნედლეული და მასალები 300
3. ხელფასის ხარჯი:
დებეტი – ხელფასის ხარჯი 150
კრედიტი – გადასახდელი ხელფასი 150
4. ცვეთის დარიცხვა:
დებეტი – ცვეთის ხარჯი 150
კრედიტი – ძირითადი საშუალებების ცვეთა 150

5. ხეხილის ბაღის ბიოლოგიურ აქტივად აღიარება:

დებეტი – ხეხილის ბაღი 1000

კრედიტი – შემოსულობა ბიოლოგიური აქტივების ღირებულების ცვლილებიდან 1000

დაფუძვანთ, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წელს გაშენებული ხეხილის ბაღის რეალურმა ღირებულებამ, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯების გამოკლებით შეადგინა 1400 ლარი.

აღნიშნული ცვლილება ბუღალტრულად აისახება:

დებეტი – ხეხილის ბაღი 400

კრედიტი – შემოსულობა ბიოლოგიური აქტივების ღირებულების ცვლილებიდან 400

ესე იგი 2011 წელს გაშენებული ხეხილის ბაღის ღირებულება გაიზარდა 400 ლარით. თუ პირიქით ღირებულება შემცირდა, სხვაობის თანხა აღიარდება ზარალად შემდეგი გატარებით:

დებეტი – ზარალი ბიოლოგიური აქტივის ღირებულების ცვლილებიდან

კრედიტი – ხეხილის ბაღი

გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯები მოიცავს ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოებს, მარეგულირებელი უწყებებისა და სასაქონლო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის მოსაკრებლებს და საბაჟო გადასახადს. გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯები არ მოიცავს ტრანსპორტირებისა და აქტივის ბაზრამდე მისატანად გაწეულ სხვა ხარჯებს.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს აქტივი ურთიერთდამოკიდებულ, დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის.

აქტივის რეალური ღირებულება ეფუძნება მის მიმდინარე ადგილმდებარეობასა და მდგომარეობას. მაგალითად, მსხვილი რქოსანი პირუტყვის რეალური ღირებულება ფერმაში არის შესაბამის ბაზარზე არსებულ ფასს გამოკლებული ტრანსპორტის და სხვა ხარჯები, რომელიც გაწეულ იქნა მის ბაზარზე მისაყვანად.

მაგალითი. ბაზარზე პირუტყვის ღირებულება 800 ლარია. ბაზრამდე პირუტყვის ტრანსპორტირებისათვის საჭიროა 100 ლარი. ბაზრის მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს 50 ლარს. პირუტყვის, როგორც ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება ტოლი იქნება $800 - 100 - 50 = 700$ ლარის, ხოლო გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება 650 ლარი ($700 - 50$). ამ შემთხვევაში ბიოლოგიური აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეფასდება 650 ლარად.

გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს როგორც ფიზიკური ცვლილების, ასევე ბაზარში ფასის ცვლილებების შედეგად. ფიზიკური ცვლილებების და ფასში მომხდარი ცვლილებების ცალკე ასახვა სასარგებლო მიმდინარე პერიოდში საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოების ციკლი ერთ წელს აღემატება. ასეთ შემთხვევაში, სასურველია საწარმომ ჯგუფების მიხედვით ან სხვაგვარად, ასახოს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილება, რომელიც ჩართულია ფიზიკური ცვლილებებისა და ფასის ცვლილების შედეგად მიღებულ ნეტო მოგებაში ან ზარალში. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ხშირად უკავშირდება კლიმატს, დაავადებებს და სხვა ბუნებრივ რისკებს. თუ ადგილი აქვს ასეთ მოვლენას, რომელიც განაპირობებს შემოსავლების ან ხარჯების მუხლს, მაშინ ასეთი მუხლის ოდენობა უნდა აისახოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შესაბამისად. ასეთი შემთხვევის მაგალითები მოიცავს საშიში დაავადების აფეთქებას, წყალდიდობას, ძლიერ გვალვას ან ყინვას და მწერების შემოსევას.

რომელი ფასის საფუძველზე შეიძლება რეალური ღირებულების განსაზღვრა?

თუ ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის არსებობს აქტიური ბაზარი, მათი კოტირებული საბაზრო ფასი არის აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრის საფუძველი.

ბასს 41 თანახმად, აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც არსებობს ყველა შემდეგი პირობა:

- ა) საქონელი, რომლითაც ბაზარზე ვაჭრობენ, ერთგვაროვანია;
- ბ) ყოველთვის არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გამყიდველები;
- გ) ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის.

აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის თუ ხელმისაწვდომია, საწარმო იყენებს:

1. უახლესი საბაზრო გარიგების ფასს, თუ ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეიცვალა გარიგების დადების თარიღიდან ბალანსის შედგენის თარიღამდე;
2. ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასებს სხვაობების ამსახველი კორექტირებით;
3. სექტორის სტატისტიკურ ბაზას, როგორცაა ხეხილის ბაღის ღირებულება თითოეული საექსპორტო შესაძლებლობის, ბუშელის ან ჰექტარის მიხედვით, ასევე პირუტყვის ღირებულებას გამოსახული კილოგრამი ხორცის მიხედვით.

ზოგჯერ შესაძლოა არ არსებობდეს საბაზრო ფასები ბიოლოგიური აქტივის მოცემული მდგომარეობისათვის. ასეთ შემთხვევაში, რეალური ღირებულების განსაზღვრისას, საწარმო იყენებს აქტივიდან მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების დისკონტირებულ ღირებულებას, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე პერიოდის ბაზრის მიხედვით განსაზღვრული განაკვეთით.

მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლის მიზანია – განისაზღვროს ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება, მისი მოცემული ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. ამას საწარმო ითვალისწინებს შესაბამისი დისკონტის განაკვეთის გამოყენებისა და მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების დროს.

ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების განსაზღვრას აადვილებს მათი დაჯგუფება სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად ასაკის ან ხარისხის მიხედვით. ასეთ დროს საწარმო ირჩევს იმ მახასიათებლებს, რომლებიც შეესაბამება ბაზარზე ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ მახასიათებლებს.

ზოგი ბიოლოგიური აქტივი მიმაგრებულია მიწაზე, ხეხილი, ვაზი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, მოცემული ბიოლოგიური აქტივი ფასდება როგორც ცალკე დამოუკიდებელი ერთეული, მის ღირებულებაში არ შეიტანება მიწის ღირებულება.

იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი აღიარებისას არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები და რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები არასაიმედოა, მოცემული ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამასთან თუ საწარმო პერიოდის ბოლოს ბიოლოგიურ აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთი ბიოლოგიური აქტივების შესახებ მან უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

1. ბიოლოგიური აქტივების აღწერა;
2. განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არ არის შესაძლებელი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება;
3. თუ შესაძლებელია, წინასწარი შეფასებების დიაპაზონი, რომლის ფარგლებში რეალური ღირებულების მოხვედრის დიდი ალბათობაა;
4. გამოყენებული ცვეთის მეთოდი;
5. სასარგებლო მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვეთის ნორმები;
6. მთლიანი საბალანსო ღირებულება და აკუმულირებული ცვეთა (აგრეგირებული აკუმულირებულ გაუფასურების ზარალთან) პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს.
7. თუ საწარმო ბიოლოგიურ აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ამ შემთხვევაში, საწარმო ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვაში იყენებს იმ წესებს, რომლებიც სტანდარტით დადგენილია ძირითადი საშუალებებისათვის. შესაბამისად, ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯები განიხილება კაპიტალიზებად ხარჯად, თუ ბიოლოგიური აქტივი ზრდადაუსრულებელია, ან პერიოდის ხარჯად, თუ ბიოლოგიური აქტივი ზრდადასრულებულია და შეუძლია ნაყოფის მოცემა.
8. თვითღირებულება შესაძლოა ზოგჯერ უახლოვდებოდეს რეალურ ღირებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც:

ა) თავდაპირველი ხარჯის გაწვიდან (მაგალითად, უშუალოდ ბალანსის შედგენის თარიღის წინ დარგული ხეხილის ნერგები) მცირეოდენ ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი; ან

ბ) მოსალოდნელია, რომ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ფასზე არ იქნება მნიშვნელოვანი.

ბიოლოგიური აქტივების თვითღირებულებით შეფასების გამოყენების დროს, უმეტეს შემთხვევაში მიზანშეწონილია საწარმომ გამოიყენოს დანახარჯების აღრიცხვა ფუნქციების მიხედვით. იგი იძლევა თვითღირებულების სწორად განსაზღვრის საშუალებას. ამასთან თვითღირებულებით შეფასების გამოყენების დროს აუცილებელია სწორად განისაზღვროს ექვემდებარება თუ არა ბიოლოგიური აქტივი ცვეთის დარიცხვას.

თვითღირებულებით შეფასებული ბიოლოგიური აქტივების მიმართ გამოიყენება ძირითადი საშუალებებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული დებულებები. ცვეთა უნდა დაერიცხოს ბიოლოგიურ აქტივს, რომელიც ზრდადასრულებულია და იძლევა ნაყოფს. აუცილებელია განისაზღვროს ცვეთადია თუ არა ბიოლოგიური აქტივის ღირებულება. რაც ნიშნავს, მოიხმარს თუ არა საწარმო ბიოლოგიურ აქტივში განივთებულ ეკონომიკურ სარგებელს ამ აქტივიდან ნაყოფის მიღების პერიოდში. ბიოლოგიური აქტივის ღირებულების ცვეთადობა დამოკიდებულია მის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, გამოყენების ტრადიციასა და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახორცედ გაყიდვის შემთხვევაში, მასში განივთებული

ეკონომიკური სარგებელი მიიღება გაყიდვის გზით. რაც ნიშნავს რომ აღნიშნული ბიოლოგიური აქტივი არაცვეთადია. ასეთ შემთხვევაში ბიოლოგიური აქტივის გამოყენებადი ღირებულება თვითღირებულების ტოლად შეიძლება ჩაითვალოს.

მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიური აქტივების უმეტესობის ღირებულება, ცხოველურისაგან განსხვავებით, ცვეთადია, რადგან მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობის ამოწურვის შედეგად იგი ამოსაძირკვი ხდება. ამოძირკვეულ მცენარეს შესაძლოა გააჩნდეს ღირებულება, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში ნაკლები იქნება მის თავდაპირველ თვითღირებულებაზე. მცენარეული ბიოლოგიური აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანდათანობით შემცირება ხდება მცენარიდან ნაყოფის მიღების პერიოდში.

საწარმოში ცვეთადი ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დადგინდეს ცვეთის დარიცხვის ვადა და საწყისი მომენტი. ცვეთის დარიცხვის ვადა დამოკიდებულია, იმაზე თუ რა ვადითაა განსაზღვრული საწარმოს მიერ მოცემული ბიოლოგიური აქტივის გამოყენება. რაც შეეხება ცვეთის დარიცხვის საწყის მომენტს, იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მაგალითად, ბიოლოგიური აქტივის ჯიშზე, მოვლის პირობებზე, ნაყოფის მოცემისათვის მზაობაზე და სხვა.

უნდა აღინიშნოს რომ ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეფასდეს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული რეალური ღირებულებით, შემცირებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარების კრიტერიუმში ბიოლოგიური აქტივების აღიარების კრიტერიუმის ანალოგიურია. მისი გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით შეფასება გამოიყენება მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარების მომენტში მათი მიღების დროს. ხოლო შემდეგ მის მიმართ გამოიყენება ბასს 2.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის ნაშთად დარჩენილი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. იმ შემთხვევაში თუ ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალურ ღირებულებაზე ან თვითღირებულებაზე, სხვაობის თანხა მიეკუთვნება საანგარიშგებო პერიოდის ხარაღის ანგარიშს.

საწარმო თვითონ ირჩევს რომელი მეთოდით აწარმოოს აღრიცხვა, მუდმივი თუ პერიოდული აღრიცხვის მეთოდით. მუდმივ მეთოდს უპირატესობა ენიჭება შენახვადი პროდუქტების აღრიცხვის დროს. რაც შეეხება პერიოდულ მეთოდს იგი უფრო მეტად მოსახერხებელია მალფუჭადი პროდუქტების აღრიცხვისას.

სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები სხვა საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ანალოგიურია. თუმცა არსებობს მათ შორის არსებითი შინაარსობრივი განსხვავება, რაც დაკავშირებულია სტანდარტის მოთხოვნებთან. გარდა იმისა რომ ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება ასახულია ბალანსში, თითოეულმა საწარმომ უნდა წარმოადგინოს ბიოლოგიური აქტივის თითოეული ჯგუფისათვის გამიჯნულად, მოხმარებისათვის განკუთვნილი და სანაშენე ბიოლოგიური აქტივების, ან ზრდადასრულებული და ზრდადაუსრულებელი ბიოლოგიური აქტივების ტექნიკური ან ციფრობრივი აღწერილობა.

MARINA MAISURADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associated Professor

NINO CHAVLEISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

THE PECULIARITIES OF ACCOUNTING IN THE AGRICULTURAL ENTERPRISES

S u m m a r y

A biological asset should be evaluated with its real current value at the moment of its first acknowledgement and as of each date next to the date of composing the balance, minus the estimated costs of its sale.

If no market value exists at the first acknowledgement, while the other alternatives of evaluation of a real value are not reliable, then the biological asset should be assessed with its cost, minus the accumulated wear and tear and the inflation-related damage

ირაკლი მაკალათია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი რეპროდუციური ზრდით საქართველოში

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების ასპექტით სოფლის მეურნეობას, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგის განვითარებას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის იმ პრიორიტეტულ დარგს,

რომლის აღორძინებაც საშუალებას იძლევა ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკური დოვლათის მომტანი გახდეს.

სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს, რომლის მიზანია მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და მრეწველობის ნედლეულით მომარაგება. მსოფლიო გამოცდილებით, იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობა განვითარების მაღალ დონეს აღწევს, ხელისუფლების მონდომებითა და დახმარებით ხდება, რადგან მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ამ დარგისათვის პრიორიტეტულობის მინიჭებითა და მისი განვითარების ხელშეწყობით მიიღწევა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება.¹


საქართველოს უდიდესი აგრარული პოტენციალი გააჩნია, რომლის სათანადოდ გამოყენება ვერ ხერხდება. ქვეყანას რეალურად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მთავარია მოხდეს იმ პოტენციალის რეალიზაცია, რომელიც შემდგომში სოფლის მეურნეობის განვითარებას გამოიწვევს.

სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ქვეყნის დამპყრობლების წინააღმდეგ ომებმა, შიდა დაპირისპირებამ და ბოლოს საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა მმართველობამ მძიმე დაღი დაასვა ქართულ სოფელს და მშვიდი ისტორიული პერიოდის და სტაბილური ეკონომიკის არქონის პირობებში განვითარების შესაძლებლობები მოუსპო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა, მაგრამ გაუაზრებელმა სახელმწიფო რეფორმებმა დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და ქართული სოფელი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა, ვიდრე საბჭოთა პერიოდში იყო.

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)

დიაგრამა 1



1996 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 34.1%-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს მოცემული მაჩვენებელი 4-ჯერ არის შემცირებული. მშპ-ის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობას მცირე პროცენტული წილი უჭირავს და ამასთან დინამიკაში კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც, ისეთი აგრარული ქვეყნის ეკონომიკისათვის როგორც საქართველოა, უარყოფით მოვლენას წარმოადგენს (დიაგრამა 1). შედეგად, სოფლის მეურნეობაში არ იწარმოება იმ ღირებულების პროდუქცია, რომელიც მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გახდებოდა მშპ-ის ფორმირებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში არსებული ვითარების განხილვისას შემდეგი სახის სურათს ვიღებთ.

სოფლის მეურნეობის კულტურების მთლიანი ნათესი ფართობების შემცირება 1998 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. 1998-2011 წლების პერიოდში, ნათესი ფართობები 616,1 ათასი ჰა-დან 281,0 ათას ჰა-მდე შემცირდა. რაც შეეხება 2003-2011 წლების პერიოდს, სოფლის მეურნეობის მემცენარეობის დარგის განვითარებისაკენ კონკრეტული ნაბიჯები არ გადაამდგარა. შედეგად ნათესი ფართობები 2-ჯერ და უფრო მეტად არის შემცირებული და შესაბამისად შემცირებულია მემცენარეობის პროდუქტების წარმოება.²

ხორბლის ნათესი ფართობი მცირდება 117,3 ათ. ჰა-დან 47 ათ. ჰა-მდე, ხოლო მისი წარმოება 225,4 ათ. ტონიდან 96,8 ათ. ტონამდე. **სიმინდის ნათესი ფართობი** – 197,6 ათ. ჰა-დან 121,2 ათ. ჰა-მდე, მისი წარმოება კი – 461,9 ათ. ტონიდან 141,1 ათ. ტონამდე. **კარტოფილის ნათესი ფართობი** – 37,6

¹ <http://www.sdd.ge/ge/?p=1367>

² იხ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011. თბილისი 2012, გვ. 29-40 და http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

ათ. ჰა-დან 20,3 ათ. ჰა-მდე, წარმოება 425,2 ათ. ტონიდან 228,8 ტონამდე. **ბოსტნეული ნათესი ფართობი** – 40,4 ათ. ჰა-დან 21,7 ათ. ჰა-მდე, ხოლო მისი წარმოება 430,1 ათ. ტონიდან 175,7 ათ. ტონამდე.

მემცენარეობის დარგის მსგავსად არასახარბიელო სურათია შექმნილი მეცხოველეობაშიც. 2003-2011 წლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1 242 500 სულიდან 1 087 600 სულამდე შემცირდა, ღორის – 473 800 სულიდან 105 100 სულამდე, ცხვრისა და თხის – 722 200 სულიდან 630 400 სულამდე. შესაბამისად ამ პერიოდში ხორცის წარმოება შემცირდა 2,2-ჯერ, ხოლო რძის – 1,3-ჯერ. მოცემულ წლებში შემცირებულია როგორც კვერცხის ასევე მატყლის წარმოება.


საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების რეგრესიული განვითარების ფონზე განვიხილოთ უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (დიაგრამა 2).

უმუშევრობის დონე ქალაქში თითქმის 4-ჯერ აღემატება სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც ერთი შეხედვით სოფელში დასაქმების პრობლემის მოგვარებასა და ამ რეგიონში მოსახლეობის უკეთესი ცხოვრების პირობებზე მიუთითებს.

ამ პირობებში საინტერესო სურათს იძლევა ქალაქისა და სოფლის სიღარიბის დონის მაჩვენებლების ურთიერთშედარება (დიაგრამა 3).


უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში¹ (%)

დიაგრამა 2



**სიღარიბის დონე ქალაქისა და სოფლის ჭრილში²
(მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ)**

დიაგრამა 3



2011 წელს სიღარიბის დონე სოფელში (26.9%) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქში (18.8%), სანაცვლოდ უმუშევრობის დონემ სოფელში შეადგინა 6.5%, ხოლო ქალაქში – 26.5%. ცხადია, ეს ორი ფაქტი შეუსაბამობას ქმნის, ვინაიდან იმ რეგიონში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე, ასევე მაღალი უნდა იყოს სიღარიბის მაჩვენებელი. ჩვენს შემთხვევაში კი მონაცემები საპირისპიროს აჩვენებენ. რეალურად, დასაქმების მაღალი დონე სოფელში მიღწეულია დასაქმებულთა შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონის არსებობით, რომელთა უმეტესობაც რეალურად არც არის დასაქმებული და ოჯახურ მეურნეობაში მინიმალური

¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo


² http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

ანაზღაურებით ან სულაც უსასყიდლოდ მომუშავე წევრები არიან. ამასთან სოფლად მცხოვრები დასაქმებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმიტომ, რომ მას 1 ჰა მიწის ნაკვეთი აქვს. მაგალითისათვის, 2011 წელს სოფელში დასაქმებულ ადამიანებში თვითდასაქმებულების წილი შეადგენდა 82%-ს (854 000 თვითდასაქმებული). მსგავსი ტენდენცია შეინიშნება წინა წლებშიც და არსებითად არ იცვლება, ხოლო საქართველოში დასაქმებულთა საერთო რიცხვში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი 60%-ს აჭარბებს.

უმუშევრობის დონის განაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგი სახის სურათს იძლევა (დიაგრამა 4): 2012 წლისათვის უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე კახეთში დაფიქსირდა (6.5%), ხოლო თბილისში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონეა – 29.1%. თუ მოცემულ მაჩვენებლებს გადავხედავთ, მარტივად შევამჩნევთ, რომ უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია იმ რეგიონებში, სადაც ჭარბობს სოფლის ტიპის დასახლებები და ასევეა მეტია თვითდასაქმებულთა რაოდენობა. კახეთში სადაც დასაქმების ყველაზე მაღალი დონეა, თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა დასაქმებულებში 76%-ს შეადგენს, მაშინ როცა თბილისში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 19%-ია. თბილისში საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად იგრძნობა უმუშევრობის პრობლემა და ისიც გასათვალისწინებელია, რომ დედაქალაქში ქვეყნის მთლიანი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) 20% ცხოვრობს. საქართველოს რეგიონებიდან კახეთს ყველაზე მეტი სოფლის მეურნეობის კულტურების ნათესი ფართობი აქვს, შესაბამისად ამ რეგიონს გააჩნია ის პოტენციალი, რომლის ეფექტიანად გამოყენებაც უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და ეს ფაქტი არ უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად, თვითდასაქმებულთა რაოდენობის გაზრდის გზით.

უმუშევრობის დონე საქართველოს რეგიონების მიხედვით¹ (%)

დიაგრამა 4



საქსტატი შრომის ბაზარზე მხოლოდ დასაქმებულებისა და უმუშევრობის სტატისტიკას აწარმოებს და არ ხდება კონკრეტულად უმუშევრობის დაყოფა კატეგორიებად, მათი მთავარი მახასიათებლების მიხედვით. უმუშევრობა მთლიანი რაოდენობიდან არ გამოიყოფა სამუშაო ძალის ის რაოდენობა, რომელიც კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებს ან ისეთი პროფესიის მქონე უმუშევრები, ვისზეც არსებული დასაქმების ბაზრის მხრიდან მოთხოვნა დაბალია, შესაბამისად, რთულია განსაზღვრო, თუ რა პროფესიები, კვალიფიკაცია ან უნარებია მოთხოვნადი დღეს შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე კი ძნელია საუბარი ამ სოციალური პრობლემის მიმართ მართებული სახელმწიფოს პოლიტიკის გატარებაზე.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებისათვის ბანკების მიერ შეთავაზებული დაბალ საპროცენტო განაკვეთიანი სესხები, ამ ადამიანებს საშუალებას მისცემს გაზარდონ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ხარჯები, ამასთან ერთად ამ დარგში დასაქმებულთათვის შედგათ მისი მიცემა (სათესლე მასალის გლეხებისთვის უფასოდ დარიგება ან შედგათიან ფასებში მიყიდვა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობა და სხვ.) წარმოადგენს დასაქმებულთა სტიმულს აწარმოონ მეტი პროდუქცია ვიდრე ამას დღეს აკეთებენ და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მეტი შემოსავალი მიიღონ, რაც მომავალში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდასაც გამოიწვევს. ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური დონისძიებების გატარება წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულებასაც შეამცირებს და გლეხს შესაძლებლობა მიეცემა მის მიერ წარმოებული პროდუქცია ქართულ ბაზარზე უცხოეთიდან იმპორტირებულ პროდუქტზე ნაკლებ ფასად გაიტანოს და მას კონკურენციაც გაუწიოს, ხოლო ეროვნული წარმოების პროდუქციის ბაზარზე ჭარბი რაოდენობით გამოსვლა კი გამოიწვევს საზღვარგარეთიდან შემოტანილი ანალოგიური პროდუქციის ჩანაცვლებას და მისი ექსპორტირების შესაძლებლობას. უცხოეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის შემცირება კი დამატებითი სტიმული გახდება ადგილობრივი მწარმოებლებისათვის. ცხადია თავისუფალ საბაზრო პირობებში ამის მიღწევა

¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

ძნელია, მაგრამ ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას იმპორტირებულ საქონელზე ხარისხის კონტროლის გამკაცრებით, რაც ერთის მხრივ მომხმარებელს დაიცავს უხარისხო პროდუქციისგან, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივ მწარმოებელს ქართულ ბაზარზე გასვლის მეტ შესაძლებლობას მისცემს.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, უმუშევრობის დასაძლევად და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, მთავარ გამოწვევას სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს. მთავრობის მიერ გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების, მიწის სავარგულებების, ხელსაყრელი კლიმატური პირობების ეფექტურად გამოყენება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკალათია ი. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული 2012 წ.
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011, თბ., 2012 წ.
3. www.geostat.ge
4. www.sdd.ge

IRAKLI MAKALATIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral Candidate

STATISTICAL ANALYSIS OF EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT IN THE REGIONAL CONTEXT IN GEORGIA

S u m m a r y

In the article „Statistical analysis of employment and unemployment in the regional context in Georgia” are discussed statistical index of employment and unemployment in the regional context and discusses the modern situation of the agricultural economy in Georgia.

The situation in the fields of plant and livestock of the Georgia agriculture is described there. There are researched employment and unemployment problems in the village, also there have been observed poverty level by urban and rural development.

Conducted research in the article there have been projected the main ways of the reduction of the unemployment rate and rural development in Georgia

რეზო მანველიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

პაატა არაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ია მისხიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების თანამედროვე პრობლემები

საქმიანი საზოგადოება და მეცნიერული წრეები ხშირად საუბრობენ “გარე ფაქტორების” ზემოქმედებაზე, რომელსაც აქვს მრავალმხრივი აღქმა, როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით გარე ფაქტორი არის საარსებო ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც განსაზღვრავენ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში. მათი დაჯგუფება შეიძლება შემდეგნაირად:

- სოციალური გაგებით. ეს შეიცავს სოციალურ გარემოს –ოჯახებს, საზოგადოებას მთლიანად ან მის ცალკეულ ჯგუფებს.
- ყოფითი გაგება. შენობა, ოთახი, ქაღალაქი ან მისი ნაწილი, სოფელი, რეგიონი ან მისი ნაწილი.
- ბიოლოგიური ან ეკოლოგიური. ამ გაგებით აიხსნება ბუნების დამოკიდებულება ცოცხალ არსებაზე, ასევე მათ ურთიერთთანაარსებობაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-3 ანუ ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენაზე. ამ ფაქტორთა ერთობლიობას ან მის შემადგენელ ნაწილებს ჩვენ ვუწოდებთ ეკოლოგიურ პარამეტრებს.

გარემოს ეკონომიკის მიზანს სახალხო მეურნეობრივი გაგებით წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაცია ბუნების მაღალი ხარისხით შენარჩუნების პირობებში. ის, როგორც მეცნიერება, შეისწავლის ბუნებაზე ნეგატიური ზემოქმედების აღმოფხვრის გზებსა და მეთოდებს,

შეიმუშავეს ბუნებრივი რესურსების საზოგადოების სარგებლობაში ჩაყენების პრინციპებს, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ფინანსირების სისტემას.

ბუნების დაცვის ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერების ახალი მიმართულებაა და ის ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამ დრომდე არცერთი ეკონომიკური სკოლა არ ანიჭებდა სერიოზულ მნიშვნელობას ეკოლოგიურ შეზღუდვებს.

ეკოლოგიური ფაქტორები რეალურად ზღუდავენ საზოგადოების კეთილდროებას. ის ვლინდება ადამიანის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გაუარესებაში, გენეტიკური დარღვევების რაოდენობათა გადიდებაში, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებაში. თანამედროვე საწარმოო ინდუსტრიალიზაცია პირდაპირი გაგებით ნეგატიურად მოქმედებს ბუნებაზე. ცნობილი ფაქტია, რომ ატმოსფეროში ყოველწლიურად გაიფრქვევა 200 მლნ ტონა ნახშირორჟანგი, 145 მლნ ტონა და 53 მლნ ტონამდე აზოტი. ყოველწლიურად იწვის 7 მილიარდი ტონა პირობითი საწვავი.

დღეისათვის მზარდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციას. მდგრადი განვითარების ცნებაში მოიაზრება განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებს, რისკის გარეშე. ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის მდგრადი განვითარების განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს სოფლისა და სატყეო მეურნეობა. მდგრადობის კონცეფცია ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანის მოთხოვნილებაზე. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ძირითადი საწარმოო კაპიტალის ღირებულება ბუნებრივ რესურსებში შენარჩუნდება იმ დოზით, რომელიც მომავალი თაობის ცხოვრების მდგომარეობას უზრუნველყოფს უკეთესად, ვიდრე ცხოვრობს დღევანდელი თაობა. სწორედ მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაცია განაპირობებს დარგის ეკონომიკურ მდგრადობას.

განასხვავებენ მდგრადი ან ალტერნატიული სოფლის მეურნეობის განმარტებებს. მდგრად წარმოებად ითვლება ის დონე, როდესაც დინამიურად მარაგდება მოსახლეობა სასურსათო პროდუქტებით და ამავე დროს შენარჩუნებულია სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სტაბილურობა. მთლიანად ტერმინი მდგრადი განისაზღვრება, როგორც სტაბილური წარმოება აგროტექნიკურ, ეკოლოგიურ, მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეებზე. მდგრადი სოფლის მეურნეობა მოიცავს წარმოების მართვის ტრადიციულ მეთოდებს შეხამებულს მოწინავე ტექნოლოგიურ და ტექნიკურ მიღწევებთან, თანამედროვე მენეჯმენტთან. პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება აგრეთვე ისეთი მცნება, როგორცაა “ორგანული სოფლის მეურნეობა”. ამ სახის მეურნეობა მოიცავს საწარმოო სისტემას, რომელიც გამორიცხავს ხელოვნურ სასუქის, შხამქიმიკატების, ზრდის სტიმულიატორების და ქიმიური საკვები დანამატების გამოყენებას.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ორგანული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ენერგომატარებლების ეკონომიას, გარემოს დაცვას, აქვს ხანგრძლივი მდგრადობისა და ეკონომიკური ეფექტურობის ტენდენცია. ამასთან ის ნაკლებად კაპიტალტევადია, რაც ფერმერებს არ უქმნის დამატებით სესხის აღების აუცილებლობას.

სოფლის მეურნეობა, ეკონომიკურ პროცესებთან დამოკიდებულებაში არის არა იზოლირებული სტრუქტურა, არამედ ღებულობს საქონელს და მომსახურებას სხვა სფეროებიდან, ასევე მიაწვდის პროდუქციას მონათესავე და მათთან დაკავშირებულ დარგებს რეგიონის შიგნით და მის გარეთ. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობა აწარმოებს მომსახურებას, რომელსაც საბაზრო ფასი არა აქვს, მაგრამ დიდ გავლენას ახდენს სხვა სფეროს შედეგებზე. სოფლისმეურნეობრივი წარმოება დიდ როლს ასრულებს სოფლის დასახლებების სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმერს უნდა ქონდეს წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ტენდენცია წარმოიშვა სამი ძირითადი ხედვის – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური – გაერთიანებით. ეკოლოგიურად მდგრადი სოფლის მეურნეობის ძირითად პრინციპებად ითვლება:

- ბუნებათსარგებლობის, განსაკუთრებით მიწათსარგებლობის ეკოლოგიურად დაცვის აუცილებლობა;
- მიწის ძირითადი ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობების შესრულების უზრუნველყოფა;
- განსხვავებული მდგომარეობისა და პირობების ტერიტორიული კომპლექსურობის ეკოლოგიური სისტემის შეიმუშავება;
- მიწათსარგებლობის რაციონალიზაციის კრიტერიუმების შეიმუშავება;

მეურნეობრიობის სისტემის ეკოლოგიური უზრუნველყოფისა და ნორმატიული ბაზის შექმნა.

- სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნები შეიძლება შემდგენიარად ჩამოვაყალიბოთ:
- ბუნებისდაცვითი ღონისძიებებისათვის ფინანსების მოძიება;
- სანიტარულ-დაცვითი ზონის შექმნა;
- მიგრაციული დერეფნების დადგენა-მოწყობა;

- ბუნებისდაცვითი მოწყობილობების მონტაჟი და მათი მუდმივი გამართულობის უზრუნველყოფა.
- ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება რეკრეაციულ ზონებში;
- ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება პროფილაქტიკური დანიშნულებით ავადმყოფობით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგების აღმოსაფხვრელად.

- ბუნებრივი ფაქტორების წარმოების შედეგებზე უარყოფითი გავლენის შემცირება;
- მავნე ნივთიერებებით დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- ეკოლოგიური გაჯანსაღების ეკონომიკური კრიტერიუმების შეფასება.

ეკოლოგიური ღონისძიებების გატარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის ფერმერი უნდა ფლობდეს ცოდნას ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაციის შესახებ.

ბუნებრივი რესურსები კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფებად: მინერალური; წყლის; ნივთობრივი; მცენარეული; ცხოველთა სამყაროს; კლიმატური და ბუნებრივი პროცესების ენერჯის.

რესურსთა აღნიშნული ჯგუფებიდან გამოყოფენ ისეთი სახის რესურსებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შექმნაში, ან ხელს უწყობენ ამ პროცესს.

ფერმერის მიერ შემუშავებული ეკოლოგიური ღონისძიებების ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ეკოლოგიურ პოლიტიკაზე, რომელშიც იგულისხმება სახელმწიფოს ის ღონისძიებები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ბუნებისდაცვითი ღონისძიებების რეალიზაცია. კერძოდ, ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს შენახვისა და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მათ შორის საყურადღებოდ მიგვაჩნია:

- გარემოზე ზიანის მიყენების მოსალოდნელობის შემცირება და აღმოფხვრა;
- ადამიანზე, ცხოველზე და მცენარეზე ზიანის მიყენების მოსალოდნელი რისკის მინიმიზაცია;
- ველური ბუნებისა და ლანდშაფტის შენახვა-გაუმჯობესება მომავალი შთამომავლობისათვის.

ხშირად სახელმწიფოს ეკოლოგიური პოლიტიკითა შესაძლებელია ბუნების სიმდიდრის ოპტიმალური განაწილება, რომლის დროს წარმოქმნილი უზუსტობებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიმართულებებს განსაზღვრავს გარემოს ეკოლოგიური ეკონომიკა, რომელთა შორია შეიძლება გამოვყოთ:

- გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი სტანდარტები;
- გარემოზე ზემოქმედების სტანდარტები;
- პირდაპირი აკრძალვები;
- ტექნოლოგიური სტანდარტები;
- პროდუქტის ხარისხის სტანდარტები;
- ეკოლოგიური სერტიფიკატები, ნებართვები და ლიცენზიები.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებების ხარისხობრივი შედეგების დადგენისათვის სახელმწიფო ხშირად მიმართავს ეკოლოგიური ექსპერტიზის სხვადასხვა მეთოდებს. ხშირ შემთხვევაში ქმნის ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ თვითმმართველობით დონეებზე შესაბამის სამსახურებს, ღებულობს სათანადო ნორმატიულ აქტებს, ხელს უწყობს პროპაგანდას, მოსახლეობაში ეკოლოგიური კულტურის ამაღლების საქმიანობას. ამავე მიზნებით გამოიყენებს სხვადასხვა საზოგადოებრივ, საერთაშორისო ფონდებსა და ორგანიზაციებს, მიმართავს სხვადასხვა წამახალისებელ ღონისძიებებს, მოამზადებს და გადაამზადებს საჭირო კადრებს, აწეობს საკონსულტაციო სამსახურებს.

გარე სამყაროს მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებათა აქტუალობის შესახებ საპროგრამო დოკუმენტები და რეკომენდაციები შეიმუშავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციამ. კონფერენციის საპროგრამო მოთხოვნების შესრულების მიზნით რიგი ქვეყნები შეიმუშავებენ სპეციალურ კონცეფციებს მდგრადი განვითარების პრინციპების ეტაპობრივი რეალიზაციის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების დაბალანსებულ გადაწყვეტას, ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურ გამოყენებას ახლანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

გასულ საუკუნეში მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ძირითადად ორიენტირებული იყო ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბუნებრივ გარემოს. კაცობრიობა შეხვდა წინააღმდეგობას ერთი მხრივ მზარდ მოთხოვნილებასა და მეორე მხრივ ბიოსფეროს შეუძლებლობის ზღვარს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. ცივილიზაცია, რომელიც გამოიყენებს მსხვილ ტექნოლოგიებს, ჯერ კიდევ არ შეუთავაზებია საზოგადოებისათვის ბიოსფეროს დარღვეული წონასწორობის აღდგენის მექანიზმი.

სწორედ მდგრადი განვითარების სისტემისა და პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს გარემოს ოპტიმალურ რეგულაციას და იხსნის სამყაროს გლობალური ცვლილებებისგან. სწორედ აქეთკენ მიმართავს იგი საზოგადოებრიობის მენტალიტეტს და სულიერ სამყაროს. ის ასრულებს ეკოლოგიურად ჯანსაღი ძალების მობილიზაციის, სახელმწიფოებრივი პრიორიტეტებისა და პერსპექტიული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების მაკორდინირებელ როლს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები საწყის ფაზაში იწვევენ მოქმედი სტრუქტურების დეფორმაციას და ეროვნულ მეურნეობაზე მოქმედებენ არაეფექტურად. ისინი ასევე ნეგატიურად მოქმედებენ ბუნებაზე, ეკოლოგიაზე. ძირითად საწარმოო ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილია, ადამიანები სასიცოცხლო დონის შენარჩუნებისათვის საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად მკაცრ ექსპლუატაციას უწევენ ბუნებრივ რესურსებს. სახელმწიფო ხელისუფლებას კი, როგორც წესი მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს პოლიტიკური სტაბილიზაციის დამკვიდრებისათვის და გარდამავალი პერიოდის გაჭიანურების შემთხვევაში ათეულ წლობით ვერ შეიმუშავენ ეკოლოგიური უსაფრთხოების დამკვიდრების კანონებს, ვერ ქმნის შესაბამის ადმინისტრაციულ მექანიზმს.

საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული განვითარების დაჩქარება ამდღებს მოქალაქეთა და არანამთავრობო ორგანიზაციების როლს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავების მომზადების საქმეში. საბაზრო მექანიზმი საზოგადოებრივ აქტიურობასა და საწვლმწიფოებრივ მხარდაჭერასთან ერთად ხელს უწყობს ყაირათიანი დამოკიდებულების ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბებას ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართ თითოეული სამეურნეო სუბიექტის მხრიდან.

მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლა ითვალისწინებს რიგ ამოცანებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში უნდა გადაწყდეს ეტაპობრივად. მათ შორის ძირითადად მიგვაჩნია:

- სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოსვლის პარალელურად უნდა შემუშავდეს ეკოლოგიური სტაბილიზაციის ღონისძიებები;
- გარემო ბუნების მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება ეკონომიკის ეკოლოგიზაციის ღონისძიებების განხორციელებით;
- ფერმერული მეურნეობების სტაბილირება წარმოებაში უნარჩენო, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვისათვის. მეურნეობრიობის მიზანმიმართული სტრუქტურული სრულყოფა ბუნებრივი რესურსების ადღგენის თვალსაზრისით.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებით სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიური სისტემის მდგრადი განვითარების დაჩქარების ძირითად მიმართულებად მიგვაჩნია:

1. სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ადმინისტრაციული რგოლის სრულყოფა და ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება.
2. სამეურნეო საქმიანობის სტაბილირების სისტემის შემუშავება ეკოლოგიური სიტუაციის ამსახველი შედეგების შეფასებისათვის;
3. ქვეყნის ეკოსისტემის ლოკალური და რეგიონალური სამეურნეო ტევადობის შეფასება;
4. მდგრადი განვითარების პრინციპების პროპაგანდის ეფექტური სისტემის ფორმირება სწავლებისა და აღზრდის, ეკოლოგიური კულტურის ამაღლების მიმართულებით.

- ჩვენი აზრით სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს შემდეგი საპოზნოზო და საპროგრამო დოკუმენტები:

- ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი სახელმწიფო სტრატეგიული კურსი;
- მთლიანად გარემოს და ცალკეული ეკოსისტემების შემადგენელი კომპონენტების ცვლილებების მოსაღიდნელი პროგნოზი საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები მოკლევადიან პერიოდში დარგობრივ და ტერიტორიულ მასშტაბებში. მათი შევსების უზრუნველყოფილი ღონისძიებების შემუშავება.

იმის გათვალისწინებით, რომ ბიოსფერო გარემოს ძირითადი რეგულატორია, ამასთან ბუნებრივი რესურსები არათანაბრადაა განლაგებული და მათი სახეობების კონცენტრაცია სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნებს, ეკოსისტემის მდგრადი განვითარების პრინციპების ეფექტიანობა საჭიროებს საერთაშორისო თანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით დიდია საქართველოს როლი და ადგილი, კერძოდ:

- საერთაშორისო პარტნიორობის ორგანიზაცია მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის პრობლემების გადაჭრაში;
- სამეურნეო პოტენციალის შესაბამისობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებთან;

- ეკოლოგიურად საშიში ტვირთის გადაზიდვის ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზების ეფექტური მექანიზმის შექმნა, ზღვით, რკინიგზით, ავტოტრანსპორტით, საჰაერო ტრანსპორტით, მილსადენებით. ამ მიმართებით სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა;
- ეკოლოგიურ ღონისძიებებზე მიმართული ინვესტიციების ეფექტური გამოყენებისა და მისი გადიდების სტიმულირების ფაქტორების არსებობა;
- ქვეყნის ხელისუფლების ეკოლოგიური ინტერესების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგობრივი თავისებურება.

As a consequence the modern world faced with the need of transition to a new model of world order and reconstruction of social and economic relations, which would ensure sustainable environmentally socio-economic development. If the economic subsystem grows physically, it should become relatively more growing ecosystem of which it is. The more it approaches the size of the overall system, the more it will become similar by the basic characteristics – finite, non-growing, resource limitations, relying on sunlight as the main source of energy [1].

Existing economic and environmental problems have led to the realization that the economic system is part of ecological and social system. As a result, the national economy and especially agriculture system of the most countries in the world are in a state of transition from consumer approach towards optimal combination of bioenergy and food and environmental protection – the transition to a bioeconomy and sustainable development.

The concept of "*sustainable development*" is the further development of Vernadsky's teaching about noosphere. Theory and practice have shown that the theory of the noosphere was necessary platform for the development triune concept of sustainable ecological and socio-economic development. The generalization of this concept have been made on UN World Summit, involving more than 180 countries, many international organizations and leading scientists in Rio de Janeiro, 1992 and Johannesburg, 2002. Thus, a new concept have systematically combined three key components of sustainable development: economic, environmental and social. [2]

The term "*bioeconomy*" appeared as a result of active promotion and application of biotechnology in various sectors of the world economy *that* characterizes an economy based on the use of renewable biological resources. It means an economy that use biological resources of land and ocean for the industrial production and energy production, waste from the production of food for humans and animal feed.

Bioeconomy include agriculture, biopharmaceutical industry, food processing, forestry, pulp and paper industry, fisheries, and production of ferments, biofuel, bioremediation of soil and water. In the countries with developed

economics, the development of biotechnology and the transition to a bio-economy is seen as a key mechanism for overcoming the crisis. Even in the medium term the development of bio-economy will have important consequences that will change the current trends in the important areas of the world economy.

In the sphere of EU bio-economy employs over 22 million people (9% of total employment in the EU). It includes agriculture, forestry, fisheries, food processing, pulp and paper industry as well as chemical, biotechnical and energy sectors [3].

Bioeconomy helps to form the global industry. According to data of analytical services, global annual turnover of bioindustry is currently more than 160 billion dollars USA. The U.S. share is estimated at 42%, EU - 22%, China - 10% and India - 2%. The volume of Russian market - 100-150 billion rubles (approximately 2.5% of the world) and the production of biotechnological products - 15 billion rubles (about 0.3% of the world).

According to analysts of Bloomberg New Energy Finance 17,5% of agricultural wastes can be used as a raw for advanced biofuel. With this number of biofuel it is possible to replace more than 50% of the demand for gasoline by 2030. Eight regions have the potential to diversify their farmers income, creating a revenue from \$1 trillion to \$ 4.4 trillion by 2050 and also millions of workplaces.

For example, advanced biofuels could provide 2.9 million jobs in China, 1.4 million in the United States and about one million in Brazil. It is also possible to reduce the impact on the climate. It is very important because the advanced biofuel emits into the atmosphere by 80% less greenhouse gases than ethanol [4].

The criteria for competitiveness are changing by the priorities for sustainable development of the agricultural sector that requires the introduction of the latest technologies, especially in the coordination of efforts and identification of common priorities for long, medium and short distances. So more and more countries participate in the negotiations regarding harmonization of regulatory support by the programs of WTO and European integration.

For this purpose it is important to pay attention to the EU project Bio-Economy Technology Platforms, which integrates all areas associated with biological objects of economic activity. This recent trend of economic growth provides the basis for natural durability and full human's earning capacity, restoration of the environment, reducing the cost of treatment and control of environmental disasters. [5]

The project is based on the principles of Knowledge-Based Bio-Economy. Bio-Economy Technology Platforms unites nine European Technology Platforms: ETP «Global Animal Health»; ETP «Plants for the Future»; ETP «Food for Life»; ETP «Sustainable Chemistry»; ETP «Sustainable Farm Animal Breeding and Reproduction (FABRE-TP) »; ETP« Forest Based Sector »; ETP« Biofuels »; ETP« Agricultural Engineering »; ETP« Aquaculture and Innovation» (EATiP).

Movement of Knowledge-Based Bio-Economy covers more and more countries. At the same time introducing elements of nanoscience, nanotechnology, new materials and efficient technologies used in the production of agri-food products requires new knowledge, communication systems, harmonized standards, technical regulations and so on.

That's why modern agricultural production should be considered as a part of the general system of nature. It means any undertakings in plant growing and animal husbandry have to be agreed with the general requirements of the formation and development of rational ecosystem. Agricultural production should be considered as a part of general nature.

The specifics of agriculture consists that the most of the objects and means of labor are biological in nature, which call forth the natural biological laws in the sphere. For instance, plant growing has the cultivated plants and livestock has the farm animals as the objects of work (work items). Their development happens according to the general objective rules of nature (biology, chemistry, physics), and narrow ones of agriculture and animal husbandry. In the industry people has a deal with a lifeless matter as raw materials or production equipment. Agriculture is also deeply depends on climatic conditions.

Universal mean of labor - land that is the main mean and objects of labor in agriculture, is also a kind of biological objects. Formed as a result of long-term natural soil processes its natural fertility has a geological and biological origin.

So the strategic goal of sustainable development of agriculture is to identify and compliance with environmental safety limits of saturation material resources of live objects.

The potential genetic basis of crops and animals are variable in nature. They are determined by the level of development of biological and agricultural sciences. Each level of science development meet certain parameters of the genetic potential of high-quality plants and animal breed structure in the efficiency of processing material factors in the final product.

Environmentally safe limits are genetic features of plants and animals to transform material inputs in the production. They are defined and limited by genetic potential of plant varieties and animal breeds. Exceeding the limits leads to pollution and production by chemicals. These limits are determined by research in breeding work.

Each plant variety and animal breed is characterized by specific genetic opportunity of transformations of an element of a food to production. They reach maximum level under optimal conditions of plants and animals only. However, they rarely set up in the production process because of the different and climatic factors especially. Therefore, they are limited depending on the specific conditions of production. Thus, environmentally safe boundaries of material resources are limited too.

Providing automonitoring environmentally safe boundaries in the production can occur according to the following algorithms which are developed professor P.A. Mosiyuk [6, 7]:

In crop production there determine the part of the crop k -th culture in the complex of i -th material resources:

$$y'_{ik} = x_i \left(a + \frac{b}{x_i} \right),$$

y'_{ik} - part of the planned surplus product that can be formed by soil nutrients of i -type;

x_i - content in soil nutrients of i -type.

Then calculate unsecured with groundwater part of the planned harvest as follows:

$$y''_{ki} = y_{kpl} - y'_{ik},$$

y''_{ki} - size of the unsecured part of the planned harvest soil k -th culture in the i -th element nutrient;

y_{kpl} - planning index of productivity of k -th culture.

The size of the unsecured portion of the crop y''_{ki} can not increase the potential opportunity of a crop variety for some k -th culture and automatically adjusted as follows:

$$y''_{ki} = \delta (y_{kpl} - y'_{ik}) + (1 - \delta) \alpha_k$$

δ - rate controller of maximum k -th harvest crops from the additional use of fertilizers;

α_k - absolute limit maximum of possible crop by k -th culture the use of fertilizers.

The coefficient is equal to:

$$\delta = \begin{cases} 1, & \text{at } (y_{kpl} - y'_{ik}) \leq \alpha_k \\ 0, & \text{at } (y_{kpl} - y'_{ik}) \geq \alpha_k \end{cases}$$

Optimal technological demand of enterprises on fertilizers per 1 ha is calculated for each case on a base of definition of economically reasonable and environmentally safe limits and planned harvest level as follows:

$$H_{ik} = f(y''_{ik}) \cdot y''_{ik} (y''_{ik} \leq \alpha_k),$$

H_{ik} - economically reasonable and environmentally safe demand of k -th culture in i -th forms of fertilizers nutrient;

$f(y''_{ik})$ - the function of nutrients use for each additional part unit of the planned crop of k -th culture unsecured with soil;

y''_{ik} - size of unsecured with soil of crop k -th culture in the i -th element.

In animal husbandry the feed belongs to material inputs. The rules of their use for the unit of natural products are the same as in plant growing. They are, as noted, are also monotonically decreasing. Therefore, the algorithm for determining the optimal technological demand for them is not fundamentally different from the previous one. The difference is in the absolute values of the coefficients decreasing production functions, limit data and productivity.

Agriculture is an important factor of structural unemployment and ecological balance. It also has an important role in finding sources of renewable energy.

Production of biofuels allows to organize better use of the land under overproduction of agricultural products condition and increasing difficulties with their sales.

Increase use of biomass produced in agriculture for energy purposes will influence the development of rural infrastructure. Renewable energy can provide up to 5 times more jobs than energy production and 15 times more than nuclear power.

The result of mass production of fuel from renewable raw materials can lead to growing up the price of agricultural products. Therefore, it is necessary to control. You must create

The appropriate institutional, legal, organizational and economic conditions to supervise the production of biofuels have to be created.

Agriculture, as a subsystem of the economy, should grow to a certain equilibrium limit which will establish a stable steady state based on respect for the economic feasibility and environmental safety.

In agricultural production, we have a deal, on the one hand, with unlimited flow of solar and climatic conditions, which are poorly governed and the other hand with limited supply of natural resources that we can adjust by increasing or reducing their consumption.

Large scale of natural resources use, causing a decrease their volume and availability for future generations. The anthropogenic and technogenic impacts on the environment will increase. This way of development is not sustainable in the long term and leads to the crises, both socio-economic and environmental.

Thus modern production should be based on the natural ability of ecosystems to adapt and neutralize waste and recover resources. To provide such way of development is the main goal of bioeconomy, which is the basis of sustainable both agricultural production and the economy in general.

References

1. Herman Daly A Collection of Articles, Speeches, Testimonies, and Reviews, 2008
2. <http://wdc.org.ua/uk/sustainable-development>
3. http://ec.europa.eu/research/bioeconomy/press/press_packages/index_en.htm
4. <http://report2011.novozymes.com/>
5. <http://www.plantetp.org>
6. Економіка і організація аграрного сервісу./П.О.Мосіюк, О.В.Крисальний, В.А.Сердюк, С.І. Мельник та ін. За ред. проф. П.О. Мосіюка. – К.: ІАЕ УААН. 2001. – 345 с.
7. Управління аграрними виробничими ресурсами (Теоретичний та методичний аспект) /Кер.авт.кол.П.О. Мосіюк/. – К.: ТОВ “Міжнародна фінансова агенція”, 1996 – 45с.
8. Шубравська О. Сталий економічний розвиток: поняття і напрям досліджень. / Шубравська О. // Економіка України. - 2005. - №1.- С.36 - 42.
9. TheBioeconomy to 2030:designing apolicyagenda >oecd.org/futures/bioeconomy/2030).

მეფა მეფაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, მეცნიერთაწარმოებული

ნუნუ ძისტაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობა აბრარული სექტორის განვითარებაში

სახელმწიფოები, რომლებიც ირჩევენ ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელს, ეფექტურად იყენებენ სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილს და გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციური საქმიანობისადმი. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე ეკონომიკის ყველა სფეროში, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ხელსაყრელი პირობების შექმნაზე საბაზრო მექანიზმების ეფექტიანი გამოყენებისათვის; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის შესაბამისი უნარების შესწავლასა და ეფექტიან გამოყენებაზე და ა.შ.

მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები გონივრული ინოვაციური პოლიტიკის მეშვეობით, აღწევენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი წარმოადგენს კონკურენციის უმნიშვნელოვანეს იარაღს. აუცილებელია სწორედ სახელმწიფომ შექმნას ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის საჭირო ხელსაყრელი გარემო: საგადასახადო, საკრედიტო, საპატენტო, საბირჟო, სალიცენზიო, ექსპორტის, იმპორტის და სხვა სფეროებში. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა გამოეყოს მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები ამ მიზნით, ხოლო შემდეგ – “სარისკო” ორგანიზაციებმა, საპენსიო ფონდებმა, ცალკეულმა პიროვნებებმა, სადაზღვევო კომპანიებმა და სხვ. მიზანშეწონილია ვენჩურული (სარისკო) ფირმების შექმნა და მომძლავრება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დაფინანსება ბიუჯეტიდან და სპეციალური

ფონდებიდან. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა სარისკო ფირმების ფორმირება-განვითარებისათვის.

მსოფლიო გამოცდილება გვჩვენებს, რომ მოწინავე ქვეყნებმა აღმავლობას სახელმწიფოს აქტიური ჩარევით მიღწიეს. მაგალითად, თავის დროზე აშშ-ში ტექნოლოგიური განვითარება გახდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველი და ამ სფეროში დაისახა და განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიზნები: შეიქმნა სამეწარმეო კლიმატი ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მოხდა სკსსს-ების (სამეცნიერო-კვლევითი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) სტიმულირება ახალ ტექნოლოგიათა ბაზაზე, შეიქმნა საუკეთესო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ინვესტიციები მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით, ხელი შეეწყო მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსების ჩამოყალიბებას, რომლებიც მონაწილეობენ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში და ა.შ. იაპონიაში მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა. საფრანგეთში ხორციელდება გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო პროგრამები. რუსეთში ჩამოყალიბდა ინოვაციური სტრუქტურები (საწარმოო, ანალიტიკური, კონსალტინგური), შეიქმნა სარისკო ფირმები, დაწესდა შეღავათები (საგადასახადო) ინოვაციებზე, განხორციელდა ინოვაციური პროექტების საკონკურსო წესით დაფინანსება, შეიქმნა ინოვაციური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის იაპონური მრაველი გვთავაზობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას ტექნოპოლისების სახით, რომლებიც შეესაბამებიან სკსსს და სამეცნიერო წარმოებას. იაპონიაში ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება ხასიათდება სკსსს-ის ინდიკატური დაგეგმვით, მაღალი საიმპორტო საბაჟო ტარიფით, სკსსს-ის დაფინანსებაში საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებით, ასევე ახალი სამეცნიერო საქონლის მოძრაობისას პროტექციონისტული პოლიტიკით. ინოვაციური საქმიანობის აქტიურობის შედეგებით იაპონია პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში. იაპონური კომპანიები მნიშვნელოვნად თვლიან საქონელს, რომლებიც დამზადებულია მოწინავე ტექნოლოგიების შედეგად.

ამჟამად მეცნიერებატევადი პროდუქციის 80-90%-ზე მეტს მაღალგანვითარებული ქვეყნები აწარმოებენ. ბოლო წლების მონაცემებით, მაგალითად, მთლიან შიდა პროდუქტში სკსსს-თა ხარჯების წილის მიხედვით პირველ ადგილზეა იაპონია – 2.9%, შემდეგ აშშ – 2.8%, გერმანია – 2.7%, საფრანგეთი – 2.4%. უკანასკნელ პერიოდში ამ მაჩვენებლის მიხედვით, ზოგიერთი ახალინდუსტრიული ქვეყანა (ჩინეთი, პონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი) მოწინავე ქვეყნების მაჩვენებელს მიუახლოვდა და საშუალოდ 2.7%-ის ტოლია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქვეყნებმა განვითარების მაღალ დონეს სწორედ მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარებით მიაღწიეს და ეს განხორციელდა სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გამოყენებით.

ბოლო წლებში ბევრი იწვერება ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება. ჩვენმა ქვეყანამ უნდა მოახერხოს და გაატაროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური პოლიტიკა.

ამჟამად საქართველოში ძირითადად ხდება ან ტექნიკა-ტექნოლოგიების უცვლელად გადმოტანა საზღვარგარეთიდან ან იქ უკვე აპრობირებული სამეცნიერო პროდუქციის წარმოება ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალით. ჩვენმა ქვეყანამ ორიენტაცია უნდა აიღოს ინოვაციების შექმნასა და გამოყენებაზე. მას ამისათვის საკმარისი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნია.

ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ინტელექტუალური პოტენციალია, რომლის გამოყენებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ინოვაციური საქმიანობის სწრაფი ტემპებით განვითარებას და ინტელექტუალური ეკონომიკის ჩამოყალიბებას უკავია.

საქართველოში ინოვაციურ საქმიანობას ძირითადად ახორციელებდა სახელმწიფო, უმაღლესი განათლების სფეროს, სამეწარმეო და კერძო არაკომერციული ორგანიზაციები. ბოლო წლების მონაცემებით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ასრულებდა 129 ორგანიზაცია, მათგან მცირე ფირმების წილი შეადგენდა 3%-ს. დღეისათვის მათი რიცხვი საკმაოდ შემცირებულია, ვინაიდან როგორც სახელმწიფოს, ასევე მეწარმეებს, რომელთაც შეეძლოთ ინოვაციური მეწარმეობის განვითარება, არ გააჩნიათ თავისუფალი ფულადი სახსრები ახალი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების ჩასატარებლად და დასაფინანსებლად.

საქართველოში მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობაში ბოლო წლებში 0.3%-ს შეადგენდა. რაც 8.3-ჯერ ჩამორჩება მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (16.6-ჯერ ისრაელის, 15.3-ჯერ შვედეთის, 11.3-ჯერ ფინეთის, 10.3-ჯერ იაპონიის, 10-ჯერ ისლანდიისა და სამხრეთ კორეის, 9.3-ჯერ აშშ-ს, 8.6-ჯერ შვეიცარიის, და 8.3-ჯერ გერმანიის შესაბამის მაჩვენებელს).

გარდა ამისა, საქართველოში მეცნიერების სფეროში მთელ რიგ განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ადამიანი დასაქმებული, ერთ მილიონ კაცზე გაანგარიშებით, საშუალოდ ეს მაჩვენებელი, უკანასკნელი წლების მონაცემებით, 2421 კაცს შეადგენს, მაშინ, როდესაც ფინეთში - 7110, ისლანდიაში - 6639, იაპონიაში - 5321, შვედეთში - 5186, ნორვეგიაში - 4377, აშშ-ში - 4099, სინგაპურში - 4052, შვეიცარიაში - 3592, რუსეთში - 3494, დანიაში - 3476 და ა.შ.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის განვითარებას ხელს უშლის ინოვაციური ინფრასტრუქტურის - ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, სასწავლო-საქმიანი ცენტრები, სალიზინგო კომპანიები, კონსალტინგური და ინჟინერინგული საწარმოები და სხვა - განვითარების უაღრესად დაბალი დონე. არასრულყოფილი, დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზა, ვენჩურული ფონდებისა და ინოვაციური საქმიანობის რისკების დაზღვევის სისტემის არარსებობა, ინოვაციური მეწარმეობის ხელშემწყობი სატარიფო პოლიტიკის გაუტარებლობა და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში სათანადო წარმატებათა მიღწევა.

ყველა ის პრობლემა, რომლის შესახებაც ზემოთ ავლინდნენ, სრული სახით არის წარმოდგენილი აგრარულ სექტორშიც და შეიძლება ითქვას უფრო მეტად მწვავედაც დგას. განსაკუთრებით დღეს, როცა სოფლის მეურნეობის განვითარება ეკონომიკური წინსვლის პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა გამოცხადებული, ერთიანად მნიშვნელოვანი ხდება ზუსტად აქ სწორი, მეცნიერულად კარგად გათვლილი ინოვაციური პოლიტიკის გატარება. როგორც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში, საქართველოს შეუძლია და უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ სუფთა სასმელი წყალიც უნდა ვივულისხმოთ. უწმინდესის ეს რჩევა განხილულ უნდა იქნეს, როგორც სწორი აგრარული ინოვაციური პოლიტიკის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე აგრარულ სექტორში, ზრუნავდეს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასა და ხელსაყრელი პირობების შექმნაზე სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებისათვის სწორედ ამ დარგში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სხვა ქვეყნებში აპრობირებული საბაზრო მექანიზმების ეფექტური გამოყენება. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს უცხოურ სამეცნიერო ფირმებთან ერთობლივი ინოვაციური ფირმების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ფირმებს ბაზარზე გარკვეული პოზიციების დაკავებაში. აქ დიდი როლი შეიძლება ითამაშოს იმან, თუ რამდენად სწორ პოზიციას დაიკავებს სახელმწიფო აღნიშნული პროდუქციის გამოსაშვებად ბიძგის მიმცემი გარემოს შექმნაში, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: სამეცნიერო-საძველ ორგანიზაციებს სახელმწიფო ქონება და მიწა უსასყიდლოდ ან შეღავათიან პირობებში უნდა გადაეცეს, ასევე აუცილებელია რეგიონებში სამეცნიერო ინფრასტრუქტურის შექმნა და უმნიშვნელოვანესია სწორედ სახელმწიფომ ითაოს სოფლის მეურნეობის, როგორც დღეისათვის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის მიერ წარმოებული პროდუქციის უფასოდ ან საკმაოდ შეღავათიანი რეკლამა, გამოფენა-ბაზრობების მოწყობა და ა.შ. ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სწორედ წარმოებული რეკლამა ბიზნესის წარმატების ნახევარია. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები მილიონობით დოლარს განუხრელად დებენ რეკლამაში და მრავალჯერად მოგებასაც იღებენ. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაც ეს უნდა გახდეს, რაც დააინტერესებს ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებს და სტიმულს მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ აგრარული დარგის შემდგომ განვითარებაში, კერძოდ კი ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თანამედროვე მსოფლიო ნამდვილად განიცდის ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, მათ შორის სუფთა სასმელი წყლის ნაკლებობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ჩვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ კაპიტალის მფლობელმა სექტორმა ინვესტიციები ჩაღოს ინოვაციური სფეროს განვითარებაში, ვინაიდან ინვესტიციები ინოვაციებში – ეს მომავლის ინვესტიციებია. ეს ის ინვესტიციებია, რომლებიც შედეგს მოგვცემს ერთი, ორი, იქნებ ათი წლის შემდეგ ან კიდევ უფრო გვიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგი მრავალჯერ გადაწონის მასზე გაწეულ დანახარჯებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბილისი: “მერიდიანი”, 2006.
2. ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში. გაეროს გამოცემა, თბილისი: 2004.
3. ბაუჩაძე ბ. “მეცნიერულ-ტექნოლოგიური ინოვაციების როლი საქართველოს ეკონომიკის რესტრუქტურის პროცესში”. ჟ.“ბიზნესი და მენეჯმენტი”. 2009. №1. გვ. 46-51.
4. იაკობიძე დ. „საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები“. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, 2010.
5. ქისტაური ნ. მეღაშვილი მ. ინოვაციური განვითარების აუცილებლობა საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009
6. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა თბილისი: “სიახლე”, 2008

THE ROLE OF INNOVATIVE POLICY IN THE DEVELOPMENT OF AGRARIAN SECTOR

Summary

World experience shows that states selecting innovation model of development of economy, efficiently use government innovative polisy, which should be directed on the activization of innovative processes in all the spheres of economy; the improvement of investment climate; the creation of favourable conditions to use efficiently market mechanismus of stimulation of scientific-technical skills and innovative activity, the development of innovative infrastructure; the study and efficient use of relevant skills os scientific-technical staff etc. The government has to create favourable environment for the development ot innovative sphere: legislative, taxation, credit, patent, exchange, license, export, import etc. It should pursue such policy which will provide not only the maintenance of industrial-technical skills but its maximum action, transformation and adecuate reformation.

ბიოგრაფიული მონაცემები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი

სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები საქართველოს რეგიონებში

საქართველოს დემოგრაფიული სისტემის ფუნქციონებაზე, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სასოფლო განსახლებებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს დემოგრაფიული პროცესების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ 2000-2012 წწ. საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შემცირდა სოფლის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული მაჩვენებელი, ამ უკანასკნელის წილი მაინც მნიშვნელოვანია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2012 წელს სოფლებში მოსახლეობის საერთო რაოდენობის 46.8% ცხოვრობდა, რაც 2105.9 ათასი ადამიანის ტოლფასია.

საქართველოს რეგიონებიდან სოფლის მოსახლეობის მაღალი წილით გამოირჩეოდა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (80.6%). ასევე მაღალი იყო სოფლის მოსახლეობის წილი (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 70%-ზე მეტი) კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და გურიის რეგიონებში. შედარებით ურბანიზებული მხარეა იმერეთი, სადაც განხილული მაჩვენებელი 53.2%-ს შეადგენდა (იხ. ნახაზი 1). საყურადღებო ფაქტია, რომ 2000-2012 წწ. საგრძნობლად შემცირდა სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა ქვემო ქართლისა (27.2 ათასით) და იმერეთის მხარეებში (16.8 ათასით).

ნახაზი 1. სოფლის მოსახლეობის წილი საქართველოს რეგიონების მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 2012 წელს



შობადობა და მოკვდაობა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ, რომელთა ცვალებადობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა. საქართველოს რეგიონებში 2000-2012 წწ. შობადობის სფეროში მიმდინარე პროცესები, მისი განვითარების მიხედვით პირობითად შესაძლებელია სამ ეტაპად დავეყოთ.

პირველი ეტაპი მოიცავს 2000-2003 წწ., აღნიშნული დროის მონაკვეთში რეგიონთა უმრავლესობაში შემცირდა დაბადებული ბავშვების რაოდენობა ყოველ ათას მცხოვრებზე (იხ. ცხრილი 1). უმნიშვნელო - 0.1 პუნქტით მატება აღინიშნა მცხეთა-

მთიანეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში. შობადობამ საგრძნობლად (0.3 პუნქტით) დაიკლო აჭარაში. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა შეადგენს 15%-ს, რაც ნიშნავს, რომ შობადობის აღნიშნული სიდიდის არსებობის პირობებში მოსახლეობა არც იზრდება და არც კლებულობს, ანუ იგი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს წარმოადგენს. განხილული დროის მონაკვეთში დაფიქსირებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეების რეალურობა

ცხრილი 1.

სოფლის მოსახლეობის შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოს რეგიონებში 2000-2011 წწ.

რეგიონი	წ ლ ე ბ ი											
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
აჭარა	9.8	7.8	7.2	6.7	14.9	11.5	11.1	11.1	12.2	13.8	17.1	11.7
გურია	6.1	5.6	5.7	5.4	5.4	7.2	6.6	7.2	8.3	9.4	13.5	11.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3.9	3.2	2.7	2.4	3.9	4.7	2.6	3.8	4.6	6.5	9.6	9.1
სამეგრელო და ზემო სვანეთი	7.1	6.4	5.8	5.3	6.6	5.8	5.8	6.2	7.3	8.4	12.2	10.3
იმერეთი	6.1	5.9	5.0	4.2	7.6	6.9	5.5	5.8	6.8	8.2	13.6	12.0
კახეთი	6.5	5.9	5.3	4.8	6.9	5.9	6.0	6.5	7.8	8.3	12.6	11.2
მცხეთა-მთიანეთი	9.1	9.1	9.2	9.2	13.5	9.2	7.8	7.8	9.5	10.3	12.1	10.5
სამცხე-ჯავახეთი	9.1	9.1	9.2	9.2	13.5	9.2	7.8	7.8	9.5	10.3	12.1	10.5
ქვემო ქართლი	6.4	5.7	5.1	4.5	10.5	6.7	8.3	8.3	9.4	9.9	13.8	12.8
შიდა ქართლი	9.3	8.9	9.0	9.3	8.1	8.9	5.8	6.3	8.1	9.7	15.4	13.1


წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

გარკვეული ეჭვის საფუძველს წარმოადგენს, განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში, სადაც იგი 5%-ზე ნაკლები იყო. სავარაუდოდ ადგილი უნდა ჰქონოდა დაბადებულთა არასრულ აღრიცხვას.

მეორე ეტაპი მოიცავდა 2003-2009 წწ. აღნიშნული დროის მონაკვეთში მოხდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მეტნაკლები მატება (იხ. ნახაზი 2). ყველა რეგიონის სასოფლო განსახლებებში განსაკუთრებით დიდი იყო მატება აჭარაში (7.1 პუნქტით),

ნახაზი 2.

სოფლის მოსახლეობის შობადობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილება საქართველოს რეგიონებში 2000-2003, 2003-2009 და 2009-2011 წწ.



რაჭა ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (4.1 პუნქტით) და იმერეთში (4.0 პუნქტით). როგორც ანალიზი გვიჩვენებს ჩამოთვლილთა შორის ყველა ის რეგიონებია რომლებშიაც ჩვენს მიერ პირობითად გამოყოფილ პირველ ეტაპზე შობადობა უკიდურესად დაბალი იყო. დროის მცირე მონაკვეთში - ისე, რომ არ გატარებულა შობადობის რაიმე წამახალისებელი ღონისძიებები, ასეთი მატება კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს დაბადებულთა აღრიცხვიანობის სფეროში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე.

მესამე ეტაპი 2009 წლიდან იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება. იგი განსაკუთრებული დინამიურობით ხასიათდება. 2009-2010 წწ. შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობებმა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს გადააჭარბეს აჭარაში და შიდა ქართლში, ხოლო ყველა დანარჩენ რეგიონებში ყველაზე მაღალი მნიშვნელობები აღინიშნა 2000 წლის შემდგომ. 2010-2011 წწ. ყველა რეგიონის სოფლის მოსახლეობაში შემცირდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი. 2010 წელს ყოველ ათას მცხოვრებზე ყველაზე მეტი ბავშვი დაიბადა შიდა ქართლში (13.1‰) და ქვემო ქართლში (12.8‰), ყველაზე ნაკლები კი რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (9.1‰).

მოკვდაობის მაჩვენებლები საქართველოს რეგიონების სოფლის მოსახლეობაში მნიშვნელოვანი განსხვავებებით ხასიათდებოდა. ქვეყანაში შესაძლებელია გამოიყოს რეგიონები, რომლებშიც მოკვდაობის მაჩვენებელი დაბალი მნიშვნელობებით გამოირჩეოდა და პირიქით, სადაც ეს უკანასკნელი მაღალი იყო.

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები 2000-2011 წწ. სტაბილურად დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ აჭარაში, ქვემო და შიდა ქართლის მხარეებში (იხ. ცხრილი 2). დაფიქსირებული ფაქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, მაღალი ასაკის მოსახლეობის შედარებით დაბალი წილი სხვა რეგიონებთან შედარებით. სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის უახლოესი მონაცემები, ვინაიდან აღნიშნულ ინფორმაციას მოსახლეობის აღწერა იძლევა, რომელიც საქართველოში 2014 წელს უნდა ჩატარდეს. არსებული ვითარებიდან გამომდინარე იძულებულნი ვართ 2002 წლის აღწერის მონაცემებით ვისარგებლოთ, რომელიც მიუხედავად თავისი „ხანდაზმულობისა“ გარკვეულწილად ხსნის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას. სამივე განხილულ რეგიონში 2002 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით ყველაზე ნაკლები იყო 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (შესაბამისად 14.1, 15.9 და 21.4%).

ცხრილი 2

სოფლის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოს რეგიონებში 2000-2011 წწ.

რეგიონი	წ ლ ე ბ ი											
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
აჭარა	6.7	5.8	6.2	4.7	7.1	5.3	5.2	5.1	5.6	5.7	7.9	7.5
გურია	14.4	14.8	14.7	12.0	12.5	9.6	9.0	8.6	8.8	9.7	13.2	14.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	11.1	10.4	10.7	12.4	15.3	11.5	11.6	11.6	12.1	14.3	20.5	19.3
სამეგრელო და ზემო სვანეთი	11.6	9.7	9.5	9.4	8.3	6.9	6.8	6.7	6.8	8.2	10.3	10.7
იმერეთი	13.2	12.9	12.7	10.0	13.3	7.1	9.4	9.3	9.4	10.1	13.3	14.0
კახეთი	11.3	11.6	11.8	9.2	10.0	7.7	8.1	8.0	8.9	9.4	12.4	12.8
მცხეთა-მთიანეთი	11.4	10.8	10.1	9.8	12.8	8.2	7.5	7.4	7.6	7.9	12.4	13.6
სამცხე-ჯავახეთი	6.6	7.9	7.9	8.8	8.6	0.5	5.2	5.1	5.3	6.0	9.9	9.6
ქვემო ქართლი	6.0	6.0	5.9	4.6	4.7	4.5	4.9	4.8	5.0	5.7	7.5	8.1
შიდა ქართლი	11.3	10.8	9.3	7.7	7.7	7.8	7.4	7.3	8.9	9.2	11.5	12.0

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

მოკვდაობის კოეფიციენტების მაღალი მნიშვნელობებით გამოირჩეოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის მხარეები. მაღალი ასაკის მოსახლეობის (60 წელი და მეტი) წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აღნიშნულ რეგიონებში შესაბამისად 35.5, 24.2 და 25.4%-ის ტოლი იყო. უნდა დაესძინოთ, რომ დაბალი შობადობისა და ემიგრაციული პროცესების ზეგავლენით, დემოგრაფიული დაბერების დონე ამჟამად აღნიშნულ რეგიონებში კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს.

შობადობისა და მოკვდაობის სფეროებში მიმდინარე პროცესები საბოლოოდ განსაზღვრავენ ბუნებრივი მატების მნიშვნელობებს. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდეები ჩვენს მიერ საანალიზო

დროის პერიოდში (2000-2011 წწ.), დაბალი მნიშვნელობებით გამოირჩეოდნენ. უფრო მეტიც 2000 და 2003 წლებში, საქართველოს შვიდ რეგიონში მოკვდაობა სჭარბობდა შობადობას, ხოლო 2001 და 2003 წლებში რვა რეგიონში.

საანალიზო დროის მონაკვეთში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი ერთადერთი იყო ქვეყნის მასშტაბით, სადაც ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი მუდმივად უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 3). დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა იყო გურიაში, იმერეთში და კახეთში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2010 წელს – როდესაც აღნიშნულ რეგიონებში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ოდნავ აღემატებოდა ნულს. ასევე არასახარბიელო იყო სამეგრელოში და ზემო სვანეთში შექმნილი ვითარება. განხილული მაჩვენებელი არასოდეს არ დაშვებულა ნულოვან ნიშნულზე დაბლა აჭარაში და სამცხე ჯავახეთში. მიუხედავად ამისა იქ არსებული სიდიდეები მაინც დაბალია.

ცხრილი 3

სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოს რეგიონებში 2000-2011 წწ.

რეგიონი	წ ლ ე ბ ი											
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
აჭარა	3.0	2.1	1.0	2.0	7.8	6.1	5.9	6.0	6.6	8.2	9.2	4.2
გურია	-8.2	-9.2	-9.0	-6.6	-7.1	-2.4	-2.4	-1.4	-0.5	-0.3	0.3	-3.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-7.1	-7.2	-8.0	-10.1	-11.4	-6.8	-9.1	-7.8	-7.5	-7.9	-10.9	-10.2
სამეგრელო და ზემო სვანეთი	-4.5	-3.3	-3.7	-4.2	-1.8	-1.0	-1.0	-0.5	0.5	0.2	1.9	-0.4
იმერეთი	-7.1	-7.0	-7.7	-5.8	-5.8	-0.2	-3.9	-3.5	-2.5	-1.9	0.2	-2.0
კახეთი	-4.8	-5.7	-6.5	-4.4	-3.1	-1.8	-2.0	-1.5	-1.1	-1.0	0.3	-1.6
მცხეთა-მთიანეთი	-2.3	-1.7	-0.9	-0.6	0.7	1.0	0.3	0.4	1.8	2.4	-0.3	-3.0
სამცხე-ჯავახეთი	2.5	1.2	1.3	0.4	4.9	8.7	2.6	2.7	4.2	4.3	2.2	0.9
ქვემო ქართლი	0.5	-0.3	-0.9	-0.1	5.8	2.1	3.4	3.5	4.4	4.2	6.3	4.7
შიდა ქართლი	-2.0	-1.9	-0.3	1.6	0.4	1.1	-1.5	-1.0	-0.8	0.4	3.9	1.1

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

უახლოესი მონაცემებით (2011 წ.), ყველაზე დაბალი ბუნებრივი მატების კოეფიციენტების მნიშვნელობა აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში (-10.2%), გურიაში (-3.3%) და მცხეთა-მთიანეთში (-3.0%). მიუხედავად იმისა, რომ 2010-2011 წწ. შემცირდა განხილული მაჩვენებელი აჭარაში და ქვემო ქართლში – რაც პირველ მათგანში შობადობის კლებით იყო გამოწვეული, ხოლო იმერეთში შობადობის კლებით და მოკვდაობის მატებით - აღნიშნულ რეგიონებში დღესდღეობით ყველაზე მაღალია ბუნებრივი მატება და შესაბამისად 4.2-ს და 4.7%-ს შეადგენს. გარდა აღნიშნული რეგიონებისა ბუნებრივი მატების მცირე, მაგრამ დადებითი მნიშვნელობები აღინიშნებოდა სამცხე-ჯავახეთში (0.9%) და შიდა ქართლში (1.1%).

არსებული არასახარბიელო მდგომარეობის დასარეგულირებლად, სახელმწიფოს მიერ აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს პრონატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკა, თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

GIORGI MELADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

**TENDENCIES OF NATURAL MOVEMENT OF RURAL POPULATION
IN THE REGIONS OF GEORGIA**

S u m m a r y

Existing situation and current demographic processes in rural settlements render a considerable influence on functioning of demographic system of Georgia. Despite the fact, that in 2000-2012 of data of both absolute, and percentage indicators of rural population have decreased, in total number of the population of Georgia, a share of the last is nevertheless considerable. According to the data of national statistical service, in 2012 in villages of Georgia lived 46.8 % of the whole population which makes 2105.9 thousand .

Negative processes in birth and death rate spheres, occurring in the regions, have caused by low indicators of natural increase of the rural population. During the research period (2000-2011) negative indicators of natural increase of the rural population were noted in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti regions, and also in Guria, Imereti and Kakheti regions.

For the improving of the current poor situation, the state should carry out pronatal demographic policy, taking into account specific features of each region.

მაია მელაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკად. დოქტორი, ასოც. პროფესორი*

ბიორბი მელაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით აბრკოულტურების გავრცელების ზონების სცენარი სამხრეთ საქართველოში (ახალციხის მაბაზითზე)

გლობალური მასშტაბით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადასტურებული კლიმატის გლობალური დათბობა, მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემაა. ჰაერის ტემპერატურის საშუალოდ $0.2-0.4^{\circ}\text{C}$ [1, 2] მატებამ 2030-2050 წლებისათვის არ არის გამორიცხული გამოიწვიოს საშუალო მრავალწლიური ტემპერატურის მომატება $1-2^{\circ}\text{C}$ -ით. აღნიშნული ტემპერატურების ცვლილება იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე. კერძოდ, იგი გავლენას მოახდენს აგროკულტურების განვითარებაზე, მათი გავრცელების ზონებზე, აქტიურ ტემპერატურათა ჯამებზე, სავეგეტაციო პერიოდის ცვლილებაზე, აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების ვადებზე და ა.შ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ახალციხის ტერიტორიაზე კლიმატის გლობალური დათბობის გავლენის საფუძველზე, შემუშავებულია საპროგნოზო მომავლის სცენარი (2020-2050წწ). ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამების და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის უზრუნველყოფისათვის დამუშავებულია ახალციხის საბაზისო (მიმდინარე) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების მასალები (1956-2005 წწ), აგრეთვე საპროგნოზო მომავლის სცენარის (2020-2050 წწ) მონაცემები, რომელთა კლიმატური პარამეტრები გამოთვლილია ECHAM4-ის მოდელით და A2 სცენარის მიხედვით. რაც შესრულებული იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინებაში მოცემული მასალების საფუძველზე.

მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემებიდან საბაზისოს 1956-2005 წწ, ასევე A2 სცენარით (2020-2050 წწ) შემუშავებული ტემპერატურის 1.5°C -ით მატების მიხედვით, დადგენილი იქნა ჰაერის დღეღამური საშუალო ტემპერატურის 10°C -ის ზევით (გაზაფხულზე) და ქვევით (შემოდგომაზე) მდგრადი გადასვლის თარიღები. მოცემული თარიღების შესაბამისად განისაზღვრა ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (დღეები).

ახალციხის ტერიტორიაზე საბაზისო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს საშუალოდ 2880°C , ხოლო სცენარის მიხედვით ტემპერატურის 1.5°C -ით მატებისას 3380°C , მათ შორის სხვაობა საშუალოდ 500°C -ია. აღნიშნული ტემპერატურის ჯამის სხვაობა დამატებული საბაზისო აქტიურ ტემპერატურის ჯამზე, სრულიად უზრუნველყოფს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ვახის, ხეხილოვანი და სხვა კულტურების მაღალ პროდუქტიულობას (სათანადოდ ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებების ფონზე).

ახალციხის ტერიტორიაზე, საბაზისო მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების მასალების მიხედვით, ტემპერატურის 10°C -ის ზევით გადასვლის მდგრადი თარიღის დადგომა აღინიშნება საშუალოდ 22 აპრილიდან, 10°C -ის ქვევით გადასვლის დადგომის თარიღი 15 ოქტომბერს. მომავლის სცენარით ტემპერატურის 1.5°C -ის მატებისას, გაზაფხულზე 10°C -ის ზევით გადასვლის თარიღის დადგომა დაიკვირვება 12 აპრილიდან, ხოლო შემოდგომაზე 10°C -ის ქვევით გადასვლის თარიღის დადგომა 21 ოქტომბრიდან.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა საბაზისო დაკვირვებათა მონაცემებით შეადგენს საშუალოდ 176 დღეს, ხოლო მომავლის სცენარით 192 დღეს. მაშასადამე, გაზაფხულზე ტემპერატურის 10°C -ის ზევით გადასვლის თარიღი, სცენარის მიხედვით იწვება საშუალოდ 10 დღით ადრე, საბაზისო სავეგეტაციო პერიოდთან შედარებით, ხოლო შემოდგომაზე წყდება 6 დღით გვიან. აქედან გამომდინარე, ტემპერატურის 10°C -ის ზევით სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა იზრდება საშუალოდ 16 დღით.

სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივება საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ფერმერებს გაზაფხულზე 10 დღით ადრე ჩაატარონ ნიადაგის მოხვნა და სასუქების შეტანა, მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების თესვა, ჩითილების გადარგვა და სხვა. შემოდგომაზე სავეგეტაციო პერიოდის დაახლოებით ერთი კვირით გახანგრძლივებისას

შესაძლებელი იქნება ოპტიმალურ ვადებში დაითესოს საშემოდგომო კულტურები. ასეთ პირობებში მოხდება ვაზის მტევნების სრული მომწიფება და ა.შ.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამებისა და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის უზრუნველყოფათა მრუდებიდან [3] გამოთვლილია საბაზისო და მომავლის სცენარით აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (დღე) (ცხრილი 1, 2).

ცხრილი 1

ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამები 10°C-ის ზევით, სხვადასხვა უზრუნველყოფებით (%)

წელი	საშუალო ჯამი (°C)	უზრუნველყოფა, %						
		95	90	70	50	30	10	5
1956-2005	2880	2580	2640	2790	2880	2980	3170	3230
2020-2050	3380	2940	3020	3270	3380	3480	3610	3680

ცხრილი 2

ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ის ზევით პერიოდის ხანგრძლივობა (დღე) სხვადასხვა უზრუნველყოფით, (%)

წელი	საშუალო ჯამი (°C)	უზრუნველყოფა, %						
		95	90	70	50	30	10	5
1956-2005	176	161	164	172	176	183	191	194
2020-2050	192	168	174	185	192	196	203	206

ცხრილებიდან მომავლის სცენარის მიხედვით 1.5°C-ით მატებისას, ჩანს ტემპერატურის აქტიურ ტემპერატურათა ჯამების და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის (10°C-ის ზევით) მატება საბაზისოსთან შედარებით. დადგენილი მანვენებლები საშუალებას იძლევა გავარკვიოთ, თუ რამდენი პროცენტითაა უზრუნველყოფილი საბაზისოს და მომავლის სცენარით აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (დღე).

ახალციხის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შეფასებისათვის გამოყოფილი იქნა თბილი პერიოდი (სავეგეტაციო), რადგან მოცემულ პერიოდში მიმდინარეობს აგროკულტურების ზრდა-განვითარება და მოსავლის ფორმირება. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოყენებულია საბაზისო 1956-2005 წწ ატმოსფერულ ნალექებზე დაკვირვებათა და მომავლის A2 სცენარით 2020-2050 წლებისათვის გამოთვლილი პარამეტრები. აღნიშნული მასალების დამუშავებამ და ანალიზმა აჩვენა, რომ საბაზისო ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ) ახალციხის ტერიტორიაზე შეადგენს საშუალოდ 350 მმ, ხოლო A2 სცენარით 80 მმ. ეს მანვენებლები საბაზისოსთან შედარებით 270 მმ-ით ნაკლებია. როგორც ჩანს საპროგნოზო მომავლის სცენარით 2020-2050 წლებისათვის ნალექები აშკარად მცირეა. მოცემული მანვენებლების რეალურობა არახელსაყრელ პირობებს შეუქმნის აგროკულტურების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ასეთ შემთხვევაში მოსავლის მიღებისათვის საჭირო იქნება მეღიორაციული (ირიგაცია) ღონისძიებების გატარება. სავეგეტაციო პერიოდში, სასურველი მოსავლის მისაღებად საჭირო იქნება ნიადაგის მორწყვა ერთწლიანი კულტურებისათვის 4-5-ჯერ, ხოლო მრავალწლიანი კულტურებისათვის 2-3-ჯერ.

თბილ პერიოდში საბაზისოს ≥ 10 მმ ატმოსფერული ნალექებით დღეთა რიცხვი შეადგენს საშუალოდ 10 დღეს, ხოლო ≥ 20 მმ 2 დღეს. საპროგნოზო სცენარით ≥ 10 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი, რომელიც გამოთვლილია 30 წლიანი მონაცემების მიხედვით დაფიქსირებულია მხოლოდ 3-ჯერ (რაც მცირეა 30 წლის განმავლობაში). ხოლო ≥ 20 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი საერთოდ არ არის დაფიქსირებული, რაც ასევე მიუთითებს ატმოსფერული ნალექების სიმცირეზე 2020-2050 წლებისათვის.

თბილ პერიოდში საბაზისოს და მომავლის სცენარით გამოთვლილია [4] ატმოსფერული ნალექების ჯამები (ცხრილი 3), აგრეთვე საბაზისო ≥ 10 მმ და ≥ 20 მმ ნალექიან დღეთა რიცხვები (ცხრილი 4) პროცენტებში.

ცხრილი 3

ატმოსფერული ნალექების ჯამების (მმ) სხვადასხვა უზრუნველყოფა (%)
თბილ პერიოდში (IV-X)

წელი	საშუალო ჯამი (მმ)	უზრუნველყოფა, %						
		95	90	70	50	30	10	5
1956-2005	350	50	140	280	350	430	580	670
2020-2050	80	20	50	80	80	100	150	170

ცხრილი 4

≥10 მმ და ≥20 მმ ნალექიან დღეთა რიცხვის უზრუნველყოფა (%)
თბილ პერიოდში (IV-X)

წელი	საშუალო ჯამი (მმ)	უზრუნველყოფა, %						
		≥10 მმ						
		95	90	70	50	30	10	5
1956-2005	10	4	6	8	10	12	16	18
		≥20 მმ						
1956-2005	2	0	1	1	2	3	4	5

ცხრილებში მოცემული საბაზისო დაკვირვებების და მომავლის სცენარის მონაცემების მიხედვით, სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების თვალსაზრისით ახალციხის ტერიტორია ხელსაყრელი მაჩვენებლებით არ ხასიათდება აგროკულტურების ზრდა-განვითარებისათვის. მომავლის სცენარით ატმოსფერული ნალექები სავეგეტაციო პერიოდში მნიშვნელოვნად ჩამორჩება საბაზისოს. იგი ვერ უზრუნველყოფს კულტურების განვითარებას, მით უფრო გვალვების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, გარდაუვალი იქნება აგროკულტურებისათვის მორწყვითი ღონისძიებების ჩატარება.

ახალციხის ტერიტორიაზე გლობალური დათბობის პირობებში გათვალისწინებულია და შეფასებულია მომავლის სცენარით 2020-2050 წლებისათვის ტემპერატურის 1.5°C-ით მატებისას, თუ როგორ შეიცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამები და აგროკულტურების გავრცელების ზონები. აღნიშნულთან დაკავშირებით ნაშრომში [3, 5] მოცემული განტოლებების გამოყენებით გამოყოფილი იქნა საბაზისო და მომავლის სცენარის მიხედვით აგროკლიმატური ზონები (ცხრილი 5).

ცხრილი 5

აგროკულტურების გავრცელების ზონები

აგრო-კლიმატური ზონა, ზღ. ღონიდან სიმაღლე (მ)	ჰაერის ტემპერატურათა ჯამი (>10°C)	
	საბაზისო (მიმდინარე)	სცენარი, ტემპერატურის 1.5°C-ის მატებით
I 800	3140	3510
II 1200	2480	2890
III 1600	1840	2270
IV 2000	1200	1660

I - ზონაში საბაზისოს და მომავლის სცენარით ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია საშემოდგომო კულტურების, სამარცვლე სიმინდის, ვაზის საადრეო ჯიშების, ხეხილოვანების, ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა კულტურების განვითარებისათვის. მომავლის სცენარით შეიძლება გავრცელდეს ვაზის საგვიანო ჯიშები, აგრეთვე შესაძლებელია ორი მოსავლის (სანაწვერალო კულტურების) მიღება 5-6-ჯერ ყოველ ათ წელში.

II - ზონაში საბაზისოს და მომავლის სცენარით, ასევე შეიძლება მარცვლეულის (საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი), შვრიის, ქერის, სამარცვლე სიმინდის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხეხილოვანების და კენკროვანების წარმოება. მომავლის სცენარით, შესაძლებელი იქნება მოცემული კულტურების წარმოების არეალის გაფართოვება.

III - ზონაში საბაზისოს მიხედვით, აღნიშნული კულტურებიდან შეიძლება მარცვლეული კულტურების - ხორბალის (საშემოდგომო და საგაზაფხულო), ქერის, შვრიის, ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოება. მომავლის სცენარით ხელსაყრელი პირობები იქნება აღნიშნული კულტურების წარმოების გაფართოებისათვის, აგრეთვე შესაძლებელი იქნება სამარცვლე და სასილოსე სიმინდის, ასევე საადრეო ვაზის ხეხილოვანების და კენკროვანების გაგრცელება.

IV - ზონაში აქტიური ტემპერატურის ჯამი საგრძობლად შემცირებულია. საბაზისოს და მომავლის სცენარის მიხედვით შესაძლებელია გაგრცვლეული იქნას ხორბალი (საშემოდგომო და საგაზაფხულო), ქერი, შვრია, ბოსტნეული, კარტოფილი და კენკროვანი კულტურები. გარდა ამისა, შესაძლებელია მეცხოველეობის წვნიანი საკვები ძირხვენების და სათიბ-სადოვრების გაგრცვლება.

სოფლის მეურნეობაში ზომიერი ქარი (4-5 მ/წმ) დადებითი ფაქტორია აგროკულტურებისათვის, ხოლო ძლიერი ქარები (≥ 15 მ/წმ) არახელსაყრელია განსაკუთრებით სავეგეტაციო პერიოდში. მას შეუძლია მექანიკურად დააზიანოს მცენარეების ყვავილები, ფოთლები, ახალგაზრდა ნაზარდი ტოტები, გამოიწვიოს ნასკვების და ნაყოფების ჩამოცვენა და სხვა, აგრეთვე ნიადაგიდან ააორთქლოს დიდი რაოდენობით ტენი, რაც შეაფერხებს კულტურების ნორმალურ განვითარებას და მოსავლის ფორმირებას. აქედან გამომდინარე, სავეგეტაციო პერიოდისათვის განვიხილავთ ახალციხის ტერიტორიაზე ქარის მაქსიმალურ სიჩქარეს (მ/წმ), რათა დადგინდეს იქნას 50 წლის საბაზისო დაკვირვებათა მანძილზე, ბოლო 25 წლის განმავლობაში თუ როგორ შეიცვალა ქარის სიჩქარე. ამისათვის გამოყენებულია ქარზე მრავალწლიური დაკვირვებათა მონაცემები (1956-2005 წწ), რომელიც შედარებისათვის დაყოფილია ორ პერიოდად: პირველი პერიოდი 1956-1980 წწ და მეორე პერიოდი 1981-2005 წწ. დაკვირვებათა მასალების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პირველ პერიოდში ქარის მაქსიმალური სიჩქარე შეადგენს საშუალოდ 23 მ/წმ, ხოლო მეორე პერიოდში 17 მ/წმ. მაშასადამე, ქარის მაქსიმალური სიჩქარე მეორე პერიოდში შემცირებულია 6 მ/წმ-ით.

ქარის მაქსიმალური სიჩქარის ალბათობა (განმეორადობა, %) პირველი პერიოდისათვის 5%-იანი ალბათობით შეადგენს 32 მ/წმ. მაშასადამე, იგი ყოველ ოც წელში განმეორდება ერთხელ. მეორე პერიოდში 5%-იანი ალბათობით, ქარის მაქსიმალური სიჩქარე შეადგენს მხოლოდ 28 მ/წმ, რომელიც ასევე განმეორდება ოც წელში ერთხელ (ცხრილი 6).

ცხრილი 6

ქარის მაქსიმალური სიჩქარე (მ/წმ) თბილ პერიოდში (IV-X)

წელი	საშუალო ჯამი (მ/წმ)	ა ლ ბ ა თ ო ბ ა, %						
		95	90	70	50	30	10	5
1956-1980	23	13	15	19	23	25	29	32
1981-2005	17	11	12	15	17	20	25	28

მეორე პერიოდში (1981-2005 წწ) ქარის მაქსიმალური სიჩქარის შემცირების (6 მ/წმ) გამო, მისი ზემოქმედება აგროკულტურებზე საკმაოდ შერბილებულია. მიუხედავად ამისა, მომავალში მაინც საჭიროა გაბატონებული და ძლიერი ქარების წინააღმდეგ ქარსაცავი ზოლების გაშენება, რაც ქარებისაგან დაიცავს აგროკულტურებს და შექმნის მათი ზრდა-განვითარების ხელსაყრელ მიკროკლიმატურ პირობებს.

საშიში მეტეოროლოგიური მოვლენებიდან გვალვას შეუძლია დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენოს სოფლის მეურნეობას. იგი არახელსაყრელია აგროკულტურებისათვის, განსაკუთრებით მცენარეთა აქტიური ვეგეტაციის (VI-VIII) პერიოდში. გვალვა მოსალოდნელია ხანგრძლივი (30 დღე და მეტი) ჰაერის დღეღამური საშუალო ტემპერატურის ($24-25^{\circ}\text{C}$ და მეტი), ჰაერის დაბალი შეფარდებითი ტენიანობის (30-35%), მშრალი ქარის (5-6 მ/წმ) შემთხვევაში. ყოველივე ზემოაღნიშნულს თან ერთვის იშვიათი, მეტად მცირე ნალექიანობა (5-6 მმ), რის შედეგად ნიადაგის 5 სმ ფენაშიც კი არ იქმნება პროდუქტიული ტენის საკმარისი პირობები. აღნიშნული კლიმატური პარამეტრების თანხვედრა ძლიერ აზიანებს აგროკულტურებს.

გვალვები ახალციხის ტერიტორიაზე შეიძლება შეფასებული იქნას 4 ტიპით (საშუალო, საშუალო ინტენსიური, ინტენსიური და ძლიერ ინტენსიური). მოცემული ტერიტორია იმყოფება საკმაოდ ტენიან ზონაში, სადაც საბაზისოს მიხედვით, დატენიანების ჰიდროთერმული კოეფიციენტი

(პოკ) 1.2-მდეა, ხოლო მომავლის სცენარით (2020-2050 წწ) პოკ მნიშვნელოვნად მცირდება და გადადის მცენარეების ტენით უზრუნველყოფის არასაკმარის ტენიან ზონაში. მაშასადამე, გლობალური დათბობა გავლენას ახდენს მცენარეების ტენით უზრუნველყოფაზე.

აღნიშნული გვაღებების ტიპებზე საბაზისოს მოცემული მაჩვენებლები არ არის განსაკუთრებულად შემაჯავრებელი აგროკულტურების განვითარებისათვის. თუმცა მათი მორწყვა (2-3-ჯერ) მაინც აუცილებელია მოსავლის შენარჩუნების მიზნით.

კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში, მომავლის სცენარით სავეგეტაციო პერიოდში ტემპერატურის 1.5°C-ით მატებისას იზრდება აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 500°C-მდე, საბაზისოსთან შედარებით. შემცირებულია აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 3°C-ით, ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია ატმოსფერული ნალექების ჯამი (270 მმ-მდე), შემცირებულია ჰიდროთერმული კოეფიციენტი (პოკ=0.3). აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარე, ახალციხის ტერიტორიისათვის დამახასიათებელი გვაღებების სხვადასხვა ტიპები, გარდა ძლიერ ინტენსიურისა მომავლის სცენარით (2020-2050 წწ) მოსალოდნელი იქნება ყოველ წელს, ინტენსიური გვაღვა შეიძლება გაიზარდოს 4-5 დღით. ამიტომ, ერთწლიანი კულტურების ქვეშ ნიადაგი უნდა მოირწყას 4-5-ჯერ, მრავალწლიანი კულტურების ქვეშ 2-3-ჯერ, სასურველი მოსავლის მიღების მიზნით.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე, კლიმატის გლობალური დათბობა მომავლის სცენარის მიხედვით, ტემპერატურის 1.5°C-ით მატებისას ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვერ მოახდენს არსებით ნეგატიურ გავლენას აგროკულტურებზე. მისი გავლენა მკაფიოდ გამოიხატება მხოლოდ აქტიურ ($\geq 10^{\circ}\text{C}$) ტემპერატურათა ჯამების მატებაზე და აქედან გამომდინარე ზღ. დონიდან ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, აგროკულტურების გავრცელების ზონების ცვლილებაზე. სადაც მათი გავრცელების ზონები მომავლისათვის იქნება უფრო მაღლა 100-150 მ-ით საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულის შესაბამისად სოფლის მეურნეობის მუშაკები და ფერმერები მომავალში საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ ამა თუ იმ კულტურის გავრცელებისათვის ახალი სავარგულების ათვისებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის. თბილისი, 2009, გვ.230
2. Tavartkiladze K., Begalishvili N., Tsintsadze T., Kikava A. Influence of Global Warming on the Near-Surface Air Temperature Field in Georgia. Bulletin of The Georgian National Academy of Sciences, vol.6, № 3, 2012, pp.55-60
3. მელაძე გ., თუთარაშვილი მ., მელაძე მ. კლიმატის გლობალური დათბობის გავლენა აგროკლიმატური ზონების ცვლილებაზე. ჰმი-ის შრომები, ტ. 115, „კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, სტიქიური კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში“, თბილისი, 2008, გვ.97-104
4. მელაძე მ., მელაძე გ. გლობალური დათბობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების აგროეკოლოგიური ზონები საგარეჯოს ტერიტორიაზე. აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის შრომები. რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, ტ.VIII, 2012, გვ.124-128
5. მელაძე გ., მელაძე მ. საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონების აგროკლიმატური რესურსები. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2010, გვ.293

MAIA MELADZE

Institute Hydrometeorology of GTU, Academic Doctor of Agriculture, Associate Professor

GIORGI MELADZE

Institute Hydrometeorology of GTU, Doctor of Agriculture, Professor

SCENARIO OF DISTRIBUTION ZONES OF CROPS IN SOUTH GEORGIA WITH ACCOUNT OF CLIMATE CHANGE (on an example of Akhaltsikhe)

S u m m a r y

In connection to the global climate change, a regional model ECHAM4 and A2 future scenario is used to forecast the local climate change by calculating the anticipated data of meteorological observations of the climatic parameters of the future (2020-2050) for Akhaltsikhe. According to the scenario (at 1.5°C temperature increase), the sum of active temperatures will increase by 500°C on average. Duration of the vegetation period is 176 days on the average (basis), and under the scenario of future - 192.

Atmospheric precipitations play an important role in boosting the production and productivity of crops. The sum of atmospheric precipitations in the warm period is 350 mm on average, and under scenario of future - 80 mm. Due to little precipitations, normal development of crops needs 4- or 5- time irrigation for the annual crops, and 2- or 3- time for the

perennial crops. Dangerous meteorological phenomena (strong winds, droughts) on the territory of Akhaltsikhe district are considered.

Agro-climatic zones for distribution of respectively agricultural crops according to the scenario are allocated.

We should note that in case of 1.5°C increase in temperature over the area of the agricultural crops under the scenario, the global climate change (before 2040-2050) will not affect the growth or vegetation of the given crops, unless the temperature increase exceeds the temperatures values fixed by the said scenario.

ბიორბი მიჩანა

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სოფლის ტურიზმი და საქართველო (მმსტიის რაიონის სოფელ შშშშშშს მამალითხე)

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ცვლილებების ეპოქაა. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ასოცირებულს განსაკუთრებით ძნელ, ბევრ რამეში ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ისტორიულად აუცილებელ და შეუქცევად გარდაქმნებს.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ბედის მკვეთრ შემობრუნებებს, კონკურენციას, ასეთ სიტუაციას უწოდებენ „გამოწვევას“. მათი გაგებით, ყოველი გამოწვევა პიროვნებისათვის, ორგანიზაციისათვის, ქვეყნისათვის, ფარავს თავის თავში, როგორც შესაძლებლობებს ისე, მუქარას.

იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ დღევანდელი ცხოვრების უპრეცედენტო გამოწვევებს, ჩვენ სხვა ყველაფრის გარდა უნდა დავუფლოთ ახალ ცოდნას, ვისწავლოთ ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ტურიზმის მენეჯმენტის მეცნიერება ამ ცოდნის შემადგენელი ნაწილია და აუცილებლად უნდა დავუფლოთ მას.

ტურიზმი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო და მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა უკვე გადაჭარბა ბევრი სხვა დარგიდან მიღებულ შემოსავლებს. იგი ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური სფეროა და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მაღალი ზრდის ტემპების გამო იგი აღიარებულია, როგორც „XXI საუკუნის ფენომენი“. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შემოსავალი ტურიზმიდან ყოველწლიურად 9%-ით იზრდება.

2010

წელს მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ჩასვლა განხორციელდა, რაც 6,6%-იანი ზრდა იყო 2009 წელთან შედარებით. 2010 წელს, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 919 მილიარდი აშშ. დოლარი შეადგინა (693 მილიარდი ევრო), რაც წინა წელთან შედარებით 4,7%-იანი ზრდა იყო.

2000-იანი წლების ბოლოს დატრიალებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ტურიზმზე საგრძნობლად უარყოფითად იმოქმედა, დადმასვლა დაიწყო 2008 წლის ივნისში და ამავე წელს საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რიცხვმა 2%-ით იკლო. ეს ნეგატიური ტენდენცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 2009 წელს, რადგან ბევრ ქვეყანაში იფეთქა H-1 N-1 ვირუსმა, რასაც საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების 4%-იანი კლება მოჰყვა და მიღებული შემოსავლები 6%-ით შემცირდა.¹

დღეისათვის ტურიზმი იკავებს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქციის 10%-ს, (ხოლო ზოგიერთ მცირე, თუ განვითარებადი ქვეყნის მშპ-ში მისი წილი ბევრად უფრო მაღალია), მოიხმარს მშპ-ის 10,9%-ს, მსოფლიო ინვესტიციების 11,8%-ს. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია მომსახურეთა დიდი რაოდენობა (მსოფლიო მოსახლეობის 10%), მოზიდულია დიდი რაოდენობის ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. ეს არის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკა. ტურიზმს სამართლიანად უწოდებენ „ოქროს კვერცხის მდებელ ბატს“.²

საქართველო, უცხო მოგზაურთათვის ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო. უსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დასერილი იყო სხვადასხვა მიმართულების სავაჭრო გზებით (მ.შ. აბრეშუმის გზა). ნიშანდობლივია ისიც, რომ დღესაც ჩვენი მთავრობა ზუსტად გზების კეთილ მოწყობას აქცევს დიდ ყურადღებას და

¹ Database of Tourism statistic. WTO Publikations, Madrid, Spain, 2005. page 196.

² <http://.worild-tourism.org>.

ამ კუთხით მილიონობით ინვესტიციებს ხარჯავს. კეთილმოწყობილი გზები კი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მთიან რეგიონს, გეოგრაფიული მონაცემების თანახმად, ქვეყნის მთელი ტერიტორიის 54.4% მთიანია (ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა). თუმცა, თუ ვიხელმძღვანელებთ მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებით, მთიანი რეგიონები არის გეორაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარებას, მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას. ტერიტორია, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, საქართველოში კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება. საქართველოს მთიანეთის სამი ძირითადი ნაწილი – აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ მთიანეთი, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან – როგორც ტრადიციებით და რესურსული შესაძლებლობებით, ასევე განვითარების პოტენციალით.

ჩვენ საკვლევ ობიექტად საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი, ტურისტებისათვის მიმზიდველი, მაგრამ ტურიზმის კუთხით ნაკლებად შესწავლილი კუთხე, ზემო სვანეთი, კერძოდ, მისი ერთი-ერთი ულამაზესი სოფელი უშგული ავირჩიეთ.

როგორც ცნობილია ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ღირსშესანიშნაობები, მომხიბლავი სანახაო ადგილები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები – რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნისას. ამ მხრივ სვანეთი გამორჩეულია.

სვანეთი ულამაზესი მხარეა არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. სვანეთში ჩასული ტურისტი განცვიფრებული რჩება მუდმივად თოვლიანი მთების თვალწევდენელი მწვერვალებით. საოცარია აქაური სოფლები, ქათქათა თოვლიანი მწვერვალები, შუასაუკუნეების კოშკები ულამაზეს ხეობებს ამაყად გადაჰყურებენ, ხოლო ფრიალო კლდეებში ღრუბლები გაწოლილან.

სვანეთი საჩუქარია არა მხოლოდ ტურისტებისათვის და ლაშქრობის მოყვარულთათვის, არამედ იგი კულტურის უძველესი კერაცაა. აქ მრავლად შეხვდებით შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლებს, სალოცავებსა და ეკლესიებს, უნიკალურ ფრესკებსა და მონეტებს, რომლებიც ახლაც ინახება რამოდენიმე მუზეუმში.

სვანეთის ქედი სვანეთს ორ ნაწილად - ზემო და ქვემო სვანეთად ჰყოფს. ზემო სვანეთი მდებარეობს ენგურის ხეობაში. მისი სოფლები იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის მფარველობაშია. სვანეთის მოსახლეობა ქართველია და შეადგენს 2500-მდე.

სვანეთში თავმოყრილია კავკასიონის უმთავრესი მწვერვალები: შხარა (5068 მ), ჯანლა (5060 მ), გესტოლა (4860 მ), თეთნულდი (4860 მ), წურუნგალა (4220 მ), აილამა (4550 მ), მაზერი (4010 მ), ჩათინი (4370 მ) და ორთავა უშბას კლდოვანი მასივი (4700 მ).

სვანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად სვანურ ენაზე საუბრობს. მაგრამ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ აღმოჩნდება თუ არა მათ გვერდით ისეთი პიროვნება, რომელსაც სვანური ენა არ ესმის, ისინი ცდილობენ მათთვის გასაგებ ენაზე საუბარს. ისინი განთქმული არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობითა და შრომისმოყვარეობით. სვანები თავისებური და ამაყი ხალხია. სვანეთის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მუსიკალური ფოლკლორი, რომლითაც იხიბლებიან ტურისტები. სვანური სიმღერები ძირითადად ომებს, ომის გმირებს, სახელოვან მეფეებს ეძღვნება, ბევრი სიმღერა კი წარმართულ ელემენტებსაც შეიცავს.

სოფელი უშგული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც ყველაზე გამორჩეული ადგილია. ესაა ევროპაში უმაღლესი, ყველაზე მაღალი დასახლება, ანუ მხესთან ყველაზე ახლოს 2270-მეტრის სიმაღლეზე დასახლებული ადგილი და ამგვარად ბებერი სამყაროს სახურავი, იქნებ ამიტომაც შეიქმნა სვანეთში მზის საგალობელი – „ლილეო“, რომლის მოსმენაც ასე ძალიან ახარებთ უცხოელებს: ო, თეთრო მზეო, დიდება შენდა! შენ ხარ იმედი პირმშოთა შენთა!...

აქ ამ, „ათასი კოშკის მხარეში“, როგორც იმ საგალობელშია ნათქვამი, მზეს ფიქალის კოშკი აუგეს წმინდა, რომლის მსგავსი მთელს მსოფლიოში არ გვხვდება.

უშგული ამ მხრივაც გამორჩეულია. ერთი სიტყვით, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვართ, სვანეთში უნდა წახვიდეთ, ოღონდ იქ ასული თუ უშგულამდე ვეღარ აადწევთ, ჩათვალეთ, რომ სვანეთი არ გინახავთ, ან ბევრიც არაფერი გინახავთ“. სვანური კოშკი, სვანური სახლით „მაჩუბი“, თავისი სილამაზით, სიძველით, უნიკალურობით გამორჩეულია, ასევე თავისი ორიგინალობით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მსოფლიოში ოცდამეერთე საუკუნის პირველ ნახევარში ამ მიმართულებით გამოიკვთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვა. თითოეულ ზემო აღნიშნულ ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებას თან ახლავს თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ცალკეული ქვეყნისათვის.

გარკვეულ წილად ამ თავისებურებებს ხსნის ტერმინი, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნებში აღნიშნავენ. ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით „სოფლის ტურიზმი“ (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მირებულია ტერმინი „Bauernhoftourismus“, რაც სიტყვა-სიტყვით გლეხის კარმიდამოს ტურიზმს ნიშნავს. რომაულენოვან ქვეყნებში კი უპირატესობას ტერმინს – აგროტურიზმს ანიჭებენ, რაც ლათინური წარმომავლობის სიტყვა „აგრო“-დან (აგროს) არის ნაწარმოები. „აგარული“ – აგარაიუს – სასოფლო-სამეურნეოდან, მომდინარეობს.

ამერიკელი სპეციალისტები ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყოფენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნების ტურიზმი და ა.შ. გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ედუარდ იანსკიპის, რომლის დვაწლი სათანადოდ დააფასეს გაერომ და მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ, განმარტებით: „სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მაცხოვრებლები არიან. ხოლო ფერმერული, ანუ აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით, ან ცხოვრობენ მათ პლანტაციებში და ეცნობიან იქაურ ცხოვრებას; ან ცხოვრობენ მეთევზეთა დასახლებაში და ოჯახებში და მათთან ერთად გადაიან სათევზაოდ.“

რით უნდა გამოირჩეოდეს უცხოელი ტურისტებისთვის საქართველოში, და კერძოდ სვანეთში, უშუალოდ გატარებული დღეები? რატომ უნდა დახარჯონ მათ ფული და დრო სწორედ საქართველოში ორგანიზებულ ტურებზე? რა უნდა იყოს სვანეთში ტურისტული მომსახურების, ტურისტული პროდუქტის, კონკრეტული უპირატესობები? ამ კითხვებზე პასუხი ზემოთ იყო ვაცემული.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ყველა სხვა ბაზარი, სოფლის ტურიზმის ბაზარი ფუნქციონირებს მოთხოვნისა და მიწოდების კანონების შესაბამისად. ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნას ასახავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე.

გარდა ამისა სამომხმარებლო მოთხოვნაზე მოქმედებს დემოგრაფიული ფაქტორები, კლიმატური პირობები, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, ფსიქოლოგიური ფაქტორები და სხვა. რაც შეეხება უსაფრთხოებას, რომლის პრობლემაც ყოველთვის იყო, დღეისდღეობით სვანეთში შეიძლება ითქვას – გარანტირებულია.

მთიან და აუთვისებელ რაიონებს ძირითადად ეწვევიან ის ტურისტები, რომლებსაც უყვართ ბუნება და აქტიური დასვენების ისეთი ფორმა, როგორცაა ლაშქრობა, მთამსვლელობა, თხილამურებით სრიალი და ველური ბუნებით ტკობა.

როგორც წესი, ასეთი ადგილების ეკო სისტემა გამოირჩევა შედარებით ნაკლები გამტარუნარიანობით, რომელიც საშუალებას არ იძლევა განხორციელდეს მასშტაბური პროექტი და მიღებული იქნეს მნახველთა დიდი რაოდენობა.

სვანეთის, ისევე, როგორც საქართველო სხვა მთიანი რეგიონების გადარჩენას და მიგრაციის შეჩერებას ხელს შეუწყობს სოფლის ტურიზმის განვითარება, რომელიც სვანეთის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გვესახება. ჩვენი აზრით, სვანეთში სოფლის ტურიზმის განვითარება საჭიროა კომპლექსურად. აუცილებელია სოფლებში შეიქმნას ტურისტული ცენტრების მაქსიმალურად დიდი რაოდენობა, რაც წარმოშობს და მერე გაზრდის კონკურენციას.

ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებით, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ გათვითცნობიერებული სვანეთისათვის სოფლის ტურიზმის განვითარების აუცილებლობაში, ან თუ არის – არ ფლობს შესაბამის ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, რათა მოემსახურონ ტურისტებს, ან შეძლონ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგების მიღების მიზნით.

მოცემული ეტაპისთვის ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ მეცნიერებს, რომლებიც ქადაგებენ საქართველოს მთიან რეგიონებში ტურისტების რაოდენობის შეზღუდვას ხარისხის, ანუ ნაკლები რაოდენობის, მაგრამ მაღალი გადახდის უნარიანი ტურისტების სანაცვლოდ, მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო მასშტაბით. თუმცა ხარისხიანი მომსახურების განვითარება პარალელურად აუცილებელ ატრიბუტად მიგვაჩნია.

**RURAL TOURISM AND GEORGIA (ON THE EXAMPLE OF USHGULI
VILLAGE, DISTRICT OF MESTIA)**

S u m m a r y

Today the tourism is extremely useful for our country. For everybody is well known and it is not a controversial issue that tourism, in the world is the largest source of profit. And it is one of the cost-effective field. The importance of tourism is especially big for economic development. From that corner Georgia is not an exception.

As an object for research we have chosen Svaneti, which is one of mountainous regions of Georgia, attractive for tourists but less studied from the point of view of tourism. Tourists visiting Svaneti are astonished with immense heights permanently covered with snow. Svaneti is the most beautiful place in Georgia and in the whole Caucasus.

As it is known tourism development need two circumstance, 1) plural sights and places to visit. 2) to spend free time, how tourist can entertain there. From this corner village in svaneti Ushguli is perfect.

Svaneti is situated in Enguri and Tskhenistskali gorges. In early centuries it represented a part of the kingdom of Kolkheti. The mountain ridge of Svaneti divides it into two parts – Zemo (upper) and Kvemo (lower) Svaneti. The upper Svaneti is located in Enguri gorge. Its villages are under the protection of cultural heritage of the UNESCO. Lower Svaneti is located in the gorge of the river Tskhenistskali. Svaneti is populated with Georgians and number of its inhabitants amounts to 2500.

Development of tourism in Svaneti as well as in other regions of Georgia will maintain the mountainous region and facilitate termination of migration. We reckon that development of tourism is one of the main directions for economic development of the region. Development of tourism in Svaneti should be implemented in complex. It is necessary to establish tourist centers in villages, which will increase level of competition.

Inhabitants of Svaneti speak mainly svanetian language. They are distinguished with their hospitality and hard-working. People of Svaneti are proud and specific people. One of the main parts of Svanetian culture is musical folklore, which pleases foreign tourists. Svanetian music is mainly about wars, heroes of wars and kings of Svanetia, many of these songs have pagan elements.

Development of tourism in Svaneti as well as in other regions of Georgia will maintain the mountainous region and facilitate termination of migration. We reckon that development of tourism is one of the main directions for economic development of the region. Development of tourism in Svaneti should be implemented in complex. It is necessary to establish tourist centers in villages, which will increase level of competition. According to our practical experience the most part of inhabitants does not properly perceive importance of development of tourism, and if is, the population does not possess enough knowledge and practical skills in order to serve tourists and comply with their demands in order to obtain revenue from tourism activity.

მარინა მებრეველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

აბრტუზიზმი – სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულება

დღევანდელ ინდუსტრიულ გარემოში ქალაქის აქტარებული რიტმი წარმოშობს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნას – მოტივაციას, რომ პერიოდულად დაისვენოს მშვიდ და წყნარ გარემოში, სადაც არის სუფთა ჰაერი, წარმტაცი პეიზაჟები და გულითადი მასპინძლები. შესაბამისად, სოფლად დასვენების ინტერესი და მოთხოვნა იზრდება, ჩნდება ტურიზმის ახალი ფორმები – სოფლის ტურიზმი და აგროტურიზმი.

ზოგადად, აგროტურისტული საქმიანობის შინაარსი შემდეგი სახისაა: “ტურისტი ჩადის ნებისმიერი ქვეყნის რეგიონებსა და სოფლებში იმ მიზნით, რომ იცხოვროს ადგილობრივი მოსახლესავე, იმუშაოს მასთან ერთად მინდორში, მოწველოს ძროხა, დაამუშაოს მიწა, იკვებოს მასთან ერთად, ანუ გარკვეული დროით გახდეს მასპინძლის ოჯახის წევრი”. [5]

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მსოფლიოში XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნებში აგროტურიზმს სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით "სოფლის ტურიზმი" (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი "Bauernhof-tourismus", რაც სიტყვასიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს, რომანულენოვანი ქვეყნები კი უპირატესობას ტერმინს – “აგროტურიზმს” ანიჭებენ, რაც ლათინური წარმომავლობის სიტყვა "აგრო"-დან (აგროს) და მისგან ნაწარმოები "აგრარული" – agrarius – სასოფლო-სამეურნეო დან მომდინარეობს. [3]

ტურისტული პროდუქტის მიწოდების ახალი ფორმები პირველად ჩამოყალიბდა იმ დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ქალაქის მაცხოვრებლებს აღარ გააჩნდათ მჭიდრო ნათესაური კავშირები სოფლად, მაგრამ ჰქონდათ სოფლად დასვენების დიდი სურვილი. ისინი ირჩევდნენ მიმზიდველ სოფლებს ქალაქგარეთ, ქირობდნენ საზაფხულო სახლებს და, შესაბამისად,

იხილდნენ განთავსებისა და სხვა მომსახურების საფასურს, რაც მასპინძელი ოჯახებისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა. ამჟამად სოფლის ტურიზმის დასვენების პრაქტიკა საქართველოშიც იკიდებს ფეხს.

ტურიზმის სპეციალისტების მიერ ყველაზე პოპულარული ტურიზმისა და დასვენების ფორმულას ე.წ. 3S – Sun, Sea, Sand (მზე, ზღვა და ქვიშა) დროთა განმავლობაში სერიოზულ კონკურენციას გაუწევს დასვენების ახალი ფორმულა ე.წ. 3L – Landscape–Lore–Leisure (პეიზაჟი, შემეცნება და დასვენება), რომელიც ბოლო წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდუსტრიულ ქალაქების მაცხოვრებელთა შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმზიდველი ლანდშაფტები, სუფთა ბუნებრივი გარემო, გულითადი მასპინძელი, ადგილობრივი პროდუქტი – ეს არის ის ძირითადი კომპონენტები, რაც სოფლად ტურისტულ მოთხოვნას ქმნის. ორგანული მეურნეობები სუფთა და ჯანსაღი პროდუქტით კი ის დამატებითი კომპონენტია, რომელიც ტურისტული პროდუქტის მიწოდებას უფრო მიმზიდველს და ღირებულს ხდის. ამ შემთხვევაში, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებელს, ისე ფერმერს და თავად ტურისტს გააზრებული აქვთ ბუნების მიმართ პასუხისმგებლობა. ორგანული მეურნეობა განაპირობებს გარემოს სისუფთავეს, როგორც ფერმაში, ასევე მის გარეთ, ის ფერმერს საშუალებას აძლევს თავისი საქმიანობით დამატებითი შემოსავლები და ალტერნატიული საქმიანობები განახორციელოს. მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი მეურნეობები კი სოფლის ეკონომიკურ შემოსავლებს ზრდის, რადგან თუ გაეითვალისწინებთ ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობას, ტურისტული საქმიანობა სოფლად მხოლოდ ინდივიდუალური ფერმით/მეურნეობით არ შემოიფარგლება, ხშირ შემთხვევაში, ტურისტის მომსახურებაში მთელი თემი არის ჩართული. შესაბამისად, აგროტურისტული მეურნეობა ზრდის მოსახლეობის დასაქმების დონეს და დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროსა და შემოსავალს ქმნის სოფლის მოსახლეობისათვის.

აგრო და სოფლის ტურიზმის ცნებების მკაცრი განსაზღვრება არ არსებობს, მარტივად რომ ვთქვათ ისინი წარმოადგენენ მდგრადი ტურიზმის შემადგენელ ნაწილებს, სადაც, როგორც ეკოტურიზმში, გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი საქმიანობები, ბუნების კონსერვაცია, მდგრადი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა.

აგროტურიზმი – ეს არის დასვენების ფორმა ფერმერულ მეურნეობაში, სადაც არსებობს დამის გათვების შესაძლებლობა, ადგილზე წარმოებული პროდუქტით კვება (მინიმუმ 40% პროდუქტისა უნდა იყოს ადგილზე, ოჯახში წარმოებული) და სადაც შესაძლებელია რეკრეაციული აქტივობების ორგანიზება, როგორც არის ქვეითი და საცხენოსნო ლაშქრობები, კულტურული და სათავგადასავლო მოგზაურობები და სხვ. ასეთი სახის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ფერმის ტერიტორიებზე შენარჩუნებული იყოს მეურნეობის ტრადიციული ტექნოლოგიები, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა ტურისტისათვის – როგორ ამოიყვანოს ყველი, როგორ შეკაზმოს ცხენი, როგორ დაწუროს ყურძენი და ააყენოს ღვინო, როგორ დაანთოს ბუხარი, როგორ დაიჭიროს თევზი, როგორ მოიყვანოს ბოსტნეული ბოსტანში და ა.შ. – ეს ის კითხვები და საქმიანობებია, რომლებიც აინტერესებთ ტურისტებს, რომლებმაც ეს-ესაა თავი დააღწიეს მეგაპოლისების ხმაურიან ქუჩებს.[2]

იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და საბერძნეთი – ძირითადი მონაწილეები არიან მსოფლიო აგრო და სოფლისტურისტულ ბაზარზე. აღნიშნულ ქვეყნებში აგროტურიზმი ათ წელზე მეტია ვითარდება და დღეს წარმოადგენს სოფლის სასტუმროებისა და აგროტურიზმისათვის სპეციალურად მოწყობილ ფერმებს, ატრაქციებით, მარშრუტებითა და მრავალფეროვანი მომსახურებით.

დღეს მსოფლიო აგროტურიზმის პრაქტიკაში სულ უფრო აქტუალური ხდება ე.წ. “შრომითი აგროტურიზმი”, რომლის დროსაც მოგზაური იღებს განთავსების საშუალებასა და კვებას ფერმაში შრომის საფასურად. მსოფლიოს 33 ქვეყანაში მრავლადაა ასეთი პროგრამები, რომლებიც გაერთიანებულია სახელწოდებით: “მოხალისეები ფერმებში”.[6]

ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ორგანული მეურნეობების მქონე ფერმერთა გაერთიანებები და ასოციაციები ტურისტული საქმიანობისა და მდგრადი მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით. მის კარგი მაგალითია ECEAT-ის ქსელი, სადაც 1995 წელს გაწევრიანდა ევროპის 15 ქვეყნიდან 750 ფერმერი, ხოლო 1999 წელს 22 ქვეყნის ფერმერებმა უმასპინძლეს 100 000-ზე მეტ ვიზიტორს. ასევე, EuroGite – ფერმერული და სოფლის ტურიზმის ევროპის ფედერაცია, სადაც ამჟამად 26 ქვეყნის საოჯახო სასტუმროებისა და სოფლის ტურიზმის ასოციაციებია გაერთიანებული. ასოციაციების წევრების საერთო რაოდენობა 400 000 ოჯახია. საქართველოში EuroGite-ს წევრია ასოციაცია “ელკანა” – რომლის წევრებიდან 40 ოჯახი ჩართულია სოფლის ტურიზმის ქსელში.[5]

1987 წელს, საფრანგეთის “მასპინძელი ოჯახების კავშირის” ბაზაზე, ჩამოყალიბდა ქსელი – “გლესთა მასპინძლობა”, რომელშიც გაერთიანებულია 500-ზე მეტი ოჯახი 20 ქვეყნიდან. მასში 10 ოჯახი საქართველოდანაცაა გაერთიანებული.


ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია “ელკანამ” სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მდგრადი მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით, 2006 წელს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, დაიწყო

სოფლის ტურიზმის განვითარების პროექტის განხორციელება. როგორც ითვალისწინებდა სოფლად ტურისტული საქმიანობებისა და ადგილობრივი ტრადიციული პროდუქტის პოპულარიზაციის ხელშეწყობით დამატებითი შემოსავლების შექმნას ადგილობრივი მაცხოვრებელთათვის. ამჟამად 50 ოჯახი(საქართველოს შვიდირეგიონიდან), რომელთაც აქვთ სასტუმრო სახლი სოფლად ან პატარა ქალაქში, ტურისტთათვის საინტერესო გლახური მეურნეობა და შესაძლებლობა გააცნონ მათ ქართული ტრადიციები და კულტურა, გაერთიანებულია „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელში. მასპინძელ ოჯახებს სტუმართათვის დათმობილი აქვთ 2-7 საძინებელი ოთახი ელემენტარული პირობებით, აგროტურისტულ მეურნეობებში შემორჩენილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა და შენახვის უძველესი ტრადიციები და ტექნოლოგიები. მასპინძელი ოჯახები, ღამის გათევის გარდა, სტუმრებს სთავაზობენ ადგილობრივი პროდუქტით დამზადებულ კერძებს, ასევე ტურისტულ მარშრუტებს სახლომდებარე ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოსანახულებლად, თევზაობას, ცხენებით გასეირნებასა და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლად ტურიზმის განვითარება ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები და ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღების ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა (მაგალითად, სოფლისტრადიციული პროდუქტის წარმოება, მისი საკვებად გადაამუშავება და სტუმრის გამასპინძლება) დამატებით შემოსავალს ქმნის.

დამატებითი ღირებულების წამოქმნა შესაძლებელია ასევე სხვა მომსახურებითაც, მაგალითად, განთავსების, სატრანსპორტო, კვების, გიდის მომსახურება და სხვ. ს ყველაფერი ქმნის ტურისტული პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს. ამსვენებელს მეწარმე ადგილზე სთავაზობს პროდუქტს, ანუ მყიდველი თავად მიდის პროდუქტთან (აქ იგულისხმება როგორც ტურისტული მომსახურება, ასევე ტრადიციული პროდუქტი), რაც, თავის მხრივ, “უხილავი ექსპორტის” სახეა და სარეალიზაციო ჯაჭვს ამცირებს.[5]

სურათი 1.



წყარო: “ელკანა”, <http://www.ruraltourism.ge/>

დადებითი ზეგავლენა, რომელიც სოფლად ტურიზმის განვითარებით შეიძლება იქნას მიღწეული, წარმოადგენს: 1. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება; დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; მოსახლეობის ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული თვითშეგნების ამაღლება; სიღატაკის დაძლევა, ხალხური რეწვისა და სუვენირული წარმოების განვითარება; ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება; სეზონური მიგრაციის შეზღუდვა; ადგილობრივი მეურნეობის განვითარება.

“ელკანამ” დაიწყო საოჯახო სახლებისა და ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე. 2008 წელს, ელკანას ქსელში შემავალმა 22 ოჯახმა მიიღო 500-ზე მეტი ტურისტი და მათმა საერთო შემოსავალმა 27 500 ლარი შეადგინა. ეს არ იყო ცუდი მაჩვენებელი, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო უცხოური თუ ადგილობრივი ტურისტული ნაკადების შემცირებას.


2009 წელიდან, ზოგადად, ტურიზმი და შესამისად აგროტურიზმიც ზრდის ტენდენციას განიცდის. 2011 წელს, ქვეყანაში დაფიქსირდა 1051 განთავსების საშუალება 34 751 საწოლი

ადგილით. შასტუმროებზე საწოლი ადგილების რაოდენობის 63% მოდიოდა, მას მოსდევდა სასტუმრო სახლები და საოჯახო სასტუმროები, თითოეული 16%-იანიწილით.

სურათზე 2. ნახვენებია საქართველოში შემოსული ტურისტების მიერ განთავსების ობიექტებში საწოლი ადგილებზე მოთხოვნის ტენდენცია, რომლის მიხედვითაც წლის განმავლობაში რეალიზებულ იქნა 11 000-მდე სასტუმრო სახლისა და საოჯახო სასტუმროს საწოლი ადგილი; მათი უმრავლესობა რეგიონებში კი სწორედ აგროტურისტებს მასპინძლობენ.

სურათი 2.

საწოლიადგილებისრაოდენობატიპებისმიხედვით (2012)



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

უნდა აღინიშნოს, რომ აგროტურიზმის წარმატებულობა არ ფასდება მხოლოდ ტურისტების ნაკადის გაზრდით, აქ მნიშვნელოვანია, ორგანული მეურნეობების დარგში, ფერმერების ცოდნის ამაღლება, რაც თავისთავად განაპირობებს რეგიონებში ორგანული პროდუქციის ზრდას, მდგრადი მეურნეობის განვითარებასა და გარემოს დაცვას. თურისტების ვიზიტების შემდეგ ორგანული პროდუქციის და მეურნეობის მნიშვნელობა უმჯობესდება, თავად მასპინძელი ტურისტის თვალთ უფრო უკეთ ხედავს ორგანული მეურნეობის უპირატესობას, მეტად აფასებს იმ ძველ ტრადიციებსა და ყოფას, რაც მივიწყებას ეძლევა და რასაც შენარჩუნება სჭირდება.

დგრადი ტურიზმის განვითარება სოფლად მოითხოვს სტანდარტის შემუშავებას იმ მეწარმე სუბიექტებისათვის, ვინც ჩართულია ტურისტულ საქმიანობაში. თრადიციულ ტურიზმში სტანდარტები ძირითადად ეფუძნება კომფორტს და ინფრასტრუქტურას: მისასვლელი გზა, შენობა, სატელეფონო კავშირი და ა.შ. სანახაობებთან სიახლოვე და სხვ., ხოლო ეკოტურიზმსა და აგროტურიზმში გარემოს შენარჩუნება, გარემოსადმი დამოკიდებულება ის ძირითადი კრიტერიუმებია, რითაც ფასდება საოჯახო სასტუმრო სახლი სოფლად და პატარა ქალაქში.

სასტუმრო სახლების მომსახურების სტაბილური ხარისხისა და სოფლის ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად “ელკანამ” შეიმუშავა და დანერგა სტანდარტი (მეწარმე სუბიექტის სტანდარტი – “ოჯახური სასტუმრო სახლები სოფლად და პატარა ქალაქებში, ძირითადი დებულებები”, მსტ – 20545291-002-2008). “ელკანას” სტანდარტი ემყარება ევროპის ფერმერული და სოფლის ტურიზმის ფედერაციის – “ევროჰიტეს” ძირითად მოთხოვნებს და, ამავე დროს, სრულიად შეესაბამება სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოში სოფლის სახლებისათვის, მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით, შიდა კორპორატიული სტანდარტი დაინერგა “ელკანას” წვერი ოჯახებისათვის და ყველა მსურველი საოჯახო სასტუმროებისათვის, რომლებიც მდებარეობს სოფლად ან პატარა ქალაქში და სოფლის ტურიზმის მომსახურების ძირითად პრინციპებს აკმაყოფილებს. სტანდარტი გულისხმობს სასტუმრო სახლების დაჯგუფებას 4 კატეგორიად, რომელთაგან მომსახურების მინიმალურ მოთხოვნას შეესაბამება კატეგორია “სტანდარტი”, ხოლო მომსახურების შედარებით მაღალი ხარისხის სასტუმრო სახლები შეფასდება სიმბოლური ნიშნით “მზე” (“1 მზე”, “2 მზე”, “3 მზე”), სიმბოლოების ნიშანი მომსახურების ხარისხის მატეხასთან ერთად იზრდება.[5]

ორგანული მეურნეობების ჩართვა სოფლის ტურიზმის საოჯახო სასტუმროების ქსელში ხელს შეუწყობს საოჯახო სასტუმრო სახლების მხრიდან ბუნებისა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდას. თუმცა, ჩვენ სინამდვილეში არის პრობლემები და საკითხები (ნაგვის გატანის საკითხი, კანალიზაციის სისტემა, სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება და ა.შ.), რომლის მოგვარებას მარტო ფერმერი ვერ მოერევა – საჭიროა სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილების მიღება და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობით პრობლემის გადაჭრა.

სოფლის ტურიზმის განვითარების პროექტით „ელკანამ“ წინ წამოწია ორგანული მეურნეობების როლი ტურიზმში. თურიზმის მდგრადი განვითარებისათვის „ელკანა“ ხელმძღვანელობს ფორმულით:

ორგანული მეურნეობა + სოფლის ტურიზმი = სუფთა გარემო, სადი პროდუქტი, კმაყოფილი მომხმარებელი, და საქმების დონის ზრდა და დამატებითი შემოსავალი ფერმერს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მეტრეველი, “გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი”, ფავორიტიპრინტი, თბ., 2012
2. მ. მეტრეველი, “ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები”, ფავორიტიპრინტი, თბ., 2011
3. მ. მეტრეველი, “ტურიზმის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი”, ფოტონი, თბ., 2006
4. <http://openspace.ge/>
5. <http://www.ruraltourism.ge/>
6. <http://www.woof.net/>

MARINA METREVELI

Georgian Technical University, Full Professor

AGROTOURISM – A PRIORITY TREND OF A SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURE

S u m m a r y

The accelerated rate of the city life in today’s industrial environment creates a human’s natural demand, the motivation to periodically recreate at a peaceful and quiet place with fresh air, picturesque sceneries and friendly hosts. Accordingly, the interest in and demand for recreating in the countryside is increasing giving the rise to the new forms of tourism, the village tourism and agrotourism.

The formula of the most popular tourism and recreation suggested by the tourism specialists, so called Sun, Sea, Sand, is going to be greatly competed by a new recreation formula, so called 3L (Landscape–Lore–Leisure), becoming much popular among the city dwellers in recent years.

In general, the farmers’ organizations and associations owning organic farms have been organized in the European countries to promote tourist business and sustainable farming. Network of ECEAT is a good example affiliating 750 farmers from 15 European countries in 1995. In 1999, the farmers from 22 countries hosted over 100.000 visitors. EuroGite, the European federation of family hotels and agricultural tourism presently affiliating the family hotels and agricultural tourism associations from 26 countries is also worth mentioning. The total number of the members of the associations is 400.000 families. In Georgia, the member of EuroGite is the association ELKANA, with 40 families being the members of agricultural tourism network.

The positive impact, which can be achieved through the development of tourism in the countryside, is: (1) stimulation of the development of village infrastructure, job generation, promotion of economic development, improvement of the population’s ecological and social-cultural self-consciousness; overcoming poverty and development of handicraft and souvenir making, maintenance of old traditions and national heritage, limitation of seasonal migration and development of local farming.

ე ლ ბ უ ჯ ა მ ი ა მ ა ბ ი ზ შ ი ლ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ორბანული მიწათსარგებლობა და მისი პერსპექტივები საქართველოში

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაძლიერდა ტექნოგენური ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე, რაც ხშირ შემთხვევაში საფრთხის შემცველია კაცობრიობისათვის. შესაბამისად ძლიერდება ყურადღება მეურნეობრიობის იმ ფორმების მიმართ, რომელთა გამოყენება ნაკლებ ეკონომიურ პრობლემებთანაა დაკავშირებული და ნაკლებ ზიანს აყენებს როგორც დედაბუნებას, ასევე ადამიანს. მათ შორისაა მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი ახალი მიმართულება, როგორცაა ორგანული მიწათსარგებლობა, განსაკუთრებით მისი ნაირსახეობა – ბიოდინამიკა, ანუ ბიოდინამიკური აგროკულტურა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფენომენს მეცნიერები სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ. „მაგალითად, გერმანულ და ფრანგულენოვან ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი „ბიოლოგიური“ (Biologique, Biologishe), ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი „ორგანული“ (Organic), ესპანურში – „ეკოლოგიური“ (Ecologico). საქართველოში გერმანულ-ფრანგული მოდელი აირჩია და კანონით დაადგინა ტერმინები

„ბიოპროდუქტი/ბიოწარმოება¹.“ ჩვენ ამ შემთხვევაში ვამჯობინებთ ტერმინ „ორგანული“ გამოყენებას.

აღნიშნული მიმართულების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა დარგის წამომადგენლები – აგრარიკოსები, ზოოტექნიკოსები, გენეტიკოსები, ეკონომისტები, იურისტები და სოციოლოგები. მათი ძალისხმევა მიმართულია კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრისადმი – მოსავლიანობის ამაღლებისაკენ და პროდუქტების წარმოების დანახარჯების შემცირებისაკენ.

თანამედროვე პირობებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა უმეტესი ნაწილი იწარმოება წესით, რომელსაც უწოდებენ „კონვენციონალურ მიწათსარგებლობას“ და რომელიც ამჟამად ღრმა ტექნოლოგიურ და სოციალ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ეს უკანასკნელი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვენენოს ეს ფაქტი, წარმოადგენს წარმოებრივი და სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების შედეგს. ამჟამად მინერალური სასუქების მსოფლიო წლიური მოხმარება შეადგენს დაახლოებით 128 მლნ ტონას, ევროპაში (პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოკლებით) მოხმარენ 158 კგ-ს ერთ ჰა-ზე, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში – 102 კგ-ს 1 ჰა-ზე².

მიწათსარგებლობაში სულ უფრო სრულყოფილი მანქანების გამოყენებამ, „მწვანე რევოლუციაში“, სწრაფად განვითარებადმა ბიოტექნოლოგიამ და ეკოლოგიურმა ინჟინერიამ არნახულად გაზარდა შრომის ეფექტიანობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობა, თუმცა ამას თან მოჰყვა ბუნებაზე უარყოფითი ზეგავლენის გაძლიერება. მაშასადამე, კონვენციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დიალექტიკა განაპირობებს გარკვეული კრიზისული მოვლენების წარმოშობას. ვაშინგტონის მსოფლიო დაკვირვების ინსტიტუტის თანამშრომლები ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხასიათის მქონე სიახლეების დანერგვის მიუხედავად აფიქსირებენ მოსავლიანობის პერმანენტული დაქვეითების ფაქტს: თუ 1950 წლიდან 1984 წლამდე მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავლიანობა 4%-ით იზრდებოდა, 1984-1994

წლებში ზრდა შეადგენდა მხოლოდ 1 %-ს, შემდგომ წლებში კი – კიდევ უფრო ნაკლებს³. ტემპების ამგვარ შემცირებას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეროზია, ჰუმუსის დაკარგვის პროცესი, ნიადაგის დამლაშება, გრუნტის წყაროების ამოწურვა და სხვ. სპეციალისტთა მოსაზრებით, მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 40%-ს დაკარგული აქვს ნაყოფიერება, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს პლანეტის მომავლისათვის. განვითარებად ქვეყნებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიცირების მნიშვნელოვანი რესურსები არსებობს, მოსავლიანობის ზრდას ხელს უშლის წყლის, მინერალური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების უკმარისობა, განვითარებულ ქვეყნებში კი ადგილი აქვს მათი იმ რაოდენობით გამოყენებას, რომელიც საფრთხეს უქმნის მომხმარებელთა ჯანმრთელობას და სიცოცხლესაც კი.

აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობა ორგანული მიწათსარგებლობის კონცეფციის აღმოცენებისა და გამოყენების აუცილებლობა. ორგანული მიწათსარგებლობა ასახავს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებში მიმდინარე ტექნოლოგიურ ძვრებს და მათ მოდიფიკაციას გლობალიზაციისა და საზოგადოების დიფერენციაციის პირობებში.

ორგანული მიწათსარგებლობა ორ მიზანს ისახავს: ბაზრის უზრუნველყოფას, მომხმარებლისადმი სასარგებლო სასურსათო პროდუქციით და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ცხოვრებისა და წარმოების ნორმალური, ჯანსაღი გარემოს შექმნას. აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ორგანო – ორგანული სტანდარტების ნაციონალური საბჭო ორგანულ მიწათსარგებლობას განსაზღვრავს როგორც „სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმართვის წესს, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და განვითარებას. იგი ემყარება იმ საშუალებების გამოყენებას, რომლებიც აღადგენს, ინარჩუნებს და ხელს უწყობს ეკოლოგიურ ჰარმონიას⁴.“ ორგანული მიწათსარგებლობის პირობებში პროდუქცია მოიყვანება და გადაამუშავდება გენური ინჟინერიის, სინთეტიკური და ხელოვნური სასუქების, პესტიციდების, ჰერბიციდების, ანტიბიოტიკების, კონსერვანტებისა და ზრდის სხვადასხვა რეგულატორების გამოყენების გარეშე. მოსავლიანობის ამაღლების მთავარი საშუალებაა ცოცხალი ბუნების შინაგანი ძალების ეფექტიანი და გონივრული გამოყენება. მაგალითად, მანებლების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენება არა სხვადასხვა შხამები, არამედ მათი ბუნებრივი მტრები. მხოლოდ შეზღუდული სახეობის პროდუქტების – ციტრუსების მოყვანისას არის დაშვებული შხამქიმიკატების შეზღუდული რაოდენობით გამოყენება.

¹ მ. ნაცვალაძე. ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება და გადახდისადმი მზადყოფნა საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, 6, გვ. 53.

² Wood S., Sebastian K., Scheer S. Pilot Analyses of Global Ecosystems. Agroecosystems. Wash. D. C. 2010, გვ. 35.

³ Is Agriculture a Possible Solution to World Hunger. May, 1996; <http://www.rainorg/sals/press7.html> გვ. 1.

⁴ An Overview of Organic Crop Production. What is Organic Agriculture? <http://attra.ncatorg/attraopub/organiccorp/whatisorg.html> გვ. 1.

ორგანული მიწათსარგებლობის განვითარებაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. კერძოდ, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა, რომელიც ფერმერებს უძვირებს საწვავს, ან მინერალური სასუქებისა და ქიმიკატების გაძვირება ხელს უწყობს ორგანიკის განვითარებას, ვინაიდან იგი გულისხმობს ნავთობისაგან მიღებული პროდუქტების ალტერნატიული წყაროების მოძიებას.

ორგანული მიწათსარგებლობის სწრაფი განვითარება მთელ მსოფლიოში შეინიშნება, თუმცა ამ მიმართულებით გამორჩეულია აშშ, სადაც იგი გადაიქცა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სექტორად. ამ ქვეყანაში სერტიფიცირებული ორგანული კულტურებით დაკავებული ფართობების მოცულობა 1992–2002 წლებში თითქმის გაორმაგდა. 1998 წელს ორგანული წარმოება იკავებდა 49 შტატის 0,6 მლნ ჰექტარს. ამასთანავე, ორგანული მიწათსარგებლობის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ ძალიან დაბალია და შეადგენს მხოლოდ 2%-ს. ეს მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ: წარმოების შედარებით მაღალი დანახარჯები, რისკების მაღალი ხარისხი, ფერმერთა ნაკლები ინფორმირებულობა ორგანული მიწათსარგებლობის უპირატესობათა შესახებ, განვითარებული საწარმოო და საბაზო ინფრასტრუქტურის არარსებობა, ფინანსური რესურსების ნაკლები ხელმისაწვდომობა და ა.შ.

პრობლემების მიუხედავად, ეკონომიკური კვლევები გვიჩვენებს ორგანული მიწათსარგებლობით დაკავებული ფერმერების რაოდენობის ზრდას აშშ-ში. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მეხილეობისა და მეხოსტენობის დაარგებისათვის, სადაც ფართობების დაახლოებით 2% ორგანულ წარმოებას უკავია. ზოგიერთ შტატში (აიოვა, მინესოტა) ორგანულ სისტემაზე გადასვლა სუბსიდირდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და ემსახურება ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების ანალოგიურ მიდგომას აქვს ადგილი ევროკავშირის ქვეყნებში, კანადაში, ავსტრალიაში, არგენტინაში, ინდოეთში და ა.შ.

ორგანული მიწათსარგებლობის სფეროში შთამბეჭდავია დანიის მიღწევები, რომელიც სურსათის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპორტიორია. დანიის ბუნების დაცვის სამინისტრო გამოჰყოფს ორ ფაქტორს, რომელმაც ამ სფეროს განვითარების აუცილებლობა განაპირობა. პირველი, ქიმიური სასუქების მიერ გრუნტის წყლების და მის შედეგად სასმელი წყლების დაბინძურება; მეორე, ევროკავშირის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მასშტაბების შემცირება. გამოკვლევები ადასტურებს, რომ დანიის სოფლის მეურნეობის –ს გააჩნია ორგანულ მიწათსარგებლობაზე გადასვლის შანსი, რომელიც თავდაპირველად გამოიწვევს სასურსათო პროდუქციაზე ფასების დაახლოებით 15%-ით ზრდას. თუკი დღეს დანიელები სურსათის შექმნაზე ხარჯავენ საკუთარი შემოსავლების 16%-ს, ორგანულ მიწათსარგებლობაზე გადასვლის შემდეგ დახარჯავენ 18%-ს. სამაგიეროდ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება 50 ათასი კაცით, გაუმჯობესდება სავაჭრო ბალანსი, ნიტრატების გამოყენება შემცირდება 10–40%-ით, საკვები იქნება უფრო სუფთა, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ორგანული მიწათსარგებლობის თანამედროვე მიდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები პირდაპირ უკავშირდება კონვენციონალურ სოფლის მეურნეობასთან დამოკიდებულების საკითხს. სეუძლია თუ არა მხოლოდ ორგანულ მიწათსარგებლობას კაცობრიობის გამოკვება? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ-ჯერობით არ არსებობს. „მწვანე რევოლუციის მამად“ წოდებული, ამერიკელი მეცნიერი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ნორმან ბორლაუგი გარკვეული ირონიით შენიშნავდა: „ორგანული სოფლის მეურნეობა ვერ შეძლებს მსოფლიოს გამოკვებას, რადგანაც ამისათვის მას ნაკლები არ ეყოფა.“

ორგანული და კონვენციონალური სოფლის მეურნეობის ურთიერთმიმართება გულისხმობს მათი პროდუქტიულობის ერთმანეთთან შედარებას. ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ თანაბარ პირობებში ორგანულ მიწათსარგებლობაში მოსავლიანობა შედარებით ნაკლებია, ვიდრე კონვენციონალურში. მაგალითად, ევროპაში ეს თანაფარდობა მერყეობს 60–805-ის ფარგლებში.

ამრიგად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ორგანული მიწათსარგებლობის განვითარება არის მსოფლიოს სოფლის მეურნეობის ახალი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია. კონვენციონალური სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, რაც ორგანული სოფლის მეურნეობისათვის არის ნიშანდობლივი, საშუალებას იძლევა უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული რთულად აღდგენადი ბუნებრივი რესურსები – ნიადაგი, ტყეები, წყალი და ეკოსისტემები. ორგანული მიწათსარგებლობა ითვალისწინებს არა ბუნებაზე შეტევას, არამედ მასთან ჰარმონიულ თანაარსებობას.

საქართველოში ორგანული მიწათსარგებლობის განვითარების კარგი შესაძლებლობა არსებობს, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: პირველი, მსოფლიოში მისი ჯერ კიდევ განუვითარებლობის გამო, საერთაშორისო ბაზარზე ორგანული მიწათსარგებლობის პროდუქტთა მიწოდება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მასზე მოღობონას. აქედან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია თავისი ნ იშა მოიპოვოს ამ ბაზარზე და დიდი შემოსავლები მიიღოს; მეორე, საქართველოში არსებობს უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური გარემო, რომელსაც

ეფექტიანი გამოყენება ჭირდება¹. მესამე, ორგანული მიწათსარგებლობის განვითარებისაკენ მოგვიწოდებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც წერს: „საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს საქართველოს სოფელს“². მეოთხე, საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა ორგანული მიწათსარგებლობის განვითარების სტიმულად შეიძლება იქცეს. ეს გამოიხატება იმაში, რომ დაბალი შემოსავლების გამო გლეხები ვერ ყიდულობენ მინერალურ სასუქებს, შხამ-ქიმიკატებს და იძულებულნი არიან პროდუქცია აწარმოონ ბუნებრივი გზით, რაც ნიშნავს ორგანული მიწათსარგებლობის გამოყენებას. ამ მეთოდით წარმოების გაგრძელება, ჩვენი აზრით, აუცილებელია გლეხებისა და ფერმერების შემოსავლების მნიშვნელოვნად მომატების შედეგად.

რა თქმა უნდა, ორგანული მიწათსარგებლობა ვერ განვითარდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე. აუცილებელია, რომ იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდეს.

ELGUJA MEKVABISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professop

ORGANIC LAND-USE AND PROSPECTS IN GEORGIA

s u m m a r y

Strengthening of technogenic impact on the nature puts in the agenda needs of replacement of traditional conventional agriculture on organic land-use.

Organic land-use reflects the technological shifts happening in agriculture, their modification in the conditions of globalization and a differentiation in society.

In Georgia there is a favorable opportunity for development of organic land- use, which is caused by two factors: a) climatic conditions of the country and b) circumstance, that the food world market offer of organic land-use products is much less, than demand for them.

In article transformation need of organic land-use as the Georgia agriculture strategic development's priority direction is proved.

მარიამ მინდორაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*

სტატისტიკური მონაცემების როლი სოფლის მეურნეობის განვითარების ბლოკალურ სტრატეგიაში

გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად სოფლის მეურნეობისა და ზოგადად სოფლის განვითარების სტატისტიკას ხშირად იყენებენ პოლიტიკის შემქმნელები, დონორები და კერძო სექტორის წარმომადგენლები. თავის მხრივ, ასეთი სტატისტიკის წარმოებისა და რეგულაციური ინდიკატორების შემუშავების წინაპირობები მომხმარებელთა მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს. ამასთან, უამრავი დისკუსიისა და შეფასების საფუძველზე ექსპერტებიც და საზოგადოებაც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ინფორმაციის ფლობიდან მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება მასხვეგაწეულ ხარჯებს.

სტატისტიკური ინდიკატორების თემა ახალი არ არის, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების სიმრავლეკიდევ უფრო ხაზს უსვამს შესასწავლი პრობლემის გაზრდილ მნიშვნელობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ მრავალი ინდიკატორი კვლავაც რეგულაციურად რჩება, თუმცა მათი ნაწილი ახლებურად გააზრებას ან რეფორმირებას საჭიროებს. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ფაქტი დაფიქსირდა “სასოფლო-სამეურნეო და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესების გლობალურ სტრატეგიაში”³. კერძოდ, სხვადასხვა დაინტერესებული პირების,

¹ პროფესორები რ. გოგოხია და გ. დოლონაძე აღნიშნავენ: „სურსათის გენეტიკური მოდიფიცირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს საქართველოს ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარების ალტერნატიული და, მიუხედავად, პრიორიტეტული მიმართულება. დღეისათვის და სამომავლოდ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მემკენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას არსებითად ბიოლოგიური მეთოდებით, მიუხედავად, რომ საქართველოს მიწის და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი სანახევროდაც არ არის გამოყენებული“ – რ. გოგოხია, გ. დოლონაძე. „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პოლიტიკა მსოფლიოში და ქართული რეალობა“. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, 4, გვ. 12.


² კ. კოლუაშვილი. ილია II სოფლად ყოფა – ცხოვრების აღორძინებისა და მეურნეობის განვითარების შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, 3, გვ. 27.

³ World Bank, FAO and UNSC (2011). Global Strategy to Improve Agricultural and Rural Statistics. Report no 56719-GLB. World Bank, Washington DC.

მაგალითად, ეროვნული სტატისტიკური სააგენტოების, სამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვათა ინტერესები მნიშვნელოვნად დაემთხვა ერთმანეთს. კერძოდ, მრავალმა მომხმარებელმა დააფიქსირა გაზრდილი მოთხოვნილება ახალ და გაუმჯობესებულ ინდიკატორებზე, როგორცაა ფასები, ენერჯია და ბიოსაწვავი, სასოფლო-სამეურნეო გარემო, კლიმატის ცვლილება, ვაჭრობა, წყალი, მიწა, ნიადაგი, შინამეურნეობების მოხმარება, სასურსათო უსაფრთხოება, სოციალ-ეკონომიკური მონაცემები, ეკონომიკური ანგარიშები, ბუნებრივი კატასტროფების მენეჯმენტი და თევზის მოშენება. მათ აგრეთვე დააფიქსირეს დიდი მოლოდინები გეო-სივრცობრივ და მიწის ზედაპირის დისტანციური ზონდირების მონაცემებზე, გაზრდილ ინტეგრაციასა და უფრო ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზებზე. გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო და სოფლის სტატისტიკის ყველაზე კრიტიკული პრობლემა: საკითხების იზოლირებული შესწავლა, რაც არ იძლევა სასიცოცხლოდ აუცილებელი გამჭოლი ანალიზის წარმოების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა თავისი არსით ეკონომიკური საქმიანობაა, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულებების ფონზე ის ვერ დარჩება გარემოსა და სოციალური ფაქტორებისგან მოწყვეტილი. დღეისათვის სოფლის მეურნეობის მონაცემთა რუკის შესადგენად ახალი კონცეპტუალური საფუძვლებია შემუშავებული (ნახ.1), საიდანაც სოფლის მეურნეობისადმი ინტეგრაციული მიდგომის გაზრდილი ტენდენცია აშკარად თვალშისაცემია:

ნახ. 1. სოფლის მეურნეობის სტატისტიკის კონცეპტუალური სქემა¹



ინდიკატორების ზოგადი ბუნება

ინდიკატორი სტატისტიკური ცვლადია, რომელიც გვეხმარება მონაცემების წარმოდგენაში რელევანტური ინფორმაციის სახით. მისი მნიშვნელობა განსაზღვრული კონცეპტუალური სქემითა და ანალიტიკური ან ადმინისტრაციული მიზნებითაა განპირობებული. ზოგიერთი ინდიკატორი სრულად აკმაყოფილებს აუცილებელ ხარისხობრივ კრიტერიუმებს და ოფიციალური სტატისტიკის არეალში ხვდება, ხოლო ზოგიერთ მათგანს ეს თვისებები შეიძლება არ გააჩნდეს.

დღეისათვის არ არსებობს რაიმე საერთაშორისოდ მიღებული დეფინიცია, რომელიც განსაზღვრავდა, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად ინდიკატორს, რომ ის სტატისტიკის ყველა სფეროსათვის მისაღები იყოს.² მიუხედავად ამისა, სტატისტიკაში ტერმინი “ინდიკატორი” სულ უფრო ხშირად გამოიყენება და მყარად დამკვიდრდა. ამისერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ტერმინები “სტატისტიკა” და “სტატისტიკური შედეგი” უფრო ნაკლებად იქცევა მომხმარებლებისა და მედიის ყურადღებას, ვიდრე ტერმინი “ინდიკატორი”. ასევე შესაძლებელია, რომ ამ ტერმინის ქვეშ უფრო რაიმე აღმატებულს მოიაზრებენ, ვიდრე “ჩვეულებრივი სტატისტიკის” ქვეშ, როგორცაა მაგალითად მოსახლეობის რიცხოვნობა, ან წარმოებული მარცვლეულის ოდენობატონებში. შედეგად, მიმდინარე ეტაპზე “ინდიკატორი” სულ უფრო მეტი დატვირთვის მატარებელი კატეგორია ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერმინი “ინდიკატორი” შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საწყისი მნიშვნელობით (რაოდენობრივი ინფორმაციის მოცვა), ისე უფრო სპეციალური, ტექნიკური

¹ The Why Group Handbook. Statistics on Rural Development and Agricultural Household Income. Second Edition, United Nations, 2011.
² Brungger, H. (2004). Indicators _ Spotlight or smokescreen? United Nations Economic Commission for Europe. Paper presented at the 23rd Nordic Statistical Conference, Turku, Finland, 18-21 August.

მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში მისი საშუალებით შესაძლებელია რეგიონების, ქვეყნების, ან სხვა ერთეულების რანჟირება ან შედარებითი ცხრილების სახით წარმოდგენა დროის ერთდამიწვე პერიოდებში¹. ისინი საშუალებას იძლევიან დროსა და სივრცეში “უკეთესი ან უარესი” (განსხვავების რაოდენობრივი მითითებით) გამოვავლინოთ. აღნიშნულ ჭრილში განსახილველი ინდიკატორები შეიძლება იყოს მარტივი ან რთული.

მეორე ინტერპრეტაციით, ტერმინი “ინდიკატორი” სამიზნე კონცეფციის მხოლოდ ნაწილს ასახავს, რადგან დანარჩენი ნაწილი ოფიციალური სტატისტიკის მიერ არარის გაზომვადი. ასეთი ტიპის ინდიკატორები ისეთ სფეროებში გამოიყენება, სადაც საზომი ერთეული ფაქტობრივად არ არსებობს (მაგ. ჯანდაცვა, განათლება, სამუშაოს ან დანაშაულის ხარისხი), გარემოს სტატისტიკა და ისეთი მოვლენები, რომლებიც მოიცავენ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური სტატისტიკის სფეროებს, მაგალითად, როგორცაა გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა და ინფორმაციული საზოგადოება. მეორე შემთხვევაში, ტერმინი “ინდიკატორი” უფრო ფართო შეფასებისათვის გამოიყენება, ვიდრე რეალურ საზომად.

ინდიკატორებიმძლავრი საშუალებაა როგორც ანალიზის, ისე დაგეგმვის, მონიტორინგისა და გაზომვებისათვის, თუ რეალურად შევაფასებთ მათ ძლიერ (კომპლექსურობა) და სუსტ(ზედმეტი გამარტივება) მხარეებს. რატომ უნდა, ინდიკატორების შემუშავებისას აუცილებელია შესაბამისი მეთოდოლოგია დროში და სივრცეში აგრეგირებისათვის. მნიშვნელოვანია ინტერპრეტირების პრობლემებიც. ხშირად, ინდივიდუალური ინდიკატორების ინტერპრეტაცია მხოლოდ მჩვენებელთა სისტემის კონტექსტშია მიზანშეწონილი.

აგრეგირების პრობლემები

აქ მნიშვნელოვანია მკვეთრი მინიშნებების გაკეთება ანალიზის ან პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებზე, რადგან სხვა შემთხვევაში ინდიკატორი სტატისტიკური მონაცემის ან ცვლადის დონეზედარჩება, რომელიც მხოლოდ პოტენციურად სასარგებლო ინფორმაციის შემცველია. ხშირად ინდიკატორები საშუალებას იძლევიან მოვახდინოთ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებების სტრუქტურირება, რომელთა საფუძველზეც შემდგომში უფრო რთული თეორიების ჩამოყალიბება ხდება.

როგორც წესი, აგრო-ინდიკატორები უნდა ეფუძნებოდეს გამოქვეყნებულ სტატისტიკას(1), რომელიც მუდმივად გროვდება(2) შესადარის ტერიტორიებზე(3), იყენებდესერთიდაიგივე საზომ ერთეულებს(4)და ეყრდნობოდესნათლად ჩამოყალიბებულ დეფინიციებს(5). ამასთან, აგრო-ინდიკატორები უნდა ხასიათდებოდეს დროში ცვლილებების მიმართ მგრძობელობით(6),რათა გარკვეული სიგნალები მოგვცეს მომავალი პოლიტიკის შემუშავებისათვის. ამ მოთხოვნების შესასრულებლად, აგრო-ინდიკატორების შიგნით ხშირად ხდება უკვე კარგად ცნობილი კონცეფციების და მონაცემთა მწკრივების გადაფასება აგრო-პოლიტიკის კონტექსტში².

აგრო-ინდიკატორებისსეგმენტის პროცესში სამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

- რა საბაზისო მოთხოვნები უდევს საფუძველად თითოეული ინდიკატორის აგებას?
- რომელი კონკრეტული განზომილებები უნდა მოიცვას აგრო-ინდიკატორებმა?
- რა მიზნით უნდა მოხდეს ინდიკატორების შეგროვება?³.

ინდიკატორების ხარისხი

მოთხოვნილება მაღალი ხარისხის ინდიკატორებზე არაერთხელ დაფიქსირებულა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება პირველადი სტატისტიკური მონაცემების ხარისხზე, მათ წყაროებსა და შესაბამისობაზე საერთაშორისო სტანდარტებთან.

შედარებით ადრე,1979 წელს რომში, აგრარული რეფორმებისა და სოფლის განვითარების მსოფლიო კონფერენციაზე სსმო-ს(FAO)მიერ მიღებულია მახასიათებლები, რომელიც აუცილებელია სოციალ-ეკონომიკური ინდიკატორებისათვის. ესენია: შესაბამისობა; დასაბუთებულობა; ობიექტურობა და სანდოობა; მოქნილობა; გაანგარიშების შესაძლებლობა; დროულობა; სიმარტივე

ფოკუსირება ეთგო-სა(OECD) და ევროკავშირის მოთხოვნებსა და შეფასებებზე

სსმო-ს მიერ ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების შექმნისას მონაცემთა ხარისხისა და მეტამონაცემების მოთხოვნები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

- რელევანტურობა (საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო, რესურსები, გამჭვირვალობა)
- შესადარისობა ქვეყნებს შორის (კონცეფციები და დეფინიციები, მოცვა, კლასიფიკაციები)
- სიზუსტე (ნედლი მონაცემები, ნედლი მონაცემების შეფასება, სტატისტიკური მეთოდები, შუალედური მონაცემებისა და საშედეგო სტატისტიკის შეფასება და საიმედობის დადგენა)
- დროულობა და პუნქტუალობა (პერიოდულობა და დროულობა, გეოგრაფიული მოცვა,

¹მაგალითად, მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის წელიწადულში მოტანილი რანგები.

² Bryden, J. (2001). Section 3: Rural Development in Landsis g.e.i.e. Proposal on Agri-Environmental Indicators PAIS. Luxembourg, 2001.

³ OECD (1996).Creating rural indicators for shaping territorial policy. OECD, Paris.

მდგრადობა, გადახედვის პოლიტიკა და პრაქტიკა)

- ხელმისაწვდომობა (მონაცემებისა და მეტამონაცემების ხელმისაწვდომობა)
- საზომები და ინდიკატორები
- თითოეული აგრო-ინდიკატორი სამ განზომილებაში განიხილება:
- ინდიკატორის მდგომარეობა, ანუ მისი დონე
- ინდიკატორის დისპერსია, ანუ ცვალებადობა
- დროში განვითარების ტენდენცია (ტრენდი)

ცალკე აღებული ინდიკატორის თითოეული მახასიათებელი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია აგრო-პოლიტიკისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავების დისკუსიებში. სტატისტიკური ინდიკატორის მიზანია მოახდინოს სოციალ-ეკონომიკური და გარემოს შესაბამისი ასპექტების ხაზგასმა. რაიმე მოვლენის შესაჯამებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს, რომელ დონეზე უნდა მოხდეს მისი გაზომვა. პირველ ეტაპზე ეს მოითხოვს ძირითადი და კორელაციაში არ მყოფი კომპონენტების შემოღებას. შემდგომ უნდა შემოვიტანოთ ვარიაციის ან კონცენტრაციის კომპონენტების საზომები და საბოლოო ეტაპზე გავარკვიოთ, თუ როგორ ვითარდება მოვლენა: უკეთესობისკენ, თუ უარესობისკენ, ანუ როგორია მისი განვითარების ტრენდი.

ზოგადად, თითოეული სასოფლო ტერიტორიისთვის დაკვირვების ერთეულად შინამეურნეობას იყენებენ, თუმცა ზოგჯერ სასოფლო ტერიტორიაც შეიძლება იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული წყაროების არსებობის პირობებში. შინამეურნეობის ბაზაზე განგარიშებული ინდიკატორის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთ შინამეურნეობაზე რეალური შემოსავლის ნორმირებული მოდა მოცემულ წელს მოცემული გეოგრაფიული ტერიტორიისათვის. რაც შეეხება ამ ცვლადის დისპერსიას ან კონცენტრაციას, ის ხვდასხვა გზით შეიძლება გაიზომოს, თუნდაც ნორმირებული კვადრატული გადახრით მოდიდან ან შემოსავლების უთანაბრობის ჯინის კოეფიციენტით.

ინდიკატორად, რომელიც შინამეურნეობის ბაზაზე არ გაიანგარიშება, შეიძლება ავიღოთ 5 წლამდე ბავშვთა მოკვდაობის ნორმირებული კოეფიციენტი, რომელიც ადმინისტრაციული წყაროების საფუძველზე გაიანგარიშება. დისპერსიისა და კონცენტრაციის ინდიკატორები შეიძლება გავიანგარიშოთ ყველა მსგავსი სასოფლო არისათვის.

გარკვეული პერიოდების მანძილზე ხშირად სასარგებლო ტენდენციის საზომის გამოყენება საშუალოების ბაზაზე. მის აღებია 5-წლიანი ინტერვალში ზრდის ტემპების გასაშუალოება, რათა თავიდან ავიცილოთ მოკლე ვადიანი გადახრები.

დონის, დისპერსიისა და ტენდენციის საზომები მოცემული სასოფლო ტერიტორიული ერთეულისათვის უნდა შეედაროს სხვა სასოფლო და ურბანულ ერთეულებს, რათა გამოვლინდეს აცდენები სოციალ-ეკონომიკურ და გარემოს განვითარებაში.

“მსუბუქი” და “მძიმე” ინდიკატორები

სტატისტიკაში ერთმანეთისგან ასხვავებენ “მსუბუქ” და “მძიმე” ინდიკატორებს. მძიმე ინდიკატორებით შესაძლებელია მოვლენების პირდაპირი გაზომვა. ასეთებია: სამუშაო ადგილების რაოდენობა, სამუშაოზე დახარჯული საათების რაოდენობა, შემოსავლები, თვითღირებულება, ხოლო მსუბუქი ინდიკატორებით უფრო უხილავი მოვლენები იზომება, როგორცაა: უნარ-ჩვევები, მოლოდინების დაკმაყოფილების დონე, რომელთა გაზომვა მხოლოდ არაპირდაპირ არის შესაძლებელი. ხშირად ორივე ინდიკატორით შეიძლება დავახასიათოთ პოლიტიკის რაიმე კონკრეტული საკითხი. მაგალითად, ბენეფიციარების აზრი აგრო-გარემოს სქემების ზემოქმედების შესახებ მათი ფერმების ბიო-მრავალფეროვნებაზე, – მსუბუქი ინდიკატორი იქნება, ხოლო უშუალოდ მათი ფერმის შინაური ფრინველების რაოდენობაზე, მძიმე.

2002-2006 წლებში მსუბუქი და მძიმე ინდიკატორები წარმატებით დაინერგა იტალიაში ევროკავშირის მიერ განხორციელებული რეგიონული განვითარების ხელშეწყობის პროექტის შედეგების შეფასების მიზნით. მსუბუქი ინდიკატორებით შეფასდა საბოლოო მიზნები და ეფექტურობა სხვადასხვა ტერიტორიების მიხედვით. ამ ინდიკატორებით განისაზღვრა შედარებითი მიღწევები და ნაკლოვანებები გადაწყვეტილების მიმღებთა დახმარებისათვის, თუმცა მათთვის დამახასიათებელი შეზღუდვების გამო მათი საშუალებით რაიმე მკაცრი შეფასებების გაკეთება შეუძლებელია. საპირისპიროდ, მძიმე ინდიკატორები პოლიტიკის გატარების შუალედური მიზნების ანალიზისათვის გამოიყენებოდა. მძიმე ინდიკატორებით შესაძლებელი გახდა ინიციატივებისა და სანქციების გაკონტროლება შედეგის მიღწევის პროცესში¹.

განსახილველი თემები და ინდიკატორების შერჩევა

რა თქმა უნდა, სასოფლო ინდიკატორების შერჩევა ინდიკატორების აგების ძირითად პრინციპებს ეფუძნება, თუმცა ეს პროცესი მანც განპირობებულია სასოფლო განვითარების

¹OECD (2008). Handbook on Constructing Composite Indicators Methodology and User Guide. OECD Publications, Paris.

თავისებურებებით. ამ მიზნით გამოიყოფა სამი ასპექტი:

ტერიტორია: სოფლის განვითარება – სივრცითი კონცეფციაა. ის მოიცავს პრობლემების, პერსპექტივების, შესაძლებლობებისა და პარამეტრების ტერიტორიულ განსხვავებებს. ეს განსხვავებები შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი კუთხით (მრავალფეროვნება), ისე უარყოფითად (უთანაბრობა). ორივე შემთხვევაში, ტერიტორიული განაწილება განსაზღვრავს ეკონომიკური, სოციალური და გარემოს სისტემების ვარიაციას და ქცევას, აქედან გამომდინარე, მათთან დაკავშირებული პოლიტიკების ეფექტურობასაც.

თემები: სოფლის განვითარება მრავალსექტორული კონცეფციაა, რომელშიც ერთიანდება დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს საკითხები, რაც სექტორთაშორის ანალიზს მოითხოვს და მისთვის უცხო არ არის მრავალი აქტივობისა და პოლიტიკის პორიზონტალური ინტეგრაცია.

დრო: სოფლის განვითარება დინამიკური პროცესია. მისი კავშირი დროსთან უნდა აისახებოდეს კონკრეტული ტექნოლოგიური პარამეტრების, ეკონომიკური სტრუქტურების, ან სოციალური ურთიერთობებისა და განხორციელების ცვლილებების ფონზე.

სასოფლო არეების ინდიკატორების ნებისმიერი ნაკრები უნდა გვაწვდიდეს საჭირო ინფორმაციას ეკონომიკური, სოციალური და გარემოს ჭრილებში სხვადასხვა საკითხებზე და აღნიშნული უნდა გაკეთდეს ტერიტორიული განსხვავებების გათვალისწინებითა და დროში განხორციელებული ცვლილებების ასახვით. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს მაღალი კორელაციის მქონე ინდიკატორების გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ პარალელური ინფორმაციის მიღება (როდესაც მსგავსი ინდიკატორები მსგავს ინფორმაციას გვაწვდიან), რაც დაგვიზოგავსმნიშვნელოვან დანახარჯებს და არ გამოიწვევს ამოუაურზაურს¹.

ევროკავშირის მიერ შემუშავებულია მანკენებლები, რომელთა საშუალებით სხვადასხვა საფეხურებზე შესაძლებელია სასოფლო განვითარების პოლიტიკის ასახვა. მაგალითად:

საბაზისონდიკატორები გამოიყენება SWOT ანალიზში და პროგრამის სტრატეგიის განსაზღვრის პროცესში.

დანახარჯების (შემაჯავალი) ინდიკატორები ორიენტირებულია ბიუჯეტზე ან სხვა რესურსების გამოყენებაზე, *გამოშვების (გამომავალი)* ინდიკატორები ზომავენ პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობებს, რომლებიც პირდაპირაა ჩართული საოპერაციო მიზნების განხორციელებაში. ისინი ფასდება როგორც რაოდენობრივი, ისე ღირებულებითი საზომი ერთეულებით: ტრენინგების რაოდენობა, ფერმების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ინვესტიციები, ინვესტიციების მოცულობა და ა.შ.

საშედეგო ინდიკატორები ზომავენ პირდაპირი ბენეფიციარების ქცევების, შესაძლებლობების სწრაფცვლილებებს როგორც რაოდენობრივი, ისე ღირებულებითი საზომი ერთეულებით: შექმნილი სამუშაო ადგილების მთლიანი რაოდენობა, წარმატებული ტრენინგების შედეგები და ა.შ.

ზემოქმედების ამსახვიონდიკატორები, რომლებიც სწრაფი შედეგების მიღმა მიზნების უფრო ფართო წრეს მოიცავენ, ისინი უფრო “წმინდა” ხასიათისაა და გამორიცხავენ ისეთ ეფექტებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული პოლიტიკის გატარებასთან (მაგ. ორმაგი აღრიცხვა, აუნაზღაურებელი დანაკარგები) აგრეთვე ითვალისწინებენ არაპირდაპირ ეფექტებს (გადანაცვლებები და მულტიპლიკატორები). აღნიშნულის მაგალითებია: დასაქმების ზრდა სასოფლო დასახლებებში, სასოფლო-სამეურნეო სექტორის მწარმოებლურობის ზრდა, განახლებადი ენერჯის გაზრდილი წარმოება.

განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ქვეყნებს და მათ შორის განვითარებად ქვეყნებს, შეუძლიათ დაამუშაონ განსხვავებული, მაგრამ ზემოაღნიშნულთან ურთიერთგადამკვეთი მანკენებელთა სისტემა, სადაც უფრო მკვეთრად აისახება სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული როლი შემოსავლების შექმნასა და დასაქმების უზრუნველყოფაში.

MARINE MINDORASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

THE ROLE OF STATISTICAL INDICATORS IN GLOBAL STRATEGY OF AGRICULTURE DEVELOPMENT

Summary

Agricultural Statistics are used by variety of users due to increased importance. Today Policy makers, donors, private sector, researchers, all of them need statistical information for challenging differently framed and newly recognized critical issues. Therefore, many traditional indicators remain relevant, while others need to be refocused or developed anew. The paper deals with new dimensions of agriculture indicators followed from Conceptual framework for agriculture statistics. These issues are: general nature of indicators, quality issues, themes and set of indicators for different rural areas and economies.

¹ Gianfaldoni, V. & Pizzoli, E. (2009). Social Well-Being, Economic Development and Sustainability in Rural and Urban Areas. A Comparison of Indicators. Second Wye City Group Meeting on Statistics on Rural Development and Agriculture Household Income, Rome.

ბენუჩი ინჟინერიის თანამდგომი და პოტენციური რისკები

ბიოუსაფრთხოება საერთაშორისო ტერმინია და იმ პრობლემატიკას აღნიშნავს, რომელიც თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მიღწევებს უკავშირდება, პირველ რიგში გენურ ინჟინერიას და გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს (ამ მნიშვნელობით გამოიყენება იგი გაეროს ბიოუსაფრთხოების კონვენციის კარტახენას ოქმში).

ყველასათვის ცნობილია, რომ ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის და მათი მხარდამჭერების დაპირებები ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა. ნაცვლად შეპირებული ეკოლოგიურად მდგრადი, უკეთესი ხარისხის და იაფი პროდუქციისა, მსოფლიოს უკეთ გამოკვების პრობლემის დაძლევის საშუალების აღმოჩენისა, ფაქტიურად სახეზეა შეშფოთებული სახელმწიფოები და გაღიზიანებული ბიოტექნოლოგიური გიგანტები, რომლებიც ყველა ძალისხმევას მიმართავენ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ფართომასშტაბიანი დანერგვისათვის მსოფლიო ბაზრებზე. ძნელად თუ მოიძებნება მკაფიო სარგებელი ფერმერებისა და მომხმარებლისათვის, არამედ, ყოველწლიურად სულ უფრო ცხადი ხდება გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან და გმო პროდუქტების გავრცელებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური, ეკონომიკური, სამედიცინო და სოციალური რისკები. განვით რეზიდი ქვეყნები სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან გმ მცენარეების გამო. ევროკავშირმა გამოაცხადა მორატორიუმი გმ მცენარეების თესვის შესახებ. ბევრმა ქვეყანამ (ინდოეთი, გვატემალა, უგანდა, ბოსნია, ზამბია) უარი თქვა იმ სასურსათო დახმარებაზე, რომელიც გენმოდიფიცირებულ საკვებს შეიცავდა. ევროკავშირმა მომხმარებელმა მიაღწია იმ კვების პროდუქტების სამართლიან მარკირებას, რომლებიც შეიცავენ გმო-ს. ამ მხრივ ევროკავშირს დიდად ჩამორჩებიან ყოფილი სსრკ-ის ქვეყნები; მიუხედავად მათი ევრი თვალსაჩინო ღონისძიებებისა, არასაკმარისი ინფორმირებულობა და საზოგადოებრივი კონტროლის განუხორციელებლობა ზემოთ აღნიშნულ რისკებს კიდევ უფრო ზრდის. შექმნილ სიტუაციის პროვოცირებას ახდენს ის გარემოება, რომ გენურ ინჟინერიაში სამეცნიერო კვლევები ცალკეული და დამოუკიდებელია და გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს და ხშირად ვერ უსწრებს ბიოტექნოლოგიური კომპანიების მარკეტინგულ ძალისხმევებს (მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებას), მათ მცდელობას, ზეწოლა მოახდინონ ქვეყნებზე (აკრძალვების შემომღებ ქვეყნებს ემუქრებოდნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მხრიდან სავაჭრო სანქციების დაწესებით. ასეთი სანქციების ქვეშ მოექცნენ: ხორვატია, ბოლივია და შრი-ლანკა).

დღითი-დღე იზრდება მოსახლეობის წინააღმდეგობა გმო-სადმი, მაგრამ არაა საკმარისი. ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ გენური ინჟინერიის პროდუქტებს შეიძლება შეეხვედეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში: საკვებში, წამლებში, მცენარეებში, ბავშვთა კვებაში; მილიონებისთვის უცნობია მათი მოხმარების შედეგები. გენური ინჟინერიის ტექნოლოგია ნებისმიერი ცოცხალი არსების გენების შერევის საშიშ რისკს მიმართავს. იგი არ კმაყოფილდება გენების გადატანით თევზიდან პამიდორში ან კაკლიდან სოიოში, არამედ, შექმნილია ბრინჯის და სიმინდის ჯიშები ადამიანის გენით, მიმდინარეობს ექსპერიმენტები ადამიანის ზრდის ჰორმონების თევზში და ღორში გადატანით, არსებობს პროექტი ისეთი ტრანსგენური თხის, რომელიც ქალის რძის „ანალოგის“ მომცემი უნდა იყოს.

გმ პროდუქტებს 3 ძირითად კატეგორიად ყოფენ:

1. გმ ინგრედიენტების (ტრანსგენური სიმინდი, სოიო და სხვა) შემცველი პროდუქტები; ისინი საკვებში შეიძლება იყოს როგორც სტრუქტურის წამომქმნელი, დამატკობელი, ფერის მიმცემი ან ცილის ოდენობის ამამაღლებელი;
2. ტრანსგენური ნედლეულის გადამუშავების პროდუქტები (სოიოს ხაჭო, სოიოს რძე, ჩიპსები, სიმინდის ბურბუშედა, ტომატის პასტა);
3. ტრანსგენური ხილი და ბოსტნეული;

- გმ პროდუქტების საკვებში გამოყენების შემდეგი ჯანმრთელობისათვის შესაძლო რისკები
- იმუნიტეტის დაქვეითება, ორგანიზმის ფუნქციონირების მკვეთრი დარღვევის შესაძლებლობა, როგორცაა აღერგია და მეტაბოლისტური მოშლილობა, ტრანსგენური ცილების უშუალო ზემოქმედების შედეგა: (ბრაზილიური კაკლის გენის სოიოში გადანერგვამ. ამ უკანასკნელში, ცილების რაოდენობის ზრდისთვის, აღერგიული რეაქციები გამოიწვია კაკლისადმი აღერგიულად განწყობილ ადამიანებში)
 - ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის დარღვევა ახალი დაუგეგმავი ცილების წარმოშობით და ადამიანისათვის ტოქსიკური პროდუქტებით (აღერგის გამოწვი ფორმები შეიძლება წარმოიქმნას ბაქტერიების და ვირუსების);
 - მდგრადობა ანტიბიოტიკების მიმართ (გმო-ს მიღებისას გამოიყენება ბაქტერიული წამოშობის ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი „გენი-მარკერი“, რომელიც შეიძლება გადავიდეს ნაწლავის

მიკროფლორაში, რაც აჩვენა კიდევ ექსპერიმენტმა (4) და გმო-ს შემცველი პროდუქტების მოხმარებისას ანტიბიოტიკები სრულიად არაეფექტური აღმოჩნდეს);

- ჯანმრთელობის დარღვევა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ჰერბიციდების დაგროვებას უკავშირდება (ბევრი ტრანსგენური მცენარეები კი არ ნადგურდება, არამედ სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების აკუმულირებას ახდენენ. მაგ: ჰერბიციდ გლიფოსატისადმი მდგრადი შაქრის ჭარხალი, აგროვებს ტოქსიკურ მეტაბოლიტებს. არის საშიშროება, რომ ჰერბიციდებისადმი მედეგი კულტურების გამოყენება მინდვრებში ჰერბიციდების მოხმარებას ზრდას გამოიწვევს, გარემოსა და საკვებში მეტი ქიმიკატების მოხვედრას, მეტ სიმსივნეებს და სხვა დაავადებების რისკს ზრდის).
- ადამიანის ორგანიზმის მიერ აუცილებელი ნივთიერებების მიღების შემცირება (გენური ინჟინერიის მესვეურებს სურთ დაგვარწმუნონ, რომ გმ პროდუქტების ანალოგები ექვივალენტურია, მაგრამ მეცნიერები ჯერ-ჯერობით მტკიცე, პაუსსს ვერ იძლევიან, რადგან ჩვეულებრივი სოიოს და მისი გმ-ანალოგების კვლევისას ზოგიერთი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა). (4).
- კანცეროგენური და მუტაციური ეფექტები (ამ დროს მიმდინარე ცვლილებების შედეგების და შესაბამისად ტოქიკური, ალერგიული, კანცეროგენური და მუტაგენური პროდუქტების (ნივთიერებების წარმოშობის ალბათობის წინასწარმეტყველება შეუძლებელია) – გმ ბაქტერიის ტრიფტოვანის საკვებდანამატის წარმოებაში გამოყენების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა, 1500-ს სისხლის დაავადება აღმოაჩნდა). (3).

ეკოლოგიური რისკები:

ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის და გენური ინჟინერიის და გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი რისკი ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემის ნგრევას უკავშირდება. დღს სამყაროს გენეტიკურ დაბინძურებასთან ბრძოლა უხდება და იგი დიდ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან ქიმიური და რადიოაქტიური დაბინძურებისაგან განსხვავებით ნაკლებადაა შესწავლილი, შეუძლებელია მისი შეჩერება და ლიკვიდირებაც კი აუცილებლობის შემთხვევაში (დამტკიცებულია, რომ ჰერბიციდებისადმი მდგრადი გმ მცენარეების ზრდის ქიმიკატების გამოყენებას და შესაბამისად გარემოს ქიმიური დაბინძურების პრობლემას კიდევ უფრო რთულს ხდის საფრთხეს უქმნის საკვების და სასმელის წყლის სისუფთავეს).

გმო-ს გამოყენების შედეგად ყველაზე მეტი ალბათობით მოსალოდნელია:

- რამდენიმე თაობაში თვისებების ცვლილებების გახანგრძლივების რისკი;
- მუტანტი – ორგანიზმის წარმოქმნა (მაგ. სარეველების) არაწინასწარმეტყველებადი თვისებებით;
- არასამიზნე მწერების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების დაზიანება (მაგნებლებისადმი გამძლე მცენარეები საზიანოდ მოქმედებენ ზოგიერთ არამიზნე მწერებზე და უხერხემლო ორგანიზმზე;
- ეკოსისტემის – კვების ჯაჭვის ყველა მონაწილეზე ნეგატიური ზემოქმედება (როცა ტრანსგენური კომპონენტების შემცველობა საკვებმა შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს როგორც თევზზე, ასევე მისმა გამოყენებამ ფრინველის თუ ადამიანის საკვებში);
- ტრანსგენური ტოქსინებისადმი მდგრადობა მწერების, ბაქტერიების, სოკოების და სხვა მავნებლებისა;
- ახალი, პათოგენური და ნაკლებ სპეციფიკური ფიტოვირუსების გაჩენა ტრანსგენური კონსტრუქციების ზემოქმედების გამო;
- კულტურული მცენარეების მონათესავეების გენოფონდის დაკარგვა ტრანსგენური მცენარეებისაგან დამტვერვის გამო;
- პოპულაციებში დაწველების სისტემის ცვლილება; იმ ფიზიკური და ქიმიური გარემოს მოდიფიკაცია, რომელზეცაა დამოკიდებული აბორიგენული ჯიშები;

აგროტექნიკური რისკები:

სოფლის მეურნეობაში გმო-ს გამოყენების რისკმა შეიძლება გამოიწვიოს მიწათმოქმედების ყველა ტექნოლოგიის ნგრევა (სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიღება-დამუშავებისა და მოსავლის შენახვისა).

ერთ-ერთი ძირითადი საშიშროება, რომელიც გმ კულტურების მასიურ გაშენებას მოსდევს, არის სოფლის მეურნეობაში ალტერნატიული ფორმების გაუფასურება კერძოდ (ეკოლოგიური) მიწათმოქმედებისა. ნატურალური სასოფლო-სამეურნეო კულტურები გმ ანალოგების დამტვერვისაგან ტრანსგენური ხდებიან. მისი შეჩერებაც კი შეუძლებელი შეიძლება გახდეს. გენის „გაჟონვა“ გმ მცენარეებიდან ტრადიციული სელექციის კულტურებზე თითქმის ყველა ტრანსგენური კულტურიდან (სოიო, სიმინდი) რეგისტრირებულია – (4)

გმ მცენარეების გამოყვანას თან ახლავს ისეთი სასოფლო-სამეურნეო პრობლემები, როგორიცაა:

- ტრადიციული სორტების დაბინძურება ტრანსგენური კონსტრუქციებით;
- მავნებლების და სარეველების ახალი მდგრადი ფორმების გაჩენა;
- აფეთქება მავნებელთა რიცხოვნობაში;
- ძველი მავნებლების გადასვლა ახალ კულტურებზე;
- სასარგებლო მწერების დაზიანება, განადგურება;
- ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების, მოსავლიანობის მოშლა;
- სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესატანი ქიმიკატების მოცულობის ზრდა;
- გმო-ს მასიური გამოყენების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების საწყისი, ბუნებრივი მრავალფეროვნების შემცირება;
- პარაზიტებისადმი მდგრადობა (პარაზიტმა მწერებმა შესაძლოა გამოიმუშაონ იმუნიტეტი მცენარეებისადმი, რაც ამცირებს არსებული ტ-ს ინსექტიციდების ეფექტურობას. მცენარეები მწერებისადმი მდგრადი პესტიციდ მცენარეებია, რომელშიც ჩანერგილია ტოქსინის გამომამუშავებელი ბაქტერია – სიმინდი პოპულარულია, რადგან ზრდის მოსავალს მავნებლების განადგურების ხარჯზე, თუმცა დამღუპველად მოქმედებს არასამიზნე მწერებზე და მავნე და აღერგიულია ადამიანებისათვის).
- მცენარეული სათესლე მასალის წარმოების მონოპოლიზაცია, დამამუშავებელი კომპანიების მიერ გენების ჩანერგვის დაპატენტების შედეგად.
- სუპერსარეველების გაჩენა (ჰერბიციდებისადმი მდგრადობის განმსაზღვრელი გენები დამტკვრვის გზით შესაძლოა გადაეცეს მონათესავე მცენარეების ველურ ჯიშებს. კანადაში კანოლას დამამუშავებელი მდგრადობა 3 სხვადასხვა სახის ჰერბიციდის მიმართ). (2).

ეკონომიკური რისკები:

ნატურალური პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნებისათვის გმო-ს გამოყენებას დიდ დარტყმის უნარი აქვს, რადგან მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე (ამაზე მეტყველებს ევროპული ქვეყნების აქცენტი რუსულ პროდუქტებზე და რუსი მეცნიერ-სპეციალისტების უკანასკნელი შეშფოთება ქართული პროდუქციის მიმართ და საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების ლაბორატორიის შექმნის გამო).

ბოლო წლებში სულ უფრო მეტია ფაქტები იმ კოლოსალური ზარალისა რომელიც ფერმერებმა სხვადასხვა ქვეყნებში მიიღეს ტრანსგენური მცენარეების (ბამბა, პამიდორი, კანოლა) მოყვანის და თესლის გამოყენების გამო (გახმაურებული კანადელი ფერმერის ამბავი, რომელმაც თავის ფართობზე ტრანსგენური მცენარეები აღმოაჩინა და ვერც კი მოასწრო დაბინძურებისათვის ზარალის კომპენსაციის მოთხოვნა, რომ კომპანია „მონსანტომ“ იქვე დაადანაშაულა) ისინი არ ფარავენ რომ ჰერბოციდების ფასების შემცირების ტემპს გაცილებით უსწრებს თესლის ფასის ზრდის ტემპი. მიიჩნევენ, რომ პატენტები იაფი კი არ უჯდებათ, არამედ ფასები გეომეტრიული პროგრესით იზრდება. ამერიკელი ფერმერების უკეთესი მდგომარეობა კი სახელმწიფო დოტაციების ხარჯზეა;

კორპორაციები, რომლებიც ვაჭრობენ იმ მცენარეებით, და ქიმიკატებით, თესლის მწარმოებელი კომპანიებისაგან მცენარეთა ჯიშების დაპატენტების და ფერმერებზე შეზღუდვების დაწესების გზით ცდილობენ მოიპოვონ კონტროლი სოფლის მეურნეობაზე და კვების წარმოებაზე.

მომხმარებლისათვის ჩვეულებრივ, ტრადიციული გზით მიღებულ პროდუქტზე არც იაფი და არც უკეთესი ხარისხის პროდუქციის შეთავაზება ნაკლებმომგებიანია (იმ პირობებში, როცა იკვეთება ჯანმრთელობაზე და გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკები)

ბოლო ათეული წლების კვლევამ და ანალიზმა აჩვენა, რომ მითი მოსავლიანობის ზრდის შეახებ არ გამართლდა (ამერიკაში ნებრასკას უნივერსიტეტის და არგენტინის უნივერსიტეტების ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ ტრანსგენური მცენარეების მოსავლიანობა 6-7%-ით ნაკლებია ანალოგებთან შედარებით).

განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობამდე მივდივართ, როცა კონტროლი შეუძლებელი ხდება.

ტრადიციული კულტურების დაცვა ტრანსგენების დაბინძურებისაგან შეუძლებელი ხდება მათი ღია გრუნტის პირობებში მოყვანის დროს. საერთაშორისო ორგანიზაციები ახდენენ იმ არაკონტროლირებადი დაბინძურებული მიწების სტატისტიკას, სადაც იზრდება ჩვეულებრივი კულტურები და მათი გმ ანალოგები. (საერთაშორისო ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრების“ ასეთი დაბინძურების უამრავი ფაქტი აქვს). (1) ტრანსგენური მცენარეების კვალი ცხოველურ პროდუქტებში დაფიქსირებულია. 2004 წ. „გრინპის ინტერნეიშენლმა გამოაქვეყნა მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რძის პროდუქტებზე კონტროლის ცენტრის მონაცემები, რომლის მიხედვით ძროხის რძეში პირველად აღმოჩნდა გმ მცენარეების კვალი.

მეცნიერები იმ რისკებს განსაკუთრებით ყურადღებას უთმობენ, რომლებიც ფარმაცევტული პრეპარატების სინთეზირებას და გმ დანამატებს უკავშირდება. არსებობს დიდი რაოდენობით ბრინჯის და სიმინდის სორტები, რომლებიც ბიოტექნოლოგიური კომპანიების აქტიური დამუშავებით კულტურები უკავშირდება და ატარებენ ბიოლოგიურად აქტიურ შემავსებლებს (ზრდის პორმონებს, ვაქცინებს, კონტრაცეპტულ ცილებს) ამგვარად მოდიფიცირებული პროდუქტები სპორტსმენებისათვის და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის თურმე განკუთვნილი

გენური ინჟინერიის ტექნოლოგია ნების (ანოგაციის ბოლო ნაწილი) ნებისმიერი ცოცხალი არსების გენების შერევის მცდელობას მიმართავს ყოველგვარი ეთიკური ჩარჩოების გარეშე, რამაც შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს თუ მეცნიერება და საზოგადოება ერთობლივი ძალებით წინ არ აღუდგება ბიოტექნიკური ინდუსტრიის კომერციულ და მარკეტინგულ ძაღისხმევებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიომრავალფეროვნება, საკვები-წამლები. ვინ აკონტროლებს მათ? შესავალი სახელმძღვანელო ცოცხალი ორგანიზმების პატენტირების შესახებ 2002 შ უროპე, საქართველოს მცენარეთა მოძრაობა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“;
2. გენმოდიფიცირებული მცენარეები – წარუმატებლობის ათი წელი [1994-2004] საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, არასამთავრობო ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრები“ და ფონდი ჰივოსი თბილისი 2004;
3. დრამა სამზარეულოს მაგიდაზე. (პოპულარულად გენური ინჟინერიის შესახებ). საქართველოს მწვანეთა მოძრაობა 2002;
4. ГМО: контроль над обществом или обизественный контроль? РОО «ЭК «Эремурус», 2005.

TSIRA MIKATADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Professor

GENETIC ENGINEER RELATED AND POTENTIAL RISKS

S u m m a r y

At present time It is impossible to see clearly the beneficial results of genetic engineer. Promises of the genetic engineer bearers that the hunger constraints will be overcome and we will obtain cheap and high profile production, economically strong agriculture and the products safety have not yet achieved. Furthermore economical, ecological and social risks are increasing that arises concern of the world society. The bases of it actually exists owing to technology of the genetic engineer which applies any attempts to mix genes of any live creature without any ethic norms, this will bring us to catastrophe unless a science or a society prevent it together with all joint efforts and put barriers against commercial and marketing attempts of biotechnical industry.

შანი მიქაშაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

მახტანო მიქაშაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აჭარის აბრტუშისტული პოტენციალი – პრობლემები, ბანვითარების პერსპექტივები

საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის განვითარების დანქარება, უმუშევრობის შემცირება, ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, წამყვანი დარგების ამოქმედება, მათი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და როგორც შედეგი, თითოეული ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის პერსპექტიულ მეცნიერტევად დარგების განვითარებას, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს და ერთგვარ მულტიპლიკატორს წარმოადგენენ ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებაში, აღნიშნულ დარგებს მიეკუთვნება ტურიზმი. იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიური და სწრაფად განვითარებადი დარგია, რის გამოც ათასწლეულის ეკონომიკურ ფენომენადაა აღიარებული. ამიტომ ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება როგორც ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოში ტურისტთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. კერძოდ, თუ 2000 წელს მსოფლიოში ტურისტთა შემოსვლები შეადგენდა 674 მილიონ კაცს, 2011 წლისათვის იგი 45,4%-ით გაიზარდა და 980 მილიონი შეადგინა, 2012 წელს კი ამ მაჩვენებელმა მსოფლიოში გადააბიჯა მილიარდიან, ხოლო ევროპაში- ნახევარმილიარდიან ზღვარს. საქართველოში 2012 წელს უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 55,6%-ით და შეადგინა 4,4 მლნ კაცი, ამ მაჩვენებლებმა აჭარაში კი შეადგინეს 55,4% და 747 ათასი კაცი.

ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გაეროს ეკოლოგიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) ერთობლივი ღონისძიების საფუძველზე შეკრებილ (რიო-დე-ჟანეირო, 2012 წლის 19 ივნისი) საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა მოსხვენებებში აღინიშნა რომ „მწვანე“ ინოვაციებს ტურიზმში შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას, დანახარჯების შემცირებას, შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, ტურისტული კომპანიების კონკურენტული უპირატესობის ზრდას და სხვ.

სწორედ საარსებო გარემოს გადარჩენისა და მდგრადი განვითარების საქმეს ტურიზმის სხვა მიმართულებებთან ერთად აქტიურად ემსახურება აგრარული ტურიზმი, რომელიც ახალი მოვლენაა ტურისტულ ინდუსტრიაში. იგი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს ტურისტთა დასვენებას შედარებით წყნარ და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნების პირობებში. აგროტურისტები დაინტერესებული არიან მიიღონ სიამოვნება დაცული ტერიტორიისა და ველური ბუნების წიაღში გასეირნებით, აგრეთვე როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექმნილი ისტორიულ-კულტურული ღირებულების დათვალიერებით. საკვებად მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, იცხოვრონ სოფლის ცხოვრებით, გაეცნონ სოფლის მაცხოვრებელთა ყოფას, ტრადიციულ და კულტურულ თავისებურებებს. ტურიზმის ეს სეგმენტი ამავე სფეროს სხვა სახეობებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ არ საჭიროებს განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემოზე ზიანის მიყენება [3, 199–200].

აგრარული ტურიზმის განვითარებისათვის უმთავრეს და აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ ტურისტთა განთავსების ადგილი უნდა იმყოფებოდეს სოფლად ან მცირე ქალაქებში, რომლებიც გარკვეული მანძილით არიან დაცილებული სამრეწველო ობიექტებისა და მრავალსართულიანი მშენებლობებიდან. იმ შემთხვევაში თუ განთავსება ხორციელდება ფერმერულ მეურნეობაში ან სოფლის სახლში, მაშინ ტურისტთა მიღებას და მომსახურებას თავისთავზე იღებს სტუმრის მიმღები ოჯახი. აგრარული ტურიზმის განვითარების მოთხოვნები რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასოფლო ადგილებში ტურისტული რესურსების არსებობა. ეს შეიძლება იყოს უნიკალური ბუნებრივი ობიექტები კერძოდ, ბალნეოლოგიური კურორტები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ჩანჩქერები და ა.შ. აგროტურიზმისათვის მეორე პირობას წარმოადგენს განთავსების თავისუფალ ადგილთა არსებობა – კარ-მიდამო, კოტეჯები, მონასტრები, აგროტურისტული სოფლები, სანადირო და სათევზაო სახლები, კემპინგები და სხვა. მესამე პირობა აგროტურისტული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის არის სპეციალური ორგანიზაციულ-ფინანსური და საკანონმდებლო ღონისძიებები, რომელიც სტიმულს აძლევს სამეურნეო აქტიურობის მოცემულ სახეს. ტურიზმის აგროტურისტული მიმართულება მრავალმხრივია და თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელია აგროტურისტული პროდუქტების სპეციფიკა და თავისებურება. ამიტომ, აგრარული (სოფლის) ტურიზმის ერთიანი უნივერსალური კონცეფცია დღეისათვის არ არსებობს. საერთოს წარმოადგენს ის, რომ აგროტურიზმი ფაქტობრივად გადაიქცა ეკონომიკის ეფექტიან და შემოსავლიან წყაროდ [4, 401].

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მისი რეგიონების უმეტესობას კერძოდ, აჭარას აგროტურიზმის სფეროში შედარებითი უპირატესობანი გააჩნია. ეს არის ჩვენი ქვეყნის უძველესი ცივილიზაცია, არსებული ტრადიციები, გეოგრაფიული მდებარეობა, სტრატეგიული სავაჭრო გზები, ფლორისა და ფაუნის დიდი მრავალფეროვნება, ხალხის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ღირსშესანიშნაობანი. ამასთან ერთად, აჭარას გააჩნია თვალწარმტაცი ბუნება, თბილი კლიმატი, რბილი, ჯანსაღი ჰავა, დიდებული მთები, ულამაზესი პლაჟები, მინერალური წყლები, საინტერესო ლანდშაფტები და სხვა. ამ რესურსების უნიკალური შეხამება ქმნის რეგიონის უმეტესი ნაწილის რეკრეაციულ ზონად ჩამოყალიბების შესანიშნავ პირობებს. ტურიზმის განვითარებამ შეიძლება კატალიზატორის როლი შეასრულოს როგორც აჭარის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების სრულფასოვანი გამოყენება.

აგროტურიზმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აჭარისათვის განაპირობებს ისიც, რომ სოფლის მეურნეობა რეგიონის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთლიანი მიწის ფონდის 25,1%-ს (72862 ჰა) შეადგენს. აჭარის მთლიანი მოსახლეობის 55%-მდე სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 94%-ს შეადგენს. ბუნებრივია, აღნიშნული ფაქტორები ქმნის რეგიონის აგროტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს. საჭიროა აღინიშნოს, რომ აჭარაში უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგრანტო პროგრამების, ფონდების,

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სასტუმრო სახლების მოწყობა ტურისტთა მისაღებად. ასე მაგალითად, ამჟამად რეგიონში ფუნქციონირებს 10-მდე აგროტურისტული მეურნეობა კერძოდ, სოფ. ჩაქვისთავში-2 (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), სოფ. ცხემლარაში -1 (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), სოფელ გობრონისა და ვაიოში-3 (ქედის მუნიციპალიტეტი), სოფ. ნიგაზეულში-4 (შუახევის მუნიციპალიტეტი). აღნიშნული აგროტურისტული მეურნეობების საოჯახო სასტუმროებში ერთდროულად შეუძლიათ დაისვენონ და დრო გაატარონ 75-80-მდე სტუმარმა [8].

ეკონომიკურ-სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ აგროტურიზმის განვითარება აჭარის რეგიონში და მთლიანად საქართველოში მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზეა, აქედან გამომდინარე, ცხადია, მინიმალურადაც კი არაა გამოყენებული ის დიდი პოტენციალი, რაც მთლიანად ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებს გააჩნია. ამის უმთავრეს მიზეზად, ჩვენი აზრით, შეიძლება მიჩნეული იქნას სოფლის მეურნეობაში განვითარებული უარყოფითი ტენდენციებისა და უკანასკნელ ათწლეულში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახლებური მიდგომების გაუთვალისწინებლობა. ცნობილია, რომ აგრალური საბაზრო წარმოება თანამედროვე პირობებში იძლევა სოფლად სამუშაო ადგილების მხოლოდ მესამედს. ეს კი უარყოფით ასახავს კპოვებს მთელი მოსახლეობისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასაქმებაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, შემოსავლების ოდენობასა და საერთოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ამასთან, სოფლის მეურნეობაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კარდინალური ცვლილებების განხორციელებით, რომელიც გამოიხატება მეურნეობრიობის ახალი თანამედროვე მეთოდების გამოყენებაში. ასეთი პოლიტიკის გატარების ეფექტიანი გამოცდილების დემონსტრირება გვიჩვენებს ევროკავშირის ქვეყნებმა. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ევროპის განვითარებული ქვეყნები გახდა სოფლმეურნეობრივი წარმოების ინოვაციის კერძოდ, აგროტურიზმის განვითარების სამშობლო. აგროტურიზმი ეს ინოვაციური საქმიანობის შედეგია ტურიზმის სფეროში, რომელმაც გადააჩინა ევროპის ქვეყნების სოფლები და სასოფლო დასახლებები მიგრაციული პროცესებისა და სხვა უარყოფითი შედეგებისგან და განვითარების ახალი სტიმული შესძინა მათ. საყურადღებოა ის, რომ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების შემოღება წარმოადგენს სოფლის პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს და ხელს უწყობს სოფლის ახალი იერ-სახის ჩამოყალიბებას.

აგროტურისტული მომსახურების სფეროში ინოვაციური მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა კვიპროსის გამოცდილება. ამ ქვეყანაში შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით ხორციელდება სასოფლო სახლების რესტავრაცია და ეროვნულ სტილში გაფორმება თანამედროვე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში და სურვილისამებრ იარონ ზღვის სანაპიროზე. შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყურძნის კრეფასა და მის დაწურვაში, შეიარონ სამჭედლოსა და საფეიქრო სახელოსნოში. აგროტურისტული პროგრამა ამჟამად 1991 წლიდან კვიპროსის მთავრობის სრული მხარდაჭერით. შეიქმნა კვიპროსის აგროტურისტული კომპანია, რომელიც წარმოადგენს აგროტურისტული ობიექტების მფლობელთა ასოციაციას. კომპანია აწარმოებს ერთიან მარკეტინგულ პოლიტიკას, სარეკლამო კომპანიას, დაჯავშნის ცენტრალიზებულ სისტემას. უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის დამუშავებას და მის განთავსებას ერთიან ვებ-საიტზე, ტურისტები ძირითადად ჩამოდიან ევროპის ქვეყნებიდან (ბრიტანეთი, ავსტრია, გერმანია) [7, 413].

სამწუხაროდ, სრულიად განსხვავებული მიდგომარეობაა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე. აქ დაბალი მომსახურების ხარისხისა და ჯერ კიდევ მსოფლიო სტანდარტებთან შეუსაბამო ტურისტული ინდუსტრიის ფონზე, საგრძნობლად მაღალი ფასებია, რომელიც ვერანაირად ვერ იზიდავს უცხოელ დამსვენებელს. არ არსებობს არანაირი ფინანსური შეღავათები, რომელიც სტიმულს მიცემდა საქართველოს ტურიზმის ბაზარს განვითარებისათვის. გარდა ამისა, არ არსებობს ბიზნესის წარმართვის კულტურა, რომელიც მაღალი ფასებით დანახარჯების მყისეულ ამოღებაზე კი არ იქნება ორიენტირებული, არამედ მის მდგრად განვითარებაზე. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა კი ორიენტირებული უნდა იყოს ბაზრის ანალიზზე, დაგეგმვასა და პროგნოზირებაზე, რაც ზუსტად განსაზღვრავს ბაზრის შესაძლებლობებს, აქედან დასახავს განვითარების იმ რეალურ მიმართულებებს, რომელიც გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან იქნება დაკავშირებული და მთელი ეკონომიკისათვის დადებითი მულტიპლიკატორის მატარებელი იქნება [1, 583].

ცნობილია, რომ ტურისტული ბიზნესის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ეფექტიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის ფორმირებაზე. ამისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ფაქტორების, პირობების ანალიზისა და დიაგნოსტიკის შედეგების გამოყენება, არამედ იმ საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის შემოქმედებითად გამოყენება და მისადაგება ქვეყნის ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებებთან [ი. მესხია, 220]. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარების კარგად აპრობირებული კვიპროსის აგროტურისტული (კონცეფციის) მოდელის გამოყენება. ამ მოდელის აჭარის რეგიონისათვის მისადაგება შესაძლებლობას მოგვცემს ტურისტულ-რეკრეაციული მიზნით მოვახდინოთ ზღვისა და მთის შესაძლებლობების კომპლექსური გამოყენების იშვიათი შეხამება – ტურისტთა ნაკადების გადართვა სანაპირო ზონიდან მაღალი რეკრეაციული დატვირთვის მქონე შიდა მთიან სასოფლო რეგიონებში. აქ მხედველობაშია მისაღები ისტორიული გამოცდილებაც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ძველთაგანვე არსებობდა საქართველოს ქალაქისა და ბარის მოსახლეობაში ზაფხულში ქვეყნის მთიან სოფლებში ოჯახური დასვენების ტრადიცია. ტურისტებს საშუალება ექნებათ ზაფხულისა და შემოდგომის სეზონზე სურვილისამებრ დღის პირველ ან მეორე ნახევარში იარონ ზღვის სანაპიროზე ისუნთქონ ზღვის სასარგებლო ჰაერით, დატკბნენ მზისა და ზღვის აბაზანებით, ხოლო დღის დარჩენილი დრო გაატარონ და დაისვენონ იშვიათი კლიმატური თვისებების მქონე მთიან სოფლებში. რაც შეეხება წლის დანარჩენ პერიოდს (გაზაფხული, ზამთარი), ამ შემთხვევაში რეგიონის სანაპირო ზოლი და იქ განლაგებული ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრები და მისი მიმდებარე მთიანი სოფლები შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც კლიმატური კურორტები. აგროტურიზმის აშკარად გამოხატული უპირატესობა სწორედ ის არის, რომ იგი ორიენტირებულია მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებისათვის და ამავე დროს შეუძლია დააკმაყოფილოს სეზონური დაემსვენებლების მოთხოვნილებებიც. რა თქმა უნდა, ამისათვის აუცილებელია გაზაფხულსა და ზამთრის სეზონში საზღვაო კურორტები მოწყობილი იყოს თბილი ზღვის წყლით უზრუნველყოფილი დახურული აუზებით, ზღვის სიღების ხელოვნური პლაჟებით და სხვა. ეს კი ხელს შეუწყობს ტურისტული მომსახურების პერიოდის გახანგრძლივებას და ამინდის უარყოფითი შედეგების კომპენსირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ, აჭარის ზღვისპირეთის ზოლისა და მისი მიმდებარე მთიანი სოფლებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ნალექების სიუხვის მიუხედავად, აქ ჩვეულებრივ თბილი ზამთარი და ზომიერად ცხელი ზაფხული იცის. კლიმატის ეს თავისებურება კი მიმზიდველს ხდის ამ რეგიონს მთელი წლის განმავლობაში ტურისტების მოსაზიდად, რაც ხელს შეუწყობს მომავალში ტურისტთა რაოდენობის ზრდას და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმებას ტურისტულ სფეროში. ამის ფართო შესაძლებლობას იძლევა რეგიონის მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება, რადგანაც აჭარის სანაპირო ზოლიდან სულ რაღაც 7-10 კმ-ის დაშორებით არსებულ მთებზე შეფენილია ულამაზესი თვალწარმტაცი სოფლები, უნიკალური ტყის ფონდით, საინტერესო ფლორითა და ფაუნით, სამონადირეო და სათევზაო სივრცით, აგრეთვე მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით. ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მთიან სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩენილია და მისდევენ ორიგინალურ ხალხურ ხელოსნობას – ხეზე კვეთილობას, მუსიკალური ინსტრუმენტის (ჭიბონის) და ხის მერქნით დაწნული ნივთების დამზადებას. ტურისტებისათვის მეტად საინტერესო იქნება გლეხთა (ფერმერთა) სახლებში, როგორც ორიგინალურ მინიატურულ სასტუმროებში ცხოვრება, რათა დროებით მიანიც გამოეთიშონ ცივილიზებული სამყაროს სტრესებს და ჩაერთონ გლეხური ცხოვრების ატმოსფეროში. ტურისტები დიდი ინტერესით მოელიან საცხოვრებელ ადგილის ახლო-მახლო შთაბეჭდილებებით მოგზაურობებს, ისტორიული ძეგლების, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების, აგრეთვე დაცული ტერიტორიებისა (მტირილასა და მაჭახლის ხეობის ეროვნული პარკები, კინტრიშის ნაკრძალი, ქობულეთის დაცული ტერიტორია) და ბათუმის შესანიშნავი ბოტანიკური ბაღის ხილვას, ორიგინალურ ეროვნულ სამზარეულოსა და ქართულ ღვინოს.

რაც შეეხება მაღალმთიან აჭარის (ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტი) კურორტებსა (გოდერძის უღელტეხილი, ბეშუმში) და სოფლებს (ქედლები და გომართული) მათ, ჩვეულებრივ, ზაფხულსა და შემოდგომაზე იყენებენ დასასვენებლად სამთო-კლიმატური მიზნით, ხოლო ზამთარში (გარდა ბეშუმისა) როგორც სამთო-სათხილამურო კურორტებს. ამიტომ აქ უკვე არსებობს შედარებით კეთილმოწყობილი გზები, განთავსების საშუალებები (კოტეჯები, საოჯახო სასტუმროები), კაფეები, სასადილოები და სხვა ინფრასტრუქტურა, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას აგროტურიზმის განვითარებისათვის. ყოველივე ამას ემატება პეიზაჟების სილამაზე, კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი. ტურისტები აქ გაეცნობიან გლეხური ცხოვრების თავისებურებებს, რომელიც მოიცავს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებას, ბოსტან-ბაღში საქმიანობას, ველ-მინდვრებსა, სათიბ-საძოვრებსა და ჭალებში ერთობლივ საქმიანობას. მათ შეუძლიათ მაღალმთიან სოფლების მიმდებარე ტყეებში ინადირონ, ითევზაონ, აგრეთვე დააგემოვნონ ეკოლოგიურად სუფთა

პროდუქტებისაგან დამზადებული კერძები, გაეცნონ ადგილობრივი ფოლკლორისა და ხალხური რეწვის თავისებურებებს. კურორტ გოდერძის უღელტეხილსა და სოფლებში გომარდულსა და ქედლებში ზაფხულის ტურისტულ აქტივობებს შეიძლება დაემატოს ფეხით და ცხენით გასეირნება, კლდეზე ცოცვა, კიშინგის მოწობა და სხვა, ხოლო ზამთარში თხილამურებით სრიალი და სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებები აჭარის მასშტაბით.

ვესებით რა აჭარის რეგიონის უნიკალური რეკრეაციული შესაძლებლობების, ზღვისა და მთის რეკრეაციული რესურსების ბუნებრივი შეხამების სარგებლიანობას, ესთეტიკურ ფაქტორებთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამკურნალოდ ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის ზღვისა და მთის კეთილსასურველი თვისებების დიდი მრავალფეროვნება და მნიშვნელობა. ზღვის სანაპიროზე ყოფნისას ადამიანი ისუნთქავს მარილებით მდიდარ ჰაერს, რომელიც სასარგებლო გავლენას ახდენს მთლიანად ორგანიზმზე. მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ზღვის სანაპირო ადგილებზე მტკრისა და მავნე ბაქტერიების რაოდენობა ჰაერში მცირეა. ზღვის ჰაერის ასეთი თავისებური შემადგენლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრავალი დაავადების მკურნალობისათვის.

არანაკლები სამკურნალო თვისებებით ხასიათდება მთის ჰავა. სამედიცინო გამოცდილებით დადგენილია, რომ მთის ჰავა დადებითად მოქმედებს მთელ რიგ დაავადებებზე, რაც ხელს უწყობს ამ დაავადებისაგან წარმატებით განკურნებას. ამასთან, მთის ჰავისათვის დამახასიათებელია გრილი დღეები, რომლის პირობებში სწრაფად ხდება სიცხით გამოწვეული დარღვევების გამოსწორება. მთის კურორტები ხასიათდება მსუბუქი იონების ჭარბი შემცველობით. ბოლოს საჭიროა მოვიხსენიოთ მთის კურორტებისათვის დამახასიათებელი ჰაერის სისუფთავე და წიწვიანი მცენარეები, რომლებიც გამოყოფენ ადამიანისათვის სასარგებლო არომატულ ნივთიერებებს [2, 11–12].

ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული კვიპროსის მოდელის რეალიზაცია აჭარის რეგიონის ზღვისპირეთის ზონაში საშუალებას იძლევა დაწესდეს კონკურენტუნარიანი ტურპროდუქტების ფასები, რაც აამაღლებს მოთხოვნის დონეს და შესაბამისად გაზრდის თანმდევ დადებით ეფექტებს. კერძოდ, განაპირობებს სეზონურობის მნიშვნელოვან დაძვლებას, ტურისტთა რაოდენობის ზრდას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების მატებას, მოცემულ პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის ზრდას, ეკონომიკის მდგრად ფუნქციონირებას და განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, უფრო სტაბილურს გახდის აგროტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, სოფლის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის, აგრეთვე ბუნებისა და გარემოს დაცვას, ეკონომიკის მომიჯნავე დარგების სინქრონულ განვითარებას და აქედან გამომდინარე, მთლიანად ეკონომიკის აღმავლობას.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური საქმიანობისა და დაფინანსების სახელმწიფოებრივი ბერკეტების გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობა დარგისათვის, რომელიც მიჩნეული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად არ ითვალისწინებდა განსაკუთრებულ სპეციფიკურ მიდგომებს და პრეფერენციებს. არადა, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რაც უფრო ლიბერალურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მექანიზმებს იყენებს სახელმწიფო, მით უფრო სტაბილური, მდგრადი და სწრაფად განვითარებადი ხდება ტურისტული ბიზნესი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვითარებული უცხოური ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გამოყენება აჭარის რეგიონის ტურიზმის სფეროს განვითარებაში. იგი ითვალისწინებს პირდაპირ საბიუჯეტო დოტაციების და ტრანსფერების, პირდაპირი საბიუჯეტო ინვესტიციების, საგადასახადო შეღავათების და სხვა პრეფერენციების გამოყენებას. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ფინანსური მხარდაჭერა შეუძლებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო. ჩვენი აზრით, ამ პირობებში საჭიროა ირიბი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების უფრო აქტიურად და გაბედულად გამოყენება. მიზანშეწონილია ამ ეტაპზე დაინერგოს საგადასახადო პრეფერენციების სხვადასხვა სახე. მათ შორის ისეთები როგორცაა საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო არდადეგები, ტურისტული საგნების ზოგიერთი სახეობის წარმოებისა და იმპორტის გადასახადიდან გათავისუფლება, საგადასახადო განაკვეთის შემცირება (დიფერენცირება), გადასახადის დროის გადავადება, ადრე გადახდილი გადასახადის დაბრუნება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში სახელმწიფოს ხელშეწყობა და სხვა.

ამგვარად, აჭარის ტურიზმის სექტორსა და მის ცალკეულ მიმართულებებში, მათ შორის აგროტურიზმში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოსა და ბიზნესსაზოგადოების ინტერესების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნას ქვეყანაში ტურისტული მომსახურების ახალი კონცეფცია, რომელიც დაფუძნებული იქნება ტურისტული ინდუსტრიის

განვითარების ახალ ინოვაციურ მოდელზე. ამ მოდელის პრიორიტეტი უნდა იყოს სხვადასხვა პრეფერენციებისა და შეღავათების გამოყენების გზით ტურისტული ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ტურიზმის სფეროში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე ახალი, განსხვავებული ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების შექმნა და შეთავაზება მომხმარებლისადმი. ასეთ პირობებში ტურისტულმა ორგანიზაციებმა არა მარტო უნდა აწარმოონ ახალი ტურპროდუქტები, არამედ დროულად მოახდინონ რეაგირება ახალ ცვლილებებზე ტურიზმის მომიჯნავე საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, დანერგონ მუშაობის ახალი მეთოდები და გააუმჯობესონ საქმიანობის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩაგელიშვილი ლ., ინოვაციები ტურიზმში და ტურიზმის მდგრადი განვითარება, სამეცნიერო შრომების კრებული, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2010, გვ. 582–587.
2. გაბუნია ი., საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა, გამომც., „ქართული ფილმი“, თბ., 1996, 125 გვ.
3. მაისურაძე დ., ი. ვერბეცკი, თ. ხუციშვილი, ეკოლოგიური ტურიზმის საფუძველები, გამომც., „საარი“, თბ., 2008, 231 გვ.
4. Воскресенский В.И., Международный туризм, издательство «Юнити-Дина», М., 2008, 463 с.
5. ხარაიშვილი ე., საქართველოს აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2010, გვ. 553–558.
6. მიქაშავიძე ვ., ინოვაცია-ტურიზმის მდგრადი განვითარების ფაქტორი, სამეცნიერო შრომების კრებული, ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 106–111.
7. გელაშვილი მ., აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2011, გვ. 411–416.
8. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, დოკუმენტი № 200/01–015, 2013.
9. მესხია ი., ჟ. ბიზნესი და მენეჯმენტი, № 2, 2010.
10. დუდაური თ., აგროტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2011, გვ. 60–65.
11. ჩაგანავა პ., სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი-ტურიზმის სეზონურობის დაძლევის საშუალება, კრებული, აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები–XII, გამომც., „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2010, გვ. 34–42.

VAKHTANG MIKASHAVIDZE

Shota Rustaveli State University, Associate Professor

ZHANI MIKASHAVIDZE

Shota Rustaveli State University, Assistant Professor

THE AGRITOURISM IN AJARA – PROBLEMS AND PROSPECTS FOR DEVELOPMENT

S u m m a r y

The region of Ajara has a great potential for development of agro-tourism but unfortunately even minimum capacity from these possibilities are not assimilated and utilized. In this aspect important effect can be achieved via establishment of agro-tourist innovative model which is well-practiced in Cyprus and foreseeing specific peculiarities of the littoral region of Ajara. It means a rare combination of mountain and sea tourism opportunities for the efficient use of resources, particularly, to move the flow of tourists from the littoral zone to the rural area zones having the function of high recreation.

Realization of this model gives a possibility to settle competitive prices of sub-tropics, that will increase the level of demand and correspondingly will increase positive affects. This will support significant reduction of the seasonality, increase of number of tourists, creation additional working places, raising income of the population, growth of product vitality, sustainable development and functioning of economy, increasing affectivity of social-economy. For developing the modern forms of agrotourism it is essential to get more active financial support from the state. Particularly, such as tax credits, tax vacations, producing some forms of tourism and exemption from import taxes, reduction of the tax rate (differentiation), postponing the date of tax payment, return the amount of payment paid before, support from the state in attracting foreign investments, etc.

ეკოლოგიური მარკეტინგის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

მწარმოებლების, მომხმარებლებისა და მთელი საზოგადოების ინტერესების დაბალანსებაში წამყვან როლს სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია ასრულებს. ეს კონცეფცია ემყარება მეწარმეობის ახალ ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც საჭიროა მყიდველთა მხოლოდ გონივრული, ჯანსაღი მოთხოვნების დაკმაყოფილება კონკურენტებთან შედარებით უფრო ეფექტიანი ხერხებით, მომხმარებლების და საერთოდ მთელი საზოგადოების კეთილდღეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პირობებში (1, გვ. 29).

სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება ბიზნესში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში, როცა საზოგადოება აღმოჩნდა ბუნებრივი რესურსების დეფიციტის, მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში მოსახლეობის „ფეთქებადი“ ზრდის, გარემოს გლობალური დაბინძურებისა და ზოგიერთი სხვა, ძნელად გადასაჭრელი, პრობლემის წინაშე. მხოლოდ უშუალოდ მარკეტინგის კონცეფციის გამოყენებით, თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების ეპოქაში, ბიზნესი ეფექტიანად ვერ იმუშავებს. უშუალოდ მარკეტინგის კონცეფცია მომხმარებელთა მომენტალურ მოთხოვნებებსა და გრძელვადიან კეთილდღეობას შორის შესაძლო კონფლიქტს ვერ გადაჭრის (6, გვ.61). ამ ფუნქციის შესრულება შეუძლია სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციას, რომელიც დღეს ეკოლოგიური მარკეტინგის სახით გამოვლინდება. სპეციალისტების ნაწილი ეკოლოგიური მარკეტინგის ნაცვლად იყენებს ტერმინს „მწვანე“ მარკეტინგი, ნაწილი კი ტერმინს ჰუმანიტარული მარკეტინგი. ჩვენთვის სამივე ტერმინი ერთი და იგივე შინაარსის ამსახველია. მათი წარმოშობა უკავშირდება ბიზნესის წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის გარეშე შესაძლებელია მთელი საზოგადოება დაზარალებული.

ხშირ შემთხვევაში ეკოლოგიური პრობლემები ბუნებრივი გარემოს მიმართ საზოგადოების ნაწილის არასწორი დამოკიდებულების შედეგია. მოგებას გამოდევნებულ ბიზნესმენთა ერთი ნაწილი წარმოების ნარჩენებით და გამონაბოლქვით აბინძურებს ჰაერს და წყალს, ჩეხავს ხე-ტყეს, არასწორად იყენებს არაორგანულ სასუქებს სოფლის მეურნეობაში, ხელოვნური დანამატებით აწარმოებს ხშირად ჯანმრთელობისთვის არცთუ უსაფრთხო, ზოგჯერ კი საშიშ პროდუქტებს. შედეგიც სახეხია: დაბინძურებული კვების პროდუქტებით, და არა მარტო კვების პროდუქტებით, ყველა ზიანდება, მათ შორის ისინიც, ვინც გარემოს აჭუჭყიანებს (3, გვ. 58-59). და, მაინც, ბიზნესის მხრიდან ცალკეული მომხმარებლის და მთელი საზოგადოების ინტერესების უგულვებლყოფა, პირველ რიგში, კვების პროდუქტებს, აქედან გამომდინარე კი სოფლის მეურნეობას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებს, უკავშირდება. ამიტომ, საქართველოში ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენების ძირითად სფეროდ, უპირველესად, სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა გვესახება. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენების სხვა სფეროები ნაკლებად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. საზოგადოების კეთილდღეობაზე დიდ გავლენას ახდენს მრეწველობის მოქმედი დარგების ტექნიკითა და ტექნოლოგიით უზრუნველყოფის და მათი ფუნქციონირების დონე, უნარჩუნო წარმოების დანერგვა, ჯანმრთელობისთვის საშიში ნარჩენების გაუვნებლყოფა და ა.შ. მაშასადამე, ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენებას საქართველოში ბევრი ფაქტორი განაპირობებს.

ეკოლოგიური მარკეტინგი სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში აუცილებლად უნდა განხორციელდეს წარმოების სრულყოფის კონცეფციასთან მჭიდრო კავშირში. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა კრიზისშია, რაც დასტურდება სტატისტიკური მონაცემებით და რის გამოც მთავრობამ ის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა.

უკანასკნელ წლებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოცულობა, ცალკეული გამონაკლისის გარდა, შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 1

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დინამიკა საქართველოში 2007-2012 წლებში

	ხორცი ათასი ტონა	რძე მლნ. ლიტრი	კვერცხი მლნ. ცალი
2007	73,0	624,8	438,1
2008	57,3	645,8	437,5
2009	54,3	551,4	430,6
2010	56,4	587,7	444,5
2011	49,3	582,1	483,1
2012	42,6	589,5	474,0
ცვლილება 2012 წელს 2007 წელთან შედარებით +, -	-30,4	-53,3	+35,9
ცვლილება 2012 წელს 2007 წელთან შედარებით %-ებში	58,4	94,4	108,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში 2012 წელს 2007 წელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა ხორცის წარმოება. არათანაბარზომიერად იცვლებოდა რძის წარმოების მოცულობა წლების მიხედვით, საბოლოოდ კი 2007-2012 წლებში დაფიქსირდა შემცირება. აღნიშნულ პერიოდში ზრდა აღინიშნა კვერცხის წარმოებაში. 2012 წელს წარმოებულ იქნა 2007 წელთან შედარებით 35,9 მლნ ცალით მეტი კვერცხი და ზრდამ 108,2% შეადგინა.

2007-2012 წლებში დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა ხილ-ბოსტნეულის, ციტრუსებისა და ყურძნის წარმოების მაჩვენებლების მიხედვითაც.

ცხრილი 2

ხილ-ბოსტნეულის, ციტრუსებისა და ყურძნის წარმოების დინამიკა საქართველოში 2007-2012 წლებში (ათასი ტონა)

	ბოსტნეული	ხილი	ციტრუსი	ყურძენი
2007	190	227,5	98,8	227,3
2012	200	157,9	77,0	144,0
ცვლილება 2012 წელს 2007 წელთან შედარებით +, -	+10	-69,6	-11,8	-83,3
ცვლილება 2012 წელს 2007 წელთან შედარებით %-ებში	105,3	69,4	77,9	63,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა, ქართული ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული სასურსათო პროდუქტით, რომლის ხარისხიც ზოგჯერ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარისხზე დაბალია. გარკვეულწილად დაბალი ხარისხის კვების პროდუქტების გამოყენების შედეგია ონკოლოგიური დაავადებების ზრდა არა მარტო მსოფლიოში, არამედ საქართველოშიც. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ინფორმაციით, დღეს საქართველოში 30000-ზე მეტი ონკოლოგიური ავადმყოფია რეგისტრირებული. მათი რაოდენობა 2010 წელს 7000 ადამიანით გაიზარდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნით, ონკოლოგიური დაავადებების ზრდა გამოწვეულია ცხოვრების უმოძრაო წესით და არაჯანსაღი კვებით (7).

არაჯანსაღი კვების შედეგია, ძირითადად, საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებებიც. 2008-2011 წლებში საქართველოში გაიზარდა საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებებით გარდაცვლილთა რაოდენობა. 2008 წელს ეს მაჩვენებელი 1260 კაცს შეადგენდა, 2011 წელს კი 1453.

საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები, ადამიანთა მოწამვლის შემთხვევები არ არის გამოწვეული მხოლოდ მზა სახით მოხმარებული ან გადამამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. არაჯანსაღი კვებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგრეთვე, სხვადასხვა დანამატებით გამდიდრებული კვების პროდუქტები. ხელოვნური დანამატები ზრდის პროდუქტების კვებით ღირებულებას, შენახვის დროს, მაგრამ მათი უმეტესობა მიღებულია სინთეზური გზით და უმეტეს შემთხვევაში საშიშია ჯანმრთელობისთვის. ხელოვნური დანამატებით საკვების გამდიდრების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად რეგულირდება. 2005 წელს საქართველოში მიიღეს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. 2011 წლის 3 ივნისიდან ეს კანონი ყველა საკანონმდებლო მუხლით შევიდა ძალაში, რაც მწარმოებლების მიმართ კანონით განსაზღვრული ყველა სანქციის განხორციელების საშუალებას იძლევა (4).

ბევრ ქვეყანაში აკრძალული საკვები დანამატების სია ათობით და ასობით ელემენტს მოიცავს, საქართველოში კი მხოლოდ ხუთია აკრძალული: **E-121**-საღებავი; **E-123**-საღებავი; **E-240**-კონსერვანტი; **E-924a** და **E-924b**-კალიუმის და კალციუმის ბრომიდები; **E-230** და **E-231**-კონსერვანტი. აღნიშნული ფაქტი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა ორგანოებმა (4).

საკვები პროდუქტების წარმოებისა და გასაღების სფერო უნდა მოწესრიგდეს. ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, საჭიროა:

- საქართველოში გაფართოვდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება. ამისთვის, პირველ რიგში, წარმოების სრულყოფის მარკეტინგული კონცეფციის სრულყოფილად ამოქმედებაა საჭირო;
- უნდა შემცირდეს არაორგანული სასუქების გამოყენების მოცულობა. ამისთვის საჭიროა მეცხოველეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობა, რაც ორგანული სასუქების გამოყენების შესაძლებლობებს გააფართოებს;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ხელოვნური დანამატების გამოყენება კვების პროდუქტების წარმოებაში;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს იმპორტირებული კვების პროდუქტების ხარისხი;

- კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კვების პროდუქტების წარმოების და რეალიზაციის პროცესში დაარღვევს უსაფრთხოების წესებს;
- უნდა გაფართოვდეს ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენების საზღვრები როგორც წარმოების, ისე გასაღების სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენების საწინააღმდეგო მიმართულებით ბევრი ფაქტორი მოქმედებს.

ჯერ ერთი, ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენებას აბრკოლებს მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე. მართალია, 2010 და 2011 წლებში მოსახლეობის საშუალოთვიურმა შემოსავალმა ერთ სულზე რამდენადმე გადააჭარბა საარსებო მინიმუმს (2010 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოთვიური შემოსავალი შეადგინდა 154,7 ლარს, საარსებო მინიმუმი კი 126,4 ლარს; 2011 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა 167,4 და 157,8 ლარი), მაინც მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ცხოვრების დონე დღეს დაბალია. ამის გამო მათ არ აქვთ შესაძლებლობა პრეტენზია განაცხადონ პროდუქტის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის საკითხზე.

მეორე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი მზად არ არის ეკოლოგიური მარკეტინგის მისაღებად. საზოგადოების „... საკმაოდ დიდ ნაწილს სამომხმარებლო პატრიოტიზმის გრძნობა ნაკლებად აქვს განვითარებული და თვალთვალს უცხოურისკენ გაუბრუნებელი“ მაშინაც კი, როცა უცხოური პროდუქტები ეკოლოგიური სისუფთავით ანალოგიურ ქართულ პროდუქტებს ჩამორჩება.

მესამე, ეკოლოგიური მარკეტინგის პრინციპების გამოყენების საწინააღმდეგოდ მოქმედებს ის ფაქტიც, რომ საზოგადოება სათანადოდ არ აფასებს თავის როლს ბიზნესის განვითარებაში და არ იბრძვის თავისი უფლებების დასაცავად;

მეოთხე, ეკოლოგიური მარკეტინგის გამოყენებას აბრკოლებს ის ფაქტიც, რომ ქართველ მომხმარებელს მწარმოებლის სოციალური პასუხისმგებლობა სათანადოდ არ აქვს გააზრებული. თსუ-ს მარკეტინგის კათედრაზე ჩატარებული ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ „დღესთვის ქართველი მომხმარებელი პროდუქტს მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მიხედვით არ ირჩევს. პროდუქტის ყიდვისას მისთვის მთავარი კრიტერიუმი ფასი და ხარისხია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფასი და ხარისხი ერთია, ქართველი მომხმარებელი კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს“ (2).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები. თბ., 2009.
2. ნ. თოდუა, ი. იგაური, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. თბ., 2012 წ. №6. ელექტრონული ვერსია.
3. ბ. მღებრიშვილი, „მწვანე“ მარკეტინგი და ქართული რეალობა. სამეცნიერო სტატიების კრებული „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში“. ბათუმი, 2007.
4. ნ. მეგრელიშვილი, საშიში საკვები დანამატები. ჟურნალი „ქიმიის უწყებანი“, ტომი1, №1. ელექტრონული ვერსია.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები-ელექტრონული ვერსია.
6. Котлер Ф., Армстронг Г. Основы маркетинга. Пер с англ. М., 2009.
7. www.medportal.ge/pg2.php
8. www.e-xecutive.ru

BABULIA (DODO) MGHEBRISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

POSSIBILITES OF THE DEVELOPMENT OF ECOLOGICAL MARKETING IN GEORGIA

S u m m a r y

The origins of ecological marketing are related to the exacerbation of ecological problems in the world. The issues of ecological marketing are discussed in the article basically in the case of processing industry of agricultural products. According to the author, today ecological marketing in Georgia should necessarily be realized in close association with the concept of production perfection that, in the first place ties in with crisis situation of agriculture.

For the settlement of the output of food products and seller’s market sphere the author of the article has formulated the following thoughts:

- Expansion of the output of ecologically clean products;
- Reduction of the scales of the use of inorganic fertilizers and expansion of the use of organic fertilizers on the basis of the development of stock raising;
- Tight control on the use of artificial supplements in the output of food products;
- Tightening of the control on the quality of imported food products;

Punishment of violators of security regulations according to the law in the process of the output of food products and realization;

Expansion of the scales of the use of ecological marketing.

After that the author discusses those obstacles which impede the use of ecological marketing in Georgia. Such obstacles are regarded:

Population's low living standard;

Absence of the feeling of consumer patriotism in rather large part of Georgian consumers;

Underestimation of the own role by society in the management of effective business;

Inappropriate interpretation of the social responsibility of business by Georgian consumers.

For overcoming of the factors acting against the use of ecological marketing the author of the article suggests to popularize marketing principles in Georgian society, and according to her, Georgian scientists and relevant governmental and nongovernmental structures must play an active role in it.

ეთერ ნარიშანიშვილი

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

მარკეტინგული ბარემოს როლი აბრობიზნესის განვითარებისა და მისი რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენების საქმეში

მარკეტინგს დიდი როლი აკისრია საზოგადოების განვითარებასა და წინსვლაში. მარკეტინგი არაა მარტო “პროდუქციის გაყიდვა, რეალიზაცია”, ან “რეკლამა”, ან “დაარწმუნო ადამიანი, რომ რამე იყიდოს”. სინამდვილეში, ფართო, თანამედროვე გაგებით, “მარკეტინგი არის იდეათა, საქონელთა და მომსახურებათა კონკურენციის, ფას წარმოქმნის, სტიმულირებისა და დისტრიბუციის დაგეგმვისა და ხორცშესხმის პროცესი, რომელიც გაცვლის საშუალებით უზრუნველყოფს ინდივიდუალური და ორგანიზაციული მიზნების დაკმაყოფილებას”. მარკეტინგი სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობას (მათ შორის, აგრობიზნესსაც) მოიცავს, რომლის მხოლოდ ნაწილს ხელავს მომხმარებელი. ისე, როგორც ნებისმიერი რთული ფენომენი, მარკეტინგიც რამდენიმე დონეზე შეიძლება იქნას განხილული. ამ შემთხვევაში, მარკეტინგს განვიხილავთ, როგორც ეკონომიკურ ფუნქციას, ბიზნესსაქმიანობას და საზოგადოებრივ ძალას. მარკეტინგის, როგორც ეკონომიკური ფუნქციის განხილვისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რა როლს თამაშობს იგი ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი, პროდუქციის, საქონლის გაყიდვაში გამყიდველსა და მყიდველს შორის გაცვლის პროცესში. სხვა სიტყვებით, მარკეტინგს მოთხოვნა-მიწოდების დამაკავშირებლის როლი აკისრია. ამ პროცესში ჩართული არიან ბროკერები და დისტრიბუტორები, ბითუმად და საცალოდ მოვაჭრეები, მწარმოებლები, კომპანიების მარკეტინგის დეპარტამენტები, სარეკლამო სააგენტოები და სხვა. ისტორიულად, დისტრიბუცია იყო და არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი დამაჩქარებელი. დღეს, მარკეტინგის მეშვეობით, საქონლისა და სერვისის (მომსახურების) პოტენციურ მყიდველს ბისათვის საჭირო ადგილზე და საჭირო დროს მიწოდება, უფრო ფასეული გახდა. ამჟამად, მოსახლეობას ქვეყნის ნებისმიერი წერტილიდან თავისუფლად შეუძლია ინტერნეტით საქონლის კატალოგების საშუალებით შეკვეთა და ფოსტის მეშვეობით მიღება. მარკეტინგი დღეისათვის ბიზნესსაქმიანობის ფორმა გახდა. ბიზნესისათვის მარკეტინგი არის ის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საჭირო პროდუქტი, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე, საჭირო ფასად (მოგების მიღების მიზნით) მიაწოდოს. აგრობიზნესის, როგორც ბიზნესსაქმიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე მსხვილი ფერმების, ფორმების, კომპანიებისა და კორპორაციების შექმნა-ორგანიზაციასთან, მასობრივი ბაზრების გახსნასთან. სულ ცოტა ხნის წინ, ძირითადი ბიზნესსტრატეგია ორიენტირებული იყო მხოლოდ მოგების მიღებაზე პროდუქციის შედარებით მცირე მოცულობაზე მაღალი ფასების დადებით. ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, ბიზნესგარემოს შეცვლამ, სახელმწიფოს ბიზნესში ჩაურევლობამ და ეკონომიკის ზრდამ, საანალიზო დარგში ხელი შეუწყო საშუალო და მსხვილი ფერმების, ფორმების, კომპანიების და კორპორაციების შექმნას. მათმა ვერტიკალურმა ინტეგრაციამ დიდი როლი ითამაშა. პროდუქციის მთელი ქვეყნის და საზღვარგარეთ მასშტაბებით გაყიდვამ, რეკლამამ და ბრენდებმა საშუალება მოგვცა შეგვემუშავეინა ახალი ბიზნესსტრატეგია, რომელიც ამჟამად უკვე ასეთი მასობრივი ბაზრებისათვისაა გათვლილი. მაღალი მოგების მიღებას ამჟამად აგრობიზნესმენი სტანდარტულ პროდუქტზე დაბალი ფასების დადებით ახდენს. ამ დროისათვის ბიზნესის წინაშე ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იდგა. პირველი. ბიზნესმენებს და მათ მარკეტერებს, თუ სურდათ მასობრივი მომხმარებლები დაერწმუნებინათ - ეყიდათ მათი და არა უახლოესი კონკურენტის პროდუქტი, მაშინ მათ მომხმარებლებისათვის უნდა შეეთავაზებინათ უტყუარი მტკიცებულებები თავიანთი პროდუქციის აკარგავანობის შესახებ. მეორე. ბაზარზე ახალი ან უცნობი პროდუქტის მასშტაბურად ასათვისებლად, საკმარისი აღარ იყო ხმის გავრცელება პროდუქტის სარგებლიანობის შესახებ. საჭირო გახდა მომხმარებლების და საცალო მოვაჭრეების გათვინობიერება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით რეკლამების

გამოყენებით. აგრობიზნესმენებისათვის, რომელთა წარმოების ეფექტიანობა დამოკიდებულია მასობრივ წარმოებაზე, მომგებიანი და სტაბილური კლიენტების შენარჩუნება უპირველესი მარკეტინგული მიზანი გახდა. დღეისათვის სამომხმარებლო ბაზარი ძალზე დინამიკურია. მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ პროდუქციის მოხმარებით მიღებულ გამოცდილებას, რის გამოც, მათი ყიდვის ქცევა და მოლოდინებიც იცვლება. კონკურენტები ყოველთვის ცდილობენ ბაზარს უკეთესი ფასეულობა შესთავაზონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის, რაც დღეს მყიდველთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ხვალ შეიძლება უსარგებლო აღმოჩნდეს. ასე რომ, არ შეიძლება მარკეტინგი ერთ ადგილზე გაჩერდეს. მოსაზრება, რომ მარკეტინგი ბიზნესსაქმიანობაა, ძალაში რჩება. ნებისმიერმა კომპანიამ უნდა შექმნას ფასეულობა მყიდველისათვის და ბიზნესს მყიდველის თვალთ შეხედოს. მყიდველზე ორიენტაცია უკვე კონკურენციას უწევს წარმოებაზე, გაყიდვებსა და ფინანსებზე ორიენტაციას. რიჩარდ ლ.კოლხი და ჟოზეფ ნ.ულ. წერენ: “საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობაზე ზრუნვასთან ერთად, მარკეტინგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტრუმენტია საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. მარკეტინგი ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ის უზრუნველყოფს პროდუქტების და სერვისების ინოვაციების ფართოდ გავრცელებას”. რა თქმა უნდა, ბიზნესმა უნდა მიიღოს მოგება მეწარმეობიდან, მაგრამ ის უნდა იყოს საშუალება საზოგადოების კეთილდღეობის ასაძლიერებლად. თავის მხრივ, საზოგადოებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბიზნესზე კანონებით და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის საშუალებით. მთავრობას შეუძლია მოახდინოს პროდუქტის სტანდარტის რეგულირება, გადაწყვიტოს, თუ რომელი პროდუქტი იყოს ექსპორტირებული ან იმპორტირებული, ებრძოდეს მათზე ფასების თვითნებურად დაწესებას, დაადგინოს კონკურენციის წესები და ა.შ. მოქალაქე-მომხმარებლებმა უნდა გაითავისონ ზემოქმედება მოახდინონ, როგორც მარკეტინგზე, ისე პოლიტიკოსებზე და თავიანთი ძალაუფლება საზოგადოებრივი სარგებლის მისაღებად გამოიყენონ. რაც შეეხება მარკეტინგის როლს აგრობიზნესის საქმეში. პრინციპში, მარკეტინგი არის მართვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნილებების განსაზღვრისა და მწარმოებლების (მეწარმე ბიზნესმენი) მომგებიანად დაკმაყოფილებას. მარკეტინგი არის ყველაფერი, რაც ჭირდება იმისათვის, რომ მიადწიოს დასახულ მიზანს, მიუახლოვდეს მომხმარებელს-მყიდველს. მარკეტინგი აუცილებელია ბიზნესის წარმატებისათვის, რადგან მის გარეშე ვერაფერს გახდება. მის გარეშე ბიზნესმენს არ ექნება ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა შექმნას პროდუქტი, დაადგინოს მისი სწორი ფასი, წარმართოს გაყიდვები, დაარწმუნოს მომხმარებელი, რომ მის მიერ შექმნილი პროდუქტი ზუსტად მისთვისაა წარმოებული. კარგად წარმოებული მარკეტინგული დონისძიებები საშუალებას აძლევს ბიზნესმენს:

- შეისწავლოს ბაზარი, მომხმარებლები, კონკურენტების პროდუქტები;
- სწორად აწარმოოს, წარმართოს წარმოების ორგანიზაცია, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, უზრუნველყოს წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა;
- სწორად მოახდინოს პროდუქტის გასაღების არხების,

ტრანსპორტირებისა და შენახვის სისტემის ორგანიზაცია, საფასო პოლიტიკის განხორციელება, რეკლამა და ა.შ. ახალი პროდუქტის შექმნის პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

1. ბაზრის ანალიზი;
2. ახალი პროდუქტის მიზნების განსაზღვრა;
3. იდეის ფორმირება და შერჩევა;
4. ახალი პროდუქტის საცდელი მარკეტინგი;
5. მარკეტინგის გეგმის დამუშავება;
6. პროდუქტის ტესტირება;
7. რეალიზაცია.

აგრობიზნესის მიერ წარმოებული ახალი პროდუქტის წარუმატებლობა ბაზარზე შეიძლება იყოს: ბაზრის არასათანადო ანალიზი და კვლევა; მომხმარებელთა მოთხოვნის არასწორი განსაზღვრა; კონკურენტ პროდუქტთან შედარებით ახალი პროდუქციის შექმნის სიძვირე; მისი შექმნის არადროულობა და დროში გაჭიანურება. პროდუქციის ფასი მარკეტინგის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მომხმარებლის მიერ სასურველი პროდუქტის შეძენისა და აგრობიზნესის ფორმების მიერ მოგების სურვილის დაკმაყოფილება მხოლოდ კარგი და მოქნილი საფასო პოლიტიკის გამოყენებითაა შესაძლებელი. კომპანიამ თავის საქონელზე ფასების დადგენისას, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ისეთი ფაქტორების ზეგავლენით, როგორცაა: 1. შიდა ფაქტორები: მარკეტინგის მიზანი უნდა იყოს კომპანიის გადარჩენა, მიმდინარე მოგების ზრდა, პროდუქციის ხარისხის ზრდა და მისი დიზაინთან, დისტრიბუციასთან შესაბამისობა, დანახარჯების დაბალი დონის უზრუნველყოფა და სხვა. ფასებს უნდა აწესებდეს მარკეტინგის განყოფილების მენეჯერი, ფინანსური და წარმოების მენეჯერები. 2. გარე ფაქტორებიდან აღსანიშნავია: ბაზრის მოთხოვნა, კონკურენცია (იგულისხმება კონკურენტების წარმოების ხარჯების დონე ანალოგიურ პროდუქტზე); ეკონომიკა და მთავრობა აქ იგულისხმება 38 ინფლაცია (ფასების საერთო დონე), მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გადასახადები;

საზოგადოებრივი აზრი (მასში იგულისხმება ფასების დისკრიმინაცია, ანუ ერთი და იგივე მფლობელის მიერ ერთი და იგივე პროდუქციის მომხმარებლებზე სხვადასხვა ფასად მიყიდვა). ყველაზე დიდ შეცდომად, რომელიც შეიძლება მეწარმემ დაუშვას, მიგვაჩნია: ფასწარმოქმნა გაყიდვების მოცულობის მიხედვით; კონკურენციაზე აყვლა; “საფასო ბრძოლა” კონკურენტთან; ფასების დაწვევა სხვა პირობების შეუცვლელად; შემთხვევითი ფასების დაწვევა; ფასების იშვიათად, მაგრამ რადიკალურად ზრდა. დისტრიბუციის არხები იმ ურთიერთდამოკიდებულ ორგანიზაციათა ჯგუფია, რომელიც ჩართულია საბოლოო მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდებაში. მათი მეშვეობით ბიზნესმენს შეუძლია ინფორმაციის შეგროვება მყიდველებზე, მათთან დაკავშირება. დისტრიბუტორები მონაწილეობენ ტვირთის ტრანსპორტირებაში, შენახვასა და ადგილზე მიტანაში. მათ შეუძლიათ ფინანსური მხარდაჭერა პროდუქციის გასაღების ხარჯებისათვის, აგრეთვე რისკის ფაქტორის განაწილებაში. მარკეტინგის კომპლექსი (პროდუქტი, ფასი, ადგილი, დაწინაურება. ეს უკანასკნელი გულისხმობს პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციის დაწინაურებას), მოიცავს იმ ძირითადს, რაც ფირმას, კომპანიას სჭირდება ეფექტიანი მუშაობისათვის, მოგების მაქსიმიზაციისა და მომხმარებლის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის, რაც მარკეტინგის ამოსავალი წერტილია. ამასთან, უმნიშვნელოვანესია თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი კომპლექსში განიხილებოდეს და გადაწყვეტილება შეესაბამისად მიიღებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარულ სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული 2. თბ. 2001.
2. ბურკაძე ვ. სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები თბ. „აგროინფორმი,” 1, 1997.
3. ბახია მ., ჩიბურდანიძე ლ. - სახელმწიფო რეგულირება, როგორც საწარმოო გამოყენების და წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი მიმართულება, „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები” თბ. 2004.
4. ერქომაიშვილი გ. ბიზნესი, ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტი. თბ. 2007. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბ. 2007.
5. მახარაშვილი ჯ. აგრარული წარმოება და აგრობიზნესის გარემო თანამედროვე ეტაპზე. ქ. სოციალური ეკონომიკა. თბ. 2011.05.03
6. მახარაშვილი ჯ. ჩიბურდანიძე ლ. მარკეტინგის როლი აგრობიზნესის განვითარების საქმეში. ქ. სოციალური ეკონომიკა. თბ. 2011.05.03.

ETER NARIMANASHVILI

*Samtskhe-javakheti State Teachy University
Academic Doctor of Economics*

**THE ROLE OF MARKETING IN DEVELOPMENT OF MARKETING AND APPLIANCE
OF ITS AND RESOURCE POTENTIAL EFFICIENLY**

S u m m a r y

The Goal of marketing should be to save company, increase current profit and quality of the production and its design, relevance to the distribution, insurance of low expenses, etc. The prices should be defined by the marketing manager, financial and production manager. Market demand, competition (the competition of the production costs on the similar product); Economics and government- it means fluctuation (price rates), high interest rate, taxes; public opinion (including price discrimination, sold by various prices on the same production to the consumer by the same owner) The greatest mistake which might be made by the producer is considered: Price production according to the volume of the sales.

მარიამ ნაცვალაძე

*ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ინდიკატორები

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მდგრადობის ცნება ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგებთან მიმართებაში. მდგრადი განვითარება აუცილებელი პირობაა ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერი დარგის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. მდგრადობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში. მდგრადი სოფლის მეურნეობა ერთდროულად პასუხობს ეკონომიკურ, ბუნებრივი გარემოს და სოციალურ მიზნებს. რადგან ამ მიზნების გადაფარვა ხდება, მათი მართვა ერთდროულად ხორციელდება.

მდგრადობა ნიშნავს, რომ ყველა დასახული მიზანი მოვაქციოთ არსებული ლიმიტირებული რესურსების ჩარჩოებში. ერთი კონკრეტული მიზნისკენ სვლის არჩევანი ხშირად ნიშნავს, რომ სხვა

დანარჩენ მიზნების მიღწევა მინიმალურ დონეზე იყოს მისაღები. ხშირად მიზნები შეიძლება ბუნებრივად ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. მაგრამ შეიძლება ურთიერთანამანაცვლებელი ან ურთიერთ შემავსებელი იყოს. მაშინ როცა მდგრად განვითარებაზე ვსაუბრობთ აუცილებელია პოლისტიკური მიდგომის გამოყენება. სინერგიული „win-win-win“ მიდგომა შეიძლება მიღწეულ იქნას, თუკი მდგრადი განვითარების ოთხივე მიმართულება არის ჩართული. ეს მიმართულებებია - ეკონომიკური, გარემო, სოციალური და ინსტიტუციონალური. მათი ერთობა კომპლექსურ, ძალიან რთულ სინერგიებსა და კომპრომისებს მოიაზრებს. დისკუსიებმა აჩვენა, რომ აქცენტები უნდა გაკეთდეს ამ ოთხ მიმართულებას შორის კავშირებზე, რათა მათ შორის კონფლიქტები მინიმიზირებული იყოს.¹

ინდიკატორების მრავალრიცხოვანი ჯგუფების, როგორც ერთიანი სისტემის განხილვისას ამოსავალია ის, რომ მდგრადი განვითარებისათვის სავალ გზაზე დღევანდელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც ხელეწიფება და ამავე დროს იზრუნოს იმ რესურსების შენარჩუნებაზე, რომელიც მემკვიდრეობით ერგო.

მდგრადი განვითარების შეფასების ინსტრუმენტები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს. ესენია:

1. ეკონომიკური (დანახარჯები/მოგების ანალიზი, მოდელირება, რეგრესიები, სცენარები);
2. გარემო (სიცოცხლის ციკლის ანალიზი, რესურსების აღრიცხვა, ეკოლოგია);
3. სოციალური (მდგრადი საარსებო სახსრები, ადამიანური და სოციალური კაპიტალი, მონაწილეობის პროცესები).

ცხრილი 1-ში მოცემულია მდგრადი განვითარები შეფასების ინსტრუმენტები.

სტატისტიკური ანალიზი, რომელიც გასაშუალოებულ სიდიდებს ეყრდნობა, ხშირად ამახინჯებს რეალურ სურათს. იგი არ იძლევა იმ ეკონომიკური და სოციალური უთანაბრობების კერების გამოვლენის საშუალებას, რომელიც დადგენს, თუ რამდენადაა საჭირო მათი გათვალისწინება ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში. მნიშვნელოვანი განსხვავებები თავს იჩენს სხვადასხვა ეკონომიკური ერთეულების განხილვისას. მათი შედარების შედეგად წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა და რთული არჩევანის გაკეთება თითქმის შეუძლებელი ხდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია-OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) ქვეყნებს ურჩევს, რომ შექმნან ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად განვითარებას. ეს თავს მოუყრის ქვეყნებს ურჩევს, რომ შექმნან ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად განვითარებას. ეს თავს მოუყრის OECD აქტივობებს ადგილობრივი თვითმმართველობის, რეფორმების და მდგრადი განვითარების მიმართულებებით. ამ აქტივობების მიზანი არის რომ ხელი შეეწყოს რეფორმების პოლიტიკას სამთავრობო გადაწყვეტილებების გზით, რომელიც აბალანსებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს მდგრადობის მიზნებს.


ცხრილი 1. მდგრადი განვითარები შეფასების ინსტრუმენტები

რესურსები	ეკონომიკური	გარემო	სოციალური
	-კაპიტალური აქტივები; -სამუშაო ძალის მწარმოებლურობა; -სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა.	-მიწისზედა წყლის ხარისხი; -საფრთხის ქვეშ მყოფი ეკოსისტემები; - ბიოსისტემის დამაბინძურებლები; -დაბინძურებული ნიადაგი; -რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის ადგილები; -ოზონის შრის მდგომარეობა.	-პოპულაცია; - ბავშვები ერთ მშობლიან ოჯახებში; -მასწავლებლების ტრენინგის დონე.
მამოძრავებელი ძალები	ეკონომიკური	გარემო	სოციალური
	-ინვესტიციები - მშპ-ს პროცენტი; -ენერჯის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე; - ენერჯის მოხმარება მშპ-სთან მიმართებაში.	-წყლის რესურსების გამოყენებისა და განახლების თანაფარდობა; -მეთევზეების მეურნეობების უტილიზაცია; -ინვაზიური ევოლუციური სახეობები; -ეროზიის ზონები -მარცვლეულის მოყვანის ტერიტორიებზე.	-ქველმოქმედები-სათვის შემოწირულობები; -მარტოხელა დედების მიერ გაჩენილი ბავშვები;

¹ OECD, *Towards Sustainable Development. Indicators to Measure Progress*. Proceedings of the OECD Rome Conference, OECD, Paris 2000, p. 196.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ინდიკატორები ზომავს მდგრადობას, ნათელია რომ არსებობს მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური განსხვავებები მდგრადობის კომპონენტებს შორის. რეალურად მდგრადობის კრიტერიუმები აერთიანებს ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემო ასპექტებს, რომელთა შედარება შეუძლებელია. ეკონომიკის მდგრადობა კი ფაქტიურად ყველა ასპექტს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადობის ერთიანი შეფასების ერთეული ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ბოლო დროინდელი კვლევების მიხედვით უფრო მეტად სოციალური უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ინსტიტუციონალური პოტენციალისა და ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური ასპექტები განიხილება.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ქვეშ შეიძლება გავიგოთ როგორც მდგრადობა ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების, წარმოების ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით, ასევე როგორც მდგრადობა დაბალანსებული განვითარების თვალსაზრისით (გამომდინარე ბუნებრივ-რესურსული შესაძლებლობათა პოზიციებიდან). სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფცია გვესახება, როგორც ოთხი (და არა სამი როგორც მიღებული იყო) ქვესისტემის მდგომარეობა რომლის შიგნითაც ოპერირებს სოფლის მეურნეობა. ეს არის ეკონომიკური, სოციალური, გარემო და ინსტიტუციონალური ქვესისტემები (ნახაზი 1).



ნახაზი 1. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ქვესისტემები¹

მდგრადი სოფლის მეურნეობა ერთდროულად პასუხობს ეკონომიკურ, ბუნებრივი გარემოს და სოციალურ მიზნებს. რადგან ამ მიზნების გადაფარვა ხდება, მათი მართვა ერთდროულად ხორციელდება. ეკონომიკური მდგრადობა საჭიროებს მომგებიანი წარმოების წესის არჩევას და სრულყოფილ, ყოველმხრივ ფინანსურ დაგეგმვას. სოციალური მდგრადობა საჭიროებს, რომ ფული ბრუნავდეს ადგილობრივ ეკონომიკაში. გარემოს მდგრადობა გულისხმობს ეკოსისტემის ოთხი პროცესის (ენერჯის ნაკადების, წყლისა და მინერალური ციკლის და სიცოცხლისუნარიანი ეკოსისტემის დინამიკის) კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

მდგრადი სოფლის მეურნეობის კონცეფცია მრავალ პარამეტრიანი ცნებაა და ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციონალურ ასპექტებს. მდგრადი სოფლის მეურნეობის ამოცანა ეროვნული ეკონომიკის დონეზე სამი სფეროს ურთიერთკავშირითა და ზემოქმედებით განისაზღვრება, ესენია: სოციალური კეთილდღეობა, სოციალური სამართლიანობა და გარემოს დაცვის ინტერესები. მდგრადი განვითარების გზაზე დამდგარი ფერმები მხოლოდ მოგების კრიტერიუმებით ვეღარ იხელმძღვანელებენ. მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ ეკოლოგიური და სოციალური კრიტერიუმები. საკითხი მწვავედ დგას, როდესაც აუცილებელი ხდება გაიზომოს მდგრადი განვითარების წესების დანერგვის ეფექტები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ძნელად გასაზომი და ძნელად დასათვლელ ფაქტორებს ეხება.

ცხრილი 2 გვიჩვენებს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მთავარ მიზნებს და შედეგებს მისი ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური მიზნების ფონზე.

ცხრილი 2. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მთავარი მიზნები და შედეგები.

	მიზნები	შედეგები
გარემო	ბუნებრივი რესურსების ხარისხი, ეკოლოგიური ეფექტურობა, ეკოლოგიური ინოვაციები, ეკოსისტემების დაძაბულობების	ეკო- განვითარების პროგრამების დანერგვა, ეკოლოგიურ ინიციატივებში მონაწილეობის მიღება, ეკოლოგიური ინიციატივების მოგებისა და ზარალის

¹ Indicators of sustainable development: guidelines and methodologies, United Nations Division on Sustainable

	შემცირება, ადამიანების ცხოვრების ხარისხზე გარემოს დეგრადაციის ეფექტების შემცირება	განსხვავება, კერძო სექტორის კრეატიულობა
ინსტიტუციონალური	საზოგადოებრივი პროდუქტის და მომსახურების ეფექტური გადანაწილება, მცირე ტრანზაქციის ღირებულება, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებამ გარემო რესურსების ეფექტური მართვა, გარე დანახარჯების ინტერნაციონალიზაცია	სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, ინსტიტუციონალური გამჭვირვალობის და უნივერსალობა, საზოგადოებრივი საქონელის და მომსახურების საყოველთაო მიწოდებადობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის ეფექტური სისტემების შექმნა
ეკონომიკური		აგრეგირებული სიმდიდრის მაქსიმიზაცია, შემოსავლების ეფექტური განაწილება, სრულყოფილი კონკურენცია, ადამიანური კაპიტალის განვითარება
სოციალური		შემოსავლების განაწილება, ცხოვრების სტანდარტი, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი, თანაბარი ფერმერებისა და არაფერმერებისათვის. უმუშევრობის დონე, დემოგრაფიული განვითარება, განათლების ხელმისაწვდომობა.

მდგრადი განვითარების თემაზე შესრულებული ყველაზე ბოლო დროინდელი ნაშრომების ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი სპეციფიური საკითხები, როგორცაა კლიმატის ცვლილების შეფასება, ან გარემოს სოციალური გავლენა კონკრეტულ სექტორებზე (სოფლის მეურნეობაზე, ენერჯისა და ტრანსპორტზე). მდგრადი განვითარების შეფასება საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული და მოითხოვს ეკონომიკური, გარემო, სოციალური ცვლილებების ინდიკატორების ინტეგრირებას. ამ ინტეგრირების მიღწევის ერთ-ერთი გზაა გავცდეთ ეკონომიკური აქტივობების გაზომვის ჩვეულ ჩარჩოებს. ფართო ხედვის მაგალითი უკვე არსებობს გარემოს შეფასების სფეროში. სოციალურ სფეროში ასეთი სახის ინტეგრირებამ შესაძლოა დააკავშიროს უმუშევრობის, ადამიანური რესურსების და საოჯახო მეურნეობების შემოსავლების გადანაწილება და სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური ჯგუფის მიერ მოხმარება. ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გაზომვა მოითხოვს როგორც ფულადი ექვივალენტის, ასევე ფიზიკური მონაცემების მოძიებას.

ინდიკატორები ორ ჯგუფად გაერთიანდა: რესურსების ინდიკატორები და შედეგის ინდიკატორები. პირველს მიეკუთვნება ინდიკატორები, რომელიც ზომავს ეკონომიკაში, გარემოსა და სოციალურ სფეროებში არსებულ დონეებს და მათ ცვლილებებს, ხოლო მეორე ჯგუფს - სხვადასხვა სფეროების განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მათ შორის შემოსავლების გადანაწილება, ჯანმრთელობისა და გარემოს ხარისხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების კომიტეტის მუშაობის შედეგად, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში იღებს სათავეს, მდგრადობის პირველი ინდიკატორები შეიქმნა. ამჟამად მათი ტესტირების პროცესი მიდის. მათი კომპილაციის პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა. ამ კვლევაში მონაწილეობას იღებენ ასევე ევროსტატი და OECD.

ნათელი გახდა, რომ ერთი ინდექსით შეუძლებელია მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის შეფასება. შემოთავაზებული სოციალური განვითარების ინდექსების დიდი ნაწილი არ ითვალისწინებს განსხვავებებს შემოსავლებში, რომელიც ამარტივებს რეალურად არსებულ სურათს. ერთის მხრივ ისინი გამჭვირვალეა, მაგრამ მეორეს მხრივ არ ასახავენ ეკონომიკური ზრდის რეალურ სტრუქტურასა და გადანაწილებას¹. ამრიგად შემუშავების პროცესშია OECD ინდიკატორების სამი ჯგუფი:

1. რამდენიმე ინდიკატორი აღწერს სოფლის მეურნეობის ფართო ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს, როგორცაა მიწის გამოყენების ტენდენციები, მეწარმეების განათლების დონე;
2. მეორე ჯგუფი ასახავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და მართვას, ნიტრატების, პესტიციდების და წყლის გამოყენებას;
3. მესამე ჯგუფი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის გავლენას ნიადაგისა და წყლის ხარისხზე, მიწის კონსერვაციას, ბიომრავალფეროვნებას, გავრცელების არეალებს, ლანდშაფტსა და

¹ Indicators of sustainable development: guidelines and methodologies, United Nations Division on Sustainable Development (UN-DSD), New York 2001.

კლიმატის ცვლილებას¹.

OECD ქმნის აგრო-გარემო (AEIS) ინდიკატორებს რომლებიც აფასებს კავშირს მიზეზებს, ეფექტებსა და მოქმედებას შორის.

ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა არჩეულ იქნას მომგებიანი წარმოება. ეკონომიკური მდგრადობა დიდადაა დამოკიდებული საწარმოს არჩევანზე, ფინანსურ დაგეგმვაზე, მარკეტინგზე, რისკების მენეჯმენტსა და საერთოდ, კარგ მენეჯმენტზე.

მეტად მნიშვნელოვანია სოციალური მდგრადობა. სოციალური გადაწყვეტილებების მიღების მაგალითებია: შესყიდვების განხორციელება ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ადგილობრივ მომხმარებლებთან კავშირების ძიება, მომხმარებელზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების ძიება წარმოებაში და მენეჯმენტში. სოციალური მდგრადობა ამავე დროს მოიცავს ფერმაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების ცხოვრების ხარისხს. მასში შედის კომუნიკაციის კარგი ხარისხი, ნდობისა და ურთიერთდახმარების არსებობა.²

გამოყენებული ლიტერატურა:

1. OECD, Towards Sustainable Development. Indicators to Measure Progress. Proceedings of the OECD Rome Conference, OECD, Paris 2000, p. 196.
2. Indicators of sustainable development: guidelines and methodologies, United Nations Division on Sustainable Development (UN-DSD), New York 2001.

MARINE NATSVALADZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

INDICATORS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURE

S u m m a r y

The current concept of sustainable development involves all sectors of economy encouraging the similar growth of all of them despite usual limitations of resources. When talking about the sustainable development in agriculture all four dimensions are considered where the agriculture is operating such as economic, social, environmental and institutional subsystems.

The concept of sustainable agriculture is tied with the idea of multifunctional development, so the further improvement of measurement methodologies are intended to implement improved design of government, economic, environmental and social policies.

ი ა ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

მდგრადი მწარმოებლურობის ზრდის გამომწვევები აბრარულ სექტორში (ბლოგალური ტენდენციების მიმოხილვა)

გლობალური სოფლის მეურნეობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას: უფრო მეტი და მრავალფეროვანი სურსათის წარმოება მზარდი მსოფლიო მოსახლეობისათვის, განვითარებად ქვეყნებში საერთო განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში წვლილის შეტანა, შეზღუდული მიწისა და წყლის რესურსების დაბალანსებული გამოყენება კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციის მიზნით, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ეკოსისტემების აღდგენისათვის ხელისშეწყობა, ესქტრემალური ამინდებისა და გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურების, ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კოორდინირებული ქმედებები. ეს ქმედებები ადაპტირებული უნდა იყოს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებში ყველა ტიპის ფერმერული მეურნეობებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ გარემოებებთან.

აგრარული სექტორის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევის მიზნით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მკვლევარები და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები მიიჩნევენ მდგრადი მწარმოებლურობის ზრდის მიღწევას, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. ზოგადად, აგრარულ სექტორში მწარმოებლურობის გაუმჯობესების პარალელურად ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და გაუმჯობესება არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებითი მოთხოვნა, რათა მდგრადი განვითარების პირობებში მოხდეს გლობალური

¹ OECD, towards Sustainable Development. Indicators to Measure Progress. Proceedings of the OECD Rome Conference, OECD, Paris 2000, p. 23.

² Burleson, Wayne and Connie Burleson, Rut Buster: A Visual Goal Setting Book, Sloping Acre Publishing Company, Absarokee, Montana, 1994. p.45.

სურსათის მარაგის ზრდა. ამ მიმართულებით მცირე ფერმერების როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდაში მომავალში იქნება გადამწყვეტი. ნახევარი მილიარდი პატარა საოჯახო ფერმები აწარმოებენ მსოფლიო სურსათის უმეტეს ნაწილს, რომელიც მოიხმარება განვითარებად ქვეყნებში. აზიისა და აფრიკაში ისინი ამუშავებენ მიწების 80%-ს, მაგრამ მათი მწარმოებლურობა ზოგადად დაბალია (Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms, 2012; გვ. 7). განვითარებადი ქვეყნების წარმატებას აგრარული მწარმოებლურობის გაზრდის კუთხით აქვს გლობალური მნიშვნელობა სურსათის ბაზრების განვითარების, სასურსათო უსაფრთხოების გაზრდის, კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების ხელისშეწყობის მიმართულებით.

ბევრ ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში მდგრადი მწარმოებლურობის ზრდის წარმატებული სტრატეგია საჭიროებს საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ფერმერთა პრაქტიკაში სასოფლო სამეურნეო ინოვაციური სისტემების დანერგვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტურ მენეჯმენტს და იმ კონკრეტული ღონისძიებებისა და პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეამცირებს პროდუქტიულობის ჩამორჩენას მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში. არსებითია ისეთი სოციალურ-პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში ინოვაციებისა და ინვესტიციების დანერგვას, სოფლის მეურნეობის პოტენციური და ფაქტიური მწარმოებლურობის ერთმანეთთან დაახლოებას.

თანამედროვე მსოფლიოში მზარდი გლობალური მოთხოვნა საკვებზე და ბიოსაწვავზე მკვეთრად გამოვლენილია. მკვლევართა შეფასებით, დედამიწის ამჟამინდელი შვიდ მილიარდინი მოსახლეობა 2050 წლისათვის 9.1 მილიარდს მიაღწევს (Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms, 2012; გვ. 8). თავისმხრივ, შემოსავლების ზრდა გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნას და შეცვლის მის სტრუქტურას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოყენება ბიოსაწვავის წარმოებაში ბიოსაწვავის მოხმარების ზრდასთან ერთად გაიზრდება. საჭირო გახდება ყველა ძირითადი მცენარეული კულტურის, მეცხოველეობისა და მეთევზეობის მკვეთრი გაზრდა. მხოლოდ მოსახლეობის გამოკვების მიზნით მთლიანად მსოფლიოში 2050 წლისათვის საჭირო გახდება სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაიზრდა 70%-ით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში საჭიროა თითქმის 100%-იანი ზრდა (FAO, 2009a). ისტორიულად აგრარული პროდუქციის წარმოებისათვის დამახასიათებელმა ზრდის მაღალმა ტემპმა რესურსების ბაზის გაფართოებასთან ერთად განაპირობა ის გარემოება, რომ სურსათის წარმოების მოცულობამ გადააჭარბა მოსახლეობის ზრდას. მაგალითად, ე. წ. მწვანე რევოლუციამ 1961 წლიდან 2000 წლამდე პერიოდში გამოიწვია სურსათის წარმოების ზრდა 800 მილიონი ტონიდან 2.2 მილიარდ ტონაზე მეტად (FAO, 2011a).

ცნობილია, რომ მთლიანი ფაქტორთა მწარმოებლურობა (Total Factor Productivity, TFP) მწარმოებლურობის ყველაზე სრულყოფილი საზომია და ასახავს წარმოების ფაქტორთა "გარდაქმნის" ეფექტიანობას გამოშვებულ პროდუქციად. ზოგიერთი უახლესი კვლევა ცხადყოფს, რომ მთლიანი ფაქტორთა მწარმოებლურობა მსოფლიოში 2000 წლიდან საშუალოდ წელიწადში 2%-ით იზრდებოდა (Fuglie, 2012). სურათი გაცილებით კომპლექსურია, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულ ქვეყნებს ან რეგიონებს. ზოგიერთმა დიდმა ქვეყანამ, როგორცაა ბრაზილია, ჩინეთი, ინდონეზია, რუსეთი და უკრაინა შესაბამისი რეგიონების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით მაღალ ფაქტორთა მთლიან მწარმოებლურობას მიაღწია. აფრიკულ ქვეყნებში საპარის სამხრეთით მდებარე რეგიონები ჩამორჩებიან. აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან მათ შორის რამოდენიმე ქვეყანამ, როგორცაა კამერუნი, კენია, კონგო, მალი, ბენინი და სიერა-ლეონე, მიაღწია რეგიონში ფაქტორთა მთლიანი მწარმოებლურობის საშუალო მაჩვენებელზე უფრო მაღალ მაჩვენებელს. აღნიშნული შედეგი ძირითადად გაპირობებული იყო პოლიტიკის ცვლილებებით (Yu and Nin-Pratt, 2011).

სხვა კვლევები, რომლებიც იყენებენ ნაწილობრივ ფაქტორთა მწარმოებლურობის მაჩვენებელს (Partial Factor Productivity), მაგალითად მიწის და შრომის მწარმოებლურობა, ცხადყოფენ უფრო პესიმისტურ სურათს. სურათი პესიმისტურია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩინეთის შედეგები არ არის გათვალისწინებული კალკულაციისას (Alston et al., 2010). ლათინურ ამერიკაში, ჩინეთში და მრავალ განვითარებულ ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა უფრო სწრაფად ვიდრე მიწის მწარმოებლურობა, რადგანაც ამ ქვეყნებში აგრარულ სექტორში შრომის რაოდენობა პერმანენტულად მცირდებოდა. განსხვავებულია ვითარება აზიაში, სადაც მიწის მწარმოებლურობის ზრდა იყო წამყვანი. სხვა გარემოებაა აფრიკაშიც, სადაც სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწის გაფართოება არის მთავარი მამოძრავებელი ძალა. მემცენარეობის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებთან შედარებით მეცხოველეობის ზოგიერთ სახეობაში მწარმოებლურობის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი შეინიშნება. ყველაზე პოპულარული მაჩვენებელი მიწის მწარმოებლურობის განსაზღვრისას არის მოსავლის მოცულობა. მარცვლელულის მოსავლის ძირითად სახეობებში ზრდის საშუალო გლობალური მაჩვენებელი

შემცირდა. 1980 წლიდან მოყოლებული ხორბლისა და ბრინჯის მოსავლის ზრდა შემცირდა 2.5-3%-იდან დაახლოებით 1%-მდე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სიმინდის მოსავლის ზრდა დაახლოებით მხოლოდ 2% იყო (Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms, 2012; გვ. 9).

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში დაბალი მწარმოებლურობა და ნელი ზრდა სპეციფიკურ პრობლემებს წარმოშობს. ტექნიკურად პოტენციურ მოსავლიანობასა და მცირე საოჯახო ფერმერული მეურნეობების ფაქტიურ მოსავლიანობას შორის სხვაობა ასახავს ფაქტორთა არაეფექტიან გამოყენებას, მცირე ფერმერულ მეურნეობებში პროდუქტიული ტექნოლოგიების არასაკმარის დანერგვას, რაც ხშირად დაკავშირებულია ბაზრების ინტეგრაციის ნაკლებობასთან. 2005 წელს პოტენციურ და ფაქტიურ მოსავლიანობებს შორის სხვაობა გამოირჩეოდა ფართო სპექტრით - აღმოსავლეთ აზიაში ეს მაჩვენებელი 11%, ხოლო საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში 76% იყო (FAO, 2011b). ტექნიკურად პოტენციურ და ფაქტიურ მოსავლიანობებს შორის სხვაობის შემცირება მნიშვნელოვან უკუგებას მოიტანს სასურსათო უსაფრთხოების გაზრდის, კვების რაციონის გაუმჯობესების და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით (World Bank, 2008). კვლევები ადასტურებენ, რომ მაღალი უკუგების მიღწევა ასევე შესაძლებელია მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში მწარმოებლურობაში გენდერული სხვაობის შემცირებით. FAO-ს მონაცემების მიხედვით, რესურსებზე არათანაბარი წვდომით გამოწვეულ მწარმოებლურობაში გენდერული სხვაობის შემცირებით შესაძლებელია განვითარებად ქვეყნებში მთლიანი აგრარული პროდუქციის 2,5-4%-ით ზრდა და მსოფლიოში გამოუყვებავი მოსახლეობის რიცხვის 12-17%-ით შემცირება (FAO, 2011a).

მომავალში სურსათის წარმოების ზრდა განხორციელდება უფრო მეტად შეზღუდული რესურსების პირობებში. მსოფლიოს ბევრ რეგიონში უკვე შეუძლებელია სახნავი მიწების გაფართოება. აგრარული მიწების გაფართოების გარკვეული პოტენციალი არსებობს ცენტრალურ აზიაში, მაგრამ პრაქტიკულად აღარ არსებობს დამატებითი მიწები სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში. აგრარული წარმოებისათვის გამოსადეგი მიწები ჯერ კიდევ არსებობს საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, მაგრამ ამ რეგიონებში მიწების 70% ხასიათდება ნიადაგის და ტერიტორიული შეზღუდულობით (FAO, 2011a).

აგრარული წარმოება მსოფლიოში წყლის რესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია. იგი გამოიყენებს მსოფლიოში მოხარებული წყლის 70%-ს. ზოგიერთ ქვეყანაში აგრარული მიზნით გამოყენებულია წყლის რესურსების 90%. თანამედროვე მსოფლიოში ცალკეული ქვეყნები, ქვეყნებს შიგნით რეგიონები, ინდუსტრიის სხვადასხვა დარგები და ქალაქები კონკურენციას უწევენ აგრარულ წარმოებას წყლის რესურსების გამოყენების მიზნით. მსოფლიოში ქვეყნებისა და ცალკეული რეგიონების სულ უფრო მზარდმა რაოდენობამ მიაღწია წყლის ნაკლებობისა და დაბინძურების საგანგაშო დონეს. ბევრ რეგიონში ეს პრობლემა კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს შეიძენს მომავალში. ავტორიტეტული ორგანიზაციებისა და ექსპერტების პროგნოზით 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 40% იცხოვრებს ისეთ მდინარეთა აუზების ტერიტორიაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება წყლის ნაკლებობისა და დაბინძურების მწვავე პრობლემები (OECD, 2012a). მიწის რესურსების გადაჭარბებით გამოყენება, მიწის სუსტი მენეჯმენტი და მკვებავი ნივთიერებების ნიადაგში შეტანა მსოფლიოს მასშტაბით იწვევს მიწის მწარმოებლურობის წმინდა დანაკარგებს წელიწადში საშუალოდ 0.2%-ით (Nelleman *et al.*, 2009). მიწის დეგრადაცია ნიადაგის ზედაპირულ ფენებს უფრო მგრძობიარეს ხდის წყლის და ქარის ეროზიის მიმართ, მცირდება ასეთი მიწების ირიგაციისა და სასუქებით გამდიდრების პროდუქტიულობა, რაც საბოლოოდ წარმოებისა და შემოსავლების შემცირებას იწვევს.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მკვებავი ნივთიერებებით, პესტიციდებით და სხვა შხამქიმიკატებით წყლის დაბინძურების მთავარ წყაროს. იგი აბინძურებს გარემოს სასათბურე აირების გამოყოფითაც. ზოგიერთ ინტენსიურ ფერმერულ სისტემებში მოხმარებული არაორგანული და ორგანული მკვებავი ნივთიერებების დაახლოებით 50% ყოველთვის არ არის ათვისებული მარცვლეულის მინდვრებსა და საძოვრებზე, რაც იწვევს მიწის მნიშვნელოვან დაბინძურებას (OECD, 2012b). სრულიად საპირისპირო გარემოებაა განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილში, სადაც მარცვლეულის წარმოება იწვევს ნიადაგის გამოფიტვას და მასში მკვებავი ნივთიერებების წმინდა დანაკარგებს. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის დიდი ნაწილში ნიადაგის პროდუქტიულობა კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

თანამედროვე მსოფლიოში აგრარული წარმოების ერთერთ გამოწვევას წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნით აგრარული წარმოების მხრიდან კონტრიბუციის მაქსიმიზაცია ნეგატიური გავლენების მინიმიზაციის პირობებში. ბიომრავალფეროვნება წარმოადგენს აგრარული წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საფუძველს. გასული საუკუნე ხასიათდება ბიომრავალფეროვნების დიდი დანაკარგებით, რომლებიც

გამოწვეული იყო ადამიანთა დესტრუქციული ქმედებებით, განსაკუთრებით ტყის მასივების გაჩეხვით (UN, 2011).

კლიმატურ ცვლილებებთან შეგუება აგრარულ წარმოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ფაქტების სულ უფრო მზარდი რაოდენობა ადასტურებს, რომ კლიმატის ცვლილებას აქვს უარყოფითი გავლენა აგრარულ წარმოებაზე განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms, 2012; გვ.10-11). მკვლევართა ვარაუდით, 2030 წლამდე პერიოდში კლიმატური ცვლილებები და ექსტრემალური ამინდის შემთხვევები გაიზრდება, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს მოსავლიანობის ზრდასა და სასურსათო უსაფრთხოებაზე თითქმის ყველა რეგიონში და, განსაკუთრებით, საჰარის სამხრეთით აფრიკასა და სამხრეთ აზიაში (SREX, 2012). მწარმოებლურობის ზრდა აუცილებელი ხდება არა მხოლოდ მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, არამედ მომავალში აგრარულ სექტორში კლიმატური ცვლილებებით და, უფრო ზოგადად, რესურსების შეზღუდულობით გამოწვეული მიწოდების შოკების გასანეიტრალებლად.

ინოვაციური სისტემების აგრარულ სექტორში დანერგვა მომავლის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ფერმერული მეურნეობების მწარმოებლურობა შესაძლებელია გაუმჯობესდეს მასშტაბის ეკონომიის გზით და ტექნიკურად უფრო ეფექტიანი საწარმოო სისტემების დანერგვით. მწარმოებლურობის ზრდა მთელი სექტორის მასშტაბით გრძელვადიან პერიოდში საჭიროებს უწყვეტ ტექნოლოგიურ პროგრესს, სოციალურ ინოვაციებს და ახალ ბიზნეს მოდელებს. იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობამ უპასუხოს მომავლის გამოწვევებს, საჭიროა ინოვაციების შექმნა არა მხოლოდ საწარმოო ფაქტორების პროდუქციად გარდაქმნის პროცესში, არამედ შეზღუდული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ნარჩენების შემცირების მიმართულებითაც (OECD, 2011a).

სასოფლო-სამეურნეო კვლევებიდან და განვითარებიდან მიღებული უკუკავშირის ნორმების შეფასებები გვიჩვენებს, რომ კვლევებსა და განვითარებას სოფლის მეურნეობაში გააჩნია ძალიან მაღალი სოციალური ღირებულება. არსებული შეფასებებით, შემოსავლიანობის წლიური შიდა განაკვეთი სასოფლო-სამეურნეო კვლევებსა და განვითარებაში განხორციელებულ ინვესტიციებზე მერყეობს 20%-დან 80%-მდე (Alston, 2010). განვითარებად ქვეყნებში კვლევებსა და განვითარებაში განხორციელებული ინვესტიციების გავლენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებაზე საზოგადოდ მერყეობს 6%-დან 12%-მდე სხვადასხვა ქვეყანაში (Fan *et al.*, 2008, Fan and Zhang, 2008, FAO, 2012a). ყველაზე დიდი ზრდა მწარმოებლურობაში ჰქონდათ იმ ქვეყნებს, რომლებიც დიდი ოდენობით ინვესტიციებს ახორციელებდნენ კვლევებსა და განვითარებაში და, იმავდროულად, ფერმერების განათლების გზით ინვესტირებას ახდენდნენ ახალი პრაქტიკის დანერგვაში (Fuglie, 2012).

მასტიმულირებელი პოლიტიკით განპირობებული მწარმოებლურობის ზრდა განვითარებულ ქვეყნებში განხორციელდა ცვალებადი ფაქტორების გამოყენების შედარებით დაბალი დონის პირობებში და, მაშასადამე, ჰქონდა უფრო მდგრადი ხასიათი. ინოვაციურმა სისტემებმა უპასუხეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ფორმულირებული იქნა მომხმარებლების, პოლიტიკის შემმუშავებლების და საერთაშორისო განვითარების პარტნიორების მიერ. განვითარებულმა ქვეყნებმა განავითარა ინოვაციები, რომლებიც იძლევა რესურსების უფრო მდგრადი გამოყენების საშუალებას: ნიადაგის ნულოვანი დამუშავება, მანეჟმენტის მწვერებისადმი მდგრადი კულტურები, უფრო ეფექტიანი სარწყავი სისტემა, წყლის მენეჯმენტის სისტემა, მოსავლში მკვებავი ნივთიერებების მდგომარეობის მანეჟმენტული სენსორები, დისტანციური ზონდირების და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) მიწის გამოყენების გასაუმჯობესებლად და მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სისტემა ფერმერებისთვის საკონსულტაციო მომსახურების უკეთ გასაწევად.

სოფლის მეურნეობა არის სექტორი, სადაც სახელმწიფო ჩარევის მიზნები, ინსტრუმენტები და მხარდაჭერის ფორმები ცვალებადია საქონლის, ქვეყნის და პერიოდის მიხედვით. საშუალოდ, მაღალშემოსავლიანი ქვეყნები უზრუნველყოფენ შედარებით უფრო დიდ მხარდაჭერას თავიანთი სოფლის მეურნეობისთვის, თუმცა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მხარდაჭერა მცირდებოდა. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სექტორის მხარდაჭერა საშუალოდ ისევ რჩება დაბალ დონეზე. პროდუქცია, რომელიც ექსპორტზე გადის უფრო ნაკლებ მხარდაჭერას იღებს მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, ვიდრე იმპორტთან კონკურენციაში მყოფი პროდუქცია. სასოფლო სამეურნეო პროდუქცია კვლავ იბეგრება განვითარებად ქვეყნებში. ქვეყნები, შემოსავლის დონის ზრდის კვალობაზე ფერმერული მეურნეობების დაბეგვრიდან გადადიან მათ სუბსიდირებაზე (Anderson, 2009).

1980-იანი წლების შუა პერიოდიდან OECD-ს წევრ ქვეყნებში შემცირდა მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მიმართ. ბოლო წლებში მასზე მოდის მეურნეობების მიერ მიღებული ფინანსების მთლიანი ოდენობის 20% 1980-იანი წლებში არსებული 37%-ის ნაცვლად. ამასთან, დიდად განსხვავებულია მონაცემები ქვეყნების და საქონლის მიხედვით, დონეების და შემადგენლობის თვალსაზრისით (OECD, 2011c). პოლიტიკის რეფორმამ არა მარტო შეამცირა დახმარების დონეები, არამედ შეამცირა ამ დახმარების გავლენაც საქონლის ბაზრებზე. OECD-ს წევრ ქვეყნებში დახმარების წილი მწარმოებელთათვის გაწვეულ მთლიან დახმარებაში

შემცირდა 1980-იანი წლების შუა პერიოდის 86%-დან 2000-იანი წლების ბოლო პერიოდისათვის 45%-მდე.

ხარისხი, რომლითაც პოლიტიკის რეფორმამ მოახდინა გავლენა მწარმოებლურობაზე, არ არის ნათელი. სუბსიდიები გავლენას ახდენს ფერმერული მეურნეობის მწარმოებლურობაზე. ისინი ხელს უწყობენ ექსტენსიფიკაციას და ნაკლებად ეფექტიან ფერმერებს ესმარებიან ბიზნესის შენარჩუნებაში. ისინი ასევე ხელს უწყობენ გარემოსადმი მეგობრული საწარმოო პრაქტიკის დანერგვას, რამდენადაც ფერმერებს შეუძლიათ დამატებითი შემოსავლის გამოყენება ინოვაციაში ინვესტირებისთვის. განვითარებად და მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში დახმარება კონცენტრირდება წარმოების ცვალებადი ფაქტორების სუბსიდირებაზე, ისეთებზე როგორებიცაა სასუქები, ტრანსპორტი და მარკეტინგული ინფრასტრუქტურა. ზოგადად, მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფო დახმარების პროცენტული წილი ფერმებისთვის გამოყოფილ ფინანსებში უფრო დაბალი იყო, ვიდრე OECD-ს საშუალო, თუმცა ის გაიზარდა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან. 2010 წელს ეს მაჩვენებელი ჩინეთში (17%) მიუახლოვდა OECD-ს საშუალო მაჩვენებელს (18%), ხოლო რუსეთის მაჩვენებელმა (21%) გადააჭარბა OECD-ს საშუალოს (Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms, 2012; გვ. 17). ამ მონაცემების ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ზოგიერთი საქონელი იბეგრება და ზოგიერთისთვის კი გათვალისწინებულია სუბსიდია.

განვითარებად ქვეყნებში, სოფლის მეურნეობის წილი სახელმწიფო ხარჯებში შემცირდა 1980-90-იან წლებში (Fan and Breisinger, 2011). სისტემატური საერთაშორისო დაკვირვება სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ხარჯებზე არ არის შესაძლებელი. ასევე არ არის შესაძლებელი იმის დადგენა, თუ გაწეული ხარჯებიდან როგორია სუბსიდიების, მოგების, საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი. სადაოა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ეს ხარჯები განხილულ იქნეს ინვესტიციად კაპიტალის ფორმირების პროცესში. მთლიანობაში, განვითარებადი ქვეყნებისთვის 2000-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო ხარჯები იზრდებოდა წლიური 6%-ით, რაც უფრო მეტია, ვიდრე მათი მოსახლეობის ზრდის ტემპი და სასოფლო-სამეურნეო მშპ-ს ზრდა (Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms, 2012; გვ. 17-18).

სტიმულები, რომლებიც განაპირობებს სოფლის მეურნეობაში ინოვაციებს, უკეთესი ტექნოლოგიების დანერგვას და ინვესტირებას, დამოკიდებულია საერთო პოლიტიკურ გარემოზე მაკროეკონომიკური და სექტორული პოლიტიკისა და რეგულაციების ჩათვლით. ისტორიულად, პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში არ იყო მიმართული სოფლის მეურნეობის სასიკეთოდ. ფერმერებისთვის ინვესტირებისა და წარმოების გაფართოების სტიმულების შემცირება დაკავშირებულია არასასოფლო-სამეურნეო სექტორების პროტექციონიზმთან (Krueger, Schiff and Valdés, 1988). უკანასკნელი ხუთი ათწლეულის განმავლობაში არასასოფლო-სამეურნეო პროტექციონიზმის ნომინალური განაკვეთი მუდმივად მცირდებოდა განვითარებად ქვეყნებში. 1960-იანი წლებში არსებულ 45%-დან 1990-იანი წლებისათვის იგი 10%-მდე შემცირდა (Anderson, 2009). ამ ტენდენციამ უფრო მეტად ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის წმინდა დაბეგვრის შემცირებას ვიდრე სოფლის მეურნეობის მხარდამჭერმა სხვადასხვა პოლიტიკამ. რეფორმებმა აზიაში, განსაკუთრებით კი ინდოეთსა და ჩინეთში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ მიმართულებით მაშინ, როცა არასასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ბევრ აფრიკულ ქვეყანაში კვლავ ავლენს არასახარბიელო ტენდენციებს სოფლის მეურნეობისთვის.

პოლიტიკით განპირობებულმა წარუმატებლობებმა და შესაბამისი ინსტიტუტების ნაკლებობამ განვითარებად ქვეყნებში შეზღუდა მცირე საოჯახო მეურნეობების მწარმოებლურობა. განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის პოლიტიკა და ინსტიტუტები, რომლებმაც წვრილ მესაკუთრებს მიაჩნტეს შეზღუდული კონტროლის უფლება მიწასა და წყლის რესურსებზე. შეფასებულია, რომ მსოფლიოში ერთიდან ორ მილიარდამდე ადამიანი ცხოვრობს და იყენებს საერთო მფლობელობაში არსებულ მიწას, რაზეც მათ არ გააჩნიათ არანაირი კანონიერი უფლება (IFAD, 2011a). განვითარებად ქვეყნებში ცუდად ჩამოყალიბებული საკუთრების უფლებები ზღუდავს ფერმერების წვდომას საკრედიტო და სადაზღვევო ბაზრებზე, არ აძლევს მათ საშუალებას, განახორციელონ ინვესტიციები ეკოლოგიური მდგრადობის გაუმჯობესების და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის მიმართულებებით. სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი კონკრეტული პოლიტიკის გავლენა ფერმერული მეურნეობის მწარმოებლურობაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რა მიზნით ხორციელდება აღნიშნული პოლიტიკა. სასაქონლო დახმარების პოლიტიკას გააჩნია ყველაზე დიდი გავლენა მწარმოებლურობაზე, მაგრამ ფერმერთა დაცვა კონკურენციისგან არ ახდენს მათ წახალისებას, რათა გაზარდონ მწარმოებლურობა. ინტერვენცია ბაზარზე ხშირად ებრძვის უფრო საბაზრო ჩავარდნის სიმპტომებს და დაბალგანვითარებულობას, ვიდრე მიზეზს. მაგალითად, სურსათის ფასების სტაბილიზაციას შეუძლია უზრუნველყოს უფრო სტაბილური საინვესტიციო კლიმატი, მაგრამ ასევე შეუძლია მომხმარებლებს დააკისროს უფრო მაღალი ფასის გადახდა, ხელი შეუშალოს კერძო რისკ-მენეჯმენტის განვითარებას და შეიტანოს არასტაბილურობა

მსოფლიო ბაზრებზე. ის ასევე აფერხებს კერძო სექტორის განვითარებას, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სასურსათო სექტორის გრძელვადიანი განვითარებისთვის (OECD, 2012e).

ფასების მხარდამჭერი პოლიტიკის მსგავსად, სუბსიდიები საწარმოო ფაქტორებზე ასევე ამახინჯებს წარმოებას. მიუხედავად ამისა, მას შეუძლია დროებით მაინც გამოასწოროს ისეთი ნაკლოვანებები, როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, საკრედიტო და საწარმოო ფაქტორების ბაზრების არარსებობა, გაუმჯობესებული თესლის გამოყენების, ცხოველთა ჯიშების და სასუქების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ამ აზრით სუბსიდიებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ფერმერებს გაუმჯობესებული ტექნიკის შესყიდვაში და, მაშასადამე, მწარმოებლურობის ამაღლებაში. თუმცა, სუბსიდიებს დროთა განმავლობაში შეუძლიათ შეაფერხონ კერძო ბაზრების განვითარება და ვერ მოახდინონ მყისიერი რეაგირება ბაზრის ჩავარდნაზე.

უმეტეს შემთხვევაში, როცა დახმარება მიმართულია კონკრეტული წარმოების ფაქტორისკენ, შეიძლება წახალისდეს წარმოების ფაქტორების ისეთი ნაკრები გამოყენება, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს ეკონომიკურად ან ეკოლოგიურად მდგრადი. მაგალითად, სარწყავი სისტემების სუბსიდირებამ შესაძლოა არ წახალისოს წყლის რესურსების დამზოგავი სარწყავი სისტემების დანერგვა, თუ არ იქნება შემოღებული შესაბამისი რეგულაციები. მწარმოებლების უზრუნველყოფა რისკ-მენეჯმენტისთვის საჭირო ინსტრუმენტებით მნიშვნელოვანი მომენტია ინოვაციებისთვის, მაგრამ სახელმწიფოს ზედმეტმა მხარდაჭერამ რისკ-მენეჯმენტის სქემებთან დაკავშირებით შესაძლოა ხელი შეუშალოს ბაზარზე არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

სახელმწიფო დანახარჯებს სასოფლო-სამეურნეო კვლევებსა და განვითარებაზე დადებითი და მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს მწარმოებლურობაზე სოფლის მეურნეობაში, თუმცა, სახელმწიფო დანახარჯები საკონსულტაციო მომსახურებაზე ასევე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ხელს უწყობს წარმოების ახალი სისტემების დანერგვას, რაც იძლევა მწარმოებლურობის მდგრადი ზრდის მიღწევის საშუალებას.

საზოგადოდ, სახელმწიფო დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო კვლევებსა და განვითარებაზე დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში უფრო მცირეა, ვიდრე OECD-ს ქვეყნებში და, ამასთანავე, არსებობს დიდი არაერთგვაროვნება ქვეყნებს შორის. 2002 წელს ჩინეთზე მოდიოდა აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯების ორი მესამედი. 1990-იანი წლების სტაგნაციის პერიოდის შემდეგ ჩინეთის სახელმწიფო დანახარჯები 2001-2008 წლებში სასოფლო-სამეურნეო კვლევებზე გაორმაგდა (Chen, Flaherty, and Zhang, 2012). საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში 1990-იანი წლების ათწლიანი სტაგნაციის შემდეგ, 2001-2008 წლებში ინვესტიციები სასოფლო-სამეურნეო კვლევებში გაიზარდა 20%-ზე მეტად, მაგრამ ეს ზრდა დიდწილად მოხდა მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაში (Beintema and Stads, 2011).

დღემდე სახელმწიფო ხარჯები არის სასოფლო-სამეურნეო კვლევების დაფინანსების მთავარი წყარო. იზრდება ინვესტიციები კერძო სექტორიდანაც, მაგრამ ასეთი ინვესტიციები ზოგადად ფოკუსირებულია ბაზარზე ორიენტირებულ საწარმოო სისტემებზე. კერძო საკუთრების უკეთ დაცულობამ, სწრაფმა პროგრესმა მოლეკულურ ბიოლოგიაში, წარმოების ფაქტორებისა და პროდუქციის გლობალური ბაზრების ინტეგრაციამ განაპირობა კერძო სექტორისთვის მძლავრი სტიმულები კვლევებსა და განვითარებაში ინვესტიციების განსახორციელებლად. იმავდროულად, შეზღუდული რაოდენობით კერძო სექტორის მიერ განხორციელებულია კვლევები ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებებით. განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის მხრიდან განხორციელებული ინვესტიციები კვლავ მცირეა და სასოფლო-სამეურნეო კვლევებზე უმეტესად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება (Beintema and Stads, 2008). დადასტურებულია, რომ 2000 წლიდან საშუალოდ, სახელმწიფოს მიერ კვლევების დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები კვლევების მთლიანი დაფინანსების 81%-ს შეადგენს და დაფინანსების მხოლოდ 7%-ია სესხებისა და გრანტების სახით დონორების წილი. ეს უკანასკნელი უმეტესად დამახასიათებელია საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებისა და რამდენიმე დაბალშემოსავლიანი ქვეყნისთვის აზიიდან და ლათინური ამერიკიდან (Etcheverria and Beintema, 2009).

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი კვლევის შედეგი მიუთითებს აგრარულ სექტორისათვის მდგრადი მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელობაზე. მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ეს გამოწვევები მომავალში უფრო მეტად მრავალფეროვანი გახდება. სოფლის მეურნეობამ უნდა აწარმოოს მეტი სურსათი მზარდი მსოფლიო მოსახლეობისათვის, რომელიც უფრო მეტად მრავალფეროვან რაციონს მოითხოვს. განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობას მოუწევს წვლილის შეტანა საერთო განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში. აგრარულმა სექტორმა უნდა დააბალანსოს შეზღუდული მიწის რაოდენობის და წყლის რესურსების გამოყენება კლიმატური ცვლილებებთან ადაპტაციის მიზნით, ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ეკოსისტემების აღდგენას. ამ გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა კოორდინირებული ქმედებები საჯარო სტრუქტურებიდან, ბიზნეს სექტორიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან. ეს ქმედებები ადაპტირებული უნდა იყოს განვითარების

სხვადასხვა დონეზე მეოფ ქვეყნებში ყველა ტიპის ფერმერული მეურნეობებისათვის ღამახასიათებელ სპეციფიკურ გარემოებებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alston, J. (2010), —The Benefits from Agricultural Research and Development, Innovation, and Productivity Growth, OECD Food, Agriculture and Fisheries Working Papers, No. 31, OECD Publishing. dx.doi.org/10.1787/5km91nfsnkwg-en
2. Alston, J.M., Beddow, J.M. and P.G. Pardey (2010), "Global Patterns of Crop Yields and Other Partial Productivity Measures and Prices", Chapter 3 in Alston, J.M., B.A. Babcock, and P.G. Pardey eds (2010), The Shifting Patterns of Agricultural Productivity Worldwide, CARD-MATRIC Electronic Book, Center for Agricultural and Rural Development, The Midwest Agribusiness Trade Research and Information Center, Iowa State University, Ames, Iowa. Available at: www.matric.iastate.edu/shifting_patterns
3. Anderson, K. ed. (2009), Distortions To Agricultural Incentives From A Global Perspective 1955-2007, World Bank
4. Beintema, N.M., and G-H. Stads (2008), "Measuring agricultural research investments: A revised global picture", ASTI Background Note. Washington, D.C.: International Food Policy Research Institute. www.asti.cgiar.org/pdf/Global_revision.pdf
5. Beintema, N.M. and G-H. Stads (2011), African agricultural R&D in the new millennium, IFPRI. Available at: www.ifpri.org/publication/african-agricultural-rd-new-millennium
6. Chen, K. Z., K. Flaherty, and Y. Zhang (2012), China: Recent Developments in Agricultural Research, ASTI Country Note, Washington, DC: International Food Policy Research Institute.
7. Echeverría, R.G., and N.M. Beintema (2009), "Mobilizing financial resources for agricultural research in developing countries: Trends and mechanisms", Rome: Global Forum for Agricultural Research
8. Fan, S., ed. (2008), Public expenditures, growth, and poverty: Lessons from developing countries, Baltimore, Md., US.: Johns Hopkins University Press.
9. Fan, S. and C. Breisinger (2011), "Development assistance and investment in agriculture: Promises and facts", Technikfolgenabschätzung—Theorie und Praxis, Vol. 20, No. 2, pp. 4-11.
10. Fan, S. and X. Zhang (2008), "Public expenditure, growth and poverty reduction in rural Uganda", African Development Review, Vol. 20, No. 3.
11. FAO (2009a), Investment, High-Level Expert Forum on How to Feed the World, 12-13 October, Rome.
12. FAO (2011a), Save and Grow: A policymaker's guide to the sustainable intensification of smallholder crop production, Rome.
13. FAO (2011b), The state of the world's land and water resources for food and agriculture (SOLAW) - Managing systems at risk. Food and Agriculture Organisation of the United Nations, Rome and Earthscan, London
14. FAO (2012a), State of Food and Agriculture: Investment in Agricultural for Food Security
15. FAO (2012b), Save and Grow: A policymaker's guide to the sustainable intensification of smallholder crop production, Rome.
16. Fuglie, K.O. (2012), "Productivity Growth and Technology Capital in the Global Agricultural Economy", in Fuglie, K.O., S.L. Wang, and V.E. Ball eds (2012), Productivity Growth in Agriculture: An International Perspective, Oxfordshire, UK: CAB International.
17. IFAD (2011a), Rural Poverty Report 2011
18. IFAD (2011b), Smallholder conservation agriculture; rationale for IFAD involvement and relevance to the East and Southern African region, Rome: IFAD, pp. 5-7.
19. IFAD (2011c), "Review of Post-Harvest Systems in IFAD Projects and Programmes", Policy and Technical Advisory Division, Rome, IFAD.
20. Kruger, A.O., M. Schiff and A. Valdés (1988), "Agricultural Incentives in Developing Countries: Measuring the Effect of Sectoral and Economy-wide Policies", World Bank Economic Review, Vol. 2, No. 3, pp. 255-72
21. Nellemann, C., MacDevette, M., Manders, T., Eickhout, B., Svihus, B., Prins, A.G. and B.P. Kaltenborn, eds. (2009), The environmental food crisis – The environment's role in averting future food crises. A UNEP rapid response assessment. Norway, United Nations Environment Programme and GRID-Arendal.
22. OECD (2011a), OECD Green Growth Studies: Food and Agriculture, OECD Publishing. dx.doi.org/10.1787/9789264107250-en
23. OECD (2011b), Fostering productivity and competitiveness in agriculture, OECD Publishing. dx.doi.org/10.1787/9789264166820-en
24. OECD (2011c), Agricultural Monitoring and Evaluation 2011: OECD countries and Emerging Economies, OECD publishing, dx.doi.org/10.1787/agr_pol-2011-en

25. OECD (2011d), Collaborative Mechanisms for Intellectual Property Management in the Life Sciences, OECD publishing, pp. 22-23.
26. OECD (2012a), OECD Environmental Outlook to 2050, OECD Publishing. dx.doi.org/10.1787/9789264122246-en
27. OECD (2012b), Environmental Performance of Agriculture at a Glance, OECD publishing
28. OECD (2012c), Improving Agricultural Knowledge and Innovation Systems: OECD Conference Proceedings, OECD Publishing. dx.doi.org/10.1787/
29. OECD (2012d), Agricultural Policies for Poverty Reduction: A Synthesis, OECD publishing, dx.doi.org/10.1787/9789264167698-en
30. OECD (2012e), Development aid reaches an historic high in 2010. www.oecd.org/document/35/0,3746,en_2649_34447_47515235_1_1_1_1,00.html#note
31. Sustainable Agricultural Productivity Growth and Bridging the Gap for Small Family Farms (2012)., Interagency Report to the Mexican G20 Presidency with contributions by Bioversity, CGIAR Consortium, FAO, IFAD, IFPRI, IICA, OECD, UNCTAD, Coordination team of UN High Level Task Force on the Food Security Crisis, WFP, World Bank, and WTO. Available at: <http://www.oecd.org/tad/agricultural-policies/sustainableagriculturalproductivitygrowthandbridgingthegapforsmall-familyfarms.htm>
32. SREX (2012), Managing the Risks of Extreme Events and Disasters to Advance Climate Change Adaptation (SREX), Special Report of the Intergovernmental Panel on Climate Change
33. UN (2011), World Economic and Social Survey 2011. The Great Green Technological Transformation, Department of Economic and Social Affairs.
34. Yu, B. and A. Nin-Pratt (2011), "Agricultural Productivity and Policies in Sub-Saharan Africa", IFPRI Discussion Paper 01150, December. Available at: www.ifpri.org/sites/default/files/publications/ifpridp01150.pdf
35. World Bank (2008), World Development Report 2008, p. 91 and 67

IA NATSVLISHVILI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor*

**CHALLENGES OF SUSTAINABLE PRODUCTIVITY GROWTH IN AGRICULTURE
(Overview of Global Trends)**

S u m m a r y

A huge number of studies point out the importance of sustainable productivity growth in global agriculture, in particular for developing economies. Often, it is considered one of the main driver of sustainable economic growth in agricultural sector. This is true for Georgia as well. According the data and analysis provided by Interagency Report to the Mexican G20 Presidency in 2012 global agriculture will face multiple challenges over the coming decades. Improving agricultural productivity, while conserving and enhancing natural resources, is an essential requirement for farmers to increase global food supplies on a sustainable basis. The success of developing countries in increasing agricultural productivity will have global implications in strengthening the resilience of food markets, enhancing food security, improving wellbeing and promoting sustainability. A successful strategy for sustainable agricultural productivity growth requires significant improvements in the investment climate in many countries, in agricultural innovation systems and farming practices, in the management of natural resources, and in specific policies and efforts to close the productivity gap of small family farms. Main drivers of productivity in modern agricultural sector are innovation, investment and policy. They play significant role in closing the gap between actual and potential productivity levels of agriculture in developing countries.

დავით ნიჭიბაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი*

მარკეტინგის როლი აბრარულ სექტორში

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებულია ბუნებრივი წარმოშობის საწარმოო საშუალებათა გამოყენებაში: მიწები, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები და სხვა, რომელთაც საკუთარი განვითარების ბუნებრივი კანონები აქვთ და რომელმაც ასახვა ჰპოვა სოფლის მეურნეობის სპეციალური ზონალური სისტემის ფორმირებაში და განსაზღვრავს აგრარული წარმოების ფუნქციონირების მთავარი ფაქტორების ერთობლიობას. აგრარულ სექტორში განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ იგი განსხვავდება რთული, ძალზე არაერთგვაროვანი და მოძრავი ინსტიტუციონალური სტრუქტურისაგან. მის შემადგენლობაშია არამარტო მსხვილი და საშუალო სასოფლოდსამეურნეო ორგანიზაციები სხვადასხვა ორგანიზაციულდსამართლებრივი ფორმებით, არამედ მცირე სექტორიც. მოსახლეობის პირადი მეურნეობა, რომელსაც საწარმოს

სტატუსი არ აქვს, ძველებურად დიდი სარგებლის მომტანია სასოფლოდსამეურნეო პროდუქციის წარმოებაში.

დღესდღეობით სოფლის მეურნეობის არსებულმა სისტემამ ამოწურა თავის შესაძლებლობები. ბუნებრივია სტრატეგიული დაგეგმვისათვის აუცილებელია ცვლილებების პროგნოზირება წარმოების სისტემაში და გასათვალისწინებელია ის პრინციპები, რომელიც მიმართულია დარგის განვითარებისათვის. აგრობიზნესის განვითარებაში ბუნებრივდკლიმატური პირობები განსაკუთრებული რისკების მქონეა, რომელიც ქმნის საშიშროებას დაიკარგოს აქტივები, მოგება, შემოსავალი და სხვა. ამასთან დაკავშირებით, სტრატეგიული დაგეგმვა სასოფლოდსამეურნეო ორგანიზაციებში გვევლინება ძირითად ფუნქციად სტრატეგიულ რისკდემენჯმენტში, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ზეგავლენა მოახდინოს მიმდინარე პროცესებზე ან არასასურველი გამოვლინებების დონე შეამციროს.

მარკეტინგმა აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებაში ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება, რაც ორი მიზეზითაა გამოწვეული: ჯერ ერთი ის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია საკმარისად არ იწარმოება, მეორე ის, რომ ცალკეულ ხელმძღვანელებს შეექმნათ წარმოდგენა თითქოს საქონლის დეფიციტის პირობებში მარკეტინგს სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება, რაც სავსებით მიუღებელია, მითუმეტეს საქართველოს მაგალითზე. სოფლის მეურნეობის ფორმირებაში, მარკეტინგისა და წარმოებად გასაღების ორიენტაციაში მიზნობრივი მიმართულება, ბიზნესის ფილოსოფია და ორგანიზაცია სხვადასხვაა. მარკეტინგული ორიენტაციის შემთხვევაში, საწარმოს კოლექტივის მიზანი ან მცირე ბიზნესის ფორმირება ესაა მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მათივე ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ხოლო რაც შეეხება გასაღების ორგანიზაციას იგი გულისხმობს საწარმოს პროგრამის შესრულებას.

აგრობიზნესის ეფექტური წარმართვისათვის აუცილებელია მარკეტინგის თავისებურებების გათვითცნობიერება და მათი გათვალისწინება აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო საქმიანობაში. მარკეტინგი, რომელიც სასოფლოდსამეურნეო პროდუქტებთანაა დაკავშირებული, გაცილებით უფრო რთულია მარკეტინგის სხვა სახეებთან შედარებით, რაც განისაზღვრება იმ მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნებით, რომელიც გამოიყენება აგროპროდუქტების საწარმოებლად, გამოდინარე წარმოების პროდუქტების რაოდენობასა და მიზანმიმართულებასთან. აქედან, ზოგიერთი მათგანი გვევლინება როგორც პირველადი მოხმარების საქონელი, ზოგიერთი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ჰარმონიულობისთვისაა საჭირო, ზოგიც კი ემსახურება ცხოვრების დონის ესთეტიკურ დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია აგრომარკეტინგის სპეციფიკური თავისებურებები: მცირე ბიზნესის ფორმირებაში მის ფუნქციებს ასრულებს დარგის არა ნასწავლი და მომზადებული სპეციალისტები, არამედ თვით მწარმოებლები. ამგვარად, ეფექტური აგრომარკეტინგი თავის ობიექტური და სუბიექტური მრავალფეროვნებით შედარებით საწარმოო მარკეტინგთან მის სირთულეს განაპირობებს. მარკეტინგის თავისებურებები აგრარულ სექტორში განისაზღვრება სოფლის მეურნეობის სპეციფიკით, რაც გამოიხატება შემდეგში:

პირველი ეკონომიკური შედეგები დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებთან. სასოფლოდსამეურნეო პროდუქტების წარმოება ურთიერთკავშირშია და განისაზღვრება ძირითადად მიწით, მისი ხარისხითა და ექსპლოატაციის ინტენსიობით. ქიმიური საშუალებების გონივრული გამოყენება მავნებლებთან ბრძოლაში, მათი ბიოლოგიური მეთოდებით შეცვლა, ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას ქმნის ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ამავდროულად, მიწის არარაციონალური დამუშავება აისახება მცენარეებსა და პროდუქციის ხარისხზე. მოცემული პირობები განსაზღვრავს პროდუქციის მოცულობის ასორტიმენტსა და ხარისხს. ყველაფერი ეს კი განაპირობებს მარკეტინგის განსაზღვრულ სპეციფიკას მისი ორგანიზაციისა და მართვის პროცესში.

მეორედესაა საქონლის დანიშნულება და როლი. მარკეტინგის სპეციალისტებს საქმე აქვთ პირველადი მოთხოვნის, სასიცოცხლო დანიშნულების საქონელთან, რაც ბუნებრივია ასორტიმენტში უნდა იყოს დროული და საჭირო მოცულობის ასაკის, სქესის, ეროვნული ტრადიციების, მომხმარებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის და ინტერესთა გათვალისწინებით. საქონელი, როგორც წესი, მაღფუჭებადია, აქედან გამომდინარე, მისი საბოლოო მომხმარებელამდე მიტანა ანუ მიწოდება უნდა იყოს ოპერატიული, მიზანმიმართული, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი უსაფრთხო შეფუთვა, სერვისი და ესთეტიკურობა.

აგრომარკეტინგის მესამე თავისებურებაა საწარმოო და სამუშაო პერიოდის არათანხვედრა. მცენარეულ პროდუქციას იღებენ წელიწადში 1-2ჯერ, სამუშაო პერიოდი კი გრძელდება მთელი წელი. ამასთან დაკავშირებით, მარკეტინგის სპეციალისტებმა კარგად უნდა იცოდნენ მომხმარებელთა მოთხოვნის დიალექტიკა, იცოდნენ მისი დაკმაყოფილების ტენდენციის პროგნოზირება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მოთხოვნის მართვასა და რეალიზაციას, მის დაკმაყოფილებას, საბაზრო კონიუნქტურასა და სხვ, რომელიც

ესოდენ მთავარი და აუცილებელია მთლიანი მარკეტინგის მართვისათვის აგროსამრეწველო ბიზნესში.

მეოთხე დამახასიათებელი თვისებაა წარმოებისა და პროდუქციის მიღების სეზონურობა. ამასთანავე დაკავშირებული მარკეტინგული თავისებურებების სპეციფიკა, ბაზრის მომარაგების შესწავლა და პროდუქციის მიმოქცევა. გამომდინარე იქედან, რომ მომხმარებელი შეიძლება იყოს საბოლოო, პროდუქციის გადამუშავების მარკეტინგული საქმიანობის მიზანმიმართულობა პირდაპირ ხორციელდება მწარმოებლის მიერ. სწორედ პროდუქციის გადამუშავება, მისი სერვისული უზრუნველყოფა და იმპორტული პროდუქცია ფერმერულ მეურნეობასა და სხვა მცირე აგრობიზნესის ფორმირებებში, ან მათ გაერთიანებებში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მომხმარებელთა თანამედროვე მოთხოვნებს. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

1. აგრობიზნესის ფორმირება მიმდინარეობს დეფიციტურ ბაზარზე;
2. არ არის მარკეტინგული საქმიანობის საკმარისი გამოცდილება და ტრადიციები;
3. მრავალ აგროფორმირებას ჩამოყალიბების პროცესში არ აქვს საკმარისი ფულადი და მატერიალური საშუალებები.

მეხუთე თავისებურება ესაა აგროსამრეწველო კომპლექსში მიწაზე საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, წარმოების საშუალებები და რეალიზებული საქონელი. ეს წინასწარ განსაზღვრავს მრავალსპექტრ კონკურენციას, რომელიც იმართება მხოლოდ მომხმარებლების მოთხოვნითა და მათი დაკმაყოფილებით. აქედან ჩნდება აგრომარკეტინგში განსხვავებები ტაქტიკურ ფორმებსა და მეთოდებში. კონკურენციის ფაქტორის გათვალისწინებით მისაღებია კონკურენტული ბრძოლა, თანამშრომლობა, საქონელი, მარკეტინგი, კონვერსიფიკაცია, დივერსიფიკაცია, ამასთანავე, ტაქტიკური მეთოდებისა და სხვა ხერხების ფორმათა რაოდენობა ახლანდელ დროში მნიშვნელოვანი ტემპებით მიმდინარეობს.

მეექვსე თავისებურება ესაა მეურნეობის ორგანიზაციული ფორმების მრავალსახეობა. საკუთრების ფორმების გათვალისწინებით ყალიბდება აგრომარკეტინგის სისტემა, რომელიც განსხვავდება ორგანიზაციული თვალსაზრისით, თვითმმართველობითა და, რაც მთავარია, საჭიროებებისადმი, მოთხოვნისა და მომხმარებელთა ინტერესების ადაპტაციით. სოფლის მეურნეობა, როგორც ეკონომიკის ერთდერთი დარგი, ხასიათდება სამეურნეოდორგანიზაციული სახესხვაობით: გაერთიანებები, აგროკოსორციუმები, ფერმერული და გლეხური მეურნეობები და სხვ. აქედან გამომდინარე, ჩნდება მარკეტინგული მიდგომის ახალი ფორმები.

აგრომარკეტინგის პირველხარისხოვანი ამოცანა, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზანი უნდა იყოს მთელი საქართველოს მასშტაბით არის აგრომარკეტინგის როგორც სისტემის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აუცილებელი პირობები და შესაძლებლობები თითოეული აგრომარკეტინგული ფორმირების საქმიანობისათვის.

მეშვიდე თავისებურებაა მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებაში არსებული უთანაბრობა, რაც ეხება აგრობიზნესის მარკეტინგის მთლიან სისტემას, რომელიც წარმოებას, გადამუშავებას და საქონლის რეალიზაციას თუნდაც ამ ჯაჭვის რომელიმე რგოლში იწვევს არადაამაკმაყოფილებელ მარკეტინგს, რაც აგრობიზნესის ეფექტიანობას აქვეითებს.

მერვე განმასხვავებელი თავისებურება ესაა უფრო მაღალი მგრძობელობა, ამოვისებლობა, ადაპტირება, თვითორგანიზება, აგრომარკეტინგის სისტემის თვითმართვა მარკეტინგის სისტემის სხვა სახეებთან შედარებით. ეს აიხსნება შემდეგი ფაქტორებით:

- სასოფლოდსამეურნეო პროდუქციის ბაზარზე არსებობს მძაფრი კონკურენცია, რომელიც გამომდინარეობს საქონლის იდენტურობიდან. აქედან გამომდინარე, წარმატებას მიაღწევს ის საწარმო, რომელსაც გააჩნია კონკურენტუნარიანი სისტემა როგორც საშინაო ისე საგარეო სეგმენტზე. მრავალი სახის პროდუქციის წარმოება დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე.
- უნდა მოხდეს აგრომარკეტინგის სისტემის სწრაფი ადაპტირება სახელმწიფო ღირებულებების გადაწყვეტილებებისადმი, რომელთა ძირითადი ნაწილი გამომდინარეობს კონკურენტული ფორმების მრავალსახეობისაგან .
- აგრომარკეტინგის აქტუალობა იმით აიხსნება, რომ საქართველო დღეისათვის გაჯერებულია იმპორტული პროდუქტებით, ამასთანავე რეალიზდება უცხოური აგრომარკეტინგის მრავალი ფაქტორი, ამიტომ ადგილობრივი აგრომარკეტინგული ფორმირებები უნდა იყოს კონკურენტუნარიანი უცხოურთან.
- ამგვარად, სასოფლოდსამეურნეო პროდუქციის ბაზარზე ეფექტიანი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია და გარდუვალია აგრომარკეტინგის თანმიმდევრული და პარმონიული დანერგვა, რომლის ცოდნაც იქნება გარანტი იმისა, რომ მეურნეობაში მიღებულ იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული და გამოზომილი გადაწყვეტილებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. თოდუა. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა;
2. Алексунин В.А. Маркетинг в отраслях и сферах деятельности. М.: Издательско-торговая корпорация «Дашков и Ко», 2006ю – С. 86-90.
3. Дженистер П., Хасси Д. Анализ сильных и слабых сторон компании: определение стратегических возможностей, – М.: Издательский дом «Вильямс», 2003.

DAVIT NERGADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

THE ROLE OF MARKETING IN THE AGRICULTURAL SECTOR

S u m m a r y

Agricultural sector of economy has such a strongly marked specific character in realation to other spheres of material production that there is a necessity to work out special approaches in this field on the basis of systematization and adaptation of a central tenet of the theory and practice of strategic planning to its peculiarities.

In turned-out conditions of reforming in agrarian sector of economy the introduction of agrimarketing conception has become especially actual. This conception allows to agricultural enterprises to adapt better for negative conditions of extrnal environment.

დალი ნიკოლაიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორები
მანია ცხვარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორები

კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ლანდშაფტების ბიოპროდუქტიულობაზე

გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია კლიმატის ცვლილება, რასთანაც გადაჯაჭვულია მრავალი სხვა გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური, თუ სასურსათო პრობლემები. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა სხვადასხვა ინტენსივობით შეიძლება გამოიხატოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. 1992 წელს რიო-დე ჟანეიროში ხელმოწერილი კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის უმთავრესი მიზანია ატმოსფეროში საბუნების გაზების კონცენტრაციების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს კლიმატის სისტემაში საშიშ ანთროპოგენურ ჩარევას. 1994 წლიდან საქართველოს მიუერთდა კონვენციას და მას გარკვეული ვალდებულებები შეიტანოს წვლილი (თუმცა არა ისეთი, როგორც განვითარებულ ქვეყნებს აკისრიათ) კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესუსტებასა და ადაპტაციაში.

კლიმატის ცვლილებას უკავშირებენ არაერთი გარემოსდაცვითი პრობლემის გამწვავებას უკანსკნელ წლებში. კერძოდ, საუბარია გაუტყეურება/გაუდაბნობაზე, ნიადაგის ეროზიის ზრდაზე, ბიომრავალფეროვნების შემცირებაზე, ლანდშაფტების დეგრადაციაზე, ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების გააქტიურებაზე, ბუნებრივი მცენარეული საფარისა და აგროკულტურების ბიოპროდუქტიულობის შემცირებაზე და ა.შ. თუმცა ერთი კი ცხადია, აუცილებელია გარემოში მიმდინარე ამ პროცესების სრულყოფილი შესწავლა, აგრეთვე ბუნებრივ, თუ ანთროპოგენურ ფაქტორთა კომპლექსურ ჭრილში განხილვა.

პრობლემის სიმწვავისა და კომპლექსურობის გამო მეტად მნიშვნელოვანია იმ გზების ძიება, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეასუსტებდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ გარემოს დეგრადაციას, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დესტაბილიზაციას, სასურსათო პრობლემას. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიური ბაზის შემუშავება, გარემოს თანამედროვე მდგომარეობისა და მიმდინარე ტრენდების დადგენა და მათი პროგნოზი. რაკი კლიმატის ცვლილება გადაჯაჭვულია ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, ლანდშაფტთა მდგრადობისა და მისი ბუნებრივი პოტენციალის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ცვლილებასთან, აუცილებელია ამ საკითხის კომპლექსური შესწავლა-ანალიზი და ამის საფუძველზე სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ლანდშაფტური მიდგომა, ამ მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

საქართველო მაღალი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ქვეყანაა - ქარისა და მზის ენერჯია, ბუნებრივი საკვები სავარგულები, მაღალრეკრეაციული ღირებულების ეკოსისტემები, ხელუხლებელი ლანდშაფტები, კურორტები, სხვადასხვა ქიმიური შედგენილობისა და მაღალი სამკურნალო ღირებულების დიდებიატიანი მინერალური წყაროები. მაგრამ მეორეს მხრივ, არსებობს არამდგრადი ბუნებათსარგებლობისა და ექსტენსიური სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ

შემორჩენილი პრაქტიკა, რაც კლიმატის ცვლილების ფონზე მეტად უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ მცენარეულ საფარსა და აგროკულტურებზე. ამასთან მნიშვნელოვანი გარემოებაა წყლის რესურსების არათანაბარი ტერიტორიული და სეზონური განაწილება, რამაც ცალკეულ გვაღვიან წლებში დიდი პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობასა და ეკონომიკის დარგებს.

არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საქართველოშიც, მიეძღვნა კლიმატის ცვლილების გავლენის საკითხს, თუმცა დღემდე თითქმის შეუსწავლელია ის გავლენა, რომელსაც იგი ახდენს საქართველოს ცალკეულ ლანდაფტებზე, რამდენად ერთგვაროვანი და განსხვავებულია ეს ცვლილებები? ლანდშაფტის რომელი პარამეტრები იცვლება განსაკუთრებით? შეიცვლება, თუ არა ბიოპროდუქტიულობა და რომელი ლანდშაფტებია, ამ მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლადი? ამასთან არ არის შემუშავებული ის მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ახსნილიყო კლიმატური პირობების ცვლის მოზაიკური ხასიათი და დადგენილიყო ბიოპროდუქტიულობის შემცირების მიხედვით ყველაზე მაღალი რისკის ლანდშაფტები. ლანდშაფტური მიდგომა სწორედ ამ მოზაიკურობის დადგენისა და მიზეზების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

ბიორესურსები ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მსჯელობა კლიმატის ცვლილების გავლენაზე ლანდშაფტებზე და მთელი რიგი პროცესების მიმდინარეობაზე. ს.ზონი წერდა, რომ ბიოგეოცენოზის პროდუქტიულობის განსაზღვრა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში პროდუქტიულობის ზოგადი კანონზომიერებანი, მათი ცვლის ტენდენცია [Зонн, 1967].

ბიორესურსების კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი [Беручашвили, 1995; Тедиашвили, 1984; ნიკოლაიშვილი, 2009] მიეძღვნა, სადაც ეს საკითხი განხილულია კავკასიის და მათ შორის საქართველოს ლანდშაფტების სხვადასხვა ტაქსონომიური ერთეულების დონეზე. ამავე საკითხს მიეძღვნა საქართველოს ცალკეული ადგილების, ან ცალკეული ლანდშაფტების კვლევა [Беручашвили, Зираკაშვილი, 1987; Бешидзе, 1990; Маглаკელიძე, 1982, 1987; Николаишвили, 1995; Софадзе, 1990; Элиზбарაშვილი Г.С., 1987 და სხვ.), სადაც განხილულია ფიტომასების ჯამური და ფრაქციული ნაწილების რაოდენობები, მათი სივრცობრივი განაწილების თავისებურებანი, კავშირი ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან და სხვა ლანდშაფტურ-გეოფიზიკურ მაჩვენებლებთან. საქართველოს ცალკეული ადგილებისათვის ფიტორესურსების დინამიკის საკითხებიცაა განხილული, თუმცა ფაქტობრივად არა არის გაანალიზებული მისი ცვლილების საკითხები კლიმატის ცვლილების ფონზე.

კვლევის მიზანია დადგინდეს კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ლანდშაფტების ბიოპროდუქტიულობაზე და ამ თვალსაზრით განსაკუთრებით მოწყვლადი ლანდშაფტების გამოვლენა.

კვლევის მეთოდები და საწყისი მონაცემები. კვლევა ეფუძნება ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზის კონცეფციას [Беручашвили, 1986; 1989]. კონცეფციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გაანალიზებულიყო არა მარტო ცალკეული მეტეოროლოგიური პარამეტრების, არამედ დღელამური მდგომარეობების მრავალწლიური დინამიკა. უკანაკნელ პერიოდში საქართველოში ძლიერ შემცირდა მეტეოსადგურების/საგუშავების რაოდენობა, რამაც ძლიერ გაართულა კლიმატის ცვლილების შესწავლა. თუმცა აღნიშნული კონცეფცია, გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, შესაძლებლობას იძლევა მონაცემთა დეფიციტის პირობებშიც კი საკმაოდ დიდი სიზუსტით განისაზღვროს ლანდშაფტებში მიმდინარე ტენდენციები და დადგინდეს დღელამურ მდგომარეობათა მრავალწლიური დინამიკა.

კვლევისას გამოყენებულია მეტეოროლოგიურ მონაცემთა მრავალწლიური რიგი საქართველოს სხვადასხვა მეტეოსადგურისათვის [საქართველოს სამეცნიერო-გამოყენებითი..., 2004; Научно-прикладной справочник..., 1990; Georgia Weather, ინტერნეტ-რესურსი; Weather Archive. ინტერნეტ-რესურსი]. ფიტორესურსების კვლევა დაეფუძნა თსუ აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობების შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ 1977-2005 წლებში ჩატარებული სავალდებულო ექსპედიციური კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ლანდშაფტში.

საბაზო მონაცემებზე (ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, თოვლის საფარის სიმაღლე) დაყრდნობით გაანალიზდა ბტკ-ების დღელამური მდგომარეობები ლანდშაფტების ტიპებისა და ქვეტიპების მიხედვით, რის საფუძველზეც გამოვლინდა ლანდშაფტთა მდგომარეობების წლიური მსვლელობის სურათი სხვადასხვა ლანდშაფტის მიხედვით.

პირითადი შედეგები

საქართველოს ლანდშაფტების ფიტორესურსების ტერიტორიული განაწილების ზოგიერთი თავისებურება. საქართველო ხასიათდება რა ძლიერ მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, ეს განაპირობებს მის განსხვავებულ მოწყვლადობას კლიმატის ცვლილების მიმართ. როგორც ვარაუდობენ ეს ზეგავლენა უფრო მნიშვნელოვანი იქნება დასავლეთ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოზე, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ეს ზეგავლენა მაღალი მთის სუბალპური და ალპურ ლანდშაფტებში.

ტერიტორიის ლითოგენური აგებულება, კლიმატი, ნიადაგ-მცენარეული საფარი დიდ გავლენას ახდენს ფიტომასების დაგროვებასა და მათ პროდუქტიულობაზე. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ კლიმატურ ფაქტორებს – სითბოსა და ტენის შეთანაწყობას. მთის ლანდშაფტების ჰორიზონტული სტრუქტურის თავისებურებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურა, ხოლო ბარის ლანდშაფტებისათვის (დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მიხედვით) – ატმოსფერული ნალექების რაოდენობა. ეს ზოგადი თავისებურება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის ლანდშაფტების მიხედვით.

ფიტომასების რაოდენობა დიდ ფარგლებში იცვლება სივრდე-დროითი თვალსაზრისით. ამასთან იგი საუკეთესო ლანდშაფტურ-ეთოლოგიური ინდიკატორიცაა. მისი მეშვეობით მეტად მოსახერხებელია ლანდშაფტთა სტრუქტურისა და ფუნქციონირების პროცესების ინტენსივობისა და ზოგადი ტენდენციების დადგენა კლიმატის ცვლილების ფონზე.

საქართველოს ლანდშაფტები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფიტომასების რაოდენობით. ფიტომასების მაქსიმალური რაოდენობა (500 ტ/ჰა-ზე მეტი) დამახასიათებელია საშუალო მთის წიფლნარ-მუქწიწვიანი, ხოლო მინიმალური – ნახევრად უდაბნოსა და მაღალი მთის სუბნივალური ლანდშაფტებისათვის [ნიკოლაიშვილი, 2009; Тедიაშვილი, 1984]. მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის არა მარტო ბუნებრივი მცენარეულობის, არამედ აგროკულტურების ბიოპროდუქტიულობაც. განსაკუთრებით დარტმის ქვეშ ექცევა სემიარიდული და არიდული ლანდშაფტები.

ფიტორესურსების რაოდენობაზე ასევე მნიშვნელოვანია ტერიტორიის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხის გავლენაც. კერძოდ, მცირე ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში ატმოსფერული ნალექების მატებას შეესაბამება ფიტომასების რაოდენობის ზრდა, რისი თქმაც არ შეიძლება ძლიერ ტრანსფორმირებულ ლანდშაფტებზე. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ფიტომასების რაოდენობის ზრდის ტენდენცია ლანდშაფტების სხვადასხვა ტიპსა და ქვეტიპში სხვადასხვანაირად ვლინდება. ცხადია, ერთნაირი ანთროპოგენური ტრანსფორმაციის პირობებში ლანდშაფტის თითოეული ამ ტაქსონომიური ერთეულისათვის დამახასიათებელია ფიტომასების რაოდენობის გარკვეული ინტერვალი. ატმოსფერული ნალექების სიმცირისას კი ფიტომასების რაოდენობის მაჩვენებელი ახლოსაა ამ ინტერვალის ქვედა ზღვართან, ხოლო ატმოსფერული ნალექების სიუხვისას, პირიქით – ზედა ზღვართან.

გეომდგომარეობების ანალიზი. საქართველოს ლანდშაფტები განსხვავდება გეომდგომარეობების ნაკრებით, მათი განმეორებადობითა სისშირით. აქ წარმოდგენილია ლანდშაფტთა გეომდგომარეობების დაახლოებით 25 ტიპი, რომელთაგან 13 დომინანტურად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ყოველწლიურად აქვს ადგილი ლანდშაფტთა უმეტესობაში. დროის ყველაზე დიდი ინტერვალი უკავია ზამთრის სტრუქტურის სტაბილიზაციის, შემდეგ ზაფხულის ფიტოგენური სტრუქტურის სტაბილიზაციის გეომდგომარეობებს.

გეომდგომარეობების ცვლილების პარალელურად იცვლება ნიადაგის პროდუქტიული ტენი და შესაბამისად მცენარეთა ფიტორესურსების დაგროვების პროცესი. ლანდშაფტების მიხედვით ნიადაგის პროდუქტიული ტენის ცვლილების ინტერვალი საკმაოდ დიდია და ეს ცვლილება დაიკვირვება თვით ერთი გეომდგომარეობის დადგომის პერიოდშიც. ეს დაკავშირებულია მიმდინარე გეომდგომარეობის ხანგრძლივობასთან, უფრო ზუსტად იმასთან, თუ რამდენი ხნის დამდგარია იგი? თუ ჰუმიდური გეომდგომარეობები გრძელდება რამდენიმე დღე (პირველ შემთხვევაში), ან რამდენიმე კვირა (მეორე შემთხვევაში), მაშინ პროდუქტიული ტენი საკმაოდ მაღალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელსაყრელი პირობები იქმნება ფიტორესურსების შესაქმნელად. პლუვიალური გეომდგომარეობების შეხვედრილობის ზრდის შესაბამისად მატულობს პროდუქტიული გეომდგომარეობის მაჩვენებლებიც და ნიადაგის ზედა ფენაში იგი მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. ზამთრის ნივალური სტრუქტურის სტაბილიზაციის გეომდგომარეობის დროს კი დაბალია ნიადაგის პროდუქტიული ტენის რაოდენობა.

აღმოსავლეთ საქართველოს მდელი-სტეპების, სტეპებისა და არიდული მენხერი ტყეების გავრცელების არეალში (დამრეც ფერდობებზე) ფიტომასების რაოდენობა საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება: მიკროთერმული ჰუმიდური გეომდგომარეობების დადგომისას იგი საშუალოდ შეადგენს 20-120 გრ/მ²-ს, ხოლო ფიტოგენური სტრუქტურის გართულების ჰუმიდური გეომდგომარეობის დროს – 120-160 გრ/მ²-ს. სწორედ ამ ორი გეომდგომარეობის დროს აღინიშნება ბიოპროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები. თუ ამ გეომდგომარეობების ხანგრძლივობის შემცირების ტენდენცია დაიკ-

ვირეობა სემიარიდული და არიდულის ზრდის ხარჯზე, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პროცესი უფრო ნაკლები ინტენსივობით იქნება გამოხატული. შესაბამისად, აღნიშნულ ლანდშაფტებში ბიოპროდუქტიულობის შემცირების ტენდენციაა მოსალოდნელი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ლანდშაფტებში დიდი ფართობი უკავიათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სადაც წამყვანი დარგია მემცენარეობა (მემარცვლეობა, მეხილეობა, მევენახეობა), მაშინ ნათელი გახდება რამდენად შემაფერხებლად იგი შეიძლება იქცეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ანალოგიური ტენდენცია დაიკვირვება აღმოსავლეთ საქართველოს მაღალი მთის სუბალპურ ლანდშაფტებში მდელის მცენარეულობით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე და მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში. კერძოდ, ფიტომასების წარმოქმნა და სტაბილიზაცია მიმდინარეობს ჰუმიდური გეომდგომარეობის (9 ტიპის) დადგომისას. ფიტომასების მაქსიმუმი (450-550 გრ/მ²) აღინიშნება ზაფხულის ფიტოგენური სტაბილიზაციის გეომდგომარეობების დროს, რომელთა ხანგრძლივობა მცირედ გამოხატული ზრდადი დინამიკით ხასიათდება. ერთი შეხედვით, ეს ფიტოწარმოქმნის ხელსაყრელ პირობებზე უნდა მიგვანიშნებდეს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაზრდილია ჰუმიდური ფიტოგენური სტრუქტურის გამარტივების, ხოლო შემცირებულია პლუვიოალური მდგომარეობების ხანგრძლივობა, მაშინ ნათელი გახდება, რომ აღნიშნულ ლანდშაფტებშიც ფიტოწარმოქმნის პროცესი შედარებით "შეფერხებული" იქნება.


კლიმატის ცვლილების მიმართ ლანდშაფტთა მოწყვლადობის შეფასება და კლასიფიკაცია. საქართველოს ლანდშაფტები შეიძლება 5 კატეგორიად დავაჯგუფოთ: ძლიერ მოწყვლად, მოწყვლად, საშუალო მოწყვლად, მცირედ მოწყვლად და უმნიშვნელოდ მოწყვლად. ყველა ამ კატეგორიაში ხვდება მიეკუთვნება როგორც ვაკის, ისე მთის ლანდშაფტები (ნახ. 1).

ძლიერ მოწყვლად ლანდშაფტებს მიეკუთვნება ლანდშაფტების 19 გვარი, რომელთა საერთო ფართობია 8.75 ათ. კმ², რაც ქვეყნის საერთო ფართობის 12 %-ზე მეტია. ვაკის ფარგლებში აქ წარმოდგენილია არიდული და სემიარიდული ლანდშაფტებით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ზაფხულის საძოვრებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მასვე მიეკუთვნება მაღალი მთის სუბნივალური და ნივალური, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ზედა მთის ტყისა და მაღალი მთის ალპური ლანდშაფტების ნაწილი. შედარებით ნაკლებადაა დასახლებული (303 ათ. მცხოვრებზე მეტი), თავმოყრილია საქართველოს მთელი მოსახლეობის თითქმის 7 %. ვაკის აღნიშნულ ლანდშაფტებში მაღალია გვალვების სიხშირე და გაზრდილია ძლიერქარიან დღეთა რაოდენობა. მიჩნეულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში 20 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის გვალვიანი პერიოდი (ატმოსფერული ნალექების რაოდენობა არ აღემატება 5 მმს, ხოლო ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურაა 28°C, ხოლო საშუალო დღეღამური სინოტივე 50 %) [მეორე შეტყობინება, 2009] სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე არ ახდენს დამღუპველ ზემოქმედებას, ამიტომ გაანალიზდა 20 დღეზე მეტი ხანგრძლივობის ისეთი მდგომარეობები, როცა მეტეოროლოგიურ მონაცემთა ანალიზით ირკვევა, რომ ამ დღეების რაოდენობა გაზრდილია და იგი გამოხატულია თითქმის ყველა აღნიშნულ ამ ლანდშაფტში.

მოწყვლადი ლანდშაფტები აერთიანებს ლანდშაფტების 21 გვარს, რომლის საერთო ფართობი გაცილებით მეტია (19.85 ათ. კმ²) – ქვეყნის საერთო ფართობის 14 %-ზე მეტი. ვაკის ფარგლებში აქაც სემიარიდული ლანდშაფტებითაა წარმოდგენილი. აქ თავმოყრილია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – 2 მლნ მცხოვრებზე მეტი (46.7 %). აქ განლაგებულია სამრეწველო საწარმოთა ასევე დიდი რაოდენობა, რომლებიც საკმაოდ ნაირგვაროვანი პროფილის საწარმოებია (საშენი მასალების, ქიმიური, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული, ხის დამამუშავებელი და სამედიკამენტო საწარმოები) და ძლიერ ატუჟყიანებენ გარემოს. მნიშვნელოვანი ფართობები უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან შემოსავალს ქმნის მემარცვლეობა და მესაქონლეობა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო აგროკულტურებია: ხორბალი, შვრია, მზესუმზირა. მაღალი აგროპროდუქციის წილი მესაქონლეობაში წარმოებულ საერთო პროდუქციაში.

ამავე კატეგორიაში მოქცეული შავი ზღვის სანაპირო ზოლი - ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ტერიტორია, რომლისათვისაც დამახასიათებელია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა თითქმის ყველგან 1000 მმ-ს აღემატება.

მშრალი პერიოდები დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში უმთავრესად "წვიმის ჩდრილებში" მოქცეული ლანდშაფტებისათვის არის დამახასიათებელი. აქ, დასავლეთ საქართველოს სხვა ლანდშაფტებთან შედარებით, ნაკლებია ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა (900 მმ და ნაკლები) და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1956-72 წლებთან შედარებით, 1991 წლიდან აღინიშნება გვალვების ხანგრძლივობისა და სიხშირის ზრდის ტენდენცია, ეს აღნიშნული ლანდშაფტების საკმაოდ მაღალ მოწყვლადობაზე მიგვანიშნებს, რაც სავარაუდოდ, ფიტორე-სურსების რაოდენობის შემცირებაზეც აისახება.



ნახ. 1. საქართველოს ლანდშაფტთა სენსიტიურობა კლიმატის ცვლილების მიმართ

ლანდშაფტების აღნიშნული ეს ორი კატეგორია რისკის განსაკუთრებით ჯგუფს ქმნიან, ტენის დეფიციტის, ხშირი და ძლიერი ქარების განმეორებადობის, ეროზიის ინტენსივობის ზრდის, ანთროპოგენური დატვირთვისა და სხვა ფაქტორების გამო განსაკუთრებით "მიდრეკილნი" არიან (ცალკეული გამონაკლისების გარდა) არიდიზაციისაკენ, რამაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს როგორც ბუნებრივი მცენარეულობის, ისე აგროკულტურების ბიოპროდუქტიულობაზე. მათ მაღალ სენსიტიურობაზე მიგვანიშნებს ბტკ-ების არიდული და სემი-არიდული დღეღამური მდგომარეობების ხანგრძლივობაც, რაც კალენდარული წლის ხანგრძლივობის 20 %-ს შედარებს [ნიკოლაიშვილი, დემეტრაშვილი, 2011].

საშუალოდ მოწყვლადი ლანდშაფტები წარმოდგენილია 16 გვართ, რომელსაც ასევე დიდი ფართობი უკავია (17 ათ. კმ²). სასოფლო-სამეურნეო საგარეულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ კატეგორიაში ექცევა. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრევენციული ზომების მიღება, რათა კლიმატის ცვლილებამ არ მოახდინოს უართოფითი ზემოქმედება ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე.

მცირედ მოწყვლადი ლანდშაფტები აერთიანებს მხოლოდ 8 გვარს (უკავია 8 ათ. კმ²-ზე მეტი), ხოლო **უმნიშვნელოდ მოწყვლად ლანდშაფტებს** - მხოლოდ 7 გვარს (743 ათ. კმ²). მთის ლანდშაფტებიდან აქ წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები (კარსტულის გამოკლებით, სადაც კირქვული სუბტრაქტი ტენის მეტი ჩაუონვისა და დანაკარგის გამო, უფრო მეტად მოწყვლადია). ამას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, კერძოდ, უხვი ატმოსფერული ნალექები, მძლავრი მცენარეული საფარი, ფიტომასების მაღალი მაჩვენებლებით (300-500 ტ/ჰა და მეტი), კარგად შემონახული პირვანდელი ბუნებრივი სახე და ტერიტორიის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის დაბალი დონე. ყოველივე ეს კომპლექსში განაპირობებს ამ ლანდშაფტების შედარებით მდგრადობას კლიმატის ცვლილების მიმართ. მართალია, ეს ლანდშაფტები რთული ოროგრაფიული პირობებით ხასიათდება, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ამ თვალსაზრისით მალიმიტირებელ ფუნქციას ასრულებს. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში მოწყვლადობის არსებული დონე დაბლა დაიწვეს და შესაძლებელია კონკრეტული უბნები ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მოწყვლად ლანდშაფტთა ნუსხაშიც აღმოჩნდეს. ამიტომ უმნიშვნელოვანესია საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების დაცვა-კონსერვაცია და მათი გარემოსდაცვითი ფუნქციის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ. საქართველოს ტყიანი ლანდშაფტების პროგნოზული მდგომარეობა კლიმატის ცვლილების პირობებში. //დღეღამიწა - გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები. სამეცნიერო კონფერენციის ანაგრიში (2012 წლის 20-22 აპრილი). ბათუმი, 2012. გვ. 32-50.
2. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება. თბილისი, 2009.
3. ნიკოლაიშვილი დ. საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი. თბილისი: თსუ, 2009.
4. ნიკოლაიშვილი დ., დემეტრაშვილი ო. გლობალური დათბობის გავლენა საქართველოს ლანდშაფტებზე: შეფასების მეთოდოლოგია. შრომათა კრებული: ახალი სერია № 3(82). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "გარემო და გლობალური დათბობა", მიმდინილი აკად. თეოფანე დავითაიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, 15-17 სექტემბერი, 2011. გვ. 166-171.

5. საქართველოს სამეცნიერო-გამოყენებითი ცნობარი. ნაწილი I. ცალკეული კლიმატური მახასიათებლები. თბილისის, 2004.
6. Беручашвили Н.Л. Кавказа: ландшафты, модели, эксперименты. Тбилиси, ЮНЕП, ГРИД, 1995..
7. Беручашвили Н.Л. Ландшафтная карта Кавказа. Тбилиси: ТГУ, - 1979. 2 листа. 1:1,000,000.
8. Беручашвили Н.Л. Четыре измерения ландшафта. М.: Мысль, 1986.
9. Беручашвили Н.Л. Этология ландшафта и картографирование состояний природной среды. Тбилиси: ТГУ. 1989. 198 с.
- მთის რაიონის მოსახლეობის ხვედრითი წონა საერთო მოსახლეობის 10% შეადგენს. მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლების წარმოებაში მთის რაიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საერთო მაჩვენებლებს. მიგრაციულმა პროცესებმა სერიოზული საფრთხე შექმნა. მაგალითად, 1980-2011 წლებში ჩრდილოეთის მთის ზონის (ამბროლაურის, ლენტეხის, მესტიის, ცაგერის, ონის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონების) მოსახლეობა შემცირდა 70%-მდე, მაშინ როდესაც ქვეყნის მოსახლეობაში ბოლო სამი წლის განმავლობაში მატებაა. დემოგრაფიულ სტრუქტურაში დაბერებული მოსახლეობის ხვედრითი წონა გაიზარდა, მაგალითად, საერთო მოსახლეობაში 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი შეადგენდა (2011წ) საქართველოში -14,4%, ყაზბეგში -18,8%, მცხეთაში -30,5 %, დუშეთში -26,9%, თიანეთში -28,8%.

მთიანი ზონის ინდუსტრიულ ათვისებას დიდი პერსპექტივა აქვს. იგი განისაზღვრება ორი მიმართულებით: სანედლეულო ბაზა და ჭარბი მუშახელის დასაქმება;

მთის რაიონის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხური სარეწების გამოყენება. მათი ახალი პირობების შესაბამისად განვითარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას.

დიდი შესაძლებლობებია საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, მიზანშეწონილია ბარისა და მთის ზონის სამეურნეო სუბიექტების კოოპერირება საძოვრების, სათიბების ერთობლივად გამოყენებისა და ათვისებისათვის, ფართოპროფილიანი კვების საწარმოების აშენება, თევზის მეურნეობის, მეფუტკრეობის განვითარება, სპორტულ გამაჯანსაღებელი ბაზების აშენება და სხვა.

პოლიტიკა ადამიანის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებათა ერთობლიობაა. ამიტომ მას დროსა და სივრცეში მრავალმხრივი ინტერესების ურთიერთმოქმედების გამოვლინებად მიიჩნევენ.

გარდამავალ პერიოდში რეგიონული პოლიტიკა - ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, უპირატესად წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა. ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა.

ამრიგად, სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარდამავალ პერიოდში. მისი თავისებურებისა და უნიკალობის გამო ახლებურად გააზრებას

მოითხოვს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები. მსოფლიო პრაქტიკა გვჩვენებს, რომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ობიექტი ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტული ნაწილია, რომელსაც სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ან სხვა ნიშნით (ეკონომიკური რეგიონი, ზონა და სხვა) აღიარებული პრინციპებით განსაზღვრული სტატუსი გააჩნია. პრაქტიკაში განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ერთეულის მიმართ. ინტერესს იწვევს ორი ტერმინი - „რაიონი“ და „რეგიონი“. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა, პრაქტიკაში ორივე ფაქტობრივად სინონიმად მოიაზრება და ამჟამად ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის სისტემით განისაზღვრება. მაგალითად, საქართველოში არსებობს ავტონომიური რესპუბლიკა (სახელმწიფო წარმონაქმნი), ქალაქი, რაიონი ან რაიონებისა და ქალაქების ჯგუფი(მხარე). თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ცნებით წარმოდგენილი „რეგიონის“ ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი, შესაბამისად თვისებრივად შეიცვალა, აუცილებელია რეგიონის პოლიტიკური, სოციალურ- ეკონომიკური მიდგომარეობა სისტემური მიდგომით შეფასდეს. მხოლოდ ამის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელს (ქვეყნის) მოცემული ნაწილის (რეგიონის) მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას, მთელისა და მისი ორგანული ნაწილების ერთიანობას.

„სახელმწიფო-რეგიონის“ ურთიერთობების სრულყოფის საერთო აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ მათი კომპლექსურობა. იგი დაეყრდნობა ორმხრივი ინტერესების კომპაროზისს. ამჟამინდელ სიტუაციაში უპირატესობა აქვს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას (ერთიანი ეკონომიკური სივრცისა და სახელმწიფოებრიობის მყარი საფუძვლების შექმნა), შესაბამისად, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე სოციალურ- ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამდგრადების მომზადებას. ამიტომ, ბუნებრივია სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა ამ სტრატეგიული ამოცანების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს.

ამასთან, პრინციპულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავიცვათ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკისა და თვით რეგიონის მიერ განხორციელებული პოლიტიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ერთიანობა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველი (ცენტრი) ქმნის სათანადო პოლიტიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს მეორის (რეგიონული) ინტერესების დაცვისთვის. ეროვნული ეკონომიკა ქვეყნის რეგიონების ეკონომიკათა ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, ტრადიციების, კანონზომიერებების სამეურნეო-ორგანიზაციულ პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების, ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრული გათვალისწინება.

ცენტრმა გარდამავალ პერიოდში უნდა შეასრულოს ქვეყანაში ტრანსფორმაციული პროცესების წარმართველის ფუნქცია, უზრუნველყოს ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარება.

თვითუფლ რეგიონსაც, ბუნებრივია, აქვს თავისი სოციალური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ინტერესი. მათი საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანებთან ოპტიმალური შეხამებით ჩამოყალიბდება ორმხრივი ინტერესების ერთიანი პროცესით საერთო-ეროვნული მიზნების განხორციელების პირობები. ამრიგად, ორივე - ცენტრი და რეგიონი მოქმედებს ეროვნულ -სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით (პრინციპებით), სახელმწიფო და რეგიონული ინტერესების შეხამებით და ერთიანი პოლიტიკური სქემით, რათა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარიმართოს ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარდაქმნებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ცენტრმა აიღო. რეგიონები ფაქტობრივად ამ პროცესს (კონცეფციების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებას და მათი რეალიზაციის მექანიზმის განსაზღვრას და ა.შ.) ჩამოსცილდა. ამან უარყოფითად იმოქმედა რეფორმების შედეგებზე, მის ხარისხზე. ადგილებზე ეკონომიკურ რეფორმებს აკლია კომპლექსურობა, თანამედროვეობა, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებები, მეურნეობრიობის ტრადიციები, ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა, შრომითი რესურსების მიდგომარეობა, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა ეკონომიკური გარდაქმნების რთულ პროცესში ცენტრი (მაკროდონე) თავის უშუალო ფუნქციებსაც ვერ ასრულებს. მაგალითად, ჯერჯერობით ვერ აღწევს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ვერ შექმნა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, გარდაქმნების ერთიანი მეთოდოლოგია (რეგიონული ასპექტებით), ხოლო მათი ბაზარი სტაბილურად დაცული არ არის.

ამრიგად, ცენტრი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების წარმართველი ძალის საგანგებო ფუნქციას სრულად ვერ ასრულებს, ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ეკონომიკისა და მართვის კრიზისის უფრო გაღრმავება, სოციალური დაძაბულობის შემდგომი გამწვავება. მეორე მხრივ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი რეგიონი საკუთარი ინიციატივით, მხოლოდ ადგილობრივ ინტერესებზე დაყრდნობით ცდილობს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალს, ეძებს და იყენებს არაორდინალურ გზებს, კონკრეტულ სიტუაციას მორგებული ზემოქმედების ფორმებს,

მეთოდებს, მექანიზმებს. ხშირად ტერიტორიული ერთეულის ასეთი მცდელობა (ინიციატივა) ცენტრისადმი დაუმორჩილებლობის სინდრომად აღიქმება. ეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებისას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ფორმირების ამჟამად ჩამოყალიბებული პრინციპები მაკროეკონომიკურ და რეგიონულ ინტერესებს შორის დაპირისპირების შერბილებას ხელს არ შეუწყობს.

სახელმწიფოს რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს რეგიონის (ტერიტორიის) კომპლექსური განვითარება მსოფლიო პრაქტიკაში, იგი ცნობილია რეგიონული თვითგანვითარების სახით, როცა ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად პასუხისმგებლობა განვითარებისათვის დაეკისრება ადგილობრივ ორგანოებს. რეგიონი, წარმოადგენს რა მთელის (ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა) ორგანულ ნაწილს, ამავდროულად გამოდის, როგორც მთელი მისი შემადგენელი ნაწილების მიმართ. მაგალითად, ავტონომიური რესპუბლიკა რაიონის, ქალაქის მიმართ, რაიონი, ქალაქი სოფლის, დაბის მიმართ და ა.შ. ასეთი მიდგომით რეალურად შეიძლება შეფასდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის არსებული სისტემა, საკუთრებით ურთიერთობების დონე, სოციალური პარამეტრები, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურება, ინფასტრუქტურის ეფექტიანობა, რეგიონის გეოპოლიტიკური როლი და ა.შ.

„სახელმწიფო-რეგიონის“ ურთიერთობათა ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრის შემდეგ მთავარია ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის არჩევის საკითხი. განვითარების ისეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემები უნდა შეირჩეს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების, საერთოდ, ადგილობრივი პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე, მიღწეული იქნას მდგრადი, დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც პირველ რიგში ეკონომიკაში პროპორციების დაცვის, საერთოდ განვითარების სოციალური ორიენტაციის საკითხებს წინა პლანზე წამოწევს. მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილია იმ თავისებურების გათვალისწინება, რომ ტერიტორიის განვითარება უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. აღიარებულია, რომ ტერიტორიული განვითარებაა ქვეყნის ტერიტორიის, როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ნაწილის მოქმედების ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური პოტენციალის კვლავწარმოებითი პროცესის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების რეალურ ორგანიზაციულ და მატერიალურ საფუძველს ქმნის, ტერიტორიის განვითარება სისტემური პროცესია, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილების დაბალანსების პრინციპს ეყრდნობა. ამასთან, თითოეული შემადგენლის როლი და მნიშვნელობა კონკრეტულ სოციალურ-ისტორიული სიტუაციის შესაბამისად განისაზღვრება.

ამჟამად ერთ-ერთ დომინირებად საკითხს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (სოციალური პრიორიტეტი) წარმოადგენს. ტერიტორიის განვითარება სოციალურად ორიენტირებული უნდა იყოს, რაც ცხოვრების ხარისხზე ეკონომიკის საერთო შედეგების გაგლეჩის დონეს განაპირობებს, ამიტომ სოციალური ორიენტაცია რეალურად მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ისეთი ფაქტორების ამოქმედებას, როგორც არის განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა, სოფლის მეურნეობა და სხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

გარდამავალ პერიოდში საქართველოში რეგიონული პოლიტიკის სუბიექტმა (მოსახლეობა და მის მიერ ადგილზე არჩეული ან ცენტრის მიერ დანიშნული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები) არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა. პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმწიფოს ტერიტორიულ ადმინისტრაციულ მოწყობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუცია. ამასთან დაკავშირებით განიხილება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა: პირველი მიდგომით ყალიბდება მოსაზრება, რომ მომავალშიც შენარჩუნდეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საბჭოური უნიტარული ვარიანტი, მეორე პოზიციის მიხედვით ტერიტორიულ მოწყობის საფუძველად მიიჩნევენ ფედერალიზმის პრინციპებს. ამ ორი პოზიციის დაპირისპირებისას სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის ამჟამად ჩამოყალიბებულმა ურთიერთობამ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რთულ კვანძებად ფორმირება განაპირობა. ამიტომ, ეს პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას, არასტანდარტულ მიდგომებს საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ძლიერდება ფედერალიზმის პრინციპებზე სახელმწიფოს ტერიტორიულ - ადმინისტრაციული მოწყობის მიმართ საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური მიდგომაც. შექმნილ სიტუაციაში ვიდრე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საბოლოო მოდელი განისაზღვრება, ჩამოყალიბებული სისტემა სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ სრულყოფას საჭიროებს. ამ მხრივ ინტერესს იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სისტემის ამოქმედება. სოფლებში, დაბებში, ქალაქებში, რაიონებში წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების სახით, ფაქტობრივად, შეიქმნა სახელმწიფო მმართველობითი სისტემის პოლიტიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძველი. ეს თვისებრივად ახალი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. ცნობილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საზოგადოებრივი პროცესების რეგულირების ის დონეა,

რომლის საზღვრებში რეალურად ხდება სახელმწიფო პოლიტიკის ავტორიანობის შეფასება. ამ დონეზე კარგად ჩანს, როგორია სახელმწიფო პოლიტიკის მაკროეკონომიკური ასპექტები, სამეურნეო კავშირების ხასიათი და ინტენსივობა, სოციალური პარამეტრები (დასაქმება, ანაზღაურების დონე და სისტემა, სოციალური გარანტიები, სოციალური დიფერენციაციების შედეგები). ორგანიზაციულ - სამართლებრივი გარემო, საწარმოო ინფრასტრუქტურა და სხვა.

ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი განვითარების სრულყოფილი ობიექტური პროცესია. ახლა მთავარია, თვითმმართველობა თანდათანობით მართვის რეალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდეს. ეს პროცესი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით უნდა განვითარდეს.

რეგიონში სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ადმინისტრაციული რაიონებისა და ქალაქების ჯგუფში (მხარეში) პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის შექმნა - მოღვაწეობა. საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის მიმართ არაერთგვაროვანი შეხედულებები ჩამოყალიბდა. პირდაპირ დაისვა საკითხი, რომ მისი მუშაობა არაა მიზანშეწონილი. აღნიშნულმა სტრუქტურამ შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაადასტურა, თუმცა, ამჟამინდელი ფუნქციებით მას არ შეუძლია თვისებრივად ახალი რეალობის შესაბამისად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა. ამიტომ იქმნება იმის რეალური საფრთხე, რომ მან საერთო სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების აუცილებლობის თანამედროვე პირობებში გარდაქმნების შემთავრებელი სტრუქტურის ფუნქცია უფრო იტვირთა, ვიდრე რეფორმის მხარდამჭერის.

აღნიშნული ინსტიტუტის სრულყოფის მიზნით შეიძლება განვიხილოთ ორი მიდგომა:

1) სახელმწიფო მმართველობით სისტემაში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი შენარჩუნდეს, რათა მართვის იერარქიის შესაბამისად ცენტრის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების ოპტიმალური გადაწოდების პროცესი დაჩქარდეს და ადგილობრივი მმართველობითი სისტემის სათანადო ორგანიზაციული და ეკონომიკური ბაზა შეიქმნას. ასეთი სტრატეგიის დროს მიზანშეწონილია კონკრეტული რეგიონის თავისებურებათა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინებით სახელმწიფო მართვის რეგიონული სტრუქტურების ფორმირება. კერძოდ, ცენტრალური სტრუქტურების (სამინისტროების, უწყებების), ფუნქციების გაფართოება რეგიონებში და რწმუნებულის აპარატთან მათი კოორდინაციის მექანიზმის ჩამოყალიბება.

2) მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის საქმიანობა, ძირითადად განისაზღვროს კონტროლის ფუნქციებით. მაგალითად, თუ როგორ არის დაცული ტერიტორიაზე ქვეყნის კონსტიტუცია, კანონები, სხვა ნორმატიული აქტები, რამდენად პასუხობს პრობლემების გადაწყვეტის პრინციპები, მექანიზმები და საერთოდ, ორგანიზაცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიას, ინტერესებს. ამ ვარიანტის გამოყენებისას, ბუნებრივია, კონკრეტულ პირობებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს რწმუნებულის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურაც.

ორივე მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მიცემას განსაზღვრავს ობიექტურად ჩამოყალიბებული ქვეყნის სოციალურ-ისტორიული განვითარების პროცესი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელთა ეპიცენტრში ამჟამად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა - შენარჩუნება საგანგებო მნიშვნელობას იძენს.

ასეთი მიდგომა, ჯერ ერთი, აძლიერებს საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას, ხელს უწყობს საექსპორტო პროდუქციისა და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების სტიმულირებას, მეორე მხრივ, შეიქმნება ეროვნულ ფასეულობათა პოპულარიზაციის, სამეცნიერო ინფორმაციების გაცვლის, კულტურულ ურთიერთობათა სრულყოფის ხელსაყრელი პირობები.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად მიგვაჩნია პრობლემების გადაწყვეტისადმი პროგრამული მიდგომის გამოყენება. თუმცა ამას, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, რეალური შედეგები არ მოყოლია, რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების მიმართ სათანადო ინტერესსაც არ იჩენენ. იგრძნობა მაკრო დონეზე ფუნქციონირებადი სტრუქტურების მხრივაც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამული მიდგომის მიზანშეწონილობის ეჭვქვეშ დაყენების მცდელობა. რეგიონების განვითარებისადმი პროგრამული მიდგომა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და ბაზრის თვითრეგულირების პრინციპების შეხამებით აყალიბებს ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო და სახელმწიფო სექტორების სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციის საფუძველს. თითოეულ მხარეს, რაიონს, ქალაქს უნდა ქონდეს განვითარების საკუთარი პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, პროგრამაში ცენტრალური უნდა იყოს რეგიონში ეკონომიკური ზრდის არსებული რეზერვების გამოვლენა და ამოქმედების ფაქტორთა ობიექტურად განსაზღვრა. მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ ეკონომიკური ზრდის რომელ მოდელს შესთავაზებს ცენტრი, არამედ ადგილობრივი რესურსების (პოტენციალის) ეფექტიანად გამოყენება უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური ზრდის ამოსავალ საწყისად

და სტრატეგიულ ამოცანად. ასევე განვითარების პრიორიტეტები უნდა დაიყოს მაკრო და რეგიონულ პრიორიტეტებად. ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა დონის პრიორიტეტი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობრივი პროცესის გამოვლიანების აუცილებელი ელემენტია. ასევე იგი შეასრულებს განვითარების პირობების გათანაბრებაზე რეალურად მოქმედი ინსტრუმენტის როლსაც. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ მიზანშეწონილია სახელმწიფო და ამასთან, ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი დაიყოს სამ ბიუჯეტად: მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტი უნდა იყოს უდფეციტო, დაბალანსებული. ეს იძლევა ქვეყანაში (მის თითოეულ რეგიონში) სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების საშუალებას, განვითარების ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალების მომსახურების ბიუჯეტი. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პროცესის მზანმიმართულად რეგულირებას, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების შეჯერებას, სოციალური დაძაბულობის შერბილებას, საგარეო ვალის ეფექტიანად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის ამადლებას, სოციალურ - ეკონომიკური განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის კონტროლის გაძლიერებას.

LEVAN SABOURI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associated Professor

**FUNDAMENTALS OF REGIONAL GOVERNANCE OF TRANSITION
TO MARKET ECONOMY IN AGRICULTURE**

S u m m a r y

In the article models of regional governance are presented. Tendencies of branch monopoly and bureaucracy are analyzed. Hierarchical levels of governance, their characteristics, their positive and negative aspects, problems existing in Georgia and ways of solving them are described

ნონო სამჯკუაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის პროცესის ქვეშ გულისხმობენ სამეურნეო ფორმირებების სპეციფიური ფორმის ორგანიზაციას – კოოპერატივს. კოოპერატივი ეს არის დამოუკიდებელი საწარმო, რომელიც შექმნილია იურიდიული და ფიზიკური პირების წევრობისა და მათი საერთო ქონების ჩამოყალიბების საფუძველზე თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთობლივი წარმოებისათვის, წევრების სამეურნეო, სოციალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ყველა ქვეყნის კოოპერაციულ კანონმდებლობაში ჩადებული უნდა იყოს კოოპერატიული დემოკრატიის პრინციპები, რომელიც შემუშავებულ იქნა საერთაშორისო კოოპერაციული ასამბლეის მიერ და მხარდაჭერილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან.

მსოფლიო პრაქტიკაში საზოგადოდ მიღებულ კოოპერატიულ ფასეულობებსა და პრინციპებს, რომლებიც იყო ჩამოყალიბებული 1995 წელს მსოფლიო კოოპერატიული კონგრესის მიერ, მიეკუთნებიან:

- ნებაყოფლობითობა და ღია წევრობა;
- კოოპერატიული წევრების მიერ განხორციელებული დემოკრატიული კონტროლი.
- კოოპერატივის წევრების ეკონომიკური მონაწილეობა;
- ავტონომია და დამოუკიდებლობა;
- განათლება, კვალიფიკაციის ამადლება;
- თანამშრომლობა კოოპერატივებს შორის;
- ზრუნვა საზოგადოებაზე.

შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კოოპერაცია გახდა სოფლის მეურნეობის განვითარების საწინდარი. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში კოოპერატივები შეიქმნა იმისათვის, რომ დაეცვა ნაკლები ძალაუფლების მქონე საზოგადოების წევრთა ინტერესები. სოფლად ფერმერებს შორის ურთიერთდახმარების ფორმები წარმოიშეგბოდა სტიქიურად ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. საუკუნეების მანძილზე კი ხდებოდა კოოპერატივების რეგულირების ფორმებისა და მექანიზმების დახვეწა. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფერმერები დიდი ხნის წინ მიხედნენ, რომ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა: პროდუქციის გასაღება, საწარმოო საშუალებებისა და ტექნიკის შექმნა, ცოდნის, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება და სხვა, გაცილებით იოლია ერთობლივი ძალებით-

გაერთიანებით. მაგალითად, ერთობლივად მათ შეუძლიათ ადვილად აკონტროლონ ხარისხი ან გააძლიერონ ბაზრზე გავლენა.

აშშ-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი დ. ინგალსბი წერს, რომ “თავისი ცხოვრების მანძილზე ყოველი ამერიკელი პრაქტიკულად ყოველდღიურ შეხებაშია კოოპერატივებთან. მათ წილად მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი რეალიზაციის 26%-ი. ისინი უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მიწოდების 24%-ს. დღესდღეობით აშშ-ში მოქმედებს თითქმის 50000 კოოპერატივი, მათში დასაქმებულია 100 მილიონზე მეტი ადამიანი.”

კოოპერატივებს თავიანთი წესდების ჩარჩოებში გააჩნიათ მოქმედების სრული თავისუფლება. სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ უფლება უშუალოდ ჩაერიონ კოოპერატივების ეკონომიკურ საქმიანობაში, მათი მმართველი ორგანოების ფორმირებასა და თანამდებობის პირების დანიშვნაში, ასევე არა აქვთ უფლება ჰყავდეთ წარმომადგენელი როგორც საერთო კრებაში, ასევე არჩევით ორგანოებში. კოოპერატივების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება დაიყვანება ძირითადად კონტროლსა და თვალყურის მიდევნებაზე, თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება მათი საქმიანობა კანონმდებლობასა და თავიანთ წესდებას.

თავისი არსებობის მანძილზე კოოპერაციამ გაიარა განვითარების რთული გზა, როგორც თეორიულ ასპექტში, ასევე კოოპერატიულ პრაქტიკაში. უმრავლეს ქვეყანაში კოოპერაციას უკავია ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ნაციონალურ ეკონომიკასა და სოციალურ პროგრესში. კოოპერატივები მრავალ ქვეყანაში თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მრავალ ასპექტში: ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა. ევროპის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია ხორციელდება კოოპერატიული სისტემების საშუალებით (მაგალითად, რძის პროდუქციის 60-100% მდე). აშშ-ში კოოპერატივებს ეკუთვნით მთელი ექსპორტის 15% (ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სამომხმარებლო კოოპერატივებს), დანიაში – 33%, ნორვეგიაში – 25%. იაპონიაში თითქმის ყველა ფერმერი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრს. საერთაშორისო რძის ფედერაციის წევრ 20 ქვეყანაში იწარმოება რძის მსოფლიო წარმოების 55%, სადაც გადამუშავებაზე გამოყენებული რძის 86% მოდის კოოპერატივებიდან. შესაბამისად, მათ მიერ იწარმოება კარაქის 85%, ყველის 70% და სასმელი რძის 56%.

კოოპერატიული ფორმა შედარებულ უფრო განვითარებულია სკანდინავიის ქვეყნებში, შვეიცარიაში, დანიაში, ნიდერლანდებში, აშშ-ში, პოლონეთში, საფრანგეთში, ისრაელსა და ახალ ზელანდიაში. ამ ქვეყნებში მიღებულია კანონები, რომლებიც ადგენენ რეგლამენტს და არეგულირებენ კოოპერატივების საქმიანობას.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკაში დიდი გავრცელება ჰპოვეს ტექნიკის გამოყენების კოოპერატიულმა ფორმებმა, განსაკუთრებით სკანდინავიურ ქვეყნებში. ასე მაგალითად, შვეიცარიაში დიდი ნაწილი ფერმერული მეურნეობების გაერთიანებულია კოოპერატივებში, რომლის ჩარჩოებშიც ისინი წყვეტენ ტექნიკური მომსახურების, ტექნიკის გამოყენების, მისი მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის საკითხებს, რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის წარმოების სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის პირობებში.

სახელმწიფოს დონეზე კოოპერატივის წევრების საქმიანობის კოორდინაცია ხორციელდება სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურებით. მაგალითად, შვედეთში – შვედეთის რძის ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ფასებისა და ვაჭრობის რეგულირებას. ანალოგიური სახელმწიფო ორგანოები არსებობს ნორვეგიაში და ფინეთში. ახალ ზელანდიაში რძის მრეწველობის მართვა შედის კოოპერატივების სისტემაში, პოლონეთში – რძის კოოპერატივების ფედერაცია, ირლანდიაში – რძის მრეწველობის მართვის ორგანო. ავსტრიაში და შვეიცარიაში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები ასევე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კოოპერატივებთან.

უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა კოოპერატიული საწარმოების როლი აშშ-ში. ტერიტორიული ნიშნით კოოპერატივების გაერთიანებები იყოფიან ადგილობრივ, რეგიონალურ და ნაციონალურ გაერთიანებებად. ქვეყნის რძის ინდუსტრიის განვითარებაზე აქტიურ გავლენას ახდენენ კოოპერატივები, რომლებიც ფერმერებთან, კერძო ფირმებთან და ორგანიზაციებთან საკონტრაქტო ურთიერთობების სისტემის საშუალებით ჩართულნი არიან ქვეყნის რძის წარმოების ინდუსტრიის ვერტიკალურ-ინტეგრირებულ სტრუქტურებში. უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს მათი გამსხვილება და საქმიანობის სფეროს გაფართოება. კომერციით დაკავებულია

დაახლოებით 340 რძის მწარმოებელი კოოპერატივი. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ორი დონის პირველი და მეორე დონის კოოპერატივების მიერ. პირველი დონის კოოპერატივები ახდენენ პროდუქციის შექმნას უშუალოდ ფერმერებისაგან და შეუძლიათ მათი პირველადი გადამუშავება, ხოლო მეორე დონის კოოპერატივებს შეუძლიათ პირველი დონის კოოპერატივების პროდუქციის რეალიზაციის კოორდინირება და მათი პროდუქციის შემდგომი გადამუშავება და მოხმარებისათვის მზა პროდუქციის მიწოდება.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები) კოოპერაციამ ფართო გავრცელება ჰპოვა. ამასთან მისი განვითარება მიმდინარეობდა მიწაზე კერძო საკუთრების შენარჩუნების გათვალისწინებით. ამ ქვეყნებში საწარმოო კოოპერაციის პროცესში სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბდა საწარმოო კოოპერატივების სამი ძირითადი ფორმა, რომლებიც განსხვავდებიან საწარმოო საშუალებების განსახოგადოების ხარისხითა და წარმოებული პროდუქციის განაწილების ხერხებით.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საწარმოო კოოპერატივების ფორმებია:

1. მიწის ერთობლივი დამუშავების კოოპერატივები (შიდა ფორმების დიდი ნაირფეროვნებით).
2. კოოპერატივები წარმოების ძირითად საშუალებებზე საერთო საკუთრებით (მიწაზე საკუთრების გარდა) და შემოსავლების განაწილებით მიწის პაის მიხედვით.
3. კოოპერატივები მიწის მთლიანი განსახოგადოებით და წარმოების ძირითად საშუალებებზე საერთო საკუთრებით. ამ სახის კოოპერატივებში მიწის დამუშავება წარმოებს ერთობლივად, ხოლო შემოსავლების ნაწილდება მიწის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რომელიც მიეკუთვნება კოოპერატივის ამა თუ იმ წევრს.

განვითარებული ქვეყნების მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ XXI საუკუნეში კოოპერატივებმა წარმატების მისაღწევად, ყურადღება უნდა მიაქციონ ორ სტრატეგიულ მიმართულებას. პირველ რიგში, აუცილებელია დიდი ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც წარმოებაში დაბანდების გარდა, მიმართული იქნება კოოპერატივის წევრების, მენეჯერებისა და დირექტორების განათლების ასამაღლებლად, რაც მათ საშუალებას მისცემს დაძლიონ წარმოქმნილი პრობლემები. წინაარმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებენ ყველა ხელმისაწვდომი ვარიანტის აღქმას, არ ექნებათ საშუალება გაანალიზონ ისინი, დასახონ სტრატეგიები და მიიღონ სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები. მეორეც ის, რომ აქცენტი უნდა გააკონცენტრირდეს პრაგმატიზმზე და შემოსავლიანობაზე. კოოპერატივთა საქმიანობა მიმართული უნდა იქნეს მის წინაშე წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად და წევრების მომსახურების დონის ასამაღლებლად, სხვა შემთხვევაში წევრები აღარ დააფინანსებენ მას და კოოპერატივი შეწყვეტს ფუნქციონირებას.

თანამედროვე ეტაპზე გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, მნიშვნელოვნად შეიცვალა კოოპერატივების ფორმირებაზე მოქმედი გარემო პირობები და ფაქტორები. უკვე შეუძლებელია იმის თქმა, რომ კოოპერატივები იგივე და იმავე სახის მწარმოებლებს ემსახურებიან, რომელსაც მომსახურებას უწევდნენ წარსულში ან გაუწევენ მომავალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია მათ უნარზე სწრაფად გადაეწყონ და შეცვალონ თავიანთი სტრატეგიები გლობალური ეკონომიკური გარემო პირობების ცვლილებების შესაბამისად. ეს ცვლილებებია: კოოპერატივების განვითარებისათვის ფულადი ნაკადების შემცირება; ვაჭრობის გლობალიზაცია და შიდა ბაზრებზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინდუსტრიალიზაცია და ვერტიკალური ინტეგრაცია; ტექნოლოგიური სიახლეები; ბიოლოგიური სიახლეები; ეკოლოგიური შეზღუდვები.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა 2007 წელს გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც მიუძღვნა XXI საუკუნეში კოოპერატივების განვითარების პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს, სადაც ნათქვამია, რომ კოოპერატივისა და მისი წევრების ინტერესთა შეთანხმება – არის ეფექტიანი კაპიტალიზაციის გასაღები.

აღნიშნულიდან გამომდინარე კოოპერატივებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მათ აამაღლონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა.

საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა კოოპერატივების რიცხვი, რაზეც ნათლად მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები. კერძოდ, 2012 წლისათვის ქვეყანაში სულ ყველა სახის მეურნეობა იყო 729542, აქედან ოჯახური მეურნეობები შეადგენდნენ

728242 (99,8%), სასოფლო სამეურნეო საწარმოები 820 (0,13%) და სხვა ტიპის საწარმოები კი 475 (0,07%).

ცხრილი 1.

საქართველოს მეურნეობათა სრული რაოდენობა და მისი სტრუქტურა ტიპების მიხედვით 2012 წელს

		საქართველო	
სულ ყველა მეურნეობა		ერთ.	34 006
		%	100
მათ შორის	ოჯახური მეურნეობა	33 940	728 247
		99,8	99,8
	სასოფლო-სამეურნეო საწარმო	32	820
		0,1	0,13
	სხვა ტიპის საწარმო	34	475
		0,1	0,07

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამმართველოებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოს მაშტაბით 2010 წელს სულ შეადგენდა 820-ს. მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე 371 (45,2%), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 16 (2,0%), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 317 (38,7%), სააქციო საზოგადოება 32 (3,9%) და კოოპერატივი 84 (10,2%). ცხრილი 4.3.2.

ცხრილი 2.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კლასიფიკაცია მეურნის იურიდიული სტატუსის მიხედვით 2012 წელს

		საქართველო	
ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო სულ		ერთ.	820
		%	100
მათ შორის	ინდივიდუალური მეწარმე	ერთ.	371
		%	45,2
	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთ.	16
		%	2,0
	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთ.	317
		%	38,7
	სააქციო საზოგადოება	ერთ.	32
		%	3,9
	კოოპერატივი	ერთ.	84
		%	10,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2-დან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში კოოპერატივების წილი ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შორის ძალიან მცირეა და შეადგენს 10,2%-ს. ასევე უმნიშვნელოა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წილი სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ასევე, 1-ლი ცხრილიდან ჩანს, რომ ქვეყანაში გაბატონებულია წვრილი ოჯახური მეურნეობები, მათი რაოდენობა 2012 წლისათვის შეადგენდა 728547, სადაც ორგანიზებულად არ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება-რეალიზაცია, მათთვის მიუწვდომელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა და ფართოდ გამოყენება, არ ხორციელდება ადგილზე მიღებული პროდუქციის გადამამუშავება, ადგილი აქვს წარმოებული პროდუქციის დიდ დანაკარგებს და სხვა. სოფლის მეურნეობას სულ უფრო მცირე სტიმული ამოძრავებს აწარმოოს პროდუქცია, რადგანაც არსებული საბაჟო სისტემის პირობებში მის მიერ წარმოებული პროდუქცია ვერ უწევს კონკურენციას შემოტანილს.

რიგ განვითარებულ ქვეყნებში მკაფიოდ გამოისახება სახელმწიფო კოოპერატიული პოლიტიკის კონტურები, რომლის არსი, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი პოლანდიელი ეკონომისტის ს. მალსხოლტის აზრით, განისაზღვრება იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს არ უნდა მოეპყროთ, როგორც სათბურის მცენარეს, მას მხოლოდ უნდა დაეგვიხაროთ დამკვიდრებაში, ხოლო წარმატებას კი მან საკუთარი ძალებით უნდა მიაღწიოს.

როგორც უკვე ავლნიშნეთ დღეს საქართველოში ძალზე დიდი რაოდენობის მცირემიწიანი გლეხური მეურნეობაა. დღეს პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია გლეხთა მეურნეობების გაერთიანების გზით კოოპერატივების ჩამოყალიბება.

მართალია, სახელმწიფოს მხრიდან კოოპერაციის სისტემას ყურადღება მიექცა 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 27 დეკემბრის №270 ბრძანებულებით „საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, ხოლო 1997 წლის 15 მაისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, რომელიც მართალია სახელმწიფოს მხრიდან სისტემის აღიარებას ნიშნავდა, მაგრამ იგი ძალიან ზოგადია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომაც ჩვენი აზრით საჭიროა შეიქმნას ცალკე კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

დღეს საქართველოში სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოოპერატივების ფორმირება უნდა გადაიქცეს ოჯახური მეურნეობების და მთლიანად სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარანტიად. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა კოოპერაციამ აღადგინოს და კვლავ შექმნას დამზადების ორგანიზაციული სისტემა. გაიხსნას ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სარიალიზაციო საწარმოები („მინი“ ბაზრობები), რომელშიც ყველა მუნიციპალური კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის გამოიყოფა ადგილები. სადაც საწარმოო კოოპერატივები უზრუნველყოფენ თავიანთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, დამზადებას და სარიალიზაციო საწარმოების ორგანიზებულ მომარაგებას. ეს ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ოჯახურ მეურნეობებს თავიანთი პროდუქტების ადგილზე რეალიზაციაში, მეორეს მხრივ, ქალაქის მოსახლეობა მომარაგდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით. შემცირდება და მოწესრიგდება ქუჩაში, გზის სავალ ნაწილზე დაწყობილი პროდუქტებით ვაჭრობა. თავის მხრივ, ეს სარიალიზაციო საწარმოები უზრუნველყოფენ ხალხის დასაქმებას. ასეთი ორგანიზებული სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებას, ვინაიდან შემცირდება აღურიცხავი ბრუნვაც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კერძოდ, სამომხმარებლო კოოპერაციის სტრატეგიული პროგრამა კარგად აქვს დამუშავებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიას, სადაც რეგიონების მიხედვით განხილულია თუ რა საწარმოები შეიძლება ჩამოყალიბდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან კოოპერირებით.

მაშასადამე, დღეს აუცილებელია სოფლის მეურნეობის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა მოხდეს მოსახლეობასთან კოოპერირების გზით. საჭიროა ადგილზე, რაიონულ ცენტრებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში შეიქმნას საწარმოო, სამომხმარებლო, საკრედიტო და სხვა სახის კოოპერაციული გაერთიანებები, რაც ხელს შეუწყობს, როგორც სოფლის მოსახლეობის დასაქმებას, ასევე მათი შემოსავლების ზრდას. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მარკეტინგული ტიპის კოოპერატივების ჩამოყალიბებას, რომელსაც შეეძლება მრავალი, მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება. კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, საქონლის დასაწყოება და არა სეზონზე უფრო მაღალ ფასში რეალიზაცია, მიწის ერთობლივად დასამუშავებელი ტექნიკის შეძენა, კოოპერატივის წევრთა მომსახურება და ა.შ.

ამ ტიპის კოოპერატივები შესაძლებლობას აძლევს სოფლად აგრომწარმოებლებს რეალიზაცია გაუკეთონ პროდუქციას არა მაშინ, როცა ფასები ბაზარზე ძალიან დაბალია, არამედ, პირიქით როცა მაღალია; უზრუნველყონ წევრები იმ მომსახურებით, რაც სხვებისათვის ხელმიუწვდომელია; მოიპოვონ საბაზრო სეგმენტი უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებლებისათვის; გადაანაწილონ რისკი და დანახარჯები; შექმნან საწარმოო სიმძლავრეები პროდუქციის ადგილზე გადამამუშავების და მისი უფრო ეფექტიანად რეალიზაციის მიზნით.

საქართველოში აგროსექტორის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოების სტრუქტურის, მათი შემოსავლიანობის, მეწარმე სუბიექტების მენტალიტეტის, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეული პოლიტიკის გათვალისწინებით, აგროსექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ფერმერული და სახელმწიფო კოოპერატივების და ასოციაციების ჩამოყალიბება, მათი ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაა. ჩვენი აზრით ამ მიზნით აუცილებელია:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება აგრარული სფეროს მეწარმეებს შორის, მათთან ინტენსიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უპირატესობების შესახებ.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პრობლემების გადასაწყვეტად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების ინტელექტუალური რესურსების მობილიზება.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.
- ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოში ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და განვითარებას,

რათა მათი მეშვეობით მოხდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათი ცხოვრების დონის ამაღლება. ამასთან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის მასიურ დასაქმებას, რაც ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება. ამ მიზნით სასურველია შემუშავდეს სამთავრობო მიზნობრივი პროგრამები, სახელმწიფო მხარდაჭერის დონისძიებები, რომლებიც დაეხმარებიან სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და მათ ფუნქციონირებაში. ასევე აუცილებელია მომზადდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზა. ამრიგად, საქართველოში სათანადო კანონმდებლობის შემუშავებითა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება და განვითარება, რაც საქართველოს როგორც აგრარული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის საწინდარი იქნება.

NINO SAMCHKUSHVILI

Akaki Tsereteli State University, Doctoral Student

THE ROLE OF COOPERATION IN DEVELOPMENT OF AGRICULTURE

S u m m a r y

In the article is considered history of origin and development of cooperatives. Also In practice of world generally expepted principles of cooperatives, which is forming in 1995 by congress of world cooperatives.

It is analyzed functioning of cooperatives of countries by world experience and its role in development of agriculture.

It is substantiation of conducted analyses, that in Georgia is important to pay attention for formation of agriculture's cooperatives and its development for economic growth, in order to it's through to make better living condition of rural population and to arise its living level. By the way to forming agricultural cooperatives will assist countries economic growth and to forming infrastructure of market economy, to employ population, which will be important factor of stabilization of countries economy and growth of budget income.

For this purpose is shown the modern state of cooperatives in Georgia. It is established the hindering problems, which prevent the formation of cooperatives in Georgia. Also it is included the solving ways of the problems. Where is said, that it is desirable to develop a targeted government programs, state support programs, which help rural population to form cooperatives and to develop it. Also it is necessary to prepare the appropriate legal base. Thus, In Georgia is possible to develop the relevant laws and the targeted programs to form and develop agricultural cooperatives that will be prerequisite of social-economical development of Georgian agriculture.

მანუალური სამუშაო

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, სრული პროფესორი*

ნიკო ლაშინი

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი*

ეკონომიკური რისკის შემცირების მეთოდები აგრარულ სფეროში

აგრარულ სფეროში ეკონომიკური რისკი სასურველი შედეგის მიღების შეუძლებლობასა და მატერიალურ დანაკარგებს უკავშირდება. თეორიულ კვლევებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყოფენ სხვადასხვა სახის რისკს: სამეწარმეო, საბანკო, საკრედიტო, საინვესტიციო, ინოვაციური, საფასო, ეკოლოგიური, ინფორმაციული, სადაზღვევო, ამინდის და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში გამოვლენილი რისკი სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ამინდის ცვლილებით გამოწვეული ცუდი ამინდის დადგომის აღბათობას ფერმერი გაითვალისწინებს მართვის სტრატეგიის შედგენისას და ამით შეამცირებს ცუდი ამინდის დადგომით გამოწვეულ უარყოფით ფინანსურ ეფექტს.

აგრარულ სფეროში გამოყოფენ რისკის წარმოშობის რამდენიმე ძირითად წყაროს¹:

საწარმოო რისკის წარმოშობის მიზეზია მარცვლეული კულტურისა და/ან შინაური ცხოველების ბუნებრივი ზრდის ტემპის არასტაბილურობა, რომლის მიზეზია წარმოების ფაქტორების ცვლილება.

საწარმოო სფეროში თავმოყრილია სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურ-ბიოლოგიური სისტემის სახით, რომელიც დამატებითი რისკის წყაროა. უპირველესად იგი დაკავშირებულია გამოყენებული რესურსების ბიოლოგიურ თვისებასთან და აქედან გამომდინარე ბიოლოგიურ-კლიმატურ პირობებთან. რესურსების ბიოლოგიური ბუნება განპირობებულია წარმოების სეზონურობით, მცენარეებისა და ცხოველების დაავადებით,

¹ Benson F., Daniel B. Smith Risk Management Series The Concept of Risk //Extension Advisory Council. February 1993. F-313

რესურსების კლებადი უკუგებით. დროის დიდი ინტერვალი მნიშვნელოვნად ამცირებს ვადების სიზუსტეს და ზრდის გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზემოქმედებას.

საბაზრო და საფასო რისკი გამოიხატება ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების ცვალებადობით, რომელიც გავლენას ახდენს დანახარჯებზე. საწარმოს მატერიალური რესურსებით აღჭურვის პროცესში არსებობს არჭურვილობის რისკის წარმოშობის საშიშროება.

პოლიტიკური რისკი ეკონომიკური პოლიტიკის არასასიკეთო ცვლილებას უკავშირდება. საგადასახადო ტარიფის შესუსტებამ ან გამკაცრებამ, ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვამ და ა.შ. შესაძლოა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს, ფერმერებს, შესაძლოა შესუსტდეს რეგიონათშორისი კავშირები და საბოლოო ჯამში ასეთი პოლიტიკით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადააჭარბოს დადებითს.


პროდუქციის რეალიზაციის რისკი დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პირობებთან. მისი გამოვლენის ფორმებია: მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის ცვლილება და აქედან გამომდინარე საბაზრო ფასის ცვლილება, კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება, სატრანსპორტო და პროდუქციის შენახვის ტარიფების გაზრდა და ა.შ. უხემა მოსავალმა შეიძლება პრობლემები შეუქმნას ფერმერს, რაც უკავშირდება მაღალ კონკურენციასა და ფასების შემცირებას. პროდუქციის შენახვა დაკავშირებულია შესანახი საწყობების მოუწყობლობასთან და აქედან გამომდინარე, მოსავალზე ფასების შემცირების რისკი კიდევ უფრო ღრმავდება მის შენახვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების რისკით.

სოფლის მეურნეობაში სპეციფიკური ხასიათის რისკს მიეკუთვნება **ეკოლოგიური რისკი**, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ფულადი სახის დანაკარგებთან. ეკოლოგიური რისკი სხვადასხვაგვარად ვლინდება, ეს შეიძლება იყოს: რადიაციის მომატება, კლიმატის არასასიკეთო ცვლილება, მავნე ნივთიერებებით ჰაერისა და წყლის დაბინძურება. შედეგად ხდება ცოცხალი ორგანიზმების სხვადასხვაგვარი მუტაცია და მცირდება მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეკოლოგიური რისკის შემცირება ფულადი სახსრების დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული და იგი დღესდღეობით გლობალური პრობლემაა.

რისკის მართვა უწყვეტი პროცესია, ამ კუთხით მნიშვნელოვანია სწორად არჩეული გამაფრთხილებელი ღონისძიებები და რისკის მინიმიზაცია, რომლებიც განსაზღვრავენ მის ეფექტიანობას.

ზოგადად რისკის მართვის პროცესი მოიცავს: საგარაუდო რისკის გამოვლენის, რისკის შეფასების, რისკის მართვის მეთოდის არჩევის, არჩეული მეთოდის გამოყენების და შედეგების შეფასების სტადიებს.

რისკის მართვის მეთოდი ეფუძნება: რისკისაგან თავის არიდებას, რისკის საკუთარ თავზე აღებას, რისკის დაზღვევას, რისკის მესამე პირზე გადაცემას და სხვადასხვა ხერხებით დანაკარგების შემცირებას (იხილეთ ნახ.1).



ნახაზი 1. რისკის მართვის მეთოდი

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება რისკის შემცირების სხვადასხვა, საკმაოდ ორიგინალური გზები და მეთოდები, რომელთა უმეტესობა სპეციფიკურია. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო საერთო მეთოდები გამოიყენება.

რისკისაგან დაცვისა და შემცირების ყველაზე საერთო, ფართოდ გამოყენებული და ეფექტური მეთოდებია: დაზღვევა, რეზერვირება ანუ თვითდაზღვევა, დივერსიფიკაცია და ლიმიტირება.

დაზღვევა წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და მისი არსი მდგომარეობს რისკის სხვაზე გადაცემაში (პასუხისმგებლობის ნეგატიური შედეგების გამო) გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ე.ი. ზარალის დაზღვევის მონაწილეთა შორის განაწილებაში. სოფლის მეურნეობაში რისკის დაზღვევის სისტემაში უპირატესობა ენიჭება ქონებრივ და პასუხისმგებლობის დაზღვევას. ქონებრივი დაზღვევის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ქონება სხვადასხვა სახით (ნაგებობა, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალება, ნედლეული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, პროდუქცია და ა.შ.), ასევე ქონებრივი ინტერესები. ამ უკანასკნელის სპეციფიკურ ფორმას კი წარმოადგენს ჰეჯირება.

ჰეჯირება საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ფინანსური ოპერაციის რისკი მომავალში ვალუტის კურსის, პროდუქციის ფასის, პროცენტული განაკვეთის და ა.შ. არასასიკეთოდ ცვლილების გამო. ჰეჯირება ოფციონის დახმარებით ითვალისწინებს მზღვეველის უფლებას, გარკვეულ თანხად იყიდოს წინასწარ დათქმული რაოდენობის ვალუტა (ფიქსირებული კურსით, შეთანხმებულ ვადებში).

ჰეჯირების არსი რისკის სხვა პირზე გადაცემაში მდგომარეობს. დაზღვევის ტრადიციული ხელშეკრულებისაგან განსხვავებით იგი არ ითვალისწინებს ყოველთვიურ სადაზღვევო გადასახადს.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება მისი ისეთი ნაირსახეობა, როგორცაა – **გადაზღვევა**. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია) საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას დაზღვევის მთლიან თანხაზე (რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ძვირადღირებულ რისკთან), მაგრამ იგი თავის მხრივ მიმართავს სხვა სადაზღვევო კომპანიას და გადასცემს მას პასუხისმგებლობას რისკის გარკვეულ ნაწილზე.

რეზერვირებას ზოგჯერ **თვითდაზღვევასაც** უწოდებენ, რომლის დროსაც საწარმო ქმნის სპეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) ბრუნვითი საშუალებების ნაწილის ხარჯზე და მის შესაქმნელად გაღებული ხარჯები შედის თვითღირებულებაში. რისკის შემცირების ასეთი მეთოდის გამოყენებისას რეზერვირებული ხარჯები სადაზღვევო შენატანზე ნაკლებია.

რეზერვირება წარმოადგენს სარეზერვო (სადაზღვევო) ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას მეურნე სუბიექტში, სწორედ ამიტომ უწოდებენ დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირებას – თვითდაზღვევას.

დანიშნულების მიხედვით სარეზერვო ფონდები იქმნება ნატურალური და ფულადი ფორმით. ასე მაგალითად, ფერმერები და სოფლის მეურნეობის სხვა სუბიექტები, არახელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით გამოწვეული დანაკარგების აღმოფხვრისა და ანაზღაურებისათვის ქმნიან ნატურალურ სარეზერვო ფონდებს: სათესლე, საფურაჟე და სხვა სახის საქონლის სარეზერვო მარაგის სახით.

სარეზერვო ფულადი ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოშობისას (რომელიც გამოწვეულია ტარიფებისა და ფასის ცვლილებით, სარჩელის გადახდით და ა.შ.), კრედიტორული დავალიანების დაფარვის აუცილებლობისას, მეურნე სუბიექტის ლიკვიდაციისას და ა.შ. ხარჯების დასაფარავად.

ნატურალური და ფულადი რეზერვირებისათვის აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა. ასეთი გათვლები, როგორც წესი, ხდება დაგეგმილი რისკის შემთხვევაში (როცა ცნობილია წარმოშობის ალბათობა და შესაძლო დანაკარგების სიდიდე).

თუ დანაკარგებმა გადააჭარბა დაგროვილ რეზერვს (როცა რისკი დაუგეგმავია), მაშინ საწარმო იძულებულია მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები გამოიხატოს. ამიტომ, თვითდაზღვევისას აუცილებელია რისკის გამოვლენისა და შეფასების პირველადი სამუშაოების დიდი გულისყურით შესრულება, რისკისაგან დასაცავად ალტერნატიულ ვარიანტებს შორის ფინანსების განაწილება, რისკის შემცირება და გადაცემა. ყოველივე აღნიშნული, თავის მხრივ, ზრდის რისკ-მენეჯერთა, ექსპერტთა, იურისტთა და სხვათა შენახვაზე გაწეულ ადმინისტრაციულ ხარჯებს.

რისკის მინიმიზაციის განხილული მეთოდებიდან კონკრეტულის არჩევა დამოკიდებულია როგორც მეწარმის, ასევე რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე. ეფექტური შედეგების მისაღწევად, როგორც წესი, გამოიყენება არა ერთი, არამედ რამოდენიმე მეთოდად ერთობლიობა.

აგრარულ სფეროში ადგილი აქვს სხვადასხვა სახის რისკის წარმოშობის პროცესს, ამიტომ მათ შესამცირებლად, აღნიშნული ძირითადი მეთოდების გარდა, არსებობს უფრო კონკრეტული, მხოლოდ მოცემული შემთხვევისათვის გამოსაყენებელი მეთოდები. ამიტომ ფერმერისათვის

აუცილებელია ამ მეთოდების ცოდნა, რადგან, ზოგჯერ რადიკალური ზომების მიღებამდე, უფრო ეფექტურია, ლოკალური, სპეციფიკური მეთოდების გამოყენება.

VAKHTANG SARTANIA

St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia
Full Professor

NINO DAMENIA

St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia
Associate Professor

METHODS OF REDUCTION OF ECONOMICAL RISKS IN AGRARIAN SPHERE

S u m m a r y

Methods of reduction and expression of economical risks in agrarian sphere are estimated in the work. Several general sources of rise of economical risks in agrarian sphere are:

Productive risks, the reason of which is instability of natural growth rate of grain culture and/or domestic animals.

Risk of product realization connected with manufactured product's realization, which forms of expression are: change of balance of demand and supplement and hence change of market price, strengthening of specific battle, increase of transport and product storage rates and etc.

Ecological risk has specific character and is connected with money losses caused by environmental pollution. Forms of expression of ecological risk: increase of radiation, bad change of climate, air and water pollution by dangerous substances. As a result, there are different mutations of live organism, reduction of high-qualified agricultural product's quantity. There is global problem caused by existing ecological risk.

On the basis of analysis of economical risk in the work methods of risk management in agrarian sphere are revealed that are based on: avoid of risk, to take risk upon oneself, insurance of risk, transfer of risk to the third person and reduction of losses using different ways. Effective and widely used methods of reduction and security of risk are: insurance, reservation i.e. self insurance, diversification and limitation.

რუსუდან სირბილაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

მაკროეკონომიკაში სოფლის მეურნეობის დარბის სრულყოფის მნიშვნელოვანი ასპექტები

სახელმწიფოს როლის შემცირება ეკონომიკურ მართვაში მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს, მრეწველობას, ენერჯეტიკას, განათლებას, კავშირგაბმულობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და სხვა. საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს პრიორიტეტად სოციალური ეკონომიკა აქვს მოაზრებული, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შემცირება იწვევს ფინანსური რესურსების სოციალურ სფეროში გამოყენებას, ამ დროს სუსტია არაეფექტურია სახელმწიფოს მართვის სისტემა, თუმცა ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების გავლენა, რომელთა წესებითაც იმართება ეროვნული ეკონომიკა, ხოლო პოლიტიკა ეკონომიკის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს მართვას და ამის გარანტი სახელმწიფო უნდა იყოს, რადგან მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისებმა განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე. რათა სწრაფად მოხდეს რეცესია და ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება. ეკონომიკური მართვის ეფექტიანობამ დიდი პოზიტივი უნდა შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში, სახელმწიფომ ეკონომიკური მართვის განხორციელებისას აქცენტები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უნდა განახორციელოს, მაგრამ სახელმწიფო მართვა აუცილებლად ფრთხილი და ზომიერი უნდა იყოს რადგან მეტისმეტმა ჩარევამ ხელი არ შეუწყოს ნეგატიური მოვლენების წარმოქმნას. ეკონომიკის მართვის ეფექტიანობა ბიზნესის მართვის ეფექტიანობითაა შესაძლებელი. ბიზნესის მართვის გაჯანსაღება ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე დამოკიდებული, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მოთხოვნის და მიწოდების პროცესის ბალანსირება, წონასწორობის დაცვა, ეს ბაზარზე მიიღწევა მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის შეთანხმებით. მომხმარებელი გამოხატავს მოთხოვნის რაოდენობას, მწარმოებელი მიწოდების რაოდენობას, მოთხოვნის და მიწოდების გაწონასწორება ბაზარზე მომხმარებელსა და მიწოდებელს შორის შეთანხმებით განისაზღვრება, თუმცა ამ ყოველივეს წინ უსწრებს ის დამოკიდებულება ბაზრისადმი, რომელიც ექმნება მყიდველსა და გამყიდველს, მათ შორის ურთიერთობა უფრო ჯანსაღი და მრავალჯერადია, რაც მეტად არის ქვეყანაში კანონები და პოლიტიკური მდგომარეობა გაჯანსაღებული, და თუ ქვეყნის შიგნით ეკონომიკური და პოლიტიკური კანონმდებლობა შესაბამისობაშია, საჭირო არ ხდება სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევის აუცილებლობა, რადგან მეტისმეტმა ჩარევამ შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოგიტანოს, ძირითადად ეს აისახება გადასახადების გაზრდაში, სახელმწიფოს ვალის გაზრდაში, ინფლაციური პროცესის სრულყოფის შეუძლებლობაში, არასწორ ხარჯვით პოლიტიკაში და ა.შ. ასევე

აუცილებელია მომავლის ეკონომიკის პროგნოზირება, რადგან წარმატებულ პროგნოზირებას გაცდლებით მეტი პოტენციალი აქვს შემოსავლების ზრდისათვის.

ასევე თუ არსებობს პროგნოზი მომავლის მოთხოვნის შესახებ ადვილი ხდება მომავლის მიწოდების მართვა. ამ დროს განსაკუთრებული როლი მარკეტინგულ მართვას ეკუთვნის და ბაზრის გამოკვლევა დიდ შესაძლებლობას აძლევს მწარმოებელს მომავალი წარმოება სწორად და ეფექტურად დაგეგმოს, და აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული მთავრობის შესაძლო კონტროლი, ეკოლოგიური და სტიქიური პრობლემები და სხვა გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს წარმოებაზე. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპი XXI საუკუნეში. რითაც შესაძლებელი ხდება მსოფლიო მიღწევების ადვილად ხელმისაწვდომობა ამ და სხვა ნებისმიერ სფეროში. და რაც მთავარია ეს გზა ყველაზე მარტივი და იაფია. ძალიან კარგი იქნება პროგნოზირების პროცესში ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორის წინ წამოწევა, რაც ძირითადად მომხმარებლების ბაზრისადმი ადაპტაციაში გამოიხატება. აქვე გასათვალისწინებელია ეკონომიკური კრიზისის საზღვრები. და თუ ადრე ეკონომიკური კრიზისი საუკუნეში ერთ-ორჯერ ფიქსირდებოდა, თანამედროვე პირობებში ეკონომიკური კრიზისი თითო ათწლეულში ერთხელ ფიქსირდება და გლობალიზაციის პროცესის გამო არა მხოლოდ ერთ ქვეყანას არამედ მთელ მსოფლიოს მოიცავს და ამის მართვა რთულდება გასაგები მიზეზების გამო. საქმეს კიდევ უფრო ართულებს სისტიმური რისკების არსებობა, რაც თანამედროვე ეკონომიკის არასტაბილურობას უწყობს ხელს, ეს რისკებია როგორც ჭარბი ლიკვიდობით, საკრედიტო ექსპანსიით, ნოვაციებით, ეკონომიკის ფინანსიზაციით და ვირტუალიზაციით გამოწვეული რისკები, თან ამ რისკების არსებობა ისეთ დროს როცა მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესი მოიცავს როგორც ეკონომიკის ლიბერალიზაციას, საფინანსო სფეროს გლობალიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარებას, ასევე უნდა იყოს გამოკვლეული და პროგნოზირებადი ქვეყნებს შორის ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის შესაძლებლობა. სავალუტო კრიზისის დაძლევის შესაძლებლობა, ასევე იმ რესურსების ხარჯვის შესაძლებლობა, რაც ეფექტიანს გახდის წარმოებას და საქსპორტო ურთიერთობებს. თანამედროვე ეპოქაში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გლობალიზაციაში მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო ჩართო, გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოს გლობალიზაციაში ჩართვა გამოწვეულია გეოპოლიტიკური მდებარეობით. იგი ევროპა-აზიის გზაგასაყარზე წარმოადგენს სატრანზიტო გზას კავკასიის და ნაწილობრივ აზიის სახელმწიფოებისათვის. მისი ეს ფუნქცია აჩქარებს გლობალიზაციაში საქართველოს ჩართვას. საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა და მოგვეთხოვება ამ პროცესებში ჩვენი თვითმოყოფადობის შენარჩუნება ჩვენი ისტორიის გათვალისწინებით.

საქართველოს ეკონომიკა ისევ განვითარებადია და ისევ დაბალია შიდა პროდუქტის მოცულობის ხვედრითი წილი ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის განათლება და პროფესიონალიზმი, ქვეყნის მისწრაფება ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში, სამომავლოდ, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას განაპირობებს. თუმცა ყოველივე ამას ხელს უშლის ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია, დიდი ნაწილი უმუშევარია, ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისათვის აუცილებელია ყველა ძირითადი დარგის განვითარება, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, განათლების, მედიცინის და სხვა. არასტაბილური ეკონომიკური გარემო ხელს უწყობს ინფლაციას, მოსახლეობას შემოსავლების ნაკლებობა აქვს, ქვეყანაში სიღარიბის მაღალი დონეა, მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით დიდია ხარჯების მაჩვენებელი. ასევე ეკონომიკაში ციკლური რყევები, როგორცაა ფასების უცარი ცვლევებები, ტექნოლოგიური სრულყოფა, ეს ყოველივე დიდ გავლენას ახდენს მწარმოებლურობაზე. სახელმწიფოს სწორი მენეჯმენტით და მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბიზნესციკლებზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სრულყოფით, რადგან ძნელია გამოიყენო ეკონომიკური პროცესების ანალიზის ტრადიციული მეთოდები, იმიტომ, რომ ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელია სწრაფი ცვლევადობა, რის გამოც არააქტუალური ხდება გრძელვადიანი პროგნოზები. საჭიროა ახალი მიდგომები და ახალი კონცეპტუალური ხედვა ეკონომიკაზე, როგორც მეცნიერებაზე. ასეთი სისტემური მიდგომა აუცილებელია, უნდა დავინახოთ სხვადასხვა მოვლენებს შორის შესაბამისობები, თანამედროვე პირობებში ეკონომიკამ კრიზისების მიუხედავად მიაღწია შესამჩნევ პროგრესს, თუმცა ეს არ არის საკმარისი და აუცილებელია მართვის ახალი ისეთი კომპლექსის შემუშავება, რომელიც შთამბეჭდავს გახდის ეკონომიკას. თუნდაც ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა, სივრცის და ეკონომიკის კავშირურთიერთობა, ტრანსპორტის განვითარება, მათ შორის საჰაერო და საზღვაო. სოფლის მეურნეობის განვითარება, მათ შორის ბიოეკოლოგიური პროდუქტების წარმოება, საბანკო სექტორის განვითარება, მათ შორის ხელმისაწვდომი საბანკო კრედიტების განვითარება, მოსახლეობისთვის ხელშეწყობაა. ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენება და მომავალი თაობისთვის შენახვის შესაძლებლობა. ისეთი საქმიანობის ხელშეწყობა, რომელიც უმუშევრობის დაძლევაში დაგვეხმარება. ასევე ბიზნესის ხელშეწყობა. აუცილებელია გადაიხედოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი კერძოდ ეროვნული სიმდიდრე, რაც ეკონომიკური ძლიერების საწინდარია, ეროვნული სიმდიდრე ეს მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა,

რომელიც შექმნილია მრავალი თაობის მიერ და ჩართულია კვლავწარმოების პროცესში, ბუნებრივი რესურსები შექმნილია წარმოების საშუალებების, მატერიალური დოვლათით და სხვა ფაქტორებით.

ეკონომიკური პოტენციალის არსის გასარკვევად ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკურ პოტენციალს, როგორც ეროვნული მეურნეობის დარგთა შესაძლებლობას, ეკონომიკურ პოტენციალს, როგორც არსებული რესურსების ერთობლიობას, ეკონომიკურ პოტენციალის და ეკონომიკური ძლიერების სახალხომეურნეობრივი პოტენციალის გაიგივებას, ეკონომიკური პოტენციალის, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის ეკონომიკური და წარმოებით ურთიერთობათა შედეგს. საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას მუდმივად უშლიდა ხელს ეკონომიკური კავშირების მოშლა, ეროვნებათაშორის უთანხმოებები, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ადმინისტრაციულ-მრეწველური სისტემის არსებობა, ლტოლვილთა სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, გამოცდილების არ არსებობა, განუხორციელებელი რეფორმები, ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, ეკონომიკური ცხოვრების მოშლა, პიპერინფლაცია. თანამედროვე გლობალიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკურ პროცესებს, ეს ისეთი პროცესია რომლის მეშვეობითაც სოციალურ ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები, მრეწველობაში იზრდება ისეთი ერთობლივი ქარხნების რიცხვი, რომლებმაც მოიცვეს საავტომობილო და მიკროელექტრონიკა, რამდენიმე ქვეყანა წარმოებაში ერთიანდება და გაჩნდა საფონდო ბირჟები, გლობალიზაციის მონაპოვართა დედამიწის ყველა კუთხეში აღიარებული საკრედიტო ბარათების გავრცელება და ზოგიერთი ვალუტის მზარდი გამოყენება.

ეკონომიკის და ფინანსების გლობალიზაციამ განაპირობა ევროკავშირის ქვეყნების მიერ ვალუტის კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემები და თავის დაღწევის მიზნით ერთიანი ვალუტის ევროს შემოღება. ეკონომიკის განვითარება და ცივილიზაცია ქმნის ტექნიკურ პროგრესს, ხოლო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს ახალი ჯაჭვით ეკონომიკის ადამავლობას. დღეს განათლებაზე, სამუშაოს დაწევაზე, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტსაიტების, ონლაინკავშირების, ონლაინმონიტორინგის, საქონლის და მომსახურების წინა პლანზე წამოწევა ინვესტორებთან კავშირში, ეს ის თემატიკაა რომელზეც მახვილდება თანამედროვე ადამიანის ყურადღება. მიდგომებიც სრულიად ახლებურია, ასევე ღირებული და მნიშვნელოვანია ფირმების შიდა ურთიერთობები, გაძლიერებულია კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე და სხვა . ამ პრობლემათა წამოწევის და გადაჭრის ფონზე ეკონომიკური მართვა სრულიად აუცილებელია, რათა მომავალი პერსპექტივების სწორად განსაზღვრამ შეგვაძლებინოს თავი დავაღწიოთ როგორც ეკონომიკურ კრიზისს ისე კრიტიკულ სიტუაციებში შევძლოთ თავის დაღწევა. უნდა მოხდეს ორგანიზაციული შეხედულებების გადახედვა, ბიზნეს პროცესების ცვლილებათა განხორციელება, ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე როგორცაა დანახარჯები, საქონლის და მომსახურების ხარისხი, ოპერატიულობა, მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება, წარმოების უფრო დახვეწა და სრულყოფა, სოციალური პოლიტიკის, უმუშევრობის მართვა, პოლიტიკური რეგულირება, სახელმწიფოს და ბიზნესის დაახლოება, სახელმწიფოს და მოქალაქეების დაახლოება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მომავალში აუცილებელია ახალი განვითარების ნორმების ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებების დაცვა, ფუნდამენტურ თავისუფლებას სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე უნდა ახდენდეს, როგორც სახელმწიფო მართვას ასევე იმ პროცესების სრულყოფას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ყოველივე ეს აუცილებელია, რადგან ციკლური ეკონომიკური კრიზისების გავრცელების მასშტაბები რთულდება და ხანგრძლივია ამ კრიზისების დაძლევის ვადები, შესაძლოა ეს კიდევ უფრო გახანგრძლივდეს მომავალში, რაც აუცილებლად შეამცირებს პერიოდებს ეკონომიკურ ციკლებს შორის.

ეკონომიკის განვითარება და მისი მართვა შეუძლებელია მისი ძირითადი დარგის სოფლის მეურნეობის გარეშე, სოფლის მეურნეობის სპეციფიკა ის არის, რომ კვლავწარმოება ამ დარგში არა მხოლოდ საზოგადოების ძალისხმევით არის შესაძლებელი, არამედ ის ბუნებასთან კავშირში წარიმართება. ამის გამო მერყეობს წარმოების შედეგები კლიმატური პირობების შესაბამისად. ეს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, კვლევებმა აჩვენეს, რომ ნიადაგში, მცენარეებსა და ცხოველებში ბიოლოგიური პროცესების ნორმალური განვითარება მიმდინარეობს, სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ერთ მთლიანობად ფერმერები, მომხმარებლები, წვრილი ვაჭრები, თითოეული მათგანი მონაწილეობს და განიხილავს სოფლის მეურნეობას თავისი პოზიციებიდან მათი წარმოდგენები სოფლის მეურნეობაზე დაკავშირებულია კონკრეტულ გამოცდილებასთან, ზოგჯერ კი რწმენასთან. არსებობს განსაზღვრული გაუგებრობა შეხედულებებში სოფლის მეურნეობაზე. თუ რა არის იგი, რა ფუნქციებს ითავსებს, რა როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. სოფლის მეურნეობა უნდა განვიხილოთ როგორც შემაერთებელი რგოლი სურსათის სპეციალიზებულ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია განსხვავებული პროდუქციაა, რადგან მას მოიხმარს უკლებლივ ყველა ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკურ სუბიექტს და ჩართულია ქვეყნის ეკონომიკის სისტემაში, როგორც წარმოებაში ისე მოხმარებაში. მაკროეკონომიკაში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულობა იმითაც ვლინდება , რომ იქ მიიღება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პროდუქციის ხარისხზე, ასორტიმენტზე, ღირებულებებზე. ეს ელემენტები

ხელს უწყობენ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის წინა პირობაა.

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობაში საზოგადოების მოთხოვნა ბიოეკონომიკაზე და ბიოპროდუქტებზე აიძულებს მეწარმეებს აწარმოონ ისეთი ბიოლოგიური პროდუქტები, რომელიც დააკმაყოფილებს სრულიად ახალ მოთხოვნილებებს. მრავალი წელია სოფლის მეურნეობაში რეფორმები მიმდინარეობს, და გლეხისთვის რეალური მწარმოებლისთვის არანაირი წინსვლა არ იგრძნობა, მოსავლის გასაღება ისევ რთულია, საქმეს ართულებს მღრნელებისგან ნათესების დაზიანება, სტიქიების, წყალდიდობების, სეტყვის და უამინდობის პრობლემები, საწვავის და წამლის არ ქონა, ვისაც სოფლის მეურნეობა უყვარს და პატივს სცემს მისთვის სოფლის მეურნეობა მუდმივი ძიების პროცესია, თუმცა ამასაც ხელს უშლის ხშირად მცირემიწიანობა, ასევე ნიადაგს უზღობა ისეთი ცვლილებები, როდესაც ერთი და იგივე მიწაზე ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურები ითესება, ზოგიერთი ოჯახი ამასაც ვერ ახერხებს ზოგჯერ ფინანსური პრობლემების გამო. ეკონომიკურ ზრდას გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეებიც. მისი ძირითადი დადებითი მხარეებია: 1. ამტკიცებენ, რომ რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი (მშპ), მით უფრო ბედნიერია კაცი (ანუ თუ მშპ იზრდება ეს კარგად მოქმედებს ყველა ადამიანის შემოსავალზე). 2. ტექნოლოგიური პროგრესი, 3. ძველი ბუნებრივი რესურსების ახალი რესურსებით ჩანაცვლება, 4. უფრო მეტი სამუშაო ადგილი, 5. უფრო ძლიერი ქვეყანა და უფრო მაღალი ცხოვრების დონე, ხოლო რაც შეეხება მის უარყოფით მხარეებს, ძირითადი უარყოფითი მხარეებია: 1. შემოსავლის განაწილება: ჩნდება განსხვავება უმდიდრესთა და უღატაკესთა შორის, 2. ცხოვრების ხარისხი: უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, 3. იწვევს ახალი საჭიროებების შექმნას: წარმოების ზრდა აიძულებს მომხმარებელს ჩამოიყალიბოს ახალი გემოვნება, 4. ქმნის ბუნებრივი რესურსების ნაკლებობასა და გარემოს დაზიანებებს (რაც უფრო მეტია მწარმოებლურობა, მით უფრო მეტი ბუნებრივი რესურსი იხარჯება). 5. კარგი მომსახურება ყოველთვის არ ნიშნავს ყველა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკონომიკური ზრდის ოპონენტები ძირითად არგუმენტად თვლიან გარემოს მდგომარეობის გაუარესებას. ისინი ამტკიცებენ, რომ ეკონომიკურმა ზრდამ და ინდუსტრიულიზაციამ განაპირობა გარემოს დაზიანება. რაც უფრო დიდია მწარმოებლურობა ქვეყანაში, მით უფრო უარესდება გარემოს მდგომარეობა და მცირდება ბუნებრივი რესურსების რაოდენობა.

როგორც ყველა ქვეყნისთვის, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა. საქართველოს ეკონომიკის მთავარი დარგებია სოფლის მეურნეობა (ჩაი, ციტრუსი, ხილი, თამბაქო, ღვინო), მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, პიდრორესურსები. დიდი ყურადღება ეთმობა საკურორტო-ტურისტული კომპლექსის ადღენას, რომელიც ადრე ყოველწლიურად 2 მლნ ადამიანს ემსახურებოდა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ყურძენი, ჩაი, ციტრუსები); მთავარი სავაჭრო პარტნიორებია რუსეთი (18 %), თურქეთი (14 %), აზერბაიჯანი (12 %) და აშშ (6 %). ერთობლივი ეროვნული პროდუქტი: სტრუქტურა (%) — სოფლის მეურნეობა 32; 1 სულ მოსახლეზე — 860 \$. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ბოლო წლებში ასე გამოიყურება: 2009 წელს ეკონომიკური ზრდას ადგილი არ ჰქონია, პირიქით 3,8 %-იანი კლება დაფიქსირდა. ნომინალურმა მშპ-მ 17986.0 მილიონი ლარი შეადგინა, ერთ სულ მოსახლეზე კი 2455,2 აშშ დოლარი. 2010 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 6,3% შეადგინა, მშპ-მ ნომინალურად 20648.6 მილიონი ლარი, ერთ სულ მოსახლეზე კი - 2641,7 აშშ დოლარი. 2011 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები ამ მიმართულებით ასეთია: ეკონომიკური ზრდა - 4,5%. ნომინალური მშპ 23088,2 მილიონი ლარი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე კი - 2924,9 აშშ დოლარი. სინამდვილეში 2011 წელს ეკონომიკურმა ზრდამ ამ ვარაუდს გადააჭარბა. ამ წელს საქართველოს მშპ-ს ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 7%. მშპ-მ მიმდინარე ფასებში შეადგინა 24229,0 მლნ. ლარი (14370,0 მლნ. აშშ დოლარი). მშპ ერთ სულ მოსახლეზე 5421,0 ლარი იყო (3215,0 აშშ დოლარი). როგორც ხედავთ, საქართველოში ჩატარებულმა რეფორმებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. მიუხედავად ამისა საქართველო მშპ-ს რეიტინგში 115 ადგილზეა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა, საგარეო ვალი, ინფლაცია და ა.შ. სანამ ამ პრობლემების ზეგავლენა არ შემცირდება, ქვეყანა ვერ შეძლებს მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას. 2011 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: ნიდერლანდები - 213,4 მილიონი დოლარი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 21,8 პროცენტი), დანია - 99,9 მილიონი დოლარი (10,2 პროცენტი), საერთაშორისო ორგანიზაციები - 94,5 მილიონი დოლარი (9,6 პროცენტი) და სხვა. აღნიშნული მსხვილი ინვესტორი ქვეყნების წილმა საქართველოში 2011 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 69,0 პროცენტი შეადგინა. საბაზრო ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა და აგროეკონომიკური პოლიტიკა ძირეულ ცვლილებებს განიცდის. სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკით უნდა განხორციელდეს ეკონომიკაზე ზემოქმედების ძირეული ცვლილებები და ეროვნული ეკონომიკის მომავალ განვითარებას უნდა შეეწყოს ხელი. ამას ქვეყნის სოფლის მეურნეობა განვითარებას მოითხოვს, რისთვისაც ეკონომიკური კლიმატის შექმნა საჭირო და აუცილებელია, ამის განხორციელება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი პოლიტიკით, რათა მაკროეკონომიკა განვითარდეს და შესაბამისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო გლობალიზაციაში. დღეს სოფლის მეურნეობაში გამოიკვეთა პრიორიტეტული დარგები, მევენახეობა, მეპოსტნეობა, მეხილეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა, ეს ის დარგებია

რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და შესაბამისად ეკონომიკური შემოსავალი. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხშირად ხელს უშლის კლიმატური პირობები და ის, რომ ამ დარგში მოსავლის მიღება ხშირად წელიწადში ერთხელ არის შესაძლებელი, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მედიორაციის არასრულყოფილება ძირითადად ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვრებით ამ დარგის და რეგიონების უზრუნველყოფა. ყოველივე ამას ემატება დემოგრაფიული პრობლემები, სოფლიდან მოსახლეობის იმიგრაცია, სიღარიბის დონე, არ არის ფერმერებისთვის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა, რის გამო სოფლის მეურნეობა განიცდის ინვესტიციურ შიმშილს, ეს იმით არის გამოწვეული, რომ სოფლის მეურნეობა ნაკლებად მიმზიდველია ინვესტორისთვის, აქ ამონაგები და მოგება დიდი ხნის შემდეგ მიიღება, ასევე არ არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო სესხების პროგრამები, გარემოს დაბინძურების პირობებში ყველაზე აქტუალურია მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი სასოფლო სამეურნეო პროდუქტებით. რადგან ასეთი პროდუქტები არის თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანი. უდიდესი ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყნის სურსათის უსაფრთხოებაზე, კლასტერების შექმნაზე, რადგან კლასტერებში აღწევენ მწარმოებლობის და ნოვაციების მაღალ დონეს და იმავდროულად ინარჩუნებენ ეკონომიკურ მდგრადობას და ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს. რისი პროგნოზირებაც სოფლის მეურნეობამ წინასწარ უნდა შეძლოს საპროგნოზო ობიექტების ანალიზის მეშვეობით, სოფლის მეურნეობაში უნდა გაიზარდოს შემოსავლები, რასაც აგრარული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს, რადგან სოფლის მეურნეობაში იწარმოება ისეთი პროდუქტები, რომლის სრულყოფილი წარმოება ადამიანის ჯანმრთელობის და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფუნდამენტური მნიშვნელობის მომენტია და ამ პროდუქტების წარმოების განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

RUSUDAN SIRBILADZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International School of Touri.
doctor of economics, Professor*

SOME IMPORTANT ASPECTS OF IMPROVING AGRICULTURAL SECTOR IN MACROECONOMICS

S u m m a r y

Agriculture and Agro Economic politics is experiencing major changes the Market Economy. State budget policy should implement major changes and the impact on the economy should support the future development of the national economy. The agriculture of the country requires developing, which will create the necessary economic climate, the government should ensure the implementation of effective policies to develop Macroeconomics and Globalization in the appropriate place in the world. The identified priority sectors of agriculture, viticulture, horticulture, fruit production and processing industry, these are the fields that will be able to determine the country's economic potential and the economic income. Rural development is often hampered by the weather conditions and the fact that in practice this is often harvest once a year is possible, as well as material - technical base and Irrigation imperfections are hindering the development of agriculture. Agriculture is important for the successful development of improved infrastructure, modern scientific - technical progress and achievements in the field of software. Demographic problems, the village population, immigration, poverty level, no state's financial support of the farmers are added to all this, that's why agriculture is experiencing investable hunger, this fact is caused by the fact that agriculture is less attractive to investors, the proceeds and profits long after the well It is not developed agriculture - agricultural credit programs, environmental pollution in terms of the actual provision of high-quality and environmentally safe and healthy agricultural products. Because such products are competitive in modern conditions. Great attention should be paid to the country's food security, creating clusters, because clusters achieve high levels of productivity and novelties, and at the same time maintaining economic stability and high economic growth rates. I predict that agriculture must be able to forecast the units of analysis through agriculture, to increase the income of the agricultural policy must take into account, because agriculture produces such products, which is perfect for the production of human health and the needs of the fundamental importance of the moment, and all of this contributes to the development of the national economy development.

Rusudan sirbiladze.

დემურ სიბილაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ბუღალ ნაპაშიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

სოფლის მეურნეობის საჯაროთა ფუნქციონირების სრულყოფა კომპიუტერული იმიტაციური მოდელირების გამოყენებით

ქვეყნის აგრარული მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ურთულესი სექტორია. მისი ფუნქციონირების სპეციფიკა განპირობებულია წარმოების პროცესზე ბუნებრივი ფაქტორების

ზემოქმედებით. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის სხვა სფეროებთან. ისინი ამარაგებენ მას მისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსით. ამიტომ ეკონომიკის აღნიშნული სექტორის წარმატებული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მეურნეობის ერთიან კომპლექსში, ეკონომიკის ყველა სხვა დარგთან მჭიდრო კავშირში. ამასთანავე ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაც დიდადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე¹.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა ფუნქციონირება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: კლიმატური პირობები, მიწის ფართობის ოდენობა (განსაკუთრებით ისეთი მცირეკმედიანი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო), ნიადაგის ხარისხი, რელიეფი, ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების სეზონურობა, წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნილება, წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის სახეობა და შესაძლებლობები, წარმოებული პროდუქციის შენახვისათვის საჭირო სასაწყობო მეურნეობა და სხვ. ჩამოთვლილთაგან ნებისმიერმა მათგანმა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, შეიძლება წარმოშვას სერიოზული პრობლემები.

თავისებურია დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაც, რომლის წინაშეც ყველაზე მწვავედ დგას შრომითი რესურსების პრობლემა. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია საქართველოს სოფლებში წარმოქმნილი გაუსაძლისი მდგომარეობით გამოწვეული მოსახლეობის მიგრაციით. როგორც ვიცით, საქართველოს სოფლების გარკვეული ნაწილი ზრდასრული მოსახლეობისგან დაცლილია. დარჩენილია მოზარდები და პენსიონერები, რომელთა შრომისუნარიანობა სოფლის მეურნეობის საწარმოთა სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის არასაკმარისია².

ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პროგნოზირება და დაგეგმვა საკმაოდ რთული პროცესია. ამიტომ, ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის საწარმოთა ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ამ საწარმოთა მართვის ორგანიზაციის ცენტრალიზაცია ქალაქის, რეგიონის ან რესპუბლიკის მასშტაბით და მათი კოორდინაცია თანამედროვე მძლავრი კომპიუტერული ტექნიკის (მეინფრემის) ბაზაზე.

აღნიშნულ დარგში პროგნოზირების, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის სირთულე განპირობებულია ამ დარგის შემდეგი სპეციფიკით:

- აგრარული მეურნეობა წარმოადგენს რთულ იერარქიულ სისტემას პროცესების მრავალფეროვნებითა და კავშირებით;
- სოფლის მეურნეობის საწარმოები განსხვავდებიან შრომის მრავალდარგოვანი ხასიათით;
- სოსოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ დამზადებულ პროდუქციასა და მასზე მოსახლეობის მოთხოვნილებებს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულებით;
- სოფლის მეურნეობის საწარმოების ფუნქციონირების სეზონურობით და სხვ.
- მოცემული დარგის განსაკუთრებული სპეციფიკა ამ დარგის მკვლევარების წინაშე სვამს რთულ, დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემებს;
- ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების სეზონური ხასიათის აღმოფხვრის საჭიროებას და, შესაბამისად, სამუშაო ძალის დატვირთვის გამოთანაბრებას. ამიტომ სეზონური ხასიათის თუნდაც ნაწილობრივ აღმოფხვრაც კი აქტუალურია. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემა ძირითადად უნდა გადაწყვიტოს სასათბურე მეურნეობებმა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტმა;
- მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის საჭიროებას, რაც გულისხმობს უწყებრივი განცალკევებულობის (გათიშულობის) გადალახვას ადგილობრივი, დარგობრივი და ცენტრალური ორგანოების საქმიანობის კოორდინირებით;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის გაუმჯობესების საჭიროებას, რომელიც დარგის საქმიანობის პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის ერთ-ერთ ძირითად ინფორმაციას წარმოადგენს;
- სოფლის მეურნეობის საწარმოთა ფუნქციონირების პირველადი ინფორმაციის აღრიცხვის სრულყოფის საჭიროებას, რაც გულისხმობს ინფორმაციის ავტომატიზებულ დამუშავებას და სხვ.

ჩამოთვლილი პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

¹ იხ. კოლუაშვილი პ. საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარების სტრატეგია სჭირდება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №11, 2010.


² იხ.: ბურკაძე ვ., გოგოხია რ., ქვანახია ირ. რადიკალური აგრარული რეფორმა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საფუძველი. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1991, №6., გოგოხია რ. გზა მშვიდობისა ფერმერო! თბ., 1996., კოლუაშვილი პ. კოოპერაცია, ქართული სოფლის აღორძინების გზა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №3, 2011, გვ. 41-54 და სხვ.

პირველი, საჭიროა ქვეყნის მასშტაბით ავტომატიზებული საინფორმაციო-საცნობარო სისტემის (ასსს) შექმნა და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის საწარმოთა ოპერატიულ მართვას;

მეორე, ინფორმაციის დამუშავების უქაღალდო ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანებების, მეურნეობების, კომბინატებისა და სხვ. შიგნით ინფორმაციის ავტომატიზებულ დამუშავებას;

მესამე, საჭიროა სოფლის მეურნეობის საწარმოებში არსებული ტექნოლოგიური პროცესების პროგნოზირების ორგანიზაციული სტრუქტურის ავტომატიზებული სისტემებისათვის გამოყენებითი პროგრამული პაკეტების შექმნა და დანერგვა, რომელიც კომპიუტერული იმიტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ამ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების მართვის ორგანიზაციული ფორმის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევის შესაძლებლობას.

ჩამოთვლილი ამოცანების გადაჭრა სოფლის მეურნეობის საწარმოთა ფუნქციონირების სრულყოფისათვის შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომპლექსური და სისტემური მიდგომის გზით. ამიტომ, ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთადერთი გზაა მართვის პროცესების ავტომატიზაცია, რომელიც გულისხმობს ასსს-ის შექმნას მძლავრი კომპიუტერული ტექნიკის (მეინფრემის) ბაზაზე (იხ. სქემა, სადაც სმს გულისხმობს სოფლის მეურნეობის საწარმოებს).



ავტომატიზებული საინფორმაციო-საცნობარო სისტემის ზოგადი სქემა

ასსს-ას უნდა ჰქონდეს ინფორმაციული ურთიერთკავშირი სოფლის მეურნეობის ყველა საწარმოსთან ქვეყნის მასშტაბით. ასსს-ში უნდა მოქმედებდეს მონაცემთა ავტომატიზებული ბანკი, რომელიც იქნება ინფორმაციული, მათემატიკური, პროგრამული, ენობრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებების ერთიანი სისტემა. იგი განკუთვნილი იქნება მონაცემთა ცენტრალიზებული დაგროვებისათვის და სისტემის სამართავად საჭირო ინფორმაციის მისაღებად კოლექტიური მრავალასპექტიანი გამოყენებისათვის.

ასსს-ის შემუშავება და დანერგვა გამოიწვევს მთელ რიგ დადებით შედეგებს, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, როგორცაა:

- გეგმის შესრულება;
- საწარმოებში მოცდენების დაყვანა მინიმუმამდე;
- წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება;
- საწარმოო სიმძლავრეების უკუგების ამაღლება და სხვ.

ასსს-ის დანერგვა მოითხოვს არა მარტო სოფლის მეურნეობის საწარმოთა ურთიერთკავშირების რეგულირებას, არამედ თვით საწარმოს (გაერთიანების, კომბინატის და სხვ.) ფუნქციონირების სრულყოფას. ამიტომ სოფლის მეურნეობის საწარმოს (სმს) უნდა გააჩნდეს ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მიკრო საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი, რომელიც უშუალო კავშირში იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ავტომატიზებული საინფორმაციო-სისტემის საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრთან (სსც).

ასსს-ის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება შემდეგი ტიპის ინფორმაციული კავშირები: საწარმოს ცალკეულ სამეურნეო ფუნქციებს შორის, საწარმოს ფუნქციებსა და გარე სამყაროს შორის, საწარმოს ფუნქციებსა და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის, მაკონტროლებელ ორგანოებსა და ხელმძღვანელ ორგანოებს შორის, მაკონტროლებელ ორგანოებსა და გარე სამყაროს შორის და ა. შ. ამიტომ საჭიროა ისეთი მოქნილი ინფორმაციული სისტემის შექმნა, რომელიც თავსებადს გახდის დარგობრივი და საერთო ტექნოლოგიური ხასიათის მოთხოვნებს. თუმცა აქაც ჩნდება სირთულეები. ინფორმაციის კომპიუტერულ დამუშავებას არ შეუძლია მოიცავს მთლიანად საწარმოში არსებული ინფორმაციის დამუშავება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველა მონაცემი არ ექვემდებარება ავტომატურ დამუშავებას და მეორე, მონაცემთა ავტომატური დამუშავება ყოველთვის არაა ეფექტური.

აღნიშნული ინფორმაციული კავშირები უზრუნველყოფს უქალაქო ტექნოლოგიების მეთოდებისა და საშუალებების დანერგვას საწარმოო პროცესების მართვაში, რომელიც, თავის მხრივ, გაამარტივებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი მრავალდარგოვანი საწარმოების მართვას.

უქალაქო ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის უპირატესობის ძირითადი კრიტერიუმია ინფორმაციის შენახვა, გადაამუშავება და გადაცემა შედარებით დაბალი ღირებულებით (ფასებით).

ინფორმაციის დამუშავების უქალაქო ტექნოლოგიის დანერგვა საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისა და მთლიანად მათი ფუნქციონირებისა და მართვის სრულყოფის საშუალებას იძლევა. მას შეუძლია ერთმანეთს დააკავშიროს სხვადასხვა სახისა და სტრუქტურის მქონე ინფორმაცია ერთიანი ლოგიკით. ეს უკანასკნელი კი განსაზღვრავს ინფორმაციის დამუშავების უქალაქო ტექნოლოგიის დანერგვის სირთულეს.

ინფორმაციის დამუშავების უქალაქო ტექნოლოგია უნდა შედგებოდეს განსაზღვრული ინფორმაციული მონაცემებისგან, პროცედურებისა და საშუალებებისგან, რომელიც მთლიანობაში, დანერგვის შემდეგ, განსაზღვრავს:

პირველი, საერთო და დარგობრივ ინფორმაციულ ამოცანებს;

მეორე, როგორც მართვის, ისე ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციის ხარისხს;

მესამე, ინტეგრაციის დონეს, რომელიც, შესაბამისად, გამოავლენს სტრატეგიულ ამოცანებს, გამოყოფს ფუნქციონალურ ამოცანებს და დაადგენს არაერთგვაროვანი გარემოს მოქნილობის დონეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაადგენს საკვლევი ობიექტის ავტომატიზაციის შესაძლებლობის ხარისხს.

უქალაქო ტექნოლოგიის დანერგვა მოითხოვს საწარმოს მმართველობით და საწარმოო კავშირების დეტალურ შესწავლას და მის საფუძველზე ეფექტური ინფორმაციული ქვესისტემების შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია სისტემის მართვაში მივიღოთ სერიოზული გართულებები. თუმცა, მთლიანად ინტეგრირებულ სისტემასაც გააჩნია ნაკლი: პირველი, დაპროექტებისა და დანერგვის სირთულე და მეორე, ადაპტაციის დაბალი ხარისხი, რაც გულისხმობს იმას, რომ ზოგჯერ უმნიშვნელო ფუნქციონალურ ცვლილებასაც კი შეუძლია გამოიწვიოს სისტემის მართვის გართულება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ასსს-ის და მის ბაზაზე უქალაქო ტექნოლოგიების დანერგვა იძლევა: ყველა სახის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ავტომატიზაციის, პირველადი ინფორმაციის დამუშავებაში ქალაქური ტექნოლოგიის სრული აღმოფხვრის, სამუშაო დროის ეკონომიის უმაღლესი დონის მიღწევის, მოცემული დარგის პროგნოზირების, დაგეგმვისა და ოპერატიული მართვისათვის საჭირო უზარმაზარი რაოდენობის ზუსტი ინფორმაციის მიღების, როგორც ცალკეული საწარმოების, ისე მთლიანად დარგის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობას და სხვ.

ასსს-ის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ცალკეული საწარმოების, ისე მთლიანად დარგის პროგნოზირებას, დაგეგმვასა და ოპერატიულ მართვას.

ჩვენს მიერ ზემოთ დასმული პრობლემების გადაწყვეტის მესამე ამოცანა გულისხმობს სოფლის მეურნეობის საწარმოებში არსებული ტექნოლოგიური პროცესების პროგნოზირების ორგანიზაციული სტრუქტურის ავტომატიზებული სისტემებისათვის გამოყენებითი პროგრამული პაკეტების შექმნასა და დანერგვას¹. ეს უკანასკნელი კი მანქანური იმიტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ამ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების მართვის ორგანიზაციული ფორმის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევის შესაძლებლობას.

ცნობილია, რომ მეცნიერული პროგნოზირება გამოავლენს დარგის ეკონომიკის განვითარების მიმართულებას. დღეისათვის ლიტერატურაში გვხვდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროგნოზირების მრავალი მეთოდი, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: კორელაციის, რეგრესიული ანალიზის, ექსტრაპოლაციის, ექსპერტული ანალიზის, ნორმატიული, მოდელირების და სხვ. მეთოდები. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომ

¹ Кельтон Д., Аверилл М. Имитационное моделирование. Питер, 2004, с. 250-276.

მათ გამოყენებამდე კარგად უნდა იქნეს გათვლილი, თუ რამდენად ვარგისია ისინი საკვლევი ობიექტის პროგნოზირებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეთოდი მისაღებია, ჩვენი აზრით, ამ ურთულესი დარგის ფუნქციონირების სრულყოფის პროგნოზირებისათვის ყველაზე შესაფერისია კომპიუტერული იმიტაციური მოდელირების მეთოდი, რომელსაც სხვანაირად მანქანურ იმიტაციასაც უწოდებენ. იმიტაციურ მოდელს შეუძლია რეალური საკვლევი ობიექტის საკმაოდ ზუსტი აღწერა, რომლის რეალიზაციაც შემდგომში ხდება კომპიუტერზე.

იმიტაციურ მოდელირებასაც, როგორც მოდელირების სხვა მეთოდებს, გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მის ღირსებად შეიძლება ჩაეთვალოს: ის, რომ ამ შემთხვევაში არაა აუცილებელი საკვლევი სისტემის ფუნქციონირების აღწერა მათემატიკური ფორმულებით; საკმარისია სისტემის სიტყვიერი აღწერა; მოქნილია; გააჩნია მოდულური სტრუქტურა; უნივერსალურია; გააჩნია დიალოგის შესაძლებლობა; შესაძლებელია მისი წარმოდგენა მანქანური პროგრამის სახით; გააჩნია ადეკვატურობის უმაღლესი ხარისხი და სხვ., ხოლო უარყოფით მხარედ გვევლინება მაღალი შრომატევადობა და მანქანური დროის დიდი დანახარჯი.

თავის მხრივ, იმიტაციურ მოდელირებას გააჩნია საკუთარი საშუალებები. იმიტაციური მოდელირების საშუალებების ქვეშ იგულისხმება ალგორითმული ენები, როგორც სპეციალიზებული, ისე უნივერსალური. აგრეთვე გამოყენებით პროგრამათა პაკეტები. თუმცა ისინი ყოველთვის არ არიან ერთნაირად ეფექტური სხვადასხვა სისტემების მოდელირებისათვის. ამიტომ საჭიროა მათი განსაკუთრებული შერჩევა ამა თუ იმ სისტემის მოდელის აღწერისათვის, რისთვისაც საჭიროა მათი შედარებითი ანალიზის ჩატარება.

მოდელირების სპეციალიზებული და უნივერსალური ენები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი კონსტრუქციითა და შესაძლებლობებით, აგრეთვე დანიშნულებით.

დანიშნულების მიხედვით ისინი შეიძლება დაჯგუფდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი (უწყვეტი, დისკრეტული და დისკრეტულ-უწყვეტი) სისტემისთვის ხდება მათი გამოყენება.

უწყვეტი სისტემების მოდელირების ენებს მიეკუთვნება: DYSM, CSMP, PACTOLUS, MIMIC, MIDAS, CSSL, DYNAMO და სხვ.

დისკრეტული სისტემების მოდელირების ენებს მიეკუთვნება: SOL, GPSS, SIMULA, SIMSKRIPT, SIMPL, ASPOL, MONTECODE და სხვ.

დისკრეტულ-უწყვეტი სისტემების მოდელირების ენებს მიეკუთვნება: GASP, SLAM და სხვ.

ბოლო პერიოდში რთული ეკონომიკური სისტემების მოდელირებისათვის ეკონომისტების დიდ ინტერესს იწვევს ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების საშუალება – MATLAB/SIMULINK-ი¹.

მოდელირების საშუალებათა წარმოდგენილი დაჯგუფება პირობითია. ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე ენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უწყვეტი, დისკრეტული და დისკრეტულ-უწყვეტი სისტემების მოდელირებისათვის.

საკვლევი აგრარული სისტემა ერთდროულად მოიცავს – უწყვეტი, დისკრეტული და უწყვეტ-დისკრეტული წარმოების პროცესს. გარდა ამისა, ზოგიერთ საწარმოში საწარმოო პროცესი ერთდროულად მრავალარხიანი და მრავალფაზიანია. ეს უკანასკნელი კი ოპერაციითა გამოკვლევაში ურთულეს სისტემას წარმოადგენს².

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის საწარმოთა სრულყოფილი ფუნქციონირების პროგნოზირებისათვის საჭიროა მოდელირების ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ენის გამოყენება, მისი საშუალებით პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემის გამოყენებითი პროგრამათა პაკეტის შემუშავება და მანქანური ექსპერიმენტების ჩატარება. მიღებული ექსპერიმენტების შედეგებიდან კი მართვის ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და დანერგვა.

ამრიგად, ასსს-ის შექმნა, მის საფუძველზე უქალაქო ტექნოლოგიის შემუშავება, პროგნოზირების ავტომატიზებული სისტემის გამოყენებითი პროგრამათა პაკეტის შემუშავება, მანქანური ექსპერიმენტების ჩატარება და მის შედეგად მიღებული მართვის ოპტიმალური ვარიანტის დანერგვა ხელსშეუწყობს სამუშაო ძალისა და ყველა სხვა სახის რესურსის მინიმალური დანახარჯებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოდუაშვილი პ. საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარების სტრატეგია სჭირდება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №11, 2010.
2. ბურკაძე ვ., გოგოხია რ., ქვაჩახია ირ. რადიკალური აგრარული რეფორმა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საფუძველი. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1991, №6.

¹ Снетков Н.Н. Имитационное моделирование экономических процессов: Учебно-практическое пособие. – М.: Изд. центр ЕАОИ, 2008. с. 63-87.

² Кобелев Н. Б. Основы имитационного моделирования сложных экономических систем: Учеб. пособие. М.: Дело. 2003.

3. გოგობია რ. გზა მშვიდობისა ფერმერო! თბ., 1996.
4. კოლუაშვილი პ. კოოპერაცია, ქართული სოფლის აღორძინების გზა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №3, 2011.
5. Кельтон Д., Аверилл М. Имитационное моделирование. Питер, 2004.
6. Снетков Н.Н. Имитационное моделирование экономических процессов: Учебно-практическое пособие. М.: Изд. центр ЕАОИ, 2008.
7. Кобелев Н. Б. Основы имитационного моделирования сложных экономических систем: Учеб. пособие. М.: Дело. 2003.

DEMUR SICHINAVA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

GULAD NAKASHIDZE

Academic Doctor of Economics

**PERFECTION THE AGRICULTURAL MANUFACTURES FUNCTIONING
USING THE COMPUTER IMITATION MIDELS**

S u m m a r y

The article is dedicated to the perfection problems of agricultural manufactures functioning and the ways of their solving, as: creation of automated information-registry system all over the republic, paperless technologies of information processing and forecasting, creation and introduction of program packages, which provides based on the machine imitation and the possibility to chose the optimal variants for the technological processes management's organizational forms.

დაპით სიხინავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

თეა მუნჯიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

**ტნკ-ების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის ფასეულობათა ჯაჭვის სხვადასხვა
სტადიაზე და მათი გავლენა მიმდებარე ქვეყნის ეკონომიკაზე**

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკის წამყვან დარგს, რომელიც გლობალიზაციის პირობებში ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ხოლო ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) ჩართვა სოფლის მეურნეობაში არის ასევე ძალზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისათვის. ტნკ-ი სოფლის მეურნეობაში მონაწილეობენ, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, ასევე ხელშეკრულებითი ფორმებით, რომლებიც განსხვავებულ გავლენას ახდენენ მიმდებარე ქვეყნის აგრარულ სექტორის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობაში ტნკ-ის ჩართვის დადებითი ეფექტი აიხსნება კაპიტალის ფორმირების შესაძლებლობით, ახალი ტექნოლოგიების გადაცემით, დასაქმების ზრდით, ადგილობრივი სამამულო ფირმების სტიმულირების კუთხით და საგარეო ბაზრებზე წვდომით. ტნკ-ს შესწევთ უნარი დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ. თუმცა ტნკ-ს საქმიანობა შესაძლოა ასევე უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს ადგილობრივი წვრილი ფერმერების განდევნით და მსხვილ ფირმებზე დამოკიდებულების ზრდით.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ტნკ-ების ჩართულობა სასოფლო სამეურნეო და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ძირითადად ფოკუსირებული იყო, როგორც დინების საწინააღმდეგო დარგებში (მაგალითად, რესურსების, სათესლე საშუალებების და მანქანა დანადგარების უზრუნველყოფა), ასევე დინების მიმართულების საქმიანობის სახეებში. (ვაჭრობა, გადამამუშავება, საცალო ვაჭრობა). ნაწილობრივ ეს განპირობებული იყო ტნკ-ების ჩართულობის შემცირებით ფერმერულ და პლანტაციურ მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის გლობალურ ფასეულობათა ჯაჭვის შედარებით მომგებიან სეგმენტებში ტნკ-ის შედარებითი მნიშვნელობის ზრდით. გლობალური ფასეულობათა ჯაჭვის კონცეფცია წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ მოდელს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული ფირმების, ორგანიზაციების ან ინდივიდების მიერ შესრულებული ურთიერთდაკავშირებული საქმიანობის სახეების ერთობლიობას დაწესებული პროდუქციის წარმოებით დამთავრებული მომხმარებელმადე მზა პროდუქციის მიტანით. სოფლის მეურნეობის შემთხვევაში, ტიპური სოფლის მეურნეობის გლობალური ფასეულობათა ჯაჭვი მოიცავს შემომავალი რესურსების წარმოებას (როგორცაა სათესლე საშუალებები) და მის გამოყენებას აგრო პროდუქციის საწარმოებლად, ლოჯისტიკას, გადამამუშავებას და საცალო მოვაჭრეების საშუალებით საბოლოო მომხმარებელმადე მის მიტანას. გლობალურ ფასეულობათა ჯაჭვში ურთიერთდაკავშირებულ საქმიანობის სახეებს ასორციელებენ, როგორც მსხვილი ტნკ-ი, ასევე მცირე და საშუალო საწარმოები. გლობალურ ფასეულობათა ჯაჭვის

ფარეგლებში ტნკ-ები საკუთრების უპირატესობით, როგორცაა ბრენდი, დახვეწილი ლოჯისტიკის სისტემები და ინტელექტუალური საკუთრება, დინამიურ კონკურენციას უწევენ, როგორც არსებულ ფორმებს, ასევე ახალ ფორმებს.

აგრარულ სექტორში ტნკ-ის ჩართულობის ხარისხი და გეოგრაფიული განლაგება შეიძლება იქნას ახსნილი დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმის (საკუთრების უპირატესობა, ადგილმდებარეობის უპირატესობა და ინტერნალიზაციის უპირატესობა)¹ გამოყენებით სოფლის მეურნეობის გლობალური ფასეულობათა ჯაჭვის ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში. გამომდინარე აქედან, განასხვავებენ ჰორიზონტალურ საერთაშორისო გაფართოებას, ვერტიკალურ საერთაშორისო გაფართოებას და ფასეულობათა ჯაჭვის სეგმენტების მიხედვით საქმიანობის სახეების საერთაშორისო კოორდინირებას. პირველ შემთხვევაში სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა ან საცალო ვაჭრობაში ჩართული ტნკ მიმღებ ქვეყანაში განათავსებს საწარმოო სიმძლავრეებს ან კონტრაქტული შეთანხმების საფუძველზე ახდენს წარმოების ორგანიზებას ფასეულობათა ჯაჭვის იგივე საქმიანობის მიხედვით, როგორც მშობლიურ ქვეყანაში. ამგვარად აგრარული ფორმები კონკურენტული უპირატესობის წყალობით ერთგვარად განსაზღვრულ მიმღებ ქვეყანაში და ცდილობენ გამოიყენონ მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობა (სასოფლო სმეურნეო სავარგულები, მიწის რეფორმასთან დაკავშირებული ხელსაყრელი პოლიტიკა). გარდა ამისა ტნკ-ი ირჩევს მიმღებ ქვეყანაში მოქმედების განსაზღვრულ ფორმას. მაგალითობად, პუი-ის განხორციელებით ცდილობენ გამოიყენონ საკუთრების ან კონკურენტული უპირატესობა, როგორცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, მმართველობითი უნარები. მსგავსი ტიპის აქტივები მიმღები ქვეყნის ფორმებისათვის ხელმისაწვდომი ხდება ლიცენზირებისა და მართველობითი კონტრაქტის საშუალებით. ტნკ-ი მიმღებ ქვეყანაში ოპერაციების ფორმების გამოყენება დაფუძნებულია ინტერნალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე. ინტერნალიზაციის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მომგებიანობის ნორმა და განუსაზღვრელობის ხარისხი.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტნკდის ძირითად მიზანია ეფექტიანად გამოიყენოს საკუთრების უპირატესობა, რაც გულისხმობს აქტივებისა და რესურსების პაკეტის შეთავაზებას, რომელიც არის მნიშვნელოვანი განვითარებისათვის და არ არის ხელმისაწვდომი მიმღები ქვეყნისათვის. მიმღები ქვეყნისათვის გამოწვევა არის ის, თუ როგორ შეძლებს ტნკ-ების მფლობელობაში არსებული საკუთრების უპირატესობის გამოყენებით უზრუნველყოს, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მთლიანად ეკონომიკის განვითარება. არსებობს სინერგიის პოტენციალი და სარგებლიანობის ეფექტის მიღწევის შესაძლებლობა ტნკ-ის უპირატესობისა და ადგილმდებარეობის უპირატესობის (გამოყენებელი სასოფლო სამეურნეო რესურსები - მიწა, შრომა) კომბინირებით. თუმცა ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები, როდესაც დგება საკითხი თუ რა რესურსი და ინვესტიციები სჭირდება დარგის კრიზისიდან გამოყვანას, რამდენად რეალურია დღევანდელი თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რა როლი უნდა შეასრულოს ტნკ-ებმა და სახელმწიფომ მის განვითარებაში, როგორ განაწილდება შექმნილი ღირებულება სხვადასხვა დაინტერესებულ პირებს შორის, კერძოდ ადგილობრივ ფერმერებსა და სოფლის მოსახლეობას შორის.

ანალიზისას ფოკუსირებას მოვახდენთ ტნკ-ის მონაწილეობის გავლენაზე მიმღები ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, თუმცა ამავე დროს უნდა იქნას გათვალისწინებული მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მახასიათებლები, გარემოს და სოციალური ფაქტორები. ტნკ-ის მონაწილეობის ფორმები, აგრო ბიზნესის ფასეულობათა ჯაჭვის სტადიები და განსაზღვრული აგრო პროდუქტების მახასიათებლები.

როგორც სქემიდან ჩანს მიუხედავად იმისა, რომ ტნკ-ები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც მის კომპეტენციებში შედის და ასევე გარკვეულ ვალდებულებებს იღებს პუი-ის განხორციელებაზე, თუმცა მათი სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ნაკადების საერთო წველილი საკმაოდ დაბალია. მთლიანობაში განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში უცხოური კაპიტალის წილი მთლიანი კაპიტალის 1.1%-ს აღწევს, რაც იგივე მაჩვენებელი 2007 წელს 12.7%-იყო². ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად ჩინეთსა და ვიეტნამში პირდაპირი უცხოური კაპიტალის წილი მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ჩინეთი და ვიეტნამი არის ის ორი ქვეყანა, სადაც სოფლის მეურნეობა და უცხოური კაპიტალის მოზიდვა გამოცხადებულია პრიორიტეტულად, რასაც მოჰყვა არა მხოლოდ მწარმოებლურობის ამაღლება, არამედ ექსპორტის ზრდა.

¹ John H. Dunning. Theories and Paradigms of International Business Activity. The selected Essayss. Volume I. Cheltenham, UK • Northampton, MA, USA. 2002.

² UNCDAT. World Investment Report 2009: Transnational Corporations, Agricultural Production and Development. New York and Geneva, 2009.

**ტენკების საქმიანობის სახეები აგრობიზნესის ფასეულობათა ჯაჭვის კონტექსტში და
გაგლეხის ტიპები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე¹**

სქემა 1



ტენკების საქმიანობა	შემომავალი რესურსების წარმოება და მათი მიწოდება ფერმერებისადმი	პლანტაციების მართვა ან კონტრაქტული ფერმერული სქემები	გადამუშავებული პროდუქტის შექმნა და დისტრიბუცია	გადამუშავებული პროდუქტების შექმნა და განაწილება
გაგლეხის არხები	<ul style="list-style-type: none"> შემომავალი რესურსებით უზრუნველყოფა (აგროქიმიკატები, სათესლე საშუალებები, მანქანა დანადგარები; კვლევა და განვითარება 	<ul style="list-style-type: none"> ინვესტიციების განხორციელება სოფლის მეურნეობაში; კონტრაქტული წარმოების სქემების მართვა 	<ul style="list-style-type: none"> სტანდარტების დანერგვა და განხორციელება და ფასეულობათა ჯაჭვის კოორდინირება; შიდ ბაზარზე შეყიდვების განხორციელება და საგარეო ბაზრებზე მათი ექსპორტირება 	
სოფლის მეურნეობაზე გაგლეხა	<ul style="list-style-type: none"> ტექნოლოგიების გადაცემა; სოფლის მეურნეობის ინფორმაციული სისტემით უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> ინვესტიციების ნაკადების გადიდება და ფერმერების უზრუნველყოფა ფინანსებით; ტექნოლოგიების გადაცემა ახალი მეოთხედების დანერგვით და კვლევით ბაზრების ფორმირებით; სოფლად დასაქმებულების რაოდენობისა და ხარისხზე გაგლეხა. 	<ul style="list-style-type: none"> სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციისა და მოდერნიზაციის სტიმულირება ფერმერების ჩართვა () ფასეულობათა ჯაჭვში და მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა საგარეო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა და ექსპორტის სტიმულირება; კონკურენტული გაგლეხის ფასეულობათა ჯაჭვის მოხდენა ეტაპზე; ბაზრის ძალის ბოროტად გამოყენება 	
მთლიანად ეკონომიკაზე გავლენა	<ul style="list-style-type: none"> სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში ტენკების მონაწილეობის გაგლეხა გარემოზე; სოციალური ეფექტი სურსათის უსაფრთხოების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება 			

საქართველოში ინვესტიციების სტრუქტურის ანალიზისას მსგავსი ტენდენცია იკვეთება. დღესდღეობით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში ძალზე მცირეა. 2007 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში შეადგენდა 0.8%-ს, 2008 წელს და 0.5%-ს, 2009 წელს გაიზარდა 3.4%-მდე. ხოლო 2010 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა 1.05%-მდე. 2012 წელს კი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2 %-ით და შეადგინა 3%-ი. (იხ. ცხრილი 1). ასეთი დაბალი მაჩვენებელი მეტყველებს ამ სექტორის მაღალ რისკზე და დაბალ მომგებიანობაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება თხილის წარმოების, ღვინის დამზადების, წყლის ჩამოსხმისა და სხვა სფეროებში.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით
1000 აშშ დოლარში²**

ცხრილი 1

	2007	2008	2009	2010	2011	2012
სულ	2 014 841,6	1 563 962,4	658 400,6	814 496,6	1 117 244,1	865 202,0
მათ შორის:						
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	15 527,9	7 844,3	22 326,9	8 631,9	14 907,6	24 610,0
სამთომშობვებითი მრეწველობა	86 170,0	18 105,2	15 023,4	53 435,9	40 219,6	12 688,0

¹ UNCDAT. World Investment Report 2009: Transnational Corporations, Agricultural Production and Development. New York and Geneva, 2009. Pp. 134.

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სოფლის მეურნეობა, გარემო და სასურსათო უსაფრთხოება). http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

დამამუშავებელი მრეწველობა	312 070,9	188 287,8	124 781,7	175 334,5	120 339,7	191 705,7
ენერგეტიკა	362 581,1	294 864,8	-2 130,6	21 877,9	203 951,6	171 405,8
მშენებლობა	171 891,8	56 725,3	105 218,8	4 705,9	48 112,2	-2 296,0
სასტუმროები და რესტორნები	242 075,9	181 939,2	37 542,3	17 121,8	22 705,6	17 530,7
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416 694,7	422 690,0	98 432,0	215 116,2	126 517,2	149 071,1
უძრავი ქონება ¹	30 543,9	277 837,7	147 410,3	74 667,6	89 176,9	28 922,4
კონსულტირება ²	44 585,3	135 599,4	37 099,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	458,3	550,6	289,1	1 182,4	16 827,0	22 769,7
დანარჩენი სექტორები ³	219 104,1	104 225,8	59 843,3	90 430,7	131 185,5	56 123,4
საფინანსო სექტორი ⁴	157 723,1	10 891,7	49 663,4	107 406,4	167 701,8	155 571,4

ტნკ-ების ჩართულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს „ფერმერული ხელშეკრულება“, რამაც შეიძლება დიდი როლი ითამაშოს განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მას შეუძლია გაამარტივოს ფინანსური და სხვა საინვესტიციო შეზღუდვები ადგილობრივი ფერმერებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის დაკრედიტება გაზარდეს ბანკებმა იგი მაინც მიუწვდომელი რჩება მცირე მიწისა და მცირე მეურნეობის მქონე პირთათვის. ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები ძირითადად ფოკუსირებას ახდენენ ურბანულ დასახლებებზე, ვინაიდან იქ უფრო მეტი პოტენციალია კლიენტების მოზიდვის, ასევე დაბალია საოპერაციო ხარჯებიც და ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შედარებით მარტივია. რაც შეეხება სასოფლო დასახლებებს, იქ სადაც ფინანსების მოძიება ხდება, ძირითადი აქცენტი დიდ წარმოებებზე კეთდება და მცირე საწარმოები თითქმის აღარ ფუნქციონირებენ.

დღესდღეობით საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებად მიმზიდველად გამოიყურება საბანკო სექტორისათვის. სოფლის მეურნეობის წილი საბანკო სესხებში 1-დან 2% მდე მერყეობს¹. ადგილობრივ საბანკო სისტემას გრძელვადიანი სესხების გაცემის სურვილი არ გააჩნია. ბანკები კვლავ ფოკუსირებული არიან მოკლევადიან სავაჭრო დაფინანსებაზე.

დღეს აგრარული სექტორისთვის კრედიტების გაცემას სხვადასხვა ფაქტორები აფერხებს, კერძოდ:

- ✓ ჩამოუყალიბებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი და შესაბამისად სასოფლო სამეურნეო მიწები დაბალლიკვიდურია. კომერციული საკრედიტო ორგანიზაციები კი, ჩვეულებრივ, მსხვილ ფერმერებზე ახდენენ ფოკუსირებას.
- ✓ განუვითარებელია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა;
- ✓ ფერმერების დაბალ მწარმოებლურობა განპირობებული მათი ღირებულების მოკლე ჯაჭვით, რაც აფერხებს ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს. მცირე ფერმერები არ არიან ვერტიკალურად ძლიერად ინტეგრირებული, კავშირები ფერმერებსა და კლიენტებს შორის არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული; მათ არ ჰყავთ მუდმივი კლიენტები, შესყიდვებიც შედარებით ძვირია.

აგრარული სექტორის თავისუფალი ფულადი სახსრებისადმი წვდომა ფასეულობათა ჯაჭვის განვითარების და ინვესტირების წინაპირობაა. ფინანსური ინსტრუმენტების უსაფრთხოება და დაბალი მომგებიანობა ის ფაქტორებია, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო სექტორს მიიხნევენ მაღალი რისკის სფეროდ.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ხელშეკრულებების დადება შეიძლება გაამარტივოს ფინანსური შეზღუდვები შემდეგი გზებით:

- ✓ სამეურნეო ხელშეკრულება ხელს უწყობს ფერმერებს კრედიტის ხელმისაწვდომობაში. ანუ ეს არის კონტრაქტი, რომელიც ხელს უწყობს კრედიტების აღებას. აგრობიზნესის ფირმებს, როგორც მიწის მფობელებს, ბანკებთან შედარებით უპირატესობა გაჩნიათ, რადგან მათ უკეთ შეუძლიათ მონიტორინგი გაუწიონ საკრედიტო ხელშეკრულებებს. მათი ხელშეკრულებების მიზანი, მცირე ზომის მეურნეობის მქონე პირებთან, ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმარონ მათ ფინანსური დაბრკოლებების გადალახვაში.
- ✓ ზოგიერთი ბანკი დიდი აგრო ინდუსტრიული ფირმებისგან მოითხოვს გირაოს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გასცემენ კრედიტებს მცირე მეურნეობის მქონე პირებისთვის. ანუ თუ ბანკებისგან

¹ თენგიზ შერგელაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. EI-LAT 2012 “ევროპული ინიციატივა დ ლიბერალური აკადემია თბილისი.

და მთავრობისგან არ იქნა შესაბამისი გარანტიები გაცემული კრედიტის ასაღებად, მაშინ ხელშეკრულება ფორმდება გირაოს საფუძველზე.

- ✓ სამეურნეო ხელშეკრულებაში მონაწილეობა აძლიერებს საინვესტიციო და საკრედიტო შესაძლებლობებს, რაც მათი შემოსავლების ზრდაში გამოიხატება. კონტრაქტორ ფერმერებს მნიშვნელოვნად უფრო დიდი შემოსავალი აქვთ, ვიდრე არაკონტრაქტორებს. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო ხელშეკრულება მნიშვნელოვნად ზრდის მასში ჩათული ფირმების შემოსავლებს.

აგრო პროდუქტების წარმოებაში და მათ ექსპორტირებაში განვითარებადი ქვეყნებიდან ტნკ-ის როლი შეზღუდულია და ძირითადად ფოკუსირებული არიან დინების მიმართულებით საქმიანობის სახეების განხორციელებაზე. მაშინ, როდესაც ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ შეიმუშავა და განავითარა ის კომპეტენციები და ტექნოლოგიები, რომელიც აუცილებელია სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმატებული ექსპორტისათვის. მრავალი განვითარებადი ქვეყანა სოფლის მეურნეობის სფეროში ფლობს შეფარდებით უპირატესობას. საქართველოს შემთხვევაში ამგვარი შეფარდებითი უპირატესობა ნაყოფიერი ნიადაგის, წყლისა და მზის იშვიათი კომბინაცია¹. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უპირატესობა არის აუცილებელი, თუმცა არ არის საკმარისი პირობა ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. საგარეო ბაზრების წარმატებულად ათვისებისათვის მნიშვნელოვანია მეწარმების პროაქტიული მოქმედება, რაც ნიშნავს გლობალურ ბაზრებზე შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და მათ გამოყენებას, მომხმარებელთა ცვალებადი გემოვნებებისა და უპირატესობების ცოდნას, ბრენდის ფორმირებას და მისი ცნობადობის ამაღლებას განსაკუთრებით დასავლურ ბაზრებზე. აგრო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირებაში ტნკ-ის წვლილი შემოიფარგლება კომპონენტებისა და ინგრედიენტების მიწოდების უზრუნველყოფით, რომელიც განვითარებად ქვეყნებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ შეფარდებითი უპირატესობა. ტნკ-ის ჩართვამ შეიძლება დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, როგორც სტატიკური შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებაში (ტრადიციული სტანდარტული პროდუქტების წარმოება), ასევე დინამიური შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებაში (მაღალი დამატებითი რირებულების პროდუქტის წარმოება). ამავე დროს არსებობს მსხვილ საქსპორტო კომპანიებზე დამოკიდებულების რისკი. ტნკ -ს გაანჩინათ დიდი ინტერნალიზებული ბაზარი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ფილიალებისა და ასოცირებული ფირმებისათვის. ისინი ასევე აკონტროლებენ და აქვთ მსხვილ ბაზრებისადმი წვდომა და შესაბამისად შეუძლიათ გავლენის მოხდენა სავაჭრო შეღავათების შეთავაზებაზე საკუთარ ქვეყანის ბაზარზე (ან მესამე ქვეყნის ბაზარზე). ტნკ-ები დომინირებენ ზოგიერთ აგრო პროდუქტების საერთაშორისო ბაზარებზე და საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი წილი მოდის შიდა საფირმო ვაჭრობაზე, რაც დამოუკიდებელი მწარმოებლებისათვის ამ ბაზარზე წვდომას ართულებს ან შეუძლებელს ხდის. გარდა ამისა ტნკ-ებმა შექმნეს ძლიერი და ცნობადი ბრენდები და დახვეწილი სადისტრიბუციო სისტემა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვეყანას. ეს კი ურთულებს განვითარებადი ქვეყნების ფირმებს გაზარდონ ფიზიკური წვდომა საერთაშორისო ბაზრებისა და განაწილების არხებისადმი, რომელიც აკავშირებს საბოლოო მომხმარებელთან. მაგალითად, მრავალი ქართული აგრო სექტორის ფირმებისათვის ევრო კავშირის ბარებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი დაკავშირებულია მრავალ ბარიერთან, კერძოდ ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან. მაგალითად არსებობს დაბრკოლებები ქართული ვაშლის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტთან დაკავშირებით, ვინაიდან საქართველოს მოყვანილი ძველი ჯიშები ევროკავშირის ევროკავშირის სტანდარტებს; სორტირების საშუალებების არ არსებობის გამო დაბალია ვაშლის ხარისხი. ასევე საქართველოს პლანტაციებში არ არარსებობს ევროკავშირის სტანდარტები, როგორცაა ლობალ აპ-ი. რა როლი შეუძლია ითამაშოს ტნკ-ებმა და როგორ შეუძლია გაუადვილონ ქართველ ფერმერებს საექსპორტო ბაზრებზე შეღწევა?

როგორც აღვნიშნეთ ტნკ-ის აგრობიზნესში ჩრთვა აჩქარებს კომერციალიზაციის პროცესს განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში. კომერციალიზაციის დაჩქარების ერთ-ერთი საშუალებაა საერთაშორისო სტანდარტების გავრცელება, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის პროდუქტის ხარისხი და უსაფრთხოება ექვემდებარება შემოწმებას რაც ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნესის სტრატეგიული განვითარებისათვის, ვინაიდან ხარისხი ერთდერთი წინაპირობაა ბრენდის წარმატებისათვის. ამიტომ, აუცილებელია იმ საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, რომელიც ამ ხარისხს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ეს ხარისხები ხშირად უფრო მომთხოვნიანია, ვიდრე „ლიმენტარიუს“-ის კოდექსი და საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის სტანდარტი (აღიარებულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - დსა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია d WHOds მიერ.

¹ ივან სამსონი. საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა. თებერვალი 2008. გვ.83.

შესაძლებლობიდან გამომდინარე მყიდველებს ურჩევნიათ მეტი გადახდა და იმ პროდუქტის შესყიდვა, რომელსაც აქვს ხარისხისა და უსაფრთხოების სერთიფიკატი. ამგვარი ტენდენცია ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში შეინიშნება. სტანდარტები არის ის განსაზღვრული შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს ტრანსნაციონალურ ბაზრებზე. თუ განვითარებად ქვეყნებში სტანდარტები და უსაფრთხოება საკვებ პროდუქტზე არ არის დაცული, მაშინ ხშირად გამოიყენება კერძო სტანდარტები, რომლებსაც ტრანსნაციონალური კორპორაციები თავად ადგენენ. ტნკდის მიერ დადგენილი სტანდარტები არანაკლებ მკაცრია, ვიდრე ის სტანდარტები, რომლებიც ამა თუ იმ განვითარებად ქვეყანაში არსებობს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ღვინის მწარმოებელი კომპანიების უმეტესობა ქართულ კაპიტალზეა დაფუძნებული, ბაზარზე ასევე ფუნქციონირებს ერთობლივი საწარმოები, სადაც ინვესტირება ხორციელდება საფრანგეთიდან, რუსეთიდან და იტალიიდან. წამყვანი ღვინის მწარმოებელი კომპანიები აღწერილია საუკეთესო ტექნოლოგიებით და აწარმოებენ მაღალხარისხიან პროდუქციას, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

სტანდარტების დადგენა ქართულ ფირმებს აიძულებს ჰარმონიაში მოიყვანოს მომხმარებლის მოთხოვნა, პროდუქტის ხარისხი და მიწოდება. ტრადიციულად, სოფლის მეურნეობის ფირმები იყენებდნენ სტანდარტებს იმისათვის, რომ კოორდინირება გაეწიათ მიწოდების ჯაჭვისათვის, ანუ პროდუქცია მიეწოდებინათ მრავალი ქვეყნისა და რეგიონისთვის. სტანდარტები ასევე ეხმარება მომხმარებელს, რომ დიფერენციაცია მოახდინოს და შეაფასოს პროდუქტის ხარისხი. ზოგიერთ შემთხვევაში სტანდარტები თავად მუშა ხელსა და სამუშაო გარემოზეც კი ღვინდება.

ტნკდის აგრობიზნესის შესყიდვების სისტემაში ცენტრალიზაცია არის ერთდერთი ძირითადი ელემენტი. მიწოდების ხარჯების შესამცირებლად ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მოითხოვეს, რომ მომხმარებელი შესყიდვების ცენტრალიზაცია, ანუ დაარსებულიყო სადისტრიბუციო ცენტრები და თითოეულ მაღაზიას თავად არ ეფიქრა თავის შესყიდვებზე. ამ ცენტრალიზაციის გეოგრაფიული არეალი შეიძლება არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებით, ანუ ის შეიძლება ქვეყნის ფარგლებსაც სცილდებოდეს და გლობალურ ბაზარზეც კი გავიდეს. ამგვარი ცენტრალიზაცია ეხმარება ქვეყნებს (რომლებიც სადისტრიბუციო ცენტრის არეალში არიან მოქცეულნი) დაწესებული სტანდარტების აღსრულებაში. განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე სტანდარტები, რომლებიც შემდგომში განვითარებად ქვეყნებშიც ვრცელდება, მისსავე მსგავსად ეფექტურად მუშაობს.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ ტნკდის ჩართვა სოფლის მეურნეობაში ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც სხვადასხვა ასპექტების განვითარების თავლსაზრისით, ასევე ტექნოლოგიების გადაცემითა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. თუმცა მონაწილეობის ფორმები განსხვავდება ქვეყნისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მიხედვით.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ განვითარებად ქვეყნების სოფლის მეურნეობაზე. მათი დახმარებით შეიძლება გაიზარდოს პროდუქტის მოცულობა. ტნკდის როლი ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებში. ამიტომ ტნკ ხდება აგრარულ სექტორში მნიშვნელოვანი მოთამაშე, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ინოვაციების დანერგვა ამა თუ იმ ქვეყანაში. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში განსაზღვრული ტექნოლოგიის დანერგვა არ არის დაშვებული, ამიტომ ასეთ ქვეყნებში ტნკ-ი მარგინალიზებულია და თავის მნიშვნელობას კარგავს.

ტექნოლოგიების გადაცემა და ფერმერთა სამუშაო უნარების გაძლიერებამ, სტანდარტების დადგენამ და თანამედროვე მენეჯმენტზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მწარმოებლურობა, ხოლო მიწის მენეჯმენტმა და საირიგაციო სისტემამ ნიადაგი უფრო ნაყოფიერი გახადა, რამაც გააუმჯობესა სათესლე ჯიშების გამოყვანა. ამ ფაქტორებმა აშკარად გააძლიერა განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობა და ბევრად უფრო კონკურენტუნარიანი გახადა მსოფლიო ბაზარზე. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში სხვა შედეგებიც იქნა მიღებული, მაგალითად მრავალ განვითარებად ქვეყანაში შემცირდა უმუშევრობის დონე და საოჯახო მეურნეობებს გაეზარდათ შემოსავალი.

თუმცა აგრობიზნესის ფასეულობათა ჯაჭვში ტნკდის ჩართულობამ შეიძლება უარყოფითი შედეგებიც გამოიწვიოს. მაგალითად ტნკდის პირდაპირმა მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვიოს მცირე ფერმერთა განდევნა და ისეთი საბაზრო ძალის ფორმირება, რაც გამოიწვევს ადგილობრივ წარმოებებში არაადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებას, ანუ მოხდება ეკონომიკური სარგებლის არათანაბარი განაწილება. ტნკდის ჩართულობა განსხვავდება ქვეყნების აგრარული სექტორის მახასიათებლის, ინსტიტუციონალური გარემოსა და მონაწილეობის ფორმების მიხედვით. დადებითი ეფექტი ძირითადად შეინიშნება მაღალი დამატებული ღირებულების კომერციულ პროდუქციის წარმოებისას.

ტნკდის ჩართულობითა და სამეურნეო ხელშეკრულებით ადგილობრივი ფერმერები იღებენ საკმაოდ დიდ სარგებელს. სამეურნეო ხელშეკრულება გულისხმობს ტექნოლოგიური ბარიერების გადალახვას, რაც იწვევს მაღალ დამატებითი ღირებულების პროდუქციის შექმნას, გლობალურ ბაზარზე გასვლასა და შემოსავლების გაზრდას. ამ ყველაფრის გასავითარებლად ძალზე მნიშვნელოვანია სამეურნეო ხელშეკრულების პირობები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იმის

დადგენა, თუ რა სარგებელი შეიძლება ნახოს და რა პოლიტიკით უნდა იხელმძღვანელოს ფერმერმა. ამ პირობების სწორად დადგენით შესაძლებელია მინიმალური ხარჯებით მაქსიმალური სარგებლის ნახვა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ტნკდის ჩართულობამ გნვითარებად ქვეყნებში უზრუნველყო სოფლის მეურნეობის კომერცალიზაცია და მოდერნიზაცია. ტნკდის როლი საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის, არამედ სამეურნეო ხელშეკრულების გამო. ასევე მნიშვნელოვანია იმ უნარებისა და მეთოდების შესწავლა, რომლითაც ტნკ-ები ეხმარება განვითარებად ქვეყნებს. ტნკდის მორიგი ძლიერი მხარე არის გამარტივებული საკრედიტო სისტემა (ფერმერთათვის) და მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა. თუმცა, მიუხედავად ამ უპირატესობებისა, მიმდები ქვეყნის მთვრობებმა ტნკ-ის მოზიდვასთან დაკავშირებით ფრთხილი პოლიტიკა უნდა შეიმუშავონ რათა თავიდან აიცილონ ის უარყოფითი ეფექტები, რაც ტნკ-ების ჩართულობას შეიძლება მოჰყვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ შერგელაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. I- თ 2012 “ევროპული ინიციატივა დ ლიბერალური აკადემია თბილისი.
2. ივან სამსონი. საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა. თებერვალი 2008. გვ.83.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სოფლის მეურნეობა, გარემო და სასურსათო უსაფრთხოება). http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo
4. John H. Dunning, Theories and Paradigms of International Business Activity. The selected Essayss. Volume I. Cheltenham, UK • Northampton, MA, USA. 2002.
5. UNCDAT. World Investment Report 2009: Transnational Corporations, Agricultural Production and Development. New York and Geneva, 2009

DAVID SIKHARULIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

TEA MUNJISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

PARTICIPATION OF TRANSNATIONAL COMPANIES ON DEFFERENT STEPS OF VALUE CHAIN AND THEIR INFLUENCE ON THE ECONOMY OF THE RECIPIENT COUNTRY

S u m m a r y

Multinational corporations became major acting persons in a modern world economy, acting part, that it is difficult to over-estimate in the system of international economic relations.

In about 82 000 multinational corporations having 810 000 foreign branches are the world counted. These companies play important and all increasing role in a world economy. THK produce the fourth of world GDP, and half of world industrial production. The newest biotechnological methods in agriculture decide a food problem for the growing population of planet.

დალი სოლოლაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ზმინაბ ახალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მისი შეფასებისა და ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებები

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელსაც დღეს აგრარულ წარმოებას ვუწოდებთ, თავისი ბუნებით მრავალფეროვანია და გარკვეული ტექნოლოგიური თუ ეკონომიკური თავისებურებებით ხასიათდება. გარკვეული თავისებურებებია სწორედ ის საფუძველი, რომელიც ამ დარგის ბუღალტრულ აღრიცხვას ედება საუფუძვლად. როგორც ნებისმიერ სხვა დარგში მომუშავე ბუღალტერი კარგად უნდა ერკვეოდეს მისი საწარმოს საქმიანობის სპეციფიკაში, ანალოგიურად სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დარგის ბუღალტერიც დეტალურად უნდა იყოს გაცნობიერებული ამ დარგის სპეციფიკასა და თავისებურებებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სპეციფიკური დარგია, სადაც შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება: მემცენარეობა და მეცხოველეობა. თითოეული მათგანი ცალკეულ ქვემიმართულებებს მოიცავს. კერძოდ:

მემცენარეობა მოიცავს: მებოსტნეობას, მევენახეობას, მებახეობას, მარცვლეულ კულტურებს, მეხილეობას, ტექნიკური კულტურების მოყვანას, მეთესლეობას, მეყვავილეობას.

მემცენარეობის ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს ისეთ ძირითად სამუშაოებს, როგორცაა: ნიადაგის მომზადება დასათესად, უშუალოდ დათესვასა და დარგვას, დათესილი და დარგული კულტურის მოვლა-პატრონობასა და მოსავლის აღებას.

მოსავლის აღების შედეგად შესაძლოა მიღებულ იქნას როგორც ძირითადი, ასევე თანამდევი პროდუქცია. მაგალითად ხორბალი და ნამჯა, სიმინდი და ჩალა და ა.შ.

მეცხოველეობა მოიცავს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, მეღორეობას, მეცხვარეობას, მეცხენეობას, მებოცვრეობას, მეფრინველეობას, მეფუტკრეობასა და მეთევზეობას.

როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის მიმართულებები განსხვავებულია, რაც განაპირობებს განსხვავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების ციკლს და შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებულ მიდგომას.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წესებს, ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და და მასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებს განიხილავს ბასს-41 „სოფლის მეურნეობა.“ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებლი ისეთი მუხლების აღრიცხვისათვის, როგორცაა:

- ა) ბიოლოგიური აქტივები;
- ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში;
- გ) სახელმწიფო გრანტები.

ბიოლოგიურ აქტივად წარმოდგენილია ცხოველი ან მცენარე (ბასს 41. მუხლი 5), თუმცა უმჯობესი იქნებოდა ბიოლოგიურ აქტივად წარმოდგენილი ყოფილიყო ცხოველი და მცენარე.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემული სტანდარტი აღრიცხვის თავისებურებებს აყალიბებს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ნაყოფის მიღების მომენტში, ე.ი. ისეთი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ პროდუქციას, მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტისათვის და არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას ნაყოფის მიღების შემდეგ. მაგალითად, ყურძნის გადამუშავება ღვინოდ ღვინის მწარმოებლის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გადამუშავება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ლოგიკური გაგრძელებაა. ნაყოფის მიღების შემდგომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოშიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენ სამრეწველო დარგის თუ სფეროს საწარმოებში, გამოიყენება ბასს 2 - „სასაქონლო მატერიალური ფასეულობები“ ან ბუღალტრული აღრიცხვის სხვა შესაბამისი სტანდარტი.

რა მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის პროდუქციას ნაყოფის მიღების მომენტში და რა მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის პროდუქციას ნაყოფის გადამუშავების შემდეგ? პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ამგვარი კლასიფიცირება არის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებისა ამ დარგში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაყოფის სახით მიღება ხდება ბიოლოგიური აქტივებიდან (ცხოველიდან ან მცენარიდან) პროდუქციის მოცილებით ან ბიოლოგიური აქტივის (ცხოველიდან ან მცენარიდან) სიცოცხლის პროცესის შეწყვეტით. მაგალითად, ჩაის ბუჩქი ითვლება ბიოლოგიური აქტივად, მოკრეფილი ჩაის ფოთოლი სოფლის მეურნეობის პროდუქციად, ხოლო დამუშავებული ჩაის ფოთოლი იწოდება, როგორც ჩაი. ანალოგიურია ნებისმიერი ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული პროდუქცია: მატყლი, რძე, ყურძენი, გატყავებული და გამოშიგნული საქონელი და ა.შ., მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ხოლო ეს პროდუქცია გადამუშავებული სახით: ძაფი, ყველი, კარაქი, მაწონი, ღვინო, ბადავი, ძეხვი, სოსისი და ა.შ. - სოფლის მეურნეობის პროდუქციას (პროდუქტს) ნაყოფის გადამუშავების შემდეგ. ე. ი. სოფლის მეურნეობის პროდუქციას ნაყოფის მიღების მომენტში მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადამუშავებელი, ბიოლოგიური აქტივებიდან ბუნებრივი, ნატურალური სახით მიღებული პროდუქცია, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის გადამუშავების შემდეგ განიხილება, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო სფერო. მაგალითად ფუტკრის ოჯახი, ფუტკრის ნაყარის მიღება ითვლება ბიოლოგიურ აქტივად, მიღებული თაფლი და თაფლის სანთელი, სოფლის მეურნეობის პროდუქციად ნაყოფის მიღების მომენტში, ხოლო იგივე თაფლი დაფასოებული სარეალიზაციოდ, ითვლება უკვე როგორც საწარმოო მარაგი გასაყიდი პროდუქციის სახით და მიეკუთვნება ნაყოფის მიღების შემდეგ მისი გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქტს.

სწორედ ამის გამო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაყოფის მიღების მომენტისათვის, აღსარიცხვად გამოიყენება ბასს 41, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას ნაყოფის მიღების შემდეგ, აღრიცხავს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბასს 2 ან სხვა შესაბამისი სტანდარტით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბუღალტრულად აღრიცხვის ერთ-ერთი საფუძველია მისი შეფასება. შეფასება კი ხორციელდება იმ შემთხვევაში თუ:

- ა) თუ საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;

ბ) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;

გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტროლი შესაძლოა დასაბუთებული იყოს იურიდიულად ან სხვა საშუალებით. მაგალითად მსხვილი რქოსანი პირუტყვის კონტროლის განხორციელება შესაძლებელია მისი მარკირებით შექმნისას, დაბადებისას ან ძუძუდან ასხლეტისას.

რაც შეეხება მომავალ ეკონომიკურ სარგებელს სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან, უნდა არსებობდეს მასზე მოთხოვნა და გააჩნდეს შესაბამისი ხარისხობრივი მახასიათებლები.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია უნდა შეფასდეს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ამგვარი შეფასება არის ღირებულება იმ თარიღამდე, რომლის შემდეგაც გამოიყენება ბასს 2 „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“ ან ბუღალტრული აღრიცხვის სხვა გამოყენებადი სტანდარტი.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს აქტივი ურთიერთდამოუკიდებელ, დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის.

გაყიდვისათვის საჭირო შეფასებულ ხარჯები არ შეიცავს ტრანსპორტირებისა და აქტივის ბაზრამდე მისატანად საჭირო ხარჯებს. ასეთი სატრანსპორტო და სხვა ხარჯები რეალური ღირებულების განსაზღვრისას უკვე გამოკლებულია, რამდენადაც, რეალური ღირებულება არის სხვაობა საბაზრო ფასსა და აქტივების ბაზრამდე მისატან სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს შორის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების განსაზღვრის გაადვილების მიზნით სასურველია ამ პროდუქციის დაჯგუფება იმ მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც შეესაბამება ბაზარზე გამოყენებული ფასის განსაზღვრის მახასიათებლებს.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აქტივი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში). აქტივის რეალური ღირებულება ეფუძნება მის მიმდინარე ადგილმდებარეობასა და მდგომარეობას. მაგალითად, მსხვილი რქოსანი პირუტყვის რეალური ღირებულება ფერმაში არის სხვაობა შესაბამის ბაზარზე არსებულ ფასსა და მის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სხვა ხარჯებს შორის, რომლებიც გაწეულ უნდა იქნას მის ბაზარზე მისაყვანად.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ საწარმოები თავიანთი ბიოლოგიური აქტივების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის ხელშეკრულებებს დებენ მომავალი თარიღისათვის. ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასები ყოველთვის არ არის გამოსადეგი რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის, რამდენადაც რეალური ღირებულება ასახავს მიმდინარე ბაზარს, სადაც დაინტერესებული მყიდველი და გამყიდველი დებს გარიგებას. შედეგად, ხელშეკრულების არსებობის გამო, ბიოლოგიური აქტივის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულება არ კორექტირდება. ზოგიერთ შემთხვევაში კი წინასწარ გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამამძიმებელიც ხდება. თუ მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო საწარმომ წლის დასაწყისში გააფორმა ხელშეკრულება ყურძნის მიყიდვის თაობაზე ღვინის მწარმოებელ საწარმოსთან ფიქსირებული ფასით, მაგრამ უშუალოდ რეალიზაციის თარიღისათვის ყურძნის ღირებულება გაიზარდა, ცხადია ამ შემთხვევაში მევენახე მიიღებს ზარალს. ასეთ შემთხვევაში გაყიდვის ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის წარმოადგენს დამამძიმებელს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიურ ბაზარზე მათი ფასის საფუძველზე. თუ მოცემულ მდგომარეობაში და მოცემულ ადგილსამყოფელში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის არსებობს აქტიური ბაზარი, ამ ბაზრის კოტირებული საბაზრო ფასი არის აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრის სათანადო საფუძველი. თუ საწარმოს ხელი მიუწვდება სხვადასხვა აქტიურ ბაზარზე, მაშინ საწარმო მიმართავს ყველაზე შესაფერის ბაზარს და გამოიყენებს იმ ბაზარზე არსებულ ფასს.


საქართველოში ბიოლოგიური აქტივების აქტიური ბაზარი სამწუხაროდ არ არის განვითარებული. ამიტომ, საწარმომ უნდა გამოიყენოს ინფორმაციის მიღების ალტერნატიული წყაროები. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული საინფორმაციო წყაროები განსხვავებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასებისას საწარმომ უნდა განიხილოს ამ სხვაობების მიზეზები წინასწარი შეფასებისას რეალური ღირებულების წინასწარი შეფასებების შედარებით მცირე დიაპაზონის პირობებში.

აქტიური ბაზრის არსებობის შემთხვევაში კი, რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის ხელმისაწვდომობის პირობებით, საწარმო იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე შესაძლებლობას. ესენია:

ა) უახლესი საბაზრო გარიგების ფასი, თუ ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეიცვალა გარიგების დადების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე;

ბ) ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასები სხვაობების ამსახველი კორექტირებით;

გ) სექტორის სტატისტიკური ბაზა, როგორცაა ხეხილის ბაღის ღირებულება თითოეული საექსპორტო შესაძლებლობის, ბუშელის ან ჰექტარის მიხედვით, ასევე პირუტყვის ღირებულება გამოსახული კილოგრამი ხორცის მიხედვით.



იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საბაზრო ფასები, ასეთ შემთხვევაში, რეალური ღირებულების განსაზღვრისას, საწარმომ უნდა გამოიყენოს აქტივიდან მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე პერიოდის ბაზრის მიხედვით განსაზღვრული განაკვეთით.

შემოსულობა ან ზარალი შესაძლოა წარმოიშვას სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარებისას, ნაყოფის მიღების შედეგად.

ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ზოგიერთ ბიოლოგიურ აქტივზე კერძოდ, ერთწლიან კულტურებზე (რომელთა მოვლა-მოყვანის პროცესი ერთ საანგარიშგებო წელში სრულდება: სიმინდი, ბოსტნეული, რძე და სხვა) გაწეული ხარჯი ბუღალტრულად აღირიცხება, მაგრამ ბიოლოგიური აქტივი ანგარიშგებაში არ აისახება. ანალოგიურად ბუღალტრულად აღირიცხება, მაგრამ ანგარიშგებაში არ აისახება აგრეთვე მალფუჭადი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც ექვემდებარება მიღებისთანავე გადამუშავებას ან გაყიდვას.

სახელმწიფო გრანტი ამავე სტანდარტის 34 და 35 მუხლების თანახმად აღიარდება, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

უპირობო სახელმწიფო გრანტი, რომელიც დაკავშირებულია რეალური გაყიდვისათვის საჭირო შეფასებულ დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით შეფასებულ ბიოლოგიურ აქტივთან, უნდა აღიარდეს შემოსავლად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო გრანტი ხდება მიღებადი.

- თუ სახელმწიფო გრანტი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებულ დანახარჯებით შემცირებული, რეალური ღირებულებით შეფასებულ ბიოლოგიურ აქტივთან, შეიცავს პირობას, მათ შორის ისეთს, როდესაც გრანტით საწარმოს მოეთხოვება, რომ არ განახორციელოს გარკვეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, საწარმომ სახელმწიფო გრანტი უნდა აღიაროს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს.

რაც შეეხება უშუალოდ ბუღალტრულ აღრიცხვას: სასოფლო-სამეურნეო საწარმომ უნდა გაითვალისწინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები და მარაგების აღსარიცხავად გამოიყენოს 1600 - სასაქონლო მატერიალური მარაგების ჯგუფის ანგარიშები, გახსნას იმდენი ქვეანგარიში, რამდენიც საჭიროა მისი წარმოებისთვის.

ბიოლოგიური აქტივები, რომლიდანაც სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიიღება, გამოყენების ხანგრძლივობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს სანაშენე და მოხმარებისათვის განკუთვნილი. სანაშენე აქტივები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს, ხოლო მოხმარებისათვის განკუთვნილი - მოკლევადიან აქტივებს.

ამ შემთხვევაში მოკლევადიანი აქტივების აღსარიცხავად დასაშვებია გამოყენებულ იქნეს 1900- სხვა მოკლევადიანი აქტივების ჯგუფის - ამსახველი ანგარიშები, რომელსაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე გაეხსნება იმდენი ქვეანგარიში, რამდენსაც საჭიროებს. ხოლო გრძელვადიანი აქტივების აღსარიცხავად 2700 - ბიოლოგიური აქტივების ჯგუფის ანგარიშები, ხოლო მათზე დარიცხული ცვეთის თანხის აღსარიცხავად გამოყენებულ იქნას 2800-ბიოლოგიური აქტივების ცვეთა - ჯგუფის ანგარიშები.

გასთვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიოლოგიური აქტივის გრძელვადიან აქტივად აღიარება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ნაყოფის მოცემას იწყებს. ნაყოფის მოცემამდე გაწეული ხარჯები მიეკუთვნება ბიოლოგიური აქტივების თვითღირებულებას, ხოლო ნაყოფის მოცემის დაწყების შემდეგ გაწეული ხარჯები აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასს 41 - სოფლის მეურნეობა
2. რ. ძაძაძია. პრაქტიკული მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე. ჟურ. ბუღალტრული აღრიცხვა №10, 11, 12; 2012 წელი

DALI SOLOGASHVILI
Akaki Tsereteli State University, Full Professor of
ZEINAB AXALADZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor of

AGRICULTURAL PRODUCTION, FEATURES OF ITS ASSESSMENT AND ACCOUNTING

S u m m a r y

Despite of uniformity of the international standards of accounting, there are certain types of economic activities, branch which because of the complexity and specificity require additional legislative regulation. The agricultural production differs from other branches a number of features that causes an originality in the organization of accounting. Specificity of an agricultural production consists first of all that process of manufacture here deals with the ground and with alive organisms - agricultural animals, as well as plants which represent itself as subject matters of work.

The normative document which adjusts the accounting, at the agricultural enterprises is the International standard of the financial reporting 41 "Agriculture" which actually is the first branch of the standard. Objective is definition of rules of accounting of agricultural activity, present of the financial reporting and appropriating notes. However at all originality of the accounting in an agriculture it has a number of traits, which characteristic for the accounting in any branch. However at all originality of the accounting in an agriculture it shares a number of traits, which are characteristic for the accounting in any branch. It is under construction on a coherent plan of accounts, uses the same forms and methods of the organization of accounting.

МИКОЛА ТАЛАВЬІРЯ

Национальный университет биоресурсов и природопользования Украины, Д. Э.Н., профессор

ВИКТОРИА БАЙДАЛА

Национальный университет биоресурсов и природопользования Украины, К.Э.Н., Доцент

ВИРА БУТЕНКО

Харьковский национальный университет внутренним делом, Сумской филиал, К.Э.Н., Доцент

ФОРМИРОВАНИЕ ПОТЕНЦИАЛА ДЛЯ РАЗВИТИЯ БИОЭКОНОМИКИ В УКРАИНЕ

Переход к биоэкономике обусловлен осознанием человечеством исчерпаемости мировых запасов нефти, газа и других ресурсов, необходимости сохранения природной среды и обеспечение возможности для полноценной жизни следующих поколений.

Значительное внимание развитию биоэкономике в последние годы уделяется во многих передовых государствах. Например, в Соединенных Штатах Америки и Европейском Союзе на биотехнологические исследования в год выделяется десятки миллиардов долларов, в Китае финансирование биотехнологий к настоящему времени составляет более 1 млрд. долл. в год, при тенденции к дальнейшему росту. Во многих странах происходит процесс постепенного замещения традиционных производств на биотехнологические. Так, вклад биотехнологии в производство полимеров в США за период с 2001 по 2010 г. возрос с 1% до 15%, или с 2 до 50 млрд. долл. в стоимостном выражении.

Украинская научная мысль также рассматривает биоэкономике как одно из реально осуществимых направлений дальнейшего развития человеческого общества на принципах устойчивости.

Для перехода к биоэкономике, базирующейся на знаниях, Украина имеет необходимый потенциал. К направлениям развития биоэкономике на данном этапе относят: лесную, целлюлозно-бумажную, пищевую промышленности, сельское хозяйство и рыбоводство («зеленый сектор» биоэкономике); биофармацевтику («красный сектор»); промышленную биотехнологию (производство ферментов, биоматериалов и биотоплива - «белый сектор») (рис.1).

Приведём некоторые цифры, характеризующие потенциал для развития биоэкономике. В Украине площадь сельскохозяйственных угодий составляет около 42 млн. га, ежегодно ведётся заготовка около 20 млн. куб. м древесины, искусственные водоёмы Украины занимают площадь около 12 тыс. кв. км и содержат объём воды до 60 куб. км, который превышает средний годовой сток Днепра.

За 2011 год экономически обоснованный энергетический потенциал существующих отходов биомассы составляет около 25 миллионов тонн у. т., а энергетический потенциал биомассы, который можно вырастить на неиспользуемых сельскохозяйственных землях площадью больше 4 миллионов га – около 13 миллионов тонн у.т. За счет этого потенциала можно покрыть до 15% энергопотребностей Украины. По данным БАУ (Биоэнергетической ассоциации Украины), до 2030 года экономия потребления природного газа за счет замещения его биомассой в Украине может составлять около 2 миллиардов метров кубических ежегодно [1].

Энергетический потенциал биогаза и метана имеет огромную перспективу для Украины. Общий теоретически возможный потенциал для производства биометана, который состоит из потенциалов по

производству биометана из навоза, потенциала земель для выращивания энергетических культур, древесной биомассы, и других отходов составляет приблизительно 26,5 млрд. Нм³/р.




Рис. 1. Структура биоэкономики

Некоторые специалисты, как например, глава парламентского комитета по вопросам аграрной политики и земельных отношений Григорий Калетник, считают, что учитывая в целом возможности нашего земельного ресурса и производство на нем биомассы, можно в целом покрыть все энергопотребности страны. По подсчетам ученых, биомасса из 10 миллионов га позволит полностью снять проблему импорта нефтепродуктов, а это 80% всех потребляемых продуктов [2].

Относительно деятельности предприятий в направлении использования биотехнологий, можно обратиться к таким примерам. Агропромышленный холдинг KSG Agro (Днепропетровская область) планирует завершить строительство двух заводов по производству топливных пеллет. Первый — в Днепропетровской области до осени 2014 года и еще один такой же завод — в Крыму до апреля 2014 года. KSG Agro строит заводы и устанавливает оборудование за собственные и кредитные средства, инвестиции в один завод по производству пеллет составляют порядка 3,5 млн евро [3].

В целом, в Украине ведёт свою деятельность ряд биотехнологических предприятий с объёмом продукции около 20 млн. дол. (это приблизительная оценка, так как официальной статистики относительно биотехнологических товаров практически нет). В частности, фирма «РеМиР» (г. Днепропетровск) сооружает биогазовые и биоэнергетические комплексы с рабочим объёмом биореактора от 5 м³ до 125 м³, которые предназначены для переработки органических стоков птицеводческих и животноводческих производств, также растений в жидкие и сухие органические удобрения, топливный газ и тепловую энергию [4]. Спиртовые заводы Минагрополитики Украины уже могут производить 60 тыс. тонн биоэтанола в год, а при наличии спроса мощности производства могут возрасти до 280 тыс. тонн. В перспективе, согласно прогнозам экспертов Минагрополитики, потребность украинского рынка в биоэтаноле может достичь 900 тыс. тонн в год. Такое стремительное наращивание объемов производства биоэтанола обусловлено наличием в Украине достаточной сырьевой базы и незадействованных мощностей спиртзаводов. Государственный концерн «Укрспирт» планирует наладить производство биоэтанола на 11 спиртзаводах, которые входят в этот концерн [5]. Что касается «красного» сектора биоэкономики, в Украине существуют предприятия, которые производят биофармацевтические препараты. Сюда относятся ЗАТ «Биофарма» (г. Киев), ЗАТ «Биолик» и ЗАТ «Лекхим» (г. Харьков), ОАО «Дніпрофарм» (г. Днепропетровск), НПК «Фармбіотек» (г. Киев), «Биостимулятор» (г. Одесса), «Індар» (г. Киев) и ряд других, которые производят различные виды биотехнологической продукции. К этому списку можно добавить названия небольших фирм, которые выпускают или реализовывают фармацевтические биопрепараты медицинского назначения: Немишаевский завод «Биохимик» (с. Немишаево, Киевская обл.), АО «Эффект» (г. Харьков), ООО «Нонкон» (г. Харьков), частная фирма «Мегаполис» (г. Харьков), украинско-бельгийская фармацевтическая фирма «Магик» (г. Харьков), АО «Барвник» (г. Рубежное), украинско-бельгийское химическое СП «Интерхим» (г. Одесса), Сакский химзавод (г. Саки), Херсонская государственная биологическая фабрика (г. Херсон), Сумская биофабрика (г. Сумы), ООО «Синбиас фарма» (г. Донецк), биотехнологическая компания ЗАО «Свитязь» (г. Винница), «Березнофармация» (с. Березно, Ровенская обл.), «Star Ltd» (г. Донецк), украинско-американское СП «Биомарк» (г. Львов), Днепропетровская биофабрика (г.

Днепропетровск), «Simko Ltd» (г. Львов), ДП «Львовдиалик» (г. Львов), а также АО «Агродецентркомплект» (г. Киев), которое разрабатывает и внедряет проекты различных технологий, в том числе биотехнологических [6].

Учитывая реалии украинской экономики (недостаточно развитый рынок инвестиций, в том числе венчурных, несовершенство законодательной базы, патентного законодательства, кризисное состояние аграрного сектора, нежелание частного бизнеса финансировать научные исследования, недостаточный спрос на продукцию биоиндустрии, настороженное отношение к ней потребителей и т.п.), приходим к выводу о необходимости разработки и принятия Национальной целевой программы по развитию биоэкономики в Украине.

Результаты проведенного SWOT-анализа развития биоэкономики в Украине показаны в табл. 1.

Таблица 1

SWOT-анализ развития биоэкономики в Украине

Сильные стороны (strengths)	Слабые стороны (weaknesses)
<ul style="list-style-type: none"> - давние традиции химической промышленности; - знания и умения украинских биотехнологов; - высококачественное академическое образование; - наличие учёных высокого качественного уровня; - разнообразие исследований, которые ведутся различными научными учреждениями 	<ul style="list-style-type: none"> - низкий спрос на новые высокие технологии со стороны украинской индустрии; <li style="padding-left: 20px;">- нехватка исследований в области «белой» биотехнологии; - недостаточная государственная поддержка; - нехватка инвестиций, как государственных, так и частных; - нехватка кадров соответствующей квалификации; - проблема трансфера технологий и исследований в производство; - очень низкий уровень финансирования прикладных разработок; - неразвитая инфраструктура; - дефицит адекватно образованных менеджеров для поддержки коммерциализации биотехнологических продуктов
Возможности (opportunities)	Угрозы (threats)
<ul style="list-style-type: none"> - значительный потенциал биомассы; - сырьевая база (высокий удельный вес аграрного сектора в экономике Украины); - биоразнообразие и сравнительно низкий уровень деградации окружающей среды; - изменения в законодательном регулировании; - сравнительно невысокая стоимость рабочей силы; - обеспокоенность «зелёной» части общества экологическими проблемами и состоянием окружающей среды 	<ul style="list-style-type: none"> - появление дилеммы «еда-топливо»; - нехватка политической стабильности; - законодательная неурегулированность использования биотехнологических продуктов (напр. ГМО); - иммиграция молодых высокообразованных кадров; - неконкурентоспособность украинских предприятий по сравнению с иностранными; - угроза превращения в сырьевой придаток для развитых стран

Принимая во внимание имеющиеся возможности, опираясь на сильные стороны (табл.1), можно сделать вывод, что Украина обладает достаточным потенциалом для развития биоэкономики. Однако, наличие угроз и слабых сторон (табл.1) приводят нас к выводу о необходимости стимулирования и координации этого процесса со стороны государства. При этом имеющиеся разрозненные нормативно - правовые акты и программы должны коррелировать с общей Национальной Программой развития биоэкономики в стране, рассчитанной на ближайшее десятилетие (которую мы предлагаем создать). По нашему мнению, данная Программа должна предусмотреть следующие этапы развития биоэкономики (рис.2).

I этап: формирование научной и ресурсной базы	II этап: формирование конкурентоспособного сектора исследований и разработок в области биотехнологий	III этап: формирование агробиокластеров на территории Украины
<ul style="list-style-type: none"> • создание и/или совершенствование системы подготовки кадров для биотехнологических предприятий, а также для проведения научно-исследовательских работ • создание механизмов, способствующих ускорению развития биоэкономики (государственная поддержка и совершенствование законодательной базы) • стимулирование использования предприятиями технологий, связанных с использованием возобновляемых ресурсов • создание системы мер, направленных на поддержку аграрного сектора как основной ресурсной базы биоэкономики 	<ul style="list-style-type: none"> • коммерциализация и внедрение биотехнологий • сокращение разрыва между исследованиями и рынком • согласование потребностей науки и производства • способствование формированию положительного имиджа биотехнологической продукции • пропаганда и популяризация биотехнологий как среди производителей, так и среди потребителей • формирование "зеленого мышления" • разработка мероприятий, способствующих более легкому вхождению биопродуктов на рынок 	<ul style="list-style-type: none"> • разработка системы мероприятий в рамках социального партнерства, стимулирующих создание агробиокластеров • изучение существующих производственных и технологических цепочек с целью рационального использования биоресурсов как базы для создания и дальнейшего развития территориальных агробиокластеров • развитие альтернативной энергетики • позиционирование Украины на рынке высокотехнологической продукции

Рис. 2. Этапы развития биоэкономики Украины в рамках Национальной Программы.

Поэтапная реализация указанной Программы развития биоэкономики даст возможность решить следующие задачи:

- ❖ создание в Украине биоэкономики как подсистемы народного хозяйства, которая способствует повышению качества жизни, улучшению окружающей среды, развитию сельского хозяйства на принципах устойчивости;
- ❖ интеграция науки, промышленности, предпринимательства с использованием механизмов коммерциализации инновационных биотехнологий;
- ❖ повышение экономической эффективности и конкурентоспособности аграрного сектора, лесного и рыбного хозяйства;
- ❖ создание альтернативной сырьевой базы для перерабатывающей промышленности;
- ❖ снижение импортозависимости в энергетической отрасли (путём развития биоэнергетики);
- ❖ формирование и развитие инфраструктуры биоэкономики в результате создания агробиокластеров;
- ❖ увеличение занятости за счёт создания дополнительных рабочих мест, особенно в сельской местности;
- ❖ улучшение состояния окружающей среды в результате вовлечения в переработку биомассового сырья, а также промышленных, сельскохозяйственных и бытовых отходов.

Об эффективности реализации Национальной Программы развития биоэкономики в Украине будут свидетельствовать такие показатели:

в сфере инновационного развития биоэкономики – число организаций, использующих биотехнологии; площадь посевов биотехнологических культур; число патентов в области биотехнологий; количество учебных заведений, ведущих подготовку специалистов для биоэкономики;

в сфере институционального развития – количество объектов инфраструктуры биоэкономики; число агробиокластеров, бизнес-инкубаторов;

в сфере социального развития – количество созданных рабочих мест на предприятиях сферы биоэкономики; количество перерабатываемых отходов с использованием биотехнологий.

Источники:

1. <http://latifundist.com/novosti/40744-do-2030-goda-biomassa-pozvolit-ekonomit-ukraine-2-mlrd-kubometrov-gaza-v-god--ekspert>
2. <http://latifundist.com/novosti/40740-razvitie-alternativnyh-istochnikov-energii-obespechit-energeticheskuyu-nezavisimost-ukrainy--kaletnik>
3. <http://latifundist.com/novosti/40763-ksg-agro-postroit-dva-zavoda-po-proizvodstvu-toplivnyh-pellet>
4. РеМиР. Биогаз: <http://www.biodiesel.net.ua/index.files/page0002.h>
5. Новіков В. Тенденції розвитку комерційної біотехнології / В.Новіков, Ю. Сидоров, О.Швед// Вісник НАН України. – 2008. – №2. – С.25-39

6. Новіков В. Тенденції розвитку комерційної біотехнології / В.Новіков, Ю. Сидоров, О.Швед// Вісник НАН України. – 2008. – №2. – С.25-39.

MYKOLA TALAVYRIA

*National university of life and environmental sciences of Ukraine
Professor*

VIKTORIA BAIKALA

*National university of life and environmental sciences of Ukraine
Ph.D., Dotsent*

VIRA BUTENKO

*Kharkov national university of internal affair Sumy branch
Associate Professor*

FORMATION OF THE DEVELOPMENT OF BIOECONOMICS IN UKRAINE

S u m m a r y

A lot of countries are paying significant attention to the development of the bioeconomics. Ukraine has the potential to develop the knowledge-based bioeconomics. It can cover up to 15% of energy needs at the expense of the available potential of biomass. Ukraine has a number of problems – underdeveloped market of investments, including venture capital, imperfect legislation, patent laws, the crisis in the agricultural sector, the reluctance of the private sector to fund research, the lack of demand for the products of the bio-industry, the cautious attitude of consumers, etc. We conclude on the need to establish National target program for the development of the bioeconomics in Ukraine. This program should provide the following stages of the development of the bioeconomics: stage 1 - the formation of the resource and knowledge base, stage 2 - the formation of a competitive sector of biotechnological research; stage 3 - formation of agribioclusters in Ukraine.

***ზვიად ტიბინაშვილი, *ბიორბი ვანნაძე, *ელენა ნაკაიძე,
*ბუსარიონ ავციაური, **ბიული წიკითელი**

*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი,

***მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მედიორაციის ინსტიტუტი*

ლაბორების სახელმწიფო ნაკრძალის წიგნნარების ფიტომასა და ნახშირბადის მარაგები

ნახშირბადშემცველი ბუნებრივი სათბობის ინტენსიურმა მოხმარებამ და ტყეების მასობრივმა გაჩეხვამ მე-XX საუკუნის ბოლო პერიოდში ატმოსფეროში სათბურის გაზების მომატება გამოიწვია, რომელთა შორის ძირითადი ადგილი ნახშირბადის დიოქსიდს უკავია, ხოლო ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ფრიად საშიში ე.წ. “სათბურის ეფექტის” წარმოქმნას და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ტყეების როლი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. ტყე როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიტოცენოზი წარმოადგენს ატმოსფერული ნახშირბადის შთანთქმისა და დეპონირების ყველაზე უფრო მძლავრ რეზერვუარს.

ვითვალისწინებთ რა, პრობლემის სიმწვავეს, მის მნიშვნელობას, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ტყის ეკოსისტემებში და კერძოდ დაცულ ტერიტორიებში ამ პროცესების შესწავლა მეტად აქტუალურია.

საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე ნახშირბადის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არც ახლა ტარდება. ამჟამად, ტყის რესურსების მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ტყეთსარგებლობის მოცულობითი მარაგების შეფასება ხდება ბიომასის მარაგებში ნახშირბადის ექვივალენტის სახით. ამიტომ, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ განვითარებული ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც ჩატარდეს ამ ტიპის გამოკვლევები. სწორედ ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა წარმოადგენს ჩვენი კვლევის სიახლეს.

ლაბორების სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს კავკასიის მთავარი ქედის აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთ კალთებზე, კახეთის რეგიონში. თავისი მდიდარი ფლორით, ფაუნით, სამეცნიერო და მეურნეობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენს. ნაკრძალი დაარსებულია 1912 წელს.

მისი ფართობია 17932 ჰა, აქედან ტყით დაფარულია 12167 ჰა (68%), დანარჩენი 5765 ჰა ალპური საძოვარია. ნაკრძალის ტერიტორია ხასიათდება მთაში სიმალღეთა მკვეთრი სხვაობით. იგი განლაგებულია ზღვის დონიდან 450 მ-დან 3500 მ-მდე.

ნაკრძალის ტყეების მთავარ ედიფიკატორად აღმოსავლური წიფელი (*Fagus Orientalis Lipsky*) ითვლება, რომლის გავრცელების დიაპაზონი იწყება ზ.დ. 500-600 მ სიმაღლეზე და ადის სუბალპებში 2300 მ-მდე.

ნაკრძალში წიფლის კორომები წარმოდგენილია უმთავრესად III ბონიტეტის ტყეებით 5067 კა /57,3%/. წიფლნარების საშუალო სიხისრეა 0,56.

წიფლის ტყის ცენოზებში ფიტომასისა და ნახშირბადის მარაგების შეფასება მოხდა კონვერსიულ- მოცულობითი მეთოდით [1;2;3]. მეთოდი ორიენტირებულია ტყეების აღრიცხვის სახელმწიფო მასალებზე. კერძოდ, წიფლის მერქნის (დეროს) მარაგის მონაცემები ცალკეული ხნოვანებითი ჯგუფებისათვის მოძიებული იქნება არსებული ტყეთმომწიფობის მასალების მიხედვით. ვარჯის (ტოტებისა და ფოთლების) ბიომასა გაანგარიშებული იქნება სამხრეთ კავკასიის ძირითადი ტყის შემქმნელი სახეობებისათვის შედგენილი ხეების მატრეიალური შეფასების ცხრილების საშუალებით [4;5].

წიფლის მერქნის ბიომასა აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში განისაზღვრება მერქნის (დეროს) მოცულობისა და მერქნის სიმკრივის ნამრავლით.

***** სტატიაში მოცემული კვლევის სამუშაო შერულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ახალგაზრდა მეცნიერთათვის გრანტის ფარგლებში.** ხვენს

მიერშესწავლილი და გაანალიზებული იქნა ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში არსებული წიფლით გაბატონებული ტყის ფორმაციათა მთავარი საბურველის ფიტომასისა და ნახშირბადის მარაგების მონაცემები. მათი მანვენებლები მოცემულია ქვემოთ მოტანილი ცხრილის სახით.

ცხრილი

ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი
წიფლნარების ფიტომასა და შთანთქმული ნახშირბადის მარაგები
ფრაქციებისა და ხნოვანების ჯგუფების მიხედვით $\frac{\text{Ph-ფიტომასა}}{\text{C-ნახშირბადი}}$ ათას ტონებში

ნაკრძალებისთვის მიღებული კორომის ხნოვანების ჯგუფები	წიფლნარების საერთო ფართობი/მერქნის მარაგი კა/ათას მ	ფრაქციების ბიომასა და შთანთქმული ნახშირბადი			სულ კორომის Ph/C, ათას ტონებში	I კა კორომის Ph/C ტონებში	
		დერო Ph/C	ვარჯის ბიომასა				
			ტოტი Ph/C	ფოთოლი Ph/C			
ახალგაზრდა I – II 1 – 40	22 3,0	2,130 1,065	0643 0.322	0.300 0.135	0,639 0.320	3,712 1.842	168.7 83,7
შუახნოვანი III – VII 41 – 140	4340 830,4	589,584 294,792	152,703 76,352	60,727 27,327	176,873 88,437	979,887 486,908	225.8 112.2
მომწიფარი VIII 141 – 160	1353 314.6	223,366 11,683	56,030 28,015	21,217 9,548	67,003 33,502	367,616 182,748	271.7 135.1
მწიფე IX – X 161 – 200	2220 626,6	444,886 222,443	108,107 54,056	39,595 17,818	133,435 66,718	726,023 361,035	327.0 162.6
მწიფეზე უხნესი XI და ზევით 201 და ზევით	908 266,6	189,286 94,643	45,996 22,998	16,468 7,411	56,786 28,393	308,536 153,445	339,8 169,0
სულ წიფლნარი Ph/C	8843 2041,2	1449,252 724,626	363,479 181,743	138,307 62,239	434,736 217,370	2385,774 1185,978	270.0 134,1
%	— —	60,8 61,1	15,2 15,3	5,8 5,3	18,2 18,3	100 100	

ნაკრძალში ტყის შემქმნელი სახეობებიდან ნახშირბადის ყველაზე დიდი მარაგი წიფლით გაბატონებულ ტყეების ფიტომასაშია აკუმულირებული, დაახლოებით ნახშირბადის მთელი მარაგის 80 % რაც ბუნებრივია, ვინაიდან ნაკრძალში არსებული ტყით დაფარული ფართობების 72,5 % წიფლის კორომებზე მოდის. ამავე დროს, წიფლის ტყეებში ყველაზე მაღალი წარმადობით გამოირჩევა. მისი მერქნის მარაგი I კა ფართობზე 230,8 მ3-ს შეადგენს.

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ლაგოდეხის ნაკრძალში აღმოსავლური წიფლის 0.5-0.6 სიხშირისა და ბონიტეტის III კლასის კორომების ფიტომასა 1 ჰა ფართობზე საშუალოდ 270.0 ტონას შეადგენს, სადაც აკუმულირებულია 134.1 ტონა ნახშირბადი. ფრაქციებიდან კორომის ფიტომასის 60.8 % (125.2 ათასი ტონა) დეროზე მოდის, ტონებზე 15.2 % (313.9 ათასი ტ.), ფესვებზე 18.2% (434.7 ათასი ტ.), ყველაზე ნაკლებია ფოთლის ბიომასა 5.8% ანუ 138.3 ათასი ტონა. ლიტერატურაში მსგავსი მონაცემებია ევროპულ წიფელზე [6-10].

ნაკრძალში შუახნოვანი კორომები ყველაზე დიდ ფართობზეა წარმოდგენილი – 4340ჰა-ზე, ამდენად ისინი ბიომასისა და ნახშირბადის ყველაზე მაღალი მარაგებით ხასიათდებიან. მათი მარაგი შესაბამისად 979.9 და 486.9 ათას ტონას შეადგენს.

ხნოვანების ჯგუფების მიხედვით წიფლით გაბატონებული კორომების ფიტომასა და მათში ფიქსირებული ნახშირბადის ოდენობა 1 ჰა ფართობზე იზრდება ახალგაზრდა წიფლნარებში 83.7 ტონა ნახშირბადიდან მწიფე და უხნეს კორომებში 162.6-169.0 ტონამდე.

კლასტერების მაღალ კონკურენტუნარიანობას და სტაბილურობას განსაზღვრავს ახალი ტექნოლოგიების გავრცელების, მეცნიერების, განათლების, დაფინანსების, სახელმწიფო პოლიტიკის და მრეწველობის ურთიერთქმედების ხასიათისა და სტრუქტურის მასტიმულირებელი ფაქტორები. თუმცა, საკმაოდ წინააღმდეგობრივია ინოვაციური საქმიანობის ურთიერთობა საბაზრო ეკონომიკასთან, კლასტერის განვითარების გარემოსთან. ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობათა ფარგლებში ვლინდება ისეთი ინოვაციური მოღვაწეობის მასტიმულირებელი კრიტერიუმები, როგორცაა: სოციალური აქტივობა, შემოქმედებითი ინიციატივა, ბაზრის სელექციური უნარი უზრუნველყოს ყველაზე ეფექტიანი და ადაპტირებული ინოვაციების შერჩევა და გადარჩენა. მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობა ვერ ჩაითვლება ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედების სრულყოფილ ფორმად, ვინაიდან ბაზრის სამეურნეო სუბიექტების ქცევაში ჭარბობს მოკლევადიანი კონიუნქტურული გადაწყვეტილებები, ხოლო ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობა გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე; იგნორირებულია არასაწარმოო ფაქტორები – ეკოლოგია, სოციალური სფერო.

გარდა ამისა, ინოვაციის პროცესის უზარმაზარი კაპიტალტევადობის გათვალისწინებით, გონივრულად გვეჩვენება ცალკეულ კონკურენტუნარიან დარგებში, ინოვაციური განვითარების საფუძველზე, სელექციური სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ამ დარგების სწრაფ განვითარებას და მათი კონკურენტული უპირატესობების განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან ააცილებს დანახარჯიან და ნაკლებეფექტიან პროცესებს იმ დარგების განვითარებაში, რომლებსაც იმ მომენტისთვის არ შეუძლია კონკურირება სხვა ქვეყნების იდენტურ დარგებთან.

NINO FARESASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD in Economic Sciences

Assistant Professor

CLUSTER IN THE OF MANAGMENT OF REGIONS COMPETETIVENESS

S u m m a r y

In the article “Cluster in the System of Management of Regions Competitiveness” the attention is drawn to the environment that cluster initiatives are emerged as the most successful strategies for strengthening competitiveness of regional economics, since it becomes possible to establish efficient relations between main regional economics. Owing to clusters the state sectors in regions better manage regulation of trends of social-economic development throughout the territories, forecast on tendencies of economic development and correction at the expense of coordination of efforts from interested parties..

It should be noted and the fact that formation of cluster structures and successful implementation of special stimulation programs is possible in conditions of only existence of general regional strategy. As shows the world experience creation of international clusters with separation from regional development is inefficient as a whole and often impossible. A cluster creates new opportunities to choose ways to overcome problems of entrepreneurs. Owing to regional and municipal authorities interactions are sought methods and tools to solve them completely or partially being in a frame of the competence of a region. With usage of influence over a cluster authority. business and a regional authority are jointly searching for ways of efficient implementation through regional structures including lobbying of regional and field initiatives for preparation of projects.

ნანა ფირცხელავა

ქართულ-უკრაინული საერთაშორისო აკადემია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

აბრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა

21-საუკუნის ამოცანას მსოფლიო მასშტაბით წარმოადგენს შიმშილობისა და სიღარიბის დაძლევა, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გლობალური პრობლემების გადაწყვეტა ჯანდაცვის სფეროში. ამ პრობლემების გადაწყვეტა კი შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე. სწორედ აბრარული სექტორი წარმოადგენს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ გზას და მას უფრო დიდი ყურადღება ექცევა განვითარებად

ქვეყნებში ვიდრე განვითარებულ ინდუსტრიალ ქვეყნებში. გლობალურმა კრიზისმა გაამძაფრა სოფლის მეურნეობის ყველა ეს საკითხი, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი ამოცანა ითხოვს პრიორიტეტულ გადაწყვეტილებებს.

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. 2010 წელს მსოფლიოში ზოგადად აგრარულ სექტორში შემცირდა წარმოების მოცულობა არახელსაყრელი პირობების გამო, რამაც გამოიწვია ფასების გაზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ქვეყნები ცდილობენ აგრარული სექტორის დაფინანსებით გაზარდონ წარმოება, რათა თავიდან აიცილონ საკუთარ ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქტების დეფიციტი და ფასების ზრდა. საქართველოში ამ დარგს ბევრი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემა.

ჯ.მ კეინსი აღნიშნავდა, რომ „საბაზრო ეკონომიკისადმი ადეკვატური ახალი სახელმწიფო ინსტიტუტის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია ფულადი ეკონომიკის გაურკვეველობა“. ჩემი აზრით, საბაზრო პირობები არ შექმნიდა და შედეგიც არა დამაკმაყოფილებელი. ასეთ პირობებში კი აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტადაა სახელმწიფოს ჩარევა საჭირო. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ მეურნეობის საბაზრო სისტემაზე უკეთესი არ არსებობს. სწორ საფუძველზე და კარგად გათვლილ პარამეტრებზე დაყრდნობით აგებული საბაზრო უერთიერთობები ყოველმხრივ გამართლებულია, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მკვლევარების უმრავლესობის აზრით, თავისუფალ ბაზარს არ შეუძლია გადაწყვიტოს ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემა. არ არსებობს უთანხმოება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ, ძირითადად კამათი მკვლევარებს შორის მიმდინარეობს სახელმწიფო რეგულირების მასშტაბებზე.

ზოგადად, შეიძლება გამოვეყოთ სამი მიდგომა სახელმწიფო რეგულირების მასშტაბების შესახებ. ლიბერალიზმის მომხრეები გამოდიან სახელმწიფო საქმიანობის შეზღუდვით შექმნიან ხელსაყრელი პირობები ბაზრის კანონების მოქმედებისათვის. მესამე მიდგომის თანახმად, სახელმწიფო რეგულირებამ უნდა განსაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, როგორცაა მაკროეკონომიკური პრობლემები (უმუშევრობა, ინფლაცია, გარემოს დაცვა) ეს უნდა გაძლიერდეს საბაზრო ძალების განვითარებით და ბაზრის სტაბილურობის გაზრდით.

სახელმწიფო რეგულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრარულ სექტორში. ამ სექტორში სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა გამოიხატება ყველაზე მეტად სასოფლო-სამეურნეო ფასებისა და აგროწარმოებლების შემოსავლების მხარდაჭერაში. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი . ელბრეიტ ახასიათებს სახელმწიფო როლის რეგულირების პროპორციებს მაკროეკონომიკური წარმოების განვითარებაში და აღნიშნავს: „სახელმწიფოს ინტერვენციას სოფლის მეურნეობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს განვითარების დაბალანსებისათვის. შედეგად, სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთი სახელმწიფო ღონისძიებები... იყო საკმაოდ დამაკმაყოფილებელი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის. თუ სოფლის მეურნეობა აღმოჩნდება თავისუფალი სახელმწიფოს ჩარევისაგან... ეჭვგარეშეა, განვითარება იქნებოდა არასაკმარისი, ხოლო თანამედროვე პირობებში, შეიძლება იყოს სახიფათო“.

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი აგრარულ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებულ ბაზარში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, როდესაც არ არის ჩამოყალიბებული აგრარულ სფეროს რეგულირების ეფექტური მექანიზმი. სახელმწიფო რეგულირების როლი გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავისუფალი რეალიზაციის უზრუნველყოფაში. სახელმწიფო ამ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს ფირმის საქმიან ქმედებებში, მაგრამ უნდა შეიქმნას ძლიერი ინსტიტუციონალური ჩარჩოები საწარმოებისათვის, ასევე შეასრულოს კოორდინატორის ფუნქცია-ფინანსური სისტემის, აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მისი ფუნქციონირების პარამეტრებზე და ინდიკატორებზე და უზრუნველყონ პროდუქციის ზრდა.

რა კონკრეტული ფაქტორები არიან ამ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელნი? შეიძლება გამოვეყოთ 4 ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო რეგულირებას: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და აგროსამრეწველო პროდუქციის ფასების დისპარიტეტი, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების არასტაბილური შემოსავლები ამინდის რყევების გამო, უცხოური კონკურენციისაგან დაცვა, გარემოს დაცვა, ქვეყნის უზრუნველყოფა სასურსათო უსაფრთხოებაზე.

თავისუფალი ბაზარი მთლიანად რისკზეა აგებული. ბაზარიც და სახელმწიფოც არსებითია ეკონომიკაში და რომელიმე მათგანის გარეშე ეკონომიკის მართვა შეუძლებელია. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, მითუმეტეს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

სოფლად საქონელმწარმოებლები, მეწარმეები, ბიზნესმენები ითხოვენ სახელმწიფო რეგულირების გაფართოებას. მოსაგვარებელია ისეთი საკისები როგორცაა: სოფლის აგროსაინჟინრო სერვისის ორგანიზება, წარმოების მასშტაბების გაფართოება, გასაღების სფეროს ორგანიზება, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციას შორის ფასების დისპარიტეტი, აგრარული ბაზრების ჩამოყალიბების დაბალი ტემპები, მაღალი პროცენტი კრედიტებზე.

ისმება კითხვა, რა ფორმით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და როგორ არეგულიროს აგრარული ეკონომიკა? სახელმწიფოს ჩარევა სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე უნდა მოხდეს ორი გზით, პირდაპირ და არაპირდაპირ. პირდაპირი ჩარევა ნიშნავს, როცა სახელმწიფო თავისთავზე იღებს ფასების კონტროლს და არაპირდაპირი ჩარევაა, როცა იგი ბაზარზე ჩნდება, როგორც ერთი მრავალთაგანი და არეგულირებს საქონლის ყიდვა-გაყიდვას, მიწოდებას და მოთხოვნას ბაზრის მიერ დადგენილი ფასებით. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო არაპირდაპირ გავლენას ახდენს ბაზარზე. ამჟამად გადაწყვეტილებათა რაციონალიზაციისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობას ესაჭიროება ნორმალური ბაზარი. თუ რაიმე პროდუქტი მყიდველს ვერ პოულობს, ეს ნიშნავს, რომ მას ძალიან ბევრი აწარმოებს ან ძალიან ძვირად აწარმოებენ. ჩვენთან კი დღეს საქონელმწარმოებლები ძალიან ძვირად აწარმოებენ, და მყიდველი მას ვერ პოულობს, ან მყიდველს ფული არ გააჩნია და ამის გამოც ვერ ყიდულობენ საქონელს. მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის დივერსიფიკაციის შემდეგ შეიძლება იმის გაგება, რა ჯდება პროდუქციის გარკვეული რაოდენობა, ვინ აწარმოებს ძვირად და ვინ იაფად. თუ ამ პრინციპით იმოქმედებს ყველა, მაშინ თანაფარდობის მიღწევა და ეკონომიკური სისტემის ეფექტური მოქმედებაც შესაძლებელია. მაგრამ თუ ამ მექანიზმში სახელმწიფო ჩაერევა და ფასების კარნახს დაიწყებს, მაშინ გამოითიშება საბაზრო შემოწმების მექანიზმი. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს არაპირდაპირი ჩარევა არის სწორი მიმართულება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო ორი ძირითადი ეკონომიკური ინსტრუმენტით არეგულირებს აგრარულ სექტორს. ესაა საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მხედველობაში უნდა მივიღოთ საქონლის ფასების მხარდაჭერა და სტაბილურობა, სუბსიდიები რესურსებზე, წარმოების ხარჯებში თანამონაწილეობა (კონკრეტული პროდუქციის წარმოების გადიდების თვალსაზრისით). ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფულადი რესურსები. ეს ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული ეტაპის კონიუქტურაზე. ამასთან გასათვალისწინებელია არა მხოლოდ აგრარული სექტორის განვითარების მიზანშეწონილობა, არამედ თუ როგორია ქვეყანაში საჭირო რესურსების ფაქტობრივი მდგომარეობა.

რა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ჩარევის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად?

- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის რეფორმების გადრმავევა მყარ საკანონმდებლო საფუძველზე;
- ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტური შერწყმა;
- რესურსების კონცენტრაცია და ეფექტური გამოყენება პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- აგრარული სფეროს მეცნიერული უზრუნველყოფა;
- თავისუფალი მეწარმეობა, კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა;
- შესაბამისი საკრედიტო სისტემის შექმნა;
- დოტაცია მნიშვნელოვანი წარმოების საშუალებების შესაძენად;
- სამართლებრივი გარანტიები.

მიზანი და ამოცანები სახელმწიფო რეგულირების განისაზღვრება განვითარების კონცეფციით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ქვეყნის განვითარების თავისებურებებს.

აგრარული სფეროს რეგულირების მიზანი განისაზღვრება მისი განვითარების მიზნით. აგრარული სექტორის განვითარების გრძელვადიან მიზნებად ითვლება შემდეგი:

- მდგრადი და ეფექტური სოფლის მეურნეობის მშენებლობა;
- ბაზრის უზრუნველყოფა ხარისხიანი პროდუქციით;
- მოსახლეობის ყველა ჯგუფის სასურსათო უზრუნველყოფა;

- ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- გარემოს დაცვა, ნიადაგის დაცვა მექანიკური და ქიმიური შემადგენლობისაგან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ორგანიზაციების დაცვა და სხვები;
- ინფრასტრუქტურის ორგანიზაცია, დაფინანსება და კვლევითი პროექტების განხორციელება.

აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, რომ მოცემულ მიზნებს შორის სშირად არსებობს წინააღმდეგობა. მაგალითად, აგრარული სექტორის მხარდაჭერის პოლიტიკას მიყვავართ მომხმარებელთა ინტერესების სრულყოფისაკენ. ამიტომ სახელმწიფოს პოზიცია აუცილებლად მიმართულია შიდა ბაზარის მონაწილეებს შორის ინტერესების დაბალანსებისკენ.

სახელმწიფო რეგულირების ამოცანები აგრარულ სფეროში მოიცავს:

- აგროსამრეწველო კომპლექსის სტაბილიზაციას და განვითარებას;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- პარიტეტის დაცვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსა და სხვა დარგის ეკონომიკას შორის;
- შემოსავლების დონის დაახლოებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის;
- ადგილობრივ მეწარმეთა დაცვა.

ეს ძირითადი ამოცანები ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის იდენტურია, თუმცა მათი განხორციელების გზები რამდენადმე განსხვავებულია.

საქართველოში აგრარულ სექტორს ბევრი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი აქვს და კარგია, რომ 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას ის პრიორიტეტად გამოცხადდა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება გაიზდა 22,4%-ით, თუმცა წინა წლებში არ იყო სოფლის მეურნეობა პრიორიტეტი. აუცილებელია შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, ხოლო ბოლო 7 წლის განმავლობაში ხელისუფლებას განვითარების გეგმაც კი არ ქონია.

საქართველოში კატასტროფულად იზრდება იმპორტი, მაშინ როცა კვების პროდუქტების საკმაოდ ნაწილი შეიძლება ადგილობრივი წარმოების ბაზარზე იქნეს მიღებული. ამასთან, საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 12%-ს შეადგენს, რაც კატასტროფულად დაბალ შრომის ნაყოფიერებაზე მეტყველებს.

დღეს კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი სოფლებში, მიწა ჩალის ფასი ღირს, საბანკო სექტორი სოფლისკენ არ იხედება, სადაზღვევო კომპანიები კი არაფერს არ აზღვევენ. სოფლის მაცხოვრებლების მიერ მოწეული მოსავალი გროშებად იყიდება. გლეხური მეურნეობები მხოლოდ თავისი თავის შენარჩუნებაზე ფიქრობენ და განვითარების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს.

გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი. 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ბოსტნეულის იმპორტი გაიზარდა. კერძოდ: მარცვლეულის იმპორტი გაიზარდა 53%-ით, პომიდორის-1,8%-ით, რომელიც ძირითადად თურქეთიდან შემოდის და მცირე ნაწილი ირანიდან, ხახვის იმპორტი 2011 წელს გაიზარდა 3,4-ჯერ, სტაფილოსი-3,4, კიტრის-1,6, კარტოფილის-19,4-ჯერ. ეს არის ექსპერტების აზრით კატასტროფული მაჩვენებელი, ვინაიდან კარტოფილის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 პროცენტია საქართველოში.

ერთი სიტყვით, საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კონკრეტული ამოცანაა შეიცვალოს წარმოებითი ურთიერთობები, რაც უპირველესად სოფლის მეურნეობის თანამედროვე, ცივილიზებულ დარგად გადაქცევას გულისხმობს. ამ პირობებში მთავარი ამოცანაა სასათბურე პირობები შეუქმნათ ფერმერებს, ყველა კატეგორიის მიწათმოსარგებლებს. რაც შეეხება მთლიანად აგროსამრეწველო სისტემას, იგი ძირფესვიანად ცვლის რეკონსტრუქციას. მოითხოვს შეიქმნას მკვეთრი ვერტიკალი, სადაც ყველას ეცოდინება თავისი ფუნქციები. აუცილებელია წამოვწიოთ პრიორიტეტები და მთელი ძალისხმევა მივმართოთ მათ უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპზე ასეთ პრიორიტეტული ფორმაა სასურსათო პრობლემის უსწრაფესად გადაჭრის მიმართულებისადმი ორიენტაციის კურსის აღება.

საქართველოში შექმნილი მეტდ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციაში მიწის რეფორმის დაბალ ორგანიზებულმა ჩატარებამ, უარყოფითი გავლენა იქონია აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსის განვითარებაზე. დაეცა პროდუქციის წარმოების მოცულობა, გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა. შეწყდა მრავალი სახის სასურსათო

პროდუქციის ორგანიზებული წარმოება, ფართო ხასიათი მიიღო ნატურალურმა მეურნეობამ, რომელიც ძირითადად თვითმომხმარებელზეა ორიენტირებული. რეფორმების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით შექმნილმა არასასურველმა გარემომ. მიწის განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩატარებამ გამოიწვია დაწვრილერთეულებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც სერიოზული ამოცანის გადაწყვეტა არ შეუძლია გამსხვილებისა და სათანადო მხარდაჭერის გარეშე.

ბაზარზე გლეხური-ფერმელური მეურნეობის პოზიციის განმტკიცებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება-გასაღების კოოპერატივებისა და აგრეთვე საწარმოო და საქართველოს აგრარული სექტორის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობისას შეუძლია საკუთარი წარმოების პროდუქტებით ძირითადად განახორციელოს ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის პოლიტიკა. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის სწორად გატარება, ქვეყნის აგრარული სექტორის საწარმოო ეკონომიკური პოტენციალი და მისი ამოქმედების დიდი შესაძლებლობა.

აგრარულ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს და საზოგადოების ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნასა და ენერჯის გამოყენებას მოიხოვს. ამიტომ უნდა განისაზღვროს აგრარული მეურნეობის განვითარების სტრატეგია. ამ მიზნით უნდა მომზადდეს გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა (სტრატეგია), რომლის მიზანი იქნება სურსათზე მოსახლეობის მხარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. პროგრამაში უნდა აისახოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები, სტრატეგიული მიზანი, ამოცანები, ეტაპები, პრიორიტეტები, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსები და მექანიზმები.

აგრარულ მეურნეობაში კრიზისიდან გამოსვლა უნდა ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. ქვეყნის მრავალდარგოვანი აგრარული მეურნეობა ორიენტირებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომ და მაღალი საკვები ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე. ეს არის მომავალში კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე საიმედო მიმართულება.

უნდა განისაზღვროს დარგის განვითარების სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ეტაპები, მათი განხორციელება მოხდეს მიზნობრივი პროგრამებით:

- განისაზღვროს ქვეყნის აგრარული სექტორის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებები, ფერმერული მეურნეობის განვითარების პერსპექტივები.
- აგრარული მეურნეობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით ლიზინგის (ფრანჩაიზინგის) გამოყენება, უნდა დამუშავდეს მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოების რაციონალურად განლაგების სქემა, მათი აშენების ეტაპების განსაზღვრით, ლოჯისტიკური ცენტრების ორგანიზაცია და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ცენტრები შეიძლება შეიქმნას როგორც სახელმწიფო სახსრებით ან შერეული საწარმოს ფორმით. ისინი უშუალოდ შეასრულებენ (დაკვეთის მიხედვით) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.
- მიწის დაცვაზე, გამოყენებაზე, ნაყოფიერებაზე, უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია სახელმწიფო. აიკრძალოს მიწების უცხოელებზე გაყიდვა, მათთან ურთიერთობები მოხდეს გრძელვადიანი იჯარის პრინციპებით. მიზანშეწონილი არ არის ტყის, საძოვრების, მდინარეების პრივატიზაცია. ტყის მეურნეობა სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს;
- შემუშავდეს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებანი. მსოფლიო ბაზარზე გასვლის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, უცხოეთის ეკონომიკურ სუბიექტებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის სტიმულირება, სასაზღვრო ვაჭრობის განვითარება;
- შიდა ბაზრის გაფართოების მიზნით რეგიონებს შორის სამეურნეო კავშირების ინტენსიფიკაცია, რეგიონთაშორისი ერთობლივი საწარმოების შექმნა-ფუნქციონირება, რეგიონთაშორისი ვაჭრობის გაფართოება და სხვა;
- ქვეყანაში აგრარული მეურნეობის განვითარებისათვის საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას აუცილებელია ეროვნული ბანკისა და ფინანსთა

სამინისტროს მონაწილეობა (ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა შეჯერებული უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებთან).

სოფლად მეწარმეობის ფართოდ განვითარებისათვის უნდა შეიქმნას საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო ბაზარი. რაციონალურად უნდა განისაზღვროს კრედიტების გამოყენების წესი. ვის, რა პირობებით, მოცულობით შეუძლია მიიღოს იგი. გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურება-სეზონური ხასიათი. ასევე ფართოდ იქნას გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორცაა ლიზინგი. საჭიროა ისეთი ტექნოლოგიების შემოტანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ აგრარული მეურნეობისათვის წარმოების საშუალებების წარმოების გადიდებას. ამასთან, უნდა გამარტივდეს საგადასახადო პოლიტიკა, გასაგები და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მეწარმეობისათვის. (მიწის გადასახადი გამოყენებულ იქნას მხოლოდ მიწის დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად). საფინანსო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, აუცილებელია აგროკრედიტის სისტემისა და საკრედიტო კავშირების შექმნა ქვეყნის, სოფლისა და რაიონულ დონეზე.

ფასების პარიტეტის დაცვა. ფასების რეგულირება უნდა მოხდეს კვლავწარმოების მთელი პროცესის ყველა სტადიაზე. სესხის გაცემა თამასუქის ქვეშ, მომავალი მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან დაფარვით. უცხოეთიდან სხვადასხვა არხებით სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის მიზნით შემოსული ინვესტიციების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების კოორდინაცია, საწარმოო და მომსახურების საწარმოების მშენებლობის გაფართოების სტიმულირება. ახლადშექმნილი საწარმოები, რომლებიც ემსახურებიან აგრარულ მეურნეობას, თუნდაც რამდენიმე წლით განთავისუფლდნენ გადასახადისაგან.

აუცილებელია დაზღვევის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს აგრარულ მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების დაცვას ბუნებრივი, ბიოლოგიური და ეკონომიკური (ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილებები) ფაქტორებისაგან. დაზღვევის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს კომერციულ საწყისებზე. პირველ ეტაპზე სასტატო კაპიტალის ფორმირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

აგრარული მეურნეობისათვის კადრების მომზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. ეტაპობრივად უნდა განისაზღვროს აგრარული მეურნეობის სპეციალისტების მომზადებისათვის პროფესიული სასწავლებლის, კოლეჯების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება თანდათანობით იკრებს ძალას და ამტკიცებს თავის სიცოცხლიუნარიანობას. ამის ნათელი მაგალითია სახელმწიფო რეგულირების ის მიდგომები, რომელსაც იყენებს ხელმძღვანელობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-ეკონომიკურ ტიპს, რომელიც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფო რეგულირებას და მთავარი ამოცანაა, მივაღწიოთ სახელმწიფო რეგულირების გზით ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას.

NANA PIRTSKHELAVA

Georgian - Ukrainian International University „Guma-Meridian“

Academic Doctor of Economics

THE NEED FOR STATE REGULATION OF THE AGRARIAN SECTOR

S u m m a r y

In 21 century the main problem of worldwide are to get over the starvation end poverty, provide with ecological security to decision global health problems. To decision these problems are not possible without agricultural development. Exactly agricultural sector can decision these problems and to achievement economic growth.

State regulation is more important in the agricultural sector. In this sector to need of state is the most in supporting of agricultural price and income of agricultural production.

We can group four factors that will help state regulation: The parity prices of agricultural products and industrial products; unstable incomes of agricultural producers through the weather change, protection from foreign competition, environment, and guaranteeing food security of country.

Problems of state regulation in the agricultural sector are:

- Stabilization and development of the agro-industrial complex;
- Food security;
- Protection of parity among agricultural production and other sectors of the economy.
- Income level convergence between agriculture and industry works.

State regulation is gradually gaining in strength, and the lucid example is the method of approach of state regulation which is doing leadership. The agriculture of Georgia is special historical-economical type that would require state regulation and the main objective is to achieve improved efficiency of the national economy with state regulation.

ლელია ქაღაბიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახისტენტ პროფესორი
შოთა შაბუჩიშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*

**სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და
განვითარების ორიენტირები საქართველოში**

საქართველოში სოფლის მეურნეობა უძველესი დროიდან ვითარდებოდა, ქვეყანაში ჩამოყალიბდა მდიდარი ტრადიციები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა. ბუნებრივ – კლიმატური პირობების მრავალფეროვნებამ და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნებმა, საქართველოს არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, არაერთხელ განაპირობა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტანდარტების და განვითარების კორექტირება[1]. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია მთელი ტერიტორიის დაახლოებით მესამედ ნაწილში, ხოლო დანარჩენი მაღალი მთის ტყეებით, ალპური საძოვრებით, კლდეებით, მყინვარებით და მუდმივი თოვლით დაფარული ადგილებია.

ისტორიულად საქართველოში სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტს. გამომდინარე აქედან აგრარული სექტორი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სტრატეგიულ მიმართულებად იყო მიჩნეული. იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა საბჭოთა პერიოდშიც, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ მასზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მესამედზე მეტი მოდიოდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების განსაკუთრებული როლი არა მხოლოდ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში გამოიხატება. იგი თავისი ბუნებით დარგთაშორისი ხასიათის მატარებელია, რამეთუ მას მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიკის სხვა დარგებთან. სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სასუქების, საირიგაციო-სარწყავი სისტემების და სხვა დარგების განვითარებას. ამ კუთხით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის კავშირი უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე შემდგომ პერიოდში. საუბარია, ერთი მხრივ, თავად სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების მნიშვნელოვან შემცირებაზე, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი მრეწველური დარგების სრულ მოშლაზე.

საქართველოში გარდამავალი პერიოდის სოფლის მეურნეობის განვითარების რეტროსპექტიული ანალიზის შედეგად, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი. პირველი ეტაპი მოიცავს 1991 – 1994 წლებს, როდესაც საბჭოთა კავშირის ნგრევას, სამოქალაქო ომს, პოლიტიკურ კონფლიქტებს და სამეურნეო კავშირების რღვევას მოჰყვა ტრადიციული სტაბილური ბაზრის დაკარგვა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მყისიერად შემცირება. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებულმა პროდუქციამ 1987 წლის მაჩვენებლის მხოლოდ ერთი მესამედი შეადგინა [2].

სოფლის მეურნეობის განვითარების ტრანსფორმაციაზე მეორე ეტაპი იკვეთება 1994 – 2003 წლებში, როდესაც სოფლის მეურნეობამ ნაწილობრივ აღიდგინა სიცოცხლისუნარიანობა და მეტ-ნაკლებად უზრუნველყო მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილება. თუმცა ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობასა და აგრარულ წარმოებასთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდა ეკონომიკის სხვა დარგები, რის გამოც ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და 2003 წელს შეადგინა 19,2% [3].

გარდამავალ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების და აგროსექტორის განვითარებაში მესამე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ 2004–2012 წლები, რომლის დროსაც აღნიშნულ სექტორში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და რეალური წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2012 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის (მეტყვეობის, ნადირობის, და თევზჭერის ჩათვლით) წილი 8,8 %-მდე შემცირდა[4].

ხემაღნიშნულ სამივე ეტაპზე ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო წილის შემცირებას, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ქვეყანაში გატარებული არასწორი აგრარული პოლიტიკით, ხოლო მეორე მხრივ დარგის არაკვალიფიციური მართვითა და რეგულირებით. განვლილ წლებში მთავრობა დეკლარირებულად გაემიჯნა აგრარულ წარმოებას, მინიმუმამდე შემცირდა სამთავრობო მომსახურება და ხელშეწყობა. უკანასკნელი სამი წლის (2010, 2011, 2012 წლები) მანძილზე, ქვეყნის სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი ჯამში 200 მლნ ლარამდეა. რაც შეეხება ინვესტიციებს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2011 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში შემოვიდა

მხოლოდ 14.9 მლნ აშშ დოლარი ინვესტიცია, ანუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 1.3%. რაც ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან შედარებით მიზეზურადაა მცირეა¹.

განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა განვითარებულ ქვეყნებზეა დამოკიდებული, მაშინ, როდესაც განვითარებადი ქვეყნების შრომისუნარიანი მოსახლეობის 60 % სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. საქართველოში სოფლის მოსახლეობა ქვეყნის მთელი მოსახლეობის 48,2% შეადგენს. ამის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირება დაიწყო და 2005 – 2012 წლებში მკვეთრად გამოხატული ტენდენცია შეიძინა. შექმნილი მდგომარეობა მრავალი ფაქტორით იყო გამოწვეული. ამ ფაქტორებს შორის შეიძლება განსაკუთრებით გამოიყოს შემდეგი:

- საქართველოში ყოველწლიურად მცირდებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი ფართობების მოცულობა: 2005 წელს იგი შეადგენდა 540 ათას ჰა-ს, ხოლო 2012 წლისთვის შემცირდა 259.6 ათას ჰა-მდე. მართალია, აღნიშნულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ნაწილობრივ გაიზარდა, მაგრამ მან ვერ გადაფარა ნათესი ფართობების შემცირებით გამოწვეული დანაკლისი და საბოლოო ჯამში ქვეყანაში გაცილებით ნაკლები სასურსათო საქონელი იწარმოება.
- მსოფლიო ფასების გაბატონება საქართველოს ბაზარზე არათანაბარ პირობებში აყენებს ქვეყნის სოფლის მოსახლეობას, რომელიც უცხოელ მოქალაქესთან შედარებით გადახდისუნაროა და ადგილობრივი წარმოების პროდუქციასაც ვერ ყიდულობს. ბაზარი კი უშეღავათოა, საქონელს მიჰყიდის მას ვინც მეტს გადაიხდის. ასე იყიდებოდა საქართველოში ყველაფერი, მათ შორის მიწებიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიწის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად 2015 წლამდე მიწის უცხოელებზე გაყიდვაზე მორატორიუმი გამოცხადებულია.
- 2005 – 2012 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ვარდნამ განაპირობა ყველა ძირითადი აგრარული პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 2005 – 2012 წლებში ხორბლის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე 44 კგ-დან 18 კგ-მდე შემცირდა, კარტოფილისა – 101 კგ-დან 51 კგ-მდე, ბოსტნეულის – 102 კგ-დან 44 კგ-მდე, ხილის – 62 კგ-დან 35 კგ-მდე, ხორცის – 24 კგ-დან 9 კგ-მდე. FAO-ს მონაცემებით, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობა მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდებოდა. საქართველოსა და ყირგიზეთის გარდა, ყველგან დაფიქსირდა პროდუქციის წარმოების ზრდა. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების ინდექსი 40 – 45%-ით გაიზარდა, სომხეთის შემთხვევაში კი ინდექსი თითქმის გაორმაგდა. ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაცემამ შესაბამისად 7 – 8 %-მდე შეამცირა სოფლის მეურნეობის წილი მშპ სტრუქტურაში, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის.
- ბოლო წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი ადამიანი ქმნიდა დაახლოებით 1400 ლარის დამატებულ ღირებულებას, მაშინ, როდესაც ამ მაჩვენებლის საშუალო სიდიდე ქვეყანაში 10 ათას ლარზე მეტი იყო. რომ არა ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეობები, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანი საკუთარი თავის გამოკვებასაც ვერ შეძლებდა. სულ სხვა სურათია განვითარებულ ქვეყნებში. იქ ერთი დასაქმებული ადამიანი რამდენიმე ათეულ ადამიანს კვებავს. საქართველო მიწათმოქმედების ქვეყანაა. ექსპერტების შეფასებით საქართველოს სასოფლო რესურსების ბაზაზე თავად შეუძლია აწარმოოს და სრული რაციონით გამოკვებოს 10 – 12 მლნ ადამიანი. სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაცია. შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 18 % იღებს სასაქონლო სახეს, დანარჩენი კი ადგილზე მოიხმარება.
- ცნობილია, რომ საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის მას ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები აქვს, მაგრამ მაინც დიდი ადგილი უკავია სურსათის იმპორტს. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად საქართველოში აგროსასურსათო საქონლის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 2012 წელს 1.784 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 1.274 ათასი აშშ დოლარი იყო იმპორტირებული პროდუქციის

¹ შენიშვნა: 2012 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2013 წლის 15 აგვისტოს.

ღირებულება, ხოლო 512.5 ათასი აშშ დოლარი, ანუ მხოლოდ 21, 6 % – ექსპორტი. ბოლო წლებში საქართველოს ძირითად საიმპორტო საქონელს ხორბალი წარმოადგენს. 2012 წელს იმპორტირებულ იქნა 239 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 897,0 ათასი ტონა ხორბალი. გაიზარდა სხვა პროდუქტების (ხორცი, შაქარი, მზესუმზირის ზეთი და ა. შ.) იმპორტიც. იმპორტზე დამოკიდებულ ამ პროდუქტებს ბოსტნეული, კარტოფილი და ხილიც დაემატა. საქართველოსთვის სასურსათო საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან დასავლეთის განვითარებული ქვეყნები. ისინი მსოფლიო საექსპორტო მოცულობის 70 %-ს ახორციელებენ. ამ ქვეყნებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია აშშ-ს. ჩვენს ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქცია შემოდის: აშშ-დან და კანადიდან (თევზი, ფრინველი, ხორბალი), ინდოეთიდან (საქონლის ხორცი), თურქეთიდან (ხახვი, კარტოფილი), რუსეთიდან და ყაზახეთიდან (ხორბალი) და ა.შ. დღეს საქართველოს კვების მრეწველობა მოსახლეობის მოთხოვნის მხოლოდ 16.5 %-ს აკმაყოფილებს. დანარჩენი მოთხოვნა იფარება იმპორტირებული პროდუქციისა და შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული პროდუქციით. განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ქვეყნის მთლიან მოხმარებაში 80% უნდა იყოს [5]. საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ დონემდე მისაღწევად ხორბლის წარმოება უნდა გაიზარდოს 10-ჯერ, ხორცის – 2-ჯერ, ქათმის – 3-ჯერ, ბოსტნეულის – 2-ჯერ და ა.შ. მაშასადამე, დასაშვებია სასურსათო პროდუქციის შიგა ბაზრის მოთხოვნილების 20 %-ის იმპორტირება (და არა 75-80 %-ისა როგორც ამჟამად არის) ისიც ძირითადად დელიკატური სურსათისა.

➤ საქართველოს ექსპორტს მსოფლიო მოცულობაში უმნიშვნელო წილი უკავია, სასურსათო პროდუქციის ძირითად საექსპორტო ბაზრებს, დსთ-ისა და ევროკავშირის ქვეყნები წარმოადგენს. 58 % იგზავნება დსთ-ის ქვეყნებში, 33% – ევროპაში და 2% – თურქეთში. ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი კვების მზა პროდუქტებზე (მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, მურაბები და სხვ.) მოდის. ამასთან, ბოლო წლებში ამ ჯგუფის წილი თანდათან მცირდება და იზრდება მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წილი. თხილი ჩვენი მოსახლეობისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა და საექსპორტო ათეულშიც აქვს ადგილი დამკვიდრებული. ის ევროკავშირისა და აზიის ბაზრებზე იყიდება. 2012 წელს საქართველოდან ექსპორტით 12 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილი გავიდა. მცირე ზრდა დაფიქსირდა ციტრუსების, სანელებლებისა და საკონსერვო ნაწარმის ექსპორტში, ხოლო რაც შეეხება ხილისა და ბოსტნეულის კულტურებს, მათი ექსპორტი არ გაზრდილა. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები საქართველოდან ტრადიციულად მცირე რაოდენობით გადიოდა ექსპორტზე და მათი წილი დაახლოებით 1%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2009 წელს ამ სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი გარდგევა, როცა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა საქართველოდან გაიყვანეს 162 000 სული ცხვარი და 59 000 სული საქონელი. 2006 წლიდან რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ემბარგომ საქართველოს დაუკარგა რუსეთის ბაზარი, რის შედეგადაც შემცირდა საქართველოდან ღვინის, სპირტიანი სასმელების და მინერალური წყლების ექსპორტი. საქართველოს აგრარული სექტორი მეტ-ნაკლებად მიბმულია რუსეთზე. რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისათვის, განსაკუთრებით კი ღვინის ბიზნესისათვის ცალსახად საინტერესოა, რადგან მისი სხვა ბაზრით ჩანცვლება პრაქტიკულად შეუძლებელია. პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყება. საზოგადოებრივ მხარდაჭერას იმსახურებს საქართველოს ახალი მთავრობის პოლიტიკა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შესახებ. რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნება სტიმულს მისცემს შესაბამისი დარგების განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ქვეყნის ეკონომიკის აბსოლუტური ზრდის მიუხედავად საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი კვლავ მცირე მოცულობისაა. საექსპორტო პოტენციალი მნიშვნელოვანწილად აუთვისებელია და ამ მიმართულებით ჯერ მხოლოდ მოკრძალებული ნაბიჯებია გადადგმული. ექსპორტის შემდგომი ზრდა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის გამართულ და ეფექტურ საქმიანობაზე, სექტორის ხელშეწყობის მიზნით ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე [6].

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მართლაცდა კატასტროფული მდგომარეობის მთავარი მიზეზი ჩვენი აზრით წლების მანძილზე დაშვებული შეცდომები, ხარვეზები და სახელმწიფოს არასათანადო ყურადღებაა როგორც სასოფლო სამეურნეო წარმოების, ასევე ზოგადად სოფლის

პრობლემების კუთხით. აგრარული რეფორმის განხორციელების პროცესში დაშვებულ შეცდომად მივიჩნევთ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელაღებით დანგრევა-გაუქმებას. ბევრი გამართულად ფუნქციონირებადი და ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დამყარებული ვენახები, ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები გავერანდა, ინდუსტრიალიზებული მეცხოველეობის საწარმოები დაინგრა და განადგურდა. მიწის მსხვილი მასივები წვრილ ნაკვეთებად დანაწილდა და კერძო პირებს გადაეცა ისე, რომ არავითარი პირობები არ შექმნილა წარმოების ეფექტიანად წარმართვისათვის. მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გადაჭრული ღონისძიებების გატარება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სასოფლო სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აღიარებას სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში [7].

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება გახდა. 2013 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილმა 182.282 მლნ ლარმა და 1 მლრდ-იანმა ინვესტიციამ სათანადო ეფექტი მოგვცა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა. საბაზრო მოტივაციების შესაბამისად განისაზღვრა სოფლის მეურნეობის ძირითადი პრიორიტეტები: სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა; საწვავისა და შხამქიმიკატების გაიაფება; სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტექნიკისა და პესტიციდების შეღავათიან პირობებში მიღება; სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოების გაფართოება; ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოების შეღავათიანი დაკრედიტება, რომ ეს ქვედარგი მზად იყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლად; ყველა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ცენტრების გახსნა; როგორც კერძო ფერმერული მეურნეობის განვითარება ასევე გლეხური მეურნეობების კოოპერირება; აგრარულ სექტორში მწარმოებლურობის, რენტაბელურობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდა; მეცნიერულ – ტექნიკური მიღწევების და ინოვაციური პროექტების დანერგვა; გრძელვადიან პერიოდში მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა; აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება.

დღეისათვის აგროსამრეწველო კომპლექსში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ნახევარ მილიონზე მეტ მიწის მესაკუთრეს გადაეცა ბარათები (ვაუნჩერები) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად, განხორციელდა მიწის მესაკუთრეთა აღწერა, შეიქმნა საინფორმაციო ბაზა, შექმნილ იქნა 100-მდე ტრაქტორი, და 200-მდე სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 60 მილიონამდე ლარი. ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა, დაიწყო სამკომპონენტო კრედიტების გაცემა, რომლის საპროცენტო განაკვეთის უდიდესი ნაწილი დაიფარება „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან“. სოფლის მეურნეობის აღორძინება – განვითარებაში აქტიურად ჩაერთო საპარტნიორო ფონდი [8].

მართალია სოფლის მეურნეობის სფეროში გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ჩვენი აზრით, უახლოეს მომავალში საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირებასა და გამსხვილებას. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს დარგის ეფექტიან განვითარებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კოოპერატივების და ასოციაციების შექმნამ.
- სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კადრების მომზადების და გადამზადების საკითხი. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას აგრარულ სექტორში. მსოფლიოში მიმდინარე ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების ფონზე საქართველო განიცდის არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური აგრონომების, არამედ ტექნიკური (ტრაქტორისტები, კომბაინერები და ა. შ.) სპეციალისტების დეფიციტსაც.
- ბოლო წლებში ხელისუფლების მიერ შექმნილი ტექნიკის რაოდენობის ზრდის მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი ვერ აკმაყოფილებს ვერც რაოდენობრივ და ვერც ფუნქციონალურ მოთხოვნებს. ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაღალი ფასი ძირითადად განპირობებულია ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წილითა და მსოფლიო ტექნოლოგიური სიახლეების გამოუყენებლობით.

- სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა, ფერმერული მეურნეობების თესლითა და სარგავი მასალით უზრუნველყოფა. მეცხოველეობის, მემინდვრეობის, მეხილეობის თუ სხვა ნებისმიერი მიმართულების სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დღემდე ვერ ახერხებს თავი დააღწიოს მოჭადრობულ წრეს და ჯიუტად ცდილობს უკეთესი შედეგის მიღწევას თესლის განახლებისა და თესლბრუნვის ეფექტების გამოყენების გარეშე. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ჯერჯერობით არაეფექტიანია.
- არსებული ფერმერული და რეალურად დიდი უმრავლესობით გლეხური მეურნეობების მართვა ხორციელდება სტიქიურად და შესაბამისი ცოდნის გარეშე. როგორც სახელმწიფო ისე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით უნდა მოხდეს მათი შესაძლებლობების ზრდა და იმ ორიენტირების გამოკვეთა, რომელთა მიღწევა გახდება რეალური წარმატების საფუძველი.
- ქვეყნის სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის სოციალური მნიშვნელობა, მისი დამოკიდებულების მაღალი ხარისხი ბუნებრივ პირობებსა და სხვა გარე ფაქტორებზე განაპირობებს ამ სექტორში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი ჩარევა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დაზღვევა[9]. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი რისკების გამო აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა რეალური სადაზღვევო გარემოს შესაქმნელად. საჭიროა არა მარტო სადაზღვევო ბიზნესის წახალისება და მხარდაჭერა, არამედ ისეთი მეტეოროლოგიური სადგურებისა და სისტემების შექმნა, რომელიც დროული და კვალიფიციური ინფორმაციით უზრუნველყოფს ფერმერს და გამორიცხავს, როგორც ფერმერის ისე სადაზღვევო კომპანიის არაკომპეტენტურ, არამართლზომიერ ქმედებებს.
- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საბანკო სექტორის მხარდაჭერა იაფ და მრავალწლიან სასოფლო-სამეურნეო კრედიტების გაცემაზე და ფერმერთა მხარდაჭერა საგირავნო (იპოთეკურ) პრობლემათა მოსაგვარებლად. შემუშავებული მოდელი სრულად უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკას, არამედ ქვეყნის რეგიონული მოწყობის თავისებურებებს და მიტოვებული ტერიტორიების ათვისებას. ამ მხრივ პირველი პოზიტიური ნაბიჯები გადადგმულია, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას და სრულყოფას.
- სოფლის მეურნეობის სტიმულირებისა და განვითარების ქვაკუთხედად უნდა იქცეს საგადასახადო კანონმდებლობის კიდევ უფრო ლიბერალიზაცია და ქვეყნის საქსპორტო პოტენციალის განვითარებასთან ერთად შიდა ბაზრის დაცვა. საქართველოს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებიდან გამომდინარე, საჭიროა მოიძებნოს გზები ჩვენი შიდა ბაზრის ზღვარსგადასული ექსპანსიის შესაჩერებლად. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების ფარგლებში, მეზობელი ქვეყნების მსგავსად, უნდა მოინახოს რესურსები სოფლის მეურნეობის პირდაპირი და ირიბი სუბსიდირებისათვის.

ამრიგად, სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის საფუძველზე შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობა, რაც გააძლიერებს სახელმწიფოს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეშელაშვილი ო.. სოფლის მეურნეობა, წიგნში „საქართველოს ეკონომიკა“, თბ., 2012, გვ. 121.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. თბ., 2012, გვ. 12.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2003 წ., სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2004, გვ. 9.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა – 2012, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2013, გვ. 15.
5. Agrikulture Statistik 2008. United States Department of Agrikulture, National Agrikulture Statistik Service, WaSington, 2008.
6. ნარმანია დ., და სხვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები, თბ., 2012, გვ. 120.

7. მექვაბიშვილი ე., არჩვაძე ი. გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხე და საქართველოს აგრარული ეკონომიკა. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. შრომების კრებული. თსუ. თბ., 2012, გვ. 337-338.
8. მესხია ი. არშემდგარი პოლიტიკური კოჰაბიტაციის ეკონომიკური გამოწვევები. ჟ., „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2013, მაისი, გვ. 14.
9. შაბურიშვილი შ. აგრარული რისკების დაზღვევის უცხოური გამოცდილება საქართველოში. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. შრომების კრებული, თსუ. თბ., 2012, გვ. 494.

LEILA KADAGISHVILI

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor

SHOTA SHABURISHVILI

Iv. Javakhishvili Tbilisi State University Associate, Professor

**ANALYSIS OF THE CURRENT STATE OF AGRICULTURE IN GEORGIA
AND DEVELOPMENT TRENDS**

S u m m a r y

Historically, agriculture was an important guarantee for ensuring national security and economic independence of Georgia. Consequently, agricultural sector was regarded to be a strategic direction of the country at different stages of development. This field had special importance in Soviet period as well. Moreover, the contribution of agricultural sector was one third of the GDP. Based on retrospective analysis of agricultural development in transition period, three stages are indicated in the article. The first stage includes the period between 1991 and 1994, the second stage is the period from 1994 to 2003 and the third stage from 2004 to 2012.

At each of the above-mentioned stages, production of agricultural goods reduced. On the one hand, this was caused by carrying out improper agricultural policy and on the other hand by unqualified management and regulation of the sector. In recent years, the government reduced state support and service to agricultural sector to the minimum.

Since new government came into force on October 1, 2012, development of agriculture became one of the main priority of the state. 182.282 million GEL, allocated from the state budget of Georgia of 2013 and establishment of the one billion GEL fund for agricultural development had definite effect and some practical measures have been made in agriculture. Main priorities of agriculture have been identified according to market motivation.

Although, some positive efforts are made in agriculture, they are still not regular. From our point of view, it's necessary to develop a new strategy for agricultural development in the nearest future. The article suggests basic directions for agricultural development and concludes that with proper and scientifically proven strategy, it's possible to develop agriculture in Georgia. This will make the state stronger and improve living standards in the country.

ბიული ძეგლისათვის

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*

აგრარული სექტორის სახელმწიფო მართვა საქართველოში: რეალობა და პერსპექტივა

ეკონომიკის რეგულირებასა და მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკური, ორგანიზაციული და მმართველობითი ურთიერთობები. ნებისმიერი სახის საქმიანობა საჭიროებს მის ორგანიზებას, ანუ ცალკეული რგოლების, სტრუქტურების ფუნქციონირების შეთანხმებასა და მათ შორის კავშირის უზრუნველყოფას. ორგანიზაციული ურთიერთობები თავის მხრივ განაპირობებს ცალკეული რგოლის და თითოეული მუშაკის ადგილს, ფუნქციას, პასუხისმგებლობას, უფლებას და კონკრეტულ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და მმართველობით კავშირებს.

ტეილორისა და ვებერის შრომებში აღწერილი მენეჯმენტის მეთოდები, თავისი სიხისტისა და ბიუროკრატიულობის გამო ამჟამად უარყოფილია, რადგან იგი შეუსაბამოა მუშაობის თავისუფალი და მოქნილი სტილის მიმართ და ნაკლებ ყურადღებას უთმობს საზოგადოებასთან თანამშრომლობას. XXI საუკუნის დასაწყისში ევროკომისიამ გამოაქვეყნა თავისი ოფიციალური დოკუმენტი მართვის შესახებ. რატომ გახდა საჭირო ევროკავშირში მართვის ახალი კონცეფციის დამკვიდრება? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: პირველი, ევროპული კანონმდებლობის ამოქმედებისას გამოვლენილმა უამრავმა ხარვეზმა აიძულა ევროკომისია სხვა მეთოდები და მოდელები მოეძებნა; მეორე, ევროკომისია, როგორც ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი საერთოევროპული სახელმწიფოს სტრუქტურა, აღმოჩნდა პრობლემის წინაშე – ევროპის მოსახლეობისთვის „მისაღები“ გაეხდა ეს იდეა; მესამე, ევროკავშირის გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა გადაწყვეტილებების მიღების ახალი პროცედურის შემუშავების საკითხი, რომელიც საშუალებას მისცემდა ამ კავშირს ემუშავა 25-ზე მეტი წევრი სახელმწიფოს პირობებში. იმისთვის, რომ გავიგოთ, ტექნიკური თვალსაზრისით რას ნიშნავს ტერმინი „მართვა“, აუცილებელია ამოსავალ წერტილად ავიღოთ გადაწყვეტილებების

მიღებისა და მათი ამოქმედების კლასიკური პროცესი, რასაც ახლა „თანამეგობრობის კლასიკურ მეთოდს“ უწოდებენ.¹

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დარგთაშორისი კავშირების გაფართოებას, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამებას. დარგობრივი და ტერიტორიული მართვის შესაბამისი რეგიონული და სახელმწიფოებრივი დონის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სოფლის მეურნეობის მართვის ისეთი ფუნქციები, როგორცაა მიზნის განსაზღვრა, პროგნოზირება, ორგანიზაცია და კოორდინირება. ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მართვის ორგანოების ფუნქციონირების ისეთი ასპექტები, როგორცაა მმართველობაში იმ რგოლების როლის ამაღლება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევას და დანერგვას და სწავლებას, სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადაწყვეტას, მარკეტინგულ საქმიანობის გაუმჯობესებას, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. სწორედ ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით და სამინისტროს დებულებით. სამინისტრო ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მისი შესრულების კონტროლს. მისი დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტროს, როგორც სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის ორგანიზაციულ-იურიდიული რგოლის მმართველობის სფეროში შედის აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგები. სამინისტროს სისტემაში შედის: სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ერთიანობა ქმნის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები და საჯარო სამართლის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს და დამფუძნებლის უფლებამოსილებასაც ახორციელებს სამინისტრო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპით განვითარებას, ექსპორტისა და ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. სამინისტროს ამოცანებია:² სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიის შემუშავება, სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება, აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა, ქვეყანაში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა, საექსპორტო პოტენციალის გამოყენების, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელების ხელშეწყობა.

აგრარული სექტორის სახელმწიფო დონის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით ზემოთაღნიშნულ ამოცანათა შესრულება სამინისტროს შეუძლია მარეგულირებელი ფუნქციის 2 მიმართულებით განხორციელების შემთხვევაში: 1. ეკონომიკური რეგულირების, რაც გულისხმობს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივ რეგლამენტაციას კანონმდებლობის ფარგლებში და 2. ცალკეული საწარმოებისა და ბიზნესის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საქმიანობის რეგულირების. რადგან საბაზრო ურთიერთობა და მისი თავისებურებანი გავლენას ახდენს მენეჯმენტის პრინციპებზე, ამიტომ საბაზრო ურთიერთობათა სპეციფიკურ ფაქტორთა გათვალისწინება მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აუცილებელია. დასახეწვია სოფლად თვითმმართველობის სისტემა, წვრილგლეხური მეურნეობის ორგანიზაციული ფორმები, რომელთა სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა აუცილებელია..

¹ uropean civil services between tradition and reform.

² <http://moa.gov.ge>

საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი 8,3 %-ს შეადგენს. ეს მაშინ, როცა სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. არც მათ მიერ შექმნილი დოვლათია ამ მაჩვენებლის პროპორციული. საქართველოში დასაქმებულია 50% სოფლის მეურნეობაზე მოდის და მათი 17-18% დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მოქმედი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორების კვლევის შედეგად ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა აგრარული სექტორის ძირითადი მაჩვენებლები. 2004-2012 წლებში ნათესი ფართობი განახევრდა. შემცირდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის, კარტოფილის, ხილისა და ყურძნის მოსავალი - 50%-ით, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის - 60%-ით, სიმინდის - 70%-ით, ხორბლის - 80%-ით. შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობა. აღნიშნულ პერიოდში 50%-ით ნაკლები ხორცი და 25%-ით ნაკლები რძე იქნა წარმოებული, 5-ჯერ ნაკლები ხორბალი იქნა მოყვანილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც გამოწვეულია გაუარესებული ჯიშობრივი შემადგენლობით, ვეტერინალური მომსახურების დაბალი დონით, მინდვრად საკვებწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული უშუალოდ დაკავშირებული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასთან. გაუარესდა ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობა. სურსათის ძირითად სახეობებზე შემცირდა თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბალი, რომლის იმპორტი 3,7-ჯერ გაიზარდა. ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 24%-დან 9%-მდე შემცირდა. საქართველოს მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით 2012 წელს მოიხმარდა უფრო ნაკლებ პურს, ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, კვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, თაფლს და კვების სხვა პროდუქტს, ვიდრე 2003 წელს.

აღნიშნულმა მდგომარეობამ საქართველო იძულებითი იმპორტის მდგომარეობამდე მიიყვანა. 2012 წელს საქართველოში იმპორტირებული იყო 1050 მლნ. აშშ დოლარის სასურსათო პროდუქტები, მაშინ როდესაც ექსპორტმა მხოლოდ 211,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2004-2012 წლებში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი - მხოლოდ 2,5-ჯერ. ამის გამო, ადგილობრივ ბაზარზე ქართული აგრარული პროდუქციის ადგილი უცხოურმა იაფფასიანმა, უმეტეს შემთხვევაში, უხარისხო პროდუქციამ დაიკავა. დღეისათვის კი საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80% იმპორტირებულია.

აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებია: ¹

1. აგრარული სექტორის განვითარებისა და გაძღოლის სტრატეგიული პროგრამის შემუშავება, სადაც გამოყოფილი იქნება პრიორიტეტული დარგები და რეგიონულ დონეზე მისთვის დამახასიათებელი დარგობრივი მიმართულებები, საგარეუბნო, ბარის და სამთო მიწათმოქმედების ტიპებისათვის მისაღები დარგთა და კულტურათა შეთანაწყოების პროპორციები.
2. ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში „მწარმეთა შესახებ“, რის მიხედვითაც ცალკე ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმად უნდა გამოიყოს ფერმერული მეურნეობები;
3. სოფლის მეურნეობის კოოპერირებისა და ინტეგრაციის შესახებ კანონის მიღება;
4. სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების სერვის-ცენტრების შექმნა, სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმებით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს ტექნიკით, სასუქებით და შხამქიმიკატებით, მომსახურებითა და მომარაგებით;
5. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერება. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო პროგრამები, სადაც განსაზღვრული იქნება სახელმწიფო მხარდაჭერის და შესყიდვის მოცულობები;
6. ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტ შემცველი პროდუქციის წარმოებისათვის ხელის შეწყობა;
7. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა განახლების, მეთესლეობის განვითარების, მეცხოველეობის ჯიშური შემადგენლობის გაუმჯობესების და სანაშენე საქმიანობის მხარდაჭერა;
8. წვრილი ფერმერული მეურნეობების ბაზარზე ნებაყოფლობით კოოპერაციის შექმნისათვის ხელშეწყობა;
9. სადაზღვევო სისტემის განვითარებისა და ფერმერებისათვის სხვადასხვა ფორმის კრედიტების

¹ ო. ქეშელაშვილი, ბიზნესური ეკონომიკა, თბ., 2010, გვ. 333.

მიღების ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა;

10. შიდა სასურსათო ბაზრის დაცვის გაძლიერება როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული უხარისხო პროდუქციისაგან;
11. აგრარულ სექტორში მეცნიერული უზრუნველყოფის დონის ამაღლება და ფერმერთა სწავლების, კონსულტაციების და სამეცნიერო-საინფორმაციო სისტემის დანერგვა.

აგრარული წარმოების კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირების მოტივაციას. ეჭვგარეშეა, რომ მხოლოდ საჭირო ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმების დაბალანსებული შერწყმით მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანი მართვა, რაც საფუძველს უქმნის დაფინანსების ყველა სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გარანტირებულ რეალიზაციას.¹

დღეს ამ მიმართულებით მთავრობის მხრიდან გარკვეული ნაბიჯები იდგმება. სოფლის მეურნეობა გამოცხადებულია პრიორიტეტულ დარგად. 2013 წლის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 61%-ით გაიზარდა, შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომლის ეგიდითაც განხორციელდა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, განხორციელების პროცესში იმყოფება „შედავათიანი აგროკრედიტის“ პროექტი, დაიგეგმა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია, დაისახა კოოპერატივების შექმნის პერსპექტივები.

ცხადია, პატარ-პატარა მეურნეობები ვერ ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს. ამიტომ უცხოეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, გარკვეული ფორმით უნდა მოხდეს მათი გაერთიანება, მეურნეობების გამსხვილება და სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ნაკლებ მუშახელს მოითხოვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 ჰექტარ ფართობზე სიმინდის მოსაყვანად მხოლოდ ერთი ფერმერის ფიზიკური შრომაა საჭირო, საქართველოში კი სოფლად დასახლებული 700 ათასი ოჯახი თითო-თითო ჰექტარს, ანუ 700 ათას ჰექტარს ფლობს.

მომზადების ეტაპზე იმყოფება კანონი კოოპერაციების შესახებ. საქართველოსთვის კოოპერატივები პრიორიტეტულია მიწების გადანაწილების თვალსაზრისით. ჩვენთან 1 ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთი 3 მილიონ 500 ათას ერთეულს შეადგენს, რომელსაც სჭირდება კონსოლიდირება, ეტაპობრივი გაერთიანება, რათა წარმოება იყოს მომგებიანი კომერციული თვალსაზრისით.

საინტერესოა მოსახრებები მევენახეების კოოპერაციის შექმნის შესახებ, რომლის საკუთრებაშიც იქნება ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები, რაც ფერმერებს მოყვანილი პროდუქციის ჩაბარების პრობლემას მოუხსნის. იგეგმება ფერმერებისათვის დაბალპროცენტიანი (7-8%-ის ფარგლებში) შედავათიანი სესხების გაცემა.²

საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემაა მისი ოჯახური, ნატურალური ხასიათი. სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია მეურნეობათა გამსხვილება, სასოფლო-სამეურნეო მიწის მეორეული ბაზრის ამოქმედება და ევროპული ტიპის ფერმერული კოოპერატივების შექმნა, როგორც ეს, მაგალითად, საფრანგეთშია მიღებული.³ მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად კოოპერაცია თავის დამკვიდრებას სახელმწიფოს მხარდაჭერ პოლიტიკას უნდა უმაღლედეს, რიგ განვითარებულ ქვეყნებში კოოპერატიული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მიდგომებში, მთელი რიგი განსხვავებები შეინიშნება. ამ განსხვავებების ერთ-ერთი მაგალითია საფრანგეთი. საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ყველაზე უფრო მასშტაბური სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ტარდება, სახელმწიფო აქტიურად ერევა კოოპერატივების საქმიანობაში, იმ თვალსაზრისით, რომ საგადასახადო შედავათებით არ ისარგებლონ არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა. საფრანგეთში კოოპერატივების საქმიანობა ხელისუფლების მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება. საფრანგეთის გარდა, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ მოითხოვება ადმინისტრაციული ნებართვა კოოპერატივის შექმნისა და რეგისტრაციისათვის. „ასეთი პროცესები მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, ყველგან სახელმწიფოს მარეგულირებელი და ხელშემწყობი პოლიტიკით წარმართა. სახელმწიფომ უნდა წარმართოს მათი ინტერესები როლი. კოოპერაცია დასაქმებისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის ერთ-ერთი საშუალებაა, სახელმწიფომ სოფლად კოოპერატიული მოძრაობის პროვოცირება უნდა მოახდინოს“.⁴

დასავლეთის ქვეყნები აგრარულ სექტორს მილიარდობით დოლარით ეხმარებიან, ანუ სოფლის მეურნეობა მთლიანად სუფსიდირებულია და უფრო მეტად იმ ქვეყნებში, რომლებსაც არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები აქვთ. ჩვენთვის აუცილებელია როგორც სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, ისე საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.

¹ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=13132

² <http://www.radiotavisupleba.ge/content/soflis-meurneoba/24808080.html>

³ ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ, 2011, გვ.132.

⁴ <http://www.bfm.ge/village/5989-kooperativi.html>

„სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის მისივე საერთაშორისო კომერციულ სტრატეგიასთან. ჩვენთან ისეთი პროდუქტი უნდა იყოს წარმოებული და შესაბამისად დამატებითი ღირებულება შექმნილი, რომლებშიც საქართველოს შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია (მაგალითად, ხილი, ღვინო), ქართველი ფერმერები კი ძირითადად არაპერსპექტიულ პროდუქციას აწარმოებენ, როგორც ხორბალი, ან კარტოფილი და რომელშიც ქვეყანას შეფარდებითი უპირატესობა არ გააჩნია.“¹

პოლონეთში სახელმწიფო პოლიტიკის სფეროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო, საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციონირება. ამასთან დაკავშირებით შექმნილია კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კავშირების განვითარებას, საინფორმაციო ქსელის უზრუნველყოფას, სოფლის ახალგაზრდობის გააქტიურებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები მჭიდრო კავშირშია კვლევით ცენტრებთან, განათლების სამინისტროსთან და სხვა ორგანიზაციებთან. მისი ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში სოფლის მოსახლეობის დახმარება და რაიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება. პოლონეთის ამ გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ფორმირების პროცესში მყოფი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. მართვის სხვადასხვა დონეზე უნდა შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკის ეფექტიანობას, ყველა სუბიექტის ინტერესის დაცვასა და ეკონომიკურ სტაბილურობას. აგრარული სექტორის ეფექტიანი მენეჯმენტი მოითხოვს ევროპული ფონდების პოლიტიკასთან განვითარებისა და დაგეგმვის ინსტრუმენტების კოორდინაციას, რაც გულისხმობს განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. სტრატეგია წარმოადგენს იმ დასაყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება არსებული სიძნელეების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება. სტრატეგიის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებად საზოგადოებრივი განხილვისა და ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენება მიმაჩნია, რაც ერთის მხრივ, გეგმის მომზადებაში მოსახლეობის მაქსიმალურ მონაწილეობას უზრუნველყოფს, ხოლო მეორეს მხრივ კომპეტენტური ექსპერტების შეფასებებს დაეყრდნობა. ეს ხელს შეუწყობს გეგმის განვითარებას.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია საქართველოს აგრარული სექტორის მართვის ისეთი სტრუქტურის შექმნა, სადაც შესაძლებელი გახდება საბაზრო ეკონომიკის ისეთი სამსახურების ჩამოყალიბება, რომლებიც გაერთიანდებიან ერთ სისტემად ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ინტერესების მიხედვით და შესაძლებელი გახდება მათი ეფექტიანი ფუნქციონირება ერთიანი, კოორდინირებული აგრარული პოლიტიკისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში.

GIULI KESHELASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

STATE REGULATION OF AGRARIAN SECTOR IN GEORGIA: REALITY AND PERSPECTS

S u m m a r y

Work offers discussion of the role and significance economic, organizational and managerial relations in regulation and management of agriculture. It provides analysis of the organizational-economic factors affecting agricultural production.

On the basis of the analysis the measures for expansion of the farms, operation of the secondary market of agricultural land and creation of European-type farm cooperatives are stated. On the example of Georgia, there is demonstrated that effective management of agrarian sector requires coordination of the development and planning instruments with the European funds' policies. This would increase effectiveness of implementation of the state support program in the agriculture sector.

შეთევან ჭავჭავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკის აკადემიური

მამუკა ხუშკიანი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

აბრეშვიტის ბავლენა რეგიონების აბრეშვიტის პოლიტიკაზე

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აღორძინებისა და რეგიონების შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად ამჟამად მეურნეობის განვითარების ისეთი ახალი გზების დანერგვა

¹ ქრისტოფერ კორდონი, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, თბ, 2005, დეკემბერი, გვ. 81.

შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც აქამდე უცნობი იყო სოფლის მეურნეობის წარმოებაში. ერთ-ერთი ასეთი გზა ტურიზმის დარგის განვითარებაა, რომელიც მსოფლიოში განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების ეკონომიკური კატეგორია. ეს დარგი დიდ როლს ასრულებს მსოფლიო მეურნეობის განვითარებასა და მის ფორმირებაში. ტურიზმი მსოფლიოში ითვლება სწრაფანაზღაურებად და მაღალშემოსავლიან დარგად. „სწრაფი ბრუნვის“ შემთხვევაში მისი რენტაბელობა 100% აღწევს, ხოლო ინვესტიციებზე დანახარჯების ამოგება 2 წელიწადში შეიძლება. მას შემოსავლების მიხედვით მესამე ადგილი უკავია, ჩამორჩება მხოლოდ ნავთობითა და იარაღით მოვაჭრე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნების შემოსავლებს, რითაც მოწინავე პოზიცია დაიკავა მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურაში. ამის საუკეთესო მაგალითია თურქეთი, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მაღალგანვითარებულ ტურისტულ ქვეყნად გადაიქცა.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებას, შემოსავლების ზრდას, მოახდენს კაპიტალდაბანდების სტიმულირებას, შექმნის მცირე და მსხვილი საწარმოების განვითარების შესაძლებლობას. ეს დარგი ხელს შეუწყობს ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას და ა. შ..

ქვეყანაში ტურიზმის განვითარება უნდა დაეფუძნოს უპირატესად ტურიზმის იმ სახეებსა და ფორმებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის რეგიონული აგროეკონომიკის განვითარებას. სოფლის მეურნეობის განვითარებასა, სპეციფიკურ, თანამედროვე მოდელისა და მომავლის ხედვის შესაბამისი ხელშეწყობისათვის ყველაზე პროგრესულ ფორმად ჩვენ მიგვაჩნია აგროტურიზმი. რომელიც, აგროეკონომიკის ტრადიციული შემადგენელი ნაწილია. ის ევროპის კონტინენტზე, სოფლის მეურნეობის ცუდი განვითარების პირობებშიც კი საუკეთესოდ განვითარდა. აგროტურიზმის შემდგომი განვითარება ბევრად არის დაკავშირებული რეგიონებში აგროეკონომიკის მდგრად განვითარებასთან, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს ძირითადი დარგების დაფინანსებების მდგრადი წყაროების არსებობასა და სოფლის დამხმარე დარგების განვითარებას. როგორც ცნობილია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ფინანსური რესურსების მკვეთრი დეფიციტი. ამ კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კი ეფექტური, სწრაფუკუგებადი დარგების განვითარება. ამ შემთხვევაში აგროტურიზმი გვევლინება როგორც აგროეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო მიმართულება, რომელიც სხვა ტურისტული მიმართულებებისაგან გამოირჩევა თავისი სპეციფიკურობით (კვება და განთავსება). კერძოდ, ტურისტებს დასვენება შეუძლიათ მინიმალური დანახარჯებით გლეხურ სახლებში, აგროტურისტულ სოფელში, ცენტრში და აგროტურისტულ კომპლექსში, სადაც მასპინძლები ითავსებენ მიმტანებისა და მზარეულების ფუნქციებს, სტუმრები მიირთმევენ შინაურ ყველს, ხორცს, ადგილობრივ ღვინოს, სხვადასხვა ტრადიციულ კერძს; ბავშვებისათვის მუშავდება ცალკე სპეციალური პროგრამები, სტუმრები პარალელურად ეცნობიან ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წეს-ჩვეულებებს და მონაწილეობას იღებენ ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ კვება სოფელად 2-2,5 –ჯერ უფრო იაფი ჯდება (შუამავლების გარეშე), ვიდრე ქალაქში. ასევე იაფია განთავსების საშუალებები, განსაკუთრებით ზაფხულში, რაც თითქმის ორჯერ ამცირებს საგზურის ფასებსაც. შესაბამისად დასვენების ეს ფორმა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომი და სასურველი ხდება.

აგროტურისტული კომპლექსი წარმოადგენს აგროსამრეწველო და ტურისტული კომპლექსების ერთობლიობას, სადაც აგროტურიზმი მათი დამაკავშირებელი რგოლია.

რეგიონულ ეკონომიკაში აგროტურისტული კომპლექსები ახალი მოვლენაა, და წარმოადგენს სისტემას, რომელიც აერთიანებს სასოფლო სამეურნეო სამრეწველო და სოციალური სფეროს ტურიზმს. მას შეუძლია კერძო მეწარმეს მოუტანოს მაქსიმალური მოგება და გადაწყვიტოს მისი სოციალური პრობლემები. ამ კომპლექსში გაერთიანებულია ის სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწები, გადამამუშავებელი საწარმოები და ინფრასტრუქტურა (გზები, ტრანსპორტი და სხვა), რომლებიც განლაგებულია სოფლის ტერიტორიაზე, აგრეთვე ტურისტული მნიშვნელობის მატარებელი ბუნებრივი რესურსები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები (საქართველოში 12 000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლია, 2400 მინერალური სამკურნალო წყალი, 150 მუზეუმი, 182 კურორტი, 19 ნაკრძალი და 7 ეროვნული პარკი. ქვეყანაში თავმოყრილია მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა სამედიცინო კურორტის ანალოგი სამკურნალო წყალი).

რეგიონული აგროტურისტული კომპლექსი მოიცავს ასევე მომსახურების სფეროს, რომელიც სოციალური სფეროს შემადგენელი ნაწილია მონათესავე ისეთ ქვედარგებთან ერთად როგორიცაა ჯანდაცვა, კულტურა, საბინაო სფერო, ვაჭრობა, ტრანსპორტი, განათლების სფერო. ტურისტული მომსახურების მოთხოვნილება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მოსახლეობის შემოსავლების დონესთან და გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების მაჩვენებელთან (სამწუხაროდ ამჟამად საქართველოში შეიმჩნევა გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების შემცირება, უფრო მეტიც, საექსპერტო მონაცემებით, იზრდება ტურისტული მომსახურების მდიდარ და ღარიბ მომხმარებლის

დიფერენციაცია, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ტურისტული სისტემის განვითარებაზე). ტურიზმის სისტემაში ის ნიშნავს მოტივირებულ შესაძლებლობას შეიძინო განსაზღვრული დროით ტურისტული პროდუქტი. მანვენებლის სიდიდეზე გავლენას ახდენს: მომხმარებლის ფულადი შემოსავლები; ტურისტული პროდუქტის ფასი, მისი სარგებლიანობის ხარისხი, რეკლამა, მიყიდველთა რაოდენობა და სხვა. ყველაზე დიდ გავლენას ახდენს პირველი ორი ფაქტორი. ტურიზმის განვითარება რეგიონებში ხშირად ასოცირდება რეკრეაციული ზონების განვითარებასთან. აგროტურიზმი ტურისტული ინდუსტრიის ის სექტორია, რომელიც ორიენტირებულია სოფლის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა სპეციფიკური რესურსებით – კომპლექსური, რაციონალური და მდგრადი ტურისტული პაკეტის შექმნაზე და სხვა.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება იყოს: ეკონომიკური, სოციალურ-დამოგრაფიული, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და სხვა. აგროტურიზმის განვითარებისას პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა, მის ეროვნული შემოსავლის მოცულობასა და მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას შორის.

აგროტურიზმის განვითარებას თან ახლავს თავისებურება, რომელიც მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი და ამდენად განსაკუთრებით მიმზიდველია ტურისტებისათვის. აგროტურიზმის მოდელებიდან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მოდელი, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს სასოფლო რაიონების განვითარებას:

პირველი მოდელი დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც კრიზისის გავლენით მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაყვანა აგროტურისტულ საქმიანობაზე და აგროტურიზმი გახდა აგროსამრეწველო კომპლექსიდან მომსახურების სფეროში მუშახელის გადამყვანი ფუნქციის შემსრულებელი. ასეთი სიტუაცია ტიპურია იტალიისა და საფრანგეთისთვის. ესპანეთში უპირატესობა ენიჭება ტურისტების განთავსებას ფერმერულ მეურნეობებში ცალკეული ოთახების დაქირავების გზით და ა.შ.

მეორე მოდელი დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც საერთაშორისო ტურიზმი წარმოადგენს ქვეყნის სპეციალიზაციის დარგს. კიდევ უფრო წარმატებით რომ განვითარდეს ტურიზმი საჭიროა მისი სრულყოფა და დივერსიფიცირება. ეს მოდელი ტიპურია კვიპროსისათვის, სადაც აგროტურიზმს შეუძლია ტურისტთა ნაკადი გადაისროლოს ახალ (არაზღვისპირა) რაიონებში.

მესამე მოდელი დამახასიათებელია ტროპიკული ქვეყნებისათვის, სადაც აგროტურიზმის განვითარება ხდება სასოფლო სამეურნეო პარკების შექმნის გზით, ამით პროპაგანდას უწყვენ ადგილობრივ ხელოსნობას, რეწვას, სოფლად ცხოვრების წესს. ასეთია შრი-ლანკა, სადაც ოკეანის სანაპიროდან დაშორებით, სოფელ ადგილას მოქმედებს ეგრეთ წოდებული კულტურული ცენტრი VIP-სოფელი, რომელიც რეკლამას უკეთებს სოფლად ცხოვრების წესს. მაღაიზაში აგროტურიზმის განვითარება ორიენტირებულია სასოფლო სამეურნეო ცენტრების შექმნაზე, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანიზაციას, პროპაგანდას უწევს სოფლის მეურნეობას და ტურიზმის მეშვეობით დიდ მოგებას იღებს.

მისი განვითარების ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. რეგიონში არსებული ტურისტული რესურსები;
2. ტურისტების განთავსების საშუალებები;
3. აგროტურიზმის მასტიმულირებელი სამართლებრივი და საორგანიზაციო-ფინანსური ღონისძიებები.

ტურიზმი, როგორც კომპლექსური ეკონომიკური კატეგორია, თავის თავში მოიცავს მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთ კავშირებს. მოთხოვნა მოიცავს შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებს; ხოლო მიწოდება – ტურისტულ ობიექტებს, ტურისტულ ინფრასტრუქტურას და იქ გაწეულ მომსახურებას, ღირშესანიშნაობების და დასვენების სხვადასხვა ფორმებს, სატრანსპორტო და სარეკლამო-საინფორმაციო საშუალებებს და ა.შ. აგროტურიზმის ბაზარიც წარმოადგენს ტურიზმის საბაზრო მეურნეობის კომპონენტს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საბაზრო ურთიერთობების ყველა იმ მოთხოვნას, როგორცაა 1. კერძო საკუთრება, 2. ეკონომიკური თავისუფლება და 3. შრომის დანაწილება.

აგროტურიზმს შეუძლია სიცოცხლე დაუბრუნოს სოფლებს, რომლებიც დაცარიელდნენ და მიტოვებული არიან მიგრაციის და სხვა ბუნებრივი მიზეზების გამო (მაგ. მეწყერი, ეროზიული პროცესები და სხვა.)

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში აგროტურიზმის განვითარება სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მაქსიმალური ეფექტის მომცემია იმ შემთხვევაში თუ დარგის განვითარება წარიმართება არა სპონტანურად, არამედ ადგილობრივი რეგიონული, ეროვნული ან სართაშორისო დონეზე შემუშავებული გრძელვადიანი, თანმიმდევრული სტრატეგიული პროგრამებით და გეგმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში აგროტურიზმის განვითარების ლოკალური პროექტები თანამედროვე პირობებში ფინანსური რესურსების სიმცირის გამო გამოიწვევს ნელ და რთულ თვითღინებად განვითარებას. ქვეყანაში ტურიზმის განვითარება ხომ ისედაც ქაოტურად, თვითღინებით, რეკორდულად მცირე დროში დაიწყო, ტურისტულ რეგიონების (სიღნაღი, ქუთაისისა და მცხეთის რესტავირებული ძველი ძეგლები, მესტია და აჭარაში ახალი სამთო-სათხილამურო კომპლექსები, სათაფლია და პრომეთეს მღვიმეები, განახლებული ბათუმი, გუდაურში ახალი საინვესტიციო პროექტები, სოფელი ანაკლია) განვითარების განხორციელებულ პროექტებში სახელმწიფოს მხრიდან დიდი თანხებიც ჩაიდო, მაგრამ სამწუხაროდ სახელმწიფოს არ შეუშუშავებია მათი განვითარების შემდგომი გრძელვადიანი, თანმიმდევრული გეგმა, რაც მაღევე აისახა უმეტეს ტურისტულ რეგიონებზე. მაგ. სიყვარულის ქალაქ სიღნაღზე, რომელიც ნელ-ნელა კარგავს თავის ტურისტულ ფუნქციას.

აგრარული ტურიზმის სექტორი მეტად მრავალფეროვანია და ყველა ტურისტულ ქვეყანას მისთვის დამახასიათებელი აგროტურისტული პროდუქტის სპეციფიკა გააჩნია, რომლის გათვალისწინება აუცილებელია აგროტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. დასავლეთ ევროპაში მისი წარმატებული განვითარება განპირობებულია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება – გადამუშავების ხელშეწყობით. რაც საქართველოში არ ხდება, ამიტომ ჩვენი ქვეყნისათვის უფრო ლოგიკური იქნება სოფლის მეურნეობის წარმოებისა და აგროტურიზმის ერთობლივად განვითარება, რამდენადაც ადგილზე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ფასები ბევრად დაბალია, ქალაქის საცალო ვაჭრობის ფასებთან შედარებით, ამიტომ თუ რეგიონებში გაწეული მომსახურება გაერთიანდება ადგილზე წარმოებულ სასოფლო სამეურნეო საკვები პროდუქციის გასაყიდ ფასთან, მაშინ ბაზარზე მივიღებთ მაღალ კონკურენტუნარიან იაფ ტურპროდუქტს. ასეთი ტიპის ერთობლივი წარმოება მაღალრენტაბელურია, იმ შემთხვევაშიც კი თუ ერთერთი კომპონენტის წარმოება მეტნაკლებად წამგებიანია.

აგროტურიზმის განვითარება როგორც პირდაპ, ისე ირიბად არის დაკავშირებული რეგიონებში სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი წარმოების აღდგენასა და განვითარებასთან.

აგროტურიზმის განვითარების ეფექტიანობას განაპირობებს 1 ჰა მიწის ფართობიდან მიღებული შემოსავალი, ეს კი შეიძლება გათვალისწინებული იყოს იმ რეგიონებში, სადაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეიძლება გამოყენებული იყოს ტურისტული მიზნით, მითუმეტეს თუ მასზე არსებობს რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ტურისტული ღირშესანიშნაობა.

აგროტურიზმმა განვითარება დაიწყო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ძირეული ცვლილებების გამო (სოფლის მეურნეობის წარმოების კრიზისი, ტურპროდუქტების მორალური ცვეთა და მისი მოდერნიზაციის აუცილებლობა), ასევე საზოგადოებაში სოციალური ძვრების გამოც – ქონებრივი დაყოფა. აგროტურიზმის განვითარების ფაქტორად წარმოგვიდგა რესურსების არსებობა საზღვრისპირა რაიონებში და იმ ქვეყნებთან სიახლოვე სადაც არის სხვა სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე.

აგროტურიზმის განვითარების ერთერთი ფაქტორი შეიძლება იყოს ტენდენცია სოფლის არაფერმერული ეკონომიკის ფორმირების მიმართულება. მას შემდეგ რაც ფერმებში მოხდა ტექნიკური ინოვაციები, რომელმაც გაზარდა შრომის მწარმოებლურობა, გამოანთავისუფლა მუშახელი, რომელიც გადანაწილდა არაფერმერულ სექტორში. სოფლის არაფერმერული ეკონომიკა ქმნის 30-50% შემოსავალს, რომლის პროცენტული სიდიდე მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება.

ამავე დროს აგროტურიზმს შეუძლია იმ კულტურული ტურისტული პოტენციალის ობიექტების რეალიზება ტურისტულ პროგრამაში, რომლებიც რეგიონთან ან სოფელთან ახლოს დიდ ქალაქებში მდებარეობს. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი გასვლითი ტურებით მუშაობისაგან თავისუფალ დროს. ასეთ შემთხვევაში აგროტურიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური ტურიზმის ერთერთი სახეობა.

აგროტურიზმის განვითარება მოსახლეობას დააინტერესებს იმაში, რომ მათ ხელი მიჰყონ სამრეწველო მიზნით გარეული ფრინველებისა და ნადირის მოშენებას შიდა მეურნეობებში, შემდგომ კი ტურისტებისათვის და დამსვენებლებისათვის გამართონ ნადირობის ტურები, ამ სამეურნეო საქმიანობამ საკმაო გავრცელება ჰპოვა ყოფილ იუგოსლავიაში, კანადაში, ავსტრიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში, რამაც ხელი შეუწყო მათი სამეწარმეო შემოსავლების ზრდას (საერთო

შემოსავლიანობის დონე 50-70% აღწევს). ასევე, საინტერესოა დამსვენებლებისათვის თევზჭერის, საცხენოსნო, სოკოსა და კენკრის კრეფის ტურების შეთავაზება.

არატრადიციული სამეურნეო ფორმების განვითარება (ნადირობის, მეთევზეობის, წყლის, საცხენოსნო ტურიზმი და სხვა.) და შეღავათიანი კრედიტები ტურისტულ ბიზნესში ქმნის ერთგვარ კონკურენტუნარიან გარემოს აგროტურიზმსა და დღეს მონოპოლიურად ფუნქციურ საოჯახო ტურიზმსა და პანსიონატებს შორის, სადაც აგროტურიზმი წამყვან პოზიციასაც იკავებს.

აგრარულ სექტორში კრედიტების აღების შეღავათიანი პირობები და აგრარულ ბიზნესში ჩართული ისეთი კომერციული სტრუქტურების შექმნა, რომლებიც (სახელმწიფო, კერძო ბანკები, კერძო პირები, უცხოელი ინვესტორები) შეღავათიან პირობებში შეძლებენ მოიზიდონ გრძელვადიანი სესხები და ამ კრედიტების, ინვესტიციების აგროსექტორში ჩადებით განაპირობონ არა მარტო აგროტურიზმის ეფექტიანობა, არამედ მთლიანად აგროტურისტული კომპლექსის წარმატებული განვითარება. სოფლად ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რეკრეაციული ზონებისა და პარკების შექმნას, რაც განაპირობებს სუფთა ეკოლოგიური ტურისტული პროდუქტის გაჩენას. აგრარული ტურიზმის განვითარების დროს წარმოქმნილი ახალი სამომხმარებლო ღირებულების შექმნა ხელს უწყობს დიდი რაოდენობით დამატებითი სარეალიზაციო საკვები პროდუქციის ფორმირებას, არსებული აგროტექნოლოგიების გაუმჯობესებას, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ზრდას. მაგ. 3 – 3 წევრიანი 5 უცხოელი ტურისტული ოჯახი, საშუალო ანაზღაურების პირობებში, უშუალოდ აგროტურიზმის სექტორში, ზაფხულის სეზონზე ხარჯავს 100 ათას დოლარს.

აგროტურიზმის განვითარებას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ფინანსურ პოლოტიკაშიც (საგზურებზე ფასების დაწვევა შიდა ტურისტულ ბაზარზე, ფასების კლება მომსახურეობაზე და ა.შ.), ჩატარდეს სამეცნიერო კვლევები და მოხდეს მათი განხორციელება (ტურიზმის განვითარების პროექტების შექმნა კონკრეტული რეგიონებისათვის) და ასევე განაპირობოს კადრების გადამზადება. სხვადასხვა ტურისტული პრობლემების გადაჭრისათვის ერთერთ აუცილებელ პირობას აგროტურიზმის სფეროში დასაქმებული მუშაკების პროფესიული დონის ამაღლება წარმოადგენს.

ტურიზმის დარგობრივი სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. სოციალ-ეკონომიკური ობიექტების თეორიული კლასიფიკაციის გაფართოებული მეთოდის მიხედვით განარჩევენ შემომყვან და გამყვან ტურიზმს, სოციალურ (სუბსიდირებულ) და კომერციულ ტურიზმს. ასევე შეიძლება გამოიყოს ტურიზმის ისეთი სახეები, როგორიცაა აგრარული და საქალაქო (ურბანიზებული) ტურიზმი. გაცილებით უფრო გავრცელებულია საქალაქო ტურიზმის ფორმები მაგ. საქესკურსო ტურიზმი, სამუხუემო ტურიზმი და სხვა. აგროტურიზმი როგორც დამოუკიდებელი ტურისტული მიმართულება 1972 წლების შემდეგ ჩამოყალიბდა.

საქართველოში აგროტურიზმის კონკურენტული უპირატესობა შეუწყობს ხელს ისეთი გარკვეული აგროეკონომიკური ბაზრების შექმნას, რომელიც საქართველოში დაწვეს ფასებს შიდა ტურისტულ ბაზარზე, რაც სოციალური ტურიზმის განვითარების პირობას შექმნის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ამოცანას რეგიონული განვითარება წარმოადგენს. ჩვენი რეგიონების უდიდესი ტურისტული პოტენციალი საშუალებას იძლევა, რომ წარმატებით განვავითაროთ აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ეკოტურიზმი, ეგზოტიკური ტურიზმი, სათავგასასვლო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, და სხვა.

საქართველოს ტერიტორიის 54,4% ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ქვეყნის ტერიტორიის 2/3 სოფელს უკავია. ბოლო წლების მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის 47% სოფლის მოსახლეობაზე მოდის, ხოლო 40% უშუალოდ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. ამასთანავე მთისა და მაღალმთიანი ზონის ეკონომიკურ განვითარებაში ადგილობრივი არაინტენსიური ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას და ტრადიციებს, კულტურას, სტუმართმასპინძლობას, უნიკალურ ფლორასა და ფაუნას, კლიმატს, სამკურნალო წყლებს, უღამაზეს საცხოვრებელ გარემოს აგროტურიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყოველი კუთხის ინდივიდუალური უნიკალურობა (განსხვავებული ტრადიციები, რესურსული პოტენციალი, სოციალ-ეკონომიკური პირობებით დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტები) და იაფი, სოფლის ცხოვრების წეს-ჩვეულებების მცოდნე შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება იძლევა საშუალებას ქვეყანაში აგროტურიზმის მრავალფეროვანი ფორმების განვითარებისათვის.

დღეს საქართველოს რეგიონების არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მდგომარეობა და დაბალი შემოსავლების გამო ახალგაზრდების მიერ მიტოვებული სოფლებისათვის აგროტურიზმის განვითარება საუკეთესო საშუალებაა, როგორც მეორადი, დამატებითი საქმიანობა, რომელსაც დაბალი ინვესტიციების პირობებშიც კი შეუძლია შეამსუბუქოს მოსახლეობის ცხოვრების პირობები და გაზარდოს დამატებითი შემოსავლები.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს რეგიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ არის ინფორმირებული თუ რას წარმოადგენს ტურიზმის ინდუსტრია და მითუმეტეს აგროტურიზმი. სამწუხაროდ არც სახელმწიფო იყო დაინტერესებული იმით, რომ მოსახლეობისათვის შეემსუბუქებინა მიმდებარე ეკონომიკური პირობები და შეეთავაზებინა მისთვის

სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდები, თუნდაც აგროტურიზმის განვითარება და მასში მოსახლეობის აქტიური ჩართვა, რაც გააუმჯობესებდა მოსახლეობის ცხოვრების პირობებს და შემოსავლებს.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარება ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ამიტომ ამ ეტაპზე ის ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის აშუაშინდელი აგროეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფას, მაგრამ დღევანდელი სამთავრობო პოლიტიკიდან გამომდინარე, როდესაც მართლაც პრიორიტეტული გახდა სოფლის მეურნეობის რეანიმაცია, მაგრამ ამ პროცესის აგროტურიზმის განვითარებასთან ურთიერთ დინამიურ პირობებში წარმართვის შემთხვევაში, დადებითი შედეგებიც არ დააყოვნებს. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ აგროტურიზმი სშირად მდგრადი აგროეკონომიკის წარმატებული განვითარების თანმდევი ტრადიციული შემადგენელი ნაწილია. საქართველოში აგროტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია:

1. საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა სოფლად. კერძოდ, ეფექტური მიწის ბაზრის ფორმირება. საქართველოში დღეს მიწის საბაზრო ურთიერთობების მოწესრიგება ერთერთი უმთავრესი მტკივნეული საკითხია. სარეკრეაციო მიწებს განეკუთვნება დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები, ადკვეთილები, ბუნებრივ პარკები, ტყეპარკები და ა.შ.), რაც შეეხება აგროტურისტულ მეურნეობებს, ეს არის წმინდა კერძოსაკუთრებითი მიწათმოქმედება, რომელთა შესახებ კანონმდებლობა არ არსებობს;
2. ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ერთერთ ობიექტად აგროტურიზმის გადაქცევა.
3. (ე.ი. საჭიროა სახელმწიფო დონეზე აგროტურიზმის ერთერთ პრორიტეტულ მიმართულებად აღიარება);
4. აგროტურისტული კომპლექსების შექმნა;
5. აგროტურისტული კომპანიების ან აგროტურისტული მეურნეობების ასოციაციების შექმნა, რომლებიც ტურისტულ სააგენტოებს ტურისტებთან დააკავშირებს, ასევე გაითვალისწინებს როგორც სახელმწიფოს, ისე სუბიექტების საბაზრო ინტერესებს. მაკორდინირებელმა ორგანიზაციებმა ტურპროდუქტის რეკლამისათვის უნდა გამოიყენონ თანამედროვე საშუალებები, საინფორმაციო კატალოგები, მიიღონ მონაწილეობა ტურისტულ გამოფენებში და ა.შ.;
6. აგროტურიზმის მომსახურების სფეროს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც გამოყენებულია თანამედროვე მარკეტინგის საშუალებები, ინტერნეტ-ტექნოლოგიები და სხვა.
7. აგროტურისტული მეურნეობების მხარდასაჭერად შეღავათიანი გადასახადებისა და სუბსიდიების დაწესება, შეღავათიანი კრედიტების გაცემა და სხვა..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Воскрсенский В.Ю. МЕЖДУНАРОДНЫЙ ТУРИЗМ, второе издание, Москва 2008
2. timebiz.ru/813Особенности развития и роль аграрного туризма в структуре региональной экономики. Понедельник, Сентябрь 27th, 2010.
3. "Организационно-экономические основы развития аграрного ...
4. www.dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/1/116.php
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული თბილისი 2009.
6. ლობჯანიძე მ. აგროტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და გადაჭრის გზები, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი 2011
8. ხარაიშვილი ე. სასურსათო პოტენციალი და აგროტურიზმის განვითარების პრიორიტეტები აჭარის მაღალმთიანეთში, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი 2011

KETEVAN KVELADZE

Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academic Doctor of Economics

MAMUKA KHUSKIVADZE

Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academic Doctor of Economics

AGRITOURISM IMPACT OF THE POLICY ON AGRO-ECONOMIC

S u m m a r y

Georgia tourism development should be mainly those species and areas of tourism, which will contribute to the development of the country agro-economic. In this direction we consider agro-tourism, which provides employment for local residents, Their socio - economic conditions of the additional revenue growth. The article discusses the Agro-

tourism as an economic category and emphasizes its importance in the development of the country's regions agro-economic policy , Agro-tourism is defined As a part of the complex agro-tourism, The development of the necessary conditions and factors, Which contribute to its development in Georgia.

აიღა ძიტაშვილი-კვაჭანტირაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ორბანული პროდუქციის ბაზრის განვითარების ტენდენციები: ანალიზი და რეკომენდაციები

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ექსპერტული შეფასებებით, საშუალოდ 80-90 მილიონამდეა წელიწადში. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2012 წლისთვის, სავარაუდოდ მახვენებელმა 7 მილიარდს მიაღწია და მოსალოდნელია 21-ე საუკუნის მეორე ნახევრამდე მისი ზრდა 9,3-10 მილიარდამდეც. თუმცა სახეზეა წლიური ზრდის ტემპის შემცირება, თუ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საშუალოდ 2,1%-ს შეადგენდა, დღეის მონაცემებით საშუალოდ 1,3%-მდეა შემცირებული [6].

მოგვეხსენება, თანამედროვე მსოფლიოში დაგროვდა უამრავი ეკოლოგიური პრობლემა, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების მარაგების შემცირების საფრთხეა. ეს მიმე ტვირთად აწევს მსოფლიოს ეკონომიკურ და სასურსათო უსაფრთხოებას, რადგან იზრდება მოთხოვნილება სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების მიმართ, რომელთა მარაგებიც სულ უფრო მცირდება და დეფიციტური ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკის მატერიალური ბაზისი ჯერ კიდევ მყარად დგას ნავთობსა და ქიმიურ მრეწველობაზე, არსებობს კითხვები, თუ რა გზას უნდა დაადგეს მსოფლიო სამრეწველო ინდუსტრია, რომ მომზადებული შეხვდეს აღნიშნულ პრობლემებს და ამასთან ერთად დაიცავს კაცობრიობა ეკოლოგიური საფრთხისგან.

ამ გლობალური გამოწვევების ფონზე, ბიოეკონომიკა მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი რაციონალური ალტერნატივაა, რომელიც დაფუძნებულია ბიოტექნოლოგიების გამოყენებაზე. თუ თვალს გადავავლებთ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ევოლუციას, ბიოეკონომიკა “გრძელი ტალღების” თეორიის თანახმად სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის მეექვსე ტალღაა: 1.) 1780-1830-ტექსტილური რევოლუცია; 2.) 1830-1880-ორთქლის ძრავა; 3.) 1880-1930- შიგაწვის ძრავა, ელექტროძრავა; 4.) 1930-1980- ნავთობი, “დიდი ქიმია”; 5.) 1980-2000 – უახლესი კომპიუტერული და ნანო ტექნოლოგიები; 6.) 2000-დან ბიოტექნოლოგიები, ბიოპროდუქტები.

ბიოეკონომიკის ფორმირება და რეგულირება რთული და სისტემური მოვლენაა. მის ბაზაზე განვითარებული ბიზნესი ასევე სისტემურ პოლიტიკას და შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს მოითხოვს, სისტემური პოლიტიკის შემადგენელ კომპონენტებში უნდა გაითვალისწინოთ-წარმოება, რეგულირება და მოხმარება, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირებაში-საწარმოო ძალების და წარმოებითი ურთიერთობების ადეკვატური კავშირი, შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური, მატერიალური, შრომითი პოტენციალი და ინფრასტრუქტურა.

საქართველოში ბიოეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი, როგორც ინსტიტუციონალურ, ისე რეგიონალ და ცალკეულ საბაზრო სუბიექტთა დონეზე. ბიოეკონომიკის სტიმულირებისთვის აუცილებელია ამაღლდეს საინვესტიციო მიმზიდველობის ხარისხი, რისთვისაც უნდა შეიქმნას, ოპტიმალური საკანონმდებლო ბაზა და თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ბიოეკონომიკა, როგორც ინოვაცია და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური მოწყობის ალტერნატივა, საჭიროებს მტკიცე სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის: სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს და ლაბორატორიებს, მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კადრებს და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება მათი ინტეგრაცია ბიოკლასტერებთან, რომლებიც ბიოეკონომიკის ფორმირება – განვითარების პროცესის საყრდენი ბაზისია.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია, OECD-ის გათვლებით, 2030 წლამდე პერიოდში ბიოტექნოლოგიები გამოყენებული იქნება ქიმიური მრეწველობის პროდუქციის 35-40%-ის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების 50%-ის და სამკურნალო პრეპარატების 80%-ის შესაქმნელად. ამ პროგნოზის თანახმად იკვეთება ყველაზე აქტიური სექტორები ბიოეკონომიკაში. [2]

უნდა არინიშნოს, რომ საქართველოს აქვს ყველა აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რომ იყოს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა ბიოტექნოლოგიების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტული მრეწველობის და ბიოენერჯის წარმოების თვალსაზრისით. საყოველთაოდ ნაცნობი ფაქტია, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრო რესურსებით და დეფიციტური მტკნარი წყლების მარაგებით. ექსპერტული შეფასებებით კი, მას უდიდესი პოტენციალი აქვს ჰიდროენერჯის წარმოების მხრივ, შესაბამისად დიდი პერსპექტივა, რომ იყოს მდგრადი ენერგეტიკული ცენტრი და დაბალნახშირბადიანი ელექტროენერჯის ექსპორტიორი არა მარტო კავკასიის, არამედ ევრაზიის რეგიონში. აი როგორ აფასებს მსოფლიო ბანკი და OECD, საქართველოს ბიოპოტენციალს: “განახლებადი ენერჯორესურსების წილი ელექტროენერჯის მთლიან წარმოებაში 92 %; ჰიდროელექტროსადგურების რეკორდული მაჩვენებელი 53 (44 დაგეგმვის ეტაპზე. [4], ფიდროენერჯის გამომუშავება წელიწადში 10000 ტერავატი; მზის ენერჯის წლიური პოტენციალი 108-მეგავატი ელექტროენერჯის გენერაციის საშუალება, ანუ 50 მილიარდი კილოვატ/საათის ექვივალენტი; ქარის ენერჯის მიღების და გამოყენების დიდი პერსპექტივები, წელიწადში, წელიწადში 4 მილიარდი კილოვატ/საათი სიმძლავრის ელექტროენერჯის გენერაცია; მტკნარი, გეოთერმული, და მინერალური წყლების დიდი მარაგები, აღმოსავლეთ ევროპის საერთო მარაგების 50%-მდე; ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი: 200-მდე საკურორტო ადგილი, 102 კურორტი და 15000 - ისტორიული ძეგლი; საქართველოს ეროვნული სიმდიდრის პოტენციალი სავარაუდოდ 125 მილიარდი დოლარის ექვივალენტს შეადგენს ეროვნულ ვალუტაში [5].

უძველესი დროიდან საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანა იყო, რაც იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ამ დარგის განვითარებისთვის ხელსაურელი ბუნებრივი პირობები და ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ 3000-4000 წლის წინ საქართველოში მოჰყავდათ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მრავალი სახეობა, მათ შორის ბევრი ენდემურიც. ბიოეკონომიკის აქტუალობისა და გლობალური გამოწვევების ფონზე ინოვაციური აგროსამრეწველო კლასტერი უნდა გახდეს მნიშვნელოვანი გარანტი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის საქმეში.

საყურადღებოა თუ რა ვითარებაში ხვდება ამ დიდ გამოწვევებს საქართველოს სოფლის მეურნეობა და რა ნიშნულზეა დასული მისი ეკონომიკური მაჩვენებლები. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მშპ-ში 45-50%-მდე იყო. შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი უკიდურესი შემცირების ტემპით გამოირჩეოდა, ბოლო მონაცემებით კი საშუალოდ 8-10%-ს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, 47%, რომლის უდიდესი ნაწილიც დაუსაქმებელია. იგივე პერიოდში საქართველოს ნათესი ფართობები 700000 ჰექტრიდან 275,3, ჰექტრამდე შემცირდა. 2012 წლის მონაცემებით მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 9,3%-მდე დაფიქსირდა. რაც 2 253, 3 მლნ. ლარს, ანუ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით 8 000 -მდე ლარის ღირებულების პროდუქციას შეადგენს. ოჯახური მეურნეობების წილი ნათესი ფართობების სტრუქტურაში 95-96%-მდეა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 5-4%-მდე [3]. ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ არასწორმა საპრივატიზაციო კურსმა სოფლის მეურნეობაში, რომელიც ძირითადად მსოფლიო სოფლის მოსახლეობაზე მიწების დარიგებით შემოიფარგლა და არა იმ მაკომპენსირებელი ღონისძიებების გატარებით, რომელიც ხელს შეუწყობდა დარგის განვითარებას, კერძოდ, სოფლის აღორძინების სახემწიფო პოლიტიკის გატარება, საბაზრო ეკონომიკას მორგებული ინფრასტრუქტურა, აგროსერვისის ცენტრების მოწყობა, აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნა, შეღავათიანი კრედიტები, სუბსიდიები და ტრანსფერები ფერმერთა დაინტერესების მიზნით, ბევრი უარყოფითი შედეგი გამოიღო, სოფლის მეურნეობა თავისი სპეციფიკით კომპლექსური და ინტეგრირებადი დარგია, სადაც ფერმერული პოტენციალი, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, შემდგომი გადამამუშავება, შენახვა და რეალიზაცია, აგროსამრეწველო კომპლექსის ურთიერთდაკავშირებული შემადგენელი კომპონენტებია. გარდა აღნიშნულისა, დარგის გარემოსადმი მაღალი მგრძობიარობა და ამ მხრივ რისკის მარალი ხარისხი, ცხადია დიდ ყურადღებას მოითხოვს, რათა დარგის პოტენციალი მაქსიმალურად წარმოინდგეს. საქართველოს პერსპექტიულ ბიოკლასტერებს შორის აღსანიშნავია: ბიოენერჯეტიკა, სოფლის ტერიტორიული განვითარება, სამკურნალო და აგრარული ტურიზმი, ორგანული სოფლის მეურნეობა, რომელნიც სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკით უკვე გამოირჩევიან, რაც

მისასაღმებელია, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ბიოეკონომიკის გამოწვევების ფონზე, დარგთა ინოვაციური განვითარებისთვის ჯეროვნად უნდა შეფასდეს მათი განვითარებისა და გაძროლის სისტემური პოლიტიკა.

ორგანული სოფლის მეურნეობა, როგორც სამეურნეო გაძროლის დამოუკიდებელი მიმართულება, მე-20 საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთში ჩამოყალიბდა. მან სათავე აიღო მეცნიერ რუდოლფ შტაინერის ბიოდინამიკური მიწათმოქმედების მეცნიერული კონცეფციიდან (1924) და შემდგომში, ორგანული სოფლის მეურნეობის სისტემური გაძროლის მოდელში გადაიზარდა. მოგვიანებით ვერსალში, 1972 წელს, დაარსდა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM), რომლის მისიასაც წარმოადგენს ამ მიმართულების მსოფლიო პროპაგანდა და განვითარების ხელშეწყობა.

1980 წელს, IFOAM-მა გამოაქვეყნა პირველი საბაზო სტანდარტები ბიოპროდუქციის სერთიფიცირებისა და სტანდარტიზაციისთვის.

ორგანული სოფლის მეურნეობა ეფუძნება წარმოების ისეთ სისტემას, რომელიც ინარჩუნებს ნიადაგის, ეკოსისტემების და ადამიანური კაპიტალის ბუნებრივ კავშირს, რადგან სისტემა ბაზირდება ადგილობრივი პირობების შესაბამის ეკოლოგიურ პროცესებზე და ბიოდინამიკაზე, რომელიც თავის მხრივ აბსოლიტურად გამორიცხავს აგროსამრეწველო პრაქტიკაში სინთეტიკური ქიმიკატების (არაორგანული სასუქები, პესტიციდები, ჰერბიციდები და სხვა მცენარეთა დაცვის საშუალებები) გამოყენებას.

ორგანული სოფლის მეურნეობა შეიძლება მოიცავდეს მემცენარეობას, მეცხოველეობას, მეფრინველეობას და სხვა ქვედარგებს. პროდუქციას გამოარჩევს სპეციალური საიდენტიფიკაციო ნიშანი. შესაძლებელია რამოდენიმე ნიშანიც, რაც იმას ნიშნავს, რომ სერთიფიკაციაში რამოდენიმე ორგანიზაცია მონაწილეობს.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს, უძველეს აგრარულ ქვეყანას, დიდი გამოცდილება აქვს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, რადგან სოფლის მეურნეობა თავდაპირველად ექსტენსიური ტიპის იყო და გამოირჩეოდა მკვეთრად გამოხატული ორგანული ბუნებით. მხოლოდ მე-20 საუკუნიდან, სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის და “დიდი ქიმიზაციის” შედეგად განვითარდა კომპლექსური მექანიზაცია-ავტომატიზაციისა და ინტენსიფიკაციის გზით. შორს წავიყვანს იმის ახსნა, თუ რატომ გადავიდა სოფლის მეურნეობის განვითარება ინტენსიფიკაციის რელსებზე და რატომ ჩაანაცვალა მან უკვე ნაცადი ორგანული სოფლის მეურნეობა, თუ ეს უკანასკნელი ასე კარგია დღევანდელი გამოწვევებით; რატომ აბრუნებს ბიოეკონომიკა ორგანულ სოფლის მეურნეობას, რომელიც უკვე “კარგად დაიწყოებული ძეგლია”?

ყველაფერი დროის და გარემოებების გამოძახილის შედეგია. სოფლის მეურნეობაში ქიმიზაციისა და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის სხვა მიღწევების როლი უღაოდ დიდია. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა საწარმოო სიმძლავრეების ზრდა, პროდუქციის მოსავლიანობის ზრდა, შრომის ნაყოფიერების დონის ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით და ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის ისე დარეგულირება, რაც წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დონის ამაღლებას და რენტაბელობის მაჩვენებლის ზრდას შეუწყობდა ხელს. სოფლის მეურნეობის დარგის მაღალინტენსიური განვითარების ერთ-ერთი საფუძველი იმ პერიოდისთვის არაორგანული ქიმიური საშუალებების იყო, მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სარეველების, მწერების, მღრღნელების და სხვა მავნე მიკროორგანიზმებისაგან სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და ასევე ნიადაგის სტრუქტურის დაცვა.

თუ მოვახდენთ ორგანული (ექსტენსიური) და არაორგანული (ტრადიციული, ინტენსიური) მიწათმოქმედების სისტემების შედარებას და მათი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას გამოვიტანთ დასკვნებს:

ტრადიციული, არაორგანული მიწათმოქმედების პირობებში, ქიმიზაციის გზით ნადგურდება, როგორც მავნე, ისე სასარგებლო მიკროფლორა, თუმცა ხდება ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა, რადგან მექანიკური საშუალებებით სარეველებთან ბრძოლა ხშირად აშრობს ნიადაგს, ვერ ფილტრავს მას მავნე მიკროორგანიზმებისაგან, რაც ზოგჯერ საშიშია სიცოცხლისათვის, ასევე ამცირებს საჰექტრო მოსავლიანობას.

ორგანული მიწათმოქმედების პირობებში დაცულია მაქსიმალურად ნიადაგის ბუნებრივი იერსახე, ვიდრე მაღალი კვებითი ღირებულების ხარისხიან პროდუქციას, რომელშიც არ არის

გადასული ქიმიური ნიტრატები, თუმცა, ორგანული მიწათმოქმედების ის “სიკეთე“ რაც ნიადაგის ბუნებრიობის დაცვაში ვლინდება, ამცირებს საჰექტრო მოსავლიანობას, ზრდის წარმოების შრომატევადობის დონეს, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, ასევე ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალურს უსაფრთხოებას პროდუქტის უვნებლობის თვალსაზრისით. ცხოველური წარმოშობის ზოგიერთი მიკროორგანიზმი ხვდება ნიადაგში, შემდგომ მცენარის გზით ადამიანის ორგანიზმში და იწვევს მოწამელას, ზოგჯერ კი უფრო რთული შედეგით მთავრდება.

ამრიგად, საჭიროა პრობლემის გადაჭრისადმი სიტუაციური მიდგომის საფუძველზე უნდა მოხდეს რაციონალური გადაწყვეტილების მიღება, თუ რა ვითარებაში რომელი სტრატეგია ავირჩიოთ და რა შედეგებს ველოდეთ.

ორგანული პროდუქციის ბაზრები და განვითარებს ტენდენციები.... ერნესტ ენგელის კანონის თანახმად, ცნობილია, რომ შემოსავლების ზრდა მოსახლეობაში პირდაპირპროპორციულად არ აისახება სამომხმარებლო დანახარჯების ზრდაზე, არამედ უფრო მეტად სხვაობა შეიმჩნევა თავად მოხმარების სტრუქტურაში. ანალოგიური სიტუაცია იკვეთება ორგანულ სასურსათო პროდუქტებთან მიმართებით მომხმარებელთა უკვე მნიშვნელოვანი ნაწილი ხარისხიანი და ძვირადღირებული პროდუქტისკენ იხრება. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, მომხმარებელი მეტ ყურადღებას უთმობს პროდუქციის ხარისხს და ნატურალურ, ორგანული გზით მიღებულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას.

FIBL (ორგანული მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და IFOAM (ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ორგანიზაცია) არის ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად კურირებენ და ახელს უწყობენ ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას მსოფლიოში. საერთაშორისო სააგენტოების კვლევითი ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ორგანული პროდუქცია 160-მდე ქვეყანაში იწარმოება, ხოლო გაყიდვების მოცულობა, თუ მე-20 საუკუნის მიწურულს 15 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2011 წლის მონაცემებით 62,9 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2012 წლისთვის 88 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ექსპერტთა პროგნოზით ეს მაჩვენებელი მოსალოდნელია 2015 წლამდე პერიოდისთვის 90 მილიარდამდე გაიზარდოს. ძრდის ასეტი ტემპი ხადია ორგანულ ბაზრებს წარმოაჩენს, როგორც ძალიან პერსპექტიულ სეგმენტს. ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტიციების მიმართ ორგანული სოფლის მეურნეობა მიმზიდველია. მართალია რისკ ფაქტორის მატარებელია, თუმცა მოკლე დროში შეუძლია მაქსიმალური უკუგება. ამ გამოწვევის თანახმად 2012 წლის მონაცემებით მსოფლიოში ორგანული პროდუქციის მწარმოებელ ფერმერთა რაოდენობა 1,8 მილიონამდე გაიზარდა. 2001 წლისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 246, 9 ათასი იყო, ანუ გაიზარდა 7-ჯერ. გლობალური სასურსათო ბაზრის მოცულობა 2,2 ტრილიონი დოლარის ექვივალენტია, ხოლო გლობალური ორგანული ბაზრის მოცულობა 88 მილიარდი აშშ დოლარის ექვივალენტი, ანუ 4%. თანამედროვე მსოფლიოში ორგანული პროდუქციის მწარმოებლებად და ექსპორტიორებად გამოდიან როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები. შესაძლებელია მათგან ძირითადი ათეული გამოვყოთ: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია, კანადა, შვეიცარია, ავსტრალია, ესპანეთი, იაპონია. ორგანული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნების ხვედრითი წილით თუ ვიმსჯელებთ, ლიდერობს აშშ-45%, შემდეგ: საფრანგეთი-19%, გერმანია-14%, ინგლისი-4%, კანადა-4%, შვეიცარია-3%, იტალია-3%, სხვა ქვეყნები-19%. ორგანული პროდუქციის გაყიდვების ხვედრითი წილის მიხედვით ასეთი სურათია: დანია-7%, ავსტრალია-6,8%. შვეიცარია 5,7%, შვედეთი 4,1 %, აშშ-4%, გერმანია-3,5%, ლუქსემბურგი-3,3%, ნიდერლანდი-2,7%, კანადა-2,3%, საფრანგეთი-2%. ორგანული მიწების გაადგილება რეგიონების მიხედვით ასეთია: ევროპა-27%, ლათინური ამერიკა-23%, ოკეანია-33%, აშშ-7%, აფრიკა-3%[2].

ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მონაცემებით ორგანული მიწათმოქმედებისთვის 37 მილიონ ჰექტრამდე მიწაა დამუშავებული, რაც მსოფლიო სასოფლო სამეურნეო მიწების 0,7% შეადგენს. საფრანგეთში მარტო ორგანული სოფლის ფართობი 168 ათასი ჰექტარია, წლიური ზრდის მაჩვენებელი 24%, ორგანული ბაზრის მოცულობა 3,4 მილიონი ევროა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 52 ევრო წელიწადში (ანალოგიური მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შვეიცარიაში- 155 ევრო), ხოლო ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით 20,2 ათასი ევრო[2], თუ შევადარებთ ამ მაჩვენებლებს საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებს, დავინახავთ დიდ სხვაობას, თითქმის 5-ჯერ ჩამორჩება ევროპულ დონეს. განსაკუთრებით მაღალია ორგანული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები და ეს გასათვალისწინებელი ფაქტორია მით უფრო მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობა საქართველოს

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სტრატეგიული ვექტორი ხდება და გათვალისწინებულია სახნავეების მნიშვნელოვანი ზრდა.

ორგანული ბაზრების ზრდის დინამიკა დამოკიდებულია რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და კულტურულ-ტრადიციულ თავისებურებებზე. მეტი კონკრეტიკისთვის საჭიროა განისაზღვროს ორგანული პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების მოტივები მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე.

	სუბიექტები	მოტივები
მაკრო დონე	სახელმწიფო ორგანოები; უცხოელი ინვესტორები; საერთაშორისო ფონდები; საზოგადოებრივი ორგანიზაციები	ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება; საექსპორტო პოტენციალის გაფართოება; წარმოების დივერსიფიკაცია; ადგილობრივი წარმოების გაფართოება; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; საზოგადოებრივი აზრის პროპაგანდა
მეზო დონე	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები; დარგობრივი და კლასტერული კავშირები; ფართო სექტრის საკონტაქტო აუდიტორია	სამეცნიერო კვლევების გაფართოება; საკადრო პოლიტიკა და საინოვაციო საქმიანობა; ინვესტიციების მოზიდვა და იდეოლოგიური პროპაგანდა
მიკრო დონე	შუამავლები; მომწოდებლები; მომხმარებლები	ასორტიმენტული ხაზების გაფართოება; სპეციფიკური მიზნობრივი სეგმენტების მომსახურება; სტაბილური გაყიდვების უზრუნველყოფა; ხარისხობრივი ეკოპროდუქტებით ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა.

მოცემული ცხრილის მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანულ ბაზრებზე და შესაბამისად ექსპორტის განვითარებაზე. ვითარების შესაფასებლად შეიძლება გამოიყოს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები: ორგანული პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების რაოდენობა და კონკურენციის დონე; სასურთიფიკაციო ორგანოების რაოდენობა (ხარისხის მართვის ცენტრები), ხარისხობრივი სტანდარტები; დასაქმების დონე, რეგიონული ბაზრების ხვედრითი წილი გლობალურ ბაზრებთან, ორგანული მიწების ფართობები, ორგანული მიწათმოქმედებისთვის ფართობების წლიური ზრდის მაჩვენებელი, ორგანული პროდუქციის რეიტინგი სახეობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, პროდუქციის მოხმარების დონე და მოხმარების მაჩვენებელი ერთ სულზე გაანგარიშებით.

ორგანული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე მოქმედი სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმის გამოყენებას საჭიროებს, საყურადღებოა ასევე ამ მხრივ ფერმერული პოტენციალის ფორმირება და ორგანული ფერმერული ასოციაციების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ტიპის ფერმერთა რეგისტრაციას, კონსულტირებას, სამეურნეო საქმიანობაში და წარმოების შემდგომი რეალიზაციის პროცესებში დახმარებას.

ერთ-ერთი ინსტიტუციონალური დონის პრობლემაა ასევე ინფრასტრუქტურის სათანადო დონეზე განვითარება. საქართველოს მაგალითზე თუ არ მოწესრიგდა თუ არ მოწესრიგდა ამ მხრის სატრანსპორტო და სავაჭრო-ლოგისტიკური პრობლემები, შესყიდვების და დაზღვევის მექანიზმი, სახელმწიფო სუბსიდირების და სტიმულირების პროგრამები, სერიოზული შემაფერხებელი პრობლემები გაჩნდება ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებაში [1].

ორგანული სოფლის მეურნეობის მარკეტინგული პოტენციალი ძალიან მაღალია, რადგან დღეს საკვები ბიოპროდუქტები ჯანმრთელი ცხოვრების წესის განუყოფელი ატრიბუტია და შესაბამისად თანამედროვე საქმიანი ადამიანის გაცნობიერებული არჩევანი. 21-ე საუკუნის ადამიანი უფრო მეტ დროს უთმობს ჯანმრთელობაზე ზრუნვას, იხდის მაღალ ფასსაც ხარისხის სანაცვლოდ. მაღალი კვებითი ღირებულებების მქონე, ძვირადღირებული, რადგან არ არის მასობრივი წარმოების პროდუქტი, ზოგჯერ დეფიციტურიც და პრესტიჟული, აი როგორ შეიძლება

შევაფასოთ თანამედრობე საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე ორგანული პროდუქტი. სიტყვა „ბიო“ –ს შესახებ თუ ვიმსჯელებთ, ის ცოცხალს, ბუნებრივს, ნატურალურს ნიშნავს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს ტერმინი თუ საქმე ფართო მოხმარების სასურსათო პროდუქტს ეხება. ეკო პროდუქტი, ბიო პროდუქტი, ორგანიული პროდუქტი, ანუ ორგანიკა, ყველა ეს, სინონიმებია და აღნიშნავენ პროდუქტებს, რომლებიც მოჰყავთ, ამზადებენ, გადაამუშავენ, ფუთავენ საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. მაგალითად, ევროპული თანამეგობრობის მიერ აღიარებული ორგანიული მიწათმოქმედების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე, პროდუქცია უნდა იყოს 100%-ით ნატურალური და უსაფრთხო. დამზადებული კონსერვანტების, საღებავების, გენმოდულირებული ელემენტების გარეშე, წარმოებისა და წარმოების შემდგომი უტილიზაციის ეკოლოგიური ნორმების დაცვით. ფრანგები და გერმანელები მას უწოდებენ ბიო პროდუქტს, ინგლისელები და ამერიკელები- ორგანიკას, ხოლო პოლანდიასა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყნებში –ეკოპროდუქტს.

მარკეტინგული გამოკვლევების საფუძველზე, შესაძლებელია მომხმარებლის დამოკიდებულების შესწავლა ორგანული პროდუქციის მიმართ, რაც გვაძლევს იმის საშუალებას რომ მოვახდინოთ მოთხოვნის პროგნოზირება და მოსალოდნელი გაყიდვების მოცულობის განსაზღვრა, ასევე საშემსყიდველო ქცევაზე დაკვირვება მარკეტინგული კომპლექსის რეგულირების მიზნით. ასეთი კვლევის ჩასატარებლად მიზანშეწონილია რამოდენიმე ათეული, მეტი სიზუსტისთვის, ასეული რესპოდენტის შერჩევითი გამოკითხვა. საბაზრო სეგმენტის პროფილი სასურველია განისაზღვროს

სოციალური, სქესობრივი, ასაკობრივი ნიშნით. პრობლემური კითხვებიც ისე უნდა შეირჩეს, რომელიც უფრო შთამბეჭდავად და ღიად გამოაგლენს მომხმარებლის დამოკიდებულებას. მაგალითად მოიხმარს თუ არა ქართველი მომხმარებელი ორგანულ სასურსათო პროდუქტს. რა არის მათი საშემსყიდველო ქცევის ძირითადი მოტივი, რომელ მარკას ანიჭებს უპირატესობას ადგილობრივს თუ საერთაშორისოს, ორგანულ პროდუქტებს შორის რომელს ანიჭებს უპირატესობას და სხვა.

ექსპერტული შეფასებებით ხოგადი ტენდენცია გამოვლენილია. ორგანულ პროდუქციას რეგულარულად მოიხმარს მსოფლიო მოსახლეობის 5-10%, ხოლო მოსახლეობის 60%-ზე მეტი იცნობს ორგანულ პროდუქციას, 10-15 % მზადაა გადაიხადოს მაღალი ფასი მარალ ხარისხში, ორგანული პროდუქციის მომხმარებლის საშემსყიდველო ქცევაზე მოქმედ ფაქტორთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ჯანმრთელობაზე ზრუნვა, შემდეგ პრესტიჟულობის ფაქტორი და ბოლოს ეკოლოგიაზე ზრუნვა. მომხმარებელი უფრო დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ვიდრე სასაქონლო მარკებში განსხვავებებს. ორგანულ პროდუქტებს შორის რეიტინგული თვალსაზრისით, ყველაზე მოთხოვნადია ხილი და ბოსტნეული - 50%, ხორცი და ხორცპროდუქტები-30%, რძე და რძის პროდუქტები-18%, პურფუნთუშეული-3% [2].

ორგანული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობისა და მარკეტინგული სტიმულირების მსოფლიოში ნაცადი პრაქტიკაა: რეგიონული და საერთაშორისო ბაზრობები და გამოფენა – გაყიდვები, რეკლამა და პროპაგანდა განსაკუთრებით ისეთი საკომუნიკაციო არხების დახმარებით როგორც არის ტელევიზია, ინტერნეტ, რადიო, ამ მხრივ ცნობილ სოციალურ ქსელებს მიეკუთვნება: Biofach (გერმანია,) Natural products Expo Asia (ჰონკონგი). органик маркетинг форум (პოლონეთი).

ამრიგად, საქართველოს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები და კარგი მარკეტინგული პოტენციალი აქვს. ბიოეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს ქვეყანა ყველაზე პერსპექტიული და შედარებით კონკურენტუნარიანი ბიოკლასტერების განვითარებით უნდა შეხვდეს და მოსინჯოს თავისი შესაძლებლობები როგორც ბიოპროდუქციის ერთ-ერთმა ექსპორტიორმა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ორგანული სოფლის მეურნეობა ნამდვილად ვერ გახდება ცალსახა გზა საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში, რადგან გარდა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიზაციისა, საჭიროა მოგვარდეს არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემები, მსოფლიოში სასურსათო პროდუქციის მოსალოდნელი დეფიციტისა და ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების ჩათვლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებს (2006) <http://agro.ge/index.php?m=1155>

2. Аонд интеграции экологической культуры FIEC FIBL&IFOA M survey 2012 ;
3. <http://www.geostat.ge>
4. <http://www.greengeorgia.ge/?q=ka/node/76>
5. საქართველოს ეკონომიკა, რ. ოთინაშვილი 2010
6. Улобальная продовольственная проблема <http://www.vestnik-kafu.info/journal/8/306/>
7. Global organic farming statistics and news
8. [http //www. organic – world. net.](http://www.organic-world.net)
9. European Organic Farming Statistics
10. [http //www. organic – europe.](http://www.organic-europe.com)

AIDA QITASHVILI-KVACHANTIRADZE

Caucasus International University, Associate Professor

ORGANIC PRODUCTS MARKET DEVELOPMENT TRENDS: ANALISIS AND RECOMENDATIONS

S u m m a r y

The article deals with the production and export of organic agricultural products. The article discusses issues related to organic agriculture. Economic and marketing potential. Organic agricultural products for local and international markets. characteristics and development trends. Conclusions and suggestions.

ბიოკომპლექსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

**ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და შუამავალი
სამსახურების სტრატეგიების შორისდამდების საპრობლემა**

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა განსაზღვრული იქნა, როგორც ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ცხადია, წარმოების მოცულობის ზრდა ხელს უწყობს ასევე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას. კონკურენტუნარიანობა აღარ განიხილება ერთი საწარმოს ან დარგის დონეზე, პირიქით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კვლევას. ამ მიზნით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშებს, ასევე შექმნილია კვლევითი ცენტრები, რომლებიც იკვლევან კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ასპექტებს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობისადმი ასეთი დიდი ინტერესი მარტივად აიხსნება პრაგმატული მოსაზრებებით. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ძალიან მნიშვნელოვანია პოტენციური ინვესტორისათვის, ვინაიდან მხოლოდ დაცულობა და ბიზნესის წარმოების სიმარტივე ვერ განაპირობებს ინვესტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ინვესტიციების დაცულობა და ბიზნესის წარმოების სიმარტივე უნდა განვიხილოთ, როგორც საბაზისო ფაქტორები, ხოლო ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც ფაქტორი რომელიც განაპირობებს ინვესტიციის დაბრუნებადობისა და მოგებიანობის მაჩვენებლებს. ცალსახაა, რომ წარმატებული სტრატეგია არ შეიძლება არ დაეფუძნოს კონკურენტუნარიანობას. ამ შემთხვევაში კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს რეალიზებულ უპირატესობას, შექმნილ და კონკრეტულ ბაზარზე დაშვებულ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც გააჩნია საფასო, ხარისხობრივი, საფასო-ხარისხობრივი თანადობის, მიწოდების, მომსახურების ვადის და ფორმის ან ნებისმიერი სხვა უპირატესობა, რომელიც აღიქმება მომხმარებლის მიერ და ამდენად უზრუნველყოფს ამ პროდუქტის ან მომსახურების წარმატებულ რეალიზაციას.

ამდენად, როდესაც ვმსჯელობთ, გარკვეული პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციის ზრდაზე, ეს შეუძლებელია თუ არ არსებობს რეალური კონკურენტუნარიანობა, რომელიც უნდა გახდეს ამ პროდუქციის ან მომსახურების წარმატებული რეალიზაციის საფუძველი. კონკურენტუნარიანობაში უნდა გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, კერძოდ: კონკურენტუნარიანობა, რომელიც გამოვლენილია და დადასტურებულია; კონკურენტუნარიანობა, რომელიც პოტენციურად არსებობს, თუმცა, მისი რეალიზაცია შესაძლებელია სხვა ფაქტორების მეშვეობით; კონკურენტუნარიანობა, რომელიც შექმნილია ხელოვნურად, ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე; კონკურენტუნარიანობა, რომელიც ეფუძნება ცალკეული სპეციფიკური ფაქტორის არსებობას. განვიხილოთ თითოეული ეს ფაქტორი. არსებული კონკურენტუნარიანობა საკმაოდ კარგად ცნობილი ფენომენია და ეფუძნება ქვეყნის აბსოლუტურ ან ფარდობით უპირატესობას საგარეო ვაჭრობაში. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი ამ კონკურენტუნარიანობის საზომად იყენებს გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის ან ლა-ფაივის ინდექსებს [3]. ანალოგიურ დამოკიდებულებას ავლენს კონკურენტული უპირატესობისა და

სტრატეგიის კვლევის ცენტრი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში არსებობს. გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა ესაა უპირატესობა, რომელიც გვაქვს დღეს. გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა ეფუძნება ერთი გარკვეული სასაქონლო ჯგუფის ან მომსახურების საექსპორტო მოცულობას და ქვეყნის მიერ დაკავებულ ადგილს მსოფლიოში ამ საქონლის ან მომსახურების ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტუნარიანობის შეფასება ეფუძნება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკისა და მასში ექსპორტის წილის სხვადასხვა ასპექტის შეფასებას.

განვიხილოთ გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა საქართველოსათვის (იხ. ცხრ. 1)

საქართველოს გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა 2010 წლისათვის [1]

ცხრილი 1

წლები	ათასი აშშ დოლარი	ადგილი მსოფლიოში
ლოგისტიკური და სტარანსპორტო მომსახურება	695,11	71
ტურიზმის მომსახურება	672,92	83
აგრო პროდუქტები	281,37	93
მეტალები და მომპოვებელი მრეწველობა	565,59	75
საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი ლითონები	93,04	82

აგრო პროდუქტის კონკურენტუნარიანობით საქართველო რეალურად ვერ იკავებს მნიშვნელოვან ადგილს. ამის მიზეზია ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მცირე ოდენობა, შესაბამისად ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ვერ აღწევს საფასო უპირატესობას, ხოლო სპეციფიური ხარისხობრივი სეგმენტების დასაკავებლად ქართულ პროდუქციას აკლია ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე. ისეთ პროდუქციაშიც კი როგორცაა ღვინო საექსპორტო მაჩვენებლები საკმაოდ მოკრძალებულია. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე ქართული აგრო პროდუქცია შეუძლებელია წარმოებული იქნას ძალიან დიდი მოცულობით და ამდენად რეალურად ქართულმა ექსპორტ ორიენტირებულმა კომპანიებმა უნდა ეძებონ სპეციფიური საბაზრო ნიშები, საბაზო ნიშებზე მუშაობა დაკავშირებულია მთელ რიგ სპეციფიურ მომენტებთან. განვიხილოთ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დანარჩენი ასპექტები.

პოტენციურად არსებული კონკურენტუნარიანობა ეფუძნება რაიმე რესურსის (შრომითი რესურსების ჩათვლით), სტრანსპორტო სისტემების ან სხვა რაიმეს ფარდობით უპირატესობას რომელიმე საქონლის ან მომსახურების წარმოებაში.

მაგალითად, განვიხილოთ ისეთი პროდუქცია როგორცაა თხილი, ღვინო ან სუბტროპიკული პროდუქტები. ამ პროდუქციის შემთხვევაში კონკურენტუნარიანობა ეფუძნება იმ მარტივ ფაქტს, რომ აღნიშნული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, მხოლოდ გარკვეულ კლიმატურ პირობებში მოდის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში თხილის წარმოება. ამ პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებლით საქართველო 2011 წელს მე-3 ადგილზეა მსოფლიოში (ფაოს მონაჩემებით; <http://faostat.fao.org/site/342/default.aspx>). თხილისაგან განსხვავებული ვითარებაა სხვა პროდუქციაზე, სადაც კონკურენცია ძალიან მძაფრია.

კონკურენტუნარიანობა შექმნილი ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილებებით, ესაა ცალკეული საკანონმდებლო აქტების მიღების საფუძველზე შექმნილი კონკურენტუნარიანობა. მაგალითად, მოგების გადასახადის შემცირება, თავისუფალი სავაჭრო ან ამწყობი ზონების ფორმირება, ქვეყანაში მიღებული მოგების საზღვარგარეთ გატანის შეზღუდვების არ არსებობა. ამ ტიპის გადაწყვეტილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება გამოიყენოს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში სახელმწიფო დახმარებების სისტემა. აქ მნიშვნელოვანია, რომ საქართველო როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო არ იქნას სუბსიდირების ფარულ სქემებში დადანიშნული. ნებელობითი გადაწყვეტილებები, რასაკვირველია, ქმნის გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ ძალიან მარტივია მათი კოპირება. ამდენად, მხოლოდ ამ გადაწყვეტილებების ხარჯზე სტაბილური კონკურენტული უპირატესობის მიღწევა საკმაოდ რთულია. ასევე, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ნებელობითი გადაწყვეტილებების შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი. ამ ფაქტორის მიხედვით პოტენციური ინვესტორებისაგან ქვეყნის, როგორც სტაბილური პარტნიორობის აღქმა რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ყალიბდება.

სპეციფიკურს მიეკუთვნება, ფაქტორები რომლებიც გამოწვეულია სეზონურ-კლიმატური განსხვავებით. როგორც უკვე ვახსენეთ ეს ფაქტორები შესაძლებელია გავაერთინოთ საგარეო ვაჭრობის ნახევარსფეროების განსხვავებაზე აგებულ მოდელებში.

ამდენად სტრატეგიის ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ კონკურენტუნარიანობის რომელ ფაქტორებს ვეფუძნებით და რა წარმოადგენს პოტენციური ინვესტორებისათვის რეალურად მნიშვნელოვან ფაქტორებს. აუცილებელია სრატეგია ასევე ეყრდნობოდეს სხვა ფაქტორებს, რაც როგორც მინიმუმი, ხელს არ უშლის ძირითადი კონკურენტუნარიანობის ფაქტორის რეალიზაციას. ამდენად, ბიზნეს სტრატეგიების ერთ თუ ვიმსჯელებთ სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ პოზიციას, ანუ ძირითადი ფაქტორი გამყარებული უნდა იყოს სხვა ფაქტორების მეშვეობით.

ნაკლებად სავარაუდოა, მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილები შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ხარჯზე. ვინაიდან, მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დროს მასში დასაქმებულია, მთელი დასაქმებულების 7-12%. ამდენად საქართველომ უნდა ეძებოს ისეთი გზები, რაც ემყარება რეალურ კონკურენტუნარიანობას და ამავდროულად, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. დღეისათვის სამრეწველო წარმოებაში ინოვაციურობა კონკურენტული უპირატესობის მიღწევის რეალური შესაძლებლობაა. სამწუხაროდ, ქართულ საწარმოებში ინოვაციურობა ძალიან დაბალია. კონკრეტული სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ინოვაციურობის ზრდაზე, არ მოიტანს შედეგებს მოკლე (3-5 წლიანი) პერიოდში. ამდენად, მოსაძებნია ის ველები, სადაც ინოვაციურობა არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ ასპექტს. ცხადია, ეს პროდუქცია ვერ იქნება ორიენტირებული დიდ მასშტაბებზე, მაგრამ სწორედ ამით ყალიბდება ვიწრო სეგმენტზე მუშაობის თავისებურება და უპირატესობა, სადაც პროდუქციის ფასსა და დანახარჯებს შორის არაა პირდაპირი კავშირი, მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წონა და ამდენად იქმნება დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილები. სწორედ ასეთი კლასტერების ფორმირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული სახელმწიფოს ხელშემწყობი პოლიტიკა, ხოლო კონკრეტული სტრატეგიები დაეფუძნება ცალკეული კლასტერის კონკურენტუნარიანობას. კონკურენტუნარიანი კლასტერების შექმნა და შესწავლა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ასე, მაგალითად, სტოკჰოლმის კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრი ცალკეული ქვეყნების მიხედვით სწავლობს თითოეულ კლასტერს და ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს. სამწუხაროდ, საქართველოში არ ხდება არც საერთაშორისო და არც ადგილობრივ დონეზე, ასეთი სამუშაოების წახალისება და ამდენად საკითხები ცალკეული მკვლევარების დონეზე დადის.

რა შეიძლება გახდეს ძირითად სტრატეგიებად ქართული ექსპორტ- ორიენტირებული კომპანიებისათვის, რომლებიც დაკავებული არიან სასოფლო სამეურნეო და აგრო პროდუქციის ექსპორტით? ალბათ, შეუძლებელია ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ ერთმნიშვნელოვნად და მოვიცვათ ყველა დარგი, სექტორი ან კლასტერი. თუმცა, რასაკვირველია, არსებობს, გარკვეული საერთო პოზიციები. კერძოდ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიამ აჩვენა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია იაფი პროდუქციის წარმოება, გარდა ამისა, ძალიან რთულია ცალკეული დასახელების პროდუქციის დიდი ოდენობით წარმოება. შესაბამისად, ყველაზე სწორ სტრატეგიად რჩება გარკვეულ საბაზრო სეგმენტებზე მოვახდინოთ ფოკუსირება და გამოშვებულ იქნას განსხვავებული ხარისხობრივი პარამეტრების პროდუქცია. ბაზრის ვიწრო სეგმენტზე მუშაობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. საბაზრო სეგმენტებზე საბაზრო მოთხოვნა შეზღუდულია, მომხმარებლები ითხოვენ ძალიან სპეციფიური პარამეტრების მქონე პროდუქციის გამოშვებას, აქცენტი კეთდება ცალკეულ ხარისხობრივ დეტალებზე. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტში ასეთ განმასხვავებელ დეტალს მიეკუთვნება, მაგ. ხილის ან ბოსტნეულის უფრო ადრეული დამწიფება ვიდრე სხვა ექსპორტიორ ქვეყნებში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია შესაბამისი გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოო სიმძლავრეების არსებობა. ამავდროულად ვიწრო სეგმენტზე მუშაობა ნიშნავს, რომ პრაქტიკულად იცი ყველა ძირითადი კონკურენტი, ზუსტად შეგიძლია განსაზღვრო მოთხოვნის მოცულობა, გამოიყენო არასაფასო კონკურენციის მეთოდები. ასევე აღსანიშნავია, რომ ვიწრო სეგმენტზე მუშაობა აქცენტირებას ახდენს პროდუქციის ხარისხზე და ამდენად საშუალებას აძლევს მწარმოებლებს მიიღონ გაცილებით უფრო მაღალი მოგება, ვიდრე ჩვეულებრივი პროდუქციის შემთხვევაში. ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წილი ქმნის დამატებით სტიმულებს ახალი სამუშაო ადგილების ფორმირებისათვის. ცხადია, ეს თეორიული მსჯელობა უნდა განმტკიცდეს გარკვეული პრაქტიკული ქმედებებით. კერძოდ უნდა შეიქმნას კონკურენტული კლასტერების ფორმირების ხელშემწყობი გარემო. ცხადია, მიზანშეწონილი არ იქნება სახელმწიფომ თვითონ განსაზღვროს თუ რა კლასტერები შეიქმნას, არამედ უნდა შეიქმნას საერთო ხელშემწყობი პირობები - რა ფორმებით და როგორ უნდა მოხდეს ამ კონკურენტული კლასტერების ფორმირება. განვიხილოთ ორი შესაძლო მიმართულება, რომლებიც ურთიერთს კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით შეიძლება გარკვეული ზომით ხელსაც შეუწყობს ერთმანეთის განვითარებას.

კონკურენტული კლასტერების ფორმირების ერთ მიმართულებად შესაძლებელია განვიხილოთ საექსპორტო ალიანსების შექმნა. ამ შემთხვევაში საექსპორტო ალიანსი შეიქმნება დივერსიფიცირებული კომპანიების მიერ, რომლებიც ერთმანეთის პროდუქციის მომხმარებლებია ან შესაძლებელია პროდუქცია განხილული იქნას როგორც იმავე სექტორში გამოყენებული. თხილის ძირითადი მომხმარებლები არიან შოკოლადისა და ნაყინის მწარმოებელი კომპანიები, სწორედ ამ

კომპანიებს შეიძლება შესთავაზონ ქართულმა თხილის ექსპორტიორებმა მაგ. ჩურჩხელა, რადგანაც ჩურჩხელა იგივე სადისტრიბუციო ქსელებით ნაწილდება. ასევე უმარტივესი მაგალითია ხილის წვენის წარმოება, ჩამოსხმა, რეალიზაცია. საექსპორტო ალიანსში გაერთიანებული კომპანიები ადვილად შეძლებენ დაგეგმონ თითოეულისათვის წარმოების ოპტიმალური მოცულობა, მაქსიმალურად შეათანხმონ წარმოების გრაფიკები, გამოიყენონ უკვე არსებული საკუთარი სატრანსპორტო არხები, რესურსების გაზიარების საფუძველზე მიადწიონ ეკონომიას და ა.შ. საექსპორტო ალიანსებს უნდა განესაზღვროთ რამდენიმე შედაგათი, კერძოდ: საექსპორტო ალიანსში შემაგალი კომპანიები მათ მიერ ალიანსის წევრებისათვის მიწოდებული პროდუქციის პროპორციულად მიიღებენ მოგების რეგრესიული დაბეგერის მოდელს, ანუ თუ ალიანსში შემაგალი ერთ-ერთი კომპანიის მიერ ალიანსის სხვა წევრებისათვის მიწოდებული პროდუქცია წარმოადგენს კომპანიის მიერ მთლიანად გამოშვებული პროდუქციის 40%-ს, მაშინ კომპანიის მოგების 40% დაიბეგრება რეგრესიული მეთოდით ან ამავე მეთოდით დაიბეგრება ალიანსის სხვა წევრებისათვის მიწოდებული პროდუქციის მოცულობაზე მიღებული მოგება. ასევე უნდა იქნეს განხილული საექსპორტო ალიანსების მაქსიმალური ხელშეწყობა ისეთი აქტივობებით, როგორცაა საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდება, სავაჭრო მისიების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში ქართული კომპანიების მონაწილეობის თანადაფინანსება. ეს პრაქტიკული სამუშაოები, ცხადია, მოიტანს შედეგს მხოლოდ იმ პირობების დაცვით, რომ განხორციელდებული სტრატეგია ფუძნდება რეალურ კონკურენტუნარიანობას.

ცალკე უნდა იქნას განხილული სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ფორმირება მაგ. ორგანული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისას. ასეთ შემთხვევაში აქცენტი გადატანილი უნდა იყოს როგორც ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვაზე, ასევე პროდუქციის სერტიფიცირების საკითხებზე. ორგანული პროდუქციის სერტიფიცირება წარმოადგენს ძალიან რთულ საკითხს. სახელმწიფოს ხელშეწყობა ამ საკითხში აუცილებელია სხვაგვარად ამ საკითხის მოგვარება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ცალკე უნდა განვიხილოთ ქართული პროდუქციის ბაზრზე გატანის ასპექტები, მაგალითად, ქართულმა კომპანიებმა უნდა გამოიყენონ ბალტიის ქვეყნების ან აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში ქართული პროდუქციის ჯერ კიდევ არსებული მაღალი ცნობადობა და ამ სახელმწიფოების სავაჭრო კომპანიები გამოიყენონ რე-ექსპორტისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, როდესაც ევროკავშირი და საქართველო ხელს მოაწერენ ღმა და ყოველის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას.

ცალკე უნდა განვიხილოთ ისეთი საკითხები, როგორცაა ნახევარ სფეროების განსხვავებაზე აგებული საგარეო ვაჭრობის მოდელები. ამ შემთხვევაში უნდა შეირჩეს სამხრეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოები, რომლებიც ინტენსიურად ახდენენ სასოფლო სამეურნეო და აგრო პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში. ასეთ სახელმწიფოებს მიეკუთვნება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ან ჩილე. საქართველოში ზაფხულის პერიოდში ამ ქვეყნებში ზამთარია, თუმცა საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ კარგად ორგანიზებული საკუთარი სადისტრიბუციო არხები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტრატეგიის და კონკურენტუნარიანობის კვლევის ინსტიტუტი, <http://data.isc.hbs.edu/iccp/>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია, <http://www.geostat.ge>
3. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, ITC, www.intracen.org
4. ფაო სტატი, <http://faostat.fao.org>

GIORGI GHAGHANIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Full Professor

COMPETITIVENESS OF GEORGIAN AGRO PRODUCTS AND CREATION OF EXPORT STRATEGIES

S u m m a r y

In the Scientific article Author analyzed the competitiveness of Georgia and relations with different strategies. Competitiveness analyzed through different dimensions and methods. Author reviewed the ways for the formation of special clusters with the high competitiveness and different strategies to create such clusters.

ბიოწარმოების როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის მზრუნველობის მხარე განვითარებაში

ზოგადად სოფლის მეურნეობა ცივილიზაციის არსებობისა და განვითარების ძირითადი ფაქტორია. ძველთაგანვე სოფლის მეურნეობის ცენტრების განვითარება ემთხვევა ცივილიზაციის კერებს, რაც მათ შეჭიდულობას მოწმობს. საქართველო და ზოგადად კავკასიის რეგიონი პრეისტორიული ხანიდან წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აგრარულ ბიომრავალფეროვნების კერას - მცენარეების კულტივირებისა და ცხოველების მოშინაურების ცენტრს. საქართველოს, წარმოდგენს რა მარცვლადი კულტურებისა და მეფინეობის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს, მდიდარი აგრარული მემკვიდრეობა გააჩნია. საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე დასაბამიდან სოფლის მეურნეობაზე - სურსათისა და ღვინის ექსპორტზე იყო დაფუძნებული, ამიტომ შემოსევებისას ქვეყნის დასამორჩილებლად დამპყრობლები ანადგურებდნენ ნათესებსა და ვენახებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 691 000 სასოფლო მეურნეობაა და მათში ქვეყნის მოსახლეობის 46,2% -ია დასაქმებული. ბოლო წლებში შეინიშნება მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება (იხილეთ ცხრილი №1 და ცხრილი №2), რაც გამოწვეულია აგრარული სექტორის ზრდის უკიდურესი დაბალი მაჩვენებლით.

**საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი
(2008-2012 წწ.)**


ცხრილი №1

მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	2008	2009	2010	2011	I 12*	II 12*	III 12*	IV 12*	2012*
	19074.9	17986	20743.4	24344	5625.7	6397.2	6862.6	7253.3	26138.9

წინასწარი მონაცემები

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)

ცხრილი №2



* წინასწარი მონაცემები

2006 წელს ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე რუსეთის მიერ გამოცხადებულმა სავაჭრო ემბარგომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მცირე მწარმოებლებს. თუ დიდმა კომპანიებმა ბაზრების დივერსიფიცირება ასე თუ ისე მოახდინეს და ნელ-ნელა მიუახლოვდნენ 2006 წლამდე არსებულ გაყიდვების მაჩვენებლებს, ეს პროცესი მცირე მეწარმეებისათვის მნიშვნელოვნად ნელა მიმდინარეობს. რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური პირობების ნორმალიზაციამ საქართველოს გასაღების ტრადიციული ფართო ბაზრის დაბრუნების შესაძლებლობა მისცა. უნდა აღინიშნოს ტრადიციული ბაზარზე წვდომის შეზღუდვამ გამოწვია

¹ <http://www.geostat.ge/>

² <http://www.geostat.ge/>

საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების აუცილებლობა შესაბამისად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თუმცა ზოგადად ჩვენ ქვეყანას კვლავ ჭირდება ახალი კონკურენტული უპირატესობანი ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე ადგილის დასაკავებლად.

ბიოწარმოება შესაძლოა ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობად იქცეს. მსოფლიოში მრავალი ფერმერი უკან უბრუნდება ბიოწარმოებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „დაბალი დანახარჯებით“ მართებული მეთოდებით ბიოწარმოებისას ხშირ შემთხვევაში მოგება არ ჩამორჩება ან მეტია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩვეულებრივი თანამედროვე მეთოდებით მოყვანაზე. ბიოწარმოების განმარტებას გვაძლევს ბიოწარმოების მოძრაობის საერთაშორისო ასოციაცია (IFOAM), - ბიოლოგიური აგროწარმოება წარმოადგენს წარმოების სისტემას, რომლის დროსაც ხდება ნიადაგის, ეკოსისტემისა და ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება. იგი დამყარებულია ეკოლოგიურ პროცესებზე, ბიომრავალფეროვნებასა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებულ ციკლებზე, არ ხდება რესურსების მაქსიმალური გამოყენება, რასაც არასასურველ გვერდით მოვლენებთან მივყავართ. ბიოწარმოება თავის თავში აერთიანებს ტრადიციებს, ინოვაციებსა და მეცნიერებას და მიმართულია გარემოს, ჯანსაღი ურთიერთობებისა და ცხოვრების მაღალი ხარისხის კეთილდღეობისაკენ.

ბოლო 20 წლის მანძილზე გამოიკვეთა ბიოწარმოების მიმართ დაინტერესება. ეს შესაძლოა აიხსნას საკუთარი ოჯახის ჯანსაღი საკვებით მომარაგების საჭიროებით, მყიდველების ინტერესებით, ნიადაგის დაცვის სურვილით, აგრეთვე სასუქისა და პესტიციდების ფასის გაზრდით, კრედიტის საპროცენტო განაკვეთის მომატებითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასის უცვლელობით. ცალკეულ შემთხვევებში, თუ დანახარჯებში ფერმერისთვის უფასო მიწასა და მუშახელს (ოჯახის წევრი, რომელსაც ანაზღაურება არ გადაეხდება) გავითვალისწინებთ, ასევე, მხედველობაში მივიღებთ, რომ ბიოწარმოებისას ბუნებრივი სასუქის გამოყენება ხდება, შესაძლოა ხარჯები უფრო მცირე იყოს, ვიდრე თანამედროვე მეთოდებით წარმოებისას. აქედან შეგვიძლია დავასკვნად, რომ ბიოწარმოებას აქვს ეკონომიკური გამართლება, მას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მაინც. აღსანიშნავია ის, რომ ბიოწარმოების მეთოდებით მოყვანილი მარცვლეული უფრო მდგრადია გვალვისა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ ვიდრე თანამედროვე მეთოდებით მოყვანილი მარცვლეული¹. ბიომეთოდებით დამუშავებული ნიადაგი უფრო კარგად ისრუტავს წვიმის წყალს, რაც გვალვის გასამკლავებლად ერთგვერ რესურსს ქმნის. ბიოწარმოებისას ხდება ერთ ფართობზე სხვადასხვა სახის მარცვლეულის დათესვა, რის შედეგადად მატულობს დავადებების მიმართ გამძლეობა. მოუსავლინობისას ბიომეურნის ზარალი ნაკლებია, ვინაიდან მათ ნაკლები დანახარჯის გაწევა უწევთ.

ბიომეწარმებს ნაკლები დანახარჯები აქვთ სასუქისა და პესტიციდების ნაკლები გამოყენების გამო; ორგანული მეურნეობებში ძირითადად სხვადასხვა სახის კულტურის მოყვანა ხდება, შესაბამისად მოსავლის ადების პერიოდი სხვადასხვაა, შესაბამისად ხდება თესვისა და მოსავლის ასაღებად საჭირო ფინანსური და შრომითი რესურსის დროის გარკვეულ მონაკვეთზე გადანაწილება, რაც გარკვეულ წილად შედავითია; უფრო მეტიც, თეორიულად შესაძებელია ერთი კულტურის მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალით იმავე წელს სხვა კულტურის მოსავლის ასაღებად საჭირო ხარჯის დაფინანსება მოხდეს². ბიომეურნეობების თავისებურებაა ის, რომ იგი ერთდროულად სხვადასხვა კულტურის მოყვანისას ეკონომიკურ უპირატესობას წარმოშობს - მოგება არ არის დამოკიდებული ერთი კონკრეტული პროდუქტის საბაზრო ფასის ცვალებადობაზე, ბიომეწარმეს ფსონი სხვადასხვა პროდუქტზე აქვს გადანაწილებული.

ბიომეწარმეების უპირატესობა თეორიულად შესაძლოა გამოიხატოს სოფლის მეურნეობის ბიომეთოდებით მოყვანისათვის გარკვეული საგადასახადო შედავათების დაწესებით. ბიომეთოდებით სოფლის მეურნეობის გაძღოლა პრაქტიკულად ზიანს არ აყენებს გარემოს, რაც ამ მეთოდის წახალისების საფუძველს იძლევა, სუფთა გარემო თუ მხედველობაში არ მივიღებთ არამატერიალურ მხარეს დამატებითი ეკონომიკური მოგების მოტანა შეუძლია. ეს ფაქტორები იძლევა ბიომეურნეობისთვის შედავათიანი საგადასახადო განაკვეთების დაწესების გამართლებას, რის შედეგადაც ბიომეწარმეობა გაძღოლა უფრო პრიორიტეტული გახდება.

ზოგადად შესაძლოა საკამათოა ბიო და თანამედროვე მეთოდების სასოფლო-სამეურნეო კულტურების შედარების ეკონომიკური უპირატესობანი. თანამედროვე მეთოდებით მოყვანილი

¹ Eliot Coleman, as quoted by Stoner, Kim, and Tracy LaProvidenza. 1998. A history of the idea that healthy plants are resistant to pests

² Cacek Terry, Langner L. Linda, 1986, "The economic implications of organic farming"

მოსავალი უთუოდ აჭარბებს ბიომეთოდებით მოყვანილს (აქვე უნდა გავითავისწინოთ ფასის მომატებისას ჩვეულებრივი მეთოდებით მწამოებლის მოგება გაცილებით მეტად იზრდება ვიდრე ბიომწარმოებლის, ფასის ვარდნისას კი მისი წაგება უფრო მეტია, რადგან მისი დამოკიდებულება ცვალებად ხარჯებზე უფრო დიდია), წინააღმდეგ შემთხვაში არ მოხდებოდა კულტურის მოყვანის მეთოდების და მასთან კავშირში მყოფი (სასუქის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება) დარგების განვითარება. მხედველობაში მისაღებია ხანგრძლივი ეფექტი, საქართველოს მთიანი ლანდშაფტი, რაც ტექნიკის გამოყენებას აძნელებს და ქვეყნის ფართობის წილს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის წამგებიან პოზიციაში აყენებს. ბიომწამოებისას შესაძლებელია გარემოზე მავნე ზემოქმედების მეტი კონტროლი, რასაც, თავის მხრივ, ეროვნული ეკონომიკისთვის ჯანსაღი სამუშაო ძალის შემოთავაზება და სხვა ალტერნატიული დარგების - ტურიზმის, კვების, ფარმაცევტული მრეწველობის და სხვ. განვითარება შეუძლია.

ამრიგად, ბიომწარმოება უფრო მიმზიდველი ხდება. ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე რეგიონში არსებული შესაბამისი პროდუქტის მწარმოებელი გიგანტი ქვეყნების გვერდით ჭირდება თავისი ნიშის დამკვიდრება და ეს ნიშა სწორედ ბიომეურნეობა შეიძლება იყოს.

ALEXANDER SHARASHENIDZE

Tbilisi State University, PhD Student

ROLE OF ORGANIC FARMING IN SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRIKULTURE IN GEORGIA

S u m m a r y

The Article discuss importance of Organic Farming for the people; Directions of sustainable development of agriculture is evaluated, Role of organic farming in the sustainable development is considered. Particularly- competitive advantages are analyzed, “cheap input” in case of organic farming is characterized, and benefits of economic performance of organic farming and conventional farming is discussed. The article claims that Georgian agricultural products, next to similar products of giant neighbor countries, need to find specific niche in the World Market. Organic Farming is possibly such niche.

АНАТОЛИЙ ШЕВЧУК

Научно-исследовательск ий институт «Совет по изучению производительных сил» (СОПС)

Минэкономразвития России и Российской Академии Наук, Москва

Доктор экономических наук

Профессор Российской академии народного хозяйства

ВОДНЫЕ РЕСУРСЫ КАК ОСНОВА РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

Водные ресурсы являются одним из основных элементов окружающей природной среды, обеспечивая функционирование многих экосистем, а также выступают исключительным фактором социально-экономического развития общества и жизнедеятельности человека.

В XXI веке пресная вода становится важнейшим стратегическим ресурсом, определяющим возможности развития общества. В этой связи водные объекты и созданные крупные водохозяйственные системы приобретают важнейшее значение для социально-экономического развития страны, а вопросы повышения эффективности использования водных ресурсов имеют особую актуальность.

Согласно Водной стратегии Российской Федерации, состояние водных ресурсов характеризуется следующим образом. Страна принадлежит к числу государств, наиболее обеспеченных водными ресурсами. Среднегодовое возобновляемые водные ресурсы России составляют 10 процентов мирового речного стока и оцениваются в 4,3 тыс. куб. км в год. В целом по стране обеспеченность водными ресурсами составляет 30,2 тыс. куб. м на человека в год. При этом водные ресурсы России характеризуются значительной неравномерностью распределения по территории страны. На освоенные районы европейской части страны, где сосредоточено более 70 процентов населения и производственного потенциала, приходится не более 10 процентов водных ресурсов. В маловодные годы дефицит воды наблюдается в районах интенсивной хозяйственной деятельности в бассейнах рек Дона, Урала, Кубани, Иртыша, а также на западном побережье Каспийского моря. Ресурсный потенциал подземных вод на территории Российской Федерации составляет почти 400 куб. км в год. Общее количество запасов подземных вод, пригодных для использования (питьевого и хозяйственно-бытового, производственно-технического водоснабжения, орошения земель и обводнения пастбищ), составляет около 34 куб. км в год.[1]

В этом же документе отмечено, что в Российской Федерации функционирует водохозяйственный комплекс, который является одним из крупнейших в мире и включает более 30 тыс. водохранилищ и прудов общим объемом свыше 800 куб. км и полезным объемом 342 куб. км, а также сеть каналов межбассейнового и внутрибассейнового перераспределения стока, водохозяйственных систем водотранспортного назначения

общей протяженностью более 3 тыс. км, что позволяет осуществлять переброску стока в объеме до 17 куб. км в год. Для обеспечения безопасности поселений, объектов экономики и сельскохозяйственных угодий от негативного воздействия вод возведено свыше 10 тыс. км дамб и других объектов инженерной защиты. Общий объем забора (изъятия) водных ресурсов из природных водных объектов в Российской Федерации составляет 80 куб. км в год. В экономике ежегодно используется около 62,5 куб. км воды. Свыше 90 процентов общего объема использования водных ресурсов приходится на тепловую и атомную энергетику (37 процентов), агропромышленный комплекс (24 процента), а также жилищно-коммунальное хозяйство (18 процентов), добывающую и обрабатывающую промышленность (12 процентов). Функционирующий водохозяйственный комплекс в целом эффективно обеспечивает текущие водоресурсные потребности. Вместе с тем экономика страны в будущем потребует увеличения гарантированного объема водных ресурсов соответствующего качества, предназначенных для удовлетворения питьевых и хозяйственно-бытовых нужд, а также для использования в промышленности, сельском хозяйстве, энергетике и в рекреационных целях. [1]

При этом водоемкость валового внутреннего продукта Российской Федерации составляет около 2,4 куб.м/тыс. рублей, значительно превышая аналогичные показатели стран с развитой экономикой. Объем потерь воды при транспортировке в Российской Федерации составляет до 8 куб. км в год. Свыше 4,8 куб. км воды в год теряется в орошаемом земледелии из-за низкого технического уровня и значительной степени износа мелиоративных систем и гидротехнических сооружений, около 3 куб. км в год, или более 20 процентов общего объема поданной в водопроводную сеть воды, теряется в системах централизованного водоснабжения из-за их неудовлетворительного технического состояния. [1]

Направления развития водохозяйственного комплекса согласованы с направлениями инновационного социально ориентированного экономического развития Российской Федерации, отраженными в **Концепции** социально-экономического развития. Диапазон прогнозируемых значений потребности в водных ресурсах с учетом сценариев развития и темпов роста экономики, предусмотренных в **Концепции** социально-экономического развития, и влияния на экономику Российской Федерации последствий мирового экономического кризиса будет определяться реальными темпами роста промышленного, сельскохозяйственного производства, энергетики и к 2020 году с большой вероятностью составит 90 - 100 куб. км. [1]

Уровень обеспечения водными ресурсами потребностей населения и отраслей экономики в 2020 году согласно Водной стратегии составит: предприятий сельского хозяйства - 27 куб. км; предприятий жилищно-коммунального хозяйства - 13 куб. км; предприятий в сфере тепловой и атомной энергетики - 42 куб. км; предприятий в сфере промышленного производства - 15 куб. км. Общий объем ресурсного обеспечения реализации мероприятий настоящей Стратегии составляет 662,4 млрд. рублей. [1]

Сельское хозяйство – крупный потребитель водных ресурсов. К агропромышленному комплексу относятся следующие виды экономической деятельности:

- сельское хозяйство, охота и лесное хозяйство (на долю последнего приходится менее 0,1 % изъятия воды по этому виду);
- рыболовство и рыбоводство.

Исследования, проведенные специалистами СОПС совместно с ИВП РАН, показывают следующее. [3] В 1980-1992 гг. объем изъятия воды для нужд сельского хозяйства составлял 37-41 км³. В дальнейшем в связи с резким сокращением финансирования отрасли и падением объемов сельскохозяйственного производства объем водозабора стал резко сокращаться, снизившись к 2004-2011 гг. до 20-21 км³. При этом из подземных источников в последние годы изымалось 1,0-1,2 км³ воды, т.е. около 6 % (в конце 1980-х гг. этот показатель превышал 3,5 км³ и составлял более 10 % водозабора отрасли).

Количество используемой свежей воды на протяжении 1980-х гг., несмотря на заметный рост производства продукции, был довольно стабильным (25-29 км³). С началом вхождения экономики России в сферу рыночных отношений объем используемой свежей воды стал неуклонно снижаться, достигнув примерно 11 км³. Расход воды в системах оборотного и повторно-последовательного водоснабжения за 1980-1990 гг. увеличился вдвое (с 1 до 2 км³), но в середине 1990-х гг. вновь резко сократился, став даже ниже, чем в 1980 г.

Около 80 % сельскохозяйственных угодий страны расположено в зоне рискованного земледелия с недостаточным и неустойчивым увлажнением, с часто повторяющимися засухами и суховеями, резко снижающими урожайность и валовые сборы продукции. В этих условиях повышение продуктивности и устойчивое развитие земледелия невозможно без проведения комплексных мелиораций и освоения адаптивно-ландшафтных систем орошаемого земледелия. Орошаемое земледелие было одним из ведущих и наиболее динамично развивающихся водопотребителей в России.

С 1970 г. по 1990 г. площадь орошаемых земель во всех категориях хозяйств возросла с 2,0 до 6,2 млн. га. Резкое снижение финансового обеспечения отрасли с начала 1990-х гг., обвальное сокращение затрат на поддержание мелиоративных систем в рабочем состоянии сопровождалось разрушением поливного потенциала и переводом орошаемых земель в богарные. Стала снижаться рентабельность сельскохозяйственной продукции, производимой на орошаемых землях, в результате падения урожайности. Площадь орошаемых земель стала неуклонно сокращаться и к 2000 г. составила около 4,5 млн. га, а к 2009 г. – около 4.27 млн. га (табл.1).

Наиболее быстрыми темпами этот процесс шел в Северо-Западном ФО: с 1990 по 2010 гг. площадь орошаемых земель здесь сократилась в 2,9 раза. В Центральном и Приволжском ФО площадь земель сократилась в 1,7 раза. В основных районах орошаемого земледелия – Нижнем Поволжье и Северном Кавказе – орошаемый клин в основном удалось сохранить, здесь снижение составило около 20%. В Уральском и Сибирском ФО площадь орошаемых земель за 20 лет сократилась на 27 % и 30 % соответственно.

Таблица 1. Изменение площади орошаемых сельскохозяйственных угодий, фактически политых земель, объемов использования воды на сельскохозяйственные нужды, производства продукции в сельскохозяйственных организациях и фермерских хозяйствах* [3]

Показатели	Годы							
	1980	1985	1990	1995	2000	2005	2007	2009
Площадь орошаемых угодий во всех категориях хозяйств, тыс. га	5009	5822	6156	5002	4466	4497	4339	4269
Полито угодий, тыс. га:								
орошаемых	3944	4767	4876	3515	2766	2578	2466	2421
не учтенных в числе орошаемых	423	554	350	–	–	–	–	–
Всего	4367	5321	5226	3515	2766	2578	2446	2558
Залито земель лиманного орошения, тыс. га	200	257	210	110	–	–	–	–
Использовано воды, км ³ , на нужды:								
регулярного и лиманного орошения	18,5	20,3	16,4	11,1	9,18	7,74	8,37	7,89
сельхозводоснабжения	1,96	3,81	4,13	3,52	1,38	0,74	0,60	0,53
прудового рыбного хозяйства	–	2,35	4,17	4,13	1,92	1,89	1,80	1,60
Произведено продукции в сельскохозяйственных организациях и фермерских хозяйствах, млрд. руб.	65,4	74,1	77,4	39,0	31,3	38,1	41,9	49,0
в т.ч. животноводство	38,2	43,2	47,4	22,3	16,0	18,2	20,7	23,5
в т.ч. растениеводство	27,3	30,9	30,0	16,7	15,3	19,9	21,3	25,5
Использовано воды, км ³								
в животноводстве	5,5	6,8	8,5	7,6	3,9	3,4	3,3	2,9
в растениеводстве	20,4	20,9	16,8	11,9	9,7	8,2	8,3	7,8

* Прочерк – нет данных

Более контрастно, чем площадь наличных орошаемых земель, сокращалась площадь фактически политых. Если в 1970-1980-е гг. поливалась значительная часть земель, не учтенных в числе орошаемых (так называемые земли инициативного орошения), то в 1990-е гг. не хватало средств на проведение поливов даже на площадях, оборудованных стационарной оросительной сетью. Площадь фактически политых земель в целом по России снизилась с 5,0 млн. га в конце 1980-х гг. до 2,4 млн. га в 2008-2010 гг. из-за отсутствия оборудования, запасных частей, разрывов трубопроводов, ухудшения ремонтной базы.

В 1990-е гг. существенно снизились объемы воды, используемой на орошение. Если в середине 1980-х гг. на нужды регулярного и лиманного орошения расходовалось 20-21 км³ воды, то в 2009-2010 гг. было использовано менее 8 км³. Произошло это как из-за резкого сокращения поливаемых площадей, так и за счет снижения удельного водопотребления за 25 лет более чем в 2 раза (с 3,7–4,0 до 1,7 тыс. м³/га).

Заметное влияние на снижение удельного водопотребления, помимо целенаправленной борьбы с потерями воды, совершенствования нормативной базы водопользования, оказало и наступление с конца 1970-х гг. на юге Европейской части России фазы повышенной атмосферной увлажненности. [3]

Резкое снижение удельного водопотребления связано не только с сокращением забора воды для нужд орошения, но и в существенной мере со значительным ростом площади земель, которые числятся в составе орошаемых, но не поливаются. Эта площадь возросла с 0,8-1 млн. га до 1,8-2,0 млн. га, а ее удельный вес повысился до 43-45 %. Ежегодно из-за неисправности оросительной сети и поливной техники, резкого удорожания стоимости электроэнергии и услуг водохозяйственных организаций не поливается в Сибирском и

Приволжском ФО 40-50 %, в Центральном ФО – 70 %, а в Северо-Западном, Уральском и Дальневосточном ФО – 94-97 % земель.

Водоёмкость продукции сельского хозяйства определяется как отношение расхода использованной воды к стоимости валовой продукции отрасли.

В 1990-е гг. сельское хозяйство России подверглось сильному кризису, и, несмотря на снижение водопотребления, водоёмкость сельскохозяйственной продукции росла опережающими темпами. К 1995 г. этот показатель вырос до 500 м³/тыс. руб. (цены 1983 г.) За 1999-2009 гг. ежегодно отмечался рост производства сельскохозяйственной продукции при постоянном, хотя и незначительном, сокращении потребления воды.

В результате, показатель водоёмкости снизился до 220 м³/тыс. руб., что существенно ниже, чем в конце 1980-х гг. В дальнейшем отмечалось ежегодное снижение водоёмкости растениеводства. В 2008-2009 гг. она составляла около 300 м³/тыс. руб., что в 2,7 раза ниже уровня 1998 г. Однако эти удельные показатели не должны слишком обольщать, так как в абсолютном выражении с орошаемых земель сейчас собирают меньше продукции, чем 30 лет назад, и стабилизирующая роль мелиорированных земель в балансе производства продовольствия и кормов в неблагоприятные годы не столь велика, какой должна быть.

С конца 1990-х гг. в обобщенных данных использования воды стала приводиться информация по водопользованию животноводства. Анализ показал, что на долю всего комплекса животноводческих отраслей России (скотоводство, свиноводство, овцеводство, птицеводство, прудовое рыбоводство, и так далее) приходится 30-35 % объема воды, используемой в сельском хозяйстве. По расчетам, в начале 1980-х гг. в животноводстве использовалось 5-5,5 км³ воды, что составляло 18-21 % водопотребления сельского хозяйства.

К началу 1990-х гг. объем использования воды увеличился до 8,5 км³, а его удельный вес в сельском хозяйстве поднялся до 34-37 %. В 1990-е гг. в связи с резким падением поголовья животных потребление воды стало резко сокращаться, снизившись к 2009 г. до 2,9 км³. При этом основным потребителем в этой отрасли стало прудовое рыбоводство, на которое стало приходиться 57 % объема используемой в животноводстве воды.

В начале 1990-х гг. на одну тыс. руб. продукции животноводства расходовалось 180-200 м³ воды. Вплоть до 1997 г. этот показатель повышался, сначала из-за опережающего роста водопотребления по сравнению с ростом производства продукции, а позже – из-за опережающего падения продукции животноводства по сравнению с падением водопотребления в этой отрасли.

В 1990-е гг. отрасли был нанесен большой урон – всего за семь лет производство животноводческой продукции в сельскохозяйственных организациях и крестьянских (фермерских) хозяйствах сократилось почти в 3 раза. В результате в 1997 г. водоёмкость животноводства составляла 370 м³/тыс. руб.; далее началось неуклонное снижение этого показателя, продолжающееся до сих пор. В 2009 г. на одну тыс. руб. в животноводстве России было израсходовано 123 м³. С 1989 по 1998 гг. сокращение орошаемых площадей и кризис в мелиорации привели к снижению водопотребления с 17,2 до 9,5 км³ (в 1,8 раза). Однако производство продукции растениеводства упало за эти годы еще резче – в 2,5 раза. В результате, водоёмкость к 1998 г. повысилась до 800 м³/тыс. руб.

В последние годы в мелиоративно-водохозяйственном комплексе России наметились некоторые положительные сдвиги: улучшилось и приобрело большую стабильность федеральное финансирование, возросли размеры финансового участия местных органов и сельских товаропроизводителей в мелиорации земель, снизились темпы списания мелиорируемых земель. За 2007-2010 гг. проведена комплексная реконструкция оросительных систем на площади 128 тыс. га.

В то же время ежегодный ввод в эксплуатацию новых орошаемых земель составлял всего 2-3 тыс. га, и лишь в 2010 г. он превысил 20 тыс. га. Реализация мероприятий, намеченных в Концепции федеральной целевой программы «Развитие мелиорации земель сельскохозяйственного назначения России на 2014-2020 годы», позволит увеличить производство продукции сельского хозяйства, улучшить социальные условия сельских жителей. [3]

Перспективными районами для развития орошаемого земледелия являются южные районы европейской части Российской Федерации, расположенные в бассейнах рек Волги и Дона, Кубани и других рек Северного Кавказа, а также территории юга Сибири и Приморского края. При этом расширение использования орошаемых земель в агропромышленном комплексе должно осуществляться в приоритетном порядке за счет восстановления и реконструкции ранее освоенных массивов орошения и систем водоподдачи и сопровождаться внедрением современных водосберегающих мелиоративных технологий. [1]

Следует отметить, что значительное влияние на эффективность сельского хозяйства оказывают погодные условия. В 2010 г. вследствие аномальных климатических условий пострадало 895 районов в 43 регионах Российской Федерации. Из-за жесточайшей засухи убытки понесли 25 173 хозяйства. Гибель сельскохозяйственных культур произошла на площади более 13,3 млн. га, что составляет 29% от площади посевов сельскохозяйственных культур в этих регионах, 17% от общей посевной площади в Российской Федерации. Производство зерновых культур снизилось на 37%, страна потеряла почти 15 млн. т зерна, 36 млн. т кормовых единиц (далее - т корм. ед.), 1,9 млн. т (20%) овощей. В то же время на орошаемых землях урожайность снизилась лишь на 12%. В производстве урожайность сильно зависит от складывающихся погодных условий, а при недостаточной площади орошаемых и осушенных земель будет характеризоваться низкой устойчивостью. [5]

Вывод водохозяйственной отрасли на новый современный уровень развития, который бы позволил эффективно осуществлять гарантированное обеспечение потребностей населения и экономики в водных ресурсах нормативного качества, защиту от наводнений и другого вредного воздействия вод, улучшение экологического состояния водных объектов возможно с помощью реализации комплекса последовательных взаимоувязанных мероприятий в рамках долгосрочной (федеральной) целевой программы, рассчитанной на достаточно долгий период с участием федеральных органов государственной власти, субъектов Российской Федерации, органов местного самоуправления, водопользователей, бизнеса, общественности и других заинтересованных сторон.

В 2008 г. правительством России утверждена Водная стратегия, которая разработана в целях водоресурсного обеспечения реализации **Концепции** долгосрочного социально-экономического развития Российской Федерации на период до 2020 года [1,4]. Стратегия определяет основные направления деятельности по развитию водохозяйственного комплекса России, обеспечивающего устойчивое водопользование, охрану водных объектов, защиту от негативного воздействия вод, а также по формированию и реализации конкурентных преимуществ Российской Федерации в водоресурсной сфере. В Стратегии закреплены базовые принципы государственной политики в области использования и охраны водных объектов, предусматривается принятие и реализацию управленческих решений по сохранению водных экосистем, обеспечивающих наибольший социальный и экономический эффект и создание условий для эффективного взаимодействия участников водных отношений. [1]

В развитие Водной стратегии и как инструмент ее реализации была разработана и утверждена ФЦП «Развитие водохозяйственного комплекса Российской Федерации в 2012-2020 годах». [2] Одним из государственных заказчиков Программы является Минсельхоз России, а государственным заказчиком-координатором – определено Минприроды России. Реализация Программы обеспечит устойчивое водопользование, создание благоприятной экологической обстановки в бассейнах водных объектов, безопасность эксплуатации сооружений водохозяйственного комплекса, защиту населения и объектов экономики от наводнений и другого вредного воздействия вод.

Для ликвидации локальных дефицитов водных ресурсов, которые возникают в ряде регионов в рамках Программы предусмотрена реализация 72 проектов по строительству новых водохранилищ и реконструкции гидроузлов действующих водохранилищ. В течение 2012-2014 годов инвестиционных водохозяйственных проектов в Республике Калмыкия (строительство Элистинского водохранилища), в Республике Дагестан (строительство водохранилища в Сулейман-Стальском районе), строительстве тракта водоподачи части стока р.Уфы в р.Миасс и т.д.. Программой предусматривается реализация 19 проектов по строительству и реконструкции систем водоподачи комплексного назначения, находящихся в ведении Минсельхоза России.

Объем финансирования Программы в 2012-2020 гг. составит 523 млрд. руб.

Следует отметить, что с конца 1980-х годов большинство проблем водного хозяйства в АПК решалось только за счет регулирования стока, без осуществления необходимых работ по поддержанию и совершенствованию инфраструктуры. Срок эксплуатации большинства сооружений мелиоративного назначения составляет от 30 до 50 лет и является предельным. На балансе Минсельхоза России насчитывается 250 потенциально опасных объектов. Решение задачи обеспечения АПК водными ресурсами реально можно осуществить в рамках ФЦП «Развитие водохозяйственного комплекса РФ в 2012-2020 гг.». Основные мероприятия должны быть направлены на поэтапную реконструкцию мелиоративных систем в перспективных районах развития орошаемого земледелия (бассейны рек Волги, Дона, Кубани), а также территорий юга Сибири и Приморского края с внедрением современных водосберегающих мелиоративных технологий [6].

Литература:

1. Водная стратегия Российской Федерации на период до 2020 года (утверждена распоряжением Правительства РФ от 27 августа 2009 г. N 1235-р).
2. ФЦП «Развитие водохозяйственного комплекса Российской Федерации в 2012-2020 годах» (утверждена постановлением Правительства РФ от 19.04.2012 г. № 350).
3. Отчет о НИР «Оценка роли водных ресурсов в устойчивом развитии Российской Федерации, в том числе с учетом международных аспектов» (1 этап). По теме 12 фцп-ЭЗ-01 «Разработка методических основ формирования рынков лимитов и рынков торговли водой и водоемкой продукцией». М., ФГБНИУ СОПС, 2013 г.
4. Концепции долгосрочного социально-экономического развития Российской Федерации на период до 2020 года (утверждена распоряжением Правительства Российской Федерации от 17 ноября 2008 г. N 1662-р.).
5. Национальный доклад «О ходе и результатах реализации в 2012 году государственной программы развития сельского хозяйства и регулирования рынков сельскохозяйственной продукции, сырья и продовольствия на 2008-2012 годы». М., Минсельхоз России, 2013г., 281с.
6. Сенчуков Г.А., Капустин А.С. «Реализация водной стратегии в агропромышленном комплексе России: пути и решения. М., Научный журнал Российского НИИ проблем мелиорации, №1(10), 2011 г.

WATER RESOURCES AS A BASIS FOR THE DEVELOPMENT OF AGRICULTURE

S u m m a r y

The article discusses the availability and condition of water resources, are the problems and prospects of development of water management in agro-industrial complex. There is given information and the dynamics of water use in agriculture from the pre-reform period to the present. The problems of agriculture in the state of meliorative and hydro systems. A significant part of the article devoted to the role of the Water Strategy and the federal target program in terms of ensuring agricultural water management.

მზია შელია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დაბერება პოსტსაბჭოთა პერიოდში

სოფლად და ქალაქად სქესობრივ – ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში ურბანიზაციის მაღალი ტემპის გამო სოფლის მოსახლეობის დაბერების პროცესი ინტენსიური იყო.

ბუნებრივია, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოფლად და ქალაქად მოსახლეობის აღწარმოების განსხვავებულმა რეჟიმებმა. 1897 წელს სოფლის მოსახლეობაში 42,4 % ბავშვი იყო, მაშინ, როცა იგი ქალაქად მოსახლეობის მესამედიც არ ყოფილა (29,2%). 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი კი სოფლად 2 %-ით მეტია ქალაქისაზე¹.

XX საუკუნის 30 –იანი წლებიდან დაიწყო სოფლიდან ქალაქად მიგრაციის ინტენსიურობის მატება, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში კვლავაც გაგრძელდა. როგორც წესი, მიგრირებდა უმეტესად ახალგაზრდა კონტინგენტი, რამაც არსებითი კვალი დააჩნია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას და, ცხადია, დაბერების პროცესის განვითარებასაც. მოხდა სოფლის მოსახლეობის დაბერების აჩქარება, რაც გამოიწვია სოფლიდან ქალაქად ცალმხრივმა მიგრაციულმა პროცესებმა და მისი მიზეზით სოფლის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მკვეთრმა გაუარესებამ.

1990-იან წლებამდე ქალაქის მოსახლეობა ქვეყნის შიგა მიგრაციული პროცესების გამო შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივ სტრუქტურას ინარჩუნებდა. თუმცა 1990-იან წლებში არსებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა, წარმოების დაცემამ, ქალაქის მოსახლეობა აიძულა სხვაგან ეძია სამუშაო ადგილი. გარკვეული ნაწილი სოფელსაც მიუბრუნდა. მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი სამშობლო დატოვა და სხვა ქვეყნებს მიაშურა. შესაბამისად, XXI საუკუნის დასაწყისში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაბერების ინტენსიურობა გამოთანაბრდა. მათი მედიანური ასაკი თითქმის ერთნაირი გახდა (33,7 წელი).

ცხრილი 1

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის სიბერის მაჩვენებლები პოსტსაბჭოთა პერიოდში

მოსახლეობის სიბერის მაჩვენებლები		1989	2002
0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში (%)	ქალაქი	24,3	19,3
	სოფელი	25,4	21,8
60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში (%)	ქალაქი	12,9	15,7
	სოფელი	16,2	21
მოსახლეობის მედიანური ასაკი (წელი)	ქალაქი	30,8	33,6
	სოფელი	30,7	33,7

¹ მ. შელია. საქართველოს მოსახლეობის დაბერება. თბილისი 1999. გვ.35-36

რეგიონების მიხედვით ანალიზმა გამოავლინა, რომ საქართველოს მხარეთა **სოფლის მოსახლეობის** ასაკობრივმა სტრუქტურამ მკვეთრი დეფორმაცია განიცადა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის სოფლები.

1959-2002წწ. 0-14 ასაკობრივი ჯგუფი სოფლად ყველაზე მეტად შემცირდა იმ რეგიონებში, რომელიც ადრე შობადობის შედარებით მაღალი დონით გამოირჩეოდა. კერძოდ, ქვემო ქართლსა და აჭარაში(13% და 12,4%), ხოლო მოსახლეობის მედიანური ასაკი ყველაზე მეტად გაიზარდა რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთში, რაც მიუთითებს სოფლის მოსახლეობაში ახალგაზრდული ასაკებისა და ფერტილურ ქალთა ხვედრითი წონის შემცირებაზე. მაგალითად, ამჟამად, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სოფლებში ფერტილური ასაკისაა ქალთა კონტინგენტის 34,1%.

„სოფელი-ქალაქი“ მიმართულების ინტენსიური მიგრაციული ნაკადების გამო საქართველოს სოფლის მოსახლეობა ქალაქთან შედარებით ოცდაათი წლით ადრე გადასცდა დემოგრაფიული სიბერის ზღვარს, მაგრამ რადგანაც საქართველოს სოფლის მოსახლეობა 90-იან წლებამდე შობადობის უფრო მაღალ დონეს ინარჩუნებდა, იქ მოსახლეობა ხასიათდებოდა შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურით და ქალაქთან შედარებით ნაკლები მედიანური ასაკით. ამასთან, როგორც კი მოხდა ბოლო წლებში ქალაქსა და სოფელს შორის შობადობის დონის გამოთანაბრება და შემდგომ სოფლად მოსახლეობის შობადობის დონის კიდევ უფრო შემცირება, საქართველოს სოფლის მოსახლეობაში მედიანური ასაკი გაიზარდა. დაიწყო მისი უპირატესი მატება ქალაქთან შედარებით. მაგრამ ეს პროცესი საქართველოს მხარეებში ერთდროულად არ მიმდინარეობდა. თუ სოფლის მოსახლეობაში ქალაქთან შედარებით მედიანური ასაკი მეტი იყო 1959 წლისათვის მხოლოდ გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთში, 2002 წლისათვის უკვე სოფლის მოსახლეობამ ქალაქებთან შედარებით უფრო ახალგაზრდა ასაკი შეინარჩუნა მხოლოდ აჭარაში. დანარჩენი რეგიონების სოფლის მოსახლეობის მედიანური ასაკი, ქალაქის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა, განსაკუთრებით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და გურიაში.


საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 1989-2002 წწ. რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის სოფლის მოსახლეობის მედიანური ასაკი არა თუ გაიზარდა, არამედ ცოტათი შემცირდა კიდევ. სავარაუდოდ, ეს ამ რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა კონტინგენტის ჩასახლებას ან მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებას უნდა გამოეწვია. ამასთან, მოცემულ პერიოდში ქალაქისა და სოფლის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონეში განსხვავების გაღრმავებამ კიდევ უფრო გააძლიერა მხარეების სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების დიფერენციაციის ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონი გამოირჩევა სოფლის მოსახლეობის მეტისმეტი დაბერებით (სიბერის კოეფიციენტი 25,3%; მედიანური ასაკი - 37,5 წელი). სავარაუდოდ, ეს განპირობა სოფლიდან ქალაქად მიგრაციის მაღალმა ინტენსიურობამ, რაც, თავის მხრივ, ამ რეგიონში სამრეწველო ქალაქების განვითარებითაც იყო განპირობებული.

სქესის მიხედვით ანალიზმა კი გვიჩვენა, რომ ამჟამად მამაკაცებს სოფლად უფრო მაღალი სიბერის მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე ქალაქად. ქალებს კი სოფლადაც და ქალაქადაც – ერთნაირი (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

ქალთა და მამაკაცთა მედიანური ასაკი სოფლად და ქალაქად (2000 წელი)



ხანდაზმულ ქალთა ყველაზე მაღალი წილით საქართველოს ყველაზე დაბერებული რეგიონი, რაჭა-ლეჩხუმისა - ქვემო სვანეთის მხარე, გამოირჩევა. ქალთა კონტინგენტის თითქმის 2/5 60 წლისა და უფროსი ასაკისაა, ქალთა ნახევარი - 48 წელსაა გადაცილებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2002 წლის შემდეგ არსებითი გარდატეხა დემოგრაფიულ პროცესებში არ მომხდარა, სავარაუდოა, რომ ეს მაჩვენებელი ამ რეგიონში ამჟამად კიდევ უფრო მაღალი იქნება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა ქალთა მაღალი მედიანური ასაკით. ქალთა ნახევარი აქ 54 წელსაა გადაცილებული. მათ შორის, სოფლელ ქალთა მედიანური ასაკი, მეტად მაღალი, 58 წელია, ე.ი. ქალთა ნახევარი ამბროლაურის სოფლებში 58 წელსაა გადაცილებული

სიბერის ასეთი მაღალი ინტენსიურობის მქონე რეგიონი დაბერებულ ევროპაშიც კი იშვიათია. მაგალითად, საფრანგეთის ყველაზე დაბერებულ რეგიონში, ლიმუზენში, საშუალო ასაკი მხოლოდ 43,8 წელია (2006 წელი). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მოხუც ქალთა პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა.

სამწუხაროდ, შიგამიგრაციული პროცესების აღურიცხაობა საშუალებას არ იძლევა, თვალი სრულად მივადევნოთ მოსახლეობის დაბერების პროცესის განვითარებას სოფლად. ვფიქრობთ, მომავალი 2014 წლის აღწერა უფრო დაწვრილებითი ანალიზის საშუალებას მოგვცემს. თუმცა, მოსახლეობის განვითარების არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფლად მოსახლეობის დაბერების პროცესის ინტენსიურობა კვლავ მაღალი იქნება, რაც სახელმწიფოს მხრიდან ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამების მოცულობის ზრდას გამოიწვევს.

MZIA SHELIA
PhD in Economics

GEORGIA'S RURAL POPULATION AGING IN THE POST-SOVIET PERIOD

S u m m a r y

Due to the intensive “rural-urban” migratory streams Georgia’s rural population transcended the limit of demographic aging by thirty years compared with urban population, but because Georgia’s rural population maintained a higher level of fertility until the 90s there was population with relatively young age structure and less median age compared with urban population. At that, after the fertility level evened out between urban and rural population and subsequently the fertility level of rural population declined even more, the median age of Georgia’s rural population increased.

Proceeding from the existing tendencies of population development we can assume that intensity of aging process of rural population will be also high in the future, that will bring about the increase of the volume of programs of the elderly’s social protection from the side of state.

თეიმურაზ შენგელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

სასოფლო-სამეურნეო მეთარმობის როლი ბიზნესის განვითარებაში

სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთი მაპროფიტებელი და წამყვანი დარგია. საქართველოში ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც სოფელმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართული კულტურული ფენომენის ჩამოყალიბებაზე, განსაზღვრა ერის მდიდარი მეწარმობითი ტრადიციები. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი, დიდი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „იმ ხალხმა ვინც მიწა საკუთარ ღმერთად აქცია ქართველებს უწოდებდა „გეორგიანოს“ („მიწათმოქმედნი“). ეს დიდი პატივი იყო იმ ხალხისაგან, რომელიც ყოველ არაბერძენს ბარბაროს უწოდებდა“ (ივ. ჯავახიშვილი. თხზ. თორმეტ ტომად. ტ.2. გვ. 239). როგორც სეზონური დარგი სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარემო პირობებზე: ნიადაგის ნაყოფიერებაზე, კლიმატურ პირობებზე, მდებარეობაზე და სხვა; საქართველო აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. მაგრამ, ხელისუფლების მხრიდან ამ სფეროში გატარებული უსისტემო რეფორმების გამო დარგის პროდუქტიულობა უკიდურესად დაბალია, მაშინ, როდესაც ნაყოფიერი ნიადაგის, სუფთა წყლისა და ხელსაყრელი კლიმატის პირობებში საქართველო ტრადიციულად აწარმოებდა ტემპერატურული ზონებისთვის დამახასიათებელი კულტურების ფართო და მრავალფეროვან ასორტიმენტს, ქვეყანაში ინტენსიურად ვითარდებოდა მეცხოველეობა, მეფრინველეობა და სასოფლო სამეურნეო წარმოების სხვა დარგები, რაც ქმნიდა მის საექსპორტო პოტენციალს. საქართველო 3000 წელზე მეტია აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალფეროვან ასორტიმენტს – უძველესი დღინით დაწყებული, მარცვლოვანი კულტურებისა და ხილის ადგილობრივი ჯიშებით დამთავრებული.

ის რომ ქვეყანას სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ჩანს იქიდანაც, რომ საბჭოთა პერიოდში ის იყო ერთ-ერთი წამყვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, რომლის წილი უმაღლესი ხარისხის საკვებით რესპუბლიკათშორის ვაჭრობაში 10% -ს შეადგენდა. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ საქართველოში, როგორც ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო მოცულობა კატასტროფულად შემცირდა, ხოლო 2003 წლიდან მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, რასაც ხელს უწყობდა ეკონომიკური განვითარების ახალი რეჟიმის დანერგვა, რაც თავის მხრივ ემყარებოდა ქვეყნის დინამიურ ინტეგრაციას საქონლის, მომსახურებისა და ფინანსური ნაკადების გლობალურ სივრცეში.

მსოფლიო მაშტაბით მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სწრაფად იზრდება. მოსახლეობის ზრდისა და ურბანიზაციის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე მიწის ფართის მკვეთრი შემცირება დღის წესრიგში აყენებს სოფლის მეურნეობაში ინტენსიური ტექნოლოგიების

გამოყენების საკითხს. ბიოსაწვავის წარმოებამ და სასოფლო-სამეურნეო მიწისა და წყლის რესურსებზე საბირჟო სპეკულაციებმა გამოიწვია მათი მსოფლიო ფასების მკვეთრი ზრდა. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სამომავლო არასახარბიელო პერსპექტივების გამო შეზღუდა უცხოური ინვესტიციების დაშვება ადგილობრივ მიწებზე [1, გვ. 248]. საქართველო კი აქტიურად იწვევს ინვესტორებს, რათა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი. ინვესტორებს, რომლებსაც სურთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, შეუძლიათ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საბაზრო ფასის მხოლოდ 20%-ად. ქართული კანონმდებლობით ადგილობრივი და საზღვარგარეთის ინვესტორები სარგებლობენ შემდეგი საგადასახადო შეღავათებით:

- გაუქმდა დღე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველად მოწოდებაზე;
- გაუქმდა ქონების გადასახადი ხუთ პექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთებზე;
- გაუქმდა ქონების გადასახადი ქონებრივ ტრანზაქციებზე;
- 100%-იანი საგადასახადო შეღავათი ამორტიზაციაზე;
- გაუქმდა საიმპორტო გადასახადი სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტექნიკაზე;
- დაწესდა სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის გამარტვებული რეჟიმი (სასოფლო-სამეურნეო მიწების 75% სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს);

გლობალურ ეკონომიკაში უფრო მეტად ინტეგრირების მიზნით საქართველომ მოახდინა ვაჭრობის ლიბერალიზაცია, დაიღო საერთაშორისო შეთანხმებები: თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (FTA); თურქეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (დსთ); უსაფრთხოების ნორმების (GSP), ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან პრეფერენციული ვაჭრობის შესახებ და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების განვითარებით დაინტერესებულ ინვესტორებთან ერთად, საქართველო აცნობიერებს მნიშვნელობას გრძელვადიან და განახლებად კულტურათა ისეთი სისტემებისა, რომლებიც თავიდან აგვაცილებს მოსავლიანი ბუნებრივი რესურსების გამოფიტვას.

მთავრობის მხრიდან ამ დარგის მხარდაჭერის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, საქართველოს 2013 წ. ბიუჯეტის კანონი, რომელშიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება საგრძნობლად გაზრდილია.

მიუხედავად ამ გარემოებებისა საქართველო ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოებით საკუთარ მოთხოვნასაც კი. მარტო 2012 წელს 22 მილიონი დოლარის ღირებულების კარტოფილი, 12 მილიონის ლობიო, 18 მილიონის პომიდორი, 17 მილიონის ხახვი არის იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნებიდან. მხოლოდ ამ ოთხმა კულტურამ 70 მილიონი შეადგინა. მთლიანად იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ კი 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა და ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც სახნავ-სათესი მიწების 40 პროცენტიც კი არ არის ათვისებული; ათიათასობით ოჯახი დაუსაქმებელია [7].

სოფლის მეურნეობის ნგრევა, რითაც ხასიათდება აგრარული სექტორის ბოლო ცხრაწლიანი ისტორია შემდეგი დინამიკით ხასიათდება:

2006 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით სოფლად მოისპო პირველი დონის თვითმართველობა; 2007 წელს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაგრძელდა ე.წ. აფრიკული ღორის ჭირი, რამაც გამოიწვია ტრადიციული დარგის - მეღორეობის ფაქტობრივი განადგურება. 2008 წელს კახეთში მასობრივად გაიჩნა ვახი, ვენახების რაოდენობა 30-40%-ით შემცირდა, ხოლო საუკეთესო ნავენახარი ტერიტორიები გაპარტახებულია, ან ზეთისხილის და მოცვის პლანტაციებით არის დაკავებული. 2008-2009 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მინდვრის თავისი პოპულაცია მოხდა, რამაც საგრძნობლად დაახარა ფერმერები. 2009-2010 წლების ზამთრის პერიოდში, საკვების დეფიციტის გამო, პროცენტულად ყველაზე მეტი საქონელი დაეცა, რამაც მეცხოველეობას მძიმე მატერიალური დარტყმა მიაყენა. გაკოტრებულ ფერმერთა უმრავლესობამ ვეღარ შეძლო საგადასახადო დავალიანების და ბანკის კრედიტების დაფარვა, რამაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული მეურნეობა არაეფექტიანი გახადა. 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას უცხოელი ინვესტორებისათვის ქართული მიწის თავისუფლად მიყიდვის თაობაზე, მოჰყვა უცხოელების (განსაკუთრებით ინდოელი და ბური ფერმერების) მიერ აგროსახნავი მიწების შესყიდვა დაბალ ფასებში. 2012 წლის დამთავრებამდე, კახეთში გაიყიდა 11 500 ჰა-მდე, იმერეთში 700 ჰა-მდე, შიდა ქართლში 900 ჰა-მდე, სამეგრელო-ზემო სვანეთში 16 000 ჰა-მდე (საიდანაც 12 000 ჰა ტყის მასივია). ამავე წლის 23 დეკემბერს, მთავრობის № 394 დადგენილებით და რაიონების საკრებულოების საშუალებით მოხდა სახნავი მიწისა და სათიბის გადასახადის ზრდა 400%-მდე, ხოლო საძოვრის 500%-მდე, რაც დიდი დარტყმა იყო მცირე და საშუალო ფერმერებისთვის. 2011 წელს გაზრდილ მიწის გადასახადს დაემატა ჯაგერის ჯიშის ხორბლისა და პიონერის ჯიშის სიმინდის სამთავრობო პროგრამის ფერმერებზე თავსმოსხვევა. პროგრამა ფაქტობრივად ჩავარდა, რაც საბოლოოდ აღიარა ხელისუფლებამ. ქართველმა ფერმერებმა კვლავაც განიცადეს დიდი ზარალი. 2012 წელს საქართველოს ცალკეულ რეგიონებს განსაკუთრებით კახეთს მიაღვა დიდი ზარალი სტიქიური უბედურების გამო [8].

პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის განვითარებას რთული და კომპლექსურია. ისინი უკავშირდება, მენტალურ ასევე ორგანიზაციულ ბარიერებს. ბევრი მიზეზის გამო შრომისუნარიანი, მაგრამ დაუსაქმებელი ადამიანები ვერ იღებენ გადაწყვეტილებას ამ ბიზნესში ნაბიჯის გადასადგმელად.

იმ პრობლემების ფართო სპექტრში, რომელიც არსებობს ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია სამი მთავარი საკითხის გამოყოფა, რომელთა გადაწყვეტასაც შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის სოფლად მიგრაციული პროცესების გაფართოებაზე. ესენია:

ა) სოფლის მეურნეობაში მცირე ბიზნესის, ფერმერული და საკარმიდამო მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლის დაზღვევის პრაქტიკის შემოღება, ამ მიზნით სპეციალიზებული ან უნივერსალური სადაზღვევო კომპანიები შექმნა;

გ) სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, ამ დარგის მუშაკების სწავლება.

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ სადაზღვევო ბაზარზე უკვე არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაზღვევის კარგად ჩამოყალიბებული მოთხოვნა. ძირითადი პრობლემა სადაზღვევო კომპანიების სექტიკური დამოკიდებულებასა და რისკების მართვის გადაჭარბებულ გარანტიებში გამოიხატება. ეს ერთის მხრივ თითქოს ბაზრის სიმცირით, ხოლო მეორეს მხრივ ამ მიმართულებით გამოცდილების არ არსებობით არის გამოწვეული. აქ მნიშვნელოვანია ორი სახის სადაზღვევო პროდუქტის განვითარება: ბიზნეს რისკების დაზღვევა და ჩვეულებრივი მოსავლის დაზღვევა (ყოველწლიურად), რაც სხვა ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული პროდუქტია. სახელმწიფო ვალდებულია ამ მიმართულებით მოახდინოს თავისი საქმიანობის გააქტიურება. ამისთვის უნდა შექმნას გარანტირებული სადაზღვევო ბაზარი კომპანიებისთვის, შემუშავოს პირველ ეტაპზე ამ ტიპის კომპანიებისათვის შეღავათების პაკეტი.

თანამედროვე ევროპული და ამერიკული ფერმერების ინოვაციური გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დარგში და მისი გაზიარება ქართველებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამ მიზნით აუცილებელია, სასოფლო-სამეურნეო მუშაკებისათვის ყველა რაიონში სპეციალური საკონსულტაციო ცენტრების შექმნა. ეს მათ დაეხმარება მიიღონ გადაწყვეტილება, რა მიმართულებით განავითარონ მეურნეობები, რა ინტენსიური და ინოვაციური ტექნოლოგიები გამოიყენონ, როგორ გაყიდონ პროდუქცია და სხვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სპეციალური ბიულეტენების, ლიტერატურის, სარეკლამო ინფორმაციის გავრცელება. ასეთი ცენტრების შექმნით სახელმწიფო ხელს შეუწყობს უპირატესად ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას. უცილებელია მაღალპროდუქტიული სელექციური ჯიშების საცდელი სადგურების შექმნა და ამ პროდუქტის შეყვანათიანი ფასებით მიყიდვა ფერმერებისათვის.

2012 წელის ოქტომბერში დემოკრატიული გზით არჩეულმა ხელისუფლებამ განვლილი ექვსი თვის განმავლობაში გადადგა ქმედითი ნაბიჯები სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის ასაღორძინებლად. ეს გამოიხატა შემდეგში:

შექმნა სოფლის მეურნეობის 1 მილიარდიანი ფონდი, რომელიც დააფინანსებს ამ სფეროს მრავალ პროექტს და ასევე, უზრუნველყოფს შეღავათიანი კრედიტების გაცემას გლეხებისა და ფერმერებისთვის.

დაიწყო იაფი კრედიტების პროგრამის განხორციელება. სოფლის მეურნეობაში დაინერგა 3 სახის საკრედიტო პროდუქტი: 6 თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისთვის 5000 ლარამდე, უზრუნველყოფის გარეშე საჭიროების შემთხვევაში, მცირე ფერმერები მიიღებენ 6 თვიან უპროცენტო სასაქონლო კრედიტს, რაც გულისხმობს, რომ ისინი მიიღებენ მათთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს (გარდა სასუქისა) და არა თანხას საწარმოო სეზონის დასაწყისში და დასრულების შემდეგ გადაიხდიან კრედიტის გაცემის მომენტისთვის დაფიქსირებულ საცალო ფასს დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე; საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა 5000-დან 100000 ლარამდე, წლიური – არაუმეტეს 7-8%-სა. დიდი და საშუალო ფერმერების ხელშეწყობა განხორციელდება იაფი კრედიტებით უზრუნველყოფის გზით, ვისაც 2 წელზე ნაკლები ვადით ესაჭიროება 5000 ლარიდან 100000 ლარამდე თანხა საბრუნავი კაპიტალისა და რიგ შემთხვევებში, ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად. ამ ტიპის სესხებს მიიღებენ საშუალო და დიდი ფერმერები, რომლებიც არ არიან მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარები. ფერმერებისთვის ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება 7-8%-მდე; სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება - გრძელვადიანი და მოქნილი კრედიტით (არაუმეტეს 600000 აშშ დოლარისა, საშუალოდ – წლიური 3%) დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რაც გულისხმობს მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის (სასაწყობე, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა) იაფი და გრძელვადიანი ფულადი

რესურსით მხარდაჭერას. 2013 წელს ამ სქემით დაფინანსდება მინიმუმ 60-მდე საწარმო. მეწარმეთათვის ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება დაახლოებით 3% [9].

2013 წლის გაზაფხულზე დაიწყო უპრეცედენტო საგაზაფხულო პროგრამის რეალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს 640 ათასი მცირემიწიანი ფერმერისა და გლეხისთვის ხვნისა და მიწის სხვა სამუშაოებს. მხოლოდ საგაზაფხულო პროგრამის ბიუჯეტი 190 მილიონი ლარია. ამ პროგრამის ფარგლებში გადაწყდა შემდეგი კონკრეტული პროექტების განხორციელება: სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება. ეს ბარათები ორი სახისაა: ნომინალური და კომბინირებული. პირველ ეტაპზე გაიცემა კომბინირებული ბარათები, რომელსაც მიიღებს 610 ათასი კაცი, რომელიც 0,25 და 1,25 ჰა მიწას ფლობს. ამ ბარათით გლეხებს შეუძლიათ ნიადაგის დამუშავების – ხვნისა და გაფხვიერების (დადისკვის) სერვისი მიიღონ. ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო ბარათი 510 ლარის ეკვივალენტი გამოდის. 1 ჰა-ზე, ასევე, მიიღებენ 300 ლარის ეკვივალენტ ნომინალურ ბარათს ნედლეულისა და ინვენტარის შესაძენად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მოვაჭრე დარეგისტრირებულ მაღაზიაში. ვისაც აქვს 0,25 ჰა-ზე ნაკლები მიწა, სადაც ტექნიკა ვერ შედის, 100 ლარის ეკვივალენტი უნიფიცირებული ბარათები დაურიგდებათ ნედლეულის შესაძენად. მარტო საგაზაფხულო ხვნის პროგრამა 200 მლნ. ლარამდე დაჯდება და 640 ათას კაცს მოიცავს. ამ პროგრამას, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი აფინანსებს, სადაც თანხის ნაწილი საქველმოქმედო ფონდისგან შემოვიდა, ნაწილი კი – ფონდი „ქართუსგან“. ამ ყველაფერს სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების სააგენტო უდგას სათავეში. მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს [9].

2013 წელს დაგეგმილია სოფლის მეურნეობის მინიმუმ 60-მდე გადამამუშავებელი საწარმოს გახსნა. გადამამუშავებელი საწარმოს ასაშენებლად მსურველს შეუძლია სესხად აიღოს 1 მლნ ლარამდე (უფრო მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროექტებს საინვესტიციო ფონდი განხორციელებს). ეს არის გრძელვადიანი, 5-7-წლიანი მაქსიმუმ 15%-იანი სესხი. თუ 15%-იანი სესხი დამტკიცდა, ფონდი შედის თანადაფინანსებაში და ეს მანევრებელი 3%-მდე ჩამოჰყავს. ამით, მსურველი იღებს იაფ, გრძელვადიან რესურსს, მაგრამ სესხი გაიცემა მხოლოდ ბიზნესორიენტირებულ და მდგრად პროექტებზე. ამ პროექტებმა სოფლის მეურნეობის გრძელვადიან განვითარებას უნდა დაუდოს საფუძველი.

გამოიყო თანხები დამატებით 350 მძიმე ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ტექნიკის შექნაზე, 1,700 მოტობლოკზე და შესაბამისი რაოდენობის მისაბმელებზე. ახალი, თანამედროვე და მაღალი ხარისხის ტექნიკა საქართველოში საგაზაფხულო სეზონისთვის შემოვა. დამატებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გაერთიანებული სამედიცინო სისტემების კომპანიამ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ახალი, 3 მლნ 600 ათასი ლარის ღირებულების სამედიცინო ტექნიკა შეიძინა.

სოფლის მეურნეობის ახალი სტრატეგიის მიხედვით, დაიწყო სოფლად საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნა. გამოცხადდა ღია კონკურსი და მარტის თვის დასაწყისში დასრულდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების შექმნა. მთელი საქართველოს მასშტაბით - 54 მუნიციპალიტეტში 250 სპეციალისტი დასაქმდება, რომელიც ადგილზე ყოველდღიურ რეჟიმში გლეხებსა და ფერმერებს კონსულტაციებს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტურად განხორციელებისთვის. აჭარაშიც დამატებით გაისწავება 5 ასეთი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

2013 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი თანხა გაიზარდა 54 მილიონი ლარით (2012 წელს ირიგაციისა და დრენაჟისთვის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 10000000 ლარი, ხოლო 2013 წლისთვის ეს თანხა გაიზარდა 64400000 ლარამდე). ამჟამად ერთდროულად მიმდინარეობს 10 არხის რეაბილიტაცია შემდეგ რაიონებში: მარნეული, გარდაბანი, მცხეთა, საგარეჯო, ქარელი, კასპი. წლის ბოლომდე მთელი საქართველოს მასშტაბით 50 სარწყავი არხი გაიწმინდება. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) შემუშავების პროცესშია ახალი, ირიგაციისა და დრენაჟის პროექტი, რომელიც ასევე დაიწყება 2013 წლის შემოდგომაზე. პროექტის ღირებულება 15 მილიონ დოლარს შეადგენს. ასევე შემუშავების პროცესშია ახალი პროექტი მსოფლიო ბანკთანაც. პროექტის მოცულობა 50 მილიონ დოლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მიმართული იქნება ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, წყლის მოხმარებისა და მართვის გაუმჯობესებაზე, ასევე მიწის საკუთრების უფლებების დადგენა/მინიჭებასა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაზე. პროექტის განხორციელება დაიწყება 2013 წლის შემოდგომაზე [9].

ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროექტი. აღნიშნული პროექტით საქართველო მიიღებს 40 მილიონი ევროს გრანტს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის. აქედან დაახლოებით ნახევარი იქნება საბიუჯეტო გრანტი, ხოლო 15 მლნ. ევრო მოხმარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას.

თუ ხელისუფლება ეფექტიანად შეძლებს ამ ამოცანების გადაწყვეტას, დაიწყება სოფლისკენ მოძრაობის ტენდენცია. ამასთან, მთავრობის მიერ დაგეგმილი პროგრამის რეალიზაციის პროცესში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანიც. ეს უპირველეს ყოვლისა გამოძვლავნდა შემდეგში:

- ❖ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის პროცესში იკვეთება კორუფციული გარიგებები, რის გამოც ფაქტობრივად შესყიდულ იქნა დაბალი მანქანების მქონე ტექნიკა;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო ბარათების არარეგულირებადი გაცემის გამო, ისინი დროულად ვერ დაურიგდათ გლეხებს, ნაწილმა კი ისინი საერთოდ ვერ მიიღო.
- ❖ ბარათების განაღდება ხდებოდა სპეციალიზებულ მაღაზიებში, სადაც პროდუქციის ფასი ბევრად აღემატებოდა საბაზროს;
- ❖ სასოფლო სამეურნეო ტექნიკის დეფიციტის პირობებში გეგმაზომიერად ვერ განხორციელდა ხენა-თესვის პროგრამა და სხვა.

სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მთავრობის მიერ გადაიდგას შემდეგი ქმედითი ნაბიჯები: რაიონებში შეიქმნას სოფლის მეურნეობის მომსახურების ისეთი ტიპის ცენტრები, რომლებიც იქნება ფერმერთა საინფორმაციო, საკონსულტაციო, სასწავლო და საკვალიფიკაციო ადგილი; მოხდეს მიწის გადასახადის ძველ ნიშნულზე დაყვანა და შესაბამისად მოხდეს 2011-2012 წლების გადასახადების ხელახალი გადაანგარიშება. აუცილებელია ჩატარდეს მიწის კადასტრი; ფერმერებს მიეწოდოს სპეციალურად დაბალი ფასით საწვავი, სათესი და საჯიშე მასალა, დაიშვას სუბსიდიის სოფლის მეურნეობაში; აუცილებელია ყადაღებისა და ინკასოების გაუქმება, დარიცხული საურავების ჩამოწერა და რეალურად გაანგარიშებული ნარჩენი თანხების ეტაპობრივად, სპეცგრაფიკით გადახდა, რითიც ფერმერებს მიეცემათ რეალური შანსი, რომ თვითონ მიხედონ საკუთარ მიწას; აღდგეს რაიონებში საცდელი სადგურები და ვეტერინარული სამსახურები, ხოლო სოფლად ვეტუბნები და ვეტპუნქტები, გამოიყოს დაფინანსება საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებისა და ხელოვნური სათიბების მოსაწყობად და ბუნებრივი საძოვრების გაკულტურებისათვის; შემცირდეს სარწყავი წყლის მოხმარების გადასახადი, მოხდეს სადრენაჟო და სარწყავი სისტემების აღდგენა – რეაბილიტაცია; წინა პლანზე წამოიწიოს ენდემური და ადგილობრივად გამოყვანილი ჯიშების გამრავლებამ და პოპულარიზაციამ, ბიოპროდუქტების წარმოებამ და მოხდეს იმ ფერმერების ხელშეწყობა, რომლებიც ამ საქმიანობაში ჩაებმებიან; მოხდეს მექანიზაციის ცენტრებიდან ტექნიკის იმ მცირე და საშუალო ფერმერებზე მიმარება, რომლებიც სამუშაოებს დაქირავებული ტექნიკის საშუალებით ახორციელებენ; ჩატარდეს პირუტყვის პასპორტიზაცია, მათი აღწერა და გადარჩევა შერჩევის მიზნით; სახელმწიფოს ხარჯზე ჩატარდეს პირუტყვისა და ფრინველის სავალდებულო აცრები; გამკაცრდეს კონტროლი უხარისხო, ვადაგასული ვაქცინების, პრეპარატების, პესტიციდებისა და სასუქების იმპორტზე; მოხდეს ბიომეურნეობების ჩამოყალიბება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

ამ ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის განვითარებას საქართველოში, რაც არსებითია მოსახლეობის დასაქმებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. L. Greig. The Agricultural Economics Society. American Journal of Agricultural Economics, Volume 64, Issue 1, page 274, 2013.
2. Participation of Italian farmers in rural development policy. Pascucci, S., de-Magistris, T., Dries, L., Adinolfi, F. American Journal of Agricultural Economics, Volume 95, Issue 3, April 2013.
3. Сельскохозяйственные рынки/В.В.Шайкин, Р.Г.Ахметов, Н.Я.Коваленко и др.-М.: Колос, 2012
4. Ахметов Р. Г., Шайкин В. В. Инновационная деятельность и финансирование инвестиций в сельском хозяйстве. - М.: МСХА, 2012.
5. saqarTvelos statistikis erovnuli samsaxuris biuleteni. Tb., 2012.
6. <http://www.bfm.ge/banks/1818-soplis-meurneoba>.
7. <http://www.geworld.ge>.
8. <http://www.ei-lat.ge/images/doc/Independence-Transformation>.
9. <http://www.radiotavisupleba.ge/content/soplis-meurneobis-ganvitarebis-shesakheb>.

TEIMURAZ SHENGELIA
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
 Full Professor

THE ROLE OF AGRICULTURAL ENTREPRENEURSHIP IN BUSINESS DEVELOPMENT

S u m m a r y

Agriculture is a major and leading field for any country. As well, it is particularly important for Georgia, the village has a huge impact of the formation of the Georgian cultural phenomenon, it has determined wealthiest and

the Entrepreneur traditions of the nation's. The demand for agricultural products is increasing rapidly in Worldwide. The growth of population and urbanization process caused the sharp decrease of a land area for per capital, that stipulated the Intensive use of technology in agriculture. The production of biofuel and speculative trading of agricultural land and water resource caused the sharp rise in world prices. Georgia is actively attracting investors to develop agricultural potential.

Despite this conditions, the country can not provide the own demand for agricultural production. According to 2012, there were imported more than \$ 500 million agricultural production.

In October 2012 the democratically elected government took the effective steps for welfare the agriculture. It is expressed as follows:

1 billion fund was set up to finance many projects in this field, and also to provide preferential loans for the farmers. Additional funds were allocated for the purchase equipment of mechanization. According to 2013 budget, the funds for the rehabilitation of irrigation system and drainage increased by more than 54 million and ect

Despite the government's planned measures under the rural development program, it is unorganized, this field shows the offenses, which imposes the government more responsibility for the development of this sector

ბიოტურიზმი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*

საქართველოში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარების

მმართველობითი და სარეგულირებელი საკანონმდებლო საკანონმდებლო საკანონმდებლო

დღეისათვის აგროეკოლოგიური ტურიზმი მსოფლიოს მასშტაბით უაღრესად საინტერესო და სწრაფად მზარდ დარგს წარმოადგენს.

საქართველოში აგროეკოლოგიური ტურიზმის პროგრესული განვითარებისათვის აუცილებელია ერთობლივი მმართველობითი და სარეგულირებელი საკანონმდებლო ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფოს, ეკლესიისა და ბიზნეს-სექტორის მონაწილეობით.

ეკოტურიზმი (Ecotourism) არის ტურიზმის სახეობა, რომელსაც ხშირად უწოდებენ ატურე თოურისმ წიტი ა შოფტ თოუცკი – ბუნების მოყვარულთა ტურიზმი გარემოსთან მსუბუქი ურთიერთობით, ანუ ტურიზმის სახეობა, რომლის დროსაც ტურისტები მინიმალურ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.

ეკოტურიზმი ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა და ღირსშესანიშნავი ადგილების, ბუნებრივი რეზერვაციების, ნაკრძალების, ეროვნული პარკების, უნიკალური, ლამაზი, სანიმუშო, სენსიტიური (მგრძობიარე), ანთროპოგენულად დატვირთულ-დაზიანებული, დასაცავი და სასწრაფოდ აღსადგენი ბუნებრივი ობიექტების და ბიოეკომუნიტეტების მონახულებას. ასეთი ტურიზმის დროს ტარდება სათანადო სემინარები, ტრენინგები და კონკრეტული გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

აგროტურიზმი (Agritourism) არის ეკოტურიზმის ნაირსახეობა, შემადგენელი ნაწილი, ფერმერულ (აგროეკოლოგიურ) ობიექტებზე დამყარებული ტურიზმი. ფერმერული მეურნეობა, რომელიც დებულობს ტურისტებს, უნდა მდებარეობდეს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ლამაზ ბუნებაში; მიმდებარე ტერიტორიაზე კონცენტრირებული უნდა იყოს ისტორიული და კულტურული ძეგლები, ხოლო ფერმის ტერიტორიაზე იწარმოებოდეს ტურისტისათვის საჭირო კვების პროდუქტების 40%. ასეთი სახის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ფერმის ობიექტზე შენარჩუნებული იყოს მეურნეობის, ხალხური რეწვისა და ხელსაქმის ტრადიციული ტექნოლოგიები.

მთელ რიგ შემთხვევებში ორივე ტერმინი: ეკოტურიზმი და აგროტურიზმი სინონიმებად იხმარება.

ჩვენი საპროექტო წინადადების არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ დეფინიცია – აგროეკოლოგიური ტურიზმი (Agroecological Tourism, Eco-Agrotourism).

საქართველოში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება-გატარება, რომელიც მოსახლეობას სოფელში დაამაგრებს, იქ უპოვის მას საარსებო საშუალებას. ამასთანავე, საჭიროა ყველა რეგიონს, რაიონს, ყოველ სოფელს ინდივიდუალურად მივუდგეთ და მათი განვითარების მოდელები ადგილობრივ რესურსულ პოტენციალზე დავაფუძნოთ.

საქართველოს ყველა რეგიონში დიდი პოტენციალია აგროეკოლოგიური ტურიზმის განსავითარებლად. ასეთ რაიონებს კომპლექსური განვითარების მოდელი უნდა შევუდგინოთ. აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა, შეიქმნას კონკრეტული პროექტები, გამოიყოს სათანადო დაფინანსება, შეიქმნას სათანადო მმართველობითი გუნდი.

სპეციალისტთა ჯგუფებმა, ადგილობრივი მართვის ორგანოებთან ერთად, უნდა შეისწავლონ რაიონების რესურსული, ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო პოტენციალი. უნდა შეიქმნას ცალკეული რაიონების და სოფლების განვითარების კონცეფციები, მოდელები და მიზნობრივი პროექტები.

ჩვენი ქვეყნისათვის აგროეკოლოგიური ტურიზმის აქტუალობაზე საქართველოს საპატრიარქოც ამახვილებს ყურადღებას. 2005 წლის 27 ივნისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ სინოდის წევრებს შესთავაზა საკითხი სოფლის მეურნეობის და მომლოცველობითი სამსახურის განვითარების შესახებ.

კერძოდ, მოსახლეობის დასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, წმინდა სინოდმა მიზანშეწონილად მიიჩნია საჩვენებელი მეურნეობებისა და ფერმების შექმნა და ამ მიზნით სოფლის მეურნეობის მუშაკთა და ბიზნესმენების მონაწილეობით საქმიანი შეხვედრების მოწყობა, ხოლო მომლოცველობითი საქმიანობის განვითარებისთვის – მონასტრებთან მომლოცველთათვის სასტუმროების აშენება.¹

ქვემოთ გადმოცემთ ჩვენ მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადების ნიმუშს –

„აგროეკოლოგიური ტურიზმი პოტენციური ინვესტორისათვის“. პროექტს განახორციელებს ტურისტული კომპანია „ქართული სახლი“, რომელიც უნდა შეიქმნას საპროექტო წინადადების მიზნებიდან გამომდინარე.

საქართველოში და, კერძოდ, კახეთის, შიდა ქართლის და სვანეთის რეგიონებში, აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება, სათანადო ტუროპერატორული კომპანიის და მისი რეგიონული ოფისების შექმნის აუცილებლობა და სამეწარმეო-კომერციული მიზანშეწონილობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- საქართველო მდიდარია ტურისტული რესურსებით;
- კახეთის, შიდა ქართლის და სვანეთის რეგიონებში, ისევე როგორც მთელ საქართველოში არსებული ტურისტული რესურსები და შესაბამისი ეკონომიკურ-ბიზნეს პოტენციალი არ არის სათანადოდ ათვისებული-გამოყენებული;
- კახეთის, შიდა ქართლის და სვანეთის რეგიონები უნიკალურია ულამაზესი ბუნებითა და სპეციფიკური ეკოლოგიური სისტემებით, დაცული ტერიტორიებით, სასოფლო-სამეურნეო და აგროსამრეწველო წარმოების მრავალსახეობით, და ფერმერული პროდუქციის მრავალფეროვნებით, საწარმოო მეთოდებითა და ტექნოლოგიებით, აგრეთვე, უმდიდრესი ეკონომიკურ-ეთნოლოგიურ-კულტურული ტრადიციებითა და ძეგლებით;
- აგროეკოლოგიურ ტურიზმს სათანადო ყურადღება არ ექცევა საქართველოში მოქმედი ტურისტული კომპანიების მიერ. მათ მიერ წარმოდგენილი მომსახურების პაკეტი, უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება სათანადო კრიტერიუმებს ან არ მოიცავს აგროეკოლოგიური ტურიზმის კომპონენტებს;
- ახლო მომავალში მოსალოდნელია საქართველოში ტურისტული მეურნეობის და, კერძოდ, აგროეკოლოგიური ტურიზმის სწრაფი განვითარება და ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა;
- საქართველოს ტურისტული ბაზარი არ არის გაჯერებული. მასში შესვლა და ადგილის დამკვიდრება ადვილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება მომსახურების პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ინფრასტრუქტურით, შესაბამისი მომსახურე პერსონალით და სწორი მენეჯმენტით;
- აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან იმპულსს მისცემს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის აღმავლობას, სოფლის მეურნეობის (მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების) და ეკონომიკურ-ეთნოლოგიურ-კულტურული ტრადიციების აღორძინებას და პროგრესულ წინსვლას, ამ და მომიჯნავე სფეროებში მოსახლეობის დასაქმებასა და მათი შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას;
- ყოველივე ზემოაღნიშნული კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავლებს ტურისტული კომპანია „ქართული სახლი“-სთვის.

ჩვენ მიერ შემთავაზებული ტურისტული კომპანიის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას, დაასაქმოს მოსახლეობა და მიიღოს სტაბილური შემოსავლები.

¹ იხილეთ: <http://www.patriarchate.ge/?action=sinodi>.

უმთავრესი მიზნიდან გამომდინარე, თავის საქმიანობას კომპანია წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების მომსახურების ისეთი სახეობების დანერგვა, როგორცაა:

- სასწავლო-პრაქტიკული აგროეკოლოგიური, აღმოჩენითი და კულტურულ-ეთნოლოგიური ექსკურსიები სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის.
- დასვენების დღეებისა და სადღესასწაულო აგროეკოლოგიური, აღმოჩენითი და კულტურულ-ეთნოლოგიური ექსკურსიები საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, როგორცაა არასამთავრობო-საზოგადოებრივი კავშირები, ფონდები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბიზნეს-წრეები, შემოქმედებითი კოლექტივები და სხვა.
- 7-15 დღიანი აგროეკოლოგიური, აღმოჩენითი და კულტურულ-ეთნოლოგიური ტურები ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის.
- თანამშრომლობა რეგიონების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან
- ეკოტურების დაგეგმვისა და მოწყობის მიზნით;
- რეგიონში მაქსიმალურად ხელუხლებელი, უნიკალური, ლამაზი, სანიმუშო, სენსიტიური (მგრძობიარე), ანთროპოგენულად დატვირთულ-დაზიანებული, დასაცავი და სასწრაფოდ აღსადგენი ბუნებრივი ობიექტების გამოვლენა სათანადო ეკოტურების დაგეგმვა-მოწყობის მიზნით და მათივე (ეკოტურების) საშუალებით. ზოგიერთი ეკოტური უნდა ითვალისწინებდეს ტურისტის შრომით მონაწილეობას გარემოსდამცავ და აღსადგენ სამუშაოებში. მაგალითად, კახეთის და სვანეთის რეგიონებისათვის ასეთი ობიექტებია ლაკებს და ილტოს წყალსაცავების, ხუდონჰვისის მშენებლობის ყოფილი პოლიგონები, სატყეო მეურნეობათა ტერიტორიები, ქალაქებისა და საწარმოო ობიექტების წყალგამწმენდი ნაგებობების აღდგენა-მშენებლობა და სხვა;
- საფირმო საოჯახო სასტუმროებისა და ფერმერული მეურნეობების შექმნა-მოწყობა და მხარდაჭერა მეურნეობის განვითარებისა და მის ბაზაზე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვისა და მომსახურების გაწევის მიზნით;
- საფირმო და დამოუკიდებელ ბიომეურნეობებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია. ასეთი პროდუქციის ბაზაზე საფირმო ეკოკვების ობიექტების (რესტორნები, კაფეები, ძველებური დუქნები) ფუნქციონირება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული, უნიკალური, ეგზოტიკური და მომგებიანი დარგების, მათ შორის მევენახეობის, მეხილეობის, მეაბრეშუმეობის, მეკაკლეობის (პლანტაციების სახით), მეყვავილეობის, მეცხოველეობის (მაგალითად, მეცხვარეობა, მეთხვევობა, მებოცვრეობა, მეცხენეობა, მეძალეობა), მეფრინველეობის (მაგალითად, მესობხეობა, მეციცრეობა, მეფარშევანგეობა), მეთევზეობის, მეფუტკრეობის, მეღვინეობის, აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების. მეთუნეობა-მექვევრეობის, „ზედაშეს“ კულტურის აღდგენა-განვითარება საფირმო და დამოუკიდებელი აგრომეურნეობების ბაზაზე;
- ბიოლოგიური, ქარის და მიკრო-ჰიდრო დანადგარებით ენერჯის მიმღები ტექნოლოგიების დანერგვა, წყლის წისქვილების აღდგენა-განვითარება საფირმო და დამოუკიდებელი აგრომეურნეობების ბაზაზე;
- მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიებთან საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობების პოტენციალის სპეციალურ აგროეკოლოგიურ ტურებში ჩართვის მიზნით;
- ხალხური რეწვის, ისტორიული, ეთნოგრაფიულ-კულტურული ფენომენების და ტრადიციების (თექა, აბრეშუმი, ეროვნული სამოსელი და ფესხაცმელი, საიუველირო ნაწარმი, სამკაულები, საბრძოლო იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სამეურნეო ხელსაწყოები, საოჯახო ნივთები და სხვ.) აღორძინება-განვითარება. ამისათვის სპეციალური საფირმო საწარმო-სარეალიზაციო ობიექტების (სახელოსნოები, მაღაზიები) შექმნა-ფუნქციონირება (თბილისში, სიღნაღში, გორში და მესტიაში, შემდეგ – სხვა რეგიონებშიც);
- თემატური საგამომცემლო-პოლიგრაფიული საქმიანობა, პირველ რიგში – პერიოდული საფირმო საკონსულტაციო-სარეკლამო ჟურნალის „ქართული სახლი“-ს გამოშვება;
- საოჯახო და ფერმერულ მეურნეობათა მუშაკების, ეკონომისტების, ბიოლოგების, პედაგოგების, კულტურული და სხვა სფეროების სპეციალისტებისათვის ახალი სამუშაო ადგილებისა და

დამატებითი შემოსავლის წყაროების ამოქმედება ტურისტულ მეურნეობაში მათი ჩაბმის საშუალებით;

- ფასიანი საფირმო საკონსულტაციო-სატრენინგო ტურისტული ბანაკების მოწყობა;
- საფირმო საკონსულტაციო-სატრენინგო რესურს-ცენტრების ფუნქციონირება თბილისში და რეგიონებში, სადაც მსურველები საზღაურის ფასად შეისწავლიან ტურისტული და სამეურნეო-სარეწაო საქმიანობის ზემოთხამოთველილ და სხვა მიმართულებათა საფუძვლებს;
- პერსპექტივაში კომპანიისა და საპატრიარქოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტურისტული დასახლებების (ებრაული კიბუცების მსგავსი ქრისტიანული თემების) შექმნა-ფუნქციონირება.

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა 2 ეტაპი.

I ეტაპი – საქმიანობის გაშლისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

აგროეკოლოგიური ტურისტული საქმიანობის დაწყებისა და გაშლა-განვითარებისათვის I ეტაპზე აუცილებელია:

- შეიქმნას კომპანიის სათაო (თბილისში) და რეგიონული ოფისები (პირველ რიგში – სიღნაღში, გორში და მესტიაში, შემდეგ – სხვა რეგიონებში);
- ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის გაშლისათვის;
- დაიგეგმოს სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის ნაწილის დაწყება..

პროექტის I ეტაპის განხორციელებას დასჭირდება 5-7 თვე. კომპანიას I ეტაპზევე შეეძლება შეუდგეს სამეწარმეო-ტურისტულ საქმიანობას და მიიღოს როგორც შიდა, ასევე უცხოელი ტურისტები,

პროექტის I ეტაპის დასრულების შედეგად მივიღებთ კომპენტენტური კადრებით დაკომპლექტებულ, პერსპექტიულ, სიცოცხლისუნარიან და მომგებიან, ძირითადად აგროეკოლოგიურ ტურიზმზე სპეციალიზებულ ორგანიზაციას.

კომპანიის სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობა ნაწილობრივ დაიწყება I ეტაპის გარკვეული პერიოდიდან და სტრატეგიული გეგმის მიხედვით სრულად გაიშლება I ეტაპის დასრულების შემდეგ.

პროექტის II ეტაპზე მოხდება კომპანიის სამეწარმეო-ტურისტული საქმიანობის სრული გაშლა და განვითარება.

პროექტის დაფინანსებისათვის საჭირო თანხების ზუსტი გათვლა მიზანშეწონილი და შესაძლებელი იქნება პოტენციურ ინვესტორთან მოლაპარაკების, მისი თანხმობისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების და აგროეკოლოგიური ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური გამოცდილების შესწავლა-გამოყენებას. სახელდობრ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აზრით, ამ სფეროში, დიდი შედეგების მოტანა შეუძლია ებრაული კიბუცების ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების (ქრისტიანული თემები) შექმნას საქართველოს სათანადო რეგიონებში.¹

ცნობილია, რომ ისრაელის სოფლის მეურნეობის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები წარმოადგენენ. ამ ქვეყანაში მოქმედებს კოოპერატივის ძირითადად ორი ტიპი: კიბუცები („კომუნალური მეურნეობა“) და მოშავეები („მუშათა დასახლებები“). ესაა უნიკალური კოლექტიური ფორმაციები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა, ინტენსიურად დაიწყო განვითარება ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1947 წ.) და დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკის მოწინავე დარგს წარმოადგენს.

ასეთ კოოპერატივებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად მაღალ დონეზეა განვითარებული აგროეკოლოგიური ტურიზმიც.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის სინერგიული განვითარება საერო და საეკლესიო სფეროებში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო მმართველობითი და საორგანიზაციო-საპროექტო დონისძიებების შედეგად ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ასეთ მიზანს.

ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მზად არიან მოწინავე მეცნიერები და სპეციალისტები. სწორედ ასეთ ადამიანებთან თანამშრომლობისა და კონსულტაციების საფუძველზე არის შემუშავებული ჩვენი წინადადება, რომლის მიზანი პროექტთან დაკავშირებული უმთავრესი მოსაზრებების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. ხოლო პოტენციური სპონსორის ან ინვესტორის მიერ ამ წინადადების მოწონების შემთხვევაში იგივე ადამიანები მზად იქნებიან შეადგინონ

¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბ., 2004. გვ. 183-184.

მუდმივმოქმედი სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფი სათანადო გეგმის, ბიუჯეტის შედგენისა და კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

- Степень зависимости продовольственного снабжения страны и ресурсного обеспечения агропромышленного комплекса от импортных поставок;
- Размеры стратегических и оперативных продовольственных запасов в сопоставлении с нормативными потребностями.

Необходимо разработать стратегию и тактику обеспечения продовольственной безопасности, определить цели и основные направления её осуществления. В первую очередь, необходимо восстановить уровень потребления продовольствия по основным продуктам и общей калорийности питания. Нужно определить среднесрочные и долгосрочные цели обеспечения продовольственной безопасности.

Реализовать эти цели можно через следующую систему мер:

- Через оптимальное сочетание государственного и рыночного регулирования цен на сельскохозяйственную продукцию;
- Через регулирование объема импорта по основным стратегическим видам продовольствия (зерну, мясу, молоку);
- Путем последовательного сокращения импорта этих продуктов питания, производство которых может быть осуществлено в Грузии;

- Через активное регулирование уровня и структуры розничных цен на продовольствие для оживления платежеспособного спроса населения и повышения конкурентоспособности отечественных товаров на внутреннем, а в перспективе и на внешнем рынке;
- Проведение политики бюджетного субсидирования продовольствия для социально незащищенных слоев населения.

Таким образом, проблему продовольственной безопасности необходимо решать только путем сочетания рыночного саморегулирования с государственным воздействием на развитие рынка продовольствия и государственной поддержкой аграрного сектора экономики.

Развитие сельского хозяйства напрямую связано с обеспечением продовольственной безопасности страны. Аграрный сектор обеспечивает страну важнейшими продуктами питания и потому является стратегической отраслью и имеет важнейшее социальное значение. За годы реформ положение в аграрной отрасли существенно ухудшилось, и последствия этого ухудшения чувствуются до настоящего времени.

К тому же последнее десятилетие XX века стало периодом кризиса в экономическом развитии страны и общего социального упадка. За чертой бедности оказалась фактически треть населения страны. Сегодня, повышение качества жизни граждан Грузии – ключевой вопрос государственной политики. Основным инструментом в решении данного вопроса является стратегическое планирование в приоритетных сферах общественной жизни, таких как образование, здравоохранение, доступное жилье и развитие агропромышленного комплекса.

Обеспечение продовольственной независимости страны может быть достигнуто двумя путями. Первый связан с самообеспечением продовольствием. Примером может служить опыт США и Китая, которые всячески защищают свой внутренний рынок от импорта продовольствия и стимулируют экспорт сельскохозяйственной продукции, тем самым проводят политику поддержания продовольственной независимости. Второй путь обеспечения продовольственной независимости заключается в сочетании использования возможностей собственного производства продовольствия и импортных поставок недостающего количества продовольствия.

Фундаментальной основой продовольственной безопасности Грузии может служить только высокоэффективно работающее продовольственное хозяйство, поэтому поддержка и стимулирование его со стороны государства является чрезвычайно важным. Осуществить это можно только через систему государственного регулирования. Опыт стран, имеющих эффективное сельское хозяйство, свидетельствует, что даже в условиях высокого уровня научного, технологического и сервисного обеспечения необходима активная государственная поддержка отрасли. Необходимость государственной поддержки обусловлена также социальными и демографическими особенностями сельской местности.

С объявленным переходом к рыночной экономике в 90-х годах в Грузии культивировался постулат о свободном, не подлежащем государственному регулированию рынке. Такой подход особенно тяжело отразился на сельском хозяйстве, где падение производства привело к экспансии продовольственного импорта, демпинговой политике импортеров, являющейся серьезной угрозой продовольственной безопасности нашей страны. Уже признано, что активная роль государства важна, прежде всего, там, где стратегически важные для общества проблемы, в том числе продовольственную, без этого нельзя решить. В развитых же странах аграрный сектор экономики является наиболее регулируемым.

Важным направлением в области обеспечения продовольственной безопасности Грузии является разработка и принятие комплексных целевых программы государственного регулирования продовольственного хозяйства страны. В условиях отказа от сплошного государственного планирования агропромышленного производства наиболее действенным инструментом его государственного регулирования становятся комплексные целевые программы, охватывающие как собственно производство, так и другие сферы продовольственного хозяйства, а также различные стороны производственных отношений.

Важную роль в механизме рыночного регулирования играют цены на сельхозсырье и продовольствие: с одной стороны, они стимулируют рост предложения, а с другой, влияют на платежеспособный спрос населения, делая более или менее доступными для него продовольственные товары. Проблемным моментом в вопросе ценовой политике в аграрной сфере остается существование диспаритета цен между сельскохозяйственной продукцией и продукцией, создаваемых в различных отраслях промышленности.

Отсюда вытекает необходимость выработки и проведения четкой государственной концепции ценообразования на продовольствие, которая обеспечивала бы необходимую доходность сельскохозяйственных товаропроизводителям и доступность для населения животноводческой продукции.

В области финансово-кредитной политики обеспечения продовольственной безопасности необходимы целевые ассигнования из бюджета на развитие и поддержку отечественных товаропроизводителей. В сфере налоговой политики в контексте обеспечения продовольственной независимости Грузии важное значение приобретают льготное налогообложение аграрного производства страны. Применение льготных условий налогообложения к отечественным сельхозтоваропроизводителям будет способствовать увеличению их числа на аграрном рынке страны, и стимулировать расширение производства тех субъектов сельскохозяйственного производства, которые в настоящий момент осуществляют деятельность по производству, переработки и реализации отечественной сельскохозяйственной продукции.

Таким образом, для обеспечения и поддержания продовольственной безопасности Грузии необходимо:

- установить государственное регулирование цен и тарифов на потребляемые сельским хозяйством электроэнергию, тепло, транспорт, горюче-смазочные материалы, удобрения, средства защиты растений и животных, сельхозтехнику, восстановить эквивалентные отношения между промышленностью и сельским хозяйством;
- запретить перевода земель сельскохозяйственного назначения в другие категории;
- ввести мораторий на импорт тех видов зарубежного продовольствия, которые могут производиться в Грузии и быть конкурентоспособными на мировом рынке продуктов питания;
- ужесточить контроль за соблюдением санитарно-гигиенических требований к импортному продовольствию;
- осуществлять финансовое оздоровление и реформирование сельскохозяйственных предприятий, превратить их в жизнеспособные, рыночно-ориентированные производственные единицы
- обеспечить развитие и бюджетную поддержку всех форм собственности и всех форм хозяйствования, обратив особое внимание на коллективные хозяйства;
- сформировать систему непрерывного сельскохозяйственного обучения, формировать кадровые резервы всех категорий работников, занятых в сельскохозяйственном производстве;
- совершенствовать механизмы финансового лизинга сельскохозяйственной техники.
- отработать механизмы долгосрочного кредитования; создать специальный фонд льготного кредитования.
- развивать систему страхования рисков сельских товаропроизводителей;
- разработать и внедрить мероприятия, обеспечивающие качество и безопасность продуктов питания, выращивание экологически чистого пищевого сырья на загрязненных индустриальными выбросами землях.
- проводить модернизацию предприятий перерабатывающей промышленности, внедрять высокоэффективное оборудование и прогрессивные технологии;
- разработать и принять перспективные региональные программы поддержки и развития агропромышленного комплекса, направленные на обеспечение продовольственной безопасности как отдельных регионов, так и Грузии в целом.
- Для решения проблем продовольственной безопасности населения Грузии помимо государственной поддержки и стимулирования развития национального аграрно-продовольственного сектора необходимо выработать и законодательно закрепить механизмы повышения доступности и качества продовольствия, исходя из задач повышения здоровья нации, предусматривая в том числе:
- развитие инфраструктуры продовольственного рынка и повышение ее доступности для всех товаропроизводителей аграрно-продовольственного сектора;
- разработку системы адресной продовольственной помощи;
- внесение изменений и дополнений в действующие нормативные правовые акты с целью создания единого государственного органа по контролю за качеством и безопасностью пищевых продуктов путем объединения ведомств по разработке стандартов с ведомствами, отвечающими за их соблюдение;

В современных условиях при выработке аграрной политики государство должно ориентироваться, как минимум, на уровень гарантированного собственного производства жизненно важных продуктов. В этих целях необходимо разработать и реализовать юридические, экономические, социальные, научно-технические и иные меры по обеспечению производства агропродовольственной продукции в достаточных количествах для населения Грузии.

Таким образом, по вопросам продовольственной независимости и безопасности Грузии можно сформулировать следующие выводы и предложения:

1. Обеспечение продовольственной безопасности должно стать приоритетным направлением государственной политики, так как охватывает широкий спектр национальных, экономических, социальных, демографических и экологических факторов.
2. Сегодня проблему продовольственной безопасности государства необходимо рассматривать в трех аспектах:
 - Физическая доступность продовольствия – это наличие продуктов питания на всей территории страны в каждый момент времени и в необходимом ассортименте;
 - Экономическая доступность продовольствия – это уровень доходов независимо от социального статуса и места жительства гражданина, который позволяет приобретать продукты питания на минимальном уровне потребления;
 - Безопасность продовольствия для потребителей – это предотвращение производства, реализации и потребления некачественных пищевых продуктов, способных нанести вред здоровью населения.

3. Сегодня государство сделало очередную попытку экономического оздоровления ситуации на селе. Ни у кого не вызывает сомнения, что необходимо кардинальным образом менять подходы и направления в развитии важнейшей отрасли народного хозяйства – аграрного сектора. Важнейшая задача реализации развития аграрного сектора Грузии состоит в создании наиболее благоприятных экономических, правовых и социальных условий в этой сфере на региональном уровне и оказания реальной финансовой помощи организациям сельского хозяйства, фермерам, владельцам личных подворий, что в конечном итоге будет способствовать в решении проблемы продовольственной зависимости Грузии от зарубежных стран.
4. Для обеспечения продовольственной безопасности как части национальной безопасности страны важное значение имеет создание надлежащих социальных условий для сельского населения. Резкий спад и отставание социальной сферы от наиболее благополучных стран может стать причиной социальных конфликтов в обществе.

Подводя итог, можно сказать, что продовольственная безопасность обеспечивается на основе ряда принципов: 1. принцип экономического обоснования государственных нужд, связанных с обеспечением страны продовольствием; 2. принцип доступности всех граждан государства к продовольствию в количестве, необходимом для активной полноценной здоровой жизни; 3. Принцип государственной поддержки отечественных сельхозтоваропроизводителей.

Таким образом, состояние дел на сегодня в Грузии свидетельствует об утрате нашей страной продовольственной безопасности. Реализация социально-экономической политики в сфере обеспечения продовольственной безопасности позволит обеспечить продовольственную безопасность Грузии, как важнейшую составную часть национальной безопасности страны.

Литература:

Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность (международные и внутренние аспекты) // М. «Экономика». 2002.

1. Кузнецов С.А. Некоторые проблемы правового обеспечения экологической и продовольственной безопасности // Аграрное и земельное право. 2007. № 12.
2. Черняков Б.А. Политика продовольственной безопасности зарубежных стран и интересы России // Экономика сельского хозяйства и перерабатывающей промышленности, №5. 2002.
3. World Food Summit, WFS 96 3 – Corr. 1. Rome, Italy, 1996.
4. www.geostat.ge

MALKHAZ CHIKOBAVA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

FOOD SECURITY, AS GUARANTOR OF STEADY ECONOMIC DEVELOPMENT OF THE STATE

S u m m a r y

In this article analysed the values of food security of the state and the main directions of its providing, it is underlined the roles of food security in achievement of national security of the state.

It is shown that at the present stage of development the main task for Georgia is improvement of providing the population by food which is especially important for providing original sovereignty of the country. Ensuring food security is the priority direction of a state policy as covers a wide range of national, economic, social, demographic and ecological factors.

შორენა ცაავა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური, სპეციალისტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

სოფლის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფა და კიბითაღი მიმართულებები

სელსაყრელი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წარმოქმნა, ჩამოყალიბება და დამკვიდრება აგრარული სექტორის რეკონსტრუქციისა და მისი მართვის ეფექტური მექანიზმის მოწოდების უტყუარი გარანტიაა. საქართველოსა და მსოფლიოს სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მეურნეობის ფორმების სწორად შერჩევაზე დიდადაა დამოკიდებული ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი, საჭირო რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ამით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ისტორიულად, საქართველო ცნობილი იყო როგორც მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა. მრავალფეროვნება, რომელიც გააჩნია საქართველოს ბუნებას, თავისთავად

განაპირობებდა ხალხის სოციალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ყოფაცხოვრების ნაირგვარობას და სიჭრელეს, ასევე გარკვეული სპეციფიკურობით და თავისებურებებით იყო დაფუძნებული მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების ფორმები, სარგებლობის, განკარგვისა და მართვის ასპექტები. მიწის გამოყენების უფლების საფუძველი მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტი იყო.

ღროში საქართველოს ტერიტორია საგვარეულოებად იყო დაყოფილი. გვარი და საგვარეულო იყო საზოგადოებრივი წყობილების დედა-ბოძი. მსგავსი სისტემა თითქმის მე-18 საუკუნემდე იყო შემორჩენილი ქსნისა და არაგვის ხეობებში. საგვარეულოს წეს-წყობილების გარდაქმნის და მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებას ხელი შეუწყო რომაელი სარდლის პომპეუსის მიერ (ჩ.წელთაღრ.-მდე I საუკუნე) საქართველოს ტერიტორიის დალაშქვრამ. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა წოდებრივი განსხვავება – დიდაზნაურები და აზნაურები. თავდაპირველად, ყმები უმეტესად დიდაზნაურებს ჰყავდათ. უაზნოთა ანუ არათავისუფალთა წოდებაშიც იყო მეტნაკლებობა (მსახურნი, მონები, მხევლები). თანდათან მომრავლდა მონებისა და მხევლების რიცხვი. მიწებს იძენდნენ სხვადასხვა საშუალებით (ომი, ყიდვა, ფულის გადაუხდელობა და სხვ.). მიწებს, ძირითადად, მონები ამუშავებდნენ. ქრისტიანობის შემოსვლამ ქვეყნის მოსახლეობა ორ ნაწილად დააყო – სამღვდელოება და ერის კაცნი. მონათმფლობელობის ინსტიტუტი თანდათან პატრონელობის ინსტიტუტმა შეცვალა. ჩამოყალიბდა ძლიერი სამთავროები. სამთავროს სათავეში იდგა ერისთავთერისთავი და ერისთავი. პატრონი თავის მიწა-წყალზე მთელი უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრედ ითვლებოდა. ყმად იწოდებოდა ყოველი, ვინც პატრონის მიწაზე იჯდა. ქვეშევრდომი ზემდგომს უხდიდა ღალასა და ბეგარას. იყვნენ ნებიერი, სიგლოსანი, მკვიდრნი, ნაწყალბები, საეკლესიო და კერძო მფლობელთა ყმები. ჟამთა სვლის კვალობაზე საზოგადოებაც თანდათან განიცდიდა დიფერენციაციას, ფენების რეკონსტრუქცია-გადაჯგუფებას. უკვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გლეხობა. გლეხობა სხვადასხვა სახის საშუალებით და დამსახურებით იძენდა მიწებს. მცირედი მოცულობით, მაგრამ მაინც კერძო საკუთრების უფლებით. 1864-1871 წლებში საქართველოში ბატონელობის ინსტიტუტი გაუქმდა. მსხვილმა მიწათმფლობელებმა მიწის ნაწილი – წვრილნაკვეთიანი და მოუსავლიანი მიწები გლეხებს დაუთმეს. მასიური ფართობები და ნაყოფიერი მიწები მემამულეებს და ეკლესიებს დარჩა. მიწებს ძირითადად გლეხობა ამუშავებდა – იჯარის უფლებით. რენტას იხდიდნენ შრომამოკებით, პროდუქტებით ან ფულით.

მომდევნო ეტაპი საქართველოში კაპიტალდაბანდების გააქტიურებით ხასიათდება. დაიწყო მიწების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება და მიწა, როგორც საქონელთბრუნვის მნიშვნელოვანი ობიექტი, საგანი, ფართოდ ჩაერთო საბაზრო ბრუნვაში. ქართულ მიწათმოქმედებასა და მიწის გამოყენების ფორმების ასპექტებში, დაწყებული ბატონელობის ინსტიტუტის გაუქმებიდან სოციალურ რევოლუციამდე, გარკვეული ტრანსფორმაცია და ცვლილებები მოიხზებოდა და ნაწილობრივ, ხორციელდებოდა კიდევ. მიწის ძირითადი მესაკუთრე იყო მემამულე, ეკლესია და გლეხობა. უფრო გაშლილი, მასიური და დასამუშავებლად ხელსაყრელი ფართობები მემამულეებსა და ეკლესიებს გააჩნდათ. შეუძლებელია არ აღინიშნოს მიწისადმი ქართველი კაცის ბუნებისა და დამოკიდებულების თავისებურების შესახებ. კერძო მესაკუთრული ბუნება ყოველთვის ჭარბობდა ქართველი კაცის მრწამსში. ყველა თავადი, აზნაური, ეკლესიის მსახური თუ გლეხი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მიწა ჩაეგდო ხელში – ყოფილიყო მისი კერძო საკუთრება.

აქედან გამომდინარე, ყველა ერიდებოდა მიწის კოლექტიური სარგებლობის წესების აღიარებას. თუ იმდროინდელი დიდი ქართველი მამულიშვილების ნააზრევსა და ნაწერებს გადავხედავთ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, თ. წინამძღვრიშვილი), დავრწმუნდებით, რომ დიდძალი მასალა იყო შეგროვილი და გამოქვეყნებული სოფლის მეურნეობის ხაზით ევროპის მოწინავე ქვეყნების მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე – კოოპერატივების, ამხანაგობების და სხვადასხვა სახის გაერთიანებების სიკეთეზე. აღნიშნული მეურნეობები არსებობდა და ფუნქციონირებდა, როგორც წარმოების, ისე მოხმარებისა და გასაღების სფეროში.

იღია ჭავჭავაძე, ახასიათებდა რა საქართველოს სოფლის მეურნეობის დუხჭირ ყოფას, ყველა მიწათმოქმედს ურჩევდა ყურად ეღო მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, ხელი მოეკიდა მიწის ერთობლივი, საერთო ძალებით დამუშავებისათვის, მიღებული ჭირნახულის გასაღების ორგანიზაციისათვის. აღნიშნული ღონისძიების რეალიზაციის მიზნით, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში 1889 წლის 2 თებერვალს პირველად შეიკრიბა 35-კაციანი კრება ხილისა და ბოსტნეულის ყიდვა-გაყიდვის საქმის გაძღოლის საკითხის გადასაწყვეტად. „ძირის ფული,“ ანუ თანხა-საფუძველი – 1000 თუმანი, უნდა ყოფილიყო დაყოფილი 400 ნაწილად ანუ 25 მანეთად თითოეული წილი. ეს 25 მანეთი დანიშნული იყო მწარმოებლისათვის, რომელსაც ნება ჰქონდა რამდენიმე წილი დაეკავებინა მუშტარს. მიდევალს ყოველ წელიწადს უნდა შეეტანა ერთი თუმანი და გაეტანა საქონელი მანამ, სანამ ეს თუმანი ამოიწურებოდა. საზოგადოების თითოეულ წევრს უფლება ჰქონდა მოეტანა თავისი ნაწარმი და გაეყიდა.

იღია აქვე წერს: „ტბილისის გუბერნიის გლეხკაცობა, ჩვენდა სასიხარულოდ და სხვათა სამაგალითოდ, ამ შეერთების გზას დასდგომია. მას განუზრახავს და ბევრგან განზრახვაც განუხორციელებია, რომ პურის ერთმანეთში გაწერით საზოგადო ქონება გაინიღონ და ეს ქონება

თავის დროზედ მოახმარონ მიწების შესყიდვას, ადგილ-მამულის შექენას, განკარგებას მიწათმოქმედების, სარწყავი წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, სამეურნეო მანქანების შექენას და სხვა ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც შორიდან თუ ახლოდამ ხელს უწყობს სოფლური მეურნეობის წარმატებას. ამ წელიწად-ნახევარში ამ გზით აქაურმა გლეხკაცობამ ნახევარ-მილიონზე მეტი შეიძლება მოიგროვა.“ (გვ. 28). ილია მთავარ ყურადღებას მაინც წარმოების სფეროს უთმობდა: „ჩვენ ეს მხმარებელთა ამხანაგობა“ დღეს ისე არ გვიხიდავს, როგორც მოჭირნახულეთა ამხანაგობა და ამიტომაც ჩვენ ამ უკანასკნელზე ვილაპარაკებთ მით უფრო, რომ ჩვენის ტკივილის წამალს ამხანაგობაში უფრო ვხედავთ. ჩვენ ქვეყანას, რომელსაც მოჰყავს კარგა ბლომად პური, ქერი, სიმინდი, ღვინო და რომელიც, მაშასადამე, ამით რიგიანად გასაღებაში უნდა ექებდეს სათავეს თავის კეთილდღეობისას, უფრო მოჭირნახულეთა ამხანაგობა ეჭირება.“ (გვ. 20). რა თქმა უნდა, მთავარი მაინც მატერიალური დოვლათის შემქმნელია. ამ პერიოდში (1895 წ.) შეიქმნა „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“ და სხვები. მიუხედავად მრავალი ცდისა და მცდელობისა, მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტატისტიკური მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ მეურნეობრიობის ერთობლივმა ფორმებმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღო და ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მთავარი მიმართულება მაინც კერძო მესაკუთრული, მეტწილად გლეხური მეურნეობები იყო. ქვეყანა მარცვლეულით საკუთარ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდა და საზღვარგარეთაც გაჰქონდა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან. 1885 წელს გატანილი იყო 4 მლნ. ფუთამდე მარცვლეული. მიწის ფონდის შენარჩუნებისა და უყაირათოდ ხარჯვა-განიავების თავიდან აცილების მიზნით, ჩამოყალიბდა საადგილმამულო ბანკი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მიწა, ეს ფასდაუდებელი ეროვნული სიმდიდრე, გადაერჩინა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ვაჭრების ხელში მუქთად ჩაგდებისაგან. მართლაც, საადგილმამულო ბანკმა არაერთი ქართული მამული გადაარჩინა გაფლანგვა-განიავებისაგან.

მაშინდელ მეურნეობებს, ხშირ შემთხვევაში, წვრილკონტურიანობა და მიწათსარგებლობის მრავალი სახის ნაკლოვანება ახასიათებდა, კერძოდ: შორსმიწიანობა, საზღვრების ტეხილობა, დაქსაქსულობა, ხარვეზიანობა და ტოპოგრაფიული ხარვეზიანობა. მრავალნაკვეთიანობა და შორსმიწიანობა, ძირითადად, საქართველოს ბუნებრივი პირობების სიტყრელით იყო გამოწვეული. კახეთის ზონაში მცხოვრები გლეხი ცდილობდა ნაკვეთი რამდენიმე ადგილზე ჰქონოდა, რადგან, თუ ერთ ადგილზე ნაკვეთი დაისეტყვებოდა, მეორე ადგილზე ვაზი გადარჩებოდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კახეთის სოფლები: სანიორე, ვარდისუბანი და სხვა, რომლებიც იწყება ცივგომბორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობიდან და მთავრდება ლეკების მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთებთან – მიწათსარგებლობა გაგრძელებულია (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ). დასავლეთ საქართველოში მრავალნაკვეთიანობის და შორსმიწიანობის გამომწვევი მიზეზი იყო სათესი ფართობებისა და ტყის მასივების ნაკლებობა. ოკრიბელი გლეხი იძულებული იყო სასიმინდე მიწის ნაკვეთი შეეძინა ქვედა ზონაში, მდინარის ნაპირზე (სოფ. კვახჭირი), ხოლო დაბალ ზონაში მცხოვრები ტყის ფართობს იძენდა ზედა ზონაში, სადაც კარგი ტყის მასივები იყო. შორსმიწიანობას განაპირობებდა სამომთაბარო მეცხოველეობა (მეცხვარეობა), ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მიცვლა-მოცვლის აუცილებლობა და სხვა.

სოციალისტური წყობილების დამკვიდრებისთანავე, 1921 წლის 6 აპრილს გამოცემული მიწის დეკრეტით ყველა მიწა გახდა საერთო სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრება, აიკრძალა მიწაზე ყოველგვარი სახის გარიგების წარმოება. მიწის მართვის მექანიზმი გადავიდა სახელმწიფოს ხელში. თითოეულ ოჯახზე მიწის გასაცემი ნორმის დასადგენად, საქართველო დაყოფილ იქნა ხუთ რაიონად. მიწა ოჯახებს (კომლებს) გაუნაწილდა ადგილზე მიწის ფართობის არსებული მარაგის მიხედვით: დასავლეთ საქართველოში – 2,5 ჰექტრიდან 6 ჰექტრამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 3 ჰექტრიდან 9 ჰექტრამდე. ზოგან მსხვილი შემამულებებისა და საეკლესიო მიწების ხარჯზე ჩამოყალიბდა კომუნები და ამხანაგობები. აღნიშნულმა ღონისძიებამ – მიწის ოჯახზე განაწილებამ – ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში გარკვეული შედეგი მოიტანა: განვითარდა მეცხოველეობა და მემცენარეობა, გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. დამთავრდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ხანა, დაიწყო კოლექტივიზაცია. შეიქმნა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შეიქმნა სამექანიზაციო ფართობები, მოეწყო თესლბრუნვები, გაშენდა ქარსაფრები, საველე გზები, სადგომები და შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობები. თუმცა, არ იყო მთავარი, მომუშავე ადამიანის დაინტერესება, მიღებული პროდუქციის სამართლიანად განაწილება. სწორედ ამან განაპირობა მიწის განკერძოების და რეფორმის განხორციელების აუცილებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის რეფორმის შედეგად ისევ დაიჭრა და დაქუცმაცდა მსხვილი სამექანიზაციო ნაკვეთები, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ნაცვლად წარმოიქმნა ახალი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. დღეს საჭიროა მონახოს მეურნეობრიობის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომარაგებას და სასურსათო უსაფრთხოებას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიმდინარე რთული პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენა, გარდაქმნის თავისებურებებისა და ტენდენციების გამოვლენა, ანალიზი და

შეფასება ნათელყოფს, რომ აგრარული რეფორმა მეტწილად ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაზე, ხოლო ნაწილობრივ – სახელმწიფო რეგულირების მეთოდებზე. უკვე დღის წესრიგში დგას მთელი რიგი ეკონომიკური პროცესების ახლებურად გააზრებისა და გადაწყვეტის აუცილებლობა. – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეურნეობრიობის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბების და განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული ყველა სახის რესურსული პოტენციალის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებას. შერჩეული მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს პერსპექტიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, დასახული მიზნების, ხალხის შრომითი ჩვევების, რეზერვებისა და ტენდენციების მოთხოვნებს. გამოკვეთილად უნდა განისაზღვროს მეურნეობრიობის ინდივიდუალური, კოოპერატიული და ინტეგრაციული ფორმების სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები, დადგინდეს მათი ამოქმედების გზები; უპირველესად, განისაზღვროს განვითარების ახალი პრიორიტეტები, დარგობრივი სტრუქტურა; გაძლიერდეს კოოპერირების, განსახელმწიფოებრივების, დეცენტრალიზაციის და პრივატიზაციის ტენდენციები, გაუმჯობესდეს საფინანსო სისტემა, შეიქმნას მიწის ბაზრის განვითარების ხელსაყრელი ორგანიზაციულ-სამეურნეო და სამართლებრივი პირობები.

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, ერთეული

მეურნეობები ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების მიხედვით	2007	2008	2009	2010	2011
სულ	207320	240543	273342	319210	370900
სპს	2379	2418	2439	2449	2454
კს	179	186	191	195	195
შპს	54544	63178	70895	81916	95845
სს	1845	1878	1901	1921	1971
კოოპერატივი	974	1010	1020	1033	1054
ინდ. მეწარმე	147399	171873	196896	231696	269381

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2011 წ)

როგორც ვხედავთ პროცენტულად ინდივიდუალური მეწარმე სხვა საწარმოსთან შედარებით 2007 წლისათვის 71.1; 2008 წლისათვის 71.5; 2009 წლისათვის 72; 2010 წლისათვის 72.6 და 2011 წლისათვის 72.6 -ით მეტია.

მეურნეობრიობის ფორმის შერჩევა და მისი მიზანშეწონილობის დასაბუთება საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პრობლემაა. ცხოვრების განვლილმა გზამ დაგვანახა, რომ ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ, მზა მოდელის უცვლელად გადმოღებამ და არსებულის ფორტოგრაფირებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, საგრძნობლად დააკნინა და დააზარალა საქართველოს სოფლის მეურნეობა. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმრავლესობა ინდივიდუალური მეურნეობებია (იხ. ცხრილი). მთავარია მათი ეფექტიანობის ამაღლების ორგანიზაციული და ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება. სწორედ ინდივიდუალურ მეურნეობაშია შერწყმული ეკონომიკური ინტერესები, პასუხისმგებლობა, შრომის რაციონალურად განაწილება, დამოუკიდებლობა, სტიმული. მათი საქმიანობა, ძირითადად, დაფუძნებულია საბაზრო ურთიერთობებზე. ინდივიდუალური ანუ ოჯახური მეურნეობის ბუნება აძლიერებს ინდივიდის კერძო ინტერესებს, იძლევა სტიმულს, აყალიბებს გარკვეულ და ეფექტურ საწარმოო ურთიერთობებს, ფუნქციონირებს წარმოების ძირითად საშუალებათა კერძო საკუთრების და პირადი შრომის საფუძველზე. მეურნე დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში. ინდივიდუალური მეწარმე მისდევს მრავალდარგოვან წარმოებას – ბოსტნეული, კარტოფილი, თამბაქო, მეცხოველეობა, მევენახეობა, საკვები და მარცვლეული კულტურები. პროდუქცია იწარმოება როგორც საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისე ნამეტის ბაზარზე გასატანად. ამდენად, სოფლად მეურნეობა როგორც საოჯახო-ეკონომიკური, ისე ეროვნული სოციალურ-ისტორიული ფენომენია.

გვინდა, გაგაცნოთ ჩვენი ხედვა ფერმერული მეურნეობის სტრუქტურული წყობის შესახებ. ფერმერული მეურნეობა უნდა მოიცავდეს კერძო და იჯარული ფორმების შეთანაწყობის, წარმოების მასშტაბურობას, პროდუქციის წარმოებასა და გადამუშავებას, ფონდალტურვილობას,

ორიენტირებული უნდა იყოს მეტი დაქირავებული მუშახელის გამოყენებით, ძირითადად, სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე.

თუ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას გავიზიარებთ, უპირატესობა ეძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, გადამუშავებით, შენახვით და რეალიზაციით დაკავებულ აგრარულ-სამრეწველო ტიპის საწარმოებს. მაგალითად: ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის და ავსტრალიის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 80% გაერთიანებულია კოოპერატივში, ჩრდილოეთ ევროპასა და იაპონიაში 100% რძის პროდუქტებისა და კარტოფილის 100% და ბოსტნეულის შესყიდვის 90% კოოპერატივების წილად მოდის. როგორც ჩანს, კოოპერატივები აპრობირებული და ყოველმხრივ ხელსაყრელი საწარმოებია. სწორედ კოოპერაციის და ინტეგრაციის საფუძველზე შექმნილი საწარმოთა ფორმები უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, შენახვას და რეალიზაციას. აქ იქმნება ყველა პირობა საბაზრო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების ეკონომიკური ინტეგრაციის დაკმაყოფილების და ფინანსური პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად. საწარმოთა კოოპერირების საფუძველზე, გაადვილებულია მიწის ფართობების კონსოლიდაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების საერთო ძალებით მოწყობა. ამაზე მეტყველებს მოწინავე ქვეყნების სამეურნეო გამოცდილება. ინდივიდუალური (ოჯახური) მეურნეობა არის მცირე ბიზნესის ორგანიზების საფუძველთა საფუძველი, ძირითადი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთეული, საბაზრო ურთიერთობათა პრინციპების საფუძველი, წარმოების პროცესის დანქარების საშუალება და ამოსავალი. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერატიული ფორმების განვითარებისათვის მართლაც დიდი რეზერვები გაგვანია. წარმატებით შეიძლება დაინერგოს სააქციო საზოგადოება და კოოპერატივები. შემდგომში მათ ბაზაზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს აგროკონსორციუმები, პოლდინგური კომპანიები, ინდივიდუალური მეურნეობები, კოოპერატივები. მსხვილი სამრეწველო (საფინანსო) ჯგუფები წარმოდგენილი იქნება ერთ მთლიან სისტემად. სწორედ ასეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური კავშირები შექმნის ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის ყველა პირობას.

SHORENA TSAAVA

*Registration Office in Mtskheta of Ministry of Justice of Georgia, Specialist
Georgian Technical University, Assistant Professor*

DEVELOPMENT TENDENCY OF AGRICULTURE AND ITS MAIN DIRECTION

S u m m a r y

Advantageous form of agriculture - agricultural production enterprises, and the establishment of the Agricultural sector reconstruction and the establishment of an effective mechanism for reliable guarantee its management. Other leading countries of the world experience, is to select the correct forms of farming is largely dependent on clean, high quality and competitive, the required number of rural - agricultural production and thus the country's food security.

The selection of the form and its feasibility is proved quite difficult and responsible problem. Way past life has proven that centralized planning, preparations useful model invariably failed to yield the desired results and existing photography, and significantly lowered the damage of Agriculture. In Georgia Agriculture - Agricultural Production majority of individual farms. The main thing for increasing their effectiveness, organizational, and economic factors activated. The times combined with the economic interests of individual households, responsible, rational division of labor, independence and style. Their activities are mainly based on market relations. Individual or family farm Nature strengthens private interests, gives stimulus, certain forms of industrial relations and the effective functioning of the means of production based on private property and personal work. Farmer is independent in its actions. The individual entrepreneur pursues a multidisciplinary production - vegetables, potatoes, and tobacco, livestock, and viticulture, food and cereal crops. The products produced as satisfying requirement own family, as well as growth markets. Thus, the Ministry of Agriculture is as a family - economic and national - historical phenomenon.

ცირა ცეცხლაძე

ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

აბროტურობის განვითარების უმსაქმელობები საქართველოში

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელთაც ტურიზმის განვითარების მრავალფეროვანი პირობები აქვს. ასევე ხასიათდება ძალზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მის სპეციალიზაციაზე, გაადვილებაზე, წარმოების ტენდენციებსა და მასშტაბებზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის ტერიტორიის 53% მთებს უკავია, ამიტომ რელიეფური და ტერიტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე აუცილებელია რიგი საკითხების

გადაწყვეტა, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის მცირე წილის ფონზე საჭირო ხდება მისი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებების დასახვა.

ყურადღებები ფაქტია, რომ მაღალმთიანი რეგიონის, კერძოდ სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს, გამომდინარე აქედან სასურველია რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალი, რესურსების სახით მაქსიმალურად იქნას გამოყენებული და მორგებული ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებს.

ტურიზმის დარგის კომპლექსური განვითარება საშუალებას აძლევს განვითარდნენ ისეთი ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი, თუმცა საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძნებენ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ბუნებრივ პირობებსა და რაც მთავარია კრეატიულობაზე.

ამ მხრივ საქართველოს, მის ყველა რეგიონს აქვს უნიკალური რესურსი, რათა განვითარდეს ტურიზმის ბიზნესი არა ერთი და ორი, არამედ თითქმის ყველა ტურისტული მიმართულებით. რესურსული უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმას, რომ ტურიზმის დარგი მიხნეული იქნას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

ქვეყნის რელიეფური მრავალფეროვნება ქმნის საკურორტო ინდუსტრიის, ტურიზმის, ალპინიზმის, სპეციალური, სათავგადასავლო, ეკოტურიზმის, აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. საქართველოს საკმარისი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომ განავითაროს კონკრეტულად აგროტურიზმი. მაგრამ აქ მთავარია სწორად მოხდეს ტურიზმის პოლიტიკის შემუშავება მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე მთავარია სწორი დაგეგმარება ღონისძიებებისა, რადგან კონკურენცია მაღალია და დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ევროპელმა, აზიელმა ან ამერიკელმა ტურისტმა მსოფლიოს ცნობილ კურორტებს საქართველოს მთები ამჯობინონ, მით უფრო, რომ დღესდღეისობით საქართველო იყენებს თავისი ტურისტული რესურსის, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს დანარჩენი კი ასათვისებელია.

სოფლად დასვენების ინტერესი და მოთხოვნა იზრდება, ჩნდება ტურიზმის ახალი ფორმებიც – სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა მრავალი. ტურისტული შეთავაზებების ახალი ფორმები პირველად ჩამოყალიბდა დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ქალაქის მაცხოვრებლებს აღარ გააჩნდათ მჭიდრო ნათესაური კავშირები სოფლად, მაგრამ ჰქონდათ სოფლად დასვენების დიდი სურვილი. ისინი ირჩევდნენ მიმზიდველ სოფლებს ქალაქკარეთ, ქირობდნენ საზაფხულო სახლებს და შესაბამისად, იხდიდნენ ქირისა და მომსახურების საფასურს. მასპინძელი ოჯახებისათვის ეს დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა. ამჟამად სოფლის ტურიზმის დასვენების პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც, იკიდებს ფეხს.

მიმზიდველობა, სუფთა ბუნებრივი გარემო, გულითადი მასპინძელი, ადგილობრივი პროდუქტი – ეს არის ის ძირითადი კომპონენტები, რაც სოფლად ტურისტულ მოთხოვნას ქმნის. ორგანული მეურნეობები, სუფთა და ჯანსაღი პროდუქციით კი ის დამატებითი კომპონენტია, რაც ტურისტულ შეთავაზებას უფრო მიმზიდველსა და ღირებულს ხდის. ამ შემთხვევაში ადგილობრივ ფერმერს და თავად ტურისტს გააზრებული აქვთ ბუნების მიმართ პასუხისმგებლობა. ორგანული მეურნეობა განაპირობებს გარემოს სისუფთავეს, როგორც ფერმაში, ასევე მის გარეთ, ის ფერმერს საშუალებას აძლევს თავისი საქმიანობით დამატებითი შემოსავლები და ალტერნატიული საქმიანობები წამოიწიოს. მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი მეურნეობები კი სოფლად შემოსავლებს ზრდის.

აგროტურიზმი – ეს არის დასვენების ფორმა ფერმერულ მეურნეობაში, სადაც არსებობს ღამის გათევის შესაძლებლობა, ადგილზე წარმოებული პროდუქციით კვება (მინიმუმ 40% პროდუქტისა უნდა იყოს ადგილზე, ოჯახში წარმოებული) და სადაც შესაძლებელია რეკრეაციული აქტივობების ორგანიზება, როგორც არის ქვეთი და საცხენოსნო ლაშქრობები, კულტურული და სათავგადასავლო მოგზაურობები და სხვ. ასეთი სახის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ფერმის ტერიტორიებზე შენარჩუნებული იყოს მეურნეობის ტრადიციული ტექნოლოგიები, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა ტურისტისათვის.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების ექსპერტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ედვანგ ინსკიპის განმარტებით: “სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან”.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, სოფლად ტურიზმის განვითარების დადებითი შედეგები შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად:

- სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
- სოფლის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული თვითშეგნების ამაღლება;

- სიღარიბის დაძლევა;
- ხალხური რეწვის განვითარება;
- ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესება და ინტეგრაცია;
- სეზონური მიგრაციის შემცირება;
- ადგილობრივი მეურნეობის განვითარება.

რაც შეეხება იმას თუ რა ძირითადი პროდუქტი უნდა შესთავაზოს სანაცვლოდ სოფელმა ტურისტს:

- აქტიური დასვენება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიწოდება;
- რეკრეაცია (სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა);
- ახალი ცოდნისა და გამოცდილების შექმნა;
- მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურება;
- ბუნებასთან სიახლოვე;
- ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება.

თუ გავითვალისწინებთ ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობას, ტურისტული საქმიანობა სოფლად მხოლოდ ინდივიდუალური ფერმით/მეურნეობით არ შემოიფარგლება, ხშირ შემთხვევაში, ტურისტის მომსახურებაში მთელი თემი არის ჩართული. შესაბამისად, აგროტურისტული მეურნეობა ზრდის მოსახლეობის დასაქმების დონეს და ქმნის დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროს სოფლის მოსახლეობისათვის. აგრო-, ეკო- და სოფლის ტურიზმის ცნებების მკაცრი განსაზღვრება არ არსებობს, მარტივად რომ ვთქვათ ისინი წარმოადგენენ მდგრადი ტურიზმის შემადგენელ ნაწილებს, სადაც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი საქმიანობები, ბუნების კონსერვაცია, მდგრადი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, სპეციფიკურ, თანამედროვე მოდელისა და მომავლის ხედვის პროგრესულ ფორმად ყალიბდება აგროტურიზმის პროფილის ფორმირების შექმნა და მორგებულ მენეჯმენტზე აგებული ფუნქციონირება.

მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – ეს არის აგროტურიზმის ძირითადი კომპონენტები. აგროტურისტული მეურნეობები მდებარეობს სუფთა გარემოში, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიახლოვეს. სწორედ აქიდან გამომდინარეობს აგროტურიზმის განვითარებისათვის ხელმისაწვდომი პირობები:

1. ღამის გასათევი ადგილების შესაქმნელად არ არის საჭირო დიდი კაპიტალ დაბანდება, რადგან აგროტურიზმი შეიძლება განვითარდეს უკვე არსებულ საცხოვრებელ სახლებში, რაც არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს ძირითადად საჭიროა სანიტარული ნორმების დასაკმაყოფილებლად და საძინებელი ფართის რეკონსტრუქციისათვის.
2. აგროტურიზმი შეიძლება განვითარდეს მრავალფეროვან ტრადიციულ გარემოში, რასაც ხელს უწყობს ღანდშაფტის მრავალფეროვნება, ადგილობრივი მოსახლეობის ინდივიდუალური თავისებურებანი, ტრადიციული პროდუქტი და სამზარეულო.
3. გასათვალისწინებელი ფაქტორებია საზოგადო ინფრასტრუქტურის არსებობა, თუმცა ეს უკანასკნელი აგროტურიზმის განვითარებისათვის გადაულახავ ბარიერს არ წარმოადგენს. სუფთა ეკოლოგიური გარემო, სანიტარული ნორმები და უსაფრთხოება არის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა შესრულება აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

აგროტურიზმის განვითარებისათვის უადრესად საყურადღებო და დამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ საქართველოში არის 25 ათასი მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400 მინერალური წყარო (მ. შ. ნახევარზე მეტი ცხელი წყარო); ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის 38,8%, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 320 კილომეტრია; ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% - მთისწინებს

იმისათვის, რომ აგროტურიზმს ჰქონდეს რეალური დადებითი გავლენა ქვეყნის მეურნეობასა და სოციალურ სფეროზე, ასევე გახდეს ტურიზმის რეალური პრიორიტეტული მიმართულება, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ ასპექტს:

- ტურისტების ორიენტაცია ეკოლოგიური რესურსების მოხმარებაზე;
- ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება;
- პერიფერიული რეგიონების მოსახლეობისათვის ტრადიციული ცხოვრების სტილის შენარჩუნება.

ამიტომ, აგროტურიზმს ტურიზმის შესახებ კანონში უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ადგილი, რადგანაც აგროტურიზმისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, ხელს შეუწყობს

საქართველოში მის მდგრად განვითარებასა და სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ამასთან შესაძლებელია ხუთი კრიტერიუმის გამოყოფა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს აგროტურიზმი. იგი უნდა იყოს:

- ბუნებაზე ორიენტირებული და ეფუძნებოდეს უპირატესად ბუნებრივი რესურსების გამოყენებას;
- არ აყენებდეს ზიანს გარემოს, ანდა ეს ზიანი უნდა იყოს მინიმალური ე.ი. ეკოლოგიურად მდგრადი;
- გამიზნული ეკოლოგიურ განათლებაზე, ბუნებასთან თანაბარ პარტნიორული ურთიერთობების ფორმირებაზე;
- ადგილობრივი სოციალურ-კულტურული სფეროს მომვლელი;
- ეკონომიკურად ეფექტური და იმ რაიონების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფელი, სადაც ის ხორციელდება.

ამასთან, აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციონალური სისტემის დამუშავებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი სრულყოფილი მართვა და რეგულირება. ეს, მოიცავს მორგებული ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნასა და შესაბამისი ნორმების დამუშავებას.

საჭირო იქნება შედგეს აგროტურიზმის რეგიონული ატლასი, რაც მარკეტინგული მოტივაციების რეალიზაციისა და უზრუნველყოფის საფუძვლად იქნება მიზნული. ასეთი ატლასის შექმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში უდაო სიახლეს წარმოადგენს.

აგროტურიზმი საქართველოში, სხვა მრავალ სპეციფიკურ და მკაცრად მიზნობრივი ამოცანის გადაწყვეტასაც მოითხოვს, რამაც საბოლოო ანგარიშით უნდა შექმნას აგროტურიზმის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა და სამსახური, რომლის რეალიზაციაც განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს და აამაღლებს მის როლსა და ფუნქციას მსოფლიო თანამეგობრობაში

მეცნიერები ახლა ფართოდ განიხილავენ ახალ თეორიას-მომხმარებლის არჩევანის თეორიას. ეს არის ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების აღწერა და შესრულება. აგროტურიზმის განვითარება ამ პოზიციის რეალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა და საშუალებაა.

აგროტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირატესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობა.

ამასთან, აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ეს გარემოება კი განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში.

ყველა ამ საკითხის შესწავლა და დამუშავება, სხვა სფეროს სპეციალისტებთან ერთად, ქართველ აგროარიკოს-ეკონომისტთა მოვალეობაა და მათ დიდ ჯაფასა და ინტენსიურ საქმიანობას მოითხოვს, რის შედეგადაც შესაძლებელია ამაღლდება საქართველოს ისედაც წონადი გეოპოლიტიკური ფუნქცია და როლი მსოფლიო თანამეგობრობაში. ყოველივე ეს, თანამედროვე მსოფლიო ინგერაციული პროცესების შემადგენელი ელემენტი იქნება.

ტურიზმი ეს სუბსიდირებული სფეროა და ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა თუ ჩვენი ხელისუფლება გაითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების განვითარების გამოცდილებას. კერძოდ პერსპექტივაში შექმნას სპეციალური ფონდები, რომლებიც დაფინანსებას გაუწევს სოფლად აგროტურიზმის განვითარებას, აგრეთვე გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. მაგალითად, შვეიცარიაში 1997 წელს მიღებული იქნა საკანონმდებლო აქტი “მაღალმთიანი რეგიონებში ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ”. აქტის მიზანია დააჩქაროს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა, ხელი შეუწყოს მათი პოტენციალის გამოკვლევას, დაიცვას მათი სოციალურ-კულტურული თავისებურებები, უზრუნველყოს მდგრადი განვითარება. ამ ფონდიდან აღებული სესხი ხასიათდება დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

ამდენად, საქართველოს ბუნებრივი რესურსები ამოუწურავია, მაგრამ მთავარია გაავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რომელიც წარმოდგენილია ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების სხით, მოხდეს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა და კონცეფციის შემუშავება, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება სოფლად ტურისტული რესურსების შესწავლა-დამუშავება, გავრცელება საზოგადოებაში ა.შ.

გამომდინარე აქედან, ქვეყნის აგროტურიზმის პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად ჯერ კიდევ ბევია გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ დონეზე შესასწავლია ცალკეული ტერიტორიული ერთეულების ტურისტულ-რესურსული პოტენციალი და გამომდინარე აქედან, უნდა განისაზღვროს ტურიზმის განვითარების ძირითადი, სტრატეგიული მიმართულებები, უნდა შემუშავდეს დარგის განვითარების სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. უნდა გადაიდგას სწორი ნაბიჯები რეკლამა-მარკეტინგის მიმართულებით და მომზადდეს დარგის განვითარების

მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ნებისმიერი მათგანის უკმარისობა იწვევს დარგის ფუნქციონირების მოშლას, მის არასწორ განვითარებას.

TSIRA TSETSKHLADZE

Shota Rustaveli State University, Assistant-professor

AGRITOURISM DEVELOPMENT OPPORTUNITIES IN GEORGIA

S u m m a r y

In the article it is showed priority of tourism, for example the importance of agro tourism and the results of solving social problems of the villages. Nowadays especially actual is to solve the poorness in the country, which is defending such criterions: At what results must pay more attention and which will give us developing more effects for growing incomes for poor people. I think that from this sightseeing tourism is more advantage than others.

It is good, that nowadays it is not played more attention to ecological, but also recreation potential. from this sights it is important to use different places unique potential for developing agro tourism, because on this case climate and other habits the bets is Georgia.

In the article there is a parallel for industry of tourism, from that the country is in hard social condition and for the whole mountainous regions, it is problem the oldest of the village, tourism will help to solve these problems, such as the deficit – ncy of incomes, unemployment, which is decision to help people in the village and to make good social – economical conditions.

კახაბერ ციხიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები საქართველოში: ანალიზი და შეფასება

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ცალკეული ეკონომიკური სისტემისა და ლოკალური საზოგადოებრივი დონიდან უკვე გლობალურ პარამეტრებზე გავიდა, რადგანაც მჭიდროდ უკავშირდება ენერჯის ახალი წყაროების გამოყენების, გარემოს დაცვის, უახლესი ბიოტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებს. ამავდროულად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისთვის სასტატო პირობების ფორმირებაში, რადგანაც ცალკეული ინდივიდებისთვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს იმ რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის კვების პროდუქტების მოპოვებისა და მოხმარების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისა და აქტიური ცხოვრების უზრუნველყოფისთვის.

სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკისა და შესაბამისი ინსტიტუტების უნარს, უზრუნველყოს ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა იმპორტისაგან დამოუკიდებლად, თვითუზრუნველყოფის გარეგანი დონის პირობებში. სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის დახასიათებისთვის იყენებენ სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორთა მრავალფეროვან სისტემას, რომლებშიც დიფერენცირებულია სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის, პროდუქტების ეკოლოგიურობის ხარისხის, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის, იმპორტზე დამოკიდებულებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მაჩვენებლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ორი ძირითადი მახასიათებელია ცნობილი. პირველი გულისხმობს მარცვლეულის გარდამავალი მარაგების მოცულობას. თუ მარცვლეულის მსოფლიო მარაგი მთელი მოხმარების 17 %-ზე ზევითაა (ანუ 60 დღის მარაგზე მეტი) საერთაშორისო სასურსათო მდგომარეობა უსაფრთხოდ ითვლება. მეორე მაჩვენებელი მარცვლეულის წარმოების მონაცემებს მოიცავს მთლიანად და ერთ სულზე გაანგარიშებით. ზოგადად, ცალკეული ქვეყნების მიხედვით 1 სულზე იგი განსხვავებულია და 500–800 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. FAO-ს კლასიფიკაციით ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალორიას და ნაკლებს დღეში მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას. 2150 კკალორიის მიღება დღეში ითვლება შიმშილობის ზღვრად (*კოლუაშვილი პ. (2004) საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი. გვ.41; 47*).

საქართველოს ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღე-ღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით 2500 კკალორიას შეადგენს. ამასთანავე, მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებიდან გამომდინარე 2000 ლლიდან სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში სიღარიბის ორი ზღვარი გაითვლება – ოფიციალური და გადასინჯული. ოფიციალური მინიმუმი მოიცავს შრომისუნარიანი მამაკაცის ეკვივალენტური მოზრდილის მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას მიმდინარე ფასებში, რომელიც უზრუნველყოფს დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 2500 კკალორიის მიღებას. გადასინჯული მინიმუმის შემთხვევაში კი ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე დღე-ღამეში 2200 კკალორიის მიღებაა გათვალისწინებული (*სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოში. სსდი. 2002 წლის ნოემბერი. გვ. 35*). საერთოდ ეკონომიკურ ლიტერატურაში ენერჯის მოხმარების თვალსაზრისით გამოყოფენ

სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს: ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა. 2500-3500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში; არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა. 1500-2500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში; კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა. 1000-1500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში (*ძოდუბაძე ნ., ვარაყანიძე ზ. (1998.) სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი. გვ. 11; 18*).

აღნიშნულთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვების პროდუქტებისათვის ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციამდე ნებისმიერ ფაზაში ჯანმრთელობისათვის მავნე მოვლენების გამორიცხვას, სურსათით თვითუზრუნველყოფის პოტენციური და არსებული დონის ანალიზს, ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა დაცვის მსოფლიოში აპრობირებული და მიღებული ნორმების გამოყენებას. ამ საკითხში ზოგჯერ ორმაგი სტანდარტებიც შეიმჩნევა, როცა დეკლარირებულია თავისუფალი ვაჭრობა, პროტექციონიზმის მინიმალური პირობები, მაგრამ განვითარებული ქვეყნები აღნიშნულის შესრულებას თავს არიდებენ. სასურსათო უზრუნველყოფის კონცეფციაში განასხვავებს სასურსათო დეფიციტის სამ ფორმას, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას. კერძოდ, **შიმშილს, სურსათით ქრონიკულ დაუკმაყოფილებლობას და დაუბალანსებელ კვებას.** ამჟამად ყველაზე მეტი მოშიმშილე ცხადია, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, საიდანაც 57 % აზიის, 27% აფრიკის, 11% ლათინური ამერიკის და 5% ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია. არსებული პროგნოზებით 2030 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 8 მლრდ-ს გადააჭარბებს. ამ პერიოდისთვის განვითარებულ ქვეყნებში იგი გაიზრდება 13%-ით, განვითარებადში – 82%-ით. კერძოდ, აფრიკაში –160%-ით, ლათინურ ამერიკაში – 77%-ით, აზიაში – 63%-ით. აბსოლუტურ სიდიდეებში ყველაზე მეტად მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება აზიაში (1,89 მლრდ-ით), აფრიკაში (0,97 მლრდ-ით), ლათინურ ამერიკაში (0,33 მლრდ-ით) (*Давидяну Д. (1999) Продовольственная безопасность и коммерческие структуры (в условиях Российских реформ). Москва. ст. 83*).

თუ გაითვალისწინებთ, რომ დღეისთვის სურსათის უკმარისობა მისი საჭირო რაოდენობით წარმოების შეუძლებლობით კი არა, მის შესაძენად საჭირო შემოსავლების არ არსებობითაა განპირობებული, ცხადი ხდება, რომ პრობლემა შეიძლება გამწვავდეს, რადგანაც მოსახლეობის ზრდის ტენდენციით გამორჩეული ქვეყნები არ გამოირჩევიან შემოსავლების ზრდითაც. ცხადია, რომ განვლილი ფინანსური კრიზისი და მის კვალობაზე ეკონომიკური განვითარების შეფერხება და შემდგომი გაურკვევლობა განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებს.

საქართველო, რომელიც აგრარული ტრადიციების ქვეყანაა და გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებით, მზად უნდა შეხვდეს მსოფლიო ტენდენციების გამოწვევას, რომელიც საქართველოს აგროპროდუქციის ტრადიციული ბაზრების გვერდით ახალი ბაზრების ათვისების პერსპექტივებზე მიუთითებს. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველო მზად არ არის აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ. უფრო მეტიც, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები არადამაკმაყოფილებელია. ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის კვლავაც განსაკუთრებულ მუქარებად რჩება:

- აგრარული სექტორის არაოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა;
- აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- ადგილობრივი პროდუქციის დაბალკონკურენტურობა და საგარეო ბაზრებზე გაღწევის სირთულე;
- სურსათისადმი ხელმისაწვდომობის, სურსათის საკმარისობისა და თვითუზრუნველყოფის დაბალი დონე;
- იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის დაბალი ხარისხი;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე;
- ქვეყნის მაღალი დამოკიდებულება სტრატეგიული სურსათის იმპორტზე.

სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორების დახასიათებისას ვლინდება, რომ ქვეყანაში შექმნილია არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობისთვის დამახასიათებელი პირობები. კერძოდ, მიღებული სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის ანალიზისას სახეზეა ნეგატიური პარამეტრები. ერთ სულზე კვების პროდუქტების წლიური მინიმალური მოხმარების ნორმისა და ფაქტიური მოხმარების ოფიციალური მონაცემების დისტრობუცია გვიჩვენებს რომ მათ შორის მთელი რიგი პროდუქტების მიხედვით ნეგატიური დისპროპორციებია: კერძოდ, მოხმარების მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმისგან ჩამორჩენით ხასიათდება რძისა და რძის პროდუქტების (1,8-ჯერ), ხორცისა და ხორცის პროდუქტების (4-ჯერ), თევზისა და თევზის პროდუქტების (2,8-ჯერ), ბოსტნეულის (1,6-ჯერ), ლობიოს (2,4-ჯერ), ხილის (1,8-ჯერ), ჩაის, ყავისა და კაკოს (1,25-ჯერ) მოხმარების პარამეტრები. მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმას ემთხვევა მარილის, ხოლო აჭარბებს კარტოფილის (1,02-ჯერ), შაქრის (1,4 -ჯერ), ზეთის და ცხიმის (1,02-ჯერ), მარგარინის (1,25-ჯერ) მოხმარების მაჩვენებლები. მოსახლეობის რაციონის სტრუქტურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს

პური და პურპროდუქტები. რაციონში ასევე ძირითადი წილი მოდის დაბალი ენერგეტიკული ფასეულობის სურსათზე, რომელზეც მომხმარებლის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება, მაგრამ მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმის ადეკვატური კალორიების მიღება მაინც ვერ ხერხდება. ცხადია, რომ სახეზეა მოსახლეობისთვის სურსათის საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე.

რაც შეეხება მოხმარებული პროდუქციის ეკოლოგიურობის ხარისხს, აღსანიშნავია რომ ადგილობრივი პროდუქციის უკმარისობის პირობებში ქვეყანაში მასიურად შემოედინება უცხოური, დაბალი ან სულაც საექსპორტო ხარისხის სურსათი, რომელიც შორსმიმავალ საფრთხეს შეიცავს მოსახლეობისთვის.

სურსათის საკმარისობასთან და ხელმისაწვდომობასთან ერთად სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრად თვითუზრუნველყოფა გვევლინება.

არსებული მონაცემებით ქვეყანაში მაღალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტით გამოირჩევა ყურძენი (129%), კვერცხი (99%) (თუმცა ბოლო პერიოდში კვერცხის ადგილობრივი წარმოების შემცირების მოსალოდნელ საფრთხეზეა საუბარი). დანარჩენი კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის პარამეტრები ნეგატიურია, განსაკუთრებით დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები სტრატეგიულ კვების პროდუქტებთან მიმართებაში – ხორბალი (13%), ხორცი (41%). ცხადია, რომ აღნიშნული პროდუქტებით სრულ თვითუზრუნველყოფაზე აქცენტირება კონტრეფექტიანი იქნება, კონკურენტ ქვეყნებში წარმოების მაღალი ტექნოლოგიური დონისა და სუბსიდირების მნიშვნელოვანი წილის გამო, ამასთანავე პარადოქსულია, თუ რატომ აქვს საქართველოს თვითუზრუნველყოფისა და სულზე მოხმარების დაბალი მაჩვენებლები იმ პროდუქტებში, რომლებსაც წარმოებაშია შეფარდებით უპირატესობას ფლობს (ხილი, ბოსტნეული), ასევე კარტოფილის, თევზისა და თევზის პროდუქტების, ჩაის, ლობოს მოხმარებაში. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდის, ფერმერთა საშუალო ფენის ჩამოყალიბების, ფერმერული კოოპერაციის სტიმულირების, აგრომეწარმეთა დაფინანსების ეფექტური პროგრამების განხორციელების აუცილებლობას.

თვითუზრუნველყოფის ასეთი დაბალი დონის ნეგატიურობას კიდევ უფრო ამძაფრებს იმპორტული სასურსათო საქონლის უმეტესწილად დაბალხარისხოვნება და ეკოლოგიურად არასაიმედოობა. მიუხედავად იმისა, რომ წესით ისინი სამამულო საქონელს კონკურენციას ვერ უნდა უწევდნენ, რეალობაში საპირისპირო სურათი გვხვდება: ძირითადად დაბალი ფასების გამო, ისინი აქტიურად უშლიან ხელს სამამულო პროდუქციის რეალიზაციას.

აღნიშნულ პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება ადგილობრივი მწარმოებლების იმპორტისაგან დაცვა. ცხადია, რომ ემოს-ში (WTO) გაწევრიანება გარკვეულწილად ზღუდავს განხორციელებულ დონისძიებათა არეალს და გამართლებულია ამ მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში საბაჟო ტარიფების შემცირების დონისძიებები. ამავდროულად, მანევრირების შესაძლებლობებიც არსებობს, შესაძლებელია განხორციელდეს დონისძიებები, რომლებიც, უკვე საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, ხელს შეუშლიან სამამულო პროდუქციის კონკურენტ, ამავდროულად მასზე დაბალხარისხოვანი პროდუქციის დომინანტობას სამამულო ბაზარზე.

იმისათვის, რომ ქვეყანამ უახლოეს პერიოდში შეძლოს არსებული პოტენციალის გამოყენება და უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს სასურსათო უსაფრთხოების სფეროში, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პირობები შეიქმნა, რომელთაგან აღსანიშნავია:

- სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო;
- „ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამის განხორციელების დაწყება;
- ახალი ტექნიკის შემოყვანის, საგზაო და სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამთავრობო პროგრამები;
- სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისთვის იაფი კრედიტების პროგრამის ამოქმედება.

თუმცა ცხადია, რომ განხორციელებული დონისძიებები არასაკმარისია. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აგრარული სექტორის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მისაღები დონის უზრუნველსაყოფად შემდეგი ამოცანების დასახვა :

- ✓ იმპორტ შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის პროდუქციის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის, ჩაის, თევზის წარმოების არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. რაც გაზრდის თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებს.
- ✓ აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა;
- ✓ აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის მინიმუმ 2-ჯერ მაინც ამაღლება;
- ✓ სასურსათო პროდუქციის იმპორტის წილის შემცირება და ექსპორტის წილის ზრდა.

FOOD SAFETY PARAMETERS IN GEORGIA: ANALISIS AND EVALUATION

S u m m a r y

Due to the problems of consuming new sources of energy, environment protection, and introduction of innovative biotechnologies the problem of food safety passed the boundaries of separate economic system and local social level and reached the global parameters. At the same time, the provision of food safety is important for the formation of starting conditions of population level of living and quality enhancement, as for certain individuals the provision of food safety means the possibility of obtaining and consumption of food products with the amount, assortment and quality that is essential for the development and provision of active life of the human being.

When characterizing food safety indices it becomes evident that in Georgia there exist conditions characteristic for imperfect viability. Namely, the analysis of obtained food energetic values reveals negative parameters. The distribution of official data regarding the annual minimal consumption norm and real consumption of food product per capita shows that among them according to a number of products there are negative disproportions. The structure of population daily ration basically consists of food having low energetic value, on which the important part of consumer's budget is spent, but he/she (consumer) gets the least calories adequate to minimal physiological norm. It's evident that the level of food sufficiency and availability is low for population.

As for the ecological quality of the consumed product it must be mentioned that in the terms of local production insufficiency foreign, low or even doubtful quality food, exposing long-sighted danger to the population is actively imported in the country.

Indices of wheat, meat, fruit, vegetable, potato, fish and tea self-provision are unsatisfactory. For the development of Agrarian sector and provision of acceptable food safety level we consider it advisable to set the following tasks:

- ✓ Collaboration and implementation of the development program of import-substituting agricultural food production that should provide the efficient consumption of existing potential of cattle-breeding products, eggs, vegetables, fruit, potato, tea and fish production. This will increase the parameters of self-provision and improve the indices of population employment and income;
- ✓ Promotion of the agrarian sector for the formation of optimal branch structure;
- ✓ Increase of labour productivity minimum 2 times in the agrarian sector;
- ✓ Decrease of food product import capacity and increase of export capacity.

ბიუჯეტი ვერტიკალი*, ელენა ნაკაიკა, რუსუდან კახაიკა***

*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
*მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი,
**ვასილ გულიასაშვილის სატყეო ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომლები*

რცხილნარებისა და მუხნარ-რცხილნარების ნიადაგების დახასიათება თბილისის შემოგარენში

რცხილით გაბატონებულ ტყეებს საქართველოს ტყის ფონდში მესამე ადგილი უკავიათ წიფლნარებისა და მუხნარების შემდეგ და თავისი პროდუქტიულობის მიხედვით მუხნარებს უტოლდებიან. მათი საერთო ფართობი 192445 ათას ჰა-ს შეადგენს (ტყით დაფარული ფართობის 11.4%), მერქნის საერთო მარაგი 7.2%-ია [1]. აღსანიშნავია, რომ აქ არსებულ რცხილნარებისა და მუხნარების ტყით დაფარული ფართობების უდიდესი ნაწილი ამონაყრითი წარმოშობისაა [2].

თბილისის შემოგარენში რცხილის ბიოგეოცენოზში შესწავლილი იქნა მკვდარი საფრისა და ნიადაგის თავისებურებანი. კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა ლისის, დიდმისა და ბევრეთის რცხილით გაბატონებული ტყეები.

კვლევის ობიექტები განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ ოლქში და მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყის ნიადაგების ზონას [3], რცხილნარი და მუხნარ-რცხილნარი ფორმაციების ქვეშ ფორმირებულია ყომრალი ნიადაგები [4].

რცხილას ახასიათებს ნიადაგის პირობებთან ფართო შეგუებლობის უნარი. იგი უფრო კარგად გრძობს თავს ტენიან ყომრალ ნიადაგებზე, სადაც ქმნის უფრო მაღალი წარმადობის კორომებს. რცხილის ბიოეკოლოგიიდან გამომდინარე იგი იშვიათად ქმნის წმინდა, დომინანტურ კორომებს [5].

სანიმუშო ფართობები აღებულ იქნება რცხილნარებში და მუხნარ-რცხილნარებში. საილუსტრაციოდ მოგვაქვს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიადაგის რამოდენიმე ჭრილის მორფოლოგიურ აღწერა.

ნიადაგის ჭრილი №3, დიდმის სატყეო უბანი, წმინდა რცხილნარი ამონაყრითი, ჩრდილო ექსპოზიცია, დაქანება 20-22°.

A₀ 0-2,0 სმ – მკვდარი საფარი თხელი, ფხვიერი, მშრალი, შედგება წინა წლის რცხილის და ბალახის ნახევრად გახრწნილი ჩამონაყარისაგან;

- A₁ 1,5-6 სმ – ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მუქი ყომრალი, ფხვიერი, მომშრალი, წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის, დაქსელილია ბალახის ფესვებით, მარილმუქას მოქმეების არ შხუის, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში შესამჩნევია;
- B₁ 6-33 სმ – ღია ყომრალი, მომშრალი, მარცვლოვან-კომტოვანი, საშუალო თიხნარი, ხე-მცენარეების და ბალახის ფესვების ჩანართები, არ შხუის, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში თანდათანობით;
- B₂ 33-45 სმ – ღია ყომრალი, მოტენიანო, კომტოვანი სტრუქტურით, თიხნარი, ფესვების და ქვების მცირე ჩანართები, არ შხუის, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში თანდათანობით;
- BC 45<სმ – ღია ყომრალი, მოტენიანო, მკვრივი, თიხნარი, მერქნიან მცენარეთა მსხვილი ფესვები, დედაქანის ნატეხების ჩანართები, არ შხუის.

ნიადაგის ჭრილი № 12, ბევრეთის სატყეო უბანი, მუხნარ-რცხილნარი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ექსპოზიცია.

- A₀ 0-1,5 სმ – მუხისა და რცხილის ნახევრადგახრწნილი ჩამონაცვნი; ფხვიერი აგებულების მკვდარი საფარი;
- A₁ 1-9 სმ – მუქი ყომრალი, გრილი, ფხვიერი, თიხნარი, მარცვლოვანი სტრუქტურის, ბევრია ფესვები, არ შხუის, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში შესამჩნევია;
- B₁ 9-28 სმ – ღია ყომრალი, მარცვლოვან-კომტოვანი, ტენიანი, მკვრივი ბევრია სხვადასხვა დიამეტრის ხვრელები და ხე-მცენარეების ფესვები, არ შხუის, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში თანდათანობით;
- B₂ 28-55 სმ – ღია ყომრალი, ტენიანი, მკვრივი, მარცვლოვან-კომტოვანი, თიხნარი, სტრუქტურული განაწევრების წახნაგებზე აღინიშნება თხელი ორგანულ-მინერალური აპკები, ბევრია სხვადასხვა დიამეტრის ხვრელები და ხე-მცენარეების ფესვები, არ შხუის, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში თანდათანობით;
- BC 55< სმ – ღია ყავისფერი, მკვრივი, აღინიშნება დედაქანის სხვადასხვა ზომის ნატეხები, სტრუქტურული განაწევრების წახნაგებზე ორგანულ-მინერალური აპკები მეტია, ვიდრე წინამდებარე ჰორიზონტში, არ შხუის.

ნიადაგების მორფოლოგიურმა აღწერამ გვიჩვენა, რომ რცხილით გაბატონებული კორომების ქვეშ ჩამოყალიბებულია კარგად ფორმირებული, მაგრამ მცირე სისქის (1-2 სმ) ტყის მკვდარი საფარი. ეს უკანასკნელი ხასიათდება ფხვიერი აგებულებით და მიეკუთვნება „რბილი“ ტიპის მკვდარ საფარს. მკვდარი საფარის სტრუქტურა ერთ ან ორფენოვანია. ზედა ფენა (A₀) წარმოდგენილია ნახევრად გახრწნილი წინა წლის ჩამონაცვარით, ხოლო ქვედა ფენა ძლიერაა შერეული ნიადაგის მინერალურ ნაწილთან და ხშირად გაძნელებულია მათი განცალკევება ნიადაგის აკუმულაციური ჰორიზონტიდან (A₁-დან). ეს არის ბიოქიმიურად აქტიური ჰუმუსი, რომელიც წარმოდგენილია მთლიანად ჰუმიფიცირებული ორგანული ნივთიერებებით. აქვს მუქი ყომრალი შეფერილობა.

„რბილი“ ტიპის მკვდარი საფარის წარმოქმნას ხელს უწყობს რცხილნარებისა და მუხნარების ვარჯის შედარებით ფაშარი შეკრულობა, რაშიც მზის სხივები ადვილად გადიან და ხელს უწყობენ ნიადაგის ზედაპირზე არსებული მკვდარი ორანული მასის მინერალიზაციის პროცესის გააქტიურებას. რცხილნარი ტყეების მკვდარი საფარის სისქე, მისი სტრუქტურული აგებულება, ფაშარი ფიზიკური კონსისტენცია მიუთითებს მისი დაშლა-მინერალიზაციის ინტენსივობაზე.

ნიადაგების გრანულომეტრული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს მიერ განხილული რცხილით გაბატონებული კორომების ნიადაგები მექანიკური შემადგენლობის მიხედვით მიეკუთვნებიან მძიმე და საშუალო თიხნარ ნიადაგებს, სადაც ფიზიკური თიხის შემცველობა მერყეობს 39%-დან 54%-მდე, ხოლო ლექის ფრაქციის 10-34 % (ცხრ. 1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რცხილნარების ნიადაგი უფრო მძიმე მექანიკური შემადგენლობით ხასიათდება ვიდრე მუხნარებისა.

ცხრილი 1

რცხილით გაბატონებული კორომების ნიადაგების მექანიკური შედგენილობა

ჭრილის №	კვლევის ობიექტი	ჰორიზონტი	ჰორიზონტის სიღრმე (სმ)	მექანიკური ფრაქციები (მმ), %						
				1-0.25	0.25-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	0.005-0.001	<0.001	<0.01
3.	დილომი, წმინდა რცხილნარი, 0.6-0.7 სისმ.	A ₁	2,0-6	6	28	14	15	10	27	52
		B ₁	6-33	5	28	13	14	9	31	54
		B ₂	33-45	4	26	16	15	9	30	54
		BC	45<	4	29	19	10	10	28	48
5.	დილომი, მუხნარ-	A ₁	1-7	6	32	21	12	16	11	39

	რცხილნარი, 0.6-0.7 სიხშ.	B ₁	7-28	5	30	23	10	15	17	42
		B ₂	28-39	4	26	30	10	11	23	44
		BC	39-53	4	31	26	9	10	21	40
9.	ლისი, რცხილნარი, 0.5 სიხშ.	A ₁	2-9	6	25	20	14	10	25	49
		B ₁	9-33	6	22	17	11	10	34	55
		B ₂	33-60	5	22	22	11	16	24	51
		BC ₂	60-71	5	28	22	15	11	19	45
12.	ბევრეთი, მუხნარ- რცხილნარი, 0.6 სიხშ.	A ₁	1,5-9	7	25	29	13	16	10	39
		B ₁	9-28	8	38	18	8	10	18	36
		B ₂	28-55	7	25	20	9	15	24	48
		BC	55<	5	36	24	5	6	23	34

როგორც ცხრილ 2 -ში მოტანილი მასალებიდან ირკვევა, წმინდა რცხილნარებისა და მუხნარ ხილნარების ნიადაგები ხასიათდებიან სუსტი მჟავე რეაქციით (pH=5.8-6.4), ამავე დროს, რცხილნარების ნიადაგი უფრო მჟავე რეაქციით გამოირჩევა მუხნარ-რცხილნარების ნიადაგებთან შედარებით, რაც რცხილის მკვდარი საფრის შედარებით უფრო მღალი მჟავიანობით უნდა აიხსნას. ასევე ნიადაგის მჟავიანობის გაზრდას ხელს უწყობს ტყის მკვდარი ორგანული მასის გახრწნის შედეგად წარმოქმნილი მჟავე პროდუქტების გამოტანა-ჩარეცხვა. აღნიშნული პროცესები უფრო აქტიურად რცხილნარების მკვდარ საფარში მიმდინარეობს.

ცხრილი 2

რცხილნარების ნიადაგების ზოგიერთი ქიმიური მაჩვენებელი

პრობის №	პორიზონტი	პორიზონტის სიღრმე (სმ)	pH	ჰუმუსი %	აზოტი %	CaCO ₃ %	მ.ე.ქვივალენტი 100 გრ ნიადაგზე			ჯამი	% ჯამიდან		
							Ca ⁺⁺	Mg ⁺⁺	H ⁺		Ca	Mg	H
3.	A ₁	1.5-6	6.2	6,71	0,34	არა	24.29	6.12	0.1	30.51	79.6	20.1	0.3
	B ₁	6-33	5.8	3,24	0,16	-	21.15	5.52	2.1	28.77	73.5	19.2	7.3
	B ₂	33-45	5.9	1,56	0,08	-	21.85	5.85	1.3	29.00	75.3	20.2	4.5
	BC	45<	5.9	0,45	0,02	-	22.25	6.24	-	28.49	78.1	21.9	-
5.	A ₁	1-7	6.4	6.52	0.40	არა	28.90	11.60	არა	40.50	71.4	28.6	-
	B ₁	7-28	6.1	2.34	0.14	-	26.55	5.12	-	31.67	83.8	16.2	-
	B ₂	28-39	6.2	1.07	0.06	-	27.14	5.90	-	33.04	82.1	17.9	-
	BC	39<	6.3	0.63	0.06	-	27.84	6.35	-	34.19	81.4	18.6	-
9.	A ₁	2-9	6.2	6.06	0.32	არა	27.74	10.0	0.02	37.76	73.46	26.48	0.06
	B ₁	9-33	6,1	2.11	0.11	-	22.04	8.0	0.8	30.84	71.47	25.94	2.59
	B ₂	33-60	6.0	1.00	0.05	-	25.16	6.08	0.9	32.14	78.28	18.92	2.80
	BC ₂	60-71	6.1	0.3	0.03	-	20.44	11.2	-	31.64	64.67	35.43	-
12.	A ₁	1-9	6.4	6,22	0,31	-	28.40	10.70	არა	39.08	72.67	27.33	-
	B ₁	9-28	6.2	2,52	0,13	არა	27.64	4.56	-	31.20	85.83	14.47	-
	B ₂	28-55	6.2	1,20	0,06	-	29.13	6.84	-	35.97	80.98	19.02	-
	BC	55<	6.3	0,63	0,03	-	28.16	6.22	-	34.38	81.90	18.10	-

გამოკვლეული ნიადაგები საშუალო ჰუმუსიანობით ხასიათდებიან. ჰუმუსის შემცველობა ნიადაგის A₁ პორიზონტში საკმაოდ მაღალია და მერეობს 6,06-6,71%-ის ფარგლებში. მისი შემცველობა სიღრმით მკვეთრად ეცემა, მაგრამ მიუხედავად ამისა BC პორიზონტიც კი საკმაოდ ჰუმუსირებულია და მისი შემცველობა 0,45-0,63 %-ის ფარგლებში მერეობს.

რცხილნარების და მუხნარ-რცხილნარების ნიადაგებში არსებული შთანთქმული კათიონებიდან აღინიშნება გაცვლითი კალციუმის სიჭარბე, 20,44-29,13 მილიგრამ-ექვივალენტის

ოდენობით 100 გრამ ნიადაგში, რაც შთანთქმული კათიონების ჯამის 70-80%-ს შეადგენს. ნიადაგის პროფილში მათი დაგროვება აღინიშნება ჰუმუსოვან ჰორიზონტში და იგი ბიოგენური ხასიათისაა. შესწავლილ ნიადაგებში გაცვლითი წყალბადის შემცველობა რცხილნარების ნიადაგში ძალზე მცირეა, ხოლო მუხნარ-რცხილნარების ნიადაგში გაცვლითი წყალბადი საერთოდ არ აღინიშნება.

ამრიგად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი რცხილნარებისა და მუხნარ-რცხილნარების ნიადაგები მსგავსი მორფოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან და განსხვავდებიან ძირითადად გენეზისური ჰორიზონტების სისქით. ყოველ მათგანს ახასიათებს მცირე სისქის, მაგრამ კარგად ამოხატული „რბილი“ ტიპის მკვდარი საფარი, საკმაოდ მძლავრი, მუქი ყომრალი შეფერილობის ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მარცვლოვან-კაკლოვანი სტრუქტურა, თიხნარი მექანიკური შედგენილობა. მათ აქვთ პროფილის შენების შემდეგი ტიპი: A₀ - A₁ - B₁ - B₂ - BC.

აღნიშნული ნიადაგები ხასიათდებიან შთანთქმის მაღალი ტევადობით, სადაც გაცვლით კათიონებში მნიშვნელოვნად ჭარბობს გაცვლითი კალციუმი, ფუძეებით უმნიშვნელოდ არამადრობით, რაზეც მიგვანიშნებს შთანთქმულ კათიონებში წყალბადის დაბალი შემცველობა. ნიადაგების მორფოლოგიური ნიშნები, მათი ქიმიური შემადგენლობა მიუთითებს იმაზე, რომ რცხილის და მუხნარ-რცხილნარების კორუმების ქვეშ ფორმირდება ყომრალი ტიპური, არაკარბონატული ნიადაგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სატყეო მეურნეობის ყოველწლიური სტატისტიკური ბროშურა, 2006. გვ. 106.
2. გ.გიგაური – საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბ. 2000. გვ.160.
3. თ.ურუშაძე - საქართველოს ნიადაგურ-გეოგრაფიული დარაიონება, აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები. ტ. 36, თბილისი, 2006, გვ. 153-154.
4. თ.ურუშაძე საქართველოს ძირითადი ნიადაგები. “მეცნიერება”, თბილისი, 1997. გვ. 267.
5. ენაკაიძე, გ.ვანაძე, გ.წერეთელი - რცხილნარებისა და მუხნარ-რცხილნარების ნიადაგის მიკროფლორის თავისებურებანი. აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 40, თბილისი, 2007, გვ. 89-93.

GIULI TSERETELI *, ELENA NAKAIDZE **, RUSUDAN KAKHADZE *

*Agricultural University of Georgia, *Mikheil Sabashvili Institute of Soil Science, Agrichemistry and Melioration,*

*** Vasil Gulisashvili Forest Institute*

CHARACTERIZATION OF SOILS UNDER HORNBEAM AND OAK-HORNBEAM FORESTS IN TBILISI SURROUNDINGS

S u m m a r y

Litter and soil properties were studied under hornbeam biogeocenosis in surroundings of Tbilisi. Hornbeam forests of Lisi, Dighomi and Bevreti were selected as study areas.

Soils studied under hornbeam and oak-hornbeam forests are characterized by similar morphological features, but differs by the depth of main genetic horizons. Each horizon has small depth (1-2 cm), but well defined “soft” litter cover, quite strong, dark brown coloured humic horizon, granular-subangular structure, loamy texture content.

Described soils are characterized by slightly acid reaction (pH=5.8-6.4), average humus content, high absorption capacity, where portion of exchangeable calcium is dominated (20,44-29.13 mil/eqv. 100 gr soil), soil is weakly unsaturated with basics indicated by low content of hydrogen. Morphological characters as well as chemical properties indicates that under hornbeam and oak-hornbeam forests are formed typical noncalcareous brown soils.

ბიორბი ჟინჯაძე, ლუბა ეპრიკაშვილი, მარინე ხაუტაშვილი, თინათინ შარაშენიძე, მანანა ბურჯანაძე, ნინო ბურკიაშვილი, ვახტანგ ბაბუნია
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ბუნებრივი ცეოლითის ბაზაზე შემდგომი ახალი ბიოტეპოლოგიური მასალა, ორბორცხიან ნაზარდოვანი მოქმედების სასუქი და მისი გამოყენების პრესამპტივები

შემოთავაზებულია ახალი მასალა, შედგენილია გზით მიღებული ფოსფორით, აზოტითა და კალიუმით გამდიდრებული კლინოპტილოლიტი, როგორც პროლონგირებული მოქმედების სასუქი. კვლევის მიზანია, სასუქის მოქმედების გაგენის შესწავლა ოთახის დეკორატიული მცენარეების ზრდა-განვითარებაზე და ნიადაგზე მისი შემდგომი ზემოქმედების უნარის დადგენა.


მცენარეთა კვების ძირითადი ელემენტები აზოტი, კალიუმი და ფოსფორი არსებობენ ნიადაგში ან მასში ხელოვნური მინერალური სასუქის სახით შეყავთ. დღეისათვის მეცენარეობის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება დანალექი წარმოშობის ცეოლითური სასუქები, როგორც

სასათბურე მეურნეობაში გამოსაყენებელი სუბსტრატების შემადგენელი ნაწილი, ასევე ღია გრუნტებში გამოსაყენებელი სასუქის საფუძველი.

ბუნებაში არსებული ცეოლიტების დიდი მარაგი, მოპოვების სიმარტივე და დაბალი ღირებულება, მათი გამოყენების ზრდის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველო მდიდარია სხვადასხვა სახეობის ცეოლითშემცველი ტუფებით. დღეისათვის საქართველოში გამოკვლეულია ცეოლითური მინერალების შვიდი ნაირსახეობა, რომელთა მარაგი დაახლოებით 30 მილიონ ტონას შეადგენს [1].

ბუნებრივი ცეოლიტები განვითარებული მოწესრიგებული კრისტალური მიკროფოროვანი სტრუქტურით, მოლეკულურ-საცრული და იონმიმოცვლითი თვისებებით ხასიათდებიან, რაც პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მათ პერსპექტიულობას განაპირობებს [2].



ნიადაგში მინერალური სასუქებისა და მასთან ერთად ეკოლოგიურად უსაფრთხო მიკროელემენტების შემცველი ბუნებრივი ცეოლიტების შეტანა საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ შეტანილი სასუქის მოქმედების ხანგძლივობა (პროლონგირების ეფექტი) და მკვებავი კომპონენტების გამორეცხვის შემცირება. გარდა ამისა, ცეოლიტები არეგულირებენ ნიადაგში მცენარის მიერ წყლის, აზოტის, კალიუმისა და მიკროელემენტების შეწოვას [3].

რადგანაც ცეოლიტები კათიონმიმოცვლელთა ჯგუფს მიეკუთვნებიან, მათი კალიუმით ან ამონიუმით გამდიდრება სირთულეს არ წარმოადგენს. ეს პროცესი გართულებულია ფოსფორთან მიმართებაში, რომელიც შესაბამის მარელებში ანიონური მჟავა მარილების სახით არსებობს. ცეოლიტების ფოსფორით გამდიდრებას სხვადასხვა მეთოდებით ახორციელებენ [4,5]. პირველი მეთოდით გააქტიურებული ცეოლიტის დამუშავება ხდება ფოსფორშემცველი ხსნარით, რომელიც ფოსფატურ მადანზე 1-6%-იანი აზოტმჟავის მოქმედებით მიიღება. ამ მეთოდის უარყოფითი მხარე მასში ფოსფორის დაბალი შემცველობაა (8%-მდე). მეორე მეთოდი უფრო სრულყოფილია, სადაც საწყის მასალად აღებულია კლინოპტილოლიტ შემცველი ქანები, რომლებიც შეიცავდნენ 8-დან 60%-მდე კალციუმის კარბონატს. ცეოლიტის ფოსფორისა და აზოტმჟავას ხსნარით დამუშავების შედეგად, ფოსფორმჟავა შედის კალციუმის კარბონატთან რეაქციაში კალციუმის ფოსფატის ხსნადი მარილის წარმოქმნით, რომელიც ტუფის ცეოლითური ფაზის ფორმებსა და არსებში განთავსდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ მასალა, რომელიც 75%-მდე ხსნად კალციუმის ფოსფატს შეიცავს.

ანიონური ჩამნაცვლებლების მიღების ახალი მეთოდი [6] A, X და Y სინთეზური ცეოლიტების საფუძველზე ემყარება ამ ცეოლიტების ამონიუმის დიჰიდროფოსფატთან შედღობას. ფოსფორშემცველი ალუმინსილიკატი არ კარგავს ცეოლითურ სტრუქტურას და იძენს ანიონმიმოცვლელის თვისებებს ახალი ფაზის წარმოქმნის საფუძველზე.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ფოსფორითა და აზოტით გამდიდრებული კლინოპტილოლიტი, რომლის მისაღებად შედღობის მეთოდი იყო გამოყენებული [7]. ამისათვის ხდება კლინოპტილოლიტ შემცველი ტუფის და ამონიუმის დიჰიდროფოსფატის ნარევის შედღობა. მიღებული მოვარდისფრო შეფერილობის მასალა ხასიათდება ოპტიკური ერთგვაროვნებით და

მექანიკური მდგრადობით. მასალას შენარჩუნებული აქვს ცეოლითური სტრუქტურა, რომელიც ცეოლითში არსებული კალციუმის, კალიუმის, ნატრიუმის, მაგნიუმისა და ორ და სამვალენტიანი რკინის იონების გარდა დამატებით შეიცავს ამონიუმისა და ფოსფატის იონებს.

მიღებული მასალის რენტგენოდიფრაქტომეტრული, ი.წ. სპექტროსკოპიის და თერმული ანალიზის მეთოდებით შესწავლამ გვჩვენა, რომ შეღებვის შემდეგ, მასალის ამორფული მასის ცეოლითურ სტრუქტურაში შესვლა იწვევს ამ უკანასკნელის გარკვეულ დეფორმაციას, ასევე იცვლება ცეოლითის თერმული მდგრადობა (იზრდება) და ადსორბციის უნარი (მცირდება). აღსანიშნავია, რომ მასალის ათეული საათობით რეცხვის შემდეგ შეღებობილი მარილი არ გამოდის ცეოლითის სტრუქტურიდან. მიღებული მასალა 500°C-ზე გახურების შემდეგ მარილი მთლიანად გამოდის ცეოლითის სტრუქტურიდან, ისე რომ ცეოლითური სტრუქტურა მთლიანადაა შენარჩუნებული.

მიღებული მასალა, როგორც სასუქი გამოცდილი იყო ღია გრუნტზე ნიორისა და ხახვის კულტურებზე და შედარებული იყო ჩვეულებრივ მინერალური სასუქებისა და სუფთა კლინოპტილოლიტის მოქმედებასთან [8,9]. ცდები გრძელდებოდა 2 წლის განმავლობაში. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მიღებული აზოტ-ფოსფორ შემცველი კლინოპტილოლიტის შეტანა ნიადაგში ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი მინერალური სასუქისა. გარდა ამისა იგი ხასიათდება მკვეთრად გამოსატყუი შემდგომი მოქმედების უნარით.

საველე პირობებში ჩატარებულმა 2 წლის შედეგებმა აჩვენა, რომ ნიორის მოსავლიანობა შედარებით პირველ წელს გაიზარდა 12%-ით, ხოლო მეორე წელს 31%-ით. ხახვის მოსავლიანობა შესაბამისად 19% და 14%-ით [9].

ოთახის დეკორატიული მცენარეების ფუნქცია არა მარტო ინტერიერის ესთეტიკური გაფორმება, არამედ ჰაერის გაჯანსაღების მიზნით შესაბამის გარემოზე ზემოქმედებაცაა. ასეთი ტიპის მცენარეებს მოვლისა და კვების განსაკუთრებული რეჟიმი სჭირდებათ, რომლის დარღვევა მომენტალურად აისახება მათ გარეგნობაზე (ქმედით უნარიანობაზე). მათზე უარყოფითად მოქმედებს მინერალური თუ ორგანული ნივთიერებების როგორც ნაკლებობა, ასევე სიჭარბეც, ორივე შემთხვევაში მცენარეს აღენიშნება განსაკუთრებული სიმპტომები.

მიღებული ცეოლითური ბიოტექნოლოგიური მასალა თავისი უნიკალური მიკროფოროვანი მოლეკულურ-საცრული თვისებებით საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იყოს სასუქის მოქმედების ხანგრძლივობა (პროლონგირების ეფექტი) და მკვებავი კომპონენტების გამორეცხვის შემცირება. გარდა ამისა ცეოლითები არეგულირებენ ნიადაგში მცენარის მიერ წყლის, მაკრო და მიკრო ელემენტების ათვისებას.

შემოთავაზებულ მასალას შემკვრელი თვისებები გააჩნია, ამიტომ მისი ჩხირების ან აბების სახით მომზადება იოლია. ასეთი სახით სასუქის ნიადაგში შეტანა კი უფრო ადვილია. ამ დროს მცენარესა და ცეოლითურ სასუქს შორის ხდება საჭირო მინერალების გაცემის და ათვისების თვითრეგულირება.

ჩხირების ან აბების სახით მომზადებული ასეთი ტიპის სასუქი გადაგვიჭრის ოთახის დეკორატიული მცენარეების როგორც კვების პრობლემას, ასევე შეამცირებს მათ მოვლაზე დახარჯულ როგორც დროს, ასევე ფინანსებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Схиртладзе Н.И. Осадочные цеолиты Грузии. – Тбилиси: ТГУ, 1991, 143 с.
2. Tsitsishvili G.V., Andronikashvili T.G., Kirov G.N., Filizova L.P., Natural Zeolites. – London: Ellis Horwourd, 1992. -295p.
3. Цицишвили Г.В., Андроникашвили Т.Г., Нестеров М.В., Лабутин В.Г. Применение природных цеолитов в сельском хозяйстве. Тбилиси: «мецნიერება» 1997 – 147 с.
4. Аренс В.С., Андроникашвили Т.Г., Курицина Л.Н., Гриндан Н.О., Лохова Т.Д., Гоциридзе А.О. Авторское свидетельство СССР, №10823532 (1983)
5. Цицишвили Г.В., Андроникашвили Т.Г., Уротадзе С.Л., Толстикова М.Г., Кахиашвили Т.С. Авторское свидетельство СССР, №104789 (1983)
6. Duer A., Malik S.A., A. Araya, T.J. McCohvite in Recont Developments in Ion Exchange P.A. williams, M.J.Hudson (eds), Elsevir London-Nev York, (1987).
7. Цицишвили Г.В., Цинцკალაძე Г.П., Цицишвили В.Г., Чипაშვილი Д.С., Цинцკალაძე З.П. Новая форма фосфорсодержащего клиноптилолита. АзХЖ. №3, 2006. 100-102 с.
8. 8. Джанджгава Н.А., Цинцკალაძე Г.П., Андроникашвили Т.Г., Цицишвили В.Г., Кардава М.А. К воздействию клинлптилолита на урожайность чеснока. Труды микросимпозиума «Природные цеолиты в растениеводстве», 21.06.2002.
9. Джанджгава Н.А., Цинцკალაძე Г.П., Андроникашвили Т.Г., Кардава М.А., Азот-фосфорсодержащий клиноптилолит – новое удобрение пролонгирующего действия Изв.АН Грузии, Серия Химическая, т.29, №3-4, с.351-357.

**NEW BIOTECHNOLOGICAL MATERIAL BASED ON NATURAL ZEOLITE ACTS AS A FERTILIZER
OF A PROLONGED ACTION AND PROSPECTS OF ITS APPLICATION**

S u m m a r y

A new material, clinoptilolite, prepared by fusion and enriched with phosphorus, nitrogen, and potassium has been offered as a fertilizer of a prolonged action. The objective of the investigation is the study of the effects of the fertilizer on the growth and development of a decorative house plant and establishment of the after effect of the studied fertilizer on the soil.

იზოლდა ჰილამი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი*

მესაქონლეობის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის პრობლემატიკა საქართველოში

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არის საწარმოს მიერ, გაყიდვის მიზნით ბიოლოგიური აქტივის ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად.

ბუნებრივი აღრიცხვის 41-ე საერთაშორისო სტანდარტის - „სოფლის მეურნეობა“ - განმარტებით, **ბიოლოგიური აქტივი არის** მცენარე ან ცხოველი. **სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი არის** სასოფლო საწარმოს ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული პროდუქტები ნაყოფის მიღების მომენტში. **ნაყოფის მიღება არის** ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქტის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს პირუტყვის მოშენებას, ტყის გაშენებას, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანას, ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების გაშენებას, ყვავილების მოშენებას, აკვაკულტურა (მ.შ. თევზის მოშენება). ამ სხვადასხვა სახის საქმიანობას შემდეგი საერთო მახასიათებლები გააჩნიათ:

- **ცვლილების უნარი ანუ ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი** - ბიოლოგიური ტრანსფორმაციით მიიღება შემდეგი ტიპის შედეგები: იზრდება მცენარის და ცხოველის რაოდენობა ან ხარისხი; დეგენერაციის ანუ მცენარისა და ცხოველის შემცირების უნარი; რეპროდუქციის ანუ გამრავლების უნარი (ცოცხალი ცხოველის ან მცენარის ნამეტი), ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაგალითად, ჩაის ფოთოლი, მატყლი, რძე და სხვა.
- **ცვლილების მართვა** - საწარმოს ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების მეშვეობით, რომელიც პროცესის მოხდენისათვის აუცილებელია (მაგ. კვების, ტენიანობის, ტემპერატურის, ნაყოფიერების ან სინათლის). ამდენად, პროდუქციის მიღება უმართავი წყაროებიდან, როგორცაა თევზის ჭერა ოკეანეში ან ტყის გაჩეხვა არაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.
- **ცვლილების შეფასება** - ბიოლოგიური ტრანსფორმაციით გამოწვეული ხარისხობრივი (გენეტიკური თვისებების, სიხშირის, სიმწიფის, ცხიმინობის, პროტეინის შემცველობის და ქსოვილის სიმყარის) და რაოდენობრივი (შთამომავლობა, წონა, ზომა, ქსოვილის სიგრძე ან დიამეტრი, ასევე ყვავილთა რაოდენობა) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადი რუტინული მმართველობითი ფუნქციით. ამდენად, აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში მეტად რთული ამოცანის წინაშე დგას.

მეცხოველეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს. მეცხოველეობის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოშენება და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მეცხოველეობის დარგებია: მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), მეცხვარეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, მეთხეობა, მეცხენეობა, მეკამეჩეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მეაბრეშუმეობა, მენადირეობა.

მეცხოველეობის საწარმოებში პირუტყვი ერთი მხრივ გამოიყენება როგორც ძირითადი საშუალებები და მეორე მხრივ, როგორც შრომის საგნები.

მოზარდი და სუქებაზე მყოფი პირუტყვი მიეკუთვნება საბრუნავ საშუალებებს. ხოლო ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება მუშა პირუტყვი (ხარები, ცხენები, აქლემები, სახედრები) და პროდუქტიული პირუტყვი (ძროხები, ბულები, არამუშა კამენები, დედა ცხვრები, ყონები და სხვა). პროდუქტიულ და სახორცედ გამოყენებულ მუშა პირუტყვს ცუთა არ დაერიცხება.

წინამდებარე სტატიაში შევეხებით მხოლოდ მესაქონლეობის დარგის პირველადი პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის საკითხებს.

პირველადი წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს ცხოველების გაზრდას, მათ მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას.

აქედან გამომდინარე, საჭიროა როგორც პირუტყვის სულადობის გაზრდა, ისე მისი პროდუქტიულობის გადიდება. შეაბამისად აღრიცხვამ უმდა უზრუნველყოს ყველა სახის პირუტყვის სულადობის ცვლილების და მათი მოვლის ხარჯების აღრიცხვა.

ფორმაში პირუტყვის სულადობის ცვლილება შეიძლება მოხდეს ნამრავლის მიღებით, ჯიშისანი საქონლის შესყიდვით, მოზრდილთა გადაყვანით ზრდასრულთა ჯგუფში, ცხოველების გადაყვანით გამოსახრდელად და გასასუქებლად, დაკვლით, იძულებითი დაკვლით, დაცემით (ცხოველის სიკვდილით).

ცხოველთა გამოზრდისა და გასუქების პროცესში სულადობის ცვლილებასთან ერთად ადგილი აქვს წონისა და ღირებულების ზრდას. აღრიცხვაში ეს პროცესი სწორად უნდა აისახოს. ამ მიზნით, გამოიყოფა სხავდასხვა სააღრიცხვო ჯგუფები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მიმართულებები

ბიოლოგიური აქტივის სააღრიცხვო ჯგუფები	ცხოველთა შემადგენლობა სააღრიცხვო ჯგუფში	მიღებული პროდუქტები	
		ძირითადი	თანამდე
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი: ა). მერძეული მიმართულება 1. მერძეული ნახირი	ფურები, ბულამწარმოებლები	რძე, ნამრავლი	ნაკელი და ნაცვენი ბალანი
2. ყველა ასაკის მოზარდე- და ული და გასასუქებელი მოზრდილი პირუტყვი	მოზარდეული, ძირითადი ჯოგიდან დაწუნებული ძროხები, ბულამწარმოებლები და ხარები, რომლებიც დაყენებულია გასუქებაზე	წონამატი	ნაკელი, ნაცვენი ბალანი და დაცემული მოზარდის ტყავი
ბ). მესორცული მიმართულება 1. ძირითადი ნახირი	ფურები, ბულამწარმოებლები, ხბოები 8 თვის ასაკამდე	ნამრავლი, 8 თვემდე მოზარდეულის წონამატი	რძე, ნაკელი, ნაცვენი ბალანი, დაცემული პირუტყვის ტყავი
2. 8 თვეზე უხნესი მოზარდეული და გასუქებაზე დაყენებული მოზრდილი პირუტყვი	8 თვეზე უხნესი მოზარდეული, ძირითადი ჯოგიდან წუნდებული და გასასუქებლად დაყენებული ძროხები, ბულამწარმოებლები, ხარები	წონამატი	ნაკელი, ნაცვენი ბალანი, დაცემული პირუტყვის ტყავი

მერძეული მიმართულება არის ცალკე სააღრიცხვო ჯგუფი. მოზარდი და სუქებაზე მყოფი პირუტყვის აღრიცხვა ხდება სპეციალურ ჟურნალში ცხოველთა ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მიხედვით (დაბადების წლის შესაბამისად): საფურეები, სახარეები, საბუდეები, დეკეულები, მოზრები, უშობლები. ყოველთვიურად, პირუტყვის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში აღრიცხება და გამოითვლება ყველა ჯგუფის პირუტყვის სულადობის, ცოცხალი წონის და ღირებულების ნაშთი თვის ბოლოს. გარდა პირუტყვის მოძრაობის აღრიცხვის უწყისისა, გამოიყენება აწონვის უწყისი, რძის წველის უწყისი მწველავების მიხედვით, ნამრავლის მიღების აქტი, ჯოგის უწყისი, პირუტყვის გასავლის აქტი, პირუტყვის საინვენტარო აღწერა.

მეცხოველეობაში, უფრო მარტივია, თვის განმავლობაში აღრიცხოს ნორმატიული დანახარჯები. თვის ბოლოს, როცა ფაქტიური დანახარჯები გაირკვევა, გამოვლინდება გადახრები და მათი ანალიზის მეშვეობით ხარჯების უკეთ გამოყენების დეტალური გზები გამოვლინდება.

წონამატი გამოითვლება შემდეგნაირად:

წონამატი = პირუტყვის ნაშთის წონა თვის ბოლოს (კგ ან ცენტნერი) + გასული პირუტყვის წონა (დაცემული პირუტყვის გარეშე) - თვეში შემოსული პირუტყვის წონა - პირუტყვის ნაშთის წონა თვის დასაწყისში.

წონამატი გამრავლება ერთეულის ნორმატიულ თვითღირებულებაზე და შესაბამისად შეფასდება ნორმატიული თვითღირებულებით. თვის ბოლოს კი გამოითვლება გადახრები და ჩატარდება მათი ანალიზი. საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული მეთოდით, ხარისხობრივი ფაქტორის გაგლეხა პროდუქციის თვითღირებულებაზე, ხოლო, რაოდენობრივი ფაქტორის გაგლეხა - მოგებ/ზარალზე აისახება.

რაც შეეხება ნამრავლის (ხბობის) თვითღირებულების შეფასებას, იგი გადაიყვანება რძის პირობით რაოდენობაში (ტრადიციულად, 1,5 ცენტნერი) და გამრავლდეს ერთი ლიტრი რძის ნორმატიულ თვითღირებულებაზე.

მემცენარეობისაგან განსახვავებით, მეცხოველეობა სეზონურ დარგს არ წამოადგენს და არ არსებობს დაუმთავრებელი პროდუქცია. მეცხოველეობაში მიიღება ძირითადი და თანამდევნი პროდუქტები.

მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების დანახარჯების აღრიცხვის ძირითადი ამოცანებია:

- ცხოველთა საწარმოო ჯგუფების მიხედვით წარმოებაში გაწეული დანახარჯების და პროდუქციის გამოსვლის აღრიცხვა;
- დანახარჯების აღრიცხვა პროდუქციის თვითღირებულების შემადგენელი ელემენტების მიხედვით ნატურალურ და ფულად ერთეულებში;
- ცხოველთა სააღრიცხო ჯგუფების მიხედვით პროდუქციის გამოსავლის დროული და ზუსტი აღრიცხვა ნატურალურ და ფულად ერთეულებში;
- მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაცია.

მეცხოველეობის, კერძოდ მსვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის (რომელსაც მიეკუთვნება მესაქონლეობა), აღრიცხვაში ცალ-ცალკე იხსნება წარმოების დანახარჯების აღმრიცხველი ანგარიშები პირუტყვის სახეების მიხედვით. ისინი დაუმთავრებელი პროდუქციის ქვეანგარიშებზე აღრიცხება. (მაგალითად, მერძეული ფურები).

დანახარჯების კლასიფიკაცია სოფლის მეურნეობაში, იმავე ნიშნების მიხედვით ხდება, როგორც ეს საერთოდაა მიღებული. როგორიცაა: საოპარაციო, არასაოპერაციო და განსაკუთრებული ხარჯები; ეკონომიკური ელემენტები და დანახარჯთა ფუნქციური მუხლები; პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები; მუდმივი და ცვლადი ხარჯები; პროდუქტის და პერიოდის ხარჯები; რელიევანტური და არარელიევანტური ხარჯები და ა.შ.

მესაქონლეობის პროდუქციის თვითღირებულების საკალკულაციო მუხლებია:

- პირდაპირი შრომითი ხარჯი
- პირდაპირი მასალის ხარჯი, რომელსაც მიეკუთვნება საკვების, ქვეშაფენის, ბიოპრეპარატების, მედიკამენტების, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და დანარჩენი ხარჯები
- არაპირდაპირი ხარჯები (იგივე საწარმოო ზედნადები ხარჯები): როგორცაა, არაპირდაპირი მასალის ხარჯი, არაპირდაპირი შრომითი ხარჯი, ცვეთის ხარჯი და დანარჩენი არაპირდაპირი ხარჯები.

საკალკულაციო ერთეულები (ანუ დანახარჯთა ერთეულები) მერძეული მიმართულების მიხედვით არის ერთი ან ათი ლიტრი რძე და ერთი სული ნამრავლი. ხოლო, მეხორცულ მიმართულებაში - ერთი სული ნამრავლი და 100 კგ წონამატი. აქედან გამომდინარე, კალკულაციის პრობლემა მასში მდგომარეობს, რომ მესაქონლეობაში ერთი და იგივე წარმოების საშუალებებიდან მიიღება სხვადასხვა თვისების პროდუქტები - რძე და ცხოველი.

ყოველი თვის ბოლოს, მერძეული საქონლის მოვლაზე გაწეული ხარჯები იყოფა ლიტრების პირობით რაოდენობაზე და მიღებული სიდიდე გამრავლდება იმავე თვეში მიღებული რძისა და ლიტრებში გადაყვანილი ნამრავლის რაოდენობაზე. როცა შეუღლებული პროდუქტებია ნამრავლი და წონამატი, მაშინ გამოითვლება მათი საერთო რაოდენობა კილოგრამებში, რომელზეც გაიყოფა მეხორცული მიმართულების დანახარჯების ჯამი. დაცემული პირუტყვის ღირებულება დანახარჯებიდან არ ჩამოიწერება. იგი დარჩენილი პირუტყვის თვითღირებულებაში შეიტანება.

მოცემული ტრადიციული მეთოდის ნაცვლად, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წარმოების ერთობლივი ხარჯების განაწილება ძირითად პროდუქტებს შორის, მათი წმინდა სარეალიზაციო ფასის პროპორციულად (როცა შესაძლებელია მათი სარეალიზაციო ფასის საიმედოდ შეფასება).

მესაქონლეობაში, როგორც წესი აგრეთვე მიიღება თანამდევნი პროდუქტები. თანამდევნი პროდუქტის აღრიცხვისადმი ორი მიდგომა არსებობს: ან თანამდევნი პროდუქტი გასაყიდი ფასით გამოიქვითება მეცხოველეობის დანახარჯებიდან ან, მისი რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შედეგით გაიზარდოს მოგება. ფირმამ ერთ-ერთი მიდგომა უნდა აირჩიოს. თუკი თანამდევნი პროდუქტის გაყიდვის პრობლემა არ არსებობს, მაშინ, მიზანშეწონილია იგი დანახარჯებიდან

გამოიქვითოს. თუკი თანამდევნი პროდუქტი ძნელად იყიდება, მაშინ უფრო მართებულია, მისი რეალიზაციის წმინდა შედეგი მოგებაზე აისახოს.

ამრიგად, მესაქონლეობის პროდუქციის თვითღირებულების ნორმატიული კალკულაცია უფრო მოქნილი და მარტივია. ამასთან, დანახარჯების კონტროლის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

IZOLDA CHILADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

PROBLEMATIC ISSUES OF CALCULATING COST OF CATTLE-BREEDING PRODUCT

S u m m a r y

Here are problems costing of cattle-breeding in the article. The problems arises joint products and by products in the Cattle-breeding.

Costs between the products possible distribution per traditional or modern method. Per traditional method the costs between products distribution on the basis of suspended units. Per modern method costs distribution proportional products prices.

For accounting by products possible using method one of two: their volume deduction from costs or profit.

With the purpose of managerial control costs using normal costing.

ივანე ხარაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

რეალური ღირებულებითი შეფასების გამოყენება სოფლის მეურნეობაში

სასოფლოდსამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვას გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად, ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივად გარდაქმნის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბიოლოგიური აქტივი არის ცხოველი ან მცენარე, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქტები.

სასოფლოდსამეურნეო საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, რომელთაც საერთო მახასიათებლები აქვთ. ესენია:

ცვლილების უნარი;

ცვლილების მართვა;

ცვლილების შეფასება.

ცვლილების უნარი გამოიხატება ცოცხალი ცხოველებისა და მცენარეებისათვის ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარით. ცვლილების მართვა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას პირობების გაუმჯობესებით ან სტაბილიზაციით. რაც შეეხება ცვლილების შეფასებას, იგი მნიშვნელოვანი მმართველობითი ფუნქციაა და მოიცავს ბიოლოგიური ტრანსფორმაციით ან ნაყოფის მიღებით გამოწვეული ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ცვლილების შეფასებასა და კონტროლს.

ბიოლოგიური ტრანსფორმაცია მოიცავს ზრდას, დეგენერაციას, წარმოებას და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას საერთაშორისო სტანდარტებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამისათვის უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საადრიცხო მეთოდი. ასევე, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განისაზღვროს ზრდის, დაკნინების, კვლავწარმოებისა და გამრავლების პროცესში მყოფი ბიოლოგიური აქტივების საადრიცხო მეთოდი და ნაყოფის მიღების მომენტში სოფლის მეურნეობის ნაწარმის თავდაპირველი შეფასება. აღნიშნული საკითხები რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით (ბასს) 41 - „სოფლის მეურნეობა“, რომლის მიხედვითაც საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეაფასოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბიოლოგიური აქტივებისათვის შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. თუმცა იგი შეიძლება საკამათო გახდეს მხოლოდ იმ ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი შეფასებისას, როდესაც არ არსებობს ბაზრით განსაზღვრული ფასები და შესაბამისად, რომელთათვისაც რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, ბასს 41 საწარმოსაგან მოითხოვს ბიოლოგიური აქტივის შეფასებას დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მაგრამ როდესაც ასეთი ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება საიმედოდ შეფასებადი გახდება, საწარმომ იგი უნდა შეაფასოს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ყველა შემთხვევაში, ნაყოფის მიღების მომენტში სოფლის მეურნეობის პროდუქცია საწარმომ უნდა შეაფასოს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

მაშასადამე, ბასს 41 დ „სოფლის მეურნეობა“ აწესებს მოთხოვნებს თუ როდის უნდა შეფასდეს ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რეალური ღირებულებით. რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რეალური ღირებულებით ბასს 41, ან რომელიმე სხვა სტანდარტი არ განიხილავს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ რეალური ღირებულების განსაზღვრის მოთხოვნებისადმი ერთიანი სისტემის (საერთაშორისო და აშშ) შემუშავებით გამოაქვეყნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 13 „რეალური ღირებულებით შეფასება“. იგი არ აწესებს ახალ მოთხოვნებს როდის უნდა შეფასდეს ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რეალური ღირებულებით, არამედ განსაზღვრავს როგორ უნდა შეფასდეს რეალური ღირებულება ფასსდით, თუ რეალური ღირებულებით შეფასება აუცილებელია ან ნებადართულია ფასსდის სხვა სტანდარტებით. ფასს 13დი მოთხოვნებს უწესებს საწარმოებს, რომლებიც:

- ფლობენ ფინანსურ ინსტრუმენტებს;
- იყენებენ რეალურ ღირებულებას საინვესტიციო ქონების შესაფასებლად;
- ახდენენ ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების გადაფასებას;
- გააჩნიათ ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ფასს 13დის გამოქვეყნების ძირითად მიზეზად ითვლება რეალური ღირებულების შეფასებისას სტანდარტების გამოყენების გამარტივება და თანმიმდევრულობის ამაღლება. ფასსდში საწარმოებისაგან მოითხოვენ ან ნებას რთავენ მათ შეაფასონ აქტივები, ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მაგრამ ფასს 13დის გამოქვეყნებამდე რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდების დეტალური აღწერა არ ყოფილა, ზოგ შემთხვევაში კი, მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ფასს 13 აერთიანებს და განმარტავს მოთხოვნებს რეალური ღირებულებით შეფასების შესახებ.

მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის გახსნის სრულყოფა. ინფორმაციის გახსნისადმი ფასს 13დით განსაზღვრული ახალი მოთხოვნები დაეხმარება ინფორმაციის მომხმარებლებს უფრო სწორად გააანალიზონ შეფასების მეთოდები და ის საწყისი მონაცემები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის.

ფასს 13დის გამოქვეყნების კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ამერიკულ სტანდარტებთან კონვერგენცია. შედეგად ტერმინის „რეალური ღირებულება“ მნიშვნელობა საერთაშორისო და ამერიკულ სტანდარტებში, შესაბამისი მოთხოვნები რეალური ღირებულების შეფასების მიმართ და ინფორმაციის გახსნის წესი ერთიდაიგივეა. თუმცა საერთაშორისო და ამერიკულ სტანდარტებს შორის მაინც რჩება განსხვავება იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მოითხოვება ან როდისაა ნებადართული რეალური ღირებულების გამოყენება.

ფასს 13 დი განსაზღვრავს რეალური ღირებულების შეფასების კონცეპციას და სხვა ფასსდებისაგან განსხვავებულ პრინციპებს:

- რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებით ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათვის (გამოსავლიანობის ფასი);
- გამოსავლიანობის ფასი გამოიყენება მიუხედავად კომპანიის განზრახვისა და შესაძლებლობისა გაყიდოს აქტივი ან გადასცეს ვალდებულება შეფასების თარიღისათვის;
- რეალური ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ გარიგება აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის შესახებ ხდება ძირითად ბაზარზე, ე.ი. აქტივისა და ვალდებულებებისათვის უდიდესი მოცულობისა და საქმიანობის დონის ბაზარზე. ძირითადი ბაზრის არ არსებობისას შემოთავაზებულია, რომ რეალური ღირებულების შეფასება უნდა ემყარებოდეს საწარმოსათვის უფრო ხელსაყრელი ბაზრის პირობებს, ე.ი. ბაზარს, რომელზეც

შესაძლებელია მაქსიმალური თანხების მიღება აქტივის გაყიდვის ან მინიმალური თანხის გადახდა ვალდებულებების გადაცემის შემთხვევაში, გარიგებისა და ტრანსპორტირების ხარჯების გამოკლების შემდეგ;

- რეალური ღირებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ბაზრის მონაწილეების მიერ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას;
- არაფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია გაითვალისწინოს აქტივის საუკეთესო და უფრო ეფექტური გამოყენება ბაზრის მონაწილეთა მიერ, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს აქტივის გამოყენების მეთოდისაგან;
- საწარმოს ვალდებულებებისა და საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა თვალსაზრისით, რომელთაც იდენტური ინსტრუმენტი (აქტივი) გააჩნიათ;
- ვალდებულებების რეალური ღირებულება ითვალისწინებს შეუსრულებლობის რისკის გავლენას, რომელიც მოიცავს საწარმოს საკუთარ საკრედიტო რისკს, მაგრამ შეიძლება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლოს;
- რეალური ღირებულების შეფასებისას „მოცულობის ფაქტორის“ გათვალისწინება არ დაიშვება. „მოცულობის ფაქტორი“ ფასების კორექტირებაა დათმობის გათვალისწინებით ბაზრის მონაწილეთა მიერ აქტივების ან ვალდებულებების დიდი პაკეტის გაყიდვის შემთხვევაში, ერთი ან რამდენიმე გარიგების ფარგლებში;
- პრემიებისა და დათმობების შეფასებაში აღრიცხვა (განსხვავებული „მოცულობის ფაქტორი“ დასაგან) იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ბაზრის მონაწილეები ითვალისწინებენ ასეთ პრემიებსა და დათმობებს აქტივის ან ვალდებულების მიხედვით გარიგების პროცესში.

რეალური ღირებულებით შეფასებისას, საწარმო ვალდებულია მაქსიმალურად გამოიყენოს შესაფერისი დაკვირვებადი საწყისი მონაცემები და მინიმუმამდე დაიყვანოს არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენება.

ფასს 13 ითვალისწინებს რეალური ღირებულებით შეფასების წყაროების სამდონიან იერარქიას, რომელიც განსაზღვრავს საწყისი მონაცემების პრიორიტეტულობას რეალური ღირებულებით შეფასებისას.

პირველი დონე გულისხმობს იდენტური აქტივებით ან ვალდებულებებით კოტირებებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია საწარმომ შეიძლება მიიღოს შეფასების თარიღისათვის. მაგალითად, ფასიანი ქაღალდების კოტირებები, რომლებითაც ვაჭრობა ხორციელდება საფონდო ბირჟაზე.

მეორე დონე მოიცავს საწყის მონაცემებს, განსხვავებულს პირველი დონით გათვალისწინებული კოტირებისაგან, რომლებიც გაითვალისწინება უშუალოდ აქტივისათვის ან ვალდებულებისათვის. მაგალითად, პროცენტული განაკვეთები და შემოსულობები გარკვეული პერიოდულობით.

მესამე დონე გულისხმობს აქტივების ან ვალდებულებების შესაფასებლად არადაკვირვებად საწყის მონაცემებს. მაგალითად, ბიზნესის ან საწარმოში მონაწილეობის არაკონტროლირებადი წილის შეფასებისათვის გამოყენებადი წინა პერიოდის ფულადი ნაკადების ზრდის ტემპები, აქციები, რომლებიც არ კოტირდება ბირჟაზე.

ფასს 13დის თანახმად, აუცილებელია აქტიურ ბაზარზე კოტირებების გამოყენება იდენტური მუხლებისათვის (ე.ი. 1 დონის საწყისი მონაცემები), თუ ასეთი არსებობს, რამდენადაც ისინი ითვლებიან რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებად.

სასოფლოდსამეურნეო საწარმოების მიერ ფასს 13დის გამოყენების შედეგები დამოკიდებული იქნება შეფასების ადრე გამოყენებულ მეთოდებზე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებულ მეთოდებზე, დარგის თავისებურებებზე, სტანდარტის გამოყენებაზე გადასასვლელად გათვალისწინებულ საფინანსო და საოპერაციო პოლიტიკის განსაზღვრულ ასპექტებზე, რომელიც საწარმომ წინასწარ უნდა შეიმუშაოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 41 - „სოფლის მეურნეობა“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2011წ.;
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 13 „რეალური ღირებულებით შეფასება“, <http://www.cpaaustralia.com.au/~media/Corporate/AllFiles/Document/professional-resources/reporting/IFRS-13-Fair-Value-Measurement.pdf>
3. ბასს 39-„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2011წ.;

4. ბასს 32-„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2011 წ.;
5. „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2011 წ.
6. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოქმედების არიალი სოფლის მეურნეობაში, “სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პერსპექტივები”, კონფერენციის მასალები, 2011 წ.

ELENE KHARABADZE

Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

APPLICATION OF THE REAL VALUE ASSESSMENT IN AGRICULTURE

S u m m a r y

The paper presents the preparation and submission of financial statements of enterprises in agriculture specifics. The accounting policies related to agriculture, as well as growth, decline, kvlavtsarmoebisa and propagation of the biological assets accounting method. The adoption of the fetus at the time of the original and the real value of agricultural products.

ეთერ ხარაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის ბანკოთმართვის პრიორიტეტები

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი და ადამიანებისათვის საცხოვრებელი გარემოა. „ყოველი ქვეყანა თავისი ნიადაგის, წყლისა და ნაყოფიერების თვისებების მიხედვით ფასობს. . . ამას გარდა, ნაყოფიერი ქვეყანა იმდენადაც ფასობდა, რამდენადაც კარგი და საღი ჰავა ჰქონდა და საამო სასმელი წყალიც საკმაოდ მოეპოვებოდა: „ჰაერი კეთილი“ და „წყალნი ტბილი“ გააჩნდა. თუ ამ სამ თვისებას ზედ ამ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობაც ერთვოდა და „იეფობა ნაყოფთა“, ყოველგვარი სახმარის იაფობა ადამიანს ცხოვრებას უადვილებდა, მაშინ ის საუკეთესოდ ითვლებოდა“.¹

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის საქართველოში ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი არსებობს. ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია იმ ალტერნატიული კულტურების განსაზღვრა, რომლებიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი იქნება და პერსპექტივაში თვითონვე შეძლებს საინვესტიციო რესურსების შექმნას.²

თუ საქართველოს მოსახლეობას 4.4 მლნ კაცად მივიჩნევთ, შესაბამისი გათვლებით მოსახლეობის მიერ მოხმარებული ეროვნული სასურსათო პროდუქტების მოცულობა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე 49%-ით ნაკლებია ფიზიოლოგიური ნორმებთან შედარებით. სოფლად ეს მაჩვენებელი უკეთესია და 10-15 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებელს.³ ბოლო წლების მონაცემებით აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება უმნიშვნელოდ გაიზარდა, ზოგ შემთხვევაში კი კვლავ შემცირების ტენდენციები აღინიშნება. 2000-2010 წლებში თითქმის 6-ჯერ შემცირდა მარცვლეულის ნათესი ფართობები და მოსავალი, ასევე შემცირებულია ხილის, ყურძნისა და სხვა ტრადიციული პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები.⁴ ამით არის გამოწვეული, რომ საქართველოს ლოკალური სასურსათო ბაზრები იმპორტული კვების პროდუქტებითაა გაჯერებული. ექსპერტული გათვლებით ბაზრის 15-20% ოჯახურ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციით არის შევსებული, დაახლოებით ამდენივე ფერმერული მეურნეობებიდან მიეწოდება.⁵ მაშასადამე, ადგილობრივი სასურსათო ბაზრები იმპორტის ძლიერ ზეგავლენას განიცდიან.

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1996, გვ. 161.
² ხარაბაძე ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 49.
³ გაანგარიშებები ჩატარებულია www.geostat.ge მონაცემების საფუძველზე
⁴ საქართველოს სტატისტიკური წელიწადწლეული 2011, თბილისი, 2012, გვ. 161, 174.
⁵ ხარაბაძე ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 102-103.

საქართველოსთვის, ისე როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება სტრატეგიული მნიშვნელობისაა. „სოფლის მეურნეობის დარგების მდგომარეობა, მათი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოების მდგრადობაზე გაძლიერებული კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნისათვის, რომლებიც აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ, როგორც პრიორიტეტულსა და სტრატეგიულს”.¹

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება შიდა რესურსული პოტენციალისა და კონკურენტული უპირატესობების ეფექტიანი გამოყენებით მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასაც გამოიწვევს.

სხვა ქვეყნებთან მიმართებაში საქართველოს სოფლის მეურნეობას გარკვეული კონკურენტული უპირატესობები გააჩნია: ა/ ქვეყანაში არსებობს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილია შესაბამისი გამოცდილება; ბ/ გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აბორიგენული ჯიშები ორიგინალური ნიშან-თვისებებით ხასითდება; გ/ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის განსაკუთრებულ საფუძველს ქმნის ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით მიკროზონების, არსებობა; დ/ კონკურენტუნარიან პროდუქტებს შეუძლია ეროვნული რესურსებისა და საექსპორტო შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება და სხვა.

კონკურენტული უპირატესობის გამოსავლენად აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგის რესტრუქტურირების პროგრამის შემუშავება და განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა. ადგილობრივ და მსოფლიო ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდება მათი კონკურენტული უპირატესობებისა და კონკურენტუნარიანობის დონის შეფასებასაც მოითხოვს.

განვითარებული და ბუნებრივი კონკურენტული უპირატესობების ანალიზით დადგინდია, რომ პირველი მათგანის მიხედვით საქართველოს აგროსასურსათო სექტორი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს წამყვან პოზიციებს, თუმცა, ბუნებრივი უპირატესობებით ქვეყანას შეუძლია კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება.²

მკვლევარების მიერ დღეს შეუსწავლელია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე, დაუსაბუთებელია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მისი ხელშემშლელი ფაქტორები (სექტორის განვითარების სტრატეგიის უქონლობა, შეზღუდული კონკურენცია, ფრაგმენტული მიწოდების ჯაჭვი, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, საერთაშორისო სტანდარტების შეზღუდული ცოდნა და გამოყენება, ეკონომიკურად არაეფექტიანი მასშტაბები და სხვ.), კვლევის საფუძველზე არ არის დადგენილი სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანი იყო ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე მათი როლის შეფასება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, აგროსასურსათო წარმოების სოციო-ეკონომიკური ასპექტების გამოვლენა, საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტების საექსპორტო პოტენციალისა და სამომავლო დივერსიფიკაციის განსაზღვრით სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტების დადგენა.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ეკონომიკური ანალიზის მეთოდები; რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისათვის ვისარგებლეთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური აღრიცხვის მასალებით (1996-2011 წწ.), სტატისტიკური წელიწადწლებებით, შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზითა და პუბლიკაციებით; ანალიტიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს შორის ჩატარდა შედარებითი ანალიზი; პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონე დაგითვალეთ „ex-post” მეთოდით, კონკურენტული უპირატესობის შესაფასებლად და სასურსათო ბაზრის მიკროგარემოს ანალიზისათვის გამოვიყენეთ „ex-ante” მეთოდი.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების შესაფასებლად გამოვიყენეთ არასტანდარტული გამოკითხვის მეთოდი (ინტერვიუები ექსპერტებთან და სპეციალისტებთან) ასევე, ვისარგებლეთ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის, მეწარმეობის მხარდამჭერი საერთაშორისო ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ამ პრობლემებზე ჩატარებული კვლევის მასალებით.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სოფლის მეურნეობის დარგის SWOT ანალიზი, რომელმაც სისტემური ხედვით გამოავლინა დარგის განვითარებაზე მოქმედი ენდოგენური და ეგზოგენური

¹ ნაცვალაძე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, თბილისი, 2009, გვ. 4.

² ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 102-103.

ფაქტორები, შეფასდა ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგინდა შესაძლებლობების რეალიზაციისა და საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანის ალტერნატივები.

საერთაშორისო ბაზარზე არსებული სიტუაციისა და ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ამ ბაზარზე შესვლის სტრატეგიების განსაზღვრისათვის ჩატარდა მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორის ანალიზი.

კვლევისათვის ინფორმაცია მოვიპოვეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, ბიბლიოთეკებში, კვლევით დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ასევე ინტერნეტის საშუალებით. პირველადი წყაროებიდან ინფორმაციები შეფასდა რაოდენობრივი კითხვარის საშუალებით, ხარისხობრივი ინფორმაცია კი დადგინდა დისკუსიებითა და ინტერვიუებით; ღია შეკითხვების საშუალებით მოხდა ხარისხობრივი მონაცემების კონცენტრაცია და მიღებული შედეგებით გადამოწმდა რაოდენობრივი მონაცემების სარწმუნოება.

კვლევისათვის განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შედარებითი უპირატესობების გამოვლენა;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის გაანგარიშება;
- აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ტენდენციების ანალიზი საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე;
- საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების პოტენციალისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობის დადგენის შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
- კონკურენციის ხუთი ფაქტორის ანალიზი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დასახვა;

პრობლემაზე არსებული პუბლიკაციებისა და კვლევების ანალიზი. აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემებზე, კონკურენციისა და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის სტრატეგიებზე გამოკვლევები ჩატარებულია კლასიკოსთა ნაშრომებში. გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში შეფასებულია სტატიკური და დინამიკური კონკურენტუნარიანობის თეორიები, დასაბუთებულია კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სტრატეგიები, გაანალიზებულია კონკურენციის მამოძრავებელი ძალები, შესწავლილია კონკურენტულ გარემოში კლასტერების როლი და მნიშვნელობა, მოცემულია კონკურენტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები და სხვ.

საქართველოში კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემებზე არსებულ გამოკვლევებში ძირითადად შესწავლილია ბიზნესის კონკურენტული გარემო, გამოვლენილია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შემაფერხებელი ფაქტორები. ნაშრომებში მხოლოდ თეორიულ დონეზეა გაანალიზებული კონკურენტუნარიანობის მანევრებლები, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირების თავისებურებებსა და წინაპირობებზე, კონკურენციის მოდელებზე, სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის ხარისხის მახასიათებლებსა და კრიტერიუმებზე, გლობალურ კონკურენტუნარიანობაში საქართველოს პოზიციების შეფასებაზე, კონკურენტული ურთიერთობების მიმართულებებზე, კონკურენციის საკანონმდებლო რეგულირების ბერკეტებზე, კონკურენტუნარიანობის ხელშემშლელი ფაქტორების დახასიათებაზე, კონკურენტული უპირატესობების მოპოვების ბერკეტებზე, თეორიული მსჯელობების საფუძველზე გამოვლენილია კონკურენტუნარიანობის დაბალი დონით გამოწვეული ნეგატიური შედეგები, შემოთავაზებულია კონკურენტული გარემოს სრულყოფის რეკომენდაციები და სხვ.

შიდა და საერთაშორისო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების დამკვიდრებისა და სასურსათო უსაფრთხოების პროცესებმა ახლებურად მოითხოვა ფირმის (პროდუქტის) კონკურენტუნარიანობის პრობლემის კვლევა. კონკურენტუნარიანობის დონე ძირითადად გლობალური კონკურენტუნარიანობის, ბიზნესის კონკურენტუნარიანობისა და გლობალური საინოვაციო ინდექსების საფუძველზე განისაზღვრა¹ და ამით უპირატესად კონკურენტუნარიანობა ქვეყნებმა და კორპორაციებმა ისარგებლეს. მ. პორტერის თვალსაზრისით ფირმის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკურ მახასიათებელთა კომპლექსია, რომელიც განაპირობებს

¹ The Global Competitiveness Report 2009-2010. World Economic Forum. www.Weforum.org KAM Index by the World Bank, 2006.

ევროპის ინოვაციის მონაცემთა ინდიკატორები, ევროსაბჭოს სტატისტიკური სამსახური (Eurostat), CIS, OECD, OHM.

ფირმის მდგომარეობას დარგობრივ, ეროვნულ ან მსოფლიო ბაზარზე.¹ მეცნიერის აზრით პროდუქტისა და ფირმის კონკურენტუნარიანობა მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებაა. მოცემული შეფასების მიხედვით ფირმის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე თვით პროდუქტის კონკურენტუნარიანობით ვლინდება.

კონკურენტუნარიანობის შესწავლისას მკვლევარების ძირითადი ამოცანა მისი კრიტერიუმების ძიებაში, ასევე, კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი წყაროებისა და ფაქტორების გამოვლენაში მდგომარეობს. მეცნიერთა ნაწილის მიერ მიჩნეულია, რომ ფირმისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ერთიდაიგივე კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს და ნაკლები ყურადღება გამახვილდეს კონკურენტუნარიანობის წყაროებსა და ფაქტორებზე.

თანამედროვე ეტაპზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრისათვის აქტუალურია როგორც კრიტერიუმების, ასევე კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებაც.

მიმდინარე პერიოდში პროდუქტის (ფირმის), სექტორის ან ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის „ex-post“ მეთოდი გამოიყენება. აღნიშნულისათვის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საფუძველზე სხვადასხვა ინდექსებია შემუშავებული:²

„ex-post“ მეთოდით ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე განესაზღვრეთ: ექსპორტის შედარებითი უპირატესობის (RXA), გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის (RMP), ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის (RTA) ინდექსებით.³ დასახელებული ინდექსები დავითვალეთ მემცენარეობიდან ხორბალზე, თხილზე, ღვინოსა და ვაშლის წვენზე, ხოლო მეცხოველეობიდან რძეზე. გაანგარიშებები ჩატარდა FAO-ს მონაცემების საფუძველზე.

ზემოთ დასახელებული პროდუქტებიდან ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი მაღალი აღმოჩნდა ღვინოსა და თხილზე, ხოლო მნიშვნელოვნად დაბალი ხორბალსა და რძეზე. მანკვებლების დინამიკაში შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2000-2009 წლებში ეს ინდექსი ღვინოსა და თხილზე ზრდადია, მათგან თხილზე ინდექსის შოკური ზრდა გამოვლინდა. იმპორტის შემოღწევადობისა და ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსებიც განსხვავებულია აგროსასურსათო პროდუქტების მიხედვით.⁴ შედარებითი ანალიზის საშუალებით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე დამახასიათებელია თხილისათვის, ასევე კონკურენტუნარიანია ღვინო, ხოლო ხორბალი და რძე არაკონკურენტუნარიანია. ექსპერტული შეფასებით ქართული აგროსასურსათო პროდუქტების უმეტესობა, ასევე არაკონკურენტუნარიანია.⁵

სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტების გამოსავლენად აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის დადგენასთან ერთად საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგის კონკურენტუნარიანობის შეფასება. დარგის კონკურენტუნარიანობა შეფასდა პორტერის „აღმასის მოდელით“ ოთხი ძირითადი (ფაქტორული პირობები; რესურსებისა და მოთხოვნის პირობები; ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია; მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები) და ორი დამატებითი (სახელმწიფო და შანსის) ფაქტორის მიხედვით.

ოთხი ძირითადი ფაქტორით შეფასებამ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში შემდეგი პოტენციური უპირატესობები გამოავლინა: წარმოების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, იაფი სამუშაო ძალა, ზრდადი შიდა და საერთაშორისო ბაზრები, ხარისხიან პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, რუსული ბაზრის გახსნის შესაძლებლობა, დიფერენცირებული პროდუქტების მიწოდების ალტერნატივები, ბაზარზე შესვლის დაბალი ბარიერები, წარმოების ტრადიციული სტრუქტურები, გადამამუშავებელი დარგების განვითარების შესაძლებლობა, ტურიზმის, მათ შორის აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივა, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების პერსპექტივა. ორი ძირითადი ფაქტორით კონკურენტული გარემოს შეფასებამ აჩვენა, რომ პოტენციური უპირატესობებია დაბალი გადასახადები, მაღალმთიანი რეგიონების მხარდამჭერი პოლიტიკა, გეოგრაფიული მდებარეობა, უძველესი ცივილიზაცია და მდიდარი ტრადიციები.

¹ Портер.М.Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев, 2000, გვ. 20.

² Weindlmaier, H. (1999): Die Wettbewerbsfähigkeit der deutschen Ernährungs-industrie: Methodische Ansatzpunkte zur Messung und empirische Ergebnisse. Referat. Vierzigste Jahrestagung der Gesellschaft für Wirtschafts- und Sozialwissenschaften des Landbaues e. V. vom 4. bis 6. Oktober 1999 in Kiel. gv. 2-4.

³ Weindlmaier, H. (1999): Die Wettbewerbsfähigkeit der deutschen Ernährungs-industrie: Methodische Ansatzpunkte zur Messung und empirische Ergebnisse. Referat. Vierzigste Jahrestagung der Gesellschaft für Wirtschafts- und Sozialwissenschaften des Landbaues e. V. vom 4. bis 6. Oktober 1999 in Kiel. გვ. 2-4. საქართველოს წილი საერთაშორისო ბაზრებზე უმნიშვნელოა, ამიტომ RXA და RCA ინდექსებს შორის განსხვავება არ არის. შესაბამისად, გაანგარიშებულია მხოლოდ RXA ინდექსები.

⁴ RXA ინდექსმა 2009 წელს ღვინოზე შეადგინა 42.5, თხილზე 536.2, ხორბალზე 3.0, რძეზე 0.1; RMP ინდექსმა შესაბამისად 0.2, 2.1, 9.2, 2.0; RTA ინდექსმა შესაბამისად 42.3, 534.1, -6.2, -1.9.

⁵ სამწუხაროდ აგროსასურსათო პროდუქტების უმეტესობაზე ინდექსების დათვლისათვის საჭირო პირველადი აღრიცხვის მასალების მოპოვება შეუძლებელია

პორტერის „აღმასის მოდელით“ ასევე გამოვლინდა პოტენციური ნაკლოვანებები. ოთხი ძირითადი ფაქტორის მიხედვით ეს ნაკლოვანებებია: ინვესტირების დაბალი დონე, კომუნიკაციური სახის სირთულეები, მაღალკვალიფიციური კარდების დეფიციტი, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოების პრობლემები, ფორმირების პროცესში მყოფი სასურსათო ბაზრის სტრუქტურები, შემოსავლების დაბალი დონე, სეზონურად არასაკმარისი საწარმოო სიმძლავრეები, ძირითადად მოკლევადიან მიზნებზე ორიენტაცია, სტრატეგიული მიზნების გაუთვითცნობიერება, წარმოების მცირე მასშტაბები, მცირე დანახარჯები სამეცნიერო კვლევებზე, წარმოებაში მაღალი დანახარჯები, კომუნალური მომსახურების დაბალი დონე და სხვ. ორი დამატებითი ფაქტორით შემდეგი პოტენციური ნაკლოვანებები გამოიკვეთა: არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები და მათი ხშირი ცვლილება, ქვეყანასა და რეგიონში არასტაბილურობა, სუბსიდიებისა და მიზნობრივი მხარდაჭერის დაბალი დონე და სხვ.

სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებისა და საერთაშორისო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შეღწევის პირობების გამოსავლენად გაანალიზდა მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორი, კერძოდ, შეფასდა მიმწოდებლების ძალაუფლება, მომხმარებლების ძალაუფლება, ბაზარზე შესვლის ბარიერები, პროდუქტის შემცველები, კონკურენციის დონე.¹

ბაზარზე მიმწოდებლების ძალაუფლებას განსაზღვრავს: ბაზარზე მასალის რაოდენობის ან მომსახურების შეზღუდულობა; მომხმარებლისთვის განსაკუთრებული პროდუქტის შეთავაზება; სხვა მიმწოდებელზე გადასვლის სირთულე და მასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები; მომხმარებლის პროდუქტზე მოთხოვნის სიდიდე; მომხმარებლის ინფორმაციული შეზღუდვა მიმწოდებლის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ.

აგროსასურსათო პროდუქტების მწარმოებლებზე მიმწოდებლის ძალაუფლება განსხვავებულია წარმოებისათვის საჭირო მასალებისა და მომსახურების სახეობების მიხედვით. კერძოდ, ქვეყანაში აგროქიმიკატების მიმწოდებელი რამდენიმე კომპანიაა და მაღალი კონკურენციის გამო მიმწოდებელს მყიდველზე გავლენის ძალაუფლება უმნიშვნელოა. სანერგე მასალების მიწოდების მხრივ კი საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. ადგილობრივი მაღალტექნოლოგიური სანერგე მეურნეობები ქვეყანაში მცირეა და ბაზარზე ადგილობრივი ნერგების მწარმოებლის გამოჩენის შემთხვევაში განხდება საფასო ფაქტორის გამოყენებით მომხმარებელზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა.

საქართველოში ამ ეტაპზე ძალიან შეზღუდულია სამაცივრო სისტემების, ხილის და ხარისხებისა და დამუშავების ხაზების ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების რიცხვი, ასევე განუვითარებელია მოთხოვნების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მცირეა საერთაშორისო ბაზრებზე გადამზიდავი კომპანიების რაოდენობაც. დასახელებული კომპანიების განხილვის შემთხვევაში მიმწოდებელი საფასო ფაქტორის გამოყენებით შეძლებს მომხმარებელზე ძალაუფლების გავლენის მოპოვებას. საქართველოს სოფლის მეურნეობაში სარწყავი სისტემების მხრივ მონოპოლიური მდგომარეობაა, ამის გამო მწარმოებელი აწესებს ფასებს და შესაბამისად მას უპირატესი ძალა აქვს მომხმარებელზე.

ბაზარზე მყიდველის ძალაუფლებას განაპირობებს: მცირე მწარმოებლის დიდი რაოდენობა; მსხვილი მყიდველის მცირე რაოდენობა; ძვირადღირებული პროდუქტის ან მომსახურების არსებობა; მყიდველის ხელმიუწვდომლობა მარკეტინგულ ინფორმაციაზე (ფასები, მოთხოვნა, წარმოების დანახარჯები); პროდუქტის ნაკლები დიფერენციაცია და მისი შექმნა სხვა მიმწოდებლისგანაც შექმნის შესაძლებლობა; მყიდველის მიერ ანალოგიური პროდუქტის ადვილად წარმოება; მყიდველის ადვილად და დანახარჯების გარეშე სხვა პროდუქტზე გადაერთვის შესაძლებლობა.

მიმწოდებლებზე მყიდველის ძალაუფლების ფაქტორის შესწავლით გამოვლინდა, რომ აგროსასურსათო პროდუქტების არსებული ან პოტენციური მყიდველები არიან სავაჭრო ქსელები და მომხმარებლები. მიმწოდებლები ძირითადადად დამოკიდებულია მყიდველის მიერ დადგენილ პირობებზე.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ბაზარზე შესვლის შესაძლო ბარიერებია:

- ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო კაპიტალზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;
- კანონით გასაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება (ნებართვები, ლიცენზიები, კვოტები);
- არაპირდაპირი ბარიერები, მაგალითად მყიდველების მიერ ფორმირებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ბაზარზე ერთ-ერთი მთავარი საკითხია აგროსასურსათო პროდუქტების შესაძლო შემცველების შესწავლა. გასათვალისწინებელია, რომ პროდუქტის შესაძლო შემცველები პირდაპირ გავლენას ახდენს გაყიდვების რაოდენობაზე. ამასთან, შემცველები პროდუქტები სახეობების მიხედვით უნდა განისაზღვროს. ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ძლიერი საფრთხეა იაფი იმპორტული პროდუქტები. მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, ასევე,

¹ Портер М. Конкуренция, 2002, гв. 97-101.

კარგი იმიჯის მქონე პროდუქტები. ექსპერტულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არის ფორმირებული მომხმარებელთა ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევა რომელიმე ბრენდის მიმართ. ასეთ პირობებში ადვილია კონკურენტ პროდუქტებზე გადართვის შესაძლებლობები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შეიძლება არსებობდეს ბრენდის მიმართ ერთგული მომხმარებელთა მცირე ჯგუფი, მათთვის კონკურენტების ცვლილება გაუმართავი ინფრასტრუქტურისა და ჩამოუყალიბებელი საბაზრო სტრუქტურების გამო, დამატებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულის გამო არჩევანი კონკურენტების სასარგებლოდ ადვილად ვერ კეთდება.

პორტერის ხუთეულში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენციის დონე. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი გაჯერებულია მწარმოებლებით, კონკურენცია მძაფრდება. ეს აიძულებს მწარმოებელს გამოიყენოს მის ხელთარსებული ყველა მეთოდი პოზიციისა და ბაზრის კუთვნილი წილის შესანარჩუნებლად. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია: ფირმის ან ფირმათა ჯგუფის ინიციატივა ლიდერობისკენ, ბაზრის ზრდის ტენდენცია, მალფუჭადი პროდუქტის ბაზარზე კონკურენციის დონის, დანაკარგების რისკისა და შენახვის დანახარჯების შეფასება, საფასო კონკურენციის ანალიზი მსგავს პროდუქტებს შორის და სხვ.

ნებისმიერ დარგში მსგავსი კომპანიები წარმოადგენს კონკურენტებს. თუ კონკურენცია სუსტია, კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ ფასები, შეამცირონ მიწოდება და შესაბამისად მიიღონ მეტი მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურენცია ინტენსიურია, მომხმარებლების შენარჩუნების მიზნით, იზრდება წარმოების ეფექტიანობა და ჩნდება ინოვაციები. ფირმას აქვს კონკურენტული უპირატესობა იმ შემთხვევაში თუ მისი მოგება ადვილად იმავე სექტორში და ბაზრის იმავე სეგმენტზე მოქმედი კონკურენტების შემოსავლებს. კონკურენცია შესაძლებელია ემყარებოდეს ფასების ცვლილებას, ახალი პროდუქტის შეთავაზების ფორმას, გაყიდვების შემდგომ მომსახურებას, კონკურენტებზე უფრო ძლიერი ბრენდის შექმნას და ა.შ.

აგროსასურსათო პროდუქტების ბაზარზე არსებული კონკურენციის შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ სფეროში საშუალო დონის კონკურენცია და ქართულ პროდუქტებს რესურსული პოტენციალის ეფექტიანად ამოქმედების შემთხვევაში შეუძლია ევროპის ბაზარზე წარმატებით გასვლა.

სასურსათო ბაზრის სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ბაზარი სამი მიმართულებით ვითარდება. სტრუქტურაში წამყვანი პოზიციები უჭირავს სადისტრიბუციო კომპანიებს, მომდევნო პოზიციაზეა გადამამუშავებელი ქარხნები და ბოლოს ფერმერები.¹ პირველი სეგმენტისათვის ძირითადი მიმწოდებელია წვრილი ფერმერები, რომლებიც სავარგულების მთლიანი ფართობის 95%-ს ფლობს. ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ საქართველოში ძირითადად მცირე ზომის ინტეგრირებული ფერმები ფუნქციონირებს. მსხვილი ფერმების წილი ბაზარზე ჯერჯერობით უმნიშვნელოა. უახლოეს პერსპექტივაში ბაზრის სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლა მოსალოდნელია მხოლოდ ინვესტირებისა და სუბსიდიების განხორციელებით. ბაზრის მეორე და მესამე სეგმენტშიც ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ვითარდება. ამ სეგმენტებისთვის მთავარი პრობლემაა საბანკო სესხების დეფიციტი და სარგებლის განაკვეთის მაღალი დონე.

ამრიგად, საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების ინტენსიური წარმოებისათვის ხელსაყრელი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არსებობს. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებისა და კონკურენციის დონის შეფასების საფუძველზე მიმდინარე ეტაპზე საქართველოსათვის სტრატეგიული აგროსასურსათო პროდუქტებია თხილი, ყურძენი, ნედლი ხილი და ბოსტნეული. თანამდეროვე ტექნოლოგიური ხაზების ამოქმედებისა და პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში კი გადამამუშავებელი ხილი და ბოსტნეული. ამ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნა და ფასების ზრდის ტენდენცია ექსპორტის გადიდების პერსპექტივას ქმნის. აუცილებელია ქართული პროდუქტის ცნობადობის გაზრდა ისეთი ფაქტორების გამოყენებით, როგორცაა: ხარისხი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, სარეკლამო და პიარ-კამპანიის განხორციელება (გამოფენა-გაყიდვები, პრეზენტაციები, ქართული პროდუქციის დღეები და სხვ.).

მიზანშეწონილია ქართული აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდიკაზე სამეცნიერო წრეებისა და ექსპერტების, ასევე, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა. უცილებელია შესაბამისი უწყების მიერ ყოველწლიური ანგარიშების მომზადება ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შესახებ, მნიშვნელოვანია სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზაცია ამ პრობლემაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, თბილისი, 2010.

¹ ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 127.

2. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „აგროინფო“, (აშშ საერთაშორისო სააგენტოს USAID –ის მხარდაჭერა), 2008, №1(15).
3. ხარაიშვილი ე., მამარდაშვილი ფ., საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა“, მაისი, 2009.
4. Baade, D. (2007): Demographischer Wandel und internationale Wettbewerbs-fähigkeit Deutschlands. Eine Analyse basierend auf Porters Ansatz.
<http://www.springerlink.com/content/pm8wg8/?p=92534682e04f414da98a16342447b957&pi=0> 07.10.2008.
5. Klump, R. (2006): Wirtschaftspolitik. Instrumente, Ziele und Institutionen. Verlag Pearson Studium, München
6. Porter, M. E. (1993): Nationale Wettbewerbsvorteile. Erfolgreich konkurrieren auf dem Weltmarkt. Sonderausgabe. Wirtschaftsverlag Ueberreuter, Wien.
7. Weindlmaier, H. (1999): Die Wettbewerbsfähigkeit der deutschen Ernährungs-industrie: Methodische Ansatzpunkte zur Messung und empirische Ergebnisse. Referat. Vierzigste Jahrestagung der Gesellschaft für Wirtschafts- und Sozialwissenschaften des Landbaues e. V. vom 4. bis 6. Oktober 1999 in Kiel.
8. Майкл Портер, Конкуренция, 2002.
9. FAO (2010): FAOSTAT. Food and Agricultural Organisation of United Nations (FAO)
<http://faostat.fao.org/default.aspx>
10. www.agvantage.org.ge
11. www.maf.ge
12. www.geostat.ge

ETER KHARAISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

COMPETITIVENESS OF GEORGIA AGRO NUTRITIVE PRODUCTS AND PRIORITIES OF SUSTAINABLE AGRICULTURAL DEVELOPMENT IN GEORGIA

S u m m a r y

The level of competitiveness of Georgian traditional agro nutritive products is estimated in the article. On the basis of M. Porter “model of diamond”, potential advantages of producing of agro nutritive products are revealed: natural comfortable conditions of production, cheap labour-power, raising internal and international markets, tendency of raise of demand on qualitative product, possibility of Russian market opening, alternatives of supplement of differential product, traditional structures of production, possibility of development of manufacturing sectors, perspective of biological products’ producing, low taxes, supporting politics of mountainous regions, geographical location, oldest civilization and rich traditions. Potential defects are meant to be: low level of investment, complexity of communicating type, deficit of high-qualified stuff, undeveloped infrastructure, problems of security, nutritive market products that are in the process of formation, low level of income, insufficient seasonal capacities, orientation on short-term aims, ignorance of strategic aims, small scales of production, small expenses on medical researches, high expenses of manufacture, low level of subsidies and aimed support and other.

Conditions of entry of Georgian product in internal and international markets are established by five factors of competition of Porter, in particular, power of supplier and consumer is estimated, barriers of entry in a market, substitute products, level of competition.

On the basis of estimation of competitiveness indicators and competition, priorities of development of agriculture for Georgia are determined.

ირინე ჯალაღონია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ასპექტები

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით ურთიერთობებს სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად. ცხადია ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობა საჭიროებს სრულყოფილ ორგანიზაციას, საქმიანობის ცალკეული რგოლების, სტრუქტურების ურთიერთ შეთანხმებას და მათ შორის მყარი კავშირების დამყარებას. ორგანიზაციული ურთიერთობების სისტემურ ასახვას და ამავდროულად ცალკეული რგოლების თითოეული მუშაკის ადგილს, ფუნქციას, პასუხისმგებლობას და უფლებას, აგრეთვე კონკრეტულ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და მმართველობით კავშირს.

ამასთან, თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია, ყურადღება მიექცეს დარგთაშორისი კავშირების გაფართოებას, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებას, მაგრამ მხოლოდ რეგიონული ინტერესების უპირატესობის

მინიჭება სოციალური და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინების გარეშე შეიძლება გაუმართლებელი კუთხურობა და კარნაკეტილობა გამოიწვიოს ამიტომ ამ პროცესების შესამუშავებლად შეთანხმებულია უმნიშვნელოვანესი პროცესია.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებას და მის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რეგიონების სწორ მენეჯმენტს, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის აგრარულ-სამრეწველო პოტენციალის სრული და რაციონალური გამოყენება. გარდა ამისა აუცილებელია გლობალიზაციის პირობებში შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება.

ამ ეტაპზე ეკონომიკური, სოციალური და სოფლის მეურნეობის მოწყობის პრინციპების ძირეული შესწავლა და ამის საფუძველზე შედგენილი ობიექტური რეკომენდაციების დანერგვა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დონის ამაღლების ძირითად მიმართულებას, ამიტომ მომავლის ასპექტების განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, რაც საერთაშორისო შრომის დანაწილებაში განსაკუთრებული ადგილის დაკავების საფუძველს გვაძლევს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ფუნდამენტური საფუძველი ძლიერი სოფლის არსებობაა. რისთვისაც აუცილებელია რეგიონების მიხედვით შევიმუშავოთ სოფლის განახლების გეგმა, რაც უნდა ეფუძნებოდეს სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივ მცხოვრებელთა აქტიურობასა და მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობის ზრდას, შესაბამისი პირობების შექმნით სოფლად ცხოვრება უნდა გახდეს მიმზიდველი, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობით ასევე საცხოვრებლად. ამასთანავე დროს სოფელს უნდა შეუნარჩუნდეს იდენტურობა, ცხოვრების სტილი, კულტურული, სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის რეგიონულ განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, აქედან გამომდინარე რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა უნდა შემუშავდეს სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორების ხანგრძლივი დროის დაკვირვების ანალიზის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ წარმოებული პროდუქციის არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც განპირობებულია როგორც სუბიექტური ისე ობიექტური მიზეზებით.

სუბიექტური მიზეზებიდან თვალნათელია, რომ დაბალია ტექნოლოგიური დისიპლინა, უხეშად ირღვევა ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ვადები, ტექნოლოგიის შესაბამისად არ ტარდება ორგანული სასუქების, შხამქიმიკატების გამოყენება, ნაკლები ყურადღება ეთმობა მიწების რაციონალურ ათვისებას, შუალედური კულტურების თესვა-მოყვანას. ზოგიერთ რაიონში მცირე ფართობზე ითესება მრავალწლიანი ბალახები, მაგრამ თითქმის ყოველთვის სუფთა სახით, რის გამოც ვერ ხერხდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება. მთლიანად უგუნველყოფილია თესვების და კულტურატა მარტივი მორიგეობა. დაბლობ რაიონებში ეწერი ნიადაგების არსებობის გამო დაბალია მარცვლეულის მოსავლიანობა, ამისათვის აუცილებელია სპეციალური წყალდამშრობი არხების გაყვანა, რათა გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ფართობები.

არსებითად შესამჩნევია მიწის დასამუშავებლად და მოსავლის აღებისათვის საჭირო აუცილებელი ტექნიკის ნაკლებობა.

სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის შემუშავებამ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკაოს. ის უნდა გახდეს მიმდინარე, ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით მეურნეობათა სხვადასხვა პროგრესული ფორმების ეტაპობრივი განვითარების საფუძველი.

აუცილებელია მართვის ყველა დონეზე შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ეფექტიანობას, აგრარული ბაზრის მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვასა და ეკონომიკურ სტაბილურობას.

ქვეყნის აგრარული პოლიტიკიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულების სრულყოფა.

- ა) დარგის ოპტიმალური მიმართულების განსაზღვრა;
- ბ) პროტექციონისტული მიდგომის შესაბამისობაში მოყვანა;
- გ) „თავისუფალი ვაჭრობის“ შესაბამისობაში მოყვანა;
- დ) კომპლექსური მიმართულებების განსაზღვრა, რომელიც დააბალანსებს მეურნეობაში მიზნობრივ ბაზარზე ორიენტაციასა და ვაჭრობის ლიბერალურ რეჟიმს.

ამ ეტაპზე საჭიროა იმპორტ-ექსპორტის გონივრული რეგულირება და შიდა ბაზარზე საკუთარი ნაწარმის თანდათანობითი ზრდის კვალობაზე რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების და ა.შ.) ექსპორტის მნიშვნელოვანი გადიდება.

აუცილებელია სახელმწიფომ გამონახოს რესურსები და ორიენტაცია აიღოს ინვესტიციების მოზიდვა.

2. სოფლის მეურნეობის წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზების შემუშავება.

3. აგრარული სექტორის შემადგენელი სფეროების, სამეურნეო კავშირების სრულყოფა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე აგრარულ სფეროში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე, შევიმუშავებთ აგრარული სექტორის რეგიონული განვითარების ორგანიზაციული სტრუქტურა (იხ. სქემა 1), სადაც გათვალისწინებულია მმართველობითი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებისა და მომსახურეობის სფეროების საქმიანობის კოორდინირება. დარგებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა და ინტერესთა შეთანაწყოება, შესაბამისად სქემა დაყოფილია ოთხ სეგმენტად: სოფლის მეურნეობის სამმართველოები; სასოფლო-სამეურნეო საწარმოები; გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები და მომსახურეობის საწარმოები.

თითოეული სეგმენტი მოიცავს:

- I. სოფლის მეურნეობის სამმართველოები უნდა ჩამოყალიბდეს რაიონებში, რომელსაც კურირებას გაუწევს რეგიონული სამმართველო. ასეთი მიდგომა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პირობების შესწავლისა და მათი ადვილად გადაჭრის ხელსაყრელ საშუალებას იძლევა;
- II. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სეგმენტი, რომელშიც გაერთიანებულია ოჯახური მეურნეობები, ფერმერული მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვა მეურნეობები;
- III. მესამე რგოლი მოიცავს გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს, რომელშიც შედის წისქვილკომბინატები, ფაბრიკები, საკონდიტრო ქარხნები და სხვა;
- IV. მომსახურე საწარმოები, რომელშიც შედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების საწარმოები, ვეტერინალური სამსახურები და სხვა.

4. გასათვალისწინებელია, რომ აგრარული სექტორის რეგიონული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა იმ შემთხვევაში შეასრულებს სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციას, თუ მოხდება შესაბამისი მართვის ეკონომიკური მექანიზმების სტრუქტურების ფორმირება და ფუნქციონირება. აგრარული სექტორის მართვის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება: ა) სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა; ბ) სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია (პროპორციულობა); გ) მოტივაცია; დ) სამეურნეო საქმიანობის საერთო მიზანზე, მოგებაზე ორიენტაცია; ე) პროგნოზირება (დაბალანსებული განვითარება); ვ) სამეურნეო საქმიანობის რეგულირება; ზ) ტერიტორიული და დარგობრივი მართვა.

ამ მექანიზმებით წარმოდგენილი სტრუქტურა საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სამსახურები, რაც ორგანიზაციული სტრუქტურის საშუალებით საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინტერესებს გააერთიანებს, მართვის სისტემის მექანიზმად. ამით აგრარულ სექტორში შესაძლებელი გახდება კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება.

5. მეურნეობების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. საბაზრო ეკონომიკისა და მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების ინტერესებთან გამომდინარე;

6. დასაბუთებული დარგობრივი სტრუქტურიდან პრიორიტეტის გამოყოფა, მასზე სახელმწიფოს, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავება და სისრულეში მოყვანა, მატერიალური, ფინანსური დახმარება და მორალური მხარდაჭერის გაწევა.

მიმდინარე ეტაპზე და პერსპექტივაშიც, როგორც მთლიანად ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა იქნეს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი.

უახლოესი წლების მანძილზე სურსათის წარმოების ხაზით პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის მკვეთრ ამაღლებას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს აგრარული მარკეტინგის სამსახურის შექმნას. ამ მხრივ აუცილებელია შეიქმნას ისეთი მარკეტინგული სამსახურები, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო იქნება წარმოებისა და მიწოდების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მარეგულირებელი სისტემის მორგება საბაზრო ეკონომიკის პირობებთან. ამ მხრივ აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტების ამუშავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აგრარული სექტორის სრულყოფისათვის საჭიროა რეგიონული აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გადასინჯვა,

სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და აგრარული სექტორისათვის მხარდაჭერაზე კონტროლი, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა.


აგრარული სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია ბაზრის სრულყოფილი ფუნქციონირება, რომელის წინაპირობაა: კონკურენცია, საკუთრების თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სრულყოფისათვის და პერსპექტიული ტიპების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აგრარული პოლიტიკის დახვეწა და მარკეტინგული სამსახურების ფუნქციონირება, რაც მომავალში განაპირობებს სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირებას სოფლად მცხოვრებთა დასაქმებას და მათი შრომისა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

აგრარული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს სოფლად მცხოვრებთათვის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას, დემოგრაფიული სიტიუაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსურ დამუშავებასა და განხორციელების საფუძველზე, სოფლად მომუშავე ადგილობრივი და ახლად დასახლებული მოსახლეობა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ენერგომარაგით, კეთილმოწყობილი საგზაო ქსელით, სასმელი და სამეურნეო წყლით, განათლებით, კულტურის, ჯანდაცვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებით, სატრანსპორტო კვანძით, სატელევიზიო გადაცემების მიღებით და სხვა.

სქემა 1

აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა



სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების აღნიშნული მიმართულებების საფუძველზე შემუშავებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს მეურნეობების სტაბილურ აღმავლობას.

აგრეთვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- სახელმწიფო მხარდაჭერა;
- მომსახურების სერვის-გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;
- აგროსერვისის სამსახურების მოქნილი ქსელის ჩამოყალიბება;
- ბანკების მოქნილი ქსელის ჩამოყალიბება;

- სადაზღვევო სისტემის შექმნა;
- სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

აქედან გამომდინარე აუცილებელია მართვის ყველა დონეზე შეიქმნას ისეთი სტრუქტურები რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას, აგრარული სექტორის ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვასა და ეკონომიკურ სტაბილურობას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დასახული დონისიბეების თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეკონომიკურ აღმავლობას და საერთაშორის ბაზარზე ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვებას.

აგრარული სექტორის განვითარება მოითხოვს ევროპული ფონდების პოლიტიკასთან განვითარებისა და დაგეგმვის ინსტრუმენტის კოორდინაციაც. ეს გულისხმობს განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, როგორც ეროვნულ ასევე ლოკალურ დონეზე.

აღნიშნული გეგმა თანამედროვე მიდგომით უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: პარტნიორობა, სოციალური მიმართულება, გეგმების ფინანსური უზრუნველყოფა, მონიტორინგი, რესურსების კონცენტრაცია, სუბსიდირება.

უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ რომ, შეუძლებელია დღეს სოფლებში არსებული კრიზისის დაძლევა ადგილობრივი მისახლეობის აქტიური მონაწილეობის გარეშე. რაიონის გამგეობამ რეალიზაცია უნდა გაუკეთოს საკუთარ პროექტებს და თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა მომავალზე. სოფლის განვითარება, პარტნიორობისა და სოლიდარობის პრინციპებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია გარედან დახმარების გარეშე.

1. **ინიციატივა** – ფიქსირდება ყველა ეტაპზე, დაწყებული ლოკალური ჯგუფის შექმნით და შემუშავებული სტრატეგიის გეგმის რეალიზაციით დამთავრებული, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მონაწილეობას გულისხმობს.
2. **ინოვაციური მიდგომა** – იგულისხმება პროგრამის ინოვაციურობა თავისი არსით, მაგრამ ინოვაციური უნდა იყოს პროგრამის რეალიზაციის ინსტრუმენტებიც, რომლებიც იყენებენ ადგილობრივ რესურსებს და ქმნიან ახალ პროდუქციას და იძენენ გამოცდილებას.
3. **ინტეგრირებული (კომპლექსური) მიდგომა** – წარმოადგენს აზროვნების და მოქმედების ფორმას. ტერიტორიების განვითარების პრობლემებს კომპლექსურად წყვეტს, რაც სხვაასხვა სფეროში გაწეული ძალისხმევის კოორდინაციას და გაერთიანებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში რაიონის (სოფლის განვითარების) პროექტები ერთმანეთს აძლიერებენ, აღრმავებენ საკუთარ კონკრეტულ ეფექტს და საქმიანობის სფეროებს მტკიცედ უკავშირებენ ერთმანეთს. მაგალითად იმისათვის, რომ ტურიზმი კონკრეტულ ტერიტორიაზე განვითარდეს, აუცილებელია განთავსების და კვების ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ეფექტური ფუნქციონირება, სარეკლამო უზრუნველყოფა და ა.შ., რაც რამდენიმე დაწესებულების ერთიანი ძალისხმევით მიიღწევა;
4. **პარტნიორობა და თანამშრომლობა** – მოქმედების ადგილობრივი ჯგუფები ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჩატარებულ გამოცდილებაზე და ინფორმაციის გაცვილის საქმეში, რაც იძლევა ახალი ცოდნის შეძენის, საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას. ჯგუფები თანამშრომლობენ პროექტების რეალისაციის პროცესში.
5. **ლოკალური დაფინანსება და მართვა** – ჯგუფები ამუშავებენ სოფლის განვითარების ადგილობრივ სტრატეგიებს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ადგილობრივი მოსახლეობის მიზნებსა და მოლოდინებს.

IRINE JALAGHONIA

MAIN DIRECTIONS OF DEVELOPMENT OF THE AGRARIAN SECTOR

S u m m a r y

For the future development of the agrarian sector in the country, we find suitable to define main directions such as: improving of specialization of agricultural producing, we have worked out specific schemes – ‘ways for resolving external and internal economical problems of farming’, ‘organization structure of governing of agribusiness’ (scheme 1), ‘economical mechanism for governing of agrarian sector’.

There are named main conditions for improving strategic branches of agricultural development, such as:

1. Definition of optimal direction of the branch;
2. Have proper free trades;
3. Definition of complex directions, which will balance the liberal regime of trade;

There are discussed problematic issues about formulation of:

- 1) unite national system of developing of agriculture;
- 2) credit unions;
- 3) Insurance system for agricultural enterprises.

Also –

- 1) Improving of tax legislation;
- 2) Consolidation of financial way with obligatory savings for long-term investition.

Realization of programs and different actions based on upon named directions will advantage development of national agrarian sector.

მერაბ ჯიქია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოციირებული პროფესორი*

ეთერზეთების წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოში

მოსხარების საგნებზე საზოგადოების წევრთა დაკმაყოფილებაში გარკვეულ როლს ასრულებს ეთერზეთების წარმოება, მაგრამ ამ პროდუქციის წარმოების თანამედროვე დონე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას. ამის გამო ეთერზეთოვანი კულტურების დაახლოებით 30 დასახელების პროდუქცია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოგვაქვს, მაშინ, როდესაც ბუნებრივი პირობების მიხედვით ბევრი მათგანის მოყვანა შეიძლება საქართველოში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ეთერზეთოვანი კულტურებით გაშენებული ფართობით და ეთერზეთების წარმოების მოცულობით სსრკ-ს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში. კერძოდ, ეთერზეთოვანი კულტურები გაშენებული იყო 300 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე, სადაც 22 დასახელების სხვადასხვა ეთერზეთოვანი კულტურა მოჰყავდათ. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სსრკ-ში წლიურად საშუალოდ იწარმოებოდა 1600 ტონა ეთერზეთი, აქედან 70 ტონა - საქართველოში.

ეთერზეთების საკუთარი ნედლეულიდან წარმოება საქართველოში ძირითადად მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარდა. საქართველოში არსებობდა აგროსამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვი“, რომელიც 1989 წელს აერთიანებდა 23 საწარმოს დამოუკიდებელი ბაღანსით, მათ შორის 9 ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანას (თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, აბაშის, ბაბუშერის, გაღის, კოლხიდის, ხორშის) და 4 სპეციალიზირებულ ეთერზეთების მეურნეობას. აღნიშნულ პერიოდში არსებული საწარმოო სიმძლავრეებით საქართველოს ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნებს სეზონში შეეძლოთ გადაეშუშაებინათ - 752 ტონა ვარდის ყვავილი, 35000 ტონა გერანის ნედლეული, 34700 ტონა რეჰანის ნედლეული და 34800 ტონა სხვა სახეობის ეთერზეთოვანი ნედლეული.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის პირველ ათწლეულში ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ზოგიერთი მათგანი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ზოგიერთი ქარხნის ძირითადი საშუალებები უცხოელებმა იყიდეს ჩალის ფასად, ან ჩვენმა ფირმებმა მიჰყიდეს უცხოელებს ჯარათის სახით. ასე რომ, საქართველოს დამოუკიდებლობიდან 2010 წლამდე ეთერზეთების წარმოება და რეალიზაცია საქართველოში გარკვეულ სტაგნაციას განიცდიდა.

2011 წელს საქართველოში შეიქმნა კომპანია „საქართველოს ეთერზეთები“, რომელიც დღეისათვის დაკავებულია სხვადასხვა ჯიშის ეთერზეთოვანი მცენარის გამოყვანით, აქვს წარმოება და რეალიზაცია. „საქართველოს ეთერზეთების“ ცნობილი ბადები განთავსებულია ზუგდიდში, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში, ასევე ჩაქვში. მათი საერთო ფართობი მოიცავს 150 ჰექტარს. კომპანიაში დასაქმებულია 70-ზე მეტი თანამშრომელი.

კომპანია „საქართველოს ეთერზეთები“ მიმდინარე წელს პირველ პროდუქციას გამოუშვებს. მათ შორის რეჰანის, ეკალიპტის, დაფნის, კამის ზეთს დაამზადებს, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტზე გავა. ამასთან, უკვე დაწყებულია სპეციალური ზეთსახდელი საწარმოს მშენებლობა, რომლის ტექნოლოგიური საზი გერმანიიდან ჩამოიტანეს.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, გააჩნია ეთერზეთოვანი კულტურების მნიშვნელოვანი სანედლეულო ბაზა და ეთერზეთების წარმოების კულტურა. ეთერზეთოვანთა ჩვენი სანედლეულო ბაზა საშუალებას იძლევა მივიღოთ სხვადასხვა დანიშნულების ეთერზეთები ფარმინდუსტრიის, კვების მრეწველობისა და ტექნიკური მიზნებისათვის.

ეთერზეთები ძვირფასი პროდუქტია მსოფლიო ბაზარზე მაღალი ფასების გამო. საქართველოს ბუნებრივ სანედლეულო ბაზაზე დაყრდნობით პერსპექტიულია შემდეგი კულტურების ეთერზეთების წარმოება - დაფნა, ევკალიტი, გერანი, რეჰანი, პიტნა, ლიმონი, გრეიფუტი, ფორთოხალი, მანდარინი, ვარდი და ქოლგისებრთა ოჯახის წარმომადგენლები (მაგალითად, კამა).

მნიშვნელოვანია, რომ გარდა ფარმინდუსტრიისა ეთერზეთები გამოიყენება კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში არომატიზებასა და კონსერვაციაში - ბუნებრივ არომატიზატორებად და ბუნებრივ კონსერვანტებად, რაც პროდუქციის ეკოლოგიურ სისუფთავეს განაპირობებს. გარდა აღნიშნულისა შესაძლებელია, ეთერზეთოვანი კულტურებიდან მიღებული ბუნებრივი არომატიზატორები და ბუნებრივი კონსერვანტები დამოუკიდებელ პროდუქტებადაც გაეიტანოთ მსოფლიო ბაზარზე.

ეთერზეთოვანი კულტურებისა და ეთერზეთების პროდუქციის წარმოების, როგორც რაოდენობრივი ზრდის, ასევე თვისებრივი გაუმჯობესების აუცილებლობაზე მსჯელობისას, წინა პლანზე უნდა წამოვიწიოთ ეთერზეთების წარმოების ორგანიზაციული და ტექნოლოგიური სტრუქტურის, კერძოდ, ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო ქვედანაყოფებსა და ეთერზეთების ნედლეულის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის საკითხები.

ეთერზეთების მწარმოებელ კომპანიებს, სადაც ერთ სამეურნეო ქვედანაყოფს მოჰყავს ნედლეული, ხოლო მეორე კი მისი გადამამუშავების ფუნქციას ასრულებს, საბოლოო მიზანი ერთი აქტო, მისცენ კომპანიას მაღალხარისხოვანი და რაც შეიძლება მეტი ეთეროვანი ზეთები. მაგრამ ზოგჯერ ნედლეულის წარმოების დაგეგმვისა და მისი შესყიდვის გამოყენებული სისტემის პირობებში ნედლეულის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოების დაპირისპირებაც ხდება. კერძოდ, ეთერზეთოვანი ნედლეულის წონის მიხედვით რეალიზაციის პირობებში, ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელი - ზეთშემცველობა იგნორირებულია, ვინაიდან შესყიდვა ხდება ნედლეულის რაოდენობის მიხედვით, რასაც, ცხადია, დარგისათვის მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს.

ზეთშემცველობის გაუთვალისწინებლად ნედლეულის შესყიდვა ხელს უშლის ეთერზეთოვანი კულტურების ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვას. ეთერზეთების კულტურების ახალი ჯიშები შეიძლება მოსავლიანობის მიხედვით ჩამოუვარდებოდეს არსებულ ჯიშებს, მაგრამ ზეთშემცველობით და ერთი ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობით მნიშვნელოვნად აღემატებოდეს არსებულს. მაგალითად, გერანის მაღალზეთოვანი ჰიბრიდის 7 პლანტაციიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ 12-15 ტონა ნედლეულს აწარმოებენ, 40-60 კილოგრამი ეთერზეთის გამოსავლიანობით, მაშინ, როდესაც ვარდისებრი გერანის მოსავლიანობა 16-20 ტონას შეადგენს, ხოლო ამ ნედლეულის ეთერზეთის გამოსავალი 16-20 კილოგრამს არ აღემატება. ეთერზეთოვანი ნედლეულის წონის მიხედვით რეალიზაციის პირობებში ნედლეულის მწარმოებელი სუბიექტისათვის არ არის ხელსაყრელი ახალი, მაღალი ზეთშემცველობის, მაგრამ დაბალმოსავლიანი ეთერზეთოვანი კულტურების ჯიშების დანერგვა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნედლეულის მწარმოებელი სუბიექტისათვის მოსავლის აღების ეკონომიკურად ხელსაყრელ ვადას ის პერიოდი წარმოადგენს, როდესაც პლანტაცია ნედლეულის ყველაზე უფრო დიდ მოსავალს იძლევა. მაგალითად, გერანის მწარმოებელი სუბიექტისათვის ამ კულტურის ჩაბარების საუკეთესო პერიოდი 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდეა, ამიტომ ის ცდილობს სწორედ ამ პერიოდში ჩააბაროს ნედლეული გადამამუშავებელ ქარხანას. ქარხნისთვის კი ხელსაყრელია გერანის ნედლეულის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე მიღება, მაშინ, როდესაც ნედლეულში ზეთშემცველობა მაქსიმალურ დონეს აღწევს. ასევე, ეთერზეთოვანი ნედლეულის წონის მიხედვით რეალიზაციის პირობებში, ნედლეულის ჩამბარებელი სუბიექტები ცდილობენ მცენარის დაბალ ჭრილზე აჭრას და ამით ჩასაბარებელი ნედლეულის მასის გადიდებას. ამ პირობებში ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნები იძულებული არიან დიდი რაოდენობით მინარევებისა და ეთეროვანი ზეთების მცირეშემცველობის ნედლეული გადაამუშაონ. ეს იწვევს ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა არარაციონალურ გამოყენებას, საწარმოო დანახარჯების გადიდებას და მზა პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. სწორედ ამაში ვლინდება ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ და ნედლეულის გადამამუშავებელ სუბიექტებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ეთერზეთოვანი ნედლეულის მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირურობების არსებული სისტემის ზემოთ აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა, ცხადია, ევროპის ცალკეულ ქვეყნებში ეთერზეთების სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ისინი შეუდგნენ ეთერზეთოვანი ნედლეულის ხარისხის ამოღებისა და შესაბამისად, ეთერზეთების წარმოების გადიდების ახალი გზებისა და მეთოდების ძიებას. ექსპერიმენტის სახით დაინერგა ფაქტობრივად გამოამუშავებული ზეთის მიხედვით ეთერზეთოვანი ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის ფასების განსაზღვრის მეთოდი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული პერიოდით (3-5 წლით), ეთერზეთოვანი ნედლეულის სახეობებისა და ყოველი მეურნეობის ადგილობრივი ეკონომიკურ-ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მტკიცდება 1 ტონა კონდიციური ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობის ნორმატივი, ხოლო ეთერზეთოვანი ნედლეულის ჩასათვლელი წონა განისაზღვრება ზეთის ფაქტობრივი გამოსავლიანობისა და ერთი

ტონა კონდიციური ნედლეულიდან ზეთის გამოსავლიანობის დადგენილი საბაზისო ნორმის მიხედვით.

აღნიშნული მეთოდის უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი იძლევა ერთი ტონა ნედლეულიდან და ერთი ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციიდან რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ზეთის მიღებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაინტერესების ამაღლების შესაძლებლობას, ჩასათვლელ საბაზისო კონდიციასთან შედარებით. რაც უფრო მაღალია ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობა, მით უფრო მეტი ნედლეულის ჩაბარება ეთვლება სამეურნეო სუბიექტს.

ზეთშემცველობის მიხედვით ეთერზეთოვანი ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის აღნიშნული მეთოდის არსებითი ნაკლია ის, რომ იგი შესაძლებლობას არ იძლევა მიღებული ზეთის რაოდენობასთან ერთად გავითვალისწინოთ მისი ხარისხიც. ეთერზეთოვანი ნედლეულის ხარისხის რაოდენობრივი გაზომვის საკითხი კი შეიძლება გადაწყდეს გამოყენების სფეროში მისი როლისა და დანიშნულების დადგენით. როგორც ცნობილია, ეთეროვანი ზეთები პარფიუმერიისა და კოსმეტიკური მრეწველობის ძირითადი ნედლეულია. ამ დარგში გამოიყენება წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობის 90 პროცენტზე მეტი. ამასთან დაკავშირებით, ეს დარგი თავის მხრივ გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ეთეროვანი ზეთების ხარისხს. უწინარეს ყოვლისა, მას აინტერესებს ეთერზეთების ისეთი ძირითადი კომპონენტები, როგორიცაა ევგენოლი - რეჰანის ზეთში, გერანიოლი და ციტრონელოლი - გერანის ზეთში, ფენილეთილის სპირტი, გერანიოლი და ციტრონელოლი - ვარდის ზეთში და სხვა., რომელთა შემცველობის ხვედრითწონაზეა დამოკიდებული ძირითადად ეთეროვანი ზეთების ხარისხი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც ეთერზეთოვანი ნედლეულის, ასევე ეთერზეთების ხარისხის შეფასებისათვის საჭიროა გვექნდეს ერთიანი, საერთო გამჭოლი მაჩვენებელი. ასეთი მაჩვენებლის შესრულება შეუძლია ზეთში და შესაბამისად ნედლეულში ძირითადი კომპონენტების შემცველობას. მაშასადამე, ზეთშემცველობის მიხედვით ნედლეულის რეალიზაციაზე გადასვლა მოითხოვს ნედლეულზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენციაციას, არა მარტო ნედლეულში ზეთშემცველობის მიხედვით, არამედ ზეთში ძირითადი კომპონენტების შემცველობის გათვალისწინებით.

ეთერზეთოვანი ნედლეულის ზეთშემცველობისა და ძირითადი კომპონენტების შემცველობის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვის ფასების პირობებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაზღვრული სანქციების შენარჩუნება, ხოლო ჩასაბარებელ ნედლეულში დანაგვიანებული და ეთერზეთოვანი მინარევების ზენორმატიული შემცველობისას ასეთი სანქციები უნდა გაიზარდოს კიდევ.

პოსტსაბჭოთა პერიოდში აგროსამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის მეურნეობა-ქარხნები ეთერზეთოვანი კულტურების მსოფლიო ერთი ჰექტარი პლანტაციიდან მიღებული ნედლეულის აღრიცხვას აწარმოებდნენ და ამის გამო პლანტაციის ერთეულიდან ზეთის მიღების ობიექტური მაჩვენებლები არ ჰქონდათ. ევროპის ისეთ ქვეყნებში კი როგორცაა: საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი და სხვ. ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანისა და გადამამუშავების მთავარ მაჩვენებლად ფართობის ერთეულიდან - ერთი ჰექტარიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობა ითვლება. ამის გამო მათი ინფორმაციის ყველა წყაროში ძირითადად სამი მაჩვენებელი ფიგურირებს: ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციის ფართობები, ზეთის მთლიანი წარმოება და ერთი ჰექტარიდან ზეთის გამოსავლიანობა.

ეთერზეთების წარმოებაში ისეთი ანალიტიკური მაჩვენებლის გამოყენება, როგორიცაა ეთერზეთების კულტურების პლანტაციის ერთი ჰექტარი ფართობიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობა, სრულყოფილად წარმოაჩენს მიწის გამოყენების ეფექტიანობის დონეს, ხელს შეუწყობს ეთერზეთოვანი კულტურების ახალი ჯიშების დანერგვას, ნათესების დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფას, მოსავლიანობისა და ზეთშემცველობის ამაღლებას. ამ მაჩვენებელში კონცენტრირებულია წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების მიმართულებით სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ყველა მხარე.

ეთერზეთების წარმოებაში ერთიანი მაჩვენებლის - ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციის ერთი ჰექტარიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობის მიხედვით დაგეგმვაზე გადასვლა, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში აამაღლებს წარმოების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს მათ დაბალანსებულ განვითარებას. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია ისეთი ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებაში, როგორიცაა: რეჰანი, გერანი, ლავანდა და სხვ.

ეთერზეთების წარმოებაში საბოლოო პროდუქციის მიღებაზე მთელი რიგი ფაქტორები მოქმედებს. ერთ-ერთ ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს ეთერზეთოვანი მცენარეებში ზეთშემცველობის დღე-ღამური ცვლილება. ასე მაგალითად, თუ ეთერზეთის შემცველოვა ვარდის ყვავილში დილის 6-7 საათისთვის შეადგენს 100 პროცენტს, დღის 14-15 საათისათვის, მხოლოდ 50-60 პროცენტი რჩება. ამასთან დაკავშირებით ევროპის ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის ბულგარეთის რესპუბლიკაში ვარდის ყვავილებზე ფასები დიფერენცირებულია მოკრეფისა და გადამამუშავებელ საწარმოებში მიწოდების დროის მიხედვით. მიმღებ პუნქტში ვარდის ჩაბარებისას დილის 10 საათამდე ნედლეულს აქვს მაქსიმალური შეფასება, 11 საათამდე ფასი კლებულობს 15

პროცენტით, 12 საათამდე 25 პროცენტით, ხოლო 12 საათის შემდეგ მოკრეფილი და ჩაბარებული ვარდის ყვავილი მისი ღირებულების მხოლოდ 50 პროცენტით ფასდება. ვფიქრობთ, ბულგარეთის მაგალითი საყურადღებო და გასათვალისწინებელი იქნება საქართველოში ეთერზეთების მწარმოებელი კომპანიებისთვისაც.

მაშასადამე, ეთერზეთების ქარხნებში ნედლეულის შემოტანის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ნედლეულის შემოტანის საათობრივი გრაფიკის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დაცვასა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურ დატვირთვას. გადამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულზე ყოველდღიურ მოთხოვნილებასა და გამოყენებული ტრანსპორტის ტვირთამწეობას შორის შეუთანხმებლობა იწვევს სატრანსპორტო საშუალებების ზედმეტი რაოდენობით დაკავებას, ქარხნებში დატვირთული ტრანსპორტის დიდი ხნით მოცდენას, ნედლეულის გადამამუშავების დაყოვნებას, რაც ადიდებს ნედლეულში ზეთშემცველობის დანაკარგებს. ე.ი. ქარხანაში ნედლეულის შემოტანის საათობრივი გრაფიკისა და ნედლეულის მიწოდების რადიუსის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ტრანსპორტის გამოყენების საკითხებიც. ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში უნდა შეიქმნას დისპეტჩერული სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის რიტმულ შემოსვლასა და მის დროულ გადამამუშავებას.

ამრიგად, ეთერზეთოვანი ნედლეულის მწარმოებელ მეურნეობებსა და გადამამუშავებელ მრეწველობის საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება ეთერზეთების პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად უზრუნველყოფს მისი ხარისხობრივი მანქვებლების ამაღლებასაც.

MERAB JIKIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

WAYS OF INCREASING PRODUCTION EFFICIENCY OF ESSENTIAL OILS IN GEORGIA

S u m m a r y

In this article the opportunities of producing essential oils, historical steps of development of the branch and contemporary situation in the field are presented. Raw material base and future perspectives of farm industry, food industry and for technical purposes are described. Also, factors influencing on receiving finished goods in essential oil production are described.

ლევო ჯორბენაძე, ელიზბარ მღვიმელიძე

*საქართველოს აკრძალული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის
ნიადავმცოდნეობის, აგროქიმიის და მედიორაციის ინსტიტუტი*

ალახნის ველის მელორირებული მღვლოს მღაშობი ბიცობი ნიადაგების მელორაციის ჰიდროლოგიური კონსტანტების შესწავლა, მათი შეფასება და რეზუმირება

ალახნის ველის მღვლოს მღაშობი ბიცობი ნიადაგების მელორაცია ორ ძირითად ამოცანის გადაჭრასთან არის დაკავშირებული: ერთი ესაა ღრმა სადრენაჟო საკოლექტორო ქსელის საშუალებით ნიადაგების ჩარეცხვა განმლაშება მელორანტების საშუალებით და გრუნტის წყლის კრიტიკულ დონეზე დაბლა დაწევა. ხოლო, მეორე მელორირებული ნიადაგების გაკულტურება – მისი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების და ტენის რეჟიმის რეგულირება პირობოლოგიური კონსტანტების საშუალებით.

ნიადაგური ტენის კატეგორიებად დაყოფას სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა მანქვებელს უდებს საფუძვლად. ამ მანქვებლების რაოდენობრივი გამოსატყულების მიხედვით ს. დოლგოვი [1] არჩევს ნიადაგურ-ჰიდროლოგიურ კონსტანტებს, რომელსაც ა. როდე [2] წყლოვან-ფიზიკურ კონსტანტებს უწოდებს.

ნიადაგის სრული ტენტევალობა (სტ) – ნიადაგის სრული ტენტევალობა არის წყლის დაკავების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა კონკრეტულად რომელიმე ნიადაგისათვის. აღნიშნული ტენიანობის დროს ნიადაგში როგორც ფიზიკურად ბმული, ასევე თავისუფალი წყლის ყველა ფორმა არსებობს. ამგვარად ნიადაგში წყლის დაკავებაში მონაწილეობს როგორც სორბციული ისე ადსორბციული, აგრეთვე კაპილარული და გრაფიტაციული ძალები.

ნიადაგის სრული ტენტევალობის დროს, ყველა ფორები წყლით არის სავსე. როგორც ცნობილია სრული ტენტევალობა რაოდენობრივად ნიადაგის საერთო ფორიანობის ტოლი უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არაა, კერძოდ ამ მდგომარეობას ადგილი აქვს კოლოიდებით ღარიბ მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში, ხოლო მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში სრული ტენტევალობა საერთო ფორიანობას მცირედ აღემატება. ნიადაგის სრულ ტენტევალობაზე

გავლენას ახდენს როგორც ნიადაგის სტრუქტურული, ისე მექანიკური შედგენილობის ყველა ელემენტი.

ჩვეულებრივ, ფხვიერი აგებულების ნიადაგს უფრო მაღალი სრული ტენტევალობა ახასიათებს, ვიდრე მკვრივ და დაწიდულ ნიადაგებს. სრულ ტენტევალობაზე დიდ გავლენას ახდენს ორგანული ნივთიერებებით ბუნებრივად მდიდარი ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში სისტემატიურად განოციერებული ნიადაგები.

სრული ტენტევალობის მდგომარეობაში ხანგრძლივად გვხვდება ჭაობიანი ნიადაგები. ტენტევალობის მახასიათებელს მხოლოდ თოვლის დნობის, მორწყვის ან დიდი წვიმების დროს აქვს ეს მდგომარეობა ისიც ხანმოკლე დროის განმავლობაში.

ნიადაგის სრული ტენტევალობის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გვექონდეს კონკრეტულ ნიადაგურ ტიპზე, როგორც ერთ-ერთ მთავარ ნიადაგურ-ჰიდროლოგიურ კონსტანტაზე.

ალაზნის ველის მდელის მელიორაციული დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების სრული ტენტევალობის შესწავლიდან ირკვევა, რომ აბსოლუტურ ყამირ ვარიანტს თუ შევადარებთ მელიორაციულ და სხვადასხვა დრენთაშორისებში აღნიშნულ ნიადაგებს აღმოჩნდება მკვეთრად განსხვავებული სურათი. კერძოდ ყამირი ნიადაგის სრული ტენტევალობა 26-31 % ფარგლებშია; რაც შეეხება მელიორირებულ ვარიანტებს ყველაზე მეტი 36-59 % რკინის ძალით ჩარეცხილ ნიადაგს გააჩნია; თაბაშირით ჩარეცხილი 33-47%-ია, ხოლო ჩვეულებრივი მტკნარი წყლით ჩარეცხილ ნიადაგს 27-35% სრული ტენტევალობა გააჩნია.

როგორც ვხედავთ, მელიორაციულმა ღონისძიებამ ყველა დანარჩენ აგროფიზიკურ მაჩვენებლებთან ერთად, ნიადაგის სრულმა ტენტევალობამაც შესამჩნევად მოიმატა [3;4;5], რაც აღნიშნული ღონისძიების დადებით შედეგებზე მიუთითებს.

უმცირესი ტენტევალობა- ანუ საველე ზღვრული ტენტევალობის ქვეშ იგულისხმება ნიადაგის ისეთი მაქსიმალური ტენიანობა, რომლის დროსაც წყლის ის რაოდენობაა, რომელიც დარჩება სრული ტენტევალობის მდგომარეობამდე გაუღვნილ ნიადაგში 2-3 დღის დაწრების შემდეგ. წყლის ეს რაოდენობა შეესაბამება ნიადაგის კაპილარულ-დაკიდებული წყლის რაოდენობას და კაპილარულ-დაყრდნობილი წყლის ნაწილს. ასეთი ტენტევალობა ბუნებრივ პირობებში გააჩნიათ ნიადაგებს, სადაც გრუნტის წყალი შედარებით მაღლა დგას. უმცირესი ტენტევალობა შეძლება დამყარდეს წვიმის შემდეგ, თოვლის დნობის ან მორწყვის შემდეგ.

ი.პლიუსინის [6] მიხედვით ნიადაგის საველე ზღვრული ტენტევალობის დროს, წყლის შეკავების ძალა 1 ატმოსფეროს არ აღემატება და მცენარეთა ფესვთა სისტემისათვის ადვილად მისაწვდომია.

რაოდენობრივად საველე ზღვრული ტენტევალობა აღემატება კაპილარულ ტენტევალობას და ნაკლებია სრულ ტენტევალობაზე; იგი ამ ორი ჰიდროლოგიური მახასიათებლის შუალედი სიდიდეა.

საველე ზღვრულ ტენტევალობას ნიადაგის მშრალი წონისა და მოცულობის მიმართ გამოხატავენ %-ით; ფართობის ერთეულისათვის კი მ³, რადგან ამ სიდიდეზეა ძირითადად დამოკიდებული რწყვის ნორმების გამოანგარიშება. ნიადაგის საველე ზღვრულ ტენტევალობას უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ის საფუძვლად უდევს ნიადაგების რწყვის რაჟიმს და მის რეგულირებას. ამ მაჩვენებლის საშუალებით ანგარიშობენ რწყვის ნორმებს და ადგენენ რწყვის ვადებს. იხ. ცხრილი.

გ. ჩხიკვიშვილის [7] მონაცემებით სრულ ტენტევალობაში უმცირეს ტენტევალობაზე განსაკუთრებით დიდი პროცენტი მოდის ბიცობიან ნიადაგებში. კერძოდ სტეპის ბიცობებში უმცირეს ტენტევალობას, სრულ ტენტევალობაში 90-95% ადგილი უკავია, მდელის ბიცობებში კი 80-85%.

გ.ფრანცესონის [8] და ა. ფედოროვსკის [9] მიხედვით კი ამ მაჩვენებელს შავმიწებში 50-70%; ეწერებში და წითელმიწებში 50-67% უკავია.

ალაზნის ველის მელიორირებული მდელის მლაშობ ნიადაგების აბსოლუტური საკონტროლო ვარიანტის 0-20 სმ ფენაში საერთო ფორიანობიდან (45%) უმცირეს ტენტევალობაზე მოდის 30,5%; წყლით ჩარეცხილი 100 მ.დ. ვარიანტის საერთო ფორიანობა 52,3%-ია, უმცირესი ტენტევალობა კი 37,9%-ია. თაბაშირით ჩარეცხილი ნიადაგის საერთო ფორიანობა 51,45%-ია, შესაბამისად უმცირესი ტენტევალობა 38,8%-ია; ხოლო რკინის ძალით ჩარეცხილი 100 მ. დრენის საერთო ფორიანობა 52,16%-დან 38,7% უმცირეს ტენტევალობაზე მოდის.

ღ.როსოვი [10] მრავალწლიანი დაკვირვებიდან აღნიშნავს, რომ ნიადაგში რომელშიც საერთო ფორიანობასა და უმცირეს ტენტევალობას შორის რაოდენობრივი სიახლოვეა, ცხადია დრენაჟის კარგად მუშაობის და წყლის ჩადინების შემდეგაც კი ტენის სიჭარბე რჩება, რაც მცენარის ნორმალურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.

ა. როდეს [2] აზრით, სხვადასხვა მექანიკური შედგენილობისა და აგებულების ნიადაგების უმცირესი ტენტევალობის განსაზღვრათა დაპირისპირებული შეფასების საფუძველზე დაასკვნის, რომ ჩვეულებრივ მკვრივ აგებულების ნიადაგებს რამდენადმე უფრო მცირე უმცირესი ტენტევალობა ახასიათებს, ვიდრე ამავე მექანიკური შედგენილობის ფხვიერ გასტრუქტურებულ ნიადაგებს. მის გამო, ნიადაგის ვერტიკალურ პროფილში ზედა ფენების უმცირესი ტენტევალობა უმეტეს

შემთხვევაში უფრო მეტია, ვიდრე ქვედა ფენების (რადგან ქვედა ფენები უფრო მკვრივი აგებულებისაა). ეს გარემოება მივეითებებს იმაზე, რომ ნიადაგების გაკულტურება (გასტრუქტურება და მელიორაციული ღონისძიებების გატარება) უმცირეს ტენტევადობას ზრდის. რაც კარგად ჩანს ალაზნის ველის მდელის მლაშობი ბიცობი ნიადაგების მაგალითზე. უკანასკნელის შესაბამისად, ცხადია იზრდება ნიადაგში პროდუქტიული ტენის რაოდენობა და აქტიური ტენის დიაპაზონი, რაზედაც ცხრილიდან კარგად ჩანს.

ცხრილი

ალაზნის ველის მელიორირებული მდელის მლაშობი ბიცობი ნიადაგის ჰიდროლოგიური დახასიათება სხვადასხვა განზომილებებში

ჭრ№, ნიადაგის დასახელება	სიღრმე სმ	მოდ მასა მს/მ ²	მაქს. პიკრ. ტენი		ჭკნობის კოეფიციენტი		საველე ტენტევადობა		აქტ-ტენის დიაპაზონი		პროდ-ტენის შეფასება 0-20 სმ ფენისათ		პროდ-ტენის შეფასება 0-50 სმ ფენისათ	
			%	მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	კარგ ი >40მმ	ღამა კ- 20-40მმ	კარგ ი >80	ღამაკ 65-45მმ
წნორი მდელის მლაშობი ბიცობი ყამირი	0-10	1,36	9,11	12,38	18,33	24,92	30,65	41,68	10,32	16,75	-	32,10	-	-
	10-20	1,52	9,91	15,06	19,44	29,54	29,54	44,90	10,10	15,35				
	20-30	1,52	12,72	19,33	20,56	31,25	27,25	41,42	6,69	10,16				
	30-40	1,62	13,41	21,72	24,00	38,88	27,00	41,04	3,00	4,86				
	40-50	1,63	15,91	25,93	26,19	42,68	29,80	48,27	3,61	5,88				
	0-50	-	-	94,44	-	167,27	-	217,31	-	53,00				53,00
მელიორირებული მდელის მლაშობი ბიცობი წყაროვცხ 100მ დრენი	0-10	1,11	8,53	9,46	18,95	21,83	43,45	48,22	24,50	27,19	44,92			
	10-20	1,40	8,49	11,88	19,78	27,69	32,45	45,43	12,67	17,73				
	20-30	1,44	8,58	12,35	21,33	30,71	32,25	46,44	10,92	15,72				
	30-40	1,48	8,79	13,00	26,95	39,88	30,92	45,76	4,97	7,35				
	40-50	1,49	6,87	10,23	27,53	41,01	30,51	45,45	2,98	4,44				
	0-50	-	-	56,92	-	161,12	-	231,30	-	72,43				72,43
მელიორირებული მდელის მლაშობი ბიცობი.თაბაშჩარეცხ 100მ დრენი	0-10	1,14	6,23	7,10	15,97	18,28	38,88	44,32	22,91	26,11	47,33			
	10-20	1,40	7,21	10,09	17,56	24,58	32,72	45,80	15,16	21,22				
	20-30	1,45	6,02	8,72	19,02	27,57	30,71	44,52	11,69	16,95				
	30-40	1,45	5,95	8,62	24,64	35,72	30,79	44,21	6,15	8,91				
	40-50	1,46	5,19	7,57	25,85	37,74	29,53	43,11	3,68	5,37				
	0-50	-	-	42,10	-	153,89	-	221,96	-	78,56				78,56
წნორი მელიორირებული მლაშობი ბიცობი რკინის-ძალით წარეცხილი 100მ დრენი	0-10	1,14	7,92	9,02	14,98	17,07	38,74	44,16	23,76	27,08	54,75			
	10-20	1,34	8,00	10,72	16,24	21,76	35,40	47,43	19,16	25,67				
	20-30	1,35	8,10	10,93	17,33	23,39	34,91	47,12	17,58	23,73				
	30-40	1,42	8,70	12,35	20,33	28,86	32,78	46,54	12,45	17,67				
	40-50	1,51	8,87	13,39	25,59	38,64	30,00	45,52	4,56	6,88				
	0-50	-	-	56,41	-	129,62	-	230,77	-	101,03				101,03

ჭკნობის ტენიანობა (ჭკ) - ტენის იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომლის ქვემოთაც ნიადაგში წყლის შემცირებას თან სადევს მცენარის ჭკნობა - ჭკნობის კოეფიციენტი ეწოდება. პირველად ეს ტერმინი შემოიღეს ამერიკელმა მეცნიერებმა ლბრიგსმა და პ.შანცმა. სდოლოგოი ამ ცნების შესატყვისად ჭკნობის ტენიანობას ხმარობს და როგორც აროდე აღნიშნავს, ეს უკანასკნელი უფრო კარგად ასახავს ამ მახასიათებლის მოვლენის არს.

ჭკნობის ტენიანობის შესწავლას დიდ ხნის ისტორია აქვს. ი.საქსი აღნიშნავდა, რომ მცენარეს ყველა წყლის გამოყენების უნარი აქვს და თუ ის კვდება, ეს ხდება მაშინ, როდესაც დიუნის ქვიშებში 1%, ხოლო მიძვე თიხა ნიადაგებში 30% ტოლია.

დ. ფედოროვსკის [9] აზრით ჭკნობის ტენიანობა იცვლება მცენარეთა განვითარების ფაზებთან ერთად. რაზედაც ვ. ლატარიაც [11] მიუთითებდა მუხრანის მდელის ყავისფერი ნიადაგების შესწავლის დროს.

მცენარის წყალზე მოთხოვნილების და ნიადაგების ტენიანობის ურთიერთკავშირში შესწავლა გვიჩვენებს, რომ ნიადაგური ტენის ყველა კატეგორია მცენარისათვის მისაწვდომი არ არის. ამ მხრივ ნიადაგის ტენს ყოფენ: 1. გამოსაყენებელი; 2. ძნელად გამოსაყენებელი; 3. პროდუქტიული.

ტენის იმ ნაწილს, რომელსაც მცენარე იყენებს სასიცოცხლო-ფიზიოლოგიურ არსებობისათვის, პროდუქტიული ტენი ეწოდება, ხოლო იმ ნაწილს, რომელსაც მცენარე ვერ გამოიყენებს არაპროდუქტიული მკვდარი მარაგი ეწოდება.

ალაზნის ველის მელიორირებულ მლაშობ ბიცობ ნიადაგზე ქერის კულტურის ჭკნობის ტენიანობა შეადგენს აბსოლუტური ყამირი ნიადაგისათვის 18-26% 0-50 ფენისათვის, 100მ.

დრენაშორის მანძილებისათვის წყლით ჩარეცხილისათვის 19-27%, თაბაშირით ჩარეცხილისათვის 15-25%, ხოლო რკინის ძალით ჩარეცხილისათვის 15-26%. დაახლოებით ასეთივე მონაცემებია მიღებული რუხი-ყავისფერი, მელიორირებული ბიცობიანი ნიადაგებისათვის.

მრავალწლიანი ხეხილის ბაღში, მდელის ყავისფერი ნიადაგისათვის ჭკნობის ტენიანობა 0-100სმ ფენისათვის 14-18% შეადგენს. ამგვარად ჭკნობის ტენიანობაზე დიდ გავლენას ახდენს, როგორც ნიადაგის სახესხვაობა ისე თვით ამ ნიადაგებზე აღმოცენებული კულტურები.

მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა (მპ) - ეს არის ნიადაგის წყლოვანი თვისებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელსაც გააჩნია უნარი ჰაერიდან შთანთქოს იმდენი ტენის რაოდენობა რამდენსაც ის აორთქლებს. მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა პირდაპირ კავშირშია და უშუალოდ დამოკიდებულია მექანიკურ, ქიმიურ და ნიადაგის ხვედრითი ზედაპირის შედგენილობაზე. თანამედროვე შეხედულებებით წყლის მოლეკულები ნიადაგის წვრილდისპერსიულ ნაწილაკებთან შედარებით მყარად არიან დაკავშირებული რომელთა სიმკვრივე 1,2-1,6 გ/სმ³ აღწევს და ხსნართა მოძრაობაში არ იღებს მონაწილეობას, ამის გამო ამ წყალს ეძახიან მცენარისათვის გამოუყენებელ, მკვდარ წყალს. ალაზნის ველის მელიორირებული მდელის მლაშობი ბიცობი ნიადაგის, აბსოლუტურ ყამირ ვარიანტში მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა 0-50 სმ ფენაში 9,1-15,9% ფარგლებშია. წყლით ჩარეცხილ ნიადაგში 6,7-8,5%-ია, თაბაშირით ჩარეცხილში 5,2-7,2% აღწევს, ხოლო რკინის ძალით ჩარეცხილი ნიადაგის მ.პ. 7,9-8,9% არ აღემატება. „აღსანიშნავია, რომ იქ სადაც ტოქსიკური მარილების ჯამი 1%-ზე მეტია ამ შემთხვევაში მ.პ. შესაბამისი გაზრდილი რაოდენობითაა, რადგან ნიადაგში დიდი რაოდენობით არის ადვილად ხსნადი მარილები.

ამრიგად, მელიორაციული მოხვნა დამუშავების და ჩარეცხვებისას რკინის ძალით და თაბაშირით დადებით გავლენას ახდენს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ყამირთან აუთვისებელ ნიადაგებთან შედარებით, და ამით დიდდება ამ ნიადაგების 0-20სმ ფენის ეფექტური ნაყოფიერება. დაკვირვების ანალიზის საფუძველზე დადგენილი იქნა 100 მ დრენთა შორის მანძილებში რწყვის ნორმები მელიორირებულ მდელის მლაშობ ბიცობი ნიადაგებისათვის (460მ³/ჰა-650მ³/ჰა).

მელიორირებულ მდელის მლაშობი ბიცობი ნიადაგების წყალგამტარობა მტკნარი წყლით ჩარეცხილი ნიადაგებისათვის დამაკმაყოფილებელია, ხოლო რკინის ძალით და თაბაშირით ჩარეცხილი ნიადაგებისათვის საუკეტესოა რაც დასტურდება 6 საათის დაკვირვებიდან სადაც წყალგამტარობა 159-250მმ/წთ ტოლია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Долгов с. – Исследование подвижности почвенной влаги и ее доступности для растений. М.-Л., 1948.
2. А.Роде – Дисперсност твердой фазы почвы, химический и минералогический состав ее отдельных компонентов, Почвоведение, №2 1938
3. ი. გოგობერიძე – ალაზნის ველის ცენტრალური ნაწილის მდელის დამლაშებული ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათება. ნიადაგმცოდნეობის ინსტ. შრომები ტ. 20 თბილისი, 1979.
4. ლ. ჯორბენაძე – ალაზნის ველის გრუნტის წყლების მინერალიზაცია წნორის საყრდენი პუნქტის მაგალითზე. მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2000.
5. ლ.ჯორბენაძე – რწყვისა და დამუშავების გავლენა რუხი-ყავისფერი ბიცობიანი ნიადაგების წყალმართვ-ფიზიკურ თვისებებზე, მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული №39, თბილისი, 2003.
6. Плиуснин И. – Мелиоративное почвоведение. Изд. „Колос“, М. 1974
7. ვ. ჩხიკვიშვილი – აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული ნიადაგები და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისება, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960.
8. В.Францесон – О максимальной гигроскопичности и связанной воде в черноземных почв Тр.юбилейной сессии посвященной 100 летию со дня раждения В.В. Докучаева Изд. АН. СССР. 1949.
9. Федоровский – Поступленные воды и питательных веществ в растениях при низкой влажности почвы и высоком осметическом давлении почвенного заствора. Т. 41. 1953
10. Л.Розов - Мелиоративное почвоведение. Изд. Сел. хоз лит-ры М. 1956
11. ვ.ლატარია – მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ფიზიკური თვისებები. თბილისი, 1957.

LEO JORBENADZE, ELIZBAR MGHEBRISHVILI

Agricultural University of Georgia

Mikheil Sabashvili Institute of Soil Science, Agrichemistry and Melioration

STUDY, EVALUATION AND CONTROL OF HYDROLOGICAL CONSTANTS OF SOLONCHAK AND SOLONETZ MELIORATED SOILS OF ALAZANI VALLEY

Summary

Melioration of solonetz and solonchak meadow soils of Alazani Valley consists from solving two main tasks: 1) Wash out soils using deep drainage collectors network by ameliorants and lowering groundwater table below critical level; 2) Cultivation of meliorated soils – regulation of its physical, chemical and biological moisture content using hydrological constants.

Categorization of soil moisture content is varies among scientists as it is based on different properties. On the basis of these quantitative properties S. Dolgov [1] separates soil-hydrological constants, these constants are named by A. Rode [2] as water-physical constants.

Meliorative plough and wash out of soil by iron sulphate and gypsum positively impacts on soil physic-chemical properties in comparison to uncultivated soils, by increasing its effective fertility in top 0-20 cm layer. Based on observation data analysis irrigation norms for solonetz and solonchak soils between drains (100 m) were established (460-650 m³/ha).

Water permeability of soils meliorated by freshwater is stasifactory, but water permeability of soils meliorated by iron sulphate and gypsum is the best, proofed by 6 hours observation on permeability, which equals 159-250 mm/mi

ს ა რ ჩ ე ვ ი

Contents

ნინო აბესაძე, ოთარ აბესაძე	
სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში	7
რამაზ აბესაძე	
სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში	11
მანანა აღფაიძე	
სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ეროვნულ ეკონომიკაში	14
აკაკი არსენაშვილი, მაგდა მწითური	
სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის ერთი მეთოდის შესახებ ...	20
ნანა ახალაია	
აგროტურიზმი – სოფლის მოსახლეობის დასაქმების პერსპექტიული მიმართულება	25
ნონა ახვლედიანი	
ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები (სტატისტიკური ანალიზი)	29
Татьяна Балановская, Ольга Гоголя	
Обеспечение устойчивого развития сельскохозяйственных предприятий в контексте биоэкономики	35
ხათუნა ბარბაქაძე	
სადაზღვევო მომსახურების რეგიონალური მარკეტინგი	40
ნინო ბერაია	
სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების მასობრივი შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები	45
ხათუნა ბერიშვილი	
ბიოეკონომიკის როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში	50
იამზე ბეშქენაძე, მია გოგალაძე, ნანა ჟორჟოლიანი, სპარტაკ უროტაძე, ირინე ლომთაძე	
მიკროელემენტების შემცველი ფიტორეგულატორის კვლევა	56
დავით ბიძინაშვილი, როინ ქობლიანიძე	
მწვანე ეკონომიკა - ეს არის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა	60
Сергей Бобылев, Михаил Палт, Петр Кирюшин, Стелла Михайлова	
Биоэкономика и «зелёная» экономика	63
Вахтанг Бурдули, Лина Датუნაშვილი	
Согласованное развитие смежных отраслей сельского хозяйства и промышленности – важное условие преодоления аграрного кризиса	66
Владислав Бутко	
Преимущества органического земледелия по обеспечению устойчивого развития аграрных предприятий Украины в условиях климатических изменений	73
ინეზა გაგნიძე	
ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობები მედიცინის განვითარებაში საქართველოში	77
ჟორა გაბრიჭიძე	
ქვევრი და ქვევრის ღვინო საქართველოს უკონკურენტო პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე	80
ჟორა გაბრიჭიძე, ნინო მიროტაძე	
გლობალური ტენდენციები და კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფა	84
თამაზ გამსახურდია, თეიმურაზ ფესტვენიძე	
მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა-მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებების უზრუნველყოფის გარანტი	88
გიორგი გაფრინდაშვილი	
არსებული პრობლემები და ეკონომიკური პოლიტიკის პტიორიტეტები აგრარული სექტორში	95
რამაზ გახოკიძე	
შიმშილის პრობლემა და ახალი მწვანე რევოლუცია	98

მადონა გელაშვილი, შორენა ხუბუნაია	
სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები	105
მაია გელაშვილი	
საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში	109
სიმონ გელაშვილი	
სოფლის მეურნეობაში განუსაზღვრელობისა და რისკების	
სტატისტიკური შეფასება	114
ბადრი გენზია, გელა მამულაძე	
აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები	119
ელისო გველესიანი	
მდგრადი განვითარება და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული პრობლემები	123
რევაზ გველესიანი	
ეკონომიკური თავისუფლების საზღვრების მნიშვნელობა ინტერესთა კონფლიქტების	
დაძლევაში	128
გიული გიგუაშვილი, მაია აზმაიფარაშვილი	
ბიომეურნეობები და მათი როლი აგრობიზნესის განვითარებაში	132
შოთა გონგლაძე	
შიდა ქართლში შაქრის ჭარხლის წარმოების პერსპექტივა და რეგიონული	
განვითარების შესაძლებლობა	136
ნინო გრიგოლაია	
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – აგრარული წარმოების აღორძინების საფუძველი	141
ანზორ დევაძე, ნანი გვარიშვილი	
აგროტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები აჭარაში	144
გიორგი დევიძე, სალომე ბუხრაშვილი	
ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და	
წარმოების მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში	149
Dorien de Tombe	
A multidisciplinary approach of the healthcare system	154
თამარ დუდაური	
სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალი და მისი როლი საქართველოს	
ეკონომიკის განვითარებაში	161
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი მელაძე, რუსუდან ელიზბარაშვილი	
კლიმატის გლობალური ცვლილება და საქართველოში ეკოლოგიური სოფლის	
მეურნეობის ზოგიერთი ასპექტი	167
გულნაზ ერქომაიშვილი	
აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია საქართველოში	172
მარიამ ვარდიაშვილი	
ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვის ორგანიზაციის აქტუალური საკითხები	176
Марине Зауташвили, Луба Эприкашвили, Теимураз Кордзахия, Нино Пирцхალავა,	
Maia Dzagania, Imeda Rubashvili, Nino Khaidze	
Использования новых удобрений на основе природных композитов для	
выращивания фасоли	179
ეკატერინე ზვიადაძე, ბექა ძაძამია	
სასურსათო უსაფრთხოება, მისი მნიშვნელობა და არსებული	
სიტუაცია საქართველოში	183
თამაზ ზუბიაშვილი	
ურბანიზაციის გაღვნა საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიულ	
განვითარებაზე მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში	186
როინ თათეშვილი	
საფინანსო-საკრედიტო სექტორის ფაქტორი სოფლის მეურნეობის	
განვითარებისათვის	188
თენგიზ თაქთაქიშვილი	
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეფექტიანობა და მათი როლი სოფლის	
მეურნეობის მდგრადი განვითარების პროცესში	193
ნუგზარ თოდუა	
საქართველოს სასურსათო ბაზარზე მომხმარებელთა მოტივაციის ცვლილება	
პოსტკრიზისულ პერიოდში	197
Жанна Толордава	
Имитационное игровое моделирование устойчивого развития различных	
хозяйственных объектов	201

ნატო კაკაშვილი	
საქართველოს აგროსექტორი და დაზღვევის სისტემა	206
ნაზირა კაკულია	
აგრარული სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირების ძირითადი ასპექტები	209
თეიმურაზ კანდელაკი	
საქართველოში მერქნული ბიოენერჯის სანედლეულო ბაზის გაფართოების პრიორიტეტები და ეფექტიანობა	216
თამარ კაჭარავა, ნინო წიკლაური, ლიანა ქლიავა	
გულყვითელას (<i>Calendula officinalis L.</i>) კულტივირება საქართველოში და ფარმაკოლოგიური მნიშვნელობა	222
მურმან კვარაცხელია	
საქართველოს აგრარული სექტორი – პრიორიტეტების პოლიტიკა	226
ნიკო კვარაცხელია	
სოფლის ტურიზმი: გერმანული თავისებურებები და ქართული სინამდვილე	229
ნადეჟდა კვატაშიძე	
ბიოლოგიური აქტივები და რეალური ღირებულების კონცეფცია	234
შალვა კვეზერელი	
აგრომარკეტინგი და სასურსათო ბაზრის თავისებურებანი	237
ელგუჯა კონჯარია	
მიწა, როგორც წარმოების ძირითადი ფაქტორი	241
პაატა კოლუაშვილი	
საქართველოს შეუძლია დაიწყოს ახალი მწვანე “ბიოორგანული რევოლუცია”	246
პაატა კოლუაშვილი, ანა ფირცხალაშვილი	
დავიცვათ ჩვენი საარსებო და თავის სარჩენი ბაზა	252
ხათუნა კურტანიძე	
კურორტ სურამში ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების ასპექტები	257
დავით კუხალაშვილი, მზევინარ გურული-კუხალაშვილი, თამარ ბრეგაძე	
მწერების როლი ეკოლოგიურ წონასწორობასა და სადაზვერვო საქმიანობაში	261
ენვერ ლაგვალავა	
საქართველოს აგრარული მეურნეობის საწარმოთა ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხისთვის	263
თამარ ლაზარიაშვილი	
სასურსათო უსაფრთხოების როლი მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებაში	268
ნათელა ლაცაბიძე, მურმან ცარციძე	
საქართველოს სოფლის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის გზები	271
Marina Lezhava	
Perspectives of development of agrotourisz in Georgia	276
მანანა ლობჯანიძე	
ახალგაზრდების უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში	280
ტარიელ ლომია	
ეკონომიკური პოლიტიკის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში	284
მარინა მაისურაძე, ნინო ჩავლეშვილი	
ბუნებრივი აღრიცხვის თავისებურებები სოფლის მეურნეობის საწარმოებში	287
ირაკლი მაკალათია	
დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონული ჭრილით საქართველოში	292
რეზო მანველიძე, პაატა არაშიძე, ია მესხიძე	
სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების თანამედროვე პრობლემები	296
თამარ მარგიანი	
დაზღვევა – აგრობიზნესის განვითარების დაჩქარების ხელშემწყობი ფაქტორი	302
Sonia Marongiu	
Cooperation as a factor of territorial competitiveness: the local system of apple production in Trentino	306
Mykhaylo Marshalok, Vitaly Radko, Sergiy Nikitenko	
Bioeconomy as a strategy for sustainable agricultural development	312
მედეა მეღაშვილი, ნუნუ ქისტაური	
ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობა აგრარული სექტორის განვითარებაში	315

გიორგი მელაძე სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები საქართველოს რეგიონებში	318
მაია მელაძე, გიორგი მელაძე კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით აგროკულტურების გავრცელების ზონების სცენარი სამხრეთ საქართველოში (ახალციხის მაგალითზე)	322
გიორგი მერლანი სოფლის ტურიზმი და საქართველო (მესტიის რაიონის სოფელ უშგულის მაგალითზე)	327
მარინა მეტრეველი აგროტურიზმი – სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულება	330
ელგუჯა მექვაბიშვილი ორგანული მიწათსარგებლობა და მისი პერსპექტივები საქართველოში	334
მარინე მინდორაშვილი სტატისტიკური ინდიკატორების როლი სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ სტრატეგიაში	337
ცირა მიქაბაძე გენური ინჟინერიის თანამდევი და პოტენციური რისკები	342
ჟანი მიქაშავიძე, ვახტანგ მიქაშავიძე აჭარის აგროტურისტული პოტენციალი – პრობლემები, განვითარების პერსპექტივები	345
ბაბუღია (დოდო) მღებრიშვილი ეკოლოგიური მარკეტინგის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში	351
ეთერ ნარიმანიშვილი მარკეტინგული გარემოს როლი აგრობიზნესის განვითარებისა და მისი რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენების საქმეში	354
მარინე ნაცვალაძე სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ინდიკატორები	356
ია ნაცვლიშვილი მდგრადი მწარმოებლურობის ზრდის გამოწვევები აგრარულ სექტორში (გლობალური ტენდენციების მიმოხილვა)	360
დავით ნერგაძე მარკეტინგის როლი აგრარულ სექტორში	367
დადი ნიკოლაიშვილი, მაია ცხვარაძე კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ლანდშაფტების ბიოპროდუქტიულობაზე	370
ნუგზარ პაიჭაძე ეკონომიკის აგრარულ სექტორში ადამიანური კაპიტალის მართვის მექანიზმის ფორმირების ზოგიერთ საკითხი	375
Александр Жемойда Национальная, региональная и глобальная продовольственная безопасность – возможности лидерства для Украины	380
Сергей Рахметов Рациональное использование биоэнергетических ресурсов для достижения энергетической и продовольственной безопасности страны	386
ზურაბ რევიშვილი სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები და პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში	392
Оксана Рябченко, Анатолий Диброва Биосоциальная экономика как интерфейс устойчивого развития: теория, практика, перспектива	397
ნინო რუსაია აგრარული სექტორის მიმოხილვა- დარგის SWOT ანალიზი	401
ლევან საბაური საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეგიონული მართვის საფუძვლები სოფლის მეურნეობაში	405
ნინო სამუკუაშვილი კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში	413
ვახტანგ სართანია, ნინო დამენია ეკონომიკური რისკის შემცირების მეთოდები აგრარულ სფეროში	418

რუსუდან სირბილაძე	
მაკროეკონომიკაში სოფლის მეურნეობის დარგის სრულყოფის მნიშვნელოვანი ასპექტები	421
დემურ სიჭინავა, გულად ნაკაშიძე	
სოფლის მეურნეობის საწარმოთა ფუნქციონირების სრულყოფა კომპიუტერული იმიტაციური მოდელირების გამოყენებით	425
დავით სინარულიძე, თეა მუნჯიშვილი	
ტნკების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის ფასეულობათა ჯაჭვის სხვადასხვა სტადიაზე და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე	430
დადი სოლოღაშვილი, ზენაბ ახალაძე	
სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მისი შეფასებისა და ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებები	436
Микола Галавыря, Викторія Байдала, Вира Бутенко	
Формирование потенциала для развития биоэкономики в Украине	440
ზვიადი ტიგინაშვილი, გიორგი ვაჩნაძე, ელენე ნაკაიძე, ბესარიონ აფციაური, გიული წერეთელი	
ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის წიფლნარების ფიტომასა და ნახშირბადის მარაგები	444
Мария Тимошенко	
Миграция трудовых ресурсов в сельской местности Республики Беларусь: причины и последствия	447
თეო ურუშაძე, გიორგი დამბაშიძე, დიანა ხომასურიძე, ნინო ნიკოლეიშვილი	
სპილენძის და თუთიის განაწილების თავისებურება პამიდურის კულტურის ქვეშ კონვენციური სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებში	452
თენგიზ ურუშაძე, თამარ ქვრივიშვილი, ეკა სანაძე	
დასავლეთ საქართველოს ნიადაგები და ახალი საერთაშორისო კლასიფიკაცია	457
Наталья Устюшенко, Татьяна Борздова	
Агротуризм в республике Беларусь	460
ნინო ფარესაშვილი	
კლასტერი რეგიონების კონკურენტუნარიანობის მართვის სისტემაში	465
ნანა ფირცხელავა	
აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა	469
ლელია ქადაგიშვილი, შოთა შაბურიშვილი	
სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების ორიენტირები საქართველოში	475
გიული ქეშელაშვილი	
აგრარული სექტორის სახელმწიფო მართვა საქართველოში: რეალობა და პერსპექტივები	480
ქეთევან ქველაძე, მამუკა ხუსკივაძე	
აგროტურიზმის გავლენა რეგიონების აგროეკონომიკურ პოლიტიკაზე	484
აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე	
ორგანული პროდუქციის ბაზრის განვითარების ტენდენციები: ანალიზი და რეკომენდაციები	490
გიორგი დაღანიძე	
ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და შესაძლო საექსპორტო სტრატეგიების ფორმირების საკითხები	496
ალექსანდრე შარაშენიძე	
ბიოწარმოების როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის მგრად განვითარებაში	500
Анатолій Шевчук	
Водные ресурсы как основа развития сельского хозяйства	502
მზია შელია	
საქართველოს სოფლის მოსახლეობის დაბერება პოსტსაბჭოთა პერიოდში	507
თეიმურაზ შენგელია	
სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის როლი ბიზნესის განვითარებაში	509
გიორგი შინაშვილი	
საქარველოში აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მმართველობითი და საორგანიზაციო-საპროექტო ასპექტები	514
მარინა ჩაველიშვილი, სლავა ფეტელავა	
სიანვესტიციო პროექტები საქართველოს აგრარულ სექტორში	519

Luca Cesaro, Francesco Mantino

What is going to change in EU Agricultural Policies after 2013? Integration, greening and the problem of budget reduction 523

ქეთევან ჩიტალაძე

სოფლის მეურნეობის განვითარების სტატისტიკური ანალიზი: რეალობა და პერსპექტივები 536

Малхаз Чикобава

Продовольственная безопасность, как гарант устойчивого экономического развития государство 540

შორენა ცაავა

სოფლის მეურნეობების განვითარების ტენდენციები და ძირითადი მიმართულებები 545

ცირა ცეცხლაძე

აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში 549

კახაბერ ციმიჩია

სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები საქართველოში: ანალიზი და შეფასება 553

გიული წერეთელი, ელენა ნაკაიძე, რუსუდან კახაძე

რცხილნარებისა და მუხნარ-რცხილნარების ნიადაგების დახასიათება თბილისის შემოგარენში 556

გიორგი წინწკალაძე, ლუბა ეპრიკაშვილი, მარინე ზაუტაშვილი, თინათინ შარაშენიძე, მანანა ბურჯანაძე, ნინო ბურკიაშვილი, ვახტანგ გაბუნია

ბუნებრივი ცეკლითის ბაზაზე შექმნილი ახალი ბიოტექნოლოგიური მასალა, როგორც ხანგრძლივი მოქმედების სასუქი და მისი გამოყენების პერსპექტივები 559

იზოლდა ჭილაძე

მესაქონლეობის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის პრობლემური საკითხები 562

ელენე ხარაბაძე

რეალური ღირებულებით შეფასების გამოყენება სოფლის მეურნეობაში 565

ეთერ ხარაიშვილი

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები 568

ირინე ჯაღალღონია

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ასპექტები 574

მერაბ ჯიქია

ეთერზეთების წარმოების ეფექტიანობის ამღლების გზები საქართველოში 579

ლეო ჯორბენაძე, ელიზბარ მღებრიშვილი

ალაზნის ველის მელიორირებული მდელოს მლაშობი ბიცობი ნიადაგების ჰიდროლოგიური კონსტანტების შესწავლა, მათი შეფასება და რეგულირება 582ს